

## კიტა აზაშიძე

### ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ

#### წინასიტყვაობა

1890-ში ფრანგმა კრიტიკოსმა ბრიუნეტიერმა გამოსცა “გვართა ევოლუცია ლიტერატურის ისტორიაში”. ჩვენ მაშინვე მივაქციეთ მკითხველი საზოგადოების ყურადღება ბრიუნეტიერის სრულიად ახალ მეთოდს და დავსტამბეთ რამდენიმე წერილი “ივერიაში” (1894 წ.,<sup>1</sup> 165 და 166) და “მოამბეში” (1894 წ.,<sup>1</sup> 12 და 1895 წ.,<sup>1</sup> 1 და 2). ბრიუნეტიერის სამეცნიერო-კრიტიკულმა შრომამ აღგვიძრა აზრი და სურვილი, ახალი მეთოდის მიხედვით განგვეხილა ქართული ლიტერატურა XIX საუკუნისა. მაშინვე მივჰყავით ხელი ამ ლიტერატურის კორიფეების შესახებ ეტიუდების წერას. აგერ ათი წელიწადია დრო გამოშვებით ჩვენ ამა თუ იმ მწერლის შესახებ ვსტამბავდით ეტიუდებს. დღეს, რაკი XIX საუკუნის ჩვენი ლიტერატურის უმთავრესი მიმართულებებისა და მათის მეთაურების შესახებ ეტიუდები დამთავრებულია, ჩვენ განვიზრახეთ ამ წიგნაკის ცალკე გამოცემა. ძალიან კარგად გვესმის ჩვენის შრომის სისუსტე და ვიცოდით, რომ არც ძალი და არც ღონე არ შეგვწევდა, ჩვენი ბრწყინვალე და შშვენიერი ლიტერატურის შესაფერი დახასიათება მიგვეწოდებია საზოგადოებისათვის. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს ერთადერთი სისტემატური შრომაა (რა ღირსებისაც არ უნდა იყოს იგი) XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ ქართულ ენაზე, სადაც ავტორი სცდილობდა ეს დიადი მოვლენა ჩვენი ერის აზრისა და გონების სამეუფოისა თვალწინ გადაეშალა მკითხველ საზოგადოებისათვის.

მეთოდი, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით, გახლავსთ მ ე თ ო დ ი ე ვ ო ლ უ ც ი ო ს ა; აი, რაში მდგომარეობს ეს მეთოდი:

როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაში არის გვარი, ლიტერატურული ჟანრი, ფორმა. ეს გვარი, ჟანრი, ფორმა, როგორც ბუნების ყოველი ნაწარმოები, იბადება, იზრდება და მერე კვდება ან გ ა რ დ ი ც ვ ლ ე ბ ა სხვა მონათესავე გვარად. ამა თუ იმ გვარის დაბადებას, ისე როგორც მის აყვავებასა, მოსპობას და გარდაცვლას - ტრანსფორმაციას ხელს უშლიდა ან ხელს უწყობდა ზოგიერთი პირობა, ზოგიერთი გარემოება. სხვადასხვა გვარს შორის მხოლოდ ის სცოცხლობდა და ძლიერდებოდა, რომელიც უფრო ღონიერი იყო და რომელსაც ძალ-ღონე შესწევდა, თავისდა სასარგებლოდ მოეხმარა სხვადასხვა გარემოება და პირობა. ერთის სიტყვით, ლიტერატურაშიაც მოქმედობდა კანონი ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ს შ ე რ ჩ ე ვ ი ს ა. აქაც სხვადასხვა გვართა შორის სწარმოებდა ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ჭ ი დ ი ლ ი, მ ე ტ ო ქ ე ო ბ ა, ბ რ ძ ო ლ ა, საუკეთესო და იდეალური, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, და ჭიდილი ესე თავდებოდა მით, რომ ერთი გვარი (ლიტერატურულის ნაწარმოებისა) გზას უთმობდა მეორეს, ხოლო თვით კი ან მთლად მოისპობოდა, ანდა გ ა რ დ ა ი ც ვ ლ ე ბ ო დ ა მეორე გვარად.

ამნაირად, როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაში სწარმოებდა განვითარება, ევოლუცია ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ჭ ი დ ი ლ ი ს ა და ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ს შ ე რ ჩ ე ვ ი ს შ ე მ წ ე ო ბ ი თ. რომ არსებობს გვარი, ჟანრი ლიტერატურულის ნაწარმოებისა, ამის უარისყოფა ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად მოუხერხებელია კაცმა სთქვას, რომ “ვეფხისტყაოსანი” იმავე გვარის ნაწარმოები იყოს, როგორისაც ბართაშვილის, გინდ აკაკის სალირიკო ლექსებია. ანდა, კიდევ მეტი, წარმოუდგენელია სთქვას ვინმემ, რომ ილიას “განდეგილი” ეკუთვნოდეს იმავე გვარს ლიტერატურული ნაწარმოებისას, რომელსაც ეკუთვნის გიორგი ერისთავის სატირული კომედიები “ძუნწი”, გინდ “გაყრა” და “დავა”. მაშასადამე, სულ სხვა გვარია ეპოპია და სალირიკო ლექსი, სულ სხვა გვარია ლირიკული პოემა და დრამატული ნაწარმოები.

რომ არსებობს მთელი ციკლი განვითარებისა ამა თუ იმ გვარში, ამა თუ იმ პირობისა და გარემოების მიხედვით, ამას თვით ჩვენი სალირიკო პოეზია გვიმტკიცებს, რომელიც რომანტიზმით იწყება, გადადის რეალიზმზე და მერე ნეორომანტიზმისა და სიმბოლიზმის სამკვიდროდ გახდება.

სხვადასხვა პირობებში ერთი გვარი იცვლება მეორე გვარად. ამის მაგალითია საეკლესიო მჭერმეტყველების გარდაცვლა სალირიკო პოეზიად (ამის მაგალითები ბრიუნეტიერსა აქვს მოყვანილი თავისს საფრანგეთის XIX საუკუნის სალირიკო პოეზიის განვითარებაში. იხ. “მოამბე”, 1894 წ.,<sup>1</sup> 12 და 1895 წ.,<sup>1</sup> 1 და 2). ამასვე გვიმტკიცებს ეპოპის შეცვლა რომანად. ეს უკანასკნელი გვარი (რომანი) მით არის შესანიშნავი, რომ იგი მრავალის გვარის ნაწარმოებზედ არის აღმოცენებული და აშენებული; მან, არათუ ეპოპიას მაგიერი ადგილი დაიკავა, შეისვა და

შეთვის მრავალი სხვა გვარიც ლიტერატურულის ნაწარმოებისა, - ცოტათი სალირიკო პოეზია, ცოტათი დრამატული გვარიც და სხვ.

სხვადასხვა მიზეზების გამო ლიტერატურულის ნაწარმოების ესა თუ ის გვარი კვდება, ისპობა, - ამის მაგალითს იძლევა კლასიკური ტრაგედია (იხ. ბრიუნეტისავე “les epogues du theatre francais”), გინდ იგივე ეპოპია, რომელსაც ერთ დროს უპირველესი და უდიდებულესი ადგილი ეჭირა, დღეს კი სრულიად გამქრალია და მივიწყებული. ეს არის, მოკლედ რომ ვთქვათ, ევოლუციის მოძღვრება ბრიუნეტისა და ის მეთოდი, რომლითაც იგი სარგებლობდა ლიტერატურის ისტორიის მიმოხილვაში. ეს მეთოდი დღეს თითქმის მიღებულია: მას მხარს აძლევს ცნობილი კრიტიკოსი, აკადემიკოსი ემილ ფაგე; ამ მეთოდის მიხედვით დაწერილია მრავალი ჩინებული ლიტერატურის ისტორია (დ ი უ მ ე ნ ი ლ ი - საფრანგეთის ლიტერატურა ევოლუციის მეთოდით განხილული, უ ვ რ ე .-იმავე მეთოდით აქვს გარჩეული საბერძნეთის ლიტერატურა).

ჩვენს “ეტიუდებში” ჩვენ განვიხილეთ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა ევოლუციის მეთოდის მიხედვით. იმავე მეთოდის მიხედვით ამ ეტიუდებში მარტო იმათ მივაქციეთ ყურადღება, ვისაც რაიმე ადგილი უჭირავს ევოლუციის მიმდინარეობის სხვადასხვა საფეხურზე; ამიტომაც სახელიც არ გვიხსენებია ისეთი მწერლისა, რომელსაც არავითარი როლი არ უთამაშია ამა თუ იმ ცვლილებაში (მაგ., ალ. ორბელიანი, ბარბ. ჯორჯაძისა, თუმანიშვილი, მაჩაბელი და სხვა მრავალი). წარმოიდგინეთ, სწორედ ამ მეთოდის ერთგულებამ ხელი აგვადებინა ისეთ უეჭველად ნიჭიერ მწერლების ნაწარმოების განხილვაზე, როგორც არის ლავ. არდაზიანი, ნ. ლომოური, ს. მაგლოზიშვილი და ევ. გაბაშვილისა, და ეს იმიტომ, რომ ლიტერატურის ევოლუციაში მარტო იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, ვინც შეიტანა ახალი რამ ლიტერატურის მსვლელობაში, ან ძველი გაამწვინებინა და მიიყვანა უმაღლესს წერტილამდე; უნდა ადგილი ჰქონდეს მას, ვინც დააჩქარა ეს მსვლელობა, ან მისი მიმართულება შესცვალა, ან შეაჩერა ეს მსვლელობა.

ზემოხსენებული მწერლები კი, მაგ., არდაზიანი, როგორც რეალიზმის დამწყები ჩვენს ლიტერატურაში, დაგვიანებული იყო, ვინაიდან უკვე გ. ერისთავი შეიქმნა ამ მიმართულების ინიციატორი. რეალიზმის განმამტკიცებლად და გამამწვინებლად ილია ჭავჭავაძის გვერდით მისი სახელის ხსენებაც კი შეუძლებელია; ხოლო რეალიზმის დაცემის, დ ე კ ა დ ა ნ ს ი ს გამომხატველობა გიორგი წერეთელს ხვდა წილად.

ეგვე ითქმის ნ. ლომოურისა, ს. მაგლოზიშვილისა და ევ. გაბაშვილის შესახებ - იგინი ილია ჭავჭავაძის სკოლას ეკუთვნიან, ხოლო თუ აქა-იქ მათ ნაწარმოებში გამოსჭვივის ახალი ელემენტები ნეორომანტიზმისა - იმდენად, რამდენადაც ეს ილიას ნაწარმოებშია ცხანს (“კაკო ყაჩაღი”, “გლახის ნაამბობი” და სხვ.). ხოლო განმტკიცება და დამკვიდრება ნეორომანტიზმისა, სრულიად ახალ საფუძველზე მისი აღმოცენება ყაზბეგს ეკუთვნის, რომელმაც დიდებულად შეასრულა როლი ახალი მიმართულების შემომღებლისა. ზოგიერთი ამ მწერალთაგანი უეჭველად ნიჭიერია, მათი ნიჭი სრულიად არ ჩამოუვარდება ზოგიერთ იმ მწერალთა ნიჭს, რომელთაც ადგილი მოიპოვეს ამ ეტიუდებში (გ. წერეთელი და სხვ.), მაგრამ ლიტერატურის ისტორია, რომელიც ევოლუციის მეთოდით ხელმძღვანელობს, იძულებულია მათ ძალაუბრებურად გვერდი აუაროს. ახალი ლიტერატურა ჩვენ მარტო გაკვრით მოვიხსენეთ და ეს იმიტომ, რომ დამთავრებულისა და დასრულებულის მიმართულების მეთაურობა ჯერჯერობით ვაჟას ეკუთვნის, და ახალგაზრდა მწერლები - შიო არაგვისპირელის მეთაურობით, ამზადებენ იმ ნაწილებს, იმ სხვადასხვა ძაფს მიმართულებისას, რომლისგანაც უნდა აღმოცენდეს ჩვენი ახალი ლიტერატურა. ვიქონიოთ იმედი, რომ ეს ლიტერატურა შეიქმნება XIX საუკუნის ჩვენის ლიტერატურის ღირსეული დამამწვინებელი.

საქართველოსათვის მეცხრამეტე საუკუნე შავითა და ბნელით არის მოცული. საქართველო, როგორც პოლიტიკური არსება, მოისპო მეცხრამეტე საუკუნის პირველსავე წელიწადში. მეცხრამეტე საუკუნიდან ქართველ ერს თავისი სრული ცხოვრება აღარა ჰქონია, იგი ცხოვრობდა სიტყვით სხვის “მფარველობის” ქვეშე, ხოლო საქმით სხვის “მონობას” განიცდიდა. ჩვენ თუ ჩვენისავე ნებით დავმორჩილდით ჩვენ მეზობელ ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც მასთან ქრისტეს მოსავიც იყო, ამით ისტორიულად მიუცილებელის მსვლელობის საქმე ცოტათი დავაჩქარეთ, აღარ ვიხმარეთ ყოველი საშვალე მტრისაგან ნიშანში ამოღებულის სამშობლოს საშველად, არამედ პირდაპირ აღვასრულეთ ის, რაც, “ადრე იქნებოდა თუ გვიან”, მაინც უნდა მომხდარიყო. ჩვენ აქ მხოლოდ ის შეგვიძლიან ვთქვათ, რომ სახელმწიფოს, რომლის კალთის ქვეშაც ჩვენ გამგეთ თავი შეაფარეს, საქმე გავუადვილეთ და დიდი შრომა და ჯაფა ავაცილეთ, კიდევაც დიდი შემწეობა აღმოვუჩინეთ იმ საქმეში, რომელიც მისი ისტორიულის მსვლელობის მიუცილებელი მიზანი იყო.

ამგვარად, ქართველი ერი წასულის ასი წლის განმავლობაში სცხოვრობდა არა სავსებით, არამედ ვაი-ვაგლახით მიჩანჩალებდა. მთელი მისი მოქმედება, აზრი, ფიქრი, მისწრაფება მარტო ერთ რამეში გამოიხატებოდა - ლიტერატურაში და ისიც ლიტერატურის ერთ დარგში - სიტყვა-კაზმულ მწერლობაში. პოლიტიკური და ეკონომიური ცვლილებანი მოხდა გარეშე ჩვენის მონაწილეობისა და გავლენისა, თითქმის არც ერთი ამ ცვლილებათაგანი ჩვენ ახლოსაც არ გაგვკარებია (საეროთო თვითმართველობის და ნაფიცთა მსაჯულის ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი, შეღავათიანი ცენზურა და სხვ.).

მეცნიერულისა და ფილოსოფიურის მსვლელობისაც კი სრულიად გარეშე მაყურებლად დავრჩით: სასულიერო და საერო აკადემიები და უნივერსიტეტები - ეს მეცნიერებისა და ფილოსოფიის ნავთსადგურნი, სხვა და სხვა გვარი უმაღლესი სკოლები ჩვენ თვალითაც არ დაგვანახეს. სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენს ხელად არ არის და ჩვენს გავლენას სავსებით აცილებულია.

სიტყვა-კაზმული მწერლობა შეიქმნა ერთადერთი მხარე ცხოვრებისა, რომელიც ამ ცხოვრების ვითარების უტყუარი, ხელოვნური გამომხატველი იყო.

უმთავრესი კილო ჩვენი მწერლობისა (განსაკუთრებით პოეზიისა) ორგვარია - ორნაირ პირობის, ორნაირ გარემოების, ორნაირის ზედგავლენის ქვეშ აღზრდილი და გაჭედილი: პოლიტიკური და საზოგადოებრივი პირობები ისეთი იყო, რომ ღრმა სევდითა და ოხვრით ავსებდა ყოველი შეგნებული ქართველის გულს და უსასო პესიმიზმისაკენ მიაქანებდა ჩვენ მწერლობას. ხოლო ჩვენის საუკუნეების განმავლობაში შექმნილი კულტურის, მწერლობის მაგალითები სულ იმას ჩაგვძახოდნენ და ჩაგვიჩიჩინებდნენ: “ჰხამს მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდესო” და “ჰხამს მამაცი მამაცური, სჯობს რაზომცა ნელა სტირსა, ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა, ვით ქვითკირსაო”. ამ დიდებული ნუგეშისმცემელისა და გამამხნეველის წყალობით ჩვენი ლიტერატურაც ასცდა უნიადაგო და უშინაარსო წუწუნსა და გოდებასა.

გამამხნეველად და გამამხიარულებლად მოქმედებდა ჩვენ მწერლობაზედ წარმტაცი სიმშვენიერე და სილამაზე ჩვენი სამშობლოსა,

“სად ველნი, ფერთ ზურმუხტნი ნაზადა აღმწვანდებიან,  
მათზე კასკასით წყარონი, გახარებულნი მორბიან;  
მათ სიკამკამეს ყვავილნი თავ-დახრით განცვიფრდებიან;  
გულს მათი ხილვა უხარის, თვალთ კვალად ენატრებიან”.

ფიზიკური სიმშვენიერე ჩვენი ხალხისა, მისი მკვირცხლი, ცოცხალი ბუნება და მხიარული ხასიათი - განმაცხოველებელი წყაროს როლს ასრულებდა ჩვენ ლიტერატურაში, და თავის დღეში გულს არ უტეხდა ჩვენ მწერლობას.

განა ამაგებით აღტაცებული მოსანი არ ამბობს:  
“სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?  
ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!  
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,  
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!”

ყველა ეს ჩვენ მწერლებს იმედსა და სასოებას უნერგავდა, გულში საუკეთესო მომავლის საფუძვლიან მოლოდინს აღუძრავდა, ამიტომაც ჩვენს მწერლობას თვით უადრესის სიმწარის დროსაც გულიდან არ განშორებია სიმხნევე და “ჭირსა შიგან გამაგრება”.

ხოლო თუ ჩვენს ლიტერატურაში მაინც ისმის განუწყვეტელი ღრმა კვნესა და გოდება, ეს უსაქმურთა და მოცილითა გამოგონილი კი არაა, მთელი ერის სულის განწყობილების გამომსახველია, საერო ნიადაგზედ აღმოცენებული. ამ კვნესის დამწყები, უიმედობით აღსავსე, უსასოებით შებოჭილი ალ. ჭავჭავაძე “ჩაღლევაში” იძიებს თავის დავიწყებას და ეპიკურიეზმს მისდევს დარდების გასაქარვებლად. ხოლო საყვარლის ვნებით აღსავსე კონცა გამწარებული აქვს ჰაერში გავრცელებული ოხვრისა და გოდების ხმით და ღვინით აღსავსე ჭიქის ძირშიაც სამსალას ნახავს შარბათის მაგიერ. ჩვენი ერის კაემნის განხორციელებული გენიოსი, სულით მშვენიერი და სულითვე ობოლი პოეტი, “გულ დახურულთა” მეგობარს - მთას მიჰმართავს და იქ იძიებს თანამგრძობ მეგობარს; აღშფოთებულის “სულით მამურალის” მოსნის ფიქრი ცის სივრცის იქით მიილტვის იმედისა და ნუგეშის მოსაპოვებლად და ბოლოს გულმოწყლული და სასოწარკვეთილებით აღსავსე პოეტი გარდასწყვეტს, “მოშორდეს მამულს, მოაკლდეს სწორთა და მეგობარსა, აღარ იხილოს მშობელი და სატრფო ტკბილ-მოუბარი, აღარ დაიმარხოს მის მამულში

მისთა წინაპართ საფლავთა შორის”, მაგრამ ჩვენი ლიტერატურის სულმნათი დიდება ყოველსავე ტანჯვასა და ვაებას სრულის მოთმინებით ეგებებოდა, ვინაიდან ღრმად სწამდა, რომ

“ცუდათ ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს.”

და სწორედ ამიტომაც ეს დიდებული ანდერძი დაუგდო ჩვენს ლიტერატურასა და ცხოვრებას:

“რადგანაც კაცნი გვექვიან, - შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდევ მივსდიოთ მას, გვემას მშობლისა:  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!”

იმ ახალმა სალიტერატურო სკოლამ, რომელმაც დაიჭირა სალიტერატურო ასპარეზი ამ მწერლების შემდეგ ბრწყინვალე გამარჯვების წყალობით, უფრო კარგ პირობებში დაიწყო მოქმედება. უფრო საიმედო და სასოების აღმძვრელი იყო ის გარემოება, რომელშიც ხვდათ მუშაობა ახალ მეთაურებს. მრავალი რამ იყო იმ დროს სასოებისა და იმედის აღმძვრელი. მეთაურმა სკოლისამ, ნ. ბარათაშვილის პოეზიის ნამდვილმა და სახელოვანმა მემკვიდრემ, სამშობლოს დიდებულმა შვილმა, მისთვის განაწამებმა და მისთვის ტანჯულმა, რომლის ციური შუბლი ეკლის გვირგვინით შეამკო უმადურმა ერმა და მით დაგვანახვა თავისი სულიერი ავადმყოფობა - ამ დიდებულმა მგოსანმა “განდეგილის” სასტიკის პესსიმიზმით დაავიკრივინა თავისი პოეზია. მან დაჰგმო ცხოვრება მისი ერისა ისეთის მძლავრის და ღონიერის სიტყვებით, რომ ქართულს პესსიმიზმს ამაზედ უფრო გაბედული და ღრმა არა შეუქმნია-რა; მაგრამ თვით ეს უკვდავი ქმნილება სიმბოლოა იმ ორგვარის ხასიათისა, რომელიც ჩვენს ლიტერატურასა ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნეში. ილიას “განდეგილი” ცხოვრების საოცარი მკაცრი და სასოების წარმკვეთი დაგმობით სავსეა, მაგრამ ავტორი დასჯის “განდეგილს” ამ ცხოვრების განდგომისა და მოშორებისათვის, რადგანაც, მისი აზრით, ცხოვრებიდან გაქცევა ყოვლად შეუძლებელია და მოუხერხებელი და ამიტომაც ცხოვრების მძიმე ტვირთის ზიდვა ავტორმა მიუცილებლად დაგვისახა; ცხოვრების ფატალურის ძალის წარმტაცი სიმშვენიერე მწყემსი-ქალის სახით დაგვანახვა და მწყემსი-ქალის ცხოვრების შეხარულებით აღსავსე ფილოსოფიას სასტიკად დაამარცხებინა “განდეგილის” ასკეტური მისწრაფებანი. და მანვე ჩაგვახა, ბავშობიდანვე დედის ძუძუსთან ერთად შეგვათვისებია:

“მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი,  
ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.”

განა მანვე არ ჩავგინერგა შეურყეველი ნუგეში და იმედი: “აწმყო თუ არა გვეწყალობს, მომავალი ჩვენიო.”

თ-დი აკაკი წერეთელი მშვიდას და ღმობიერს პესსიმიზმს თავისი პირველის ლექსებისას ურევდა ზიზლით გაჟღენთილს გმობას იდეალზედ გულაცრუებულის სამშობლოსას და ბოლოს “ფურთხის ღირსადაც” კი მიიჩნია დამაბუნებელი, დაბეჩავებული “საქართველო”; მაგრამ იმედი და სასოება ერთ წუთსაც არ განუშორებია გულიდან და ყოველ დროს გვარწმუნებდა, რომ

“არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს  
და ისევე გაიღვიძებსო.”

აღ. ყაზბეგმა თავისი მოთხრობებით და მასთან ერთად ძმათა რაზიკაშვილთა “მთას” მიმართეს და მთის გმირის ხალხის სურათები დაგვიხატეს. აღ. ყაზბეგმა შეუდარებელის ნიჭით დაგვანახვა მწარე სურათი ძველი ცხოვრების დარღვევისა და მოსპობისა ახალ გარემოებათა წყალობით, იმ გარემოებათა წყალობით, რომელიც თავზედ მეხივით დაატყდა ჩვენს ცხოვრებას და ძირიან-ფესვიანად შესცვალა მისი კანონიერი მიმდინარეობა; ხოლო ის მამაცობა და გმირული თავგანწირულება, რომელსაც იჩენდა მთიელი ამ ცხოვრების უკანასკნელ წუთებში, დიდის სასოწარკვეთილების აღმძვრელი კონტრასტი იყო ჩვენის ცხოვრებისა, თუმცა თანაც გამამხნეველი იყო, ვითა დიადი სურათი ჩვენის ხალხის მამაცობისა და თავგანწირულებისა. ვაჟა კი თავის პოეზიით არაერთხელ გვიგალობებს გმირულ სულის ამამაღლებელ ნაწინას.

“ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შევიბრალოთ რისადა?

სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადაო.”

ანა და, არაერთხელ დაგვიპირდაპირებს უმსგავსო სიცოცხლეს და სახელოვან სიკვდილსა:

“ათას ცოცხალსა ბევრჯელა

ათჯერ სჯობს ერთი მკვდარიო.”

შემდეგი თაობა მწერლებისა გვიხატავდა გულისმომწყველელ სურათს დევნილი და ტანჯული გლეხკაცობისას, მაგრამ ამ გლეხ-კაცობის სულიერისა და ზნეობრივის ძალის დიდი რწმენა მაინც შერჩენილი ჰქონდა (ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, ევ. გაბაშვილისა).

სამაგიეროდ, ახალგაზრდა ჩვენი მწერლები (ე. ნინოშვილი, შ. არაგვისპირელი, მელანია, ან. ერისთავისა, დ. კლდიაშვილი) ამ შემცდარ იდეალიზაციას გლეხობისას გვერდს უხვევენ და გვაჩვენებენ, რომ სხვადასხვა გარემოებათა წყალობით იქაც, ამ წრეში, თუ წოდებაში, როგორც გნებავთ, თავმოყრილია ყოველივე სიკვდილად და ბიწიერება, თუმცე ე. ნინოშვილი და მისი ჯგუფის მწერლები ელფეთერიძე და სხვანი ამის მიზეზად სოციალურ პირობებსა სახავენ და დ. კლდიაშვილი ნაზის ირონიითა და თანაც ქრისტიანობრივის სიბრაღულითა და მოთმინებით ეპყრობა საცოდაობითა და უმსგავსეობით აღსავსე ცხოვრებას ამა თუ იმ წრისას. ჩვენის ლიტერატურის ორმაგი განწყობილება (სევდიანი, მაგრამ ყოველთვის იმედითა და სასოებით აღსავსე) მიატოვა ახალმა ჯგუფმა ჩვენის მწერლობისამ - შ. არაგვისპირელის სკოლისამ (ია ეკალაძე, ან. დეკანოზიშვილი, ივ. ზურაბიშვილი), თითქოს მათ საუკუნის ჩვენის ცხოვრების უსასო მდგომარეობამ აზრი წაუწყმიდა და გრძნობა მოუწამლა, სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და მთელს ქვეყნიერებაზედ, ყოველსავე მოვლენაზედ სამუდამოდ გული გაუტეხა. ამათ პესიმიზმი მთელს ცხოვრებაზედ გადაიტანეს და რადიკალურის უარყოფით მოეკიდნენ არა მარტო კაცის ცხოვრებას, არამედ მთელს ბუნებას (ია ეკალაძე), ბუნებასა და კაცთა შორის დამოკიდებულებას (ან. დეკანოზიშვილი) და ბოლოს თვით აზრს კაცისას და ამ აზროვნების შექმნილს ლოდიკურ კატეგორიებს (ივ. ზურაბიშვილი). იგინი ვერსად ვერა ხედვენ ვერაფერს გამამხნეველსა და საიმედოს. მათთვის ყოველივე ბოროტების მომასწავებელია და ბოროტების თესლის მატარებელი: კაცის ცხოვრება, ბუნების მოვლენა, კაცთა შორის ურთიერთობა, კაცის აზრი, კაცის აზრით შექმნილი აბსოლუტური იდეალები. შ. არაგვისპირელმა თავისის საუცხოო ნიჭით დაჰგმო კაცის ცხოვრება და ყოველივე მოვლენა ცხოვრებისა, სიყვარული, მეგობრობა, კავშირი მშობლიური და ნათესაური, ყოველივე ეს ოცნებად აღიარა, ყოველივე ამ მოვლენის რეალური განხორციელება საზიზღარ სიბინძურედ გამოსახა, ყოველივე ამ მოვლენის თავზარდამცემი სურათი მოგვცა და თვით კაცის აზრიც კი “სისულელედ” მონათლა. XIX საუკუნის უკანასკნელის დროის პოეზიაც იმავე კვალს ადგია, იგივე უსასობა, იგივე ძირითადი და რადიკალური უიმედობა (ცახელი, ევდოშვილი, განდევილი), თუ ამათ ხანდისხან წამოსცდებათ რაიმე საწუგეშო, მეორე წუთს ერთიორად უფრო სასოწარკვეთილნი ჰგოდებენ.

მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი დროის ჩვენი ლიტერატურა თითქო შავ ღრუბელს წარმოადგენდა, რომელიც ჭექა-ქუხილისა და ელვა-სეტყვის მაუწყებლად იკრიბებოდა. ახალმა მეოცე საუკუნემ გრიგალი მოიტანა, რომელმაც ძირითადად შესცვალა რუსეთისა და მაზედ ძალაუნებურად საუკუნის განმავლობაში გადაბმული ჩვენი ცხოვრება. რევოლუციამ მედგრად შეანძრია მთელი ორგანიზმი სახელმწიფოსი და მრავალი ავადმყოფობა გამოაჩნდა დიდის ხნით უპატრონოდ დაგდებულ ვეებერთელა სხეულს. რევოლუციამ ერთის მხრით უსაზღვრო იმედებით აღგვაფრთოვანა, მეორეს მხრით კი სასოება წაგვიწყმიდა; მაგრამ ყოველს შემთხვევაში უსასობასა და უიმედობას საზღვარი დაუდვა. ეს ნათლად ემჩნევა ამ საუკუნის ჩვენს მწერლობასა. ჩვენს ახლანდელს სალირიკო პოეზიაში კიდევ სჭარბობს გარდამეტებული ოპტიმიზმი (ოპტიმიზმის კვალი აჩნევია შანშიაშვილის ლექსებს და უხვად არის გაბნეული გრიშაშვილის, მჭედლიშვილის და სხვ. ლექსებში). ჩვენს პროზაში ცხოვრების სიხარულით შეფერადებული სურათები ჩნდებიან, სიცოცხლის განმაცისკროვნებელის გრძნობებით თავდავიწყებული გატაცება ემჩნევა ზოგიერთს ნაწერს, რაცა სულ ახალი მოვლენაა ჩვენი პროზისათვის (ადამაშვილი, მალაქიაშვილი). თუ დაუკვირდებით ამ ახალს ლიტერატურას, ნახავთ, რომ ევროპის ლიტერატურაში უკანასკნელ დროს გამეფებული წარმართული სული, ესტეტიზმი და ეროტიზმი არ დარჩენილა შეუმჩნეველი ჩვენის მწერლობისათვის. ყველა ეს კი იმედს გვაძლევს, ჩვენი ლიტერატურა მომავალშიაც ევოლუციის კანონიერ გზას არ გადაუხვევს, მომავალშიაც ევროპულ ლიტერატურას უმცროს ძმობას გაუწევს და XIX საუკუნის ჩვენს ლიტერატურას მხარს დაუმშვენებს.

თუ ორგვარია, ასე ვსთქვათ, კილო, განწყობილება, ტენდენცია ჩვენის პოეზიისა - სევდიანი და ოხვრიანი და თანაც იმედისა და სასოების აღმძვრელი, სამაგიეროდ, მთავარი აზრი და გრძნობა მისი მასულდგმულბელი ერთია და ამ გრძნობის, ამ აზრის ამა თუ იმ გავლენის ქვეშ იბადება ჩვენის მწერლების ვაიცა და სიხარულიც: ეს არის სამშობლოს ბედ-იღბალი, მისი კეთილდღეობა, მისი უბედურება და სიხარული, მისი ვაება და ბედნიერება, მისი წარსული და მომავალი. თუ ჩვენ რომანტიკოსებს ისე მკაფიოდ არა ჰქონდათ გარკვეული საეროვნო იდეალი, და უკვდავ ბარათაშვილსაც კი ბუნდოვანად ჰქონდა იგი შეგნებული, ყოველ შემთხვევაში თვით ალ. ჭავჭავაძის დაუსრულებელი კვნესა და ოხვრაც კი უეჭველი ნაყოფი იყო სამშობლოს უბედურებისა, რომელსაც ის გრძნობდა მთელის თავისის ნაზის ბუნებით, თუმცა, ვიმეორებთ, დიდად საეჭვოა, ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი ეს უბედურება არა თუ მას, რომელსამე ჩვენს რომანტიკოს პოეტთაგანს.

სამაგიეროდ, ჩვენს რეალისტებს - ილიასა და აკაკის - სავსებით, მთელის თავისის არსებით, მთელის თავისის მდიდარის ნიჭით ჰქონდათ შეგნებული, რომ მათის ერის, მათის სამშობლოს ბედნიერება დამოკიდებულია სამარცხვინო მონობის უღელის დამტვრევაზე და უსამართლო ტყვეობის ჯაჭვების დამსხვრევაზე. ამის იმედი ასულდგმულბდა მათ და ერთ წუთსაც არ მოშორებია მათ აზრსა და გონებას ამის მოლოდინი. თუ იგინი ხანდისხან წარსულში იძიებდნენ გამამხნეველ მაგალითებს, მარტო და მხოლოდ იმიტომ, რომ იქ, წარსულში ეტრფიალებოდნენ თავისუფალს, დამოუკიდებელ სამშობლოს.

შემდეგში ყაზბეგმა და ვაჟა-ფშაველამ ეს გრძნობა უფრო ხმამაღლად გამოსთქვეს, უფრო ნათლად დაგვანახვეს, რომ მთელი უძღურება, გათახსირება და გადაგვარება ჩვენი ერისა იმისაგან წარმოსდგება, რომ ჩვენი თავი ჩვენვე არ გვეკუთნისო, რომ ჩვენის ცხოვრების გამგე და პატრონი სხვაა, რომელსაც არავითარი საერთო ჩვენთან არა აქვს, რომელსაც არა გაეგება რა ჩვენის სულისა და გულისა და რომელსაც აოხრებისა და უბედურების მეტი არა მოუტანია რა ჩვენთვის.

XIX საუკუნის ჩვენი ლიტერატურა ევოლუციის შემდეგ საფეხურებს გაივლის: იწყება იგი სალირიკო რომანტიზმით, რომლის მეთაური ალ. ჭავჭავაძეა, განმავითარებელი გრ. ორბელიანი, უმაღლეს წერტილამდის ამყვანი ნ. ბარათაშვილი, ხოლო მისი დაცემის, დეკადანსის გამომხატველი ვახტ. ორბელიანია.

რომანტიზმი გადადის, იცვლება - რეალურ პოეზიად (1850-იან წლებში). რეალიზმის დამწყები გიორგი ერისთავია, მისი უდიდებულესის წარმატების გამომსახველი ილია ჭავჭავაძეა (პოემები და პროზა) და აკაკი წერეთელი (სალირიკო ლექსები).

რეალიზმის დაცემის, უფერულის ნატურალიზმის მწერალი ბ-ნი გიორგი წერეთელია (1870-იან წლებში); რეალიზმის გადაგვარების შემდეგ ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას თხზულებები დაამკვიდრებენ ნეორომანტიზმს, რომელიც რეალიზმისა და რომანტიზმის საუკეთესო თვისებების შემრჩევია; ვაჟა გახდება ჩვენს ლიტერატურაში სიმბოლიზმის მეთაურად, რომლის ნასახი მოიპოვება უკვე ილიასა და აკაკის პოეზიაში.

თუ დაუკვირდებით ჩვენის ლიტერატურის მსვლელობას, ნახავთ, რომ იგი კვალდაკვალ მისდევდა ევროპის ლიტერატურას: იქაც საუკუნე რომანტიზმით დაიწყო, საუკუნის ნახევარში რეალიზმი გამეფდა, რომელიც 1870-იან წლებში ნატურალიზმად გადაგვარდა; ხოლო საუკუნის დამლევს გამეფდა ნეორომანტიზმი და სიმბოლიზმი. ეს ფაქტი გვიმტკიცებს მეორე ლიტერატურულ კანონს, რომელიც გვამცნო იმავე ბრიუნეტიერმა ერთ-ერთ თავის წერილში: არსებობს საერთო “ევროპის ლიტერატურა”, ამ ლიტერატურის ესა თუ ის საერთო მიმართულება, ხოლო სხვადასხვა ერის, ქვეყნის ლიტერატურა ამ საერთო ლიტერატურის და მისი საერთო მიმართულების კერძო, თავისებური გამომსახველიაო. ამა თუ იმ ხანაში ერთი და იგივე სტილი, ერთი და იგივე იდეალი ასულდგმულბებს მთლად მთელის ევროპის ლიტერატურას, და, კერძოდ, ამ ევროპის ლიტერატურის შემადგენელ წევრებსაო.

მაგ., რომანტიზმი არსებობდა ევროპაში XIX საუკუნის დამდეგში, იგი იყო ერთიანად “ევროპული ლიტერატურის” მიმართულების გამომსახველი. ხოლო ამავე მიმართულების თავისებურად გამომსახველი იყო ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული და თვით ჩვენი ქართული ლიტერატურაც. ამ კანონს ექვემდებარება მთლად ჩვენი ლიტერატურა XIX საუკუნისა.

# I

## თ-დი ალექსანდრე ჭავჭავაძე

(1786 - 1846)

ას წელიწადზედ მეტია მას აქეთ, რაც გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი მეფე ერეკლე II, პატარა კახად წოდებული. 1798 წლის 11 იანვარს თელავში განუტევა სული საქართველოს სამხედრო გენიოსმა. მასთან ერთად, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, საქართველოს პოლიტიკურმა თვითარსებობამაც დალია სული და იმ კაცს ჩაატანა საფლავში, რომელსაც “დიდი ხანია გარდაეწყვიტა ბედი ქართლისა”. მართალია, მის მერმე ბარე შვიდიოდე წელი იმეფა მისმა ძემ გიორგი XIII-მ, მაგრამ იგი უფრო აღვირწახსნილ კარისკაცთა ინტრიგებისა და ცბიერების საბურთაო და სათამაშო იყო და არა გაჭირვებული საქართველოს ბედ-იღბალის გამგე და პატრონი. დიდი ხანია ბედი ქართლისა გარდაეწყვიტა ერეკლეს და სწორედ ამ გარდაწყვეტილების შემდეგ მისი გამოზრუნება ძნელი იყო და თვით მეფისაგან ამ გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, მისი მემკვიდრისაგან თავისი სამეფო უფლებების ერთი-ორად კიდევ უფრო შეზღუდვა და მერმე მთელის ერის (უფრო ერის ერთის ნაწილის) გათახსირება, გადაგვარება და ყოველივე საზოგადოებრივის ინსტიტუტებისაგან გამძვინვარება გვიმტკიცებს, რომ მარტო მეფე არ იყო აქ დამნაშავე.

რამ მიიყვანა საქართველო ამ მდგომარეობამდის, თვითარსებობის დაკარგვამდის? რა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მიზეზმა გამოიწვია ესეთი კატასტროფა ჩვენის ერის ცხოვრებაში, თუ შეიძლება კატასტროფა დავარქვათ მას, რამაც, მართალია, ძირითადი ცვლილება მოახდინა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ მაინც ერთისა და ორის დღის, თუგინდ წლის შექმნილი როდი იყო, სრულიად კანონიერი შედეგი იყო ჩვენის ისტორიისა. ეს იყო ევოლუცია ჩვენის ისტორიისა, ეს პოლიტიკურად სულის დაღევა იყო, დაბოლოება, ჯერ ხანად მაინც, ამ ევოლუციისა.

მთელი ისტორია ჩვენის ხალხისა არის მარტიროლოგიაო, მიღებულია ასე თქმად, ესე იგი ჩვენის ერის ტანჯვა-წვალებისა, მოწამეობის ამბავიაო. მე მგონია, ამგვარი შეხედულება, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია. რა წარმოსადგენია, რომ ჩვენი ცხოვრება ისტორიის საზოგადო კანონს გაქცეოდეს, ანდა ისეთი თავისებურობა გამოეჩინოს საზოგადო კანონების გზაზე მსვლელობაში, რომ ძნელი გამოსარკვევი იყოს ისტორიის კანონების განვითარება ჩვენს ძველს ცხოვრებაში.

დიდებულმა მეცნიერმა ამ საუკუნისამ, ჩარლზ დარვინმა დაადგინა დიადი კანონი ცხოვრებისა “ბრძოლა, ჭიდილი და მეტოქეობა ცხოვრებისათვის”. დღევანდელ დღემდის იგი ბრძოლა ჰქმნის ერთა ისტორიას და საერთაშორისო ისტორიას. ამ ბრძოლაში გამარჯვებული რჩებოდნენ ის ერნი, რომელნიც დროისა და გარემოების შესაფერის იარაღით იყვნენ აღჭურვილნი და ყოველი ერის ისტორია წარმოადგენს ან ისტორიას გამარჯვებისას ანდა ისტორიას დამარცხებისას ცხოვრებისათვის გამართულს ომში. იყო დრო, როცა ომობდა ოჯახი ერთისა და იმავე გვარისა მეორე ოჯახთან, მერმე გვარი გვართან, მაზრა მაზრასთან და თემი თემთან და ბოლოს მთელი ერი მეორე ერთან. ამგვარად, თუმც ბრძოლა სუსტდებოდა ერთისა და იმავე ერის სხვადასხვა ნაწილთა (ოჯახი, გვარი, თემი) შორის, მაგრამ სხვადასხვა ერის შორის ატეხილი ბრძოლა სასტიკის ხასიათისა ხდებოდა. თვით ერში კი დარჩა ბრძოლა წოდებათა, კლასთა შორის, ამა თუ იმ აზრისა და მიმართულების დამცველ დასთა შორის. მაგრამ ნაციონალურის თვითარსებობისა და გაერთიანების შეგნება ამ შინაურს ბრძოლას შესწყვეტდა ხოლმე, როგორც კი ასტყდებოდა ომი მეორე ერთან. ამგვარად, ისტორია ჩასდგა მეორე ხანში, სადაც ერთი ნაწილი კაცობრიობისა, რომელსაც ერი ეწოდება, ებრძოდა მეორე ერსა. ამ ბრძოლაში მთელი ერი იღებდა მონაწილეობას, ხოლო დასვენების დროს ასტყდებოდა ბრძოლა ერის სხვადასხვა ნაწილთა შორის და ამგვარად, გარეშე ბრძოლა შეიცავდა საერთაშორისო ისტორიას, ხოლო შინაური - ერთა ისტორიას.

დღეს არსებული ევროპის სახელმწიფოები ევოლუციის ერთ გზას მისდევდნენ. იგინი ცდილობდნენ, რომ ცალ-ცალკე ჯგუფი ერთისა და იმავე ერისა გაერთიანებინათ, შეეწყვიტათ ბრძოლა მათ შორის. განვითარება პოლიტიკურის ფორმისა ამ გზას მისდევდა. თავისუფალის ბრბოსი და თემის ყრილობა შეიცვალა ჯერ ფეოდალურ სამეფოდ, მერე კი აბსოლუტურ მონარქიად, რომლის მთავარი აზრი იყო შინაგანი გაერთიანება. XVII და XVIII საუკუნეებში ევროპის სახელმწიფოებში ეს მიმდინარეობა დამთავრებული იყო. ცალკე ფეოდალნი, ეკლესიის წარმომადგენლნი და ქალაქის მცხოვრებნი შეზღუდულ იყვნენ თავიანთ უფლებებში-- ყველანი გათანასწორდნენ მეფის წინაშე და მეფე შეიქმნა მთელის ერის წარმომადგენელი; თუ რომელსამე კლასს ანუ წოდებას რაიმე პრივილეგია ეძლეოდა, მარტო მეფის სურვილითა და ნებით.

მეფე პოლიტიკურს ხერხსა ხმარობდა: ხან ქალაქის მცხოვრებთ აძლევდა ხელს, ხან მდაბიო ხალხს, რომ თავაშვებული ფეოდალები აელაგმა და თავისი ძალი და უფლებანი განემტკიცებინა და განეფართოებინა. რუსეთმაც XVIII საუკუნის დასაწყისში დაამთავრა ეს ევოლუცია და აბსოლუტური მონარქია, ფაქტიურად დიდი ხნით შემზადებული პეტრე პირველისაგან, საქვეყნოდ აღიარებულ იქმნა.

ისტორიის ამ მსვლელობას საქართველომ ვერ მისდია. ქართველი ერი ისტორიის პირველ ხანას შერჩა. მართალია, საქართველო გაერთიანებული იყო თამარისა და გიორგი ბრწყინვალის დროს, მაგრამ, ეჭვი არ არის, იგი გაერთიანება ისტორიის მსვლელობის შედეგი კი არ იყო, ამ მეფეთა გენიოსობის ნაყოფი იყო და ამიტომაც მათის სიკვდილისათანვე იგიც გაჰქრა. არათუ იმერ-ამერეთი არ იყო გაერთიანებული, ცალკე სამეფოები და სამთავროებიც კი ფეოდალთა სათარეშო ასპარეზად შეიქმნა. თვით მეფის საგვარეულო ოჯახის წევრნი ერთმანეთს ებრძოდნენ, დიდ-დიდი ფეოდალები მეფეს ებრძოდნენ და, ამგვარად, ყველგან არეულობა იყო. XVIII საუკ. ჩვენი მეფეების იდეალი უნდა ყოფილიყო თამარისა და გიორგი ბრწყინვალისაგან ნაანდერძევი საგანი - საქართველოში ფეოდალთა ალაგმვა, ცალ-ცალკე სამეფოების გაერთიანება და არა სამხედრო სახელის მოხვეჭა. ერეკლე II სამხედრო გენიოსი იყო, მაგრამ პოლიტიკაში კი გამჭრიახობას მოკლებული იყო. ის უფრო იმასა ცდილობდა, მეზობელ ხალხთა და ხანებისათვის შიშის ზარი დაეცა, ვინემ შინაგანი გაერთიანება შეექმნა. ამ შემთხვევაში ხალხმა მმართველებს წინ წაუსწრო და ხალხში უფრო შეგნებული პირები გამოჩნდნენ ჩვენის ბედისა. განსაკუთრებით იმერეთმა, ისტორიულად უკან ჩამორჩენილმა, ამ დროში მეტად დიდი შეგნებულობა გამოიჩინა საეროვნო ინტერესებისა. იმერეთი, მართალი ვსთქვათ, ყოველთვის იჩენდა ტენდენციას გაერთიანებისას: სიხარულით მიეგება თამარის მეფობასაც, გიორგი ბრწყინვალესაც აღტაცებით დაუხვდა ქუთაისში და აღტაცებით მიეგება მეფის სურვილს იმერ-ამერეთის გაერთიანებისას. ამ უბედურს დროშიაც იმერეთის ხალხმა წარმოუგზავნა ერეკლეს წარმომადგენლები - შეგვიერთე თქვენს სამეფოსაო, მაგრამ ერეკლემ თავის შვილიშვილს ვერ აწყენია, მთელის ქვეყნის ინტერესი შესწირა უბრალო წყენინებას თავისი ოჯახის წევრისას. თუგინდ მეფეს ისიც ეფიქრა, რომ ესენი არ იყვნენ მთელის ხალხის წარმომადგენელნი, მაინც უნდა ჩაეჭიდა ამ საბაზისთვის ხელი და საქართველოს გაერთიანების განმტკიცებას უნდა ცდილიყო და ამგვარად, შინ გაძლიერებული, უნდა ჩაბმოდა გარშემორტყმულ ერებთან ბრძოლას. მეფის პოლიტიკური შეუგნებლობა კიდევ იმაში გამოიხატა, რომ ვერ იგრძნო, რა საშიში იყვნენ აყვავებული და ძლიერი მეზობელი სახელმწიფონი მისი ერისათვის; ვერ შეამჩნია კარგად მეზობელ სახელმწიფოთა დაუმრეტელი სურვილი თავისი კიდევების გაფართოებისა და ვერ ისარგებლა მათის ერთმანეთ შორის მეტოქეობით. წინააღმდეგ ამგვარ სურვილისა, მეზობელ სახელმწიფოთა თვით ხელი გაუმართა, იარაღი დაჰყარა და ეხლა მხოლოდდა იმასა ჰფიქრობდა, რამენაირად რუსეთის მფარველობა მოეპოებინა. ზემოთაც მოვიხსენიეთ, რომ საქართველოს პოლიტიკურს სიკვდილს უფრო სხვა მიზეზები აქვს - ზნეობრივისა, პოლიტიკურისა და ეკონომიკურის თვისებისა. რასაკვირველია, ჩვენ მეზობელ სახელმწიფოთ სურვილი ჰქონდათ, მთელი ქვეყანა დაეპყროთ, და განა თვით ერეკლეს არა ჰქონდა ეს სურვილი? მაგრამ ამ წადილს წინ შეიარაღებული უნდა დავხვედროდით. რასაკვირველია, საქართველოს პოლიტიკურად მოსპობა მიტომ შეიქმნა შესაძლებელი, რომ ქართველის ერის სიცოცხლის მაჯისცემა შესუსტდა. და ამაში ყველაზე მეტი დამნაშავე არიან მეთაურნი ჩვენის ხალხისა, რომელნიც ვაშა-ვაშათი ეგებებოდნენ საერო უფლებათა ყოველგვარს შელახვას; ბრალი აქვს ჩვენს მეთაურს საზოგადოებას, რომელიც მარტო იმასა ჰფიქრობდა, რას გამორჩენოდა ერის უბედურობას და დაღუპვას.

შესაძლებელი არ იყო, რომ ქვეყნის ამგვარ საფრთხეში ყოფნის დროს სხვადასხვა მიმართულება არ აღძრულიყო, სხვადასხვა ადამიანი არ გაჩენილიყო, რომელიც საქართველოს ბედ-იღბალს სხვა თვალთ შეხედავდა. ერეკლე მეფე ქართლში, სოლომონ II და სოლომონ მსაჯული იმერეთში სხვადასხვაგვარად სჯიდნენ ბედსა ქართლისას. ეს ორი დასი ერთისა და იმავე აზრით იყვნენ გამსჭვალულნი, თავისი ქვეყნის კეთილდღეობით - თუმცა სხვადასხვა გზას ირჩევდნენ თავისი მიზნის მისაღწევად. ხოლო ამგვარს დრამატიულს ეპოქაში გამოჩნდებიან ხოლმე “გონიერნი”, “მამაცნი”, რომელნიც ერის კეთილდღეობაზე დანთებულს ცეცხლზე ხელის მოთბობას ცდილობენ, რომელნიც მარტო პირადს ინტერესსა მისდევენ, ყველგან პირადს სარგებლობას ეძიებენ და კიდევაც იციან, სად იპოვონ ეს სარგებლობა, მეძებრების არ იყოს, რომელთაც იციან, სად არის ხოლმე ნადირი. ამათ აქვთ საკმაო “გონიერება” (ესეც თუ გონიერებად იწოდება), სარგებლობენ საზოგადოებაში თავისი მდგომარეობითა და გავლენით კიდევ და კიდევ იმიტომ, რომ პირადი ბედნიერება ადაგონ საერთო უბედურებაზე. ამგვარ “გონიერ” და “მამაცთა” რიცხვს უმეტესად



უმადლესი არისტოკრატია ეკუთვნოდა. თუმც აქაც ერთი ერთი ნაწილი, რომელსაც სამშობლოს ბედით გული მოწყლული ჰქონდა და სხვადასხვა გვარად გამოჰქონდა გარეთ თავისი ჭირ-ვარამი. არისტოკრატის ამ ნაწილის ნერგი იყო ნიჭიერებით უხვად დაჯილდოვებული პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

## II

60 წელიწადზე მეტია, რაც გარდაიცვალა პოეტი მაღალგრძნობიერი, დიდის ნიჭით და ტალანტით აღჭურვილი. საშინელი ტრაგიზმით აღსავსე იყო მისი სიკვდილი: 3-ს ნოემბერს 1846 წ. იგი თ-დ ვარანცოვთან სადარბაზოდ მიდიოდა, გაქანებულის ეტლიდან გადმოვარდა, სასიკვდილოდ დაიჩეხა და ამავე დღეს გარდაიცვალა.

ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა, რომელიც მთელს პანეგირიკს უძღვნის ხოლმე სრულიად უმნიშვნელო ლიტერატორებს და საზოგადოებისათვის სრულიად უცნობ პირებს, ივიწყებს და ყურადღებას არ აქცევს ისეთს დიდმნიშვნელოვან პიროვნებას ჩვენის ლიტერატურისას, როგორც იყო თ-დი ალ. ჭავჭავაძე. ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ თუ ერთი ნაწილი ჩვენის მოაზრე საზოგადოებისა მეტად სასტიკად ეპყრობოდა თ-დ ალ. ჭავჭავაძეს, ვარდ-ბულბულის პოეტს ეძახოდა, უაზროსა და უშინაარსო ლექსების მომდღერლად მიაჩნდა, სამაგიეროდ, ისეთი ბრწყინვალე ვარსკვლავნი ჩვენის ლიტერატურისა, როგორც თ-დი ილ. ჭავჭავაძე და როგორც ბრწყინვალე თ-დი აკაკი წერეთელი, ამ პოეტსა სთვლიან “ტ კ ბ ი ლ პ ო ე ტ ა დ, ნ ა თ ლ ი ს ს ვ ე ტ ა დ, ტ კ ბ ი ლ მ დ ე რ ა ლ ა დ, ა მ ა დ ლ ე ბ უ ლ ა დ ს უ ლ ი თ ზ ე ც ა მ დ ე”, რომლის ლექსი “შ ე ჰ ე ფ ს ს ა ტ რ ფ ო ს გ უ ლ -ს ა კ ლ ა ვ ა დ, ტ რ ფ ო ბ ი ს ი ს რ ი თ გ ა ნ ა წ ო ნ ი, ხ ა ნ დ ა ჰ ე უ რ ე ბ ს ღ რ უ ბ ლ ი ა ნ ი დ ა ფ ი ქ რ ე ბ ი თ გ ო გ ჩ ი ს ტ ბ ა ს ა დ ა ე მ დ უ რ ი ს მ წ ვ ა ვ ი ს მ ო თ ქ მ ი თ დ ა უ დ გ რ ო მ ე ლ დ რ ო თ ბ რ უ ნ ვ ა ს ა”.

თ-დი ალ. ჭავჭავაძე არ იყო საეროვნო მწერალი, საერო დარდისა და ვარამის გამოხატველი. პოეტის ამ ნაკლულევანების მიზეზი იმალება იმ ატმოსფერაში, რომელშიაც იზრდებოდა, იმ აზრთა ზედ-გავლენაში, რომელშიაც თავისი სიყრმე-სიყმაწვილე გაატარა და რომელსაც არ შეიძლებოდა თავისებური დაღი არ დაესვა ამ მწერალზე.

თვით თ-დის ალ. ჭავჭავაძის ნაწერები გვაჩვენებენ, რომ მაღალნიჭიერი პოეტი ისეთს წრეში უნდა აღზრდილიყო, საცა ან დილეტანტობას მისდევდნენ და არისტოკრატული ინდიფერენტიზმი მეფობდა, ანდა, ახალის წესწყობილებისაგან თავის გამოსარჩენი ემოვათ რამე, მარტო იმაზედ ფიქრობდნენ.

ჩვენ ვერა ვნახავთ მის ლექსთა კრებაში იმ გარკვეულს ვაებასა და მწუხარებასა, იმ ტანჯვასა და ოხვრას საზოგადო ინტერესების გამო, რომელიც ამშვენებს შემდეგის მწერლების ნაწარმოებთ. ჩვენ არ შეგვიძლიან დანამდვილებითა ვსთქვათ, რა მიმართულებისა და აზრისა იყო ჩვენის ერის ბედის შესახებ, რა გვარს სევდასა და დარდებს ჰგრძნობდა საერო ბედის გამო. იმას ვერ ვიტყვი, რომ ავტორს “გოგჩის ტბისას” არ ეგრძნოს თავის სამშობლოს უბედურება, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ შეგნებული ჰქონოდა ეს უბედურება, რადგან მაშინ ხომ სხვადასხვა დარბაზებისა და სასახლეების ქება ისე ვერ გაიტაცებდა, რომ დაევიწყებინებინა თავისი ღრმა სევდები, რომელნიც, უეჭველია, ხშირად უღრღნიდნენ მას ნაზსა და გრძნობიერ გულსა.

ხოლო ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ალ. ჭავჭავაძე დიდათ ნიჭიერი მწერალია და ნიჭიერის, არაჩვეულებრივის ბუნების მექონია. არაჩვეულებრივობა ბუნებისა კი იმაში იხატება კაცთა ცხოვრებაში, რომ ერთი და იგივე მოვლენა, რომელიც ჩვეულებრივს უბრალო კაცზე თითქმის არავითარს გავლენას არ იქონიებს ხოლმე, ღრმაგრძნობიერსა და ნაზბუნებიანს ადამიანს ძლიერს ნიშანს დაასვამს. ალ. ჭავჭავაძე რომ უბრალო მომაკვდავი ყოფილიყო, მისი სიცოცხლე ცარიელ ჩინების ძებნაში გაივლიდა და იმ მშვენიერს ლექსებს ვეღარ დაგვიტოვებდა. ალ. ჭავჭავაძე რომ უფერულობასა და უნიჭობას ვერ ასცილებოდა, მისი ლექსები ისეთს ღრმა შთაბეჭდილებას ვერ დასტოვებდნენ ჩვენში.

იმ დიდს ცვლილებას, რომელიც საქართველოს ისტორიაში მოხდა, არ შეეძლო თავისებური დაღი არ დაემჩნია ამ გრძნობიერ არსებისათვის. შეუძლებელი იყო, რომ ან ფანჯრიდან, ან ოთახის ჭუჭრუტანიდან, ან საიდანმე არ შემოსულიყო საზოგადო უკმაყოფილების ხმა, რომლითაც მოცული იყო მთელი ქართველი ერი. არ შეიძლებოდა, რომ სამგლოვიარო მოთქმა და გლოვა მის მახვილს სმენას ასცდნოდა. შესაძლებელი არ იყო, ადამიანთა ცრემლისა და დაღვრემილობისთვის თვალი არ მოეკრა. ყოველივე ამას ღრმა გავლენა უნდა ჰქონოდა მგოსნის შემოქმედებაზე და კიდევაცა ჰქონდა ეს გავლენა. მთელს მის ნაწარმოებს დაღვრემილობისა და სევდის კვალი აჩნევია, მჭმუნვარების კოლორიტით შემოსილია. მხოლოდ ერთგვარის ატმოსფერისა და გარემოების

ბრალი უნდა იყოს, რომ ვერ გაიგო, რის შედეგი იყო ეს გმინვა ხალხისა, რის მომასწავებელი იყო მისი გლოვა და ტირილი, მისი ტანჯვა და სევდიანი ოხვრა. პოეტი ღრმად ვერ ჩასწვდა ხალხს გულში და ამ გულისა და სულის ნადები ვერც გვაძნო ისე, როგორც ესა ჰქნეს მის შემდეგმა პოეტებმა.

ჩვენში გავრცელებულია უცნაური აზრი, ვითომ თ-დი ალექსანდრე ჭავჭავაძე “ვარდ-ბულბულის” მომდერალი პოეტი იყოს, ეპიკურის მიმდევარი და ვითომ პირადის არა უმაღლესის გრძნობების დაკმაყოფილების მეტი არა ახსოვდა-რა. მეტად უსამართლო არის ეგრეთი აზრი ნიჭიერისა და გრძნობიერის პოეტის შესახებ. ჯერ ერთი, ეგრეც რომ იყოს და ქეიფისა, “აშკობისა და ლაღობისა” გადაჭარბებული მიმდევარი ყოფილიყო, მაინცა-და-მაინც სარჩული უნდა მოვუძებნოთ და ძირითადი მიზეზი ეგრეთს ცალმხრივობას გრძნობათა გამოთქმაში, ეგრეთს გატაცებას ერთისა და იმავე გრძნობით, უნდა გავითვალისწინოთ და გამოვარკვიოთ, რატომ მოხდა, რომ ეგრეთი ნიჭიერი კაცი, ნაზგრძნობიერი პოეტი საზოგადო უბედურების დღეს ქეიფისა და თამაშის მეტს არას დაემებდა.

ესთქვათ, კაცმა თავის გასართობლად და დარდების დასავიწყებლად ქეიფსა და ლხინს, არშიყობასა და დარდიმანდობას მიჰყო ხელი; ესთქვათ, კაცმა სიცოცხლე მოშხამულ-გამწარებულმა და გულმოწყლულმა “ღვინის ჩაღლევიტ” მოისურვა თავის გართობა. თუ მართლაც ამ ვაჟბატონის ოხვრა, კაემანი ადვილად განქარდება პირველისავე ლამაზი თვალების დანახვით და გინდ პირველისავე ყანწის გადაკვრით, მას უკვე მოუპოვებია ნავთსაყუდარი თავისი ბუნებისათვის, მისი ტანჯვა-ვაება, ოხვრა და კვნესა ქარის მოტანილი ყოფილა და ქარივე წაიღებს. მისი კვნესა გამოწვეული იყო უთუოდ არა პატივსადების მიზეზისაგან, რომელიც ადვილი მოსასპობი იყო. მისი ნადველი, სჩანს, არა ყოფილა სულის სიღრმიდან ამონაკვნესი, ძირითადი, მთელი მისი ტანჯულის ცხოვრების შედეგი ფილოსოფია.

ხოლო როცა ადამიანის ოხვრა, ვაება და გლოვა წუთიერი კი არ არის და უმნიშვნელო მიზეზისაგან გამოწვეული, არამედ არსებითია, როცა ამ ოხვრას სარჩულად უდევს, არა მარტო პირადი ბედნიერება და უბედურება, არამედ როცა ეგრეთის პესნიმისტურის განწყობილების მიზეზი და გამომწვეველი არის მსოფლიო, კაცობრიობისა და გინდ თავისი ერის მდგომარეობით და როცა ეგრეთს კაცს ამა თუ იმ მიზეზით სხვა შვება ვერ მოუპოვებია, თუ არ წუთიერი თავის დავიწყება, სხვადასხვა ვნებათა ღელვის დაკმაყოფილება, - მაშინ ეგრეთი კაცი, მერწმუნეთ, ვერც აქ იპოვის ვერავითარ ნავთსაყუდელს თავისი აღშფოთებულისა და უიმედობით აღსავსე სულისათვის. მასა ჰგონია, ამითი თავდავიწყებას მიეცემა და თავდავიწყების მაგიერ ერთი-ორად იმწვავებს თავისს ტანჯვებსა. თუ ალ. ჭავჭავაძე მოქეიფეთა გუნდს ეკუთვნის, მაშინ მხოლოდ იმ მოქეიფეთა გუნდს, რომელსაც ქეიფისათვის მიუმართავს, როგორც უკანასკნელის საშუალებისათვის ტანჯულის გულის ოხვრის განსაქარვებლად. სასოწარკვეთილ პოეტთა შორისაც ორ-გვარი შეგხვდებათ. ერთს შეგნებული და გარკვეული აქვს საგანი ვაებისა, ავტორს “ქართლის ბედისას”, “მერანისას” და “სულთ ბოროტოსას” კარგადა აქვს შეგნებული “გონებისა და სიცოცხლის აღმშფოთვარი” საგანი; კარგადა სცნო ავტორმა “აჩრდილისამაც” “ქვეყნის დრტვინვა და დუმილი და ამ დუმილში რა წყევლა არის”; კარგადა აქვს შეგნებული წამლით უკურნებელის თავის გულის ოხვრის მიზეზი იმ პოეტსაც, “რომლის ჩანგს ეშხით ვეღარ უჟღერია და გულს ტკბილად არ უძგერია, რადგანც ხედავს, სატრფო მისი მტერია”. ბარათაშვილს, შეიძლება, უფრო საზოგადოებრივი ტანჯვა-ვაება აწუხებდეს და ილ. ჭავჭავაძესა და აკ. წერეთელს უფრო სპეციალური საეროვნო, მაგრამ მაინც გარკვეული აქვთ “ოხვრის მიზეზი”, მწუხარების საგანი.

ზოგიერთს მწერალს კი ვერა აქვს გამორკვეული უმთავრესი მიზეზი “სულის ოხვრისა”, მაგრამ დრო, გარემოება და ისტორიული მომენტი თავისებურს დაღს ასვამს ნიჭიერსა და გრძნობიერს არსებას. ჰგრძნობს, რომ ჰაერში მეხისა და ჭექა-ქუხილის სუნია, ჰგრძნობს, რომ რაღაც ტანჯვას დაუბუდებია მის გარემო, მის “ნ ა ზ კ ა რ ს მ ე ნ ის ა ს ე ს მ ი ს” კვნესა ერისა და ვერ გაუგია, რა არის ამ საზოგადო კვნესისა და ოხვრის მიზეზი. სიყვარული მისთვის მოწამლულია ამ საერო გოდების გამო და ქეიფი და ლხინი მოშხამულია სამგლოვიარო ზარის სმენით. ასეთის ნაზგრძნობიერის ადამიანისათვის არ არსებობს არც მხიარულება, არც თავის შექცევა, ყველგანა და ყოველთვის მას ესმის სევდიანი ხმა, ოხვრა და ამის მიზეზით საალერსოდა და სამიჯნუროდ მომართული მისი ენა საწამლავით აღსავსე სიტყვებს ისვრის. “სავსე ჭიქებისაკენ” გაწეული ხელი ჩამოუვარდება და, თუ აიღებს ამ “სავსე ჭიქას”, მხოლოდ მიტომ, რომ ჩალიოს და ამ ჩაღევას ჩაატანოს “კვნესა გულისა”. მაგრამ, ვიმეორებ, ტყვილად ცდილობს ამას. ნაზი გრძნობა-გონება და სული, ზეგარდმო მადლით ცხებული, პოეტისა ვერ ურიგდება ვერავითარს თავის გასართობსა და გასამხიარულებელს რასმე.

ასეთს პიროვნებას ჩვენს ლიტერატურაში ეკუთვნის თ-დი ალ. ჭავჭავაძე. წარმოდგინეთ, რომ ეს კაცი, ეპიკურულად მიჩნეული, სწორედ ისეთს პოეტს ეკუთვნის, რომელსაც ერთხელაც არ მოუმართავს თავისი ქნარი ისე, რომ კვენსით აღსავსე ჰანგები არ დაემღერებინოს ზედა, ერთხელაც არ ჩამოუკრავს სიმები თავისის ჩონგურისა, რომ ცრემლის მომგვრელი სამგლოვიარო ხმები არ გამოეცეს მის ჩონგურსა.

არ ვიცი, გარკვევით ესმოდა თუ არა, და შეიგნო თუ არა პოეტმა, რა აკვნესებდა და რა აგოდებდა ერსა, და ეს კი ნამდვილია, რომ ამ საგნებს გვერდს უვლიდა, არა სურდა, შეხებოდა მას, იქნება არ მიაჩნდა “გონიერად” ამის შესახებ ლაპარაკი. ესეც ნამდვილია, რომ მის პრაქტიკულს მსჯელობას არ შეეძლო შეეცვალა მისი ნაზ-გრძნობიერება და ამიტომაც არის, რომ, შეიძლება, ძალაუნებურადაც, მთელი მისი ლექსები “კვენსაა სულისა” და არა მარტო ტრფობისა ნაშთი, არამედ სხვა უფრო მაღალი განწყობილების “მონაბერი”, ერის სულის მიმართულებისაგან დაბადებული. ამიტომაც, თუ ალ. ჭავჭავაძე “ვარდ-ბულბულს” უგალობდა, ეს გალობა მისი გულის სიხარულით აღმავსები როდი ყოფილა, ოხვრისა და ვაების ერთი-ორად გამამწვავებელი იყო. ეს სამგლოვიარო კილო მისი ლექსებისა შექმნილი იყო საზოგადოდ მთელი ერის გლოვისა და ოხვრის ზედ-გავლენითა, ამ სევდიანის კილოს მიზეზი საქართველოს ბედში იმალებოდა. პოეტმა თვით დაჰგმო ხელოვნური მღერა, თავის გასართობი მღერა უდარდელი აშვიკისა:

“როს ბულბული საამოვნოდ აღიმალლებს ხმას და მღერობს,  
გწამდეს იგი, ესრედ ტკბილად, სიყვარულით არა მჭევრობს.  
ეს არს მისი ხელოვნება, გრძნობისაგან უმაღ ყბედობს,  
თვარა ჩემის გულის გრძნობა მის ყბედვასაც გარდამეტობს”.

ისიც უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, თ. ალ. ჭავჭავაძეს იმის დამამტკიცებელი საბუთიც არ მოეცეს, რომ საერთო უბედურება გაიგო და ამ უბედურებამ მასაც ტანჯვა მიაყენა. მხოლოდ არ მიმაჩნია მე იგი გრძნობა გარკვეულად და მტკიცედ დაცულად. ამ გრძნობათა გამოხატვას უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა პოეტი, ეს მისი სევდა არის, სევდა გამოურკვეველი, მას აწუხებს წარსულის დიდების დაკარგვა. ჩვენ არა გვგონია, თ-დ ალ. ჭავჭავაძეს სავსებით შეეგნოს, ღრმად ჩაჰკვირვებოდეს იმ უცნაურს ცვლილებას, რომელმაც მთელი ერის ისტორია შესცვალა, ერის ბედ-იღბლის ჩარხი თვის შესაფერად გადაატრიალა. როცა ბარათაშვილი ამბობს: “რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული”-ო, რომ “სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს”, მთელს ფილოსოფიურს შეხედულებას გამოსთქვამს აქ პოეტი ერის თავისუფლების შესახებ. როცა თ-დი ილ. ჭავჭავაძე “აჩრდილში” აღგვიწერს საქართველოს დღევანდელს მდგომარეობას, ამით გვიჩვენებს, რა ღრმა სოციალური და ისტორიული კატასტროფა მოხდა ჩვენის ერის ცხოვრებაში. თ-დი ილ. ჭავჭავაძე წარსულზედ დარდის მოკვლასაც კი გვიჩვენებს, იმიტომ რომ “ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს”. როცა აკაკი წერეთელი გვეუბნება: “ჩემი სატრფო მოხიბლულა, ის არი, ეშხით დამთვრალს ვერ უცვნია ისარი”-ო, გვესმის, რასაც მოსთქვამს. ხოლო ალ. ჭავჭავაძის წარსულზედ ტირილი არც კი ვიცი, რა ხასიათისაა, გოდება საყვარელის საგნის საუკუნოდ დაკარგვის გამო, თუ ჩვეულებრივი სავალდებულო ტირილი და მოთქმა ჭირისუფლისა.

### III

ერთი ლექსი აქვს თ-დ ალ. ჭავჭავაძეს საზოგადოებრივის ხასიათისა - “გოგჩის ტბა”. მეტად მშვენიერი, მაღალის ღირსებებითა და გრძნობებით აღსავსეა ეს ლექსი, მაგრამ მანც შეუძლებელია ამით გამოარკვიოთ, რა აზრს ადგა ალ. ჭავჭავაძე თავის ქვეყნის ბედის შესახებ. პოეტს დაღვრემილებითა და კაემნით აღავსებს “ნაქცენი ამ ტბის კიდეთ ძაძით მმოსველნი, სად ყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი და სად დღეს ვხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა, უდაბურება, მწუმარება, არარაობა თვალთა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ”. ამის მნახველს პოეტს თავში ასეთი სამწუხარო აზრები მოუვა:

“აჰა პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,  
აჰა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,  
აჰა ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი,  
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედავ ბრძობილო!”

უწინ კი აქაც თურმე სდულდა და გადმოსდულდა ცხოვრება, ვრცელსა ვაკეზე დღეს ბნელად ქვა-ყრილზე ჰქონიათ “ტაიჭთა სრბოლა, ჩოგნით ტაცება, შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცა და ისართ

სროლა”. ერთხელ “ესეცა ქვანი შავნი, დღეს დახავსილნი, ურთიერთთანა კავშირობით აღმადლებულან, მკუთენელნი მათნი, ზედნიერნი და კმაყოფილნი, ოდესმე მათში განშეგებულან და განცხრომილან”. პოეტს მარტო სიკეთე და სიამე როდი ეჩვენება წარსულის ცხოვრებისა; კარგად იცის, რომ “შურსა, მტრობას აქაც უღრღნიათ გულები ხარბად, ტრფიალნი აქაც შემსჭვალვიან კვლავ ერთმანერთთა, აქაცა მჯდარა ძალი მადალს ტახტსა ამაყად, წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა”.

აქ იხატება პოეტის მწარე შეხედულება ცხოვრებაზე და ეს ნაღვლიანის ფიქრებით აღსავსე ლექსშია გამოთქმული. ხოლო ეს საზოგადო აზრია პოეტისა საზოგადოდ ცხოვრების შესახებ. პოეტს, ბუნებისა და სიცოცხლის მოყვარულს, დარდებსა ჰგვრის დღეს უდაბნოდ ქცეული ადგილი ისე, როგორც გაკაფული ტყე, ფოთლებ ჩამოცვივნილი ხე, შემოდგომის სუსხით გაყვითლებული მწვანე მინდორი და დამშრალი რუ, გინდ ტბა - სხვა არაფერი. პოეტი, წარსულის სანახაობით გულმოწყლული, აწმყოხედაც გადაიტანს ამ დაღვრემილებას და “აწმყოზე დაბმულობას” სიბრძნევს ეძახის და სიცოცხლის მოსპობას ცხოვრების განქრობის მომავლის ნამდვილ ხატს უწოდებს. ეს სურათი პოეტს ისეთისავე თვისების დარდსა ჰგვრის, ისეთის, თუ შეიძლება ვსთქვათ, ობიექტურის ხასიათისას, როგორისასაც აღტაცებულს გრძნობებს იწვევს მასში, მაგალითად, პავლე პირველის პეტერბურგის სასახლე, რომელიც “მონარხმან, დიდებისა მოყვარემან”, განსაკვირვებელის საქმის შესრულების მომწადინემ “ქვეყნით გამო აღმოზარდა, ველათ მდელო, ვითა მზემან”, რომელიც იმპერატორმა, “განაბრწინვა მორჭმულებით (დიდებით), აღამალა ცადმდებარე, განიზრახა ქვეყნის საყდრად, და ის მას გლახ ესამარა”.

ერთი ლექსი აქვს კვლავ საზოგადო ხასიათისა, უკეთა ვსთქვათ, საზოგადო ხასიათის შემთხვევით გამოწვეული. ეს ლექსი შეეხება ჩვენის ახალის ისტორიის ცნობილს ხანას - ოცდამეათე წლების შეთქმულობას, რომელშიაც იმ დროის ყველა ჩვენმა საუკეთესო კაცმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო. კარგად ვიცით, რომ თ-დი ალექსანდრე ჭავჭავაძე სხვებზედ უფრო გულგრილად ეკიდებოდა ამ საქმეს. აქტივიდან ვიცით, რომ ალ. ჭავჭავაძე ურჩევდა ყმაწვილ-კაცებს, ნუ შვრებით მაგ სისულელესაო. ისიც ვიცით, რომ ამ საქმის გამო ისიც კი გაგზავნეს სამშობლოდან, მაგრამ ეს ხომ იმიტომ, რომ, როგორც აქტივშია მოხსენებული, ამ საქმის მოსამართლეთა შეხედულებით, “მისი დაუსჯელად დატოვება ხალხს აფიქრებინებდა, რომ ტყვილ-უბრალოდ ჰყავდათ დაპატიმრებულო”. და რათა ამგვარის სამდურავის საფუძველი არ მიეცათ საზოგადოებისათვის, საჭიროდა სცნეს მისი ასტრახანში გადასახლება. ყოველს შემთხვევაში, უეჭველ ფაქტად ის უნდა იქმნეს აღიარებული, რომ ალ. ჭავჭავაძე ისე მხურვალედ არ მოჰკიდებია ამ საქმეს, როგორც საუკეთესო ნაწილი მაშინდელის ახალგაზდობისა: თ-დი ორბელიანები, ყიფიანი, ერისთავები და სხვ.

ჰოდა ალ. ჭავჭავაძე შეპყრობილი იყო და ამ დროს დაწერილი ლექსიც განსხვავდება მისი სხვა ლექსებისაგან. მაგრამ, “მაცთურთ მახით დატყვევებულს” პოეტს თავის დღეში არ უგრძნია და, თუ უგრძნია, არ გამოუხატავს ლექსით ის, რამაც გრ. ორბელიანს ათქმევინა: “გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყვდიადსა, სადღა იხილოს ცა მშობლიური? რომლის გული ეწუხების, რა აგონდების დღენი წარსულნი ნეტარებისა, მაგრამ მოთქმითა ნუგემ-ეცემის და ჭმუნვა მითცა შემცირდებისა”. ალ. ჭავჭავაძეს არც ვახ. ორბელიანის დარდისა და სევდისებური რამ წარმოსცდენია: “თუ ნერგს მოაკლდა ნამი ცისა, ცვარი არ ერგო, ვინ ჰკითხავს: რისთვის აღარ ხარობ და ხმები, ნერგო? სამშობლო ქვეყნით გარდახვეწილს, გულსა დამშვრალსა სწყურხარ, როგორც სწყურს ცის ნათელი, სხივი ბნელს თვალსა”; თუ, ვიმეორებ, თ. ორბელიანები ამ კილოზე ლაპარაკობენ ერთისა და იმავე საგნის გამო, ალ. ჭავჭავაძეს აწუხებს მხოლოდ ის, რომ “დრომან დაუდგრომელმან აშორა მოყვასთ, თვარა არც გზობით, არცა პყრობით არც ჰსლბების გული” და ამას ემუდარება მოყვასთ: “გვედრით პყრობილი, გულ-პობილი ჭმუნვისა ლახვრით, გახსოვდესთ მწირი მომჩივარი საწუთროს რებით!”

#### IV

ეხლა გამოვარკვიოთ ის, თუ რა სკოლას ეკუთვნოდა თ-დი ალ. ჭავჭავაძე და მასთან ერთად თ. გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი და თ. ვ. ორბელიანი, რადგან კლასიფიკაცია, როგორც ბუნების მეცნიერებაში, ისე ლიტერატურაში, მიუცილებელია, რათა უფრო კარგად გაითვალისწინო თვისებები ერთისა და მეორის ჯგუფისა, უფრო კარგად შეიგნო მისი ღირსებანი და ნაკლულევანებანი. მერე კიდევ ლიტერატურაში, როგორც ბუნების მეცნიერებაში, არსებობს კანონები და შეუძლებელია კაცმა წარმოიდგინოს, რომელიმე პოეტი ციდან ჩამოვარდეს ისე, რომ მისი მოქმედება რაიმე კანონს არ ექვემდებარებოდეს. როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაში არსებობს გვარი, ჟანრი ლიტერატურის ნაწარმოებისა და მწერლობის რომელსამე გვარში თავს

იჩენს ხოლმე ესა თუ ის მწერალი. იმან არ უნდა გაგვაკვიროს, რომ ზოგიერთი მწერალი ხელს მოჰკიდებს ხოლმე თითქმის ყველა გვარს მწერლობისას. ეს იშვიათი არ არის არც ჩვენში და ევროპაში ხომ თითქმის ჩვეულებად არის გარდაქცეული. საფრანგეთში მოპასანმა და ბურჟემ ლექსებით დაიწყო წერა, მეორემ საკრიტიკო წერილებიც დასწერა; ლემეტრმა კომედიებით და ფრანსმა კრიტიკითაც გაითქვეს სახელი. ძველთაგან ვიქტორ ჰიუგო, მიუსსე და ლამარტინი მოთხრობებსაც სწერდნენ, დრამატიულს თხზულებებს, საკრიტიკო და საისტორიო წერილებს და სალირიკო ლექსებსაც. შექსპირი დრამებსაცა სწერდა და ლექსებსაც; ბაირონი დრამებსაცა სწერდა და სალირიკო ლექსებით ხომ უკვდავების სახელი მოიპოვა. საქართველოში გიორ. ერისთავი მამა არის ქართულის დრამატულის მწერლობისა, მაგრამ სალირიკო ლექსებსაც ეწყოზოდა; ილ. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მოთხრობებსაცა სწერენ, დრამებსაცა და ლექსებსაც. მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ შექსპირი დრამატული მწერალია, ბაირონი მეფე მეცხრამეტე საუკუნის სალირიკო პოეზიისა, მიუსსე და ლამარტინი ლირიკოსი პოეტები, ჰიუგო სალირიკო რომანის შემქმნელი, მოპასანი და ბურჟე რომანისტები, ლემეტრი კრიტიკოსი და ან. ფრანსი რომანისტი; გ. ერისთავი დრამატულ თხზულებათა ავტორი, ილ. ჭავჭავაძე რეალურის სალირიკო პოემების მწერალი, რეალურის მოთხრობების შექმნაში კი ბადალი არა ჰყავს და აკ. წერეთელი კი - რეალურ-სალირიკო ლექსების სწორუპოვარი შემოქმედი.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ყოველი გვარი ლიტერატურის ნაწარმოებისა იზრდება და იფურჩქნება მხოლოდ იმ გარემოებაში, რომელიც მისთვის ხელსაყრელია. დრამატული მწერლობა აყვავებულია ხოლმე იმ ხანაში, როცა საზოგადოებაში განმტკიცებული იყო მონარქიული წეს-წყობილება, როცა მონარქიული პრინციპები თხოულობდა, მწერალს თავისი პირადობა მიეჩქმალა და თავის გრძნობა-სევდების შესახებ კრინტი არ დაედრა, და რადგან მონარქიის გაძლიერება ხშირად იყო ნაციონალურის გაერთიანების ეპოქა, ნაციონალურის ტერიტორიის საზღვართა შემოფარგვლა და საერო სახელისა და პატივის სხვა ერთა შორის განდიდება, ამიტომ დრამატული მწერლებიც ცდილობდნენ, თავგანწირულის გმირების ტიპი დაეხატათ, სამშობლოსა და მეფისადმი მოვალეობა დაეყენებიათ ყოველთ უზენაესად, პატიოსნება და რაინდული თვისებები გაეხადათ იდეალად ახალის საზოგადოებისათვის. ამ დროს დაიბადა შექსპირის დრამა, რომელიც ამ მიმართულების გამომსახველიც იყო და თუ სხვაგ უფრო ბევრი და უფრო ღრმა გამოსახა, ეს იმიტომ, რომ შექსპირი გახლავსთ გენიოსთა გენიოსი და ამათთვის არ არსებობს ისეთი შემზღუდავი პირობები, როგორც სხვა ნაკლების გენიოსობითა და ნიჭით აღჭურვილის ადამიანებისათვის. ჰამლეტი სჯის მეფის მოღალატეს, რიჩარდ III და მაკბეტი ისჯებიან სამეფო გვარულობის მოღალატეობისათვის, მეფის შეურაცხმყოფელნი ისჯებიან “მეფე ლირშიაც”... რასაკვირველია, ვიმეორებ, მარტო ეს არ საზღვრავს შექსპირის დრამების შინაარსს, მაგრამ შექსპირი ხომ შექსპირი იყო.

სამაგიეროდ, საფრანგეთში ლუი XIV-ის მეფობის დროს, როცა აბსოლუტურმა მონარქიამ ფეხი მოიკიდა, მონარქიულ პრინციპების გამოხატველნი შეიქმნენ რასინი და კორნელი და თუ მოლიერი სარკასტულის ღიმილით საფლავს უთხრიდა ამ პრინციპებს თავის ტარტიუფში, “les femmes”, “les precieuses ridicules”-ში, ეს კიდევ იმიტომ, რომ მოლიერიც გენიოსი იყო და დროსა და გარემოების ზედგავლენის ბრჭყალებს გაექცა, მაგრამ დრო და გარემოების ძალამ, როგორც მასზედ, ისე შექსპირზედ იმით იჩინა თავი, რომ დრამატიულს გვარს მიჰყვეს ხელი და ეს გვარი კი ისეთი გვარია, საცა “მე” მწერლისა უფრო დამალულია და გამოუმჟღავნებელი... ეს გვარი ლიტერატურულის ფორმისა დროს შეეშნო, მაგრამ ამ უდიდესმა მწერლებმაც კი დრო შეიშვნეს, ფორმა შეითვისეს და შინაარსი კი უფრო მდიდარი დაჰბადეს.

სალირიკო ლექსი, საზოგადოდ, გრძნობათა გამომხატველია. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ არის გრძნობა, რომელიც მეტისმეტად პირადოვნულია (სიყვარული და ამისაგან გამოწვეული სევდა, გინდ სიხარული, გრძნობა ბუნების ზედგავლენისა, შიში, გინდ სანუგეშო მოლოდინი სიკვდილისა) და აგრეთვე გრძნობა, რომელსაც არა აქვს მეტად პირადოვნული ხასიათი. ეს მეორე დარგი გრძნობისა უფრო თანაგრძნობაა: პოეტი თავის სევდებსა და დარდებს კი არ გვიხატავს, თავის სიამოვნებასა და მხიარულებას კი არ გვაჩვენებს, სხვისას და უფრო ხალხის ვარამს, ხალხის ბედნიერებას დაგვანახვებს ხოლმე და იწვევს ჩვენში ერის, ხალხის, საზოგადოების მიმართ თანაგრძნობასა და სიბრალულს. სალირიკო პოეზიაში გამოითქმის ეს გვარი გრძნობათა, მაგრამ, ეჭვი არ არის, სალირიკო პოეზია უფრო კერძო, პირადი განწყობილების გამომხატველია, თუ არ დავივიწყებთ, რომ ამგვარი პოეზიის მეთაურნი იყვნენ ბაირონი და შელლი, ლამარტინი, მიუსსე და ბარათაშვილი.

როგორი-ღა გარემოება იყო საჭირო მისთვის, რომ შექმნილიყო რომანტიკული პოეზია? ვიდრე ამას განვმარტავდეთ, განვსაზღვროთ, რა არის თვით რომანტიკული პოეზია. რომანტიკული პოეზიის განსაზღვრაში ჩვენ ერთის საფრანგეთის გამოჩენილის კრიტიკოსის აზრით ვიხელმძღვანელებთ, რადგან ჩვენა გვგონია, მას საუკეთესოდა აქვს გარკვეული თვისება რომანტიკულ სალირიკო პოეზიისა. ისეთი მწერალი არა ყოფილაო, - ამბობს იგი კრიტიკოსი, - რომანტიზმის მნიშვნელობის თავისებური განსაზღვრა არ ეცადნოს, მაგრამ ყველა განსაზღვრა ცალმხრივი იყო. ზოგიერთის აზრით, რომანტიზმი არის კლასიციზმის წინააღმდეგი რეაქცია; იგი არის უარისყოფა ყოველისავე იმ სალიტერატურო კანონისა, რომელიც კლასიციზმის მიერ იყო სავალდებულოდ ცნობილი; მისი თვისება სხვადასხვა სალიტერატურო გვართა, ფორმათა ერთმანეთში არეგ-დარეგაა. ზოგიერთის აზრით, რომანტიკული ლიტერატურის განსაკუთრებული აზრი და საწადელი უცხოელთა და ძველ საშუალო საუკუნოების სამშობლო ლიტერატურის მიბაძვაა; მისი ერთი უპირველესი პრინციპთაგანი ბუნებისა და ტიპების აღწერაში “ადგილობრივის ელფერის” დაცვაა (Couleur locale), მაგრამ ყველა ეს მხოლოდ აღნუსხვაა იმ საშუალებათა, რომელთაც ხმარობდნენ წარმომადგენელნი რომანტიკული ლიტერატურისა თავისის უმთავრესის სურვილის მისაღწევად. ეს სურვილი იყო პიროვნების განთავისუფლება ლიტერატურაში. ისე, როგორც სწადდათ განეთავისუფლებინათ თავი საპოლიტიკო დესპოტიისაგან. ამიტომაც, რაც უწინდელ კლასიკურ ლიტერატურისა და მის წარმომადგენელთაგან პრინციპად მიჩნეულია, იმას, თუ გინდ კარგიც იყოს, მაინც უარჰყოფენ, რომ უფრო ნათლად დაამტკიცონ თავიანთი დამოუკიდებლობა. ასე რომ, “რომანტიზმი არის საზოგადო მოვლენა, რომლის განსაკუთრებული თვისებები ინდივიდუალისაკენ მიიწრაფება”.

ნამდვილი რომანტიკული ლირიკოსი იმასა ცდილობს, თვალწინ თავისი პირადი გრძნობები დაგვიყენოს, მუდმივ თავის თავზედა ჰფიქრობს; გატაცებულია თავისი პიროვნებით, ხან თავყანსა სცემს მას, ხან აკვირებს მისი თვისებანი, ხან ებრალება თავისი თავი. ორიგინალობა დანაშაულად კი არა, ღირსებად მიაჩნია. ამგვარი პოეზია, შესაძლებელი იყო დაზადებულიყო, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, მაშინ, როცა დამყარდა საზოგადო ცხოვრებაში ინდივიდუალიზმი, როცა რევოლუციის ქარმა დაჰბერა, ძველი შემოჭველი გარემოებანი დაამსხვრია და პირადი თავისუფლება საქვეყნოდ განაცხადა.

ამგვარ პოეზიას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა პოლიტიკური წყობილება პირადს, ინდივიდუალურს თავისუფლებას ხელს უწყობს, თავის პრინციპად ინდივიდუალური თავისუფლება გაუხდია, ანდა როცა ამ პოლიტიკურს წყობილებას არ ეწოთირება პირადის გრძნობების გამოთქმის გაგონება, ხელს არ უშლის ამგვარ გამოთქმას ინდივიდუალურ გრძნობათა, როცა პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილება დესპოტურად გარკვეულს გზას არ ადგია, გზას, რომლის თავსა და ბოლოს აწერია ერთი კაცის და გინდა უმეტესობის სურვილი და ლტოლვილება: “სამეფო მე ვარო” და სხვათა გრძნობა და გონება ამ მისი “მე”-ს ყურმოჭრილ მონად მიაჩნია, მისი წადილების მორჩილ-აღმასრულებლად. სალირიკო პოეზიას აქვს ადგილი კიდევ იმ დროს, როცა პოლიტიკურსა და ეკონომიკურს წყობილებაში ანარქია სუფევს. ვერ შექმნილა ვერც სასტიკად განსაზღვრული მთავრობა, რომლის პრინციპებიც სისტემატიურად გატარებულ იქმნებთან ცხოვრების ყოველსავე მოვლენაში და ან ინდივიდუალიზმის განმახორციელებელს პოლიტიკურს წყობილების პრინციპებს ვერ მოუკიდებია ფეხი, ესე იგი ცვალებადი ეპოქაა, ჯერ გაურკვეველია, საითკენ გადაიხრის ცხოვრების მიმართულება. ამგვარი დრო იყო საფრანგეთის ცხოვრებაში ამ წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში. ძველი მონარქიული წყობილება დაიმსხვრა, თავისუფლების, ძმობის და ერთობის სიტყვები ჰაერში გაისმა და თავისუფლების სუნი იგრძნეს ნაზ-ყნოსვიანმა ადამიანებმა. ამიტომაც არის, რომ საფრანგეთის სალირიკო პოეზიის ეგრეთ წოდებული ოქროს ხანა იყო 52-დის, ესე იგი იმ დღემდის, როცა საფრანგეთის ძველმა ტრადიციებმა კიდევ ერთხელ და უკანასკნელად წამოყვეს თავი და ყოველივე თავისი საზიზღარი ნაკლულევანებით აღიჭურვენ. უკანასკნელად 71-ს სული დალია საფრანგეთის ძველმა წესწყობილებამ და ახალმა ამ დროს უკვე გზა გაიკვლია და, სრულის ძლიერებით აღჭურვილი, შეუდგა ცხოვრებას. მთავრობა მესამე რესპუბლიკისა დაარსდა და რესპუბლიკის მთავრობამ, რასაკვირველია, ერთი კაცის “მე” კი არ წამოაყენა და დროშაზედ ერთის ადამიანის სურვილების თავყანისცემა კი არ დაიწერა - უმეტესობის სამსახური, უმეტესობის და საზოგადოდ მთელის ხალხის ბედნიერებისათვის თავის განწირვის აზრების გავრცელება დაიწყო. ამიტომაც სალირიკო ლექსები რეალურს ნიადაგზედ გადავიდა, პირად გრძნობათა გამოსახვას თავი მიაწება, საზოგადო ჭირისა და მწუხარების გამოსატვა დაისახა იდეალად; აგრეთვე პრინციპად აღიარა პოეტის “მე”-ს

განძევება პოეზიიდან, მისი პირადის მოთქმა-სიცილის უკუგდება (ლექონტ დე ლილი, კოპპე და სხვ...)

საქართველოშიაც ამ დროს სრული ანარქია სუფევდა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ქართველი ერის ცხოვრებამ სულ სხვა მიმართულება მიიღო. ერს თავისი პოლიტიკური წესწყობილება აღარა ჰქონდა, თავისი მთავრობა მოესპო...

ჩვენს მწერლობას შეეძლო გარკვეულს გზას დასდგომოდა მხოლოდ მაშინ, როცა ან მთავრობის პოლიტიკა გამომჟღავნდებოდა, ანდა თვით საზოგადოების აზრი გამოირკვეოდა, განმტკიცდებოდა და ისეთ ძალას მოიპოვებდა, რომ მწერლობაზე გავლენა ჰქონოდა. ამიტომაც შესაძლოდ შეიქმნა ჩვენის პოეტებისათვის პირადის გრძნობების გამოთქმისათვის დაეთმოთ დიდი ადგილი, კიდევ მეტი, უმთავრესი ყურადღება მისთვის მიექციათ. თუმცა, რასაკვირველია, ამ პირადს გრძნობის გამოხატვაში უსათუოდ თავს იჩენდა საზოგადოდ ერის სულის განწყობილება, რაცა ჩვენ ვეცადეთ გვეჩვენებინა, როცა თ. ალ. ჭავჭავაძის ლექსების შესახებ ვილაპარაკეთ. სწორედ ამ ხანში აღყვავდა ჩვენი რომანტიზმი... საზოგადო აზრის გამოურკვევლობა ჯერ იმაში გამოიხატა, რომ რომანტიკული სალირიკო ლექსები დაიბადა, საცა საზოგადოების მოთხოვნილებანი თითქმის უყურადღებოდ დარჩნენ და პირად გრძნობათა გამოთქმას შეალიეს თავისი ძალ-ღონე მაშინდელმა ლირიკოსებმა; მაგრამ, რადგან ეს მწერლები ნიჭიერები იყვნენ, მაინც ჰგრძნობდნენ ერის აზრის მომავალ მიმართულებას, მისი სულის კვნესა და ოხვრა ესმოდათ, რადგან სმენა ნაზი ჰქონდათ და ამან ან მათ პირადის გრძნობების გამოხატვას სხვა ელფერი მისცა და ან კილოკავად, გაკვრით, თვით ამ აზრებისათვისაც მიაქცევინა ყურადღება. ყველაზედ უფრო ძლიერი განურკვევლობა საზოგადო აზრთა მიმართულებისა ეტყობა ალ. ჭავჭავაძეს, შემდეგ გრ. ორბელიანს და, წარმოდგინეთ, ამ გზას ვერც ბარათაშვილის გენიოსობა ასცდა. ჩვენ შემდეგში, როცა ბარათაშვილზე ლაპარაკი გვექნება, ვიტყვით, რომ ეს უდიდესი ჩვენი ლირიკოსი, ევროპის ლირიკოსების მხარის დამამშვენებელი, იყო უკანასკნელი წარმომადგენელი რომანტიკულის ლირიზმისა და უკანასკნელი გამომხატველი საზოგადოების განურკვევლობისა. მხოლოდ ბარათაშვილის გენიოსობას შეეძლო დაეხატა ისეთი სინამდვილით, ისეთი სიღრმითა და სავსებით იმდროინდელი ფსიქოლოგია საზოგადოებისა თავის უკვდავ პოემაში. იმასაც დაგანახებებთ, რომ უკანასკნელი მწერალი ამ ჯგუფისა, თ. ვახ. ორბელიანი, ავტორი “იმედისა”, იყო ერთადერთი მათგანი, რომელიც სწორედ გზას ადგა, ერთხელვე არჩეული და სრულიად გარკვეულის აზრის მოძღვარი იყო. რომანტიკულმა ლირიზმმა მის ლექსებში ფერი იცვალა და საზოგადო მწუხარებას თითქმის პირად ტანჯვად აქცევდა და, ამგვარად, ერთიორად უფრო დამწვარი და დადაგული თავის ქვეყნის ბედით, გვაგრძნობინებდა ჩვენი სალირიკო პოეზიის მომავალ მიმართულებას.

ესეც უნდა ვსთქვათ, რომ თუ საზოგადო კვნესას მოსთქვამდნენ ეს პოეტები, ამ საერთო ოხვრას პირად გოდებად სცვლიდნენ და, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, გააპირადებდნენ ხოლმე, ინდივიდუალურის სამოსლით შემოსავდნენ. ეს ემჩნევა აშკარად თ. გრ. ორბელიანის ლექსებსაც. თ. ალ. ჭავჭავაძის ლექსებს საერო ტანჯვამ გმინვისა და კვნესის ფერი დასდო. თ-დ გრ. ორბელიანის ლექსებში თუ საზოგადო ოხვრის ნაშთი სჩანს, ეს ოხვრა ვერ არის საკმაო სისასტიკით დაცული; ბოლოს თ. ბარათაშვილმა მოგვცა ნამდვილი რეალური სურათი საზოგადოების აზრისა და გრძნობის რყევისა. თ. ვახ. ორბელიანის ლექსებს კი მართო განსაკუთრებული კილო საზოგადო კვნესისა ჰქონდა, საზოგადო კვნესისა, რომელიც თითქმის კერძო პირად სევდებად და ტანჯვა-ვაებად გარდაქმნილა. ამის კანონიერი შედეგი უნდა ყოფილიყო ის რეალურ-სალირიკო პოეზია, რომელიც ჩვენში ილ. ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა შეჰქმნეს.

რომანტიკულის ლირიზმის აღყვავებას ჩვენში ნიადაგს აძლევდა ის ანარქია, რომელიც სუფევდა ჩვენს საზოგადო აზრის მიმართულებაში; საზოგადოებას არ შეუქმნია ძლიერი აზრი, რომლის სიმტკიცესა და სიდიადეს უნდა გაეტაცებია ჩვენი პოეტები, ღრმა ბეჭედი დაესვა მათ ცხოვრებაზე... საზოგადოების გარეშე ძალებსაც ვერ გაერკვია გზა, რომ ზოგიერთებს მაინც თავისებურად მოემართა ქნარი. ამას დაუმატეთ ისიც, რომ მთელს ევროპაში რომანტიზმი აყვავდა, ევროპამ რუსეთზედ იქონია გავლენა და რუსეთის რომანტიკოს-ლირიკოსებმა ჩვენები გაიტაცა. თუ ალ. ჭავჭავაძეს ისე ნათლად არ აჩნია ეს გავლენა, სამაგიეროდ, თ. გრ. ორბელიანს ამისი თვალსაჩინო საბუთები მოუცია.

## V

დიდი უმეტესი ნაწილი მისი ლექსებისა სამიჯნურო ლექსებია, “ვარდ-ბულბულის” გალობაა, როგორც ამბობენ ხოლმე, მაგრამ თანაც გასაოცარი ისაა, რომ ასე ერთ-შინაარსიანი ლექსები თავს როდი გაბეზრებენ, სიამოვნებით კითხულობთ. მისი კითხვით ნამდვილს ესთეტიურს

კმაყოფილებაში ხართ იმიტომ, რომ საოცარის სხვადასხვაობით არის გამოთქმული ერთი საგანი, ათასგვარი სამოსელი შეუკერავს პოეტს ერთისა და იმავე საგნისათვის, ერთი-მეორეზე უმჯობესი, ერთიმეორეზე უძვირფასესი. ასე გეგონებათ, თ. ალ. ჭავჭავაძემ აზრად დაისახა, ქართულს ლიტერატურას სამუდამოდ გამოაცალოს ხელიდან ეს საგანი - სიყვარულის მღერისა, რადგან იშვიათად შეხვდებით პოეტსა, ამაზე მეტი რამე გამოეთქვას სიყვარულის შესახებ.

სიყვარულს პოეტისათვის “მღერად ოხვრა, ლხინად გლოვა” შეუქმნია, დადაგულს მგოსანს მკურნალად სიყვარულისათვის მიუმართავს, მას კი წამლის წილ დანა გულს მიუპყრია; პოეტის გული საცეცხლურია, რომლითაც სიყვარულის ალი სურვილს აკმევს და “გლახ-პყრობილი ამას ვაებს, ვალალებს, ვერ განერა ესრედ ვითარ მალ ება”. აბა დააკვირდით ამ ლექსის ერთს ადგილს და მიბრძანეთ, თუ შესაძლებელია უფრო მხატვრულად გამოსახვა სიყვარულისაგან დატანჯულის გულისა, რომელსაც პოეტი საცეცხლურს ადარებს, საცეცხლურს, რომლის საკმეველი სიყვარულის სურვილია და მკმეველი კი სიყვარულის ალი.

“გული ჩემი მუჯამარი (საცეცხლური) ახალი  
სურვილს აკმევს სიყვარულის, ახ, ალი!”

მისი ბულბული, ვარდის სუნით თრობილი, მოსთქვამს: “ამაყო და ზვაო (გულდიდო), შეუბრალო გულქვაო, ხელი რად უფრო მახელე, ჰოი, ჭირზედ ჭირის დამრთაო? სისხლითა ჩემით ღებულო, მარქვ, ეკლოსანობ ასე რად, თუ არ გულისა სასერად?” მისი ვარდი კი გულგრილი და გულქვა ამაზედ ბულბულს ასეთს ნუგეშს აძლევს: “შეიმცერ ცრემლთა მრავლობა და ვალალებით გალობა! ნიაგმან გბეროს, გაგიქროს, თუმც არ სახმილი-მთვრალობა!” სიყვარულს თავისი მშვენიების “მშვილდნი მისად საწყველელად”, “მისად სიკვდად, განსანსვრელად უხმარია”, პოეტი უწყალო სიყვარულით “ძნელად კოდვილი საუკუნოდ მკვნესელად მღერალაია”. და “ცრემლნი მისნი ალს გულისას ვერად აკლებს ძალსა წვისას, ესე ცეცხლი ვერვინ აქროს, თუ არ მანვე აღმზუნებელმა”, სადაც გინდ იყვეს მგოსანი, სატრფოსთან არს მისი გული, ვისაც უნდ სჭვრეტდეს, იგი უდგას თვალწინ. “რაზომ ელტვის, უფრო ეტრფის სახილველად “სასურველ მიჯნურს”, “ცნობა მეღვეის, მნათობო”, - მოსთქვამს პოეტი, - და სად არს პოვნა? “აწე რქვი პყრობილს, მნათობო, ვერ ერჩის ხვედრი”. ყოველის კეთილისაგან განწირული პოეტი ზის და სტირის ბედსა. “ცრემლით თვალწინილი, სურს მდუმარება, უნდა შესწყვიტოს გულამოსკვნილი ტირილი, მაგრამ გლახ გულმან ველარ დამალა”. სატრფოს იგი სანთელს როდი შეადარებს და არც თავს ფარვანას; ფარვანას შეუძლიან, სანთელი ვერ ნახოს და თავის დღეში ფრთები არ დაიწვას, აგრეთვე, აქ ფარვანას წვა წუთიერია, მიჯნური კი მთელს სიცოცხლეს იტანჯება. არა, მისთვის სატრფო, სიყვარული უფრო დიდი რამ არის, უფრო ძლიერი, უფრო მიუცილებელი. “ყოველთვის სულიერისა და უსულოსათვის შენ არა ხარ სანთელი, - ეუბნება პოეტი სატრფოს, - კრულ ვარ, თუ მას გადარო, არც მე ფარვანა, რომე დამწვა, რა გეკარო, შენ ხარ მზე, მქონე სხივთა ჩემთა მაცხოველეთ, მე - ხე, რომელი ვჭხმე, თუ მათით არ მომზარო”. მაგრამ ტყუილია მგოსნის გოდება, კვნესა და მოთქმა, და თვითონაც კარგადა ჰგრძნობს ამას: “არ გესმის ოხვრა, ოხვრის მიზეზო, - ჩივის პოეტი, - სასმენთა კარნი ჩემთვის გზომია! თუ აწე ვერ გპოვო შენ ჩემს მკურნალად, ვსცნო, რომ მე ბედი სრულად მწყრომია: რისხვამან შენმან სიცოცხლის ძაფი შემწყვიტოს, რადგან შესაწყდომია”, და ბოლოს დუმილი ურჩევია პოეტს: “ენა მდუმარებს, გული მწყვლია, სევდა მზომია, ტრფობავ, მარქვ, კვალად ჩემად სავნად რალა გრჩომია?” თუმც დუმილს რაცხს უმჯობესად, “მაგრამ მერწმუნეო, - ეუბნება სატრფო საგანს, - გეტრფი საზომის უადრესად”.

მთელი სიმწარე და სიმწვავე ამ გრძნობის სავესებით შეუგნია თ-დ ალ. ჭავჭავაძეს და იშვიათად თუ ვისმე უგრძნობია ასეთი სიღრმით მთელი მტანჯველობა ამ გრძნობისა. ხოლო ისიც კი არ ავიწყდება პოეტს, რომ ამ გრძნობას სასიამოვნო ძალაცა აქვს, რომელსაც ყველა ჰმონებს, “ყველა გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად” აძლევს ამ გრძნობას, “ძალსა მისსა ყოველი ჰგრძნობს, არსებს რაცა, სჯულსა მისსა ყველა ერჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა”. ეს გრძნობა “ხელმწიფეა, თვითმპყრობელი, ტახტი მზა აქვს, ჰგეებს საცა, გულეუბი ჰყავს ქვეშევრდომად, ამას ის გრძნობს და თვით სხვაცა”. მაგრამ განუსაზღვრელს ძალს ამ გრძნობისას არავინ არ ეწინააღმდეგება, ყველანი სიამოვნებით ემონებიან და ემორჩილებიან, ან კი “მისის უღლისაგან გამოსვლა ნეტა უნდოდეს რადმე ვის? თუ ის არს ვნების მიზეზი, ლხენაც მისგან არ გვეძლევს?” კარგად ესმის ეს პოეტს, კარგად ესმის, რა ვაებასაც ჰბადებს ეს გრძნობა და თანაც რა შვებასა და ლხენას აძლევს კაცს. ამგვარი ყოველმხრივი შეგნება სიყვარულის ძალისა პოეტმა შეუდარებელს ლექსში გამოხატა, რომელიც არ შეგვიძლიან, მთლად არ მოვიყვანოთ:



“უწყალო სიყვარულო, რად მკოდე ესდენ ძნელად,  
რისთვისა მყავ მღერალი საუკუნოდ მკვნესელად?  
რად მაჩვენე შვენება გულის დასატყვევებელად,  
სახე სხვათა სახეთა შობილი დამჩაგვრელად?  
ვიცი, - მისი იხმარენ მშვილდნი ჩვენად საწყლველად,  
და ჰინდელნი ლესულნი საკვდად, განსასრველად.  
უწყალო სიყვარულო და სხვ.

გრძნელთა მათ მახვილთა ესე რა ჰსჭირებინ,  
ყოვლნი მათგან კოდვილნი მათვე ემსჭვალეზინ?  
გული მიწყლეს, გრძნობანიც სრულიად მათკენ ჰრბიან,  
ესზომად ჰწყურთ სიახლე, რაზომათაც ვნებინ.  
თვით გონებაც მათ მისდევს, ვაი, რჩომილსა ხელად!  
უწყალო სიყვარულო და სხვ.

მათ მოსისხლეთა ჩემთა ოდეს განვიცდი თვალით,  
მიზიდულ ვარ მათდამი უხილავითა ძალით.  
ხან აღმიტაცებს თრთოლა, ხან შმაგი ცნობა მთვრალით,  
უძრავად ვდუმარეობ და ვიწვი წვლილის ალით,  
ოხვრალა მაქვს სიცოცხლის ნიშნად, შესამცნეველად.  
უწყალო სიყვარულო და სხვ.

ოდეს ვჰშორავ მას მიზეზს ჩემისა ვალალების,  
სოფელი მჩანს სამარედ, სადგურად ოდენ მკვდრების;  
ვჰრბი და მსდევენ დასები სევდის და მწუხარების.  
მასვე საგანს ვეძიებ, გარნა ვერსადა მხვდების,  
სულთქმა ჰქუხს, ჰსწვიმენ ცრემლნი, დღე შემექნების ბნელად.  
უწყალო სიყვარულო და სხვ.

ბედნიერნო ჰაბუკნო, თუ გწადსთ მრთლად დაცვა გულთა,  
ეკრძალენით ვარდთ, ზამზახთ, საროხედ აღზარდულთა!  
თვარა თვალთავე თქვენთა, მათ მიერ მიზიდულთა,  
ძალუძთ მონად ქმნა თქვენი, ვითა ტყვედ მისყიდულთა;  
ვერლა გკურნოსთ ჩივილმან, გინა ჰსხდეთ ჩემებრ მთქმელად:  
“უწყალო სიყვარულო” და სხვ.

პოეტსა და ფილოსოფოსს, საზოგადოდ, ცხოვრების უმთავრეს საგნებზედ მღერა და მსჯელობა უყვართ. უმთავრესი საგანი ფილოსოფოსისათვის არის ცხოვრების დასასრულისა და დასაბამის საგანი, კაცთა და ქვეყნის შემქმნელის ძალის შორის დამოკიდებულება, დამოკიდებულება კაცთა და ბუნების შორის, მათი ერთიე რთმანეთზედ ზედგავლენა და აგრეთვე საგანი ადამიანთა შორის ურთიერთობისა და კავშირისა, მათ შორის განწყობილებისა. პოეზიაც ყოველთვის ამ საგნებს შეჰხებია, ეს საგნები გაუხდია სამღერლად და საკვნესელად. პოეზიაშიც, თუმცა უფრო იშვიათად, გამოთქმულა შეხედულება ქვეყნის დასაბამისა და ცხოვრების შემქმნელის ძალის შესახებ. მთელი კილო პოეტის ლექსისა წარმოსდგება ცხოვრებისა და ცხოვრების დასასრულის შესახებ ამგვარისა თუ იმგვარის შეხედულებისაგან. ხოლო ეს კი არის, მაშინ როდესაც ფილოსოფია უფრო ობიექტურად ეხება საგნებს, უფრო განყენებულს, განუსაზღვრელსა და ზოგადს პრინციპებს ეხება და ყოველსავე საგანში იძიებს არსებითს, ზოგადს მხარეს, ზღუდე-ფართოსა და აბსტრაქტულს თეზისებს განაცხადებს, - პოეზია საგნის ერთ მხარეს ეხება, საგანს უფრო ვიწრო საზღვარით შემოფარგლავს, უფრო სუბიექტურად ეხება და ამიტომაცაა, რომ ხშირად პოეტის პირადს განწყობილებაზე არის დამოკიდებული მისი სხვადასხვა შეხედულება ერთისა და იმავე საგნის შესახებ.

თუ პოეზია ცხოვრებას ეხება, საგალობელ საგნად აიღებს ხოლმე ცხოვრებაში უფრო ინტენსიურს ძალას, ცხოვრების განმაცისკროვნებელს, ცხოვრების განმამლიერებელს, მის

შემქმნელსა და განმაცისკროვნებელს სიყვარულს და ამ სიყვარულის სხვადასხვა გვარს: სიყვარულს უძლიერესს, სიყვარულს, რომელშიაც მოთავსებულია ფიზიოლოგიური ძალა, და იდეალურს, რომელსაც ცხოვრებაში აქვს დასაბამი და დასასრულიც, რომელიც ამ ცხოვრების წყაროა და მისივე დამამთავრებელი - სიყვარული ორ სქესთა შორის. უფრო იშვიათად პოეტი დამღერს სიყვარულს მშობლიურს, მეორე გვარს გრძნობას, რომელშიაც ფიზიოლოგიურს მხარესაც აქვს ადგილი, როგორც სისხლის დამოკიდებულებას შობილთა და მშობელთა შორის. პოეზია შეჰხეხება აგრეთვე სიყვარულს მეგობრულს, სრულიად განყენებულსა და იდეალურს, რომელშიაც არავითარ ფიზიოლოგიას არა აქვს ადგილი და მხოლოდ გრძნობათა და აზრთა კავშირია, კავშირი სულიერი. სიყვარული სქესთა შორის არის, ვამბობ, დასაბამი ინტენსიური ცხოვრებისა, ორ სქესის წარმომადგენელთა ერთმანეთისადმი ლტოლვა არის მიუცილებელი პირობა წარმოშობისა, გვარის განგრძობისა და, როგორც ეგრეთი, ცხოვრების მიმდინარეობის განუწყვეტელობისა. ცხოვრებისა და პოეზიის ამ უმთავრეს საგნის შესახებ შეხედულება ჰბადებს ამგვარსა თუ იმგვარს აზრს პოეტში სხვა საგნების შესახებ. იმ პოეტს, რომელსაც სიყვარული ჯოჯოხეთად მიუჩნევია, მშობლიური სიყვარული - ოცნებად და მეგობრული კავშირი ეგოისტურს ანგარიშებზე აგებულს გრძნობად, თავის მოსატყუებლად და თავის გასართობად გამოგონილად, - არ შეუძლიან იქონიოს სამხიარულო და სასოებით აღსავსე აზრი მთელის ცხოვრების შესახებ. მას, ვისაც არა სწამს კეთილი მხარე სიყვარულისა, ვისაც არა სწამს ადამიანთ გრძნობათა სიმტკიცე და სიმშვენიერე, არ ძალუძს იქონიოს ბუნებასა და კაცს შორის განწყობილების შესახებ ბრწყინვალე აზრი. სულიერი და გრძნობით აღსავსე არსება, მისი აზრით, უგრძნობელია და უგულო, მით უმეტეს, ბუნება უტყვი-უგრძნობელი იქნება, გაქვავებული და გაყინებული.

თუ ფიზიოლოგიურად და სულიერად დაკავშირებულ არსებათა კავშირი მტკნარი ოცნების ნაყოფია, სიზმარია და არა ცხადი, მით უმეტეს, რაღა იქნება კავშირი და განწყობილება სხვა ადამიანთა შორის, რომელთაც არა აქვთ ერთმანეთთან არც სულიერი და არც ხორციელი დამოკიდებულება.

რასაკვირველია, მრავალფეროვანი და მრავალაზროვანი ხელოვნება და მისი დარგი პოეზია ვერ მოიწყვედევს რომელსამე კალაპოტში; მისთვის, როგორც თვით ცხოვრებისათვის, ვიწრო იქნება ყოველივე წინდაწინ შემოფარგლული წრე, და ესევე ითქმის ზემო მოყვანილს აზრზედაც; ხოლო ეს აზრი შეიცავს და განზომავს უმეტეს ნაწილს პოეტურ ნაწარმოებთა, და დღევანდელი ჩვენის ბაასის საგნად აღებული პოეტიც ამართლებს ამ ჩვენს შეხედულებას, რასაკვირველია, თუ კი დაუწერია ლექსი ყველა ამ საგნების შესახებ, რომელნიც ზემოთ მოვიხსენიეთ.

თუ სიყვარული ალ. ჭავჭავაძისათვის ისეთი რამ არის, ურომლისოდაც კაცი ემსგავსება გვამს, რომელსაც “სული თვალ-და-თვალ ექცევა”, ურომლისოდაც სხვა “ნიჭთა კეთილთა” ქონება არ არის ხელსაყრელი, რადგან “მგრძნობელობა სჯობს ყოვლთ თვისებათ, ცით მოვლენილთა, მშვენიებასაც და გონებასაც ის ასულდგმარებს!” თანაც “აშიყთ მტანჯთა” “სევდათ გუნდის მომსევი” და “კისრად მონების ჯაჭვის დამდებია”. ამგვარი საწამლავით შეზავებული შარბათი არის პოეტისათვის სიყვარული და აღარც სხვა რამეა სამხიარულო ცხოვრებაში ადამიანისათვის, რომელიც “ახით ნაშობია და ვაებით კვდება”.

“გლახ ბედისაგან სასტიკად დასჯილის” პოეტისათვის ბუნებას გარეგანი მნიშვნელობა აქვს, როგორც დეკორაციას, როგორც სცენას. ბუნება მაშინ უცინის, თუ სატრფო უცინის, ბუნებაც მოღუშულია, თუ მისი გული სატრფოს გამო სევდით აღვსილია. თუ სიყვარულის მლოდე გზის გუშაგად მდგომარეა - “ხან ფოთოლნი შერხეულნი შრიალითა სცემენ ზრზენას”; ღამის წყვდიადი გიშრის თმას მოაჩვენებს, ცის გაელვება ბროლის ფიცრით შუქთა ფენას, ნიავეთა ნელი ქროლვაც კი სუნთქვას ტკბილსა; როცა სატრფოს უყვარდა, “ნიავნიცა დილეულად მქროლველნი, მისით მომართ ჰბერდენ ნეტარებასა, ცისაც მანათობელი სხვა სიამით სცემდა შარავანდედსა, დროდ მათი ედგა უცვალებელი, მარად ვარდთა და ზამზახთა მყნოსველსა”.

როს სატრფოს უყვარდა სურვით შეყვარებულსა, მასაც სიცოცხლე უღირდა ძვირად, გაშორდა და ლხინი, შვება, სიამე, ყველა წარხდა, ნანვაღა დაშთა. როცა მიზეზს მის ვალალებისას შობავს, სოფელი უჩანს სამარედ, სადგურად ოდენ მკვდრებისა.

ამგვარად, იგი ბუნებაში არც სანუგეშოს რასმე ხედავს, როგორც ბარათაშვილი, არც მტრობითა და შურით აღსავსეობას ამჩნევს, იგი მას გულგრილ და გულცივ უტყვ ქმნილებად მიაჩნია. ბუნება ასეთს თუ ისეთს შთაბეჭდილებას იწვევს პოეტში იმის მიხედვით, თუ თვით რა განწყობილებაშია ან რა გუნებაზედ არის; თუ სატრფოსაგან დაჯილდოვებულია, “მაისი უდგას უცვალებელი”, თუ არა და სუსხიანი და ქარბუქიანი ზამთრის დღე, ისიც უცვალებელი.

არაფერს სანუგეშოსა და საიმედოს არ წარმოადგენს პოეტისათვის არც დასასრული ჩვენი ცხოვრებისა “სისხლის მწყურვალე შეუბრალო სიკვდილი”, რომელსაც “რაგინდ ვინც რავდენ ევედროს, იგი მითც დაუხვალთ, ყურდანუშობილი დაფრინავს, ხელად უძს ბასრი ხმალია, მტირალთა ცრემლმა ვერ აღმოს, მან ჰყოს, რაც მისი ვალია”, ასე ახასიათებს პოეტი სიკვდილს ყმაწვილი ქალის საფლავის ქვაზე წარწერილს ლექსში. და მართლაც, უკეთესი აზრიც რომ ჰქონოდა სიკვდილზე, თვით ეს ქვა და ამ ქვის ქვეშე მდებარე არ აძლევდა საბუთს, უკეთესირამ წარწერა. დამარცხებული სიყმაწვილე და სინაზე, სიცოცხლით აღსავსეობა, ერთი მხრით, და მეორე მხრით კი გამარჯვებული უღმობელობა სიკვდილისა; ერთი მხრით, მოსპობილი მშვენიერება და მეორე მხრით, მოდღესასწაულე დაღრეჯილობა სხვას რას ათქმევინებს პოეტს, თუ არ იმას, რომ “მშვენიერ იყო, მარა რა? ამა სოფლისა ყოველი გინა ვით იყოს კეთილი, მაშინცა დაუყოვნელი”. პოეტისათვის სიკვდილშიაც კი აღარა არის-რა სანუგეშო, იქაც ვერა ჰპოებს სულის დამამშვიდებელსა და დამამებელს რასმე; მან იცის მხოლოდ, რომ ახით ნაშობნი კვდებით ვაებითა, სიცოცხლეც მოწამლული გვაქვს და სიკვდილიც მომხამული.

ასე რომ, ალ. ჭავჭავაძის პესიმიზმი რადიკალურია, მისი პოეზიის არსებითი მხარეა, ეს პოეზია მოწამლული სულის ნაშობია. სიყვარული მომხიბლველია, მისის აზრით, გრძნეულის მახვილით არის აღჭურვილი, “რომელთაგან კოდვილნი მათვე ემსჭვალეზიან”. მაგრამ მისთვის ეს მომხიბვლელობა სიყვარულისა მტანჯი იყო და სევდით აღმავსებელი, რადგან თავის დღეში ვერ დაკმაყოფილებულა. სიკვდილი გულგრილი და სასტიკი აღმასრულებელია ბუნებისაგან მისდამი მიჩენილის ვალისა და მომსპობელია სიცოცხლისა, გინდ სიამოვნებით იყოს ეს სიცოცხლე ადვილი და გინდ სიმწარით, ეს მისთვის სულერთია. ბუნებას არავითარი ნუგეშისა და იმედის მოცემა არ შეუძლიან, რადგან თვით უაზროა, უშინაარსო და უგულო; მაშინ ახარებს ადამიანს, როცა უიმისოდაც მხიარულია და მაშინ ატირებს, როცა უიმისოდაც ცრემლის მფრქვეველია.

სოფელი და მისი მდგმურნი მისთვის ბოროტებისა და სიცრუის ჭურნი არიან, კეთილმოყვარების დათრგუნვის მსურველნი. პოეტის პესიმიზმი იქამდის მიდის, რომ კაცთ უბედობა, თუმც “სატირე”, გასაკვირველად არ მიაჩნია, რადგან “ამა სოფლისა დიდი და მცირე არს ცვალებისა მხირეო”. გლახ ბედისაგან დასჯილი, მომორებული მოყვასს, რომელსაც უწოდებს ძალს ცხოვრებისას, იმედოვნებას უწოდებს ფარად და ეს ფარად მიჩნეული იმედიც კი ელტვის პოეტს.

ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ ამ უსასოებისა და უიმედობის, ამ სევდით აღსავსეობისა, კაემნისა და გოდების მიზეზები უფრო ღრმაა, ვიდრე პირადი გრძნობები. ძნელი წარმოსადგენია, რომ თ-დი ალ. ჭავჭავაძე, უხვად დაჯილდოვებული იმ ღირსებებით, რაც საჭიროა “ხელოვნებით მიჯნურთათვის”, მაინცადამაინც ასე დასჯილი ყოფილიყო ამ საგანში. მხოლოდ თვით ეს გრძნობა მოწამლული იყო მისთვის, და თუ გარკვევით ვერ გამოხატა მიზეზი მისი დაღვრემილებისა, თუ მას სხვა ჩვენ პოეტებსავით არ “დასწვია გული”, როგორც აკაკი ამბობს, ამაში დანაშაულია ის წრე, რომელშიაც აღიზარდა და ის აზრები, რომელთა გავლენის ქვეშ იფურჩქნებოდა ახალგაზრდა პოეტის ნიჭი.

ჩვენს ლიტერატურაში ეპიკურიელის სახელი უწოდეს ამ პოეტს და, შეიძლება, ამის საბუთად ერთადერთი და საუკეთესო მის ლექსთაგანი მიიჩნიეს - “ლოთებო, ნეტავი ჩვენა”. მაგრამ მეტად ბრმა უნდა იყოს კაცი და ცალმხრივი, რომ ამ ლექსში “იარალის” ძახილის მეტი არა დაინახოს-რა. უიმედობითა და უსასოებით მოცულს პოეტს ერთ დროს უნდოდა თავისდამეციყებელს ქეიფს გაჰყოლოდა, რადგან ყოვლის მკურნალ წამლად მიიჩნია, ომში გამამხნეველად, ღვინითა და ლხინით დროს გატარებით მაინც ფიქრობდა, ქეიფზედ მოსულიყო. კარგად ხედავდა პოეტი, რომ ბრძნულად ცხოვრების განმსჯელი სულ სიკვდილზე უნდა ჰფიქრობდეს, და ამისათვის ლოთობას მიჰმართა, ლოთი ხომ სულ გამარჯვებასა ფიქრობს. პოეტი-ბუღბუღი, რომელიც ნიადაგ ვარდის მომთქმელი იყო, რომელსაც ვარდი თავის სისხლით უღებია, რომელიც ნიადაგ უიმედო სიყვარულით არის სიცოცხლე-გამწარებული, თითქო თავის თავს ამ ლექსში რჩევას აძლევსო:

“ჰოი, საყვარლისა ვერ მნახო, როდემდის იგლოვო ახო, აბა შენც ჩვენთან ჩაღლივე, თუ რომ შენც არ შემოსძახო!”. კარგად ვინც ჩაჰკვირვებია ამ ლექსს, შეამჩნევდა, რა მოწამლულის გულის ოხვრა ისმის შიგა, გულის, რომელიც ცდილობს, ეს თავის დატანჯულება სხვას არავის დაანახოს. მეორე ჩვენი პოეტისა არ იყო, რომელიც ამბობს, “თუ ხალხში ვარ, ძალათ ღრუბელს ვადარებ, რომ არა სთქვან ჩემზედ, “რა ოხერია!”, მაგრამ ამ თავის შეკავებაშიაც, ამ სტოიკურს მოთმინებაშიაც გამოსჭვივის მისი სულის განწყობილება.

ამგვარად, თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე ძლიერის ნიჭის პოეტია. ეს არის უკანასკნელი პოეტი, ქართველი პოეტი, რომელიც სპარსეთის ლიტერატურის ზედგავლენის ქვეშე იყო. ეს ემჩნევა მის

ლექსთა თხზვას, ლექსის სახელებს, სიტყვებს, თვით აზრს და სხვადასხვა პოეტურს ხერხს ლექსებში. სპარსული და აზიური გავლენის ბრალია, რომ მისი შეხედულება სიყვარულზე მეტად ხორციელია, “გრძნობელობს ყოველ ნიჭზედ უფრო მალა აყენებს”. ამ გავლენის ბრალია ის სინამდვილითი გამოხატვა გრძნობათა, რომელიც ამას სჩვევია. იგი რომანტიკოსი და ლირიკოსია, როგორც პირადი გრძნობების გამომხატველი. საზოგადო კვენესა-ვაების გარდმოცემა კი ვერ შესძლო, თუმცა საზოგადო, საერო გოდების ბრალია, რომ მთელს მის ლექსებს, პირად გრძნობათა გამომსახველს, სამგლოვიარო კილო აქვს.

პირადი გრძნობის - სიყვარულის და მის ხორციელის მხარის გამოხატვა დიდი ნიჭითა და ხელოვნებით აღასრულა თ-დ ალ. ჭავჭავაძემ. ამ გრძნობის, ამ მხარის გამოხატვაში სხვა ჩვენს ლიტერატორთ ახალი სათქმელი ბევრი აღარა დარჩათ-რა.

საზოგადო გრძნობათა, ვაებათა და კვენესათა გამოსახვა კი თ-დ ალ. ჭავჭავაძემ სხვა ჩვენს პოეტებს (თ. ორბელიანს, ბარათაშვილს) დაულოცა და მათ შემდეგ ჩვენი პოეზია ამ გზას მტკიცედ და შეურყევლად ადგია.

## II

### თ-დი გრიგოლ ორბელიანი (1804 - 1883)

მეორე დიდი პოეტი საქართველოში XIX საუკუნეში გახლდათ თ-დი გრ. ორბელიანი.

ჩვენ აქ გრ. ორბელიანის ბიოგრაფიას თითქმის არც კი შევხებით. არ შევხებით იმიტომ, რომ ეს ბიოგრაფია ჩვენ ბევრს არაფერს გვეტყვის და გვასწავლის იმ საგნის შესახებ, რომელიც ჩვენთვის ყველაზედ უფრო საინტერესოა, ე. ი. მისი პოეზიის შესახებ. მისი ბიოგრაფია არავითარ ნათელს არა ჰყენს მის მწერლობას და, წინააღმდეგ, ეს მისი ცხოვრების მატთანე გვარწმუნებს იმაში, რომ ხშირად, ძალიან ხშირად, განსაკუთრებით ეს ჩვენ მწერლობის ისტორიაშია ხშირი, მწერლის შინაგან არსებასა და მის გარეგან ცხოვრებას შორის ხიდია ჩატეხილი და გარდუვალი უფსკრულია დამკვიდრებული. რა უნდა იყოს საერთო იმ გრ. ორბელიანს შორის, რომელმაც, რაც უნდა ვსთქვათ, ძალიან მძლავრად ააჟღერა პატრიოტული თავისი ჩანგი და იმ გრ. ორბელიანს შორის, რომელსაც დედამიწაზედ ერთადერთ საყურადღებო ცენტრად, ერთადერთ წერტილად თავისი ოჯახებრივი ინტერესი მიაჩნდა და ზურაბიანთ გვარეულობის დაცემასა და საქართველოს დაღუპვას ერთმანეთს უკავშირებდა. აბა, მიბრძანეთ ერთი, რა არის საერთო იმ პოეტს შორის, რომლის ქნარიც ნაზისა და მომხიბლავის მელოდიებით აღსავსე ჰანგებს გვასმენს, და იმ სასტიკ, გამხეცებულ მეომარს შორის, რომელმაც სხვადასხვა მხარის მმართველობის დროს “დრაკონის კანონები შემოიღო”? აბა, რარიგად შეგიძლიათ მოათავსოთ ერთ არსში მალაღგრძნობიერი მგოსანი, რომელიც გულზვიად და გულგრილ სატრფოსაც კი გზას ულოცავს, და ის გამაგებელი სისხლის მსმელი მეომარი, რომელსაც თავისი სიმხეცით თავი მოსწონს. ლეკებთან ბრძოლის დროს აი, რა უცნაურის სისხლის მელნით აჭრელებს თავისს წერილებს მახლობლებთან სარდალი თ-დი გრ. ორბელიანი: ესა და ეს სოფელი “სულ მოვახხევივით ნიშნად სრულიად აოხრებისა, ამათი სისხლი დავლიოთო”. ანა და: “რატომ მეც მანდ (ომში) არა ვარ, რომ ერთი მათგანის (ლეკების) სისხლი დავლიო და შეუბრალებლად ვტანჯვიდე ცოცხლათაო” და კიდევ უსაშინელესი: “ნელ-ნელად თავებს ვაჭრევივებ (ქარობელქანში წესიერების დამარღვეველთ) და აქამდის გავაბედვინე, რომ თვითვე გამოაშვარავებით მოაქვსთ ჩემთან თავები და ხელები ყაჩაღებისა”. ამის დაშწერ კაცს ვერ უნდა შესძლებოდა ვერც ერთის სტრიქონის დაწერა, რომელშიაც ადამიანური გრძნობა სჩანდეს. გრ. ორბელიანის პოეზია კი სავსეა ღრმა გრძნობიერებითა და მაღალ აზროვნებით. გრ. ორბელიანის ბიოგრაფია, ისე, როგორც მისი გენიოსობით შემოსილი დისწულისა, მარტო იმას გვიმტკიცებს, რომ მწერალს, როგორც ეგრეთ, როგორც ღვთაებრივი ცეცხლის ჭურჭელს, არაფერი არა აქვს საერთო და ან ძალიან ცოტა აქვს საერთო თავისს გარეგან განსახულებასთან, თავისს გარეგან ჩვეულებრივ, ბუნებასა და არსებასთან. ხანდისხან მწერალი სულ სხვა პოლიუსზედა სდგას და კაცი ჩვეულებრივი ამ მწერლის ჩენჩხო სულ სხვა პოლიუსზედ, - როგორც მაგ. გრ. ორბელიანი პოეტი და გრ. ორბელიანი სარდალი და მთავარმართველი... მაგრამ ეს საგანი ფრიად მძიმეა და მრავალმხრივი ლიტერატურის კრიტიკაში და ისტორიაში და მას ჩვენ მხოლოდ გაკვრით შევხებით: ისა თხოულობს უფრო დიდს დაკვირვებასა და განსჯას.

მეტად დიდი ბედნიერი კაცი იყო, ბევრად უფრო ბედნიერი ყველა მის თანამედროვე მწერლებზე. ეს ბედნიერება კი იმაში იხატებოდა, რომ პირადადაც მეტად დაკმაყოფილებული კაცი იყო და საზოგადოებისა, კიდევ მეტი, მთელი ერის სიყვარული და თავყვანისცემაც მოიპოვა. ბევრს

ჩვენგანს კარგად ახსოვს ის საერთო გლოვა და მწუხარება, რომელიც გამოიწვია 80 წლის მოხუცის 1883 წლ. 21 მარტს გარდაცვალებამ. მთელი ერის დიდი ხნით შეგუბებულმა გრძნობებმა ერთად იფეთქა და დიდი ხნის დამალულმა სურვილმა ჭირსა და ლხინში გაერთიანებისამ თავი იჩინა. თ-დი გრიგოლ ორბელიანის ბედნიერებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ საერო გრძნობების გავლიერებაც კი მას დააბრალეს - მაშინდელი ჟურნალ-გაზეთობა თ-დ გრიგოლ ორბელიანის სიკვდილს აწერდა ერის ერთი წუთით გამოფხიზლებას. მაგრამ ეგ კი გადაჭარბება იყო და მეტის მეტიც. სიკვდილი და ისეთი სიკვდილი, როგორც ეღირსა გრ. ორბელიანს, კაცის ნებაზე დამოუკიდებელია, მისი სურვილის გამოწვეული როდი არის და ამიტომაც სასაცილოა, რომ კაცს ღირსებაში ჩაუთვალო მისი სიკვდილის გამო მომხდარი რამ კარგი. სხვა მხრივაც რომ შევხედოთ საქმეს და მართლაც რაიმეგვარად დავაკავშიროთ თ-დ გრ. ორბელიანის სიკვდილი და ამ სიკვდილისაგან გამოწვეული ნაციონალური გრძნობის საერთო აფეთქება, მაინც თ-დ გრ. ორბელიანის სიკვდილი კი არ იყო მიზეზი ასეთის საერთო გრძნობების გავლიერებისა, არა, ბედი თ-დ ორბელიანისა კიდევ იმაში იყო, რომ იმ დროს მოკვდა, როცა ქართველი ერის გრძნობა მზად იყო პირველ შემთხვევაშივე თავი ეჩინა... ამ შემთხვევად გარდაიქცა თ-დ გრ. ორბელიანის სიკვდილი. 80-იანი წლებიდან დაუდგა ქართველ ერს, არ გაგვიკვირდეთ კი, ბედნიერი ხანა. 80 წლის ძილის შემდეგ თვალები გამოაჭყიტა, თავის გარშემო მიიხედ-მოიხედა და თავისი მდგომარეობა სავსებით შეიგნო. ეს ხანა დიდმნიშვნელოვანია ჩვენი ერისა და ჩვენი ისტორიისათვის. ამის მიზეზად, ერთის მხრით, ის უნდა მივიღოთ, რომ მართლაც საუკუნოების ომით წელში გაწყვეტილმა ერმა მოისვენა, ამდენი ხნის ძილს უჩვეულ ერს თავი მოაწყინა სულ ხვრინვამ და თვალები გაახილა, გაიზმორა და თუ არ წამოდგა ტახტიდან, გაიგო მაინც, რომ ფიცრულზე დიდი ხნის წოლამ გვერდები ატკინა და დაუჟეჟა. მეორეს მხრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მესამოცე წლებში აღორძინებულს ლიტერატურას, რომელსაც ერთი მხარე - და მხარე არსებითი - ჩვენის ცხოვრებისა შეგნებული ჰქონდა და ყოველს დღე ჩასჩიჩინებდა ჩვენს ერს, რაგვარი იყო მისი მდგომარეობა. 20 წლის განმავლობაში ეს აზრები ჩვენი ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში გაისმა, საზოგადოების უმაღლესი საფეხურიდან უმდაბლესამდის მისწვდა მაშინდელ მოღვაწეთა ხმა და 20 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ჰანგზე მღერამ ხალხი გონებაში ჩააგდო, გამოარკვია თავის გარეგნობასაგან. დიდად შეუწყო ხელი ამგვარ მდგომარეობას იმანაც, რომ ბატონყმობა გადავარდა და ხალხს მიეცა შეძლება თავისუფლად ამოსუნთქვისა, იგრძნო თავისი ადამიანობა, ახალი დროის მოთხოვნილება გაიგო და ახალ ცხოვრებაში ფეხი შესდგა. ხალხი ახლად გახსნილს სკოლებსა და სხვადასხვაგვარ სასწავლებლებს დაეხარბა, ხალხმა განათლების სუნი იგრძნო, ეს სუნი მოეწონა... ხალხში განათლებამ ფეხი ჩასდგა, ხალხმა განათლების პირველ ეპოქაში შესდგა ფეხი... გაადვილდა მისვლა-მოსვლა, გაადვილდა აღზრდილობა, - ხალხის სხვადასხვა ნაწილი ერთმანეთს უფრო დაუახლოვდა, საერთო ჭირი და მწუხარება იგრძნო, საერთო უბედურებაზე ერთად წუწუნნი და მოთქმა გამართა...

ხალხი, 80 წლის ძილის შემდეგ, ძლივს თავისი ნაკლულევანების განხილვას შეუდგა, ძველ შეცდომათა გასწორების მიუცილებლობა იგრძნო. წარსულ ბედშაობის ტირილს ზედ ისიც დაუმატა, რომ ცდილობდა ყოველივე შემთხვევისათვის ხელი ჩაკვიდნა და განეცხადებინა თავისი გულისტკივილი, თავისი უკმაყოფილება, და სურდა თავისი სიცოცხლის უნარიც გამოეჩინა, ეჩვენებინა ქვეყნისათვის - ჩვენც ერი ვართ, ჩვენცა გვქონია წარსული და აწმყოშიაც გვაქვს რაიმე საიმედო, ასეთის წარსულის მქონებელს მომავალიც ექნებაო. ამიტომაც ამ დროიდან დაიწყო მეტისმეტი გაზვიადება ჩვენი ლიტერატურის წარმომადგენელთა: ყოველი მათგანი მზედა და მთვარედ იქმნა აღიარებული და ის კი დაავიწყდათ, რომ თუ მზე ერთი არ იყოს და მთვარე ოცი იყოს, მაშინ არც ერთს მათგანს ისეთი ფასი აღარ ექნება. შეიქნა ჩვენი ისტორიის გაღმერთება, და ყოველივე ფაქტის წინაშე თავის მოხრა. ეხლაც არ მოგახსენეთ, ამგვარად განწყობილს საზოგადოებას ეპატიებოდა ამგვარი ქცევა. კრიტიკასა და დაწყნარებულს, მშვიდობიანს მსჯელობას ადგილი არა აქვს იქა, სადაც ცხოვრება ჩვეულებრივად არ მიმდინარეობს, არამედ არანორმალური მსვლელობა აქვს. ეს განწყობილება ჩვენი ერისა 1883 წლიდან თითქმის ყოველ წელიწადს, ყოველივე ცოტათი მაინც არის მნიშვნელოვან მოვლენაში იჩენდა თავს. 83-ში თ. გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე მთელმა ქართველმა ერმა გამოსთქვა თავისი მწუხარება და დაანახვა ყველას თავისი გაერთიანება... ამით ქართველ ერს უნდოდა ერთი აზრი გამოეთქვა, ის, რომ თავის მოღვაწეს ერი პატივსა სცემს, ერის ძალის მაჩვენებელს ღირსეულად აფასებს, თავისი თავის პატრონობისა და თავისი შინაური საქმეების მოწესრიგების უნარი აქვს... აქ ერის დანაწილება შეუძლებელი იყო, ერი პარტიებად ვერ დაიყოფოდა იქ, სადაც მხოლოდ ერთი პრინციპის გამომსახველი იყო ყოველი ამგვარი მოქმედება; სურდა დაენახვებინა სხვისთვის და თვითონაც

დარწმუნებულიყო, რომ საერთო ინტერესი შეგნებული აქვს, რომ საქართველოს სხვადასხვა ნაწილი, დიდის ხნიდან განშორებული, დღეინდელს საერთო ჭირ-ვარამს შეუერთებია და შეუკავშირებია...

თ. გრ. ორბელიანის ბედი იყო ისა, რომ ასეთს დროს მოკვდა და თითქმის უღირსი პატივი მიუძღვნა ქართველმა ერმა. მაშინდელმა გაზეთმა რუსთველს ამოუყენა გვერდით და სრულიად დაივიწყა, რომ თანამედროვეს ბარათაშვილისას არ შეეძლო რუსთველის გვერდით პირველი ადგილი დაეჭირა. აღარაფერი ნაკლი აღარ დაინახეს მასში და ღირსებათა შორის ხომ ყველა იყო ჩამოთვლილი. ადვილი მისახვედრია ესა-მეთქი, ვამბობ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქართველ ერს სურდა ამით ეთქვა, ჩვენც ხალხი ვართ, ჩვენცა გვყავს დიდებული წარმომადგენლები, ისეთები, რომლებსაც სხვებიც კი აფასებენო.

დღეს კი შეგვიძლიან უფრო კრიტიკულის თვალთ შევხედოთ თ. ორბელიანის მოღვაწეობას. ჩვენ სახეში გვექნება მარტო მისი სალიტერატურო მოღვაწეობა.

მთელის მისი თანამედროვე ახალგაზდობის ცხოვრებას გვერდს ისე ვერ აუვლით, თუ 1832 წლის შეთქმულობა არ მოვიხსენიებთ. ამ შეთქმულებაში ყველა მათგანმა მიიღო ცოტა თუ დიდი მონაწილეობა და ამ შეთქმულობამ მისცა მიმართულება მთელს მათ შემდეგი დროის მოღვაწეობასა...

რომ შეთქმულობამ იქამდის მიაღწია, შეთქმულთა წესდება დაიწერა, წრეს “ფარული მეგობრობა” ეწოდა სახელად და უმთავრესი როლები თ. ალ. ორბელიანმა, ელიზბარ ერისთავმა, სოლომონ დოდაევმა და ფილადელფოს კიკნაძემ იკისრეს. ამათ მიიმხრეს 17 წლის ახალგაზდა გიორგი ერისთავიც.

არეულობის დღემ რომ მოაწია, ბევრი შიმის ზარმა მოიცვა. თ. ალ. ჭავჭავაძემაც გონივრული რჩევის მიცემა დაუწყო, უმტკიცებდა, რომ საქართველოს არა თუ მალი არ შესწევს რუსეთის მთავრობის განდევნისთვის, არც სიმართლე აქვსო. და შეთქმულთაც თავი მიანებეს აჯანყებულ საქმეს... მაგრამ 9 დეკემბერს ია ფალავანდოვმა ყველა იგინი გასცა და 10 დეკემბერს ყველა დამამშვენებელი ჩვენის ლიტერატურისა ციხეში იქმნენ დამწყვდეულნი. უმთავრეს დამნაშავეთა კატეგორიაში იყვნენ მოქცეულნი: ალ. და ვახ. ვახტანგის ძე ორბელიანები, გიორგი დავითის ძე ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, რომელნიც სამხედრო სამართალში იყვნენ მიცემულნი; უფრო ნაკლებ დამნაშავედ იცნეს დ. ყიფიანი. რაიცა შეეხება თ. გრ. ორბელიანს, ის იყო მოქცეული უკანასკნელ კატეგორიაში დამნაშავეთა შორის და, როგორც როზენი ამბობს თავის მოხსენებაში: лица сего разряда, бывшие под арестом, освобождены; полагаю вообще достаточным иметь их под строгим надзором ... და მართლაც, როგორც საქმიდანა სჩანს, გრ. ორბელიანს არავითარი მხურვალე მონაწილეობა არ მიუღია, გარდა იმისა, რომ იცოდა უთუოდ ეს ამბავი. აქტებში, სადაც გრ. ორბელიანზეა ლაპარაკი, მოხსენებულია მხოლოდ, რომ ამან სთარგმნაო ცნობილის დეკაბრისტის რილეევის “Исповедь Наливайки”.

ყოველს შემთხვევაში, ისიც საკმარისია, რომ გრ. ორბელიანიც სხვებთან ერთად იტანჯებოდა თითქმის ერთ წელიწადს ციხეში... რომ იქ მათი ცხოვრება კარგი არ იყო, ამაზე აქტებშიაც ვპოულობთ საბუთს. თ. ორბელიანებს გაეგზავნათ უმაღლესს მთავრობასთან საჩივარი - გვტანჯავენ და გვაწამებენ საპყრობილეშიო. სხვა რომ არა იყოს-რა, ის სულიერი ტანჯვაც საკმარისია, რომელსაც იტანდა ჩვენი პოეტი და მასთან ყველანი ამ დროს. აი, როგორ აღგვიწერს ამ ყოფას თ. გრ. ორბელიანი:

“უცებ გრიგალმა უბედობის დამქროლა ესრედ,  
რომ ცა, მომფენი ჩემდა ნათლის, ჰფარა ღრუბელთ ქვეშ;  
სიტკბოს ფიალი წარიტაცეს მის წყეულთა ფრთეთ  
და დამცა უფსკრულს ვაებისას, უმწოდ, უნუგემ,

სადაც ოხვრანი, აღმოსულნი გულისა სიღრმით,  
არვის ესმოდნენ და ჰქრებოდნენ ზღუდეთა შორის!  
სადაცა სწვავდნენ, ვითა ცეცხლი, ღაწვთ ცრემლნი დენით  
და მათ არ სწყვეტდა არავისი ხელი ნუგემის;

სადაც ვერ ვსცნობდი ცისკრის ბრწყინვას, ვერც მწუხრის ჟამსა,  
სად დღე უნათლო იყო ღამედ, ღამე - უვარსკვლავ  
და სად სიკვდილსა ვინატრიდი, ვით ცის ნუგემსა,

თუმცა სამარეს შეედრების, სადაცა ვიყავ.

უჩინოდ ჩემთვის მდინარებდნენ თვისითა წესით  
დღენი და თვენი და ვერც ვსთვლიდი მე მათსა დენას.  
შემაშრნენ ცრემლნი, მაგრამ ჭმუნვათ არა განქარვით,  
არა-თუ ვისგან მე ვისმენდი ნუგეშისცემას,  
არა, წყვდიადას მას სადგურსა სხივნი ნუგეშის  
ვერ მოეფინნენ საშვებელად გულსა უბედურს”...

დიაღ, იტანჯებოდა პოეტი... ტანჯვა კი დიდი რამ არის კაცისათვის... ტანჯვა ხშირად სულის  
ამამალღებელია და განმასპეტაკებელი, თუ შეიძლება ითქვას, სულის გამოძწველია... ტანჯვა კაცს  
ცხოვრების სიმძიმეს აგრძნობინებს და აგებინებს... პოეტის არ იყოს, იგი “უბედურის სახეზედა  
ღრმად ბეჭდავს თვის კვალს; მახვილი გულით ვერ აღჭვლიჯონ შემდეგ სიხარულთ”. და ამ  
ტანჯვას ჩვენს პოეტზედაც დიდი გავლენა ჰქონდა, თუმც ამ საქმეში მისი მონაწილეობის  
სიმცირემაც იჩინა თავი შემდეგ მის ცხოვრებაში...

ჩვენგან რჩეული გზის მიხედვით ჯერ უნდა გავითვალისწინოთ, რა აზრი გამოუთქვამს თ. გრ.  
ორბელიანს სამ უდიდეს საგანზედ სალირიკო პოეზიისა: სიყვარულისა, ესე იგი ადამიანთა შორის  
უწრფელეს დამოკიდებულებათა შესახებ, ბუნების კაცზე ზედგავლენის შესახებ და ჩვენი  
ცხოვრების დასასრულზედ რა ფიქრები აღძვრია დიდად ნიჭიერს მწერალსა. უნდა ვსთქვათ  
მართალი, რომ ხორციელი მხარე სიყვარულისა არც თ. გრ. ორბელიანს დავიწყებია და სპარსეთისა  
და ჩვენი ბოლოს ხნის ლიტერატურის გავლენა ამ მხრით თავიდან ვერ მოუცილებია.  
“სიყვარულსა ჯერ არს, რათა მარად სურვა დაჰბერვიდეს”, თვარაო “ვით ცეცხლს უნივთოდ არ უძს  
დიდ ხანს ენთებოდეს”. სატრფოს “ღ ა წ ვ ზ ე დ ა ღ ყ ვ ა ვ ე ბ უ ლ ვ ა რ დ ს დ ა მ დ ე რ ს, თ მ ა ლ  
ა დ ა ნ ი ს დ ა ს უ ნ ვ ა დ ა ს ა ტ რ ფ ო ს კ ი პ ა რ ო ზ წ ე ლ ი ს შ ე ხ ე ბ ა” ნეტარებად და  
იდეალად მიაჩნის, ბედნიერად იმასა სთვლის, ვინც შესძლებს “ზ ი ლ ფ ე ბ გ ვ ე ლ თ, ვ ა რ დ-ღ ა წ  
ვ თ ა მ ც ვ ე ლ თ დ ა ზ ე დ დ ა კ დ ო მ ი თ, ს უ ლ ა მ ო ხ დ ო მ ი თ, ღ ა წ ვ ე ბ ზ ე გ ა შ ლ ი ლ ს  
ვ ა რ დ ს დ ა ე კ ო ნ ე ბ ა”. რასაკვირველია, აქ მარტო ერთი მხარეა სიყვარულის აღებული, მარტო  
ხორციელი თვისებაა მისი გალექსილი და მარტო ამ ხორციელს მხარეს სიყვარულისას მოჰყავს  
აღტაცებაში თ. გრ. ორბელიანი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მას არ შეეძლო ასე ადვილად განშორებოდა  
ძველ ტრადიციას სპარსულ-ქართულის სიყვარულისას. მაგრამ ახალი სულიც იგრძნო მაღალ  
ნიჭიერმა პოეტმა, ახალი მხარეც დაინახა სიყვარულში. თუ მისი მოწინავე პოეტი (ალ. ჭავჭავაძე)  
მხოლოდ “მგრძნობელობას ამჯობინებს ყოველთ თვისებათ ცით მოვლენილთა, გონებასაცა და  
მშვენიებას, რომელთაც იგი ასულდგმულებს”, თ. გრ. ორბელიანიც ხშირად “შთაფლულა  
სიტკბოებისა ზღვათა შინა გრძნობა დამთვრალი”. მგრძნობელობასა და სურვასაც დიდ  
მნიშვნელობას აძლევს, მაგრამ ახალ ელემენტსაც კპოებს სიყვარულში, მის იდეალურ ზნეობრივს  
მხარეს, მას,

რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს ზეციურისა სხივითა  
და აღვამაღლებს ამ სოფლით სულისა აღმაფრენითა,  
რომლის შუქი გვასპეტაკებს, რომლით სული გვიმადლდება,  
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თ ვ ი თ ღ მ ე რ თ ს  
ე მ ს გ ა ვ ს ე ბ ა .

პოეტს უმაღლესი სიყვარულის გვარიც უგრძნვია, ისეთი სიყვარულის, რომელიც თ ა ვ გ ა ნ წ ი  
რ უ ლ ე ბ ი თ არის აღსავსე, რომელიც იდეალურად უანგაროა, ისე უანგაროა, რომ საყვარლის  
არსებიდან ურთიერთობასაც არ თხოულობს; კიდევ მეტი, ეს არსება მას სტოვებს, ყურადღებასაც არ  
აქცევს, გულ-დათუთქული მისი მიჯნური კი შორიდან ესალმება უკანასკნელად და ეუბნება:

მიდიხარ, სატრფოვ? მშვიდობით! მარად დღე ჩემი კურთხევა  
ცად მიმართ შენთვის მექნება, ვიდრემდის სული მელევა.  
აწ დავშთი მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს  
მშვიდობა”.

ანა და ის ლექსი, საცა პოეტი თავის გულგრილ სატრფოს ეუბნება, “შენ განსვენებით ოღონდ  
იცოცხლე და მე თუ გინა საფლავმა მფაროს”.

ეს უმაღლესი სიყვარულის გრძობა თანდათან ფეხს იდგამს და მტკიცდება თ. ორბელიანში, უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება და ბოლო ხნის ლექსებში ამ გრძობას ღვთაებრივ გრძობად უწოდებს, საუკუნო დაუსრულებელ, უკვდავ გრძობად. სატრფოს ხმა სიკვდილის ჟამის დამატკობელია, მისი სიყვარულით იგი “უკვდავებას სცნობს”, რომ მოკვდეს, მისი სიყვარული თან წაჰყვება, რადგან იგი

“არს უკვდავება, სულის დატკობა, რომელს დასასრულ არა  
ექნების

და სიყვარული სულის მაშვენი სიცოცხლეს თანა არა დაჰშრტების,  
თვარა სიყვარულს თუ დავჰკარგვიდე, უკვდავებამან მის წილ რა  
მომცეს?

უსიყვარული სასუფეველი, ვით საჰყრობილე ჩემთვის შეიქმნეს”.

რუსთველიც “სიყვარული აღგვამაღლებსო” სწერდა. თქვენ მერე ნახავთ, სანამდის მიაღწია სიყვარულის ამგვარად გაღმერთებამ თ. ბარათაშვილის ლექსებში. უკვდავების წყაროდ სიყვარულის აღიარება, სიყვარულის “უკვდავების ცნობის ხედ” განცხადება საფრანგეთში ლამარტინის პოეზიამ წამოაყენა. მაგრამ მეტად დიდი ორიგინალობა ჩვენის პოეტისა მამი მდგომარეობს, რომ მან შეიგნო ორივე მხარე სიყვარულისა - იდეალური და ფიზიოლოგიურ-რეალური და სავსებით გამოხატა ეს გრძობა, კიდევ მეტი, სავსებით გამოხატა ფსიქოლოგია შეყვარებულის ადამიანისა და საკვირველია ის, რომ ამ ფსიქოლოგიაში უფრო ფიზიოლოგიურს მხარეს მიაქცია ყურადღება:

მნათობო, თვით შენ აღმიხსენ, რა მემართების, რასა ვგრძნობ.

როს გხედავ, რადა ვწითლდები, რად ვკრთები, ვშიშობ და ვხარობ”

და სხვ.

და, აი, კიდევ უფრო მეტად მკაცრად და სავსებით დახატული ხორციელი მხარე ამ გრძობისა. საყვარელი ელის სატრფოს, ამ დროს შეირყევა

“ვარდთ ბუჩქი - გული რად ესრე მიკვდება?

ვიდრე თვალი ნახეს, სულმან სცნა საყვარლის მოახლოება;

ჯერ თვალი ძლივს ნახეს და მე კი მასა დავუწყე ბაგება...

ჩვენ ორთა აზრნი, თვით სულნი, ერთად შეერთდნენ, შედუღდნენ,

და სიტკობების ზღვას შინა გრძნობათ დამთვრალთან შთაეფლნენ!

ვეღარა ვგრძნობდით გულ-მგერას, ვერცაღას თვალნი ხედიდნენ,

უნოდ ქმნილნი, უგონოდ, განვედით ამა სოფლით ჩვენ!...

სადა ვიყავით მაშინა, რომელსა სასურველს მხარეს?

ცნობა გვეკარგა წამს, მარა სამოთხე იყო წამი ეს!...

ჰფრინვიდნენ წამნი და ჩვენ კი მათ ფრენა არა გვსმენიეს:

ესრედ გონება მარადის ტრფობის აღს აუხოციეს!”

სიყვარულის ყოველი ელემენტის და თვისების ეგრედ სავსებით მცოდნე პოეტს არ გამოჰპარვია, რასაკვირველია, ისიც, თუ რა აქვს ამ გრძნობას სანეტარო და მტანჯი. პოეტს იმდენზე გადანასკულად მიაჩნია ეს ორი გრძნობა სიყვარულისგან აღძრული - ტანჯვა და ნეტარება, რომ უერთი-მეორეოდ არც კი მიაჩნია შესაძლოდ სიყვარული და თუმც შესაძლო იყოს, არ მიაჩნია ხელსაყრელად, მიტომ, რომ “ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა, დამბერველ ეშხის ცეცხლისა, ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი უზომო სიყვარულისა”. ამიტომაც “სატრფო უნდა გვტანჯავდეს, ხან უწყალოდ გულს გვიკლავდეს, ხან ღმობითა ნუგემ გვცემდეს! მიჰხედეთ ვარდსა, მაშინ ჰვენს უმეტეს სუნნელებათა, ოდეს ნიავი შეხებით შეარყევს მისთა რტობათა!” ასე რომ, შეყვარებულის კაცის გული ვარდი არის, რომელიც მაშინ უფრო უმეტეს სუნნელებას მოჰვენს არემარეს, როცა სატრფოსაგან მოვლენილი ტანჯვა (ნიავი) შეარხვეს. ტანჯვა არის მიუცილებელი პირობა სიყვარულისა და სიყვარულისაგან შექმნილის ნეტარებისა. ასეთი გაგება სიყვარულის სიმწარისა და სიტკობებისა ფრანგ ლირიკოსთა შორის დევინიმ და მიუსსემ გამოიჩინეს, მაგრამ კიდევ და კიდევ ორიგინალობა ჩვენი პოეტისა იმაში იხატება, რომ ზემოხსენებულნი მწერალნი სიყვარულის ნეტარებას მომხამულადა და მოწამლულად სთვლიან ამავე გრძნობისაგან გამოწვეულის ტანჯვების გამო, და ამიტომ სევდითა და კვნესით უყურებენ ამ გრძნობას. ჩვენი პოეტი კი თვით ამ



ორმხრივობას სიყვარულისას დაჰმდერის, მისგან გამოწვეული ტანჯვა-სიამე მიაჩნია მომხიბვლელ რამედ, ამიტომაც ეს გრძნობა მას სიცოცხლის მომშხამველ საგნად კი არ მიაჩნია, “მისგან მოგვეცემის იმედი, ნუგეში, სიამოვნება, ღიმილი”.

ერთი სიტყვით, თ. ორბელიანმა ჩვენს პოეზიაში სიყვარულის სხვა რიგი განმარტება შემოიტანა, ძველი ხორციელი სიყვარულის გალობა თუმცა ვერ დაივიწყა და არათუ დაივიწყა, მეტად კარგადაც შეიშვნო, მაგრამ დანტესი და პეტრარკასი, ბარათაშვილისა და ლამარტინის არ იყოს, მისი ამაღლებული, იდეალური თვისებებიც მეტად კარგად შეიგნო, შეიგნო, რომ კაცი, რომლის გულიც სიყვარულით არის აღსავსე, “წინა-საბრკელად რაი აღუდგეს, რას არა აღასრულებდეს?” ესეც კი უნდა შევნიშნოთ, რომ ხორციელება სიყვარულისა თითქმის უფრო ძლიერადაა აქვს გამოხატული, ვინემ მისი სულიერება... ხოლო ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უკვდავება ამ გრძნობისა, იმისი ძალა, სულის ამამაღლებელი და სიცოცხლის განმაცისკროვნებელი ეგრეთ წოდებული პლატონური სიყვარული მან გვაგრძნობინა პირველად ჩვენს ლიტერატურაში და მანვე დაუტოვა სამკვიდროდ ნ. ბარათაშვილსა და სხვა ჩვენ პოეტებს.

და ეს იმიტომ, რომ ბ-ნ. ნიკოლაძის არ იყოს, ხალხის ცხოვრებაში ყოველი კერძო მხარე, ყოველი მცირე მოვლენა თითქმის ყოველთვის საზოგადო ხასიათისა და მდგომარეობისაგან წარმოებს და ამ საზოგადო მდგომარეობის ახსნას და გაგებას აადვილებს. სიყვარულზე შეხედულებაც, ამ კანონის ძალით, საზოგადო მდგომარეობის შედეგია და ხალხის ცხოვრების და ბედის შეცვლისადაგვარად სხვავედება. როცა ხალხში ან მოწინავე საზოგადოებაში სულით დავარდნა ბოლოვდება, როცა იმედი ბრუნდება და დაღალულება თავდება, ხალხის უკეთესს პირებს გრძნობაც უპატიოსნდებათ, ხასიათიც უმაგრდებათ და სიყვარულიც მაშინ იმათ მარტო მატერიალური სიამოვნების წყაროთ კი არა, უფრო მაღალი ლტოლვილების დამხმარე ძალად ეჩვენებათ (გრ. ორბელიანის გარჩევა, “კრებული” 1873 წ.).

ორმაგობა სიყვარულის გრძნობის გამოხატავშიაც სწორედ ჩვენ იმდროინდელის საზოგადოების ზნეობრივის მდგომარეობის სარკე არის... ერთის მხრით, ცხოვრებაში მეფობს “ცხოვრების მეზრძოლთა” გუნდი, რომელნიც პირადის პირუტყვეულის გრძნობების დაკმაყოფილებას ანაცვალებენ დიად გატაცებას ყოველთვის, ანა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი მიჯნურობის პირუტყვეულ მხარეში იძიებენ განსვენებას, მეორეს მხრით კი იზრდება ახალი აზრი, ახალი შეხედულება, ახალი იდეალები ებადება საზოგადოებას... მამულისათვის თავის განწირვა, ერისთვის სამსახური, პირად ქვენა გრძნობათა დატუქსვა და სულიერის მხარის ამაღლება.

მეორე გრძნობას კაცთა კავშირისა, მეგობრობას ჩვენ პოეზიაში არც გრ. ორბელიანამდის და არც მერე არ მოუპოვია ისეთი საპატიო ადგილი, როგორც თ. გრ. ორბელიანის პოეზიაში და ერთ საუკეთესო მის ლექსად უნდა ჩაითვალოს ამ გრძნობის გამომხატველი ლექსი, “ჩემს დას ევემიას”, რომ ცოტა გაჭიანურებული არ იყოს, ცოტა რიტორიკით არ იყოს აჭრელებული.

პოეტს, რომლის გულს “მოსეულნი ჭმუნვათა დასნი გლეჯენ შეუბრალებლად”, რომელსაც “ჭმუნვისა ცეცხლით დამწვარს შეაშრენ ცრემლნი” და ეს უკანასკნელი შვებაც მოაკლდა, რადგან დამწვარს გულს აგრილებს ცრემლი, პოეტს, ესდენ დატანჯულს, რომელსაც გონება შეჰქმნია ჩლოუნგად და ქვადა გული, რომლის უსასოება და უნუგეშობა იქამდის მიდის, რომ “სიყვარულისა სურვილი ვერ დაუთრობს გულს, მისი სიცოცხლე ვედარ დასტკბეს სიხარულით, რადგან სოფელს მუხთაღს, საამურის ოცნებით აღვისილს უმზერს მიუნდობელ გამოცდილ თვალით, რომელსაც ხვალე აღარა სწამს, ვით ღამეში მაცდური სხივი”, ესდენ კაემნებით აღსავსე პოეტს ერთი ნუგეში დამთენია ამა სოფელს - დის მეგობრობა “მისად ნუგეშად, მისდა შვებად სასიხარულოდ, ლხენად გულისა, უდროოდ მწარ-დამჭკნარისა, განმასვენებლად კვეთებათგან ბოროტმხვედრისა! ცხოვრების ბნელს გზას იგი უნათებს შვების ვარსკვლავით, მისი ღიმილით შეჰმუხვნილ სახეს ნათელი ეფინება, მისი ალერსი მშვიდი, წყნარი, გულდატანჯულს ენატრების”. და მისთვის ვლოცავო ცას, - ამბობს პოეტი, - “შავნი დღენი ჩემთვის შთომილნი არ შესწყდნენ, ვიდრე კვალად ჩემთა თვალით არ გიხილონ, და მაშინ ოდეს საუკუნოდ მივლულო თვალინი, მშობლიურ მიწა ხელთა შენთა გულს დამაყარონ”. და არათუ მარტო ამ ლექსში, პოეტს ხშირად უმდერია მეგობრობისათვის, ხშირად აღუმაღლებია იგი გრძნობა ღვთაებრივობამდის, “მ ე გ ო ბ რ ო ბ ი ს ა გ ა ნ, ვ ი თ ს ი ც ო ც ხ ლ ი ს გ ა ნ, ჩ ვ ე ნ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა ა რ ს ტ უ რ ფ ა დ ა ღ ყ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ო, მწუხარებაში მათ მივეყრდნოთ, მყისვე განგვიქრენ სევდები, მოგვეცენ იმედი, ნუგეში, სიამოვნება, ღიმილი,” მეგობრობა შვების ვარსკვლავია, ცხოვრების გზის განმანათლებელი, ყვავილით ცხოვრების გზის მომფენელი. ამიტომაც პოეტი აღტაცებით გაიძახის: “მეგობრობასა წმინდასა შევსწიროთ სრულად, რაც გვაქვდესო”.

ადამიანთა შორის განწყობილებაზედ თუ სხვაგვარი გრძნობა და აზრები აღვიძრა თ. გრ. ორბელიანმა, ბუნებისა და კაცის დამოკიდებულებაც სხვაფრივ გამოგვისახა. ალ. ჭავჭავაძე თუ ბუნებას იმ თვალთ უყურებდა, როგორ განწყობილებაზედაც მიჰყვანდა სატრფოს ალერსს ან რისხვას, და თუ თავისდათავად ბუნებას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა, გრ. ორბელიანმა სულ სხვაფრივ შეხედა საქმეს და აქაც ნ. ბარათაშვილის წინამორბედი გახდა და ლამარტინთან ერთად ბუნება კაცის ნუგემ, კეთილ თანამგრძობლად მიაჩნდა. როცა სატრფოს ელის და პოეტის გული სიამოვნებით არის აღვსებული, ბუნებაც მას თანაუგრძნობს, განწყობილების სასიამოვნო ნიადაგს შეჰქმნის, შესახამებელ დეკორაციას უკეთებს: “მთოვარე, აშოკთ მოწამე, სიამით ნათელს მოჰფენდა, ნიავი სუნელით ყვავილთგან ჰკრეფდა და ქროლით მოჰბერდა, ბულბულიც ბუჩქში დაფარვით ვარდსა გალობით შესტროფოდა და მით გულს ცეცხლი ტროფობისა უმეტეს აღმეგზნებოდა. ვაზნი ფურცელთა გადაშლით ჩემზედ კამარას შეჰსდგმინენ”. როცა სატრფონი სიტკბოების ზღვას შთაეფლნენ გრძნობით დამთვრალნი, მაშინ “მთოვარე, აშოკთ მოწამე, სიამოვნებით დაგვმზერდა, ნიავი სუნელით ყვავილთგან ჰკრებდა და ქროლით მოგვბერდა”.

როცა სატრფოს შორდების, ბუნებაშიაც თითქო რაღაცა მსგავსი ხდება, “მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ჟამს კავკასსა, თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა;” ხოლო “ზუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი, სხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი”. “სხედან” დუმილით მოცულნი, ვითა პოეტი, რომელიც შეწუხებული უმზერს გზას და “მასზე ეტლსა მიმსრბოლსა, მიმტაცსა ყოვლის კეთილის”. “მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზე დასწოლიან და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან”, ისე როგორც პოეტის თავი მოცულა შავისა და ნაღვლიანის ფიქრებით, რომელიც მზად არის წყევ-კრულვად იქცეს, მაგრამ ქვევით მთისკალთები შეუმკია გაზაფხულისა ტყეს, შემოსილსა სიმწვანით, და შეამკობს მათ “სატკბოსუნელითა მოფენით” და თითქო ამას ბუნების მრისხანებაც მოუღბილებია და პოეტის გულიც გაუღვია. მისი წყევ-კრულვა, თავგანწირულ სიტყვებად იქცევა, სატრფოს გზას ულოცავს და მარად დღე კურთხევას უსაგზლებს. სატრფო დიდი ხანია თვალიდან მიემალა მგოსანს. მისთვის სიცოცხლე დაბნელდა, მარტო სევდა აწვება მის გულს და ცრემლი თვალეზზედ ადგება და ბუნებაშიაც “შეღამდა... დაყრუვდა არე... მხოლოდ სჩანს, მთანი მდუმარედ აყუდებულან ცათამდის, და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაჰნათის.” მაგრამ ვერც ვარსკვლავმა გააძნოს მთის ყინულით დაფარული, ვერ ჩაუწვდინოს გულის სიღრმემდის სითბოს სხივი და ვედარც პოეტის გაქვავებული გული დანამოს ცრემლებმა, ვერც ექმნეს სანუგემოდ მარტო ერთი მქრალი წარმოდგენა და ხსოვნა თავისი სატრფოსი.

როცა სატრფოს ესალმება, როგორც მზე კავკასიის მთებს, მისი აზრიც ამ სატრფოსკენ მიისწრაფვის, ისე როგორც

“წყალნი მითით დაქანებულნი, აღმასებრ უბსკრულს ჰსცვივიან,  
თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ზანს ეუბნებიან.

მის დამალულ აზრთაც მისი მზე სატრფო ისე ამჟღავნებს, ისე აბრწყინვალეებს, როგორც მზე დაქანებულ წყალს აღმასებრ აბრწყვილებს... სატრფო მოშორდა, მისი აზრებიც განიფანტა, სადღაც სიბნელემ და წყვდიადმა მოიცვა, ისე როგორც მზეს მოშორებული “წყალნი, მთით დაქანებულნი, უფსკრულსა იკარგებიან, თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან”. ეს პოეტური ხერხი სურათთა დაპირდაპირებისა სწორედ დიდის ნიჭის მომასწავებელია და მაჩვენებელი იმისაც, რანაირად სწამდა პოეტს ბუნებასა და კაცს შორის კავშირი. ბუნების დეკორაცია ერთი და იგივეა, ხოლო ვინემ პოეტს სატრფო არ დაჰკარგვია თვალისაგან და ბუნებაში “მზე არ ჩასვენებულა”, წყალნი მთით დაქანებულნი აღმასებრ უფსკრულს სცვივიან, და, ჰგავს, აქაც კიდევ არ განშორებიან ბუნებას, რადგან უფსკრულში ჩაცვივნილი წვეთებიც კი იხილებიან, ხოლო სატრფო მისტაცა ეტლმა პოეტს; მზე ჩაესვენა, უკანასკნელი შუქიც მზისა მოშორდა კავკასიონს და ბუნებაც შეიცვალა, წყალი აღარა სჩანს, “წყალნი მითით დაქანებულნი უფსკრულსა იკარგებიან”.

სუყველგან ბუნება ცდილობს კაცს მგოსანს თავისი თანაგრძნობა გამოუცხადოს, სიამე დანუგეში მიავლინოს. “შესწყდა ომი, და დუმდა არე. აჰა, მთოვარეც ნელიად შუქსა, ვითა ნუგეშსა მოჰფენს საშველად”. და რასაკვირველია, თუ “ბუნება განმაცხოველი, გულისა ჭმუნვის გამქარველი”,

სიცოცხლის დამატკბობელი აღტაცებითა და მადლობით აღავსებს პოეტს და აღფრთოვანებულ სიტყვებით მიჰმართავს ყოვლის შემქნელისადმი:

“ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს, მისფერ უცვალავ  
შვენებას?  
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ბადავ ცხოვრებას!”...

მხოლოდ ბუნების ამგვარი ჰარმონიის, ბუნების ამგვარი დიდებულების დამრღვევი თვით კაცივე ხდება თავის პირუტყვეულის სურვილებითა და ლტოლვილებით. “ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად სურს სისხლი კაცისა” და პოეტსაც გაკვირვებით ავსებს ეს დისჰარმონია ამ ჰარმონიულს სურათში, ეს დისონანსი ამ მშვენიერს სიმფონიაში.

როგორც თ. ალ. ჭავჭავაძე ცნობილი იქმნება ჩვენს ლექსებში, როგორც დიდი ნიჭით აღსავსე მოსახლის სიყვარულისა, ისე თ. გრ. ორბელიანის უპირატეს ღირსებას შეადგენს მისი ამგვარი შეგნება ბუნებისა და ამ შეგნების, შეხედულების საუცხოოდ გამოხატვა. მართალია, ორ-სამ ლექსში და ისიც რამდენიმე სტრიქონი აქვს მიძღვნილი ბუნების აღწერილობას, მაგრამ თ. გრ. ორბელიანამდის ისეთი ძლიერებითა და მხატვრულის ხელოვნებით არც ერთს ჩვენს პოეტს ბუნების სურათი არ დაუხატავს და ამით, მართალია, იგი მაღლა სდგას რუსთაველზედ... მაგრამ ის უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ რუსთაველი ეპიკოსია, ეპიკოსს კი თავისი გრძნობების გამოხატვის ნება და სურვილი არა ჰქონდა, და, თუ ამას მოინდომებდა, თითქმის შეუძლებლად და მიმალულად უნდა გამოეთქვა. სხვა დრო იყო, სხვაგვარი ლიტერატურის ნაწარმოები შეეფერებოდა ამ დროს და ამიტომაც სხვა ხერხსაც მიმართავდა ხოლმე პოეტი. თ. გრ. ორბელიანი კი ლირიკოსი იყო და მისი პირდაპირი დანიშნულება იყო ასეთი საგნის შესახებ თავისი გრძნობები გამოექვეყნებინა. ხოლო თ. ორბელიანის მომდევარი მწერლები - თ. ბარათაშვილი, ილ. ჭავჭავაძე და მოჩუბარბიძე - არ ჩამოუვარდებიან და კიდევ მეტად უფრო მაღლაც სდგანან იმაზედ. ყოველს შემთხვევაში თ. გრ. ორბელიანის დამსახურება ის არის, რომ როგორც რუსსომ, ბერნანდენსენ-პიერმა საფრანგეთის ლიტერატურაში, ისე მან პირველად შემოიტანა ქართულს სალირიკო ლექსებში ბუნების აღწერილობა და, ვიტყვი, უაზრო აღწერილობა კი არა, პირველად მან გამოსთქვა პოეტი-ლირიკოსის აზრი ბუნების კაცზე ზედგავლენის შესახებ, ბუნებასა და კაცთა შორის არსებულ დამოკიდებულების შესახებ.

რაიცა შეეხება სალირიკო ლექსების მესამე მთავარ საგანს, ცხოვრების დასასრულზედ ფიქრისაგან გამოწვეულ გრძნობების აღწერას, ამაში ჩვენი პოეტები ძალიან ქვეითობენ. ნუთუ ჩვენი ცხოვრების მხედველს პოეტს ხშირად არ უნდა მოსდიოდეს ფიქრი სიცოცხლისა და ცხოვრების მოსპობაზედ? არ ვიცი, რას უნდა მიეწეროს: ქართველის უდარდელსა და უზრუნველს ბუნებას, თუ მისის გონებისა და გრძნობის სიმჩატეს, რომ ასეთი საგანი თითქმის უყურადღებოდ აქვს მიტოვებული ჩვენს სალირიკო პოეზიას, მაშინ, როდესაც ევროპის ცნობილ ლირიკოსთა უმეტესობას უყურადღებოდ არ დაუტოვებია იგი... ალ. ჭავჭავაძემ ერთ ლექსში მაინც გამოხატა ეს საგანი, სიკვდილს “სისხლის მწყურვალე” და შეუბრალი უწოდა, ხელში ბასრი ხმლით აღჭურვილად მიიჩნია. გრ. ორბელიანმა კი განიმეორა დიდებული ეპიკური ლექსი რუსთაველისა, მაგრამ ბევრად უფრო ნაკლების მხატვრულის ნიჭით გამოსთქვა იგი. “ამ ზენა სჯულსა,” ამბობს პოეტი თავის ეპიტაფიაში, “ვერა არსი ვერა ასცდეს, ვერცა ხელმწიფე დიდებისა გვირგვინით, ვერცა გლახაკი შემოსილი ძონძითა, ვერც სიჭაბუკე მშვენიებითა შემკული და ვერც მოხუცი დაღალული სიცოცხლით! ყველა იცვალოს, ყველა მოჰკვდეს, დამიწდეს”. შეადარეთ ეს ლექსი უკვდავ სტრიქონებს რუსთაველისას: “ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი, მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი; ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი”. თქვენ ხედავთ, რომ პოეტმა ეპიკოსმა, პოეტმა, რომლის მოვალეობაც იყო ყოველი პირადი გრძნობა და აზრი განეძვეებინა თავისი თხზულებიდან და მხოლოდ საზოგადო სენტენციებით გამოეთქვა თავისი აზრი ამა თუ იმ საგნის შესახებ, უფრო მხატვრულად, უფრო კარგის სურათებით შესძლო და გამოხატა თავისი აზრი. თ. გრ. ორბელიანის ლექსი კი უფრო საეკლესიო მჭერმეტყველობას მოგაგონებთ, ვიდრე სალირიკო ლექსსა.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ორბელიანის ზოგიერთს ლექსში ბევრი რიტორიკაა და უფრო იმ ლექსებში, რომლის აზრებიც პოეტს კარგად ვერ შეუთვისებია და ვერ შეუგნია... ბევრია ეს საეკლესიო მჭერმეტყველობა ამ ლექსებში... ეს ლექსები კი ის ლექსებია, საცა რომანტიკოს-ლირიკოსი, პირად სევდათა და ურვათა გამოხატველი, ცდილობს საზოგადოდ დარდი და კაემანიც გამოსთქვას, ჩონგურს სამგლოვიარო და საზარო ხმები გამოაცემინოს და ეს იმიტომ, რომ არც

საზოგადოება იდგა გარკვეულს და გაკაფულს გზაზე, რომ პოეტის აზრი და გრძნობაც ერთის წერტილისაკენ მიემართა, და არც პოეტს ჰქონდა გენიოსობა, რომ წინამორბედობა და წინამძღვრობა ეთავა. მერმე კიდევ ერთს რასმე მოგახსენებთ და ნუ გავცდებით, ნურც გაგიკვირდებათ, რადგან ამ აზრის გამოთქმა პირველს მე არ მეკუთვნის, არამედ იმავე კრიტიკოსს ფრანგს, რომლის ევოლუციის თეორიითაც ლიტერატურაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ ჩვენის ლირიკოსების გარჩევაში. პოეზია და სალირიკო პოეზია არის ერთი გვარი ფილოსოფიისა. როგორც ფილოსოფია, პოეზიაც უნდა ელტვოდეს მოვლენათა შორის დაფარულს კავშირს, საუკუნო დაუსაბამო გრძნობათა შინაარსს, ნოუმენს, როგორც ფილოსოფოსები ეძახიან. პოეზია თუ საიდუმლოებას არ ელტვის, პოეზია არ არის, პოეზია თუ მათემატიკურ თეორემებად გარდაიქცა, ლოგიკის თეზისებად და პუბლიცისტიკის დალაგებულ სტატისტიკაზედა და ყოველდღიურს ფაქტებზედ აღგებულ მსჯელობად, თავისს მოძიბლველობას დაჰკარგავს... არის საგანი, რომელიც პუბლიცისტიკის საქმეა, ეს გახლავს სამშობლო მდგომარეობის გამორკვევა ამა თუ იმ ისტორიულს ხანაში, აღწესხვა ზომებისა ამ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და ამგვარისა თუ იმგვარის მოვალეობის დასახვა ერისთვის... მამულის სიყვარული, მამულის საფრთხიდან დახსნა მეტად გარკვეული რამ არის, მეტად ცხადი და შესაგნები, ძლიერ ცოტაა აქ ფარული - დამალული და ამიტომ მამულის, სიყვარული ვერ აძლევს სალირიკო პოეზიას შინაარსს. ამ შემთხვევაში ეს გრძნობა პოეტმა უნდა სიმბოლურად გამოხატოს (მაგ. აკ. წერეთლის ლექსები), უნდა სხვა რამ ხერხი იხმაროს, რომ ჩაგრულისა და დამონებულის ერის სულის განწყობილება დაგვანახოს, ერის ვაების, კვნესისა და გოდების სიღიადე და საიდუმლოება გვაჩვენოს, თორემ განა ეს მხატვრული გამოხატვაა რისამე გრძნობისა, და არა რიტორიკა:

“დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შესწირა  
მსხვერპლად,  
დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი გულს  
აღბეჭდილად”.

აბა რა არის, თუ არა ქადაგება, თუ არა საეკლესიო კათედრის შესაფერი მჭერმეტყველობა.

“ჰე, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული  
არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?  
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხიოს თვისი სისხლი,  
არ დააკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი!

. . . . .  
სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,  
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერარას არგებს მამულსა!  
მის სადიდებლად ჩვენც შევხვდეთ უშიშრად ათას მახვილსა,  
და მოვჰკვდეთ, თუკი სიცოცხლით ვადიდებთ მისსა სახელსა!”

ეს ლექსი “სადღეგრძელოდან” გახლავთ. ერთი ნაწილია ამ ლექსში კარგი და ეს სწორედ ის სფეროა, სადაც თ. გრ. ორბელიანი ძლიერია: ეს ბუნების აღწერილობაა, ბუნების ძალთა ზედგავლენა სამშობლოს სიყვარულის აღორძინებაში:

“სადა შევჰხარით ლაჟვარდად ცისა კამარას მორთულსა,  
მასზე მავალსა ხელმწიფებრ, მზეს ბრწყინვით განსხივებულსა,  
ღამით ვარსკვლოვანს ფირუხსა, მთოვარით განათებულსა!  
სიცოცხლის მომფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა!  
სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცადმდე ასულნი  
და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზედ მსროლელნი,  
უფსკრულნი ჩაბნელებულნი, კლდენი - თვალ-გადუწვდენელნი,  
სად მონადირე ჰსდევს ჯიხვსა და მის ქვეშ ვლენან ღრუბელნი.

სად ველნი, ფერით ზურმუხტნი, ნაზადა აღმწვანდებიან,  
მათზე კასკასით წყარონი გახარებულნი მორბიან;  
მათ სიკამკამეს ყვავილნი თავ-დახრით განცვიფრდებიან,  
გულს მათი ხილვა უხარის, თვალთ კვალად ენატრებიან!”

მაგრამ ნუთუ მწვანე ველი და ყინვით მოსილი მთები გვაყვარებს სამშობლოს, ნუთუ ინგლისელსა და ჩრდილოელ ხალხს სამშობლო არ უყვართ, თავისი მიწა-წყალი საუკეთესო ედემად არ მიაჩნიათ, მთიულს სალი კლდეები უკვდავების ხის დარად არ აქვს აღსარებული? არა, სიყვარული სამშობლოსი შეიცავს უფრო სხვაგვარს კავშირს, ისტორიულსა და ზნეობრივს ნიადაგზედ დამყარებულს, კავშირს წარსულთან და მომავალთან, კავშირს ერისას, რომელსაც გამოუსახავს იდეალი ცხოვრებისა და იდეალის განსახორციელებლად ის იარაღი მოუხმარია, რაც მისთვის ბუნებასა და ისტორიას მიუცია. ამისათვის, თუ გინდა სალირიკო პოეზია შეურიგო ამ თემას, ამ საგანს, უნდა ან ისეთ რეალურ არსებად გადააქციო იგი, როგორც ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი შერებიან, ოცნებით სატრფოდ გამოუსახავთ და ამ სატრფოს ზედ-იღბალს დასტირიან თუ დასცინიან; ერთის სიტყვით, უნდა მიჰმართო იმ ხერხს, რომელსაც პოეზიაში სიმბოლიზმი ჰქვია, ანა და ყოველთვის მშრალი რიტორიკული ფრაზები გამოვა, რომელიც გრ. ორბელიანს უყვარს ხოლმე. თვით კარგად გრძნობდა, რომ ეს ფრაზებია. თვითვე ამბობს ერთ ადგილს თავის “სადღეგრძელოში”: “კმარა მოძღვრებაო”. დიად... თვითვე გაიგო შეგნებულმა პოეტმა, რომ ეს მოძღვრებაა, მეტი არაფერი.

საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს “სადღეგრძელო”, დღემდის ჩვენის ლიტერატურის საუკეთესო ლექსად აღსარებული, უნდა მივიჩნიოთ უსუსტესად... რადგან მოკლებულია მრავალს ღირსებას. ორი-სამი ადგილი კარგია, მაგრამ ეს ვერ გამოისყიდის ამ თხზულების ნაკლულევანებას. უხერხულია ფორმით, უხერხულია მხატვრულის მხრივაც... არ არის პოემა, რადგან არაკი არა აქვს; არ არის სალირიკო ლექსი, რადგან ამგვარის თვისება არის სიმარტივე, მოკლე თქმულება და მკვეთრად გამოხატული აზრი, ეს კი მეტად გაჭიანურებულია. ეს არის მუხლები მოძღვრებისა... მცნებისა, გალექსილი: მუხლი პირველი - “წინაპართ მოხსენება”, “რომელთა დასდევს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად” და ამ დიდების მომფენელ, გამამხნეველ სახსოვართა შორის ურევია ისეთებიც (რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I-იც კი), რომელთაც არ უნდა ჰქონდეთ აქ ადგილი; მეორე მუხლი გვიქადაგებს მამულის სიყვარულს; მესამე მეგობრობის ვარსკვლავს გუნდრუკს უკმევს; მეოთხეში სიყვარულის ამამაღლებელს შუქს მის უკვდავებას უგალობს; მეხუთეში ბუნების მშვენიერებას გვიხატავს და სწორედ ეს მეხუთე მუხლი არის აღსავსე პოეზიითა და მშვენიერებით.

“ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეჰღება,  
ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შევენება!  
აენთენ ცეცხლის ალებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი;  
ცა მშვენიერობს, ნათლდება... მასა შევნატრით მხილველნი!

ილევა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან,  
ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!  
მოჰქრის დილისა ნიავიც გულისა მაგრილებელი;  
ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი!

ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!  
დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით, ჰგალობს ბულბული?  
ირაკლის თაფაც გამოჩნდა... აჰა, მთაც კიდობანისა!..  
აი, მყვირალა ზანგიცა და ბურჯნი ერევანისა!!”..

მამულის სიყვარულის გასაძლიერებლად ხშირად პოეტები და მწერლები ისტორიას მიმართვენ ხოლმე და იქიდან უჩვენებენ იდეალურს ტიპებს, სამშობლოსა და ერისათვის თავდადებულ გმირთა, იდეალურ პირს, საზოგადოების კეთილდღეობისთვის თავდადებულს, ანდა რომელისამე ეპოქის საზოგადოების ენთუზიაზმსა, როცა ერში ღვთაებრივი დიადი გრძნობები იღვიძებენ, რათა დაუპირდაპიროს ერის ეხლანდელს გათახსირებულს ცხოვრებას... ვერც ეს ხერხი იხმარა კარგად თ. გრ. ორბელიანმა... მართალია, “წინაპართ მოსახსენებლად აიღო თასი ხელში”, მაგრამ უბრალო ფაქტებისა და სახელების ჩამოთვლას მოანდომა მთელი ათი გვერდი. თქვენ თვალწინ გეშლებათ ფურცელი სახელწოდებათა: ფარნაოზ, ერთ-მთავრობის შემქმნელი, მირიან, ჯვარისა ძალით გარშემორტყმული, გორგასლანი, რომლის შეხედვით სპარსელნი თრთოდნენ, დავით (აღმამენებელი) უძლეველი მხედართმთავარი, გულმოწყალე მსაჯული, თამარი, რომლის წინაშე ძლევა და მუხნი განადიდებენ მისსა მეფობას, დიდი ორბელი, შოთა უკვდავი, ბრძენი ჭყონდიდი, მხედართ-მთავარი დიდი მხარგმელი და გამრეკელი ლომებრ გულადი, ქეთევან ნაზად აღზრდილი, კახეთის მხსნელი გმირები ელიზბარ, შალვა, ბიძინა, ვახტანგ სვე დამწარებული -

სჯულისა წიგნით, მეფე ირაკლი, რომლის დღენი ემსგავნეს ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს, და სხვა და სხვ...

პოეზია უნდა გასაგები იყოს უმეტესობისათვის; პოეზია არის, კიდევ ვიმეორებ, ფილოსოფია, სურათებით გამოთქმული, თუ გნებავთ ფილოსოფიის პოპულარიზაცია, ისტორიის მხატვრულად გამოხატვა, და არა უბრალო მშრალი ტრაქტატი ანდა ქრონოლოგიური ფურცელი... ჩვენ ვეცდებით, დავანახოთ მკითხველს შემდეგში, როგორც მოიხმარა ისტორიული ფაქტი ბარათაშვილმა “ქართლის ბედში”, რომელიც უნდა ჩაითვალოს შედეგად რეალურ პოემისა, რა სამსახური გაუწია ისტორიულმა სიუჟეტმა ილ. ჭავჭავაძეს თავის “დიმიტრი თავდადებულში”.

ამას დაურთეთ ისიც, რაც მე ერთხელ კიდევაც მოვახსენეთ, რომ თ. გრ. ორბელიანს ვერა ჰქონდა გამორკვეული აზრი სამშობლოს შესახებ. იგი ვერ იყო წარმომადგენელი, შემგნებელი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის გრძნობისა და ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ ისეთს წრეში ტრიალებდა, რომელმაც 1832 წელიწადი ჩვენის ახალის ისტორიის დასაწყისად შეჰქმნა. თვით მისი “სადღეგრძელო” ნათლად გვიჩვენებს, რომ სულ სხვა წრეს ეკუთვნოდა, ხოლო ნიჭიერი პოეტი ვერ გაეცა დროს, აღძრულსა და განმტკიცებულს აზრს, საზოგადოებაში დაბადებულს, ზურგი ვერ შეაქცია და ამიტომაც ძველი დიდების ტირილი მორთო, რაიცა შეიცავდა აწმყოთი უკმაყოფილებას, ხოლო მთლად ვერ შეეწყო ამ აზრს და აწმყოს დიდებაც დაიწყო (“სადღეგრძელო”). ამ შემთხვევაში მისი “იარალი” უფრო გარკვეულის აზრის გამომთქმელია, რომ მეტისმეტი ადგილი არა ჰქონდეს დათმობილი “მოთაღს, თევზს, მწვანილებს”, რომ

“ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი,  
ჯირითთ სრიალი, ყურთმაჯთ ბრიალი,  
უზანგთა ცემა, ცხენითგან ხტომა,  
კვალად ზეხტომა და ხმალთ კრიალი...

მეტის მეტად არ იტაცებდეს. ეს ოთხი სტრიქონი საუცხოვო და თითქმის საუკეთესოა მის ლექსებში გარეგანის ტექნიკურის მხრით. საოცარია აქ სტილი პოეტისა, რომელიც საგანს ყოველმხრივ ასურათებს და თვით სიტყვათა ხმარება, სურათის მუსიკალურს მხარესაც კი გაგრძნობინებთ.

მაგრამ პოეტის აზრის დამახასიათებლად მარტო ერთი ლექსი როდი კმარა, მთელი მისი თხზულებაა საჭირო.

რატომ მოხდა ეს? კიდევ და კიდევ, რასაკვირველია, იმიტომ, რომ თვით საზოგადოებას ვერა ჰქონდა მტკიცედ გარკვეული, სავსებით შეთვისებული ეს აზრი, არ არსებობდა საზოგადოებრივი აზრი, რომ მას გავლენა მოეხდინა პოეტზე. ხოლო როცა ეგ აზრი გამოირკვა, როცა ლიტერატურამ გამოარკვია პროგრამა ჩვენის ცხოვრების შესახებ, როცა განმტკიცდა საზოგადო აზრი, მაშინ პოეტმაც უფრო შეიგნო საერო კვნესა, უფრო შეისისხლხორცა იგი - და ამიტომაც მისი საუკეთესო ლექსი ამ საგნის შესახებ 1877 წელშია დაწერილი, საცა თამარის სახის წინაშე, გულამოსკვნილი და თვალზე ცრემლით, დამცირებული, ხმა-მიღებული, ბედ-დაკარგული ივერიის ძე, სადაც გულ მემუსვრილი, ეჭვით აღვსილი, უსასოდ ქმნილი, გულ-უიმედო, გაუხარებელი პოეტი გოდებს:

“ვაჰ, თუ რაც წახდეს,  
ველარა აღსდგეს,  
ველარ აღყვავდეს ახლის შვენებით?  
და რაც დაეცა,  
ის წარიტაცა  
შავმან ყორანმა, ვით უმწე მსხვერპლი?”

მაგრამ ეს მაშინ იყო დაწერილი, როცა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის საუკეთესო ლექსები უკვე დასტამბული და გავრცელებული იყო. ახალი ლიტერატურის ზედგავლენას უნდა მიეწეროს ისიც, რომ 1874 წელში მან “მუშა ბოქულაძე” დასწერა, სწორედ 14 წლის შემდეგ ილ. ჭავჭავაძის მუშისა, მაგრამ, მართალი უნდა ვსთქვათ, აქ ვერ არის სინამდვილე დაცული: მთელი ეს ტირადა გრ. ორბელიანის ნათქვამია და არა მუშის. მუშას იშვიათად წარმოსცდება ეგრეთი აზრი, თუმც შეიძლება გულში კი გრძნობდეს რაღაცა მაგგვარს, მაგრამ საეჭვოა შეგნებული ჰქონდეს უბრალო მუშას,

“რომ მის შუბლზედა ღარები,  
წვერ-ულვაში უდროდ გათეთრებული  
ნიშანია გულში ღრმათა ტკივილთა,  
დიდთა შრომათ, ღრმათ ფიქრებთა მწარეთა,  
უიმედოდ, უნუგემოდ ყოფნისა!..”

ასეთი იდეალიზაცია მუშისა და მისი გრძნობისა და აზრთა განდიდებით წარმოდგენა იმ დროის პუბლიცისტიკისა და ლიტერატურის ნაყოფია.

სამაგიეროდ, იქ, სადაც დარდიმანდულის არშიყობის და ქეიფ-მიჯნურობის გრძნობების შეგნება იყო საჭირო მდაბიო ხალხისა, მაგალითად, ვიღაცა ბეჟანა მკერვალისა, აქ გრ. ორბელიანმა დიდი ხელოვნება გამოიჩინა. და მე ამ ლექსებს იქ მოვიხსენებდი, საცა მსურდა დამენახვებინა გრ. ორბელიანის აზრი სიყვარულის მატერიალურ-ხორციელი მხარის შესახებ, მაგრამ აქ მიტომ მოვიხსენე, რომ ამით გრ. ორბელიანმა ახალი ელემენტი მისცა ჩვენს პოეზიას, რეალური პოეზიის სათავე დასდვა - თუკი რეალურ პოეზიას აზრად აქვს პოეტის “მე”-ს განდევნა, სხვის გრძნობათა, აზრთა, სევდათ და ფიქრთა გამოხატვა... თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ “ბეჟანა მკერვლების” გრძნობა ცოტა ერთმხრივად გაიგო პოეტმა, თითქო ბეჟანებსაც არა ჰქონდეთ შეგნება ციურის, ამამალღებელის გრძნობისა და მარტო ელანდებოდეთ თვალეში “ზოგის წელი”, ზოგის ხვევნა, ზოგის ალერსი ტკბილი!” საოცარი ისაა, რომ პოეტს ამგვარი ლექსები ყაზარმაში პატიმრობის დროს დაუწერია. შეიძლება ამ უდარდელი, ქეიფისა და ლხინის მოსურნე ბეჟანის დახატვით უნდოდა კონტრასტი შეექმნა თავის ცხოვრებისა და ან ცხოვრების გულქვაობა და გულგრილობა დაეხატა მით, რომ მაშინ, “როცა ბედმა დაამხო დიდ-კაცნი, ბეჟანს დარჩა ბურთი და მოედანი”. ეს ხელს არ უშლის ხელოვნურის სინამდვილით ბეჟანის გრძნობის გამოხატვას.

რაცა შეეხება პოეტის ერთ ლექსს, რომელსაც ეწოდება “პასუხი შვილებთა” და რომელიც ლექსთა კრებაში გადაკეთებულია - ეს პუბლიცისტური ლექსია და დამახასიათებელი თ. გრ. ორბელიანის საზოგადო მოღვაწეობისა. იმის მეთაურობით მაშინდელმა რეტროგრად-ვაჟბატონებმა ომი გამოუცხადეს ახალთაობას, პლ. იოსელიანი იმასა სწუხდა, რატომ მთავრობა არ ალაგმავს ახალგაზდობასო, იმ ახალგაზდობას, რომელიც საუკეთესო იდეალების დასაცველად გამოვიდა ცხოვრებაში. გრ. ორბელიანი ყოველისავე ახალის კეთილის საქმის წინააღმდეგი შეიქმნა, ყოველისავე ახალის აზრის დამტუქსავი და მოძულე შეიქმნა და ამაშიაც გამოიხატა მისი ძველით, დინჯი, “გონიერი”, ნამეტნავად გონიერი კონსერვატიული ბუნება, თორემ ახალგაზდობას ისეთი არა წამოუყენებია-რა, რომ ყველა საუკეთესო ძველი სიხარულით არ მიეღოთ, და ასეც მოხდა. მაშინ როცა ალ. და ვახ. ორბელიანები, გ. ერისთავი და დ. ყიფიანი ახალგაზდობას სიამოვნებით ეპყრობოდნენ, იგი ჩვენის ერის ძველს დახავსებულ და ნიადაგ აშმორებულ აზრების მქადაგებლად შეიქმნა...

მაგრამ ეს არ შეადგენს ჩემი წერილის შინაარსს. მე მინდოდა მხოლოდ მეჩვენებინა, ჩვენის ახალის ლიტერატურის ევოლუციაში რა შემოიტანა გრ. ორბელიანმა, რა ადგილი უკავია ამ ევოლუციაში მას. მსურდა დამენახვებინა, რომ პირველად მან შემოიტანა ჩვენს სალირიკო პოეზიაში ბუნების აღწერილობა, ბუნების სურათთა განცხოვრება, ამ სურათისათვის სულის ჩადგმა... მან შეიტანა ახალი აზრი სიყვარულზე, მიაქცია ყურადღება ამ გრძნობის იდეალურს მხარეს: პირველად მან იკისრა ბუნების ლირიკულის მხარეს დანახვება; ალ. ჭავჭავაძემუე უფრო დიდი ყურადღება მიაქცია ქართველის ერის დარდსა და მწუხარებას, თუმც გარკვეული აზრი ვერ შეჰქმნა ამ საგნის შესახებ, და, ბოლოს, მან მისცა სათავე ჩვენს რეალურს ლირიკას... ერთის კაცისაგან, მე მგონია, ეს სრულიად საკმარისია, რომ მისი სახელი საუკუნოდ აღბეჭდილ იქმნას ჩვენის დარიბის ლიტერატურის ფურცლებზე...

### III

#### თ-დი ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817 - 1845)

ვისაც სურს შესძლოს დახასიათება ქართულ ლიტერატურის დიდების, გენიოსის ბარათაშვილისა, მას უნდა ჰქონდეს საკრიტიკო მჭერმეტყველობა ტენისა და ადამიანის სულის შეგნების უნარი შექსპირისა... ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ცხოვრებაში მართლა რომ ლიტერატურის საოცარ მოვლენას შეადგენს რაღაც უცნაურობით ცით მოვლენილი ეს გენიოსი პოეტი... თუ რომელსამე მეცნიერს გაიტაცებს ცნობისმოყვარეობა და ქართულ ლიტერატურის შესწავლას მოჰკიდებს ხელს, რათა მით ისარგებლოს საზოგადო ცხოვრების კანონების დასადგენად, რადგან, ბატონებო, ყოველი ლიტერატურა, როგორც ყოველივე გონების ნაწარმოები და ყოველივე მოვლენა ცხოვრების მასალაა, ფაქტთა გროვია, რომლის შემწეობითაც მხოლოდ შესაძლოა გამორკვეულ იქმნას ადამიანთა ცხოვრების ზრდისა და განვითარების საუკუნო

პრინციპები და კანონები... თუ, ვამბობ, ასეთი მეცნიერი მოიძებნება, ბარათაშვილის იმ დროს საქართველოში გაჩენის ფაქტით იხელმძღვანელებს იმ კანონის განსამტკიცებლად, რომ ცხოვრებაში ხდება ხოლმე ხანდახან ისეთი რამ, რომლის ახსნა შეუძლებელია რაიმე გარეშე პირობითა და გავლენით, რომ ამგვარი მოვლენა ბუნების ჟინიანობაა, ამგვარი მოვლენა არის შემთხვევითი.

მე იმას ვერ ვიტყვი, რომ ფორმა ბარათაშვილის ლექსებისა და ზოგიერთის მხრით თვით შინაარსი არ ყოფილიყოს კანონიერი შედეგი ჩვენის პოეზიის ევოლუციისა, არ შემძლიან ისა ვსთქვა, რომ ბარათაშვილის პოეზია ზოგიერთის მხრით ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის პოეზიით განსაზღვრული არ იყოს, რომ იმის ლექსთა კრება არ იყოს კანონიერი საფეხური ჩვენის პოეზიის ზრდისა, ხოლო გენიოსობა კი ბარათაშვილისა მაინც გასაკვირველია... და ეს გენიოსობა მარტო იმაში კი არ გამოიხატა, რომ ახალის პოეზიის შინაარსი არაჩვეულებრივის ნიჭითა და ტალანტით აქვს შემუშავებული - ამ შინაარსს გენიოსების ბეჭედი ასვია ყოველს წვრილმანში... მისი გენიოსობა არც მხოლოდ იმაში გამოხატულა, რომ რომანტიული ლირიკა მიიყვანა იმ საფეხურამდე, რომლის გადაცილება შეუძლებელი იყო ქართველის პოეტისათვის; არა, მან დაუდვა მტკიცე და შეურყეველი საფუძველი მთელს ახალს ქართულს პოეზიას, მან ჩააგდო საძირკველი ახალის რეალურის ლირიზმისა - თუკი რეალურის ლირიზმის საგანი შეიცავს სხვისი, ხალხის, ერის გრძნობათა გამოსახვას და არა პოეტის გაზვიადებულს სულისკვეთების გამოთქმა-აღმოკვნისასა...

მე არ ვიცნობ, ბატონებო, ბევრ პოეტს უფრო ძლიერის გრძნობით აღსავსეს, ცოტას ვიცნობ პოეტს უფრო წმინდისა და ნათელის გრძნობის გამომცდელს, მგოსანს უფრო სპეტაკს, გულით და სულით ამადლებულს, არ ვიცნობ ბევრს პოეტს ასეთი ზნეობრივი სტოიციზმით აღსავსეს, ცოტას ვიცნობ მგოსანს უფრო ძლიერად აღშფოთებულს და უფრო ღრმად დატანჯულს "ზოროტის სულისაგან".

სპეტაკი და ანგელოსური ოცნება ბარათაშვილისა ლამარტინს გაგონებთ, რომ ლამარტინის ამადლებული აზრები ცოტა რიტორიკით არ იყოს შეზავებული; ზნეობრივი სტოიციზმი მისი უფრო ადამიანურია, უფრო ნაზი და ამით უფრო რაღაც ქრისტესეზური, ვინემ სტოიციზმი დე-ვინისა, რომელიც თავისი მედიდურობით, არისტოკრატიულის ინდიფერენტიზმით შეფერადებულს ამაყოფას გაგახსენებთ ხოლმე; სიწრფოება და სინაზე მისი მიუსსეს წრფელ კვენსას მოგაგონებთ, მაგრამ იმაზედ უფრო ღრმაა, რადგან მიუსსეს ეტყობა, ცოტა არ იყოს, დარდიმანდული თვითნებობა, ეპიკურული პესიმიზმი და წუთიერ გრძნობათა უმდაბლესის მხარეებით გარდამეტებული გატაცება.

გენიოს ბაირონს მე ვერ გაგებდავ და ვერც შევადარებ ბარათაშვილს, ხოლო ეს კი უეჭველია, ბაირონის გვერდის დამამშვენებელ ლირიკოსთა შორის ადგილი ბარათაშვილსაც ეკუთვნის იმიტომ, რომ თუ სხვებმა ბაირონის პესიმიზმი სავსებით შეითვისეს და შეისისხლხორცეს, ბარათაშვილმა ზნეობრივი მოვალეობის შეგნებულება გამოიჩინა და უსასო, რადიკალურ, დაუსრულებელ პესიმიზმს კაცთა - შვილთა სოფლისა - მოვალეობა ამოუყენა გვერდით და განაცხადა:

“რადგანაც კაცნი გვეკვიან - შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდევ მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!”

ხოლო ლამარტინის ლირიზმს დეკლამაცია ახდენს, დე-ვინი, სიამაყის მანტიამი გახვეული, ქვეყანას ერთობ მაღლიდამ დასცქერის, ვიქტორ ჰიუგოს მაღალგრძნობიერ და მაღალაზროვან ლექსებს აკლია ნაზი სიწრფოება და თუ მიუსსესა აქვს სიწრფოება, სამაგიეროდ აკლია ადამიანთა წინაშე მოვალეობის შეგნებით აღსავსე სტოიციზმი.

## I

მაღალის პოეზიით, მწარის სევდისა და დარდების ამშლელის, გულმომწყველის პოეზიით არის აღსავსე მთელი ცხოვრება ამ პოეტისა... თვით სიკვდილი ამ ახალგაზდა ყრმისა რადცნაირი დემონიური დაცინება გულქვა, შეუზრალელების ხვედრისა ადამიანზედ. დიდის ნიჭითა და გონებით აღსავსე ეს პოეტი, მეგობართა და ნათესავთ მოკლებული, დაობლებული სული ღვთაებრივის ცეცხლით დამწვარის მგოსნისა, განჰქრა სადღაც, განჯაში, მაზრის უფროსის



თანამემწის ადგილის აღმასრულებლის როლში... ბაირონის სიკვდილი დიდების გვირგვინით არის მოსილი და კაცობრიობა მისი სიკვდილის წინაშე მუხლს მოიყრის ყოველთვის, რადგან თავი განიჭირა ჩაგრულის ერის დასახსნელად. მისი სიკვდილი საუკეთესო ჯილდო იყო მთელის მისი ცხოვრებისა... შელლი მთელს სიცოცხლეში მაინც კარგ გარემოებაში იყო, მოკვდა და იმ დროის უდიდებულესის კაცის ცრემლებით სველდებოდა დიდხანს მისი საფლავი, იმ პოეტის - ბაირონის, რომლის კეთილგანწყობილება და მტკიცე მეგობრობა სიცოცხლის ჭირ-ვარამსაც დიდად უმსუბუქებდა... ლერმონტოვი ხმალი გამოიწვიეს და მოჰკლეს, მაგრამ, ბატონებო, ვერ ვიტყვი იმას, რომ ლერმონტოვს, ცოტა არ იყოს, არ დაემსახურებინოს თავისი სიკვდილი, რადგან დიდი ნიჭი კაცს ნებას როდი აძლევს, უბრალო მომაკვდავი ჭიანჭველად მიიჩნიოს და თავგასულად სრისოს ფეხქვეშ მისგან პატარა კაცუნად აღსარებულის ადამიანის სურვილები და ლტოლვანი... ბარათაშვილის სიკვდილი სწორედ “უღვთო” იყო და სიკვდილი დაუმსახურებელი, უფერული და უაზრო... დიდებული მგოსანი სადღაც ჩაკვდა... მაგრამ, ვამბობ მე, ეს სიკვდილი სრულიად ეთანხმება ჰარმონიას იმ სურათისას, რომელიც დასტოვა პოეტმა ლიტერატურის პანთეონში. მის მომხაზულის ტანჯვითა და უსიამოვნებით აღსავსე ცხოვრებისათვის ბედმა ხეირიანი სიკვდილიც კი არ გაიმეტა, თითქო განგებ ცდილიყოს, ბრწყინვალე სულის ცხოვრების სურათის შავ ტილოზედ ერთი ნათელი წერტილიც არ გამოეჩინა...

ვრცელი ბიოგრაფია პოეტისა, ის ბიოგრაფია, რომელიც ჩვეულებადაა აქვთ ზოგიერთ ლიტერატურის ისტორიკოსთ, რა საჭიროა ჩვენთვის. ვიცით, რა დროში სცხოვრებდა პოეტი, ვიცით, რომ უზენაესმა სამართალმა კავკასიის უზენაესის სასამართლოს („Экспедиция Суда и Расправы“) მოხელეობა მიუსაჯა მას, ვიცით, რომ ამ მოხელეს 5 მანეთი ჰქონდა თვეში, ვიცით, როდის მოკვდა და რა ხნისა... და რომ არ ვიცოდეთ, სად მოკვდა, წინდაწინ შეგვეძლო მივმხვდარიყავით, ბედისაგან ასე, უხვად დაჯილდოვებულს, გარეგანის მხრით პოეტს, განჯაზედ უკეთესს ადგილს ვერ გამოუძებნიდა სამარედ იგივე ბედი, და ჩვენთვის ესეც კმარა... არავისთვის არ არის საინტერესო, როდის მოიტება ფეხი, როდის რა იმასხარა და რა ბავშვობა ჩაიდინა... მთელი ისტორია მრავალტანჯულის სულისა სავსებითა და ნათლად გამოხატულია ასიოდე ფურცელში მისი კალმით ნაწარმოებისა და, თუგინდ მის ბიოგრაფიებსაც არ ეთქვათ, რომ იგი იყო ცოტა ანჩხილი, ნერვებიანი, მახვილი, ცელქი, დამცინავი, ჩქარი, გარნა კეთილი და ამხანაგის მოყვარე, იყო დაუდგრომელის ხასიათისა, ხან მეტისმეტად მხიარული და იქვე იმავე წამს წრესგადასულად მოწყენილი, ლმოზიერი და იმავე დროს მრისხანე, მაგრამ ოცნებით გატაცებული... ესენი რომ ყველა არ აღენუსხათ მის ბიოგრაფებს, უმთავრესს ამ თვისებათაგანს მაინც გავიგებდით მისი ლექსების შესწავლით და მისი ძლიერი ლექსები კიდევ უფრო მეტს დაგვისახავს, უფრო დიდმნიშვნელოვან თვისებებს გვიჩვენებს ამ ადამიანის სულისას, ისეთს რასმე, რაც მის თანამედროვეთა და ბიოგრაფთ შეუმჩნევლად დაშთენიათ.

უკვე ოცი წლის პოეტი უჩივის თავის მკაცრს ხვედრს. “თ უ მ ც ა ო - სწერს იგი გრ. ორბელიანს, - ხ ა ნ დ ი ს ხ ა ნ ჯ ა ვ რ ი თ დ ა ვ ა პ ი რ ე ბ მ ა ს თ ა ნ (ხ ვ ე დ რ თ ა ნ) შ ე ბ მ ა ს , ა ნ ჩ ე მ ი ბ ე დ ი დ ა ა ნ ჩ ე მ ი ს უ რ ვ ი ლ ი ს ა ღ ს რ უ ლ ე ბ ა”! მაგრამ “რ ა გ ა ე წ ყ ო ბ ა ს ო ფ ლ ი ს ბ რ უ ნ ვ ა ს ა”, და პოეტი ძალაუნებურად გულდათუთქული, მაგრამ სტოიკურის მოთმინებით აღჭურვილი დაემორჩილა “მ კ ა ც რ ს ბ ე დ ს”, რადგან ესმოდა, ესმოდა დიდი ხნიდან პოეტს და გაეგებოდა, თუმც ც ხ ო ვ რ ე ბ ა ფ უ ჭ ი ა დ ა ა მ ა ო ე ბ ა “ჩ ვ ე ნ ი ყ ო ფ ა წ უ თ ი ს ო ფ ე ლ ი ს ა წ ყ ა უ ლ ი ა ღ უ ვ ს ე ბ ე ლ ი , მ ა გ რ ა მ რ ა დ გ ა ნ ა ც კ ა ც ნ ი გ ვ ქ ვ ი ა ნ - შ ვ ი ლ ნ ი ს ო ფ ლ ი ს ა , უ ნ დ ა კ ი დ ე ე ა მ ი ვ ს დ ი ო თ მ ა ს , გ ვ ე ს მ ა ს მ შ ო ბ ლ ი ს ა”; იცოდა და შეგნებული ჰქონდა, “რომ ძნელი საპოვნელია კაცი, რომელიც მაღლიერი იყოს ამ წუთისოფლისა და ამიტომ ადამიანმა უნდა და ი მ ა რ ხ ო ს მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა ს უ ლ ი ს ა , უ მ ა ნ კ ო ე ბ ა გ უ ლ ი ს ა , რ ა ი ც ა შ ე ა დ გ ე ნ ს ჭ ე შ მ ა რ ი ტ ს ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა ს , უ მ ა ღ ლ ე ს ს ი ა მ ე ს , რ ო მ ე ლ ს ა ც კ ი კ ა ც ი წ ა ი დ ე ბ ს ა მ ს ო ფ ლ ი ს ა გ ა ნ . ს ხ ვ ა თ ა ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ს ო ფ ლ ი ს ა თ ა კ ი უ ნ დ ა უ ყ უ რ ო ს გ უ ლ გ რ ი ლ ა დ , ა მ ა ყ ა დ დ ა ს წ ა მ დ ე ს , რ ო მ ი გ ი ნ ი შ ე უ რ ჩ ე ნ ე ლ ნ ი ა რ ი ა ნ .

პოეტი რომ არაჩვეულებრივის ბუნებისა იყო, რომ რაღაც უმაღლესის არსების გვარი იყო, ამას თვით გრძნობდა და ეს თვით-გრძნობა კიდევაც გამოამჟღავნა ჯერ ლექსად და მერე წერილებშიაც. “წუთისოფელი რაკი სცნო, მას აქეთ ხმარამ თან სდევიდა ყოველთა მისთა ზრახვათა და საწადელთა, ხმარამ იდუმალი ცხადად თუ სიზმრად მადერათს ჩასჩურჩულებდა: “ემიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი, ვინძლო იპოვნო შენი საშვენი”! “შინაგანი ხმა მიწვესო საუკეთესო ხვედრისაკენ,-- სწერს იგი გრ. ორბელიანს, - გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელ მდგომარეობისათვის დაბადებული!”

ნუ გბინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მიწადა, რომ ამ პატარა დრეკლდე ს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რათავისუფლად ამოვიდეთ უნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!" და ასეთი დიდებული ადამიანი ისე განშორდა წუთისოფელს, რომ ვერა ჰპოვა ხვედრი მისი და ვერ მოიშორა მით კაემანი. არათუ თავის ხვედრს, თანამგრძობსაც ვერა პოულობდა იმ ადამიანშიაც კი, რომელსაც ყველაზედ უფრო უნდა გაეგო ეს კაცი, მისი სისხლი და ხორცი, მისი დის შვილი, - გრ. ორბელიანი მყავს სახეში. ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსი თავის დღეში არ აპატივებს გრ. ორბელიანს, რომ მუდმივს მუდარებასა და ყვედრებას ნიკ. ბარათაშვილისას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, ერთხელაც არ გაუწვდინა მეგობრულად და ნათესაურად ხელი, თორემ, ვინ იცის, უკეთესს პირობაში რომ ყოფილიყო, კიდევ რამდენი მეტი ღირსება შეეძინებოდა ამ მშვენიერს მგოსანს... მაგრამ რას ვამბობ... აქ მხოლოდ გრ. ორბელიანს ეცხება ჩირქი, რადგან ადამიანური მოვალეობა ვერ შეასრულა, თორემ განა ბარათაშვილს ეჭირვებოდა კიდევ პოეტური ღირსება. მერე კიდევ ვინ მიხვდეს და მისწვდეს საიდუმლოებას ცხოვრებისას. იქნება იმ შემთხვევაში, რომელმაც დაბადა იგი, ეგრეთი პირობანიც მიუსაჯა და ამ პირობათა გარეშე, ვინ იცის, იქნება ისიც ბიძამისის გზას გაჰყოლოდა, რიტორიკებით აეჭრებინა თავისი სინაზითა და სიმშვენიერით აღსავსე ღრმა-აზროვანი პოეზია. მის პოეზიისათვის სწორედ იმ კაემნითა და სევდით გამოწვეული გარემოებანი იყო საჭირო, რომელშიაც იმყოფებოდა ნიადაგ... ფუფუნება და განცხრომა აკლებს ძლიერებას გრძნობას, ტანჯვა და უსიამოვნება მეტის ძალით აგრძნობინებს პოეტს ცხოვრების მძიმე საიდუმლოებას, უფრო მეტის სიწრფელით აღსავსე კვნესას და გოდებას გამოიწვევს მასში...

იქნება ამ სულის შემხუთველ გარემოებაში იყოს დამალული ისა, რომ ჩვენი პოეტი ასცდა სხვა ღირიკოსთა ნაკულევეანებას და მათი ღირსება კი შეიძინა. ესრედ დადაგულს, ცხოვრებისაგან გულდასერილს პოეტს არ შეეძლო ისეთი ზიზღით აღსავსე, მეხთა მტყორცი სიტყვებით მიემართა კაცობრიობისათვის, როგორც იცოდა ხოლმე ცხოვრებისგან განებვირებულმა დიდებულმა ლორდმა ბაირონმა. უფერულმა, დაჩაგრულმა ცხოვრებამ აღუვსო სული ისეთი ღრმა და წრფელი კვნესით, სულისა და გულის ყოველი ატომით ისე შეასისხლხორცებინა და შეაგენებინა სიმწვავე და სიდიადე ტანჯვისა, რომ ბევრში სხვა ღირიკოსებზედ მაღლა დააყენა... და ამიტომ, შესაძლებელია, ისტორიაც ისე გულქვად მოექცეს ზევით კურთხეულ მგოსანს, როგორც მისი დრო და გარემოება: შეიძლება, ისტორიამაც მაღლობით მოიხსენიოს ის შემთხვევა, რომელმაც ასეთს სასოების წარმკვეთსა და უნუგემო პირობებში ჩააყენა უკვდავი მგოსანი ქართველი ერისა.

## II

დიაღ, იტანჯებოდა იგი კაცი და თუ ხანდისხან მოულოდნელად ძალზე გამხიარულებულა, ეს მხიარულება უფრო ნერვოზული იყო, უმიზეზო და უანგარიშო, უფრო თავბრუდამხვევი და არა სიამოვნების მომნიჭებელი. "მისთვის ყოველივე იყო ამათება... ეს წუთებიც წავიდოდა ხოლმე, როგორც სიზმარი და მონახავდა მას ჩვეულებრივი მოწყონება". "ვისაც საგანი აქვსო, - იწერება ის ერთ ბარათში, - ჯერ იმის სიამოვნებაც რა არის ამ სამაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც დიდი ხანია ობოლი ვარ. სიცოცხლე მომძულებია ამდენის მარტობით. შენ წარმოიდგინე სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერავის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში. ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისი სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისი გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?"

ეგრედ დატანჯულს, ესრეთის მაღალის მოთხოვნილებისა და მაღალის მისწრაფების მგოსანს, რასაკვირველია, არად მიაჩნის არც ობლობა კაცისა, არც მისი უთვისტომობა, არც მეგობართა და ნათესავთ მოკლებულობა. საბრალოა იმის აზრით, მხოლოდ დაობლებული სული, რომელსაც ეგონა იპოვა ტოლი და მოსტყუვდა, იმედები გაუცრუვდა, ტოლი დაეკარგა და "მწელა ჰპოვოს" აწ იგი; მას აღარა აქვს ნდობა ამ ცრუ სოფლისა, "ემინიან, იკრძალვის, არლა იცის, ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა", რადგან ეფიქრება ხელმეორედ ვისმე დაენდოს და ეხლა მხოლოდ უნუგემობა უნდა ითმინოს... ამა სოფლის სიამოვნებანი მისგან უკუ იქცევიან, "მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა" და ეხლა მხოლოდ ოხვრალა დაშთენის, "ოხვრა, შვება უბედურისა".

დღეს, ბატონებო, ამ მარტობას სულისას მოუცავს ყოველი ნაზგრძობიერი ადამიანი და მით უფრო მწვაია იგი მარტობა, რომ დღეინდელს საზოგადოებაში, ჩვენში მაინც, არსებობს ანარქია, არეულობა, რყევა აზრთა და გრძობათა. ამისთანა დროში, არათუ ორ ადამიანს შორის, ორ მეგობარს შორის აღარ არსებობს ხოლმე თანხმობა და ურთიერთობა აზრთა და გრძობათა, არამედ თვით ადამიანის არსებაში აღარ არის იგივეობა, ერთიანობა და კავშირი მის აზრსა და გრძობათა შორის, სხვადასხვა მის ფიქრთა და ამგვარ თუ იმგვარ წადილთა შორის. მისი “მე” იყოფა, ნაწილდება, ეს ნაწილები ერთმანერთის მოქიშპედ ხდებიან. აზრი გრძობას ვერ იმორჩილებს, გრძობას აზრის შექმნაში მონაწილეობა აღარა აქვს ხოლმე. მემკვიდრეობითა და ტრადიციით გადმოცემული ზნე-ჩვეულებანი ვეღარ ეთანხმებიან მიმზადველობით შექმნილს ახალ მისწრაფებასა და ლტოლვილებას: გული სხვას ეუბნება, გონება - სხვას, წარსული ერთის მხრისაკენ მიიზიდავს, აწმყო და მომავალი მეორე - სულ სხვა გზისაკენ იწოდებს.

ამგვარად დაქსაქსული, გრძობა-გონება გათოშილი, სკეპტიციზმითა და დაუდგრომლობით დატანჯული არსება ვეღარსად ვერ პოულობს პასუხს სხვადასხვა მძიმე საგნის შესახებ, - თავის თავი ვეღარას ეუბნება... მიზეზიც კი ვერ გამოურკვევია მისის აზრისა და გრძობის ესოდენ დაუდგრომლობისა. მეტად ურწმუნო გონების არის და ღრმა გრძობით აღსავსე და ისეთი პატარა მოსაზრებანი ვერ დააკმაყოფილებენ, ვითომ მისი ტანჯვა ამა თუ იმ წარმავალის მოვლენის, ანუ მიზეზის შედეგი იყოს... იგი ეპოტინება საუკუნო კითხვებს; დაუსაბამო და დაუსრულებელ მიზეზთა კვლევა-ძიებას ჰკიდებს ხელს, მაგრამ შეიგნებს რა უდიდეს უძღურებას ადამიანისას “გამოუცნობელისა და მიუწვდომელის” გარკვევის შესახებ, “ცალსა ფრთას მაინც კიდეც ცისაკენ იშვერს”, იქნება კვლავ გავინავარდო თვალწევდენის ცის კამარაშიო. “მეორე ფრთა სისხლად დნება” და მიწიდან არ უშვებს. დიად, მარტობა სულისა, მარტობა ადამიანისა მეტად გამწვავდა ამ ბოლო დროს მაინც. საზოგადოების სხვადასხვა წოდებათა შორის ამოუვსებელი ორმო გაითხარა, ერთისა და იმავე ოჯახის წევრთა შორის დაუქცეველი კლდე აღიმართა. ყოველი მათგანი სულ სხვადასხვა მოსაზრებითა და მოფიქრებით არიან გამსჭვალულნი, სულ სხვადასხვა გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ძველი ტრადიცია მოისპო, ახალი აღარა დამყარდა რა. თუ უწინ ყოველ სახელმწიფოს გარკვეული აზრი ჰქონდა, ყოველ ოჯახს აღნიშნული წინაპართაგანვე იდეალი, ყოველ წოდებას თავისი პრინციპი - დღეს საზოგადო ანარქია შეიქმნა. უნდა გვწამდეს, ეს ანარქია უმჯობესისა და საუკეთესო მომავლის წინამორბედეა, მაგრამ ამ ეპოქის შვილთ მაინც მჭმუნვარების ბეჭედი ვერ აღუხოციათ შუბლიდან.

ესრეთი ანარქია კერძო და საზოგადო აზრთა და გრძობათა არსებობს დღეს ქართველ საზოგადოებაში.

ამნაირს დროში ვის არ გამოუცდია ის სულის ობლობა, რომლის გამოც აფრქვევს თავის წმინდა ცრემლებს ტანჯული ადამიანი, მგოსანი... რომელს ჩვენგანს არ გამოუცდია ის გამოურკვეველი დარდი, რომლის სახელიც არ იცის?.. რომელი ჩვენგანი არ გაქცეულა ოხვრითა და კვნესით მეორესთან, მეგობართან, ადამიანთან საშველად და სანუგეშებლად? მაგრამ იმ მეორისაგან ამ კითხვის მეტი არა გაუგონია-რა: რა დაგემართა, რა გაწუხებსო? განა დაიტანჯებოდა, რომ იცოდეს, რა აწუხებს? განა წარმოსადგენია ისეთი სიძწვავე იქონიოს გრძობამ გამორკვეულმა და გათვალისწინებულმა, გრძობამ, რომელიც გონების განსახილველ და შესასწავლ მოვლენად გამხდარა?.. თვით არ იცის, რად მოუცავს სევდას გული, და ეს კითხვა ადამიანისა, რომლისაგანაც მოელოდი თანაგრძობასა და ნუგეშს, აორკეცებს გულის ქენჯნას... მას ეგონა, თუ მეგობარი მაინც ჩაუძვრებოდა სულში და უფრო ადვილად გასჩხრეკდა, შეიგნებდა დამტანჯველ გრძობას... მაგრამ მოსტყუვდა და ეგრეთი გაცუდება იმედისა, სასოწარკვეთილებით ავსებს მის გულს და ნიადაგ სულის ობლობას, სულის მეგობრის მოუპოვლობას მოსთქვამს და სტირის.

როცა საზოგადო ცხოვრება სდულს და გადადულს, როცა ყოველ ადამიანს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და ნება თავისი სურვილის თანახმად მოქმედებისა, როცა მთელი ერი აღტაცებულია რაიმე დიადის აზრით, გატაცებულია რაიმე დიდებული საქმით, მაშინ აღარც კი სცალია ადამიანს, სხვა რამეზედ იფიქროს; მისი გონება და აზრი მისწრაფვის არჩეულ მიზნისაკენ, ხოლო როცა არავინ იცის, რას მოჰკიდოს ხელი, როცა საზოგადოებრივი ინსტიტუტები დაძინებულნი არიან ხოლმე და პირუტყვი გრძობანი წამოჰყოფენ თავს, მაშინ ადამიანი უკეთესის მოტრფიალე, იდეალურის მისწრაფებით აღსავსე, რჩება მარტოდ, განდევნილი, ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა და, რაღა საკვირველია, რომ სევდითა და ოხვრით აღსავსეა მისი გული, მისი ბაგენი კი კვნესა-გოდების გამოთქმულნი. ასეთი დრო გახლდათ ბარათაშვილის დროც. ბარათაშვილი იმ ხანაში გამოვიდა ცხოვრებაში, როცა ქართველი ერი, ერთი წუთით ძლივს გამოღვიძებული, ისევ ძილს

მიეცა. ქართველ საზოგადოებაში რეაქცია დამყარდა, ქარიშხალის შემდეგ ისევ წყნარი, მაგრამ მოღრუბლული და მოღუშული დღე დადგა.

1832 წლის შეთქმულთა განდევნის შემდეგ თვით საზოგადოებასაც შიშის ზარი ჰქონდა დაცემული შეთქმულთა ხვედრით. ეჭვი არ არის, მიძინებული იყო ყოველივე ადამიანური გრძნობა, შიშით ფიქრიც კი ეძნელებოდათ, უსათუოდ, არაფერი აღარ იყო საზოგადოებაში, რაცა გასცილებოდა ცხოვრების უბრალო და არა მნიშვნელოვან მოვლენას. ჭორები, მითქმა-მოთქმა, ზნეობრივი გახრწნილება, უსულობა და უგულობა - აი, რა სუფევდა იმ დროს. ამ ხანაში დაიბადა საქართველოს პოეზიის “ობოლი სული” და თქვენ თითონ გასინჯეთ, განა შეეძლო მას ასეთს დროში მოეპოვებია “სულის მეგობარი”. ოცნებით წარმოდგენილი თუ ჰყავდა ოდესმე ასეთი მეგობარი სული, სინამდვილეს უნდა დაენახებინა, რომ ამგვარი ოცნება მხოლოდ ოცნებაა და ისიც მტკნარი ოცნება... თუ მისი გრძნობით აღსავსე ბუნება თხოულობდა ისეთის თანაგრძნობის სულის მოპოვებასა, სინამდვილე ამცნევდა, რომ მისთვის დაკარგულია ესეთი სული, რომ სამუდამოდ ობლადა და უნუგემოდ უნდა დაშთეს.

მეგობრის სულის ძიება არ შეიცავდა სქესბრების ინსტიქტის მოთხოვნილებას. სრულიად სხვა რამ იყო ძიება... მას უნდოდა მოეპოვებია სული შემგნები მისი ტანჯვისა, სული მისი ოხვრის დამამბებელი, კვნესის მანუგემბელი, ჭირის ოფლის შემშრობი, ჭირთ გამქარვებელი, მაგრამ ვერც კაცში და ვერც ქალში ვერ იპოვა ესეთი სული.

### III

თავის დღეში ვერ იპოვა მან სატრფო გულისა: ტრფობას მის გულში კვნესის მეტი არა დაუტოვებია რა. აქ, ამ წუთისოფელში, ვერც სიყვარულში მოიპოვა თანაგრძნობა და სასოება და ამიტომაც ეს გრძნობა გააჰაეროვნა, რაღაც უცნაურ და უხილავ მეტაფიზიკურ წმინდა იდეალურ საგნად გარდააქცია და უნდა აღვიართო, რომ ამამაგ ბარათაშვილს ძნელად მოუძებნით ზადალს. იგი უგალობს სიყვარულში მას, რაც კი რამა აქვს ამ გრძნობას იდეალური, ღვთაებრივი, უზენაესი და უკვდავი. მართალია, ბარათაშვილი ხანდახან იმ სიყვარულსაც დამღერის, რომელიც ქართულმა ლიტერატურამ სპარსეთის კულტურის ზედ-გავლენით შეითვისა და რომელიც “მგრძნობელობას” სიყვარულისას, მის ხორციელ მხარეს შეეხება, მაგრამ ამასაც რაღაც უცნაური, ზეციური, არამიწიერი ფერი მისცა მან, “თ ვ ა ლ ე ბ ი უ ყ ვ ა რ ს მ ი ბ ნ ე დ ი ლ ე ბ ი, ე შ ხ ი ს ა ც ე ე ხ ლ ი თ დ ა ქ ა ნ ც უ ლ ე ბ ი ი”. თუმცა კარგად იცის, რომ მტრობენ, მაგრამ თანაც რა ისარტ (აქ წამწამები აქვს პოეტს სახეში) ზეცად აღმართვენ, მათშივე ჰპოვებს საკურნებელსა, და ამ ლამაზ თვალების ბასრობას უძლებს მხოლოდ იმიტომ, რომ “მათგან სიკვდილში თვით უკვდავებასა სჭვრეტს”... ხოლო როცა მაინცა და მაინც სიყვარულის ხორციელის მხარის გამოხატვა მოინდომა, მართალი გითხრათ, კიდევაც გადააჭარბა ყოველს ზომიერებას და მეტად უცნაური ხერხი იხმარა მარტოდონ მიწიერის სურვილის გამოსახატავად, ამიტომაც ბევრად უფრო გაზედულად, დიდის ვნებით, ბევრად უფრო ცინიკურად აქვს გამოთქმული ამგვარი გრძნობა... გაიხსენეთ მისი საყურე და ის ადგილი, საცა იგი ამბობს: “ი, ს ა ყ უ რ ე ო, გ რ ძ ნ ო ბ ა თ ა მ რ ე ო, ვ ი ნ ბ ა გ ე შ ე ნ ქ ე ე შ დ ა ი მ ტ კ ბ ა რ უ ნ ო ს”... დაიმტკვარუნოს, ბატონებო, ეს მეტად ტლანქად გამოთქმულია. შეიძლება ლამაზი სიტყვაც იყოს, მაგრამ ნაზი გრძნობის აღმძვრელი კი არ არის... და ალ. ჭავჭავაძე, ეს მადმერთებელი “მგრძნობელობისა”, თავის დღეში არ იხმარდა ამგვარ სიტყვას, არც ამგვარ სახეს მისცემდა თავის “მგრძნობელობას”...

უკვე მოგახსენეთ, რომ ღვთაებრივობა ტრფობისა ჩვენს ლიტერატურაში სახსვებით და სრულის სიღრმით შეიგნო მარტო ბარათაშვილმა, მარტო ბარათაშვილმა შესძლო ამ გრძნობის ამ მხარის საუცხოვოდ, აღმატებულად დასურათება...

მისი წინამორბედი პოეტნი - ბულბულნი ვარდს დამღეროდნენ და მარტო იმითაც დაკმაყოფილდებოდნენ, თუ ვარდი ახლო მიიკარებდა; ბარათაშვილმა კი ვარდის - სატრფოსაგან აღმრულის გრძნობის საიდუმლოების შეგნება მოიწადინა, უნდოდა არსებითი მხარე ამ გრძნობისა გაეგო. მისი ბულბული, შუადამეში მწუხრს აქეთ ვარდზედ მჯდარი, ჰყ ე ფ ს და მ ს ტ ვ ი ნ ა ვ ი შ ე ე კ ი თ ხ ე ბ ა ვ ა რ დ ს, მ ა ღ ი რ ს ე, თ უ რ ო გ ო რ ა რ ს გ ა შ ლ ა შ ე ნ ი მ ღ ი ნ ა ვ ი ო (ნ ე ლ ი, ჩ უ მ ი). მის მაგიერად, რომ დასტკბეს ვარდით, მისი ყნოსვით დაითვრეს, “გ ა ნ თ ი ა დ ი თ ღ ა მ ე მ დ ე” ი ტ ე ხ ს თ ა ვ ს, ა რ ზ ო გ ა ვ ს ს ი ც ო ც ხ ლ ე ს, უძილობას, გალობს და სურს გაიგოს, როგორ არის “გ ა შ ლ ა მ ი ს ი მ ღ ი ნ ა ვ ი”. ამ გრძნობის დაბადება, მისი გაშლა, გაფურჩქვნა, - აი, რის გაგება სწადიან პოეტსა, და ამამი დროც იკარგება, გულიც ბერდება, თვით სიყვარულის წარმტაც ძალას ევარგება მომხიბლველობა. იგი ჩხრეკა-ძიების საგნად გაიხადა, ნაწილ-ნაწილ დაშალა და არ იცოდა, რომ ამგვარად უსპობდა მას საიდუმლო ძლიერებას... ე გ ო ნ ა, რ ო მ ჰ ქ ო ნ

და მცირე წადილი, ვერ მიხვდა კი მნელობას, გაეგო და შეეტყო სურდა, თუ ვით არის გაშლა ვარდისა და არა ფიქრობდა კი მის დაჭკნობას.

ანკი შესაძლებელი იყო უბრალო ჭიკჭიკ-არშიყით დაკმაყოფილებულიყო ის ადამიანი, რომელიც სილამაზეს სთვლის “ნიჭად მხოლოდ ხორციელების, ის ვით ყვავილი თავის დროზე მსწრაფლად დასჭკნების და გულიც, მხოლოდ ამ სილამაზით გატაცებული, ცვალებადი წარმავალი და უმტკიცები”, ის მგოსანი, რომელმაც კარგად იცოდა, რომ “მოკისკასე და კეკელასატროფო, სულის დამტყვევნილია და გრძობათა ცრუდმომღერალი, აშკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმულებს, ხოლო სიყვარულს მისი გული ვერ მიიკარებს”. ამ მგოსნის გული მეტად მოწყვლადი იყო, მეტად აღშფოთებული და მეტისმეტად კეთილის სურვილებით აღზნებული და “ღელვანი ვნებათანი მას ვერ უკლავდნენ წყურვილსა”. არ შეეძლო წუთიერის გრძობით დაკმაყოფილება მას, ვისაც “ტროფობამია-ჩნდა ყოვლის კეთილის შემაერთად, რომელი მან სულსა მოჰბერა ცის ნიჭი ქვეყნად და თავის მკობად ჰქმნა იგი მგოსნად”, ვინც ზნეობრივ მშვენიერებას აღიარებს ზეციით მოსულ ნათლად, ნათლად სულ-ისა, და ბინდულის გულის მალხინებელად, რომლით ნათლდება ყოველი გრძობა, გული და სული... რომელსაცა სწამს, რომ “უკვდავებამშვენიერსა სულში მდგომარებს, მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს”... ამ პოეტს, რასაკვირველია, მხოლოდ ზნეობრივად მშვენიერ სულთა კავშირი მიაჩნია სიყვარულის მშობელად, “ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულად”. ამ პოეტს მხოლოდ ამგვარი გრძობა მიაჩნია, “ესთ სანუკველად, რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი, მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება”. ამგვარის პოეტის წადილს ვერავინ უწოდოს სიყვარული სხვათაებრ. ეს იმას ემსგავსება, ვინმემ იფიქროს, რომ “შეც უსხივუცეხლოდ შეიძლება ნათვას ვარსკვლავებრ”, მის “გრძობათ ვერ დასდვან კაცთა სახელი”, რადგან “მოკვდავსა ენას არ ძალუმს უკვდავთა გრძობათ გამოთქმა”. ამიტომაც უკვდავის გრძობით აღსავსე პოეტი ეტროფის მის საყვარელ არსებას, თუმცა ხშირად ჰკლავს და უწამლავს სიცოცხლეს, რა მხრითაც უნდა ეჩვენოს, მაინც იცნობს მისის სულის ციურ მშვენიერებას... მისი სიყვარული უანგაროა, მისი სიყვარული წმინდაა და შეუმწიკველი, ეს სიყვარული არა ამ სოფლიდან არის... პოეტი თავისს გულსაც კი მსხვერპლად მიუტანს სიყვარულს, ესრეთ გატაცებული პოეტი “შეიშრობს ცრემლსა ჭირთ მანელებელს”, რომ მისი ტანჯვა-ვაება არ შემცირდეს, “გულსა დაიწვავს დასანაცრებელს”, რომ არაფერი იგრძნოს ცუდი, ბიწიერი და სატროფოს არ-სასიამოვნო, საწყენი და ამ გულის “ფერფლსა, ვითა საკმეველს, შესწირავს სატროფოს მისსა სალოცველს.”

ძნელად თუ ვისმე უგრძნია თავის დღეში ასე ძლიერად, ასე საოცრად ესდენ მაღალი გრძობა, უბრალო მოკვდავთათვის ძნელად გასაგები და ძნელად მისახვედრი; იშვიათად თუ ვისმე დაუღვრია ესეთი წრფელი ცრემლი სიყვარულის ტაძრის წინაშე და არავის ხომ გული არ დაუწვავს და ნაცრად არ უქცევა სიყვარულის საკურთხეველზე. და ეს მოიმოქმედა იმ კაცმა, რომელსაც თავის დღეში არა ღირსებია სატროფოსაგან ტკბილი სიტყვა, რომელიც სამასხაროდა ჰყავდათ მიჩნეული, რომელსაც ხშირად ეგრეთ წოდებულ რიგთან ოჯახშიაც კი არ უშვებდნენ, როგორც მოგვითხრობენ მისი ბიოგრაფები, და ანკი ვინ მიაქცევდა ყურადღებას ვიღაც პატარა მოხელეს, მაშინ როდესაც ბრწყინვალე ახალგაზრდობას იმ დროისას, კანცელარიის ჩოთქისა და კალმის ნაცვლად, ხმალი ეკავათ, მოხელეთა მიწერ-მოწერის ქაღალდების მტვერის ყლაპვის მაგიერ, საომარ მოედანზედ გამოდიოდნენ... როცა 5 მანეთი თვეში კი არა, ზოგიერთი საათში ოც-ოცი ათასობით აგებდა ბანქოში, მაშინ, როდესაც სტოლნაჩალნიკის დამველებულის მუნდირის ნაცვლად გვარდიის წითელი პრიალა მუნდირი ამშვენებდა მეომართა მხნე მკერდს და მათ ძლიერ მხრებს ბრწყინვალე ჯინჯილები ამკობდა... დიად, ბატონებო, ამისთანა დროს ვიღაც ბარათაშვილს ვინ მიაქცევდა ყურადღებას და საოცარი ის არის, რომ ეს კაცი ყველასაგან გაქეცილი, ყველასაგან შეუწყნარებელი, ყველასაგან მასხარად აგდებული, თვალზე ცრემლებით და სევდით აღსავსე გულით, გაუბედავის ხელით გრძობათა უკვდავების საგალობელ ფსალმუნებს ამზადებდა და სუსტის მაგებით, შეურყეველ და მტკიცე საძირკველს უგებდა ქართველის ერის პოეზიის უკვდავებას და თავისსავე უკვდავების და დიდების სამარადისო ძეგლსა სჭედდა.

#### IV

რაკი სულიერში ვერ იპოვა მეგობარი და მანუგეშებელი, ბარათაშვილმა უსულო ბუნებას მიჰმართა და აქ მოიპოვა ნავთსაყუდელი მისის აღზნებულის და აღშფოთებულის მღელვარე სულისათვის. ბუნებამ იგი შეითვისა და მან ბუნება შეისისხლხორცა; თუ შეიძლება ასე ვთქვათ,

ბუნებით იგი გაიმსჭვალა და ბუნება მით. ასეთი განხორციელება ბუნებისა, ასეთი ურთიერთობა ბუნებასა და კაცს შორის ძვირად თუ რომელსამე პოეტს შეეგნოს და წარმოედგინოს. ასეთი განკაცება, განხორციელება, განსულიერება ბუნებისა იშვიათად შეგხვდება ლიტერატურაში... ის კი არაფერია, რომ ავტორი ბუნებას მიჰმართავს, როგორც სულიერს საგანს, არა, ეს ჩვეულებრივია. საოცარია ისა, რომ პოეტი თავის ღვთაებრივ სულს შთაბერავს ამ ბუნებას, განხორციელებულ საგნად შეჰქმნის და მერე დაუკავშირდება მთელი თავის სულიერის არსებით უმჭიდროესი კავშირითა.

თუ, ბატონებო, გრ. ორბელიანმა დიდებული სურათები დაგვიხატა ბუნებისა, თუ იგიც ადამიანის სახეს აძლევდა ბუნებას, მაინცა და მაინც მის ფილოსოფიურს შეხედულებას პანთეიზმამდის არ მიულწევია, მას არ წარმოუდგენია, თუ ბუნებასაც, შესაძლებელია, ჰქონდეს თავისი აზრი და გრძნობა, თავისებური სული. ბარათაშვილი კი სწორედ ამ ფილოსოფიის მოძღვრებას ხდებდა; მან ბუნება გააცოცხლა, სული ჩაუდგა და ხორციტ შემოსა და ამით კიდევ ერთი ბიჯი წასდგა წინ. პოეზია იმ სიმაღლემდის აიყვანა, საცა არის მისი სამეუფო, ესე იგი, “მოვლენათა შორის საიდუმლო კავშირის” შემგნებ-გამომსახველად გახადა, ქართული პოეზია ფილოსოფიას დაუკავშირა.

ყველასგან უარყოფილი, მარად დევნილი კაცთა გულქვაობისა და ბედის უწყალოებისაგან, “როს მჭმუნვარება შემოესევა”, ზოგჯერ მთაწმინდას მიჰმართავს “ხან მცინარსა და ხან ცრემლიანს”, მიილტვის მის დამაფიქრებელ ვერანა და უდაბურ ადგილებისკენ და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შესტრფის, რადგან მისებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი, რადგან მხოლოდ ისღა დაშთენოდა სანუგეშებლად, გულ-დახურულთა მეგობარი მხოლოდღა ეს მთაა ღრუბლიანი. მისი თვალები რა ლაჟვარდს იხილვენ, ცათა მიმართ ტრფობით იმზირებიან და “მეის მის ფიქრნი მისდა მიისწრაფვიან, მაგრამ იქამდის ვერ მიაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან”. ხანდახან “ნელად მქროლნი ნიავენი ღელეთა შორის აღმოკვესოდენ” და ამით მის გულს თითქო თანხმობას უცხადებდნენ. არემარე დუმილით მოცულია ხოლმე, ცისა კამარას ბინდი გადაეკვრება, “მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას”... ამ ბუნების დიადის და სევდით აღსავსე სურათის მჭვრეტელს პოეტს ავიწყდება საწუთროება, “გულისთქმა ჩემიო”. - ამბობს იგი, - “შ ე ნ ს ი ქ ი თ ა... ე ძ ი ე ბ ს ს ა დ გ უ რ ს, ზ ე ნ ა ა რ თ ს ა მ ყ ო ფ ს, რ ო მ დ ა შ თ ო ს ა ქ ა მ ა ო ე ბ ა, მ ა გ რ ა მ ვ ე რ ს ც ნ ო ბ ე ნ გ ლ ა ხ მ ო კ ვ დ ა ვ ნ ი გ ა ნ გ ე ბ ა ს ც ი უ რ ს...” როგორც მარტო ვარდის ცქერით არ დაკმაყოფილდა მგოსანი და სიყვარულის დედა-აზრს დაუწყო მიება, ისე აქ ბუნების თანაგრძნობა და დამამშვენებელი მშვენიერება ვერ აცხრობს მის აღმფოთებულს სულს. პოეტის გულისთქმა ბუნების იქით... ეძიებს სადგურს, რომ ამსოფლიური ამაოება დასტოვოს და აზრითა და გრძნობით სავსებით შეუერთდეს ზენართ სამყოფს... მაგრამ აქც პოეტი სასოწარკვეთილი რჩება... “გ ლ ა ხ მ ო კ ვ დ ა ვ ნ ი ვ ე რ ს ც ნ ო ბ ე ნ გ ა ნ გ ე ბ ა ს ც ი უ რ ს”. ხანდახან განმარტოებულ ფრიალო კლდეზედ მდგარს ალვის ხეს მიაშურებს, ეს ხე მრავალშტოიანია, მაგრილობელი, ჰაეროვანი, ტურფა, მაღალი, “ს ა ა მ ო ა რ ი ს მ ი ს ჩ რ დ ი ლ შ ი ყ ო ფ ნ ა და მისთა ფოთოლთ შრიალთა სმენა” და “წყალთა დუდუნზე უკუღმართისა ამა სოფლისა ჭირთა დათმენა...” ზოგჯერ სევდიანი ფიქრთ გასართველად წყლის პირს წავა და იქ მდელოზედ სანუგეშოდ ცრემლით ინამავს... აქ მტკვრის დუდუნს აღუძრავს მას ფიქრს ცხოვრების ამაოებისას, და თანაც ეს მრავალ დროების მოწამე და უტყვი მტკვარი, მისი დაუსრულებელი მიმდინარეობა, ცხოვრების კანონიერების წინაშე ქედს მოახრევიანებს და ცხოვრების შვილად, მის მოვალედ თავს აღიარებინებს...

ეგრეთი მეგობარია მეტყველთაგან უარყოფილი პოეტისათვის უტყვი და უსულო ბუნება, ეგრეთი მჭიდრო კავშირია და თანხმობა მათ შორის, ერთადერთი მტკიცე, შეურყეველი და ერთგულებით აღსავსე კავშირი, რომელიც ეღირსა მგოსანს თავის მწარე სიცოცხლეში. ეს ექსტაზი პოეტისა ბუნების წინაშე ერთადერთი საგანი იყო, რომელსაც არც ბედი შეეცილა და არც ის საზოგადოება, რომელსაც ეღირსა სახარბიელო ბედნიერება ასეთი კაცის თანამედროვეობისა. მეტად პრაქტიკულის და წვრილმანის გრძნობებისა და აზრებისა იყო ეს საზოგადოება, ცხვირით მიწაში ძალზე ჩაფლული, რომ მთისა და მაზედ გადარტყმულის ცის წარმტაცი მშვენიერება ეგრძნო; მეტად ბრმა იყო იგი საზოგადოება და გონებადახშული, რომ პოეტთან ერთად ეთქვა და ან გაეგო ასეთი დიდებული სიტყვები პოეტისა, “მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის”.

ამგვარს გამეგობრებას ბუნებისას ერთგვარი რევოლუციური ფერი აძევს. კაცთა საზოგადოების განხრწნილებასა და გათახსირებას გაურბოდა ჟან-ჟაკ რუსსო და ბუნებას მიმართავდა ხოლმე.

ამგვარი სასოწარკვეთილება საზოგადოების დაცემისა და გათახსირების გამო ბაირონს უსულო ბუნებაში აძებნივდა ნუგეშსა და თანამგრძობლებს.

ასეთი განკაცება ბუნებისა იკისრა ჩვენმა პოეტმა, ძლიერი გონების, მახვილის სმენის და შორსმხედველი თვალის მექონმა მგოსანმა, და, რასაკვირველია, რაც გულქვა ადამიანში ვერ ჰპოვა, ბუნებაში დაუწყო ძებნა. თუ ბუნება გაასულიერა ბარათაშვილმა, ხანდისხან სულიერი უტყვე ბუნებად გარდააქცია, რადგან უსაკოთა და უსულოთ შორის უფრო მეტი გრძობიერება დაინახა, მათი საიდუმლო ენა გაიგონა და მათი საუბრის უფრო დიდი მნიშვნელობა შეიგნო... რაღა საკვირველია, რომ ასეთ არსებასთან საქმის დაჭერა უფრო საპრიანო და ხელსაყრელი იყო პოეტისათვის. რაღა თქმა უნდა, რომ თუ სულიერი საგანი უსულოდ გამოსახა იმიტომ კი არა, რომ ან გრძობიერება და ან სულიერება მოეკლო ამ საგნისათვის, წინააღმდეგ ჩვენგან უსულოდ მიჩნეულს ბუნებაში იმ სულიერებასა და გრძობიერებას მიაგნო, რაიც ადამიანთა შორის ვერა ნახა... და მაშინ, როცა ჩვენი უწინდელი პოეზია ბუნების პლასტიკურ სიმშვენეირეს უფრო მისდევდა, ბარათაშვილმა ისე განახორციელ-გაასულიერა ბუნება, რომ “სულს, ჯერეთ უმანკოს, მხურვალე ლოცვით მიქანცებულს” მიახსენა “მ თ ვ ა რ ე, ნ ა ზ ა დ მ ო ა რ ე, დ ი ს კ ო გ ა დ ა ხ რ ი თ შ უ ქ მ ი ბ ი ნ დ უ ლ ი!” მაშინ, როდესაც ჩვენი უწინდელი პოეტები ვარდისა და ბულბულის გარდა ვეღარას პოულობდნენ შესადარებლად, ბარათაშვილმა თავისი საყვარელი არსება ხან ვარსკვლავს დაადარა, ხან ხეს და თუ მთვარე, მზე და ვარსკვლავიც ჩვეულებრივი სიმბოლოა სატრფოსი აღმოსავლეთის პოეზიაში, ბარათაშვილმა ეს ვარსკვლავი მოძრავ და მომქმედ არსებად გარდააქცია, თითქმის გულგრილ ადამიანზე უფრო გულთბილ და შემწყნარე არსებად.

“მ ი ს ი ს უ ლ ი შ ე ე ჩ ვ ი ა ა მ ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი ს მ ო დ რ უ ბ ლ ვ ა ს”, “მ ი ს ი გ უ ლ ი შ ე ე ჩ ვ ი ა ს ე ვ დ ი თ ა კ რ თ ო ლ ვ ა ს, ის ვერ გამაწარებს იმით, რომ უეცრად ბუქით ნისლს მი ეფარება, იმიტომ რომ უ ზ ო მ ო ს ი ა მ ე ს მ ი ა გ ე ბ ს, რ ო ს მ ი ბ ჟ უ ტ ვ ი თ ნ ი ს ლ ი თ გ ა მ ო უ ნ ა თ ე ბ ს, გამოუციმციმდება და გამოუდარდება, მაშინ ამის გულსაც ბნელი გამოედარება... ამას უნდა, რომ “მ ზ ე ი ყ ო ს, რ ო მ ს ხ ი ვ ნ ი მ ი ს დ დ ე თ ა გ ა რ ს ა მ ო ა ვ ლ ო ს, ს ა დ ა მ ო ს მ ი ს თ ვ ი ს ჩ ა ვ ი დ ე ს, რ ო მ დ ი ლ ა ს უ ფ რ ო ა ც ხ ო ვ ლ ო ს, უნდა რომ იყოს ვარსკვლავი განთიადისა მორბედი, რომ მის აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი”, ხოლო მისი სატრფო უნდა იყოს “მშვენიერისა ცის ცვარი, რომ განაცოცხლოს და განაცხოვლოს მდელი სიციხითა დამჰკანარი, რომ მხოლოდ მზისა ციაგი მის დილის ნამსა იშრობდეს და ერთად შეზავებულნი, შვებას მოჰვენდნენ სიცოცხლეს, არეს ავსებდნენ სიამით, მცენარედ განმაცხოვლებლად, იყვნენ მარადის უხსნელად სოფლისა ასაყვავებლად”...

სიყვარულიც კი არ ესმის პოეტს ეგოისტური, აქაც ზნეობრივის იდეალით არის გატაცებული, მას სურს, რომ ერთად შედუღებულმა სულმა ორთა მიჯნურთა ქვეყანას შვება და სიხარული მოჰფინოს. დაინახავს, რომ მტკვარი ნორჩ ალვის ხეს “ფეხსა ევლების, ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა” - და პოეტს ცხოვრება გაახსენდება, კიდევ და კიდევ აქ, ამ უსულო და უსაკო ქმნილებათა შორის პოეტი იმავ თავის ბედის მსგავსებას ხედავს; როგორც იდუმალ თვით იტანჯებოდა იდუმალის ძლიერის სევდით, ისე ეს მტკვარი კ ვ ნ ე ს ი ს დ ა გ ო დ ე ბ ს “და აღმოაჩევეს უ ფ ს კ რ უ ლ ე ბ ი დ ა ნ დ ა ა ღ ე ლ ვ ი ლ ი კ ლ დ ე ს ა ე ხ ლ ე ბ ი ს... რ ა მ დ ე ნ ჯ ე რ ქ ა რ ი შ ე ა რ ხ ე ვ ს ს ა რ ო ს, ი მ დ ე ნ ჯ ე რ მ ტ კ ვ ა რ ი უ მ ე ტ ს ო ხ რ ა ვ ს, თითქოს სიმურით შემფოთებული და კლდის პირებზე ზვირთთა შემუსრავს”. და ამიტომაც უხარიათ ხოლმე, ამიტომაც ესიამოვნება აქ, ამ ხის ჩრდილში ოცნება და მის ფოთოლთა შრიალის სმენა, რომ აქ ხედავს იგი სურათს თავისი ძლიერის ცხოვრებისას... დიად, ბატონებო, მხოლოდ ბუნება იყო მისი ნუგეშისმცემელი, მისი თანამგრძობელი, მისი გამგონი და გამგები და ამანაც გარდაუხადა ბუნებას მით, რომ არც ერთს პოეტს, ქართულს ენაზედ მწერალს მაინც, არ შეუთვისებია ბუნება, არ შეუდუღებია თავისი სული და გული ბუნებისთვის ამგვარად, არც ერთი არ ჩაჰკვირვებია ასეთის სიღრმით ხეების ფოთოლთა იდუმალ შრიალს, მდინარის დუდუნსა და ოხვრას, და საზოგადოდ, მთელის უსაკო და უსულო ბუნების საიდუმლო ენას, “უცხოველესს სხვათა ენათა”...

არა ბევრს პოეტს მიუხდვია ნიავისათვის თავისი “შავად მღელვარე ფიქრი”, არ უმცვნია ვარსკვლავთა თანამავალთათვის გულისა საიდუმლო, ძლიერ ცოტას მიუცია “კვნესა გულისა, ტრფობისა ნაშთი” ზღვის ღელვისათვის, არა ბევრ პოეტს ამოურჩევია “საფლავი მდელითა შორის ტიალის მინდვრის და ძვალი შთენილი ქარიშხალთა ზარისა და ღრიალისათვის” არ ჩაუბარებია.

მაგრამ გულმოწყალები და გულჭვილი პოეტი არა თუ თავის მოყვარე ბუნებას, თავის მტერს ადამიანსაც ლმობიერებითა და სიბრალულით ეპყრობა, თორემ რაკი შეიგნებ, როგორ ეპყრობოდნენ თვით უმახლობელესნი პირნი ამ დიდებულ მგოსანს, განცვიფრებული ხართ, რატომ ზიზღით აღსავსენი არ არიან მისი ლექსები კაცობრიობის მიმართ, რატომ ნაღველი არ არის შიგ

დანთხეული საწამლავი ცრემლებისა და ოხვრის ნაცვლად. მაგრამ აქ იხატება მთელი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი არსება პოეტისა. ქართველი ერის კულტურა ათასი წლის განმავლობაში ქრისტიანობის ზედ-გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ქართველი ერისთვის მამულის დაცვა სარწმუნოების დაცვად შეიქმნა, რადგან მისი მტრები ყოველთვის სხვა რჯულისანი იყვნენ და სარწმუნოებრივის მხრივ დიდ შევიწროებას აყენებდნენ. ქართველები ფანატიკოსთა ბრბო ხომ არ ყოფილან, რომ მართლმადიდებლობის მეტი არა ხსოვნებოდეთ-რა. არა, იგინი მამულს იცავდნენ და, წელანაც მოგახსენეთ, მამულისა და სარწმუნოების დაცვა შეკავშირებული შეიქმნა, მათი განცალკევება შეუძლებელი იყო... აქედან ეს სარწმუნოება, რომელიც მეტად საყვარელი შეიქმნა, მეტად ძვირფასი ქართველი ერისათვის - ძვირად დაუჯდა ჩვენს ერს. ამ გატაცებამ სარწმუნოებით გადააჭარბა კიდევაც და პოლიტიკური სიბრძნე გამოიწვია... რასაკვირველია, ამ სარწმუნოებას დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა ქართველი ერის კულტურაზე, მის სულზე, და სწორედ ეგრე იყო. ძლიერებამ ქრისტეს სარწმუნოების გავლენისამ ბარათაშვილშიაც იჩინა თავი და მთელი მისი ლექსები სულითა და გულით ქრისტიანის დაწერილია, ადამიანის, რომელსაც მტკიცედა აქვს თავისი მოვალეობა შეგნებული, ადამიანის, რომელიც კაცთა სისუსტეს სიბრალულითა და მოთმინებით დასცქერის, ადამიანის, რომლისთვისაც ცხოვრების საზიზღრობას გული კი ვერ აუცრუებია ამ ცხოვრებაზე, არა, წინააღმდეგ, მის განკარგებისა და გაუმჯობესობის ცდა იდეალად დაუსახავს. ამიტომაც არის, რომ ცხოვრების ამოების ღრმად შემგნები პოეტი მაინც იმას იტყვის, რომ “თუ კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისაო...” ამიტომაც არის, რომ უმაღლესს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი პოეტი, მამულის, სწორისა და მეგობრის მოშორებას არად ჩააგდებს, თავისი იდეალისა, თავის აზრისათვის შეუწირავს ყოველივე იმიტომ, რომ იცის, “ცუდად ხომ მაინც არ ჩაუვლის ეს განწირულის სულის კვეთება და გზა უვალი, მისგან თელილი” მაინც დარჩება შთამომავლობას, და მის შემდგომად “მისა მომძესა სიმნელე გზისა გაუადვილდეს”. ეს ზნეობრივობა არის იმისი მიზეზი, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, რომ სიყვარულსაც რელიგიურის ექსტაზით ეპყრობა. კერძო, პირად უსიამოვნებასა და დაბრკოლებას არად აგდებს და ამ გრძნობის უმაღლეს მხარეების თაყვანისმცემლად, ქურუმადა და მაგალობლად გამოდის.

ეს ზნეობრივი ელემენტი შეაქვს პოეტს რომანტიულ-სალირიკო პოეზიის ერთ უმთავრეს საგანში, - სახეში მაქვს სიკვდილი, ეს “ნუგეში უბედურთა”... მართალია, პოეტმა ამაში ქართველობა გამოიჩინა და ლექსი ამ საგნის შესახებ არ დაგვიტოვა, მაგრამ იმისი ერთი წერილის ადგილი ბევრს ლექსსა სჯობს თავის სიმშვენიერით და აზრთა სიღრმით. “მხოლოდ ტფილისის საუცხოვო საღამოები გამოამაცოცლებენ ხოლმე!” - სწერს იგი ერთ მეგობარს, - “გუშინ, ერთ საღამოს დროს, წავედი სახეტილოდ... უეცრად სასაფლაოზედ გავჩნდი... მართალი ვითხრა, ცოტა არ იყოს, გავოცდი, აქ დასადგურებულს იდუმლობას რომ შევხედე: დამის 11 საათია, არც ერთი სულიერი არ ჭაჭანობს. ირგვლივ საუკუნო არარაობაა; მიმქრალეული მთვარე მოწყენით დანათის სასაფლაოებს, როგორც ცხედართან დადგმული მბუჭტავი სანთელი. ჩუმად და ნელად მოღელავს მტკვარი, თითქო ეშინიან ამ დაღვრემილ მიდამოს მყუდროების დარღვევაო. ეხლა შენ ქეიფობ და არ მინდა, იმ ნაღვლიანი ფიქრებით შეგაწუხო, რომლებითაც აღმავსო ამ სანახაობამ - ციურმა და თანაც მიწიერმა. მაგრამ ამას კი გეტყვი, მშვენიერი მოგონილია სასაფლაო, მიუცილებელია იგი, რათა მოკვდავმა წაიკითხოს იქ თავის ცხოვრების ამბავი: ნუგეში უბედურთა არის ბედნიერების დასასრული”.

საუბედუროდ, ეს ნაწყვეტიც ცუდი რუსული ენით არის დაწერილი, რაცა ხელს ძალიან უშლის აზრის მხატვრულად გამოთქმასა. აქ ჩვენ მაინც ვხედავთ, რომ პოეტს სიკვდილი სამუდამო არარაობად მიაჩნია, აშინებს კიდევაც იგი და ჭმუნვით აღსავსე აზრებს აღუმრავს, მაგრამ თანაც ხედავს, რომ სიკვდილმა, ყოვლისა მხსნელმან შემუსროს ყოველი ბედნიერებაცა და უბედურებაცა და შთანთქას საუკუნო უფსკრულში... ბედნიერთ უნდა იგრძნონ, რომ მათი სიცოცხლის ბოლო არის ორი არშინი მიწა და ამიტომ უნდა სხვაფრივ უკვდავად ჰყონ თავისი სახელი, მხოლოდ უბედურთ უნდა ინუგეშონ მით, რომ სიკვდილისაგან ყოველი გასწორდეს - სუსტი და ძალგულოვანი, ერი და მეფე, ყრმა და მცოვანი, მდიდარი და გლახაკი. ერთისთვის საფლავი მომაგონებელია თავის მოვალეობისა, მეორისთვის მანუგეშებელი, რადგან აჩვენებს, რომ მის ტანჯვებს ბოლო ექნება, ისეთივე ბოლო, როგორც სხვის ბედნიერებას. ბარათაშვილმა თუ ზნეობრივი აზრი სიკვდილის შესახებ ისესხა რუსთველისაგან, სამაგიეროდ, საუცხოო პოეტური სამოსელით შემოსა, რაცა ვერ შესძლო, როგორც მოგახსენეთ, ვერც ალ. ჭავჭავაძემ და ვერც გრ. ორბელიანმა; გარდა ამისა, იგი არ დაკმაყოფილდა საგნის მართო ერთი მხრის აღწერით და გვიჩვენა, რას ჰვიქრობს კაცი, როცა სიკვდილი თვალის წინ უდგა, რა აზრებს ჰბადებს მასში



სანახაობა სიკვდილისა - სასაფლაოე რა გრძნობებს იწვევს კაცში ეს სანახაობა, ზეციური და თან მიწიერი, როგორც თვითონ უწოდებს.

## V

ბარათაშვილი, მოგახსენეთ, უმაღლესი წარმომადგენელია რომანტიზმისა - თუკი რომანტიზმი იყო გამომხატველი ადამიანის - პოეტის თვით უღრმესისა, თვით უსაიდუმლოესისა და არსებითის გრძნობებისა, თუკი რომანტიზმი, დროისა და გარემოების ზედგავლენის გამო, ამ გრძნობათა გამოხატვას მწუხარე და სევდიანის სუდართით მოსაგდა. რომანტიზმის უმაღლესს საფეხურზედ აყვანა ძნელი-და და მოუხერხებელი იყო ქართველის პოეტისათვის მას შემდეგ, რაკი ბარათაშვილმა იგრძნო და გვაგრძნობინა ღვთაებრივი და იდეალური მხარე სიყვარულისა, დაგვანახვა ბუნების საიდუმლო კავშირი კაცთან, “უასაკოთა და უსულოთა” ენა და გრძნობა შეგვასმინა.

განა რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენელად არ უნდა მივიჩნიოთ ის პოეტი, რომლის ჩონგურს ოხვრისა, კვნესისა, კაემნისა და მოთქმის მეტი არა გაუგონებია-რა არც მაზედ დამკვრელის მგოსნისა და არც მის მსმენელათათვის; ის პოეტი, რომელსაც თავის ჩონგურში “მოკლულის გულის ოდენ ჩივილი ესმოდა”, რომელსაც ღიმილისა და მხიარულის ხმის ნატვრაში ამოხდა სული. დიად, რომანტიკოსია, უდიდესი რომანტიკოსი და უაღრესი პესიმისტი “პოეტი მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით”, რომელსაც მშვენივრად ჰქონდა შეგნებული, “რომ სოფლად ყოველსა აქვს ჟამი და ბოლო, რომ საწუთრო დიდხანს არავის ახარებს”. დიდი პოეტია, რომანტიკოსი მგოსანია ის, რომელსაც “ხმა საიდუმლო” მოსვენებას არ აძლევს და სიყრმიდანვე “ხმა საკვირველი”, გულის ნაღვლით აღმავსებელი, ხმა, რომელიც უღვიძებდა თავში ათასგვარ მწარე ფიქრებს, სულსა და გულს უშხამავდა, ხმა, რომელიც ყოველივე გრძნობის ძირამდი ჩახხედებდა და იქ, იმ ძირში უჩვენებდა ჯოჯოხეთსა და საწამლავს, გულს, სულს და გრძნობას უწყლავდა. ეს ხმა, ეს “სული ბოროტი” დაბოლოს მან დასწყევლა, როგორც “აღმაშფოთარი, სულის მშვიდობის წარმდები, ყმაწვილის ბრმა სარწმუნოების მომკვლეელი, სული აღმშფოთი, წრფელ ზრახვათა მომხიბლველი და აღმრევი”, რომელმაც მგოსნის “გულის თქმანი იმხვერპლა” და დასტოვა “უსაგნოდ, მარტო, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი”.

უდიდესი გამომხატველი ბარათაშვილის სულის განწყობილებისა - მისი “მერანია”, ქართულის ლიტერატურის მარგალიტად მიჩნეული... დიად, ამ მერანში ვხედავთ ჩვენს პოეტს, რომლის გრძნობათა აღმრევასა და აღშფოთებას, სულის ობლობას და მარტობას იმ სიმწვავემდის მიუღწევია, რომ არად მიაჩნის “მოშორდეს მამულს, მოაკლდეს სწორთა და მეგობარსა, აღარ იხილოს მშობელი და სატრფო ტკბილ-მოუბარი”, არად მიაჩნის, მის მამულში არ დაიმარხოს, მისთა წინაპართ საფლავთა შორის; სატრფომ გულისა არ დაიტროს”, არას დასდევს, დაე, შავმა ყორანმა გაუთხაროს საფლავი მდელოთა შორის ტიალის მინდვრის და ქარიშხალმა ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწა მიაყაროს; საკმაოდ მიაჩნია ისიც, რომ “სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა დაეცემიან ციურნი ცვარნი, მისთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად ივალალებენ სვავნი მყივარნი” და უპატრონოდ ოხრად მოკვდება... ამ ზომამდის მიაღწია მგოსნის უმაღურობამ კაცობრიობის მიმართ. მაგრამ დახეთ მის ზნეობრივ არსებას - დღეინდელის საზოგადოებისაგან გულ-დათუთქულმა, ხვალინდელზედ როდი გადაიტანა ეს სამდურავი, შვილი როდი გახადა მამის ბოროტ-მოქმედებისათვის პასუხისმგებლად; აწმყო დაგმო, მაგრამ მომავალი შეიწყნარა:

“ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;  
და ჩემს შემდგომად მომმესა ჩემსა სიმძნელე გზისა გაუადვილდეს  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს”.

დიად, მისმა “მერანმა” - ხოლო ამ “მერანის” ახსნაში ილ. ჭავჭავაძეს უნდა დავეთანხმოთ, რომ ეს მერანი, რაღაც სიმბოლური საგანია, შეიძლება პოეტის აზრსა ნიშნავდეს, მისს სულის კვეთებას ანდა სხვას რასმე - “მერანმა” გადათელა გზა უვალი, გადათელა მშობელთა უგულობა, სამშობლო ერის გულცივობა, მომძის, მოყვასის და მეგობრის საზიზღარი გულგრილობა, ადამიანთა აღვირწახსნილ ეგოიზმსა და პირუტყვობას არჩია “ვარსკვლავი თანამავალი” და “ზღვის ღელვა”, “შავი ყორანი” არჩია გულის სატრფოს ცბიერ ცრემლებს, ქარიშხალი მიწის დამყრელად - ადამიანის ხელს, ნათესავთა გლოვას - სვავთა მყივართა ვალალი, უპატრონოდ და ოხრად სადმე გადაკარგული სიკვდილი, რადგან იგივე უპატრონო, იგივე ოხერი და იგივე ობოლი იყო თავის ტოლ-ამხანაგთა და სწორთა შორისაც... დიად, ეს სოფელი აჩვენა მის შემდეგ შთამომავლობას, დაანახვა

ადამიანთა სიბოროტე და გააფრთხილა, ღრმად ჩაახედა საზოგადოებისა და კაცის გულში და ამგვარი ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებულს გზა დაულოცა. ამის მეტი რომ არა დაეწერა-რა ბარათაშვილს, ჩვენა გვეონია, მაინც დაიმსახურებდა სახელს უდიდესის პოეტისას, რადგან ამ ლექსშია გამოთქმული უზენაესი, უწრფელესი და უღრმესი გრძნობა გულით დათუთქულის, გულ-მოწყლულის, ზნეობით აღსავსე ადამიანისა. ჩვენი მგოსნის ამ ზნეობრივობაზედ მივაქვევთ მკითხველის ყურადღებას. მგოსანს, რომელიც ხელსა ჰკრავს და ზურგს უჭვენებს მას, რაც კი შეადგენს კაცის ცხოვრების განმაცხოვრებელს, მხოლოდ ერთიდა წადილი დარჩენია, ის, რომ მომავალ თაობას “სიძნელე გზისა გაუადვილდეს”, შეამღებინოს, “შეუპოვრად შეებრძოლოს შავ-ბედს”. რა ძლიერი უნდა ყოფილიყო პოეტისაგან თავის მოვალეობის შეგნება წინაშე შთამოებისა, ისტორიისა და თავის ერის მომავლისა; ესეთი კაცი, როცა ამგვარ სასოწარკვეთილებამდის მიდის, ესდენ უნუგემობამდის მიაღწევს და მაინც არ ივიწყებს “მომძესა თვისა”, ჭეშმარიტად დიდი კაცია და დიდებული შვილი ქვეყნისა.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს ლექსი დაწერილია მიცკევიჩის “ფარისის” მიმსგავსებით. რასაკვირველია, ამით სრულიადაც არა მცირდება ღირსება ამ ლექსისა. შორს წაგვიყვანდა, თორემ ჩვენ შეგვეძლო აგვეხსნა, რას ნიშნავს ლიტერატურაში მიმბაძველობა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას და ისიც გვეჩვენებინა, რომ ყოველ დიდებულ ნაწარმოებს ემჩნევა კვალი მიმბაძველობისა, მაგრამ ამის გამო დიდებულება მაინც არ დაუკარგავს. ჩვენს მგოსანს ნასესხები აქვს არაკი ლექსისა, ნასესხები აქვს მრავალი სიტყვები თვით ლექსისა, ეგრეთ წოდებული პოეტური ეპითეტები, მაგრამ, როგორც ბრძანებს ბ-ნი მეუნარგია, თვით მიცკევიჩს ეს სიტყვები ნასესხები ჰქონია თურმე არაბულ ლექსიდან. წარმოიდგინეთ, თვით ის შემთხვევა, რომლის გამო დასწერა მიცკევიჩმა თავისი “ფარისი”, წააგავს იმ შემთხვევას, რომელმაც ბარათაშვილს თავისი უკვდავი ლექსი დააწერინა, და მაინც კიდევ ბარათაშვილის ლექსი დიდებულია...

მე მოვიყვან მიცკევიჩის ლექსის შინაარსს ისე, როგორც ბ-ნი მეუნარგიას აქვს მოყვანილი გაზეთ “ივერიაში” - თ. ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიაში. “ფარისი ნიშნავსო”, ბრძანებს ბ-ნი მეუნარგია, მხედარს, რაინდს. მიცკევიჩმა დასწერა თვისი პოემა პოლშის ორიენტალისტის რაჟევსკის სახსოვრად, რომელსაც ის ბედი ეწია, რაც პოემის მხედარს. ვაცლავ რაჟევსკი სამეცნიერო გამოსაკვლევად იყო წასული და დაიღუპა. ფარისში გამოხატულია არაბი, თვალუწვდენელს უდაბნოში გადავარდნილი, საცა არც წყალი არის, არც მცენარე, არც კაცის სული მოიძებნება, საცა მარტო ქვიშაა. არაბი სძლევს ყოველგვარს დაბრკოლებას, რომელიც იმას ხვდება გზაზე და განაგრძობს წინ ქროლვას:

“Мчись, летун мой белоногий  
Горы, дебри, прочь с дороги,

შუაგულ უდაბნოში აედევნება მას საშინელის ჩხავილით ძელქორი, რომელსაც მხედრისა და ცხენის ლემის მადა აშლია. მაგრამ არაბი ამასაც დააღწევს თავს და ეტყვის თავის მერანს:

Мчись...

Скалы, коршун, прочь с дороги!

მფრინავის შემდეგ დაეწევა მას ცის ღრუბელი, ეს აფრთხილებს მხედარს, რომ არ წავიდეს წინ, რადგანაც წინ არც ერთი ცვარი წყალი არ არის, მაგრამ ვერც ეს მუქარა შეაშინებს თავ-განწირულ მხედარს:

Я не боюсь угрозы! Лети, гонец!

იტყვის იგი და განაგრძობს გზას. გზა-გზა ის შეეყრება უდაბნოში დაღუპულს ქარავანს, მაგრამ ვერც ეს ძვლები მოიყვანს გონზე არაბს:

Трупы, вихри. Прочь с дроги!

ბოლოს ატყდება საშინელი ქარიშხალი, რომლის მძვინვარებასაც გადაურჩება მხედარი. შემდეგ ის განერთხება დედამიწაზე და დაუწყებს ცქერას ვარსკვლავებს. მისი ფიქრები იკარგვიან ზეცას და ფიქრებთან ერთად მისი სულიც:

Так душу в высь я усремил,  
И в небе с мыслью сохранил, -

ათქმევიანებს პოეტი უდაბნოში დაღუპულს მხედარს. მიცკევიჩი თავის მხედრის გმირობას გვიხატავს, რომელიც ვერას შეუშინებია. ბარათაშვილი კი თავის მხედრის სასოწარკვეთილებას,

რომელიც იმ მდგომარეობაშია, რომ არაფერი არად მიაჩნის და სიცოცხლეს სიკვდილს არჩევს, მაგრამ სიკვდილს აზრიანს, შთამომავლობისათვის თავგანწირულს. ბარათაშვილმა ისარგებლა შემთხვევით, ისარგებლა მიცვევიჩის ლექსით, მაგრამ უფრო ღრმა ნიადაგზე დააყენა საგანი, საგნის არსებით მხარეს შეეხო, საგნის მთავარ აზრს ჩასჭიდა ხელი; მარტივი შემთხვევა, საზოგადო ტიპიურად გარდაჰქმნა, ილ. ორბელიანის ლექთაგან დაჭერის გამო დაგვისურათა კაცი, რომელსაც შეუგნია საზიზღრობა ცხოვრებისა, კაცი, რომელსაც ვერ უპოვია ტოლი და მეგობარი სულისა, კაცი, რომელსაც საზოგადოების გულქვაობასა და გულგრილობას სასო-წარკვეთილებამდის მიუყვანია, კაცი, რომელიც მიურბის ყოველსავე ამას, ადამიანზედ უფრო გულკეთილსა და გულმოწყალე ბუნებას მიმართავს; მიურბის ყოველსავე ამას და მომავალ თაობას დანახვებს, ერიდეთ, ერიდეთ საზოგადოების ამ გახრწნილებას, საზოგადოების გათახსირება შევიგენი, მის საბრძოლველად გამკლავება მე ვერ შევძელი და თქვენი საქმეა მისი შავის-ბედის შებრძოლება... ხოლო, როცა საზოგადოებაზედ ვლაპარაკობთ, ის კი არ გვინდა ვსთქვათ, ვითომ პოეტს ტფილისისა და ან მარტო საქართველოს საზოგადოების გახრწნა ჰქონდა სახეში, არა, ტფილისის საზოგადოება, ქართველის ერის ცხოვრება მხოლოდ მასალა იყო, რომლის შემწეობითაც დიადის ნიჭით აღჭურვილმა მგოსანმა შეიგნო საზოგადოდ მაშინდელი ადამიანის არსება და ამ არსების შეგნებით, დღეინდელიობით გულმოწყალო, ხვალინდელიობის იმედით გაექცა ამ დღეინდელიობას, გადათელა იგი და გზა გაუკაფა მომავალ თაობას.

## VI

არანაკლებად სადიდებელია ბარათაშვილის სახელისათვის მისი “მთაწმინდა”, “ბულბული ვარდზე”, “ჩინარი”, “სული ობოლი”, “არ უკიჟინო, სატრფოო”, “შევიშრობ ცრემლთა” და “ვპოვე ტაძარი”. მაგრამ ყველა ამას გარდა მან დაგვიტოვა ის, რაიცა საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია მისი გენიოსობისა, მისი შეუდარებელის მნიშვნელობისა ქართულს ლიტერატურაში. ეს გახლავსთ “ბედი ქართლისა”, რომლის შესახებაც ჩვენ ეხლა ვილაპარაკებთ. ამ პოემით ბარათაშვილი შეიქმნა ქართულის რეალურის ლიტერატურის მამამთავრად.

რეალიზმმა ამ საუკუნის მეორე ნახევარში დაისაკუთრა ლიტერატურა. თუ რომანტიზმი იყო კლასიციზმის წინააღმდეგი მოვლენა ლიტერატურაში, რეალიზმი რომანტიზმის წინააღმდეგმა რეაქციამ გამოიწვია.

რეალიზმის უმთავრესი თვისება და მოთხოვნილება ლიტერატურაში ის არის, რომ მწერალმა თავისი “მე” დამალოს და არ გამოაჩინოს, თავისი აზრები და გრძნობები შეაბორკილოს და ერთგვარ ფოტოგრაფიულ აპარატად გარდაიქცეს, რომელიც ცხოვრების ყოველგვარ მოვლენას გადმოგვცემს ისე, როგორც იგი მოხდება ხოლმე, და მწერალმა თავისებურის ფერადით არ შეღებოს ეს მოვლენა... ამისათვის ხელოვნების მთავარი აზრი უნდა იყოს ბუნების დაკვირვება და ცხოვრების მეცნიერულად შესწავლა... რეალიზმი უნდა იყოს - ჩვენ ვამბობთ იმ რეალიზმზე, რომელიც შეჰქმნა ფლობერმა და ზოლამ, რომლის მოძღვრები იყვნენ კრიტიკოსი სენტ-ბევი და ტენი - გამომსახველი სამეცნიერო პოზიტიურის შეხედულებისა ცხოვრებაზედ, ესე იგი, უნდა აღიაროს დეტერმინიზმი ცხოვრების მოვლენათა. ცხოვრების მოვლენანი განსაზღვრულს კანონს ექვემდებარებიან; კაცს, როგორც ერთ ნაწილს ბუნებისას, ერთ პირუტყვთაგანს, ბუნებაში თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. კაცს მხოლოდ ის შეუძლიან მოიქმედოს, რის მოქმედების ნებასაც გარემოება აძლევს და სხვადასხვა პირობა ანებებს; კაცს არა აქვს არავითარი თავისუფალი ნება, არა აქვს არავითარი ძალი, ცხოვრების კანონი გარდაჰქმნას და თავის ნებაზედ მომართოს ცხოვრების მოვლენანი. კაცი პაიკია იმ დიდ ჭადრაკის ფიცარზე, რომელსაც ეწოდება ქვეყანა, და მოვლენათა სასტიკი კანონი არის ის მოთამაშე, რომლის სურვილზედაც არის დამოკიდებული პაიკის აქეთ-იქით გაწევ-გამოწევა.

თუ რომანტიზმი, როგორც ღვიძლი შვილი ინდივიდუალურის ფილოსოფიისა, კაცსა სთვლიდა ბუნებისა და ცხოვრების მეფედ, თუ იგი აღიარებდა კაცთა ყოვლის შემძლებლობას, მისი სულისკვეთების შეუზღუდველობასა და განუსაზღვრელობას, - რეალიზმი და პოზიტივიზმი წინააღმდეგს განაცხადებს, - კაცის უღონობასა და სისუსტეს, ცხოვრების კანონის სიმძაფრესა და უღმობელოებას. კაცი მეფე კი არა, ყურმოჭრილი მონა არის; ამ ფილოსოფიის აზრით, უმნიშვნელო ჭიანჭვეა, ანუ “ჭიანჭველა”, როგორც ჩვენი პოეტი ამბობდა ხოლმე.

ინდივიდუალურის ფილოსოფიის მიმდევარნი გმირებს გვიხატავდენ, ისტორია გმირების შექმნილად მიაჩნდათ. პოზიტივისტები ამტკიცებენ, რომ გმირს არა შეუძლიან-რა, თუ ნიადაგი არა აქვს მზად, გარემოება ხელს არ უწყობს, ამას ყოველივეს კი ცხოვრების მიმდინარეობა ჰქმნის, გარეშე ადამიანთა სურვილისა და წადილისაო.

აქედან ორი უმთავრესი თვისება რეალიზმისა: იგი სამეცნიერო პოზიტიურის ფილოსოფიის მართლმორწმუნე იყო, ხოლო ესთეტიკის კანონად აღიარებდა და მიუცილებელ საჭიროდა ხდიდა, მწერალს თავისი გრძნობების გამოქვეყნება უკუეგლო, მხოლოდ ცხოვრების ფაქტები დაენახებინა, ლიტერატურა “დოკუმენტებად” გარდაექმნა, რადგან მეცნიერებისთვის მხოლოდ დოკუმენტებსა აქვს მნიშვნელობა. სხვა თვისებანი რეალიზმისა, როგორც საესთეტიკო მოძღვრებისა, მეორეხარისხოვანი არიან და აქედან წარმომდინარეობენ. მაგ., რეალიზმის პირველმა მოციქულებმა (ჟორჟ სანდი) მდაბიო ხალხს მიმართეს და მათი ცხოვრებიდან შეჰქმნეს მოთხრობები უფრო იმიტომ, რომ ადვილი შესაძლებელი ყოფილიყო მწერლის პირად გრძნობათა მიმალვა. ანდა ზოლა ტიპებს კი აღარა ხატავს, რომანის ანუ მოთხრობის გმირებს კი აღარ გვისურათებს, ბრბოს გვიჩვენებს მხოლოდ და ბრბოს ფსიქოლოგიას გვიხატავს, მხოლოდ საზოგადოების თვისებასა და ზნე-ჩვეულებას აღგვიწერს, იმიტომ რომ ეხლანდელმა ფილოსოფიამ გმირები ჩამოიყვანა იმ კვარცხლობიდან, რომელზედაც იგინი ძველმა ფილოსოფიამ აიყვანა.

ამიტომ ბარათაშვილი არის რეალიზმის შემომღები ჩვენს პოეზიაში.

პირველად ყოვლისა, ავტორის პირადობა დამალულია, სრულიად დაფარულია ავტორის აზრი ამ მოვლენის შესახებ. ყველამ, რასაკვირველია, კარგად ვიცით, რომ ამ პოემას საგნადა აქვს, აღგვიწეროს უკანასკნელი ხანა ჩვენის ისტორიულის ცხოვრებისა, როცა მეფე ერეკლემ საქართველოს ბედი გარდასწყვიტა. ამ მოვლენის შესახებ თავისი აზრი არა ჰქონდა ისეთ მახვილ გონებასა და გრძნობიერს პოეტს, როგორც ბარათაშვილი იყო, არაა შესაძლო, მაგრამ ამ აზრის გამორკვევა ამ პოემის შემწეობით შეუძლებელია. მართალია, პოეტს ხანდახან თავი ვერ დაუჭერია და აქა-იქ წამოსცდენია აღტაცება ხან “ჩვენის დედებით”, ხან მეფისა და მის მოყმეთა ერის მამა-შვილურის კავშირით, მაგრამ ეს ისე მიკერებული აქვს პოემას და სრულიადაც რომ გამოაკლოთ ეგ ლექსები, არაფერი დაუშავდება პოემის თანდათანობასა და ერთიანობას. გარდა ამისა, არც ერთი ეგ ლირიული ადგილი არ ეხება მთავარ საგანს, რომლის შესახებაც პოეტი თავის აზრის წარმოთქმის აშორებას ცდილა.

ბარათაშვილმა ამ ეპოქის ასაწერად აიღო სამი პირი: მეფე ერეკლე, რომელიც დრომა და გარემოებამ დააჯერა, რომ საქართველოსთვის პოლიტიკური თვითარსებობა შეუძლებელი იყო. ამიტომ მისი მფარველობა უნდა სხვა სახელმწიფოსთვის გარდაეცა; სოლომონ ლიონიძე, დიდად გამჭრიახი და გონიერი კაცი, რომელსაც სურს ებრძოლოს ისტორიულ ბედშავობას და მისი ცოლი სოფიო, რომელიც, ჩვენის აზრით, განგება ჰყავს ბარათაშვილს გამოყვანილი, რომ მაშინდელი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის წმინდა გრძნობები დაესურათებინა. სამივეს ძლიერ უყვარს მამული, სამივე ყოველი კეთილის მსურველია მამულისათვის, სამივე უწრფელესი და უანგარო გრძნობებით არიან აღსავსენი, მაგრამ ერთი სტრიქონიც არ დაუწერია ბარათაშვილს ამ პოემაში, ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია ისეთი, რომლითაც სჩანდეს, მისი თანაგრძნობის სასწორო რომელ მათგანისაკენ იწევს.

ერთი მხრით, მეფე ფიქრობს თავის ერის შესახებ, ვითა მამა კეთილი, რომელსაც სურს, რომ თავისი შვილი სიცოცხლეშივე დაასახლკაროს; მეორე მხრით “მსაჯული” ქველი, მეფის შინაური ყმათ საყვარელი, ნიჭთა კეთილთა უხვად მორჩმული; მესამე მხრით გულკეთილი და მშვენიერი, ზრდილი ცოლი მსაჯულისა, სათნო სოფიო, სულისა ტოლი.

პირველი სჯის ქართლის ბედს, სურს და ელტვის, რომ ქართლს კეთილდღეობა მიანიჭოს, მაგრამ დღევანდელ გარემოების აწონ-დაწონვა იმ ფიქრამდის მიიყვანს, რომ საქართველოს აღარ ძალ-უმს თვითარსებობა. სპარსელთა მოსისხლე გული აღა-მაჰმად-ხანის გამარჯვების შემდეგ აღარ დააწყნარებს საქართველოსაო, სპარსეთის მაგალითი ლევთაც ააყაყანებს, ოსმალი კი მხოლოდ დროს უყურებენ... იცის, რომ ძნელ არს ცხოვრება სამეფოსი, როს უჭვრეტდეს იგი ომსა დღითი-დღე... ამას ზედ დაურთეთ გახრწნილება საზოგადოებისა, საცა ერთმანეთსა ჰკვლენ, თვით მეფეს “ლონენი წელთ წარუტაცეს,” შვილს კი ვერც ერთს ვერა ჰხედავს ღირსეულს, რომ ექმნეს კვერთხად მამულს დარღვეულს. ყოველივე ამის დამნახველი მეფე, მეფე ცხოვრების უღმობელოების შემგნები, გარდასწყვეტს, რუსეთს დაუკავშიროს საქართველო. მისი მსაჯული დღევანდელ დღეს არ უყურებს, იგი უფრო ლოდიკის პატრონია, უფრო საუკუნო პრინციპების მიხედვითა სჯის საქმეს, მომავალს უყურებს და დღევანდელია არ აშინებს, იდეალისტია იგი და მხნე, მამაცი გმირი. იგი ვერა ხედავს, საქართველოს საიმისო რამ ემართებოდეს, რომ მიუცილებელი იყოს თავისუფლების განსყიდვა. იგი მომხრეა ცხოვრების იმ ფილოსოფიურ პრინციპებისა, რომ “სახელმწიფოს სჯულის ერთობა არა-რას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.” იცის, რომ ქართველებს “არად მიაჩნისთ უბედურება, თუ აქვთ ჭერ-ქვეშე თავისუფლება”... და განა მეფემ კი არ იცის ესა, მისი გულიც სოლომონისაკენ არის, ის ერთ წუთას კიდევაც აპირებს, დაიდუმოს

თავისი გულისთქმა, მაგრამ მიმდინარეობა საქართველოს ისტორიისა, ისტორიული მსვლელობა და წადილი ძლიერის რუსეთის სახელწიფოისა ნათლად დაანახვებს, რომ “დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიკავს რუსთ ხელმწიფება.” თან მსაჯულსაც, როგორც გონიერ კაცს, მეფისაგან დახატული საქართველოს მდგომარეობის სურათი ფიქრში ჩააგდებს და ეჭვებს აღუძრავს: “ვინ იცის, იქნებ იგი უკეთ ფიქრობდეს, რაც გვეჭივრება, ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის გონება ყმათა ვერა მიხვდების.” წარმოიდგინეთ, პოეტი არა თუ იმას არ გვიჩვენებს, თვით ვის აზრს ემხრობა, ამ სხვადასხვა აზრის წარმომადგენელნიც კი ვერ უწევენ ერთმანეთს სასტიკ წინააღმდეგობას. მეფე გრძნობს, რომ სოლომონი პრინციპიალურად მართალია, მაგრამ დღევანდელ გაჭირვებულ დღეს, ამ უბედურებისა და დარღვევის დროს მშვიდობისათვის საყვარელ ყმათა, არ იცის, რა მოაგვაროს. სოლომონიც აღელვებულია და აღშფოთებული, რომ მეფე უპირობს ხალხს წარსტაცოს თავისუფლება და მთელ მონოლოგს წარმოსთქვამს მეფეთა განუსაზღვრელ უფლების შესახებ, რომელთა ღმერთი მოჰმადლებს ხოლმე ყოველთა უფლებას და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი, განურჩევლად სულელნი, ბრძენნი და იგი მათს ბედს ისე განაგებს, “ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!”

აქ მხოლოდ ერთი წარმომადგენელია გრძნობისა - ქალი, რომელიც კი არა სჯის, საგნის სიგრძე-სიგანით აწონ-დაწონვას როდი დაეძებს, იმას ამბობს, რასაც გრძნობა ეუბნება, მამული და მამულის თავისუფლება იმიტომ სჭირია, რომ “ი ქ გ ა ჯ ი რ ე ბ ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა რ ი გ ა დ ე ნ უ გ ე მ ე ბ ა , მ უ ნ ს უ ლ ს ა ს უ ლ ი თ ვ ი ს ა დ მ ი ა ჩ ნ ი ს და გ უ ლ ს ა გ უ ლ ი ს პ ა ს უ ხ ი ე ს მ ი ს ... ეს წრფელი და გრძნობიერი სიტყვები გულს აუღელვებს მსაჯულს და მის გულში ანთებულს ცეცხლს მუგუზალს შეუმატებს, რადგან მით უფრო საშინლად მიაჩნია მეფის გარდაწყვეტილება, რომ ხალხი ამას გრძნობს, ხალხი ესდენ დაიტანჯება. ბარათაშვილიც აღტაცებულია ამ ქალით, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მის დროინდელის ქალებისათვის დაეპირდაპირებია. რასაკვირველია, მოხიბლულია მისი მაღალგრძნობიერებით, ნასიამოვნებია, თაყვანსა სცემს მის ცხოველს გულს, მაგრამ იმიტომ კი არა, ვითომ მის აზრს ეკერძებოდეს. ეგრედ გაგვიტაცებს ხოლმე და სიამოვნებით აღგვავსებს ჩვენ ზავშეების ცელქობა, ზავშვის იდილიური ოცნებანი, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მათს აზრის სინამდვილესა ან საფუძვლიანობას აღვიარებდეთ.

დაიცვა რა პოეტმა თავისს პოემაში უპირადოვნება (impersonalite), ფაქტის სასტიკ აღმნიშვნელად დარჩა და ამით რეალიზმის ერთი უდიდესი კანონთაგანი შეასრულა, რეალიზმის ფილოსოფიის აღმსარებელიც შეიქმნა. მეფეს თავისი სურვილის წინააღმდეგ გარემოება აფიქრებინებს, მოუსპოს სამშობლოს თავისუფლება, სისხლ-დაწრეტილ საქართველოსათვის, საქართველოსათვის, რომლის საზოგადოება დაცემული იყო სულითა და ზნეობით, თვით-არსებობა შეუძლებელი იყო. მეფე გრძნობდა, რომ აღარ შეეძლო ისეთს ერზედ დამყარებულიყო, რომელსაც შეამჩნია მუხთლობა, როცა შეამჩნია “მოყმეთა მისთა ესდენ დამცრობა,” რომ თითქმის მოგებული ომი წააგებინეს მუხანათობით და იუდასავით გაჰყიდეს სამშობლო. მაშინ გარდასწყვიტა, რომ “მას აღარ ითვისებს ქართველთა გული, რომელთა მეფე ეული იგი” იყო; ხედავდა, რომ ღირსეული და მამულისათვის გამოსადეგარი მემკვიდრე არა ჰყავდა და, გარდა ამისა, თვით მის შვილებს შორის ისეთი აყალ-მყალი და არეულობა იყო, რომ საქმეს ვერ გაუძღვებოდენ. ყველა ამას ხედავდა მეფე და გარდასწყვიტა ბედი ქართლისა. და მართლაც ისე ახდა, როგორც გარდასწყვიტა, მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც უწევდა სოლომონი და მრავალი სოლომონის თანამოაზრე. ამაში გამოიხატა მეცნიერული დეტერმინიზმი, პოზიტიური შეხედულება ბარათაშვილისა: ერთი კაცი, რაც უნდა გმირი და დიდი იყოს, ვერას გააწყობს-რა ისტორიის მსვლელობის წინააღმდეგ. მე აღარ შევეხები მშვენიერს სურათს მეფისა და ლაშქრის კავშირისას, აღარ შევეხები ომის სურათს, არც არაგვის საუცხოვო ლექსს, ვიტყვი მხოლოდ, რომ პოეტს მთელი მაშინდელი საზოგადოება საქართველოსა ჩინებულადა აქვს დასურათებული.

დასურათებული აქვს ორი სხვადასხვა ჯგუფი ირაკლისა და სოლომონისა ამათსავე სახეში, დასურათებული აქვს საზოგადოების გახრწნა და გათახსირება, ერთის ორის სტრიქონით, მაგრამ სინამდვილეში, “როცა სპარსთა მეფე დამარცხებული ქართლიდან წასვლას აპირობდა, მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა და მუხთალისა ანგართა ხელთა აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი, მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი”. არ დარჩა ავტორს შეუმჩნეველად იმ ახალის აზრის სული, რომელიც მაშინდელს საუკეთესო ნაწილში იყო გავრცელებული (უეჭველია საფრანგეთის რევოლუციის სიომ აქამდისაც უწია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ვოლტერი დიდ მოდაში იყო მაშინ საქართველოში და თვით დავით ბატონიშვილი, გიორგის ძე, ვოლტერის მიმდევრად ითვლებოდა) და რომელიც სოლომონ მსაჯულისაგან მეფის უფლებათა კრიტიკაში აქვს გამოყვანილი ავტორს. ეს

დიდებული პოემა არა თულიტერატურული განძია ჩვენთვის, ისტორიულის მხრითაც ბევრად უფრო ღრმაა, ვრცელი და მრავლის ამხსნელი, ვინემ ბევრი ჩვენის ისტორიკოსთა ნაწარმოები.

თავის პოემაში რეალიზმის სახეებით დაცვაში ბარათაშვილს ხელი შეუწყო, ცოტა არ იყოს, გარემოებამაც. მაშინდელ საზოგადოების აზრის გაურკვევლობა, რომლის შესახებაც ჩვენ არაერთხელ გვილაპარაკნია, იყო იმის მიზეზი, რომ ისეთ კაცებსაც კი არა ჰქონდათ გარკვეული აზრი ჩვენის ცხოვრების საჭირობოტო და მთავარ საგნის შესახებ... თუმცა ეს კი ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იყოს დაყენებული, რომ მამულის სიყვარული მას უფრო ღრმად, უფრო სახეებით ჰქონდა შეგნებული, ვინემ მის მოწინავე პოეტებს. ამ დიდებულის გრძნობის არსებითი მხარეები ჰქონდა შემჩნეული იმ მგოსანს, რომელმაც სუმბულის ასეთი სევდიანი და წრფელი კენესა გაგვაგონა:

“მწირო, ხომ ხედავ, მოვკვლებივარ ჩემს სამშობლო გულს,  
ჩემთ სწორთა ყვავილთ, მშვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს;  
აგერ მაისი აყვავებს ტურფად ბუნებას,  
მოვა ბულბული და დაუსტვენს სიყვარულის ხმას;  
ხოლო მე, ხშული ბნელსა სადგურს და სევდიანსა,  
ვეღარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილ მგოსანსა”.

ჰოდა, ბარათაშვილი ამაში ადამიანი დარჩა, ადამიანი, რომელსაც ნაკლულევანებაც აქვს და ღირსებაც, ხოლო არც ამ ფაქტს შეუძლიან წართვას მას გენიოსობის სახელი ქართულს ლიტერატურაში... მე რამდენჯერმე ვუწოდებ ბარათაშვილს გენიოსი ქართულ ლიტერატურისა. მისი კრიტიკოსები, რომელთაგან ბევრმა ზოგიერთი ჩვენი პოეტი, ბარათაშვილზე ბევრად უფრო ნაკლები ნიჭის მექონი, ცათამდის აიყვანეს, ბარათაშვილის შესახებ ძალიან წინდახედულებასა და სიმუწუნეს იჩენენ ამ სახელის ხმარებაში. თითქო სიცოცხლეში ტანჯულის და წამებულის დიდებულის პოეტისათვის სიკვდილს შემდეგ დიდებულის სახელიც კი ეძნელებოდათ. ბარათაშვილი არ იყო მსოფლიო გენიოსი, რადგან საზოგადო ლიტერატურაში გავლენა არა ჰქონია, არც არავინ კითხულობს მას ქართველის მეტი; ამას, რასაკვირველია, სხვა მიზეზებიცა აქვს... ხოლო იგი გენიოსია ქართულის ლიტერატურისა, თუ გენიოსად უნდა მივიჩნიოთ ისეთი პირი ლიტერატურაში, რომლის ძლიერს ნიჭს ბადალი არა ჰყავს ამ ლიტერატურაში, რომელმაც ის გვარი ლიტერატურისა, რომელსაც ხელი მიჰყო, აიყვანა უმაღლესს ხარისხამდის, რომელმაც ეს ლიტერატურა სრულიად ახალს გზაზე დააყენა, ახალი საუკუნო და მსოფლიო საგნები დაუყენა წინ, რომლის ნიჭის განვითარებას ყოველივე გარემოება ხელს უშლიდა და რომლის ნიჭის ფრთების გაშლას ყოველივე აბრკოლებდა. თუ გენიოსია ისეთი ნიჭი, რომლის განსაზღვრა არ შეიძლება მხოლოდ დროითა და გარემოებებით, ანადა წინანდელ მოდვაწეთა ზედგავლენით, ან ნაციონალურ თავისებურობით, არამედ რომლის გაჩენა-შექმნაში ურევია რაღაც უხილავი ძალა, რომლის მიწოდმა და შეგნება ჯერ მაინც შეუძლებელია კაცობრიობისათვის.

ამით არც ის მინდა ვსთქვა, როგორც ზოგიერთნი ბრძანებენ, რომ ბარათაშვილი “არც თვითონ მისდევდა ვისგანმე დაქნილს ბილიკსა და ვერც არავინ ამის შემდეგ იმისაგან გადებულ გზაზედ გაიარა... ის არა საჭიროებდა სხვის მიზამვასა და იმას კი ვეღარვინ მიჰბაძა... თავისთვის თვითონვე გასჭრა გზა და იმის სიკვდილის შემდეგ ისეთივე უვალი მინდორი შეიქმნა, როგორც მანამდის იყო...” არა, ბატონო, ეგრე განყენებული მოვლენა შეუძლებელია ცხოვრებასა და ლიტერატურაში, ყოველივეს აქვს კავშირი წარსულთან და მომავლისათვის ყოველივეს აქვს მნიშვნელობა... ყოველსავე მოვლენასა აქვს შედეგი... წინააღმდეგ ზემომოყვანილ აზრისა, თუ მე არ შემძლიან, რასაკვირველია, დარწმუნებით ვსთქვა, რომ ბარათაშვილი არ იქნებოდა, თუ ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი არ ყოფილიყო, ის კი მაინც უნდა ვსთქვა, რომ ეს მწერლები არ ყოფილიყვნენ, ბარათაშვილის ნიჭს წვრილმანი სამუშაო გაუჩნდებოდა, რომ შეიძლებოდა ბევრი რამ დაჰკლებოდა მის ნაწერებს (მაგ. ალ. ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა დიდი სამსახური გაუწიეს ჩვენს ლიტერატურას ახალის ენის შემოტანით და სპარსულის შეხედულებისაგან ლიტერატურის განთავისუფლებას). არც ის არის შესაძლებელი, კაცმა სთქვას, ბარათაშვილის პოეზიას დიდი გავლენა არა ჰქონდეს ჩვენს ლიტერატურაზედ და მიზამძველები არა ჰყვანდენ ჩვენს მწერალთა შორის, რადგან იგია დამწყები რეალიზმისა (ილ. ჭავჭავაძეა მისი მიზამძველი) და მისი “სუმბული და მწირო” არის სიმბოლიზმის სათავე, წყარო ჩვენის ლიტერატურისათვის, თუკი სიმბოლიზმად მივიჩნევთ ალევორიულად, მხატვრულის არაკით გამოთქმას რისამე მაღალის აზრისას (ამჟამად სამშობლოს სიყვარული და ამაში ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და ზოგიერთი ჩვენი ახალი პოეტები არიან მისი მიმდევარნი).

მსოფლიო ლიტერატურაში კი ბარათაშვილს ეკუთვნის განსაკუთრებული ადგილი. რომანტიულ პოეზიას თუ ერთ თავში უდგას ბაირონი, ეს ტიტანი და არა კაცი, და მეორე თავში შელლი, ეს ანგელოზი, არა-მიწიერი, და თუ ყველა რომანტიკოსები ამ ორ ჯგუფად გაიყოფიან - ბაირონის მხრით ჰიუგო და ლერმონტოვი, შელლისა კი ლამარტინი და დევინი, ამით შუა ადგილი ადამიანისა კი მიუსესთვის უნდა მიგვეკუთვნა, რომ მეტისმეტად გატაცებული არ იყოს მხოლოდ ერთის გრძნობით, მხოლოდ ერთის გრძნობის გამო არ იყოს დატანჯული (სიყვარული) და თვით ამ გრძნობისთვის რომ მეტისმეტი ცალმხრივი ელფერი არ მიეცა. ყოველ შემთხვევაში ადგილი ადამიანისა, მრავალტანჯულის, “ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალის” ადამიანისა, სულ-აღშფოთებულის და გონებაწარწყმენდილის ადამიანისა, ადგილი ადამიანისა, რომელსაც ღრმად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა მომავლის წინაშე, ეს ადგილი ეკუთვნის ერთადერთს იმ პოეტაგანს, რომელიც მთელს სიცოცხლეში ყოველის მხრით გაუხარელი იყო - ეს ადგილი ჩვენს დიდებს, ბარათაშვილს, ეკუთვნის:

“მაგრამ სად ვნახოთ შენი ღიმილი,  
სიხარულითა გამოჩენილი;  
ჩვენ შენგან გვესმის მოკლული გულის ოდენ ჩივილი”.

#### IV

#### თ-დი ვახტანგ ორბელიანი

(1812-1890)

#### (ვუძღვნი კნ. მარიამ ვახტანგ ორბელიანის ასულს ჯამბაკურიან-ორბელიანისას)

არაერთხელ გვითქვამს, რომ წარსულს საუკუნეში ჩვენის ლიტერატურის მსვლელობა განისაზღვრებოდა კანონიერებითა და ისიცა ვსთქვით, რომ იგი მსვლელობა ევოლუციის გზას ადგა. ამ შემთხვევაში მსოფლიო ლიტერატურაში ჩვენი ლიტერატურა არაფერს განკერძოებულსა და არაჩვეულებრივს არ წარმოადგენს. ეს კი უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ჩვენ არა გვექონია დიდი იარაღი და საშუალება ლიტერატურის განვითარებისა, არა გვექონია პერიოდული გამოცემები ამ საუკუნის მეორე ნახევრამდის; ჩვენის პოეტთა ნაწარმოებნი არცკი ისტამბუდონენ, არამედ ხელიდან ხელში გადადიოდნენ, კერძო კაცთაგან გადაწერილი, და ზოგჯერ იქნებ კიდევცა დამახინჯებული.

სისტემატური დასტამბვა მწერალთა ნაწარმოებისა პერიოდულის გამოცემების საშუალებით, და მწერლობის განმაცხოვრებელი თანაგრძნობა და ყურადღება საზოგადოებისა, თანაც ამ საზოგადოებისაგან დადებული მსჯავრი დიდი რამ ხელის შემწყობი გარემოებაა ლიტერატურისა. მაგრამ ყოველისავე ამის უქონლობა მაინც ვერ მოსპობდა ლიტერატურის მსვლელობის კანონიერებას.

რასაკვირველია, ზემოხსენებულ პირობათა არქონებამ ქართული ლიტერატურა შეაფერხა და მის მიმდინარეობას თავისებური დაღი დაასვა, ხოლო იმის თქმა კი მაინც ყოვლად შეუძლებელია, რომ “რადგანაც ბეჭდვა არ იყო, მაშასადამე, არც ლიტერატურა იყო, როგორც განუწყვეტელი გონებითი წარმატება, როგორც დაუსრულებელი მოძრაობა მიმართულებათა და სკოლათა”. ეგრე რომ ვსთქვათ, მაშ არც საბერძნეთსა და რომსა ჰქონია ლიტერატურა და თუ ჰქონდა იგი, ეს ლიტერატურა არ წარმოადგენდა “განუწყვეტელს გონებით წარმატებას, დაუსრულებელ მოძრაობას მიმართულებათა და სკოლათა”, რადგანაც არც მათა ჰქონიათ სტამბები.

ჩვენა გვეგონია, ამის თქმა შეუძლებელია; სტამბისა და პერიოდულის გამოცემების არქონება ლიტერატურულ ნაწარმოებთა გავრცელებას ხელს უშლის; ლიტერატურა ამ გარემოებაში კასტიურს ხასიათსა ღებულობს და ასი ათასისა და მილიონის მკითხველისა და გამგონეს მაგიერ ჰყავს ვიწრო წრე ნათესავთა და ახლო ნაცნობთა. ამგვარი სფერა გამგონეთა, რასაკვირველია, უფრო თავისის პირადის განწყობილებით ხელმძღვანელობს მწერლის ნაწარმოებთა დაფასებაში და არა ავტორის ნიჭის კრიტიკულის განსჯით, ამ ნიჭის თვისებათა აწონ-დაწონვით. ამგვარი აუდიტორია უფრო ისე სჯის ავტორს, როგორც მისი ხასიათი მოსწონს; თუ უყვარს, მოუწონებს ნაწერს, თუ სძულს, ამაგებს. მაგრამ ეს მოწონება და დაწუნებაც მარტო “ვიშით”, “რა კარგიათი” და “არ ვარგა”, “ცუდიათი” გამოიხატება და არავითარ სხვა საფუძველზე არ არის დამყარებული.

ამგვარი დაფასება, რაღა თქმა უნდა, პოეტის ფანტაზიასაც ვერ აძლევს რიგიან მიმართულებას, ვერ აცხოველებს და ვერ მოიყვანს ხოლმე მწერალს აღტაცებაში. თ. ნ. ბარათაშვილის ლექსები რომ იმ თავითვე ჩვენის ქვეყნის ერთის ყურიდან მეორემდე გავრცელებულიყო, ეჭვი არ არის, უფრო მეტ თანაგრძნობას მოიპოვებდა ჩვენს საზოგადოებაში, უფრო მეტ მსმენელს და მიმბაძველს, ვიდრე ის მისი ახლო კაცები, რომელნიც მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ “ჩვენს ტატოს” დაუძახებდნენ და ხან “მოშაირისა” და ხან “მასხარას” ეპითეტს უწყალობებდნენ.

აბა ვინ იტყვის, რომ დიდი დასაკლისი არ იყოს მწერლისათვის პირადად და მწერლობისათვის საზოგადოდ, თუ მწერლის აზრი და გრძნობა ოციოდე ნაცნობს გარეშე არ გავრცელებულა და ამიტომ მიმბაძველთა და თაყვანისმცემელთა წრე ერთობ ვიწრო ჰყოლია? აბა, ვინ იტყვის იმის წინააღმდეგს, რომ ალ. ჭავჭავაძეს, ბარათაშვილს და გრ. ორბელიანს მეტი გამგონე ჰყოლოდათ, მათი ნაწარმოები იმ თავითვე ვიწრო წრეს გასცილებოდა, უფრო დიდ გავლენას იქონიებდა ჩვენს ლიტერატურასა და საზოგადოებაზე? სტამბა და პერიოდული გამოცემა იგივეა აზრისათვის, რაც რკინისგზები და ცეცხლის გემები კაცთა მოძრაობისა და საქონლის გადატან-გადმოტანისათვის. ჩვენს წინაპართ და თუგინდ სულ რამდენისამე წლის წინათ ქართლიდან იმერეთში ჩასვლა და იმერეთიდან კახეთში გადასვლა ერთს დიდ მოვლენად ითვლებოდა არათუ ოჯახის ცხოვრებაში, მთელის მაზრისა და სოფლისათვის. დღეს კი პარიზი და ლონდონი არავის აშინებს და არხეინად დაბრძანდებიან იქა. ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებზე ხომ რაღა ითქმის! ამ ორმოცდაათის წლის წინათ ბარათაშვილის ლექსებს იმის მეთასვედი მკითხველიც არა ჰყოლია ტფილისში, რაც დღეს ჩვენ მეორეხარისხოვან მწერლებს და ჩვენის სამშობლოს თვით უფრო მიყრუებულ კუთხეში გაიგონებთ ისეთის მწერლების სახელს, რომ გაგიკვირდებათ. სხვა რაღა გნებავთ, პარიზში გამოსული წიგნი დღეს მეორე-მესამე კვირაზე ტფილისში აქვთ წაკითხული და დღეს რომ ევროპის ლიტერატურას ჩვენს მწერლობაზე გავლენა აქვს და ევროპის დღეინდელ საყურადღებო მწერალს რომ აღტაცებული მკითხველი და მიმბაძველი ჰყავს, მგონი, იმისი მსგავსი ჩვენის ლიტერატურის ისტორიაში არა მოიძებნება რა.

ეს ყველა მართალია და ამგვარი გაადვილება ერთა შორის აზრის ურთიერთობისა დღეინდელის პირობების ნაშობია; მართალია ისიც, რომ ერთა გონების ნაწარმოებთა გავრცელების გაადვილებას დიდი გავლენა აქვს ერთა ზნეობრივსა და გონებრივ ცხოვრებაზე, მის ლიტერატურაზე, მაგრამ ყოველივე ეს მაინც იმას არ ამტკიცებს, რომ ქართული ლიტერატურა ყოფილიყოს პატარა სამთავროებად დაყოფილი და ერთ სამთავროს მეორესთან მტკიცე და სანადაგო კავშირი და დამოკიდებულება არა ჰქონოდათ ისე, როგორც თვით “ჩვენს პატარა მთავრებს” ერთმანეთს შორის. პოლიტიკურ ცხოვრებაშია ჩვენის სამშობლოს სამთავროება და სამეფოებად დაყოფა სრულიად არ წარმოადგენდა ისტორიულ აბსურდსა და ანარქიას, იგი იყო გამომხატველი ისტორიულის ევოლუციის ერთის ხანის - ფეოდალიზმის, - და თუ ამ ხანას ვერ გასცილდა ჩვენი ქვეყანა თავისის დამოუკიდებლობის დროს, ეგეც ხომ ისტორიულის კანონის აღსრულებით მოხდა.

წარსულის საუკუნის ჩვენი მწერლობაც გამომხატველია ლიტერატურის ევოლუციის რამდენისამე ფაზისა, საფეხურისა.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ, როგორც სხვაგან ევროპაში, ისე ჩვენში, ამ საუკუნის ლიტერატურა რომანტიზმით დაიწყო და ნატურალიზმით გათავდა. რასაკვირველია, ისეთი ბრწყინვალე და ძლიერ-მოსილი ვერ იქმნებოდა ჩვენის ლიტერატურის მსვლელობა, როგორც დასავლეთ ევროპის მწერლობისა, მაგრამ ჩვენთვის ისიც კარგია, საზოგადო ლიტერატურის მიმდინარეობას არ ჩამოვრჩით, კიდევ მეტს ვიტყვი, ამა თუ იმ მიმართულების მწერალთა დასახელებაში არც ჩვენ შეგვრცხვება. ბაირონი და შელილი თუ არა გვყოლია, ბარათაშვილი გვყავდა და ბედისაგან დაჩაგრულის ჩვენის ერისათვის ესეც საკმაო განძია მსოფლიო ლიტერატურაში შესატანად. თუ ლეკონტ დე-ლილი და სიული პრიუდომი არა გვყავს, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელსაც არა უშავთ რა. ყველაზე უფრო კი სანუგეშო და საქებარი ის არის, რომ, მიუხედავად მრავალ ხელის შემშლელ და სულის შემხუთველ გარემოებისა, წარსულის საუკუნის ჩვენი ლიტერატურა ადგია კანონიერსა და გაკვალულს გზას, იმავე გზას, რომელსაც ადგია ევროპის ლიტერატურა წარსულის საუკუნისა და ამა თუ იმ მიმართულების შემოღებაში ბევრის ხანით არ ჩამორჩენია ჩვენი ლიტერატურა ევროპულს. კიდევ ვიმეორებ, იმას ნურავინ შეგვწამებს, ვითომ იმისი თქმა გვინდოდეს, რომ ჩვენი ლიტერატურა ან თავისი ძლიერებითა და ან თავისი მსოფლიო მნიშვნელობით ევროპულ ლიტერატურას შეედრებოდეს. ხოლო ეს კი ნურავის ეუცხოება, თუ ვიტყვი, რომ შესაძლოა, თუ გარემოებისაგან დაჩაგრულნი და დაბეჩავებულნი არ ვიყვნეთ, ჩვენი ლიტერატურის ზოგიერთი წარმომადგენელი უფრო საყურადღებო იყოს, ვიდრე ზოგიერთი ახლად



“გამოჩხრეკილი” ევროპელი მწერალი, რომლის ერთადერთ ღირსებას ის შეადგენს, რომ ევროპის სახელმწიფოთა ან “ერთ კავშირს” ეკუთვნის და ან “მეორეს” და რომელთა სახელი და მოწონება უფრო სხვა მოსაზრებაზე არის დამყარებული, ვიდრე მის ლიტერატურულ ღირსებაზე.

ყოველს შემთხვევაში, ჩვენში ლიტერატურამ გაიარა ხანი რომანტიზმისა და თუ დღესაც კი ნახავთ ჩვენს ლიტერატურაში აქა-იქ იმის კვალს (არა თუ ჩვენში, ევროპაშიაც კი), ეს ჯერ ერთი იმიტომ, რომ რომანტიზმიც დამყარებულია კაცის ბუნების მთავარ მოთხოვნილებაზე, როგორც ყოველივე სხვა მოვლენა ლიტერატურაში და მეორე იმიტომ, რომ, როგორც ჩვენში, ისე ევროპაში, რომანტიზმს ჰყავდა წარმომადგენლად საუკუნის ნიჭითა და გენიოსობით საუკეთესო მწერლები. თუ რომანტიკოსი იყო ბაირონი და შელი, გეტე და შილერი, ვიქტორ ჰიუგო, ლამარტინი, მიუსესე და ჟორჟ სანდი და ჩვენში ბარათაშვილი, რასაკვირველია, მათის გენიოსობის მომხიბვლელობას თავის დღეში ვერ გაექცევა ლიტერატურა. რომანტიზმს ჩვენში დამწყებიცა ჰყვანდა (ალ. ჭავჭავაძე), განმგრძობიც (გრ. ორბელიანი), განმავითარებელიც (ნ. ბარათაშვილი). გვყავდა პოეტები, რომელნიც ამ მიმართულების დაცემის გამომსახველნი შეიქმნენ (ვახ. ორბელიანი), ისეთებიც, რომელთაც მიგვიანებულ დროს ჩასჭიდეს ხელი და უნდოდათ, განეახლებიათ (თ. მამია გურიელი), ისეთებიც, რომელთაც რომანტიზმით დაიწყეს და ახალის რეალურის მიმართულებით დაამთავრეს თავისი მწერლობა (თ. რაფ. ერისთავი).

## I

რომანტიკოსის პოეზიის უმაღლესის და უდიდესის წარმომადგენლის თ. ნ. ბარათაშვილის შემდეგ, რომელმაც ეს პოეზია ჩვენში უმთავრესს საფეხურამდის მიიყვანა, რომანტიკოსი ლირიკა დაცემისაკენ უნდა წასულიყო და ახალი ელემენტები უნდა შესულიყო პოეზიაში, რომელნიც ახალის რეალურის პოეზიის სათაურად შეიქმნებოდნენ. პოეზიაში აი, ამ გარ-დაცვლის, გარდაქმნის ეპოქის გამომხატველი შეიქმნა თ. ვახ. ორბელიანი. მისი პოეზია არის გედის სიმღერა რომანტიკოსის პოეზიისა და მერცხლის ჭიკჭიკი ახალის რეალურის პოეზიისა, თუკი, როგორც არაერთხელ გვითქვამს, პირველის ძირითადი თვისება არის პირად გრძნობათა გამოსახვა და მეორისა კი საზოგადო, საერო კვენისა და სიხარულის გამოთქმა. პირველის წარმომადგენელი, სახალხო “ვაი”-ს საპირადოდ გაიხდიდნენ ხოლმე, პირადის ელფერით შემოსავდნენ, საერთო ტანჯვაში პირად ტანჯვასა და ვაებას ეძებდნენ; საერთო გვემაში მას აქცევდნენ ყურადღებას, რასაც პირად შეურაცყოფადა და პირად გრძნობათა გადალახვად მიიჩნევდნენ (მაგ., ალ. ჭავჭავაძე “გოგის ტბაში” და მამია გურიელი ზოგიერთ პატრიოტულ ლექსებში უფრო პირად დარდსა და ნაღველს გვიხატავენ, ვიდრე საერთო კაემანსა და მწუხარებას). მეორენი კი პირად გრძნობას, პირად შფოთვისა და მღელვარებასაც კი განასაზოგადოებდნენ ხოლმე; ყოველსავე პირად კვენსა და ვაებას იმდენად გამოსთქვამს ხოლმე ამ ჯგუფის პოეტი, რამდენადაც იგი საერთო ინტერესს შეეხება, რამდენადაც საერთო გოდების გამომსახველია, რამდენადაც საერთო, საზოგადოებისა და ხალხის სევდის მაჩვენებელია; ამგვარ პოეტს სიცოცხლის თვით უსაშინელებს წამებში მარტო მხოლოდ საერთო საგანი ახსენდება. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოეზიას რომ არ მივმართოთ, მაგალითს თვით ვახ. ორბელიანის ლექსებშიაც ვიპოვით ზემოთ გამოთქმულის აზრის დასამტკიცებლად. უმაღლურის სოფლისაგან გულმოწყლული და გულდათუთული პოეტი მისულა “დიდ კარის ბჭეს”, გული ისე გაჭქვაება, რომ ამ სოფლად არც არავის სწყევლის, თუმც “არცა რას ლოცავს”. და მაინც, ამ საშინელს წამში, როცა კაცის პირადს ტანჯვასა და ოხვრას აქვს მარტო ადგილი, იგი თავისს სამშობლოზე ფიქრობს და მისი ლოცვა-კურთხევა თან მიაქვს გულში ღრმად ჩამარხული; მიდის და მისი არსება მხოლოდ ერთი აზრითა და სურვილით არის გამსჭვალული: “სამშობლოსთვის იმ დიდს კარს წინა ცრემლით ვილოცავო”, - ამბობს პოეტი.

თ. ვახ. ორბელიანის მეტად წრფელისა და ნაღვლიანის გრძნობებით აღსავსე ლექსებში თქვენა ჰხედავთ, რომ პოეტს, რომანტიკოსს სკოლაში აღზრდილსა და ამ სკოლასთან შესისხორცებულს, ვეღარ ეხერხება ისეთი ძლიერი ლექსები პირად გრძნობათა გამოსახატავად, როგორც ალ. ჭავჭავაძესა და ნ. ბარათაშვილს, თუ გინდ გრ. ორბელიანსაც. სამაგიეროდ, ვახ. ორბელიანი საზოგადო კვენსა-ოხვრის გამოხატვაში, მის შეგნებასა და შეთვისებაში დიდს უნარს იჩენს; ბევრად უფრო დიდს გრძნობიერებასა და სიწრფელეს, ვიდრე გრ. ორბელიანი და ხანდისხან ბევრად უფრო სიმტკიცესა და შეგნებულებას საერო ვაებისას, ვიდრე თვით ნიკ. ბარათაშვილი, თუმცა პოეტურის აღმაფრენით და ნიჭით მათზე ბევრად უფრო დაბლა სდგას.

ყველაზე უწინ აიღეთ გრძნობა მამულის სიყვარულისა, რომელიც გრ. ორბელიანს აქვს გამოთქმული რიტორიკულ “ჰე, მამულო საყვარელო”-ში და გინდ “ჩემო იარალი”-ში. “ჩემო იარალი”, ეჭვი არ არის, ხელოვნური ნაწარმოებია, პოეტურის ღირსებით აღსავსე, მაგრამ თავის

დღეში ვერ გაგრძობინებთ ეს ლექსი იმ მომხიბვლელ სიწრფელეს, იმ ჭეშმარიტ სევდას, რომელიც თ. ვახტანგ ორბელიანს აქვს გამოთქმული ორიოდ სტრიქონში.

“თუ ნერგს მოაკლდა - ამბობს პოეტი, - ნამი ცისა, ცვარი არ  
ერგო,  
ვინ კითხავს: “რისთვის აღარ ხარობ და ხმები, ნერგო?”  
სამშობლო ქვეყნით გარდახვეწილს, გულსა დამშვრალსა  
სწყურხარ, როგორც სწყურს ცის ნათელი სხივი ბნელს  
თვალსა”.

აქ ვერც სურათთა სიდიადე გაგიტაცებთ, ვერც პოეტურის იარაღის სხვადასხვაობა, მაგრამ სიწრფელე მით უფრო გამოსჭვივის ყოველსავე სიტყვაში, რამდენადაც გრძნობა არის გამოთქმული სადად და მარტივად. პოეტს ეტყობა, რომ არავითარ პრეტენზიას არ იჩემებს; ავტორს სურს, მხოლოდ თავისი გულის ნადები გაგვიზიაროს და თავისი კაემანი ლექსად გამოსთქვას.

“რაც ვიტანჯები და ვისჯები შორს ყოფნით შენით,  
ის იცის ღმერთმა მაღლა ერთმა, არ ითქმის ენით”.

ანდა აიღეთ მისი “გამოსალმება”: პოეტი ეთხოვება “საყვარელ ზურმუხტ ველს, მშვენიერ, ტურფა არეს, ამაყ, ახოვან, ცათა მიბჯენილ მთებს, მოკამკამე, მოცინარე ალმას წყლებს” და ყოველისავე ამ სანახაობის მოშორება მით უფრო აწუხებს და სევდასა ჰგვრის, რომ “იქნება იქ მოკვდეთ და სამშობლო ვეღარ ვნახო”.

ამ შემთხვევას (სამშობლოს გარდახვეწას) ისეთი მწარე დალი დაუსვამს პოეტის სულიერ განწყობილებაზე, რომ თითქმის ნახევარის საუკუნის შემდეგ ისე გველაპარაკება მის შესახებ, ისე მწვავედ გვიხატავს ამ გრძნობას, თითქო იმ დღესვე მომხდარიყოს (“მოგონება” 1881 წ. დაწერილი):

“სამშობლოსაგან ეტლით ვიყავ მოშორებული;  
ვიყავ ჭაბუკი, სამშობლოსკენ იწევდა გული.  
დღედაღამ მედგა დაბუნდვილთა ჩემთ თვალთა წინა  
ჩვენი მამული, მშვენიერი ჩვენი ქვეყანა.  
შორს ვიყავ მისგან, მაგრამ გულით სულ ვიყავ მასთან,  
ჩემს ღარიბს ქოხთან, ჩემს ვენახთან, ჩემს ველს ლამაზთან.

მერია სევდა, ლოდინითა დაბერდა გული;  
მაგრამ სამშობლოს მოველ ტკბილის ოცნებით სრული”.

ამ შემთხვევაშიაც თ. ვახ. ორბელიანი რომანტიზმის მანერებს არ მისდევს: არ უყვარს რიხიანი სიტყვები, მგრგვინავსა და მეხთა მტყორცნ, აჭრელებულსა და ზიზილ-პიპილებიან სიტყვას სიმშვიდითა და სიწყნარით აღსავსე ლექსს ამჯობინებს, მარტივსა და სადა სურათებსა ხმარობს გრძნობათა გამოსახატავად, რაიცა, ვიმეორებ, მით უფრო გულს ღრმად სწვდება.

მამულის გრძნობის შესახებ თ. ვ. ორბელიანი ბევრად უფრო შეგნებული იყო მის მოწინავე პოეტებზედ. თქვენ ვერსად მის ლექსებში ვერ ნახავთ ერთ სიტყვასაც, რომელიც აჭრელებდეს მის გრძნობას მამულის შესახებ და ამ აჭრელებით აქარწყლებდეს მას. მე სახეში მაქვს ის უცნაური აღტაცება სხვადასხვა კერპებით, რომელთაც მსხვერპლი მიუტანა პოეზიის ტამარზედ ალ. ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა (პავლე I სასახლე, ალ. ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ I-ის ქების შესახმა გ. ორბელიანისა). კიდევ მეტი. ვახ. ორბელიანის ლექსებში თქვენ ვერ იპოვით ბარათაშვილისეზურს მუხლის მოდრეკას აღსრულებულის ფაქტის წინაშე. მისი შეხედულება ისტორიულ პირთა და მოვლენათა შესახებ სულ სხვაგვარია. თ. ვახ. ორბელიანი თავიანთსა სცემს ირაკლი მეფეს, როგორც სამხედრო გმირს, რომელიც “მამულისათვის ძრწის, დღე და ღამ იბრძვის, იცის, რაცა სძევს მამულის ვალი; ებრძვის ქრისტეს მტერს, წინ უდგას თვის ერს, ოთხ კუთხივ აწვდის მკვირცხლს, მაგარ მკლავსა; უსჯულო მტერი, მძლავრი, ძლიერი ვერ დაიმონებს ირაკლის ხმალსა”. პოეტი ცდილობს უფრო გაამართლოს, ვიდრე აღტაცებითა და სიხარულით მიიღოს ირაკლი მეფის პოლიტიკური მოქმედება:

“ირაკლიმ ნახა,  
გულს დაისახა:  
მინამ ქვეყნად არს, არის ცოცხალი,

არ მისცემს მტერსა  
 მონად თვისს ერსა,  
 არ ჩაეგება ქარქაშს მის ხმალი.-  
 როცა მოკვდება,  
 ვიდას დარჩება  
 ირაკლის ხმალი, ვინ ატრიალოს?  
 სახლში არვინ ჰყავს,  
 ის ნათლად ჰხედავს,  
 უნდა ერის წინ მან აღიაროს.  
 და აღიარა,  
 არვინ მყავს, არა,  
 და ჩრდილოეთით აჩვენა თითით.  
 ბრძანა: “ვიბრძოლებ,  
 მანამ ვიცოცხლებ;  
 აღარ ვიქმნები, - მას ერს შეერთდით!”-  
 “დრო კი სძალავდა,  
 აღარ დასცალდა!  
 აწ გმირი მხოლოდ ორს ადღს მიწას ჰვლობს;  
 მაგრამ კი მისგან,  
 მის გმირისაგან  
 დღეს ჩვენზედ ქრისტეს ნათელი მნათობს”.

ესეც ხომ ერთი გამამართლებელი საბუთთაგანია პოეტისაგან შესაწყნარებელ მიზეზად მოყვანილი, ქრისტიანობა მაინც დაგვიცვა ირაკლიმ, თუ სხვა არაფერიო.

უფრო მკაფიო და ნათლად თავისი შეხედულება ირაკლის მოქმედების შესახებ პოეტს “იმედში” აქვს გამოთქმული. მასაც გულსა სწავს დიდის მეფის შეცდომა, მაგრამ “მას აღარ ვფიქრობთ”, - ამბობს იგი: “იმ გმირს მაშინ რა ცეცხლი სწავდა, სამშობლო ქვეყნის აღდგინება თუ აღარ სწამდა”, და შემდეგი აზრი წერტილების, პოეტის კალმის ამ ჯალათის ქვეშეა დამარხული... მერმე კი ისევე განაგრძობს:

“გმირო, სცან ტკბილი განსვენება შენ მხოლოდ იმ ჟამს,  
 როცა ქართველნი დაატირდნენ თელავში შენს გვამს”.

საერო გრძნობის კარგად შეგნების შედეგი არის ის, რომ თ. ვახ. ორბელიანი საქართველოს სხვადასხვა ნაწილის გაერთიანების სურვილით არის აღსავსე. ამგვარ აზრს და მის მსგავსს რასმე თქვენ ალ. ჭავჭავაძის ლექსებში სულაც ვერ იპოვით. გრ. ორბელიანს კი აქვს ერთ ადგილას, მაგრამ ეპიზოდური ხასიათი აქვს იმ აწერილობას დიდუბეში შეკრებილის ლაშქრისას, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა ნაწილის შვილები შეადგენდნენ. ბარათაშვილი ერთს თავისს წერილში სიამოვნებასაც კი გამოსთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს ერთის ნაწილის შვილნი მეორეს იარაღით შეაგონებენ “ყოველივე უბედურებას, რომელიც შეუდგების აღშფოთებას” და ქართველს გურულს უპირდაპირებს, თითქო გურულიც ქართველი არ იყოს. გრ. ორბელიანი ხომ ყოველთვის იჩენდა დიდს მხნეობას ამ “შთაგონებაში” და საქართველოს სხვადასხვა აღშფოთებულ ნაწილების დაწყნარებაში. თ. ვახ. ორბელიანს არა ერთხელ და ორჯერ გამოუთქვამს თავისი წრფელი სიყვარული და თანაგრძნობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების შესახებ, როცა იმერთ ლოცვა-კურთხევას უგზავნის:

“მმანო იმერნო,  
 ვით ჩვენ, ივერნო!  
 დიდს დღესასწაულს შორით გილოცავთ,  
 და ღვთის ვედრებით ამერნი გლოცავთ!  
 ღმერთმა თქვენს იმერს მაღლი მოჰფინოს,  
 ნათელნი დღენი მას მოუვლინოს,  
 რომ აღარ ნახოს, რაც ნახა ბნელი,  
 ბედნიერება წინ ედგას გრძელი!”

ანა და როცა “მშვენიერებით, სიტურფით სრულს კოლხიდას” “ივერთ ქვეყნების ძეს, მას უფროსს” სალამს უძღვნის. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მამულის სიყვარულის გამოსახვაში, თ. ილ. ჭავჭავაძის არ იყოს, “ისე გადუხვევლად, ისე სისწორივ ჩვენში არც ერთს პოეტს არ უვლია, როგორც თ. ვახ. ორბელიანს. მან თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალ-ღონე სულ ამ საგანს ამსახურა და თავისი უკეთესი ლექსები ამ საგანს უძღვნა და შესწირა. ამასთან თ. ვახტანგ ორბელიანს, ვითარცა მამულის სიყვარულის მაღლით მოსილს პოეტს, დიდი წილი უდევს, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა”.

## II

ზემოთაც მოგახსენეთ, ჩვენს პოეტს აღარ ეხერხებოდა რომანტიკოსისებური განდიდება პირად გრძნობათა და სევდათა, აღარ ეხერხებოდა და აღარც ეჭაშნიკებოდა.

“მე არ მიყვარს კილო მუხამზაზისა”-ო - ამბობს იგი, -  
კინტოთ კილო, კილო შუა-ბაზრისა,

. . . . .  
რისთვის მინდა და რაში ვაქნევ კინტოს,  
იმის დუდუკს და იმის დიპლიპიტოს,  
ან ლ-ანს, ან დ... ო-კოვს?”

ამ ბოლო ლექსში პირდაპირი უარისყოფაა გრ. ორბელიანის პოეზიისა. პოეზიის საგნად მას სულ სხვა მიაჩნია: მას უნდა “მაღლა გვამხილოს, რაც გვჭირს ავი, სიზარმაცე და უმეცრება შავი”. მან უნდა დაგვანახვოს:

“მთლად ბუნება დიდი გასაკვირველი,  
იმის დიდი მრავალგვარი შვენება”.

მას მართებს “ძველ დროთ გამირნი გამოგვიხატოს” და “მშვენიერის, მთელის არსით შეყვარებულის ასულის ძლიერი გულის ჭმუნვა” გვიჩვენოს. ამიტომაც არის, რომ თ. ვახტანგ ორბელიანი პირად გრძნობათა გამოთქმას, თუმც სულ უარს არა ჰყოფს, ძლიერ ცოტა ადგილს უთმობს თავისს ლექსებში.

მის შეხედულებაში სიყვარულზედ მცირედი ნიშანიც აღარ არის ხორციელებისა და მხოლოდ სულიერს მხარეს აქვს ყურადღება მიქცეული. სატრფოს ის “მზედა და იმედად” ჰხადის:

“მზეს ნათლად გხედავ იმედით, დღეს გნახავ, კვალად ხვალ  
გნახავ,

ხვალ გნახავ, გისმენ და ჩემს გულს ნათელი მოეფინება;  
დამშვრალს, დაღალულს სოფლისგან სიცოცხლე მოევლინება”.

და ბნელის გზის მნათობ ვარსკვლავად მიჩნეულ არსებას ეუბნება:

“შავ დღეთა ვითმენ,  
როდესაც ვისმენ  
შენს მაღალს აზრსა,  
ტკბილს საუბარსა!  
იდუმლობს ენა,  
ვარ მხოლოდ სმენა”.

მას არ ელანდება “ზილფნი რყევით უარის თქმის მსახენი” და არც “დაღალნი გველად ყრილნი სპეტაკს მკერდზედა”. სატრფო მისი ნუგეშია, სასოება და იმედი - გრძნობიერებას თუ აქვს მისთვის მნიშვნელობა, იმის გამოქვეყნება საჭიროდ არ მიაჩნია.

ეგრეთვე ნუგეშია ბუნება, პოეტის აზრით, იმისთვის,  
“ვინც სოფლისგან და ბედისგან არს დაჩაგრული,  
დღენი კეთილნი ამ სოფელში ვინც ვერა ნახა,  
ვისიც ამ ქვეყნის შვენებისთვის აღარ სძგერს გული,  
ვინცა სიცოცხლე უვარგისად და ცრუდ დასახა,  
მან მომცეს ხელი, მას ავიყვან მთასა მაღალსა;  
იქ იმის გული სიცოცხლისთვის კვლავ გაიღვიძებს:

ღვთიური ცეცხლი განაცხოველბს მის თვალს დამშრალსა,  
სოფლის სიხარულს, სოფლის ტანჯვას ის კვალად იგრძნობს,  
შეჭხედოს, ჰნახოს მის მდიდარი, ტურფა შვენება  
და მისი გული სიცოცხლისთვის კვლავ გაიშლება”.

ამ შემთხვევაშიაც კი პოეტისათვის იმდენად ბუნების გარეგან სიმშვენიერესა და სილამაზეს არა აქვს მნიშვნელობა, როგორც მის ისტორიულს მნიშვნელობას. ბუნების სურათი, რაგინდ უბადრუკი იყოს, მაინც იზიდავს პოეტის ყურადღებას, თუკი იგი “დიადის წარსულის” მომაგონებელია, ამ წარსულის შესახებ სევდისა და დარდის აშშლელი:

“დმანისო ძველო, აბა მითხარ, შენგან რას ველი?  
სალა ფრიალო, უნაყოფო ხარ აღმართული,  
ძწვანე მდელითი, ძწვანე ტყითა არ ხარ მორთული,  
წყარო მცინარით არ ახარებ პატრონის თვალსა;  
ვაზს არ ახარებ, რომ რთველითა გული ვიხარო,  
რომ შენის ღვინით გულის ჭმუნვა, სევდა ვიქარვო,  
დარღვეულს გზაზედ შენზედ ასვლას კაცი ძლივს ბედავს,  
მაშა ღვთის თვალსა შენზედ მადლით არ მოუხედავს.

. . . . .  
მაგრამ ეგ ციხე, შენს ვრცელსქედზედ მორტყმული გარე,  
მაგრამ ეგ კოშკნი, ეგ ტაძარი და მამათ არე,  
როსმე მაგარნი და ამაყნი, დღეს დარღვეულნი,  
ჩემთ მამა-პაპათ ისტორიის წმინდა რვეულნი?!

. . . . .  
მოგესალმები დიდთ ნანგრევთა პატრონი თქვენი..,  
ვდგევარ თქვენ წინა თავმოხრილი, ფიქრით მოცული,  
ვდგევარ და ფიქრში მიახლდება, რაც არს წარსული,  
მაგრამ რისთვისა და რად მინდა მის მოგონება,  
რაც რომ ყოფილა, წარსულა და აღარ იქნება.”

პოეტი საყვედურითაც კი მოგვმართავს, რომ უდარდელად “ფეხითა ვთრგუნავთ” ისტორიის მოწმე მტკვრისა და არაგვის კიდეთ. ამგვარი შეხედულება ბუნებაზე, ბუნებისთვის ამგვარი ისტორიულის მნიშვნელობის მიცემა ჩვეულებრივია რომანტიკოსთა პოეზიაში, მაგრამ აქ ის აზრია საინტერესო, რომ ბუნებაში არაფერი არ აინტერესებს ავტორს, გარდა იმის ისტორიულის მნიშვნელობისა.

სიკვდილის შესახებ თ. ვახ. ორბელიანს ქრისტიანული ფილოსოფიური შეხედულება აქვს და რუსთაველისაგან ნაანდერძვე განსაზღვრას “ყოვლის გამსწორებელს” მოვლენისას როდი მისდევს. მართალია, პოეტის აზრით, საყვარელი არსება, რომელიც კვდება, “ველარ მოვა, ველარ გაგვინათებს ბნელს არეს”, მიდის უწყალო სამარეს და ამ სოფლად ველარ ნახავს მას ვერასოდეს ჩვენი თვალი; პოეტი არც იმას უმალავს თავის თავს, რომ “საფლავს მკვდარიცა არ დარჩება, მიწად იქცევა”, მაგრამ სამაგიეროდ “უკეთესს სოფელს” მიემგზავრება, იქ, “სადაც არ არის სიკვდილი”:

“სადაც რაცა არს, ყველა არს უკვდავებითა მოსილი,  
სადაც არ არის არც ჟამი, არც დღე, არც ღამე არ არის,  
სადაც მნათობთ წილ მარადის მნათობს ნათელი ღვთაების,  
სად სიყვარული წმინდა არს და წმინდის ალით ეგზნება,  
სად საუკუნო ცხოვრებას აქვს ღვთაებრივი სრულება” -

და არა ჰკარგავს იმედს საყვარლის არსების ნახვისას იმ საუკეთესო სოფელში:

“გნახო, იქ გნახო, იქნება, გიმზერდე ტურფას და ნათელს:  
რაც აქ ვიტანჯე, იქნება, აღარ მახსოვდეს იმ სოფელს”.

ზემოთაც მოვიხსენიეთ, რომ პოეტი მშვიდსა და წყნარს მორჩილებას იჩენს ხვედრის უღმობელობის წინაშე; იჩენს გულის დამწყველეს, მაგრამ ნაზ სტოიკურს შეგნებას სიკვდილისას,

მის გარდუვალობას, აუცილებლობას თამამად აცხადებს. მგოსანი თითქმის გულგრილად გვაუწყებს, რომ “მიაღწია იმ კარის ბჭეს, სითაც ცხოველ არსს ამა სოფლის კარს გზა აღარა აქვს, უკან დაბრუნდეს... სად ნაცვლად მზისა ჰნათს სხივი ღვთისა, სად სუფევს მხოლოდ ჭეშმარიტება!” ლმობიერად და აღუშფოთებლად ემზადება ამ კარის გავლას პოეტი, არც არავისა სწყევლის ამ სოფლად და არც არავის ლოცავს, მაგრამ მთავარი საგანი მისი ცხოვრებისა, სამარადისოდ საფიქრელი მისი სამშობლო კი ნიადაგ თვალწინ ექმნება და მისთვის ცრემლით მლოცველი იქნება ყოველთვის, როგორც ბ უ ნ ე ბ ი ს სანახაობით დატკობის დროს, ისე ს ი კ ვ დ ი ლ ი ს მწარე წუთების დროს ერთად-ერთი ფიქრი და აზრი ტრიალებს მგოსნის თავში - თავისი მამულისა და ქვეყნის ერთგულება.

### III

მთელი სულიერი განწყობილება პოეტისა, მისი ზრახვა, აზრი და მისწრაფება, მისი ჩივილი და იმედი ერთ პირველსა და საუკეთესო მისს ლექსშია გამოხატული. ეს ლექსი “იმედია.” ამავე ლექსში სჩანს ის განსხვავება, რომელიც თ. ვ. ორბელიანს აშორებს ჩვენს რომანტიკოსთა პოეტებს და ახალის ხანის მაუწყებლად ჰქმნის. აქ გამოხატული სულიერი ბრძოლა, ბრძოლა აღმფოთებული გრძნობისა და მშვიდ გონების შორის, რომელშიაც ტურფა და წყნარი გონება იმარჯვებს - გამარჯვებაა საზოგადო აზრის სარწმუნოებრივისა და ისტორიულის რწმენის კერძო პირის წუთიერ გრძნობასა და გულის თქმაზე, გამარჯვება იმ ფილოსოფიურის შეხედულებისა, რომელსაც კაცისა და მგოსნის “მე” ისტორიულის მოვლენის ერთ-ერთ ნაწილად მიაჩნია; რომელიც აღიარებს, რომ, თუ ეს “მე” ისტორიისა და ცხოვრების კანონების უმდაბლესი ყმა არ არის, მათი მორჩილი არსება მაინც უნდა იყოს. ამ შეხედულების წარმომადგენელს მგოსანი ამქვეყნად ღვთის მოადგილედ კი არ დაუსახავს, არამედ “მომაკვდავად, მიწით ქმნილად, მიწის მსხვერპლად, ადამის შთამომავალად, თესლად ბიწისა”.

აქ პოეტი მარტო და მხოლოდ ერთ აზრსა და ფიქრს შეუპყრია. ეს ლექსი, ასე ვთქვათ, პროლოგია მისი ნაწარმოებისა. ის აზრი და გრძნობა, რომელიც იმაშია გამოთქმული, იყო მისი არსების ნიადაგ აღმამფოთარი და შემაწუხებელი. ეს იყო “ივერიის შავი ბედი”, რომელიც ამოუკითხავს ისტორიულ ნაშთსა და ნანგრევებში. ივერიის ისტორიის დედააზრი, ივერიის ისტორიული ბედი “ეკლის გვირგვინი იყო, სასოება და კვლავ იმედი”, დღეინდელის ცხოვრების შემგნები მგოსანი კი ღვთაებასაც დაჰგმობს:

“გონება ხელობს, გაშმაგებულს აზრი მერევა,  
სარწმუნოებას გულის ჭმუნვის ძალა ერევა.  
მაშინ, მოყვასნო, მზა ვარ გკითხოთ, მითხარით ერთი:  
ნუ თუ მართლა გწამთ, რომ არსებდეს და იყოს ღმერთი?  
.....  
თუ თვის ქმნილებას საზღვარი და კანონი მისცა,  
სული საღმრთო და ცხოველი შთაბერა და სცა;  
თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიჭების,  
თუ ნათელი არს და ნათელი ჭეშმარიტების,  
მამ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?”.

მაგრამ ამ გატაცებულ გრძნობას მგოსანი მალე ჩაჰკრავს ლაგამს; მალე შეიგნებს, რომ ისტორიის საიდუმლოების შეჭიდება და განგების “მიუწდომელ გზათა” გაჩხრეკა და “განსჭვრეტა” არ ძალუძს “სუსტ ძალს” ადამიანის გონებისას და მის “დაბნელებულს თვალს”; “მოკლე ჭკუას” ვერ შეუძლიან მიხვდეს განგებას “მაღალ ღვთაებისას”, ვერ შეუძლიან შეიგნოს “ციური ნება”. შეიგნებს ამას მგოსანი და კიდევაც შეინანებს. ეს შენანება აღმფოთებულ და აღგზნებულ სულს დაუცხრობს, სიმშვიდეს დაუმკვიდრებს; მოკლულს გულს “ნათელსა და სიცოცხლეს” მოჰფენს; შარავანდებით მოსილს ბრწყინვალე “იმედს” დაუსახავს; განუმტკიცებს სასოებას და ჩაუნერგავს რწმენას, რომ “ღვაწლნი მამა-პაპათ არ განჰკრებიან, და ესენნი დიდებულად კვლავ აღდგებიან”. ეს “იმედი” გარდაცვა ჩვენმა პოეტმა მის შთამოებას და მის შემდეგ ამ “იმედით” აღჭურვილი, ძლევაძმოსილის სასოებით აღსავსე პოეტები მხნედ გვარწმუნებენ: “აწმყო თუ არა გწყყალობს, მომავალი ჩვენიაო” და “არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებსო”.

რაღა არის თვით “იმედის” ჩვენება, თუ არ დაწყნარებული და დაშვიდებული გონება მგოსნისა, რომელსაც აუწონია წარსული და აწმყო ცხოვრებისა; გონება, რომლისათვისაც წარსულის ერთის წუთით დანახვას შხამი შეუსმევინებია და აწმყოს განსჯას იმდენად გაუცხარებია და

აღუშფოთებია, რომ მიზეზთა მიზეზის განკიცხვასაც ჰბედავს. ეს გონება ბოლოს მაინც დამცხრალა, დამშვიდებულად დაჰკვირვებია ყოველივეს და პოეტისათვის სანატრელი და დამამებელი “იმედი დაუსახავს.”

ეგ ჩვენება “იმედისა” იგივეა, რაც ილია ჭავჭავაძის “აჩრდილი”, ვითა ქვეყანა მშვიდი, უძრავი, უხმო, დაფიქრებული, რომელი “მარად და ყველგან საქართველოს” თანამდევნი უკვდავი სულია. ეგ ჩვენება “იმედისა” მამია გურიელის “პოეტსა და ჩვენება”-შიაც მოგვევლინება, “სპეტაკი, უცხო, უმანკო, წმინდა”, თანაც სასტიკი და ფიცხი, რომელიც კარგადა ხედავს ხალხისა და ერის ანგარებას, ურწმუნოებას და უზნეობას, პოეტთა და ხალხის მეთაურთა მოვალეობაც ჩინებულად შეუგნია.

ასეთი იყო ძალა და მომხიბლველობა და მით გავლენა “იმედისა” ჩვენს ლიტერატურაზედ. მხოლოდ მაშინ, როდესაც თ. ვახ. ორბელიანის “იმედის” ჩვენება ტურფაა, ლმობიერი, წყნარი და მშვიდი ისე, როგორც მთლად მთელის მისის პოეზიის სული, ილ. ჭავჭავაძის “აჩრდილი” უძრავია და მკაცრი, დაფიქრებული, მთიდან ამაცად გადმომზირალი; თავისის ქვეყნის აწმყოთი გულდაწყლულელებული, თავისი სამშობლოს განხრწნილებისა და ღრმა ჭრილობათა სავსებით შემგნები და დამგმობი; ხოლო მამია გურიელის “ჩვენება” უფრო გატაცებულია, უფრო მკვირცხლია, უეცრად აღუშფოთდება და მალე ისევ ურიგდება სასოებაწაწყმედილს პოეტს, მაგრამ მას არა აქვს ღვათებრივი სიმშვიდე “იმედის” ჩვენებისა და არც სიდინჯე და ღრმა სევდიანობა “აჩრდილისა”.

ამგვარად, “იმედი” სიმბოლურ ქმნილებათა შორის უნდა ჩაირიცხოს, რადგან პოეტს საუცხოო და მშვენიერის სურათებით, ალლეგორიულად გამოხატული აქვს ღრმა და მაღალაზროვანი ბრძოლა გონებისა და გრძნობის შორის.

მაინც არ იყო თ. ვახ. ორბელიანისათვის სიმბოლიზმი უცხო. გადაიკითხეთ მისი “ორი შენობა”, რომელიც ერთი საუკეთესო მაგალითია ჩვენს ლიტერატურაში სიმბოლურის პოეზიისა. ამ ლექსში პოეტმა ერთმანეთს დაუპირდაპირა, ერთის მხრით, ჩვენის ერის საუკუნეთა ცხოვრების შექმნილი ისტორიული კულტურა, “ძველ წინაპართ სადგურის შთენნი, სავსე ღონითა, ღონით სავსით ხელით ნაშენი, გრძელ წელთ მოხუცი, დაჩაგრული, დახავსებული” და, მეორეს მხრით, თანამედროვე ჩვენი ცხოვრება, “ახალ დროთ ტურფად ნაგები, თვალს იზიდავს მისი შევენება; გარეთ და შიგნით მის კედელი არის მორთული, როგორც რომ სასძლოდ მშვენიერი ტურფა ასული”, მაგრამ ამ ახალს შენობას,

“მის კედელს, ამ დროთ ნაშენს მისს კირსა და ქვას,  
ვით სუსტს ასულსა, არცა ძალი და არცა ღონე აქვს;  
ის კი, მეორე, ის მოხუცი შვიდასის წლისა!  
მას არ ეშინის არც დროთ დენის, არც ქარიშხლისა;  
თუმცა მტრის ხელით შერყეული, შეგინებული,  
მაინც დგას გმირად, გმირთა ხელით აღმენებული,  
და თუ ოდესმე მის კედელნი დაინგრევან,  
მთენნი კი მისნი საუკუნოდ მთლად დარჩებიან”.

პოეტს არ გამოჰპარვია “ახალის” გარეგანი სილამაზე და სიტურფე, სულიერი კი - სისუსტე და არარაობა. ხოლო “ძველის” გარეგანი დახავსებულობა ვერ უფარავს სულიერ ძალღონეს და იმედს აძლევს, რომ “მისნი შთენნი საუკუნოდ დაშთებიან” და “დიდს წარსულს მომავალიც დიდი ექმნება”. ეს კრიტიკაა მთელის დღეინდელის ცხოვრებისა, დღეინდელის უნიადაგობისა, რადგან უნიადაგოა და მსწრაფლწარმავალი ყოველივე, რაიცა არ არის შეკავშირებული წარსულთან, შეწონილი და შეჯაჭვული ისტორიულ ტრადიციასთან. შეუძლებელია დიდი ხანი ექმნეს მას, რასაც არა აქვს-რა საერთო ხალხის არსებით ხასიათთან, მის სულიერსა და გონებრივ განძთან, რომლის შექმნაში ისტორიას პირველი ადგილი უკავია; შეუძლებელია ერი ჩამოაცილოთ მთელს თავის უწინდელ ცხოვრებას და ახალში გადაასკუპოთ, თუ ეს ახალი არ შეეფერება და შეესაბამება ასისა და ათასის წლის ცხოვრებისა და კულტურის ნაშთს. ეს ღრმა აზრი და ძლიერი გრძნობა, შეხავებული მწარე სევდითა და ფრთა შესხმულის იმედით, “ორის შენობის” სიმბოლოთი აქვს გამოთქმული ავტორს “იმედისას”. ეს ლექსი გვამცნებს, რომ პოეზიის ახალი მიმართულებაც კარგად შეუთვისებია მგოსანს, რადგან ეგ ლექსი იმ დროშია დაწერილი, როცა სიმბოლურ პოეზიის ნიმუშები უკვე მოგვცა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა.

მართალია, თ. ვ. ორბელიანს რომანტიკულის პოეზიის გატაცებულისა და მხურვალე პირად გრძნობათა გამოხატვა აღარ ეხერხება, ის მარტო ერთ აზრსა და გრძნობას შეუპყრია, “ჩვენის სამშობლოს ბნელის ეტლის მოთხრობას ბნელსა”, მაგრამ ზემოთაც მოვიხსენიეთ, თ. ვ. ორბელიანი მეცვლის ეპოქას ეკუთვნის, იმ ეპოქას ჩვენის ლიტერატურისას, რომელშიაც რომანტიკული

ლირიკა სულსა ლევდა და ახალი მიმართულება იდგამდა ფეხს ჩვენს ლიტერატურაში: პოეზიაში რეალური ლირიკა იდგამდა ტახტს და ერთგულ ქვეშევრდომსაც პოულობდა ახალ პოეტთა შორის. თ. ვ. ორბელიანის ცდა, რეალურის სალირიკო ლექსის დაწერისა, ამო შეიქმნა. რეალურის ლექსის ნაცვლად დიდაქტიური ლექსები შექმნა. “კაცი ის არის”, “ქალი ის არის”, “გალია”, “გავჩნდით რისთვისა” და სხვ. დიდაქტიური ლექსებია, სხვადასხვა მომღვრებისა და სწავლა-ქადაგების გამომსახველი. მართალია, მორალური სენტენცია და აფორიზმიც უფრო რეალურის ლიტერატურის დარგს ეკუთვნის, ვიდრე რომანტიკულისა და ინდივიდუალურის ლიტერატურისას, მაგრამ მაინც ვერ არის ნამდვილი, ტიპური წარმომადგენელი რეალურის ლირიზმისა, იგი უფრო ცაა, პირველი ნაბიჯია რეალიზმისაკენ.

ამგვარად, თავ. ვახ. ორბელიანი ძველ რომანტიკულ ლირიკისა და ახალ რეალურ პოეზიის შუა “გზადა და შემართებელ ხიდად” შეიქმნა. ჩვენის რომანტიკოსების დროის იყო, იმავე გარემოებაში და ისტორიულ ეპოქაში იზრდებოდა, როგორც იგინი და, რასაკვირველია, მისს ლექსებს ატყვია რომანტიკული კილო და მანერა, მაშინ, როდესაც რეალური იარაღი უფრო არ ეხერხება. იმას კი ვერასოდეს ვერ დავთანხმდებით, რომ “რომანტიზმს” იგი ჰყავდეს ჩვენში ერთადერთ წარმომადგენელად. ეგ აზრი რომ მივიღოთ ჩვენის შესანიშნავის მწერალისა, მაშინ რომანტიზმს სულ სხვანაირი განსაზღვრა უნდა მივსცეთ, რაიცა სინამდვილეზედ შორს იქნება. ყოველ შემთხვევაში, ეს კი ცხადია, რომ თავ. ვახ. ორბელიანი ალ. ჭავჭავაძის, ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის სკოლას უფრო ეკუთვნის, ვიდრე ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისას, თუმცა ისიც მართალია, რომ ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანს უახლოვდება წერის მანერითა და კილოთი და ილ. ჭავჭავაძესა და სხვებს კი აზრის მიმართულებით. ამ უკანასკნელს მოვლენას უნდა მივაწეროთ ისიც, რომ თ. ვახ. ორბელიანის ლექსების ენა ბევრად უფრო დაბლადა სდგას პოეტურის ღირსებით მის მოწინავე პოეტების ენაზედ (გრ. ორბელიანის და სხვ.) და მის შემდეგ პოეტების ენაზედაც (ილ. ჭავჭავაძის და სხვ). ახალის აზრისა და გრძნობის გამოთქმა ძველის ენით და იარაღით მეტად უხერხული იყო და თ. ვახ. ორბელიანი ამ ისტორიულის ხანის მსხვერპლი შეიქმნა. ეხლა საჭირო იყო, რომ ახალ აზრისა და მიმართულებისათვის ახალი სამოსელი მოეპოვებინათ და ეს წილადა ხვდა პირველად თ. გ. ერისთავს და შემდეგ ილია ჭავჭავაძესა და აკ. წერეთელს.

ჩვენ გვერდს ავუხვევთ თ. მამია გურიელს სხვადასხვა მოსაზრების გამო: ერთის მხრით, იმიტომ, რომ ლიტერატურის ისტორიაში მას ახალი მიმართულება არ შეუქმნია და არც გარდაცვლის ხანის გამოხატველი იყო. იგი მოგვიანებული რომანტიკოსი იყო, რადგან ილია ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის დროს რომანტიზმს ადგილი აღარა ჰქონდა და მხოლოდ მის ნიჭს უნდა მივაწეროთ ისა, რომ ამგვარ პოეზიას კიდევა ჰქონდა იმ დროს ჩვენში გასავალი; მეტს ვიტყვი: დიდის თანაგრძნობითა და სიამოვნებით კითხულობდნენ და დღესაც კითხულობენ ზოგიერთ ლექსებს მამია გურიელისას.

ერთ საინტერესო სალიტერატურო ტიპს შეადგენს კიდევ თ. რაფიელ ერისთავი, რომელმაც რომანტიზმით დაიწყო და ნამდვილ რეალისტ პოეტად გახდა ახალი მიმართულების ზედგავლენის გამო. ჩვენ არც თ. რ. ერისთავის ნაწერებს შევიტანთ ამ ეტიუდთა სერიაში, იმიტომ კი არა, ან რომ ხელოვნება აკლდეს მის ნაწერს და ან აზროვნება, მხოლოდ იმიტომ, რომ ლიტერატურის ევოლუციის ისტორიაში, როგორც არაერთხელ გვითქვამს, ის მწერალი უნდა აღინიშნოს, რომელმაც ან დაიწყო რაიმე მიმართულება, ან განაგრძო და განაძლიერა, ანდა უმაღლესს საფეხურამდის მიიყვანა ამა თუ იმ დარგის ლიტერატურა; იქვე უნდა იყოს მოხსენიებული ის მწერლები, რომელნიც ამა თუ იმ მიმართულების დაცემის გამომხატველნი შეიქმნენ თავისი ნაწარმოებით და გარდაცვლის ეპოქის მაჩვენებელნი. ჩვენა გვგონია, რომანტიკული პოეზია, თ. ვახ. ორბელიანით თავდება. რეალიზმი კი ჩვენს ლიტერატურაში თ. გ. ერისთავით იწყება.

## თ-დი გიორგი ერისთავი

(1811-1864)

### I

თავადი გიორგი ერისთავი არის ჩვენში რეალიზმის მამამთავარი.

უკვე გვითქვამს, რომ რეალიზმის უმთავრესი პრინციპია ბუნებისა და ადამიანის ცხოვრების მოვლენათა სინამდვილით გამოხატვა. მწერალმა ის უნდა გვაჩვენოს, რასაც ადგილი აქვს ბუნებასა



და ცხოვრებაში. ისე უნდა დაგვანახოს ესა თუ ის მოვლენა, როგორც იგი მოხდება ხოლმე და არა ისე, როგორც მწერალს ეჩვენება.

აქედან მეორე პრინციპი რეალიზმისა ის არის, რომ მწერალმა თავისი პირადობა უნდა უარჰყოს ამა თუ იმ მოვლენის აღწერის დროს, თავისი სიმპათია-ანტიპათია უკუაგდოს და გარდაიქცეს ფოტოგრაფიის მანქანად, რომელმაც უნდა მოგვაწოდოს უტყუარი და ჭეშმარიტი სურათი მოვლენისა.

რეალიზმს თავისი ფილოსოფიური მოძღვრებაცა აქვს. ეს მოძღვრება აღიარებს, რომ ბუნებაში ყოველივე განსაზღვრულია და წინათვე გარკვეული. ადამიანი არის ერთი ნაწილი ბუნებისა, რომლის სურვილი, მოქმედება, აზრი და გრძნობა ექვემდებარება ბუნების მოვლენათა ზეგავლენას. კაცი არის მონა ბუნებისა და არა მისი უფალი. კაცის სულიერს მოძრაობას თავისი დასაბამი და დასასრული მის სხეულში აქვს. ეგ სხეული კი ისეთი ყურმოჭრილი ყმაა ბუნების კანონებისა, როგორც ქვა, ხე და პირუტყვი.

რეალიზმსა აქვს თავისი საშუალებაც, თავისი მანერა წერისა.

რეალურის ქმნილების საგნად აღებულია ხოლმე ისეთი პიროვნება და ისეთი მოვლენა, რომელიც ჩვეულებრივია, ყოველ-დღიური და არა რაიმე განსაკუთრებული არსებაა, ანუ შემთხვევა. ამ სკოლის მწერალს მოვალეობად მიაჩნია უბადრუკისა და უმნიშვნელო სინამდვილის აღწერა. ენა და სტილი სადა და უბრალო უნდა იყოს, აზრის მარტივად გამომხატველი, მაგრამ არავითარი შეზღუდვა და შეჯახვა არ მოელის აქედან მწერალს: შეუძლიან ისარგებლოს არათუ ჩვეულებრივის ლექსიკონის ყოველივე სიტყვით, არამედ ხალხისაგან ხმარებულ ჟარგონითაც.

ამნაირი განსაზღვრა რეალიზმისა მიღებულია ევროპის ლიტერატურაში და დამყარებულია ლიტერატურის ნაწარმოებთა განხილვაზე.

რეალიზმის მოძღვარი იყო საფრანგეთში ფლობერი. ფლობერის რეალიზმი ზოლას ნატურალიზმად შეიცვალა. თუ ფლობერის რეალიზმი ლიტერატურული პრინციპი იყო, ზოლას ნატურალიზმი ამ პრინციპების უკიდურესი გამომხატველია. გარდა ამისა, ზოლა ლიტერატურის სამეცნიერო იარაღად გარდაჰქმნას ელტვის და ვალადა და აზრად დაუდებს სიტყვაკაზმულ მწერლობას, ცხოვრების უტყუარი საბუთები გადმოგვცეს. ეს საბუთები კი სინამდვილის დაკვირვებაზე უნდა იყვნენ დამყარებულნი, რომ სამეცნიერო დასკვნისათვის გამოსადეგარნი შეიქმნენ. ჩვენ ყოველთვის აღგვინიშნავს ის განსხვავება, რომელიც არსებობს ჩვენისა და ევროპულის ლიტერატურის შორის. ევროპაში სხვადასხვა სკოლას დიდებული წარმომადგენლები ჰყვანდა. ეს დიდებული წარმომადგენელი მსოფლიო გენიოსები იყვნენ (ბაირონი, ჰიუგო და სხვ.). გარდა ამისა, ესა თუ ის ქვეყანა ამა თუ იმ მიმართულების შემქმნელი იყო, ჩვენ კი მაჩანჩალები გახლდით, ქართული რომანტიზმი ევროპიულის მაჩანჩალა გახლდათ. ამიტომაც იყო, რომ ჩვენში რომანტიზმს არავითარი დამცველი არა ჰყვანდა და არც არავინ იყო მისი პრინციპების მქადაგებელი. ჩვენში თითქო არც კი არსებობდა ლიტერატურული სკოლა რომანტიზმის შემოღებამდის. რეალიზმიც ეგრე შემოიპარა ჩვენში, მაგრამ რაკი რომანტიკოსები კიდევ მოღვაწეობდნენ, დავა აუტეხეს ჩვენში რეალიზმის განმამტკიცებელთ (ილ. ჭავჭავაძესა და აკ. წერეთელს, - გრ. ორბელიანმა და სხვ.). ეს დავა, რასაკვირველია, შედეგი იყო სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელთა არსებითის უთანხმოების და არა შეგნებული, წინდაწინვე გამოპლანული დავა ორის სკოლის წარმომადგენელთა შორის. სხვას გარდა ეს ლიტერატურული დავა საზოგადო აზრის სხვადასხვაობის შეჯახების შედეგიც კი იყო. გრ. ორბელიანი ენის გარყვნას სწამებდა ახალ თაობას, რასაკვირველია იმიტომ, რომ რომანტიკოსთა აჭრელებული ენა და რეალისტთა სადა ენა, ხალხური კილო სხვადასხვაობდნენ. ძველი გრძნობდა რაღაც ახალს, მის წინააღმდეგს და ამ წინააღმდეგს ებრძოდა. ახალი კი ძლევამოსილი წინ მიდიოდა და მას თავის ძალის შეგნებაც უფრო ჰქონდა და თავისი პრინციპებისაც.

ერთი გასაოცარი შემთხვევა ის არის, რომ რეალიზმი ჩვენში სწორედ იმავე ხანებში დაიწყო, როგორც საფრანგეთსა და ევროპაში - ორმოცდამეათე წლებში.

სწორედ ამავე დროში გარეშე პირობათაც ისეთი მიმართულება მიიღეს, რომ რეალიზმის აღმოცენებისათვის ნიადაგი მზად იყო.

გამოურკვევლობა ქართველის ერის აზრისა, რყევა ამ აზრისა, ძველი მოგონებანი და ამ მოგონებათა გამო აღელვება დამთავრდა “შეთქმულობით”. ამას კი მოჰყვა საუკეთესო ქართველთა სამშობლოდან გაძევება. მთავრობა შეთქმულთ გულმონწყალედ მოეკიდა. შესაძლოა, ერთის მხრით, იმიტომაც, რომ იმპერატორ ნიკოლოზ პირველს არ მიაჩნდა მაინცა და მაინც საკეთილოდ ქართველების გულის ტკენა იმ დროს, როცა პოლონეთის აჯანყება თვალწინ ჰქონდა და, მეორეს მხრით, და უფროც კი იმიტომ, რომ უთუოდ ეს “შეთქმულობა” ბავშვურ მოქმედებად მიიღო.

ყოველს შემთხვევაში შეთქმულთ კარგად დაინახეს, რომ ყოველი ამგვარი მოქმედება მათთვის შეუძლებელი იყო, რადგან ნიადაგი არა ჰქონდა მომზადებული და საზოგადოების თანაგრძნობა არ ჰქონდა მოპოვებული; რამოდენიმე გმირთაგან შეგნებულს მოქმედებას დიდი უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა უყურებდა როგორც მხურვალე ფანტაზიისა და გატაცებულის გრძნობის ნაყოფს. შეთქმულთ ისიც შეიგნეს, რომ რუსეთის მთავრობა ყოველსავე ამნაირ საქმეს სასტიკად მოეკიდება და არავითარ წინააღმდეგობას არ დასთმობს. სამისა და ოთხის წლით სამშობლოდან გარდახვეწამ ბევრი მწარე ცრემლი დაანთხევინა ამ მაღალგრძნობიერ ახალგაზრდათ და ამ ცრემლის დენაში ჩაუკვირდნენ თავისის ერის მდგომარეობას და მიხვდნენ, რომ ერის კეთილ-დღეობისათვის ზრუნვა სულ სხვა გზაზედ უნდა დაყენებულიყო.

თავის მხრით მთავრობაც გარკვეულს გზას დაადგა, - სამარო მდგომარეობა მოსპობილ იქმნა. ქართველის ერის უსამართლო და უსირცხვილო დევნა პოლიციის მხრით, მმართველთა უსაფუძვლო და ურიგო თავხედობა ნელა მოისპო და ვორონცოვის ნამესტნიკად დანიშვნის შემდეგ მთავრობის პოლიტიკამ განსაზღვრული და გარკვეული მიმართულება მიიღო. ვორონცოვის პოლიტიკა ქართველებისათვის ნათელი იყო. ქართველ ერს უნდა მიეღო აღსრულებელი ისტორიული ფაქტი, დამორჩილებოდა ისტორიულ შემთხვევას: საქართველო იყო რუსეთის ქვეშევრდომი და ყველას ამის წინაშე თავი უნდა მოეხარა. ხოლო ვორონცოვს აზრად ჰქონდა დიდის ხნით თავისუფლებას შერყეულის ხალხისათვის ეს მორჩილება არამც თუ მოსათმენად, სასიამოვნოდაც კი გაეხადა. თავისის პოლიტიკის აზრად დაიდვა ქართველის საზოგადოების რუსულს კულტურასთან დაკავშირება (ესე იგი ევროპის კულტურასთან რუსეთის შემწეობით). ვორონცოვმა დიდი გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა და მიხვდა, რომ მხოლოდ ეს არის ერთადერთი გზა, რომელსაც შეუძლია სულიერადა და გარეგნობითაც შეუკავშიროს საქართველო რუსეთს. ამიტომაც ყოველის ღონით ეცადა ქართველი საზოგადოება შეეთვისებინა ევროპულის ცივილიზაციისათვის. თავისის სასახლის “ბალებისა” და “სადამოების” წყალობით იგი გარეგნად აკავშირებდა რუსეთისა და საქართველოს უმაღლესის საზოგადოების წევრებს; ხოლო ჟურნალ-გაზეთებისა და თეატრის დაარსებით სცდილობდა სულიერადაც განემტკიცებინა კავშირი ევროპის კულტურასა და ქართულის კულტურას შორის.

აი, რას ამბობს ბ-ნი ი. მეუნარგია, ცნობილი და ჩინებული ბიოგრაფი თავ. გ. დ. ერისთავისა, ამ დროის შესახებ: “კავკასიის ადმინისტრაციის მოხელენი ხშირად აყენებდნენ ხოლმე შეურაცხყოფას ნაციონალურ ქართულ გრძნობას. თავხედი ქვეცა პოლიციის მოხელეთა ცუდად მოქმედება ქალაქის მოწინავე ქართველობაზე. საზოგადოება უამისოდაც დაქსაქსული იყო ნაწილ-ნაწილად. ნათესაობითი კავშირი, პირადი გრძნობა და ჩვეულება სხვადასხვა მხრისკენ იწვევდნენ მას. დრო იყო საჭირო, რომ ეს ჩვეულება გამქრალიყო, ამ ნაწილ-ნაწილად დაყოფას ბოლო მოეღობოდა, რომ წარსულ აჯანყებათა მოგონებაც წაშლილიყო და ბატონიშვილების დინასტიური მეცადინეობა დავიწყებოდა საზოგადოებას. მხოლოდ მაშინ შეადგენდა ეს საზოგადოება ერთს მჭიდრო საპოლიტიკო წყობას. ამისთვის კი საჭირო იყო ისეთი მშვიდობიანი და მშვიდობიანი გზა, რომელსაც ვორონცოვისა (ხაზი ჩვენ გვეკუთვნის); საჭირო იყო თავაზიანი ქვეცა და პატივი ქართველების, “ისტორიული სიამპარტავნისა და ზეპირ-გადმოცემათა”, როგორც ამბობს განსვენებული ფადეევი.

ცხოვრება დაწყანდა. საზოგადოება გაერთიანდა. საზოგადო აზრი კალაპოტში ჩადგა. ძველი ოცნება ტახტიდან ძალაუნებურად ჩამოაბრძანეს და ეხლა ამ ოცნების მოძღვრებმაც კი შეიგნეს, რომ ერთადერთი საშუალება სამშობლოსათვის სამსახურისა არის ისტორიის მსვლელობისაგან აღნიშნული გზა: ევროპის კულტურის მიღება, ამ კულტურის განვითარება და განმტკიცება ქართულს ნიადაგზე.

გ. ერისთავს ბედმა არგუნა ისეთს ქვეყანაში ყოფნა და იმ დროს, როცა უსათუოდ უნდა შეესწავლა და შეეგნო ის იარაღი, რომელიც მისთვის მიუცილებელი იქნებოდა სამშობლოს სამსახურისათვის; მისმა ფხიზელმა გონებამ კარგად შეიგნო და მიხვდა, რომ ქართველობა მეტად ჩამორჩენილია ევროპის ცივილიზაციასა და კულტურას; ხოლო გარეშე ამ ცივილიზაციისა და კულტურისა ქართველ ერს აღარ შეეძლო სიცოცხლე, - აღსრულებულმა ისტორიულმა ფაქტმა ძალა-უნებურად ჩააბა იგი ევროპის ცივილიზაციის ძლევა-მოსილ მსვლელობაში და თუ ფეხს არ მოიმაგრებდა ამ მსვლელობაზე, სხვას ჩამორჩებოდა და სხვისგან გაითელებოდა. კარგად მიხვდა, რომ იმ საზოგადოებას და იმ ხალხს, რომელსაც უბედურის შემთხვევის გამო საანბანო ჭემარტიც კი დავიწყანია, არ შეეძლო “დიდის საგნის” შეგნება. მან შეიგნო ნ ა მ დ ვ ი ლ ი რ ე ა ლ უ რ ი საჭიროება თავისი ქვეყნისა და დაბრუნებისათანავე მიჰმართა ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებას და მათთვის მუშაობას. ლიტერატურას და თეატრს მოჰკვიდა ხელი, გაზეთიდან

და სცენიდან სცდილობდა ანბანი ესწავლებინა ქართველ საზოგადოებისათვის, ანბანი ზნეობრივის მოქმედებისა და მომავალი დიდი შრომისა და მოღვაწეობის წინასიტყვაობა საქვეყნოდ განეცხადებინა.

## I

გ. ერისთავი უმთავრესად რეალისტი მწერალია, მაგრამ რომანტიკულ ელემენტსაც ბევრს შეხვდებით მის ნაწარმოებში და ეს არცაა გასაკვირვალა. საზოგადოდ მნელაია, რომელიმე მიმართულება ლიტერატურაში უეცრად დამყარდეს, - საჭიროა ბევრი დრო, ბევრი შრომა, რომ ესა თუ ის მიმართულება გამოირკვას და განმტკიცდეს. ეს ერთი და მეორეც ისა, რომ ძვირად შეხვდებით მწერალს, რომლის ნაწერებში რომანტიული ელემენტიც არ ერიოს - და ეს იმიტომ, რომ რომანტიზმიც ისეთივე კანონიერი მოვლენაა კაცის მოთხოვნილებაზე დამყარებული, როგორც რეალიზმი. ზოლას, ნატურალიზმის შემქნელს, რომანტიკოსობას ეწამებთან და მართლა ესრეც არის. მოჩვენებითი ძალა ზოლას ნიჭისა (l'imagination) იმდენად ძლიერია, როგორც ჰიუგოსი. ზოლა უბადრუკ და ჩვეულებრივ სინამდვილეს კი არ გვიხატავს, არამედ იმ სინამდვილეს, რომელსაც მის ტვინში და გულში გაუვლია, ზედ დასჩნევია მისი აზრისა და გრძნობის ბეჭედი და ეგრე გარდაბადებულსა და გარდაქმნილს სინამდვილეს მერმე ჩვენ დაგვანახებებს ხოლმე. ეს სინამდვილე ზოლასაგან, რასაკვირველია, დასახიჩრებულია, რადგან კაცის პირუტყვობის ფილოსოფიით გამსჭვალულია და მხოლოდ იმით განირჩევა რომანტიკოსთაგან გალამაზებულისა და გაჰაეროვნებული სინამდვილისაგან. მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ რომანტიკოსებსაც არ ეუცხოვებოდათ სინამდვილის დამახინჯება და დემონიურის ბოროტების დახატვა.

გ. ერისთავი რომანტიკოსთა შორის იზრდებოდა, იმ ზედგავლენასა და გარემოებათა შორის, როგორც იგინი და, რაღა თქმა უნდა, რომანტიულს მანერას ვერ ასცდა. მხოლოდ თუ რეალიზმის შემქმნელი შეიქმნა, ეს იმიტომ, რომ მისი გონება მეტად ფხიზელი და დაკვირვებული იყო და მას თანდაყოლილი ჰქონდა სატირული ნიჭი, ნიჭი დაცინვისა და განკიცხვისა. ხოლო როცა დრომ და გარემოებამ მოითხოვა, განგებისაგან მინიჭებულ ნიჭს თ. ერისთავისას გზა გაეხსნა და ამ ნიჭმა თავისი დაგვანახვა.

გ. ერისთავს ერთი ნიჭი ჰქონდა კიდევ: იგი იყო არსებითად დრამატული მწერალი. მართალია, როგორც დრამატულ მწერალს ბევრი ნაკლულევაწება აქვს, მაგრამ ეს მისი ბრალია, რომ ქართულს ლიტერატურაში იგი იყო პირველი ამგვარი მწერალი და, როგორც პირველი, ბევრის ახალისა და წვრილმანის შემოტანა დასჭირდა ჩვენს ლიტერატურაში, რამაც მისი ნიჭიც დააბრკოლა. მის კომედიების ნაკლულევაწებებში მის ნიჭს იმდენი ბრალი არ ადევს, რამდენიც ქართულის ლიტერატურის სიღარიბეს.

გ. ერისთავის ლირიზმი საუკეთესოდ გამოიხატა მის დრამატულ პოემა “შემლილში”. მართალია, ლექსებსაცა სწერდა, მაგრამ ეგ ლექსები თითქმის სახსენებელნიც არ არიან.

გადაიკითხეთ მონოლოგი ბეგლარისა - იგივე გ. ერისთავისა: როგორც ბიოგრაფიიდან ვიცით და უამისოდაც ადვილი მისახვედრია, რომ ბეგლარი თვით ავტორია; გადაიკითხეთ ეგ მონოლოგი და იქ ნახავთ ავტორის შეხედულებას ბუნებისა და კაცთა შორის დამოკიდებულების შესახებ; მისს გრძნობას სიკვდილისა და სიყვარულის შესახებ; მისს აზრს კაცთა შორის დამოკიდებულების შესახებ. ყველა ეს აზრი და გრძნობა თ. გ. ერისთავს აქვს გამოთქმული ორიგინალურად, სულ სხვაგვარად, ვიდრე მის მოწინავე მწერლებს.

ბ უ ნ ე ბ ი ს სიმშვენიერით აღტაცებული პოეტი გაზაფხულს შეჰხარის:

“კიდევ მოხვედი, გაზაფხულო, ჩვენო სტუმარო,  
ყოველთა კაცთა სასიქადულო, გულთ მომდიმარო.  
უკვე გიპყრიეს სიხარულის ფიალა ხელით  
და მოგვეგებვი, გამოვალთ რა ზამთარის ბნელით!”.

მაგრამ მისი გული სევდით არის აღსავსე. მისი გრძნობა და ფიქრი მოწამლულია: “ბინდი ჭმუნვისა გულსა მისსა მიეფინების”, ხედავს რა, რომ ბუნებას და კაცთა შორის ჰარმონია და თანხმობა კი არ არსებობს, არამედ სრული წინააღმდეგობა, სრული უთანხმოება; “ხედავს სოფელი და ბუნება სულ ჭაბუკდება, და ის კი, გვირგვინი ღვთისა ქმნილების (რა დაცინვა!) ბერდება, კვდება და დღე აკლდების”.

მისთვის ბუნება არც ისეთი მორჩილია კაცისა, როგორც ალ. ჭავჭავაძეს ჰგონია, რომელსაც ბუნება იმგვარად ეჩვენება, რა განწყობილებაზედაც თვით არის. არც კაცის თანაგრძნობად მიაჩნია იგი, როგორც გრ. ორბელიანს და არც “გულდახურულთა მეგობრად და ნუგეშათ”, როგორც თ. ნ. ბარათაშვილსა და გინდ ვახ. ორბელიანს. მის შეხედულებას ბუნებაზედ უფრო ნატურალისტურის

ფილოსოფიის მსგავსი რაღაც ემჩნევა. კაცს პოეტი დაცინვით იხსენიებს “გვირგვინად ღვთისა ქმნილების” იმიტომ, რომ ეს ვითომდა მეფე ბუნებისა, მორჩილი და მონაა მისი, იმავე ბუნებისა, იმაზედ უფრო უძლური და სუსტი. ბუნება და სოფელი სულ ჭაბუკდება და მას კი “არ აქვს უფლება განცხოველების, მოსია კაბა ტანთ გახრწნილების”.

ბუნება მის აღტაცებასაც კი გულგრილად ისმენს; უყურადღებოდა სტოვეებს მის ვედრებას, რომ “მერცხალთ აღმასაფრენი ფრთები მისცენ, აღფრინდეს მალლა და კვლავ მალლა, რომ ვერ ხედვიდეს ქვეყანას დაბლა”. ხედავს პოეტი ასეთს უღმობელოებას და ბუნების უგულოებას და თვითვე გრძნობს თავის სიბეჩავეს, თავის უბადრუკობას:

“გარნაღა ვაი! მე ღვთისა ქმნილი,  
ვარ ამ მიწასა მაგრა მიკრული”.

ეს სანახაობა ბუნების მარტო თავის უძლურებას შეაგნებინებს პოეტს. იგი არათუ ვერ შეედრება სიცოცხლესა და ბუნების სიძლიერეს, მისთვის ამ ბუნების სურათის სავესებით დახატვაც კი მიუწოდომელ სანატრელ საგნად გამხდარა: “ნეტარ ვინცა შენ კალმით დაგწეროსო!” შესძახებს აღტაცებული პოეტი.

გ. ერისთავს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ უფრო მიწიერი და ხორციელი შეხედულება ჰქონდა, როგორც სჩანს ამავე პოეტიდან. ბეგლარის მთელს ლექსში, საყვარელთან მიწერილში, პოეტი მარტო იმას ელტვის, რომ დაინახოს სატრფო “მისი ხელი გულს მიიკრას და ლამაზი თვალები გადაუკოცნოს”, თუმცა არც მას გამოჰპარვია ორგვარი მხარე სიყვარულისა:

“ჩემო გულისა ამაშფოთო და ჩემო ბედო,  
ჩემო სამოთხეც, ჯოჯოხეთო, ჩემო იმედო!  
ეს არის ჩემი სოფელს დიდება, -  
ლიტონი კაცი როგორ მიხვდება,  
რომ ჩემი გული  
არს დაკუწული  
და მისგან შევქმენ ტრფობით ანბანი”.

იცის, რომ სიყვარული ჯოჯოხეთიც არის და სამოთხეც, დამტანჯველიც და აღმტაცებელიც.

ჩვენს ავტორს არც ის გამოჰპარვია, რომ პოეტი, მაღალის ნიჭითა და გრძნობით დაჯილდოებული, ბრბოსათვის გაუგებარია. ის ვერავის “აგრძნობინებს, შეატყობინებს ტკბილ ჩანგის ჟღერით შენს ნიჭსა გულის, მაღალის სულის პასუხს ვერსად ჰპოებს... აქ ამ სოფელს, არ მის სამყოფელს... მისი ცხოვრება კაცთ ეკვირვება”, გაუგებარია კაცთათვის ის, რომ პოეტი ხან სოფელს სტირის, ხან მალლა ჰყვირის, არ არის კმაყოფილი, ხან ვითა ჩვილი, “გულ-უბრიყვილი ხარობ სოფელსა”. კარგად იცის ჩვენმა მწერალმა, რომ პოეტთაგანი “ზედნიერებით და მყუდროებით არვინ მოზილა” და ასე მიმართავს ხალხს.

“და თქვენცა, ერნო, მომღერალთ მტერნო, სავესნო შურით,  
თქვენ არ იყავით, დასცინოდით დიდ ბაირონსა?  
თქვენ აიძულეთ, განაშორეთ მშობლის სირონსა!  
ტორკვატო ტასი?  
ვერ სცანით ფასი,  
უწოდეთ შტერი,  
ჰქმენით პყრობილი:  
მის მღერა ტკბილი  
ვერ მოიგონეთ.  
თქვენში არ იყო კამოენსი, მოკვდა მშიერი?  
თქვენ არ სდევნიდით დიდსა დანტეს, იყავით მტერი?  
და ოვიდია რომისაგან რისთვის განაძეთ?..  
იქნებ მეც ისე მომიძულოთ, არვის დაგნანდეთ!”

ს ი კ ვ დ ი ლ ი, თ. გ. ერისთავის აზრით, ყოველივეს ბოლოა და ეს თვისება სიკვდილისა მას გულს უწამლავს.

“კვირობ, რად მომეცა გონება, ნება - გაიმახის პოეტი,

თუ რომ სიკვდილით სრულ დასრულდება!

ჩვენი იმედი და ჩვენი ზედი,  
ასე სიზმარებ თუმცა განქრება,  
სიცოცხლის სიმი უეცრად წყდება,  
კაცი ამისთვის რად იზადება?”

მართალია, ისიც კი იცის, რომ ეს სოფელი სხვა სოფლისთვის სამზადისია:

“მაგრამ, რა უჭვრეტ მზესა, მთვარესა,  
ამ მნათობთ ვარსკვლავთ, ცის სამარესა,  
იდუმალ მეტყვის მე სინიდისი,  
სხვა სოფლისათვის არს სამზადისი”.

ხოლო ეს სხვა სოფელი რაღა უნდა იყოს, თუკი “სიკვდილით ყოველივე სულ დასრულდება” და “სიზმარებრ გაჭვრება?” შესაძლოა პოეტს მისტიური წარმოდგენაც ჰქონდეს ჩვენს გარდაცვლაზე, ჩვენს სიკვდილზე, თუ ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებაზედ ამას სწერს:

“რა მოგვეფარე, ცას შევეცქერი: რა დღე ბნელდების,  
უყურებ, ტატო რომელ ვარსკვლავად გამოზრწინდების.  
თითქო გხედავ შენ მოარულსა რძისა გზაზედან,  
ანგელოსთ დასნი გეხვევიან, ყურს დაგიგდებენ,  
მერე ცის სივრცეს ლაჟვარდოვანს განავარდებენ”.

ამავე “შეშლილშია” დასურათებული საოცარი მაგალითი კაცთა უგრძობლობისა და გულგრილობისა, ადამიანთაგან ერთმანეთის ვაისა და ჭირის შეუგნებლობისა. საბრალო ტასო შეშლილია უარყოფილის სიყვარულის გამო. იმას კი წამლად გათხოვებას უნიშნავენ და, როცა ეს წამალი სიკვდილამდის მიიყვანს, მისივე ახლო ნაცნობნი ლოტოს თამაშის დროს გაიგებენ ამ საზარელ, თითქმის მათის ხელის საქმეს და გულგრილად და საოცარის ცინიზმით განაგრძობენ თამაშს და ჭორიკანაობენ:

“მელანია: “პით დესეტ ოსემ... თუ მართალია...

მაგრამ დედაზედ სამართალია.

ვოსემ დესეტ სემ... ყური არ უგდო,

საბრალო ქალი ყმაწვილს მიუგდო.

შესტდესეტ დევეტ... მე რა გავიგე!

ნინო: “უკაცრავად ვარ, აი, მოვიგე.”

თუ ეს პოემა რომანტიულია მით, რომ ავტორი მეტად პირადის გრძობისა და სევდის გამოხატველია, რეალიზმის კვალიც ძლიერია. ზემოთაც მოვიხსენიეთ, ავტორის შეხედულებაში ბუნებასა და სიყვარულზედ უფრო ნატურალისტი სჩანს, ვიდრე აღტაცებული რომანტიკოსი. გარდა ამისა, ამ პოემაშია დახატული, თუმცა ნაჩქარევად, მაგრამ ნიჭიერის კალმით ნამდვილი სურათი იმ დროის ქართულის ოჯახისა, ამ ოჯახის აზრებისა და წარმოდგენისა ცოლ-ქმრობაზედ, სიყვარულზედ, მწერლობაზედ, გონების შრომაზედ და აღწერილია იმავე დროის დავისა და საჩივრების მოყვარეობა, ამავე ნაკლულევიანებათ ჰკიცხავს მწერალი შემდეგ თავის კომედიურ თხზულებებში.

ანახანუმი, დედა შეშლილის ტასოსი, უსირცხვილოდ საყვედურს აცხადებს იმისი სასიძო ბეგლარის შესახებ, რომ “ატკაზის არზა” არ დაუწერა ბოქაულთან. ამ ქალბატონს უარი უნდოდა ეთქვა იმ ფულზე, რომელიც დალალისაგან ესესხა (ათი თუმანი ისიც) და რომლის “მცირე ბარათიც” კი ეჭირა დალალს, და სასიძოს რაინდული და პატიოსნური ადღევებული უარი მის უაღრეს ნაკლულევიანებად მიიჩნია. ანკი როგორ უნდა მოქცეულიყო ისეთი ქალი, რომლისთვისაც კაცის ერთადერთ ღირსებად ითვლება “არზის წერის” ცოდნა და გაბრაზებულია, რომ მის სასიძოს არზის ქაღალდზედ ლექსები დაუწერია. მწერლობასა და საზოგადოდ გონებრივ გრძობას საოცარის ცინიზმითა და უსირცხვილო დაცინვით ეპყრობა. არც სიყვარულის გრძობას ეპყრობიან იმ დროის მანდილოსნები ნაკლების დაცინვითა და გულგრილობით. ამათ რომ დაუჯეროთ, საქართველოში სიყვარული არც კი სცოდნიათ და “მოდნად” შემოღებულია.

“ჩვენცა ვყოფილვართ ყმაწვილ-ქალები - ამბობს ერთი მათგანი:

ჩვენცა გვქონია კარგი თვალები,  
მაგრამ ჩვენ გულსა არა ვკითხავდით,  
საქმროდ ვინ გვინდა, ვისთვის ვოხრავდით.  
გათხოვებასა მაშინა ვგრძნობდით,  
როცა საყდარში ქმარს წავეყვებოდით”.

ასეთს საზიზღარს ატმოსფერაში, ასეთს გარყვნილს საზოგადოებაში ხვდა მუშაობა თ. გ. ერისთავს. მან თავისის მკვირცხლის გონებითა და გრძნობით შეიგნო, რომ ესდენ გათახსირებულსა და დაცემულს საზოგადოებას ზნეობრივი წრთვნა ეჭირვება, ეჭირვება თვალების გახელა, მისი ნაკლულეკანებისა და სიწამბდრის თვალწინ დაყენება. გ. ერისთავმა კომედიებს მიჰმართა და სცენა იხმარა იარაღად თავისის აზრის განხორციელებისათვის. ამ კომედიების მნიშვნელობა ჩვენის ცხოვრებისა და ლიტერატურისათვის მრავალგვარია. იგინი შეიქმნენ ენითა და შინაარსით ახალის მიმართულების შემქნელნი. უკვე მისის ლექსების ენა უფრო სადაა და მარტივი, უფრო მდაბიური, ვიდრე რომანტიკოსების ენა, რაიცა დიდ დამსახურებას შეადგენს ლიტერატურაში. და კომედიების ენა ხომ ისეთია, რომ მართლაც ახალის ეპოქის დამწყებია ჩვენს მწერლობაში. “მ წ ე რ ლ ო ბ ა მ ვ ე ლ თ ა, გარდა რუსთაველისა და მცირეთა სხვათა, ა რ ა ი ყ ო ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ი ს საუბარის ენითა, რომელიც არის და უ ნ და ი ყ ო ს ჭ ე მ მ ა რ ი ტ ი ე ნ ა ხ ა ლ ხ ი ს ა”, - ამბობს პლატონ იოსელიანი “გაყრის” წინასიტყვაობაში. “დამწერმან ამა პირველისა, ქართულსა ენაზე კომედიისა, თ. გ. ერისთავმან, დაბადა ე ნ ა ქ ა რ თ უ ლ ი ა ხ ა ლ ი ს ა გ ვ ა რ ი ს ა მ წ ე რ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს” (ხაზი ჩვენ გვეკუთვნის). პლატონ იოსელიანი დიდს გამჭრიახობას იჩენს ამ სიტყვებში: “მან დაბადა ენა ქართული ახალისა გვარისა მწერლობისათვის”. ლიტერატურაში ახალი მიმართულება იწყებოდა და ახალი ენაც საჭირო იყო. სხვა რომ არაფერი, მარტო ამ “ახალისა გვარისა ენის დაბადებისათვის” ეკუთვნის თ. გ. ერისთავს დიდი ადგილი ჩვენს ლიტერატურაში. მეორე დიდი მნიშვნელობა ამ კომედიებისა იმაში მდგომარეობს, რომ გ. ერისთავი თავისის ნიჭიერის კალმით პირველად შეეხო ჩვენში ახალ ცხოვრებას, ამ ცხოვრებისაგან შექმნილ პირობათ; პირველად მან დაგვანახვა ძველის წყობილების - ფეოდალიზმის და ახალის - ვაჭრულის ბრძოლა, პირველის მისუსტება და მეორის გაღვიძება; პირველად მან სცადა ახალ პირობებში აღზრდილ ახალგაზრდათა დახასიათება, პირველად მიაქცია ყურადღება ამ ჯგუფს საზოგადოებისას; პირველად მან დაასურათა და დაგვანახვა ახალის გარემოების ნაშობნი, - პირველად, მაგრამ, საუბედუროდ, თითქმის უკანასკნელადაც. 50 წლის განმავლობაში ჩვენი ლიტერატურა ყრუდ დარჩა და გ. ერისთავისაგან ნაჩვენები საგანი განზე დატოვა. (როგორღაც უფროთხის მას განათლებულ და ახალ პირობებში აღზრდილ ახალგაზრდათა დასურათება). მანვე შექმნა ჩვენს ლიტერატურაში ახალი გვარი, ფორმა ლიტერატურის ნაწარმოების - დრამატული მწერლობა, რომელიც შემდეგში განვითარდა და გაიზარდა.

## II

პირველი პრინციპი რეალიზმისა, რომ ავტორის პირადობა იქმნეს დამალული, მისი პირადი გრძნობა და აზრი დაფარული და არ გამოჩენილი - ეს პრინციპი ყველაზე უკეთ დრამატულს ნაწარმოებს ეხერხება ხოლმე. მართლაც, დრამატული ფორმა ნაწარმოებისა იმგვარია, რომ იშვიათად აძლევს შემთხვევას მწერალს თავის პირადობის გამოსაჩენად. რომანში, პოემაში და უმეტესად კიდევ ლირიულ ნაწარმოებში ძალაუნებურად, რაც უნდა ეცადოს ავტორი, მაინც ვერ დამალავს თავის განწყობილებასა და გრძნობას. დრამატულს ნაწარმოებში მარტო მოქმედება იხატება და ეს მოქმედება აქ იწყება, ვითარდება და თავდება სხვადასხვა მოქმედ პირთა შორის. ამიტომაც ავტორს შემთხვევაც არა აქვს, თავისი აზრი ჩააჩხიროს სადმე. მართალია, აქაც ზოგიერთი მოქმედი პირი გამოხატავს ხოლმე ავტორის გრძნობასა და გინდ აზრს ამა თუ იმ შემთხვევისა და მოვლენის შესახებ, მაგრამ ეგ ხდება იმ აუცილებლობის კანონის გამო, რომლის მიზეზითაც ავტორს არ ძალუძს თავისი პიროვნება ისე მიმალოს, რომ მისმა “მე”-მ თავი სადმე მაინც არ ამოყოს, როგორც წარმომადგენელმა მისის გრძნობისა, აზრისა და სურვილისა. და ამ პიროვნების განმეკება თავისის ნაწერებიდან იმდენად უფრო ძნელია მწერლისათვის, რამდენადაც იგი უფრო ნიჭიერია. მართლაც, ნიჭიერება, ტალანტი და გენიოსობა არის განმასხვავებელი და განმაცალკევებელი თვისება პიროვნებისა და რამდენად ეგ პიროვნება აღბეჭდილია უმაღლესის ნიშნით, იმდენად ძნელია მისთვის თავისის განსაკუთრებულის თვისების დამალვა. ხოლო თვით გვარი

დრამატულის მწერლობის მანც ისეთია, რომ ავტორს უფრო ადვილად შეუძლია პიროვნების დამალვა.

გ. ერისთავის საუკეთესო კომედია “გაყრა” სრული დამაკმაყოფილებელია ამ მხრით რეალურის კომედიისა. სად არის აქ ავტორი ან მისი მსგავსი პიროვნება, ან მისი აზრისა და გრძნობის გამომსახველი ტიპი? - არსად. ყველა მოქმედი პირი პავლესა და ანდუყაფარიდან დაწყებული თვით მათ მძა ივანემდის, რომელიც რუსეთში გაზრდილია და ვარშავიდან ახლად მოსული, ავტორის მწარე დაცინვის საგნად ხდებიან. ამ ივანესთან კი ავტორს აქვს საერთო, - დიად: ეს ის გახლავთ, რომ გ. ერისთავიც რუსეთშია ნამყოფი და ვარშავიდან ჩამოსული - მეტი არაფერი მსგავსება არ არსებობს მათ შორის.

რეალურის კომედიის დამაკმაყოფილებელია ეს კომედია იმიტაც, რომ შიგ ალწერილია უმნიშვნელო და უფერული ყოველდღიური ცხოვრება. ყველა მოქმედი პირი არის საშუალო ზომისა და არცერთს არა აქვს ადგილი გარეშე ბეჩავის სინამდვილისა; აქ ვერცერთ რომანტიკულ გმირს ვერ შეხვდებით, გმირულისა და რაინდულის მოქმედებითა და აზრით აღსავსეს. აქ ისეთი სინამდვილეა დასურათებული, ისეთი უბადრუკება, რომელსაც ხავსი აქვს მოკიდებული და შმორის სუნე უდის.

ამ კომედიაში რეალიზმის ფილოსოფიაც არის გატარებული, ფილოსოფია, რომელიც აცხადებს, რომ კაცი პაიკია და სუსტი ქმნილება, რომლის ყოველივე მოქმედება, რაც უნდა მაღალის ხარისხის იყოს ეგ მოქმედება, მანც ბინძურის, პირუტყვეულის სურვილებითა და მისწრაფებით განისაზღვრება ხოლმე. საზოგადოდ, ამ ფილოსოფიის აზრით, კაცობრიობის მეტად დიდი ნაწილი პირუტყვეულს ცხოვრებას მისდევს, მისი იდეალი მთლად ერთიანად პირუტყვის ინსტიქტებისა და მადისაგან შესდგება; არავითარი მაღალი აზრი და გრძნობა მათ არ აწუხებს, მაგვარი აზრები ზოგიერთ ოცნების მოყვარე პოეტისა და ფილოსოფოსის საქმეა და ისინიც მალე ეთხოვებიან ამ ოცნებას, თუკი წინ რაიმე პირუტყვეული მოთხოვნილება გადაელოზა.

აბა, ნახეთ “გაყრაში” ალწერილი ცხოვრება, თუ ტიპიური წარმომადგენელი არ არის უფერულის პირუტყვეულის ცხოვრებისა. რა აზრი და რა გრძნობა აწუხებს ან დ უ ყ ა ფ ა რ ს? არავითარი, გარდა იმისა, რომ მამული ჰქონდეს, სჭამოს და სვას და ეს სურვილი იმდენად ძლიერადა აქვს გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ მძის გაქურდვასაც კი არ ერიდება, ოღონდ მამული შეიმატოს. პ ა ვ ლ ე - ქ ო რ - მ ე მ ე ბ რ ე ბ ი ს მ ო ტ რ ფ ი ა ლ ე ა, ქვა-ქვაზედაც ნუ იქმნება, ოღონდ მისი ქორი და მეძებრები კარგად ჰყვანდეს. სომებს მიკირტუმს ხომ სულ “ფული, ფული და ფული” ელანდება და შემდეგი მისი დიდი იდეალი ის არის, რომ მისი “შუმანი კნენი დაუძახონ: კნენო, კნენო! ბაზარშიაც დიდი რამე იქმნება დიდებულიძიანთ ხნამე!” ფული რისთვის არის საჭირო და გამოსადეგარი, - ეს მიკირტუმასათვის გამოუცნობელია; გაუგონია და უგრძნობია, რომ ამ დროში ყველაფრისათვის საჭიროა “ფული, სულ ფული... ფული” და სხვას ვედარას ეტანება მისი უბადრუკი გონება. რამდენზე უფრო მაღალია მასზე თვით თავის ფულის მოყვარეობაში “ტუნწის” გმირი კარაპეტა, რომელსაც თვალწინ თითქმის ოცნებით აღსავსე დიდი პლანები ეხატება. მასა სწამს, რომ ფულით ყოველიფრის გაკეთება შეუძლიან: თეატრის, რკინის გზის; შეუძლიან, როგორც უნდა, ღირსება შეიძინოს. თავი მეფედ მიაჩნია! “მეფე არა ვარ? აბა ვის უდგია ამისთანა ოქროს ტახტი? მეფე ვარ, რაღა! გაგიგონიათ, ოჰყალი ჯადო რომ იყო, ისე ვიქ: სოფელი თავდაყირა უზამ. რამდენი კეთილი საქმე ვიქ? პირველი, ვინც ბედოვლათია, ჯალათი უთხრამდი: “თავი კტრე!.. უფულო კაცისათვის არ არის ქვეყანა გაჩენილი”. მიკირტუმასთან parvenu-ს პატივის მოყვარეობა თავის დღეში ვერ ააჩქარებს. მისთვის შვილის “კნენობა” არა თუ სასურველია, საშიშარი რამეც არის: ჩემ ქალს ქართველი უნდაო, “ქართველი ჩემი პარკები დახსნას... ხომ წავიდა ჩემი ფულები ატლასის დახეულ ჯიბეში!” ყველაზე უფრო უბადრუკი და უფერული კი ის ივანეა, რომელიც “რუსეთში გაზდილა”. რუსეთში გაზდილ კაცს განათლებისა და კულტურის თესლი უნდა შემოეტანა ცხოვრებაში, ახალის აზრისა და ახალის მოქმედების მოციქული უნდა გამხდარიყო და ამის სამაგიეროდ სასაცილო რამეებს ჰყურტულობს და ან დ უ ყ ა ფ ა რ ი ს სრულიად სამართლიან დაცინვასაც კი იწვევს:

“თერგდალეული ჩემი ძამია  
ილაჯს მიწყვეტავს, შემომდგომია,  
ადარ ისვენებს, არ იშლის გაყრას,  
სახლს ის წაიღებს, მიპირებს აყრას,  
ზვარში აპირებს ვაზების დაჭრას,  
ვაზების წილად თუთების ჩაყრას!”.

ანდლუყავარი აქ არაფერს გადაჭარბებულს არ ამბობს: ივანეს ოცნება და ცოდნა ამაზე უფრო შორს არ წასულა, რომ ვაზების წილად თუთები ჩაეყარა ზვარში. თ. გ. ერისთავს ივანეს ოცნებობა მიკირტუმას პრაქტიკულ მოსაზრებასთან ნიჭიერ სცენაში აქვს დაპირდაპირებული:

“ივ. ია რაზდელიუ პოლე ნა სემ.  
მიკ. მაგითი ფული ვერ გასცემ.  
ივ. აქ მომივა მე კაპუსტა.  
მიკ. ა ვ კარმანე ბუდით პუსტა.  
ივ. ტუტ მადია სატი ტავა.  
მიკ. ჯიბიდგან ფულეზი გავა.  
ივ. აქ ბესედკა გაკეთდება.  
მიკ. უფულოდ კი არ იქნება.  
ივ. ეს ლაბირინტად უცხოა.

მიკ. კიდევ გითხრამ: გიჟ ვრაცუა!.. სუყველა კარგად ფიქრობ, კნიაზ! მაგრამ ფული, სულ ფული... ფული...”

ივანე კი სატანას უძახის მიკირტუმას, რომელმაც ფანტაზია მოუწამლა, მაგრამ მისი ფანტაზია უიმისოდაც მეტად ბეჩავი და გლახაკი იყო. კიდევ უფრო უფერული და თუთიყუშებრივია ივანეს ტირადა გლეხების შესახებ:

“დაა! სასიამოვნო არის, ჰყავდეს მებატონეს ერთგული მსახური და ყმები. გოსპოდი! მომეც შეძლება, რო ჩემმა ყმებმა ისე შემიყვარონ, როგორც გაბრიელმა (მისი ბიჭია). კაკაია პოეზია ბიტ დობრიმ, ხოტ ი ბედნიმ პომეშჩიკომ! დაგლოცვიდენ შენი ყმანი... მეც ვეცდები...”

ყოველი ანბანი აქ გაგრძობინებთ, რომ ივანეს ეს სიტყვები ენის წვერზე აქვს მიზანდული. სრულიად შეუგნებელია მისთვის ეგ აზრები და ყოველ შემთხვევაში შეუსისხლობრცხელი აქვს იგინი და მალეც განუქარდებიან, ვითა სიზმარი. მთელის კომედიის მწარე სასაცილო და თითქმის დრამატული მხარე ის არის, რომ ეს ვაჟბატონი, რომელიც იმით გაგვეცნობა, რომ ქართველებს სიყვარულის უნიჭობასა სწამებს და პრტყელ კრიტიკას უკეთებს “ჩვენთა ქართველთა უგრძობართა” და ჩვენთა ყრმათა “გულგრილებსა,” - შემოდის მეოთხე მოქმედებაში და მიკირტუმას ქალს, ჯერედ უცნობს და უნახავს, ირთავს მხოლოდ იმიტომ, რომ მიკირტუმას ვალი თავიდან მოიშოროს. ესეთი გახლავთ ახალის ცივილიზაციის ნაყოფი თ. ივანე დიდებულიძე; ამაზე უფრო სინამდვილით და მწარე დაცინებით ძნელია იყო ამ ახალგაზრდობის დასურათება და თ. გ. ერისთავის უმთავრესი მნიშვნელობაც ამ ვაჟბატონების დახასიათებაშია.

რეალიზმის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელია ის გვარი კომედიისა, რომლის რიცხვს ეკუთვნის გ. ერისთავის კომედიები: “გაყრა” და “დავა”. ეგენი არიან ზნე-ჩვეულების დამახასიათებელი კომედიები. მოგეხსენებათ, რომ არის ხასიათის დამასურათებელი კომედია, რომლის შემოქმედი მოლიერი იყო, თავისის “ბუნწით” და “ტარტიუფით”. ამგვარ კომედიას საგნადა აქვს კაცის ამა თუ იმ განსაკუთრებულის თვისების, გინდ ხასიათის დასურათება: მაგალითად სიბუნწე (“ბუნწი” მოლიერისა და მისი მიბამვა გ. ერისთავისა), პირმოთენობა, ფარისევლობა (“ტარტიუფი” მოლიერისა). ხასიათის დამასურათებელი კომედია უფრო კლასიკურის სკოლის კუთვნილებაა, რადგან განსაზოგადოებულად არის აღებული თვისება კაცისა და ამ თვისების გამოხატველად ესა თუ ის პირია აღებული. იგი უფრო განყენებულის, განსაზოგადოებულის სინამდვილის დამხატველია და არა უბრალო, ყოველდღიურისა და ჩვეულებრივის მოვლენის აღმწესხველი. მართლაც, ცხოვრებაში იშვიათად შეხვდებით კაცს, რომელიც მარტო ერთის ვნების, ერთის მიდრეკილების მონა იყოს. ყოველ ბუნწს აქვს კიდევ სხვა რაიმე თვისება, ყოველ ფარისეველსა და პირმოთენს აქვს სხვა რაიმე ღირსება ან ნაკლულევალება. არ არის ქვეყნად ბუნწი, პირმოთენე ეჭვიანი და სხვა. არის მხოლოდ კაცი, რომლის უაღრესს ნაკლულევალებას შეადგენს ესა თუ ის ზემოხსენებული თვისება.

არ შეეხებით აქ მას, თუ რამდენად წინააღმდეგია ლიტერატურის კანონისა, მისი ძირითადის მოთხოვნილებისა ეგრეთი ტიპების გამოხატვა, რადგან იგი შორს წაგვიყვანდა. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა ვსთქვათ, რომ კომედია ზნე-ჩვეულების დამახასიათებელი უფრო შეეფერება რეალიზმის მოთხოვნილებას.

“გაყრაში” თქვენა ხედავთ ჩვენებურის თავადის ოჯახის ზნე-ჩვეულების დასურათებას. ეს მამულს ჩასციება, ის მწვერებსა და მეძებრებს; სომეხ მიკირტუმას ყოველ წუთს ფულეზი ელანდება და “კნიაზ-კნეინობას” ელტვის - გათავდა და მორჩა. აქა არც ბუნწია, არც ფარისეველი,



არც იჭვიანი, არც დიდებისა და პატივის მოყვარეობით გაგიჟებული ადამიანი. რეალურია ეს კომედია იმიტომაც, რომ აქ ერთ კაცსაც ვერ ნახავთ ავტორის აზრის გამომხატველს, ერთ აზრსაც ვერ შეხვდებით ისეთს, რომელსაც ავტორი თავისად იჩემებდეს.

მეორე კომედია თ. გ. ერისთავისა, - “დავა” ტექნიკურის მხრით “გაყრაზე” უფრო სუსტია, მაგრამ შინაარსითა და აზრით უფრო მაღალია. ირონია ავტორისა, მისი დაცინვა, აქ უფრო ფართოა. როგორც “გაყრაში” ძმთა შორის გაყრის ამბავს უტრიალებს ირგვლივ მთელი მექანიზმი პიესისა, ისე აქ ორ თავადთა შორის ერთი ნაჭერი ადგილის გამო დავა აძლევს ტონს მთელს პიესას. იქ ამა თუ იმ პირის ინტერესი, ზრახვა, სურვილი და მოქმედება მამულის გაყოფას დასტრიალებს თავზე; აქ კი “დავით” იწყება მოქმედ პირთა სულიერი მოძრაობა - თუკი მათს უფერულსა და უმნიშვნელო წეწვა-გლეჯას რაიმე სულიერი ნიშანი ატყვია - და დავის დამთავრებით ყოველივე ისპობა. აქ უფრო მწვავეა ძველი და ახალი თაობის შეჯახება, უფრო უსამართლოა “ახალის” დევნა.

“დავის” ბეგლარი ახალთაობის წარმომადგენელი “შეშლილის” ბეგლარია და ასე წარმოდგინეთ, მთელი მისი მონოლოგები “შეშლილი”-დან არის პირდაპირ გადმოტანილი. ეს მაინც და მაინც არ ამტკიცებს ავტორის ნიჭის შემოქმედებისთვის ძალის სიმდიდრეს და უხერხულებს არის. უხერხულია მით, რომ ბეგლარი მეტად წრფელისა და კეთილშობილურის აზრითა და გრძნობით არის გატაცებული და მეტად სასაცილო მდგომარეობაში აყენებს მას ავტორი. “გაყრის” ივანე სწორედ ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ავტორი გვიჩვენებს, ამას ითხოვდა ლოდიკა მისი ბუნებისა, ლოდიკა მოვლენისა და ფაქტისა, ესე იგი პირველსავე შემთხვევაში უნდა წაეღო ქარს მის ენაზე პრტყელო-პრტყელად ანაქარგი აზრები, რადგან ეგ აზრები მის არსებაში ქარისგანვე შემთხვევით იყო შეტანილი. მაგრამ თუ ივანეს მოქმედება აუცილებელი იყო, თუ ივანე დიდებულიძეს მთელი მისი ეროვნების ფილოსოფია იმით უნდა დაემთავრებინა, რომ თავი ხუთასი თუმნის ვექსილად გაეყიდნა და შერიცხულიყო პავლესა და ანდუყფართა თანა, ბეგლარის ისე მოქცევა, როგორც “დავა”-შია ნაჩვენები, თითქმის წარმოუდგენელია, წინააღმდეგია სინამდვილის ლოდიკისა. ისეთის წრფელის ალტაცებულის გრძნობების პატრონი, ისეთი პოეტური არსება, როგორც ბეგლარი იყო, ისე როგორ დაიმახინჯებდა თავს, რომ “სტრიაპჩისთან” ქრთამის მისატანად მივიდოდა და ამ მოქმედებას ისე ადვილად ადასრულებდა, რომ ერთხელაც არ გაუწევდა თავის თავს წინააღმდეგობას, ერთხელაც არ აღშფოთდებოდა და არ შეეზიზღებოდა თავი ამგვარის მოქმედებისათვის.

რასაკვირველია, კაცს შეუძლიან ათასჯერ უფრო მაღალი აზრი წარმოთქვას და ათასჯერ უფრო ალტაცებული იყოს, ვიდრე ბეგლარი და თანაც ბევრად უფრო დიდი დანაშაული ჩაიდინოს, ვიდრე ბეგლარმა. მაგის მაგალითით აღსავსეა ადამიანთა ცხოვრება. მაგრამ, ჯერ ერთი, მაშინ ბეგლარი იმ აზრსა და გრძნობებს ისე წრფელად ვედარ გამოსთქვამდა, როგორც ავტორსა აქვს გამოხატული. იმის აზრებს რიტორიკა დააჩნდებოდა, თვალსაჩინო იქნებოდა, რომ იმის მოლაპარაკე კაცს იგი ისე არა აქვს გულსა და სულში გამჯდარი. და მერმე თუკი ისე წრფელად და გულნათლად შეთვისებულა ის გრძნობები და აზრები, რომლის გამომხატველად ბეგლარი ხდება კომედიაში, რადა ასეთი კაცი სამარცხვინო საქმეს ჩაიდენს ადამიანის ბუნების სიძაბუნისა და სისუსტის გამო; სინაწულს მაინც მიეცემა, სინიდისი მაინც დაუწყებს ქენჯნას და გულს დაუთუთქავს თავისი ბეჩაობის შეგნება. აქ კი სრულიად ურცხვად და პირუტყვულის მორჩილებით ბეგლარი მამის ბრძანებით საზიზღარ მოქმედებას ჩაიდენს და, თითქო აქ არაფერიაო, ისე იქცევა. შეიძლება ბეგლარი მით უფრო უხერხული იყოს “დავაში”, რომ ეგ პირი არა მარტო სახელით, არამედ მთელის მონოლოგებით, როგორც კიდევაც ზემოთ მოვიხსენიეთ, “შეშლილის” გმირია და იქ მისი მოქმედება სრულიად კანონიერია ხელოვნების მხრივ და დასურათებულის ხასიათის შესაფერი.

სულ სხვა არის ამავე “დავის” მეორე გმირი მიხეილი. ეს ივანე დიდებულიძის გულის ძმაა. პირველსავე მისი სიტყვიდან ცხადად სჩანს, რომ ცივილიზაციასა და კულტურასთან ახლოსაც არ გაუვლია; შორიდან დაუნახავს განათლებული ხალხი და მაიმუნით და თუთიყუშით იმეორებს ორიოდ სიტყვას. პირველისავე სიტყვიდან ამ პრაქტიკულის ფილოსოფიის მღალადებელი ხდება ეს ვაჟბატონი: “საკვირველია ეს ვოენის სამსახური: ყველას ბედნიერი ხასიათი გვაქვს; გინდა ქვეყანა უკან დატრიალდეს, ჩვენთვის ბურტყლი ბუმბული არის! ჩვენი ქარიანი ხასიათი სჯობს პოეტობას. საკვირველია, უნდათ, რომ, ყოველი კაცი ანგელოზად გახადონ! აბა, ეს ჩემი პოეტი ეცადოს, თავისი მამა გახადოს ანგელოზად?” ამისთანა კაცისაგან სრულიად ადვილია “სტრიაპჩისთან” მისვლა და უსირცხვილოდ ქრთამის შეძლევა, და აქაც იგივე ნამდვილი სურათია ჩვენის ახალგაზრდობისა, რომელსაც ევროპული ტანისამოსი აცვია, სხვა არაფერი, გული კი ისევ ჭრელი აქვს, დაცემულის და გარყვნილის საზოგადოებისაგან ჩანერგილ თვისებებით აღსავსე. მაგრამ თუ ცოტათი არის მივივიწყებთ ბეგლარის წრფელ სევდიან სიტყვებს და მასაც იმ

ახალგაზრდად წარმოვიდგინო - საუცხოვო რამ არის ეს სცენა “სტრიაპჩის” ოთახში, საოცარის კომიზმით დახატული და მწარე ნალველით სავსე ირონიით გაჟღერებული:

### გამოსვლა მეოთხე

ბეგლარი და მიხეილი (ოთახი სტრიაპჩისა)

**ბეგლარ.** ოჰ! მიხეილ, შენც აქა ხარ?

**მიხეილ.** დიად. შენ რას აკეთებ?

**ბეგლარ.** ნუღარა მკითხავ, ლამის გავგიჟდე.

**მიხეილ.** რა ღმერთი გაგიწყრა. აი, ამისმა მადლმა, უყვარხარ წინოს. მე მოგიხერხებ.

**ბეგლარ.** იმედი მაქვს! ერთი ამ ხათაბალიდგან გამომიყვანე.

**მიხეილ.** გამოგიყვან.

**ბეგლარ.** რომ ჯერ არ იცი, რათა ვარ აქ?

**მიხეილ.** უთუოდ მამაშენი გამოგზავნიდა!

**ბეგლარ.** ეგ არის და! ბეჭედი გამომატანა, ქრთამი მიეციო.

**მიხეილ.** მეც ქრთამი მოვიტანე.

**ბეგლარ.** (იღებს ბეჭედს) Пожалуйста, შენ მიეცი მამაჩემის მაგიერად ესა.

**მიხეილ.** (იციანის) რას ამბობ! როგორ იქნება, როდი აიღებს.

**ბეგლარ.** აბა მეც მაგისი მეშინიან. Пожалуй обидится, ისტორია არა გამოვიდეს-რა! Дело Шекотливое.

**მიხეილ.** Пустяки! შენგანაც აიღებს და ჩემგანაც, მაგრამ ცალკ-ცალკე უნდა მივცეთ”.

აი სურათი გულის მომწყვლელი და მწარის სინამდვილით დაწერილი, სურათი იმ ახალგაზრდობისა, რომლის წინაშე ჩვენი რომანტიკოსი პოეტი მუხლს იყრია:

“ჟამთ ვითარებით გარდახვეწილთ შენ შვილთ მიდამო  
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;  
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული  
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული  
და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელსა ქვეყანად  
მხურვალე ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად.”

დიახ, მათი ცხოველი ტრფიალებით აღსავსე გული “შუშანიკს” ჰყიდის ხუთას თუმნად და მუნით მოზიდულის თესლით აღსავსენი, მამის ბრძანების ყურმოჭრილნი ყმანი, სტრიაპჩის ქრთამებს უზიდვენ. მაგრამ რომანტიკოს პოეტს აღარ დასცალდა “მოზიდულის თესლის” ნაყოფი ენახა, თორემ არა ერთსა და ორ ლექსს შეგვძენდა გენიოსურის სასოწარკვეთილებითა და სევდით შექმნილს.

დიალ, ასეთი იყო უმეტესობა და ამაში თ. გ. ერისთავი უტყუარის სინამდვილის გადმომთარგმნელია - იგი მხატვარია ჩვეულებრივის, საზოგადო და საერთო მოვლენისა. ნ. ბარათაშვილი კი რომანტიკოსია, არაჩვეულებრივისა და სამაგალითოს აქცევს ყურადღებას, ორიოდე კაცი ჰყავდა უთუოდ სახეში და ამაში იგიც მართალია, ხოლო მათი მშვენიერება და ძლიერება მათვე სულში იყო დამარხული და არა “მუნით მოზიდულ თესლზე” აღმოცენებული, პოეტმა თესლი ნაყოფად მიიღო და ამაში კი შემცდარი იყო. “დავაში” გამოყვანილი ბეგლარი რომანტიზმის დაცინებაა და მიწასთან გასწორება, მიხეილი კი რომანტიზმის უარისყოფა და მისი სიკვდილის მაჩვენებელი მოვლენა. გ. ერისთავის კომედია ახალის დროის გამომხატველი იყო, იმ დროის, რომელშიაც დათარეშობდნენ და ბატონობდნენ ივანეები და მიხეილები, ბეგლარი კი ან განძვეებული იყო და ან სურვილისამებრ მორჯულებული.

“დავაში” გამოხატული შეტაკება ძველისა და ახალის თაობისა, პირველის სრულის გამარჯვებით თავდება. ახალგვარი მოქმედება ისეთი მაღალი და დიდებულიც კი, როგორც ლიტერატურაა, განვიცხული და არად მიჩნეულია ძველის თაობისაგან. იმ თაობას “დავისა,” “გაყრისა,” ერთმანეთის წეწვავლეუჯისა და არზების წერის მეტი არაფერი არ მიაჩნდა საქმედ. მაგრამ

ძალასა და ენერჯიას უფრო დიდს იჩენდა, თუკი არხის მოტრფიალე ამირინდომ ლექსის მოტრფიალე ბეგლარი, პოეტი ნაზბუნებიანი ისე მოაქცია, რომ სტრიაპჩისთან ქრთამებით გაგზავნა.

ეს კომედია თითქმის პოლიტიკურის სატირის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ჩვენში; იგი გვიხატავს “სტრიაპჩებისა” და “პრევეოჩიკების” მექრთამეობასა, უცოდინარობასა და გარყვნილებას და ამით იმ დროის სასამართლო წესწყობილებას სასტიკადა ჰკიცხავს; “თითქმის” მეტი, იმიტომ, რომ ამ სატირულ სცენებს, როგორღაც ეპიზოდური ხასიათი აქვს და გაუბედავობა ეტყობა, თუ “სტრიაპჩებსა” და “პრევეოჩიკებზე” უმაღლესად მდგომნი ვერ აუღია ნიშანში.

ბევრს არას ვიტყვი “მუნწის” შესახებ, რომელიც მოლიერის “მუნწის” მიბამვას, თუმც ნიჭიერის ხელით დაწერილი. ერთად-ერთი საგანი, რომელიც ავტორის ორიგინალობის ნაყოფია - ეს არის ქართულის დრო-მოჭმულის ფეოდალიზმისა და სომხურის დროის შესაფერი ფულის მოყვარეობის დასურათება, ფეოდალის რაინდულის ოცნებებისა და ფულის მადმერთებელის მუნწი მოვახშის სურვილების დაპირდაპირება. მაგრამ რამდენად სასაცილოა და მოძველებული არჩილის აღტაცება ჟანგიანის ხმლით, მისი რიტორიული “შენ გხედავ, ხმალო პაპისა ჩემის,” იმდენადვე თითქმის სასაცილოა კარაპეტას განყენებული სიყვარული ფულისა. მართალია, კარაპეტა დარწმუნებულია, რომ სამოთხეში მარტო ფულია, რომ ფულის წყალობით “დეა რაზა ბლუდოროდნიც” გახდება, მაგრამ ეს სიტყვის მასალადა აქვს ნახმარი, თვით კი მარტო და მხოლოდ ფულის მოპოებისათვის ყოველივე ნაკლულევანებასა და უსიამოვნებას იტანს. ერთადერთი რეალური შედეგი მისი ფულისათვის წვა-დაგვისა ის არის, რომ მისი ოქროთი გატენილი პარკები თანდათან იზრდება. ამიტომაც, როგორც არჩილის ოცნება არის უნიადაგო, ისე კარაპეტასათვის მისი დიდი გეგმები მიუწვდომელია და აღუსრულებელი, მაგრამ, სამაგიეროდ, კარაპეტასაგან ვაებით შეძენილის ფულით, მისი შემდგომნი ცოტათი არის მაინც აღსრულებენ “მუნწის” ფიქრებს. არჩილის აზრი და ოცნება კი მისთვისაც უნაყოფია და შთამომავლობისათვისაც გამოუსადეგარი. ჩვენ აქ არ ვეხებით კარაპეტასა და არჩილის ზნეობრივ მხარეს. ჩვენ გვინდა ავხსნათ მხოლოდ ის სურათი ცხოვრებისა, რომელიც გ. ერისთავმა მოგვცა მათის სახით. აბა, ერთი მიბრძანეთ, რაღა დროსი იყო 1850-ში ასეთი იდეალები ქართველის კაცისათვის:

“მოვედ, შემერტყი მის შვილის-შვილსა, - ეუბნება არჩილი  
ხმალს, -  
ლეკთა და სპარსთა ვსჭრიდე, ვით ცვილსა,  
შთამბერე მისი შენ ვაჟკაცობა,  
მისი სახელი, პატოსნება (ჰკოცნის)”.

მართალია, გ. ერისთავს არად ეპიტნავებოდა კარაპეტას ფულის მოყვარეობა, ისე, როგორც არჩილის ხმლის ტრფიალი, მაგრამ კარაპეტა მაინც უფრო გონიერად დასახა, თუ ასეთის სარკაზმით აღსავსე სიტყვებით დაახასიათებინა არჩილის რაინდული აღტაცება: “გეუბნებით, რომ ქართველს ფული არ უნდა,” - ამბობს კარაპეტა: “ხედამთ, ჟანგიან რკინაზე რასა ბოღამს... ჩემი ოქროებს თვალი არ უყურა”.

ამით გ. ერისთავმა ქართველ ერს ამცნო, რომ დროა ცხოვრების ახალ მოთხოვნილებას შეეთვისოს, გაიგოს დროის საჭიროება და თავი დაანებოს საუკუნოებით შეთვისებულ რაინდულ ოცნებებს, რადგან იგი ოცნებები დღეს გამოუყენებელნი და სასაცილონი არიან. თ. გ. ერისთავი რომ ზოგიერთში მართალი იყო, ამას დღეინდელი ჩვენი ცხოვრება გვიმტკიცებს. ჩვენ ერთობ ჩამოვრჩით მეზობელ ერებს ეკონომიურად და საზოგადოდ, კულტურით მათზე უფრო დაბლა დავრჩით. ამაში, რასაკვირველია, უფრო დიდი ბრალი ჩვენ გვადევს, ამის უმთავრესი მიზეზია ჩვენის ერის დაუდევრობა, აპათია, სისუსტე, უენერგიობა. არავინ არ არის ვალდებული, ლალობა და გამდლობა გაგვიწიოს, მით უმეტეს, როცა თვითონ მას საქმე გაჭირვებული აქვს. თავგანწირულება ისეთს ადამიანს უნდა მოვსთხოვოთ, რომლისთვისაც ჩვენ რაიმე მსხვერპლი მიგვიტანია, მმად და მეგობრად მიგვიღია და მიგვაჩნია. გარეშე ამისა უნდა მოვითხოვოთ მხოლოდ, რომ კანონიერება და წესიერება დაცული იყოს.

გ. ერისთავის კომედიების შინაარსი ჩვენს დრამატულ ლიტერატურას თავზე რაღაც ფატალურ ძალად დააწვა. ჩვენი დრამატული მწერლობა (კომედიები განსაკუთრებით) აღარ წასულა გარეშე იმ საგნებისა, რომლებიც გ. ერისთავს თავის ნაწარმოებში წამოუყენებია: თავად-აზნაურთა უდარდელი ცხოვრება, ქართველისა და სომხის დაპირდაპირება, რომელშიაც ყოველთვის ქართველია სომხისაგან დაჯაბნილი; მცირე მოხელეთა მექრთამეობა და სხვ. სამწუხაროა სწორედ, რომ არც გ. ერისთავის წინ და არც შემდეგ ჩვენ არა გვყოლია მწერალი, რომლის დრამატული ნაწარმოებების ღირსებები შეედრებოდეს თ. გ. ერისთავის კომედიების ღირსებებს. პოეზიაში ა.

ჭავჭავაძეს, გ. ორბელიანს და ნ. ბარათაშვილს ღირსეული მემკვიდრე ჰყავთ - ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი, და ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში სალირიკო პოეზია კიდევ მხნედ და ძლიერად არის. დრამატულს ხელოვნებას კი (განსაკუთრებით კომედიებს) ჩვენში არათუ გ. ერისთავზე უკეთესი, ჯერჯერობით მისი მსგავსიც არავინა ჰყავს.

## VI თ-დი ილია ჭავჭავაძე

(1837-1907)

### I

თ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გარჩევა მეტად წარმტაცი და მომხიბვლელი საგანია, მაგრამ ესეც კი უნდა ვსთქვათ, მეტად რთული და ძნელია. ძნელია მიტომ, რომ თ. ილია ჭავჭავაძე და მასთან ერთად თ. აკ. წერეთელი და სხვანი მათი თანამედროვენი თავიანთი მოქმედებით, ნაწერებით და ცხოვრებით დამასურათებელნი არიან დიადის ეპოქისა ჩვენს ცხოვრებაში, ეპოქისა, რომელიც, საუბედუროდ, არ არის შესწავლილი და რომლის სავსებით შესწავლა მიუცილებელია ამ მწერალთა ნაწარმოებთა კარგად შეგნებისათვის. მართალია, ეს ცხოვრება მათ ნაწარმოებში იხატება, მაგრამ ისიც მართალია, რომ თვით ამ ცხოვრების სხვადასხვა მხრის შესწავლაში მოიპოვება მხოლოდ საშუალება ამ მწერალთა აზრთა ზრდის კარგად გათვალისწინებისა, მათი ნაწარმოებნი შეადგენენ ჩვენის ახალის ცხოვრების ისტორიას, რომელიც მესამოცე წლებში დაიწყო და დღემდისაც მიმდინარეობს.

მათში კი განგებამა და, თუ გნებავთ, ბედმა პირველობა თ. ი. ჭავჭავაძეს არგუნა. ნახევარ საუკუნეზედ მეტმა გაიარა მას შემდეგ, რაც ავტორმა “განდეგილისამ” პირველად აიღო კალამი ხელში და მხნედ, უშიშრად გამოვიდა ჩვენი ცხოვრების უმგვანოების შესაბრძოლებლად. ნიშანი დიადობისა ზედ შუბლზედ ემჩნეოდა ლიტერატურის ახალგაზდა გმირს. იგი ბედსაც კი უშიშრად იწვევს ხმალში, თუ შესაძლებელია, ვიხმაროთ ეს რაინდული ფორმა სიტყვებისა:

“გეყო! - ეუბნებოდა პოეტი ბედს, - მოვიდა დრო

ანგარიშის,

მოდი, გავსწორდეთ, ნუ მემალები,  
წარვიდნენ დღენი შენის უფლების,  
დროა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები.  
შენს დუდუკზედა აქამდინ ვბტოდი,  
ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრუწუნე;  
ებლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი,  
მე დავუკრავ და შენ კი იბტუნე”.

კარგადა გრძნობდა ახალგაზდა პოეტი, რაც მას მოელოდა. იცოდა ის საზოგადოება, რომელშიაც ბედმა არგუნა იმდენის ხნის ნაყოფიერი შრომა, იცოდა, რა სიმწარე მოელოდა ამ საზოგადოებისაგან და, როგორც წინასწარმეტყველი, წინასწარ ხედავდა თავის სიმარტოეს, თავის სულიერს ობლობას, რომელმაც ასეთი შხამით აღვსილი სიტყვები წარმოათქმევინა პოეტს:

“მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,  
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,  
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,  
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვლუზიარო.”

მაგრამ მაინც ვერარა აშინებდა ვერც მასა და ვერც მის ამხანაგებს; დიდი საკუთარი სიმხნე და სიყვარული ჰქონდათ საქმისა და ამ სიმხნითა და საქმის სიყვარულით აღჭურვილნი შეუდგნენ ჩვენის ცხოვრების გაუმჯობესობას; თავდაპირველად თ. ი. ჭავჭავაძე და მისი ამხანაგები, შეერთებულნი ერთის გრძნობითა და ერთის აზრით გატაცებულნი, შეებრძოლნენ ჩვენის საზოგადოების მამინდელ მამამთავრებს და ძირს დასცეს იგინი. საზოგადოება სრულიად ახალს გზაზე დააყენეს, მიძინებულს ერს იდეალი დაუსახეს, ყრუ ტყეში შარა გაუკაფეს.

ეს ისეთი ძნელი საქმე იყო, ისეთი დიდი გმირობა იყო, რომ ჩვენთვის დღეს წარმოსადგენადაც გასაჭირია.

50 წლის წინათ ქართველ ერს თითქმის არავითარი იდეალი აღარ ებადა, არავითარი საეროვნო მისწრაფება არა ჰქონდა, ყოველივე ამალღებული გრძნობა ჩამქრალი იყო მასში და მაშინდელი საზოგადოების მეთაურნი გარეგანს განცხრომასა და ფუფუნებას უფრო მისდევდნენ, ვიდრე ერის კეთილდღეობისთვის ზრუნვას.

50 წლის წინათ ქართველი ერი საშინელს უმეცრებისა და უვიცობის მორევში ცურავდა. 50 წლის წინათ ქართველ ერში ოთხი-ხუთი თუ მოიპოვებოდა ისეთი, რომელთანაც შესაძლებელი იქნებოდა რაიმე მაღალ საგნის შესახებ დალაპარაკება. საეროვნო თვითცნობიერება დღესაც სუსტია და მაშინ სულ რაღა იქნებოდა? მაგრამ ამ კაცთა მეოხებით დღეს მაინც დიდი ცვლილება არის, დღეს დიდი თუ პატარა ცდილობს, რამენაირად თავი გაიმართლოს “ვიღაცას” და “რღაცას” წინაშე, როცა გულგრილად ეკიდება საზოგადო საქმეს.

მაშინ სასაცილოდ იყო აღებული ქართული ენა, ქართული მწიგნობრობა; აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ არსებობდეს რაიმე ქართული საზოგადოებრივი ინტერესი. მაშინდელ ქართულს წიგნს მკითხველი არა ჰყავდა; ჟურნალ-გაზეთს ასიოდე ხელისმომწერი თუ ჰყავდა... უკაცრავად, ასი ნომერი გამოდიოდა და ურიგდებოდა ხელის მომწერთ, მაგრამ ეს იმასა ნიშნავს, რომ 10 ან 15 კაცი იწერდა ამ ასს ნომერს - ისე, საქველმოქმედო აზრით - და დღესაც ხშირად შეხვდებით ზოგიერთს ოჯახში რამდენსამე ეგზემპლიარს ერთისა და იმავე წლის ჟურნალის ნომრებისას, რომელიც ხელუხლებლად ბაწრით შეკრული მიგდებულია სადმე კუთხეში.

დღეს ქართველ ინტელიგენტთა გუნდი დღითი დღე იზრდება, უმაღლესს სასწავლებლებში რამდენსამე ას კაცზე მეტი გვყავს, ამათში ასმა მაინც იცის ერთი თუ ორი ევროპული ენა, აქვს სურვილი შეიძინოს ევროპული განათლება, თავისი გონების განსავითარებლად, ერის კეთილდღეობის განსამტკიცებლად.

დღეს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას ათასობით ჰყავს ხელისმომწერი და ათიათასობით მკითხველი.

მაშინ ხალხს სრულიად არ მიჰკარებია განათლება და დღეს აიღეთ ერთი კუთხე მაინც ჩვენის ქვეყნისა, სადაც ეს განათლება რაიმე გზით არ შეპარულიყო. მრავალი სოფლიდან მოგვდის საჩივარი, ხალხი სრულიად დაყრუბულია, განათლების შუქი უნდა მივაწვდინოთო. რას ამტკიცებს თვით ეს ჩვილი, ეს საყვედური, თუ არ იმას, რომ ყოველს სოფელსა ჰყავს ახლა თითო მაინც მისი ინტერესების დამცველი, ამ განათლების მწყურვალი, და იმ დროს კი საზოგადოებამ არც კი იცოდა, არსებობდნენ თუ არა ასეთი სოფლები.

ამ საოცარის ცვლილების თუ მთლად შემქნელი არა, გმირი, მხნე და ენერგიული ხელმძღვანელი მაინც იყო თ. ი. ჭავჭავაძე თავისი ამხანაგებით, რომელნიც ერთსულ და ერთხორც შეერთებულნი შეებრძოლნენ ჩვენის საზოგადოების მავნე ძალებს, შინაგანი იყო ეს ძალა, თუ გარეგანი.

ერთი რამა ჰქონდათ კიდევ იმ დროის მეთაურთ, რითაც ახლა ღარიბნი ვართ: ეს გახლდათ დიდი ტალანტი, დიდი ნიჭი. ამ ნიჭისა და ბუნებრივის მხნეობის შედეგი იყო ისიც, რომ ამ თაობასა ჰქონდა რწმენა თავისი თავისა, თავისი საქმის სამართლიანობისა და მიუცილებლობისა, დიდი სურვილი სამშობლოს სამსახურისა და ამ სურვილისაგან აღგზნებული ენერგიული მეცადინეობა უჩვენებდა მათ იმ “სხვა ვარსკვლავს”, რომელსაც იგინი სდევდნენ. ამ სურვილით წაქეზებულნი ირკვევდნენ თავის ცხოვრებისა და მოქმედების პროგრამას და წინადაც განსაზღვრულს გზაზედ მიდიოდნენ.

აი, ეგრედ შეიარაღებული თაობა გამოვიდა ბრძოლის ველზედ და მედგრად და მხნედ შეებრძოლა უშიშარ გამოცდილ მეომრებს, სიმდიდრითა და მაღალხარისხოვნებით ცნობილებს. და თუმც ეს “უჩინონი” “ჩინიანთ” ბუზადაც არ მიაჩნდათ, თუმც იგინი აღიარებულ იქმნენ “კატის კნუტებად”, “სულითა, ღონითა და სწავლით სუსტად”, ვერ შემძლებად “ყარსის აღებისა”, მაგრამ ამ თაობამ ეს “ჩინიანი” და “კატის კნუტების” ხაფანგებს ქვეშ დამამწყვდეველნი ძირს დასცა, მათი ადგილი თითონ დაიკავა და საზოგადოებაც ახალის, კეთილის მომავლისაკენ უკან გაიყოლია.

## II

ეხლა ის გვმართებს გავიგოთ, რანაირად დაიბადა ჩვენს მწერლობაში თ. ჭავჭავაძის მეთაურობით დიადი აზრი და სურვილი ერის წყლულისა და ტკივილის განკურნებისა, რანაირად გამოირკვა საეროვნო იდეალი.

ლიტერატურის ისტორიას, რომელიც ამენებულია ევოლუციის მეთოდზედ, ორი რამ აქვს საგნად: პირველად ყოვლისა გვაჩვენოს ლიტერატურულ ჟანრთა, ფორმათა, გვართა ცვლა; ხოლო მეორედ - იდეათა ცვლილება. ამა თუ იმ დროს ესა თუ ის ლიტერატურული გვარი მეფობდა.

მხოლოდ ყოველნაირი გვარი ლიტერატურისა ყოფილა რაიმე აზრის გამომხატველი და აი, იდეათა ევოლუცია ლიტერატურაში გამოიხატება ამ ფორმათაგან გამოსახულს აზრთა ცვლილებაში. ვთქვათ, საფრანგეთში XVII საუკუნეში ლიტერატურის სამი გვარი მეფობდა - ტრაგედია, საეკლესიო მჭერმეტყველება და მორალური აფორიზმები, ანუ აზრები პასკალის და ლაბრიუერის გვარისა. ყოველივე მათგანი და ერთად ყველა ზედგამოჭრილი იყო იმ დროის საპოლიტიკო და საეკონომიკო პირობებზე, გამომსახველი იყო აგრეთვე იმ დროის უმთავრესი მიმართულებისა. სამივე ზემოხსენებული გვარი იყო ცოტად თუ ბევრად უპიროვნო გვარი ლიტერატურისა; თუ არც ტრაგედია, არც საეკლესიო მჭერმეტყველება და არც მორალური სენტენციები არ აძლევდნენ ნებას პირადის მწუხარებისა და ტანჯვის, პირადის სიხარულისა და აღტაცების გამოსახატველად, მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრებაც იმგვარი იყო, რომ პიროვნება მიჩქმალული გახლდათ, მარტო და მხოლოდ სახელმწიფო ითვლებოდა ანგარიშში და სხვა არარად და ეს სახელმწიფო განხორციელებული იყო ერთის მეფის პიროვნებაში. კერძო კაცი აღარ არსებობდა სახელმწიფოსთვის. აქ ყოველიფერი იყო გარდა ინდივიდუალიზმისა, ყოველიფერი შესაძლო იყო სახელმწიფოსთვის და არარა ინდივიდუალისათვის, იგი იყო ერთადერთი გამგე, მბრძანებელი და გამომსახველი ყოველთა აზრთა და გრძნობათა.

მაშინდელი ლიტერატურაც სწორედ ამავე აზრის მქადაგებელი იყო და პიროვნების უფლებათა დაცვა არად მიაჩნდა, დავიწყებული ჰქონდა იგი. კაცი განყენებულ გეომეტრიულ ფიგურად იყო მიჩნეული, რომლის ყოველივე გრძნობა და მისწრაფება დამორჩილებული ჰქონდა განყენებულს პრინციპებს მეფისა და საზოგადოების მორჩილებისას. კორნელი, ეს სასახლისაგან აწუნებული დიდებული ტრაგიკოსი ვითომდა მისთვის, რომ საკმაოდ ვერ იჩენდა მართლმორწმუნეობას აბსოლუტიზმის წინაშე, ეს კორნელიც კი ამ აზრთა გამომხატველია და შეიძლება შეცდომით შენიშნეს სისუსტე, ანა და რასინთან შედარებით, მართლაც, ცოტა არ იყოს, მკრთალი აბსოლუტიზტი გამოდიოდა. აიღეთ მისი “ცინა”, რომელიც მეფეთა უერთგულესი ქვეშევრდომობის დიდებაა და მეფეთა გულჩვილობისა და გულკეთილობის გალობა; მისი “პოლიევქტი”, საცა სარწმუნოებისათვის თავის განწირვის მაგალითებია იდეალად დასახული; აიღეთ მისი “ჰორაციუსი”, საცა ის გმირია ნაქები, რომელსაც ყოველივე ნათესავური, მეგობრული გულის მოძრაობა ჩაუკლავს, საყვარელის არსებისადმი სიბრალული მოუსპია და მარტო ერთით არის აღტყინებული და ერთის ფანატიკოსია: მამული დაიცვას, მამულისა და მეფის ერთგულების მოღვაწედ დაიდვას; ანუ “სიდი”, საცა რაინდულის პატივის მოყვარეობისათვის ყოველივე გრძნობის განწირვაა გამოხატული და იდეალად დასახული. ყოველ ამათში მარტო ერთი უმთავრესი აზრია გატარებული, ეს ის აზრია, რომ პირადი სიცოცხლე, მისი გრძნობა, სულის კვეთება, ყოველივე ეს არის ხელშეუხებელი საკუთრება სამეფოსი, სახელმწიფოსი და საზოგადოებისა. ჩვენ აქ სრულიადაც არ გვინდა ამ აზრის სისუსტე ანუ სიძლიერე აღვნიშნოთ, გვინდა მხოლოდ იმის მაგალითები შევიტყოთ, თუ როგორ შეიქმნება ესა თუ ის გვარი ლიტერატურისა გამომხატველი ამა თუ იმ აზრისა.

ყოველივე მწერლის ნაწარმოები იმ სახით არის საინტერესო ამ მხრით, თუ რა ადგილი უჭირავს მის ნაწარმოებს ლიტერატურის გვართა ევოლუციაში და მისი ნაწარმოების შინაარსს აზრთა მიმდინარეობაში. ჩვენ არას ვიტყვით არც ალ. ჭავჭავაძეზე, არც გრ. ორბელიანზე, არც ნ. ბარათაშვილზე და დღეს არც ილ. ჭავჭავაძეზე, თუ ყოველივე მათგანის ნაწარმოებს არა ჰქონდეს მნიშვნელობა ქართულის ლიტერატურის ფორმათა და აზრთა ევოლუციაში, ცვლილებაში.

თავდაპირველად თ. ჭავჭავაძე და მისი თანამედროვე თაობა გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზედ საზოგადო პროგრამით. ეს პროგრამა უარსა ჰყოფდა იმ მიმართულებას, რომელთა მიმდევარნი “კაცის მხნეობასა და ზნეობას” ჩინებით ზომავდნენ, სარწმუნოება და სათნოება ფარისევლობად გარდაექციათ, “უსაქმოდ მოკუნტულნი და გაბღინძულნი ეყარნენ” და ყოვლის ღონით ცდილობდნენ “ძირი გამოეთხარათ ახალთაობის ღარიბ ერთობისათვის”. ახალ თაობას, როგორც თვით მეთაური აცხადებს: არ უგრძნია “ღმერთი არმობის, ღმერთი ყალბობის, ღმერთი მზაკვრობის და თვალთმაქცობის”; ამ თაობას ღმერთი უქმობის, ღმერთი ხარბობის და მძარცველობის მათის მოწინააღმდეგებისათვის დაეთმო; მას სწამდა “ღმერთი უქმთა წამწყმედი, ტვირთმძიმეთ და მაშვრალთა მხსნელი, ღმერთი ტანჯულთა, ღმერთი ჩაგრულთა, ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი, ყოველთა ძმობის, თანასწორობის მოძღვრებისათვის ქვეყნად ჯვარცმული, ძლიერთ დამხმელი, უძლურთ ამხსნელი, ორგულობისა, ორპირობისა ძირსა დამცემი და დამთრგუნველი, ფარისევლთა, სადუკეველთა გამციცხველი და გამდევენილი”. ეს თაობა გამოდიოდა ჩვენის დაცემულის ენის მოსარჩლედ, იმ ენის, რომელსაც უწინდელთა მეოხებით “მკვდრის სუდარა ევარა”; ენა, რომელიც უწინდელ თაობას მოეკლა, “მას მიელო

გასაცოცხლებლად”, ენა უწინდელის თაობისაგან გმობილი, მათგან ლტოლვილი, ამათ თავიანთ ქოხში შეეფერებინათ და “კარგად თუ ავად იმას ინახვიდნენ”.

თვით ილია ჭავჭავაძესაც არა ჰქონია თავდაპირველად თავის ნაწერებში დაწვრილებით და სავსებით გარკვეული დიდი საგანი ერის უნუგეშო მდგომარეობისა, მისი გონებრივისა და ზნეობრივის დაქვეითებისა და ამ დაცემა-დაქვეითების მიზეზები არა ჰქონია გამოკვლეული.

ეს კი არის, რომ პატრიოტობა მას “სალანძღავ სიტყვად არ გაეხადა” და სამშობლოს სიყვარული წმინდად და დიდებულ რამედ მისჩნევია. “მამულისთვის სიკვდილი მეტად დიდი რამ არის!” - ამბობს ჩვენი პოეტი: “უკვდავი არის შვილი მამულისთვის მომკვდარი!” “მამულს მიგცა ზეცამა, - ეუბნება მისი “დედა” შვილს, - და თუ ზედ დააკვდები, ნუგეშ იცეს დედამა, რომ კაცი კაცად ჰკვდები.” ამ სიყვარულის გავრცელებას ცდილობს იგი, ხალხს დავიწყებული იდეალები გაახსენა, ისტორიული მაგალითები გმირობისა და რაინდულის თავგანწირულებისა თვალწინ დაუყენა (“დედა და შვილი”, “დიმიტრი თავდადებული”).

სამშობლოს სიყვარული არის უმაღლესი მოვალეობა, რომლის ასრულება მით უფრო სავალდებულოა, რომ მხოლოდ იმ ქვეყნის და იმ მხარის ბედნიერება არის კერძო პიროვნების სრული გამაბედნიერებელი, საცა ეს პიროვნება შობილა და გაზრდილა.

უბედურის მამულის შვილი არ შეიძლება ბედნიერი იყოს, თუ იგი პირუტყვი არ არის და თუ პირუტყვია, ისიც კი ბედნიერი არ არის, რადგან თავისი უბედურება ვერ გაუგია.

მამულის სიყვარული რა მოვალეობაა და რა იდეალები უნდა ჰქონდეს დასახული მას, ვისაც მამული უყვარს? უმთავრესი სურვილი და მეცადინეობა სამშობლოს მოყვარულისა ის უნდა იყოს, რომ ის ერი, ის ქვეყანა, რომელშიაც ყოფნა ღმერთმა არგუნა, იყოს აღმასრულებელი კაცობრიობის უმაღლესის მოვალეობისა. კაცობრიობას ცხოვრებამ თუ განგებამ ერთი იდეალი დაუსახა - კეთილის განხორციელება და ბოროტის დამარცხება. ცხოვრებაში ეს ორი პრინციპი იბრძვის დღემდის და ამ ბრძოლაში კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს ყოველთვის კეთილის მხარე ეჭირა და მომავალშიაც მისი ცხოვრების აზრი ამაში მდგომარეობს, ჩამოაცალოს ბოროტს თავისი შემცდარი ძმები და კეთილის რაზმში შეუყაროს თავი.

უმაღლესი კეთილი, რომელიც კაცობრიობას თავისი ზნეობრივის ცხოვრების სალტოლველ საგნად დაუსახავს, ის არის, რომ ყოველი კაცი კერძოდ, ყოველი ერი საზოგადოდ, იყოს აღჭურვილი თანასწორის ეკონომიკურისა და პოლიტიკურის უფლებით, რომ ყოველ კაცს, ყოველ ერს ჰქონდეს ნება ფაქტიურად დაიკმაყოფილოს ყოველივე თავისი მრავალგვარი მოთხოვნილება, იყოს ბედნიერი, მხიარული, კმაყოფილი, ლადი და მშვენიერი; რომ ყოველი ერი მარადის ძმა იყოს და მეგობარი, ყოველმა კაცმა მეორისთვის საიმოვნებით თავი განიწიროს.

იდეალი კერძო პირისა ის უნდა იყოს, რომ ძმა თავისი უყვარდეს “ვითარცა თავი თვისი,” სხვა არ დაჩაგროს, თანაც თავი არავის დაჩაგვინოს, რადგან ეს სურვილი სხვისი დაჩაგვრისა, რომელსაც დაუბუდებია კერძო კაცში, გინდ მთელს ერში, თესლია ბოროტებისა და ბოროტების წინააღმდეგ კი ბრძოლა მოვალეობაა ადამიანისა.

ასე გვესმის ჩვენ მამულის სიყვარული და, თუ მივიღებთ ამ გრძნობის ეგრეთეს განსაზღვრას, საჭიროა ვიცოდეთ, ამგვარის აზრის აღმასრულებელი იყო თ. ი. ჭავჭავაძე და მისი თაობა თუ არა? ამის შესახებ მხოლოდ “ჰო” ითქმის, და ამის დამამტკიცებელი საბუთი არაერთხელ მოუცია თ. ჭავჭავაძეს. აი, რას ამბობს მისი ჟურნალი, რომელიც, რასაკვირველია, მისი რედაქტორის აზრის ჭეშმარიტი გამომსახველი იყო: “თუ სხვაგან ეგოისტურია, ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა, იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას, ამ გრძნობაში თავისთავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, დათრუგვნის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის. ჩ ვ ე ნ ს მ ა მ უ ლ ი ს-შ ვ ი ლ ე ბ ს ს უ რ თ წ ა რ მ ა ტ ე ბ ა ჩ ვ ე ნ ი ს ე რ ო ვ ნ ო ბ ი ს ა და ვ ი ნ ა ო ბ ი ს ა, რ ო მ ე ლ თ ა გ ა რ ე შ ე ა რ ა ხ ა ლ ხ ს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ნ ს ი ც ო ც ხ ლ ე და ა და მ ი ა ნ უ რ ი ა რ ს ე ბ ო ბ ა. ჩვენი მამულის შვილები ნატრულობენ ჩვენი ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორის გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული; როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონებისათვის, არამედ თავის საკუთარს და მოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულის-შვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრუგნოთ და მათის დამცირებით ვისიამოვნოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისა” (“ივერია” 1882 წ.). მონტესკიე ამბობდა სიტყვებს, რომელიც შეეძლო ეთქვა მარტო ისეთის დიადის ეპოქის დიდებულს შვილს, როგორც იგი იყო: თუ ქვეყნიერების ბედნიერებისათვის საჭიროა, ჩემს ქვეყანას გავსწორავო. თ. ჭავჭავაძეს და სხვა მის თანამედროვეთ ეს შეიძლება არ ეთქვათ, შეიძლება

ის კი ეთქვათ, რომ თუ ჩემი სამშობლო არ იქნება, ქვეყანას რას დავსდევო. მაგრამ კი არ იფიქროთ, ეს ბოღბელის ანდაზისებური იყო („თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედ ნუ ყოფილავ“). ეგეთი მხეცური აზრი თავის დღეში არ მოუვიდოდათ აზრად ისეთს იდეალისტებს, როგორიც იყვნენ მესამოცე წლების ჩვენი მოღვაწენი. მათ სწამდათ მხოლოდ, რომ მსოფლიო მაშინ იქნება ბედნიერი, თუ ყოველი ერი, ქვეყნიერების შემადგენელი, ბედნიერი იქნება. მათ არ შეეძლოთ წარმოედგინათ რაღაც განყენებულის მსოფლიოს, ცისქვეშეთის ბედნიერება, თუ მისი შემადგენელი ნივთიერება, ცალკე ერი, ბედნიერი არ იქნებოდა.

ყოველივე აზრი ყვავილის თესლის მსგავსია. იგი თესლი, თუ კარგს ნიადაგზე მოხვდა და კარგი მომვლელი ეყოლა, გამოიღებს მცენარეს, მცენარე ყვავილს და ყვავილი კვალად თესლს და ასეთია სამარადისო მსვლელობა ბუნების ორგანიულ ნაწილების განვითარებისა.

აზრიც ეგრე იბადება: თუ კარგს გულს მოხვდა, ფრთებს შეისხამს და მის ზრდას დასასრული აღარა აქვს.

ამგვარი თანდათანობითი ზრდა ემჩნევა საეროვნო აზრს ჩვენს ლიტერატურაში საზოგადოდ. ხოლო თ. ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ეს ზრდა უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოიხატა.

თ. ჭავჭავაძე პოეტი და დიდბუნებოვანი არსებაც რომ არ ყოფილიყო, ისეთს დროში იყო დაბადებული, რომ არ შეეძლო ერის ტანჯვა-ვაგებისათვის ზურგი შეექცია. ამ კაცმა კარგად იცოდა ის სენი, რომელიც სიცოცხლეს უსპობდა ერს და განა შეიძლებოდა მის გულის სიმებს ამის გამო სამგლოვიარო ხმა არ გამოეცა? განა შეიძლებოდა პოეტის გული არ აღეშფოთებინა და სიცოცხლე არ მოეშხამა მას, რომ მისი სატრფო „სხვას ასმევდა ნექტარს ნექტარებისას; სხვას თავს ევლებოდა, შეჰხაროდა, სხვას ეტრფოდა?“ ესე იგი, შეჰხაროდა და შესტრფოდა იმ იდეალებს, იმ აზრებს, რომელიც პოეტისაგან დაგმობილი იყო და რომელიც სამარცხვინო მონობის გამომსახველია.

წარმოსადგენია განა, რომ ეხლანდელის ცხოვრების გახრწნილების შემგნებელს “აჩრდილი” არ დაეწერა, სადაც რამდენიმე თავში საოცარის სიმკაცრით არის გამოხატული ჩვენი გათახსირება? რა წარმოსადგენია, აბა, დღევანდელი გარყვნილის, ზნეობა-დაცემულის და სალახანა “დათიკოებისათვის” არ დაეპირდაპირებინა “დიმიტრი თავდადებული” და მისი გმირული, რაინდული მოქმედება სამაგალითოდ არ დაესახა, “დედა და შვილის” დედა დარეჯანების გვერდით არ დაენახებინა? ყოველივე ეს კი სხვაგვარის გრძნობების აშშლეილი იყო, არაჩვეულებრივი ჩვენის ლიტერატურისთვის: მკითხველს აწმყოს აძულებდა, წარსულში სასოებისა და იმედის საფუძველს უპოვიდა და მომავალში იდეალებს უსახავდა. ამ ლექსებს საეროვნო გრძნობების განმტკიცების მხრივ ჩვენს ლიტერატურაში უპირველესი ადგილი უკავიათ. თუ შეადარებთ, მაგალითად, თ. ი. ჭავჭავაძის სამშობლოს სიყვარულის გამოხატველ ლექსებს, ასეთსავე ლექსებს თ. გრ. ორბელიანისას, თ. ალ. ჭავჭავაძისას და თვით უკვდავ ბარათაშვილის ლექსებსაც, ნახავთ, რომ თესლი ყვავილად ქცეულა და ამ გრძნობათა გამოხატვაში ჩვენს პოეზიას თ. ი. ჭავჭავაძის მეთაურობით დიდი ნაბიჯი წაუდგამს წინ და უფრო ნათელს, უფრო გარკვეულს გზას დასდგომა.

აიღეთ მაგ., თ. ალ. ჭავჭავაძის “გოგჩის ტბა,” ეს ერთადერთი გამოხატველი მის საეროვნო მწუხარებისა; რა იხატება შიგ? მხოლოდ ვაება დაკარგულის დიდების გამო, მწუხარება ამ დიდების გაქრობით გამოწვეული, მაგრამ ამ მწუხარებაში არ იხატება არავითარი მისი აზრი არც აწმყოსა და არც მომავლის შესახებ.

მწუხარება, და უფრო ზოგადი ფილოსოფიური ტერმინი რომ ვიხმართ, პესიმიზმი, ორგვარია. ერთი პესიმიზმი უაზროა, უიდეალო და უნუგემო, რომელიც დარდობს მხოლოდ დაკარგულის გამო და არაფერს ელის არც აწმყოსაგან და არც მომავლისაგან; კიდევ მეტი, არავითარი იდეალი არა აქვს არც აწმყოში და არც მომავალში; მეორე გვარი პესიმიზმია ის მხნე პესიმიზმი, რომელიც ხედავს, რომ აწმყო და გინდ წარსული სატირალია იმ იდეალთან შედარებით, რომელიც დაუსახავს ცხოვრებაში და რომლის მიღწევასაც სცდილობს. ხანდისხან ამგვარი გრძნობით აღვსებული კაცი წარსულს ადარებს აწმყოს, წარსულთან შედარებით აწმყოს აძაგებს და ამ წარსულში იძიებს საფუძველსა და გამხნეველს უკეთესი მომავლისაკენ მისასწრაფებლად. იგი აწმყოსაც უარსა ჰყოფს და უკეთესს, ბრწყინვალე მომავალს შეჰყურებს.

ეს ის პესიმიზმია, რომელიც გაიძახის:

“მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოზადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს”.



ეს ის პესიმიზმია, რომელიც პოეტს ამ სანუგეშო ლექსებს წარმოათქმევინებს: “ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია”.

ეს ის პესიმიზმია, რომლითაც გამსჭვალული პოეტი “გონებით უნდო” მშვენიერ დილასაც კი ვერ მოუხიბლავს და რომელიც ბუნების “დუმბილიაც” კი “წყევლას” ხედავს. ამგვარად გულმონწყულს პოეტს იმედისა და სასოების ნიჭი კიდევ არ დაჰკარგვია და კიდევ ჰხედავს, რომ

“მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა’  
შვიდ-ფერიანი სარტყელი ცისა  
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა  
მახარობელად ტკბილ იმედისა”.

და განაგრძობს:

ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,  
ერთს ფიქრს მიეცა გულის თქმა ყველა  
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ  
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა”.

ვერც თ. ალ. ჭავჭავაძემ მიაღწია ამ გარკვეულობას, ვერც გრ. ორბელიანმა და ვერც თვით უკვდავმა ბარათაშვილმა-მეთქი, მოგახსენეთ. ძველთაგან მარტო თ. ვახ. ორბელიანმა აირჩია სრულიად გარკვეული გზა, როგორც თვით თ. ილ. ჭავჭავაძეც ბრძანებს: “ამ გზაზედ ისე გადაუხვეველად, ისე სისწვრივ ჩვენში არც ერთს პოეტს არ უვლიაო და დიდი წილი უდევს მას, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხაო,” მაგრამ თ. ვახ. ორბელიანმა ხომ მაშინ დაიწყო წერა, როცა ჩვენს ლიტერატურას ახალმა სულმა დაჰბერა.

თუ ძველებში მარტო “იმედის” ავტორმა აირჩია სრულიად გარკვეული გზა, ახლებში თ. ილ. ჭავჭავაძემ განაგრძო და შეასრულა ეს საქმე. პირველსავე ნაწერების სტრიქონებში გამოხატა ეს მხურვალე სიყვარული თავისი სამშობლოსა. პირველ მის ლექსებს ეკუთვნის სამაგალითო ლექსი “ქართვლის დედის” მიმართ, რომელსაც არაერთხელ აუფეთქებია ჩვენი გული, რომლის ღრმა და ნათელი აზრი სულის ამამაღლებელი რამ არის. მისი განსხვავება სხვა პოეტებისაგან აქვე იწყება. თუ იგინი წარსულზედ უფრო სტიროდნენ და მომავალს არავითარს ყურადღებას არ აქცევდნენ, ამან მომავალს მიაპყრო იმედებით აღსავსე თვალი და გამამხნევებელი ლექსი შემოსძახა თავისს თანამედროეებს:

“მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,  
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,  
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს”.

დღეის იქით მას სამშობლოზედ ფიქრი აღარ ასვენებს და ყოველსავე შემთხვევაში ეშლება ათასნაირი დარდი და გრძნობა სამშობლოს გამო.

ბუნების დუმილი სევდასა ჰგვრის და სამშობლო ქვეყანას გულის მომწყველის საყვედურით მიჰმართავს პოეტი:

“ოჰ, ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი, ძილი,  
როსღა გვედირსოს ჩვენ გაღვიძება!”

ბუნების აყვავება და განმაცხოველებელის გაზაფხულის სურათი ისევ სევდიანსა, მაგრამ ნაზის საყვედურით აღსავსე გრძნობებს აუშლის და ამგვარივე კითხვით მიჰმართავს სამშობლოს:

“აყვავებულა მდელო,  
აყვავებულან მთები...  
მამულო საყვარელო,  
შენ როსღა აჰყვავდები?”

დაინახავს “ჭაბუკსა ვისმე ჩაუქს”, რომელიც თავის სიმარდეს და სიმკვირცხლეს ოსმალების დასამშვენებლად ხმარობს, სიამოვნების ნაცვლად “ნაღვლით აერევა სული, გული” და ეუბნება:

...”ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?  
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალებსა?”

შენს სიმარდეს, სიჩაუქეს, ქართლი შენი არ დაჰყურებს,  
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს!”

არაგვს დაინახავს, თერგსა თუ ალაზანს, მხოლოდ თავისი ქვეყნის დარდი და ვარამი აგონდება,  
მათში ამაოდ ეძიებს თავის გულის პასუხსა. და ეუბნება პოეტი არაგვს:

“გულ-ხელთ დაკრეფილ შენსა წმინდა წყალს  
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს.  
რას ვეძებდი მე? ჩემს ქვეყნის წარსულს,  
შენს წინ დაღუპულს ჩემს ძველსა მამულს,  
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს  
აძლევდა ხოლმე გულსაკლავ პასუხს”.

უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იგივე ფიქრი აწუხებდა ავტორს, მამულის კეთილ გზაზე დაყენება იდე-ფიქსად გარდაქმნილ უქმნია და თავის ერთ უკანასკნელს ლექსთაგანშიაც იგივე სამშობლოს ბედ-იღბალით გულმოკლული პოეტი გვეჩვენება, რომელიც დამღერის “ზაზაღეთის ტბაში” ჩასვენებულს აკვანს და მასში მწოლარე ყრმას,

“რომლის არ ითქმის სახელი,  
ვისაც დღე და ღამ ჰნატრულობს’  
ჩუმის ნატვრითა ქართველი!  
და თუ ასეა, - დასძენს იგი, - ნეტავ მას  
ვაჟაცა სახელოვანსა,  
ვისიცა ხელი პირველად  
დასწვდება იმა აკვანსა!  
თუ ესე არის, ნეტა მას  
დედასა სახელდებულსა,  
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის,  
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!”

მაგრამ ყველაზედ უწრფელესი, ყველაზედ უფრო გრძნობიერი, რაღაც ბავშვურად გულუბრყვილო, მაგრამ თანაც ღრმა და სერიოზულის გრძნობებით არის აღსავსე თ. ი. ჭავჭავაძის “მგზავრის წერილები”, რომელიც მისი მოღვაწეობის პირველ დასაწყისშია დაწერილი.

აი, რა გრძნობებით უბრუნდება იგი სამშობლოს და რა სევდები აწება გულზედ, როცა უახლოვდება თავის მიწა-წყალს: “როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, - ვიფიქრე. - რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა?... იქნება მიმითვისოს კიდევცა, რადგანაც ჩემში მაინცდამაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მომიყოლოს და მიაშბოს თავის გულისტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდევცა და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით... უნუგემოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო... და ის თვითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად? შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდევცა, იმიტომ, რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ, რომ მამულს შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისთვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვებსაც გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის”.

დიაღაც გაიგო მან სამშობლოს ენა და სიტყვა, დიაღაც უთხრა უნუგემოს სიტყვა ნუგემისა, მტირალს ცრემლი მოსწმინდა, მაგრამ, მამულმა მართლა ზურგი შეაქცია, არ შეითვისა, არ მიიღო და ბოლოს უმაგალითო სატანჯველი მიაყენა მას და თითქმის საზიზღარი შური იძია ზრბომ ამ დიდებულ კაცზედ.

ამ “მგზავრის წერილების” დიდი მნიშვნელობა ჯერ ჩვენს მწერლობას არ აღუნიშნავს და არ მიუქცევია მისთვის ჯეროვანი ყურადღება. ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ლაპარაკი ატყდა მის

შესახებ, ვინ იქონია გავლენა ეგრეთ წოდებულს ჩვენს “მთიელთა ლიტერატურაზედ”, რომლის ბრწყინვალე მეთაური განსვენებული ყაზბეგი იყო. თვით თ. ილია ჭავჭავაძე თ. რაფიელ ერისთავის ნაწერებს აღნიშნავდა, როგორც პირველს ნიმუშს ამგვარის ლიტერატურისას.

ხოლო ჩვენ კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ლიტერატურის დასაწყისი, შთანასახი, უნდა ვეძიოთ თ. ი. ჭავჭავაძის “მგზავრის წერილებში”. მოჩუბარბისა და რაზიკაშვილების თხზულებათა მთელი აზრი აქ, ამ ორ-სამ გვერდზედ არის მოთავსებული, საცა ავტორი მოხევეს ესაუბრება:

“მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტართა ხარ ნაჩხვლექი: “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო” - სთქვი შენ და მე გავიგონე, მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა. იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოჰ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი!..”

მოხევის გულის პასუხი სავსებითა და გარკვევით განსვენებულმა ა. ყაზბეგმა გადმოგვცა და გაგვაგებინა.

ესეთი გახლავთ მსვლელობა საეროვნო გრძნობების განვითარებისა ჩვენს პოეზიაში. ჩვენთვისა და საზოგადოდ ჩვენის მწერლობისათვის ჯერჯერობით შეუძლებელია კვალდაკვალ, თანდათანობით მივსდით ამ აზრის ზრდა-განვითარებას თვით თ. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებში, რომელნიც არიან საუკეთესო გამომხატველნი ორმოცდაათის წლის განმავლობაში ჩვენის ქვეყნის გონებისა და აზრის ზრდა-განვითარებისა.

თუ ჩვენს ძველს მწერლებს კარგად არა ჰქონდათ შეგნებული ჩვენის ცხოვრების იარები, სამაგიეროდ, თ. ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, იმის დროის მწერლებმა გამოსთქვეს თავისი აზრი და შეხედულება ტკივილთა თვისებებზე და საშუალებანიც დაგვისახეს მათ დასაამებლად...

### III

ეხლა უნდა გავითვალისწინოთ თ. ი. ჭავჭავაძის სიტყვაკაზმული მწერლობა და შევიგნოთ, რა ადგილი უკავია ამ მწერალს ქართულ ლიტერატურაში. აქაც ძნელია სავესე უნაკლულო მიმოხილვის დაწერა, რადგან ჩვენ არა გვაქვს თხზულება, რომელშიაც გარკვეული იყოს უცხოეთის (საზოგადოდ უცხოეთის და არა მარტო რუსეთის, როგორც ზოგიერთსა ჰგონია) ლიტერატურის გავლენა ქართულს მწერლობაზედ. მაინცა და მაინც დიდ დანაშაულობად არ ჩაგვეთვლება, რომ გარეშე ამგვარის გამოკვლევისა, შევუდგებით თ. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გარჩევას. საფრანგეთის კრიტიკოსები აცხადებენ, ფრანგებს არა გვაქვს თხზულება, სადაც აღნუსხული იყოს უცხოეთის ლიტერატურის გავლენა საფრანგეთის ლიტერატურაზედ და უამისოდ ძნელია თვით ფრანგულის მწერლობის შესწავლაო. თუ ეს დაემართა საფრანგეთის ლიტერატურას და მის წარმომადგენლებს, მით უფრო ეპატიება ქართულს ლიტერატურას და ჩვენც, რომ უცხოეთის ლიტერატურის გავლენას ჩვენს მწერლობაზედ და მწერლებზედ თითქმის გვერდით უნდა ავუაროთ და მხოლოდ გაკვრით შევეხოთ.

ერთი კი უნდა ვსთქვათ: რაიცა შეეხება ერთის ხალხის ლიტერატურის გავლენას მეორე ხალხის გონების წარმოებაზედ, მეტად ცვალებადია იგი გავლენა, მეტად და საზოგადოდ ერთობ ძნელია მისი გარკვევით აღნიშვნა. საქმე ის არის, რომ აზრი, იდეა იშვიათად არის ხოლმე შექმნილი რომელისაშე ერთის ხალხისა, უფრო ხშირად იგი ნაყოფია მთელის კაცობრიობის შრომისა და მოღვაწეობისა და ერთიმეორის დახმარებით შექმნილი. მართალია, ეს დახმარება თვალსაჩინო არ არის და ამ შემთხვევაში ერთმანეთის მხარის მიმცემნი ვერა გრძნობენ საერთო მუშაობას, მაგრამ აზრთა ზრდის ისტორია გვაჩვენებს, რა ძნელია ამა თუ იმ აზრის პირველშემქნელის მიგნება. სანამდისაც ჩვენი გონება სწვდება ამ თეორიას, ვხედავთ, რომ აზრი გავრცელებულია აქა თუ იქ, ამა თუ იმ ხალხში და სხვა ხალხის ზემოქმედებით, სხვა ხალხის ლიტერატურისა და გონების ნაწარმოების შესწავლის შედეგია. ხოლო აქედან კიდევ არ შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, ვითომ იმ ხალხს, რომლიდანაც მეორეს მიუღია ესა თუ ის აზრი, თვით შეექმნას იგი, თავდაპირველი ავტორი ყოფილიყოს ამ აზრისა. არა, მასაც სხვისაგან მიუღია ეს სამკვიდრო, თავისებურად შემოულამაზებია და ისე სხვისათვის გარდაუცია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ არც ერთი ხალხი არ სესხულობს აზრს ბრმად მეორისაგან, თუთიყუშვიტით არ იმეორებს, არამედ თავისებურობის ბეჭედს ასვამს და იმდენად ასხვავებს, რომ თუ ღრმად არ ჩაუკვირდით, თუ თანდათანობით არა სდიეთ ამ აზრის შთანაჩენის წვრთნასა და აღზრდას, ვერც კი გაიგებთ, საიდან წარმოსდგება იგი აზრი. აზრთა გავრცელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს “მიმბამველობას”, როგორც ამტკიცებენ ეხლანდელი ფილოსოფოს-მეცნიერნი. კაცთა ისტორია ექვემდებარება მიმბამველობისა

და შემოქმედობის, დაწყების, ინიციატივის კანონს იმგვარად, რომ ჯერ ერთი ვინმე გენიოსი, დიდი ნიჭის მქონე, რომელსამე ხალხში გაჩნდებოდა რომელსამე დიდი აზრის მოციქულად, ეს აზრი ფეხს იდგამდა ჯერ თვით მის ერში, აქ იმაგრებდა ფესვებს და მერე მიმბაძველობის შემწეობით მთელს კაცობრიობაში ვრცელდებოდა. მაგრამ სწორედ აი, აქ არის ძნელი გამოსაცნობი, ვინ, რომელი ერი იყო ამა თუ იმ აზრის შემოქმედი? საბერძნეთზედ ეგვიპტეს ჰქონდა გავლენა; ჩრდილო ევროპის კულტურა საბერძნეთისა და რომის ზეგავლენის ქვეშა აღზრდილი; რუსეთისა კიდევ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების გავლენის ქვეშ იყო და არის; ჩვენი კულტურა, ერთი მხრით, ევროპისა და, მეორე მხრით, აღმოსავლეთის ცივილიზაციის შექმნილია; სულ უკანასკნელ დროს რუსეთის ზეგავლენის ქვეშა. ამიტომაც დიდის სიფრთხილით უნდა ვილაპარაკოთ ლიტერატურაში მიმბაძველობის შესახებ. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მიბაძვა იყოს ნაწარმოების უვარგისობის მაჩვენებელი, ანდა მისი ნაკლულევენებისა.

თუ მიმბაძველობა ცხოვრების კანონია, როგორღა გნებავთ, რომ მარტო ლიტერატურა, ეს უძლიერესი წარმომადგენელი ცხოვრებისა და უმშვენიერესი მისი სამკაული, ამ კანონს გარეშე მოქმედებდეს: ყოველს ნაწარმოებში, რა რიგ გენიოსის ტვინსაც უნდა ეკუთვნოდეს, უსათუოდ იქნება მიმბაძველობის ნაწილი; მაგრამ ამ მიმბაძველობას გენიოსი თავისებური ელფერით შემოსავს და ეს სამოსელი თითქმის შეუძლებლად ხდის მასში მიბაძვის კვალის აღმოჩენას.

რასაკვირველია, მწერლის ნაწარმოებში და, მით უმეტეს, დიდი მწერლის თხზულებაში თვითშემოქმედობას მეტი წილი უდევს, თვითშემოქმედობა პოეტისა გადასხვაფერებს ხოლმე ნასესხებ ნაწილს. სწორედ ნაწარმოები პოეტისა და გინდ მეცნიერისა და ფილოსოფოსისა, მათი ნიჭის სიძლიერე და სიდიადე იმდენად დაფასდება, რამდენად ძლიერი იქნება მის თხზულებაში ქმნილება შემოქმედობისა, რამდენად იქნება გადასხვაფერებული ის აზრი და ფორმა, რომელიც მიმბაძველობით მოიპოვა მწერალმა.

ამ მიმბაძველობის მაგალითებით აღსავსეა ცხოვრება და მწერლობა. საფრანგეთის XVIII საუკუნის მწერალთა ნაწარმოები ინგლისის ლიტერატურის ზეგავლენის ქვეშ იყო. ვოლტერი, მონტესკიე და ჟან-ჟაკ რუსო ავრცელებდნენ ახალის ფორმით ინგლისურ აზრებს, მაგრამ თვით აზრი ისეთის თავისებურობით აღბეჭდეს და ისეთის ენით დაიწყეს ქადაგება, რომ ყველას ფრანგთა მწერლის აღმოჩენილად მიაჩნია კაცთა გათავისუფლებისა და ძმობის აზრები.

ეხლახანაც საფრანგეთის ლიტერატურა, ზოგიერთთა აზრით, ჩრდილოეთის (ინგლისი, დანია და რუსეთი) ლიტერატურის ძლიერის ზედ-გავლენის ქვეშ იმყოფება. ამ აზრის წინააღმდეგნი იმას ამტკიცებენ, რომ თვით ჩრდილოეთის ლიტერატურა აღიზარდა საფრანგეთის მწერალთა ზედ-გავლენის ქვეშეო. ჩრდილოეთის მწერლებმა (იბსენმა, ელიოტმა, დიკენსმა, ტოლსტოიმ, ტურგენევმა) ფრანგთა მწერლების (ჰიუგოს, ჟორჟ სანდის, ბალზაკის, ზოლასი, დიუმა-შვილის, ფლობერის და სხვათა) აზრები ისესხეს, სხვა სამოსელით შემოსეს და ისე მიაწოდეს ფრანგულს ლიტერატურასაო. სხვები კიდევ იმას ამტკიცებდნენ, რომ თვით ზემოხსენებულ ფრანგ მწერალთ სხვისაგან აქვს ნასესხები თავის თხზულებათა აზრებიო. ეს ყოველივე დამასურათებელია ზემომოყვანილ აზრისა: ეხლანდელ გონების ნაწარმოებთა შინაარსი, დედამარღვი, მთავარი მიმართულება საუკუნეების ცივილიზაციის შექმნილია და მეტად ძნელია კაცის გონებისათვის იმ აზრთა დასაბამი, იმ აზრთა შემქნელი იპოვოს და გამოიძიოს.

აზრი ვრცელდებოდა მიმბაძველობის წყალობით. ყოველივე გენიოსი ექვემდებარებოდა მიმბაძველობას, მაგრამ თვითშემოქმედიც ხდებოდა და ამგვარად მსვლელობდა კაცობრიობის აზრი.

ამ მიმბაძველობის შესახებ ბევრი ვილაპარაკეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მიღებულია თქმად, ვითომ ჩვენი ლიტერატურა მესამოცე წლებისა რუსეთის იმავე დროის ლიტერატურის მიბაძვა იყოს. როგორც მეთაურს, ი. ჭავჭავაძეს უფრო მეტი დასწამეს ეს მიმბაძველობა. ჩვენთვის კი საჭიროა გამოვარკვიოთ, რამდენად საფუძვლიანია ეს აზრი.

რუსეთის იმ დროის მწერლობაში ძალიან ჰუმანური აზრები იყო გავრცელებული. პირველად ყოვლისა, რასაკვირველია, იმ უსაშინელეს მოვლენას შეებრძოლა ეს მწერლობა, რომელსაც “ბატონყმობა” ეწოდებოდა და კაცთა ძმობის ქადაგება ამ მხრით მაინც შესაძლო შეიქმნა. აგრეთვე მაშინდელი მწერლობა შეიქმნა ხალხის თვითმოქმედების მიუცილებლობის აღმსარებლად და ამაშიაც კვალდაკვალ მისდევდა მთავრობას. გარდა ამისა რუსეთის იმ დროის მწერლობა ყურადღებას აქცევდა საეროვნო საქმეებს. ამ დროში მოხდა დიდი ფაქტი იტალიის განთავისუფლებისა, რომელიც მთელის განათლებულის კაცობრიობის აღტაცებას იწვევდა. რაიცა შეეხება კერძოდ მწერლობას, საზოგადოებრივის აზრებისა და გრძნობების გამოხატვა ლიტერატურის იდეალად შეიქნა, რუსეთის მწერლობაში დამყარდა რეალიზმი.

არ უნდა დავივიწყოთ, რასაკვირველია, რომ როგორც მოთხოვნილება “ხელოვნება - ცხოვრებისათვის”, ისე რეალური ფორმა, სინამდვილის მიბაძვის დამკვიდრება ლიტერატურაში, ეკუთვნის იმავე დროის საფრანგეთის ლიტერატურას. როგორც პირველი (მოთხოვნილება აზრიანის შინაარსისა), ისე მეორე (რეალურის ფორმისა) იყო მოთხოვნილება ახალის მიმართულებისა ლიტერატურაში. რომანტიზმი სულსა ლევდა და რეალიზმი ფლობერის მეთაურობით იჭერდა პირველ ადგილს. ჟორჟ სანდი და ფლობერი - აი, ორი უმთავრესი წარმომადგენელი იმ ხანის ლიტერატურისა. ჟორჟ სანდი ცალის ხელით რომანტიზმს ებლაუჭებოდა, მეორეთი რეალიზმს. ამ დროში დაიწყო ჟორჟ სანდმა გლეხთა ცხოვრების აღწერა, ამ დროში (50-60-იან წლებში) დამყარდა ლიტერატურაში საზოგადო აზრების გამოხატვის მოთხოვნილება. ეს კი წინააღმდეგი მიმართულება იყო რომანტიზმისა, რომელიც პოეტის პირადი ტანჯვა-მწუხარების, კვნესა-ვაების გამოხატველი იყო.

საფრანგეთის ლიტერატურაში რეალიზმი დამყარდა და რეალიზმთან ერთად ლიტერატურის, პოეზიის მეთაურთ თავიანთი პირადის გრძნობების გამოხატვას თავი მიანებეს და “კაცობრიობის ტანჯვის, ერის ვაების” გამოხატვას ცდილობდნენ.

ამ გზას დაადგა რუსული ლიტერატურა და ქართულიც თ. ჭავჭავაძის მეთაურობით.

რუსეთის პუბლიცისტებთან ერთად თ. ჭავჭავაძე ჰქადაგებს, რასაკვირველია, ჰუმანურ აზრებს, რომელთაც იგინი სესხულობენ ფრანგ მწერალთაგან. გარდა ამისა ის, რამაც რუსეთის მწერლების ყურადღება მხოლოდ გაკვრით მიიქცია, თ. ჭავჭავაძისა და მის თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა სულად, მთავარ საგნად, დედამარღვად გარდაიქცა.

რუსეთის ლიტერატურა მაინცა და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა, მაგალითად, მაშინდელ იტალიურ ლიტერატურულ მოძრაობას... ესე იგი, თუ რასმე ადგილს აძლევდა ამ საგნის შესახებ, მარტო იმიტომ, რომ, როგორც ჰუმანურ აზრთა მიმდევარს, მოვალეობად მიაჩნდა ესა... სული და გული მათი კი, რასაკვირველია, ცოტა არ იყოს, გულგრილი რჩებოდა ამ საგნების გამო, და ეს სრულიად ადვილი მისახვედრია.

ევროპის ამ საუკუნის ლიტერატურის მსვლელობა მიდიოდა ამ გზით: რომანტიკულს ლიტერატურას მოჰყვა რეალური: ინგლისში ბაირონსა და შელლის მოჰყვა ელიოტი და დიკენსი, საფრანგეთში შატობრიანისა, ლამარტინისა, ჰიუგოსა და დევინის ადგილი დაიკავეს ბალზაკმა, ფლობერმა და ზოლამ. რუსეთში პუშკინსა და ლერმონტოვს მოჰყვა გოგოლი, ტურგენევი და ტოლსტოი. ქართულს ლიტერატურაში ალ. ჭავჭავაძემ დაიწყო რომანტიული ლიტერატურა, გრ. ორბელიანმა განაგრძო, ნ. ბარათაშვილმა უმაღლეს წერტილამდის მიიყვანა; თ. ვახ. ორბელიანსა, თ. მამია გურიელს წილადა ხვდათ რომანტიზმის გედის სიმღერის შესრულება; თ. გ. ერისთავი თავისი კომედიებით ჩვენს ლიტერატურაში რეალიზმის მამამთავრად შეიქმნა, ხოლო პოეზიაში რეალიზმის დამამკვიდრებლად გამოვიდნენ თ. ი. ჭავჭავაძე და ავ. წერეთელი. ჩვენი ლიტერატურა თუ მისდევდა ამ შემთხვევაში საზოგადოდ ევროპის ლიტერატურის მსვლელობას, თავისებურობაც ეტყობოდა: ალ. ჭავჭავაძის რომანტიზმს უფრო მეტად სპარსულის ლიტერატურის ზედგავლენა ემჩნევა და ხორციელებისაკენ უფრო მიილტვის, ვინემ სულიერებისაკენ, ეს სულიერება კი ევროპიულის რომანტიზმის არსებითს მხარეს შეადგენდა და იგი ჩვენში თ. ბარათაშვილმა შემოიღო.

#### IV

პოეზიაში თ. ილია ჭავჭავაძე გახლავსთ რეალიზმის განმამტკიცებელი, რეალიზმის პოეზიაში გამაძლიერებელი, თუკი რეალიზმის განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ უპირადო გრძნობებს გვისახავდა, საერო, საზოგადო ჭირსა და ვარამს გვამცნებდა, ხალხის კვნესას და სევდიან ოხვრას გვასმენდა.

რომანტიზმი პოეტის პირად გრძნობათა გამომსახველი იყო, მისი კერძო, სულიერის ტანჯვის გამომქვეყნებელი. რომანტიკოსი პოეტი ჰგოდებდა სატრფოსაგან გაწამებას, სიკვდილზედ ფიქრისაგან გამოწვეულს სევდებს გვაგებინებდა და, თუ მისი სასოწარკვეთილება უკიდურესობამდის არ იყო მისული, ბუნებაში მაინც ჰხედვიდა “თვისთა ფიქრთ შვებას გულის სევდის ნუგეშად”; ხოლო უსასოება რომანტიკოს პოეტისა ხანდისხან იქამდისაც მიდიოდა, რომ ბუნებასაც მარტო მაცდურებასა და გულქვაობას ამჩნევდა.

რეალიზმი, როგორც რომანტიზმის უარყოფელი მიმართულება, პირად გრძნობათა გამოსახვას განაძეგებს ლიტერატურიდან და სხვისი სულის მდგომარეობის დასურათებასა ცდილობს, სხვის ვაების ხმას გვაგონებს. არა სატრფოს ღალატი, არამედ საზოგადო მწუხარება და ერის კვნესა იწვევს რეალისტ-პოეტის სევდას და ოხვრას, ერის უბედურება უწყლავს გულს და უშხამავს სიცოცხლეს. თ. ილია ჭავჭავაძე სრულიად კანონიერი მემკვიდრეა თ. ბარათაშვილისა. თ. ილია ჭავჭავაძე,

მართალია, რეალისტიკა, მაგრამ რომანტიკულის პოეზიის ზედგავლენის ქვეშაც იმყოფება. ეგრე მახლობელ წინაპარს სრულებით ვერ ჩამოსცილება და ამიტომაც მის ნაწარმოებში ხშირად ვხედავთ შერეულს რომანტიზმისა და რეალიზმის ნაწილს, თუმცა, რასაკვირველია, რეალისტი მწერალი უფრო ძლიერია მასში, ვინემ რომანტიკოსი.

უმთავრესი თემა, საგანი ი. ჭავჭავაძის ლექსებისა და პოემების საზოგადოებრივი ხასიათისაა. იშვიათად მოიძებნება არათუ ჩვენს ლიტერატურაში, თვით ევროპულშიაც კი მწერალი, რომელსაც მისებრ ცოტა ყურადღება მიექცის პირად გრძნობათა გამოხატვისათვის. ამ შემთხვევაში იგი სრულიად განკერძოებულს ტიპს წარმოადგენს მწერლისას და ახალის მიმართულების დაწყების სისასტიკე ემჩნევა.

არ შეიძლება ეს იმას მივაწეროთ, რომ ი. ჭავჭავაძეს ლირიკოსი პოეტის ნიჭი აკლდეს და პირად გრძნობათა გამოხატვა ეძნელებოდეს; არც ის უნდა იფიქროს ვინმემ, რომ ი. ჭავჭავაძე არ გვაჩვენებდეს თავის გრძნობებსა და შეხედულებას სხვადასხვა მოვლენის შესახებ; არა, ი. ჭავჭავაძე პირადის, კერძო გრძნობების გამოხატვას არ კისრულობს: არ გვამცნევს თავის სევდას, უიმედო სიყვარულისაგან გამოწვეულს, ანადა სიყვარულით აღფრთოვანებული აღტაცებულს ჰიმნს არ მღერის, არ გვიჩვენებს პირადს შიშსა და მჭმუნვარებას, სიხარულსა და გინდ გულგრილობას სიკვდილ-სიცოცხლის გამო; არ გვამცნევს, რა გავლენა აქვს მასზედ ბუნების ამა თუ იმ სურათს, ბუნების ამა თუ იმ სანახაობას რა კერძო გრძნობები აღუძრავს მასში. თუ სწუხს და სტირის, საზოგადო მწუხარება და უბედურება არის ამის მიზეზი. თუ იცინის, მწარეა ეს სიცილი და დასცინის მხოლოდ საზოგადოების ღრმა ნაკულეევანებათ.

მისი პოემებისა და ლექსების შინაარსი სამშობლოსათვის თავგანწირულის დიდებაა (“დიმიტრი თავდადებული” “დედა და შვილი”), იმ დროის სოციალურის წყობილების (ბატონყმობის) უსამართლობის გამკიცხველია; “კაკო ყაჩაღი” ამ წყობილებისაგან წარმოშობილის დრამის დამასურათებელია; “აჩრდილი” კი გამოხატველია პოეტის გრძნობისა და აზრის ჩვენის ცხოვრების დაქვეითებისა და გახრწნის შესახებ, ჩვენის გადაგვარების მოთქმაა, ჩვენის საზოგადო წყობილების დაგმობაა, იგია გულის გამგმირავი სურათი ჩვენის ცხოვრებისა.

ახალის მიმართულების მეთაურ პოეტს არ შეეძლო უწინდელთათვის უარყოფელი თვალთ არ შეეხედა. უწინდელი პოეზია კი ერთობ ბევრ ადგილს აძლევდა პირად გრძნობათა გამოხატვას და ამათში სიყვარულის გრძნობის გამოთქმას ანდომებდა საუკეთესო ლექსებს.

ი. ჭავჭავაძე სხვა გზას დაადგა და ამიტომაც თითქმის მოვალეობად აღიარა, რამდენადაც შესაძლო იყო, პირად გრძნობებზედ ბაასს აშორებოდა; მას არ იტაცებს გარეგან ფრინველისავით მღერა, რადგან “არამარტო ტკბილ ხმათათვის გამოჰგზავნა ქვეყნად ცამა”; ზეგარდმო დასახულ მოვალეობად აღიარა “ერის წინამძღვრობა”, “ჭმუნვასა და სიხარულში ერის მოძმედ ყოფნა”. “ცისაგან დანიშნულს და ერისაგან აღზდილს პოეტს” დანაშაულებად მიაჩნდა პირადის აღტაცებითა და სევდით ვისთვისმე თავი მოებეზრებინა, მას მხოლოდ, “ერის წყლული მიაჩნია წყლულად, მისი ტანჯვით ეწვის სული, მისი ბედითა და უბედობით ედაგვის მტკიცე გული” (“პოეტი”).

აღარ უნდა ბევრი ლაპარაკი, რომ ავტორს “აღარც ნატვრა და აღარც იმედია”-სას შეეძლო თავისი ლირის პირადის კვენისისა და ოხვრის გამომთქმელი სიმები აეჟღერებინა, მაგრამ, როგორც კი მისი ხელი აიწვედა, რომ ჩონგურზედ პირადის გრძნობების გამოხატველი ხმები დაეკრა, შეგნებული აზრი მოვალეობისა ხელს, სიმთან მიტანილს, ქვად აქცევდა და პოეტს მხოლოდ თავისავე გულში ჩაკვლევინებდა მეტად ბუნებრივს სურვილს. ვერ წარმოიდგენთ კი, რა ძნელია კაცისათვის თავისი ტანჯვა, გინდ სიხარული დამალოს, გულში ჩაიმარხოს. ტანჯვას ამგვარად ძალი უორკვედებდა და მეტის სიმძაფრით ღრდნის გულს, ხოლო სიხარულს განუზიარებელი ძალი და მომხიბვლელობა უსუსტდებდა, მოდუნებული რჩება და სავსებით ვერ აკმაყოფილებს კაცის ბუნებას. თ. ჭავჭავაძეს უსათუოდ არაერთხელ უგემია ეს სიმწარე “ფიქრის გაუნდობლობისა” და “გრძნობათა განუზიარებლობისა”. სისასტიკე მისის ნაწარმოებისა თანდათანობით შექმნილია, ძლიერი შთაბეჭდილება, რომელსაც იწვევს ჩვენში მისი ნაწარმოები, შედეგია ესეთის სტოიციზმისა, ესეთის სიმტკიცისა თავისი მოვალეობის მიმართ.

რადგან პირად გრძნობათა გამოაშკარავება შეადგენდა რომანტიკულის ლირიზმის განსაკუთრებულს თვისებას, ამ თვისების უქონლობა თ. ჭავჭავაძეს რეალურის ლირიზმის მამამთავრად ჰქმნის ქართულს ლიტერატურაში. მაგრამ რეალიზმმა, თუ პირად გრძნობათა გამოხატვა უკუაგდო, და თუ ამიტომ რეალისტი პოეტი პირად გრძნობათა, ტანჯვა-ვაების და სიხარულის გამოხატვას თავს არიდებს, იგივე რეალიზმი თხოულობდა მწერლის პირადობის, მწერლის “მე”-ის მისი თხზულებიდან განძევებასა და განდევნას. ეს, რასაკვირველია, იმნაირად

უნდა გაიგოს კაცმა, რომ მწერალმა არ უნდა გამოსთქვას თავისი პირადი გრძნობები და აზრი შესახებ ამა თუ იმ მოვლენისა, რომელსაც აღგვიწერს, ეცადოს, რამდენადაც შესაძლოა, თავისი სიმპათია თუ ანტიპათია აღწერილის საგნის შესახებ არ გამოამყვანოს. სხვაგვარად მწერლის “მე”-ის თხზულებიდან განძვევა შეუძლებელია, რადგან ეს “მე” ისეთი რამ არის, რომლის განშორება მწერალს არ ძალუძს. ეს მისი მთელი ფსიქოლოგიური არსებაა, რომელიც გამოსჭვივის ყოველ დაწერილ წინადადებასა და სიტყვაში, სიტყვათა ერთმანეთთან შეკავშირებასა და შეხამებაში.

თუ პირველს მოთხოვნილებას რეალურის ლირიზმისას მეტად კარგად ასრულებს ჩვენი პოეტი, მეორე აღარ ეხერხება. ეს ადვილი მისახვედრიც არის: თ. ჭავჭავაძე ახლო მოსაზღვრეა რომანტიკოს პოეტთა და იგი იმყოფებოდა, როგორც ევროპის რომანტიკოს მწერალთა (ჟორჟ სანდი, ჰიუგო), ისე თავის ქვეყნის პოეტთა (ნ. ბარათაშვილი) გავლენის ქვეშე. ამიტომაც თ. ჭავჭავაძეს ხშირად პირადი ლირიზმი ეპარება ხოლმე სხვის გრძნობის გამოხატვაში და ხშირად პოეტის “მე” ამოჰყოფს თავს სხვისი სახით. აიღეთ, მაგალითად, მისი “მუშა”. აქ ყოველ სტრიქონში ავტორი გვისახავს, თუ რა გრძნობები აღუძრა მას მუშის შესაბრაღისმა ცხოვრებამ. პოეტს მუშის “დიდინი ხშირად გულს უწყლულებდა,” მისი “დუმილი ღვთის რისხვის ზარის” გამომხატველად მიაჩნდა. აქ ყოველი სიტყვა პოეტის წრფელი გოდებაა სამწუხარო სურათის ნახვის გამო. პოეტი თვით ჩნდება მუშის გრძნობათა გამომხატველად, მუშის ტანჯვა პირად სამწუხარო საგნად გაუხდია, მუშის პირით პოეტი ლაპარაკობს, ანდა, უკეთ ვსთქვათ, თვით პოეტის პირით გამოსთქვამს მუშა მას, რასაც ჰგრძნობს და ან უნდა ეგრძნო. ამით ჩვენი პოეტი რომანტიკოსობს. ხოლო აქ პოეტისათვის სევდა აღუძრავს არა რაიმე კერძო უბედურებას. აქ არ არის არც უარყოფილი სიყვარული, არც სატრფოს ღალატი, არც მიჯნურისგან გაუგებრობა, არ არის ჩივილი კაცთა სიცოცხლის დასასრულის შესახებ, არც ბუნების გულგრილობისა და გულქვაობის შესახებ პოეტის მიმართ... პოეტი აქ საზოგადო ტანჯვით იტანჯება, სხვისი ვარამი და დარდი, სხვის კაემანი იწვევს მასში კვნესასა და ოხვრას და ამაში იგი რეალისტობს.

თუ თ. ი. ჭავჭავაძე დედას დაგვიხატავს, რომელიც შვილის აკვანს არწევს და “ნანას” დამღერის, აქაც მშობლის იმ გრძნობებს გვამცნებს და იმ სურვილებს, რომელნიც თვით პოეტს უგრძნვია ამგვარის სურათის წარმოდგენის დროს. თორემ “დედანი მარად ნეტარნი”, რომელნიც შვილის აკვანს დამღერიდნენ - “უკვდავი არის შვილი, მამულისთვის მომკვდარიო”, - დიდი ხანია აღარა ჰყვანან ჩვენს ქვეყანას. გაგვაგონებს პოეტი “გუთნის დედის” კაემნით აღსავსე სიმღერას და ესეც ისევე პოეტის გოდებაა და კვნესა, იმ პოეტის, რომელიც, ღაბასი არ იყოს, “მიწას დაჰყურებს თვალით, რადგანაც ზეცა წაართვეს ძალით”, - რომელსაც “მისი ჭირის, მისი წუხილის, მისი კაცობის გულის დუღილის სიტყვანი გულში ებადებოან, მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან” (“გუთნის დედა”).

ეს ლექსი, ჩემი აზრით, უფრო სიმბოლიზმის ნიმუშია, აქ “გუთნის დედა” ალეგორიაა დაღვრემილის, დასევდიანებულის პოეტის სევდათა გამომხატველი. გარნა პოეტი ყოველსავე ამაში კიდევ მაინც საზოგადო ხასიათის გრძნობებს გვიხატავს.

ეგ რად გნებავთ, თვით სიყვარული, ეს ყველა გრძნობაზედ უფრო კერძო და პირადი, ჩვენმა პოეტმა განაზოგადა, პირადისაგან უპირადო, საზოგადო გრძნობად გარდაჰქმნა.

თ. ი. ჭავჭავაძეს სიყვარული სულიერიდან უსულოზე გადააქვს, მაგრამ უფრო თვალსაჩინო უსულო საგანზედ და მით უფრო საგრძნობია და გასაგები. ის ამ საგანს ისე ეპყრობა, ისე ეალერსება და ისეთის გრძნობიერის ენით ელაპარაკება, თითქო მტანჯველი სატრფო იყოსო. მისი ტანჯვა და ვაება, მისი სევდა ამ სატრფოს ღალატისაგან გამოწვეული, ბევრად უფრო მწველია, ბევრად უფრო გულის დამთუთქველი, ვინემ სევდა ტარიელისა. ეს სიყვარული მისთვის მთელის ცხოვრების დედააზრია, ცხოვრების შინაარსი, და ამიტომაც მთელს პოეტურს ნიჭს და ძალას იმას ანდომებს, ანდა იმისათვის უნდა მოიხმაროს, რომ განსაცდელს ააშოროს ეს მეტად საყვარელი არსება.

ამგვარი ტანჯვა სრულიად უანგაროა და წრფელი, პოეტს ამგვარად გულმომხამულს უნდა კიდევაც, კვნესა გულში ჩაიკლას, მაგრამ იმდენად დიდია მწუხარება, რომ გული მწუხარებას ვეღარ იკავებს. ამგვარი პოეტი, თავის ქვეყანას ეკითხება, რაზედ მოგიწყენიაო და ისეთის ენით ებაასება, გიკვირთ: რა უნდა აქ ქვეყანას, აქ “სატრფო” უნდა იყოს ქვეყნის მაგიერადო. აბა შეხედეთ, ახლა ამ პოეტის ოხვრა-კვნესას, როცა ხედავს, რომ “სატრფო სხვას თავს ევლის, სხვას ეტრფის” და ამიტომ თვით იგი სწყევლის დღეს თავის გაჩენისას, არ იცის, “სად წავიდეს, ვის შესჩივლოს, ვის უთხრას, ვინ გაუღებს დახშულს კარსა ბედისას”.

როცა პოეტი ბუნებას გვისურათებს, მას არც ბუნების გარეგანი სიმშვენიერე იტაცებს, არც ის გავლენა, რომელიც მას აქვს პოეტზედ ამა თუ იმ განწყობილების დროს; როცა ბუნება ხარობს, როცა “აყვავებულა მდელო, აყვავებულან მთები”, სამშობლო აგონდება და სევდიანად ეკითხება:

“მამულო საყვარელო, შენ როსდა აყვავდებიო?” როცა ბუნებასა სძინავს, “მერთალი ნათელი სავსე მთვარისა მშობელს ქვეყანას ზედ მოჰყენოდა,” მას კიდევ აქაც თავისი ქვეყნის “ტანჯვით ამოძახილი კვნესა” ესმის, კიდევ თავისი ქვეყნის ძილი აწუხებს და ოხვრით ეკითხება: “სულ ძილი, ძილი, როსდა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება”-ო? (“ელეგია”); ანადა უცხოეთში “თუ მოაგონდა სამშობლოს ზეცა, ზეცა სულ სხვა ფრად გაბრწყინვებული და სულ სხვარიგად დამშვიდებული,” ურვით მოკლული გული შესტირის მაშინაც კი, როცა ბუნების მშვენიერი სანახაობით “ყველა ტკბილ ძილში ბედიტა სტკბება, ყველას მშვიდობა გარს ეფინება”.

პოეტიც სწორედ იქ არის ძლიერი, საცა თავის ერთადერთს სატრფოს, ერთადერთს საგანს ცხოვრებისას ეალერსება და ანუგეშებს, საცა “ქართველის დედას” თავყანსა სცემს და აღტაცებით იხსენიებს, საცა თავისი ქვეყნის ბიწიერება გულსა და სულს უდღუღებს (“აჩრდილი”). ძლიერია იქ, საცა მწარე ღიმილით დასტირის საყვარელის არსების გათახსირებასა და დაცემას: ძლიერია აქ მისი სარკაზმი, მისი კბილთა ღრჭენა ჯოჯოხეთურია და ძლიერ გრძნობათა აღმძვრელი. რომელ ქართველის ტვინში არ ჩაჭედილა და არ ჩაბეჭდილა თ. ილ. ჭავჭავაძის “რას ვშვრებოდით, რა ვიყავით”, ეს მოკლე სატირული ისტორია ჩვენის ცხოვრების უკანასკნელის ხანისა... “ერთმანეთს გულმოდგინეთ ვწეწდით და ვიწეწებოდით”, როცა “ფერმიხდილნი ბეზღობაში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, როცა “ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს ცეცხლი წავუკიდეთ”, და “ჭკვიანურად იმ ცეცხლის წინ ვისხედით და ხელს ვითბობდით”, როცა “თვით შეესხედით მაღლა თაროს, დაბლა ყმებსა ტვინსა ვსწოვდით” (“რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით”). ეს რამოდენიმე სტირიქონი ყოველ ჩვენს ისტორიულ მონოგრაფიაზედ უმაღლესია და უძლიერესი. ამ ხანას ჩვენის ცხოვრებისას ილ. ჭავჭავაძემ ისეთი განსჯა მიაყენა, ისეთის შავის ფერადებით დახატა და ისე მძლავრად შეგვაზიზღა ჩვენი მოქმედება ამ პატარა ლექსით, რომ სხვანაირის აზრის გამომთქმელს წინდაწინვე შეუძლია დარწმუნებული იყოს, სხვაგვარ შეხედულებას ამ ხანის შესახებ ჩვენ შორის გასავალი აღარ ექმნება. ანადა მისი დახასიათება ჩვენის ერის ბედნიერებისა მით, რომ ვართ “მძიმე ყალბით, ლამაზ ფალბით მორთული და მშვენიერი, უწყინარი, უჩივარი, ქედ-დრეკილი, მადლიერი; ყოვლად მთმენი, ვით ჯორ-ცხენი, ნახედნი და ღონიერი, მცირე, დიდი, ყველა ფლიდი, ცულლუტი და მანკიერი, უზღუდონი, გზამრუდონი, არ-გამტანი და ცბიერი, მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, სხვასთან მხდალი, შინ ძლიერი, არრის მქონე, არრის მცოდნე, უზრუნველი და მშვიერი” (“ბედნიერი ერი”). ეს ორი ლექსი მისი პატარა ლექსების შედეგად უნდა ჩაითვალოს, ისე, როგორც მისი “კაცია-ადამიანი” მის პროზაულ ნაწარმოებთა შორის და, საზოგადოდ, ჩვენს ლიტერატურაში. ილ. ჭავჭავაძის სატირას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში, რადგან საზოგადო ხასიათისაა, მთლად მთელის ერის ძირითად ნაკლულევანებათ ეხება და არა აქვს სახეში კერძო მოვლენა, ანუ კერძო ჯგუფი საზოგადოებისა. ასეთი ღრმა სიძულვილი ქართველი ერის ნაკლულევანებისა, ასეთი ზიზღი ჩვენის ერის დამამცირებელის მოქმედებისა არც ერთს ჩვენს მწერალს არ გადმოუნთხევია, მაგრამ ყველამ იცის, რასაკვირველია, “ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია”.

რომანტიული ელემენტები ურევია თ. ილ. ჭავჭავაძის პოემებშიაც, მაგრამ აქ უფრო ადრე განთავისუფლდება პოეტი რომანტიზმის გავლენისაგან.

“კაკო ყაჩაღი”, რომელიც “უსამართლობას გამოჰქცევია”, უსამართლობას ბატონყმობის წესწყობილებისას, და ზაქრო, მეორე გმირი, რომელიც ამავე მიზეზით უერთდება მას, უფრო რომანტიკული გმირებია, ავტორის შეხედულების გამომხატველნი ამ წესწყობილებაზედ. ეს თემა საზოგადოდ საყვარელი თემა რომანტიკოსებისა (ბაირონი, შილლერი, ჰიუგო). იგინი თავიანთ ავაზაკს თითქოს იდეალურ ტიპად გვიხატავენ, მთელს საზოგადოებას უპირდაპირებენ და ამ საზოგადოებაზე მაღლა აყენებენ. ეს მწერლები ავაზაკთა იდეალურად შექმნით საზოგადოებას ამცირებენ და ფეხქვეშა სთელავენ, აგრეთვე იგინი იცავენ პიროვნების უფლებებს და საზოგადოებისაგან პიროვნებაზედ დადებულს უღელს ეომებინან.

თ. ი. ჭავჭავაძემ სრულიად არა აქვს აზრად კაკო და ზაქრო იდეალურ არსებებად დასახოს, მათი ცხოვრება “კაცს მოსწყინდება” კი არა, შეეზიზღება. ვის მიიზიდავს “უსახლკარობა, შიში, შიმშილი, მარტოკა გდება მხეცივით ტყეში, კურდღელსავითა ფხიზელი ძილი და იარაღი დღედაღამ ხელში”. რა სანატრელია იმ ადამიანთა ცხოვრება, რომელთა “გული ვაების ცეცხლმოდებული” ნაღვლითა და ბაღდათით არის აღსავსე. ასეთს ცხოვრებას თუ მიეკედლა ეს ორი კაცი, მიტომ მიეკედლა, რომ უსამართლობას გაექცნენ, მიტომ, რომ ზოგს მამას უკლავდნენ, ზოგს დედასა და დას უპატიურებდნენ. პოეტმა ამ პოემით ეს წესწყობილება დაჰკმო. პოეტს უნდოდა ეჩვენებინა მხოლოდ ის, რომ, ისეთი ცხოვრება, საცა ერთი ადამიანი მეორეში “კაცის გრძნობას არ ხედავს”, საცა ერთნი ცხოვრების მმართველნი და ბატონნი, “დედას ძუძუდან შვილსა აჰგლეჯენ და ვინ იცის სად



გაჰყიდიან... უწმინდურისა ხელითა სთხრიან დედისა გულში უკეთეს გრძობას, ცოდვით უთვლიან შვილისა ტრფობას; ქალს წართმევენ; ქალს გაჰყიდიან, ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად, უბრყვილო გულში ღვარძლს ჩაასხმიან, გახდიან ყვაილს ფეხქვეშ სათრეველად; მას, რაც ერთს უყვარდა, ნახავს დაცემულს, ნამუსს წართმეულს და შეგინებულს,” რომ ესეთი ცხოვრება ჰქმნის ავაზაკთ, სიცოცხლე გამწარებულთ და სიცოცხლე მოშხამულ კაცთ, რომელნიც აღშფოთებულნი და გააფთრებულნი მერმე თვით იყრიან გულის ჯავრს საზოგადოებაზედ. ავტორი გვიხატავს თანაც მდგომარეობას მთელის წოდებისა - გლეხობისას, “გლეხ-კაცის ბედს, ჭირსა და ლხენას,” რომელთაც საზიზღარი და საშიშარი ცხოვრება კაკოსი სანატრელად და საშურელად გარდაქცევიათ. ზაქროს, კაკოს მამებარსა, გზას მიასწავლის მეურმე, რომელიც “ნადვლიანად მწუხარს სიმღერას დაღუღუნებდა.” ზაქრო გაქუსლავს. მეურმემ თითქო მას შენატრაო, “ახ, ნეტავი შენ”, წაიდუღუნა და გაიქნია რა თავი მერმე, შურით ხარს შოლტი გაუტყლამუნა და მერმე ისევ, უფრო მწუხარედ თვისი სიმღერა დააღუღუნა.” ამ ორი-სამი სტრიქონით ავტორი ძლიერად გვისურათებს იმ დროის გლეხკაცობის მდგომარეობას. რამდენად უფრო შესაბრალოსია ეს საცოდავი გლეხი, რომლისთვისაც ავაზაკის ცხოვრებაც კი სანატრელად გაუხდია უსამართლობას, რამდენად მომხიბლველია თავისი ადამიანური ტანჯვითა და ვაებით. “კაკოებს” ის მაინც დარჩენიათ სანუგეშოდ, “ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი;” საწყალი გლეხის სევდის გამაქარწყლებელი ერთად-ერთი ღუღუნია “მწუხარე, ვით გლოვის ზარი”, რომელიც “ნადველს მოჰპერს დაჩაგრულს და უკუჰყრის კიდეც, ვით ღრუბელს ქარი.” ამ გლეხის დასურათებითაც პოეტს თითქო ის უნდოდა ეთქვა, აი, ეს წყობილება ასეთს ჩინებულს და მშვიდს წევრს საზოგადოებისას ავაზაკადა და მხეცად გარდაჰქმნისო.

ი. ჭავჭავაძის “აჩრდილი” ხომ ღირსეული პოემაა პოეტისა, საზოგადოებრივის კვნესისა და გოდების გამოთქმელი. პოეტს სასოებას წარუკვეთს თავის ქვეყნის ზნეობრივი დაცემა, სადაც “დიდკაცი დარბაისელი კმაყოფილების განცხრომაშია მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი სასოწარკვეთილ მონებაშია”, საცა ვაჭარიც ცბიერის ღიმით მოძმეთ ატყუებს, საცა “მღვდელნიც - ერთა მამანი”, რომელთაც “გულხელი დაუკრფვიათ” და აღარ ახსოვთ “სიტყვა დიდის სწავლისა, სიყვარულის და სამართალისა”. გრძობით აღსავსე პოეტს იმედს წარუწყმედს იმის დანახვა, რომ ქართველის “აზრში აზრს ვედარ პოებს”, რომ მისი სიცოცხლე უფერულია და ცარიელი, არა აქვს მის ცხოვრებას არავითარი გულწარმტაცი საგანი და თანაც ესდენ გულმომწყველი სანახაობა მაინც კიდეც ვერ უსპობს ნუგეშს, სასოება კვლავ მოევიწინება და იმედები კვლავ განუახლდება. კვლავ გამოუჩნდება “შვიდფეროვანი სარტყელი ცისა მახარობელად ტკბილ იმედისა”. სამაგიეროდ, “დიმიტრი თავდადებული” ნამდვილი რეალურ-ეპიკური პოემაა. ამ პოემით თ. ი. ჭავჭავაძე შეუდგება მტკიცედ გარკვეულს რეალიზმის გზას. “უტყუარისა და მართლის ამბის” მოთხრობა მეფანდურესაგან, დაცვა თვით სახალხო ენისა და შემდეგ თვით მთელი აზრი და შინაარსი პოემისა, რომელიც ღაღადებს, რომ ყოველისავე პირის კერძო სურვილი და ზრახვები უნდა საშობლოს, ერისა და საზოგადოების საკურთხეველზედ იქმნეს მსხვერპლად მიტანილიო, როგორც ეს მოიმოქმედა მეფე დიმიტრი თავდადებულმა - ყოველივე ეს ჰხდინა მას რეალურ პოემად, კლასიკური მშვენიერებითა და სიდიადით მოსვენ მას.

“განდეგილი”, უკანასკნელი პოემა თ. ილ. ჭავჭავაძისა, დამამთავრებელი და დამაგვირგვინებელია ავტორის რეალურის მიმართულების განვითარებისა. როგორც დედააზრი პოემისა (ყოველი კაცი, რომელიც ცხოვრებას გაურბის და ზურგს აქცევს მას, განდეგილივით დაისჯება და მის დამსჯელად ამ შემთხვევაში თვით იგი ცხოვრება გამოვა), ისე მთელი მორალური ფილოსოფია ავტორისა, რომელიც ამ პოემაში იხატება და ბოლოს თვით ფორმაც პოემისა არის სრული დამაკმაყოფილებელი რეალიზმის მოძღვრებისა.

ამგვარად, თუ თავდაპირველად თ. ილ. ჭავჭავაძის პოეზიას კიდეც აჩნია რომანტიკულის სკოლის გავლენა, სამაგიეროდ და ბოლოს სრულიად განთავისუფლდა ამ გავლენისაგან და შეჰქმნა შედეგრი რეალურის ნაწარმოებისა ქართულს ლიტერატურაში - “განდეგილი”. მან დაასრულა ევოლუცია რომანტიზმისა და შეიქმნა მამამთავარად რეალურის პოეზიისა ჩვენში და ერთ საუკეთესო მის წარმომადგენლად.

ამ პოემის გარჩევას ჩვენ დაწვრილებით შევუდგებით, ვინაიდან ჩვენ მიგვაჩნია იგი მეცხრამეტე საუკუნის ჩვენის ლიტერატურის უმთავრეს ნაწარმოებად როგორც აზრით, ისე ფორმით. ჩვენა გვგონია, რომ “განდეგილს” ჩვენს ახალ ლიტერატურაში დიდი ადგილი ექმნება და მისი გავლენა თითქმის საუკუნო იქმნება.

## V

საკვირველი ბედი გამოიარა თ. ი. ჭავჭავაძის ზემოხსენებულმა პოემამ. კარგად მახსოვს, რომ ქუთაისში ამ პოემის გამო დიდი მიტემა-მოტემა იყო. კარგად მახსოვს ისიც, რომ ერთი ჩემი ნაცნობი მოწაფე გიმნაზიისა, პირველის, თუ მეორე კლასისა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიძახოდა: “ბატონო, იდეა არა აქვს ილიას პოემასაო, რა შვილიაო” და სხვ. და რომ გეკითხათ მისთვის, რა არის იდეა, ან რა მოეთხოვება მწერლობას, რასაკვირველია, ვერაფერს მოგახსენებდათ. საყურადღებოა აქ მხოლოდ ის, რომ ამ ბავშვის სიტყვებში იხატებოდა მთლად ერთიანად ის აზრი, რომელიც მაშინ ქუთაისის საზოგადოებას შეედეგინა თ. ჭავჭავაძის ნაწარმოებზე; ილიას კალამმა უმტყუნა, უაზრო თხზულება დაგვიწერაო, ამბობდა ერთი. აბა, რა შვილიაო, გაიძახოდა მეორე, ილია გვიქადაგებს, ბერად შედექით, საწუთრო ესე საზიზღარია და სულის მშვიდობას მხოლოდ რომელსამე უდაბნოს სენაკში მოიპოვებთო. საშინლადაც სწყინდათ, ავტორმა “კაცია-ადამიანისა” და “კაკო ყაჩაღისამ” ასეთი რამ რად დაგვიწერაო. შეიძლება ერთსა თუ ორს ჭემმარტი აზრიც ჰქონდა შედგენილი ამ პოემაზე, მაგრამ მე მოგახსენებთ მხოლოდ უმეტესობის აზრსა. ამგვარი აზრის დაბადება ქუთაისის საზოგადოებაში უნდა მიეწეროს უდროოდ დაღუპულს, ნიჭიერს კრიტიკოსს, ესტ. ბოსლეველს (მჭედლიძეს). აი, რასა სწერდა მაშინ განსვენებული ესტ. ბოსლეველი “შრომის”<sup>1</sup> 18-ში (1883 წ.): “უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პოემა თითქო ახალს ხანას იწყებს ილ. ჭავჭავაძის პოეტურს მოღვაწეობაში. ამ პოემიდან სჩანს, რომ ჩვენმა ერთმა უკეთესმა პოეტთაგანმა, თითქო მიანება თავი ცხოვრებისთვის კითხვების გამოხატვას პოეზიაში თითქო თვითონ ცხოვრებასაც შესწერა და მის ავსა და კარგს გვერდი აუქცია”... მართალია, ბარათაშვილს და ორბელიანსაც აქვთ გამოთქმული ეს უკმაყოფილება ცხოვრების მიმართ, “მაგრამ ჯერ ისე ტიპიურად, პრინციპილურად არ გამოხატულა, როგორც გამოხატულია “განდეგილში”. ბ-ნ. ჭავჭავაძის პესიმისტურს შეხედულებას “საიქიოზედ” საზღვარი არა აქვს... ამგვარს ფაქტს ჩვენს ლიტერატურაში და ცხოვრებაშიაც კი აქვს, რასაკვირველია, თავის გასამართლებელი საბუთი, მაგრამ ამას მაინც ვერ დავარქმევთ ჩვენი მწერლობის ფეხის წინ წადგმას. პირიქით, ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ჩვენმა ნიჭიერმა პოეტებმა რეალურს ცხოვრებას, როგორც ერთს რასმე ჭირიანს, თვალი აარიდეს და განსვენება ეძიეს “განდეგილისთანა” პოემაში.

როგორღაც არა გჯერათ, რომ ამას ამბობდეს ის კრიტიკოსი, რომელმაც ისე საუცხოვოდ და ნიჭიერად აღწერა - რა მოეთხოვება პოეტს და პოეტურს ნაწარმოებს: “იმ პოეტს ჩვენ ბევრად არ ვაფასებთ”, ამბობს ბ. ბოსლეველი ამავე წერილში, “რომელიც მარტო მოვლენის გარეგანის მხრით, ზედაპირით სარგებლობს თავისის პოეტურის ნაწარმოებისათვის, რომლის პოეტური ნიჭი საზოგადოებრივის ცხოვრების განცალკევებულ მოვლენათა შორის ვერ ჰპოვებს ერთს დაფარულ დედააზრს და ამ დედააზრს ვერ გადასცემს მ კ ი თ ხ ვ ე ლ ს, ს უ რ ა თ ე ბ ა დ და ხ ა ტ უ ლ ს... მ გ ო ნ ი ა არ შე ე ვ ს ც დ ე თ, ვ ს თ ქ ვ ა თ, რ ო მ ჩ ვ ე ნ ს მ წ ე რ ლ ო ბ ა შ ი ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე თ ი თ ქ მ ი ს ე რ თ ა დ ე რ თ ი პ ო ე ტ ი ა კ უ რ ს ი ვ ი ჩ ვ ე ნ ი ა კ. პ. რ ო მ ე ლ ს ა ც ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს გა ნ ც ა ლ კ ე ვ ე ბ უ ლ მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა შე ე კ რ ე ბ ა, მ ა თ შ ი შ ი ნ ა გ ა ნ ი ს კ ა ვ შ ი რ ი ს გა მ ო ძ ე ბ ნ ა და მ ა თ გ ა ნ ე რ თ ი ს ს ა ს ტ ი კ ა დ გა ნ ს ა ზ დ ვ რ უ ლ ი ს ტ ი პ თ ა გა მ ო ქ ა ნ და კ ე ბ ა შე ე უ ძ ლ ი ა ნ” (ესტ. ბოსლეველი, “შრომა”, 1883 წ.,<sup>1</sup> 18).

ასე კარგად ესმოდა განსვენებულს კრიტიკოსს პოეტური ნაწარმოების ღირსება, ასე კარგად აფასებდა ჩვენს ავტორს, მაგრამ ასე უცნაურად მოეპყრო “განდეგილს”. ზემოხსენებულის სიტყვების დამწერს, ჩვენის აზრით, “განდეგილი” თითოთ საჩვენებელ მაგალითად უნდა მიეჩნია, რადგან იშვიათად “დაუხატავს სურათები” პოეტს ასე ნათლად, ასე ბრწყინვალედ “მოვლენათა შორის დაფარული დედააზრი”. ესტ. ბოსლეველის წერილებმა პირველადვე მოიპოვეს საზოგადოების სიმპათია და მიიპყრეს საზოგადოების ყურადღება, ამიტომაც გასაკვირველი არ უნდა იყოს, თუ საზოგადოებაში მისი აზრები ტრიალებდა და ყველა მისი აზრით სჯიდა ილ. ჭავჭავაძის ახალ პოემას. მას მერმე დიდი ხანი გავიდა. ამ პოემას უფრო ღრმად დაუკვირდნენ, უფრო შეიგნეს იგი. დღეს ძვირად მოიპოვება ისეთი კაცი, რომ არ აღიაროს მაღალი ლიტერატურული ღირსება და ღრმა აზროვნება ამ პოემისა, რომელიც, უნდა ვსთქვათ, ბოსლეველმაც სამართლიანად დააფასა. არც მაშინ უთქვამს რამე ბოსლეველს ამ პოემის უაზრობის შესახებ, მაგრამ თვით აზრი, რომელიც მან თავისებურად გაიგო, არ მოსწონდა, წარმატების ნიშნად არ მიაჩნდა. პესიმისტურს შეხედულებას ცხოვრებაზე, აბა, ვინ უწოდებს უაზრობას, მაგრამ შეიძლება ბევრმა მავნებლად მიიჩნიოს და არასასიამოვნოდ. ესტ. ბოსლეველს კიდევ ის არ მოსწონდა, რომ ფიქრობდა, რაკი თ. ილ. ჭავჭავაძემ ასეთი მკაცრის სიტყვებით დახატა ცხოვრება და მის “განდეგილს” ამ ცხოვრებისათვის ზურგი შეაქცევინა, ჰგავს სამაგალითოდ დაგვიხატა ეს ტიპი და მოქმედება განდეგილისაო. სხვანაირად, შეუძლებელია გაიგოს კაცმა უკანასკნელი

სიტყვები მისი ფელეტონის ამ პოემის შესახებ. ჩვენ გვგონია, რომ ბ-ნი ბოსლეველი უცნაურად შესცდა “განდეგილის” მთავარ აზრის შესახებ. ჩვენ ვეცდებით გამოვარკვიოთ აზრი ამ პოემისა და ამითვე დავამტკიცოთ ნიჭიერის კრიტიკოსის შეცდომა.

“ოდესღაც” ცხოვრების უმსგავსობისა და ბოროტებისაგან გულდათუთქული და სიცოცხლე მოშხამული ადამიანი განსდგომია ამ წუთისოფელს, მოშორებია მას და შეხიზნულა იქ, “სად წვიმა-თოვლი, ყინულად ქმნილი, მზისგან აროდეს არა სდნებიან, სად უდაბურსა მას მყუდროებას კაცთ ჟრიაბული ვერ შესწვდენია”. განშორებია ცხოვრებას “ვით ცოდვის სადგურს, სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს განსაცდელსა მას ეშმაკისას; სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ, ვითა მპარავი და მტაცებელი; სად რყენა, წაწყმედა და ღალატია, სადაც ძმა ხარბობს სისხლსა ძმისას; სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა, სად თვით სიტურფე და სათნოება ეშმაკის მახე და ცდუნებაა”, ყოველივე “მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი” განუდევნია გულისაგან, შებრძოლებია პირუტყვულს მხარეს ადამიანისას და ამ ბრძოლაში ღამე დღეთ უქცევია. მხოლოდ ერთსა ცდილობდა, ერთზე ჰფიქრობდა, მწიკვლისა და ბოროტისაგან განწმენდილ, განყენებულ არსებად გადაქცეულიყო. უნდოდა მარტო სული გაემეფებინა თავისს არსებაში და ხორცი კი ჩაეკლა, მოესპო ყოველივე მოთხოვნილება ხორცისა. მუდმივს ლოცვას, ცრემლთა ღვრას, მუდმივს ფიქრს “საიქიოზე” იგი რაღაც განყენებულის აზრისა და ოცნების ჭურჭლად გარდაუქცევია... მაგრამ დიდი ხნით კი?

ერთს დღეს, საშინელის წვიმისა და ქარიშხალის შემდეგ, მის სენაკში ამოვა ქალი და სთხოვს თავი შეაფარებინოს. ეს ყმაწვილი ქალი “სავსე სიცოცხლით, სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით”, განდეგილის მიძინებულს ბუნებას გაადვილებს. ამდენი ხნის შრომა, ტანჯვა ამ ბუნების დასათრგუნავად სულ ტყუილი გამოდგება. მთელი წლების მუდმივი ცრემლისა და ლოცვისაგან გაჰაეროვნებულს არსებაში სიცოცხლის ძალები თავს მოიკრებენ, მარჯვე დროით გახარებულნი საშინელის ენერგიით შეებრძოლებიან მათ მტანჯველს აზრს, მათ მომაკვდინებელს მოქმედებას და ნიაღვარივით გადმოხეთქას აპირებენ. ვერ გაუძლო საწყალმა მწირმა ამ ბრძოლას და ცეცხლის პირად მიძინებულის მშვენიერი არსების დანახვისთანავე გრძნობები აეშალა, ვნებათა ღელვამ გაიტაცა. მაგრამ დაიხარა თუ არა თავი, უეცრად გაშემდა. ტანჯვითა და დაგვიტ გამოძწვარი და შესისხლხორცებული მისი აზრი და წარმოდგენა ცხოვრებაზედ უეცრად წამოჰყოფს თავს და გაახსენებს მისს მდგომარეობას. მაშინ კი გამოერკვევა მწირი წუთიერის გატაცებისაგან, მაშინ კი გაიძახის: “ეჰა, წაწყმედავ, ეს რა სურვილი გულს გავიტარე!” მაგრამ გვიანდაა. მან დაარღვია თავისი მოვალეობა, მან უმტყუნა თავის აზრს. სულიერი მშვიდობა დაერღვა, გონება აერია და მაცდური სახე სდევნის მას. დედა-ღვთის ხატს უნდა ლოცვით მიჰმართოს და ღვთისმშობლის ნაცვლად “თვალთ წინ დაუდგა იგივე ქალი! პირჯვარი უნდა, ხელი არ ერჩის, ლოცვის თქმა უნდა, ენა ებმება, ხატის ხილვა სწყურს და იგივე... იგივე ქალი წყეული თვალთ ელანდება!”

მართალია, ეს ბრძოლა ბუნებრივის მხარისა მისს უარყოფელ მხარესთან (განყენებულებასთან, ასკეტიზმთან) არ გათავებულა პირველის ძლევამოსილის გამარჯვებით და მეორის სრულის დამარცხებით, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც იძლია. კაცს, რომელსაც “საიქიოსთვის ეს სააქაო დაუთმია და განშორებია”, რომელსაც ცხოვრების აზრად დაუსახავს, განდევნოს გულიდან ყოველი მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი, “რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა სულით განწმენდილ და განზანდილ”, ამგვარი კაცის დამარცხებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მსოფლიო ზრახვებს, სურვილებს და გრძნობებს ისევ ადგილს მისცემს თავისს გულში, თუგინდ ერთი წუთითაც.

სარწმუნოებას არ მოუთხოვია - დასტოვე ყოველივე ბუნებრივი მოთხოვნილებაო. იესომ ბრძანა: ვისაც შეუძლიან, მხოლოდ იმან არ უნდა იქორწინოსო, მაგრამ, “არა ყოველთა დაიტიონ სიტყვა ეგე, არამედ რომელთა მიცემულ არს”-ო. ხოლო ვინც კი ერთხელ იკისრებს ბუნების მოთხოვნილების ალაგმვას, ისიც არ უნდა დაავიწყდეს, რომ არა მარტო “არა იმრუმო” არის მისთვის აღკრძალული, არამედ უბრალო გულისთქმაც კი: “რამეთუ ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულისთქმად მას, მუნვე იმრუმა მისთანა გულსა შინა თვისსა.” ეს კანონი ვერ დაიცვა სიმტკიცით განდეგილმა, რადგან უძლეველ ძალას ბუნებისას ვერ წინააღმდეგა. მაგრამ არც ბუნების მოთხოვნილება დაიკმაყოფილა. ასე, რომ, ვერც ღმერთს ასიამოვნა და ვედარც მამონას და ამ ბრძოლაში “უტევა სული.” მთელი ინტერესი პოემისა სწორედ აქ არის, ამ ბუნების კანონებსა და მისი უარისყოფას (ასკეტიზმს) შუა ბრძოლაში.

განდეგილს ცხოვრებისათვის ზურგი შეუქცევია, მაგრამ ცხოვრება ღამაში ქალის სახით მის სენაკში შეიპარება. განდეგილი ხელახლა დაუპირდაპირდება ცხოვრებას, მის მომხიზვლელს ძალას ვედარ გაექცევა და უნდა სავსებით დაეწაფოს მას. მაშინ გონება შეაჩერებს, მოვალეობას გაახსენებს. მაგრამ, გვიანდაა ეს გახსენება, რადგან სასტიკი კანონი სარწმუნოებისა უკვე დარღვეულია. აქვე

სამაგალითოდ არის გარკვეული საგანი “სქესობრივის” მოთხოვნილებისა, რომელსაც ასეთი დიდი ადგილი უკავია დღევანდელ ლიტერატურაში. განდევნილი ვერ ახერხებს, სქესობრივ გრძნობას წინააღმდეგ. ეს გრძნობა ბევრად უფრო ფატალურია, ბევრად უფრო მომხიბვლელი და უძლეველი, ვიდრე ათასგვარი მოსაზრება ფილოსოფიურისა, გინდ ზნეობრივისა და სარწმუნოებრივის ხასიათისა. იგი სძლევეს აზრსაცა, გონებასაცა, ტრადიციონალურ შეხედულებასაცა და, ვითა გრიგალი რამ უცნაური წალეკავს და წააცამტვერებს ყოველსავე, რაც მას წინ ეღობება, რაც მის ძლევაში მშვენიერებას გზაზე უხვდება.

რა უნდოდა ეთქვა “განდევნილში” პოეტს, თუ არა ის, რომ ყოველი კაცი, რომელიც გაურბის ცხოვრებას, ცხოვრებისგანვე იქმნება დასჯილი ისე, როგორც დაისაჯა განდევნილი. ვერავითარი სენაკი და უდაბნო, ვერავითარი ცდა - “დღე და ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით სულისთვის ხორცის წამება,” “ვერც ლოცვის ცრემლი”, რომელიც არ შემწყდარა, “ვითა ღელესა მას გლოვისასა” - ვერ დასძლევს ბუნების მოთხოვნილებას, ვერ გააქარწყლებს სასტიკს კანონს ბუნებისას. მართალია, კაცს თავისი ენერჯითა და ნების ძლიერებით შეუძლია სასტიკი ბრძოლა გაუწიოს ამ მოთხოვნილებას, შეჰბოჭოს და შეასუსტოს იგი, მაგრამ მთლად ერთიანად მისი მოსპობა კი შეუძლებელია (ჩვენ აქ, რასაკვირველია, ნორმალური საშუალებანი გვაქვს სახეში და სრულიად არ მიგვაჩნია საყურადღებოდ სხვადასხვაგვარი ავადმყოფური და ბუნების წინააღმდეგი ხერხი თავის დასახიჩრებისა). ასეთი გამარჯვება ბუნებაზედ ვერ შესძლო ისეთმა არაჩვეულებრივმა ადამიანმა, როგორც არის ამ პოემის გმირი - განდევნილი, რომელიც წმინდანს დამსგავსებია, რომლის სულიც “სულ სხვა მსოფლიოს” შეხიზნებია, რომელსაც “სახე გამხდარი, კუმტი და მწყრალი სიწმინდის მადლით დაშვენებოდა და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს, შარავანდები გარდაჰფენოდა”. თუკი ასეთი მაღალსულივანი ადამიანი, გონიერებით აღსავსე, რომელსაც შეგნებულნი ჰქონდა ყოველივე სიბილწე ცხოვრებისა, ზიზღით აღვსებულა ამ ცხოვრების მიმართ და მიუტოვებია იგი, თუ მან ვერ სძლია ცხოვრების კანონი, ვერ გაექცა ცხოვრებას, სხვისთვის ხომ ამაზედ ფიქრიც მტკნარი ოცნება იქმნებოდა. ამ პოემით ი. ჭავჭავაძე არათუ ზურგს არ უჩვენებს ცხოვრებას, როგორც რაიმე “ჭირიანს”, წინააღმდეგ, გვიმტკიცებს, რომ ცხოვრება გარს გვარტყია, მისგან გაქცევა, მისი უკუგდება შეუძლებელია. რაც უნდა გეზიზღებოდეს ცხოვრების მოვლენები, მაინც უნდა დაემორჩილო ცხოვრებას, რადგან ადრე იქნება თუ გვიან, იგი თავისას მოითხოვს და მოითხოვს მკაცრად, უღმობელად. ყოველი, რომელიც გაურბის ცხოვრებას, იმნაირადვე დამარცხდება, როგორც “განდევნილი”. გასაოცარის ხელოვნებითა აქვს ავტორს აღწერილი განდევნილის ფსიქოლოგია. მასში ბუნებრივი მხარე არ მომკვდარა, მხოლოდ მიძინებულია. თვითონაც კარგად იცის, რომ ეს ლომი თუმც მიძინარა, მაინც ძლიერია და ყოველს ღონესა ხმარობს, არ გააღვიძოს იგი. გაიხსენეთ მისი შიში, როცა კაცის ხმა მოესმა. “ჰკითხა - ვინა ხარ? კაცი, თუ მავნე, აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?” განა ამას იკითხავს კაცი, რომელსაც რაღაც ეჭვი არ დარჩენია გულში? განა ამას იკითხავს ადამიანი, რომლის “ხორციც” ნამდვილად “უძლეურ ქმნილა” და არ იტყუებს თავს, რომ ეს ასე არის? განდევნილი მაინც შემოუშვებს ქალს და თანაც ამას ელაპარაკება: “თუ მაცდური ხარ, სჩანს ღმერთს სწადიან, მწირი ცოდვილი დღეს გამოსცადოს”. წინდაწინვე მოისაზრა, შეიძლება მაცდური იყოსო, ჰგავს მტერი უცერად თავს არ დასხმია და მასაც შეეძლო იარაღით აღჭურვილიყო და ისე გამოსულიყო საბრძოლველად. ასე რომ, აქ მისი დამარცხება არ შეიძლება, რაიმე უცაბედობას მიეწეროს.

ბოლოს იმასაც გაიგებს, რომ ეს ქალი ყოფილა და კიდევ უფრო გაოცდება, მაგრამ ერთს წუთსაც არ ავიწყდება, იქნებ განსაცდელიაო და ვერ ახერხებს სასოებითა და გულდამშვიდებით დაემორჩილოს ღვთის ნებას.

ეხლა შეხედეთ, რა ღრმა ფსიქოლოგობას იჩენს ავტორი, როცა დაგვიხატავს, როგორის თანდათანობით იღვიძებს განდევნილის არსებაში ბუნებრივი გრძნობები.

სტუმარს ცეცხლის ალმა მიაშუქა, სახე გაუნათა და განდევნილს თვალწინ წარმოუდგა “ყმაწვილი ქალი სავსე სიცოცხლით, სავსე შეგნების ჯადოთი, გრძნებით”. ამ დიდებულმა სანახაობამ დაუმშვიდა ადელვებულნი სული განდევნილს, რადგან ირი სიამოვნება მოაფინა გულს, და მან ტკბილად და ნაზად დაუწყო ბაასი ქალს. ყოველი სიტყვა ამ ქალისა ციურ ჰანგებად სწვდება მის არსებას, საოცარ მომხიბვლელ მუსიკად ესმის. ქალიც თავგადასავალის მოთხრობას დაიწყებს, თითქოს მისთვის, რომ ნელ-ნელა მიაჩვიოს განდევნილი, უკვე მომზადებულს ბრძოლას. ქალი უამბობს, თუ რანაირად გაიტაცა უსულო ბუნების სიმშვენიერემ და დაავიწყა მამის ბრძანების აღსრულება; თავს იმართლებს: “მაგრამ რას იზამ, მოდი გულს უთხარ, კარგ სანახავზე ნუ ხართქო ხარბი?” თითქო ამით უნდა განდევნილს შეაპაროს და ჩააგონოს ის აზრი, რომ, თუ უსულო ბუნება კაცზე ასე მოქმედებს, რაღა უნდა იყოს ხორცმესხმული მშვენიერება, ცოცხალი შვილი

ბუნებისა და რაღა გასამტყუნარი იქნება ის, ვინც ამ მშვენიერების წინ თავს მოიხრის. განდევილი ჰიპნოზური ძალით შეპყრობილია, მოხიბლულია და ეხლა ყოველი მისი სიტყვა ნაბიჯია უფსკრულისაკენ, იმ გზის ჩამოცილებაა, რომელმაც სენაკამდის მიიყვანა. მის პასუხში იხატება არა სიხარული და კმაყოფილება თავისი ხვედრით, თავისი მოქმედებით, არამედ სევდით გავსილია იგი და სამდურავისებურია განგებისა და ბუნების მიმართ. “ვინ მოხედავს ქვეყნით ერთს დავიწყებულს და განდევილს მწირს!” ამბობს იგი და თითქო ესაყვედურება ვიღაცას, რომ ასე მიტოვებულია და მივიწყებული, ის კი დავიწყებია, რომ თვით დასტოვა ქვეყანა. მერე განაგრძობს, მარტოკა ვარ, მოვშორდი ყველას, “ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა.” როგორ, ღვთის ნება და არა მისი? აქაც ხომ ჩივილია ღვთისა მიმართ, რომელსაც ასე მოუწყვია მისი ცხოვრება; აქ ხომ ნატამალიც აღარა სჩანს იმ სიამოვნებისა, რომელსაც უნდა ჰგრძნობდეს იგი, რომ თავისავე სურვილით ამ ბოროტებით აღსავსე სოფელს მოშორდა. ბოლოს იქამდისაც მიდის, რომ თავს უბედურად ჰხადის: - “ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურსა...” ეს სიტყვები კი პირდაპირი წინააღმდეგობაა თავისის ხვედრისა, გამომხატველია მისი ძლიერის უკმაყოფილებისა იმ ხვედრის მიმართ, რომელიც განგებამ მას არგუნა, ეს თვით მასაც კარგად ესმის, ესმის... რა ცოდვა ჩაიდინა ამ სიტყვების წამოროშვით:

“უბედურსაო”!... და მწირსა უცებ  
გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედ...  
ესეთი სიტყვა ხომ ჩივილია  
და ვით მოადგა იგი ენაზედ?

“უბედურსაო?”!.. - ეგ ხომ სიტყვაა  
გულის ტკენის და სამდურავისა!  
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკვნესაა  
ბედნიერების დამკარგავისა!...

მან რა დაჰკარგა?... ნუთუ არ ჰყოფნის,  
რომ მან დასძლია საწუთროება,  
განდგა მისგან და აქ მოიპოვა  
სულის მშვიდობა და მყუდროება?

ნუთუ დაკარგვად აწ მიიჩნია  
დამარხვა ხორცის, გულთქმის, ვნებისა  
და არა ჰკმარის, რომ სულს დაუდგა  
წმინდა საყდარი უკვდავებისა?

რა დაემართა? რა მოუვიდა?  
ნუთუ უჩივის აწ იგი ბედსა?  
ნუთუ აწ ჰნანობს ქვეყნის დათმობას  
და მუნათს რასმე სდებს შემოქმედსა?”

ცხოვრების ძალებმა ჯერ თვალები გაახილეს, ეხლა კი მთლად წარმოიმართნენ და თავისი ღონე გამოიჩინეს. ეხლა ქალში განდევილი მაცდურს აღარა ხედავს. მისი სახე სიამოვნებით აცისკროვნებს მის გულს, მის გაცეცხლებულ არსების დამამებელ მალამოდ ხდება, მის აღმფოთებულს სულს აცხრობს და ამშვიდებს. მაგრამ ეს სიმშვიდე, ეს სიამოვნება სულ სხვანაირია, როგორღაც მაცდურად ტკბილია და მომჯადოებელი. ეხლა თითქო მისი გული ებანს სცემს

“და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა.  
როგორ იწამოს და რა დაარქვას  
ამ ჯერ არცნობილს სიტკბობასა?  
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს  
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?”

ეხლა მხოლოდ ისღა აკლია, აშლილი გრძნობები დაიკმაყოფილოს, სიტკბოების ფიალა ძირამდის გამოსცალოს. დაჰყოფს კიდევაც ბაგეს ამ ფიალას, და იგრძნობს რა დამათრობელის სიტკბოების სიხლოვეს, გაახსენდება, რომ ეს მისთვის აღკრძალული ნაყოფია და ხელსა ჰკრავს

ვიალას. მაგრამ რაღა დროს, ხომ მოიწადინა ამ სასმელის გემოდ ნახვა, ხომ კიდევ დაეყრდნო მომჯადოებელის ნექტარის ჭურჭელს - ესეც კმარა, მოვალეობა დარღვეულია, მცნებას გარდასულია. ამ მოვალეობის დარღვევამ განუღვიძა სინიდისი, ეს სინიდისია, რომ გაიძახის: “წაწყმდი თუ არაო”; ეს ცოდვის შეგნებაა, რომ ალაპარაკებს რაღაცას მის გულში: “დაგძლიე თუ არ?” დიად, სძლია, სძლია. ამ ქალის სახეს ვეღარ იცილებს გონებიდან. ღვთისმშობლის ხატზედ ლოცულობს და ხატის “თვალთ წინ დაუდგა იგივე ქალი!” “პირჯვარი უნდა, ხელი არ ერის, ლოცვის თქმა უნდა, ენა ებმება, ხატის ხილვა სწყურს და იგივე... იგივე... ქალი წყეული თვალთ ელანდება!” ეხლა კი მიხვდა, რომ დაღუპულია, რომ ამდენის ხნის ცდამ ტყუილად გაუარა. აღელვებული, აღშფოთებული, გიჟივით გავარდა გარეთ. გათენდება თუ არა, ლოცვანს ეცემა, და უნდა სხივზე დააყრდნოს და ამით მაინც დარწმუნდეს, რომ ღმერთმა შეუწდო, აპატივა, შეიბრალა, მაგრამ სხივი ლოცვანს არ დაიჭერს. განდეგილს “დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა, გამრა, გაშეშდა ზარდაცემული, ერთი საშინლად შეკბდავლა ღმერთსა და იქავ სხივქვეშ უტევა სული”.

ეს სიკვდილიც განდეგილისა დიდის სინამდვილით არის აღწერილი. ამდენი ხნის შეკავებულის, მოზღვავებულის გრძობის დაუკმაყოფილებლობას უთუოდ ასეთი მძიმე შედეგი უნდა მოჰყოლოდა. ამას ზედ დაუმატეთ მისი დასუსტება სულიერის ბრძოლის გამო და მაშინ ცხადია, რომ ამგვარად უნდა გათავებულიყო მრავალტანჯულის მწირის ცხოვრება. ასე რომ, ავტორმა თვით სიკვდილიც დაუკავშირა განდეგილის მოქმედებას. ცხოვრებიდან გაქცევა, მისი მოთხოვნების უარყოფა მომაკვდინებელია და მომსპობელი. მისი დაკმაყოფილება კი შეუძლებელი იყო განდეგილისათვის, რადგან წინააღმდეგია იმ თავისებურად შეგნებულის მოვალეობისა, რომელიც მას წმიდათაწმიდად მიაჩნდა. ამ უცნაურის წარმოდგენის ძალით, ბუნებრივ გრძობებზე ფიქრიც კი ცოდვაა და ამიტომაც მისი ცხოვრება ასეთის საშინელის კატასტროფით გათავდა.

ამაშია მაღალაზროვნება და სიღრმე ამ პოემისა. პოეტმა წარმოგვიდგინა სურათი სიცოცხლისა და ცხოვრების და მისი უარყოფის - აკსეტიზმის, - შეტაკებისა, რომელშიაც პირველი დარჩა გამარჯვებული. ამ ბრძოლის ამგვარად დასრულებით პოეტს თითქო ის უნდოდა ეთქვა, ტყუილანუ ცდილობთ, გაექცეთ ცხოვრებას: მისგან გაქცევა შეუძლებელია და, ვინც კი ამას მოინდომებს, განდეგილის ბედს შეეყრებაო.

ბ-მა Wasiani-მა ფრიად საყურადღებო სიტყვები უძღვნა თ-დის ჭავჭავაძის პოემას. თავის ერთ წერილში ინგლისის ცხოვრების შესახებ, შემდეგი სიტყვები აქვს მოთავსებული: ქ-ნი უორდროპისა აპირებს “ვეფხისტყაოსნისა” და “განდეგილი“-ს გადათარგმნასო. მართალია, დიდი მწერალია რუსთაველი და მისი თხზულებაც დიდებული ქმნილებააო, მაგრამ “ჩვეულებრივი მკითხველი”, განაგრძობს ბ-ნი Wasiani, “ჩვენთა დღეთა განათლებული ბრბო უფრო გაიგებს, უფრო გულმოსახვდომად მიიჩნევს ამ განდეგილს, ამ გულმართალს, დიდებულ ადამიანს, რომელიც წინააღმდეგობას ვერ უწევს ადამიანის აგებულების ძირეულ მოთხოვნებთან, ყოველის დამძღვესა და ყოველის განმაცხოველებელს სიყვარულს. “განდეგილი” დიდად მშვენიერი ნაწარმოებია, ვინაიდან შიგ ჟღერს სიმი ელინინიზმისა, ესე იგი ცხოველის ორგანიზმისა, ამის ჰარმონიით სავსე ცხოვრებისა და ამ ცხოვრების სიტკბოების უფლებათა დაცვისა... იმის ჰარმონიულს ლექსში სცემს დატანჯული გული აწინდელის კაცობრიობისა, ასკეტიზმისა და იუდაიზმის სასტიკ ძალმომრეობისაგან ახლად განთავისუფლებულისა. და განათლებული კაცობრიობა ღირსეულად დააფასებს კიდევ დიდად მშვენიერს ნაწარმოებს ი. ჭავჭავაძისას. “განდეგილის” შინაარსისა ბევრი რამ არის დაწერილი ყოველს ლიტერატურაში. საკმარისია დავასახელოთ ფლობერის “la tentation de St. Antoine”-ი და ზოლას “la faute de l'abbé Mouret”, მაგრამ “განდეგილს” კი თავისის სისადავით, მოკლე სიტყვებით და უმთავრესად კი განდეგილისა და ყმაწვილის ქალის საუბრის მომხიბვლელ გულუბრყვილობით ხსენებულ მწერალთა ნაწერებს ვამჯობინებ” (“ივერია”, 1894 წ., 198).

დიდის სიამოვნებით აღვნიშნეთ ეს აზრი ბ-ნის Wasiani-სა და საყურადღებოდაც მიგვაჩნია იგი. ჩვენ სხვა აზრიც გვქონდა, ამ ადგილს რომ ვიწერდით. ბ-ნი Wasiani ადარებს “განდეგილს” ფლობერისა და ზოლას რომანებს; ჩვენ უფრო დაწვრილებით შევადარებთ ამ თხზულებებს. ვეცდებით დავანახოთ მკითხველებს, თუ რა დიდი განსხვავებაა ამ პოემასა და ზემოხსენებულის მწერლების ნაწარმოებთა შორის.

ზოლას შესანიშნავი თხზულება “La Faute de l'abbé Mouret” (“აბატი მურეს შეცდომა”) გვიხატავს ორთა აზრთა შეტაკებას, ორთა გრძობათა ბრძოლას: ბუნებრივის გრძობისა და ასკეტიზმისას, ანუ წარმართთა აზრისა, ელინინიზმისა და ქრისტიანობრივის, განსაკუთრებით კათოლიციზმის, აზრის შებრძოლებას. თუ ბერძენთა, ელინინთა სარწმუნოება ცხოვრების გაღმერთება იყო, თუ მთელი

მათი მითოლოგია ამ წუთისოფლის ქებათა ქება იყო, თუ, მათი აზრით, ამ ქვეყნის მოთხოვნილების ძლიერებას ღმერთებიც კი ემორჩილებოდნენ, სამაგიეროდ, ქრისტიანობრივი სარწმუნოება შეიქმნა სრული უარყოფელი ცხოვრებისა. მთავარი აზრი ამ სარწმუნოებისა, იმ რიგად, როგორც ასწავლიან ოფიციალური წარმომადგენლები ამ სარწმუნოებისა, ეს აზრი ამ სოფლის უარყოფაა, სააქაოს საიქიოსათვის დათმობაა. მხოლოდ იგი გახდება, ამ მოძღვრების მიხედვით, ნეტარების ღირსად, რომელიც თავს დაადევს საწუთროს მაცდურებას, ყოველივე მის მომხიბვლელ ძალებს ზურგს შეაქცევს და მარტო სულზედ და საიქიოზედ ფიქრს შესწირავს მთელს თავის სიცოცხლეს. ამ აზრებით გამსჭვალული აბატი მურე, 25 წლის პატერი, სულით ავადმყოფს ქმნილებას წარმოგიდგენს. მასში საშინელის ძალით იღვიძებს “ადამიანის აგებულების ძირეული მოთხოვნილება” და ბუნებრივი მოთხოვნილებანი ტანჯვას აყენებენ მას, მაგრამ იგი ლოცვითა და გვემით სძლევს მათ. მხოლოდ დიდი ხნის ბრძოლა ისე მოქანცავს, ისე დაასუსტებს ახალგაზრდა პატერს, რომ გაცივდება და მძიმე ავადმყოფი შეიქმნება. ბიძა მისი, ექიმი, გადაიყვანს მას მახლობელ საუცხოვო ბაღში, რომელშიაც სცხოვრობს ერთი მოხუცებული მეზღვე თავისი ძმისწულით, ახალგაზრდა ქალიშვილით. თუ აბე მურე ასკეტიზმის ნაყოფია და სულით და ხორციით დასუსტებული და გაფანატიკოსებული ქმნილებაა, სამაგიეროდ ალბინა (ასე ერქვა მეზღვის ძმისწულს) ნამდვილი ბუნების შვილია, კიდევ მეტი, თვით განხორციელებული ცხოველი ბუნებაა. იგი მეტისმეტი პირუტყვი ცხოვრების მიმდევარია, დილიდან საღამომდე ჩიტივით ერთი ხიდან მეორეზე ხტება, სულ ბაღში დარბის და ცელქობს, სულ პირუტყვებთან ატარებს დროს. როცა პატერი უგრძობლად მიიყვანეს მეზღვისთან, ალბინამ თავს იდვა მისი მოვლა და, მართლაც, მისი ზრუნვისა და კარგი ჰაერის წყალობით, მღვდელი იმდენად მოკეთდა, რომ ბაღში სიარული დაიწყო; ალბინა და სერჟი (ასე ერქვა მურეს) ამ საუცხოვო ედემის მსგავსს ბაღში ადამსა და ევას მოგაგონებდათ. ალბინა სხვაფორიაც ამტკიცებს ევას შთამომავლობას - საწყალ მღვდელს მოჰხიბლავს და შეაცდენს. მათ სიამოვნებას საზღვარი არა აქვს. ბუნებაც აღტაცებულია თავისი გამარჯვებით და თავის შვილებს ალერსითა და სასოებით უყურებს. ხოლო ასკეტიზმი თავისი “მსახვრალს ხელს” აქამდისაც მოაწვდენს: ბერი, ამხანაგი მურესი, გამოჩნდება ბაღში, დასტუქსავს მას და წაიყვანს იქიდან; ამის შემდეგ მურე სრულიად გამომრთელდება, თავისი “შეცდომა” ბურანივით აგონდება და იმავე ეგზალტაციით აღსავსე პატერად იქცევა, როგორც წინათ იყო. ერთხელ კიდევ მიიტყუებს ალბინა ბაღში, მაგრამ ტყუილად. მურე გულგაგრილებულია, იგი კაცს აღარ წარმოადგენს, მარტო განყენებული არსებაა, უფრო ლუსკუმას მიაგავს. როცა ალბინა აღზნებულის ბაგეებით დაეკონება მის გაყინულს, უგრძობელს ტუჩებს და დაინახავს ამგვარად გამოცვლილს თავის სატრფოს, შიშსა და სასოწარკვეთილებას მიეცემა, ხელსა ჰკრავს მურეს და განაძეგებს ბაღიდან. თვითონ კი თავს მოიწამლავს. ალბინას გვამს წესს უგებს ისევ ეს მურე და ისევ გულცივად დასჩერებია მის საფლავს, რომ ერთხელ წარბსაც არ შეანძრევს.

ზემოთაცა ვსთქვით, აქაც ბრძოლაა ა ს კ ე ტ ი ზ მ ი ს ა და ცხოვრების მოთხოვნილებათა შორის და ამ მხრივ მსგავსება აქვს თ. ჭავჭავაძის პოემასთან. მაგრამ, ჯერ ერთი, აქ ასკეტიზმი რჩება გამარჯვებული, მაშინ, როდესაც “განდეგილ”-ში ბუნება სძლევს ასკეტიზმს. მართალია, ზოლას რომანში ასკეტიზმის გამარჯვება დამარცხების მსგავსია, რადგან მისი გამარჯვება იმხვერპლებს ყოველსავე კარგს და ჩვენში ზიზღსა ბადებს, მაგრამ გარეგანი განსხვავება მაინც არის. მართალია ისიც, რომ აბე მურე ერთხელ “შეცდება”, მაგრამ ეს იმ დროს, როცა ავადმყოფობისაგან დასუსტებულია, როცა ის თავის თავს აღარ ეკუთვნის. გამომრთელდება თუ არა და ისევ ნორმალურად დაიწყებს მისი ცხოვრება მიმდინარეობას, იგი უძლეველია, გაქვავებულია ყოველივე “ძირითად მოთხოვნილებათათვის.” გარდა ამისა, განდეგილი ფილოსოფოსია, პესიმისტი, ცხოვრების ბიწიერებისაგან გულმოწამლული, რომელსაც უნდა ქვეყნის ცოდვები ლოცვითა და ცრემლით გამოისყიდოს, მღვდელი მურე კი ცრუმორწმუნოებისა და უაზრო ფორმის აღსრულების წადილის მსხვერპლია, იმ ფორმის, რომელიც ფორმალიზმს გამოუგონია და რომელსაც არავითარი მტკიცე ნიადაგი არ მოეპოება არც სარწმუნოების კანონებში და არც ბუნებისაში. თ. ჭავჭავაძის განდეგილი ცხოვრებას სტოვებს იმიტომ კი არა, რომ სარწმუნოების ესა თუ ის ფორმა აღასრულოს, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრებამ სიცოცხლე მოუშხამა, რადგან გაიგო ყოველივე ნაკლულევანება, ყოველივე საზიზღრობა საწუთროისა. სწორედ ამის მიზეზით კისრულობს იგი რომელისამე ფორმის აღსრულებას. ზოლას განდეგილი კი ცხოვრებასა სტოვებს (ისიც ერთ მხარეს ცხოვრებისას, თორემ ისე კი მაინც სოფლის მღვდელია და ცხოვრებაშივე დატრიალობს), სტოვებს მხოლოდ მიტომ, რომ პატრია და პატრი ვალდებულია ეს ფორმა აღასრულოს. მღვდელი მურე ეგზალტაციით აღსავსე, ავადმყოფი ქმნილებაა, არანორმალური არსებაა, თითქმის ფსიქოპათია. იგი რაღაც უცნაურის მოვალეობის სურვილს ისე გაუტაცნია, რომ თავს იტანჯავს, ბუნებრივ გრძობას

ისპობს და მხოლოდ მაშინ იმარჯვებს ეს გრძნობა, როცა იგი დაქანცულია და ავადმყოფობისაგან დაუძღვრებული. ი. ჭავჭავაძის განდევნილი კი ნორმალური არსებაა, სულით და ხორციტ მრთელი და ამიტომაც მასში ბუნებრივი გრძნობა ძლიერია, მთლად ვერ მოუსპია იგი, თუმც იმდენზედ სულით ძლიერი ადამიანი კია, რომ შეუძლია სულ არ მიუშვას “ძირითად მოთხოვნილებათა სადავე.” ზოლას მურე მიტომ ხდება პატრად, რომ ამას თხოულობს მისი ეგზალტაციით აღსავსე ბუნება, რომელიც იეზუიტთა სასწავლებელში კიდევ უფრო დაასახიჩრეს; მას ცხოვრებაზედ არავითარი აზრი არა აქვს შედგენილი, არც იცის ცხოვრების სიაკვარგე, თუ, არ იმავე იეზუიტებისგან. განდევნილი კი მიტომ სტოვებს სააქაოს, რომ იგი მისთვის “ცოდვის სადგურია”, “ბოროტის სამეფოა”.

“სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს  
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;  
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღედაღამ  
ვითა მჰარავი და მტაცებელი;  
სადაც, რასაც ჰხდის მართალი მართლად,  
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;  
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,  
სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა,  
სად ცილი, ზაკვა ძულეებადა ჰხდის  
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.  
განშორებია ამ წუთისოფელს,  
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,  
სად თვით სიტურფე და სათნოება  
ეშმაკის სახე და ცდუნება”.

ამგვარი ღრმა ცოდნა ცხოვრებისა, არც კი მოსიზმრებია საბრალო მურეს და ამ ორ პირთა შორის ის განსხვავებაა, როგორც ღრმა ფილოსოფოსსა და ფანატიკოსს შორის.

ზოლა, ჩვენის აზრით, უფრო ვიწრო აზრს ებრძვის, კათოლიციზმისაგან შექმნილს კანონებს და მისგან დადგენილს ასკეტიზმს, ებრძვის მას, როგორც ბუნების დამასახიჩრებელს და ადამიანის დამღუპველს ფორმას. თ. ჭავჭავაძე, ჩვენა გვეგონია, საზოგადოდ “განდევნილობის” წინააღმდეგია, ცხოვრების უარმყოფელ ფილოსოფიას გამკლავებია. ებრძვის ცხოვრების უარყოფას, რაშიც უნდა იხატებოდეს იგი (ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ განდევნილი მთლად მოშორებულია ცხოვრებას, აბატი მურე კი ზოგიერთს მხარეს ცხოვრებისას სრულიადაც არ ჰყოფს უარს). თ. ჭავჭავაძე ისეთივე წინააღმდეგი იქმნებოდა პოეტის, რომელიც მარტო ცაში ნავარდობას დაიჩემებდა და “გარეგანი ფრინველივით” იმღერებდა, ქვეყნისა და კაცობრიობის ტანჯვა-მწუხარების შემსუბუქებას არ მოიწადინებდა, ტანჯულთა გვერდში არ ამოუდგებოდა, მხარს არ მისცემდა და ჭირის ოფლს არ მოსწმენდა მათ. თ. ჭავჭავაძისათვის განდევნილის მსგავსია და იმნაირადვე დაისჯება მეცნიერი, რომელსაც ცხოვრების დარდი არა აქვს, თავის ოთახში ჩაკეტილია და სხვადასხვა აზრთა თამაშობით თავს იქცევს და სიცოცხლესა სწირავს უმნიშვნელო ნაკუწების შეგნებას. ამასაც ხომ, განდევნილის არ იყოს, ჰგონია თავისი ჩხირკვედლაობით ქვეყანას იხსნის და ამ დროს, ვინ იცის, ცხოვრების ქარიშხალი რამდენ სულს იმსხვერპლებს და მოსპობს, ვინ იცის, რა არა ხდება ცხოვრების შემაფერხებელი და დამამხოველი, რომლის ფიქრიც არა აქვს განყენებულსა და ცხოვრების უარმყოფელს ადამიანს.

ილ. ჭავჭავაძე ამ პოემით ცხოვრების ფილოსოფიის მოსარჩლე ხდება. ვერაფრით ვერ გაიმართლებთ თავს ამ პოეტის წინაშე, თუ ცხოვრებას გაექცით და ვერავითარის განყენებულის მოქმედებით ვერ გამოისყიდით მის თვალში თქვენს ცოდვას, - საწუთროს მიტოვებისას. დიდი ხანია, რაცა სთქვა თ. ჭავჭავაძემ:

“მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,  
ვით ფრინველმა გარეგანმა;  
არა მარტო ტკბილ ხმათათვის  
გამომგზავნა ქვეყნად ცაშა.

დიდის ღმერთის საკურთხეველის  
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,



რომ ერისა მოძმედ ვიყო  
ჭმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სული,  
მის ბედით და უბედობით  
დამედაგოს მტკიცე გული...”

ცხოვრების, საზოგადოების სამსახური, რაც უნდა მწარე აღსასრულებელი იყოს იგი, ამ გზაზედ სიარული, სავალდებულოა, რაც უნდა კაჟითა და ეკლით იყოს მოფენილი, - ეს არის თ. ჭავჭავაძის იდეალი. თ. ჭავჭავაძის იდეალია ისეთი აღმასრულებელი ღვთის მცნებისა, როგორც თავის “გლახის ნამბობში” დაგვიხატა მღვდლის სახით და რომელიც სრულიად სხვა გზით სცდილობს, ემსახუროს ღმერთსაცა და მოყვარესაც, ვინემ განდეგილი. იგი უმსუბუქებს ხვედრს გაჭირვებულებს, თავს სწირავს კაცის სიკვდილიდგან დახსნისათვის, აძლევს მათ გონებრივსა და ხორციელს საზრდოს. იგი ცხოვრებაში ტრიალებს და ცხოვრების ტალღებს გამირულად ებრძვის. კარგად ესმის, რომ მარტო ცრემლითა და ლოცვით გულის მოხება თუ შეიძლება, თორემ კაცს ვერას უშველი.

“განდეგილში” ის გვიჩვენა ილ. ჭავჭავაძემ, თუ როგორ არ უნდა მოიქცეს კაცი, რომ ტყუილუბრალოდ არ გაუაროს მისმა ამ ქვეყნიერმა ცხოვრებამ. ხოლო “გლახის ნამბობში” ის მოძღვარი დაგვიხატა, რომელიც მისაბამავ იდეალად უნდა დავისახოთ. განდეგილი სენაკს შეჰკედლებია, მოშორებია წუთისოფელს “ვით ცოდვის სადგურს”, ვით “სამეფოს ბოროტისასა”, ლოცვითა და ცრემლით ჰლამის “წაწყმედისაგან ქვეყნის დახსნასა”; “გლახის ნამბობის” მოძღვარი კი სულ სხვას ელტვის, სულ სხვას ქადაგებს. “კაცი ის არის, ჩემო ძმაო”, ეუბნება ის გაბრიელს, “რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს ხიდათ გასდებს, რომ, თუ არ თითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხიდს ზედ აჩნევია ყოველთვის ღვთის მადლი, მაშინ ყველაფერი საღმრთოა.” “სიცოცხლე ჩვენი, ძმაო”, ამბობს იგი მეორე ადგილას, “არც დედისა, არც მამისა, ქვეყნისა არის” და თანაც რუსთველის ლექსსაც დასძენს: “მე იგი ვარ, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად”.

არ გავკადნიერდები და არ შევეხები ავტორის ფსიქოლოგიას, თორემ მე შემეძლო დამენახებინა მკითხველთათვის, რამდენი თვისება და ნათესაობაა თ. ჭავჭავაძისაგან დასურათებულს ზემოხსენებულს ტიპებსა და თვით ავტორს შუა. მე შემეძლო პარალელი გამეყვანა ავტორის ცხოვრებაზედ შეხედულებასა (“აჩრდილი”) და იმ ხანდისხან საღსა და ყოველთვის ძლიერს პესიმისტურს აზრს შუა, რომელიც განდეგილს შეუდგენია ცხოვრებაზედ. მე შემეძლო დამემტკიცებინა, რომ ავტორი ყოველთვის ცდილობდა, თავისი “გონების ნამუშევარი, გულის სიკეთე ხიდად გაედვა”, “გლახის ნამბობში” გამოყვანილის ტიპის არ იყოს. ვინც ჩაჰკვირვებია თ. ჭავჭავაძის მოღვაწეობას, კარგად მიხვდება, რომ აზრით “განდეგილი” - მოქმედებით “გლახის ნამბობის” მოძღვარია. და ყოველივე ამასზედ უნდა დაურთოთ ის გარეგანი სისასტიკე (თვით ნაწარმოებშიაც), ის გარეგანი სიამაყე და “უკმეხოზა”, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, რომელიც ისე მშვენიერად დაგვისურათა ავტორმა “ოთარანთ ქვრივში”, - სისასტიკე, რომელიც ფარავდა ღრმა შეკრებულებას თავის უფლებისა და მოვალეობისას, გარეგანი სიამაყე, რომელშიაც ნათლად გამოსჭვივდა თავისი ღირსების შეგნება და მოყვასის სიყვარული, სიმკაცრე, რომელშიაც ცხადად სჩანდა კაცთა შემზრალეობა, გულშემატკივრობა და ადამიანურის გრძნობით აღსავსე ბუნება ამ მაღალსულოვანი ადამიანისა.

ეხლა ისევ ჩვენს გზას გავუდგეთ.

ფლობერის “წმ. ანტონის განსაცდელს” (“La tentation de St. Antoine”) სულ სხვა აზრი აქვს. ფლობერის ფილოსოფია საშინელი პესიმისტური იყო და ყოველი მისი თხზულება არის უცნაურის სევდით აღსავსე. ფლობერი ყოველს თავის თხზულებაში გვიხატავს კაცთა მისწრაფებისა და სურვილების შეუსრულებლობას; გვიჩვენებს, რომ მთელი ჩვენი წარმოდგენა ცხოვრებაზედ მტკნარი ოცნებაა, ჩვენი ბეჩავობისა და ჭკუის სისუსტის ნაწარმოებია. მისი აზრით, კაცი, საზოგადოდ, სულელია, და მისი სისულელე უმთავრესად იმაში იხატება, რომ სწამს მისი რაიმე კარგისა და კეთილის ასრულება. “დედა-მიწას აქვს საზღვარიო”, გაიძახის იგი, “ხოლო ადამიანის სისულელე კი უსაზღვროაო”. კაცის იდეალურს წარმოდგენასა და აზრს ცხოვრებაზედ, მის ოცნებას არავითარი ნიადაგი და საფუძველი არ აქვს სინამდვილეშიო. რაღა აზრი უნდა ჰქონოდა თვით ფლობერს ცხოვრებაზედ. კარგად მიხვდებით, ის ეჩვენებოდა მას “დამძალ საჭმელად, რომელიც სუნით იცნობება”, რომელიც “თუ გემო იხილე, პირს წაგაღებინებს”. კაცთა

სისულელის დახატვას მოანდომა ფლობერმა თავისი დიდი ნიჭი. იგივე აზრი ადამიანის ოცნების უნიადაგობაზედ, მის წარმოდგინების უშინაარსობაზედ აქვს გაყვანილი მას ზემოხსენებულს ალლეგორიულ თხზულებაში. იქ არის აღწერილი ერთი ღამე, რომელსაც საშინელს სიზმრებში ატარებს განდეგილი - უდაბნოში დაყუდებული წმ. ანტონი. მის თვალს წინ დას-დასად გაივლიან საუკუნეთა სარწმუნოებისა და ფილოსოფიის წარმომადგენელნი; ათას ნაირი ვნებათ ამაღლევბელი სურათი წარმოუდგება თვალ წინ. ავტორი აჩვენებს მას, რომ ყოველივე სარწმუნოება, ყოველივე ფილოსოფიური, მეტაფიზიკური აზრი, რომელიც ერთ დროს მეფობდა, უფსკრულს დაუნთქავს, და დღეს ჩვენდა გასართობად თუ მოვკიდებთ ხოლმე ხელს ამ სისტემებისა და ამ სარწმუნოებათა ისტორიის შესწავლას. ყოველსავე ამას ცხადად ხედავს იმ ღამეს განდეგილი, მაგრამ მეორე დილას ამოვა თუ არა მზე და თავის განმაცხოველებელს სხივებს მიაფენს მის კარავს, წმ. ანტონი წამოიჩოქებს და დაიწყებს ლოცვას. მაზედ ვერ იქონია ვერავითარი გავლენა წინანდელი ღამის სანახაობამ, მას ჰგონია, რომ მისი სარწმუნოება შეურყეველია. რა ვუყოთ, სხვები რომ განქრენ და არ დასტოვეს კვალი, ის მაინც ჩაეჭიდება თავის რწმენას, როგორც ხსნის წყაროს. მკითხველი კი გაცეხული რჩება მით, რომ კაცის ოცნების მოყვარეობა, მისი ცრუმორწმუნოება იქამდის მიდის, რომ კიდევ რაიმე რწმენა შერჩა წმ. ანტონს. აქაც ავტორმა ადამიანის “სისულელის” სურათი დაგვიხატა.

როგორც ხედავთ, დიდი განსხვავებაა ფლობერის ალლეგორიულს თხზულებასა და თ. ჭავჭავაძის პოემას შორის. ი. ჭავჭავაძე გვეუბნება, ვინც ცხოვრებას “განშორებია”, მას ვერც ღმერთი დაუჟამყოფილება, რადგან არც ღმერთსა სურს ამგვარი კაცის მოქმედებაო; გვიმტკიცებს, რომ “სააქაოს დათმობა” შეუძლებელია და მომაკვდინებელი ყველასათვის, ვინც ამას განიზრახავს. ფლობერს კი ცხოვრების გახსენებაზედ “გული ერევა”, იგი ადამიანის მოქმედებისა და მისწრაფების უაზრობას და მის უგუნურებას მწარედ დასცინის. არც ჭავჭავაძეა ოპტიმისტი, არც იგია აღტაცებული მოტრფიალე ცხოვრებისა, ამ “ზოროტის სამეფოს”. წინააღმდეგ მას იმდენზედ შეგნებული აქვს ეს წუთისოფელი, “სად ყოველი ნიჭი მაცდურებაა”, იმდენად მწარედ აქვს იგი აღწერილი იმავე პოემაში (თავი III), რომ განსვენებულმა ბოსლეველმა მისი პესიმიზმი კინაღამ ბაირონის პესიმიზმზედ უფრო ძლიერად არ იცნო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველს კაცს, და განსაკუთრებით ყოველს შეგნებულს შვილს ცხოვრებისას “განდეგილი”, ვალად ადებს - ამ ცხოვრებას არ განშორდეს, იქვე იყოს, იქვე ემსახუროს და კაცობრიობის ტკივილს უეცრად მიაშველოს წამალი. უიმისობა, ცხოვრების დათმობა, მისი ზურგის შექცევა კაცისათვის შ ე უ მ- ლ ე ბ ე ლ ი ა.

როგორც შინაარსით, ისე აზრით, ისე გარეგანი ფორმით ძალიან შორს არის თ. ჭავჭავაძისა და ფლობერის თხზულებები. მე ლიტერატურულს ღირსებას არ შეეცხები. მხოლოდ ვიტყვი, ფლობერის ნაწარმოები უფრო მეცნიერულია, ვინემ ლიტერატურული (სიტყვაკაზმული მწერლობა მაქვს სახეში). თუ გინდათ კარგად გაიგოთ ფლობერის თხზულება, ცალ ხელში მითოლოგიური ლექსიკონი უნდა გეჭიროთ და მეორეში ისტორიული. ყოველი სტრიქონი უნდა შეისწავლოთ და გაარჩიოთ, რაიგა ძლიერ უშლის ერთიანი შთაბეჭდილების გამოტანას. თუ ყოველივე ეს თავს არ მოგაწყენთ და თუ მიგაჩნიათ, რომ ლიტერატურული ნაწარმოები მით უფრო ღრმაა და დიდებული, რაც უფრო ბუნდოვანია და გაუგებელი, მაშინ, რასაკვირველია, ფლობერს ირჩევთ. ხოლო თუ ლიტერატურული ნაწარმოები მოგწონსთ, როცა შიგ ღრმა აზრებია და ეს ღრმა აზრები მშვენიერის სურათებითაა გამოხატული; როცა ეს ღრმა აზრები მარტივსა და ადვილად გასაგებს სიმბოლოებში არის გატარებული; თუ მიგაჩნიათ ლიტერატურის ნაწარმოების ღირსებად ისიც, რომ სულს არ შეგიხუთავსთ მისი კითხვა, არ დაგღალავსთ და სიამოვნებით რამდენჯერმე გადასაკითხავად მიგიზიდავთ, - მაშინ ი. ჭავჭავაძის “განდეგილს” ირჩევთ. რასაკვირველია, ფლობერის ნაწარმოები დიდი ქმნილებაა და ზოგიერთი კრიტიკოსები “ფაუსტის” შემდეგ საუკეთესო ალლეგორიულ პოემად სთვლიან ჩვენს დროში, მაგრამ ისეთებიც არიან, რომელნიც უხერხულად სთვლიან მას, როგორც ლიტერატურულს ნაწარმოებს. რაიგა შეეხება აზრთა სიღრმეს, ძნელია სთქვას კაცმა, რომელი აზრი უფრო ღრმაა და რომელი უფრო ძლიერი, რადგან აზრის არც სასწორზე შეიძლება აწონა და არც ადლით გაზომვა. ხოლო თუ აზრის ნაყოფიერს მხარეს მივიღებთ მხედველობაში და მის საფუძვლიანობას, მაშინ თ. ჭავჭავაძის პოემის აზრს უნდა მივსცეთ უპირატესობა. მართლაც, უთხარით ადამიანს და დააჯერეთ იგი, რომ ყოველივე მისი რწმენა, ხეირიანი აზრი ცხოვრებაზედ, მისი იმედები და ოცნებები სისულელეა და უმეცრება, რომ მხოლოდ უგუნურებაა მიზეზი მისი, რომ იგი იღწვის და სწადიან რაიმე კარგი, რადგან ყოველივე ფუჭია ამ ქვეყანაში, და იგი ან გაპირუტყვდება და გარყვნილების მორევში შესცურავს ანადა დამბაჩას იკრავს შუბლში. ხოლო დაანახვეთ კაცს ცხოვრების ნაკლულევეანებები, მისი ცუდი

მხარეები, მაგრამ თანაც კარგს მხარეებსაც წუ დაუმაღავთ; დაარწმუნეთ იგი, რომ ავია თუ კარგია, ამ ცხოვრებას ვერ გაექცევა ვერსად, რომ მისი მოვალეობაა, როგორც ამ ცხოვრების შვილისა, მისი გაუმჯობესობა; შეაგნებინეთ მას სიმშვენიერე და კანონიერება ბუნების, ადამიანობისა და ცხოვრების კანონების გონიერება ამცნეთ მას და იგი დაადგება ჭეშმარიტს გზას, რომელიც იმაში უნდა იხატებოდეს, რომ კაცმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწიროს ცხოვრების განკარგებასა და მის გარდაქმნას თავისი იდეალის მიხედვით.

დაგვრჩა კიდევ ერთი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც ადარებენ ხოლმე “განდეგილსა”, - ლერმონტოვის “მწირი”. კარგად იცით, რომ ეს მწირი ტყვედ წამოყვანილია მთიდან და ერთ მონასტერში დატოვებული ავადმყოფობის გამო. წამოიზარდა თუ არა, უპირებდენ ბერად აღკვეცას, მაგრამ გაიქცა. რამდენიმე დღის შემდეგ იპოვიან გულშეწუხებულს და მოიყვანენ მონასტერში. ავადმყოფობის დროს იგი აღსარებას ეუბნება თავის გამზრდელ ბერს და დაწვრილებით მოუყვება თავისი სულის ტანჯვებს. ერთი აზრი მასულდგმულებდაო, ამბობს იგი:

“ცოტა ვიცხოვრე და ეს ცხოვრებაც  
ბედშავმან განვვლე სულ ტყვეობაში!  
ოჰ, რომ შემეძლოს, ამგვარ სიცოცხლეს  
ორსა გავცვლიდი, ვფიცავ, მე ერთში,  
მხოლოდ ის ერთი რომ ყოფილიყო  
ბრძოლით, ქუხილით, ღელვით მდიდარი!..  
არვის ვმონებდი, მხოლოდ ერთს სურვილს  
მე ვამეფებდი, ის იყო მძლავრი,  
ცეცხლის აღგზნები, ცხოველი ვნება;  
გული თვის ჰანგზედ მან ამიჟღერა,  
ვითარცა მღილი დაბუდდა ჩემში,  
სული დამიღრღნა, გამიცამტვერა;  
ამ სალოცავის ბნელ სენაკიდან  
მან განიტაცა ჩემი ოცნება  
იმ გვრგვინვის, ბრძოლის უცხო ქვეყანას,  
სადაც ღრუბლებსა მიებჯინება  
გროვა ქვა-კლდეთა, ბუნდოვან მთათა:  
სადაც რომ ხალხი თავისუფლებას  
როგორც არწივი, ისე შეჰხარის,  
მით აფერადებს თავის ცხოვრებას,  
ცრემლით და ოხვრით მუდამ ჟამს ვზრდიდი  
დამის წყვიდადში, აი, ამ ვნებას;  
აწ აღვიარებ ცის და ქვეყნის წინ  
და არვისა ვსთხოვ მის მოტყვებას!..”

ეს აზრი იყო თავისუფლების მოპოვება და საშობლოში დაბრუნება. მას არ შეეძლო გადაეტანა სულის შემხუთველი ცხოვრება “ამა ქვეყნიდან განდეგილ მმათა,” იგი შვილი იყო თავისუფლების მოყვარული ხალხისა და მათკენ მიისწრაფოდა. ეს წყურვილი თავისუფლების ცხოვრებისა დაგვიხატა ავტორმა თავის თხზულებაში. აქ “მწირი” მიილტვის ცხოვრებისაკენ, მას კი ძალით იჭერენ მონასტერში, ძალით უნდათ მოაშორონ ცხოვრებას. მისთვის სულ ერთია, გინდ საპყრობილეში ყოფილა და გინდ მოხუცი ბერის სენაკში. იგი არც ზოლას პატერივით ეგზალტაციით აღსავსე ბუნებაა, რომ მონასტერში იძიოს სიამოვნება, არც ი. ჭავჭავაძის “განდეგილისთანა” ფილოსოფოსი, რომ უდაბნოში იძიოს მყუდროება და მშვიდობა, იგი ცხოვრებას შეჰხარის, ცხოვრების შვილია, სიცოცხლე სწყურია და არ ანებებენ. ლაღი და დამოუკიდებელი ცხოვრების სიყვარული დაგვიხატა ავტორმა თავის “მწირში”. რა აქვს საერთო ამ აზრს “განდეგილის” აზრთან. კიდევ და კიდევ განვიმეორებთ, რომ ჭავჭავაძის გმირი შეგნებული არსებაა, გამჭირახე და დაკვირვებული მცოდნე ცხოვრებისა, იგი ნიჭიერი, სულით და გულით მაღალი ადამიანია, იგი თვით გაურბის ცხოვრებას და ის კი ავიწყდება, რომ ცხოვრებას აზრით თუ გაექცევი, თორემ ისე ცხოვრება სულ თან გახლავს, ცხოვრების კანონები უღლად გაწევს კისერზედ. ლერმონტოვის “მწირი,” თუ მაინცა და მაინც, ისევ ზოლას რომანის გმირსა ჰგავს. აბატი მურეც ძალა უნებურად დასახიჩრებულია, თვით მისი ექსტაზები გამოწვეულია იმ გარემოებისაგან,

რომელშიაც იგი იზრდებოდა. მას ცხოვრების არა ესმოდა რა და ის წარმოდგენა ჰქონდა მასზედ, რაც ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს: კათოლიციზმისაგან აღიარებული ასკეტიზმი ეგონა ცხოვრების თავი და ბოლო. როგორც ლერმონტოვის “მწირი,” ისე ზოლას პატერი გაუბედურებულია სხვებისაგან, უღმობელი გარემოებისაგან არის დაღუპული. აბატი მურეც ერთგვარი სისტემის მსხვერპლია, რომელიც ადამიანის სიცოცხლის მომსპობელია და დამამხოველი. სხვა მსგავსება არც ამათ შორის არის.

ზოლას რომანი სასტიკი ბრალმდებელი ოქმია ასკეტიზმისა და კათოლიციზმის; ფლობერის თხზულება ცხოვრების უაზრობისა და უმნიშვნელობის ამბავია, ადამიანის უგუნურების სურათია. ლერმონტოვის პოემა რომანტიკული, ინდივიდუალური ფილოსოფიის პირმშო შვილია. “მწირი” უსაზღვრო პირადს თავისუფლებას ელტვის და თავისუფლებაზედ ფიქრი უსპობს სიცოცხლეს. ი. ჭავჭავაძის პოემა კი გვიჩვენებს, არათუ უაზრობასა და უსაფუძვლობას ასკეტიზმისას, გვიმტკიცებს, რომ იგი შეუძლებელია; გვიჩვენებს, როგორა სჯის ცხოვრება მის წინააღმდეგსა და უარყოფელს შვილებს; აქ ავტორი სოციალურის, საზოგადოებრივის მორალის მოსარჩლედ ხდება: პირად უსიამოვნებას, პირადს ტანჯვასა და მწუხარებას არა სახავს უმთავრეს საგნად ცხოვრებისა; საზოგადოებისა და ცხოვრების სამსახურია საჭირო და აუცილებელი, მისი აზრით (რომელზედაც, რასაკვირველია, ყველანი დაეთანხმებიან), ვინც მისდევს პირადს მყუდროებას, ვინც ცდილობს, პირადი მშვიდობიანი ცხოვრება მოიპოვოს, იგი შემცდარია, ის სენაკშიაც მოუსვენებელი იქმნება და ადრე თუ გვიან პასუხს მისცემს ცხოვრებას. თ. ჭავჭავაძისათვის საზოგადო მოვალეობასა აქვს დიადი მნიშვნელობა. იგი სჯის განდევილს, როცა ამ მოვალეობას გაურბის.

## VI

თ. ჭავჭავაძის ფილოსოფია, მორალი და ესთეტიკა სავსებით გამოიხატა ამ შესანიშნავ მის პოემაში, ამიტომ საჭიროა, რამდენადაც შევძლებთ, ყველა ამ საგნებს შევხვით აქა.

კარგად იცით, ზნეობრივს კითხვათა შორის დიდი მნიშვნელობა აქვს, ეგრეთ წოდებულს, ზნეობრივს თავისუფლებას, თავისუფლებას ნებისას (la liberte morale, libre arditre).

ჩვენის მოქმედებისათვის პასუხს მაშინ ვაგებთ, თუ ჩვენვე ვართ მოქმედი, თუ ჩვენ ვართ ბატონი ჩვენის მოქმედებისა. ნების თავისუფლების დამცველნი ამბობენ, რომ კაცის ნება თავისუფალია და დამოუკიდებელი. იგი მას აღასრულებს, რაც სურს, მის სურვილს და მის მოქმედებას საზღვარი არ უდევსო. აღმოსავლეთის ფატალიზმი კი იმას ასწავლიდა, რომ კაცი მონაა ბედისა და იბლისა, შემთხვევისაო. რაც უნდა ეცადოს, იგი ვერ გადუვა ბედის წერასაო, ბედის გარდაწყვეტილებას ვერ გაექცევაო. ორ აზრთა შორის ეხლანდელმა მორალისტებმა და ფილოსოფოსებმა უფრო მეორის მხარე დაიჭირეს და ფატალიზმის მაგიერად დეტერმინიზმი აღიარეს. იგინი ამტკიცებენ, რომ კაცის მოქმედებაზედ უსაზღვრო გავლენა აქვს ბუნების მოვლენებს, მის ორგანიულს თვისებებს, მემკვიდრეობასა და აღზრდას, ცხოვრებასა და საზოგადოებასაო. ყოველივე მისი მოქმედება, აზრი და სურვილი ამ მიზეზებზედ არის დამოკიდებული, პირადად მას არავითარი თავისუფალი ნება არა აქვს და გარეშე ამ მიზეზთა და მათ წინააღმდეგ ვერასოდეს ვერ იმოქმედებს. ამგვარად, ზნეობრივი თავისუფლება ოცნების ნაყოფად მიიჩნეის.

მართლაც, თუ ნების თავისუფლებას ისე მივიჩნევთ, როგორც ძველი ფილოსოფოსები ქადაგებდნენ, იგი ძნელი დასამტკიცებელია და დასაჯერებელი, რადგან ეწინააღმდეგება მეცნიერების უდიდესს პრინციპს: ყოველსავე მოვლენასა აქვს თავისი მიზეზი, ყოველივე შედეგი რომელიმე მიზეზებისაგან წარმოდგარა. ამგვარად, წარმოდგენელია, ადამიანს ჰქონდეს ისეთი რაიმე თვისება, რომელიც გარეშე ქვეყანაში მოვლენას გამოიწვევს და ამ თვისებას არავითარი განსაზღვრა არა ჰქონდეს. ასე რომ, სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი ნება წარმოდგენელია და შეუძლებელი. მხოლოდ ეს კი უნდა ვიფიქროთ, რომ კაცის მოქმედებისა და მისი ნების განსაზღვრული მიზეზები მეცნიერების ეხლანდელს მდგომარეობაში სავსებით ვერ გამოირკვევა. მრავალი მოძრაობა აქვს კაცის სულს, რომლის მიზეზი, დასაბამი და წარმოება დღეს დღეობით “გამოუცნობელია”. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ესა და ეს მოქმედება ამ ადამიანისა შედეგია მისი აგებულებისა და ბუნების მოვლენათა ზეგავლენისა, მემკვიდრეობისა და აღზრდის ბრალია, გამოწვეულია საზოგადოების ამა თუ იმ წყობილებისაგან და კაცთა ურთიერთ შორის დამოკიდებულების ნაყოფია. მაგრამ ყოველივე მოქმედება რთულია, ყოველსავე მოვლენას მრავალი მხარე აქვს, განსაკუთრებით კაცის სულიერ მოვლენებს. ჩვენ შეგვიძლია კაცის სულის მოძრაობის რამდენიმე მიზეზი გამოვიკვლიოთ, მაგრამ რამდენიმე მაინც გამოუკვვეელი და გამოუცნობელი გვრჩება. აი, მაშინ აღგვეძრის ხოლმე კითხვა ნების თავისუფლების შესახებ და

ვამბობთ, ამა და ამ მოქმედების ავტორია ეს კაცი, იგი მოქმედებდა თავისუფლად და გარეშე მიზეზთაგან არ იყო იძულებული ასე მოქცეულიყო. უფრო ხშირად თვით მოქმედ პირს დაებადება ასეთი აზრი თავის ზნეობრივ თავისუფლების შესახებ. მე მოვიმოქმედე ესა და ეს ამა და ამ მიზეზების გამო, მაგრამ, ვგრძნობ, რომ კიდევ იყო რაღაც ამის მიზეზი და ეს მიზეზი ჩემთვის გამოუცნობელია. მაშინ მე ჩემს თავს, ჩემს შინაგან არსებობას ვსთვლი თავისუფალ და დამოუკიდებელ მოქმედებად. ყოველს შემთხვევაში, ჩემს მოქმედებაში უპირატესობა აქვს ჩემს არსებობას, სულიერს თვისებას: ჩემს აზრებს, ჩემს გონებასა და გრძნობას და არა გარეშე მოვლენას: კლიმატიურს ცვლილებას და გინდ ჩემი ორგანიზმის მეტ-ნაკლულევენებას. მე მოვკალი კაცი მისთვის, რომ შეურაცყოფა მომეყენა. ეს მოხდა ცხელ ზაფხულის დღეში. მე ვამბობ, მე მოვკალი კაცი იმიტომ, რომ შეურაცხყოფა მომეყენა. რა ვუყოთ მერე? განა ცოტა არის ისეთი კაცი, რომლისთვისაც შეურაცხყოფა მიუყენებიათ, მაგრამ კაცი არ მოუკლავს. მე ვარ ფიცხი ადამიანი, - ათასი კაცია ფიცხი, მაგრამ ამავე შემთხვევაში კაცი არ მოუკლავს. ცხელი დღე იყო და გვარწმუნებენ, რომ სიცხეში კაცი ჩვეულებრივად ნორმალური არ არის, სისხლი უდღულს, თავი უხურს, - სხვაც მრავალია ასეთს მდგომარეობაში, მაგრამ კაცს არა ჰკლავს. ერთი სიტყვით, რამდენი მიზეზიც უნდა მოიყვანოთ, კიდევ რჩება რაღაც თვით ჩვენს არსებაში გამოუცნობელი, რომელიც უნდა აღვიაროთ მთავარ მიზეზად ჩვენის მოქმედებისა. გარეშე მიზეზებს ჩვენზედ გავლენა აქვთ, - ვინ არის ამის წინააღმდეგი; ხოლო ამ გარეშე მიზეზებს სხვაზედაც აქვს გავლენა, მხოლოდ ის არ იქცევა ასე, არამედ მართო მე ვიქცევი. და რადგან ერთგვარს მიზეზს, ერთგვარი შედეგიც უნდა მოჰყვეს, და, თუ ეს ასე არ არის, ჰგავს მიზეზთა შორის ერთი რამ გამომეპარა, ვერ გამოვიცან, რომელმაც ეს სხვაგვარი მოქმედება გამოიწვია.

ამ ბოლოს დროს დეტერმინიზმის თეორიამ სწორედ ამგვარი მიმართულება მიიღო: კაცის მოქმედებაზედ, მართალია, გავლენა აქვს გარეშე მოვლენებს, მაგრამ უპირატესობა შინაგანს, არსებობის მიზეზებს ეძლევა. ადამიანი არის ერთგვარი შუაგული (milieu), რომელიც გადაადულებს ხოლმე გარეშე გავლენებს და თავისებურს მოვლენას გამოიწვევს. კაცის მოქმედების მთავარი მიზეზი, წყარო და დასაბამი კაცის სულიერი, ფსიქოლოგიური არსებაა და არა გარეგანი გავლენანი. ამგვარად, კაცი არის ავტორი თავის მოქმედებისა და მისთვისაც პასუხის მცემელი.

ამ საგანს, რომლის სახეებით გამორკვევის ადგილი აქ არ არის, დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველისავე თხზულების გარჩევაში; და ყოველისავე მწერლის ნაწარმოებში ნათლადა სჩანს, ავტორს რა შეხედულება აქვს კაცის მოქმედების თავისუფლებაზედ. ყოველივე მწერალი ან ავტორმატად მაშინაც დაგვიხატავს თავის გმირს (ან კი შეიძლება, ტიკინს გმირი ვუწოდოთ?) და ან ნამდვილს მოქმედ პირად, რომელიც გონიერი და გრძნობიერი ადამიანია და მოქმედებს ისე, როგორც ადამიანი და არა პირუტყვი. ეხლა ვნახოთ, რა აზრს ადგიან ამ შემთხვევაში თ. ჭავჭავაძე და ის ავტორები, რომელთა ნაწარმოებზედაც ლაპარაკი გვქონდა.

ფლობერი დეტერმინისტია, უკიდურესი დეტერმინისტი და თანაც პესიმისტი. მისი აზრით, რაც უნდა ეცადოს და რაც უნდა ისურვოს ადამიანმა, იგი ბოლოს მაინც სასოწარკვეთილებაში უნდა ჩავარდეს, რადგან ცხოვრება მწარეა, “დამპალი საჭმელია”, მისგან სიავის მეტს არას უნდა ელოდე. კაცის სისულელე მხოლოდ ის არის, რომ რასმე კეთილს ელის ცხოვრებიდან, რაიმე სიტკბოებას ელტვის და მოელის, - იგი ყოველთვის ამ სისულელის მსხვერპლად ხდება. ქალი, რომელიც სიყვარულისთვის არის შექნილი და ისე ეძიებს სიყვარულს, როგორც ძალიან მწყურვალე კაცი ცივს წყალს, ვერას ჰპოებს გარყვნილებისა და განვიცხვის მეტს და ბოლოს, სასოწარკვეთილებაში შთავარდნილი, თავს იწამლავს (“მადამ ბოვარი”); ახალგაზდა კაცი ათასგვარი ოცნებით და იდეალებით გატაცებული, შევა თუ არა ცხოვრებაში, ხდება მხოლოდ მოწამე მისი ოცნების კომპის დამხობისა და უბრალო ხავსმოკიდებულ მეწვრილმანედ იქცევა (i'education sentimentale). წმ. ანტონი თვალთ ხედავს, რომ ყოველივე ამაოა ამ ქვეყნად, ყოველივე ფილოსოფია და სარწმუნოება ჰქრება, როგორც წინა წლის თოვლი. ზოლა მოწაფეა ფლობერისა ყოველისფერში, როგორც რომანის ფორმაში, ისე აზრში. იგიც უკიდურესი დეტერმინისტია და პესიმისტი. კაცი პირუტყვია, მისის აზრით, ცხოვრებას განაგებს ბოროტის ღმერთი, მხოლოდ ის რჩება გამარჯვებული, ვინც ბოროტებას ემსახურება. ყოველი კაცი გარეშე ზეგავლენათა მონაა, ბუნების კანონებისა და მოვლენების ყურმოჭირილი ყმაა. ყმაწვილი პატერი ბუნებრივ გრძნობას იკლავს, მაგრამ ამის მიზეზია მისი ძლიერება კი არა, მისი ავადმყოფი ბუნება; იგი ფსიქოპათია და არა ნორმალური ადამიანი, იეზუიტობის სისტემის აღზრდისაგან დამახინჯებული. მის ავადმყოფობისა და სულიერის დასახიჩრების მსხვერპლად ხდება საწყალი, სიცოცხლით აღსავსე ქალი. ლერმონტოვმა კი თავისი გმირი ისეთს მდგომარეობაში ჩააყენა, რომ ძნელია რაიმე ითქვას მისის სულის ძლიერების შესახებ. კაცს თუ ხელსა და ფეხს შეუკრავ, დაამწყვდე და მოქმედების ყოველ

საშუალებას მოუსპობ, ის მაშინ კაცი კი არა, ხეა, იარაღია მის ხელში, ვისაც დაუტყვევებია. ამ შემთხვევაში კაცს არ შეუძლიან გამოიჩინოს ხასიათი და ნების ძლიერება. მაგრამ ლერმონტოვი მაინც კაცის ნების თავისუფლების მომხრეობას იჩენს, რადგან ვერც დატყვევებამ და ვერც აღზრდამ ვერ მოუსპო მწირს თავისუფლებისა და ლაღი ცხოვრების მოყვარეობა, - თვისება, რომელიც მთიელი ხალხის განუყრელსა და დაუფასებელს მხარეს შეადგენს.

თ. ჭავჭავაძე ამ საგანშიაც სრულიად ახალს გზას ადგას. იგი დეტერმინისტიცაა, მაგრამ იმ აზრით, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მისი დეტერმინიზმი უფრო იდეალურია. მართალია, კაცზედ გავლენა აქვს გარეშე ძალებს, მის ბუნებრივს გრძნობებს, მაგრამ სულიერი მხარე ადამიანისა მაინც ძლიერია. თ. ჭავჭავაძის აზრით, კაცში მხეცური ძალებიც ღონიერია, მაგრამ დიდი ადგილი უჭირავს სულიერს თვისებასაც. კაცი მოქმედებს თავისის ნებით, იმ ნებას თავისი მიზეზები აქვს, რომელთა შორის კაცის არსებითი მხარე პირველია. მთელი ინტერესი პოემისა, მთელი მისი დრამატიზმი სწორედ იმაშია, რომ განდევილი კაცია, ადამიანი და არავითარი ადამიანური მას არ ეუცხოება. მაგრამ თანაც განდევილი ისეთი კაცია, რომელშიაც სულს ხორცზედ უპირატესობა აქვს: დაინახა თუ არა ყმაწვილი ქალი “სავსე სიცოცხლით”, მასში ბუნებრივმა გრძნობამ გაიღვიძა, ის-ის იყო კინადამ არ დაემორჩილა წუთიერს გატაცებას, გულში კიდევაც იმრუშა, გულის-თქმით შესცდა, მაგრამ უეცრად გაახსენდა თავისი აღთქმა ღვთის წინაშე, თავისი მოვალეობა და მოშორდა საცდურს. სძლია ბუნებრივი გრძნობა, თუმცა ძვირად დაუჯდა ეს გამარჯვება, დიდი ბრძოლა დასჭირდა ამისათვის. აი, თ. ჭავჭავაძის დეტერმინიზმი: ბუნებრივი ძალების სრულიად მოსპობა არ ძალგვიძს, რადგან შვილნი ვართ ბუნებისა, ამგვარად ჩვენი ნება შეზღუდულია. ხოლო ჩვენ შეგვიძლია ეს მაცდური ძალები შევაჩეროთ და მათის ზეგავლენის წყალობით უკიდურესობამდის არ მივიდეთ. ამ შემთხვევაშიაც არა ვართ სრულიად თავისუფალნი და დამოუკიდებელნი, მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება უფრო იდეალურია, ჩვენ ჩვენს აზრზედა ვართ დამოკიდებულები, ჩვენი გონებისა და გრძნობის მონა ვხდებით, ესე იგი ჩვენი ბატონი ჩვენვე ვართ, ჩვენი უფალი ჩვენი არსებითი, სულიერი მხარეა. კაცის მოქმედებაზე ამგვარი შეხედულება პოეტისა, უფრო ღრმა საფუძველს აძლევს პოემის მთავარ აზრს. მართლაც, წარმოიდგინეთ, რომ ჭავჭავაძეს დაეხატა ისეთი არსება, რომელიც მოკლებულია ყოველსავე ადამიანურს თვისებებს, ჰაეროვანი არსება, რომელიც მარტო სულით სცხოვრობს, ეს ჩვენთვის საინტერესო არ იქნებოდა, რადგან არავითარი დამოკიდებულება არ ექნებოდა ჩვენს ცხოვრებასთან. ანდა წარმოიდგინეთ, დაესურათებინა ან ფსიქოპათი ზოლას გმირივით, ანდა სულით სუსტი ადამიანი, რომელიც დღეს ვიღაცას გაუჯავრებია, ამიტომ ქვეყანა შესძულებია, განდევილია და დაყუდებულია, ხვალ ლამაზი და ტურფა არსება დაუნახავს, იმას გაუტაცნია, “ძირითად მოთხოვნილებათათვის” წინააღმდეგობა ვერ გაუწევია და ისევ ცხოვრებას დაჰბრუნებია. განა პოემას მაშინ ასეთი დიდი ინტერესი ექმნებოდა? ანდა ასეთის ძლიერებით დაგვანახებდა ავტორი, რა ძლიერია ცხოვრება და რა შემცდარია, ვინც მას გაურბის, შემცდარია, რადგან ცხოვრება არც ასე საზიზღარია, რომ შიგ არა მოიპოვებოდა რა მიმზიდველი და სიცოცხლის დამამებელი, თუგინდ ტურფა ქალიც იყოს იგი; შემცდარია, ვინც “განშორდება საწუთროს”, რადგან ეს შეუძლებელია ისეთი სულით მხნე ადამიანისთვისაც კი, როგორც განდევილი იყო.

თვით აზრი, მორალი პოემისა, ამ სახით გამოთქმული, კიდევ ერთს მის ღირსებათაგანს შეადგენს. არავითარი კატეგორიულად გადაჭრილი პრინციპი, ანუ გეგმა მოქმედებისა არ წამოუყენებია ავტორს. ცხოვრებას მრავალი მხარე აქვს, ცხოვრებაში მოქმედება რთულია და მრავალგვარი, მას ვერავითარი კალაპოტი ვერ დაიტევს, მხოლოდ შეასუსტებს და შეაფერხებს. პოეტი გეუბნებათ მხოლოდ: ამას ნუ მოიმოქმედებთ, შეუძლებელია და არასანატრელი. ცხოვრებისადმი მიიქეცი, “ნუ აარიდეთ მას თვალს, როგორც ერთს რასმე ჭირიანს”, ემსახურეთ მას და როგორ? ეს თქვენი საქმეა.

რაკი გამოვირკვიეთ მთავარი აზრი თ. ჭავჭავაძის პოემისა, მისი მორალური ფილოსოფიაც შევიგნით, ეხლა შევეხოთ მხატრობითს მხარეს მისი თხზულებისას და ვნახოთ, რამდენად შეესაბამება ფორმა შინაარსს, რამდენად ეკადრება გარეგანი სამოსელი ისეთს მაღალსა და ღრმა ზნეობრივ აზრს, რომელიც შეადგენს ამ პოემის ერთ დაუფასებელს ღირსებათაგანს.

როგორც ხედავთ, თ. ჭავჭავაძის პოემის არაკს დიდი მსგავსება აქვს ამ თქმულებასთან, მაგრამ არსებითი განსხვავებაცა აქვს.

თვით ქალი, წმ. მარტინიანის შემაცდენელი და განდევილის მომხიზველი, სულ სხვადასხვანი არიან. პირველი განგებ სცდილობს მოხიზლოს წმ. მარტინიანი, ხოლო მეორეს ეს აზრდაც არ მოსვლია, ამიტომ ჭავჭავაძის განდევილი უფრო სისუსტეს იჩენს ხასიათისას. სამაგიეროდ, განდევილი იმ ზომამდის არ შემცდარა, როგორც წმ. მარტინიანი. საუბარი დედაკაცისა წმ.

მარტინიანთან და განდეგილთან სულ სხვაგვარია. პირველს გაქნილი ქალი ელაპარაკება, მისი სიტყვა-პასუხი ხერხიანია და მაცდური, მეორეს კი გულუბრყვილო მწყემსი ქალი ებაასება; მისი სიტყვა მარტივია და თავისსავე სიმარტივეში ჰპოებს ძლიერებას. განდეგილი ცხოვრებას გაექცევა თავისი შეხედულების გამო ამ ცხოვრების შესახებ, იგი გულმოწყლული ფილოსოფოსია, ხოლო წმ. მარტინიანი უფრო ფორმის აღსასრულებლად ეტანება ასკეტობას, ეს თავისებური ფანატიკოსია. მთავარი აზრი სარწმუნოებრივის თქმულებისა, რასაკვირველია, ძალიან განსხვავდება საერო პოემის აზრისაგან და ფორმა ხომ სრული კუთვნილებაა თ. ჭავჭავაძისა. არაკის მსგავსება კი იოტის ოდნადაც არ ამცირებს პოემის ღირსებას. თვით უკვდავი შექსპირის საუკეთესო დრამების არაკი ნასესხებია.

ჩვენთვის აქ მხოლოდ ის არის საინტერესო, ავტორმა თავისი პოემის არაკი პირდაპირ ამ თქმულებიდან ისესხა, თუ ჩვენს ხალხშია ამგვარი ლეგენდა დარჩენილი. ზემოხსენებულის თქმულების ზეგავლენის ქვეშაა დაწერილი უთუოდ აკადემიკოს ანატოლ ფრანსის მშვენიერი მოთხრობა “Fhais”. აქაც განდეგილისა და კურტიზანკას შებრძოლებაა, რომელიც იმით თავდება, რომ განდეგილი კურტიზანკის აზრებს შეითვისებს და უარსა ჰყოფს ასკეტობას, ხოლო კურტიზანკა ასკეტურს მორალს დაეწაფება და მგრძნობელობასა და ხორციელობას ზურგს შეაქცევს.

## VII

ჩვენ უკვე ზემოთ მოვიხსენიეთ, როგორის ხელოვნებით აღგვიწერს ავტორი განდეგილის სულის მოძრაობას ტურფა ქალის დანახვის შემდეგ.

განდეგილის ფსიქოლოგიის დასასურათებლად თ. ჭავჭავაძე ერთს მეტად ხერხიანს და ესთეტიკაში საუკეთესოდ მიჩნეულს საშუალებას ხმარობს და კიდევაც მიღწევს ამით თავის აზრს. მან დაუპირდაპირა “კუმტა და მწყრალს” განდეგილს სიცოცხლითა და ცხოვრების შეხედულებით აღსავე ყმაწვილი ქალი. ეს დაპირდაპირება, ანტითეზა, სწორედ მხატვრული ხერხია, ფერადთა შეხამება იმ აზრით, რომ ერთმა ფერადმა უფრო თვალსაჩინოდ გაჰხადოს მეორე, განდეგილისა და მწყემსი ქალის ერთმანეთთან შედარება ორისავე პირის სულიერს და ხორციელს სურათს უფრო სავსებით გვაჩვენებს და წარმოგვადგენინებს.

განდეგილის აღწერაში პოეტი გვაგებინებს მის ჰაეროვნებას, მის “სულით სიწმინდეს” და სიძლიერეს, რომელსაც ხორცი უძღურ-უქმნია, თ ი თ ქ მ ი ს გაუნადგურებია. თ ი თ ქ მ ი ს-მეთქი, ვამბობ, რათა ერთს წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ავტორი არა ხედავს შესაძლებლად მთლად გამეგებას ამ მხარისას ადამიანის ბუნებიდან. “არ იყო ხნიერ”, ამბობს პოეტი, “მაგრამ ვით წმინდანს”

“სულის სიმაღლე ზედ დასჩნოდა,  
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი  
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.  
სახე გამხდარი, კუმტი და მწყრალი  
სიწმიდის მაღლით დაჰშვენებოდა,  
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,  
შარავანდედი გადაჰფენოდა.  
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება  
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,  
თითქო მათშიგან ჩასახებულა  
თვით სათნოება კდემით მოსილი;  
თითქოს ნელისა სიხარულითა  
სამოთხის ღია კარს შეჰხარია  
და სულთან ერთად უფლისა მიმართ  
სასოებითა მისწრაფიან.  
ლოცვით და მარხვით ხორც უძღურ-ქმნილი  
ჰგვანდა წმინდასა იგი წამებულს,  
მრავალ გზით ტანჯულს და ტანჯვით ზედა  
ძლევიტ მოსილსა და განდიდებულს”.

ყოველს სიტყვაში, ყოველს წინადადებაში ხედავთ, რომ აქ “სააქოს“-თან, “ამ წუთისოფელ“-თან, “ამ საწუთროს“-თან საქმე არა გაქვთ.

ეხლა დააკვირდით ქალის აღწერას. პოეტი მისი გამოჩენისათანავე გვაგრძნობინებს ხორციელი ადამიანის სიახლოვეს. მასთან ერთად ცხოვრების ძლიერი სიო შემოდის განდევილის სენაკში და მთლად ერთიანად შესცვლის როგორც გარეგან სახეს სენაკისას, ისე სულიერს ვითარებას მასში შეფარებულის მწირისას. ეს ქალი მხოლოდ მიწიერსა და ხორციელზედ ფიქრობს, მას არც განსაცდელი მოსდის ფიქრად და არც მაცდური; ეს ფიქრები მხოლოდ განდევილს უნდა მოსვლოდა, რომელიც თავისი სულის მყუდროებას ისე იცავდა, როგორც იდეალს, ძვირფასს განძს, მაშინ როდესაც განდევილი შემოსვლისთანავე ამას ჰკითხავს ქალს: “ვინა ხარ? კაცი თუ მავნე, აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?” მწყემსი ქალი მხოლოდ სიკვდილისაგან თავის დახსნას სცდილობს და ვერც კი გაუგია ასეთი კითხვა: “მიხსენ, ღვთის მადლსა, სიკვდილისაგან... რ ა დ რ ო ს კ ი თ ხ ვ ა ა? შემობრალე და ნუ დამიჭერ ჭერსა.” შედგა თუ არა სენაკში ფეხი, პირველი მისი სიტყვა ეს იყო: “უჰ, უჰ, რა მცევა, სთქვა მან სტუმარმან, ლამის გავშეშდე სიცივისაგან!” აი პირველი ფიქრი და ზრუნვა ხორციელის ბუნების შვილისა, თავისი ბუნების, ფიზიკურის მხრის დაცვა და დაფარვაა.

ქალს იმნაირად დაგვიხატავს ავტორი, როგორც იგი განდევილს ეჩვენებოდა და იმ შთაბეჭდილებას გვაჩვენებს, რომელიც ქალმა იქონია განდევილზედ. ამ უდაბურს ოთახში, სადაც ზნეობრივი სისასტიკე განდევილისა ყოველს კუთხესა და ყურეს ეტყობოდა, სადაც სინათლევ ძლივს შედიოდა და სადაც სიკვდილის სუნნი უფრო იყო - ვინემ სიცოცხლისა, ქალი რაღაც უცნაურის შარავანდედით ივსება, მკითხველსაც რაღაც საოცრად ჰხიბლავს. განდევილი ხომ მთლად აღტაცებულია, რადგან დიდი ხანია, იგი მოკლებულია ცხოვრების ყოველისავე ნიშანის ნახვას. დამერწმუნებით, მგონი, მაზედ, რომ ეს ქალი ასე წარმტაცად არ ეჩვენებოდათ არც იმ მწყემსებს, რომელთაც ყოველ დღე უნახავთ იგი და არც იმას, ვინც ცხოვრებაში ყოველ დღე მონაწილეობას იღებს, და ხშირად უნახავს “სიცოცხლით სავსე” ტურფა ქალები.

“ხოლო რა შუქი იმა ცეცხლისა  
სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მიეფინა,  
გასაოცარი რაღაც შვენება  
განდევილს თვალწინ წარმოედგინა.  
ყმაწვილი ქალი სავსე სიცოცხლით,  
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით  
ნაზად, ამაყად ცეცხლა-პირს იჯდა,  
ვით მინდვრის მშველი ყელ-მოღერებით.  
ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალებს  
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,  
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,  
ვითა ძლეული, უკუ ჰკრთებოდა.  
თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს  
ხორც-სხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,  
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა  
თავის სიცხოვლის გამომსახველად;  
მაშინაც ვინ სთქვას, - ვინ ვის აშვენებს,  
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!..  
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა  
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.  
მის თვალთა ელვით, დაწვთა შუქ-ფენით,  
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!..  
დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას  
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.”

შეხედეთ, რა ვნების ენითა სწერს პოეტი, შეხედეთ, რამდენი სიცოცხლე სდულს და გადმოდის ყოველ მის სიტყვაში. დააკვირდით, რა რეალიზმით აქვს ავტორს აღწერილი მომხიბვლელობა ქალის სიმშვენიერისა. განდევილს თუ “კუმტადა და მწყრალად” გვიჩვენებს, თუ იქ სრულიად გვაიწვევს ამ ქვეყნიერებას, - აქ ცხოვრების შუაგულია, ცხოვრების მოძრაობაა, უძლიერესი ძალა სიცოცხლისა გადმოსჩქევს ყოველ სტრიქონიდან და ძალაუნებურად გიტაცებთ აქ, ამ ქვეყნისაკენ, ამ მწარე და თანაც ტკბილი წუთისოფლისაკენ.



ცეცხლიც კი მის თვალს “სითბოს ეცილებოდა”, “მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი, ვითა ძლეული, უკუ ჰკრთებოდა”, და “ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს, ვით საყვარელსა ზედ დაჰხაროდა”; თვით მკითხველიც რაღაც ნეტარ სითბოსა ჰგრძნობს ამ შშვენიერის სურათის წინ, იმ სითბოს, რომელიც განდევილს “გულს ჩაეფინა ნელი და თბილი.” თვით მკითხველი ჰგრძნობს რაღაც სიცოცხლეს ამ სახის წინაშე, რომლის უკეთესს ვერ ინატრებდა თვით ტრფობის მადლი “თავის სიცხოვლის გამომსახველად” (აქაც სიცხოველე, არ დაივიწყოთ). შეხედეთ, რა ხორციელი აღწერაა, რა ბუნებრივი და მხოლოდ მარტო რა ბუნებრივი გრძნობებით აღსავსეა ეს სტრიქონები: “მის თვალთა ელვით, დაწვთა შუქ-ფენით, გულმკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!” მის დაწვზე “ემხსა, ვითა იადონს ვარდზედ”, სული დაუღვია, “მისი ღიმილის გრძნეული ჯადო ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა და იმა წვევის მაცდურებასა ზეარსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...” და ამას საწყალმა მწირმაც ვეღარ გაუძლო. აი მთლად სურათი იმ ქალისა უმადლესის და უკეთესის რეალიზმით აღწერილი. იგი მხოლოდ სიცოცხლეზედ გაფიქრებინებთ, მხოლოდ ცხოვრების მღელვარებას გიხატავთ და ბუნებრივს, ა ქ ა უ რ ს, გრძნობებს გიშლით. არა თუ მარტო გარეგანი სახე, მთელი მოქმედება ამ ქალისა, მისი აზრები, მარტო ცხოვრების ფილოსოფიაა, რეალური ფილოსოფიაა. მისგან შორს არის ყოველივე აზრი “განდევლობა”-ზედ, ცხოვრების უარყოფაზედ, იგი განხორციელებული ცხოვრებაა, იგი ცხოვრების შვილია, სიცოცხლის მოტრფიალე, იგი თვით ჰფენს თავის გარშემო სიცოცხლეს. აიღეთ მისი ლაპარაკი განდევითან, ეს საუცხოო დიალოგი, რომელიც ფრიად მაღალს ფასსა სდებს როგორც ავტორის მხატვრობით ნიჭს, როგორც მის ფსიქოლოგიის სიღრმესა და სინაზეს, ისე მის ფილოსოფიის ძლიერებასაც.

ქალი ცხვრის ფარას უდგია, და, თუმცა მამამ გააფრთხილა, მყინვარს ნუ ენდობიო, იქ ცვალებადი ამინდი იცისო, მას ყოველივე ეს ავიწყდება, როცა ბუნების დიად სურათს ხედავს და გაშტერებული აღტაცებული პოეტივით შესცქერის მზეს, რომელიც “ღვთის სახესავით გარს შუქ-მოსხმული მთის წვერზედ ბრწყინვალედა”, და აქვე კი თავს იმართლებს: “მაგრამ რას იზამ? მოდი, გულს უთხარ, კარგ სანახავზედ ნუ ხარო ხარბი?” კარგად ესმის მოვალეობა, “მამის ურჩსაო”, გაუგონია, “გზა თურმე არსად არ წარემართა”, მაგრამ ისიც ესმის, რომ შეუძლებელია კარგს სანახავს ცხოვრებისას, სიცოცხლის გამოძახტველს სურათს ბუნებისას გვერდი აუქციო, და ღრმა აზრიანი სიტყვები ქალისა “მაგრამ რას იზამ?” პასუხია განდევილის მთელი ფილოსოფიისა - განუდგე და მოშორდი საწუთროს, “მაგრამ რას იზამ, რომ ვერ შეასრულებ ამას.” ეს თითქო წინასწარმეტყველებაა ამ ქალის პირში, რომ არა თუ ის, თვით განდევილიც, რომელიც სულ ამის ცდაში ატარებდა სიცოცხლეს, ვერ შეასრულებდა ამ სოფლის დათმობას.

განდევილი თანდათან ჰგრძნობს ამ ბაასის დროს ძლიერებას იმა ქალისას, ამ სიცოცხლით სავსე ადამიანის შვილისას და ცდილობს დაუმტკიცოს, რომ “განდევლობას” რეზონი აქვს, მაგრამ ყოველივე მისი საბუთი უფრო და უფრო სუსტდება, მაშინ როდესაც ქალის ყოველი სიტყვა უფრო და უფრო ძალას იკრებს. “მოშორდი”, ეკითხება ქალი, “წუთისოფელს და აქ სულ მარტოკა ხარ?” “ეგეთი არის, სჩანს ნება ღვთისა”, ამის მეტს პასუხს ვერ პოულობს განდევილი. ქალი ამით არ დაკმაყოფილდება და მთელ თავის ფილოსოფიას მოუყვება:

“როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა  
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?”  
...აქ ყოფნა რას არგებს სულსა?  
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის  
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?  
...ნეტა მაშ რისთვის მორთო  
ესე ლამაზად წუთი-სოფელი?  
განა მისთვის, რომ ადამიანმა  
შეაჩვენოს და აილოს ხელი?”

განდევილი რომ განყენებულს საფუძვლებს იძიებს თავისი აზრის დასამტკიცებლად, ზენაარსს ეტანება და “ღვთის ნებას” იწოდებს; ქალს მთელი თვისი აზრი თვით ცხოვრებაზედა აქვს აღგებული, იქ პოულობს ძლიერებას და სიცოცხლეს მისი სიტყვები; მისი კითხვები ცხოვრების კითხვებია, ძლიერი და მახვილი, რომელიც უცერად უთხრის საფლავს განდევილის აზრს.

ცხოვრების ლოლიკით აღჭურვილი, საოცარის ხელოვნებით დაიმონავენს განდევილს უბრალო, უვიცი ქალი. პირველი გამარჯვება ქალისა აზრით იხატება განდევილის იმ სიტყვებში, სადაც იგი თავს უბედურადა ხდის; სხვას რაღაცას და ვიღაცას აბრალებს, ასეთი ბედი რომ ერგო, და ასეთი გზა ხსნისა შეხვდა. აზრის გამარჯვებას, ხორციით გამარჯვება მოჰყვება, ქალის გამარჯვება

სიმბოლოა ცხოვრების ფილოსოფიის გამარჯვებისა, რომელიც იმას კი არ ამბობს, რომ ვითომ ცხოვრებაში ყოველივე ნათელი და კარგი იყოს, არც იმას, რომ ცხოვრებაში ყოველივე ბინძური იყოს და მაინც ეს სიბინძურე სჯობდეს არარაობას. არა, ცხოვრებაში ბევრია ცუდი, ამბობს ეს ფილოსოფია, მაგრამ თანაც ბევრი კარგია. ჩვენი დანიშნულება არის, კარგი განვავითაროთ და ცუდი მოვსპოთ, დავამხოთ. შეიძლება არც იმის წინააღმდეგი იყოს ეს ფილოსოფია, რომ ცხოვრება “ფუჭია და ამაოება”, როგორც ამბობს მეორე ჩვენი დიდი პოეტი, “მაგრამ, რადგანაც კაცნი გვქვიან - შვილნი სოფლისა, უნდა კიდევ მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა”.

ძლიერს მხატვრობითს ნიჭს იჩენს ავტორი ქალის სიმშვენიერის აღწერაში, ისეთს სიძლიერეს იჩენს, ისეთს საოცარს ხელოვნებას, რომ მე მგონია ამ აღწერილობით შეგვიძლია თავი მოგვქონდეს. ავტორი სამაგალითოდ ასრულებს იმ კანონებს, რომელიც ესთეტიკას მიუღია ლესინგის შემდეგ და რომელიც უფრო ისტორიული კანონებია, ვინემ სახელმძღვანელო მწერლისათვის, რადგან მისი აღსრულება შეუძლია მხოლოდ ნიჭს, ტალანტს ულესინგოდაც. ხოლო უნიჭო პოეტს და მწერალს ამ a posteriori შედგენილის კანონებით ხელმძღვანელობა ზიანსაც თუ მისცემს, თორემ დიდ სარგებლობას არა. ჭკაკავადე სულაც არ აგიწერთ დაწვრილებით არც ცხვირს, არც ტუჩს, არც თვალს ქალისას, არც მის წარბსა და წაწმამს. მისთვის საკმაოა, გითხრათ, რომ ამ ქალის ეშხიან თვალბის “სითბოს თვით ცეცხლი ეცილებოდა”, რომ მისი ბაგე “ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა”, რომ მისი სიტურფის შექმნას თითქო ერთად ცდილან “თვით სიყვარული და ნეტარება”, “თითქო თვით მადლსა შვენებისასა თვისი საუფჯე აქ დაჰბნევია.” აქ თქვენს ფანტაზიას სრული თავისუფლება ეძლევა და ყველას შეუძლია წარმოიდგინოს ისეთი იდეალი სიმშვენიერისა, როგორც ესურვება მის წარმოდგინებითს ძალას. ავტორი რომ მოჰყოლიყო წვრილ-წვრილად აღწერას, ჩვენს ფანტაზიას შეჰპოჭავდა და თვითაც ვერავითარ ნათელ სურათს ვერ დაგვიხატავდა. განა შესაძლოა უკეთესად დასახვა შვენიერებისა, უკეთესი დამამტკიცებელი საბუთი ზეციური სიტურფისა, რომ მის მაცდურებას “ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც”?

არა ნაკლებ გასაოცარს ხელოვნებას იჩენს ავტორი ბუნების სურათის აღწერაში (თავი VII და VIII) და უნდა ვსთქვათ ესეც, რომ აღწერილობასაც პირველი ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში. მე აღარ ავწერ ამ სურათს ვრცლად, დარწმუნებული ვარ ყოველ ქართველ მკითხველს ღრმად შთაბეჭდილი აქვს ის ხსოვნაში. ძლიერი სული, რომელიც ამკობს ამ სურათს, სიცოცხლე და ძლიერი მოძრაობა, რომელსაც გაგრძობინებთ ყოველი კალმის მოსმა პოეტისა, საოცარი შეხამება ფერადთა, მისი ხელოვნური სტილი და სიმბოლიური აზრი თვით აღწერილობისა, უტყუარი დამასაბუთებელია თ. ჭკაკავადის დიდის მხატვრულის ნიჭისა.

მშვენიერს სურათს მზის ჩასვლისას, რომელიც ავტორმა განდეგილის სენაკის “ზღუდის კარებიდან” დაგვანახვა, აღტაცებაში მოჰყვებართ და რაღაც საოცარს, მართლა “განმაცვიფრებელს” შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველში ეს სურათი ამ უცნაურს ჩარჩოში. განდეგილის გატაცება ამ სურათით, მწყემსის ქალისაგან თავისი ცხოვრების მიტოვება, რომ ბუნების ამ მომხიბვლელი სურათის ცქერით დამტკბარიყო, კიდევ და კიდევ თავისებური პოეტური ხერხია, პოეტური საბუთია ამ სურათის სიმშვენიერისა.

აქაც ავტორი იმავე იარაღს ხმარობს - დაპირდაპირებას, ანტითეზას: მზიანი მყუდრო საღამოს აღწერას ისეთ საშინელს დაღამებას მოაყოლებს. აქაც სიმშვენიერე პირველის სურათისა ერთი ორად ჩნდება, უცნაური, ჯოჯოხეთის მსგავსი ამინდის აღწერით. “ელვა და ჭექვა, ქუხვა და სეტყვა არევ-დარევით ღრუბელთა სრბოლა,” ერთი ორად საშინელია, ერთი ორად გამაზრიალებელია, როცა წარმოიდგენ მშვიდსა და წყნარს განდეგილს, რომელიც “ცრემლით ალბობდა ღვთისმშობლის ხატსა და ხელაპყრობით ევედრებოდა წაწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა.” და ეს ძლიერი ენა, ეს სიტყვები, რომლის ერთი წარმოთქმა გაგრძობინებთ ბუნების რაღაც საშინელებას, ხომ შედეგრია იმ სტილისა, რომელზედაც შეიძლება ითქვას ბუფონის სიტყვა - “სტილი თვით კაცია”.

და ბოლოს თვით სიმბოლიური მხარე ამ სურათისა: რა არის ეს “ირგვლივ სხივ-გაშლით ანთებული” მზე, ეს ცა წითლადა და ყვითლად მზისაგან აფერადებული, თუ არ თვით ცხოვრება, თუ არ ის მშვენიერი ქალი, რომელმაც საუკუნოდ დაარღვია საბრალო მწირის მყუდროება. რაღა არის ეს მოღრუბლული, მრისხანე, მეხთამტეხი ცა, თუ არ კუმტი და მწყრალი უარ-მყოფელი ცხოვრების სიტურფისა, რომლის ცრემლები წვიმა იყო მისის სენაკისათვის და ქვითინი - “ქუხვა და ჭექვა” ცხოვრების დამთმობელის სადგურისათვის. რა არის მთლად ეს ჭექა-ქუხილი, “ელვა და სეტყვა”, “არევ-დარევით ღრუბელთა სრბოლა”, ეს საოცარი ამინდი რა უნდა იყოს, თუ არ წინათ მაჩვენებელი განდეგილისათვის, რომ მის შინაგანს ცხოვრებასაც ასეთი უცნაური გრიგალი მოეღოს, რომელიც მისი დალუპვით უნდა გათავდეს.

განდეგილი დაიღუპა. ქალი გამარჯვებული გაჰქრა სენაკიდან. “გადაყრილიყო ციდან ღრუბელი, და დაწყნარებულს წუთი-სოფელსა დილის ნიავი დაჰქროდა ნელი”; “ამოვიდა მზეც”, თითქო მხოლოდ მისთვის, რომ უკანასკნელად დაენახა განდეგილი, რომელიც “რბის, დაძრწის და დატანტალებს ამ კლდეებშია თმა-აბურძგნული”. ამოაშუქა გამარჯვებულმა მზემ, თითქო მისთვის, რომ უკანასკნელად სტყორცნოს თავისი განმაცხოვრებელი სხივები განდეგილის გვამს და შეატყობინოს ქვეყანას, რომ სიცოცხლის მომცემ მზესთან ბრძოლა და ცხოვრების განადგურება არ შეუძვრის კაცს და მასთან ბრძოლა მას არ არგია.

რა არის ბოლოს მთელი ეს სურათი, თუ არ სიმბოლო საუკუნო ბრძოლისა ცხოვრებაში ორმუზდისა (დაუსრულებელი კეთილი, სიმართლე და ნათელი სპარსთა სარწმუნოების წარმოდგენით) არიმანთან (ბოროტი სული), კეთილი მხარისა (მზიანი დღე) ბოროტთან (ქარიშხალი, ქუხვა და ჭექვა), რომელიც ღრუბლის დამარცხებით უნდა გათავდეს და მზის ძლევა მოსილის გამარჯვებით, თუმც მრავალი უმწყემსოდ დაშთენილი ცხოვარი დაიღუპება ამ ბრძოლის დროს და ბევრს რიგიანსა და გონიერს ადამიანს, ვერ შემგნებს თავისი მოვალეობისას და შემედარის აზრით გატაცებულს, იმსხვერპლებს იგი ბრძოლა.

## VIII

მაშინ, როდესაც რომანტიულმა პოეზიამ თავისი კანონიერი მსვლელობა ადასრულა თ. ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის თხზულებებში, რომანტიულ პროზას, რომანისა, გინდ მოთხრობის სახით, ჩვენში წარმომადგენელი არც კი ჰყოლია. არც ერთს ჩვენს რომანტიკოსს არ უცდია თავისი ძალ-ღონე და რომანტიულის ელემენტის რომანში შეტანა ისევ ილ. ჭავჭავაძესა ჰხვდა წილად. პირდაპირ რეალურის რომანის შექმნა გარეშე რომანტიულისა ჩვენში შეუძლებელი გახდა. თანაც ნამდვილის ტიპის რომანტიულის მოთხრობის დაწერა აღარ შეეძლო იმ კაცს, რომლის ძირითადი მიდრეკილება რეალიზმისაკენ იყო. ლიტერატურის მსვლელობის მოუცილებლობამ იმსხვერპლა თ. ი. ჭავჭავაძე და ეს იმიტომ, რომ ამ მოუცილებელის მსვლელობის თავიდან ამორება შეეძლო მხოლოდ გენიოსს. ხოლო ამავე კანონმა ვერ მოსპო მასში ახალის მიმართულების ელემენტი, რადგან, თუ ილ. ჭავჭავაძე გენიოსი არ იყო, ყოველს შემთხვევაში დიდის ნიჭის პატრონი მწერალი იყო.

თ. ილ. ჭავჭავაძე ძლიერი რეალისტი მწერალია და უფრო სუსტი რომანტიკოსი. მის მოთხრობებშია ცნობილი ის ადგილებია ძლიერი და ის ტიპები, რომელნიც პოეტის რეალურის ნიჭის შექმნილია. ეს გახლავს უკვდავი ტიპი “ოთარანთ ქვრივისა”, “დათიკოსი”, “ლუარსაბისა” და “დარეჯანისა”. მე აღარ მოვიხსენიებ მეორე ხარისხოვან ტიპებს - “კაცია ადამიანის” სუტ-კნენისა, თათქარიძეთა მძა-რძლისა და ცბიერ მოურავისას, ან არა და “ოთარანთ ქვრივის” ბატონის არჩილისა, მისი დის და მეწისქვილე სოსიას ხასიათებს.

ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ ილია ჭავჭავაძის “მგზავრის წერილები”, რომელიც ისევ ლირიკული თხზულებაა, მწერლის პირადის გრძნობების გამომსახველი: იქ გამოთქმული გრძნობებიც ისევ, რასაკვირველია, საზოგადოებრივის მიზეზით გამოწვეულია.

ჩვენ აღვნიშნეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ნაწარმოების ერთ ადგილს (მოხვევსთან საუბარს ჩვენს ლიტერატურაში), ეგრეთ წოდებულ “მთიელთა” მწერლობის მიმართულების შექმნაში.

“გლახის ნაამბობი” არის პირველი მოთხრობა თ. ილ. ჭავჭავაძისა. რომანტიული ელემენტები ამ მოთხრობისა ცხადია. ავტორი ხშირად ჩაურევს ხოლმე თავის ფიქრსა და გრძნობას მოთხრობაში. გარდა ამისა, თვით მისი მოძღვარი და გაბრო უფრო პოეტის აზრისა და სურვილის გამომხატველი სიმბოლოა, ვინემ ცოცხალი ტიპი ჩვენის ცხოვრებიდან ამოღებული; გაბრო უფრო უმადლესის სასწავლებლიდან გამოსულს ახალგაზრდასა ჰგავს, მეტისმეტი ფაქიზის ნერვებისა და გრძნობების მექონეს, ვინემ იმ დროის გაუთლელს, მოუხეშავსა და ცხოვრებისაგან დაბეჩავებულს გლახის შვილს.

მღვდელი ამ მოთხრობისა, რომელიც, ჩვენის აზრით, ჰიუგოს “უბედურთა” ეპისკოპოსის გავლენის ქვეშე არის შექმნილი, მართალია, შესაძლებელია ცხოვრებაში, მაგრამ იშვიათი მოვლენაა. და ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ უფრო პოეტის სურვილ-მისწრაფების განმახორციელებელი სიმბოლოა და არა ცოცხალი არსება. მომხიბვლელობა ამ მაღლით შემოსილის, კეთილის მწყემსისა, მაინც იმდენად დიდია, რომ ჩვენს ლიტერატურაში მისაბაძავ საგნად შეიქმნა (“მოძღვარი” ყაზბეგისა). სამაგიეროდ იქ, საცა ძლიერადა სცემს საუცხოოვ ნიჭი რეალისტ მწერლისა, შექმნის ხოლმე უკვდავ ტიპს და ეს ტიპია “გლახის ნაამბობში” დათიკოს ტიპი.

ამ მოთხრობის დაწერიდან თითქმის 50 წლამდე გავიდა, მას მერმე ძირითადად შეიცვალა ჩვენის ცხოვრების ვითარება, მაგრამ დათიკო კი იმავე დათიკოდ დარჩა. ეს ხასიათი - აღვირწახსნილ თავადიშვილისა, რომელსაც ქვენა გრძნობათა დაკმაყოფილება დაუსახავს ცხოვრების უმთავრესს საგნად და რომელიც არავითარს საშუალებას არ ერიდებოდა, რომ თავისი ბინძური სურვილი და ვნებათა ღელვა დაიკმაყოფილოს, გაანადგურებს მთელს ოჯახს, უღალატებს ძმად და მეგობრად აღზრდილ თავის გაბროს და მთელს მის სიცოცხლეს უკუღმად წაიყვანს. ხოლო არც თავის თავს უშვრება უკეთესს რასმე - ეს ვითომდა ადამიანი, მოქეიფე და დარდიმანდი ყმაწვილი კაცი, განხორციელებული პირუტყვია, ერთის ვნების, ერთის გრძნობის დასაკმაყოფილებელის იარაღად და მაშინად გარდაქცეული. იგი განხორციელებული ვნებათ ღელვა და მარტოოდენ პირუტყველ გრძნობათა ჭურჭელი.

ვის არ ეხატება ცოცხალი სურათი დათიკოსი, ამ ჩვენი დიდკაცობის შვილისა, რომლის გონების განვითარება მეოთხე კლასით დასრულებულა და რომელსაც მაშინვე მამაკაპური ჩოხა-ლეკურისთვის მიუყვია ხელი, დაფარფაშობს აქა-იქ და თავის “მოხდენილ მხარბეჭს” გამოაფენს, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, აცა რომელი ამოვირჩიო ამ ცხვართა გუნდში ჩემის ბრწყინვალე სურვილის მსხვერპლადაო?

ვის არ ეხატება თვალწინ მომხიბვლელი სურათი დარდიმანდის ყმაწვილის კაცისა, ცხენზედ ლამაზად გამოჰიმულისა, რომელიც აქენებს თავის ტაიჭს ცხოვრების მოედანზე და დარდიც არა აქვს იმისი, რამდენს მშვენიერს და ლამაზს ყვავილს - ამ ბუნების ტურფა სამკაულს - გასრესს და გააცამტყვერებს. მას ერთი ფიქრი უტრიალებს თავში: “მე”, “მე” უწმაწურ გრძნობათა საუნჯე, ეს აღუვსებელი საწყაო რაიმენაირად აივსოს. მისი თვალი, პირი და შუბლი, სახის ყოველივე გამომეტყველება, ხელის ყოველივე განძრევა გამცნებთ, რომ წუთიერის სიამოვნების სურვილი აფიქრებს, იგი გამხდარა ჭურუმად სიამოვნებისა, ქეიფისა და თავის გართობის ღმერთისა.

ვის არ გახსოვთ თავზარდამცემი შეხვედრა მშვენიერის “ტაიჭოსანის” და მისი მოქმედებით სიცოცხლე მოწამლულის კაცისა, - გაბროსი, რომელიც ტყვიას გულში დაახლის და შურს იძიებს რამდენისამე გაუბედურებულის და ნამუს-ახდილის ადამიანისას. ეს კაცის მკვლეელი ამ წუთში კეთილის ქომაგადა ხდება და ბოროტის ჯალათად, ცხოვრების ზნეობრივობის დამცველად და საზოგადოების არსებითის პრინციპების მფარველად. სიძლიერე ამ ტიპისა ისეთ დიდ-მნიშვნელოვანად ჰქმნის ამ თხზულებას, რომ 50-ის წლის განმავლობაში, თუკი დაწერილა ჩვენში რაიმე თვალსაჩინო მოთხრობა, ყველაზე გავლენა ჰქონია. იერემია წარბა ბ-ნ. გ. წერეთლის “პირველის ნაბიჯისა” სხვა რა არის, თუ არ გამეორება დათიკოსი. ესეც იგივე ბინძურ ვნებათა ღელვით აღსავსეა, ისევე გაქსუებული და გასალახანებული, რომელსაც თავისი საზიზღარის სურვილის დაკმაყოფილების მეტი არა ახსოვს-რა. მელანიას “ზნელოს” კნიაზი შაქრო, მისგან ილოს ცოლის გაუპატოვრება, ილოს ცოლის გაროსკიპება იგივე ამბავია დათიკოსაგან თამაროს ნამუსის ახდისა. ტარიელ მკლავაძე, ნინოშვილის “ჩვენის ცხოვრების რაინდისა”, განმეორებული დათიკოა, ეგრეთვე “ქალების მუსუსი” და, დათიკოსი არ იყო, თავისივე სიბოროტის მსხვერპლად იქცევა. აგრეთვე ნინოშვილის “სიმონა”, დროიძის შვილი - მხედარი, ქრისტინეს დამღუპველი და თვით ქრისტინეს გაცუდ-ქალება სულ “გლახის ნამზობის” ზედ-გავლენის უეჭველი საბუთები არიან.

ყველას მოგეხსენებათ შინაარსი “გლახის ნამზობისა”. ყველამ იცით, რომ დათიკო არის ბრწყინვალე თავადიშვილი და გაბრო მისი თანამეზობელი, რომელიც “თავდაპირველადვე აადევნეს მისოდენა ბატონიშვილსა”. ბატონი და ყმა ორივე ტფილისში გაგზავნეს სასწავლებლად. იქ დათიკო სწავლობდა სკოლაში, გაბროს კი ერთი ღვთისწიერი მღვდელი აღმოუჩნდა, რომელიც წერა-კითხვას ასწავლიდა, გონებას უვითარებდა და მისი სულის გაწვრთნასა და ამალეობას ცდილობდა. ბატონიშვილს მამა მოუკვდა; რასაკვირველია, მაშინვე სწავლა მიატოვა და სოფელში დაბრუნდა. “დათიკომ რუსული ტანისამოსი გაიძრო და ქართული ტანისამოსი ჩაიცვა. სულ გამოიცვალა ახალს ტანისამოსში. მშვენიერი შესახედავი ყმაწვილი კაცი დადგა”. დიად, მშვენიერი ყმაწვილი კაცი დადგა დათიკო, “მშვენიერის სანახაობისა, გულუხვი, გულმარდი, გიჟმაჟი და ვაჟკაცი. თოფისა და სხვა იარაღის ხმარებაში იმ ძირობაზე იმას ორიც არა სჯობდა. ის რომ ყარაბაღულ ცხენზე შეჯდებოდა ყელმოდერებული, ალვის ხესავით, ადამიანს თვალი ზედ დარჩებოდა. ყველაფრით ძალიან ლამაზი და მოხდენილი იყო. მაგრამ ერთი ავი სენი სჭირდა, - ქალების მუსუსი იყო და ამისთანაებში ნამუსგაქნილიცა. რაკი გულში ვისიმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა, თავის გულის-წადილისათვის არაფერს და არავის დაზოგავდა: ყველაფერს და ყველას ხიდად გასდებდა დაუნდობლად და თითონ გაივლიდა... მგონია... თავის ნათესავსაც არ დაინდობდა მაგისთანაებში - ესეთი თავდაუჭყრელი იყო, რაკი პირწყლიან გოგოს დაინახავდა. ბევრს გლეხის გოგოს მოუკლა იმან ნამუსი, ბევრს კაი ოჯახის-შვილს თავზე ლაფი დაასხა...” და, აი,

დათიკოს ამ თვისებით გამოწვეულია მთელი დრამა, რომელიც ავტორს აუღია თავისი მოთხრობის სიუჟეტად. გაბრიელს უყვარს ერთი გლეხის გოგო თამრო, რომლისთვისაც დათიკოს ერთხელ კვირა დღეს ეკლესიაში თვალი გადაუვლია და მამამისისთვის ესეთი თავხედი კომპლიმენტებით მიუმართავს: “კი საპროშტავი ყოფილაო!” მაშინ, როდესაც გაბრო ღვთაებრივ გრძნობით არის აღსავსე ამ გოგოს მიმართ, დათიკოს იგი თავისი ბინძურის ჟინის მოსაკლავად უნდა და აი, აქ გაიმართება უწინდელ მეგობრად შეზრდილის ბატონ-ყმის შორის ბრძოლა, რომელიც ორთავესათვის, რას ვამბობ, სამისა და ოთხის ადამიანისათვის საუბედუროდ გათავდება: თამროს მამა სადღაც გზაში ჩაკვდება, თამრო “ავლაბრის უნამუსოდ” გახდება, დათიკოს გაბროს ხელი გამოასალმებს მისგან გათელილს წუთი-სოფელს და თვით გაბრო კი სილატაკეში და სიგლახაკეში ჩავარდება.

დათიკოს ძალა აქვს ხელში და უფლება; “ქალი ჯერ ჩემია”, ეუბნება უსირცხვილოდ გაბროს. მისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს ეხლა გაბროს სიყვარულსა და ერთგულებას და გააფთრებული გაიძახის: ქალი ჯერ ჩემია, ჯერ ჩემია, ჩემის ჟინის მოსაკლავად მინდა ჯერაო და, როცა ჩემსას ავასრულებ, მერე შენთვის დამილოცნაო.

გაბროს და თამროს მამას - პეპიას ხელ-ფეხს შეუბოჭვენ და სატუსალოში უკრავენ თავს. ამასობაში დათიკოს თავის დიდებულ ჟინს მოიკლავს და მერმე გაბროსა და პეპიას, საციმიბროდ გაგზავნილებს, გზიდან დააბრუნებს... უთუოდ, რაკი “თავისი შეისრულა”, ეხლა მისმა სინილისმაც გაიღვიძა და ნება არ მისცა, ორი ადამიანი ტყუილად დაეღუპა... გაბრო სულიერად მაინც მოკლული იყო და დღეს მისი იდეალი მხოლოდ შურისძიება იყო, დათიკოს სულთა-მხდელად აღიარა თავისი თავი; ერთხელ სადღაც შეხვდა დათიკოს და “შიგ მარცხენა ძუძუში დამბაჩა დასცა...” ამის შემდეგ გაბრო მაწანწალად გარდაიქვა და მშიერ-მწყურვალი სადღაც ჩაკვდა. სიკვდილის ჟამს ერთიღა სიამოვნება დასცალდა, მისი მასწავლებელი მღვდელი შეხვდა, რომელსაც აღსარება უთხრა და ზიარების მიღებასაც აპირებდა, მაგრამ ეს აღარ დასცალდა.

ამგვარად დათიკოს თავისავე ბინძურის გულის წადილის მსხვერპლი შეიქმნა და სხვებიც.

მართალია, ამ მოთხრობას აზრად აქვს იმ დროის წესწყობილების კრიტიკა, ხოლო თანაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს და ამიტომ დღესაც დიდ საინტერესო მოთხრობადაა ხდება; დღესაც, ზემოთაც მოგახსენეთ, ამ მოთხრობასა აქვს დიდი გავლენა ჩვენს მწერლობაზე.

დათიკოები, მართალია, ბატონყმობის წესწყობილების შვილები არიან, მაგრამ დათიკოები, როგორც ბინძურ, აღვირწახსნილ გრძნობათა ჭურჭელნი, თვით უდიდებულესის გრძნობის ჟინად გარდამქმნელნი და შემლახველნი, ადამიანის სიცოცხლის მომხამველნი და საზოგადოების ცხოვრების მომწამველნი, ყოველ წესწყობილებას თან სდევნენ. იერემია წარბა გ. წერეთლისა, ტარიელ მკლავაძე და დავით დროიძის შვილი ნინოშვილისა სულ ერთისა და იმავე თვისების არიან, თუმც სხვადასხვა ნიადაგზე აღზრდილნი, ერთი და იგივე ჯურის მოციქულნი არიან ბოროტისა და ქვეყნად ბოროტების უხვად მთესველნი.

## IX

“გლახის ნამბობს” “კაცია-ადამიანი” მოჰყვა, ჭემმარტი და უტყუარი საბუთი თ. ილ. ჭავჭავაძის ძლიერის რეალურის ნიჭისა. ეს მოთხრობა სწორედ ეპოპეა ბატონყმობის წესწყობილებაზე აღზრდილი უსაქმურისა და დოყლაპია ბატონების ცხოვრებისა.

ლუარსაბი და დარეჯანი გახლავთ წარმოშობილი ამ უცნაურის წყობილებისა, როცა “რომის დამხსნელთა” შთამომავლობას ნება ეძლეოდა ხალხისათვის ტვინი ეწოვა, ტახტზე განცხრომით გდებულებოდა უსაქმოდ და სხვისის ნაოფლარით კი გამომძადარიყო. მაგრამ ეს მხოლოდ კანვაა, რომელზედაც ილია ჭავჭავაძემ მოქარგა თავისი დიდებული ნაწარმოები. რასაკვირველია, მწერალს არ შეუძლიან თავისი ნაწარმოები აღაშენოს, თუ არ იმ მასალის შემწეობით, რომელსაც იძლევა ცხოვრება... ილია ჭავჭავაძისათვის ფიზიკურად შესაძლებელი არ იყო იმ დროში სხვა ტიპი დაესურათებინა, თუ გინდ მისივე “ოთარაანთ ქვრივის” არჩილი, რადგან მაშინ ცხოვრება სულ სხვა სახისა იყო, რადგან ცხოვრებაში მარტო დათიკოები დათარეშობდნენ, თათქარიძეები კი ტახტზე გორავდნენ და ხვრინავდნენ... გარნა ნიჭის ძლიერება მისი გამოიხატა მასში, რომ ამ მასალით ისარგებლა და ქართულის ლიტერატურის საუკუნო ძეგლი აღაგო. ლუარსაბი და დარეჯანი მარტო ბატონყმობის დროის ქართველების დამახასიათებელნი კი არ არიან, საზოგადოდ, ქართველების თვისებების ნამდვილი და უტყუარი სურათებია: სიზარმაცე ფიზიკური და გონებრივი, სიბინძურე და დაუდევრობა, შურიანობა, რომელიც ხდება ცხოვრების ერთადერთ საგნად ამ კაცთა ადამიანობის შემარცხველ ვაჟბატონებისა, - ეს თვისებანი ქართველის ერის ხასიათის უაღრეს ნაკლულევანებათაგანს ეკუთვნის.

თუ თ. ილ. ჭავჭავაძეს ლუარსაბი და დარეჯანი მსოფლიო ტიპად ვერ შეუქნია, სამაგიეროდ, მათ სახეში ისეთის სისრულითა, სავსებით და სინამდვილით დაგვიხატა ნაციონალური ქართული ტიპი, რომლის მსგავსი ორმოცდა ათის წლის განმავლობაში ქართულს ლიტერატურას არა შეუქმნია რა.

სასაცილოა ამის შემდეგ, რომ სწორედ ამ მოთხოვნის გამო ილია ჭავჭავაძეს ორიგინალობის ნაკლულევენება შესწამეს ზოგიერთმა კრიტიკოსებმა და მარტო მიმბაძველობის უნარი მიანიჭეს... ზემოთ ჩვენ ვრცლად მოვილაპარაკეთ, რა მნიშვნელობით უნდა იქმნეს მიღებული მიმბაძველობა ლიტერატურაში. აქ კი ვეცდებით განვმარტოთ და დავასაბუთოთ, რომ ილია ჭავჭავაძემ დიდი თავისებურება გამოიჩინა ამ მოთხოვნაში.

“კაცია-ადამიანი?!” ზოგიერთის აზრით, გოგოლის “სტაროსვეტსკი პომეშიკების” მიბაძვაა. მართალია, გოგოლსაც ორი მოხუცი ცოლ-ქმარი ჰყავს აწერილი, რომელთა ცხოვრების აზრი და მიმართულება მარტო იმაში გამოიხატება, რომ სჭამენ, სმენ და სძინავთ. მეტი არცა-რა მათ აწუხებს და არცა-რას სხვას აწუხებენ. ესტუმრებათ ვინმე, მათ სიხარულს, აღტაცებას საზღვარი არა აქვს. არ ესტუმრებათ და, თავისი თავითაც კმაყოფილნი არიან. უყვართ ერთმანეთი განუსაზღვრელი სიყვარულით, ისე, რომ როცა ცოლი მოკვდება, ქმარიც თითქმის ნახევრად მკვდარია და ცოტა ხნის შემდეგ იგივე გამოესალმება წუთისოფელს.

მართალია, ყოველსავე მაღალ აზრსა და გრძნობას მოკლებულნი არიან გოგოლის გმირები, მაგრამ ისეთი კარგი და კეთილი ადამიანები არიან, ისეთის სიმპატიითა და თანაგრძნობითა ჰყავს მწერალს აღწერილი, რომ ძალაუნებურად თქვენც გაყვარებთ მათ და თქვენს გულსაც სიმპატიით ადავსებს მათდა მიმართ. და, შესანიშნავი რუსი კრიტიკოსის ბელინსკის არ იყოს, საყვედურს გათქმევინებთ ავტორისათვის: რად მიყავი ეს, რომ ასეთი უფერული ადამიანი შემაყვარე და შემაბრალო, როგორღაც დამიახლოვე და ენა დამიბი, აღარ შემეძლიან მათი უარარაობა დავგმო და განვიცხო. გოგოლს თავისი მოხუცებულების განვიცხვა კი არა აქვს სახეში, ჩვენ ის გვისურათებს მათ უფერულსა და უაზრო ცხოვრებას; მართალია, დაცინვის კილოთი, ხოლო ეს დაცინვის კილო რაღაც ნაზია, სენტიმენტალური, სიბრალეულისა და თანაგრძნობის აღმძვრელი, ვინემ ზიზღისა და უარყოფისა.

ესლა შეხედეთ ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებს. “კაცია-ადამიანი” მოთხრობილია ორის ცოლ-ქმრის ცხოვრება, იგინიც სჭამენ, სმენ და სძინავთ. ეს არის ამ ორ მოთხრობათა შორის მსგავსება, დანარჩენი განსხვავებაა რჩება.

გოგოლის მოხუცები კეთილი, გულუბრყვილო, საბრალო ადამიანებია; ჭავჭავაძის თათქარიძეები ჭამა-სმის გარდა ჭორიკანობენ და გესლიანობენ, ბოროტნი არიან, შურით აღსავსენი და გულ-ღვარძლიანი, - ამათის ცხოვრების მიზნად ის გამხდარა, რომ ძმას არ დაუტოვონ საცხოვრებელი. ამიტომაც კომიზმით აღსავსე დრამად იქცევა მათი ცხოვრება, როცა ვერაფერს ღონეს გახდებიან და შვილი არ მიეცემათ. გოგოლის მოხუცნი მეტად ღმობიერად ექცევიან თავიანთ ყმებსა და მოსამსახურეთ; თათქარიძენი კი ხშირად “აწიოკებენ” და დარწმუნებულნი არიან, რომ ეს “დაწიოკება ისე აუცილებლად საჭიროა ოჯახისათვის, როგორც სმა-ჭამა კაცისათვისა”. მართალია, იგი დაწიოკება რაღაც სულელურ წყრომაში იხატებოდა, მაგრამ ეს მარტო იმიტომ, რომ ლუარსაბს მეტად ეზარებოდა თავისი ტახტის მოცილება. ლუარსაბის დარბაისელი კნენა ხომ ღვთის რისხვასავით “დაეშვებოდა ჩალურისაკენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ, ესე იგი ვაინაჩრობით და გულში ჩამარხულ გაბოროტებით სულს იბრუნებდნენ... იქ მუჯღუფუნს წაჰკრავდა საკერავზე მთვლემარე წირპლიან გოგოსა, იქ თავში ჩაუტყაპუნებდა ძონძებში გახვეულ პატარა მურიან ბიჭსა... აქ იმას გაუწყობოდა - რაზე? თითონ კნენამაც არ იცოდა, რაზე; იქ ამას გამოგილანძღავდა - რისთვის, - არც ეს იცოდა კნენამ; დასწყევლიდა, დაჰქოლაუდა, დასტუქსავდა - ერთის სიტყვით, მთელის ღამის ნაგუბარს წამოანთხევდა ქვეშევრდომებზე, - და მერე დაღლილი და დაქანცული შემობრუნდებოდა; თუ გოგო დახვდებოდა, ვერ მოითმენდა, რომ ერთი მუჯღუფუნ კიდეც არ ეთავაზებინა, “მეხი კი დაგეცასაც” ზედ დაატანდა, თუ ქეიფზე იყო და ეგრე ქანცგაწყვეტილი “შევორდებოდა ოთახში” და თავის დიდებულს მოღვაწეობას ისევ თვითონ დაასაბუთიანებდა ხოლმე ნეტარხსენებული დარეჯანი: “ესე უნდა თვალგაფაციცებული დასტრიალებდე მოსამსახურესა, თორემ ჭამის მეტს არას გააკეთებს. ბიჭებს მოვლა უნდათ, ხანდიხან ტყუილუბრალოდაც უნდა დატუქსო; რომ გამოლანძლო კიდეც, ცუდი არ იქმნება. იქ მე გავლანძღავ კიდეც, გავუჯავრდები, დავტუქსავ, დავწყევლი, სულ რისთვის? მისთვის, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს.”

ერთი სიტყვით, თუ თათქარიძენი დღეში ორ-სამ ნაყმევს არ აძრობენ ტყავს და სახრჩობელაზე არა გზავნიან, ეს გულკეთილობით კი არ მოსდით, სიზარმაცით და ტვინის გაუნძრევლობის გამო.

უფერულნი არიან და უმსგავსნი, რამდენადაც შესაძლოა მათის ჭკუისა და სინილისისათვის მავნე და საძაგელნი არიან.

თხზულებათა ერთი მეორისაგან განსხვავებაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს მას, თუ როგორ ეპყრობა მწერალი მისგან აღებულს საგანს: რა თვალთა ხედვის ისრით ხელმძღვანელობს ამა თუ იმ საგნის დასასურათებლად.

ამ მხრითაც დიდი გარჩევაა თ. ილ. ჭავჭავაძისა და გოგოლის შუა. მაშინ, როდესაც, როგორც მოგახსენეთ, გოგოლი იარაღადა ხმარობს სენტიმენტალურს იუმორს, სიბრალულის აღმძვრელ დაცინვას, სწერს დიკენსის კილოთი, თ. ილია ჭავჭავაძე მკაცრსა და სასტიკს სატირას მიჰმართავს, სატირას მოლიერისა და ვოლტერისას, სატირას, რომელიც დაუნდობლადა ჰკიცხავს და მიწასთან ასწორებს ყოველს, რომელსაც დაუმახინჯებია და შეურაცხვენია წმინდა სახელი ადამიანისა. თ. ილია ჭავჭავაძე მაღალგრძნობიერი მწერალია და, როგორც ეგრეთს, სიბრალული და შენდობა არ ეუცხოვება, მაგრამ იმ პირთ, რომელთაც თავისი სიცოცხლე ისე გაუტარებიათ, რომ მარტო შენდობისა და სიბრალულის მეტი არა დაუმსახურებიათ რა, მწარისა და გამგმირავის დაცინვით იხსენიებს: “წაიშალა ამ ორთა გვამთა (ლუარსაბისა და დარეჯანის) ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა. რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუ თუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდევ ქვაზე წაიწერონ რომ “ჩყ... წლამდინ თავადი ლუარსაბი თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დახოცილან?” სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ. “წამკითხველო, შენდობა გვიბრძანეთო”, ამბობს იმათი ქვის ზედწარწერა. ნახევარი საუკუნე ამისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზე, რომ ბოლოს მაინც კიდევ “შენდობა” ითხოვონ და საბოდიშოთ გაიხადონ საქმე?” დიახ, აქა სჩანს მთელი თვისება საეროვნო პოეტისა, აქა სჩანს მთელი ადამიანური სიმკაცრე სასტიკის იდეალისტ-მორალისტისა, - შენ შეურაცხვე ღვთის სახე, რომლის მსგავსად გაგაჩინა ბუნებამ? - ზიზღის ღირსი ხარ და დამცირების, შენ უნდა თითით საჩვენებელი გახდე და დასაგმობელი, რომ სხვებმა ზიზღით უყურონ ესეთ ცხოვრებას და ზურგი შეაქციონ შენისთანა ადამიანებს. ეს სიმკაცრე კი, რასაკვირველია, ვალად არ ადებს მწერალს, სიბრალული არ ექმნეს უბედურის, გათახსირებულის და გახრწნილის ადამიანის მიმართ. სიბრალული რა ხელსაყრელია, რა სანატრელია და სანუგეშო შენთვის, რომლისთვისაც მოუნიჭებია ბუნებას ადამიანობა და არა პირუტყვობა, ღვთაებრივობა და არა ქვემძრომობა.

გარდა ამისა, თ. ილია ჭავჭავაძე მთელს ცხოვრებას გვიხატავს თათქარიძეებისას, თითქმის დაბადებიდან დასასრულამდე, გოგოლს კი ერთი ხანა აქვს აღებული თავისი მოხუცების ცხოვრებისა. ილია ჭავჭავაძე თათქარიძეთა სახით მთელის ჩვენის ერის ცუდ თვისებათა და ნაკლულევანებას გვიხატავს, გვისურათებს მთელის ჩვენის ერის ზნე-ჩვეულებას, ქალის გათხოვებისას, სიძის მოტყუებისას, მაჰანკლობისას, მკითხავობისას, სალოცავად წასვლისას და სხვ. გოგოლი კი მოხუცთა ცხოვრების ერთ მომენტს აგვიწერს. ხოლო თუ წამბამველობაზე წავიდა საქმე, გოგოლსაც ხომ თვით არ გამოუფონია არაკი თავისი მოთხრობისა, არამედ რომელთა მწერლის ოვიდიისაგან, რომელსაც ერთს თავის არაკთაგანში (“ფილიმონი და ბაკვიდა”) წყნარი და მშვიდი, თანაც უფერული და უაზრო ცხოვრება აქვს აღწერილი ორის მოხუცი ცოლ-ქმრისა.

თ. ილია ჭავჭავაძემ სიუჟეტიც გააფართოვა და საეროვნო მოთხრობა შეჰქმნა თავისი ნაწარმოებისაგან. მასში გამოყვანილი ტიპები მეტად საეროვნოა, მეტად ქართული, მასში აწერილი ზნე-ჩვეულება ჩვენია, ნაციონალური.

ეს საუკეთესო მწერლობითი დოკუმენტია ჩვენს ლიტერატურაში, ჩვენის ერის დამახასიათებელი. თუ ქართველის ერის XIX საუკუნის ისტორია დაიწერება, საუკეთესო მასალად გამოადგება ისტორიკოსს ჩვენის საზოგადოების ამ ხანის პირველი ნახევრის ზნეობრივის სურათისათვის.

აბა, როგორ დაივიწყოს ჩვენმა ლიტერატურამ ბრწყინვალე აღწერილობა ლუარსაბის გვამისა, რომელშიაც აღარსად სჩანდა “ცით მონაზერი სული” და მარტო მძოვრად გადაქცეულიყო, “ძირ გავარდნილ ქვევრად”, რომელსაც დღე ყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო... რომელსაც სწავლისა ხომ არც არა გაეგებოდა-რა და დიდ ბედნიერად სთვლიდა, რომ უსწავლელი იყო, რადგან იგი “ეხლანდელ ჭირად” მიაჩნდა, რომლის აზროვნება “ბუზების თვლაში” იხატებოდა და ამამიაც იქამდის კიდევ ვერ მიეტანა მის გონებას, რომ ბუზები წამდაუწუმ ფრინავენ და მათი დათვლა შეუძლებელი იყო, რომლის კამათი ისეთს მძიმე საგანს უტრიალებდა გარს, როგორც საკითხავი, “ბოზბაში სჯობია, თუ ჩიხირთმა”.

როგორ დაივიწყებს ქართულის ენის მცოდნე ჩვენს კნეინა დარეჯანს, თავისი შუბლსაფენითა და ჩითმერდინით, ჩუსტით, მუჯლუგუნებით და “მეხი კი დაეცას” ყვირილით, დარეჯანს

განსწავლილს სხვადასხვა შელოცვებში, ხშირად გამარჯვებულს ქმართან ბაასში და არანაკლებ დარცხვნილს, რომ ამ დიდებულს კამათში დამარცხებული დარჩა; დარეჯანს თავ-დავიწყებით მეცადინეს, რომ შვილი შეეძინოს და ძმასა და რძალს თვალი დაუყენოს.

ვის არ გაახსენდება ჩვენის ლუარსაბის ღირსეული ძმა, რომელიც ხუთ თუმნად გაჰყიდის ძმას და ვიღაც ჯოჯოზე - ჩვენს კარგ ნაცნობ დარეჯანზე - გადასწერს ჯვარს...

ვის შეუძლიან დაივიწყოს სურათი მაჭანკლობისა, სუტკენინას სხაპასხუპით ლაპარაკი და მისი ოინები, მკითხავის ცბიერობა, რომელსაც ხელს უწყობს ბატონ-ყმათა სუსტი გამჭირახობა და სუსტზე უსუსტესი გონება.

განა შეიძლება გულით არ გაიცინოს კაცმა ას წელიწადს შემდეგაც, როცა გადაიკითხავს იმ წერილს, რომელსაც სიმამრი სწერს ლუარსაბს და რომელიც ისე სამაგალითოდ აქვს შედგენილი თ. ილ. ჭავჭავაძეს, ანდა ის სიზმარი, შურისა და წვრილმანი ბოროტების შედეგი, რომლითაც შეშინებული ლუარსაბი რამდენსამე ხანს გამოტოლი გდია აგურებზე და მის საყვარელ დარეჯანს შიშის ელდას დასცემს, არ გამიგიჟდეს ჩემი ლუარსაბიო.

## X

მესამე მოთხრობაში თ. ილია ჭავჭავაძემ თითქმის მსოფლიო ტიპი შექმნა. ეს მოთხრობა გახლავთ “ოთარაანთ ქვრივი” და ეს ტიპი, თვით ქვრივი, გიორგის დედაა.

თ. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები მთელ აყალმაყალს გამოიწვევდა ხოლმე ჩვენს ტკბილად მზვრინავ საზოგადოებასა და მწერლობაში და სასაცილოა ის, რომ თავდაპირველად უფრო უარყოფით ეპყრობიან მის ნაწერებს (“განდეგილის” კრიტიკა ბოსლეველისა, “შრომა”, 118-1883; “ოთარაანთ ქვრივის” კრიტიკა მ. ხ - სა, “ივერია”, 158-1888 წ., დავით სოსლანისა და სხვ.).

მარტო ასეთი გამოფხიზლება ლიტერატურის ამტკიცებს, რომ ჩვენს დიდებულს მწერალს ძლიერი ნიჭი აქვს, რომ საზოგადოება გაფაციცებით ადევნებს თვალყურს მის ნაწარმოებს.

ასე ააყაყანა ჩვენი საზოგადოება “ოთარაანთ ქვრივმაც”. უმეტესმა ნაწილმა საზოგადოებისა და კრიტიკისამ ვერ გაიგო მრავალი ადგილები მოთხრობისა, რადგან არა ჰქონდა შეგნებული ორმაგობა ჭავჭავაძის სამწერლო ნიჭის მიმართულებისა. მაშინდელს კრიტიკას რომ შეეგნო, ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებში ორი ლიტერატურული მიმართულება არის თავმოყრილი - ერთი ხანდალეული რომანტიზმი და მეორე - ახალგაზრდა, ჯანსაღი, სიცოცხლითა და ძალით აღსავსე რეალიზმი, მაშინ მოთხრობის ღირსება და ნაკლულევანება ადვილი გასაგები გახდებოდა.

სწორედ აქ, ამ მოთხრობაშიაც, გამოიხატა ჭავჭავაძის რომანტიული ჩვეულება, როგორც სხვა მის მოთხრობებში და ამის ნაყოფი - გიორგი, რომელსაც უფრო აღტაცებულის რომანტიკოს-პოეტისებური ბუნება აქვს, ვინემ ცხოვრების სისასტიკეში გამოწრთობილის ქართლელის გლეხისა.

სამაგიეროდ, რეალური ნიჭი ილია ჭავჭავაძისა თანდათან გაზრდილა და “ოთარაანთ ქვრივის” ტიპი არის შედეგი ავტორის მომწიფებულის, გაზრდილისა და გაძლიერებულის რეალიზმისა. ეს ტიპი ისეთი რეალური ტიპია და ისეთის სავსებით დასურათებული, რომ მაგის მსგავსი ჩვენს ახალს ლიტერატურაში არა გვაქვს რა.

ლიტერატურის მსვლელობის საჭიროებამ იმსხვერპლა ილია ჭავჭავაძის მოთხრობები და ამიტომ აქვთ მკითხველზე ეგრეთი ორჭოფი, ორმაგი შთაბეჭდილება, ამიტომ აკლია ის ერთიანობა, ის ტექნიკური სიმარტივე და სიდიადე, რაიცა გამოიჩინა ავტორმა “განდეგილში”.

ხოლო ერთის მოთხრობიდან ისეთის ტიპის შექმნაც საკმარისია, როგორც ოთარაანთ ქვრივია.

გიორგის, ოთარაანთ ქვრივის ერთად ერთ პირმშო შვილს, შეუყვარდება თავისი ბატონის და კესო. კესო, რასაკვირველია, აზრადაც ვერ წარმოიდგენს, რომ შესაძლებელია რაიმე ამგვარი ვიღაც ბიჭსა და ქალბატონს შორის, თუმცა გიორგი ბევრჯელ აძლევს კნიაჟნას შემთხვევას მისი გრძნობის გაგებისას; გიორგი უფრთხილდებოდა და უვლიდა კესოს ბაღს თავის ორ თვალზე უფრო მეტად, “მტვერი რა არის, მტვერს არ დაადენდა, არ შეარჩენდა ბალახსა და ფოთოლსა.” ერთხელ, როცა კესომ ამ ბაღის გეგმის ჩვენება დაუპირა, გიორგიმ ფეხი ვეღარ გაანძრია, ვერ მიუახლოვდა კესოსა, თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა... მაგრამ კნიაჟნამ “გულის ჭიდილს” დააბრალა.

ასე იყო დღეს, ასე იქნებოდა ხვალ და ყოველთვის; დრამა და მთელი არაკი მოთხრობისა აქ არის, ამაში - ამ სიყვარულში, ერთის მხრით, და სრულს გულგრილობასა და გაუგებრობაში, მეორეს მხრით. ამ საქმის გამომჟღავნება შესაძლო იყო გიორგისთანა თავმოყვარე და გულდახურულის ბიჭისაგან სწორედ ისეთ წაშში, როგორიც სიკვდილის წინა წამებია.

შემთხვევით გიორგი მოკვდება და მისი სულიერი დრამა თვალწინ გადაეშლება მის ძალაუწებურად დამლუპველს კესოს და მის ძმა არჩილს. გიორგის დამარხვის შემდეგ და-ძმას შორის მოხდება გრძელი ბაასი, რომელიც, რასაკვირველია, სინამდვილეს მოკლებული არ არის,



მაგრამ თითქო განგებ მოუყვანია იგი ავტორს, რათა თავისი აზრი ამ საგნის შესახებ გამოარკვიოს (ნაყოფი ილ. ჭავჭავაძის რომანტიკული მანერისა). ამ ბაასის მიუცილებლობა მოთხრობისათვის უეჭველია, რადგან ამაში მშვენივრად იხატება უფერული ტიპი არჩილისა - ჩვენის ახალგაზრდობის ერთის ჯგუფისა, რომელსაც მაღალ-მაღალის ფრაზებითა აქვს ავსებული თავი, სულის სიღრმემდის კი არც ერთი ამ სიტყვათაგანი არ ჩასწვდენია, არც ერთი კეთილშობილური აზრთაგანი არ გასჯდომია ძვალსა და რბილში - ტიპი რეზონიორისა, საქმით ლუარსაბის შვილისა, უფრო გათლილი და გაშალაშინებული თავის მამაზე, რასაკვირველია, და სიტყვით კი ახალის ცხოვრების წინამორბედი.

არჩილიც უმაღლესი წოდების წარმომადგენელია. თუ 50 წლის წინეთ ამ წოდების უმეტესობა ლუარსაბებსა და დათიკოებს გზავნიდა ცხოვრების ასპარეზზე, დღეს არჩილებს გვამღვეს. მართალია, არჩილი ისე საზიზღარი არ არის, როგორც ლუარსაბი, სწავლისა და განათლების “ჭირად” აღმსარებელი მაინც არ არის, მაგრამ ლუარსაბივით უფერულია და უშინაარსო.

რასაკვირველია, არჩილი არ წარმოადგენს არავითარს მავნეს საზოგადოებისათვის, მაგრამ არც არა სასარგებლოა მისთვის. მაშინ, როდესაც დათიკო ნამდვილი მტერი იყო ჩვენის საერო ცხოვრებისა და საზოგადოდ კაცთა ადამიანურის ცხოვრების შემბილწველი, არჩილი გახლავთ სწორედ მეოთხმოცე წლების ახალგაზრდა, პრაქტიკულის მიმართულებისა, რომლის უმაღლესი იდეალი ადგილ-მამულის მოვლაშია და, თუმცა მის ნაწარმოებს არ ადიდებს, არა ჰვლანგავს და არა ჰყრის მაინც უთავბოლოდ, ზის თავის სახლში და ქეიფსა და უზნეო ცხოვრებას მაინც არ მისდევს, მაგრამ გონებითა და მოქმედებით კი მაინც უფერულია; სოფელს არარა არგია მისგან; აზრთა წვრთნა სამშობლოსა არ ეინტერესება და იქნება სასაცილოდაც მიაჩნდეს. გაუზვირებია ერთი-ორი მაღალი ჰუმანური ფრაზა, რომელსაც მხოლოდ მაშინ თუ წამოისვრის და ისიც სხვის სასაყვედუროდ, როცა ისეთი საშინელი ამბავი მოხდება, როგორც გიორგის სიკვდილია.

მისი სულიერი სისუსტის საუკეთესო დამამშვენიებელი მისი დაა, რომელზედაც ვერავითარი გავლენა ვერა ჰქონია ძმას, რომელიც რაღაც განყენებულსა და უშინაარსო რამ ქმნილებას წარმოადგენს. ეგ კესო სწორედ ნულია და ავტორს სულაც რომ არა ეთქვა რა მის შესახებ და ეთქვა მხოლოდ, რომ არჩილსა ჰყვანდა ნულივით უშინაარსო და, რომელიც გიორგის უყვარდაო, ამით არას წავაგებდით.

ამ ორ წოდებათა შორის სიყვარული და რაიმე ადამიანური კავშირი, დიდი ხანია, რაც ავტორმა შეუძლებლად სცნო. უკვე “გლახის ნაამბობში” აღიარა, რომ “უმცროს-უფროსობაში” სიყვარული სიზმარია, ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება, რომ ეგრე ყოფილა ქვეყანაზე, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს და ეგ აზრი ამავე მოთხრობაშიცა აქვს გატარებული; თვით არჩილი ამბობს: “ჩვენ შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დარჩნენ, ჩვენ აქეთ, შორი შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყყარი... ჩვენ ვინა და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა, შორი შორსა ვართ მეთქი... იმათს ტირილს და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მიგვიხვედრებია. და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვემის-რა”. ამიტომ, სასაცილოა, რომ ავტორს დასწამეს, ვითომ ამ წოდებათა შორის ხიდის გამთელება სიყვარულითა და ქორწინებით უნდოდა.

თუ “გლახის ნაამბობში” ავტორი გვიჩვენებდა, რომ დათიკოსა და გაბროს შორის - უფროს-უმცროსს შორის - მეგობრობა შეუძლებელი იყო, აქ გვიმტკიცებს, რომ კესოსა და გიორგის შორის - ბატონ-ყმის შორის “სიყვარულის ხიდი არ გაიდება”, და არათუ სიყვარული, სიყვარულის გაგებაც კი არ შეიძლება ამათ შორისაო. ეს მას აწუხებს და ამას ჰგოდებს არჩილის პირით, რადგან საზოგადოდ ცხოვრებისათვის საენებლად მიაჩნია ეგრეთი გათიშვა წოდებათა შორის. მაგრამ ნუთუ ავტორს საყვედური ეთქმის, რომ წოდებათა შორის ბრძოლა სანეტაროდა და სამხიარულოდ არ ჩასთვალა. ნუთუ დანაშაულობაა ავტორისათვის სურვილი ისეთის წყობილებისა, საცა არც ერთს არა ჰქონდეს რა მეორესთან საბრძოლველი და სადავო.

“რად უსაყვედურებს ავტორი კესოს, გიორგი რომ არ შეუყვარდა და ცოლად არ გაჰყვა? მაგის მიზეზი წოდებათა შორის გარჩევა კი არა, აზრთა და გრძნობათა სხვადასხვაობაა”, ამბობდნენ მეორენი.

ერთის სიტყვითაც არ უსაყვედურებს ავტორი (არჩილი) კესოს, რატომ გიორგის მეუღლედ არ გახდით. ის იმასა ჯავრობს და იმაში ამტყუნებს დას, რომ “ღირსებათა თაყვანისცემას ვილა სჩივის, შენ ვერც კი მიუხვდი სიყვარულს, კაცი თურმე თავს გველებოდა... აი, რა დიდი კედელია ჩვენსა და იმათ შუა!.. აბა, შენი ტოლი კაცი ყოფილიყო! სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი და მაინც, სხვა არ იყოს რა, თუნდ ნაასალი მადლიც გიორგისა არა სცხებოდაო”.

გიორგი რომ ყოფილიყო თუგინდ იგივე საზიზღარი დათიკო, მაშინ კესო ძალიან კარგად გაიგებდა, რატომ არის მისი ბალი ასე გაწმენდილ-გაშმენიერებული, ძალიან კარგად მიხვდებოდა, რატომ ვერ გადაადგა ფეხი გიორგიმ და შეიძლება ისე კარგადც მიხვდარიყო, რომ თვითონაც გულის ცემით მიყრდნობოდა მის ვაჟკაცურს გულმკერდს... შეიძლება თავდავიწყებასაც მისცემოდა და იგივე მოსვლოდა თავისივე ნებით, რაც თამროს ძალით დაჰმართა ბრწყინვალე დათიკომ. აი აქ არის გრძნობათა გარყვნა და გაცუდება და არა იმაში, რომ კესო გიორგის ცოლად არ წაჰყვა. რატომ ვერ განვითარდა იმდენზე მათი სული, რომ კარგად ეცნოთ გიორგიც, მისი ადამიანობა დაენახათ და მაშინ ხომ ადვილად წარმოიდგენდა მათი ბრწყინვალეობა, რისი შედეგია გიორგის რომანტიული ოხვრა-კვნესა.

თუმცა გიორგი საკმაოდ წააგავს აღმოსავლეთის ქართველის ცოტა არ იყოს ნაზ-გრძნობიერსა და რომანტიულს ბუნებას, მაინც რაღაც გვეუცხოვება, რაღაც ნამეტანის ფაქიზისა და ნაზის ნერვების პატრონად არის დასახული ლომგულის ოთარაანთ ქვრივის ვაჟი. და ეს იმისი ბრალია, რომ ავტორსა სურდა გრძნობამოდუნებულისა და გაგრძელებულის არისტოკრატიის შვილთათვის შეედარებინა ცხოვრებისაგან დასჯილის წოდების შვილი, რომლისთვისაც ბუნებას ესოდენ უხვად მიუნიჭებია მაღალგრძნობიერება და მაღალსულოვნება. მწერალმა უფერულს კესოსა და არჩილს ისეთი ნაზგრძნობიერი ადამიანი ამოუყენა გვერდით, როგორც გიორგია.

ავტორსა სურდა უენერგიოსა და სუსტ ქმნილებათათვის, რომელნიც მხოლოდ ჭურჭელს წარმოადგენენ ორიოდ გაზეპირებულის ფრაზისას, დაეპირდაპირებინა მხნე, მამაცი, სასტიკის ცხოვრებისაგან გამოწრთობილი და გამოზრდილი ადამიანი და მან დაგვისურათა ოთარაანთ ქვრივი.

მართლაც, შეხედეთ ამ ადამიანს, რამდენი სიცოცხლეა მასში, რა ძალითა და სიმხნით არის აღსავსე მისი ბუნება, თანაც რა დიდებული მედიდურობითა და ამაცობით არის შეფერადებული მისი არსებითი გულმონწყალოება, გულ- მომრეობა და მაღალსულოვნობა. მასში მარტო ერთი წოდების წარმომადგენელი კი არ იხატება, არათუ მარტო ქართველის გლეხის დედაკაცი მოგვივლინა მისი სახით ავტორმა, ამ სურათში თ. ილ. ჭავჭავაძემ განახორციელა დღეინდელი ადამიანი, რომლის მკაცრი და მძაფრი პირუტყვეული ბუნება ჯერ კიდევ ვერ მოუსპია საუკუნეთა ზნეობრივ კულტურას. ხოლო მისი სიმკაცრე როგორღაც კულტურის მშვენიერებით იმოსება, მით რომ საუკუნებით კულტურის ზედგავლენას ტყუილად არ ჩაუვლია, ღრმად გამსჭვალულა ზნეობრივის მოვალეობის აზრებით და ეს შეგნებულეა ადამიანისებურის ვალისა თავისებურს მომხიბვლელობით აფერადებს გარეგან გულქვაობასა და გულფიცხელობას.

ოთარაანთ ქვრივი ყველას წარმომადგენელია, ყველასი, ვინც კი ცხოვრობს, აზროვნობს და ფიქრობს... პირუტყვეული ჩვენი ბუნება პირველად, ჩვენდა უნებურად, წამოჰყოფს ხოლმე თავს, როცა მოგვიხდება ადამიანთა წინაშე რაიმე მოვალეობის აღსრულება, მაგრამ მერმე აზრი და შეგნება ადამიანთა თანხმობისა და საუკუნო კავშირისა სძლევეს თავაშვებულ ბუნებას, თითქო სტუქსავსო კიდევაც მას, და ბოლოს ისევ ადამიანურად მოვიქცევით ხოლმე.

ოთარაანთ ქვრივი გახლავსთ ეგრეთვე თვით ავტორის ფსიქოლოგიურის, სულიერის თვისების გამომხატველი და მაჩვენებელი. რადგან, თუკი ოდესმე (და ეს თითქმის ყოველთვის მოხდება ხოლმე) მწერალს თავისი თვისებანი მისგან გამოსახულს ტიპში განუხორციელებია, თ. ილ. ჭავჭავაძემ ეს ოთარაანთ ქვრივის ტიპში გამოიჩინა...

ოთარაანთ ქვრივი ადამიანია ყოველისავე თავისის ნაკლულევანებითა და ღირსებით. მაგრამ მაინც არა- ჩვეულებრივი არსებაა, ეს ისეთი არსებაა, რომელშიაც ყოველთვის უძლევეა ადამიანობას პირუტყვობისათვის, მასში ადამიანურს მისწრაფებას უპირატესობა მისცემია პირუტყვეულს სურვილებზედ.

“ტკბილი სიტყვა რა არისო!” იტყოდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივი, “ამ გამწარებულს წუთი სოფელში, ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს; გულის ფხანა რაღა დარდულბაა! ფხანა ქეცმა იცის...” ამიტომაც, ამ უცნაური ლაპარაკის გამო დაიმსახურა ოთარაანთ ქვრივმა გულქვა ადამიანის სახელი. მაგრამ ეგ შემცდარი აზრი გახლდათ. ვიღაც დედაკაცს წვრილ-შვილიანს და ნახევარჯერ მშიერ-მწყურვალს ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდე შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე... მართალია, ამ “მადლს” “პილპილსაც” მოაყრიდა, მაგრამ მაინც მადლსა შვრებოდა. და განა თუ მარტო ერთსა სწყალობდა. “გლახა-მათხოვარა ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა”, “თავისებურ პილპილსაც”, რა თქმა უნდა, მოაყრიდა და კარგად ლაზათიანად გამოლანძღავდა ხოლმე.”

უფრო ხშირად მოწყალებას იმგვარად გაცემდა, რომ მარცხენას არ შეეტყო, მარჯვენა რას იძლეოდა და სხვას არწმუნებდა, მივეცი, მემართა და იმიტომ, თორემ მაგისმა თავის ხეთქამ, ჩემს თავს დავაკლებ და მაგას შევძენო... თუმცა აკლებდა, რასაკვირველია, თავის თავსა და განსაკუთრებული ქისაცა ჰქონდა, საცა “ღარიბთა გასაკითხი” ფული ელაგა.

ცხოვრებაში უმეტესობა კი სხვარიგად იქცევა. უმეტესობა არჩილისა და კესოსაგან შესდგება, რომელიც ტირის და წუწუნებს ამა თუ იმ მოვლენის გამო, მაგრამ აზრი მართო ენაზედ აკურია, გულის სიღრმემდი არ ჩაუწევია და ენის ჭარტალი უმინაარსო და უნიადაგო რამედ ექცევა. დღეს ცრემლსა ღვრის და ძამით იმოსება გიორგის სიკვდილის გამო, და ხვალ და ზეგ ისევ იმავე საქციელს დაადგება - გულგრილობასა და გულქვაობას აღტაცებულის გრძნობის მიმართ, რამაც გიორგის სიცოცხლე მოუშხამა.

ოთარაანთ ქვრივი კი ამას გაგილანძღვდათ, იმას დასტუქსავდა: “ისე არავის გაუვლიდა გვერდით, რომ არ გაეკინწლა, თუ რამ თვალში არ მოუვიდოდა”. მაგრამ მისი არსებითი გულმოწყალებობა ამ გარეგან “პილპილს”, “მადლად” გარდაჰქმნიდა, სიყვარულისა და თანაგრძნობის უეჭველ საბუთს მიაწოდებდა მისგანვე ვითომ და შეურაცხყოფილს... იგი არ არის ისეთი იდეალური არსება, როგორც “გლახის ნამბობის” მოძღვარი, რომლის მსგავსის შექმნაში ერთობ ძუნწია ბუნება... ამგვარ საუცხოვო არსებას, რომლის სიტყვა და საქმე ღვთისნიერის ღმობიერებითა და გულკეთილობით არის აღსავსე, ხანდისხან მოგვაჩვენებს ხოლმე ბუნება თითქო მისთვის, რომ არ დაგვაფიწყოს ჩვენი ღვთიური სახე, იმედი და სასოება არ წაგვიწყმინდოს, რომ კეთილი შესაძლოა ცხოვრებაში.

სასტიკი და მკაცრი ცხოვრება, ეს “გამწარებული წუთი- სოფელი” შეჰქმნის ხოლმე ოთარაანთ ქვრივს: ადამიანს, სიმწარეში გამოვლილს, რომელმაც იცის შრომისა და ჯაფის ფასი, უგრძენია თავისი მოვალეობის აღსრულების სიამოვნება და შეუგნია ამ მოვალეობის მიუცილებლობა, ადამიანს, რომელიც თავს არავის დააჩაგვრინებს და ტყვილა-უბრალოდ თავს არავის გააქელვინებს, რომელიც სიტყვას ტყვილა არა ჰკარგავს და საქმით კი ისეთს არას ჩაიდენს, რომ ან პირადის ღირსების შემბლაღველი იყოს, ანდა ადამიანურის მოვალეობის დამრღვეველი.

თუმცა არჩილმა კარგად იცის ის, რომ მისი კეთილი და ადამიანური აზრები “წიგნშია და არა საქმეში, ენაზე და არა გულში”, მაინც კიდევ სწამს, რომ წუწუნი და გოდება, “ტირილი - ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს”. ოთარაანთ ქვრივმა კი ეგეთი არჩილისთანა რეზონიორობის, აზრთა ვარჯიშობის, არა იცის რა, იგი მოქმედი პირია და აზრთა მოთამაშე, “ტკბილი სიტყვა”, მისთვის თვალთმაქცობაა და სხვა არაფერი” - მან მხოლოდ საქმის დაფასება იცის, მხნეობის, გარჯის, შრომისა და მეცადინეობის თაყვანის მცემელია. გრძნობათა გამომჟღავნება მას სამარცხვინოდ მიაჩნია: ერთადერთი შვილი ჰყავს, მასზედ ამოსდის მზე და მთვარე, “დედა მიწის ზურგზედ იმას სიხარული და ლხენა სხვა არა ჰქონდა რა, რომ შვილისთვის ეცქირნა, შვილისთვის ეცოცხლნა. ეს ესე იყო, მაგრამ თავის დღეში არავისათვის შეუტყობინებია, რომ შვილი ასე გაგიჟებით უყვარს, შვილსაც კი უმაღავდა თავის გულის ნადებსა”. და აი იმის მზე ჩაესვენება, ერთადერთი თავმოსაწონი და ნუგეში მოესპობა, მაგრამ აქაც კი ბუნებრივი მისი თავდაჭერილობა იჩენს თავსა და მხოლოდ მაშინ წაიშენს თავში ხელს და გოდებას მორთავს, როცა დაცალიერდება ის ოთახი, საცა გიორგი განისვენებდა.

თუ ვინმე იტანჯებოდა და თუ ვისმე რაიმე აკლდებოდა ოთარაანთ ქვრივის გარეგანი სიმკაცრით, ისევ მას, რადგან მხიარულებისა და ვაების გულში ჩახვევა ადამიანს სიცოცხლესა და ძალას აკლებს, მწუხარებას უორკეცებს. თუ ჩვენი ბედნიერება განუზიარებელი რჩება, უფერულია და უმსგავსი, და არც შესაძლოა სიამოვნება კაცთა საზოგადოებაში ისე, რომ მეორე შენისთანა არ ღებულობდეს მონაწილეობას შენს სიამოვნება-სიმხიარულეში, თუ ტანჯვა და “ვიში” გულში ჩაკლულია, თუ ვინმე სხვა არა გყავს ჩვენის კვენისისა და ოხვრის გამგონი, ჩვენის ვაისა და უის მანუგემებელი - ეგრეთი მწუხარება, ეგრეთი უბედურება ორკეცდება, ერთი ორად ძლიერდება, ისე როგორც შეგუბებული მჭხერი, ისე როგორც ერთს ადგილას მოთავსებული სენი გაორკეცებულის სიმძაფრით ავლებს მუსრს მცხოვრებთ. ასე დაემართა ოთარაანთ ქვრივსაც, მისი ხვნეშის გამგონი მისი ყურების მეტი არავინ ყოფილა, მისი ტანჯვა-ვაების მოწმე მისი გულის მეტი არავინ ყოფილა და გულში ჩამწყვდეულმა კვენესა-მწუხარებამ დაადნო და აღგავა პირისაგან ქვეყნისა ეს ძლიერი, მედგარი, სიცოცხლითა და სიმხნით აღსავსე ადამიანი.

უკანასკნელი წუთები ოთარაანთ ქვრივის სიცოცხლისა ისეთის ძლიერის მხატვრულის ნიჭითა აქვს ავტორს აღწერილი, რომ არ ძალგვიძს, სავსებით არ მოვიყვანოთ. იგი ერთი საუკეთესო ფურცელთაგანია ქართულს ლიტერატურაში. კლასიკური სიმარტივე ამ სურათისა განსაკუთრებულს შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველში თავისის შინაარსის სიმძლიერით, ისე

როგორც საუცხოვო რამ სიტურფე და სიმშვენიერე “განდეგილის” მწყემსი ქალის ერთი-ორად უფრო თვალსაჩინო ხდება გარეგანს უბრალო ტანთსაცმელში... სადა და მარტივი გარეგნობა ერთი-ორად აძლიერებს პირისახისა და შინაარსის მხატვრულს გასაოცარს რაღაც შვენებას.

“ღამე არ იყო ბნელი. ცაზე დრო გამოშვებით კაშკაში მთვარე ხან გამოჰყოფდა ხოლმე ღრუბლებიდან თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაეხვეოდა, თითქო ღრუბლის ბნელი და მთვარის შუქი ერთმანეთს ეჭიდებინა და ხან ერთია ქვეშ, ხან მეორეო.

სოფელს დიდი ხანია ეძინა იმ გულიანის ძილითა, რომელიც მართლა სასვენია და არა სანებიერებელი. მისწყდა სოფლის ხმაურობა, დღის ჟღერ-კვილი. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა. ახალ მოსულს თოვლს, ყინვა-დაკრულს, არსად არ აჩნდა ნაფეხური ადამიანისა... სოფელს ხმა გაეკმინდა, და თითო-ოროლა ადგილას მეტისმეტად ფრთხილის ძაღლის ყეფადა ისმოდა ხანდისხან.

ყველას ეძინა, ყველას... ერთის მეტს.

იყო სახლი, საცა იმ ერთს არ ეძინა. ამ სახლში ბნელოდა. სანთელი არ ენთო და მარტო კერაში თავხეს სისქე კუნძს ცალ გვერდზედ ცეცხლი ეკიდა და უგემურად ჰბოლავდა. როცა ნაღვერდალ-მოსხმული გამომწვარი გვერდი ხისა დრო- გამოშვებით პატარა ენასავით ალს წამოაგდებდა, ერთი მხარე სახლისა პატარა მანძილზედ ცოტა-ხნობით მოჰშუქდებოდა.

კერასთან ცეცხლის შორიხლო ძაღლი იწვა. რგვლად გადმოექექნა თბილი ნაცარი, თვითონაც გორგალსავით დახვეულ-ჩახვეულიყო, უკანა ფეხები წინ წამოეყარა, წინანი - უკან, თავზედ ბანჯგვლიანი კუდი გადმოეფარა, ცხვირი კუდის ბოლოში წაეყო და ეძინა. ძაღლის გვერდით, ცოტა მოშორებით ვიდაცა მოხუცებული დედაკაცი კერასთან ცეცხლა-პირასვე იწვა დედამიწაზედ გაშლილ ქვეშაგებში და გულიანად ეძინა. დედა-ბერის ქვეშაგების გვერდით ტახტი იდგა და ზედ იწვა სნეული, ქვეშაგებად ჩავარდნილი, დამდნარი, მილეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხრწნილი.

ეს იყო ის, რომელსაც მთელს სოფელში არ ეძინა...

- ვინ მეძახის, ვინ!.. იძახოდა ძილ-დაკარგული სნეული თავის გულში, თუმცა არსაიდან კი ხმა და ჩამი-ჩუმი არ იყო: წადი, წადიო!.. რად იძახის გული? რად მეწევა, რად?

იტრიალა ღონე-მიხდილმა სნეულმა, იშფოთა...

- მივალწევ კი?.. ჰკითხა თავის თავს: ფეხის გადადგმის ილაჯი აღარა მაქვს... გზაზედ დავეცი სადმე და სული დავლიო, ხომ საძაღლედ გახდა ჩემი ლეში... რად მეძახი, რად!..

შეჰკვილა ეხლა კი ხმა-მაღლა ვიდაცას კვნესითა და ვაებითა და მაშინვე გადაჰხედა ცეცხლა-პირას მწოლარე ბებერ დედაკაცს, ხომ არ გამოეღვიძა და არ შემიტყოვო.

მარტო ძაღლმა წამოიხედა; პირველში ერთი ყრუდ ყელში წამოიყეფა და რაკი დაინახა პატრონია და სხვა არავინ, წინანდებურად წაჰყო კუდის ბოლოში ცხვირი და არხეინად ისევ ძილს მიეცა.

ბებერს კი ისევ ისე გულიანად ეძინა.

- სძინავს!.. - სთქვა ისევ ჩუმად სნეულმა: - მეც მალე დავიძინებ... სულთა-მხუთავი კარს მირაკუნებს. დავიძინებ და, მადლობა ღმერთსა, აღარ გავიღვიძებ... მეყოფა...

ამის თქმაზედ სნეული გაყუჩდა, თითქო, რაც სტკიოდა, დაუამდაო.

- კიდევ!.. კიდევ მეძახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!.. მოვდივარ, მოვდივარ!..

სთქვა და ქვეშაგებში უღონოდ წამოჯდა. ტანისამოსი იქავ თავით ელაგა. ჩაიცვა თბილი წინდები, თბილი ახალუხი, ზედ გადაიცვა კაბა, მოიხვია თავს შავი შალი, გადმოცოცდა ქვეშაგებიდან, წაჰყო ქოშებში ფეხი და უღონობამ სძლია: ფეხი წინ ველარ წასდგა. დაჰბარბაცდა და ცალის ხელით ქვეშაგებს უკანვე გადაეხეინა, - არ წავიქცეო.

ცოტა ხანს ეგრე ხელ-დაბჯენილი იდგა გარინდებული. როცა პატარა მოსულიერდა, მისწყდა ჯოხს, ქვეშაგებზედ მიყუდებულს და ფეხ-აკრეფით გავიდა სახლიდან. უღონოს სიარულით ეზო გაიარა, ორისავ ხელით წინ წაძლოილ ჯოხზედ დანდობილმა; ეზოს კარიდან რომ ავადმყოფმა ფეხი ორღობეში გადმოსდგა და დაინახა ახლად მოსული, ფეხ-უხლებელი თოვლი, სთქვა:

- ჯერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანისა არ მოხვედრია და არ გაუცოდვიანებია ეს უცოდველი თოვლი... კიდევ!.. მოვდივარ, მო!..

ფრთხილს ძაღლს პატრონის გარეთ გასვლა არ გამოეპარა. ადგა, ნაცრიანი ბალანი ერთი ორჯელ შეიბურტყა, გაიბობლა, ტანი დაიგრძელა, ჯერ წინა ფეხები დაიჭიმა, მერე - უკანა, გაიზმორა, დაამთქნარა და ზლაზვნით გაეკიდა პატრონსა. დერეფანში რომ გავიდა, პატრონი

ადარსადა სჩანდა. ჩახტა დერეფნიდამ ეზოში, თოვლზედ ახალი ნაფეხური პატრონისა დაჰსუნა და აუჩქარებელის ტუნძულით აედევნა კვალსა.

ბებერმა დედაკაცმა კი ვერ შეუტყო ავადმყოფს გაპარვა. იმას ისევ-ისე გულიანად ეძინა”.

როცა მეცხვარე თუმებმა ძაღლის ღმუილზედ სასაფლაოს მიაგნეს, ნახეს: მკვდარი საფლავზედ “გარდი-გარდმო გადაქცეულიყო, ფეხები აქეთ პირას მიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელი იქით პირას გადაეკიდნა, თითქო სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის ხვევნით გულში ჩაეკრაო...”.

ესე დამთავრდა გიორგისა და მისი დედის ცხოვრების ამბავი... არჩილი და კესო მხოლოდ სენტიმენტალურ ცრემლების ფრქვევას მიეცნენ.

დიდი ძლიერი ნიჭი საუცხოვო მხატვრისა გამოიჩინა თ. ილ. ჭავჭავაძემ უბედურის მეწისქვილე სოსიას ტიპის დასურათებაშია. სამგან გამოჩნდება სოსია მოთხრობაში, და სამგანვე სურათის შთაბეჭდილებას საშინელის ტრაგიზმით ავსებს... ერთხელ, როცა გიორგი მომავლდავად გდია და არჩილი შემფოთებულა, სოსია ტირილის ხმითა ღმუის. “შეეტყო თუ არა ეს ამბავი, მოვარდნილიყო, შეპარულიყო ოთახში, საცა გიორგი ესვენა და ბნელ კუთხეში მობუზული ქვითქვითებდა ჩუმად, თითქო ეშინიან არავინ გამიგოსო”. მეორეჯერ, როცა ოთარაანთ ქვრივი მარტოდ მარტო დასტირის თავის შვილს: “ერთს კუთხეში, რომელშიაც ნამეტნავად ბნელოდა, დაინახეს მობუზული ბებერი მეწისქვილე. როცა ყველანი გავიდნენ, სხვებს არ გაჰყოლოდა და აქ ბნელს კუთხეში ქურდულად მიმალულიყო”. მესამეჯერ, როცა მეცხვარენი ოთარაანთ ქვრივსა ნახვენ მიცვალებულს საფლავზედ: “სოსია მეწისქვილეს ეხლა ორივე მუხლი მოეყარა უსულო ოთარაანთ ქვრივის წინ. იმისი მკვდარი ხელი ხელთ ეჭირა და ქვითქვითებდა ჩუმად”. ვილაცამ ფეხიც წამოჰკრა საწყალ მოხუცს, “ეს ვილა ოხერია, ფეხში მედებაო, და ღონიერად წაჰკრა რა ფეხი ბერიკაცს, დაატანა: - წადი, იქით გაეთრიეო”.

დაბრიყვებული ბერიკაცი გადაიქცა თოვლზედ. როგორც იყო წამოდგა და, როცა ტყავის კალთებს თოვლისაგან იბერტყავდა, უთხრა ხელის მკვრელს: “ცოცხალზე არ გამახარა წუთი-სოფელმა და მკვდარზედაც აღარ მატირებთო! ცოდო ვარ, შვილო, ცოდო”. ეს სოსია, გარდა იმისა, რომ მშვენიერი ტიპია ბედისაგან დაჩაგრულის და მოძულეებულის ადამიანისა, რომლის უმწო გარეგნობა ჰფარავს ისეთს ძლიერსა და მაღალს გრძნობიერებას, რომ ოცდაათი წელიწადი უყვარს ქალი - როცა გასათხოვარი უთხოვნია, დაუწუნიათ, როცა დაქვრივებულა, ვედარ გაუბედნია თხოვნა, - მაგრამ ოცდა ათი წლის განმავლობაში უნუგემოსა და თანაგრძნობას მოკლებულს, თავისი გრძნობის წმინდა ცეცხლი მაინც არ ჩაუქვრია და ყოველს გაჭირების დროს ამ ქალის ერთადერთი ჭეშმარიტი თანამგრძნობი იგი ხდება...

ყოველ ამის გარეშე იგი რაღაც უცნაურ სიმბოლოს წარმოადგენს, სიმბოლოს ერთის ადამიანის გრძნობის მეორისაგან შეუგნებლობისას. სამჯერ თითქო მიტომ გამოდის სცენაზედ, რომ დაანახვოს მკითხველს, თუ რარიგად ყოველგან, საზოგადოების ყოველ ადგილსა და ყოველს საფეხურზედ სუფევს იგივე შეუგნებლობა ერთმანეთისა, იგივე გულის სიგრილე და იგივე “მარტობა სულისა”, რომელსაც დასტიროდა ყოველი დიდსულოვანი მწერალი - შესპირიდან მოკიდებული ბარათაშვილამდე. ამ სახით, სოსიას ტიპი ესეთის ფილოსოფიის გამომსახველია და მით ბევრად უფრო ზოგად და დიდ მნიშვნელოვან სურათად რჩება, ვინემ თვით უმთავრესი გმირი მოთხრობისა გიორგი.

დიაღ, ეს მარტობა სულისა, ეს ერთმანეთის გაუგებლობა, ერთმანეთის მიმართ გულგრილობა კაცთა პირუტყვობის მაჩვენებელია და მთელის მოთხრობის უმთავრესი თემაა. გიორგის გრძნობებს კესო ვერ გებულობს მიტომ, რომ მათ შორის წოდებრივი განსხვავებაა; სოსია მეწისქვილეს ვაებას ოთარაანთ ქვრივი არათუ ყურადღებას არ აქცევს, მის თანაგრძნობას უკმეხად ექცევა, არამკითხე მოამბედ მიიჩნევს, გულცივ ხალხს ვერც კი წარმოუდგენია, თუ შესაძლოა სოსიასებური ძლიერი და მაღალი გრძნობა, და საწყალი ბერიკაცი სიბრაღელის მაგიერ რისხვასა და წყრომას იწვევს მათში. სულით ობლობასა გრძნობს, სულით უნუგემოდა რჩება ოთარაანთ ქვრივი, როცა მისი შვილი მხიარულად გაემგზავრება სატრფოსთან მოჯამაგირედ: “დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდამ... დიდხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი, თითქო ხმამოუღებლად იხვეწ-იმუდარებოდა, ერთი მაინც შემომხედოსო. მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა”.

ეგრეთსავე გულგრილობას, კიდევ მეტ სიმკაცრეს მიიღებს ჯილდოდ სოსიაც, როცა თავისი საღმერთებელის ადამიანის საცოდავობას ვედარ უძლებს, ტირილი ყელში მოებჯინება და ძროხასავით ბღავილს მოჰყვება... ამ ადამიანისაგან შეწყნარებისა და მაღლობის ნაცვლად ესმის, “აქ შენ ადგილი არა გაქვს, მომშორდიო”.

მაგრამ ისეთი მარტოობა და შეუბრალებლობა ადამიანთაგან არც ერთს არ შეხვედრია, როგორც ბედშავს მეწისქვილეს: გიორგის დედა თავს ევლებოდა, ოთარაანთ ქვრივს სოსია თანაუგრძნობდა და თანა ჰყვებოდა, მეცხვარეებმა კი საწყალი სოსია არ დაინდეს, თავისის ძვირფასის არსების საფლავზედ ტირილიც არ დაანებეს და ფეხის კვრით გააგდეს, იქით გაეთრიეო.

დიად, ცოდო იყო სოსია და ცოდო არის ყველა ამ წუთისოფელში, ყველა, ვისაც არა ღირსება მადლიანი თანაგრძნობა და სიბრალული, რომელსაც არა ღირსება სულის მეგობარი, სულის თვისტომი.

ეს მოთხრობა უნდა ჩაითვალოს თ. ილ. ჭავჭავაძის შედევრად პროზაში ისე, როგორც მისი “განდევილი” პოეზიაში. ორივე ნაწარმოები უკანასკნელი ხანისაა, რაიცა ამტკიცებს, რომ ავტორს თავისი ნიჭი განუვითარებია, შეუმუშავებია და მისი ზრდისათვის ხელი შეუწყვია, ეს ქართულის ლიტერატურისათვის არა ჩვეულებრივია.

მართალია, ეგრეთ წოდებული კომპოზიცია, ტექნიკური მხარე მოთხრობისა, გარეგანი მისი შემუშავება ბევრად უფრო ბრწყინვალეა “კაცია-ადამიანში”, რომელშიაც ერთი სტრიქონი, ერთი სიტყვა მეტი არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, ფილოსოფია ამ მოთხრობისა უფრო ღრმაა და შემდეგ თვით ტიპები აქ უფრო ზოგადნი არიან.

ლუარსაბი და დარეჯანი დიდის სინამდვილითა და ხელოვნებით არის დასურათებული. ბევრია მათში საზოგადო ელემენტი, მაგრამ მაინც უფრო ერთის დროისა და ერთის ხალხის თვისებათა გამომხატველნი არიან. ოთარაანთ ქვრივი კი თავის სასტიკი და მკაცრი გარეგნობით, მაგრამ არსებითად კი გულწვილი და გულმომბიერი და ადამიანურის მოვალეობის მტკიცედ შემგნები, ისეთი ხასიათია, რომელიც ქართულს ნიადაგზედა და ქართულს ტანისამოსშია აღზრდილი, ხოლო ზოგადი ტიპი კია, საზოგადოდ ადამიანისა და არა კერძოდ, მარტო ქართველის თვისებათა გამომხატველი.

და სოსია, ეს ბეჩავი, ღვთისაგან და კაცისაგან მოძულებული, მაგრამ ღრმა გრძნობით აღსავსე არსება, კაცთა გულქვაობის მსხვერპლი და ნიადაგ სულით დაობლებულია. ეგეც მსოფლიო ვარამისა და კაემანის, ადამიანთა “სულის მარტოობის” გამომსახველი სიმბოლოა.

ამით ვათავებთ ჩვენს მსჯელობას თ. ილ. ჭავჭავაძის სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თ. ილ. ჭავჭავაძეა ჩვენი პირველი რეალისტი პოეტი და პროზაში საუკეთესო რეალიზმის დამამკვიდრებელი. პოეზიაში ილ. ჭავჭავაძე მეძვიდრეა ჩვენის დიდის რომანტიკოს პოეტებისა და იმათი ზეგავლენა ემჩნევა მის პირველ ლექსებს და პოემებს. ბოლოს კი სრულიად განთავისუფლდა ამ გავლენისაგან.

წინამორბედ მწერალთა გავლენამ უფრო ძლიერად იჩინა თავი ილ. ჭავჭავაძის პროზაში, საცა ჩვენს დიდებულ მწერალს ბევრი შეაქვს რომანტიული ელემენტი... მაგრამ სუსტი რომანტიკოსი, იგი პროზაშიაც ძლიერი რეალისტია. ეს მხოლოდ ლიტერატურის მსვლელობის ბრალი იყო, რომ მას შერჩა კილო რომანტიკოს მწერლისა, თორემ ნამდვილმა რეალურმა მისმა ნიჭმა შეჰქმნა უკვდავი სურათები ქართულის ცხოვრებისა: ლუარსაბ და დარეჯან, დათიკო და არჩილი, ოთარაანთ ქვრივი, სოსია და სხვ.

პროზაში ილ. ჭავჭავაძის შეგირდები არიან ბ-ნი გ. წერეთელი, რომელმაც საღი და აზრიანი რეალიზმი უკიდურესობამდის მიიყვანა და უფერულ ნატურალიზმად გადააქცია და მისი მიმდევარი მწერლები, ბ-ნი მელანია, ნინოშვილი. “კაცია-ადამიანი?!“-ის ავტორის რეალიზმს ჭეშმარიტი მიმკვიდრე სულ ბოლოს ხანს ამოუჩნდა ბ-ნი დ. კლდიაშვილის ნაწარმოებში.

პროზაში თ. ილ. ჭავჭავაძის მიმკვიდრეა აგრეთვე ბ-ნი მოჩხუბარიძე (ყაზბეგი), ეს მეორე დიდება ჩვენის ლიტერატურისა. მან განავითარა მეორე მხარე ჭავჭავაძის მოთხრობისა - რომანტიული, მხოლოდ მისი დიდის ნიჭის ბრალია, რომ უდროოდ დროის რომანტიზმი დაამკვიდრა ლიტერატურაში და მოსაწონიც გახდა. ამაში ხელს უწყობდა მას ისიც, რომ ფსიქოლოგიური ელემენტი შეიტანა მოთხრობაში და ამით თანამედროვე მოთხოვნილება და გემო დაამკვიდრა... აზრი მისი ნაწარმოებისა ხომ ზემოთაც მოვიხსენეთ, თ. ილ. ჭავჭავაძის “მგზავრის წერილებში” მოიპოება. ყაზბეგის მიმდევარნი შეიქმნენ ლიტერატურაში ვაჟა-ფშაველა, ხოლო ამათი მიმდევარია შ. არაგვისპირელი, ია ეკალაძე, დეკანოზიშვილი და ივ. ზურაბიშვილი, რომელთაც ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური ეტიუდები შეჰქმნეს.

პოეზიაში კი თ. აკ. წერეთელთან ერთად მან მიიყვანა რეალური პოეზია იმ საფეხურამდის, რომლის წაცილება შეუძლებელი შეიქმნა ჩვენის ლიტერატურისათვის და დაუდვა სათავე რომანტიულის ელემენტებით შეფერადებულს რეალურ ლექსებს ჩვენის ახალგაზდა პოეტებისას: ძმანი რაზიკაშვილნი, ცახელი, აბაშიძე, ევდოშვილი, განდევილი და სხვ. ზოგიერთმა ამათგანმა

სიმბოლიზმის გვარის ლექსებიც კი შეჰქმნეს ჩვენში: ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, ცახელი და ამაშიაც თ. ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის პოეზიის ზეგავლენის ქვეშე იმყოფებიან.

ესდენ დიდია მნიშვნელობა თ. ილ. ჭავჭავაძის ქართულის ლიტერატურისათვის. ჩვენის ლიტერატურის ერთის (რომანტიზმის) დამამთავრებელია იგი და ახალი მიმართულების (რეალურის) დამწყები და განმამტკიცებელი.

50 წლის განმავლობაში ეს კაცი თავს ედგა ქართველის ერის ინტერესებს. შემგნები, ვით განდეგილი, რომ ქართველ ერში “დიდი საგანი სპობილა და წაწყმედილა” და ნაცვლად “ლაღვა, შური და მტრობა ღრმად ჩანერგულა”, “ცოდვის სადგურად” გარდაქცეულა, “სად რყვნა, წაწყმედა და ლალატია, სადაც მმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა, სად ცილი, ზაკვა ძულეზადა ჰხდის წმინდა სიყვარულს მოყვასისასა,” - ყოველივე ამისი კარგად შემგნები თავს დასტრიალებს თავის სამშობლოს, როგორც მისი ოთარაანთ ქერივი თავის “განძსა და ანდერძსა” და თავის ოჯახს, არავის შეარჩენენ ხოლმე ჯავრს თავისის ერისას, ტყუილაუბრალოდ არავის დაეჩაგვრინებია; სწორედ პოეტზეა გამოჭრილი მისი “აჩრდილის” მოხუცის სიტყვები:

“მარად და ყველგაფნ, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..  
მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული,  
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,  
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.  
მეცა ვტანჯულვარ, ჰე ბედკრულო, შენის ტანჯვითა,  
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,  
მეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა,  
შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულეზა”.

პოეტს, გულმომხამულს ჩვენის აწმყოთი, მაინც ყოველთვის სასოებით ავსებდა “შვიდფეროვანი სარტყელი ცისა”, რომელიც გადაეფინებოდა ხოლმე მის ქვეყანას “მახარობელად ტკბილ იმედისა” და ამხნევებდა გულგატეხილ თავის ერსა, “აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენიო”.

ეს ორმოცი წელიწადი იმის ნატვრაში გაატარა, რომ პირველად დასწვდეს იმ აკვანს, რომელიც თამარ დედოფალს “ზაზაღეთის ტბაში” ჩაუდგამს და, თუმცა ეს არ ეღირსა, თუმცა სამშობლო ქვეყანამ სხვაგვარის საწყაულით მიუწყო მას სულმნათს, მაინც თუ ქართველი ერი განწირული არ არის, თუ მას მომავალი აქვს, მის გულში საუკუნო ხელუხლებელი ძეგლი ექნება აღგებული იმ დიდებულ მგოსანს, რომელმაც მივიწყებული აკვანი - იდეალი და აზრი დამონებული ერის ტანჯულის ცხოვრებისა - მოაგონა და თვალწინ დაუყენა.

## VII თ-დი აკაკი წერეთელი

ქართულ რეალურ ლირიზმის საუკეთესო წარმომადგენელი თ. აკაკი წერეთელია, რომლის სალირიკო ლექსებზედ გვექნება აქ ზაასი.

თუ გნებავთ გაიგოთ, რა განსხვავება არის რომანტიკულისა და რეალურის ლირიზმის შორის, აიღეთ ბარათაშვილის ლექსები და შეადარეთ აკაკი წერეთლის ლექსებს. ბარათაშვილი ისეთ გრძნობათა შესახებ ლაპარაკობს, რომელთა გამოთქმა “მოკვდავსა ენას არ ძალუძს”, ისეთი გრძნობებით არის გამსჭვალული, “რომელთა სახელი კაცთა ვერ დასდვან”; მისი ფიქრები “ლაჟვარდის ცისაკენ მიისწრაფვიან და მის იქით ეძიებენ სადგურს, მაგრამ იქამდის ვერ მიაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან”. ბარათაშვილს “გულ-დახურულთა მეგობარი” ბუნება უყვარს და “სწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულთ შორის” და ამიტომაც განმარტოებულს ფრიალო კლდეზედ მდგარის ალვის ხის ფოთლების შრიალთა სმენა იცის და “მრავალ დროის მოწამე”, უტყვის მტკვრის ბუტბუტს მიმართავს “სევდიანი ფიქრთ გასართველად”. ბარათაშვილი სულით მარტოობას დასტირის, უმაღლესის სასოწარკვეთილებით აღსავსე პირად, ინდივიდუალურ, განსაკუთრებულ, არაჩვეულებრივ გრძნობებს გვისახავს საოცარის ნიჭით; ერთის სიტყვით, ბარათაშვილს პოეტი ზეკაცად, არა-ჩვეულებრივ ადამიანად მიაჩნია, პოეზია კი ღვთის “ტამრად, შესაფარად, უდაბნოდ მდგარად, სად ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპარი, ანგელოსთაგან იკვროდა სად დავითის ქნარი და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი”.

თ. აკაკი წერეთელი პოეტსა და პოეზიას სულ სხვაგვარად უცქერს. პოეტი ის ფუტკარია (ეს ეპითეტი ძლიერ უყვარს თ. აკაკი წერეთელს და ხშირადაც ხმარობს); დიად, პოეტი “ფუტკარია, ხატის ბუზი, ზეცის მუშა, შორს მიფრინავს სამუშაოდ, მიმღერის, უხარია! ყვავილიდან ყვავილებზე გადაბზუს, გადმობზუს. აქაც წუწნის, იქაც წუწნის სათაფლ-სანთლო მასალასა, არ იზოგავს ღვთის მოცემულს არც ნიჭსა და არც ძალასა”. პოეტი თ. აკაკი წერეთლისა “არც დიდია, არც პატარა, არც ბატონი და არც მონა, არც მიწის არის, არც ცისა, შუა კაცია უბრალო, ხან მიწის არის, ხან ცისა”. თ. აკაკი პირად განსაკუთრებულ გრძნობათა გამოსახვას გვერდს უხვევს და მარტო საერთო, საზოგადო, ჭირ-ვარამზედ ლაპარაკობს. თვით უდიდესი და უძლიერესი ინდივიდუალური გრძნობა სიყვარულისა თ. აკაკი წერეთლის პოეზიაში რაღაც საოცნებო არაჩვეულებრივ გაჰეროვნებული არსებისადმი არის მიმართული და ამგვარად ეს გრძნობა სიმბოლურ სახეს ღებულობს. “მისი სატრფო, უწინ ტურფა, დღეს კი ლეჩაქმობდილი” - ეს ხომ მისი სამშობლოა. ამგვარად, თ. აკაკი წერეთელი გამოხატველია საზოგადო, საერთო ჭირ-ვარამისა და სევდისა. მისი ტანჯვა ხალხის უმეტესობის ტანჯვაა, მისი სევდა და მწუხარება ერის კვნესა და გოდებაა, მისი სასოება და იმედები ერის ლტოლვილებსა და სურვილებსა.

ბ უ ნ ე ბ ა იმდენად იტაცებს, რამდენადაც საერთო მისწრაფებათა გამომსახველია; ს ი ც ო ც ხ ლ ე დ ა ს ი კ ვ დ ი ლ ი იმისდა მიხედვით ეინტერესება, თუ რა დამოკიდებულება აქვს მის სათაყვანო საგანთან. ამ მხრით თ. აკაკი წერეთლის მწერლობა მეტად ერთგვარია. მთელის მისის ლექსების საგალობელი საგანი ერთი და იგივეა, ერთსა და იმავე ჰანგზედა მღერის. მაგრამ აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ეს სრულიადაც არ ამცირებს პოეტის ნაწერების არც ღირსებასა და არც მნიშვნელობას. ისტორიულად და ფსიქოლოგიურად სრულიად ბუნებრივია და მისახვედრი, რომ ჩვენს მგოსანს მარტო ერთი ფიქრი და აზრი უტრიალებდეს თავში. ეს მწერლის მოქალაქობრივ სიკეთესაც ამტკიცებს, ხოლო ესთეტიკურად, ჩემის აზრით, პოეტის ხელოვნება მით უფრო მაღლად არის დასაყენებელი, რამდენადაც ერთსა და იმავე საგანს ღრმად და ყოვლის მხრივ დაგვისურათებს.

ყოველივე საგანი, ყოველივე მოვლენა ცხოვრებაში იმდენად რთულია და მრავალმხრივი, რომ ერთის კაცის ხელოვნება ვერც კი შესძლებს საგნის სიღრმე-სიგანით გამოსახვასა და აწერას; ამიტომაც, როცა ნიჭიერი პოეტი ერთსა და იმავე მოვლენას რამდენჯერმე შეეხება, რამდენჯერმე აიღებს თავისი გალობის საგნად, მით უფრო დაამტკიცებს ხელოვნების შეგნებასა და უნარს, თუ ყოველთვის სულ სხვადასხვა ჰანგებზედ მომართავს თავის ჩანგს და საგნის სხვადასხვა მხარეს დაგვანახებს.

ამით არც ის მინდა ვსთქვა, რომ თ. აკაკი წერეთლის პოეზიას საგნის მრავალგვარობა აკლდეს, ანადა მთლად მთელი მისი მწერლობა ერთს საგანს ეხებოდეს. არა, თუ გნებავთ პატარა ლექსები, რიცხვით მეტი, სხვადასხვა საგანს ეხება და არა ერთსა და იმავეს. მაგრამ საუკეთესო ნაწილს თ. აკაკის პოეზიისა და ამ საუკეთესო ნაწილის უმეტესობას საგნად ერთი და იგივე აზრი და ფიქრი აქვს, რომელიც მთელის მოაზრე და გონიერის საქართველოს მთავარი აზრი და ფიქრია.

## I

როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე უნდა ჩაითვალოს სიყვარულის მგალობელ პოეტად, რომელსაც ეს საინტერესო და სიცოცხლის მიმნიჭებელი გრძნობა მოშხამული და მოწამლული ჰქონდა საერთო კვნესისა და გმინვის გამო, ისე თ. აკაკი წერეთელიც იმ “სატრფოს” მგოსნად უნდა დაისახოს, რომელსაც საერთო არა აქვს-რა ხორციელ სატრფოსთან, მაგრამ რომელიც პოეტის საოცარმა ნიჭმა განახორციელა, სული ჩაუდგა, ნამდვილ “ცხრაკლიტულში დამწყვდეულ ნესტან-დარეჯნად” გაიხადა და მისი ტარილობა თავს იდვა და დღემდის დაუღალავად ისეთივე სიცოცხლით, ისეთივე გატაცებით თავს ევლება ამ “სატრფოს”.

“მაგრამ იცით, მისი სატრფო ვინ არი?  
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,  
ფეხშიშველი, თავზედ ლეჩაქახდილი”.

სიჭაბუკიდან პოეტი იმაზედ კვნესასა და ოხვრამია; სტირის უბადრუკი და წარსულს დროებას ოცნებით ეძებს.

“მთა კლდეს შეჰბღავის, ჩასმახის ქვესკნელს,  
წყალსა მიჰყვირის მსწრაფლ მიმავალსა,  
მაგრამ ვერ პოვებს ნუგეშისმცემელს  
და უმრავლდება წყლული საწყალსა”.



რა ნუგეში უნდა ნახოს ან კი ბუნებაში, როცა ყოველსავე ბუნებაში და თვით ბუნებას მისთვის ერთი აზრის საზომავით სჭვრეტს პოეტი:

“მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,  
ქვესკნელი საფლავს და ძვლებს გამხმართა,  
რომელნიც ანდერძს მოგვაგონებენ  
მსხვერპლად შეწირულთ ჩვენთ წინაპართა”.

სიჭაბუკიდან იმ დრომდის, ვიდრე პოეტს “გული წყლული შეექმნა, სული კრული, სახე მჭკნარი, თმა ჭადრა”, არ არის ისეთი შემთხვევა, არ არის ისეთი გარემოება, რომ თავის საყვარელი სამშობლო არ აგონდებოდეს. პოეტს “თავი ტარიელი ჰგონია ოცნებით გარემოცულსა, უხმობს ფრიდონს და ავთანდილს”, რათა “მხარი მხარს მისცენ, ხელი ხელს, ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს, მოელის ტურფა გამომხსნელს”.

თვით ბუნებაც კი განხორციელებული თანამგრძობი მეგობარია მგოსნისა, მისი თანამოაზრე. ბუნების მშვენიერება მისთვის მოწამლულა, რაკი გული სევდითა აქვს მობურვილი. მისთვის ციხე ცოცხალი არსებაა, თავისებური პოეტი, რომელსაც “აგონდებოდნენ ტკბილნი დრონი, თვისის პატივის და დიდებისა, ოდეს გმირთ გმირი მისი პატრონი, ჩხუბების შემდეგ გამარჯვებული პირდაპირ იმას მოაშურებდა”. დღეს კი ეს ამაყი ციხე “ტკბილი დროს მგოსანი, იყო ტანჯვაში და შექმუხვნილი, ამაყი სახე მას ჩაეხატა მდინარე წყალში”.

ზემოთაც მოვიხსენიეთ, პოეტს “მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ, ქვესკნელი საფლავს და ძვლებს გამხმართა”.

მუსიკის საკრავები მისთვის იმავე დაჟინებულის აზრისა და ფიქრის აღმძვრელია. როცა მწყემსის სალამური ესმის, რომელიც “გაჰკვივის მთა და ველში, ტკბილსა ხმასა ცაში ჰკარგავს და სევდისას შავს ქვესკნელში”, მაშინ პოეტის ფიქრი მის ხმას “გარს ეხვევა, ვითა მძა მძას და მისი კვნესა აგონებს საქართველოს მწარე მოთქმას: ხან თათრები აკვნესებენ, ხან თურქები აოხრებენ, ხან სკვითები დროს შერჩევით მყუდროებას უშფოთებენ”.

მეზურნის შიქსტას სულმოშამული მგოსნის გული ძგერით თანაუგრძობს ვით სნეულსა მისივე მსგავსი სნეული და მუდარებით მიჰმართავს:

“ახ, მეზურნევ, დაჰკა, დაჰკა!  
გამაგონე ეგ სევდის ხმა!  
მაგშია ჩემთა ძველთა  
მამაცური ოხვრა-მოთქმა,  
გამიხურე ჰანგით გული,  
ეგებ დასდნეს მწუხარება,  
და ჩემთ თვალთა გადმოსთხიონ  
ნაღვლიანი მდულარება”.

მაგრამ იმას კი

“ნურვინ ცდილობს, იმ ცრემლებში  
ნახოს კერძო სიყვარული,  
იქ იქნება საიდუმლო  
გულგამხეთქი, დაფარული!”

თარიც უყვარს ჩვენს მგოსანს, ვითა სიმბოლო საეროვნო მუსიკისა; თარი “გულსაკლავად მკვნესარი, მწუხარების უკუმყრელი რომ არი, სიმები რომ დაიწყებენ ჟღერასა, სული შფოთავს, გული შეიქმს ძგერასა. ყურსა უგდებს უცნაურსა ციურს ხმას, იორკეცებს აღტაცებით გულისთქმას და შორს მიჰყავს მომხიბლავსა ოცნებას”... ეს ოცნება იმდენზედ დიდია, რომ იმასაც კი ჰხედავს, ვითომ “არვის ჰმონებს შემკობილი ეს მხარე”.

მისთვის სულ ერთია, სად, რა დროსა და გარემოებაში ესმის მუსიკა, ყველგან და ყოველთვის მუსიკა ერთ ფიქრს აუშლის ხოლმე, ერთს რასმე აგონებს, თითქოს ყოველთვის და ყოველგან მუსიკას, ამ თავის-თავად უპირადო და უგრძობელ რასმე, მარტო ჩვენი მგოსანი ჰქონდეს სახეში და მისი სამშობლო მხარე; “სიმნი მკვნესარნი სამარის ხმითა ზედ დასტირიან რაღაც საგანსა და უცნაურის თანაგრძობითა ეს ჩემი გულიც ეტყვის მათ ბანსა”, ამბობს პოეტი ერთ ლექსში, რომელიც რუსეთში უნდა იყოს დაწერილი, და განაგრძობს: “ღმერთო, რა მიყვარს ეს მწარე მოთქმა,

ვეტრფიალები ამ ჩემს ჩანგსა, მხოლოდ ამისი ეს მაცდური ხმა გულს გადამფერავს მოდებულს ჟანგსა. ეს არის ჩემი თანამგრძობელი, ეს ისმენს მხოლოდ ჩემს აღსარებას, მეალერსება ვითა მშობელი და ცრემლით ადნობს ჩემს მწუხარებას, აი ეხლაცა ჩემი გონება, სიმთ გააცოცხლეს, აამღელვარეს, მ ო მ ც ე ს წ ა რ ს უ ლ თ ა დ რ ო თ მ ო გ ო ნ ე ბ ა და გარდმიტანეს სამშობლო მხარეს”.

ძლიერ ადვილი გასაგებიც ის არის, რომ მგოსანი ხშირად გვიხატავს მუსიკის გავლენას მის განწყობილებაზედ. მუსიკა თავადაც რომ არ იყოს ერთი უწარჩინებულესი შტო იმ დარგისა, რომელსაც ხელოვნებას ემახიან და ღვიძლი მძაც არ იყოს პოეზიისა, თ. აკაკი წერეთელს მუსიკის გამომსახველი იარაღი, ჩანგი და სალამური, პოეზიის სიმბოლოდა აქვს მიღებული და მათის შემწეობით გვამცნებს დიდ მნიშვნელობასა და ძალას პოეზიისას. თემურ ლენგის ტყვე, “გულდაღალული, დამწვარი” ქვეყნის იმედსა და ხსნას არც თვალ-მარგალიტში ხედავს, არც ცრემლებში, რადგანაც “დამჰკნარი ვარდი ცრემლებით არ განელდება, არაო, მარტო ცრემლები ქვეყნისთვის საშველად არა კმარაო”, არც ხანჯალში, რადგან იმის გამარჯვების იმედი არა აქვს. ხსნის იმედი მას იმ “წმინდა და დიდ საუნჯეში” ჰგონია, რომელიც წარსულისა და მომავლის სიცოცხლის გზად და ხიდად მიაჩნია - ჩანგურში. იგი, მისის აზრით, “ქვეყნის ჭირი და ღბინია, სამშობლოს სისხლი და ხორცი მისივე ნაღველ-ტვინია”. ეს ჩანგური მგოსანს გულზე დაუკიდია და ვერ გაეყრება, გინდ მოვლოს ტყვეობით კიდით კიდევ, “მისი სამშობლოს სიცილი და მისი მწარე კვნესაო ორივე ერთად სიმებმა შიგ გულში ჩაიკვნესაო. მგოსანი სიმებს ჩამოჰკრავს, ხმას ცასა აწვდენს ჰანგებით და ის ხმა ტყვედქმნილს ბაგრატსაც მოესმა ღვთისა განგებით, მოესმა: “ბაგრატ, გახსოვდეს შენი სამშობლო ტკბილიო, ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს, არ ეთქმის ქვეყნის შვილიო”. ეს ჩანგური ტყვედქმნილის მგოსნისა სავსებითი სიმბოლოა თ. აკაკი წერეთლის პოეზიისა. მიტომაც არის რომ ასე უყვარს ჩანგური, რომელსაც მეგობრულის კილოთი ემუსაიფება: “ჩანგურო! ჩემო ჩანგურო! ოცნების ზღვაში მცურავო, შენი კრინმანჭი წვრიალი ხელახლად მომეწყურაო, ჯორა გაქვს ია-ვარდისა, სიმი - ბულბულის ენაო, ფრთები არწივის გასხია, შეგფერის აღმა ფრენაო: მიმაფრენ, მეც თან დაგყვარ, წამის-წამ კიდის-კიდესო! ველარ მერევა სიკვდილი მე შენსა გადამკიდესო, დიდება შენსა მოვლენას, ციურო ტკბილო ძალაო! დააღნა გული შენს სიმებს და სული დაიცალაო”.

ქეშმარიტად სადიდებელია პოეტისათვის მისი ჩანგური, მისი პოეტური ძლიერი ნიჭი, რომელმაც, მართლა რომ უკვდავი გაჰხადა იგი ჩვენის ერისათვის, მართლაც რომ მის გადამკიდეა, სიკვდილი მას ვერ ერევა და ვერც მოერევა, ვიდრე ქართული ენა არსებობს.

## II

პოეტს რეალისტს, თ. აკაკი წერეთელს, პოეტზედ სრულებით სხვაგვარი შეხედულება აქვს. მისთვის გაუგებარია პოეტის “ღმერთებთან ლაპარაკი”. იგი სრულებით წინააღმდეგია იმ აზრის, რომ პოეტს “ცა ნიშნავდეს და ხალხი ზრდიდეს მიწიერი ზეციერსა”, როგორც ამბობს მეორე ჩვენი დიდი პოეტი. თ. აკაკის პოეტი “არც დიდია, არც პატარა, არც ბატონი და არც მონა, გულს ესობა ხან ისარი, ხან სუნწელი ვარდის კონა, უგუნურია, ხან ბრძენი, ხან არც ის არის, არც ესა, გარემოების საყვირი, არც მიწის არის, არც ცისა მის გული, სარკედ ქვეული, ბუნების ნათავხედია, მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ, რასაც შიგ ჩაუხედა; ენაც მას ამბობს, რაც სმენას სხვისაგან გაუგონია, ან თვალს უნახავს და ჰკუას გაუზომ-გაუწონია. თქვენ რომ გგონიათ, არ არის, სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა, შ უ ა კ ა ც ი ა უ ბ რ ა ლ ო, ხ ა ნ მ ი წ ი ს ა ა, ხ ა ნ ც ი ს ა”; ამ პოეტს “ცრემლში ულესავს ნაღველი და მეღნად ის უხმარია, შიგ თაფლი არის ნარევი და ზოგან ცხარე ძმარია, ზოგს ეტკბილება, ზოგს არა, მაგრამ რა მისი ბრალია? ბულბული ვარდს და ეკალზედ თანასწორ მომღერალია”; საწერლად გული უხმარია, კალმად ენა, “საწვერ-მახვილო ის არი, ხან სამკურნალო მალამო, ხან სასიკვდილო ისარი, მისი ქება და დიდება, მისი ღბენა და ჭირი ქამანჩა და სტვირი”.

უკეთესი განმარტება პოეზიისა და პოეტისა, რეალიზმის შეხედულებით, ძნელია წარმოსადგენია. რეალიზმის განმარტებით პოეტი, უბრალო მოკვდავია, დროისა და გარემოების წყალობით “სტვირითა და ქამანჩით” აღჭურვილი, “შუაკაცია უბრალო, არც მიწის არის, არც ცისა, და ხან მიწის არის, ხან ცისა”. ამ მხრით თ. აკაკი წერეთელმა ახალ განმარტებასთან ერთად ჩვენ პოეზიას კვალიც დაამჩნია. ერთ ადგილას თ. აკაკი წერეთელი ბრძანებს: “საზოგადოთ მე ხელოვნებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდიო და ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დ ღ ი უ რ ა ვ კ ა რ გ ი ა ნ ო ბ ი ს საბრძოლველ-სამსახუროდაო; თუ რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძ ა ლ ა უ ნ ე ბ უ რ ა დ და შ ე მ თ ხ ე ვ ე ი თ მომხდარა, თვარა ის ჩემს

დღეში არა მქონია ფიქრათ, რომ მომავლისთვის ვწერო”. ამ სიტყვებს ძალაუნებურად უნდა დავეთანხმობთ, იმიტომ რომ თ. აკაკი წერეთელი აქ მარტო ჩვეულებრივ კვლევების გარდა ნამდვილი გამომსახველია იმ დროის შეხედულებისა ლიტერატურაზე. თ. აკაკი ხომ სამოციან წლების მწერალთა კუთვნილია. იმ დროის მწერლობა საზოგადოდ იმ აზრისა იყო, რომ ხელოვნება უბრალო იარაღია დღიურის ჭირ-ვარამის “საბრძოლისო-სამსახურისო”, როგორც თვით აკაკი ბრძანებს. მწერლობას (სიტყვაკაზმული მწერლობა გვაქვს სახეში) პუბლიცისტური მნიშვნელობა ეძლეოდა და ამიტომაც რუსეთში და ჩვენშიაც, რუსეთის ზედგავლენის ქვეშე, სიტყვაკაზმული მწერლობა პუბლიცისტიკად გარდაიქცა.

ზემორე მოყვანილ ჩვენის მგონის სიტყვებში ცხადად გამოსჩანს ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს რომანტიკულსა და რეალურს ლიტერატურას შორის და ეს განსხვავება არის უფრო ხშირად მიზეზი იმ დაუსრულებელ კამათისა, რომელიც ასტყდება ხოლმე ეგრეთ წოდებულ წმინდა ხელოვნებისა და უტილიტარულ ხელოვნების მოსარჩლეთა შორის. რეალური ფილოსოფია და მის გავლენის ქვეშე რეალური ესთეტიკა არა სცნობს არავითარ საუკუნო და აბსოლუტურ საგნებს. მისთვის არსებობს მხოლოდ განუწყვეტელი ცვლილება მოვლენათა შორის. - “დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა”-ს რეცეპტზედ შექმნილი. ამიტომაც მისთვის მნიშვნელობა და აზრი აქვს მხოლოდ “დღიურ აკვარგიანობას”.

რომანტიზმი კი იდეალების ფილოსოფიის ზედგავლენის ქვეშე “მოვლენათა შორის” დაფარულს კავშირს იძიებდა, მისის აზრით, ყოველივე ცვალებადი და სწრაფლმავალი მოვლენა ცხოვრებისა და ბუნებისა გამომხატველია რაიმე დიადის შ ი ნ ა ა რ ს ი ს ა და ა ა ზ რ ი ს ა, რომლის მიწვდომა და გაგება მხოლოდ ღმერთთან დაახლოვებულ ადამიანთ შეუძლიათ, მხოლოდ ზეკაცთ ეხერხებათ მოვლენათა ასეთის ფარულის შინაარსის შეგნება და ამიტომაც პოეზია მათთვის წინასწარმეტყველებაა და პოეტი წინასწარმეტყველი. მათის აზრით, პოეტის მოვალეობაა ბრბოს, ხალხს, უბრალო მოკვდავს “წინ წარუძღვეს”, ღმერთთან ილაპარაკოს და ამ ლაპარაკის შედეგი ხალხს ამცნოს.

ეს განსხვავება პოეზიის საგანთა შორის ბადებს მიზეზს ზემოხსენებულ კამათისას წმინდა ხელოვნების დამცველთა და უტილიტარულ ხელოვნების მოტრფიალეთა შორის. პირველთათვის დღიური აკვარგიანობა, დღიური ჭირ-ვარამი პუბლიცისტიკის საქმეა და არა სიტყვაკაზმულ ხელოვნებისა და პოეზიისა, ხოლო, მეორეთა შეხედულებით, სწორედ პოეზია უნდა ემსახურებოდეს ამ “ავ-კარგიანობის” განმტკიცება-გაუმჯობესებას.

თ. აკაკი წერეთელი შემცდარია, როცა ამბობს, რომ მომავლისათვის არა ვსწერდით და თამამად შეგვიძლია მოვასხენოთ, რომ შესაძლოა დიდ ნაწილს მისის სატირებისა და პუბლიცისტური ლექსებისას და წერილებისას აწ უკვე მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდეს, როგორც თვითვე აღიარებს, მაგრამ მისი სალირიკო პოეზია კი მომავლისთვის არის შექმნილი და მის ლექსებში მხოლოდ იმასა აქვს საუკუნო მნიშვნელობა, რომელსაც საუკუნო დიადი აზრი და ფიქრები აქვს საგნად, ანადა დღიური ავ-კარგი, მაგრამ უკვდავის “ხელოვნებით” შექმნილი; ერთის სიტყვით, მის ნაწერებში ის არის უკვდავი, რაც უკვდავ და საუცხოო ფორმით არის შემოსილი, ან ის, რასაც, ფორმით საუკუნო სიმშვენიერესთან ერთად კაცობრიობის საუკუნო საფიქრალი საგნები აქვს აღებული.

პოეზიის საუკუნო და სამარადისო საგლობელ საგანთა შორის კი იქნება ყოველთვის, ყოფილა და არის კაცთა შორის დამოკიდებულება და ამ დამოკიდებულების უძლიერესი, ფატალური და საიდუმლო კავშირი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა, კ ა ც ი ს ა და ბ უ ნ ე ბ ი ს შორის დამოკიდებულება, ესე იგი, კ ა ც ზ ე დ ბ უ ნ ე ბ ი ს დიად მოვლენათა გავლენა და კაცის ს ი ც ო ც ხ ლ ი ს და ს ა ს რ უ ლ ი, საიდუმლოებით და საუკუნო სევდით მოცული, ს ი კ ვ დ ი ლ ი და გ ა ხ რ წ ა ჩვენის არსებისა.

სამშობლოს გოდება არ არის საუკუნო და დაუსრულებელი გრძნობა, ვერც სამშობლოს ქება-დიდება და ხოტბის შესხმა წარიტაცებს ყოველთვის მგონას. სამშობლოს ტირილი, სამშობლოს ტრფიალი მხოლოდ მაშინ არის პოეზიის საგანი, როდესაც სამშობლო განსაცდელშია, და, რაკი ეს აცილებული იქნება, საგანიც პოეზიისა თავისთავად ჰქრება. აბა, მიჩვენეთ რუსის პოეტი, რომელიც სამშობლოს ეტრფიალებოდეს, რუსეთის მონგოლებისაგან დაპყრობას სტიროდეს, ანადა მის უცხო ხალხის კლანჭებიდან დახსნას ლამობდეს, ან საფრანგეთის მწერალი მიჩვენეთ, ან დღეინდელი იტალიელი, რომ თავის პოეზიის საგნად სამშობლოს გალობა გაეხადოს. უფრო საყურადღებოა იტალიის მაგალითი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც თავის პოეტებისა და მწერლების პირით მოსთქვამდა სამშობლოს ბედ-იღბალს.

არის მხოლოდ ერთი მხარე თ. აკაკი წერეთლის პოეზიაში, რომელიც უკვდავად ჰქმნის მის პატრიოტულ ლექსებს (ე. ი. მის საუკეთესო სალირიკო ლექსებს), ეს ის მხარეა, რომ მან სიყვარული

სულიერიდან უსულოზე გადაიტანა, თუმცა ეს უსულოც რაღაც კონკრეტულია და ადვილად გასაგები. ის (და მასთან ერთად ილია ჭავჭავაძეც) ამ დიდ სულიერს, ამ ერთ დიდ არსებას - თავის საყვარელ სამშობლოს, ისეთის ენით ელაპარაკება, თითქო ნამდვილი, გულწარმტაცი და მომხიბვლელი სატრფო უჯდეს გვერდით. აბა, მიზრძანეთ, რა შეედრება მის ტანჯვას, მის სასოწარკვეთილებას, მის სევდას, როცა ხედავს, რომ მისი სატრფიალო “თავ-შეხვეულ” მიჯნურს შეიყვარებს და გულსაც მისთვის ააძგერებს.

რომელი პოეტის სევდას ჩამოუვარდება, თუ არ აჯობებს, თ. აკაკი წერეთლის სევდა მის “აღმართ აღმართ”-ში?

როცა პოეტი შემცდარსა და მოხიბლულ სატრფოს ემუდარება: “ჭინჭარში ნუ ვარდები, ნუ გგონია მანდ ია და ვარდებიო, შეიბრალე შენი თავი, იცოდე, მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდეო”, და როცა მისი სატრფო გულგრილად მიიღებს ყოველსავე რჩევას და ვედრებას დადაგულის მისის მიჯნურისას, მგოსანი, უდიდესის სევდით მოცული, ტანჯული და თავგანწირული, “დაღმართ-დაღმართ დაუყვება წამ მალით” და “საუკუნოდ ხელდაკრევით განსვენებას” ლამის მისთვის აქ ამ ქვეყანაში, რომელმაც ერთის წუთის წინათ ისე ეშმაკურად მოხიბლა, “სიცოცხლე აგრძნობია”, “სული და გული აუდულა”, რომელმაც ერთის წუთის წინათ აღიტაცა ისე, რომ კინაღამ გულში არ ჩაეკრა მას; ეხლა აქ - ამ ქვეყნად - მისი მიმზიდველი აღარა დარჩენილარა და მიიჩქარის იქ, “სად ელიან ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით”. ჩვენის პოეტისათვის სიყვარული არც საკურკურო რამ არის, არც მტანჯველი, რომელსაც წყევითა და კრულვით იხსენიებენ, ეს სიყვარული მისთვის თვით იდეალია, თვით შინაარსია ცხოვრებისა, “ცისა და ქვეყნის კავშირი და თან შუამავალი.” უმისოდ მისი ცხოვრება წარმოუდგენელია. პოეტი გამოდის საგმირო-სამოქმედოდ და თავს განიწირავს “ნესტან-დარეჯნის” ქაჯთაგან დასახსნელად იმიტომ კი არა, რომ საყვარლისაგან ალერსი მიიღოს და დაფნის გვირგვინი; არა, მისთვის ამ საყვარელ არსების გაუგებრობაა სატანჯველი. პოეტს არ შეუძლია, ამ საყვარელს იმისთანა კაცის ხელში ხედავდეს, რომელიც “საწამლავში შარბათს ასმევს”, რომელიც ვარდებით ეკალში იტყუებს, ეშხით ათრობს, ბოლოს, როცა ბევრის აღთქმით, ბევრის ხერხით ჩაითრევს და შეაცდენს, “ხედ შედგება ფეხით, დაიმონებს, ცრემლებს ადენს, ლეჩაქს მოხდის, გააშიშვლებს, ბანგს შეასმევს, დაამინებს, გამოუზრდის მონად შეილებს და თვითონვე მას დასცინებს.” ამ სატრფოს მისი მომხიბვლელისაგან დახსნა, განსაცდელისაგან განთავისუფლება იდეალიც არის და გზაც ამ იდეალამდე მიმყვანი. პოეტის ტანჯვა და ვაება, სიხარული და აღტაცება მითი არის სასიმიპატიო და თაყვანისსაცემელი, რომ სრულიად უანგაროა, სრულიადაც არ ემჩნევა, რომ ვითომ უნდოდეს თავისი ტანჯვით იკობტაოს, რადგან წრფელის გულით იტანჯება და წრფელს გრძნობას კი კობტაობისა და პრანჭვისათვის არა სცალიან.

პირიქით, შეხედეთ რა ხასიათის სიმტკიცეს იჩენს პოეტი, რა სტოიკებრივს დიდებულებასა ჩემობს, როცა “ხალხში, ძალად ღრუბელს ადარებს,” “მოწყენით მტერს თავზედ არ აცინებს, რომ არა სთქვან მაზედ: “რა ოხერია!” მაგრამ ვინ ჩაიხედავს აქ, მის გულში, ვინ დაინახავს, რა ტანჯვა და წამება ტრიალებს იქა, რა “მწუხარების ალი” სწვავს. დიდებულია ეს ტანჯვა გულმკვდარი ადამიანისა, მით უფრო დიდებული, რომ არც შავი თვალების მოღრუბლვას გამოუწვევია და არც პირადის უბედურების გრძნობას, იმიტომ რომ “ვიღას ახსოვს თავისი სატკივარი, თუ სატრფოც ჰყავს იმ დროს მას ცოცხალ-მკვდარი?” ეს ტანჯვა ისეთის გრძნობითა და სურვილით გამოწვეულია, რომლის დაკმაყოფილებისა და აღსრულების უიმედობა ცხოვრებაზედაც კი უარს ათქმევინებს მგოსანს:

“ღმერთსა ვვედრებ, ღმერთო, მომეცი ნება,  
რომ მეღირსოს საფლავში დამინება,  
სჯობს, სულ განქრეს კაცი, რადგანც მტვერია,  
ამ ტანჯვისგან საფლავში დამიფაროს.  
რომ ამ გულზედ მე მიწა დამეყაროს,  
ეგებ მაშინ სატრფომ აქ გაიაროს,  
ჩემს საფლავზედ ცრემლები დააღვაროს,  
რომ სხვებმაც სთქვან: “ხედავ რა მწუხარია.”

მაგრამ იქაცკი, საიქიოსაც, თავის საყვარელს ვერ გაშორდება, იქაც იმ იმედით მიდის, რომ ოდესმე საყვარელი მის საფლავს ცრემლებს დააყრის და, თუ ამას თითონ ვერ გაიგებს, სხვები მაინც დაინახავენ და იტყვიან: ამ კაცის ტანჯვამ ტყუილად არ გაიარა და ბოლოს მაინც ცრემლმა ცრემლი გამოიწვიაო. მართალი უნდა ვსთქვათ, ამ მხრით ჩვენმა პოეტებმა ჩინებული და დიდად

შესანიშნავი შექსოვა იტვირთეს ორი გრძნობისა, პატრიოტიზმისა და სიყვარულისა; ერთმანეთს ისე შეადუღეს ეს ორი გრძნობა, რომ ერთიმეორის შინაარსად და ფორმად გახადეს, ერთიმეორის აზრად და სიმბოლოდ, და ეს ისეთის ხელოვნებით მოახდინეს, რომ ხშირად გიძნელებათ გაიგოთ, რომელ სატრფოს უგალობს პოეტი, ქაჯებისაგან მოტაცებულ ცხრაკლიტულში დამწყვდეულ ნესტანს, თუ უბრალო, ჩვეულებრივ, საარშიყო სალაღობო არსებას, რომლის გულზედ შემდეგი ზედწარწერაა გამოფენილი:

“გამოცვლილა სიყვარული  
აქ ოთხმოცდა ცხრამეტჯერა.”

### III

აკაკი რეალისტი პოეტია და, რასაკვირველია, როგორც ეგრეთეს, ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ი მ მხარისათვის უნდა მიექცია ყურადღება, რომელიც, რეალიზმის მამამთავრების აზრით, არის ერთადერთი ღირსი ყურადღებისა, ე. ი. ფიზიოლოგიური მხარე ამ გრძნობისა, რადგან, რეალურის ფილოსოფიის აზრით, სულიერი მხარე სიყვარულისა შეთხზულია ოცნების მოყვარე იდეალისტებისაგან და რომანტიკოს პოეტებისაგან. ამ აზრს ადგია თ. აკაკი წერეთელიც, მაგრამ სწორედ იმ გარემოებამ, რომ ვარდ-ბულბულიანს იგი ხმარობს სიმბოლოდ დიდის გრძნობის - სამშობლოს სიყვარულის - გამოსახატავად, შეაჩვია აკაკი წერეთელი იმ აზრსაც, რომ სიყვარული დიდი მოთხოვნილებაა კაცის არსებისა და მიტომ სერიოზულად უყურებს და უფრო ხშირად მის იდეალურ და საუკუნო მხარეს აძლევს ისეთს მნიშვნელობას, რაც არა სჩვევია რეალურ პოეზიას.

ზოგან მგოსანი სიყვარულის ნამდვილ ნატურალისტურ დახასიათებას გვაძლევს. “ეს გრძნობა მის ძარღვებში სისხლს აღელვებს პილპილითა შეკაზმულს, ხან ჯოჯოხეთს და ხან სამოთხეს წამდაუწუმ იცვლის გული!” ეს შარბათიო, ამბობს იგი, მე რომა ვსვამ, “ხან მწარეა და ხან ტკბილი, და არ ვიცი, რა ვარჩიო მე, სიცოცხლე თუ სიკვდილი”. და თავის თავსვე ამგვარ რჩევას აძლევს: “ტკბილ შარბათსა დაეწაფე, მწარეს აარიდე თვალი, სადაც ვარდი აკოკრდება, იქ ეკალიც ხომ იჩენს პირს; მაგრამ ბრძენი მხოლოდ ვარდს ჰკრეფს, ეკალზედ კი არ ახევეს ცხვირს. ქალიც ვარდის ჯაგი არის; ეკალთან აქვს ყვავილები, ორში ერთი აირჩიე, თვითონ ჯაგს თავს რად ევლები?” მგოსანს საეჭვოდ მიაჩნია, რომ ციური მშვენიერება ქვეყნად გვეჩვენებოდეს “ბროლ-მკერდა, სახე ნათელის, ალვის ხის ტანის არსებაში,” ღიმილი მას მატყუარად მიაჩნია, და მხოლოდ თვალები, ეს შემკრებავი ფოკუსი სიყვარულის ძალებისა, “თვალები არიან გამცემი დაფარულისა”; “შეყვარებული ლამაზი ქალი სხვიმომღენ ვარსკვლავსა ჰგავს.” ვარსკვლავმა უცბად მოწყვეტა იცის და ცის წყვილიადში ილუპება; “მოწყვეტილი ვარსკვლავი - გულგაგრილებული ქალია;” მოწყვეტილი ვარსკვლავის მაგიერი ათასია ცაზედ, მაგრამ მუდამ მნათობად ისიც ნუ გეგონებაო, ურჩევს ჭაბუკს პოეტი. სიყვარულის ფიზიოლოგიური მხარეც აქვს შენიშნული პოეტს. ერთხელ ნახული ტურფა, რომელმაც გული აუბგერა, იყო “პირ-ეთერი, ტანად სარო, სათაყვანო სანეტარო, ბროლ ფიქალზედ ვარდ-ლაწვები, ბროლ ბადახში, ბაგე-ლალი, ბაგეთ ტკბილად დასაწები, შავ ხუჭუჭ-თმა, ნაწნავ-ბევრი, წამწამ ხშირი, წარბებ-ტევრი კერძოდ - ყველა სიყვარული - ერთად სიყვარულის წევრი”. როცა სიყვარულს ქვაკუთხედად ბროლ-ფიქალი აქვს, წარბებ-ტევრი და წამწამი ხშირი, რა თქმა უნდა, იგი ხანმოკლეა და ცვალებადი. სულ დიდი საუკუნე მისი 10-15 წელია. ამას შემდეგ მარტო სევდით აღსავსე მოგონება რჩება იმ წუთებისა, როცა “მიჯნურის ხელსა სატრფოს გულ-მკერდში ხშირად გაჰქონდა ფართხალი და მის ბაგეთ სატრფოს ყელში კრთოლვით უძებნიათ ხალი, ერთმანეთის ემხით მთვრალნი სიჭაბუკით ამყობდნენ და, დრო რომ წლებს უწამლვიდა, იმას კი ვერ ატყობდნენ”; 15 წლის წინათ შვენივით აღსავსე ქალ-ვაჟი, დროისაგან გამრცვილნი, ხედვენ, რომ “უკბილობით ბაგეები მათ პირში შეუვარდათ და ის ყელიც დასჭკნობია, რომელიცა მათ უყვარდათ”. ან კი სხვაგვარად როგორ უნდა იქმნეს, როცა “ტრფობის ბუდეა მშვენიება, თავდები სიჭაბუკეა და ეს ორივე აკლია, ვისაც ჭადარა უმკია; სიჭაბუკე და სიბერე ორი სხვადასხვა კიდეა, ერთი რომ ჯაჭვით აბია, მეორე ბეწვზე ჰკიდია. ის გაზაფხულის იაა, გარს ეხვევიან ვარდები, ეს შემოდგომის ფოთოლი, სიო ჰკრავს, ჩამოვარდება. და გაშრა ტრფობის აუზი, გულში ძველი-და არხია, მოდგება ცნობის მოყვარე, თან გადმოყვება სურვილსა, მაგრამ უკანვე იქცევა, რომ ვერ მოიკლავს წყურვილსა, სიჭაბუკესა მიმართავს, მასთან დაიჭერს კავშირსა, პატარა ნაპერწკალი სჯობს დიდს, მაგრამ ცივსა ნახშირსა”. ეს კიდეც დროის ზედგავლენაა და თუ მარტო ეს იყოს სიყვარულის საფლავი, კიდეც არაფერი, მაგრამ სიყვარული ერთგვარი ყინია, რომლის დაკმაყოფილების შემდეგ ერთობ უგრძობლად მიჯნურთ გული. იქ თუ წლები იყო, აქ დღეებია სიყვარულის ხანგრძლივობის გამომხატველი. “რაც იყვენ, იგინივე არიან, იგივე აქვთ ორთავ ძალა,

მაგრამ დრომან ხარბი გული გააძლო და მით შესცვალა. ვარდს ეკალი თან ხლებია, იჩხვლიტება მწარედ ხშირად, ტრფიალების ტკბილსა ზადაგს, ნალველი აქვს თურმე ძირად” და, ერთმანეთის ემხით დამთვრალნი, რაკი გამოფხოზღლებიან, მალე გადაიტანენ ემხს სხვებზედ, ფიცს გასტეხენ და ერთმანეთს უღალატებენ ხოლმე, და ეს კანონია თვით ბუნებისაგან დადებული, რომლის შემლა კაცთ არ ძალუძსთ. ამგვარი ძალია და, სწრაფღწარმავალი ნეტარება სიყვარულისა, “სიყვარული წამ-ტკბილია და ხანგრძლივ მწარე, ჯერ აკვანი ნეტარების, მერე კუბო და სამარე; დღეს მისია, ხვალ სხვისია, უგზო-უკვლოდ მოარული... დიდის ხნობით მაღალ გრძნობით ის არავის არ ახარებს და წამიერ სიტკბოებას საუკუნოდ წაუმწარებს, მაგრამ მაინც ყველა ეძებს, ცოცხალი ვით დაიწუნებს, ვინ არის, რომ იმ ერთ წამში არ გასწირავს საუკუნეს?” ხორციელება სიყვარულისა, წუთიერება ამ გრძნობისა და მისი ცვალებადობა ასე მშვენიერად აქვს დახატული პოეტს. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ტრფობას თ. აკაკი წერეთელი სიმბოლურ იარაღად ხმარობდა სხვა დიდ გრძნობათა გამოსახატავად; ამ გარემოების გამო თვით სიმბოლურ იარაღსაც სხვანაირად დაუწყო ყურება და სიყვარულის იდეალური მხარეც ნათლად და მშვენიერად დაგვანახა.

სიყვარული ჩვენის მგოსნისათვის სრული ნიჭია. “გულსა, მისგან დახაზულსა, ვედარ ჰკურნებს დრო და ჟამი”. ამგვარად, სიყვარულისაგან გამოწვეული ტანჯვა დაუსრულებელია, რომელსაც დროც კი ვერა სცვლის და სიყვარულისაგან მოძულეებული არსება მარტო ხორციით კი არ ობლდება, არა, “სულსაც სტოვებს საწყლად, ობლად, ამ ობლობის სამკურნალო ერთი მხოლოდ საფლავია. სიყვარული წამ-ტკბილი და ხანგრძლივ მწარე” მგოსნისთვის სამოთხის ძალია, ურომლისოდ სიცოცხლე ავია.

სიყვარული ერთგვარი მონებაა, მაგრამ ეს მონება არაოდეს არ დაამცირებს არავის. შვენების ღვთაებისაგან ჯაჭვით დაბმული ნეტარობს და გაიძახის: “ვიმ, სიყვარულო! ჩემს გულსა რა ტკბილი ჯაჭვით დაებიო”. “სიყვარული არის სჯული, ტრფიალება - წმინდა ლოცვა, მოტრფიალთა საუბარი არის დიდი აღსარება, მათი ხვევნა, მათი კოცნა, საიდუმლო ნეტარება”. აქ, თუ გნებავთ, პოეტი თვით სიყვარულის ფიზიოლოგიურ მხარეს იდეალურის შუქით მოსავს, რაკი ბუნების საიდუმლოების გამოხატველად გარეგან გრძნობის ხორციელ მხარეს სახავს.

სიყვარული უძლეველი რამ ძალია, უკვდავი და სრული, რომელიც ბოლოს ჟამს სიტკბოების წამს ნალველ-ძმარად გარდაექცევა კაცს, სულს აწვეთებს შხამს და გულს მით უწვავს, “რომ მისგან მარად აწ მიეფარა” და სიყვარულის დამკარგავს “ოცნება უქრება, ვნება ემხამება და სიცოცხლის გაქრობაც სანატრელად უხდება”. თუ სიყვარულისაგან გამოწვეული ტანჯვა სიცოცხლის მომშხამველია, თვით სიყვარულიც “ყოველ სწეულეზზედ ძნელია, შეყვარებულთათვის ნათელიც კი ბნელია, აგრძნობინებს უცნაურს რადაცა ციურსა ძალსა, და ეს ბიჯი სიკვდილ-სიცოცხლის სწორად ჩასათვლელია; ან ავად და ან კარგად გარდაქმნის ერთიორად, იმისდა მიხედვით, თუ რა ღირსებისაა სატრფო საგანი; თუ შეხვდა ღირსეულ სათაყვანოს, სიყვარული მას “განუმტკიცებს გონებას, აუმაღლებს მით სულსა”. რაც ბუნებითად მასში კარგი მოიპოვება, აწყვავდება, იხარებს, ვითა უმანკობა, “ვითა სხივი ცით მნათობის გაანათებს ქვეყნად ბნელსა, ისე ესე სიყვარული განუქარვებს ჭირსა ძნელსა, სოლომონის სიბრძნეს მისცემს, სამსონისა ძლიერებას და, გინდ შავი დღეც დაადგეს, არ მოაკლებს ნეტარებას”. “მაგრამ თუ შეხვდა უღირსს, ზნეობითად დაცემულს, ვაი იმის სიცოცხლეს, საფლავამდე დაშხამულს”. ხანდისხან თ. აკაკი წერეთელს სიყვარულის გრძნობა იმ ხარისხამდის აპყავს, ისეთ სამეფო ტახტზედა სვამს და ისეთის შარავანდედით ამკობს, რომ, ბარათაშვილის გარდა, ვერც ერთს ჩვენ ლირიკოსს ვერ უკისრებია ესა. თუ ხორციელება სიყვარულისა თ. აკაკის უნდა აღეწერა, როგორც რეალისტს პოეტს, თქვენა ხედავთ, რომ ამ მხრით იმდენ ძლიერებას კიდევ ვერ იჩენს, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე, ხოლო, როცა სიყვარულის მაღალ მხარეს ეხება, უფრო ძლიერს ნიჭს იჩენს ჩვენი პოეტი და, თუ ვერ ბარათაშვილობს, ყოველ შემთხვევაში გენიოსის პოეტის მაღალის შეხედულების ღირსეულ მემკვიდრედ ხდება, “შენ, სიყვარულო! - ამბობს აკაკი, - ცისა და მიწის კავშირო და შუამავალო, შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანეტაროს, მზა ვარ, სიცოცხლე მთლად განაცვალო, შენ, ვისაც უ გ უ- ნ უ რ თ უ მ ე ტ ე ს ო ბ ა (დააკვირდით ამ სიტყვებს, თუ რომანტიკოსის მედიდურება არ გამოსჭვივის შიგა) ვერ გიგრძნობს, ვერც გცნობს, მხოლოდ ცილს გწამებს”.

“და შენ მაგიერ შენის სახელით  
ის აღიარებს პირუტყვეულ წამებს,  
შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო,  
გამოუთქმელო კაცთა ენითა,  
შენგან მგოსანი ფრთებშესხმული ვარ

და მონავარდე აღმაფრენითა”.

დამერწმუნებით ამას შემდეგ, რომ სიდიადე და მშვენიერი სულიერი მხარე ამ დიდის გრძნობის ჩვენს პოეტს სავსებით ჰქონია შეგნებული. თან ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მისთვის ყოველად შეუძლებელია ან ერთი წუთი ისეთის თავდავიწყებისა, რომ სიცოცხლის საგანი თვალწინ არ ედგას. მისთვის ყოველსავეს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი თავს ევლება მისი აზრისა და ფიქრის სამარადისო საგანს. თუ სატრფო უყვარს, რომელსაც საქვეყნოდ უცხადებს: “შემსჭვალული ვარ მე სიყვარულით, მსურს გული მხოლოდ შენთვის ვამგერო და გეტრფიალო სულით და გულით”-ო, ეს იმიტომ, რომ ის არის ქალი, “ჭემმარიტის გრძნობით აღვსილი, რომ აასრულა მშობლის ვალი და გამოზარდა მამულის შვილი”. “შენ გენაცვალოს კეკლუცი ყველაო”, ეუბნება ასეთს სატრფოს მგოსანი, “ოხერიც იყოს მათი მშვენება”.

“მე შენ არ გეტრფი მშვენებისათვის,  
არც თითები გაქვს ბროლივით თლილი,  
მე გაიმბორებ ხელზედ მისათვის,  
რომ მაგით გეპყრა მ ა მ უ ლ ი ს შ ვ ი ლ ი,  
შენ მკერდს ვემთხვიო, მაქვს მე სურვილი,  
თეთრი რომ არის, მისთვის კი არა,  
არა... მისთვის, რომ მ ა მ უ ლ ი ს შ ვ ი ლ ი,  
ჭემმარიტ დედას მაგ გულში გეპყრა”.

მგოსნისათვის ჩალის ფასადაც აღარ ღირს ქალის მშვენება, თუგინდ იგი იყოს “თვით სარკე ხელოვნებისა, შეძკული გარეგნობითა”, რომელიც “თვალსა სჭრის და გულს იტაცებს ანდამატურის ძალით”. ასეთს ქმნილებას პოეტი მაინც ვერა სცემს თავყვანსა, “მიტომ რომ მისსა მშვენებას აკლია გვირგვინ-ბეჭედი, აწმყოში სულის ჩამდგმელი და მომავალში იმედი - ეს არის ნერგი ოცნების, ღრმად გულში ჩამარხულისა, ს ა ხ ი ს ა ღ მ გ ზ ნ ე ბ ი ბ ე ჭ ე დ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა”.

ეს აზრი და გრძნობა ისე აქვს გამჯდარი ძვალ-რბილში ჩვენს მგოსანს, რომ თვით უძლიერესი ტრფობის წამები გარეშე ამ ფიქრისა ვერ წარმოუდგენია, როცა იგი სატრფოს იწვევს: “უდაბურსა უცხო მხარეს გადავფრინდეთო, იქ შევეტკობოთ ორთავ მყუდროთ, მტრედებვით დავიბუდოთ, რ ო მ ს ი ა მ ი თ, მ ა რ ტ ო დ მ ა რ ტ ო ნ ე ტ ა რ ე ბ ი თ განვლიდეთ დროთო, მაშინ ერთის გულის თქმითა, შეთანხმებით და ლოცვითა ღმერთს ვავედროთ, საქართველო იცვას ისე, როგორც ცვიდაო”.

ამაზედ უფრო შორს წასვლა აღარ შეიძლება ერთის რისამე აჩემებასა და დაჭინებაში. სამშობლოს სიყვარული ეს ის წერტილია, რომელიც რადიუსებით შეერთებულია თ. აკაკი წერეთლის პოეზიის ყოველ ანბანსა და სტრიქონთან; ეს ის მზე არის, ის პლანეტა, რომელსაც გარს ახვევია მთელი დაუშრეტელი წყარო მისი ლექსთა წყობისა; ეს ის კანდელია, რომელიც ანათებს თ. აკაკის არათუ მთელს ნაწარმოებს, არამედ იმის ნაწარმოების წყალობით მთელს არე-მარეს ჩვენის ღარიბის ლიტერატურისას; ეს ის ვარსკვლავია, რომელიც დღე და ღამე თვალწინ უდგა პოეტს; ეს ის უხილავი ანგელოზია, გინდა ნაზი ღმერთი პოეზიისა, რომელიც ჩასჩურჩულებდა პოეტს ღვთიურ სიტყვებს მისი ლექსებისას; ეს ის საღმრთო ჩანგია, რომელსაც უხილავი რამ ძალა უწყობდა სიმებს, და რომლის ჰანგებზედ იყოლებდა მგოსანი ჩვენის ლიტერატურის დამამშვენებელს გალობას, კვნესით და გოდებით აღსავსეს, ქებათა-ქებას საყვარელის სამშობლოსადმი, რომლის მწუხარე და სევდიანი კილო და თანაც იმედითა და სასოებით აღსავსე ჰანგი სამარადისო მშვენებად შეიქმნა ქართულის პოეზიისა.

კაცთა შორის დამოკიდებულება იმდენად ეინტერესება ჩვენს პოეტს, რამდენადაც იგი გამოხატველია “სულთან გულის გადამხმელის ძალისა”, რომელიც ყოველთვის თვალწინ უდგამს ქართველს ფერმიხდილ საქართველოს; ბ უ ნ ე ბ ა ს ა და კაცთა შორის დამოკიდებულებაც ამავე საზომით იზომება. რამდენადაც ბუნების სურათი აღმძვრელია ეროვნულის გრძნობისა და რამდენადაც იგი სამშობლოს ბედის სიმბოლოა, მხოლოდ იმდენად არის საინტერესო. აი, თუ გნებავთ, საქართველოს ისტორია ამგვარად აღწერილი:

“მზე ჩავსვენა ბრწყინვალე ქართლის  
და მან დაჩრდილა მით არემარე,  
დაბნელდა... მაგრამ მაინც მის ბედზედ  
ბოლოს გამოჩნდა შუქმფენი მთვარე,

ლაჟვარდ ცაზედა წყნარად მცურავი  
პირბადრი, ნაზი, პირმომცინარე,  
და მას თან ახლდა მის თანამსრბოლი  
ერთი ვარსკვლავი მოსხივ-ცისკარე,  
მაგრამ ამ დროსაც მოულოდნელად  
აღმოტყდა სუსხით რისხვის გრიგალი,  
აღმოსავლითა გადმოიტანა  
შავი ღრუბელი დიდი, დიდძალი:  
ცამოწმენდილი, ლაჟვარდოვანი  
დაიფარა და დაბნელდა არე!  
ვით გველემაჰმა მზეთუნახავი,  
ისე ჩაყლაპა ღრუბელმა მთვარე”.

და ამ სურათს თვითვე აგვიხსნის მგოსანი: “აი, სურათი ქართლის ბედისა, როდესაც განქრა მისი თამარი”.

მთელი ბუნებაც საქართველოსი მისი წამების უტყუარი მოწამეა და ან კი როგორ აუაროს გვერდი პოეტმა ყოველ ნაბიჯზედ თვალში წამოჩხირებულ ფაქტს:

“მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,  
ქვესკნელი საფლავს და ძვლებს გამხმართა,  
რომელნიც ანდერძს მოგვაგონებენ  
მსხვერპლად შეწირულთ ჩვენ წინაპართა”.

ბუნების სანახაობა თითქო ჩვენის ბედის სურათიაო.

“აი მდინარე აქაფებული ქვე მიაქანებს ასწლოვან ხეთა, მალ-მალ ტალღით სცემს განრისხებული და სურს დაგლეჯა კლდოვანთ კიდეთა, რომ სწრაფლ მორეცხოს მან სისხლი ძველი, მის კიდებზედ გადათხეული, მა გ რ ა მ კ ი დ ე თ ა შ ე უ კ რ ე ს ხ ე ლ ი და მ ი ს გ ა მ ო ა ა ლ ე ჯ ე ბ უ ლ ი”. განა თუ ეს სურათი არ არის იმავე ლეჩაქმოხდილის და ფეხშიშველის ნესტან-დარეჯნისა, ქაჯთაგან ტყვედ ქმნილისა, ხოლო სხვაგვარად კი დახატული. მაგრამ აქ ცოტას შევსცდი, ეს არის ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ს უ რ ა თ ი და არა სურათი ნამდვილი. სინამდვილე კი სხვას გვეუბნება: ტურფა, ცხრაკლიტულში ჩაკეტილი, სრულიადაც არა ჰგავს მდინარეს, რომელიც მისგანაა აღელვებული, რომ კიდეთა შეუკრეს ხელი, წინააღმდეგ, რამდენად უფრო ძლიერად უჭერს ხელს, იმდენად უფრო მოსვენებითა გრძნობს თავის თავს, იმდენად უფრო განცხრომილია და დამშვიდებული. ამიტომაც, ეს სურათი პოეტის ოცნებაში ჩასახულის საგნისაა და არა უტყუარის რამ ნამდვილისა.

პოეტს ბუნება თავისს თანამოაზრედ მიაჩნია, მისის ფიქრისა და აზრის სრულ მეგობრად ისე, როგორც ჩანგი და ზურნა მიაჩნია მისის სევდისა და კვნესის გამომსახველად: ბუნებას თითქო ესმოდეს მგოსნის კვნესა და გოდება, თითქო ისიც ლეჩაქმოხდილის სატრფოს სიყვარულით იყოს გაგიჟებული, თითქო მასაც შეეძლოს ჰყავდეს ასეთი სატრფო და ამ სატრფოს ნესტანდარეჯანი ერქვას; ბუნებას აი, რა დიდი საქმე უკისრია; “თუ გნებავთ გაარჩიოთ წმინდა ბრე წინაპრების და მტრების ბილწი მტვერი”, თვალყური ადევნეთ, თვით ბუნებას განუსაზღვრავს ესა: “იქ ეკალი ამოდის, სადაც მტერი მარხია, და სადაც ჩვენმა ძველმა წმინდა სისხლი დაჰღვარა, აქ მოდის ყვავილები და ზოგანც ვარდის ხე”.

ბუნება კიდევ უფრო სიცხოველესა და გრძნობიერებას იჩენს, კიდევ მეტად განსულიერებულია და განხორციელებული პოეტის ხელში, როცა “გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს, მამა დავითსა ავედრებს, აბარებს ქვეყნის მოყვარეს, მთაწმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა, მნათობი სხივებს მაღლით ჰგენს თავდადებულის საფლავსა. დადუმებულა მთაწმინდა, ისმენს დუდუნსა მტკვრისასა, მდინარე ნანას უმღერის რაინდსა ურჩსა მტრისასა”. თქვენ კარგად იცით, ვისი საფლავია ეს დიდებული განძი დღეინდელის საქართველოსა და აწ თქვენთვის ადვილი მისახვედრია, რომ დაუღალავი მგოსანი თავის სამშობლოს ერთს სურვილს, ერთს თხოვნას უცხადებს ქვეყანასა და ბუნებას, იმ ბუნებას, რომელიც ასეთს მეგობრობას უწევს მას, ასე უჭერს მხარს. ეს თხოვნა დიდი არ არის, პოეტის თქმის არ იყოს: “დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენ მიწას მიმაბარეო, ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!” და ვინ იცის საიდუმლოება ბუნების მოვლენათა, ვინ იცის დაფარული კავშირი მოვლენათა, ვინ იცის,



იქნება ეს სამშობლო მიწაც კმაყოფილი იქნეს და ბედნიერი ისეთის მგოსნის დასაკუთრებით, რომელმაც შეიძლება უსულო ბუნების ფიქრებიც კი სახვებით შეიგნო.

როგორც სიყვარულს, ისე ბუნებასაც პოეტისთვის მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ იგი დაიდას საგნის მოტრფიალზეა, ნიადაგ მასზედ ფიქრებით აღსავსე, თორემ სხვა სულერთია მგოსნისთვის და “ბუნება გაზაფხულზედ საპატარძლოდ მორთულია და ჰფეთქს მისი ძალი, ზამთრით გამოღვიძებული, რაც კი ქვეყნად გაჩენილა, უენოა, თუ აქვს ენა, სულიერს, თუ უსულოსა საზოგადო ჰქონდესთ ლხენა”.

პოეტის გაზაფხული თუ არ მოსულა ჯერაც კიდევ, არას დასდევს, “თუნდ ხმელეთიც აბიზინდეს და აჰყვავდეს კიდის კიდე”. შესაძლოა ბუნების სიმშვენიერეში მგრძობიერმა მგოსანმა დაინახოს, რომ “ქვეყნიერად გადმოსულა სასუფეველით სიყვარული, იწვევს ყოველ სულიერსა, რომ მიჰმადლოს სიხარული, ცა და დედამიწას შეამყარებს ეს ქორწილი”, - ეს მისთვის რა ხელსაყრელია? - მხოლოდ მას ერთს ამ ფერხულში არა აქვს წილი, “სანამ მისი საყვარელი ქაჯებსა ჰყავთ ცხრაკლიტულში, ვინ აღირსებს სასუფეველს, ჯოჯოხეთი უძევს გულში”.

სიყვარულის გრძობის არ იყოს, თ. აკაკი წერეთელმა მშვენიერად იცის კავშირი ბუნებასა და ადამიანს შორის, გამოუცდია მისი გავლენა ადამიანზედ. “ბუნება მისთვის შემოქმედების სარკვა, და ნეტავ თუ იყოს ქმნილება, სჭვრეტდეს და არ გრძნოს მან ნეტარება”. მასაც უგრძობნია სიმწარე სულით მარტოობისა და ხშირად მიუმართავს ბუნებისათვის, როცა მის საბრალო გულს უგრძობნია საჭიროება გრძობის გამოთქმისა, მქირდავი კაცის თვალისათვის ზურგი შეუქცევია, მარტოობა ამოურჩევია “და მთა, კლდე, ტბები, მდინარე, ველი, მიწა და ქვანი გაუხდია მისის კვნესის მოწმედ”, უგრძობნია რა ტვირთი დაფარულის ტანჯვისა, მისი ვისთვისმე გაზიარება მოუწადინებია და უსულო საგნებისათვის შეჩვილება გადაუწყვეტია, ეგებ მათ მაინც იგრძნონ მისი სიმწარე. ბედს მისთვის ერთი მხოლოდ ბუნება “დაუნიშნავს მუდამ-ნუგეშად”, ჩვეულებრივად სტკბება ბუნებით და გაიხარებს, “ქვეყნად ყურს უგდებს ტკბილი ბუნება და ზეცით ეშხით დანათის მთვარე და სევდისაგან გარე მოდებულს ბნელს გაუნათლებს მას საღმრთო ელვა!” ამგვარი გამეგობრება ბუნებისა ჩვენთვის ნაცნობია, ბარათაშვილიც ხომ დამაფიქვრელ, ვერან, უდაბურ მთაწმინდას მიჰმართავდა ხოლმე კაცთა უგულობით დევნილი და მტკვრის დუდუნს დაეკითხებოდა თავისის ქვეყნის ისტორიას. ჩვენი პოეტიც ნუგეშსა და იმედს ხედავს ბუნებაში, ხანდისხან ის წმინდა პანთეისტურ ექსტაზში მოდის, როცა ტკბილ ნეტარებით შეზავებული სანახავობა ბუნებისა “სადამოს ხანზედ სამოთხისაკენ იტაცებს გულსა, რომ საიდუმლო სასიქადულო კაცსაც ბუნების შეატყობინოს და, სადაც ჰკუა სცდება და სტყუა, იქ მარტო მხოლოდ გულს აგრძობინოს”. მაშინ პოეტი გრძნობს, “რომ არის ზეცა აღვსილი რაღაცა ძალით საგზნობით და ეს ქვეყანა, ყოველგნით ყველგან თავს უხრის შემქმნელს მაღლით საგრძნობით”. მაშინ ბუნება ხორცმესხმულ არსებად წარმოუდგება: “დახეთ ამ მთვარეს, სხივმომფინარეს, თითქოს ტკბილ სევდით ივსებსო გულსა, მოკაშკაშენი, მოჭიკჭიკენი ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა, ძალთა დიდება, შექმნათა ქება არს საიდუმლო მათი სიმღერა! ქვეყნით ბუნება, ბანს ეუბნება და ეს ბანია მის გულის მგერა, ყვავილთა ენა არს სუნნელთ ფშვენა, საგალობელად აღმა კმეული, წყალთა ჩქრიალი, ფოთოლთ შრიალი, ბალახთ ბიბინი რაღაც გრძნეული, ბუნების მაყრულს, საქორწინოდ სრულს ეკავშირება, ზე ემატება და ეხლა ის გრძნობს საიდუმლოდ სცნობს, რომ არის კაცში ღვთისა ხატება!” ასეთი პოეტურის ფილოსოფიით და ფილოსოფიურის პოეზიით არის აღსავსე აკაკი წერეთლის შეხედულება ბუნებაზედ, მაგრამ არა მარტო ლირიკული მხარე დაგვიხატა მან ბუნებისა, ე. ი. არა მარტო ბუნების მოვლენათა შინაგანის კავშირის გამოფენა იდვა თავს, არამედ გარეგანი ბუნების მშვენიერი სურათებიც მოგვცა. ასეთი არის შესანიშნავი ადგილი “თორნიკე ერისთავიდან” ბრძოლის წინ დილის აღწერა:

“ვითა ეთერი მზეთუნახავი,  
საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს,  
სახეს ვარდისფრად იღებავს გრძნობით  
და იელვარებს სურვილით თვალებს,  
ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი  
ლაჟვარდ ცაზედა კაშკაშით თრთოდა  
და ფერმიხდილად ნათელ-ძლიერი  
მზისა ამოსვლას ეშხით შეტრფოდა.  
თითქოს ქვეყანაც, მით მოხიბლული,  
გამსჭვალულიყო მისის თანგრძნობით

და უგალობდა “ციურ ნანინას”  
 საიდუმლო და უცნაურ გზნობით.  
 სუნნელთა მფენი დილის ნიავი,  
 ბალახთ ბიბინი, ფოთოლთ შრიალი  
 ბანსა აძლევდნენ ღვთიურს ნანინას  
 და ათანხმებდა მათ ძალთა-ძალი.  
 ციურის ნიჭის მისაღებელად  
 ვარდმა კოკობმა თავი ახარა;  
 ცრემლად დაეცა გულზედ მანანა,  
 ააელფერა და გაახარა!..  
 თურმე ბულბულიც ამას უცდიდა:  
 თავისებურად იწყო მან სტვენა,  
 თითქოს უნდოდა, მით მოეტანა  
 ცოდვილ ქვეყნისთვის კურთხევა ზენა!  
 მაგრამ ამა დროს საზარელის ხმით  
 უცბად რაღაცამ დაიგრილა  
 და მით სიხარბემ ჯოჯოხეთისამ  
 გამოიჩინა ბოროტი ძალა;  
 შეიქმნა ბუკის, საყვირის ცემა,  
 ასტყდა ჭიჭყინი ზურნის საზარი...  
 აჰა, თენდება და ემზადება  
 სისხლის სათხევლად ორივე ჯარი”.

პოეტმა ბუნებასთან კავშირი ადამიანისა საუცხოვოდ და სავსებით დაგვიხატა. ხოლო ისეთის მშვენიერის ლექსით დაგვისურათა ბუნების ძლევაშილილი გავლენა სიყვარულის გრძნობაზედ, რომ უკეთესის წარმოდგენა ძნელიც არის. გულდათუთქულ საყვარლის საფლავის მაძებარს ვარდი ნიშნად თანაგრძნობისა თავდახრით შეეგება და “ცვარ-მარგალიტი ციური დაბლა ცრემლებად დაყარა”; სულგანაბულმა ბულბულმა შეიფრთქილა, “ყვავილს ნისკარტი შეახო, ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა, თითქოს თქვა “დიახ, დიახო;” - მოციმციმე ვარსკვლავმა სხივები გადმოაყარა და იმ დროს ყურში ჩურჩულით ნიავეა გაახარა. ამგვარად, მისი სიყვარულის თანამგრძნობი, მისის გრძნობის ეხო თვით ბუნება შეიქმნა; ცა, დედა-მიწა და პირუტყვნი: “სამად და შლილა ის ერთი: ვარსკვლავად, ბულბულ, ვარდათო” და იმ დღიდან ტრფობის ქურუმი მგოსანი

“ბულბულს ყურს უგდებს, ვარდს ყნოსავს,  
 ვარსკვლავს შეჰყურებს ლხენითა  
 და, რასაცა გრძნობს ის იმ დროს,  
 ვერ გამოუთქვამს ენითა”.

ამგვარად დაარსდა საუკუნო კავშირი მგოსანსა და ბუნებას შორის, მათ შორის მეგობრობის ხიდი გაიღვა და, ვინ იცის, იქნებ ეს სამად დაშლილი სიყვარული იგივე მისი სამარადისო სატრფოსადმი გრძნობაა, რომელსაც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე აგონებს ცაზედ ვარსკვლავი, ირგვლივ ტყე, ბუჩქნი და ვარდი მისის მიჯნურის ბულბულით; თვალს მოციმციმე ვარსკვლავი აგონებს სატრფოს, ქაჯებისაგან მოტაცებულს, მის ყნოსვას ვარდი და ია აღვიძებს და იმავე სატრფოსაკენ მიახედვიანებს, ხოლო მის სმენას ბულბული ატკობს და ჩასძახის ზეციურ ჰანგებს მოძმეთა გასაღვიძებლად.

სიყვარული, ბუნებასთან კავშირი და სიკვდილ-სიცოცხლე - აი, დიდი საგნები, რომელსაც ეხება მსოფლიო ლირიკა და ქართული ლირიკული ლიტერატურაც აღსავსეა მაღალნიჭიერ და დიდებული ლექსებით, რომელთაც აქვს შინაარსად ბუნებისა და სიყვარულის გამოხატვა. მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლე კი ნაკლებ იპყრობდა ქართველ მგოსანთა ყურადღებას. არც ჭავჭავაძეები, არც ორბელიანები, არც ერისთავები არ შეხებიათ ღრმად ამ საგანს. ეს კიდევ არაფერი, ქართველის ერის სულის კაემნის გენიოსი ბარათაშვილის ყურადღებასაც კი არ იქცევდა ეს მძიმე საგანი, მხოლოდ ერთხელ, ისიც წერილში და, კიდევ მეტი, რუსულ ენაზედ - ალგვიწერა საიდუმლო სევდა სიკვდილის სიმბოლოს სასაფლაოისა, თორემ ლექსში ერთი სიტყვაც არ უთქვამს. გასაოცარია, რატომ იზიდავდა ასე სუსტად ეს საგანი ჭმუნვით აღსავსე ჩვენ მგოსნებს, რომელთაც ყოველივე ხელს უწყობდა, სიკვდილზედ ეფიქრათ, სიცოცხლე დაეგმოთ და სიკვდილს მიგებებოდნენ,

როგორც დამხსნელ ძალას. მეშინია თქმა, მაგრამ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს არის მისი ბრალი, რომ ქართველები მეტად ნაკლები ფილოსოფოსები ვართ, ძალიან გვაკლია სიღრმე ბუნებისა, ამიტომაც გვერდს უვლის ჩვენი ლიტერატურა თვით უდიდესსა და უმძიმეს საგანს პოეზიისას, რომელიც უცხოელ ლირიკოსთ ყოველმხრივ აქვთ დახატული.

არც თ. აკაკი წერეთლის ჩანგს მოუცლია სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოების აღსანიშნავად, ამ მოვლენისაგან აღმძვრელის გრძნობების გამოსახატავად. მისთვის, როგორც ყოველსავე ამ ქვეყნად, ისე სიკვდილსაც და სიცოცხლეს მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც მთავარი აზრის გამოხატვას შევლის. სიცოცხლე იმდენად მიაჩნია საჭიროდ, რამდენადაც იგი ემსახურება სამშობლოს. სამშობლოსთვის თავგანწირულის მგოსნის სიცოცხლეს იგი ხატის წინ ანთებულ სანთელს ადარებს.

“ის საიდუმლო პარპალით  
ბნელს ფანტავს თვისი ნათელით,  
მყუდროდ, უხმოდ და უძრავად  
დნება, ვით მსხვერპლი დიადი,  
რომ მადლით გაასპეტაკოს  
თვალუწდომელი წყვილიადი!  
მივსჩერებვიარ ამ დიდ ძალს  
მწარ-ტკბილად ჩაფიქრებული  
მეცა უსიტყვოდ, უძრავად,  
ცის სვეტად გაქვავებული;  
რადაც უცნაურ ერთობას  
ვხედავ სანთელს და ჩემ შუა,  
მხოლოდ ვგრძნობ... თვარა ვერ სწვდება  
ჩემი ჭკუა და გონება;  
სანთელი მგოსნის ხორცია,  
სიცოცხლე - მოკლე პატრუქი,  
ნათელი - ჭკუა-გონება,  
იმათგან გამონაშუქი.  
ჩემი ხატია სამშობლო,  
სახატე - მთელი ქვეყანა  
და რომ ვიწოდე, ვდნებოდე,  
არ შემიძლია მეც განა?  
კი მაგრამ, - (განაგრძნობს სევდა მორეული პოეტი)  
მნათე არსად სჩანს  
ჩემთან მომტანი ცეცხლისა,  
ის მოციქული მომავლის  
მსგავსი ჭიკჭიკა მერცხლისა”.

ყოველივე განმარტება ამ ღვთივ-მშვენიერის ლექსისა მეტია. თქვენ ნათლად ხედავთ აქ სიწრფელესა და სიდიადეს მაღალის გრძნობისათვის თავგანწირულებისას.

სიკვდილი თ. აკაკი წერეთელს მიაჩნია რადაც არასანატრელად და ორ ჭირში ერთის არჩევას ამჯობინებს, მხოლოდ დღენიდაც იმას იმეორებს: “სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო” და იმაზედ კი თავის დღეში არ დაფიქრებულა პოეტი, თუ სიკვდილის წინაშე ან სახელოვანი სიცოცხლე რა არის და რა ფასი აქვს. გაბიაზრუებულსა და მოტყუებულ სატრფოს, ლეჩაქ-მოხდილს, გაშიშვლებულს და ფეხით გათელილს ეუბნება: იცი მე რას გირჩევ,

“ვით სნეულსა და ავადმყოფს?  
თუ ორ ჭირში ერთს აირჩევ,  
გარყვნას ისევ სიკვდილი სჯობს”.

საფლავისკენ თუ მიისწრაფის, იმიტომ რომ “შავ საფლავამდის მტრობა ვედარ ჩაჰყვება ძალმიხდილს მკვდარსა და მცილებელთა შავნი საქმენი ფერს ვერ უცვლიან თეთრსა სუდარსა”. სიკვდილი განსვენებაა “გრძნობათაგან”, რადგან საუკუნო მილით განსვენებული ვედარასა გრძნობს. თუ პოეტი “საფლავისკენ მიემურება”, იმიტომ რომ იქ “იხილავს ის განსვენებას, უ გ რ ძ ნ ო ბ ლ ო ბ ი თ ა ი მ უ მ წ ა რ - ტ კ ბ ი ლ ი თ ბოლოს მოუღებს რა მოთმინებას საუკუნოსა

უფსკრულის ძილით”. ნაღვლიან მგოსანს, რომელსაც შავბედი ეწვია და ფრთებდაკვეცილმა ოცნებამ მთლად წაუწყმიდა იმედი და სიცოცხლე გაუმწარა, ასე ურჩევს გონება:

“დააცხრე გულის ვნებაო,  
სიცოცხლე არის მონება,  
სიკვდილი განსვენებაო”.

თ. აკაკი წერეთელმა პოეტი ფუტკარს შეადარა ბზულია-მოუსვენარსა, რომელიც “დაბზუის, დაფრინავს, ქვეყანას თაფლუჭს უმზადებს და სანთელს უნთებს ზენასა, და, ვინც ხელს უშლის შრომასა, იმის დროზედ კბენასაც არ იშლის”. არც თ. აკაკი წერეთლის მუზას მოუშლია დროზედ კბენა ხელის შემშლელისა. თ. აკაკი წერეთლის სატირაც, როგორც რეალური, ბევრად განირჩევა რომანტიკულისა და კლასიკურის სატირისაგან. თუ კლასიკური სატირა სასაცილოდ ხდიდა კაცის საზოგადო ნაკლულევანებას (სიძუნწეს, სიმხდალეს, სიბოროტეს და სხვა) და რომანტიკოსებს თავიანთის კბენის ღირსად მართო ბოროტი სულელები და ღმერთები მიაჩნდათ, თ. აკაკი წერეთელი უფრო მდაბიურ საგნებს ეხება. უმეტესი ნაწილი მისის სატირისა პირადობას ეხება და ხშირად მეტად რიგიან პირადობასაც. ამგვარი სატირა, უნდა ვსთქვათ, თ. აკაკის სუსტი მხარეა. მისი “კბენის” მსხვერპლნი გამხდარან ისეთნი, რომელთაც თავის დღეში მისის შრომისათვის ხელი არ შეუშლიათ. საკმაოა, გააჯავროს პოეტი ვინმემ, ბრალიანი თუ უბრალო იგი, რომ პოეტმა თავისი შხამიანი ისარი მომართოს; სხვას გარდა ამ შემთხვევაში იგი ისეთს დანაშაულსაც კი ჩადის, რომ თავის დიდებულ თანამეკალმესაც არ დაინდობს ხოლმე. და ამისათვის მის სატირას უფრო ხშირად კერძო პირადობა აქვს ხოლმე, რომელთა მცირე სიბოროტეს არავითარი დიდი მნიშვნელობა არ აქვს ცხოვრებისთვის და ამიტომაც თ. აკაკის სატირას მართო დროებითი ხასიათი ჰქონდა და აქვს და, მართლაც, უკომენტაროდ მნელი გასაგებიც არის. სწორედ ეს დარგი მწერლობისა უნდა ჰქონდეს თ. აკაკის სახეში, როცა ერთ ადგილს სწერს: “უმეტეს ჩემ ნაწერს დღეს იმდენად დაკარგული აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც დრო და ჟამი იცვალა და მხოლოდ მაშინ იგულისხმება, როცა მოვიხსენიებთ იმ გარემოებას, რასაც გამოუწვევია ჩემი მხრით რომელიმე გვარი მწერლობა”-ო. თუ აქ თვისი პუბლიცისტური და სატირული ლიტერატურა ჰქონდა მხედველობაში თ. აკაკის, სრული ჭეშმარიტებაა სწორედ. მაგრამ ამ დარგშიაც მოიპოვება ერთგვარი ლექსები, რომლებშიაც თ. აკაკიმ მისი ნიჭის საუკეთესო მხარე გამოიჩინა. ეს გახლავს მისი არაკები. მართალია, როგორც საზოგადოდ, ისე მისი არაკებიც გადმოკეთებულია, მაგრამ აქ სწორედ გადმოკეთება ნიშნავს გადმოქართულებას. ეზოპეს, ლაფონტენის და კრილოვის არაკების შინაარსი ნამდვილის ქართულის მოტივებით აქვს გადმოცემული და სწორედ დიდის ხელოვნებითაც (მაგ. “დემიანოვა უხა” - “ჭირვეული თამადა” აკაკისა). არაკებშიაც სწორედ იმათ უნდა დავუთმოთ უპირველესი ადგილი, რომელიც პოეტის მთავარ აზრს ეხება. ამათში კი შედეგად “ალექსი” უნდა ჩაითვალოს, რომლის ეგრეთ წოდებული მორალი ეს უნდა იყოს: “მელა კუდულა და მასთან მურა, რომლებიც წელან მეგობრათ სწამდა, მრისხანე ძალით, თვალის ბრიალით უღრენდენ და თანაც ილესდენ კბილებს! და მაშინ ცხვარმა, შიშით შემკრთაღმა, ცრემლით ურჩია საბრალო შვილებს: აწ კი გვმართებს, ამ მიწდვრებს და მთებს გამოვეთხოვით - მონა ვართ მელის... გვაწევს ღვთის რისხვა, ს ა ნ ა მ ა წ ჩ ვ ე ნ ს ხ ვ ა არ გა მ ო გ ვ ი ხ ს ნ ი ს და არ გ ვ ი შ ვ ე ლ ი ს... ვმონოთ ჯერ შავბედს, ნუ ვკარგავთ იმედს: სოფელი ბრუნავს აღმა და დაღმა. რომელმაც ჩვენა არ მოგვასვენა - ეგებ დაგლიჯოს მელაც იმ ძაღლმა და ჩვენც მაშინა... ჩუ! შემაშინა რაღაც ჩვენებამ, ამბობს “ფრთხილათაო! ჯერ მსხვერპლი უნდა უმანკო წმინდა, განსაწმენდელი შვილის-შვილადო. ეს რა წარმოთქვა, ყელს შეიბა ქვა ნიშნათ მონების... დაღუძმა ცხვარი ძირს თავდახრილი - იწყო ტირილი... დღესაც არ ჰქრება იმის ცრემლთღვარი, იმ არემარეს, ჩაგრულ მწუხარეს გულ მოსაკლავათ რწყავს ის ცრემლთ ღვარი... და რომ შეაშროს ის ცრემლი ერთ დროს, მისთანა გმირი ჯერ არსად არი”.

ამით ვათავებთ ჩვენ თ. აკაკი წერეთლის პოეზიის შესახებ ბაასს. ჩვენ არ ვეხებით არც მის პროზას, არც მის პოემებს, არც მის დრამატულ ნაწარმოებებს ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენის წერილის უმთავრესი საგანი სალირიკო ლექსებია და მეორეც იმიტომ, რომ პოეტის ნიჭი, რომელმაც შეჰქმნა დიდებული ნაშთი და ღრმა კვალი გაატარა ჩვენს ცხოვრებაში, სწორედ ამ ლექსებში გამოიხატა სავსებით. მისი ისტორიული პოემა “თორნიკე ერისთავი”, “ზაგრატი”, დრამა “თამარ ცბიერი” და “პატარა კახი”, მისი “ბაში-აჩუკი” ერთისა და იმავე აზრით აღსავსენი, სულ სამშობლო ისტორიის იდეალიზაციაა და ამ მხრით იგინი ნამდვილი რომანტიკული ნაწარმოებნი არიან და მართო პოეტის პირადის შეხედულების გამომსახველი. ეს პოემები და დრამები გვარწმუნებენ, რომ ძველ საქართველოს მზეხედ არც ერთი შავი ლაქა არა ყოფილა, ყველანი მხნენი

იყვნენ, გულადნი, მამაცნი, ყოველის სიკეთითა და მშვენიებით აღსავსენი. ბერი ბერობას არ კადრულობს, პოლიტიკური მოღვაწეა და თავგანწირული მოწამე, მეფე ისე ადვილად სწირავს თავის გვირგვინთან ერთად თავის თავს და სკიპტრასთან ერთად სულს სამშობლოსთვის, თითქო ფლავის ჭამა გადაეწვიტოს. ზნედაცემული დედოფალი, ვნებათა ღელვის უძირო ზღვა, თვალის დახამამებაში იცვლება ანგელოზად და სწირავს არათუ თავის ვნებას, თავის სიცოცხლესაც შეურაცხმყოფელ სატრფო მგოსანს და მისის აზრის განხორციელებას შველის. ომში ყოველთვის ერთი ქართველი ათასზედ იმარჯვებს, სიბრძნეში და ომის ტაქტიკაში ქართველები სჯობნიან. ეს ყველა გაზვიადებული და პოეტის ოცნებით შეფერადებული წარმოდგენაა სინამდვილისა. თქმა არ უნდა, დიდი გმირული სული უნდა სდგმოდა იმ ერს, რომელმაც ამდენ აოხრებას კიდევ გაუძლო, მაგრამ ისიც მართალია, რომ, თუ დიდ გმირებს გვერდით დიდი სულით დაცემულები არა ჰყოლოდა, ჩვენის ბედის ჩარხი სხვარიგად დატრიალდებოდა.

მე მგონია აკაკიზე რისამე მთქმელს და ამ ნათქვამის გამგონესაც თავში უტრიალებს ერთი აზრი, ეს აკაკისა და ილიას შედარებაა. ეს სურვილი სრულიად სამართლიანია და კანონიერი. ორი დიდი მწერალი, წარმომადგენელი ჩვენის ტურფა მხრის, ორი საუკეთესო კუთხის (იმერეთისა და კახეთისა) ძალაუნებურად აღვიძრავს შედარების სურვილს და, რაკი შედარება იქნება, ადამიანს აზრად მოუვა, რომელი მათგანი სჯობია, ან უმაღლესად სდგასო. მაგრამ ამ საკითხზედ პასუხის გადაჭრით მიცემა ყოველად შეუძლებელია.

ხშირად შემიდარებია ხოლმე ქართლისა და იმერეთის ბუნება. კორტოხის იქით მწირი ბუნებაა, გაშლილი ველი, ერთფერი და ერთგვარი, ირგვლივ მთები და გორაკები გაცრცვნილი და ქვაკლდით აღსავსე, შუაში მდორე და მღვრიე “მრავალ დროის უტყვი მოწამე” მტკვარი “მიბუტბუტებს”, იქა-აქ ციხე-ქალაქთა ნანგრევი მოსჩანს, ცა როგორადაც გახუნებულის ფერის არის, იმერეთის ლაჟვარდ ცასთან შედარებით, მწვანეს როგორადაც გადამწვარის, გამხმარის ფერი ადევს. მაგრამ ყოველივე ეს თქვენში ღრმასა და აღმოუფხვრელ, წარუხოცველ შთაბეჭდილებას იწვევს, თქვენი გული სევდითა და ვარამით ივსება, თქვენის თვალის წინ იშლება სურათი ჩვენის ტანჯულის სამშობლოსა, თქვენი თვალი თითქო აგრე ხედავს ათასგვარის ხალხის ჯარს, რომელსაც თავისი ძლევამოსილი მსვლელობა აღუსრულებია საქართველოზედ და თავისი მტრობისა და გამარჯვების სამარადისო კვალი ცეცხლითა და მახვილით აღუნიშნავს ჩვენის სამშობლოს ავანგარდის გულმკერდზედ. ეს გაცრცვნილი მთები, ეს ციხის ნანგრევები, დროთა ვითარებისაგან ძაძით შემოსილი, თითქო ბედკრულს სამშობლოს გლოვენო; ასე გგონიათ, გუშინ იყო დამწვარი და გადაბუგული მონგოლთა და სპარსთაგან; ეს სანახაობა საუკუნო მქმუნვარების ბეჭედს ასვამს თქვენს გულს. თქვენს გულსა და გრძნობას იტაცებს ეს აოხრებული მიდამო და ღრმად ჩაგაჩნდებთ ხსოვნაში სასიცოცხლოდა და სასიკვდილოდ.

ამ “ჯართა ველზედ” თქვენ ხედავთ, რომ ერთის ციხის ნანგრევის გვერდით თავმოყრილია მცხოვრებნი, თითქო წიწილები კრუხს შეჭვარებნიანო (შედარებაც აკაკის არაკიდანაა), რაკი ყვავ-ყორანისა უცნაური ჩხავილი გაიგონესო, ერთმანეთს მიჰკვირიან, რომ მტერს თვალი აუხვიონ და, თუ აღარა გაეწყობა რა, მერე ერთის ძალით შეებრძოლონ. აქვე მუშის ღულუნს გაიგონებთ, იმ უცნაურს კვნესითა და სევდით აღსავსე ღულუნს, “მწუხარეს ვით გლოვის ზარსა”, რომელიც “თუ სევდას მობერს დაჩაგრულს გულსა, უკუპყრის კიდევ ვით ქარი ღრუბელს”. ეს ღულუნი გამოხატველია მთელის საუკუნეების ქართველის ტანჯვით შემოსილის გოდებისა და კვნესისა, ეს ღულუნი აღმოსავლეთის პესიმისმის ნათესავია, იმ პესიმისმის, რომელსაც ბუდა და ქრისტე ჰყავდა მოციქულებად - იგი ერთხმდევია, მონოტონური, მაგრამ მასთანაც ღრმა გულის ძირიდან აღმონაკვნესი “ნაღველ-ძმრით” შეზავებული და ერთხელ გაგონილი საუკუნო სამახსოვროდ რჩება სმენასა და გონებას. მთელი ეს ბუნება, ბუნების ნაწილი ტყე და ველი, კაცი და მისი სიმღერა და ლაპარაკი მელანქოლიით აღსავსეა. თავდაპირველად კაცს თითქო კიდევაც გულგრილდა და ნაწყენად სტოვებს, მაგრამ თანდათან თავისის ერთგვარის ღრმა სევდიანის სახით ჰიპნოტურის ძალით ხიბლავს და იზიდავს ადამიანს და ბოლოს სამარადისოდ იმონებს. ასეთი არის, ბატონებო, “განდეგილის” ავტორის პოეზია.

სულ სხვა აზრია კორტოხის აქეთა ბუნება. ყოველი ნაბიჯი სულ სხვადასხვა სანახაობას წარმოადგენს: აგერ ველი, აგერ მინდორი, აგერ გორაკი, აგერ მდინარეებით დასერილი ხეობა, ხე, ტყე და მწვანე ბალახი ათასფერია, მართალია მწვანეა, მაგრამ ეს მწვანე ათასგვარის ტონისაა, ნიადაგ მოცინარი და მხიარული ბუნებაა. აქ ნანგრევებიც კი სულ მწვანე ხავერდით შემოსილია, თითქო დარდი თავის დღეში არ ეგემოს და სადღესასწაულოდ მორთულიყოს, აქ მდინარე ანკარაა და ჩქარი, გატაცებული ეკვრის გულში ტურფა მიდამოებს, მისი სარკე წყალში იხატება “ცა-ფორუზ” - “ხმელეთ-ზურმუხტი”. აქ ადამიანთა მოსახლეობა ერთიმეორეზედ მოშორებით არის, თითქოს

ბუნების სიმშვენიერით გამაძლარ კაცს არც კი სჭირდებოდა თავისი მსგავსის სიახლოვე, აქ ზამთარშიაც კი ია-ვარდი ჰყვავის.

ამ მხარეს რომ შეხედავ, ასე იფიქრებ, კაცს აქ თავის დღეში სევდა სიზმარშიაც არ უნახავს და კვნესის ხმა შორიდანაც არ მოსმენიაო.

აქაური სიმღერა ცელქი და ცქრიალაა, კრიმანჭულებით აღსავსე, ადვილად მისახვედრი და გასაგები, მაგრამ ადვილადვე დასავიწყებელი. სულ მთლად ერთიანად ამ სანახაობას არც სიღრმე აკლია და არც აზრი და მშვენიერების რამ ღმერთია. ასეთი სურათი თუმცა ისეთს ღრმასა და მჭმუნვარე ბეჭედს ვერ ასვამს კაცის სულსა და გულს, მაგრამ სამაგიეროდ უეცრად გზიბლავსთ, თავს გაყვარებთ, იგი თავისი სიცხოვლით და სიცოცხლით სასოებისა და იმედის აღმძვრელია და ჭირსაც კი სიცილით უხვდება. აქ “უსულონი და უსაკონიც” კი იცინიან და მხიარულობენ, ჩიტნი გალობას ამბობენ, ფოთოლნი ტაშს უკრავენ და მდინარეც კი, თითქო ლეკურს თამაშობსო, მარდად მისრიალობს სიცილ-კისკისით, ეშმაკურად უვლის ზურმუხტით შემოსილ მიდამოს და თითქო ყურში უჭურჩულებს ტყესა და ველს, ქვასა და კლდეც: “არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებსო”.

ასეთი არის, ბატონო, პოეზია იმ ტრილოგიისა, რომლის მაღლითცხებული ავტორი სიყმაწვილიდან “ადმართ-ადმართ მიდიოდა, მოხიბლულის და შემცდარის სატრფოს სანახავად” და მისი გულგრილობით დადაგულმა “ნახევარი სიცოცხლის გზა გალია, სიტკბოზედა მწარე მეტი დალია, მაგრამ მაინც არ შორდება მწუხარება და ჭირი”, და ბოლოს, თუმცა თავი “უბედურად” დასახა, რაკი სატრფო მისი მტრად გარდაექცა, მაგრამ გული მაინც არ გასტეხია, გაზაფხულზედ მაინც “მერცხალი” შეუფრინდება ხოლმე, “გაზაფხული, გაზაფხულიო” - შესძახებს, “გულს იმედი დაესახება და სასოებაც ფრთას გაშლის” ხოლმე და გამამხნეველების ფიქრებით მოცულია: “ახლოს არის მომავალი, მოესწრება, რაც უნდოდა ზამთრისაგან დაჩაგრულსა, ნახავს ქორწილს ბუნებისას, გაიგონებს მის მაყრულსა, დაჰყნოსს ვარდსა გადაშლილსა, უჭვრეტს ნაზად დახრილ იას და ბულბულიც გააგონებს ძველებურად ტია, ტიას”.

თ. აკაკი წერეთელი ერთი იმ სამ დიდ პოეტთაგანია, რომელნიც აცისკროვნებენ ამ საუკუნის ჩვენ ლიტერატურას. პირველი ამ პოეტთაგანი “ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი” დაუსრულებელის თავგანწირულებითა და ლმობიერებით აღსავსე სასოწარკვეთილებისა და კაემნის მგოსანი იყო. მეორე კი მხნე და მამაცი მგოსანი იყო “დღეინდელით” აღშფოთებული, მისი მედგარი და სასტიკის მსჯავრის მდებელი, წყევითა და კრულვით მომხსენებელი იმ ცხოვრებისა, რომელსაც უწოდებდა “ცოდვის სადგურს, სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს განსაცდელსა მას ეშმაკისასა, სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ, ვ ი თ ა მ მ ა- რ ა ვ ი და მტაცებელი, სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია, სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა, სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა, სად თვით სიტურფე და სათნოება ეშმაკის მახე და ცდუნებაა”. მიუხედავად ასეთის მკაცრის შეხედულობისა ცხოვრებაზედ, “განდეგილობის” მაინც უარყოფელი იყო და წინასწარმეტყველი ნუგემისა და იმედის სიმბოლო “შვიდფერიანის სარტყელის ცისა”. ეს დიდი პოეტი ჩვენის ერის შეგნებულის უმცირესობის მედროშე იყო. ხოლო მესამე კი თვით თ. აკაკი წერეთელი მთელის ჩვენის მცირედაც არის გონებაში ჩახედულის ნაწილის სასოებისა და უიმედობის, ტირილისა და სიცილის “სარკეა”, მთელის უმეტესობის სევდა-ოხვისა და სიმღერა-გალობის მეჩანგურეა და მესალამურე; ბულბულია დღე-დაღამ განუწყვეტლად მყევარი სატრფო ვარდის “დაზრობის” გამო; უნუგემო ტარიელია, “რომელსა ცრემლი სდის შეუშრობელი” ნესტანის ქაჯთაგან ცხრაკლიტულში დამწყვედვის გამო. იგი ფუტკარია, ბზულია მოუსვენარი, “ხატის ბუზი, ზეცის მუშა”, რომელიც “სულსა სწირავს და გულს უძღვნის ღვთის და კაცის ტკბილ სამსახურს” და, ვინც ხელს უშლის შრომის დროს, მხოლოდ იმისი მკბენარი; იგი ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში “სანთელი” იყო, რომელიც “საიდუმლო პარკალით ბნელს ჰფანტავს თავის ნათელით და მყუდროდ, უხმოდ და უძრავად დნება, ვით მსხვერპლი დიადი, რომ მაღლით გაასპეტაკოს თვალუწდომელი წყვიდადი”.

მამ რაკი ასეა, დაე, მთელი მისი ქვეყანა, ე. ი. მთელის მისის ერის გული, მაღლობით აღსავსე გული, მგოსნის სახატედ იყოს, რომელშიაც ექმნება მას სამარადისო და ხელუბლები ბინა ერის თანაგრძობისა და სიყვარულისაგან აღგებული და ერის თაყვანისცემისა და დიდებისაგან შეხურული.

## გიორგი წერეთელი

(1842 - 1900)

“არც იყო დღე, არც ღამე, არც იყო სიცხე, არც სიცივე, არც ბნელი, არც ნათელი”.

ვისაც ჩვენი “ეტიუდები” გადაუკითხავს, ვინც ცოტათი მაინც გაცნობილი არის ჩვენს ლიტერატურულ გემოვნებასთან, წინდაწინვე ეცოდინება, რომ ჩვენ გ. წერეთელს არათუ “შეუდარებელ ბელეტრისტად” ვერ მივიჩნევთ, ყველა სახელოვან ქართველ ბელეტრისტებზე უფრო დაბლა დავაყენებთ.

გ. წერეთელს წილად ხვდა ჩვენში რეალიზმის გადაგვარების, უფერულ ნატურალიზმის წარმომადგენლობა და, უნდა მართალი ვსთქვათ, ეს როლი ჩინებულად შეასრულა და შეასრულა სწორედ იმიტომ, რომ იგი, როგორც ბელეტრისტი, სუსტი გახლდათ. გ. წერეთელი, თუ გნებავთ, იდეალური ნიმუშია ნატურალიზმის თეორიის საუკეთესო განხორციელებისა და სწორედ იმიტომ, რომ გ. წერეთელს, როგორც მწერალს, ხელოვანს ერთობ მდარე ინდივიდუალობა აქვს.

### I

გავიხსენოთ რეალიზმისა და ნატურალიზმის განსაზღვრა, რომელსაც არაერთხელ შევხებივართ ჩვენს “ეტიუდებში” (ილია ჭავჭავაძის, გ. ერისთავის და აკაკი წერეთლის შესახებ საუბრისას). რ ე ა ლ ი ზ მ ი თხოულობს, რომ ცხოვრება და მოვლენა აღწეროს მწერალმა, რამდენადაც შეიძლება, ობიექტურად: ეცადოს, რამდენადაც შეიძლება, თავისი პირადობა დამალოს, თავისი “მე” - მისი გრძნობებით, აზრებით, სურვილებითა და მისწრაფებით უკუაგდოს და დაუმორჩილოს გარეშე მოვლენათა მიუდგომელს გამოხატულობას.

მისი ხელოვნების ერთადერთი წყარო უნდა იყოს ბუნებისა და ცხოვრების დაკვირვება, ხოლო მისი ოცნება, მისი პოეტური წარმოდგენა მთლად ერთიანად შეზღუდული და შეზოჭვილი უნდა იქნეს და მის შემოქმედებაში მარტო მშრალი გონება უნდა იყოს გაბატონებული. ამასთანავე თავის ნაწერების საგნისთვის მწერალმა უნდა მიჰმართოს არა უჩვეულო რასმე, არამედ ყოველდღიურ ჩვეულებრივ მოვლენას, ადამიანის ჩვეულებრივ ცხოვრებას; ცხოვრების უფერულ და უსახო შვილთა ზნე-ჩვეულება დაგვიხატოს; ერთის სიტყვით, ზოლასი არ იყოს, “ქუჩის ერთი ყურე” დაგვანახვოს.

ეს არის ძირითადი თვისება რეალიზმისა, ანდა უკეთა ვსთქვათ, ნატურალიზმისა ხელოვნებაში. მაგრამ მწერლობაში ყველა თეორია კარგია ნიჭით მიმადლებულის მწერლისათვის, და არც ერთი თეორია არ ვარგა ნიჭით სუსტისათვის. მწერლობაში პირველი ადგილი უჭირავს მწერლის პირადობას, მწერლის პოეტურ ძალას, სიმდიდრეს მისის წარმოდგინებითის ძალისას.

როცა ამგვარ თეორიას თავში უდგა თვით ძლიერი პიროვნება, როგორც ფლობერი და ზოლასი, გინდ ჩვენი ილია და აკაკი, იგინი უკვდავ ნაწერებს შეჰქმნიან. ხოლო, როცა ამ თეორიით წაქეზებული ვინმე ფრანგი მწერალი. მალე დაიწყებს წერას, გინდ ჩვენი გ. წერეთელი, - მათ ნაწარმოებს ხელოვნებასთან ბევრი საქმე არ ექნება. აქ თეორია სავსებით დაცული იქნება, ხელოვნება კი დაჩაგრული, მაგრამ ხელოვნება ისეთი დიდი მოვლენა გახლავთ, სიცოცხლისა, სიყვარულისა და სიკვდილისა არ იყოს, რომ მისი დასახიჩრება მარტო მას შეუძლიან, ვისაც ნიჭი დიდად არა სწყალობს, ვისაც შეუძლია, “სთქვას ერთი ორი, უმზგავსო და შორი შორი”, რომელსაც “არ ძალუძს სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა”.

ამიტომაც ბ-ნი გ. წერეთელი თეორიის მართლმორწმუნე შეიქმნა, ხოლო “სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა” კი ვერ შესძლო.

ფრანგი კრიტიკოსი ბრიუნეტერი, რომლის კრიტიკულის მეთოდით ვხელმძღვანელობდით ჩვენს “ეტიუდებში”, ამბობს: “როდი კმარა მარტო ისა, რომ დაინახო მოვლენა, უნდა გრძნობები ადგიძრას და ფიქრები აგიშალოს ნახულმა. იშვიათია, რასაკვირველია, და უკვე ხელოვნურის ნიჭიერების მაჩვენებელია, თუკი შესძლებ და გამოჰხატავ სურათებით მას, რასაც უბრალო მოკვდავი განყენებულის ფორმით ხედავს. მაგრამ ეს კიდევ ძალიან ცოტაა. ბუნება მხოლოდ მაშინ არის მშვენიერი, მაშინ იწვევს ჩვენში ძლიერ შთაბეჭდილებას, როცა დაგვისურათებს ხოლმე მწერალი იმ გრძნობათა ილუზიის ქვეშ, რომელნიც გადაგვაქვს ხოლმე თვით ბუნებაზე, და რომელნიც სიცოცხლითა და მოძრაობით ავსებენ მას, ხოლო სიცოცხლისა, მოძრაობისა და გრძნობათა დაუმრეტელი წყარო კი მარტო კაცის გულია. განთიადის ბრწყინვალებასა, მშვენიერის

სადამოის მომხიბვლელობას ის ფასი აქვთ, რა ღირსების გრძნობებსაც გვიღვიძებენ. - აი, მაგ., სხვა ფასი ადევს, თუ აღვიტაცებენ ხოლმე სიხარულით, ანა და გულის მადლობით, გინდ სიყვარულით აღვივსებენ, და სხვა ფასი აქვთ, თუ სასოწარკვეთილებას მოგვგვრიან ხოლმე თავისის შეუწყნარებელის ირონიით. ეს კიდევ არ კმარა: ხელოვანმა უნდა გვიჩვენოს ის ი დ უ მ ა ლ ი მ შ ე ე ნ ი ე რ ე ბ ა, რომელიც არის დაფარული ცხოვრების პროზაულისა და უმსგავსო მოვლენათა ზედაპირის ქვეშე”.

თუ დაუკვირდებით გ. წერეთლის ნაწერებს, ნახავთ, რომ მის მწერლობას შერჩენია მარტო ერთი თვისება, დაარქვით გინდ ღირსება - ის, რომ სურათებით გვიხატავს, რასაც ჩვენ, უბრალო მოკვდავნი განყენებულის ფორმით ვხედავთ... თუმც არც ამ სურათების ღირსებაა მაინცდამაინც შეუდარებელი. ხოლო თავის დღეში ვერ შესძლებია უბრალო მოვლენათა შორის დამარხული სიმშვენიერის ობოლი მარგალიტი გამოეჩინა; ვერ შესძლებია ვერც ის, რომ ბუნების მოვლენის სიღრმეში ჩაეხედა, კაცის გულისა და სულის ძირამდის ჩასწდომოდა და იქ, იმ სიღრმეში, გადაედუღებია თავისი “მე” და ამგვარად ჩვენთვის უხილავად ქცეულის მისი პირადობის ძლიერი შემოქმედება ეჩვენებინა.

ყოველისავე ამის გარეშე გ. წერეთელს მაინც საპატიო ადგილი აქვს ჩვენის ლიტერატურის ევოლუციაში, ვინაიდან, ჯერ ერთი, რომ ზევითაც მოვიყვანეთ ავტორიტეტული აზრი, რომ მაინც კიდევ ხელოვნურის ნიჭით უნდა იყოს აღჭურვილი კაცი, რომ შესძლოს მოვლენათა სურათებით გადმოცემა, და მეორე, გ. წერეთელი შეიქმნა ჩვენს ლიტერატურაში გადაგვარებულის რეალიზმის, უკეთა ვსთქვათ, თავისებურის ნატურალიზმის წარმომადგენელი და, როგორც ეგრეთმა, მიმდევრებიც შექმნა: ე. ნინოშვილის (და მისის სკოლის მწერლების - დ. ერისთავისა, დ. მეგრელის) ნაწარმოების კილო, მანერა გ. წერეთლის კილო და მანერა არის; ხოლო მელანია კი მისი ლიტერატურული მემკვიდრეა. გ. წერეთელს, როგორც ჟურნალისტს, პუბლიცისტს, ან უკეთა ვსთქვათ, როგორც პუბლიცისტ-ბელეტრისტს, საყურადღებო ადგილი უჭირავს ჩვენს მწერლობაში, რომლის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. გ. წერეთელი თავდავიწყებული თანამშრომელი იყო მესამოცე წლების ჩვენის მოღვაწე კორიფეებისა და, როგორც ეგრეთი, დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის. როგორც მწერალს, მას გვერდს ვერ აუხვევს ვერც ერთი ისტორია ჩვენის ლიტერატურისა, ვინაიდან, ვიმეორებთ, მთელის მიმართულების გამოხატველია ჩვენს მწერლობაში, მაგრამ, ყოველსავე ამასთან, მისი ნაწარმოები არ არის იმ ღვთაებრივის შარავანდედით შემოსილი, რომელიც უკვდავქმნის ხოლმე ლიტერატურულ თხზულებას.

რაც არ უნდა სთქვათ, მისი “მამიდა ასმათი” ვერასოდეს ვერ ამოუდგება გვერდით “ოთარანთ ქვრივსა,” მისი “კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა” ვერასოდეს ვერ გაუწევს მეტოქეობას “კაცია ადამიანს?!” ხოლო მისი “ჩვენის ცხოვრების ყვავილი,” გინდ “პირველი ნაბიჯი” და “გულქანი” - ალ. ყაზბეგის მოთხრობათა. თუმცა თვით გ. წერეთლისათვის რომ გეკითხათ, “ხელოვნურ ლიტერატურაში ილიამ დაამკვიდრა სენტიმენტალურ-ტენდენციური მიმართულება და მისი ლუარსაბი და დარეჯანი უფრო კარიკატურას წარმოადგენენ ქართველი მებატონის და ქალბატონის ტიპებისას, ვიდრე ხელოვნური ხერხით წარმოშობილ, ცოცხალს ერთნაირ ბუნებასა და გარემოებაში შექმნილ ტიპიურ არსებებს.” სამაგიეროდ, იგივე გ. წერეთელი თავის ნაწერებზე უთუოდ სხვა აზრისა იყო, ვინაიდან თვითვე ამბობს, იმ დასმა (რომელსაც გ. წერეთელი ეკუთვნოდა) “ხელოვნურ ან სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში დააარსა ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი. ეს ამონაწერი, სამწუხაროდ, მარტო იმას ამტკიცებს, რომ გ. წერეთელს ყალბი წარმოდგენა ჰქონია ლიტერატურის ამა თუ იმ მიმართულების შესახებ და რომ გაზვიადებული შეხედულება ჰქონია თავის ნაწერების შესახებ. თანაც თავის თავის შესახებ უნებურად ისა სთქვა, რასაც ჩვენ ვამბობთ, ე. ი. ის, რომ მან უფერული (შეუფერავი) რეალიზმი შემოიღო ჩვენს ლიტერატურაში.

თავდაპირველად განვიხილოთ ბ-ნ გ. წერეთლის პირველის ხანის ნაწერები, რომელთა შორისაც უნდა მოვათავსოთ “კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა.” - შინაარსი... მაგრამ აქ არავითარი შინაარსიც არ არის, არავითარი კვანძიც არ არის მოთხრობისა და ამ სახით უფრო დამაკმაყოფილებელია ნატურალიზმის, “შეუფერავი ნატურალიზმის” თეორიისა. ეს გახლავთ ნაგლეჯი ცხოვრებისა. აწერილია სვანეთში მოგზაურობა ზემოხსენებულ გმირთა - კიკოლიკის, ჩიკოლიკის და კუდაბზიკასი, რომელთაც თან ახლავს ავტორი. თვით გარეგანის ტექნიკის სრულს უარყოფაშიაც ნატურალისტურის იერის ნამდვილი ნიმუში გვაქვს ამ ნაწარმოებში. მეორე ნაწილი იწყება იქ, სადაც პირველი უნდა იყოს. მეორე ნაწილი გვიხატავს კიკოლიკის პირადობასა. ეს ვაჟბატონი ის იყო ათავებდა უნივერსტეტის კურსსა, რომ, ჩვენდა საბედნიეროდ, ავტორს არ მიესწრო უნივერსტეტში, თორემ კიკოლიკის დახასიათება აღარ გვექნებოდა... იქნება არა გჯერათ



ესა? ჭეშმარიტად ასეა, იმიტომ, რომ პოლონელ ხ-სკის კიკოლიკთან დავა არ მოუხდებოდა და ამგვარად კიკოლიკი თავის ზნესა და ჩვეულებას თუ არ ლაპარაკით, სხვაგვარად ვერ გამოიჩინდა. ეს დავა კი იტალიის განთავისუფლების ხანის ამბებს უტრიალებს და ხ-სკი ამტკიცებს, გარიბალდი მოიგებსო, კიკოლიკას, ბებრულის ურწმუნოებით გაჟღერებულს, საეჭვოდ მიაჩნია გარიბალდის გამარჯვება. დაუსრულებელი ბაასი ამ საქმის გამო (მთელი ერთი მეექვსედი მოთხრობისა) მეტად მოსაწყენია და ძილის მომგვრელი. ამის შემდეგ კიკოლიკი თბილისში ჩამობრძანდება და გაზეთის საქმეს მოჰკიდებს ხელსა, - წარმოიდგინეთ, ქონებრივის სარგებლობისა და გამორჩენისათვის. კარგა ხანია ევროპაში არა თუ გაზეთსა და ჟურნალს ეტანებიან გამორჩენისა და მოგებისთვის, თვით შესანიშნავი მწერლებიც კი ხანდისხან ხელოვნობას ხელოსნობაზედა სცვლიან მეტის ფულის გულისათვის. ეს საერთო უბედურებაა დღევანდელის წყობილებისა, ეს ოქროს “მამონას” გაღმერთებაა, ეს ერთადერთი მისწრაფება ასულდგმულებს დღევანდელ გახრწნილის საზოგადოებრივის შენობის დამცველთ. ეს ასეა, მაგრამ ვერავითარი ფიცი და მტკიცე ამას ვერ დაგვაჯერებს, რომ იმ დროში - სამოციან წლებში (ან კი ესევე არ ითქმის ეხლაც?) ვინმე ისეთი გიჟი ყოფილიყო, ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემა ქონებრივად მოსაგებ საქმედ მიეჩნისო, მით უმეტეს დაუჯერებელია ასეთი “რისკი” გაეწიოს ისეთ “ჭკუადაძვადარ” ურწმუნო თომას, როგორც გვისურათებს ავტორი კიკოლიკს. ესეც რომ ასე იყოს, მაშინდელი სტამბის პატრონსა და გაზეთის გამომცემლებს ჩვენში ხომ თითხედაც კი დაითვლის კაცი, თუ ერთი ხელი მაინც აქვს და ხელზე - ერთი ან ორი თითი; მაშასადამე, კიკოლიკი, როგორც გაზეთის გამომცემელი, ტიპი კი არ არის, არც დახასიათება საზოგადო მოვლენისა, ეგ ეგრეთ წოდებული პასკვილია, ე. ი. გაკიცხვაა და გაკილვა ამა თუ იმ ნამდვილის პიროვნებისა... ესეც ნატურალისტის მანერაა. ალფონს დოდე იკვებოდა, ყველა ჩემი მოთხრობების ტიპი პირდაპირ ცოცხალის ადამიანებიდან არის გადაღებული, იმ ადამიანებისაგან, რომელთაც შევხვედრივარ ხოლმე ცხოვრებაში და რომელთა ბაასს, ლაპარაკის კილოს, ზნე-ჩვეულებას ჩემს უბის წიგნში აღვნიშნავ ხოლმე ფანქარითაო. მაგრამ, თუ დოდე, ცოტა არ იყოს, დარდიმანდობდა, რათა დაეკმაყოფილებია მაშინდელი ლიტერატურული თეორია, ბ-ნი გ. წერეთელი ამას პირდაპირ წარბმეუხრელად ასრულებს და ამგვარად სრულიად ასახიჩრებს ყოველსავე წარმოდგენას ლიტერატურულის ნაწარმოების შესახებ.

განვავარძოთ... კიკოლიკი თბილისშია მოხელედ. ვიცით, რომ იგი ყველას მოსწონს; მისი ნამოქმედარიდან კი მეტი არ ვიცით, რომ ერთ მდიდარ ქალს დაუწყებს არშიყობას, საცოლოდ უნდა და პირველსავე ნაბიჯზედ საშინლად მარცხდება... უკეთესად ვსთქვათ, - არც კი ვიცით, რატომ - დამარცხებულად მიიჩნევს თავს. ამას შემდეგ კიკოლიკი მიიღებს ახალ თანამდებობას სასამართლოს უწყებაში (თავდაპირველად სწავლა- განათლების უწყებაში მსახურობდა); მიდის სვანეთს, ქუთაისში ჩამოვიღის და იქ ნახავს ავტორს და თან წაიყვანს. აქაც გაუთავებელი ბაასი ავტორსა და კიკოლიკს შორის კიკოლიკის ძველისა და ახალ თანამდებობის შესახებ. ამ ბაასში კიკოლიკი, მართალია, დამლაშებულ სიდიხჯესა და ურწმუნოებას იჩენს, მაგრამ, კაცმა სთქვას, არც არაფერს ამბობს ისეთს, რომლის გამო იგი ბოროტმოქმედად უნდა ჩაითვალოს. სვანეთში მოგზაურობის დროს კიკოლიკი ნახავს ვიღაცა მღვდლის ქალს, რომლის წყალობითაც “იმის თვალეში დაინთო მწვავე ცეცხლი; ამ ცეცხლმა ჩაატანა გულამდის და თოფის წამალსავით იფეთქა” (დაუკვირდით შედარებას). ამ “აფეთქების” შესახებ ავტორი აღარას გვეუბნება და ვერ გვეტყვის ვერასოდეს და საუმჯობესოდა სცნობს, მოთხრობის მაგიერ, წინ წამოგვილაგოს თავისი მსჯელობა ცოლის შერთვის შესახებ, რომელიც სამართლიანად გააბრაზებს კიკოლიკს. ამ მგზავრობაში მონაწილეობას ღებულობს გიორგი სვანი, ლეჩხუმელი, გლახისუბნელი, რომელთა შორის ერთადერთი განსხვავება ის სახელებია, რომელიც ავტორს და გინდ მათ მომნათველ მღვდელს მათთვის დაურქმევია.

ვინ, ან რა არის ჩიკოლიკი? ვიღაც მოხელე, ყოველივე თვისებებით, რომლებითაც შემკული იყვნენ იმ დროის და, თუ გნებავთ, ყოველი დროის ჩვენი მოხელეები. ხოლო ეს თვისებებიც ჩვენ ვიცით ავტორის ორიოდ სიტყვით და არა თვით ჩიკოლიკის ნამოქმედარით. ამიტომაც ჩიკოლიკიც ისეთივე ლანდია, როგორც სხვა მოქმედნი პირნი. დარჩა მხოლოდ და მარტო ერთადერთი კუდაბზიკა, რომლის მთელი დახასიათება მარტო სიტყვაში გამოიხატება: იგი იმერელი უკუდო ამპარტავანი აზნაურიშვილია რომელსაც საამპარტავნო არა მიუღია რა გამჩენისაგან და ამიტომაც, საცა გაუღის, გული მალადა აქვს, საცა ვერა, ქვემძრომის როლს ასრულებს. კაცმა სთქვას, ერთადერთი ცოცხალი კაცი მთელს მოთხრობაში ეს არის და ამ სიცოცხლის მთავარი მარღვი იმ სახელში სცემს, რომლითაც იგი ავტორმა მონათლა და რომელიც სავსებითა და მთლად ერთიანად მისის სულის გამოსახულებას შეიცავს. მაგრამ, არც ეს არის დიდის ხელოვნების ხერხი. განა ცოცხალი ადამიანი მისი სახელწოდებით დაიხატება? მუნწის

შესახებ რომ ძუნწი სთქვა და სთქვა, ფულებს ინახავსო, პირმოთნეს შესახებ - პირში ქათინაურების თქმა იცის, ზურგს უკან კი ენას გიჩვენებსო და სხვ., ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ გადმოგვიშალო მთელი მისი სულის მექანიზმი, რომელიც ჩვეულებრივ კაცისათვის საიდუმლოებას შეიცავს, მექანიზმი, რომლის რთულისა და საიდუმლო მუშაობის ნაყოფია მისი თვისება სიძუნწისა, გინდ ფლიდობისა და პირმოთნეობისა. ან რა სიცოცხლის ნიშნები უნდა ჰქონდეს იმ არსებას, რომლის მთელი ხორციელი და სულიერი ავლადიდება გამოიხატება ერთს სიტყვაში - “კუდაბზიკა”. ეს ისეთი მარტივი, არართული, ისეთი წვრილმანი არსებაა, რომ მისი აღნიშვნა და დასურათება მაინცა და მაინც დიდ პოეტურ წარმოდგინებითს ნიჭს არა თხოულობს.

ეს ასეა, მაგრამ ეს მოთხრობა მაინც ნატურალიზმის თეორიის დამაკმაყოფილებელია, მისი რეცეპტით შედგენილია, მის პლანზე აშენებულია. ყოველივე პიროვნება, რომელიც აქაა გამოყვანილი, ყოველივე მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს აქა - სრულიად ჩვეულებრივია, ყოველდღიური და ისიც არა ზეკაცის, მაღალის ნიჭის შუქით გაბრწყინებული, არამედ გაბრწყინებულია იმ სახით, რა სახითაც ეს ეჩვენება ყოველ უბრალო მოკვდავს.

მართლაცდა, რითი განირჩევა უმეტესი ნაწილი კაცობრიობისა ერთიმეორისაგან, თუ არა მარტო სახელით? რითი გაიზომება უმეტესობის სულის ავლა-დიდება, თუ არ რომელიმე სახელწოდებით, როგორც “კუდაბზიკაა?” რა არის უმეტესი ნაწილი ჩვენი “დიპლომატებისა”, თუ არ კიკოლიკა - ე. ი. უბრალო, უშნო, უმსგავსო და უსახო ადამიანი: არც კეთილი, არც ბოროტი, არც ცუდი, არც კარგი, არც უხეირო, არც ხეირიანი, ერთის სიტყვით, სრულებითი ხორცშესხმული მათემატიკური ნიშანი ნული. ყოველ შემთხვევაში, ერთგვარად გვეჩვენება ჩვენ - უბრალო მიწის შვილი - უმეტესობა კაცობრიობისა, ერთგვარი სახე აქვს ჩვენს უბრალო კაცუნათა თვალში თითქმის ყოველსავე მოვლენასა და გ. წერეთელმა, როგორც მწერალმა და ხელოვანმა, ჩვენს ცოდნასა და დაკვირვებას ცხოვრების შესახებ ვერა შემატა რა. მან გადაიტანა თეთრ ქალღმერთ შავის ანბანით მხოლოდ ის, რაც ჩვენ ყველას გვეჩვენება და იმ სახით, რა სახესაც ჩვენ ამ ჩვენებას ვაძლევთ, ვერც მეტი და ვერც ნაკლები.

ნატურალიზმის თეორიის აღმსარებელი მწერალი ცხოვრებაში იძიებს უარმყოფელ, უმსგავსო მოვლენას, წვრილმან ნაკლულევანებას ადამიანისა და ცხოვრებისას და ამას აქცევს უდიდეს ყურადღებას. ასეთია გ. წერეთლის ნაწარმოებიც. ყველა აქ აღნიშნული მოვლენა ჩვეულებრივია, ყოველდღიური, უფერული, უშნო და ულაზათო. ამნაირივე არიან აქ დასურათებული ადამიანები: ყველა ეს ჩიკოლიკი, კიკოლიკი, კუდაბზიკა... ნურას უკაცრავად, და თვით ის პირიც, რომელიც მთელ ამ “მოგზაურობას” მოგვითხრობს, ერთი ბეწოთიც ვერ ასცილებია უბრალო, ბეჩავ ყოველდღიურობასა და ყოველწუთიერ სინამდვილეს, რომელიც მიმდინარეობს ისე, რომ ერთი თვალისა და გულის ზედმეტად, გინდ აღმაშფოთებელი არა მოაქვს და არა მიაქვსრა თან. და ერთადერთი გრძნობა, რომელსაც იწვევს ეს გვარი ნაწარმოებისა, მარტო გრძნობაა დაუსრულებელის, უსაზღვრო მოწყენისა. ზევითაც მოვიხსენიე: გაკვრით. ისეთ რამე მოვლენას, რომელსაც ცხოვრება, გინდ მის ნაწყვეტები, ჩვეულებრივობის კალაპოტიდან გამოყავს და განსაკუთრებულს ხასიათს აძლევს მთელს მსვლელობას ცხოვრებისას, ამგვარ რასმე გ. წერეთელი გაურბის და სწორედ იქ დაგვიხურავს თავის პირველ თხზულებას, სადაც ამგვარს რასმეს გადაეყრება, სწორედ იქა სწყვეტს ხოლმე ამბავს, როცა იშვიათი რამე უნდა მოხდეს: ასეთია, მაგ., კიკოლიკისა და ხ - სკის დავა, რომელიც უნდა უთუოდ სასტიკის შეტაკებით გათავებულიყო და რომელიც თავდება შაბლონურის შეწყვეტით. ასე სწყდება მოთხრობა იქ, სადაც კიკოლიკის, ამ მშრალ, ვნებიან და ცივგრძნობიან ადამიანის გულში “თოფის წამალივით იფეთქა” ახალის გრძნობის ცეცხლმა.

გ. წერეთელი მოთხრობაში, თუკი შეიძლება ამგვარ ნაწერებს მოთხრობა დაერქვას, არაკს, ნასკვს ამბავისას არას დაგიდევსთ. გ. წერეთელი პუბლიცისტი, ჟურნალისტი და მისთვის ამა თუ იმ ლაპარაკსა და დავასა აქვს მნიშვნელობა. მისი “კიკოლიკი”, თუ გნებავთ, რამდენიმე დიალოგია ერთად უშნოდ გადაბმული; აქ ჟურნალის მნიშვნელობაზედაცაა ლაპარაკი, ბატონ-ყმობის შესახებ, დიდ და პატარა ერთა შორის არსებულისა და სასურველის დამოკიდებულების შესახებაც; ბევრია ნათქვამი გარიბალდისა და ვაშინგტონის, ამერიკის შეერთებულ შტატებისა და იტალიის “საკოროლოების” შესახებაც; მასწავლებლობის როლის მნიშვნელობა აღნიშნული, ოჯახისა, ცოლშვილისა, დედაკაცისა და სხვა იმ დროის საჭირობოროტო საგნების შესახებაც მრავალი სიტყვაა დახარჯული.

...და ყოველივე ამის შესახებ ნათქვამი იმ დროისთვისაც კი ყოვლად შაბლონურია და ჩვეულებრივი... ყოველივე ამის შესახებ წარმოთქმული აზრი და ფიქრი იმ სახით არის აღნიშნული, რა სახითაც ამგვარი აზრი და ფიქრი თავში უტრიალებდა იმ დროის ჩვეულებრივის ნიჭის,

გრძნობის, საშუალო განათლების, გინდ უნივერსიტეტდამთავრებულ ყმაწვილ კაცს... ამგვარ აზრებს უთუოდ ყოველ ქუჩაზედ, ყოველ ნაბიჯზედ წააწყდებოდით იმ ხანში.

## II

გადავიდეთ ახლა გ. წერეთლის მეორე ნაწარმოებზე “ჩვენის ცხოვრების ყვავილზედ”. ყოველივე ღირსება და ნაკლი გ. წერეთლის წერის კილოსი ამ მოთხრობაშიაც სავსებით არის დაცული. იგივე უარყოფა არაკისა, იგივე წვრილმანი ცხოვრებისა, იგივე ჩვეულებრივი უგემური ყოველდღიურობა. ამ მოთხრობაში აწერილია იმ დროის (1850-იანი წლების) გიმნაზიაში მოსწავლე ახალგაზრდობის ცხოვრება, ძალიან ცოცხლად, სრულის “სინამდვილის” დაცვით... მოვლენათა ის ზედაპირი, რომელიც საშუალო კაცისათვისაც ადვილი შესამჩნევია, სავსებითაა გადმოცემული... - ხოლო არაფერი ისეთი, რასაც ყველა ჩვენგანი ვერ დაინახავს და შენიშნავს ამ ცხოვრებაში, არაფერი ისეთი, რასაც ვერ იგრძნობს ყოველი კაცი, რომელსაც ხუთ გრძნობაში ოთხი მაინც აქვს. აქაც ისევე ის შიში ავტორისა ცხოვრების დიდის მომენტების წინაშე. თუკი ავტორს ცხოვრების დაკვირვების დროს ძლიერი წამი შეხვდა, რაიმე დრამატულ მომენტს გადაეყარა, მაშინვე კალამს ხელიდან გადაადგებს და თავის ნაწარმოებსაც ბოლოს მოკვეცს. აქაც კი დიტოს (ეს არის ახალგაზრდა, რომლის გიმნაზიაში ცხოვრებასაც ავტორი აგვიწერს) მოხვდება პირველი ძლიერი ტალღა ცხოვრებისა, რომელიც მთელს მის არსებაში საოცარს ცვლილებას გამოიწვევს, - მის ოჯახში გაზრდილის მარინესადმი გული სიყვარულის გრძნობით აღევსება; მარინეც არა ნაკლების “ცეცხლით არის დამწვარი” მშვენიერის დიტოს გამო. “რამდენადაც უფრო უმაღლედენ ერთმანეთს თავიანთ გულს, იმდენად უფრო ძლიერდებოდა იმათი გულის დამწველი, დამდაგველი სიყვარულის ალი. ორივე იტანჯებოდენ უწყალო ცეცხლითა, იდაგვოდენ, დღე და ღამე კვნესოდნენ, მაგრამ მით უფრო საშიშოდ მიაჩნდათ უშრეტელს ალზე წყლის დასხმა...” თუ დიტოს და მარინეს “საშიშოდ მიაჩნდათ უშრეტელს ალზე წყლის დასხმა” - კაცმა სთქვას, კარგათ ვერ გავიგეთ, რას ნიშნავს ეს სიტყვები, ნუთუ იმას, რომ დიტო და მარინე სცდილობდენ, ეს გრძნობა გულიდან ამოეფხვრათო? - ერთის სიტყვით, თუ ავტორის გმირებმა ვერ გაბედეს და ვერ მოახერხეს უშრეტელ ალზე წყლის დასხმა, ეს თვით ავტორმა იკისრა და თავისი მოთხრობის ნასკვი დასაწყისშივე გაწყვიტა. “დიტო გაიჭრა”, მაგრამ “ველად” კი არა, ქ-ისის გიმნაზიაში. აქ ის ტვინის ანთებით გახდება ავად, და მარინესთან გამიჯნურება საუკუნო დავიწყებას მისცა. ეს ცვლილება მოხდა მასში არა მარტო ფსიქოლოგიურის მიზეზების ზედგავლენის გამო, არამედ ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურის კანონების თანახმად: “ავადმყოფობამ ერთი კარგი საქმე უყო ამ ყმაწვილს, თითქოს იმის გამოხატულებას მარინეს სახე დაეკარგაო (ვითომ რა იყო აქ ცუდი? - კ. ა.), რაღაც ბუნდად ახსოვდა ყოველივე, რაც გამოეცადა მამის ოჯახში; მხოლოდ როდესაც თავში მარინეს სახელი მოუვიდოდა, უეცრად შეკრთებოდა და თავს უნებურად გაიქნევდა, თითქოს რაღაც უ ს ი ა მ ო ვ ნ ო მ წ ე რ ი ს მ ო გ ე რ ი ე ბ ა ს დ ო მ ე ბ ო დ ე ს.” (ჩვენ აქ ხაზი გავუსვით, რომ მიგვეთითებინა მკითხველისთვის ნიმუში ნატურალიზმის შედარებისა. ავტორმა თვით უმშვენიერესი საგანი “უსიამოვნო მწერს” შეადარა). მართალია, ერთხელ კიდევაც მიიყვანა ავტორმა თავისი მოთხრობის მიჯნურობის საქმე იქამდის, “რომ იმათი ცხელი ტუჩები კოცნამ შეაწება”, მაგრამ სწორედ აქ გამოიჩინა ავტორმა სიმხდალე, დრამატული მომენტი დიტოს გაქცევით დაამთავრა.

აქაც ერთადერთი ცოცხალი არსებაა და ეს არსება დიტოს აღმზადელი თონიკვა. აქაც მთელი სულიერი რთული მექანიზმი ადამიანისა ამ ცოცხალ არსებაში იმით იხატებოდა, რომ ბატონიშვილის გასამხიარულებლად “ერთს საშინლად დაიჭყანებოდა და მერე მარდათ მოჰყვებოდა უღვაშების ქიცინს”, მაგრამ მაინც თონიკე ცოცხალს არსებასა ჰგავს, თუმცა მეტად მარტივი და ერთფერია, სრულიად უბრალო და ჩიკოლიკზედ უფრო ჩვეულებრივი გაქნილი იმერელი, რომელიც თავისის წვრილმანის ცბიერებითა და პირმოთნეობით ბევრს არაფერს ეტანება, ბევრს და დიდს ბოროტმოქმედებას არ სჩადის. თუ ვისმე მოატყუებს, ისეთის ტყუილით, რომ დიდს ზარალსა და ვნებას არავის მოუტანს; შესაძლოა, ამ ტყუილმა ზოგიერთს გულუბრყვილოს ერთის ვახშმის ზარალი გააწვიოს, და თონიკე კი ამ ტყუილის წყალობით ზედნადებად სადილსაც თუ გამოჰკრავს ხელსა.

დიტო არაფერი არ არის, რადგან იგი დაუმთავრებელია, როგორც ბავშვი, ჩვეულებრივია, ისეთი, რომლის მსგავსით სავსეა ჩვენი სასწავლებლები - არავითარი ორიგინალობა, არავითარი განსაკუთრებული ნიშანწყალი არ ემჩნევა მის ხორცსა და სულს.

ამ მოთხრობაში აღსანიშნავია ერთადერთი, გიმნაზიელის ლეგის დედა ნინო, რომელიც ვითომდა “ოთარაანთ ქვრივს” მოგაგონებსთ ორიოდე გარეგანის მოხაზულობით. ისიც “ოთარაანთ ქვრივივით” ყმაწვილი დაქვრივდა, მასაც სილამაზის მაგიერ “მხნე იერი ჰქონდა: რომ შეგებედნა, იტყოდო, კაცური ქალიაო”. იყო გამრჯელი ქალი, დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული

მეზობლებში. მის შესახებ ამბობდნენ: “სახელმწიფოც რომ მიაბარო, ვგონებ, იმისი მოვლაც არაფრად ემძიმოსო”. უეჭველია, ერთგვარი ლიტერატურული, შორეული ნათესაობა არის ამ ორ ქვრივს შორის. მაგრამ საკმაოა გაიხსენოთ ოთარაანთ ქვრივი და ნახოთ, რა შეუძლია დიდ ნიჭს იქ, სადაც პატარა მხოლოდ გაკვრით, ორიოდე ტლანქ მოხაზულობას დაგვანახვებს.

გიმნაზიელთა ცხოვრება, მოგახსენეთ, აღწერილია ისე, როგორც ეს ყველა ჩვენგანს უნახავს და გაუგონია. აღწერილია ნატურალისტურის კილოს შესაფერისად. ეს კილო კი, როგორც ვიცით, ცხოვრებაში უარყოფით მხარეებს ჰხედავს, რადგან სწამს, რომ სინამდვილეს არა ღალატობს მარტო ცუდი და უმსგავსო.

გ. წერეთელი გიმნაზიელთა ცხოვრების ზედაპირს გვიხატავს, ზედაპირს გაჭუჭყიანებულსა და ტალახით შესვრილს. დიტოს გაროზგვის აღწერა საუცხოვო ნიმუშია ამ კილოსი; პაწაწა ყმაწვილების მეგობრობა წვერულვაშიან “აყლაყუდებთან,” დამშეულ გიმნაზიელთა ქურდობა, მასწავლებლის მოსწავლეთაგან ცემა და სხვა მრავალი წვრილმანი, მრავალი ისეთი, რაც ყველას წამდაუწუმ თვალში ეჩხირება, თუკი ცოტათი არის დაახლოვებული იმ წრესთან. ერთხელაც ვერ მოახერხა ავტორმა ჩაეხედვინებინა ამ ჯურღმულში, დაენახვებინა ჩვენთვის მთელი ფსიქოლოგიური სარჩული ამ ცხოვრებისა, დაენახვებინა უბრალო მოკვდავთათვის დამალული და უხილავი ძალები, რომელიც ამომრავებენ მთელ ამ ცხოვრებას თავისის ავ-კარგით და აძლევენ წყაროს იმ გარეგან ქერქს, რომლის გამოხატულება ამ ნაწარმოებში ასეთი გულის ამრევია. ერთხელაც ვერ მოახერხა ავტორმა, გადმოეშალა ჩვენთვის გული და სული იმ ყმაწვილებისა, რომელთაც ასე ასახიჩრებდა უნიადაგო სწავლა-განათლება, ის სწავლა-განათლება, რომელიც აღზრდასა და განათლებას კი არ ეტანებოდა, აზრად დაესახა ამ ბავშვებისავე გადაგვარება და დამახინჯება. თითქმის სამას გვერდზე გამოჰქიმულია დაუბოლოვებელი აღწერა მოსწავლეთა ცხოვრების ყოველივე ჩვეულებრივის წვრილმანისა. ავტორი უნდებდა მოვლენათა გარეშე ქერქის, კანის დანაწილებასა და დაწვრილმანებას და ამას იმდენზე გატაცებულად ასრულებს, რომ სრულიად ხელიდან გაცლისთ საგნის მთლიანს და ერთეულს წარმოადგენას.

### III

გადის დიდი ხანი, თითქმის ოცი წელიწადი და გ. წერეთელი დაგვიწერს “მამიდა ასმათს”. ოცი წელიწადი თითქმის საუკუნის მეოთხედი გახლავსთ. ამ ხანში ჩვენმა ლიტერატურამ დიდი ბიჯი წასდგა წინ. ყაზბეგი, ეკ. გაბაშვილისა, სოფ. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური უკვე ცნობილი მწერლები შეიქმნენ. ჩვენმა ლიტერატურამ ისეთი განძი შეიძინა რეალურის ნაწარმოებისა, როგორცაა პოეზიაში “განდეგილი” და პროზაში “ოთარაანთ ქვრივი”.

გ. წერეთელს ბევრი რამ შეეძლო შეესწავლა ამ ხანში. შეისწავლა კიდევაც. ყაზბეგი კმაროდა, რომ გ. წერეთელს გაეგო მთელი აუცილებლობა არაკისა მოთხრობისათვის. ამიტომ “მამიდა ასმათში” უკვე არაკი არსებობს; არსებობს ნასკვი, რომლის გახსნა, გადაშლა შეიძლება. მაგრამ გ. წერეთელს თავისის ნიჭის ბუნებრივ ტენდენციის ძლევა არ შეეძლო და უფერულის რეალიზმის კილო ვერ შეიცვალა. “მამიდა ასმათში”-აც წვრილმანი ცხოვრება, ბეჩავი და უბადრუკი, უმარილო და უფერული ყოველდღიური ცხოვრებაა საშუალო კაცისა. მამიდა ასმათი ზრდის თავის მძისწულს ობოლ ნათელასა, რომელიც ათის წლის არის. ნათელას “მზრუნველი” ბიძა მისი როსაფი არის. ასმათმა ბევრი იცოდვილა, “მზრუნველობის” ხელში ჩაგდება უნდოდა, მაგრამ როსაფმა აჯობა. ეხლა საჩხუბარი მათ შორის ნათელასა, ნათელას გათხოვება. ერთს (როსაფს), ეს გათხოვება თუ მისდა უნებურად მოხდა, ართმევს მთელს მამულს ნათელასას, რომელიც დღემდის სრულ მის განკარგულებაში იყო. მეორე კი (ასმათი) ამავე შემთხვევაში დაკარგავს ქრთამს მზითვიანის მძისწულის გათხოვებაში და, გარდა ამისა, როსაფის სასიამოვნო საქმე მოხდება, და ეს თავისთავად ამის გულის მომკვლელია. ნათელას გასატაცებლად ასმათი აფრენს ქართლში თავისს მეგობარს, ერთს გაკოტრებულ, აზრად აზნაურს - ოთარს. მაგრამ ამ საქმეს ვერ მოაგვარებს, ვინაიდან ნათელას, რომელსაც როსაფის სახლიდან ასმათი გამოაპარებს, გზაზე დაეწვეიან და ასმათს წაართმევენ. ხოლო საცოდავ ბაღს მიათხოვებენ როსაფის მძისწულს - ილიკოს. ასმათსაც ბოლოს დაიყაბულებენ, ზოგი ქრთამით და ზოგი სხვადასხვა მოსაზრებით. არის ერთი შემთხვევა ამ მოთხრობაში, რომელიც საუბედუროდ დამთავრდება ასმათის ერთგულ ოთარისათვის. საქმე ის გახლავსთ, რომ ერთი ყანა აქვს როსაფს, რომელსაც ასმათი ედავება და რომელსაც ასმათი ძალით დაიფლობს ოთარის შემწეობით. ეს ძალით დაფლობა ოთარის მიერ შეიწირავს რამდენისამე გლეხის სიცოცხლეს, ხოლო ოთარისათვის “გაციმბირებით” გათავდება. ოთარი ამ ხვედრს ვერ შეურიგდება და ყაჩაღად გავარდება, მაგრამ ერთ დღეს დასჭრიან და ისევ დაიჭერენ. რამდენადაც კი შეიძლებოდა, გ. წერეთელმა მოახერხა და დაამთავრა თავისი მოთხრობა, მაგრამ ისევ და ისევ

არაკი ისეთი აიღო, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო. აქ ხომ აღებულია ჩვეულებრივი მოვლენა წვრილმანის, ყოველდღიურის ცხოვრებისა. არაკი ტრიალებს ნათელას გატაცებისა და ყანის ძალით დაფლობის გარემოში. მაგრამ ნათელა ჯერ ბავშვია; ჯერ კიდევ მის “გულს ცეცხლი” არ მოჰკიდებია. “ის ხშირად შეჰყურებს უმთავრო მოწმენდილს ღამეში ამ მოჭედილს ცას, იმიტომ რომ მას იქ გეგულება თავისი ბედის ვარსკვლავი, “კუროს თვალი”. აქამდის ელის მას და ჯერ კიდევ ვერ შეხვედრია... ნეტა როდის იქნება, რომ ამ ვარსკვლავის “საეტლო, ის პირტიტველა, მის ვაჟსავით თმახუჭუჭი ბიჭი”, ნათელას ბედისწერა ძირს, ამ ქვეყანაში შეხვდეს სადმე და მხოლოდ მას დაარქვას ნამდვილი თავისი ქმარი”.

გულზე ხელი დაიდევით და ისე მიზრძანეთ, განა მოთხრობის თვით საინტერესო მომენტი ეს არ არის, ეს ნათელას რომანტიკული მოლოდინი თავისი საბედოსი?! მაგრამ ჩვენი ავტორი ყოველთვის გაურბის ყოველსავე დრამატულ ელემენტს და უთუოდ იქ შესწყვეტს ხოლმე მოთხრობას, საიდანაც სხვა მას დაიწყებდა. ის კი არა, თითქო განგებ ათი წლის ბავშვი ამოირჩია მოთხრობის გამირქალად, რომ არ დასჭირდეს სიყვარულისათვის ბრძოლის დასურათება.

მამიდა ასმათი, ვითომდა ოთარაანთ ქვრივსა ჰგავს, მაგრამ ლანდიც არ არის ამ დიდებულის ხასიათისა, ტიპისა და ისე თუ მოგაგონებს რაიმე გარეგანის უმნიშვნელო მსგავსებით, როგორც შესაძლოა თვით უმსგავსის ადამიანის სახელმა დიდებულის კაცის სახე წარმოგიდგინოს თვალის წინ. მგონია კი, ნებისითი თუ უნებლიეთი სურვილი კი ჰქონდა ავტორს “ოთარაანთ ქვრივისათვის” კონკურენცია გაეწია, მისი ავტორი გამოეჯავრებია - აი, მე უკეთ შემიძლია სინამდვილის სურათებით გადმოცემაო. მაგრამ საკმაოა შეადაროთ ეს ორი მოთხრობა, რომ სავსებით შეიგნოთ ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს ნამდვილ რეალურ ქმნილებასა და გადაგვარებულ ნატურალიზმის ნაყოფს შორის. საკმაოა გადაიკითხოთ ეს ორი ნაწარმოები, რომ შეიგნოთ, რას ნიშნავს ნამდვილი ცით მიმადლებული ნიჭი და უბრალო, ჩვეულებრივი მწერალი, რომლის ნაწარმოების ერთადერთი ღირსება ის არის, რომ ყველასაგან ნახულსა და გაგონილს გადაიტანს ხოლმე ქალაქიდან იმავე სახით, როგორც ეს ეჩვენება საერთოდ კაცობრიობის დიდ უმეტესობას.

მამიდა ასმათი - ეს ერთი უბრალო დედაკაცია, ვიწრო გრძნობისა და მოფიქრებისა, მარტოდენ მხოლოდ თავისის წვრილმანის გამორჩენის მოტრფიალე. მაგრამ ეს თავისი სარგებლობაც ისე უზადრუკადა და უგუნურად აქვს შეგნებული, რომ თავს გაიბახებს, დალუპავს სხვას და თვითონ კი ვერავითარ ხეირსა ნახავს. მასში არ არსებობს არავითარი ადამიანური გრძნობა. ერთადერთი საგანი აქვს, რომლის შესახებაც შეეძლო გამოეჩინა რაიმე დედაშვილური გრძნობა, - მისგანვე აღზრდილი ნათელა, მაგრამ ამასაც ისე უყურებს, როგორც უბრალო სავაჭროს: ვინც მეტ ფულსა და გამორჩენას დაანახვებს, იმას გადაჰკიდებს.

ასმათი გულის ამრევი ბეჩავი ადამიანია: არც გულს ალგიშფოთებს ზიზღითა და არც სიბრალულს იწვევს შენში - მხოლოდ როგორღაც სწუხარ, რომ ადამიანის მსგავსება არის და არც კი გჯერა ასეთს მშრალს არარაობას “ზეცით მონაბერი სული” ჰქონდეს.

ოთარი გაკოტრებული, უქმად მოხეტიალე გაავაზაკებული აზნაურია. ესეც ერთგვარი მანეკენია, სმა-ჭამაზედა და ქეიფზედა გადაყოლილი. ამის სულიერი სიმდიდრეც არ აღემატება ტალახის სიმადლეს და ადამიანის მთელი რთული ფსიქოლოგია მასში დახურდავებულია იმაზედა, რომ აყალმაყალისა და ძალით ტაცობის მეტი არა შეუძლიან რა. სხვა ყველა მოქმედი პირი ამ მოთხრობის ისეთივე მქრალი გახლავთ, როგორც გიორგი სვანი, გლახისუბნელი, ჟვერია და სხვა ამგვარი გ. წერეთლის ხელოვნებისაგან შექმნილი ჩვეულებრივი ადამიანები, რომელნიც ტიკინებს უფრო წააგავან, ვიდრე ცოცხალ არსებებს.

გავა კიდევ ხანი და გ. წერეთელი რომანსაც მიჰყოფს ხელს და, უნდა მართალი ვსთქვათ, გ. წერეთელი ამამიაც წარმატებას იჩენს.

მისი რომანი (“პირველი ნაბილი”) ოთხმოცდაათიან წლებს ეკუთვნის. აქ არაკიც არის, დრამატული მომენტებიცაა, გულის მომწყვლელი ამბავიცაა, მაგრამ აქაც ყველა ამას ერთგვარი შაბლონის ფერი სდევს, უკეთ ვსთქვათ, გახუნებულის ფერადებით არის დასურათებული.

ბახვა ფულავა ერთ დროს თხებსა მწყეტსავდა. ეხლა კი კარგი შეძლებული კაცი გახლავსთ. ფოთში კაპიტალმა შემოდგა ფეხი, მრავალი გამოსარჩენი საქმე გამოჩნდა. ინჟინრებითა და მსგავსი ფულის მხვეტელისა და ფულის მფლანგველის ხალხით გაივსო ეს ნავთსადგური. ბახვას ერთხელ თეკლათში თვალი შეასწრო ინჟინერმა და ხელზე მოსამსახურედ აიყვანა. ბახვა თანდათან წარმატებაში შევიდა და ბოლოს თვით შეიქმნა ფულიანი მრეწველი. რასაკვირველია, ყოველივე “კანონიერი” ავაზაკობა, რომელიც თანა სდევს ამგვარ ხელობას, შეისწავლა და წვრილმან თაღლითობასა და ბოროტმოქმედებას ხშირად ხმარობდა თავისის აზრის განსახორციელებლად.

ფოთის მახლობლადვე ცხოვრობდა ერთი ობოლი ქალი - ესმა, მამით რუსი, ჯარისკაცის შვილი, დედით კი ქართველი. ესმას დედა უბედურის შემთხვევის გამო ქუჩის დედაკაცად იყო, ვიდრე ესმას მამამ, რუსის ჯარისკაცმა, ცოლად არ შეირთო. ბახვა ნახავს ესმას და შეუყვარდება. ესმა კი რაღაც ჩვენთვის გაუგებარის მოსაზრების გამო და გადაჭარბებულის მორცხვობის მიზეზით დიდ უარზედა სდგას ბახვას ცოლობაზე, თუმცა მასაც უყვარს იგი. ბახვა უკიდურეს ზომას მიმართავს, ხანჯალს ამოიღებს გულში დასაცემად და მხოლოდ ამით ესმას გააბედვინებს გულისნადების გამოაშკარავებას და ცოლობაზე დაითანხმებს. ბახვა შეიძენს საჯარო ვაჭრობით ერთ დიდის მემამულის საცხოვრებელს, მოაწყობს იქ სახლ-კარს და ესმას იქ დააყენებს. ფოთში ერთი “ვსადნიკი” იერემია წარბა, რომელიც მეტისმეტი მოყვარული გახლდათ ქეფისა, ღვინისა და ქალებისა, თვალს მოჰკრავს ესმას იმ დროს, როცა კიდევ გაუთხოვარი იყო და გადასწყვეტს, რამენაირად ხელში ჩაიგდოს. რასაკვირველია, ნებაყოფლობით ესმასთან ვერას გახდა, ამიტომ მიუხედავად ბახვას სოფელში, მოსტაცებს ესმას და, როცა გაუგებენ და დაედევნებიან, ესმას ხანჯალს ჩასცემს ფერდში.

ესმას სიკვდილის შემდეგ ბახვას ცხოვრება მთლად ერთიანად შეიცვლება: ბახვა მოჰყვება ლოთობასა და ცხოვრების ერთადერთ მიზნად დაისახავს შური იძიოს იერემიაზე.

ეს ერთი ამბავი რომანისა.

პარალელურად ამისა, თხზულებაში მეორე ამბავია მოთხრობილი.

ტფილისის ბრწყინვალე საზოგადოების ერთი ვარსკვლავთაგანი - ვალიდა - თავბრუს დაახვევს პოლკოვნიკ ლებოვს, დიდის ოჯახის შვილს და დიდს მდიდარს, თუმცა ხნიერსა და “ნეკრესის ქარებით” დაზიანებულს. ცბიერი “იმერელი ქალი” ვალიდა ლებოვს თავს შეართვევინებს. რამდენიმე თვის შემდეგ ლებოვი ვალიდას ვიღაც გამოჩენილ ლამაზ მსახიობ ქალში გასცვლის. ვალიდა ცოტა ხნის ტანჯვის შემდეგ, რომელიც შურაცხყოფილის თავმოყვარეობის შედეგი უფრო იყო, ვიდრე შებღალულის სიყვარულის გრძნობისა, თავს მალე იხუტავს: თვით შეუდგება გაქსუებულსა და გარყვნილს ცხოვრებასა. მისი გულიდან ყოველივე აზრი, ფიქრი და გრძნობა განდევნილია. ვალიდას ეხლა მარტო ერთი სურს: თავისი მომხიბვლელი სხეული გამოიყენოს მისთვის, რომ მოიპოვოს არა სიამოვნება გრძნობათა, არამედ ნივთიერი ქონებრივი სარგებლობა.

რომანის ორის არაკის ერთმანეთს შორის შემაერთებელი ხიდი იერემია წარბაა. იგი ვალიდას ნათესავია. ესმას დალუპვის შემდეგ იერემია ვალიდას მიაშურებს. ქუთაისის ოლქის სასამართლო იერემიას კატორდას მიუსჯის. ხოლო ტფილისის სასამართლო პალატა, რომლის თავმჯდომარე ვალიდასა ჰყავს მოჯადოებული და რომელსაც ქრთამად შეჰპირდა “სანეტარო სიამოვნებას”, იერემიას, რასაკვირველია, გაამართლებს. ბახვა, რომელიც “ჟამსა მარჯვესა იძიებდა” და რომელსაც ყაჩაღები ჰყავს შეპირებული, მოისყიდის იერემიას ერთ-ერთ მსახურს და გაუპობს ხანჯლით ფერდს (როგორც იერემიამ ესმას), თვით კი პოლიციას განუცხადებს თავისს დანაშაულს.

ამ უმთავრესს ორ ნაკადულს რომანისას შიგადაშიგ ჩართული აქვს ბახვასა და იხუტერის ქალის მიჯნურობა, გ. წერეთლის წერის მანერის ჩვეულებისამებრ კუდმოწყვეტილი, იერემიასგან სომეხ ვაჭრის ქალის ცოლად თხოვა, რომელიც სკანდალით დამთავრდება, ვინაიდან ნიშნობის ღამეს იერემიას დაატუსაღებენ ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის მოწერილობით; ვიღაც ქუჩის ვექილის - “წუნკალას” ოინები, რომლებითაც ისეთს ქსელში გააბამს ბახვას, რომ ეს იძულებულია მთელი თავისი საცხოვრებელი მას გადასცეს; ბახვას ბიძაშვილის ნესტორას მიერ ბახვას მამულის ხელში ჩაგდება სხვადასხვა ჩარჩულის ხრიკის შემწეობით; აქვე ნახავთ დასურათებულს იერემიას ადვოკატს სივილას.

ეს ნაწარმოები განსხვავდება გ. წერეთლის სხვა თხზულებათაგან არა მარტო იმით, რომ არაკიცა აქვს და დრამატული მომენტებიც - მოქედნი პირნიც უფრო ცოცხალნი არიან... მაგრამ ვაი, თუ მათი სიცოცხლე ხანმოკლე იყოს. საუბედუროდ, მათ იმდენზედ ატყვიათ დღეინდებობა და ეხლანდებობა, რომ, შესაძლოა, ათის თუ ოცის წლის შემდეგ იგინიც ისეთივე მკრთალნი აჩრდილნი შეიქმნენ, როგორც ბევრი სხვა ნუმრები გ. წერეთლის სურათთა გალერეისა (ჩიკოლიკი და სხვ.).

ყველაზედ უფრო სიცოცხლით აღსავსე იერემიაა. მაგრამ ის, რაშიაც მას სიცოცხლე ეტყობა, იგი ფოტოგრაფიული სურათია “გლახის ნაამბობის” დათიკოსი; ეს მსგავსება იქამდის მიდის, რომ კინაღამ ერთისა და იმავე სიტყვებით არ არიან ორივენი დასურათებულნი.

ილიას დათიკო იყო: “მშვენიერის სანახაობისა, გულუხვი, გულ-მარდი, გიჟმაყი და ვაჟკაცი... ის რომ ყარაბაღულ ცხენზედ შეჯდებოდა, ყელმოდერებული ალვის ხესავით, ადამიანს თვალი ზედ დარჩებოდა. მაგრამ ერთი ავი სენი სჭირდა... ქალების მუსუსი იყო და ამისთანაებში

ნამუსგაქნილიცა: რაკი გულში ვისიმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა, არაფერს არ ითაკილებდა, არაფერს არ დაზოგავდა”.

გ. წერეთლის იერემიაც “შესანიშნავის და ახოვანი (?) სახის გამომეტყველების იყო... ამ კაცის განიერი მხარბეჭი და გრუზა თმით დაჩრდილული სხვილი თავი ძველის დროის გმირს მოაგონებდა კაცს”... “ქეიფი, ღვინის სმა, ლხინი, სიმღერა მის ხელთ არის”, ამბობს იერემიას შესახებ ერთი მისი ამხანაგი: “ქალი - რაღა მოგახსენო - არ გაეცდება, თუ სადმეა. წურბელას რომ იტყვიან, ის არის, რაც უნდა ძნელი იყოს, გველის ხვრელში გამკვრება და იშოვნის: ძალადობა ფართ არ მიაჩნია”.

დათიკოსა და იერემიას ორივეს ერთი ზნე სჭირდათ; ორივე წარმომადგენელი ბრძანდებიან “ბრწყინვალე” ყმაწვილებისა, რომელნიც მესამე თუ მეოთხე კლასიდან გამოუბრძანებიათ, მაშინვე მამაპაპური ხანჯალ-ლეკურით შეუმკიათ წელი და უზნეო ქეიფისა და დროს გატარებისათვის მიუყვიათ ხელი; ორივე “ქალის მუსუსი” იყო და ორივე თავისის მთავარის მიდრეკილების მსხვერპლი ხდება: დათიკოსაც იმნაირადვე დალუპავს გაბრო, როგორც ბახვა იერემიასა და სწორედ ერთისა და იმავე მიზეზის გამო.

ესმა ამ რომანის გმირი ქალი, იგივე მარინე გახლავსთ “ჩვენის ცხოვრების ყვავილისა”, ერთნაირად უფერული, თითქმის ერთისა და იმავე ფერადებით დახატული, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკე; სრულიად ერთგვარად თავისის გრძნობების გამოხატველი. “დიტო რომ შინ მივიდა, მარინე იყო თუთხმეტის წლის ახალგაზდა, მაღალი და ლოყებაწითლებული ქალი, რომელსაც სქელი შავი წარბები შუბლზედ შეკვროდა. შავი, გრძელი, წამწამებიანი ღრმა თვალები მუდამ უცინოდა”.

ეხლა ესმას აწერილობას მოგართმევთ:

“თუთხმეტის წლის რომ შეიქმნა (უთუოდ თუთხმეტის წლის, არც მეტისა და არც ნაკლებისა.-კ. ა.), ესმა კოკრად გაფეთქილ მაისის ვარდს დაემსგავსა. ისეთი ააგდო ტანი, რომ დედა მხრებზედ აღარ სწვდებოდა (უთუოდ მაღალი უნდა იყოს.-კ. ა.). მისი ლამაზი, თეთრ-ყირმიზი სახე, შავ-თვალწარბებიანი, გრძელ წამწამებიანი (უთუოდ შავი თვალები და გრძელი წამწამები.-კ. ა.) გამვლელ-გამომვლელს ცეცხლს უნთებდა გულში”.

არა მგონია, აქ ვინმემ დიდი რამ განსხვავება ნახოს. პირდაპირ თავისებური პლაგიატია: ათას რვას ოთხმოცდაათიან წლების გ. წერეთელმა სახსვებით მოჰპარა ათას რვას სამოცდაათიან წლების გ. წერეთელს აღწერილობა რომანის გმირი ქალისა. მარინე და ესმა უთუოდ ორივე ჯეირანს უნდა გავდეს და, კიდევ მეტი, ორივეს ლექსიკონი ერთი და იგივეა, თუმცა მარინე კარგი 25-30 წლით უფროსი არის ესმაზედ. დიტო ამგვარად გადაუშლის თავისს გულს მარინეს: “იცი, მარინე!.. ვკვდები და ვერ მითქვამს.. შენმა ფიქრმა შიგნით ცეცხლი მომიკიდა... ვიწვი, მარინე, ვიწვი! რა ვქნა, რომ შენი სიყვარული არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ მაძლევს?!”

მარინე ამნაირად უგებს პასუხს:

- “რას ამბობს? გადირიე თუ?.. ვინ მე და ვინ შენი სიყვარული? მე ერთი ოხერი ობოლი ვარ! არა, არა, წადი, წადი! გამეცალე”.

ეხლა ბახვასა და ესმას ბაასს დაუგდეთ ყური.

“რატომ არას მეუბნები, ესმა? გამეცი ხმა; მითხარი, თუ გპულვარ, თორემ ამის მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან, ლამის გავგიჟდე...”

- “მე არ ვთხოვდები, - უპასუხა ესმამ, - მე ღარიბი, ობოლი ვარ, ერთი დედა მყავს... არასოდეს! მე ვინ და თქვენ ვინ? მე ერთი უბრალო რუსის მჭედლის შვილი ვარ. თქვენ მდიდარი კაცი ხართ, თქვენი ტოლი უნდა ეძიოთ”. ორივე დიალოგიც ერთნაირადვე თავდება. “მარინემ ამ სიტყვაზედ ხელი გაიქნია, დიტომ უცებ წელზე ხელი შემოხვია და თავისკენ მიიწოდა. მარინემ ხელი ჰკრა გულზე და კვნესით თავი უკან გადააგდო. მას ბროლის ყელი გამოუჩნდა, დიტო სწრაფად ჩაეკრა გულში და იმათი ცხელი ტუჩები კოცნამ შეაწება”.

“უცებ იელვა ბახვას ხანჯალმა და, რომ უნდა მუცელში ჩაიცეს, უეცრად იკვილა ესმამ, სტაცა ორივე ხელი მაჯაში და მიყვირა. ბახვას გაუვარდა ხანჯალი ხელიდან, მოხვია ესმას წელზე ხელი (სწორედ ისე, როგორც დიტომ მარინეს.-კ. ა.) და ორივეს ნაღველი ერთმა ტკბილმა კოცნამ წაიღო”. განსხვავება ის არის, რომ გ. წერეთელი ბოლოს დროს მწერლობაში გამოიცადა, ბახვას და ესმას ცხოვრების ამბავი განაგრძო და თვით უფრო საინტერესო მომენტში არ ჩამოუშვა ფარდა, როგორც ეს მოიმოქმედა დიტოს და მარინეს შესახებ.

“შავთვალწარბა ქალს” იმდენად შეუბოჭავს ჩვენის ავტორის მოჩვენება, რომ ეს ეპითეტი უსათუოდ თან ახლავს ყველა მის მოთხრობების გმირქალებს. მისი ნათელა (“მამიდა ასმათი”)

“გადაშლილი გულმკერდით არის და შავი თვალწარბით: სქელი შავი თმა წელზე სცემს; მისი წითური ლოყები ორი თურაშაული ვაშლია”.

ამგვარად, ბ-ნი გ. წერეთლის ხელოვნური იარაღი, როგორც ხედავთ, ჩლუნგია, თუ მეოთხედ საუკუნის განმავლობაში ასეთ მწვავე და მრავალფერ გრძნობათა გამოხატვისათვის ახალი სიტყვა ვერ უმოვნია; სიყვარული და ქალის სიმშვენიერე თითქმის სულ ერთისა და იმავე ანბანითა აქვს გამოხატული. ამ რომანმა განსაკუთრებით იმით მიიქცია ზოგიერთის ყურადღება, რომ შიგ, ვითომ, “ახალი მოვლენა” აღნიშნული, რომ იქ “ახალი ტიპია” გამოყვანილი.

უნდა მართალი მოგახსენოთ, ახალის მოვლენის ლიტერატურულ ნაწარმოებში აღნიშვნა არც არაფრის მომასწავებელია და არც არაფრის დამამტკიცებელი.

ხელოვნური ქმნილება სრულიადაც არ გახლავთ არც პუბლიცისტიკა, არც ჟურნალისტიკა. რამდენადაც ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის მოვალეობაა აღნიშნოს ყოველივე ახალი მოვლენა ცხოვრებაში, განმარტოს იგი მოვლენა და გამოარკვიოს, იმდენად ეს პოეტსა და რომანისტს სრულიადაც არ მოეთხოვება და არცაა მისი საქმე.

ყოველი დიდი მწერალი - ამ სიტყვის განსაკუთრებულის აზრით - ცუდი პუბლიცისტიკა, ხოლო ყოველი დიდი პუბლიცისტი - ცუდი პოეტია, გინდ ბელეტრისტი. აბა, მიბრძანეთ, რა ახალი მოვლენა აქვს აღწერილი შოთას მის უკვდავ პოემაში. ახალი კი არა, მისი თხზულება ნაყოფია დასრულებულის, დამთავრებული წესწყობილებისა და შიგ გადმოშლილია ღვთიურის ხელოვნებითა და მეცნიერებით კაცის გული და სული და ის, რაც კაცის გრძნობასა და აზრში საუკუნოა და დაუსრულებელი: გრძნობა სიყვარულისა და გრძნობა მეგობრობისა და ამ ნიადაგზე განვითარებული ფსიქოლოგია ამა თუ იმ გმირისა. აბა, მიბრძანეთ, რა ახალი მოვლენა აქვს აღნიშნული “განდეგილის” ავტორს თავის დიდებულ პოემაში ანადა აკაკის თავის “სულიკოში”, გინდ “მთაწმინდაში” და გინდ სხვა მის ობოლ მარგალიტ სალირიკო ლექსებში?

როდესაც გ. წერეთლის მიერ ამ რომანში ახალის აღმოჩენას გვეუბნებიან, სახეში აქვთ ბახვა ფულავა - გმირი რომანისა, ვითა წარმომადგენელი ახლად ფეხადგმულის ქართველის ვაჭრისა და მრეწველისა, რომელსაც თავისი შრომით (ოჰ, რამდენი დაკანონებული სიბინძურე თან სდევს ამ შრომას) სიმდიდრე შეუძენია. მაგრამ როგორც ეგრეთი ტიპი, ბახვა ფულავა სრულიადაც არ არის “ახალი”, ვინაიდან არდაზიანმა ბახვა ფულავას დაბადებამდის, ოცდა ათი წლის წინედ დაგვისურათა იგეთივე ჯურის ვაჭბატონი - სოლომონ მეჯღანუაშვილი. არდაზიანის სოლომონ მეჯღანუაშვილი უფრო სავსებითაც აკმაყოფილებს “ნამდვილ, შეუფერავ რეალიზმის” მოთხოვნილებას, გ. წერეთლის სტილი რომ ვინმაროთ. მაგალითად, ბახვა ვითომც და ახალის კლასის, ბურჟუაზიის წარმომადგენელად გამოჰყავს ავტორს, მაგრამ იგი აღსავსეა ფეოდალურის ინსტიტუტებით. მთელი მისი სიყვარული და მიჯნურობა ესმასი, მერე კიდევ ესმას მოკვლის გამო დაუძინებელის შურისძიების წყურვილის დამკვიდრება მის გულში - უფრო რომანტიკულ გმირს შეჰფერის, სენტიმენტალურად განწყობილს, ვიდრე “საქმის კაცს”, რომლის სულის ფსიქოლოგია იზრდება და ვითარდება ფულის მოხვეჭის ნიადაგზედ. სოლომონ მეჯღანუაშვილი, მისი კომიკური ცოლის შერთვა დალაქის ქალისა, მისი “ზრბოლა ცხოვრებისათვის” სარქის ბეგიშვილთან გამართული - სულყველა ეს - ბევრად უფრო ჩინებული დახასიათებაა ცხოვრებაში ახლად გამოჩეკილის კლასის წარმომადგენლისა. ექვს გარეშეა, ამ მოთხრობას დიდი გავლენა ჰქონდა გ. წერეთლის რომანზედ არა თუ მარტო არაკით, არამედ წერის კილოთიც. საუბედუროდ, ფრიად ნიჭიერმა არდაზიანმა ის ადგილი ვერ დაიკავა ჩვენს ლიტერატურაში, რომელიც მის ნიჭიერებას შეეფერებოდა. როცა ილია ჭავჭავაძის რეალიზმი მეფობდა, იმ დროს მისი მოთხრობა ნაადრევი იყო და შეუძლებელიც იყო არდაზიანისათვის ილიასთანა ლიტერატურის ბუმბერაზისათვის მეტოქეობა გაეწია. ხოლო, რაკი რეალიზმმა თავისი დრო მოიჭამა და გადაგვარების გზას დაადგა, გ. წერეთელმა იკისრა და სავსებით შეასრულა გადაგვარებულის რეალიზმისა და უფერულის ნატურალიზმის მწერლის მოვალეობა. ყოველ შემთხვევაში, არდაზიანს ეკუთვნის ჩვენს ლიტერატურაში ნამდვილი, შეუფერავი რეალიზმის” (გ. წერეთლის სიტყვებია) ინიციატივა, და თუ მან ის გავლენა ვერ იქონია და ის ადგილი ვერ მოუპოვა ამ მიმართულებას, რომელიც შემდეგში ხვდა წილად, იმიტომ, რომ იმ ხანაში არც დრო და არც გარემოება ხელს არ უწყობდა ამ მიმართულების ჩვენს მწერლობაში განმტკიცებას: ეს ხანა იყო ხანა ილიასი და აკაკის რეალიზმისა, საუკეთესო რეალიზმის მეფობისა.

ერთი ადამიანი კიდევ არის ამ რომანში, რომელსაც სიცოცხლის ნიშნები აქვს. ეს გახლავთ “ლიხთ იმერის ასული” ვალიდა, ერთ-ერთ არისტოკრატიულის სალონის “უბრწყინვალესი ვარსკვლავთაგანი.” კიკოლიკასი არ იყოს, ვალიდას ცხოვრების პირობები იმდენად განსაკუთრებულნი არიან, რომ ძალაუნებურად რომელსამე ცნობილ პიროვნებას გიყენებენ



თვალწინ. ვალიდა იშვილა ერთმა ფრიად დამსახურებულმა და მდიდარმა გენერალმა. “ეს გენერალი ძველი დიდებული გვარის ჩამომავალი იყო, სასახლის კარზე პატივცემული და მის მეუღლეს კარის დიასახლისობა ჰქონდა უმაღლესად მინიჭებული.” ვალიდა წაჰყვება ცოლად ლეზოვს, რომელიც “მაღალი წოდების შთამომავალია, უცხო ქვეყანაში აღზრდილი”, “დაახლოვებული პირი სასახლეში” და ბოლოს ვალიდას კავშირი აქვს სასამართლო პალატის თავმჯდომარესთან... ყოველივე ეს გარეგანი შემთხვევა პირდაპირ მიგვითითებს ამა თუ იმ პირზედ, და ამ რომანის გამოსვლისთანავე ყველამ თითქმის ერთხმად ერთ ოჯახზედ მიიტანეს ეჭვი. “გენერალი, ძველი დიდებული გვარის ჩამომავალი, ლეზოვი, მთავარმართებლის ოჯახთან დაახლოვებული” და სხვ.

რასაკვირველია, გ. წერეთელი რომ რეპორტიორობას არ გაჰყოლოდა და მარტო გარეგან მოვლენათა აღწერისათვის არ მოეცალა და სავსებით თუ არა, დაახლოვებით მაინც დაესურათებინა ის სულისკვეთება, ის აზრი და ფიქრი, ის მისწრაფება და სურვა, რომელიც ასულდგმულებდა და ასულდგმულებს ჩვენს არისტოკრატისა, დიდს ვალს დასდებდა ჩვენს ლიტერატურას. მაგრამ რეპორტაჟი ლიტერატურაში, კერძო ყოველდღიური სკანდალებისა და ბრბოს გამოცვლების ამბების აღწერა მოთხრობებში, ეს იგივე მანერაა “შეუფერავ რეალიზმისა”, რომელიც გ. წერეთლის ნიჭის შესაფერისი მიმართულება იყო. გ. წერეთლის ნიჭს უჭირდა საგნის სიღრმეში ჩაკვირება, ზედაპირის დაწვრილმანებით გადმოშლას გაეციდებოდა ხოლმე და ამიტომაცაა, რომ მისი მოთხრობებისა და რომანის ზოგიერთ ადგილს პასკვილის სუნე უდის.

რა მშვენიერი სურათი იქნებოდა, გ. წერეთელს რომ ლეზოვისა და ვალიდას მიჯნურობა სავსებით გადმოეცა; რა კარგად გავიცნობდით იმ წრესა, რომელიც, თუმცა გადაგვარებისა და გადამახინჯების გზაზედა სდგას, მაინც აქვს თავისებური შეხედულება თვით სიყვარულის გრძნობის შესახებ; ზოგიერთ ნიმუშებს ამგვარ აზრებისა აქაც ვიპოვით: “მისთვის (ლეზოვისთვის) სიყვარული მისის ვარდის კრეფად იყო გადაქცეული. როგორც ახალ მოწყვეტილ ყვავილს დიდხანს არ შერჩება სინორჩე და სურნელება, ისე არც მის გატაცებას ჰქონდა დღევრემლობა. “ლამაზი ქალი ინგლისის პუნში არისო”, იტყოდა ხოლმე ლეზოვი. “კაცის დღიურ ვარამში ის გაჩენილა მხოლოდ სისხლის ასადლევებლად, ღონის მოსაკრეფად. ვარდიც კარგია, სანამ ნორჩია, სუნნელოვანი და ფერი არ წასვლია; როცა დაჭკნება, შემდეგ ახალი კუკური უნდა ემებო... ქალი ტკბილეულობა კაცისათვის გაჩენილი, მე მიყვარს ეს ტკბილეულობა და გაუზნევებული ვარ, რომ არც ერთ უზნეო ბავშს არ ჩამოვუვარდები ტირილში, ოღონდ კი ეს მურაბა ვიშოვნო... ქალისთვის ღმერთს მიუცია გული და არა ტვინი, ის არის ჯოჯოხეთის სანთელი, რომელიც მის აშიკ პეპლებს ფრთებს გვიტრუსავს, მაგრამ მისი ქმნილება იმდენათ მომხიბლავია ჩვენთვის, რომ ერთი წუთის სიამოვნებისათვის ფრთების შეტრუსვას აღარ ვნაღვლობთ.” ქალში ლეზოვს მოსწონდა: “ტანი, სახე და გულისთქმის ალი... რაკი ერთხელვე სიყვარულის ნაპერწკალი ჩავარდებოდა ლეზოვის გულში, მერე აღარ იცოდა თავის დაჭერა. თუნდ სიცოცხლეც გადაეგო, უთუოდ ხელში უნდა ჩაეგდო ის, ვისაც აღეძრა მისი გულისთქმანი...”

მართალია, აქაც ამ “დიდ კაცურ” გრძნობის გამოხატვაში ავტორი ჩვეულებრივ შაბლონურ ხერხს ვერ გასცილდა, მაგრამ მაინც საინტერესო იქნებოდა, რომ ეჭვენებინა ამგვარის “სიყვარულის” შებრძოლება და შებმა ვალიდას “პატივმოყვარეობასთან”, მის “თავის გამოჩენის სურვილთან” ლეზოვის შემწეობით. სამწუხაროდ, გ. წერეთელს მაგგვარები როდი უყვარს, და გაურბის საგნის ყოველსავე გართულებასა და გაღრმავებას. “ამგვარი კატა-თავგობის თამაში დიდხანს არ გაგრძელებულა. დარბაისელმა გენერალმა და მისმა მეუღლემ თავისი საცადი მიიღეს, რომ ამ გადუწყვეტელს დამოკიდებულებას კარგი ბოლო მისცემოდა. იმათ მიჰმართეს დიდებულ ნათესავების შუამდგომლობას, რომელთაც აიძულეს ლეზოვი, რომ ვალიდასთვის წინადადება მიეცა ცოლქმრობაზე(?)”.

ამგვარად, კიდევ ერთი დრამატული მომენტი, კიდევ ერთი თვალსაჩინო მოვლენა ამბავის მოთხრობის კანონიერის მიმდინარეობის გარეშე გადასწყდება და უცხო ძალების ჩაჩხირების წყალობით შუაზედ იჭრება და შეუქმნევლად იკარგება. დანარჩენი აქ გამოყვანილი პირები არაფრით არ განირჩევიან ერთიმეორისაგან. ქუჩის აბლაკატი “წუნკალა” მთლად ერთიანად და სავსებით ამ სიტყვით არის დახასიათებული, ისე როგორც “ჩიკოლიკის” კუდბზიკა ამავე სახელწოდებით. ეს აბლაკატი “წუნკალია”, მეტი არაფერი. ერთადერთი მისი მოქმედება გამოიხატება იმაში, რომ აღმასრულებელის ფურცლებით ვალს ახდევინებს ამასა თუ იმას, მეტი მას არც არა შეუძლიარა. მართალია, ვითომ იაგოს უნდა წაბამოს, როცა ბახვას “პოდლოგებში” გაბამს, მაგრამ ეგ ბავშვის ოჩაფხით სიარულია, მეტი არაფერი, ვინაიდან მაგისთანა “პოდლოგში” გახვევა მარტო ბახვასთან თავმიცემულის კაცის თუ შეიძლება, ისიც, თუ მთვრალია. გარდა ამისა, ეგ

“პოდლოგი” არად ესაჭიროება, უიმისოდაც ბახვა მთელის თავისის ყოფა-ცხოვრებით სრულს მის - წუნკალას - განკარგულებაში იყო.

სრული არარაობა არის ნესტორი, ბახვას ბიძაშვილი, ერთი ახლად გამდიდრებული გლეხთაგანი. ესეც ტყუილუბრალოდ გამოიჩენს თავის ბრჭყალებს ბახვას დასაკაწრავად. სულ სულელი უნდა ყოფილიყო ნესტორა, რომ ის ვერ შეემჩნია, რომ ესმას მოკვლის შემდეგ ბახვა დაკარგული კაცი იყო და ერთადერთ მის მემკვიდრედ მარტო ნესტორა რჩებოდა. რიდასთვის ჩაადენინა ავტორმა ასეთი უაზრო და უმნიშვნელო სიბინძურე, კაცმა არ იცის. ზოგიერთი ამის პასუხად, რასაკვირველია, თავში მოგვახლის “სინამდვილის მოთხოვნილებას”. გ. წერეთელი “სინამდვილეს” გვიხატავდა და სრულიადაც არ დასდევდა იმას, მისგან გამოყვანილი პირი სულელად იქცევა, თუ ჭკვიანად, უსაბუთოდ, თუ საფუძვლიანად. დიად, სინამდვილე უმაღლესი სამსჯავროა მწერლისათვის, მაგრამ არა სინამდვილე ამა თუ იმ ადამიანის წარმოდგენისა, არამედ ის ფართო, მრავალფეროვანი სინამდვილე, რომელიც შეიცავს მთელს მსოფლიოს, მთელს ქვეყანას თავისის მრავალმხრივობით; არა ის სინამდვილე, რომლის ერთი პატარა ყურე მოქცევენა ამა თუ იმ ბეც მწერალს, გინდ ადამიანს, არამედ სინამდვილე მიქელანჯელოსი და შექსპირისა, სინამდვილე ჰომეროსისა და რუსთაველისა, ის სინამდვილე, რომლის შექმნა და განმარტება შეუძლია ღვთაებას და ღვთის მსგავს გენიოს მწერალს. ყოველივე მწერალი და მისი ნიჭი იმდენად ფასდება, რამდენად ღრმა და მრავალსახეა მისი სინამდვილე, რამდენად უსაზღვროა და უძირო მისი ნიჭისაგან წარმოდგენილი მსოფლიო. ყოველივე მწერალი იმდენად მცირეა და წვრილმანი, რამდენად იგი მარტო სინამდვილის ერთ პატარა ნაწილს დაგვანახებებს და ისიც მის ზედაპირს.

ბ-ნი. გ. წერეთელი ისე, როგორც მთელი ის მიმართულება ლიტერატურაში, რომლის გამომსახველი იგი იყო, სწორედ იმას ეტანებოდა, რომ “სინამდვილე” დაექუცმაცებია, დაეკნინებია, დაეწვრილმანებია და წვრილმანს ჩასჭიდებდა ხოლმე ხელს და იმას თვალწინ გადაგვიშლიდა. ეს დასახიჩრება არის სინამდვილისა და არა მისი დასურათება.

თუგინდ ზემომოყვანილი მაგალითი ავიღოთ. ნესტორა სინამდვილის შვილი კი არ არის, ავტორის ლოდიკის მსხვერპლია. ნესტორა საკმაოდ გაქნილი ბრძანდებოდა, რომ ვერ გამოეანგარიშებია, ბახვასთან მეგობრობა უფრო გამოსადეგი იყო მისთვის, ვიდრე მტრობა, მაგრამ ნესტორა რომ ასე არ მოქცეულიყო, მაშინ ავტორს “წუნკალა” დარჩებოდა სცენის გარეშე.

უფერულია თვით ესმა; უმნიშვნელოა და არარაობით აღსავსე “მველი დიდებული გვარის ჩამომავალი გენერალი” თავისის მეუღლით; ლებოვი კი სუსტი სახეა დარდიმანდის, მოქეიფის დიდკაცისა.

ყოველს შემთხვევაში, ეს რომანი (“პირველი ნაბიჯი”) ბ-ნი. გ. წერეთლის საუკეთესო ნაწარმოებად ჩაითვლება. ჯერ ერთი: იგი ეკუთვნის ლიტერატურის ქმნილების რომელსამე გვარს, რადგან აქვს არაკი; ამ არაკს თავი და ბოლო აქვს. მერე არაკში დრამატული მომენტებია: იერემიასაგან ესმას ამოჩემება და მისი გაუბედურება, ბახვას დაღუპვა ესმას დაკარგვის გამო. გარდა ამისა, ეს რომანი ნაკლებად აჭრელებულია პუბლიცისტიკით, რომელიც ისე აუშნოებს “ჩიკოლიკსა...” და “ჩვენი ცხოვრების ყვავილს.”

მაგრამ მაინც ამ ღირსებებს თან ახლავს ჩვეულებრივი შაბლონური მანერა წერისა და იგივე უფერულობა; თან ახლავს ჩვენგან უკვე ცნობილი მიდრეკილება გ. წერეთლის კალმისა: ზერელებად აღწერა მოვლენისა, სადაც მარტო გარეგანი ჩენჩხო, ნაჭუჭი იქცევს მწერლის ყურადღებას. ყოველივე ეს კი მოწყენილობის ელფერს აძლევს. გ. წერეთლის თვით ამ საუკეთესო თხზულებას და ამაშიაც მისი მწერლობის ნაკლებუფეროვნებათა ნიმუშები უხვად არის გაბნეული. ეს რომანიც იმის მაჩვენებელია, რომ გ. წერეთელი არა მარტო თეორიულად, არამედ არსებითად გადაგვარებულის ნატურალიზმის სკოლის მწერალია, რომელსაც “შეუფერავ რეალიზმით” თავიც კი მოსწონდა.

#### IV

არაფერი ისე არ ამტკიცებს ჩვენს აზრს გ. წერეთლის მხატვრულის ნიჭის უფერულობის შესახებ, როგორც მისი სტილი, კილო მისი წერისა. აქ ჩვენ ვხმარობთ სტილს - ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. კერძოდ, მართლწერა გ. წერეთელს კანონიერი აქვს, გარეგანი მხარე სტილისა, გრამატიკა და სტილისტიკა დაცული აქვს, თუმცა იმერული ჟარგონი აქა-იქ აჭრელებს მის ნაწერებს (“შურავდა”, “ჭვიტიანი”, “მიმწვდარიყო” და სხვ.). საზოგადოდ კი, ვიმეორებთ, ამ მხრით გ. წერეთელს მაინცა და მაინც დიდ წუნს ვერ დავსდებთ. მაგრამ ის პოეტური, ხელოვნური იარაღი, რომელსაც იგი ხმარობს ამა თუ იმ აზრის, ამა თუ იმ სურათის გამოსახატავად, მეტად დაჟანგებულია და მეტად ჩლუნგი. ამის მაგალითებით შეგვიძლია გადავაჭრელოთ მთელი ფურცლები. ამითაც გ. წერეთელი ტიპიური წარმომადგენელია გადაგვარებულის რეალიზმის, უფერულის ნატურალიზმისა. ამ მიმართულების მიმდევარტ ჩვეულებად აქვთ ისეთი კილო

წერისა, რომელიც სრულიად მკრთალია, მოკლებულია მხატვრობას, მათი ენა ჩვეულებრივია, ისეთი, რომელზედაც ლაპარაკობს კაცობრიობის უმრავლესობა, შედარებას იღებენ სრულიად ჩვეულებრივის, ყოველდღიურის შემთხვევებიდან, ხოლო ამ ჩვეულებრივის მათი თვალეზი უფრო ხშირად ხედავენ ჭუჭყიანს, ბინძურს და უმსგავსო მოვლენაში; ბუნებას აღვიწერენ, თუ სხვა რასმე, იგინი უფრო წვრილმანს აკვირდებიან და თანდათანობით ჩამოგვითვლიან ყოველს ნაწილს საგნისას, ყოველ მის მოხაზულობას და ისეთის პედანტიზმით, რომ წვრილმანის გაკიდების დროს მათ მთავარი მაფი ეკარგებათ და საერთო ღრმა შთაბეჭდილებას ვეღარ მოახდენენ ხოლმე.

ეხლა ვნახოთ ნიშუშები გ. წერეთლის მხატვრობითის ავლა-დიდებისა.

დიტო, მარინეთი აღტაცებული, ასე ბჭობს: “მე უნდა განვთავისუფლდე ამ ჩემ არაწმინდა შავი ფიქრებისაგან, რომელიც წურბელასავით გულზე მომკიდებიან და სულს მიშფოთებენ”. “ესმას მარჯვენა ლოყას ბახვას გაწვიპინებული ულვაში წურბელასავით მოკიდებოდა”. “როდესაც მარინეს სახელი მოუვიდოდა თავში (დიტოსი), უეცრად შეკრთებოდა და თავს უნებურად გაიქნედა, თითქოს რაღაც უსიამოვნო მწერის მოგერება სდომოდეს”.

არა მგონია, რომ ისეთის მშვენიერისა და ძლევამოსილის გრძნობის გამოსახატავად, როგორც სიყვარულია, ისიც ამ გრძნობის იმ წმიდა გვარის, რომელსაც შეუპყრია თუთხმეტ-თვრამეტ წლის ქალ-ვაჟი, არა მგონია-მეთქი, აქ დიდ მწერალს აზრში მოუვიდოდა შესადარებელ საგნად ან “წურბელი” ეხმარა, და ან “უსიამოვნო მწერი”. უცნაური კიდევ ის არის, რომ იმავე მოთხრობაში (“ჩვენი ცხოვრების ყვავილი”), რამდენისამე გვერდის წინ იმავე შედარებას ხმარობს, როცა მოგვითხრობს დიტოზედ გაჯავრებულის გიმნაზიელის შესახებ: “როცა გული მოუვიდოდა, იტყოდა: “მე თუ იმ გველის წიწილს (ე. ი. დიტოს) თავი არ გაუტეხე, ისე არ მოვეშვებით”, - იბრაგუნებდა გულზე ხელს და მწერისაგან შეწუხებულ ცხენივით იწყებდა თავის ქნევას”. აბა, მიბრძანეთ, რა არის აქ საერთო, თუ არ მარტო გარეგანი გამოსახულება ორი არსებითად სხვადასხვა გრძნობისა. და აი, მწერალმა, მის მაგიერ, რომ სწორედ ეს განსხვავება დაგვანახოს, რომელიც გარეგნად თითქმის ერთნაირად გამოისახება, თავის შედარებით თითქო კიდევაც ადასტურებს ამგვარ ერთნაირობას. აი, ერთი იმისი თვალსაჩინო მაგალითი, რომ გ. წერეთელი მარტო მოვლენათა უფერულ და მშრალ ზედაპირსა ხედავს და ვერ არჩევს, რა განსხვავებაა ხშირად ერთსა და იმავე მოვლენაში, რომელიც გარეგანის მხრით ერთნაირად გვესახება.

აი, დააკვირდით, როგორ აღვიწერს მწერალი ესმას “პირველ გულის შეტოკებას”: “ესმას ღრმად აღძრული გულისთქმანი ძალიან მიემსგავსებოდენ ტყის ძღარბსა (ბუძვა), რომელიც დიდის კრძალვით გამოყოფს თუ არა წინა ფეხებს სასიარულოთ, უეცრივ დაფრთხება მოულოდნელი ფოთოლთ შრიალითა და ისევე შეიკუმშება თავის ეკლიან სამოსელში”.

სიყვარული თვით უმშვენიერესი გრძნობაა ჩვენს ცხოვრებაში, მისი პირველი გაფურჩქვნა, ისიც ახალგაზდა ქალის გულში უდიადესი და ულამაზესი წამია, ყოველის პოეტის საგალობელი, და ბ-ნ. გ. წერეთელს კი ამის დასახატავად და შესადარებლად “ტყის ძღარბზედ” უკეთესი ვეღარა უშოვია რა. ამ ტლანქ და უხემ შედარებას განმარტება აღარ ეჭირვება.

ეგრეთვე იქცევა ზემომოყვანილ ადგილებში, სადაც სიყვარულსაცა და მისგან გამოწვეულ “შავ ფიქრებსა” და ბახვას “გაწვიპინებულ ულვაშსაც” ერთგვარად წურბელს ადარებს.

ეხლა აიღეთ მეორე რიგი მოვლენათა. გიმნაზიის აშორებულ ცხოვრებაში ერთი ღვთის კაცი გამოჩნდა - უმანსკი. მისი გაკვეთილები ბავშვებს ადამიანად აქცევდა ხოლმე, კაცურ გრძნობებს აღუძრავდა გულში, მის გაკვეთილებს ყველა ყურადღებითა და სასოებით ისმენდა, მაგრამ ახალგაზრდების გონება სხვა მასწავლებელთაგან იყო გატანჯული, განაწამები და დაჩლუნგებული და ვერ ითვისებდა რიგიანად უმანსკის გაკვეთილებს. ამ ტრაგიზმით აღსავსე მომენტის გამოსახატავად გ. წერეთელი უკეთესს ვერას მოიგონებს, თუ არ ასეთს უწმაწურ შედარებას, რომელიც გულის შემზარავ ხასიათის მოვლენას ვოდვეილის სამოსელით შემოსავს: “ეს პირველი გაკვეთილი იმ ბლის კურკას ჰგავდა, რომელიც მონელების შემდეგ ისევ უვნებლად დარჩენილიყო”.

ამას უნდა დაუმატოთ შედარებათა სიღარიბე გ. წერეთლის ნაწერებში: “მდინარე გველსავით კლაკვნით მიძვრება დობილოებში; რკინის ზოდებიც ორი ალმასის გველივით თანატოლათ მიიკლაკნებოდენ”; “მაჯის სისხო შავი ვაზებიც ხეებს გველსავით შემოხვევოდენ”; “ყმაწვილებისთვის გიმნაზიაში ცხოვრება საპყრობილეა, ხოლო თვით ავტორიც, რომელიც დიდი ხნით ჩავარდნილიყო ისეთს საზოგადოებაში, სადაც არც იმის გულის მოპასუხე, არც მიზნის მიმდევრი კაცებია - მიემსგავსება ციხეში დამწყვდეულს ტყვეს”; “გაკოტრებული თავადიც ტუსაღს მიაგავს სასიკვდილოდ გამზადებულს, რომელსაც სინანულის მაგიერათ სურს თავისი მწუხარება ღვინოში და ხვევნა-კოცნაში ჩანთქას”. სად იშოვიდა ტუსაღი, რომლის თვალის წინ სახრჩობელაა, ან “ღვინოს” ან “ხვევნა-კოცნას”.

გ. წერეთელს, როგორც ყველა მისი სკოლის მწერალს, რომელსაც სინამდვილე და სიბინძურე ვერ განუშორებიათ ერთიმეორისაგან, ვინაიდან, კაცმა სთქვას, სიბინძურე უფრო ხშირია და უფრო ადვილი შესამჩნევია - ჩვეულებადა აქვს ფრიად უწმაწურის სცენების აღწერა, მეტად უშნო შედარების ხმარება.

აი, როგორ აღგვიწერს იმ ოთახს დიტოს ბიძის - ჟვერიას სახლში, სადაც დიტო და მისი ამხანაგები ცხოვრობდნენ: “სადგომში ნიადაგ მომეტებული სინოტივე(?) დგას და, რადგან შიგ ბევრი ახალგაზრდები ცხოვრობენ (?), მუდამ ცუდი სუნი დგას, რომელიც ახდენს ჰაერს და ეს მყრალი ჰაერი ზაფრის ცხელებას აჩენს” (თუმცა სახლი ისეთი იყო, რომ ყოველ გვერდიდან ქარი უბერავდა და ბუნებრივ ვენტილიაციას ახდენდა).

ეხლა ვნახოთ დიტოს ცემა: “ჟვერიამ დაუწყო ცემა (დიტოს) და თვლა: ერთი, ორი, სამი... ამ დროს” და სხვ. ასეთივე სტილისაა მისი აღწერილობა დაზგას ჯორის გაჭირვებისა და პატარა ბახვას ტანსაცმელის აღწერილობა. ამას ზედ დაუმატეთ ის, რომ სულ რამდენიმე გვერდზედ ერთსა და იმავე უწმაწურ სიტყვას იმეორებს სხეულის ზოგიერთის ნაწილის ასაწერად. ამგვარ “სინამდვილეს” არა თხოულობს არავითარი ხელოვნება, გარდა იმისა, ვისაც ხელოვნების წაწყმედა სურს.

სიღარიბე გ. წერეთლის ლექსიკონისა და მხატვრული სალაროსი უკვე მოგახსენეთ; ხშირად ერთსა და იმავე სიტყვებით აღგვიწერს ხოლმე ორს სხვადასხვა გრძნობას; ერთსა და იმავე გრძნობას, რაღა თქმა უნდა, უთუოდ ერთ ყალიბზე ჩამოსხმულის, ერთფერის ტანსაცმელით შემოსავს. აი, მაგალითად, როგორ გვისურათებს ვინმე დაზგას მის პირველ მოთხრობა “ჩიკოლიკსა და სხვა”-ში:

“მთიდან გზაწვრილზე ჩამოთოხარიკდა ერთი თავის ოდენა შავი ჯორი, რომელზედაც დიდი ძარის სისხო კაცი შედებულოყო; საწყალ ჯორს გძელი ყურებისა და თავის მეტი არა მოუჩნდა რა. ეს სხვილი არსება თუმცა ჯორზედ იჯდა, მაგრამ ფეხებს თითქმის მიწაზედ მიათრევდა. ამ საკვირველს ცხენოსანს უკან ორი ფეხშიშველა და დაკონკილი მსახური მოსდევდა”.

ეხლა ვნახოთ, თუ იმავე სიტყვებით არ აღგვიწეროს მისი უკანასკნელის მოთხრობის “გულქანის” თ. ბაკურიძე! “შესანიშნავი სანახავი იყო თ. რევაზ ბაკურიძე, მგზავრათ რომ მიდიოდა თავის ამალიანა. წარმოვიდგინოთ პაწია თოხარიკ ჯორზე მჯდომარე ვეება კაცი, რომელსაც უზანგებში გაყრილი ფეხები თითქმის მიწაზე მითრევდა... ის მიათოხარიკებდა წაბლის ფერ ჯორსა და ქვეითათ მის გვერდით მიჩანჩალებდა ფეხტიტველა ფარეში” და სხვ. (იხ. “კვალი” 1899 წ.)

ბ-ნ. გ. წერეთელს როდი ეხამუშება ერთსა და იმავე გვერდზედ ერთი და იგივე შედარება გაიმეოროს. კარგი მწერალი ერთ გვერდზე ერთისა და იმავე სიტყვის გამეორებას ერიდება; ბ. გ. წერეთელი კი მთელ მხატვრულ სურათს მოურიდებლად გაიმეორებთ. იმავე “გულქანში” (“პირიმზე”) არის ეკლესიის აღწერილობა: “ერთგან ამ ლაჟვარდში მოჩანს თეთრი ეკლესია, თითქოს ვარსკვლავი გამოჰკიაფობსო”, და იმავე დროს გვერდზედ კიდევ ასე არის გამეორებული: “ამ ნანგრევებს ზემოთ გადმოჰყურებს თეთრი საყდარი, რომელიც შორიდან ცის ვარსკვლავივით ბჟუტავს ხოლმე მთების ლაჟვარდის სივრცეში.” - ნულარას ვიტყვით თვით შედარების უხერხულობის გამო, აბა, ეკლესია და ვარსკვლავის ციმციმი - არა მგონია, მოხდენილი შედარება იყოს.

ესეთი გახლავსთ გ. წერეთლის წერის კილო და იერი, ესეთი გახლავსთ მისი ფანტაზიის სიღარიბე, მისი წარმოდგინებითი ძალის (I, imagination) სისუსტე.

ყველაზედ უფრო ეს მისი, ასე ვსთქვათ, პროფესიონალური კილო ნატურალისტ მწერლისა სჩანს ბუნების აღწერილობაში.

დავიწყოთ ჯერ ერთი იქიდან, რომ გ. წერეთელი, როგორც ყველგან, ისე ბუნების აღწერილობაშიაც წვრილმანს ეტანება, ამიტომაც მის აწერილობას უფრო გეოგრაფიის სახელმძღვანელოში უნდა ჰქონდეს ადგილი, ვიდრე სიტყვაკაზმულს მწერლობაში. მეორეც ის არის, რომ აქაც გ. წერეთლის ნიჭი უფერულობას ეტანება. მისი შედარებები სრულიად მოკლებულნი არიან იმ მაღალ სიმშვენიერეს, რომლითაც დაგვატკბო თავის ბუნების აღწერაში ყაზბეგმა და ვაჟამ, გინდ მისმავე თანამედროვეებმა ილიამა და აკაკიმ. “ივანობისთვე იყო. ჭიჭინობელა ტყემალზე ჭიანურს უკრავდა. მიწა გოლვისგან ღრმად დამსქდარიყო; შიგ გომფაშოები ისხდნენ და გრილობდნენ. ზოგი მათგანი ულაზათოდ ყიყინობდა, თითქოს ზეცას შესჩივოდა, ცოტა ცვარი გადმოგვიგდეო”. ასეთის სურათით იწყება “მამიდა ასმათი”. როგორც ხედავთ, მთავარი ყურადღება ავტორს “გომფაშოებისა” და მათის ყიყინისათვის მიუქცევია.

ეხლა მეორე ადგილი ავიღოთ მის უკანასკნელ რომანიდან: “შემოდგომის ღამე იყო. გავსილი მთვარე დედამიწას დაქათქათებდა. არემარე მოვერცხლულ ჰაერის ზღვაში ყვინთავდა. უზარმაზარი კაკლისა და ცაცხვის ხეები ვაკეზე აქა-იქ შეჯგუფულები სქელი ჩრდილით ფარავდენ

მოსახლეებს. მთვარის შუქი რძე სავით გადასხმოდა ცასა და ქვეყანას. ლაჟვარდი ცამის გამო თეთრად გამობლენცილიყო. ვაკეასის ქედები, მუქ ტრედის ფრათ შეღებილები, უზარმაზარ ღობე-ყორეთ გაკროდენ ცის კიდესა. ვაკეზე ხეები აქა-იქ შავათ ამოფულულიყვენ. ოდნავ სიოც არ აკრთობდა მათ ფოთლებს, არც ტურები კიოდენ, არც ღამის ფრინველი ჭოტი იძახოდა, არც აჩქა ურმების ჭრიჭინი, არც ბუზანკალის ბზუილი, არც კოლოს წუწუნი. ყოველ სულდგმულს და უსულოს თითქოს ერთად გაეშალათ იმ ღამეს ლოგინი და ღრმათ ჩასძინებოდათ. თვით ბუნება იყო იმ წუთს ხმა გაკმენდილი თავის საიდუმლოებაში; არც იყო დღე, არც ღამე, არც იყო სიცხე, არც სიცვი, არც ბნელი, არც ნათელი, მაგრამ ორივე კითერთათ გაპენტილ მთვარეს ერთმანეთში შეეხავებინა” (ხაზი ყველგან ჩვენია - კ.ა.) აი, საუცხოო ნიმუში გ. წერეთლის აღწერილობის კილოსი. ჯერ ერთი, მის ეპითეტებს დაუკვირდით: “ყვინთავდა”, “რძესავით გადასხმოდა ცასა და ქვეყანას”, “გამობლენცილიყო”, “ამოფულულიყვენ”, “თეთრათ გაპენტილ მთვარეს”, - ყველა ეს სიტყვები თითქო განგებ უშნო და ულაზათო სინამდვილისაგან არის აღებული; მერე დაუკვირდით, რანაირ უხერხულ ღონეს მიმართავს, რომ დაგვიხატოს “ბუნება... ხმა გაკმენდილი თავის საიდუმლოებაში”, ჩამოგვითვლის, რომ “ტურა არ კიოდა”, “ჭოტი არ იძახოდა” და სხვ. ამას რომ გაჰყოლოდა ავტორი, მთელი ტომი არ ეყოფოდა იმის ასანუსხავად, თურა და რა ნაწილი “უთვალავი ფერის” ბუნებისა იყო გაყურებული და დუმილით მოცული. ასეთი დაწვრილმანებითი აღწერა ელტვის, სავსებით და უნაკლულად გადმოგვცეს სურათი, ბოლოს კი ისე იფანტება ამ წვრილმანში, რომ მთლიან შთაბეჭდილებას ვერ გვაძლევს.

ასეთის წვრილმანებით მოგვაწყენს ხოლმე თავს ავტორი, როცა ჩამოგვითვლის ან ვისიმე ქონებას, ან ვისიმე სახლის მოწყობილობას. “ბახვას მამას ერგო ხუთი ქცევა სახნავი მიწა, შვიდი ქცევა ქოჩორა ტყე და ქცევა ნახევარი დობილო (მადლარი ვენახი), სახლებს შორის ბოსელზე მიდგმული ერთი ფიცრული ოთახი, რომელსაც ორი საჟენი სიგმე ჰქონდა და საჟენ-ნახევარი განი, ერთი ხულა (პაწია ბეღელი), ერთი პატარა საღორე, ერთი ხბოიანი ძროხა, ცალი ხარი, ხუთი თხა, ორი თიკანი, ერთი ბოტი (დაკოდელი ვაცი), ორი წლის ჭაკი კვიცი, ექვსი ქათამი, ერთი მამალი, ერთი ნეზვი ღორი, ორი ათჩაფიანი ქვევრი, ორი ქოთანი, ხუთი ხის ჯამი, ერთი კარდალი (მორჩილი ქვავი), ერთი კინთი, კბილებჩამტვრეული საჩეჩელი და ერთი ჩიხრიხი (ბამბის გასარჩევი)”. ღმერთო ჩემო! თითქოს სტატისტიკური აღწერილობა ჰქონდეს მინდობილი მწერალს, ანადა კომლების და მათი სარჩო-საბადებელის ადმინისტრაციულად ცნობაში მოყვანა. ყველაფრად ვარგა ეს ნაწყვეტი და არა მხატვრულ იარაღად, რომელსაც აზრდა აქვს ბახვას მამის ავლა-დიდება თვალწინ დაგვიყენოს. ამგვარი წერის კილო თავიდანვე აჩემებული ჰქონდა გ. წერეთელს და მის საუკეთესოდ მიჩნეულ “ჩიკოლიკი და სხვა”-შიც მასვე შეხვდებით. აი, დუქნის აღწერილობა: “ხიდთან რომ დუქანი იდგა, ჩვენ იქ ჩამოვხდით, დუქნის ყაფაზზედ იდგა სამი სავსე გობი. ერთზე ეყარა ღომი, მეორეზე სიმინდი, მესამეზე ღობიო და თავზედ ხუთი კვერცი ჰქონდა ირგვლივ შემოწყობილი. შიგნით დუქანში რამდენიმე შუშა ყვითლად და თეთრად გამოსჭვერდენ (!). ზოგში ყვითლად შეღებილი ოტკა ესხა, ზოგში თეთრი; ზევით ბაწარზედ ოციოდე სულგუნი ეკიდა; ამას გარდა ყაფაზას ქვეშ ორი ტიკი ღვინით სავსე ჰგორავდა. მთელი დუქნის სიმდიდრე ეს იყო”. ესეც გამოსადეგია გამომძიებლის ოქმად.

აბა, ეხლა გადაათვალიერეთ “კაცია-ადამიანი?!”-სა და გინდ “ოთარანთ ქვრივის” მსგავსი ადგილები და ნახავთ, ვინ არის “ნამდვილი რეალისტი”, - მათი ავტორი თუ გ. წერეთელი, რომელიც ჩემულობდა ჩვენს ლიტერატურაში პირველ რეალისტობას (იხ. “კვალი” 1897 წ., 1 46). საკმარისია ნიმუშად ავიღოთ ერთი ნაწყვეტი თათქარიძეების ოთახის აღწერილობისა, რომ ეს დიდი განსხვავება ყველასათვის ცხადი შეიქმნეს: “თათქარიძის ოთახში იდგა ორი გძელი ტახტი, ერთმანერთის პირდაპირ, ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ, როცა კნენა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალეების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ღამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა; ამ ორ ტახტ შუა აღმოსავლეთის კედელზედ მოჩანდა კბილებ-ჩავარდნილ, ბებერ დედაკაცის დაღებულ პირსავით ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი, აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითებრ, ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაეში მოხარშული მყარალა-ბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი”. აქ ყოველივე სიტყვა, ყოველივე სტრიქონი, თავისი დამოუკიდებელის სიცოცხლითა სცხოვრობს. ყოველივე სიტყვა განსაკუთრებულს სურათს წარმოგვიდგენს და ყოველი სიტყვა მათი “ბრწყინვალეების” თვისებათა ნათელი დახატულებაა, მათი მიუცილებელი ატრიბუტი. აბა, რა უნდა ყოფილიყო ლუარსაბის ოთახის სამკაულად, თუ არ “ზურგიელის ნაჭერი”? რა უნდა მოეხარმა საჩაეში, თუ არ “მყარალა-ბალახი”? რით უნდა გაენათებია მისი ოთახი, თუ არ “ქონიანი

შანდლით”? ამ ოთახის აღწერილობით წინდაწინვე იცით, რა ჯურის და სულის ვაჟბატონებია მისი მცხოვრებნი. აქ ავტორს სრულიად არ ეინტერესება ის, თუ რამდენი თუნგი ჰქონდა ლუარსაბსა და დარეჯანს ოთახში, ან რამდენი ტახტი, გნებავთ, შანდალი. ის თქვენ სურათის დასახატავად გეუბნებათ: ამ ოთახში მიყრილ-მოყრილი იყო “ტ ა ლ ა ხ ი ა ნ ი ყარაბაღული თეთრი წაღები”, “პ ი რ მ ო ტ ე ხ ი ლ ი სპილენძის თუნგი”, “ქონიანი შ ა ნ დ ა ლ ი” და სხვ. ავტორი საგანთა თვისების ჩამოთვლით თვალწინ გვიშლის გმირების ზნე-ჩვეულებასა და ყოფა-ცხოვრებასა. მოქმედ პირთა დასასურათებლად სწორედაც ის არის საჭირო ვიცოდეთ, როგორი წაღები აქვს, როგორი თუნგი, როგორი შანდალი და არა ის, თუ რამდენი ტახტი აქვს და გობი. ილიას ხერხი მხატვრული, ხელოვნური ხერხია. იგი “მოვლენათა შორის დაფარულ კავშირს” იძიებს, მისთვის ოთახის მოწყობილობას გარეგან სახესა და შეხედულებას იმდენადა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი პატრონის, ადამიანის სულის და გულის გამომჩინებელია. ბ-ნი გ. წერეთელი კი ოთახს თვალს მიაგლ-მოავლებს, დაინახავს, რომ ამდენი გობია, ამდენი კვერცხი თავზე აქვს მოლაგებული, ამდენი სულუგუნი ჰკიდია და დაიწყებს ამის ჩამოთვლასა და ანგარიშს, თითქოს ბოქაული იყოს და ვალში უწერდეს ქონებას უპირულ მოვალესაო. მის ყურადღებას როდი იპყრობს საგნის ინდივიდუალური განსხვავება, წინააღმდეგ, იგი მარტო საზოგადოს, ყველასათვის შესამჩნევს და ყველასათვის ადვილად დასანახავს გვიჩვენებს, ამას იქით რა არის, ან რა კავშირია მოვლენათა და საგანთა შორის, ამას ის არ დაგიდევსთ. ამგვარია სტილი და კილო უფერულის, გადაგვარებულის რეალიზმისა, ამგვარია მისი თეორიაც, რომლის პრაქტიკულად აღსრულება მარტო იმ მწერალს შეუძლია, ვისაც თვით არა აქვს მძლავრი მხატვრული პირადობა.

მიკერძოებით სჯა რომ არ შემწამოთ, ამოვიწერ იმავე ბუნების აღწერის ნიმუშს, რომელიც მოჰყავს ბ-ნ. ნ. ნიკოლაძეს თავის ჩინებულ წერილში გ. წერეთლის შესახებ (“მოამბე”, 1894, <sup>1</sup> III): “გზა მიგვიძლოდა ფართო ჭაღებზედ. მდინარის მხუილი ხანდახან ბუნდათ მოგვესმოდა, მინდორს უწვიმობით მოყვითლო ფერი დაცემოდა; ეკლით გაბანდული მწვანე ბუჩქნარი ზოლ-ზოლებად გადაუყვებოდა. ერთი საათი მეტი ვიარეთ ამ მინდორზედ და შემდეგ შევედით სქელს დობილოში: ლოტნარს თხმელის ხეებს ქოჩორა წვერები ვაზის ფოთლებით ჰქონდათ შეხვეული. მაჯის სისხო შავი ვაზები ხეებსა და ხეებს შუა ბაწრებად გაბმული იყვნენ და თვითონ იმათაც გველსავით შემოხვეოდენ. ამ დროს მზემაც პირი გვიჩვენა, მაგრამ იმისი სქელი შუქი ჩვენთვის უვნებელია დარჩა: ხშირად გაბნეული თხმელა, ხურმა და კაკლის ხეები გვიჩრდილებდენ. თვითონ მინდორმაც ამ დობილოში ფერი მწვანედ იცვალა. როგორც ეტყობოდა, მზის შუქს ამ ჩრდილში ბალახისთვის სისველე წაერთმია. დობილოს ტყეში სუნთქვა ძლიერ გაგვიტკბა; გონებაში გავივლე, ამისთანა მწვანილოვანს ბაღში კაცი არ უნდა დაბერდეს მეთქი”. სრულიად ვეთანხმებით ბ-ნ. ნ. ნიკოლაძეს, რომ ეს პ ი რ დ ა პ ი რ გ ა დ მ ო ხ ა ტ უ ლ ი ა (უკეთა ვსთქვათ, გადმოწერილია) ჩვენი საკუთარი ბუნებისაგან. მაგრამ მთელი ნაკლულევანება სწორედ ამ პ ი რ დ ა პ ი რ გ ა დ მ ო წ ე რ ა შ ი ა (გინდ გადმოხატავაში). ავტორი სცდილობს, პირდაპირ ფოტოგრაფიულად გადმოიღოს სურათი; ავტორი ვერ გვაჩვენებს მოძრაობას, სიცოცხლეს სანახაობისას, ვერ გვიხდის ფარდას ბუნების სხვადასხვა ნაწილის შორის არსებულ იდუმალ კავშირს, რომელიც ასულდგმულებს მთელს ბუნების სანახაობას, მაგრამ რომელიც უხილავია ჩვეულებრივ თვალისათვის. ამიტომაც ეს სურათი მშრალი გამოდის, სიცოცხლეს მოკლებული და ვერ გვატკბობს, ვერ გვიტაცებს, ვერ გვხიბლავს ისე, როგორც ყაზბეგის შეუდარებელი აღწერილობანი. ბ-ნი. ნიკოლაძე ამაზედ სრულიად საფუძვლიანად გვიპასუხებს: “იმ დროს, როცა “მგზავრის წერილები” იწერებოდა, თუ იბეჭდებოდა, ჩვენს მაშინდელ მწერლობაში მეტად ახალი და საამო ხილი გახლდათო”. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვეთანხმებით ამ აზრს და ვიმეორებთ, რომ მთლად ერთიანად გ. წერეთლის მთელს ლიტერატურულ მოღვაწეობას ისტორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენს მწერლობაში და მისი მწერლობაც სწორედ ამ ისტორიულის თვალთა ხილვის საზომავის ქვეშ უნდა გავითვალისწინოთ.

ესა ვსცადეთ ჩვენს ეტიუდში, გ. წერეთელს მივუჩინეთ მისი ადგილი ჩვენის ლიტერატურის მსვლელობაში, მის კანონიერ ევოლუციაში. მას ბედმა აკისრა რეალიზმის დაცემის გამოსახვა და ეს ჩინებულად და კეთილსინდისიერად შეასრულა, რაკი ამისათვის საჭირო იყო სწორედ ის, რაც გ. წერეთლის ნიჭს ახასიათებს: მხატვრულის წარმოდგინებითის ძალის სისუსტე და ხელოვანის მკაფიო ინდივიდუალობის სიძაბუნე.

## ალექსანდრე ყაზბეგი (ა. მოჩხუბარიძე)

(1848 - 1893)

“მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი: “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნესო”, - სთქვი შენ და მე გავიგონე, მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა; იქ, გულში, გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?..”

ილ. ჭავჭავაძე, “მგზავრის წერილები”.

საკმარისია გაიხსენოთ ეს სიტყვები ჩვენის მრავალტანჯულის მწერლისა, რომ სავსებით გაითვალისწინოთ ის მტკიცე კავშირი, რომელიც არსებობს ჩვენის მწერლობის დიდებულ მეთაურსა და ეგრეთ წოდებულ “მოხევეთა ლიტერატურას” შორის. ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა, რომ ილ. ჭავჭავაძის მიმდევარია პროზაში ალ. ყაზბეგი და მთელი პლედია ახალგაზდა მწერლებისა, რომელნიც იმის სკოლას ეკუთვნიან. ალ. ყაზბეგმა განავითარა და ახალ ნიადაგზე ააყვავა რომანტიული მხარე ილ. ჭავჭავაძის მწერლობისა და საუცხოო, შესაშურებელის ნიჭით დაასურათა ის ღრმა აზრი, რომელიც ზემოთ ამოვიწერეთ ილ. ჭავჭავაძის “მგზავრის წერილებიდან”. მთელ ნაწარმოებს ალ. ყაზბეგისას იმისი გამოკვლევა აქვს აზრად, “თუ რა ნესტრით არის ნაჩხვლეტი” მოხევე და მასთან ერთად მთლად მთელის ქართველის ერის დროთაგან შეუბღალავი, შეუმუსრავი საღი ნაწილი ამ ერისა.

ალ. ყაზბეგი, ნ. ბარათაშვილისა არ იყოს, უცნაური მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. არც დრო და არც გარემოება არ შესწევდა ყაზბეგს, იმ მიმართულებას დასდგომოდა, რომლის მეთაურიც ის შეიქმნა. რომანტიზმმა ახალის სახით, მართალია, ევროპაში ოთხმოციან წლებში წამოჰყო თავი, მაგრამ იქ ამისთვის ნიადაგი მზად იყო. ნატურალიზმმა უკვე მოსჭამა დღეები. ზოლას რომანებმა ნატურალიზმი უკიდურესობამდის მიიყვანეს და 1888 წელს “დედამიწა“-ს (“La terre”) გამოსვლის შემდეგ მისმა მოწაფეებმაც საქვეყნოდ ზურგი შეაქციეს მას. მოპასანი ამ პროტესტანტ მოწაფეთა შორის იყო და მას ერგო წილად შემდეგის ლიტერატურის მოძრაობის მეთაურობა. გარეგან მოვლენათა და გარეშე ფაქტების აღწერიდან ლიტერატურა კაცის სულიერ მხარეს დაუბრუნდა. კაცის შინაგან თვისებების გამოხატვა დაიდვა საგნად, ფსიქოლოგიზმი გამეფდა ლიტერატურაში.

მართალია, ქართულ ლიტერატურასაცა ჰყავდა თავისი ნატურალიზმის უკიდურესი წარმომადგენელი გ. წერეთლის სახით, მაგრამ კიდევ არ იყო ჩვენში ნატურალიზმი მომწიფებული. ამის დასამტკიცებლად თუ გინდ ისიცა კმარა, რომ სულ ბოლო ხანშიაც მოგვცა ჩვენმა ლიტერატურამ უკიდურეს ნატურალიზმის ნიმუშები (ბ-ნი მელანია); ყოველ შემთხვევაში ციკლი ლიტერატურულ ევოლუციისა ჩვენმა ლიტერატურამაც გაიარა და ასე იყო, თუ ისე, ზოგიერთი ფურცლები გ. წერეთლის ნაწარმოებისა (მაგ. “ჩვენი ცხოვრების ყვავილი”), თუ გნებავთ, საუკეთესო ნიმუშია ნატურალიზმისა, თუკი ნატურალიზმი დაურიდებლად უნდა აღგვიწერდეს ყოველსავე “გარეგან” მოვლენას და თუკი ამ აღწერილობაში პოეტისა და მწერლის პირადობის ნიშანწყალიც არ უნდა სჩანდეს. ამას ზოლაც ვერ ახერხებდა, მისი ძლიერი უსაზღვრო ნიჭი მეტად დიდი ბუმბერაზი იყო, მისი ალაგმვა არავითარ თეორიულ მოსაზრებას არ შეეძლო და ამიტომაცაა, რომ ზოლას ნატურალიზმი რომანტიულია, ე. ი. მეტად ინდივიდუალური, მეტად პირადი.

არც მწერლობის მდგომარეობა და არც საზოგადო-პოლიტიკური ვითარება ხელს არ უწყობდა იმ დროს ჩვენში ყაზბეგის ნ ე ო რ ო- მ ა ნ ტ ი ზ მ ი ს ადყვავებას. ოთხმოციანი წლები მთელის რუსეთისათვის და მით უმეტეს ჩვენთვის შავბედიითი იყო და ოხერ-ტიალი. რუსეთში რუსულ ენაზე ლაპარაკი და რუსულ ენაზე ლოცვა მაინც არ იყო დევნილი; ჩვენში კი, სხვას რომ თავი დავანებოთ, ქართულ ენაზედ ლოცვაც და ქართული გვარის ტარებაც პოლიტიკურ დანაშაულობად ითვლებოდა. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ პოლიტიკურმა რეაქციამ, ყოველის აზრისა და გრძნობის პოლიტიკურმა მზრუნველობამ, პოლიტიკურმა რეგლამენტაციამ რუსეთში (და მით უმეტეს ჩვენში) უმაღლესს წერტილამდის მიადწია. სხვა რომ არა იყოს რა, ძალაუნებურად, სტიქიურად, საზოგადოება იზრდებოდა და მწიფდებოდა. საზოგადოებას სულ სხვა მისწრაფებანი ეხალისებოდა და ამ დროს ზევიდან სულ უფრო და უფრო მუხრუჭს უჭერდნენ და ეს იმდენად უფრო საგრძნობელი იყო, რამდენადაც საზოგადოებაში სხვა აზრი და გრძნობა იდგამდა ფესვს. ქართველი ერიც თანდათან იღვიძებდა თითქმის საუკუნის ძილისაგან. ძალაუნებურად იგონებდა

წარსულს დამოუკიდებელ ცხოვრებას, ძალაუნებურად ადარებდა აწმყოს, რომელშიაც თვით უმაღლესი გრძნობა კაცისა - ლოცვა თავის ენაზე - აკრძალული ჰქონდა; ძალაუნებურად ეს შედარება წარსულს მომხიბვლელ სიზმრად ხდიდა; ფიზიკურის გარდუვალის კანონის ძალით ხალხში იზადებოდა და იზრდებოდა ყრუ, მდუმარე კვნესა და ჩივილი, უკმაყოფილება თავის ხვედრისადმი და ზიზღი “გარეშეებისადმი”; რამდენადაც ზევით უფრო ავიწროებდნენ და სულს უხუთავდნენ, იმდენად პოტენციურად, უხილავად, ხალხის გულისწყრომა, ხალხის უკმაყოფილება მეტ ძალას იკრებდა, იზრდებოდა. გარეგანი მდგომარეობა ისეთი იყო, რომ სწორედ ნატურალიზმი უნდა გამეფებულიყო; მწერლობას უნდა მიექცია ყურადღება გარეგან ცხოვრების აღწერისთვის, თავისი პირადობა უნდა დაემალა, თავისი გრძნობა, რომელიც “უკეთესთა”, “შეგნებულთა” გრძნობაა, უნდა დაეფარა და მშრალი ტრაქტატები შეექმნა “მემკვიდრეობისა” და “ცხოვრებისათვის ბრძოლის” თეორიების საილუსტრაციოდ.

ასეთს მდგომარეობაში ყაზბეგის ნაწარმოების დაბადება უეჭველი დამამტკიცებელია იმისი, თუ რა შეუძლიან დიდს ნიჭს გარემოების მიუხედავად, და თანაც უეჭველი მაჩვენებელია იმისი, რომ ყაზბეგი ძლიერის ნიჭის პატრონი იყო. ყაზბეგმა არათუ ლიტერატურას სხვა სახე მისცა, არათუ ახალი მიმართულება მისცა ლიტერატურას, მან დიდი პოლიტიკური მამაცობაც გამოიჩინა, მოქალაქეობრივი სითამამე და ის, რაც ილიამა და აკაკიმ გაბედეს და მხოლოდ სიმბოლოს სახით დაგვანახეს, ყაზბეგმა თვალსაჩინო სურათებით დახატა; დოკუმენტალურად მშვენიერის აღმტაცებელის ფერადებით დაგვისურათა ქართველის ერის მდგომარეობა უცხო ელემენტის ძმად მიღებულ და მტრად ქცეულ შემოსევის შემდეგ და ის ყრუ და თვალთათვის უხილავი კვნესა და სასოწარკვეთილება, ის მდუმარე აღშფოთება, რომელსაც ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვი ქართველს ერში. ერის ამგვარ განწყობილებას მხოლოდ “რჩეულნი” ჰგრძნობდნენ, მხოლოდ “რჩეულისათვის” იყო ნათელი და გარკვეული იდუმალი ზრახვა ერისა, და ამ “რჩეულთა” სულიერ განწყობილების მოციქულადა და წინასწარმეტყველად გამოვიდა ალ. ყაზბეგი. ის საეროვნო აზრი, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისიდან ასულდგმულებდა ჩვენს ლიტერატურას ცხადად თუ ფარულად, სავსებით და ნათლად გარკვეულია ყაზბეგის ნაწარმოებში, რამდენადაც ეს შესაძლო იყო იმ დროში სიტყვაკაზმულ მწერლობისათვის ჩვენს ქვეყანაში და ამის მიხედვით ეს აზრი მის ნაწარმოებში თითქმის უმაღლესს წერტილამდის არის მიყვანილი.

ამ აზრისა და გრძნობის გამოსახატავად ა. ყაზბეგმა რომანტიზმით ისარგებლა, ესე იგი მან თავისი პირადი აზრი და გრძნობა გამოხატა და ელგუჯას, ვაჟას, ბეჟიას და სხვას მოახვია თავზედ ეს გრძნობები. ექვი არ არის, ელგუჯასა, ბეჟიასა და სხვათა გულში თავისთვისაც შეუძმნევლად ჰქონდა ჩამარხული ყველა ეს და დიდის ნიჭის მქონებელმა ხელოვანმა საკვირველის გამჭრიახე გონებით ჩაიხედა ბეჟიასა და ელგუჯას გულსა და სულში. ხოლო ისე ნათლად, ისე გარკვეულად ეს გრძნობა მართო “ყაზბეგებისთანა” ნიჭით მოსილს ჰქონდა შეგნებული და ყაზბეგი “თავისიანების” აზრსა და წადილს, “თავისების” კვნესასა და ვიშს გვისურათებს ბეჟიასა და ელგუჯას სახით. ამის დამამტკიცებელ მრავალ საბუთს მოვიყვანთ. თანაც თვით აზრი ყაზბეგის ნაწარმოებისა რომანტიკულის თვისებისა: წარსულის დიდება, წარსულის სიკეთის გაზვიადება დღევანდელთან შედარებით - ეს რომანტიზმის ჩვეულებაა, რომანტიკული მანერაა. დღეისით გულმოკლული, წარსულში იძიებს იდეალებს, წარსულს მხნეობას, გულადობას, წარსულის აზრისა და გრძნობის მთლიანობას შესტრფის, და ამაშიაც ალ. ყაზბეგი რომანტიკოსია.

ყაზბეგი ნამდვილი გრძნეულია მთიელთა ფსიქოლოგიის გამოქვეყნებაში და ეს იმიტომ, რომ მას თავისი თავი აქვს წარმოდგენილი მათ ადგილზე და ბეჟიას ტყავში თავის გულის წადილს, ზრახვებსა და კვნესას გვაჩვენებს. მისი აღტაცება წარსულით, რასაკვირველია, აღშფოთებული რევოლუციონური ზიზღია აწმყოსადმი, მაგრამ განა ასეთივე არ არის რომანტიზმი რუსოსი და ბაირონისა, იმავე აწმყოს აღშფოთებისაგან გამოწვეული? ყაზბეგი დიდს დაკვირვების ნიჭს იჩენს სინამდვილისას და ამ მხრით იგი რეალისტ მწერალთა საუკეთესო მანერასაც ითვისებს: მას გასაოცარის გამჭრიახობითა აქვს გათვალისწინებული და დასურათებული უცხო ძალის შეჭრა საერო ცხოვრებაში - ორი ძალის სასტიკი და შეურთებელი ბრძოლა, რომელიც იწვევს ერთის მხრისგან ბარბაროსულ მოქმედებას, ხოლო მეორეს მხრისაგან გმირულ თავგანწირულებით აღსავსე წინააღმდეგობას. ძალა, რომელიც სცდილობს, ადგილობრივ მკვიდრს ნება-უნებურად მოახვიოს თავზე მისთვის ყოვლად შეუწყნარებელი და შეუთვისებელი ზნე-ჩვეულება, როგორც ძალა უკულტურო, მართო და მხოლოდ სამხედრო დაპყრობით გატაცებული, თავს იჩენს საოცარ თვითნებობაში, რომელსაც არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს. ძალა, რომელიც მას წინ უხვდება და გატაცებულია თავისთავის დაცვის კანონიერის და დიადის სურვილით, ჰქადაგებს თავგანწირულ, გმირულ, რაინდულ მოღვაწეობას, რომელსაც აღტაცებაში მოვყვართ.



# I

კავკასია ულამაზეს ქვეყნად არის მიჩნეული და ამ ულამაზეს ქვეყნის საუკეთესო მხარე მთებია. რაღა გასაკვირველია, თუ აქ დაბადებული და აღზრდილი ალ. ყაზბეგი უდიდესი მხატვარია. ბუნების სილამაზის აღწერაში მან საუცხოოდ შეიგნო ლირიკული და პლასტიკური მხარე ბუნებისა და საარაკო მხარე ბუნების სიმშვენიერისა სავსებით გვამცნო. გადამალეთ, რომელიც გნებავთ, ნაწარმოები ყაზბეგისა და დასტკბით ბუნების სიმშვენიერით, რომელსაც მწერლის ნიჭი ღვთაებრივს სულს ჩაჰბერავს და აზრსა და გრძნობას გვიხიბლავს. გასაოცარის ხელოვნებით დაგვისურათა ყაზბეგმა ის უხილავი ძლიერი კავშირი, რომელიც არსებობს მთის შვილსა, საზოგადოდ, ადამიანსა და ბუნებას შორის. ესენი თითქო ერთად შეზრდილნი, ერთად შედუღებულნი არიან სულითა და გულით, გრძნობითა და გონებით, ამიტომაც არის, რომ ბუნება ყაზბეგისა კაცის მეგობარია, კაცის ნუგეში, კაცის აღშფოთებულის გრძნობის თავშესაფარი. ნახეთ, რა გავლენა აქვს ბუნების დიად სანახავს ამ მთიელ მწყემსებზე, ნახეთ, რანაირის აღტაცებითა და ალერსით შეჰყურებენ ეს მწყემსები ბუნების მომხიბვლელ სურათს, ნახეთ და დამერწმუნეთ, რომ ბეჟიასა, ონისესა და მათიას სახეში აქ მარტო მთიელი მწყემსები არ გვევლინებიან, არამედ თვით ავტორი რომანტიკულის გრძნობებით აღვსილი ბუნებისადმი, რომელიც აღშფოთებულის სულის დასამშვიდებლად ღვთივ-მშვენიერ ბუნებას მიმართავს ხოლმე.

“ჯერ კიდევ არ დაბნელებულიყო და მზე უკანასკნელ სხივებს ესროდა მთის წვერებს, როდესაც კობამ მიადწია ხიდის ბახატს (ჩანჩქარს), რომელიც თეთრ რქედ გადაქცეულიყო და ვარდებოდა აუარებელის სიმაღლიდან; ღრიალებდა, ჯავრდებოდა, იმქრეოდა წვრილს ნამად, რომელშიაც ბრწყინავდა, ელვარებდა მზის სხივი, შეხამებული ათასგვარ ნაზ ფერადათ, რომელიც ორს-სამს ალაგას ხროვდებოდა და ცისარტყელას მსგავსად იდგა.

ქვემოდ რგვლად შემორტყმული მშვენიერი მწვანე ტყე, იმის იქით მეორე მთის მხრიდან ჩამონადენი წვრილი შავი ქვიშა, ერთოდენ მხარეზედაც პატარა გორაკი, რომელიც თავდებოდა რგვალის, ზურმუხტოვანის, შემკულის ათასის ფერის სურნელიანის ყვავილებით, მინდვრით; იქვე აუარებელი “ხახამა”, მარწყვი და “შავი-ხილი”, რომლის სისხოც და გემოც გაგაოცებდათ; ცოტა ტყის იქითგან ფიწალო, ჩამოლესილი კლდეები, რომლის წვერებიც ისე უსწორმასწოროდ ამართულიყვნენ და იკარგებოდნენ ცის სივრცეში.

ხიდის ხეობის ერთ მხარეს მივიდა კობა და დაყრდნობილი თავის თოფზედ, გაჰყურებდა ამ მიმზიდველ სურათს, სადაც ნაზი ფერი და მდეზარეობა არ ეოდა გარეგნულს ამყს და მკაცრს ბუნებას და თვით ჰარმონიით შეხამებულიყო. დიდი ხანი იყო, რაც კობას ამგვარი სურათები აღარ ენახა და მით უფრო ტკბილი იყო, რომ მისი შეჩვეული ბუნება ითხოვდა ამ გვარს გართობას, თვალისა და გრძნობის დატკბობას”. (ხაზი ყველგან ჩვენ გვეკუთვნის-კ.ა.)

“არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც მეორე მხარეს კლდის კინწრიხოზედ ამაყად გადმოდგა “ხარი ჯიხვი”, ვეებერთელა მოხრილის რქებით, თითქმის ნახევრად გადმოიხნიქა კლდეზედ და გახურებული შუბლი მიუშვირა ნიავს. ის იდგა ამაყად, უშიშრად: ჰგრძნობდა, რომ თავის სამფლობელოში იყო.

მართლა, თავდამავიწყებელს სურათს წარმოადგენდა ეს ჯიხვი, გადმოხნიქილი მაღალ პლატოზედ, თითქოს ქვიდგან გამოჭრილი და გამოკეთებული ამ კლდეს, რომლის რქებიც, დაფერილი უკანასკნელი მზის სხივებით, ისე აშკარად იხატებოდა ცის კიდურზე. ის იდგა ისე გაუნძრევლად და კობასაც ეშინოდა განძრევა, რათა ხმაურობით არ დაეღვია სიამოვნება ამ ლაზათით სავსე პირუტყვისათვის”.

მეშინიან მეტისმეტად არ გაგრძელდეს ამ მშვენიერ ადგილის ამოწერა, მაგრამ ყოველსავე სტრიქონს ყაზბეგისას, რომელსაც საგნად ბუნების აღწერა აქვს, იმდენად ღრმა აზრი აქვს, იმდენად მშვენიერია, რომ თავს ვერ იკავებ კაცი და ძალაუნებურად სძლევ გარეგან მოთხოვნილებას წერილისას და სიგრძეს ყურადღებას აღარ აქცევ. მეტად ძნელია, ენით გამოსთქვა პოეტური და ფილოსოფიური შინაარსი ამ სურათებისა, მათი გადმოცემა მოკლედ ძნელია, საჭიროა ყოველის სტრიქონით, ყოველის სიტყვით თვით მკითხველი დასტკბეს. მაშ, განვაგრძოთ:

“ერთბაზად მოისმა სტვენის მიმსგავსი ფრუტუნნი და ნადირი ერთბაზად წატრიალდა. კობამაც მიიხედა იქით და დაინახა ისეთივე გალადებული ხარი, როგორიც იდგა კლდის წვერზედ. ის მიდიოდა მეორე ჯიხვისკენ წყნარად, დარწმუნებული თავის უპირატესობაში და თავის ქნევით თითქოს მუქარას სთხოვდაო. იმის იქითგან გამოჩნდა რამდენიმე თხა და წალი, რომლებიც შესდგნენ და დაუწყეს ყურება ამ ორ მეტოქე ხარს, რომელთაც, უეჭველია, თავის გამოჩენა

უნდოდან ნაზი ქმნილების წინაშე. კლდეზედ მყოფი ხარ-ლადი წამოუბრუნდა, დაიფრუტუნა და წყნარისავე სიარულით, თავის ქნევით გასწივა მომავლისაკენ. როდესაც ისინი მიუახლოვდნენ ერთმანეთს რამდენიმე ნაბიჯზედ, შესდგნენ, დაუწყეს ერთმანეთს მრისხანედ ყურება და ფეხებით მიწას ცემა. როგორც ეტყობოდა, ისინი რაღაცას ანიშნებდნენ ერთმანეთს, არა სთანხმდებოდნენ და, რაკი ვერ დაჰყაბულდნენ ერთმანეთს, გაექანნენ, რქებით დაეჯახნენ. ამის შემდეგ ესენი აწვებოდნენ ერთმანეთს რამდენიმე ხანი ისე ძლიერად, რომ გატენილი ძარღვები ლამის ასკდებოდან, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დასძლია, ვერ დაახვეინა უკან.

ბოლოს, ისინი გაჰშორდნენ ერთმანეთს; ერთი მათგანი წავიდა ხტუნაობით, მივიდა ზედ კლდის პირზედ, გამობრუნდა, გაიმოწკა ფეხები, გამაგრდა და მოიღერა კისერი; მეორე ჯიხვი კი ზევითგან მოექცა, შედგა უკანა ფეხებზედ, წამოვიდა ისე და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაეცა რქებით კლდის პირა მყოფს ჯიხვს რქებზედ. მას უკან ქვევითი გამოსცვალა ზევითმა და ეს დადგა ამავე გვარად კლდის ნაპირას და პირველი კი შეტოტდა და დაეცა. ყოველი იმათი რქების მოხვედრა ერთმანეთს ისეთ ხმას გამოიღებდა, თითქოს რამდენიმე თოფი ერთად გავარდაო. ღმერთსაც ნუ ექმნა, რომ ქვევითს ელატნა ზევითისთვის, გასცლოდა იმ დროს, როდესაც მეორე მოდიოდა, თორემ იმას აღარა იხსნიდა რა: რამდენიმე ასი საჟენის სიმაღლითგან გადავარდნილს სული აღარ ჩაჰყვებოდა ხევამდინ. მაგრამ არ წმუნებულ იქვევითის უღალატობას, მოდიოდა ეს შნოებით სავსე პირუტყვი და მხოლოდ იმაზე დაჰფიქრობდა, რომ რამდენადაც შეიძლებოდა, ძალზედ დაეკრა.

წალები და ირმები კი თავიანთის ეშმაკურის სიმკვირცხლით დახტოდნენ იმათ ახლოს, თითქოს ამით უნდოდან მეტად წაექეზებინათ მებრძოლი, რომლების ქვევაც ასე მოსწონდან.

კობა უყურებდა და გატაცებით, გაშმაგებით და შეჰნატროდა ამ პირუტყვით ზნესა და ჩვეულებას, რომელსაც ერთი ერთზედ გამოჰყავდა და ერთს ერთთან აბრძოლებდა”.

ამგვარად შესტრფიან ბუნებას მოხევენი, ეს რომანტიკოსი პოეტნი, და ბუნებაც მათ წინა შლის მთელს სიღრმეს თავის მშვენიერებისას. აბა, განა რაღაც ზნეობრივი მასწავლებელი არ უნდა გამხდარიყო გულმხურვალე მოხვეისათვის ეს ბუნება, სადაც სიყვარული და სქესებრივი გრძნობები ისეთს მშვიდს, ისეთს თამამისებურ ბრძოლას იწვევს, როგორც ორი ხარჯიხვის ბრძოლაა. გირგოლა და გელა, ონისე და მათია სულ სხვაგვარ იქვევინ, ისინი, სიყვარულით გატაცებულნი, ბოროტმოქმედებას სჩადიან, კაცის, მოწინაღმდეგის სიკვდილს როდი ერიდებიან, მაშინ როდესაც ჯიხვები კეთილშობილ ბრძოლაში ესარჩლებიან ერთმანეთს, რომ რაინდულის სიმამაცით მოხიბლონ სატრფო და არავითარი ბოროტი განზრახვა არა აქვს მათ შებრძოლებას შერეული.

ავიღოთ ეხლა მეორე ადგილი, საცა ბუნების სიმშვენიერე და ამ სიმშვენიერით აღტაცებული მოხევე ერთს სურათს წარმოადგენენ.

“მშვენიერ გაზაფხულის დღეს, ბურსაჭირის ფერდობზედ ცხვარი თეთრად შეფენილიყო და ძოვნით ყინულიან წვერებისაკენ, სადაც ბატკნებს უნდა ეთამაშნათ, მიდიოდა. ყმაწვილი მწყემსი, ახლად წვერულვამაშლილი, გასულიყო მაღალ ქედზედ და იქიდან გასცქეროდა თავის “საყვარელ” პირუტყვებს.

ქვევით დღეე ორსა თუ სამს ვერსზედ ვაკედ მიდიოდა და ზედ ანკარა მთის წყალი გველსავით მიიკლაკნებოდა.

ბურსაჭირის მეორე მხარესაც ჯერ მწვანე ზურმუხტის ფერი ველიანი მისდევდა და თავდებოდა ზოგან ჩონჩხებით, ზოგანაც სიპი კლდეებით. აქა-იქ გადმოსჩქეფდა რძესავით თეთრი ნაკადულები, რომელნიც გაცოფებულს მხეცსავით ეცემოდა ჩამოლესილს კლდეებს და წვრილს ნამად იფრქვეოდა. წყნარი ნიავი იშვიათად ჰბერავდა და აგრილებდა მზისაგან გახურებულს ადგილებს. ერთს ადგილს, ლაჟვარდოვანს ცაზედ, გაჩერებულიყო ღრუბლის პატარა ნაჭერი, რომელიც ხან იკარგებოდა და ხან ისევ სხვადასხვა გვარ სურათად გამოჩნდებოდა.

ერთს ადგილს, ცის ტატნობაზედ, გამოჩნდა ბუზისოდნად შავი ნიშანი, რომელიც ცოტა ხანს უნძრევლად, გაშეშებულსავით იდგა.

ცოტა ხანმაც გაიარა, შავი საგანი შეინძრა და ცაზედ აშკარად გამოჩნდა არწივის სახე, რომელიც წყნარის, მაგრამ ძლიერის მოძრაობით დანავარდობდა. მწყემსმა დაუწყო ყურება და შემურდა ფრინველის თავისუფლება.

იმ წუთებში ბექიას, - ასე ემახიან მწყემსს - ფრინველად გადაქცევა უნდოდან; ის არა კმაყოფილდებოდა თავის მდგომარეობით, ნატრობდა იმ ძალა

ს, იმ მდგომარეობას, რომელსაც საშუალება მიეცა ყველგან, სადაც კი მოიწადინებდა, გაფრენილიყო, მისულიყო, თავს დასცემოდა.

იმასა ჰსურდა - მისულიყო თავის სოფელში, ზევდან მოეკრა თვალი თავის ციციასათვის, მოეტაცნა და წასულიყო ისე შორს, შორს, რომ კაცის ხმა ვერ მისწვდომოდა. ბექია ამ ფიქრებში იყო, როდესაც არწივი ერთბაშად დედამიწისაკენ შურდულივით დაეშვა და რაღასაც ძალზედ დაჰქროლა.

მწყემსმა გაიხედა იმ მხარეს და დაინახა შემინებული კურდღელი, რომელსაც ყურები დაეცქვიტა და გარბოდა ბუჩქებისაკენ, სადაც თავის შეფარებას აპირებდა.

დაგერშილი არწივი კურდღელს მოშორებით თითქმის სრულად დაეშვა დედამიწაზე და ისე გაჰქროლა თავის მსხვერპლისკენ, რომელიც წუთით-წუთზედ უახლოვდებოდა.

აგრ წამოეწია, გაშალა კლანჭები და იმ წუთში, როდესაც წელში გავლებას უპირებდა, კურდღელმა “უქცია”, გახტა გვერდზე და აიცდინა არწივი, რომელმაც გამალების გამო თავი ვეღარ დაიმაგრა და გაშორდა.

ბექია გატაცებით და გულისძგერით უყურებდა ამ სურათს, გულით მესტროფოდა ფრინველთ მეფის სიმარდეს, სიამაყით და მედიდურობით სავსე მოძრაობას, მაგრამ კურდღელიც ებრა-ლებოდა, თანაუგრძნობდა იმის მდგომარეობას, იმიტომ რომ კურდღელი, თუმცა “ბეჩავია”, მაგრამ ისიც “ღვთის გაჩენილია”.

(ხაზი ყველგან ჩვენია-კ.ბ.). ამისთვის, როდესაც პატარა პირუტყვი თავის მტარვალს გაუსხლტა, ქმენა შეწყვეტილმა მწყემსმა ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა. მაგრამ ბექიას სიხარული დიდხანს არ გაგრძელდა, რადგანაც არწივმა თავი შეიმაგრა, გადმოჰხედა ჩასისხლებულის თვალებით და, რა დაინახა კურდღელი, ისევ გამოეკიდა უფრო გაბეცებულის სიკაპასით და სიჩქარით. ჩქარა წამოეწია თავის მსხვერპლს, რომელმაც ისურვა წინანდელი ეშმაკობის ხმარება, მაგრამ ჰაერში აფრენილი ძირს აღარ დაცემულა: არწივის კლანჭებმა წელამდე მაგრად ჩაავლეს და ისე მოუჭირეს ზედ, რომ დაკნავლებასთან ერთად სული ამოჰხდა, თავმოწონებულმა არწივმა აიწია მაღლა, ამაყად გადმოჰხედა იქაურობას და მერე დაეშვა მიწაზე, სადაც ძიძგნა დაუწყო თავის ნანადირევს.

ბექიამ გაივლო თოფს ხელი, წამოეპარა არწივს, გაუმიზნა და თავგახვრეტილი იქავე გააგორა.

- “ჰეე!.. გეეე შენ! დაიძახა იმან და გადმოიტრიალა თოფი”.

ამგვარადვე შეკავშირებულია ყაზბეგის მოხვეე ბუნებასთან. იგი სრული თანამოზიარეა და თანამგრძნობი ბუნების მოვლენისა და მოქმედებისა. იქ ხარ-ჯიხვების თამაშ-ბრძოლას შესტრფის და უკვირდება, ბუნების უძლეველ მოთხოვნილებათა შესახებ როგორ იქცევიან ბუნების შვილნი, რარიგ დინჯადა და ღრმად განსჯიან ამ მოთხოვნილებათაგან გამოწვეულს მოქმედებას. ბრძოლა სიყვარულისათვის მათთვის თამაშია კეთილშობილებით აღსავსე და არა ბრძოლა ზიზღითა და კბილის ღრჭენით შეზავებული, როგორც ესა სჭირთ ადამიანის შვილებს. აქ არწივის ძლევა მოსილ ნადირობას უცქერის, შეჰხარის არწივის ძალას და, როგორც ბუნებასთან დაახლოვებულს, მას არწივი მოსწონს მედიდური და ძლიერი; “ბეჩავი” კურდღელი მარტო იმით იწვევს მის სიბრალულს, რომ ისიც “ღვთის გაჩენილია”; მაგრამ თუ ამ ბრძოლაში ჩაერევა, არა მგონია, იმიტომ, რომ კურდღლის “ბეჩავობას” გამოეყომაგოს, თვით უნდა თავისი ძალი გამოიჩინოს და დასტკბეს მით, რომ არწივს, ამ მეფეს ფრინველთა, სძლევს კაცი, მეფე ბუნებისა.

ნუ გეგონებათ, რომ ბუნებას კაცის შერევა აცხოველებს, სულს უდგამს. არა, ბუნება თვით ცოცხალია, ბუნებას თვითა აქვს სული და გული, გრძნობა და აზრი. ყოველივე ნაწილი ბუნებისა მოძრაობს, მოქმედებს, ჰგრძნობს და ჰქმნის საერთოდ დიდებულს ჰარმონიას. ნახეთ, რა პანთეისტურის პოეზიით არის აღსავსე ეს სურათი:

“შხემ წვერი ამოყო და სუნჯის ტყის ფოთლები მოჰჭინა ოქროს ფერად. აქამდისინ გაჩუმებული ბუნება თითქოს დიმილით მიეგება მოდიმიმე მნათობს, ყველა ცხოველი გრძნობდა, რომ ის ცოცხალია და მისთვის ეძლეოდა თავისუფალს მხიარულებას; თვით უძრავნი ყვავილნიც კი თითქოს შეინძრნენ, გადაიშალნენ, იცვალეს მკრთალი ფერი და დამისნამით გამოდვიძებულნი, მსწრაფად გაცხოვლდნენ, რათა უმანკო სურნელთ ნაზად და კეკლუცად მზისკენ მიექციათ თავიანთი ნაზი სახე. გაუმაძღარი და შეუბრალებელი შუქი მოუსვენრად დაძვრებოდა ხლართულ ფურცლებ შუა, რათა თვალი შეაკრა იმათთვის და დამტკბარიყო სიამოვნებით. წყარო ანკარა და წმინდა, როგორც ნამი, წყნარად ჩამოჩხრიალებდა და უალერსებდა ერთმანეთის მოარშიყე ბუნების ქმნილებათ. მოუსვენარი ფუტკარი, გამოსული დილის

სამუშაოზე, არკმაყოფილებოდა ერთისადგილით, იმასიზიდავდასხვადასხვასურნელებითავიანთისსიკველვითადასინაზით, რომელნიცათასფერადშეხამებულიყვნენ”.

ერთბაშათამსაერთოჰარმონიასშეუერთდახმელიწიწკებისმტვრევისხმა: აშკარადასჩანდა, რომრადაცასულდგმულიგამოსულიყოამადგილებში-უთუოდ, იმასაცუნდოდადამტკბარიყობუნებისსაერთომოწყობილისმშვენიერებით. ამისთვისიზრუნაბუნებამ, ამისთვისეცადა, ამისთვისშეამკოდედამიწა, რომსულდგმულთყოველივენეტარებითისიამოვნონ, ისარგებლონ” (“მამისმკვლელი”, ხაზიყველგანჩვენია-კ.ა.).

ხომხედავთ, რომბუნებისსხვადასხვა მოვლენისშორისაც იგივემჭიდროკავშირია, რაცადამიანსადაბუნებასშორის. ბუნებალიმილითეგებებაგანმაცხოველებელმნათობს, ყოველიცხოველისიცოცხლესადათავისუფლებასშეხარის; ყვავილთგულ-მკერდიგადაშალეს, რათახარბადდასწავებოდნენსიცოცხლისძალას-სხივებსმნათობისას; თვითმზისშუქიკიგამალბულიგადადისერთისსაგნიდანმეორეზე, რომყველაუნაკლულოდ, სავსებითდააკმაყოფილოს: ყოველსავეამაშიკიგამოსჭვივისბუნებისმზრუნველობა, ბუნებისმეგობრულიგანწყობილება, ბუნებისდედობრივისიყვარულითავისნაწილებისადმი; “ბუნებამიმისთვისშეამკოდედამიწაო, - გვარწმუნებსავტორი, - რომსულდგმულთყოველივენეტარებითისიამოვნონ, ისარგებლონ”.

ყოველსნაბიჯზედსჩანსესბუნებისთანაგრძნობა, კეთილიგანწყობილებაადამიანისშესახებაც. მათიას, ელგუჯასძმადგაფიცულს, გულშიელგუჯასსატრფოსმზალოსსიყვარულიჩაუვარდება. ბუნებისშვილიმოხევესიყვარულისძალასშეპყრობილიჰყავს. საზოგადოებრივისაზრისშექმნილბორკილებს, ზნეობრივმოსაზრებათასასტიკკანონებსვერაგაუწყვიტა-რაბუნებისფატალურძალისწინააღმდეგიმისმეტი, რომადამიანისათვისერთიმეტისატანჯავიკიდევგაუჩენია: სინიდისისქენჯნა, უძლურებადაუშწეობა, სავსებითდასტკბესმით, რაცაუცილებელია. კაცთაშორისსაქმესეადვილადროდისწყდება, როგორცჯიხვთადაირემთაშორის. აქბრძოლასიკვდილამდისმიდის, დაბრძოლისშემდეგკიდევვერაჰყოფსუზრუნველსგამარჯვებულს. ქალითხაარარის, არცდედალიცხვარი, რომიმასდამორჩილდესსიამოვნებით, ვინცგამარჯვებულადარჩება. ქალისგულსთავისიმოთხოვნილებააქვს, აქვსთავისიჟინი, რომლისწინააღმდეგაცვერასგახდებავერავითარიგამარჯვება. მართალია, ქალსაცმოსწონსძალა, გრძნობა, გამარჯვება, მაგრამყოველსავეამასმაშინაქვსმნიშვნელობა, თუმისიგულიცგამარჯვებულისაკენიწევს. შესაძლოაშიმამაცემდარაინდულმაგამარჯვებამქალისგულშისიყვარულიდაჰზადოს, მაგრამარშეუძლიანკიუეცრადდაბადებულისადაგამლიერებულისსიყვარულისცეცხლიგააქროს.

სიყვარულისძალასდღევანდელ“განათლებულ“-ზეუფრომთიელიჰგრძნობს. დღევანდელ“განათლებულს“გრძნობა“სხვადასხვა მოსაზრებით”დაჩლოუნებელიაქვს: იმისგონებაშიარშინიდაგირვანქაბევრსანიშნავს. მისთვისთავისგანწირვა, უბრალოფუფუნებისადაკმაყოფილებისდათმობაგრძნობისათვის, რაცუნდაძლიერიიყოსესგრძნობა, რადაცმოუხერხებელიხდება. საუკუნებისგანმავლობაშიცრუდგაგებულმასოციალურმა მოთხოვნილებამდასახიჩრა მისიგრძნობები, დაუჩლოუნადადაუსუსტასიცოცხლისძალა. მისთვისდიდიგრძნობებიგაუგებარია, მისთვისდიდიანგარიშებია მხოლოდსაყურადღებოდათაყვანსაცემი.

მათიაიტანჯება, რომძმადგაფიცულისსატრფოსადმიდაებადაგრძნობა, რომელიც, საზოგადოებისკანონისმიხედვით, ცოდვადარის აღიარებული, რადგანიგიძმადგაფიცულის“უფლებას”ეხება. დამინებასაპირობდადაამაზრითმიწვა მინდორზედათვალეებიდახუჭა:

“ამოიხრადაგადაბრუნდამეორეგვერდზედ. მთვარე, რომელიციმღამესთითქოსგანგებისედაკაშკაშებულყო, ჰფენდადედამიწასთავისსხივითდაკაცისგულსაგნებდათავისმდეღვარებას, მწუხარებას. მათიასგადაბრუნებაზედმთვარისშუქიპირდაპირპირისახეზედმიადგადაძალათითვალეებიგაახელინა. ისგადმობრუნდაგულაღმადადაუწყო მთვარესგატაცებითყურება, რომელიცთანაგრძნობითუალერსებდა, იმისგახურვებულსგრძნობასეუბნებოდა: “შენუბედურიხარდამე, მარტომეთანაგიგრძნობშენ. მე მომენდე, მე არასოდესარგაცემ, მარტომეშემიძლიანშენისაიდუმლოსშენახვა”. ასეთიმოქმედებაჰქონდა მთვარესმათიზედ, დაიმანაცგადაშალათავისიგული, თავისიგრძნობადაყველა, ყველაფერიმიანდომსაერთოშეყვარებულთამოწამეს” (“ელგუჯა”).

მარტომშრალთანაგრძნობასროდიაკმარებსბუნებასიყვარულისცოდვითშეპყრობილმათიას. იგი მასგულსუამებს, უალერსებს, მომხიბვლელსურათებსუყენებსიმისფანტაზიასდააბოზოქრებულგრძნობებსუწყნარებს.

“მშვენიერი საღამო, ნათელი მთვარე, მშვენიერი ბუნება იზიდავდა კაცს აგანმარტოებულს ოცნებისთვის. მათია გამოვიდა საიასაულოდგან, წყნარად გაიარა მინდორი და მივიდა არაგვის პირს, რომელიც თავის ჩხრილით თითქოს უალერსებს დაძინებულ ბუნებას. ეს ხმა ამ მყუდროებაში ისე უალერსებს და, ისე უყვავებდა მათიას, რომ იმის რკინის გული მოაღბო და აღუძრა ათას გვარი ფიქრი ერთიერთმანეთზე და სასიამოვნო, ერთიმეორეზე დასანატრელი, შეუმღებელი. ის შევიდა ოცნებაში და წარმოიდგინა თავისი თავი ბედნიერად, რომელსაც ალერსით ახარებდა მზალო იმ წუთებში. ის დარწმუნებული იყო, რომ ამ ქალს მარტო ის უყვარდა, მარტო იმაზედ ჰფიქრობდა და ქვეყანაზედ არავისზედ არ გასცვლიდა იმას!.. ის თავის ოცნებამ იქამდინაც კი გაიტაცა, რომ საყვარელი ქალი მთელის თავის მშვენიერებით თვალწინ წარმოუდგა. ის ხელსა ჰკიდებდა ნაზ ტანს, შეჰყურებდა მშვენიერს ჟუჟუნა თვალეში და პირი ისე ახლოს მიეტანა, რომ თითქმის სუნთქვასაც კი ჰგრძნობდა. მათიას თვალწინ ეხატებოდა გიშრის ფერი თმები, რომელიც ქარს გაეწეწა, წყნარად არხევდა, ხვდებოდა იმის პირისსახეს და სასიამოვნო ლუტუნით ნეტარების მღელვარებას აღუძრავდა... ის ნიავის მსგავსის ჩურჩულით, სავსე კრძაღვით და უმანკოებით წარმოსთქვამდა ფიცს სამუდამო სიყვარულზედ და ერთგულებაზედ. მათია დარწმუნებული იყო, რომ ეს ყველა არ იყო ოცნების ნამუშევარი, რომელშიაც გულს ისე დაეჯალდა ჰკუა, რომ თავის სასურველს სურათებს წარმოადგენდა ცოცხალ მოქმედებად” (“ელგუჯა”).

ბუნება უბედურებაში თუ ხელს უწყდის კაცს, ამ უბედურებასაც წინათ აგრძნობინებს. ბუნება, თითქო შეიგნებს, რომ უბედურება მოსალოდნელია და რისხვით აღიჭურვება, მეხსა და ელვას ისვრის, წვიმით ცრემლებს აფრქვევს და ქარბუქით ზუზუნებს.

როდესაც გირგოლა (მაზლი) ძალით გატაცებულ რძალს - ნუნუს - ნამუსის ახდას უპირებს, ბუნება წინდაწინვე მოიღუშება და ქვეყანას ატყობინებს სამგლოვიარო ზარით, რომ დღეს რაღაც საშინელი ბოროტმოქმედება მოხდება.

“როდესაც გირგოლა მოვიდა ქობის კართან, მზე გადაწვერილიყო და უკანასკნელ სხივებს ოქროსფრად მოეფარათ უსწორმასწოროდ აშვერილი კლდის წვერები. იმათ თითქოს უკანასკნელად ესალმებოდა ეს შუქი და შეეწეხებულის მთის წვერებს ამ გვარის უძღურობით ფერი სცვლოდათ, ჩრდილოეთიდან მთა-მთა, როგორც მოწინავე ჯარი, წყნარად მიიპარებოდა ნისლის პატარა ნაჭრები და, ამათ ცოტა დაშორებით, შემოჭედილიყო შავად მოქცეული ნისლი. წინ უხვდებოდა კვირცხლი ნიავი, შლიდა, აბრუნებდა, ატრიალებდა, მაგრამ ნისლს თანდათან ემატებოდა; ის იზრდებოდა თანდათან და ჯერ შეუმჩნევლად, თითო ნაბიჯით მიიპარებოდა; მერ ერთბაშად დაჰბერა ჩრდილოეთის ქარმა და გამოსწია შეუპოვარ მანისლმა; აქამდისინ მხიარული დღე, ერთბაშად მოიქცა პირქუშ მგლოვიარედ. გადადემიწა მოიფერა ტყვის ფრად და ეს ფერი თითქოს მძიმე ლოდს ადებდა ადამიანის გულს.

ბოლოს, ერთბაშად შეცხა, შეჩერდა ქარი, გაჩუმდა ყოველის ფერი ბუნებაში; თითონ ჩამონადენი წყლის ჩხრილიც კი უფრო ყრუდ მოისმოდა; კაკბების კაკანი და შურთხთა სტვენა, ისე ჩვეულებრივი, საღამოს აღარ მოისმოდა.

ერთბაშად იჭექა ცამ, მოისმა გრიალი და ამას მოჰყვა წვრილი, მაგრამ ჩქარი, ხორხომელა წვიმასთან ერთად ნარევი. მთა, მინდორი, დღეები ერთბაშათ თითქოს მდინარეებად გარდაიქცა და, გალექებული წარმოუთქმელის ძალით, გაქანდა თავქვე.

გირგოლა თითქოს გაექვავებინა ბუნების ძალას, შიგ გამოქვაბულს კარებში გაჩერებულ იყო.

ნუნუ მწარედ დაღონებული, მობუზული იჯდა კერის პირას და ჰფიქრობდა თავის მწარედღეებზედ; იმისი პირისსახე დამსგავსებოდა წმინდა სანთელს და ჟუჟუნა, მომღიმარი თვალეები თითქოს სადღაც ჯურღმულში ჩასცვინოდა.

პირველმა დაქუხებამ ორნიც იქ მყოფი შეაკრთო. ნუნუმ გადიწერა პირჯვარი და გირგოლა კი შინ შევიდა.

ქობში საკმაოდ ჩამობნელდა და მხოლოდ ჩქარ-ჩქარი ელვა ანათებდა იქაურობას. გირგოლა მივიდა, ჩამოჯდა “მარტო სკამზედ” და ჩაფიქრდა. ნუნუ მთლათ ცახცახებდა. მობურვილი დღის მიზეხით, თუ სხვა რომელიმე გრძნობათა მღელვარების გამო. იმას გული უდუღდა და ცრემლები მოსდიოდა თვალეში. კარგა ხანს ასე ჩუმად ისხდნენ.”

როგორც ნისლის პატარა ნაჭრები ბოლოს შავ ღრუბლებად იქცა, ჭექა-ქუხილი ასტყდა და გადადემიწა შესძრა, ისე შემოიპარა გირგოლა, ეს გაპირუტყვებული კაცი და ჩვეულებისა და რჯულის გამტეხი, გარემოების წყალობით გაზვიადებული და გამედიდურებული ადამიანი ევა რძალს და

ნამუსის ახდა მოინდომა. გირგოლას გაშმაგებით ჩაველო ქალისთვის, თავის რძლისთვის, ხელი, მეორე ხელი მოჰხვია წელზედ, მიიკრა ახლო და აცახცახებულის, ნერწყვ-მოსულის ტუჩებით საკოცნელად მიიზიდა, მაგრამ ი მ ა ნ მ ი ა ხ ლ ო ვ ე ბ ა ვ ე რ მ ო ა ს წ რ ო, რ ო დ ე ს ა ც ც ა მ ძ ა ლ ზ ე დ ი ჭ ე ქ ა და უსიამოვნო გოგირდის სუნი დატრიალდა; ეტყობოდა ახლო-მახლოს სადმე მეხი უნდა ჩამოვარდნილიყო”. ასეთს მონაწილეობას იღებს ბუნება კაცის, მოხვევის ცხოვრებაში. მაგრამ კაცი ხომ მეფეა ბუნებისა და მეფურად იქცევა, იგი გვერდს უქცევს ბუნების გაფრთხილებასაც, საზოგადოების კანონსაც, ზნეობრივ სიფაქიზესაც და, პირუტყვულის ჟინით გატაცებული, ბოროტმოქმედებას სჩადის - ნამუსსა ჰხდის გაუბედურებულს, ძალით მოტაცებულს რძალს.

გავიხსენოთ საოცარი სურათი “მოდვრიდან:” მაყვალას ონისესაგან მოკვლის დამე, რა ტრაგიზმით აღსავსეა ბუნების მონაწილეობა ამ მოვლენაში, რა ტირილითა და მოთქმით არის აღსავსე ეს დამე, მოწმე საშინელის უბედურებისა:

მაყვალა მოძღვართან არის; ძილს აპირებს. ის იყო პირჯვარი უნდა გადაეწერა, მაგრამ ხელი გაშეშებული შერჩა.

მოესმა, თითქოს კარს ვიღაცა მოაწვაო, მაგრამ მაშინვე ქარის წივილი გაისმა და დაწყნარებით წარმოსთქვა:

- “ტიალი, რა დამეა?! დმერთმა ჰქმნას, რომ მშვიდობიანად გაიაროს.

გადიწერა პირჯვარი და თვალები მოხუჭა, მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ ძ ი ლ ი ე რ თ ბ ა შ ა თ გა უ კ რ თ ა და ა თ ა ს მ ა ს ა გ ო ნ ე ბ ე ლ მ ა წ ა ი ლ ო.

ქალი ვერ მიმხვდარიყო, რა მიზეზით არ ეძინებოდა, რადგანაც ამ წუთის წინეთ კინაღამ ზეზურ წაიქცა, იქამდის დაღალვასა და მოსვენების საჭიროებასა ჰგრძნობდა.

ეს არ იყო შიში მარტოობისაგან აღძრული, რადგანაც მაყვალა მარტოობაში ერთხელ არ ყოფილიყო და არაერთხელ პირისპირ შეჰხვედროდა განუცდელს.

ეს არ იყო არც მეტისმეტად დასუსტებულის ადამიანის ძილის გაკრთობა, რომელიც ძარღვებს უდუნებს და სასარგებლო განსვენების საშუალებას უსპობს, მაშ რა უნდა ყოფილიყო?.

ამას თითონ მაყვალაც ვერ გეტყოდათ. ისა გრძნობდა მხოლოდ, რომ ძილი უნდოდა და ვერ დაეძინა; და მ შ ვ ი დ ე ბ ა უ ნ დ ო და და გ უ ლ ი რ ა ღ ა ც ა გა მ ო უ რ კ ვ ე ვ ე ლ ს ც ა ხ ც ა ხ შ ი ი ყ ო. მ ო ე ლ ო და რ ა ღ ა ც ა ს, მ ა გ რ ა მ რ ა ს? აი, ის ელოდა რაღაცას, რომელიც გულსა ლევდა, უსიამოვნებას აღუმრავდა და გამოურკვევლობაში ჩავარდნილს რ ა ღ ა ც ა უ ძ ლ უ რ ე ბ ა თ ი თ ქ ო ს ყ უ რ თ ა ნ ბ ო რ ო ტ ა დ და ს ჩ ხ ა ო და...

დაწყნარდა ყოველისფერი და გაჩუმდა; მხოლოდ ქარი არ ისვენებდა და მალლად ამართულს ასის წლის ხეებს თავს ახრევიებდა. ხანდახან მთებს შეწყვეტებული წამოტრიალდებოდა და გამედგრებული ამოქვამულს კარს მიაწყდებოდა. ქუხილი აღარ ისმოდა, მაგრამ მოჭმუხვნილს ცაზედ ჯერ კიდევ ელაჳდა და ანათებდა წარსულის ავდრით მოოხრებულს მიდამოს. თვით პირუტყვებიც კი თავ-თავიანთ სოროში მიმალულიყვნენ და გზაზედ გამოხედვა ჯერ ვერ გაებედნათ.

ერთბაშად იელვა კიდევ, და ქოხის კარი გაშუქდა. გამოჩნდა მოჩვენებად ცოცხალი კაცი, რომელიც ნაბადში გახვეულიყო და იქავ კლდეს მიჰკუჭნოდა. მობრუნდა, მოტრიალდა ქარიშხალი და ისევ ქოხის კარს მიუვარდა. მის ძალას თუ სხვას რომელსამე შემთხვევას ვედარ გაუძლო კარებმა, გაიღო და აქამდის შეუმჩნეველი ნაბიანი განჰქრა; მიწა გაუსკდა და თან ჩაიტანა, თუ ფრთოვანს, მავნეთ გადაქცეული, ქარს გაჰყვა - პატარა კაცი ვერ იტყოდა.

ჩ ა ბ ნ ე ლ და და ჩ ა ი ხ უ რ ა. ბ უ ნ ე ბ ა მ ის ე ვ გა მ ძ ვ ი- ნ ვ ა რ ე ბ ი თ ღ რ ი ა ლ ი და ი წ ყ ო, ც ა ს ც რ ე მ ლ ი ნ ა კ ა დ უ- ლ ა დ გა დ მ ო ს ც ვ ი ვ და და ქ ა რ მ ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ის გ ო დ ე ბ ა და ზ უ ზ უ ნ ი და ი წ ყ ო... მცირე ხანი, და მას შეუერთდა კვილი ღონემიხდილის ქალისა... ხმა ქარმა გაიტაცა ღრიალით და, ვინ იცის, საით გადაჰქანდა. კიდევ ხმა კვილისა და ზედ მოჰყვა დამაყრუებელი დაჭექება, იფეთქა ელვამ და ქვეყანა უფსკრულში გაეხვია. და თითქო ბუნების კანონების ფატალიზმი, მათი გარდუვალი ძალი, თხოულობდა ამ თავზარდამცემის მოვლენის აღსრულებას.

მეორე დღეს ძილით, ყველაფერი დამშვიდებული იყო და შე ე უ ბ რ ა ლ ე ბ ე ლ ს, გა მ ძ ვ ი ნ ვ ა რ ე ბ უ ლ ს ბუნებას გული მოებრუნებინა. მოწმენდილი ცა გაკრიალებულიყო და მზის სხივი მთის წვერებს შესთამაშებდა. მართალია, მოოხრებული და განადგურებული დედამიწა მწუხრად გამოიყურებოდა, მაგრამ მზე მხიარულად ამოდიოდა და, თითქოს ნუგემის მისაცემად, დასძახოდა: “ნუ სწუხარ! კიდევ შევიძლებ შენს გათბობას, შენს გამშენიერებას. მთის ს უ რ ნ ე ლ ო ვ ა ნ კ ე კ ლ უ ც თ, მ ო ს რ ე ს ი ლ თ წ ა რ ს უ ლ ის შეუწყალებლობით, მისწვდომოდა ეს ხმა და იმედით

გაბრწყინვებულთ ნაზი თავები წამოეყოთ, გახარებული სახე გამოეჩინათ... სვედამომცველის ღამის შემდეგ გაკაშკაშებულს დღეს ფასი უორკედებოდა. მართალია, ბუნება წუხელ მკაცრად მოჰქცეოდა ყველას, შეუბრალებლად დაეჩაგრა ყველაფერი, მაგრამ წყრომა დღეს მოწყალეზად გადაექცია, მოზუზულ-დაღვრემილი მიწა კვლავ პატარძლად მოერთო”.

მართალი გითხრათ, ყველა სტრიქონი ყაზბეგის ბუნების აღწერილობისა შედეგია, რომლითაც თავს მოიწონებდა რომელიც გნებავთ ლიტერატურა. აღარ იცი, რითი აღიტაცო - სურათის სიმშვენიერით, პოეტის ჯადოსნურ ხერხიანობით, თუ იმ ღრმა ბუნების ფილოსოფიით, რომლითაც ეს აღწერილობებია სავსე. აიღეთ, თუ გნებავთ, ეს უკანასკნელი ნაწყვეტი.

ონისეს მაყვალა უნდა მოვლა. ეს არის შედეგი გონებათა და სურვათა ფატალურ ძალისა, მისი ლოგიკური ულოგიკობა, მისი ბუნებრივი უნორმალობა, მისი უკანონო კანონიერება, მისი ზნეობრივი უზნეობა, მისი აუცილებელი შედეგი, რომლის ძალის აწონა შეიძლება მარტო, ამ ძალის მიმართულების ცოდნა და შეგნება კი მარტო შემოქმედს შეუძლიან, სულ ერთია, ვინც უნდა იყოს ეს შემოქმედი, მიწიერი ღვთაება - მგოსანი, პოეტი, თუ ზეციერი გამოუცნობელი ძალა. ბუნება ამ საშინელს მოვლენას ადამიანთა ფსიქიკისას პასუხს გასცემს გამძვინვარებულის ღრიალით, მგლოვიარის გოდებითა და ზუზუნით, ელვითა და ჭექით. აღსრულდა მოვლენა, ისეთივე აუცილებელი მსოფლიოს მსვლელობაში, როგორც ონისესა და მაყვალას სიყვარული, როგორც ელვა და ჭექა, ქარის ზუზუნი და გამძვინვარებული ღრიალი. ეხლა ბუნება დაწყნარებულია, ბუნებას “გული მოუბრუნებია”, ბუნებაში რეაქცია მომხდარა. გუშინდელი დაჭრილები დღეს უნდა გამოაცოცხლოს, დახოცილების პაიკების განმეორების მაგიერი დასვას იმ ჭადრაკის ფიცარზე, რომელსაც ცხოვრება ეწოდება, მოახრებულსა და განადგურებულს დედამიწას ისევ მომხიბვლელი სახე უნდა დაუბრუნოს და მზე, ეს სიცოცხლის დაუმრეტელი წყარო, სასოებითა და იმედით განაბრწყინვალებს სულიერსა და უსულოს.

აქ ჩვენის თვალის წინ იშლება მთელი ცხოვრება მსოფლიოსი, მისის კარგითა და ავით, მისის გლოვა-ტირილით, ნუგეშ-იმედით, ცრემლებითა და ვაებით, გლოვა-ზუზუნით, სიცოცხლის შეზარებითა და სიცოცხლის აღტაცებით.

ჩვენ რომ გავყვით ყაზბეგის სურათების გადმოწერას, მთელი ტომი უნდა გადმოვსწეროთ. მგონი საკმარისია, თუ აქ შევჩერდებით, ყველასათვის ნათელია ამ ნაწყვეტებიდანაც წარმოთქმული სიმშვენიერე და მომხიბლავი სიდიადე ამ სურათებისა. მაგრამ გვერდს ვერ აუვლით ორიოდ ნაწყვეტს, რომელიც დაგვანახვებს, რა საოცარის შემოქმედებითა აქვს ყაზბეგს ნაჩვენები ის იდუმალი, მაგრამ ძლიერი, საოცარი და დიდი კავშირი, რომელიც არსებობს ბუნების ყოველ ნაწილს შორის, სულ ერთია, კაცია იგი, თუ უბრალო ბალახი. მისი გმირები ხომ ყველანი პოეტები არიან, უცნაურის ნაზი გრძნობის ხალხი, რომელთაც მცენარეთა ჩურჩულიც კი ესმით. როცა მისი გმირი წყნარად დაფიქრებული მიდის, “გზიდან ფრთხილად იშორებს კვლავ გადმოხნიეკილს გაფოთლილს ტოტებს. ს ც დ ი ლ ბ ს, რ ო მ შ ტ ო ე ბ ი ს გ ა წ ე ვ ი ს დ რ ო ს უ ც ა ბ ე დ ო მ ო მ რ ა ო ბ ი თ ა ც ა რ ი ს, გ ა ფ უ რ ჩ ქ ვ ნ ი ლ ს ფ ო თ ლ ე ბ ს ა რ ა ა ვ ნ ო ს რ ა დ ა მ ი თ ს ა ე დ ე მ ო მ შ ვ ე ნ ე ბ ი ს ჰ ა რ მ ო ნ ი ა რ დ ა ა რ ღ ვ ო ს” (ხაზი ჩვენია-კ.ა.). აი, რა განწყობილება, რა თვისება არსებობს მის მთიელთა, მოხვევთა და ბუნებას შორის. თვით ბუნებაც მდიდრად აჯილდოებს თავის მეგობრებს, “თ ი თ ქ ო მ წ უ ხ ა რ ე ბ ი ს წ ი ნ ა მ ე თ ვ ი თ ბ უ ნ ე ბ ა ს ა ც მ ო ე ხ ა რ ა თ ა ვ ი და ყ ო ვ ე ლ ი ქ მ ნ ი ლ ე ბ ა გ ა ჩ უ მ ე ბ უ ლ ი ყ ო, რ ო მ მ წ ვ ა ვ ი ხ მ ა მ ტ კ ი ც ე დ შ თ ა ე ბ ე ჭ და თ, ე გ რ ძ ნ ო თ მ ი ს ი ძ ა ლ ა და ყ რ უ დ გ ა მ ე ო რ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ ც რ ე მ ლ ა დ და ფ რ ქ ვ ე უ ლ ი ყ ვ ნ ე ნ. (თითქოს) თვით ცაც კი შეჯერებულიყო უბედურის მწუხარებით და მწარე შეჭმუხვნილი, ადგილ-ადგილ ჩაშავებული ტყვიის ფრად გადაქცეულიყო. დაიწყო წყნარი და ჩუმი ნამვა, რომელიც ყმაწვილის ქალის ჩაწყვდიადებულს თვალთაგან გადმონადენს ცრემლს მიემსგავსებოდა (“მოდვარი”).

“თითქო” ჩვენ ფხიხილებში ჩავსვით. მე მეგონა, ყაზბეგმა აქ ჩვენს შაბლონს დაუთმო, თორემ “თითქოს” ადგილი არ უნდა ჰქონდეს იმ მწერლის აზრში, რომელმაც ასეთის მხურვალის შემოქმედებით დაგვისურათა ბუნების შვილთა შორის გადაბმული უწყვეტელი ჯაჭვი. აბა, ერთი კიდეც “ელისოდან” ამოვიღოთ ორიოდ სტრიქონი. ეს ყაზბეგის საუკეთესო ნაწარმოებად მიგვაჩნია ჩვენ, ვინაიდან ასეთის ძლიერებით ხალხის, მთელის ჯგუფის, თუ გინდათ გრძნობის ფსიქოლოგია, მგონი, იშვიათად დაუხატავს მწერალს. საერთო კვნესა და გოდება გადასასახლებლად გამზადებულ ჩეჩენტა, ისეთის სიმწვავით არის გადმოცემული, რომ თქვენ კითხვის დროს იქცევით იმათის გრძნობის მონაწილედ, მოქმედ პირად და წუთიერს თავის დავიწყებაში ხართ, - ესდენ ძლიერია გრძნეულება დიდის მგოსნისა, ჭიანურის წყნარი ხმა და

წყნარი ზუზუნი, “რომელიც გულის საძირკვილიდან სწყდებოდა, რომელიც ენთებოდა, სდულდა, სწავდა მთქმელს და გამგონს! ი ფ ა ნ ტ ე ბ ო დ ა შ ო რ ს, შ ო რ ს მ ი ნ დ ო რ ზ ე დ, ს ა დ ა ც მ ს უ ბ უ ქ ს ნ ი ა ვ ს მ ი ჰ ქ ო ნ დ ა ყ ო ვ ე ლ ხ ე ს თ ა ნ, ყ ო ვ ე ლ ბ უ ჩ ქ თ ა ნ, ყ ო ვ ე ლ ბ ა ლ ა ხ თ ა ნ დ ა, რ ა მ ი ე კ ა რ ე ბ ო დ ა, თ ი თ ქ ო ს ი ქ ა მ დ ი ს ძ ლ ი ე რ ა დ ა გ რ ძ ნ ო ბ ი ნ ე ბ დ ა თ ა ვ ი ს ძ ა ლ ა ს, რ ო მ მ თ ლ ა დ ა ა თ რ თ ო ლ ე ბ დ ა” (“ელისო”).

მე რამდენჯერმე მოვიხსენიე ყაზბეგი მგოსნად, პოეტად - იმიტომ, რომ მართლა ნამდვილი და ჭეშმარიტი პოეტია იგი ამ სურათებში - როგორ აძლიერებს ხალხის სევდის გრძნობას, როცა ბალახსა და ნიავსაც კი მის ღრმა მონაწილედა და თანამგრძნობლად ხდის, თუ იმით, რომ ამ კვნესისა და ამ ზუზუნის სურათს ასე ხორციელად, ასეთის ძლიერებით გვაგრძნობინებს, რომ ფიზიკურ კანონსაც კი არ დაივიწყებს და ბურქებსა და ბალახებს აათრთოლებინებს ჭიანურის ხმის ძალას.

უკვე ვიცით, რომ მეორე დიდი პოეტი, მთის ბუნების მგოსანი ვაჟა და ძალაუნებურად გინდა შეადარო მის წინამორბედს, მის მოძღვარს, მის გულის მეგობარს ყაზბეგს. პირველის შეხედვით, განსხვავება ცოტაა, მაგრამ ეს განსხვავება მაინც თვალსაჩინოა, თუ დაუკვირდებით. ვაჟა უფრო ობიექტურად უყურებს ბუნებას, ვაჟასათვის ბუნება თავისთავად მშვენიერია, თუკი იგი სიცოცხლის გამოხატველია. ვაჟა ბუნებას უფრო რეალურად უყურებს. ყაზბეგისათვის კი ბუნება არსებობს, როგორც ერთგვარი ნიადაგი, რომელზედაც გამოიხატება მისის გმირების ინდივიდუალობა, პირადობა. ყოველივე ბუნების სურათი მას უთუოდ გატარებული აქვს ბეჭიას, კობას და სხვა მეცხვარეთა ფსიქიკაში. ეს სურათი ისე გვეჩვენება ჩვენ, როგორც იგი ბეჭიასა და ონისეს, გინდ სხვას ეჩვენებოდა. ბუნება ერთგვარი დეკორაციაა, რომლის მართვა-მოწყობა, რომლის სურათი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა როლს თამაშობენ, ან რა განწყობილებაზე არიან ყაზბეგის მეცხვარენი.

მაშინ, როდესაც ვაჟას ბუნება მიაჩნია მსოფლიოს თავისებურ ელემენტად, რომელსაც თავისი ცხოვრება აქვს, თავის მოვლენათა მიმდინარეობა და კავშირი და, როგორც ასეთს, აქვს დამოკიდებულება ადამიანთან, ყაზბეგის ბუნებას ნიადაგ მოსამსახურეს როლი უკავია. იგი ერთგვარი იარაღია, ერთგვარი ქონება, ერთგვარი თავის გასართობი, ერთგვარი ნავთსაყუდელი, თუ გნებავთ, მისი გმირებისა, და სახესაც იმის მიხედვით იცვლის, თუ როგორ გუნებაზე არიან ეს გმირები; ამიტომაც ვაჟას აღწერილობაში პლასტიკა სჭარბობს, ბუნების გარეგანი სახე, მისი მოვლენათა გარეგანი კავშირი; ხოლო ყაზბეგი კი ბუნების საიდუმლო კავშირს გვამცნევს ადამიანთან, მის ფარულ მექანიზმს გვაჩვენებს, რომელიც მუდამ იმ უცნაურის მანქანის პატრონის ხელშია, რომელსაც ადამიანი ეწოდება, და რომელიც იმ ჰანგზე დამღერს, რა რიგადაც მომართავს იგივე ადამიანი. ყაზბეგი ბუნებას ასულდგმულეებს, ხორცს ასხამს და ჰქმნის მას მისის გმირების ერთ, მისის გმირების კვნესა-გოდების, ტანჯვა-ვაების და იშვიათად მათის მხიარულების ხმის გამომცემლად. ვაჟა სცდილობს, ბუნება დაგვისურათოს ისე, როგორც თვით ბუნება სჩანს და არ მოახვიოს მას თავზე არც ერთის მისის გმირის წადილი და სურვილი. ამნაირად ვაჟა სცდილობს, როგორც ყოველი რეალისტი პოეტი, თავის “მე“-ს მისის ჟინით ლაგამი აუღვას და ცოტა მოშორებით დააყენოს. ყაზბეგი კი, პირიქით, სურათს იმ ელფერს აძლევს, იმ განწყობილების გამოხატველად გამოჰყავს, რა განწყობილებაზედაც მისი მეცხვარენი არიან, ე. ი. თვით მგოსანია, რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ყაზბეგის მეცხვარეებს ყაზბეგის სული უდგიათ, მისის გრძნობითა და გონებით არიან აღჭურვილნი, გარედან კი აცვიათ მეცხვარის გაცრეცილი ტყაპუჭები, რომლის ნაფლეთებიდან ნათლადა სჩანს შეგნებული, ძლიერი პიროვნება არა ჩვეულებრივის ადამიანისა, უცნაურის გრძნობებით აღჭურვილისა და მომხიბვლელის გონებით შემკულისა.

## II

ამ საუცხოვო დეკორაციაში იშლება თავზარდამცემი ტრაგედია ცხოვრებისა. ყაზბეგის მოთხრობები (“ელგუჯა,” “მამის მკვლელი,” “მოძღვარი,” “ციცია” და “ელისო”) ერთს საგანს დასტრიალებენ თავს: რა გავლენა იქონია მთიელთა ცხოვრებაზე, რა ცვლილება მოახდინა ფსიქიკაში, რანაირად დაამსხვრია და განადგურა მთიელთა ზნე-ჩვეულებანი მთაში ახალის ბარბაროსულის ძალის შესევამ და დამკვიდრებამ. ამგვარად, ყაზბეგის მოთხრობები სოციოლოგიურის ტიპისანი არიან, ვინაიდან ამ მოთხრობებში ავტორი იკვლევს საზოგადოებრივ მოვლენებს, მათ ღრმა ცვლილებას კვალდაკვალ მისდევს. მაგრამ ყაზბეგი ამითი როდი კმაყოფილდება, ის მთიელთა გულსა და სულსაც გადმოგვიშლის და დაგვანახებს, რა მოძრაობას იწვევს გარეგანი ბრძოლა მათ სულიერ განწყობილებაში. მამასადამე, მისი მოთხრობები



ფსიქოლოგიურ რომანის როლსაც კისრულობენ. ჩვენ ვნახავთ, რომ მისი სოციალური მანერა ეგ. ნინოშვილმა შეითვისა, ხოლო ფსიქოლოგიური შ. არაგვისპირელმა და მისმა სკოლამ (ან. დეკანოზიშვილი, ივ. ზურაბიშვილი, ია. ეკალაძე და სხვ.). ფსიქოლოგიურ რომანში კი ყაზბეგმა შესძლო ისეთი მძიმე ტვირთის მსუბუქად აწევა, როგორც ხალხის, ჯგუფის, ბრბოს ფსიქოლოგია და საუცხოვო ხელოვნებით შეასრულა იგი (“ელიო,” “ციკო” და სხვ.).

მისი გმირები, მთის შვილნი არიან, მთის მდიდარ, მომხიბვლელის ბუნების მიერ აღზრდილნი. მთამ შთაუნერგა მათ სულში დაუშრეტელი წყურვილი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა. მთამ განუვითარა მათ ყოველივე გრძნობა ადამიანისა და ჯანსაღის მხეცისა უმწვერვალესობამდე. გრძნობა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა მოხვევს სულში თვის ფატალურსა და უძლეველს სახეს ღებულობს, როგორც ეს თვით ბუნებაშია. ამით გატაცებული არსება ივიწყებს ყოველივეს და თავგანწირული სავსებით ეძლევა ძლიერს გრძნობას. აქ ვნებათა-ღელვა ისეთი ძლევამოსილობით არის აღჭურვილი, ისეთ საფეხურზე ადის, რომელზედაც აღწევა ყველას არ შეუძლიან.

ნახეთ, რა უეცრად, ვით ცეცხლი ფიჩხს, მოედება ეს გრძნობა ქალსა და ვაჟს. დამერწმუნეთ, ძლიერება ამ გრძნობისა, მისი გამოუცნობლობა, მისი სიღრმე იმაში მდგომარეობს, რომ იგი იბადება პირველსავე წუთში, პირველ შეხვედრისთანავე, როდესაც უხილავი სხივი უცნაურის ძალისა ჩააშუქებს მეორე არსების გულის სიღრმეში, გაიკეთებს იქ ბუდეს და გააჩენს იქ უკვდავ ნასახს დიადის სურვისას. გადაათვალიერეთ, აბა, “ელგუჯა.” მზალო, ჩერქეზის ქალი, ტყვედ მიჰყავს გასასყიდლად ოსს ძლიერ მოხვევე გაგისთან. გაგიმ თვისი ძალა ხალხის ღალატით შეიძინა. მან ხალხის მტერს მისცა მხარი, “ახალი ძალის” უპირატესობა იგრძნო, “დაინახა თავისი მდგომარეობა,” დაინახა, საითკენ უფრო სასარგებლო იყო იმისთვის და გადადგა რუსებისაკენ, “რომლისთვისაც მისცეს აფიცრობა.” ელგუჯა ყარაულად არის და მიჰყვება ოსს გაგის სახლამდე. ელგუჯასა და მზალოს პირველ დანახვისთანავე ერთმანეთი შეუყვარდებათ. ელგუჯა მზალოს გაიტაცებს. გაგი მდევრებით გზაში დაეწევა და ელგუჯას სასიკვდილოდ დასჭრის. თვითონ გაგი კლდეზე გადაიჩეხება, ხოლო მზალოს კი “ნაჩაღნიკი” გააუპატიურებს, ძალით ნამუსს ახდის. ელგუჯა ამ ხანში სიკვდილს გადარჩება სტუმართმოყვარე მეზობლების წყალობით. გაგის მემკვიდრე სვიმონ ჩოფიკაშვილი სულ სხვა ჯურის კაცი იყო, უფრო ზომიერი, რომელსაც “გული კიდევ მთისათვის და თავისუფლებისათვის უცემდა,” - მაგრამ “ძალა აღმართსა ხნავსო,” იცოდა და ამ ძალას გულ დათუთქული ემორჩილებოდა. ამ სვიმონას გაგის სხვა სამკვიდროსთან ერთად მზალოც დარჩა და მისის თანხმობით მზალო ელგუჯამ გაიტაცა და მშვიდობითა და ბედნიერად სცხოვრობდნენ, რომ ერთ დღეს ელგუჯასას ყაზახი რუსები არ შეცვივნულიყვნენ და არ მოესპოთ მისთვის სიცოცხლე.

საკმარისია მარტო ეს მოთხრობა გავითვალისწინოთ, თავიდან ბოლომდე დაუკვირდეთ, რომ მთლად ერთიანად გავიცნოთ ყაზბეგის გულის-ნადები, მისი ბუნების ფილოსოფია, მისი აზრი სიყვარულსა და მეგობრობაზე, მისი საზოგადოებრივი დაკვირვება და ფსიქოლოგიური ნიჭი. ყველა შემდეგი მოთხრობა ასეთივეა: ზოგი უკეთესი, ზოგი კიდევ უფრო მდარე ნახატია იმავე აზრისა და გრძნობისა; ამით ყაზბეგს ერთფეროვნებას კი არ ვწამებთ, პირიქით, იგი ერთფეროვანი არას დროს არ არის, მხოლოდ მასა აქვს, როგორც ყოველ შემოქმედს, თავის შემოქმედების სისტემა და ამ სისტემას, ათასგვარ სურათით შემკულს, ათასის მხრით გვაჩვენებს მომჯადოებელი ძალა მხატვრისა. აი სიყვარული მოხვევთა, ე. ი. ყაზბეგის სიყვარული:

“ელგუჯამ მიიყვანა ქალი საწოლში (გაგის ბმანებით იქ, სადაც სხვა ტყვე ქალებიც იწვნენ), აუნთო ჩირაღი და რა შეჰხედა ქალსა, გაშტერებული დარჩა: იმის თვალს წარმოუდგა ისეთი მშვენიერი მიმზიდავი თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ქალი, რომელმაც მოულოდნელად გული აუცახცახა და ძარღვებში სისხლი აუდუღა. რასა ჰშვრებოდა, სად იყო - იმას სრულებით გარდაავიწყდა. ის შეეპყრო მარტო ერთს სურვილს, რომ ასე განუწყვეტლივ ეყურებინა ამ ქალის მშვენიერებისათვის და დამტკბარიყო იმ გრძნობით, რომელსაც პირველად გაეღვიძა იმის გულში.”

ელგუჯას გრძნობის ძალა ელექტრონის სისწრაფით გადაეცემა მზალოს, იქ შეუერთდება თავისსავე მსგავსს ძალას და მათ გულში გაჩაღდება დიდებული ჩირაღდანი მსოფლიოს განმაცისკროვნებელისა და მასაზრდოებელის უმშვენიერესის გრძნობისა. როცა ელგუჯა გონს მოვიდა, წასვლა დააპირა. ხოლო კარებთან რომ მოვიდა, ერთი კიდევ მოიხედა, დაინახა, რომ ქალის თვალები ელგუჯასაკენ არის მოქცეული და ისეთი სახით უყურებენ, თითქოს ამათაც უგრძნობათ ელგუჯას გულის მოძრაობა და ისინიც თანაუგრძნობენ, მაღლობას ეუბნებიან.

ელგუჯა მთიელია, მკვირცხლი და შთაბეჭდილების იმავე წუთში განმახორციელებელი; მან ეჭვები არ იცის, არც გრძნობის ანალიზები და ჩხირკედელაობა. მისთვის გრძნობა - გრძნობაა ძლიერი და შეურყეველი ძალა, რომლის მონობას იგი სიამოვნებით ასრულებს, ვით საუკეთესოსა და უდიდეს სანეტარო მონობას.

“ელგუჯამ ველარ მოითმინა, გადახტა და გულში ჩაიკრა ქალი, რომელიც შეშინებულ და აღელვებულ, რაღაც გამოუცდელის გრძნობისაგან დამონებულ, ძალზედ ეკვროდა მკერდზედ. ამ წუთში გამოიხატებოდა წადილი, შიში, სიყვარული, ბრძოლა ადრულ გრძნობასთან. მაგრამ იმათგან ვერც ერთი კი ვერ გეტყოდათ, რა მოსდით, რასა ჰშვრებთან, ან ასე რად იქცევთან და სხვა რიგად არა” (“ელგუჯა”).

დიახ, და სწორედ იმიტომ, რომ მთელის თავისის არსებით შეგნებული აქვთ სიტკბო და სიწმინდე ამ გრძნობისა, იგინი უსიტყვოდ, ყოველივე წინააღმდეგობის გარეშე თავს იხრთან ამ ძალის წინაშე და სრულს ნებას აძლევენ, ისე მოიხმარონ მათი სხეული და სული, როგორც ნებას ამ უძლეველს ძალას. ამის შემდეგ ელგუჯას სიცოცხლე იმისთვის აქვს შეწირული, რომ რაიმენაირად მზალს საუკუნოდ შეუერთდეს, საუკუნოდ შეუკავშიროს მისი გრძნობები. როგორც ხედავთ, აქ ყაზბეგს სავსებითა აქვს გამოხატული ხორციელი მხარე სიყვარულისა, მისი ფიზიოლოგიური თვისება. მას სრულიადაც არ აშინებს ამგვარი დასურათება სიყვარულისა, რადგან იგია ქვაკუთხედი, იგია შინაარსი ყოველისავე ტრფობის გრძნობისა. თექვსმეტის წლის ქალის დანახვამ ახალგაზდა ვაჟს “მოულოდნელად გული აუტახცახა და მარღვებში სისხლი აუთამამა”. აჰა სრული ანალიზი სიყვარულის ხორციელებისა. მაგრამ ეს არც მის სიწმინდეს ჰბღალავს და არც მის მშვენიერებას ასახიჩრებს. ელგუჯა, ამგვარად გატაცებული, მაინც საუცხოო და საოცნებო მიჯნურია, იგი გრძნობს და იცის რომანტიული, იდეალური მხარე სიყვარულისა. მზალს მოშორებული, ძმად ნაფიცს მათიას გაუგზავნის თავისის ამბავის შესატყობლად და ის ფიქრი, რომ “მზალს მისწვდებოდა იმის სიტყვები, ის გაიგონებდა და თავის ტუჩებ-ით წარმოესთქვამდა ელგუჯას სახელს, - ნეტარებით ავსებდა მის არსებას: “განა მეტი ბედნიერება იქმნებოდა შეყვარებულისათვისო”? მაგრამ იგი მაინც სისხლითა და ხორცით მრთელია, მისი აზრი და გონება ყოველსავე საღს შეითვისებს, ამიტომაც განყენებულს ოცნებას იმდენ ადგილს აძლევს, რაიც გრძნობას ძალას უმატებს, კი არ ამშრალებს მას ანდა კი არ ასუსტებს. ამიტომაც იგი იდეალურ სურვილს მაშინვე ხორციელ სახეს მისცემს.

“იმ წუთებში ის ისე გატაცებული იყო ამ ფიქრებით, რომ მზალს მშვენიერი სახე, ნაზი ტანი, ჟუჟუნა თვალები ეხატებოდა გონებაში და ისიც შესცქეროდა, შესცქეროდა გატაცებით, გაუძამდრად წარმოდგენილს სურათს; ჰკოცნიდა, და ჰკოცნიდა იმას და ბოლო აღარა ჰქონდა ციურს სიამოვნებას”.

ეს ვაჟბატონები ციურ სიამოვნებასაც კი მარტო ხორციელების შემწეობით გრძნობენ, რაიცა სრულიად კანონიერია, ნამდვილი და ყაზბეგის პოეტურ გამჭირიახოზობის დიადობას გვიჩვენებს.

ახლა შეხედეთ რომანტიკოს პოეტებს, ჩვენს მოხვევებს, კაცი იფიქრებს, ჟორჟ-სანდია, გინდ მიუსესე, გინდ ლამარტინი, ისეთს ნაზ გრძნობიერებას იჩენენ ყოველისავე სურვილის გამოხაზულებამი.

“ერთს მთვარიან საღამოს მზალს გამოსულიყო და იქვე სახლთან მდგომს წიფლის ხესთან თავის ფიქრებს ეძლეოდა. მშვენიერი ბუნება კაცის გრძნობას უალერსებდა რაღაც გულდამამშვიდებელის ძალით. ზაფხულის სითბო შეიცვლებოდა მსუბუქის ნიავეთ, რომელიც ნაზად გაურბენდა ფურცლებს და სასიამოვნო შრიალს ასტეხდა. აქა-იქ მოფენილი ყვავილები დამატკბობელს სურნელებს გამოსცემდნენ, აძლევდნენ ქარსა და ისიც ჰფენდა ყოველ ალაგას. ახლო-მახლო წყარო ჩამოჩხრიალებდა და თითქო ნანას ეუბნებოდა დამძინებულს ბუნებას. მზალს იდგა და შესულიყო რაღაც უგრძობელ მომხიბვლელ მდგომარეობაში” (“ელგუჯა”).

მაგრამ ეს კიდევ რა არის? სიყვარულის ფატალური, გამოურკვეველი და მიუწდომელი ძალაც სავსებით გვაგრძნობია ყაზბეგმა; მართლაც, არის სამი მოვლენა კაცის ცხოვრებაში, რომლის ძალა უსაზღვროა, რომლის კანონები გამოუცნობელია, რომლის მიმდინარეობა წარმოებს გარეშე ადამიანის ყოველისავე ლოგიკისა. ეს არის სიყვარული (დასაბამი სიცოცხლისა), თვით სიცოცხლე და სიკვდილი (დასასრული სიცოცხლისა). კაცი, რომელსაც ეწვევა რომელიმე ეს უცნაური სტუმარი, სრული მისი მონა ხდება და მისი გონება, წარმოდგენა, მისი აზრი, მისი შეხედულება ვერაფერს გააწყობს მის წინაშე. ხშირად გვიყვარს, თუმცა მთელი ჩვენი ზნეობრივი ან ინტელექტუალური არსება ამის წინააღმდეგია, სხვადასხვა საზოგადოებრივის, გინდ სარწმუნოებრივის მოსაზრებით (ამის მაგალითებს თვით ყაზბეგი გვამლევს). ჩვენ ვებრძვით ამ გრძნობას, მაგრამ ბრძოლა ჩვენი თანდათან სუსტდება, ძალა სიყვარულისა კი მატულობს, თითქო

ისვამდესო იმ ღონეს, იმ ენერგიას, რომელიც დავკარგეთ მასთან ბრძოლაში! “ნურვინ იტყვის ხორციელი”, რომ მას შეეძლოს, დათრგუნოს გულში ეს გრძნობა, შეასუსტოს იგი, თუ თვით გრძნობას, ასე ვთქვათ, მაგრა გაუდგამს ფესვები და თქვენი დამონება გადაუწყვეტია. ეს იმისავე თქმა იქნებოდა, რომ ჩვენ მკვდრის მკვდრეთით აღდგენა შეგვიძლიან და ჩვენ სხეულში უკვე გაბატონებული სიკვდილის ძლევა, “სიკვდილს გადავრჩით”. ეს მეტაფორა გახლავთ: სიკვდილი უძლეველი არის, მისგან გადარჩენა, მისი ძლევა ჯერ შეუძლებელი გახლავთ: “ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერც კლდოვანიო”, “მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალ-გულოვანი”, სთქვა უკვდავმა შოთამ და იგი დღესაც უცვლელი ჭეშმარიტებაა. და ნუთუ გგონიათ, სიცოცხლეს ნაკლები ძალა ჰქონდეს სიკვდილზე! იგიც იბრძვის, იგიც იმონებს სულიერსა და უსულოს და ჩვენ ვხედავთ, რომ მისი სამეუფო ბევრად უფრო ძლიერია და თვალ-უწვდენელი, ბევრად უფრო უსაზღვრო და მშვენიერი, ვიდრე სამეუფო სიკვდილისა, ამ სიცოცხლის დაუძინებელ მტრისა. განა არ არის ჩვენს ცხოვრებაში ისეთი მომენტები, რომ სიკვდილი გვწყურია, გვინდა მოვიახლოვოთ ისე, როგორც მომაკვდავს სიცოცხლის მოპოება უნდა, მაგრამ ვერ ვახერხებთ. ხელში აღებული საწამლავი ჩვენდა უნებურად იღვრება, ჩახმახ-აწეული დამბაჩა ხელიდან გვივარდება, და ზღვაში გადასავარდნად ან კლდეზე გადასაჩეხად გამზადებულნი, ხელსაც კი არ გავიკაწრავთ ხოლმე. მთელი ჩვენი არსება, გონება, აზრი, ზნეობრივი წარმოდგენა, ტრადიცია გვირჩევს სიკვდილს, გადაწყვეტილიცა გვაქვს, მაგრამ სიცოცხლე გვძლევს, სიცოცხლე გვიმონებს, გვიმორჩილებს და, ვით პაიკს, ვით ბუფს, ვით პეპელას, თავისის კანონების, თავისის სისტემის აღსასრულებლად ადგილს მიგვიჩენს. არასოდეს ისეთის სიმწვავეთ ეს აზრი, ეს გრძნობა გულში არ ჩამსახვია, როგორც რომელიმესამე ძვირფასის არსების დასაფლავების დროს. ხედავ, რომ შენი სიცოცხლის საუკეთესო ნაწილი გაკლდება, ხედავ, რომ თვით შენი სხეული იმარხება, ფიზიკურად გრძნობ შენის ხორცის დადუნებას და ამავე დროს მიაბარებ თუ არა მიწას შენს სათაყვანებელ ადამიანს, გამორბიხარ, რათა თავდავიწყებით ჩაება ცხოვრების ფერხულს. არა ყოველთვის არის ეს კაცის გულქვაობისა და გულგრილობის მაჩვენებელი. ეს მისი უზადრუკობის, მისი სისუსტის ერთ-ერთი საბუთია. ვერ წარმომიდგენია, რომ საყვარელის ადამიანის დაკარგვას სიცოცხლის მოსპობის ძლიერი სურვილი არ მოსდევდეს, ხშირად კიდევაც ისპობენ სიცოცხლეს - ეს ისინი არიან, ვინც სიცოცხლემ ვერ დასძლია, არამედ სიკვდილმა დაიმორჩილა. ისინი, ვინც თავის გრძნობის, სულისა და გონების წინააღმდეგ ცოცხლები რჩებიან და სიცოცხლის მაჩანჩალობას ეწევიან იმიტომ, რომ ამათზე სიცოცხლე იმარჯვებს, სიცოცხლე იმონებს მათ.

უცნაური ძალა სიყვარულისა ყაზბეგმა არაერთხელ გადაგვიშალა თვალწინ, და აბა, დააკვირდით მათიას, ელგუჯასთან ძმად გაფიცულს და მის გრძნობებს მზალოს მიმართ. მათია მზალოს ნახავს ელგუჯას დავალებით და მასთანაც ძმად გაიფიცება. მაგრამ ამან გადასწყვიტა საუკუნოდ მათიას ბედი, იგი სიყვარულმა დაიმორჩილა. მათია თითქო სიხარულით დაბრუნდა, მეგობრის სურვილი აღვასრულეო, “მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ ამის შემდეგ მათიას ნამდვილი სიხარულის მაგივრად, რ ა ღ ა ც ს ე ვ დ ა მ ო ა წ ვ ა და თ ი თ ო ნ ა ც ვ ე რ გა ე გ ო, თ უ რ ა ს ა გ რ ძ ნ ო ბ და და რ ა უ ნ დ ო დ ა?”

მათიას “ჩვეულება დასჩემდა, ცხვარს მოშორდებოდა და მთელი საათობით ჩაფიქრებული რამოდენიმე საათობით იდგა და ჯერ თითონაც კარგად ვერ გამოერკვია, რა მიზეზი იყო ამისი, თუმცა ყოველ ამ დაფიქრებასთან ერთად თ ვ ა ლ წ ი ნ წ ა რ მ ო უ დ გ ე ბ ო და ხ ო ლ მ ე მ ღ ი მ ა რ ე ს ა ხ ე მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ს ქ ა ლ ი ს ა, რ ო მ ე ლ ი ც თ ა ვ ი ს ჟ უ ჟ უ ნ ა თ ვ ა ლ ე ბ ი თ, მ ა თ ი ა ს ა ვ ე უ ნ ე ბ უ რ ა დ, ი ზ ი დ ა ვ და ი მ ი ს გ ო ნ ე ბ ა ს, ს ა ნ ა მ თ ა ვ დ ა ვ ი წ ყ ე ბ ა მ დ ი ს ა რ მ ი ი ყ ვ ა ნ დ ა; რ ა მ მ დ გ ო მ ა რ ე ბ ა მ დ ი ს მივიდოდა, ისეთს სანატრელს, თუმცა ტანჯვით საესე, გრძნობაში შედიოდა, რომ იმასთან გაყრა წარმოუთქმელი უძლურება იყო მათიასათვის...

ეს სურათი გახლდათ ლამაზი ჩერქეზის ქალის, ელგუჯას სატრფოსი, რომელიც მათიას უნებურად სოლსავით ჩასჯდომოდა გულში.

პირველში მათიას ეგონა, რომ ეს სიყვარული იყო დამპყრელი, რომელიც დაბადებულიყო ელგუჯას მდგომარეობის თანაგრძნობით; მაგრამ რამდენიც ხანი გადიოდა, რამდენსაც მეტს აკვირდებოდა ამ საქმეს და ცდილობდა თავიდან მოეშორებინა მზალოს სახე, იმდენად ის უფრო ცოცხლად ეხატებოდა გონებაში, ი მ ა ს უ ნ ე ბ უ რ ა დ ს წ ყ უ რ ო და მ ზ ა ლ ო ს თ ა ნ გ ა ნ უ შ ო რ ე ბ ლ ა დ ყ ო ფ ნ ა, ი მ ი ს ყ უ რ ე ბ ა, ი მ ი ს ა ლ ე რ ს ი.

უზრალოდ არ წმუნებდა მათია თავის თავს, რომის მაცდურმა შეიპყრო, რომელმაც უნდა აღაღლა ტეხინოს ძმობას, მეგობრობას და წესსა, უზრალოდ ცდილობდა შეეყენებინა თავისი გრძნობა, რომელსაც დღითი დღე ემატებოდა ცეცხლი და უმეტესად აღუღებდა იმის სისხლს. ყოველ ამგვარ

ძალდატანების შემდეგ თავისთავზედ დაუმორჩილებელი გრძნობა უმეტესის ძალით იბადებოდა, უმეტესის ძალით იჩენდა თავს.

ამ რამდენსამე დღეში მხიარული, მოცინარი უზრუნველი მათია შეიქმნა დაფიქრებული, დაღონებული. იმისმა ყმაწვილობის, კარგადმყოფობის დამამტკიცებელმა ფერმა დაჰკარგა თავისი სიწითლე და შეიცვალა რაღაც ავადმყოფ ფერად” (“ელგუჯა”).

აი, მთელი ფსიქოლოგია სიყვარულისაგან ბრმად დამონებულისა. ყოველივე მისი მოსაზრება წინააღმდეგია ამ გრძნობისა, მან უნდა პირი გაუტეხოს მმადნაფიცს ქალს, უნდა უღალატოს მმადნაფიცს მეგობარ ელგუჯას, უნდა შეაგინოს თემის წესი, თუკი ამ გრძნობას აჰყვება; - იცის ეს, სცდილობს, თავიდან მოიშოროს და ვერ მოუხერხებია. აკი მოგახსენეთ, რამდენადაც ებრძვის, იმდენად გრძნობა უფრო ძალას იკრეფს და, როცა ხელახლა ნახავს მზალს, მას მოიცვავს ეს გრძნობა მთელის თავის მხეცურის და უცნაურის სურვილით და მთლად გონებას დაუბნევს:

“მათია კანკალებდა და მღელვარება ნებას არ აძლევდა, ხმა ამოედო. პირველსავე ხელის მოკიდებაზედ იმას ეგონა ცეცხლის მოხვედრა ხელში, რომელიც განუწყვეტლად რაღაც ძალით, გადადიოდა მათიას ხელებში, უვლიდა გულში, თავში, მთელს სხეულში, თავრუსაჰხვევდა და შეჰყვანდა ბურანში, გონება და აზროვნება ჰდალა ტობდა... იმან მოჰხვია მკლავები, მიიკრა გულზედ, გაშმაგებულმა რამდენჯერმე აკოცა”.

აჰა კიდევ ფიზიოლოგია, ხორციელება სიყვარულისა და თანაც მისი უძლველობა, მისი შეუწყნარებლობა. მათია ბრძოლას სტოვებს და ეხლა სიყვარულის ბრძანებას ასრულებს, იგი სცდილობს, გარეთ გამოაფინოს თავისი გრძნობები, სცდილობს, ჩაითრიოს მზალს და ამგვარად აღასრულოს მოთხოვნილება ბუნებისა. მას ყოველივე დაავიწყდა, იგი მარტო მხეც არსებად შეიქმნა, წარმტაცის და თანაც მომწამვლელის გრძნობის ყურმოჭრილ იარაღად. ეხლა, როცა წინ აღემართება შვეითხვა - რა პირით უნდა შეხედო ელგუჯასაო, ის თავის მართლებით იტყვის, “რაი ჩემი ბრალია, მიყვარს და რაი უნდა ვქნაო”.

დიად, მართალიც იყო: მართალი ისე, როგორც მკვდარი, რომელსაც მის სიკვდილში ბრალი არა აქვს, ბუნების შვილი ბუნების კანონის მსხვერპლი გამხდარა, წმინდა და ძლევამოსილი გრძნობა მასაც სწევია, მისდა უნებურად, მისის სურვილის გარეშე და რა უნდა ჰქმნას? განა დამნაშავენი ვართ ჩვენ იმაში, რომ ვიბადებით და ქვეყნად ვჩნდებით ორის არსების კაპრიზისა და სურვილის მიზეზით? ნუთუ დამნაშავე ვართ იმაში, რომ ჩვენი მშობლები სისხლმომწამლულნი არიან და ჩვენ ვიბადებით ავადმყოფის მემკვიდრეობით ანა და დამნაშავენი ვართ მაშინ, რომ მამა ან დედა ჩვენი ბოროტმოქმედი იყო, გინდ კაცის მკვლელი, გინდ ავაზაკი? საცოდავ მათიას კი აწამებდა და სტანჯავდა ეს გრძნობა, - “რომელიც ცეცხლსავით უვლიდა გულში და რომლის მოშორებაც უნდოდა, მაგრამ ძალა აღარ სწევდებოდა, ყოველი იმის სხეული, ყოველი ის, ყოველი ნიჭი მზალს შეეპყრო, დაემორჩილებინა და თავის დახსნის შეცდამხლოდ მომეტებული წვალება და იყო მათიასათვის” (“ელგუჯა”). ერთი აზრიდა ამაგრებდა იმის თავს და ეს აზრი იყო: მმადნაფიცის წინაშე მოვალეობა. მაგრამ ვინ იცის, დიდხანს შესძლებდა ამით ბრძოლას?

და ვეღარც შესძლო და ერთ დღეს, როცა ელგუჯა სხვაგან წავიდა და მათია და მზალს ერთად მარტონი დასხდნენ, მათიას სიყვარული უკვე ისე ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი, ისე ჰქონდა ამ გრძნობით, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მოწამლული, უფრო კი ადუღებული სისხლი, რომ მის აზრსა და გრძნობაში ყოველივე მოსაზრება უკვე ძლეული იყო, და როცა მზალს თავის გულს გადაუშლის, ის კი თავზარდაცემული წინ წამოუყენებს სხვადასხვა მის მოვალეობას, რათა ამით მაინც შეაჩეროს მისი გაშმაგებული გრძნობა, მათია თანდათან ყოველგვარ მოვალეობას უარსა ჰყოფს.

“დამძობა? - ლომისამ დასწყევლოს ნათესაობის მომგონიო... ღმერთი? - თუ ღმერთია, რად შემაყვარა შენითა ვი? რად არ მოაშორებს ამ სიყვარულს, რომელმაც კაცი კაცობით გადამაგდო... ათასჯერ მომივიდა თავშიო, რომ ელგუჯა მომეკლა, მაგრამ შენი წყენების მეშინოდა, თორემ ღმერთს, ძმობას, ფიცს ყველას იქით გადავდეხდი”.

ასეთის საბუთების წინაშე მზალს კი იარაღაყრილი რჩება და ენას ვეღარ იბრუნებს პასუხის გასაცემად: “ჩუმად იდგა და კანკალებდა”.

იმან აღარ იცოდა, რა ეთქვა, ან კი რა უნდა ეთქვა მარტოკა ქალს იმ კაცისთვის, რომელიც სიგიჟემდის მიეყვანა სიყვარულს? რა უნდა ეთქვა იმ კაცისთვის, რომელსაც მთელი წლოებით სიყვარული გულში ეტარებინა, ცდილიყო ყოველის გზით,

ამოეფხვრა ის თავის გულითგან, მაგრამ თითონ ეს გრძნობა გამხდარი ყოიმის მბრძანებლად”.

აი, თვით უნამდვილესი სურათი გრძნობისაგან დატყვევებულისა, იგი გაშმაგებულია: მისი არსების მბრძანებელი ეს საშინელი მწვავე და თან ტკბილი გრძნობაა. მუდმივი ბრძოლა მათიასი გათავდა გრძნობის ძლევამოსილის გამარჯვებით და თითქოს ბრძოლით გამოჯაგრებული გაათრებელიყო, მათიას უკიდურესობამდის მიიყვანს; კატასტროფა მზად არის: მათიას ელგუჯას სიკვდილი აქვს გადაწყვეტილი და კარების ბრაზუნზე კიდევაც მოიმარჯვა ცული... მაგრამ, საბედნიეროდ, ელგუჯას მაგიერ “ყაზახი რუსები” შემოცვივდებიან და მათიას თავს გაუჩეხენ, როცა ელგუჯა შვეა, მათიას შურისძიების გამო რუსებს შეაკვდება.

ამგვარად, ღალატი მეგობრისა, თემის წესის დარღვევა, თავიდან ასცილდა მათიას და ამით მაინც, თავის უნებურად და წინააღმდეგ თავის სურვილისა, “ახალის ბატონების” მოქმედებამ სარგებლობა მოიტანა. ეს ერთადერთი ფაქტია ყაზბეგის მთელს ნაწარმოებში, სადაც ახალის ძალის თავხედობასა და ბარბაროსობას ვითომდა კეთილი შედეგი მოჰყვა. დაილუპა ელგუჯა, მისი ოჯახი გაუბედურდა, მათიას სიცოცხლე მოუსპეს, მაგრამ მათიას გრძნობა, მისი აზრი და თემის წესი შეუბღალავი დარჩა.

რა გულთამხილავი იყო ყაზბეგი თავისის გამირებისა, ამას მზალოს სულის ვითარების აღწერა გვიმტკიცებს. ეს ქალი უცნაურად იქცევა. ეჭვი არ არის, მას უყვარს ელგუჯა, ეჭვი არ არის, არ უღალატებს, მაგრამ მათი ეს სიყვარული გადაგვარებულის ევროპიელის ფლირტი კი არ გახლავთ ანუ სიძვა - იგი სხვაა. ამ მოხეტიაელს ბუნებრივს ძალას ასე ადვილად ადამიანი ვერ დახვდება. მზალო, რომელიც გრძნობდა, რომ ამ საშინელის გრძნობის სატრფო საგნად გამხდარა, სულ გულგრილად ვერ უყურებს მას და, ვინ იცის, დრო და ხანი რას იზამდა, რომ ავტორს მეტად ტლანქი ხერხი არ ეხმარა ამბის ლამაზად დამთავრებისათვის. ის თვით უდიდესს ტრაგიკულ მომენტს, უდიდეს წერტილს დრამატულის ბრძოლისას სწყვეტს და სპოზს სრულიად გარეშე მოვლენის ჩაჩხირებით. ყაზბეგი პირველად და უკანასკნელად ხმარობს ამ საშუალებას თავისს პირველ მოთხრობაში, თუმცა უკვე თავისთავად ცხადია, რომ მათიას გულში და თავში ელგუჯას სიკვდილი თითქმის გადაწყვეტილია და მკვდარია მისი ხელით, მაგრამ მზალო, მზალო, რომელიც ნაზად სტირის, რომელიც ზიზღის მაგიერ უზომო სიბრაღულით არის აღსავსე მათიას მიმართ, მზალო, რომელიც თითქმის ურიგდება ელგუჯას სიკვდილს, რადგან მის სიტყვებში არა სჩანს სისასტიკე და სიმძაფრე; მზალო, რომელიც მათიას ფიცს ელგუჯას სიკვდილის შესახებ, ასეთ პასუხს გასცემს - “რათა, რა დაუშავებია იმას შენთვის? რას ემართლები!.. ძმასავით გიყურებს... მე მომკალი!” - მზალო მეთქი, რას იზამდა? ამით ვსცნობდით, სადამდის მიდიოდა ავტორის შეხედულება სიყვარულის სიძლიერეზე. ავტორი ამით გვითავებს მოთხრობას: არავინ იცის, რითი გათავდებოდა ეს ამბავი, თუ კარების ბრაზუნი არ გაეგონათ.

გადაშალეთ “ციცია” და თქვენ იქაც ნახავთ ქალს, რომელსაც უყვარს ერთი, ხოლო მეორის გატაცებულის, თავდავიწყებულის, გაშმაგებულის გრძნობის წინაშე მოჯადოებული სდგას და, ეჭვი არ არის, მისდა უნებურად, მისდა შეუგნებლად მის ბუნების ჯურღმულსა და უფსკრულში უკვე სწარმოებს მოძრაობა, ამ ძლიერ ძალისაგან გამოწვეული მოძრაობა და მღელვარება, რომელიც მორჩილის თანაგრძნობით არის აღსავსე და ნეტარის გაცოცხლებით შემკული. ძალა სიყვარულისა ისეთი რამ არის ყაზბეგის თვალში, რასაც უძლეველად მომხიბვლელი თვისება აქვს: მისი წინააღმდეგობა არავის შეუძლიან, თვით უფრო ურჩი და უკმეხი ამ ქალის წინაშე ქედს იხრის და მუხლს იყრის.

შემღებულ მთიელის ქორღოყოს ქალს ციციას და მის მწყემს ბეჟიას ერთმანეთი უყვართ, თუმცა ქორღოყო ამის წინააღმდეგია. ციციას გაიტაცებს განთქმული თავისის ვაჟკაცობით ჩეჩენი სულთი. ციცია და სულთი ძმად გაიფიცებიან, რაკი ციცია გაუმჟღავნებს სულთის თავის გულის საიდუმლოს და ცხარე წინააღმდეგობას უცხადებს მასთან კავშირზე. ბეჟიას და ციციას თვით სულთი დააქორწილებს. ქორღოყო კი სულთის საჩივარსა და ძებნაში მრავალ ფულს დახარჯავს პრისტავსა და დიამბეგებთან და თრევა-წაწალში კიდევაც დაავადმყოფდება. ბეჟია მოსძებნის მას საავადმყოფოში, წამოიყვანს სახლში და ბედნიერს ცხოვრებაში არიან, თუ რომ “შავი ყორანი”, რომელიც ამ დროში მთიელთა მცხოვრებს მოსვენებას არ აძლევდა, არ მოვლენოდა ამათაც და მათი ბედნიერება არ მოესპო. საქმე ის არის, რომ ქორღოყოს ქრთამებისა და “გასამრჯელოს” გაღებაში ვექსილებიც გამოსტყუეს და, როცა ერთმა ქრთამის ამღებმა პრისტავმა “აპრაკუნემ” უცნაური ანგარიში წარუდგინა და ცხვრის ფარის აწერა მოინდომა, ბეჟია პრისტავს შეედავა, “მთავრობას წინააღმდეგობა გაუწია” და ყაზახმა რუსებმა მოჰკლეს. სულთი შურს იძიებს, “აპრაკუნე” პრისტავს მოჰკლავს, ხოლო ციციას კი გაიტაცებს ამ სიტყვებით: “წავიდეთ, სიცოცხლე კიდევ

შესაძლებელიაო”. აქაც მეტად საინტერესო ფსიქოლოგიური მოვლენა აღწერილი. ციციასა და ბეჟიას ერთმანეთი უყვართ ისე, როგორც ციცია სიყვარული ამ ბუნების შვილებმა, მთელის თავის არსებით, მთელის გრძნობის სიღრმითა და სიძლიერით:

“იმათ ლაპარაკითაც კი არ ულაპარაკნიათ ამ საგანზედ. სიყვარულ-მოდებული გული ჰგრძნობდა, რომ ერთმანეთს თანაუგრძნობდნენ და ერთმანეთის თვალის შეკვრა სხვებისთვის შეუმჩნეველად რჩებოდა, მაგრამ იმათთვის კი აშკარა ლაპარაკი, კითხვა და პასუხი იყო. ჩუმის, სხვისთვის შეუმჩნეველ გრძნობის გაცვლა-გამოცვლა ისე უალერსებდა იმათ, ისე სანუგეშოდ და სასიამოვნოდ ეჩვენებოდა, იმდენს იმედს და სიამოვნებას ჰპირდებოდა, რომ ნება-უნებლივ გაუფიქრებლად ერთმანეთისკენ მიიზიდავდა, ერთმანეთს ამებნინებდა.

ამ დროს, როდესაც აზრი, გონება, სული, გული, მთელი არსება სიყვარულის საგნის დაახლოვებით არის მოცული, როდესაც ყოველ ჟამს და ყველგან სატრფო გეხატება; რას შესტრფი, რას ეალერსები, ჰხედავ, ის აქვე არის, შენს გვერდით იქნება, ყოველ დღე ჰნახავ, ყოველ დღე დასტკბები მისი ხილვით, ყოველ დღე თრთოლით მოელოდები იმ წუთს, როდესაც ეტყვი: “შენი ვარ”... - ღმერთო, რა სიამოვნება უნდა იყოს?! სწორედ ამ მდგომარეობაში იყო ციცია, როცა მამა მისის ცივი გარდაწყვეტილება მოისმინა: “ჩემს ქალს ისევ ჩემის ხელით დავმარხავ და მოჯამაგირეს კი არ მივცემ” (“ციცია”).

მაგრამ ციციაც რისი მთიელი ქალი იყო, რომ ამგვარის გარდაწყვეტილებას შეშინებოდა. პირიქით, მამის ასეთმა აზრმა მოახლოვა წუთი მათის შეერთებისა, გრძნობა გააორკეცა და გაამწვავა და ბეჟიას მიმართა მისთვის სანატრელის გადაწყვეტილებით: - “გამიტაცეო”, მტკიცედ, გარდაწყვეტით განიმეორა ციციამ. და თუ აქნამდის ორი მიჯნური შორით იდაგებოდნენ, ეხლა მათ შეერთებას, მათ ფიზიკურად დაახლოებასაც კი აღარა უშლიდა რა ხელსა.

“მამ გიყორვარ, გიყორვარ?” - ახლოს მიწევით წარმოსთქვა ბეჟიამ და ათრთოლებული ხელი, თითონვე არ იცოდა, როგორ მოჰხვია ქალს წელში.

ქალი ჩუმად იყო და ცახცახი კი ამტკიცებდა, რომ კითხვა აღარ ეჭირვებოდა.

- მითხარ, მითხარ, ღთის მადლსა, - ეხვეწებოდა ბეჟია და თანდათან იზიდავდა თავის აკეცს. ქალმა პასუხის მაგიერ წყნარად შეჰხედა, შეჰხედა ერთს წამს, სწრაფად, და ეს საკმარისი იყო, რომ ბეჟიას დაეძახა: “ჩემო ყველავე!” და გიჟსავით მიეკრა გულში.

ქალი არ ეწინააღმდეგებოდა და ეკროდა გულში. ორთავეს ერთგვარი ცეცხლი მოსდებოდათ, ორთავეს თავი დაჰვიწყებოდათ, ორნივე ერთის გრძნობით ანთებულ იყვნენ - და ეს გრძნობა იყო სურვილი ერთმანეთში გარდაეცვიათ, ერთს მეორესთვის ჩაედგათ თავისი სული და ორის საგნიდგან ერთს განუშორებელს საგნად გარდაქმნილიყვნენ” (“ციცია”).

აი, მთელი ფილოსოფია სიყვარულის გრძნობისა. ამ გრძნობაში ჩვენ ვეძიებთ ჩვენს დამატებას, ჩვენს მეორეს, ჩვენს საუკუნო ობლობისა და სიმარტოვის დასაფლავებას და გარდაქმნას, რათა “მე” და “ის” ერთ არსებად გარდაიქცეს, ორი ერთხორც და ერთსულ გარდაიქმნეს. ჩვენის აზრის, ჩვენის მისწრაფების, ჩვენის საუკუნო ძიების, საუკუნო დაუშრეტელის წყურვილის დაკმაყოფილებას ველტვით; ამ მეორეში, მეორე “მე”-ში ვფიქრობთ, ვიპოვოთ ჩვენ საუკუნო ნავთსადგური ჩვენის აღშფოთებულის, აზობოქრებულის სურვილისა და ვნებათა ღელვისათვის, და ესევე გრძნობა აერთებს ბეჟიასა და ციციას. მათში ეს გრძნობა, თუმცა უფრო შეუგნებელი და გამოურკვეველია, მაგრამ მით უფრო ძლიერია, მით უფრო საშინელია და მით უფრო ფატალური. მათთვის ყველაფერს ევარგება მნიშვნელობა ამ დიადის მოვლენის წინაშე. აი, თუ გინდა ზემო აღწერილ შემთხვევაშიაც. ციცია სახლიდან გაიპარა, ბეჟიასთან დაუფვიანდა, ამას კი ხალხი სხვაგვარად შეჰხედავდა, ჩირქიც მოეცხებოდა არა თუ ციციას და მის ოჯახს, მთელს გვარეულობას:

მაგრამ რასაქმე აქვს ხალხთან სიყვარულით აღზნებულს გულს, როდესაც სატრფოს ხელშია, როდესაც მის მიკარებით თრთის, კვნესის, ხარობს და იტანჯება.

“შეყვარებულებსაც ყოველისფერი გარდავიწყებოდათ და მისცემოდნენ მხოლოდ ერთს გრძნობას, რომელიც ისე სასიამოვნოდ უცივლიგებდა”.

კიდევ და კიდევ აღვნიშნავთ იმას, რომ ყაზბეგს სიყვარულის ხორციელი, მისი ფიზიოლოგიური მხარე პირველ პლანზედა აქვს დაყენებული, იგი არის სახე, სიმბოლო, მხატვრული გამოქდავენება დიადის, საიდუმლო გრძნობისა, უცნაურობითა და გამოუცნობელის მომხიბვლელობით ადვსილის მოვლენისა, რომელიც ქვაკუთხედაა სიცოცხლისა და ცხოვრებისა. იგი ამაში მთლად ერთიანად შვილია ქართულის პოეზიისა, რომლის ლეიტ-მოტივი ალექსანდრე ჭავჭავაძეს აქვს გამოთქმული:

“მგრძობელობა სჯობს ყოველთ თვისებათ, ცით მოვლენილთა:

შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმულებს”.

და მთლად, მთელი “ვეფხისტყაოსანი”, ეს მანათობელი მზე, დაუშრეტელი უკვდავების წყარო ჩვენის ლიტერატურისა და პოეზიისა, - განა თვით იგი მთლად ერთიანად სავსე არ არის ამ “მგრძობელობით”? ყოველი სტრიქონი, ყოველი ტიპი ვნებითა და სურვილით არის აღსავსე, თუმცა მთლად ერთიანად სიწმინდითა და სიმშვენიერით არის შემოსილი, იმ სიმშვენიერით, რომელიც მეორე ჩვენს პოეტს ათქმევინებს, რომ “თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეობს”. გაიხსენეთ აბა ზოგიერთი ტაეპი “ვეფხისტყაოსანისა”, სადაც მგრძობელობა თვით ტარიელისა, ამ სიყვარულის გმირთა გმირისა, ხორციელება მისის სიყვარულისა თვით უკიდურესს სახეს ღებულობს, თუმც არც ერთს წუთს იგი მგრძობელობა არა ჰკარგავს სინაზისა და სიტურფის ნიადაგსა.

ასეთის გრძობით ტყვექმნილი სულთი ციციას გაიტაცებს. სულთიც მთლად ერთიანად შმაგია, ე. ი. მიჯნური, იგი მთლად გაჟღენთილია სიყვარულის გრძობით, რომელიც ათასჯერ უფრო მწვავეა მით, რომ ტრფობის საგანი გულგრილია. მართლაც, ყოველივე, დიდი თუ მცირე მოვლენა ცხოვრებაში, ბრძოლაზე, მეტოქეობაზე არის აღგებული და ამისა, თუ იმის სახეს ღებულობს. ბრძოლა მით უფრო მწვავეა, მით უფრო დაუნდობელი, ფიცხელი და გატაცებული, რაც უფრო მეტბოძონი სასტიკ წინაღმდეგობას აცხადებენ. განა ბეჟიას სჭიროდა, დაეხარჯა იმდენი ძალა და ენერგია გრძობისა, როცა პირველისავე შეხედვისთანავე მოწინააღმდეგე დაამარცხა, დაიმონავა და დაიმორჩილა? სულთის კი ამ ბრძოლაში გაასკეცებული ძალი სჭიროდა, უფრო მძაფრი შესევა და უფრო მძლავრად იარაღის ქნევა. თანაც იქ ციცია თვით სიამოვნებით კისრულობდა დამარცხებულის მონის როლს, სიამტკბილობით გაჭედდის უღელს სიხარულით იდგამდა და ბეჟიას გრძობის სიფიცხესაც იმდენად ვერ იგრძნობდა. აქ კი ბეჟიასავით შეყვარებული, ესეც მთიელი გამოჩენილი ვაჟკაცი სულთი მთელის თავის გრძობის ძალითა და ენერგიით მიდიოდა მტერზე. და მტერი ამ გრძობის ბრწყინვალეობისა და სიდიადის წინაშე იდგა, თვალი მოჭრილი ჰქონდა მისის სხივით, მისის უცნაურის მომხიბვლელობის წინაშე იდგა და ძალაუნებურად ყრუდ, გაუგებრად მის არსებაში იზადებოდა გრძობა აღტაცებისა და თაყვანისცემისა, რომელიც ერთის ბედნიერების მოსაპოვის შემდეგ სულთის გულს მიეყრდნობა და აგრძნობინებს უსიტყვოდ, რომ სიცოცხლე და ბედნიერება, სიყვარულით გაცისკროვნებული, კიდევ შესაძლებელია და მოსახერხებელი, ვინაიდან სიცოცხლე და ბედნიერება, სიყვარულით განახლებული, დაუსრულებელია, ვიდრე კი ადამიანის ბუნება ამას იტვირთებს.

ჰოდა, ციცია სულთის ხელშია და სრულს მის განკარგულებაში.

“სულთი გიჟდებოდა, იზნეოდა ან გ ა რ ი შ მ ი უ ც ე მ ლ ა დ, მ ო უ ს ა ზ რ ე ბ ლ ა დ ქ ა ლ ი ს ა კ ე ნ თ ა ვ ი თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ე ხ რ ე ბ ო დ ა, მეტის სიამოვნებით ისიც ხ ა ნ წ ი თ ლ დ ე ბ ო დ ა და ხ ა ნ ი ს ე ვ ფ ე რ ს ა ჰ კ ა რ გ ა ვ და, თვალებს ჟუჟუნნი და ელვარება ემატებოდა, გ უ ლ ი ძ ა ლ ზ ე დ მ ო ძ რ ა ო ბ და და ქ შ ე ნ ა უ მ ლ ი ე რ დ ე ბ ო დ ა. ის მიიზიდა რაღაც უხილავმა ძ ა ლ ა მ და თ ი თ ო ნ ა ც ა რ ი ც ო და, რ ა რ ი გ ა დ და რ ა დ რ ო ს ქ ა ლ ი ს ტ უ ჩ ე ბ ს და ე კ ო ნ ა”.

ანკი შეიძლებოდა სულთი სხვა რიგად მოქცეულიყო, როცა თვით “მალნი ციურნი” ეხმარებოდნენ მის გრძობის გამოჯავრებასა და გახელვას.

“ქალს ძილმა დასძლია, წყნარად მიესვენა ხეს და თვალები დახუჭა... წყნარად სუნთქავდა და ცხვირის ნაზი ნესტოები ებერებოდა. გაცრეცილ სახეზედ ერთბაშად ფერმა შეითამაშა და თხელმა ტუჩებმა მომხიბლავად გაიღიმეს: ეტყობოდა, ბურანში წასულს ქალს, რაღაცა სასიამოვნო სურათი ეხატებოდა; ამ წუთებში ციცია მეტად ლამაზი, მეტად მიმზიდველი იყო და ძნელად დარჩებოდა ისეთი კაცი, რომელსაც ეს სურათი ენახა და ედემის სიამოვნება არ ეგრძნო, გონება არ არეოდა და დამთვრალსავით გაბრუებულს თავი არ დაჰვიწყებოდა”.

სულთის რაღა უნდა ექნა, თუ არა ის, რომ გატაცებით და თავდავიწყებით ქალის ტუჩებს დაეკონა. ციცია შეურაცხყოფილი წამოვარდებდა, საყვედურის მეტს არას ეტყვის სულთის, მაგრამ მას ერთი სიტყვა აქვს სათქმელი, ათასნაირ ჰანგზე მომართული, რომელიც თავის მონოტონურის გამეორებით, შინაგანის სიღრმით და მრავალ ფეროვნებით, თვით უსაშინელესის მტრის გულსაც კი მოაღბობს.

- “რას სჩადი, უნამუსო?” - ეუბნება შემკრთალი გამოღვიძებული ციცია, რომელიც ზიზღით ხელს კრავს სულთის.

- ი მ ა ს, რ ო მ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ!

- რისთვის მომხადე ლეჩაქი, რისთვის მომიტაცე?

- იმისთვის, რომ მიყვარხარ! ისე მიყვარხარ, დვთის მაღლმა, რომ ჩემს ავით არავის არ ეყვარები”.

ესაა მთელი ლექსიკონი მაღლის გრძნობის გამოსატყმელად. მაგრამ მთელი რთული და მრავალ მხრივის არსება მშვენიერის ვაჟკაცისა აქ არ არის, რომ ყოველი “მიყვარხარ” ისეთის მომხიბვლელობით შემოსოს, რომ ციციაც კი გააოცოს.

“ქალის გული მგრძნობიარეა, - გვეტყვის ავტორი, - სულთის სიტყვებმა (რა სიტყვებმა, მაგრამ ერთი სიტყვა ათასად მაჩვენა კილომ და გულისთქმამ მიჯნურისამ) ციციას მიჯნურის მით უფრო შეაბრალებს, რომ განთქმული ვაჟკაცი, რომელიცათასჯერ პირზე დღიმილით სიკვდილს წინ შეჰგებებია, დღეს ციციას წინ შეშინებულ ი, აღელვებულ ი, ფერწასული იდგა და თვალეში ცრემლი მორეოდა. ჩეჩენი სულს ძლივს დაიქცევდა, ხმა უკანკალებდა და პირში სიტყვა უწყდებოდა”.

სულთი მაჰმადიანია, იქნება ეს აჩერებს ციციას, მაგრამ განა “რჯული საყვარლებს გააშორებს” და, თუკი რჯული რამე დაბრკოლებას წარმოადგენს, განა სულთი კი “სიამოვნებით არ გამოიცვლის რჯულსაც და არ მოინათლებს”? ციცია ეხლა ზიზღს სრულიად განაძევებს მისი გულიდან.

“ციციამ შებრალებულის თვალებით შეჰხედა და პირისახეზე დაცეცო, რომ ისიც სულთიზე დაკლებად არ იტანჯებოდა, მაგრამ სანუგეშო პასუხი კი ვერ მოეხერხებინა. - რაი გითხრა... რაი ვქნა? - მწარეთ და ნაღვლიანათ წარმოსთქვა ციციამ”.

ხედავთ ეხლა, ნაღვლითა და სევდითაც კი აღივსება მისი სული, იმ კაცის საცოდაობით, რომლის მოხეთქილ გრძნობის სიძლიერეს ეს სხვისი სატრფოც კი მოუთოკავს და მოუხიბლავს. მისი კეთილშობილება, მისი სულის სიმაღლე განა უმნიშვნელოდ დარჩებოდა ციციასათვის. იგი ხომ სულთის ხელში იყო, რაც უნდოდა, იმას უზამდა ამის მაგიერად.

გამძვინვარებულ ი, გრძნობით დამთვრალი კაცი იმის წინ წყნარად და მოწიწებით იდგა და ვისზედაც ძალის ხმარება შეემლო, იმასვე მოწყალეებას სთხოვდა. მეტად ჩქარი იყო ცვლილება, რომ ამ საქციელს ქალზედ მოქმედება არა ჰქონოდა და სიბრაულეს არ აეტანა. მაგრამ რა უნდა ექმნა?

ერთადერთი საშუალება მმადგაფიცვა იყო. კეთილშობილმა ვაჟკაცმა თავგანწირულებით მიიღო ეს მსხვერპლი, მაგრამ განა გონებას შესძლებია ოდესმე გული დაეთრგუნოს, ალ. ჭაჭკავამისა არ იყოს:

“ცუდად წარადგენს გონება მუნ თვისთა ბრძნულთა თათბირთა,

სადაცა გული მმართველობს, თვით იპყრობს მისთა ადგილთა”.

და ამიტომ და-მშურის ამბობის მაგიერ:

“ქალის მიკარებამ სულთის თავი დაავიწყა ერთს წამს, მხოლოდ ერთს წამს გრძნობამ გაიტაცა და მთრთოლვარე ხელებით მიიკრა ძალზე აღელვებულ გულთან. თავი წყნარად მოეხარა, ტუჩები შეაღერეს აპირებდნენ, მაგრამ იმ წამში შეჰკრთა, უკან წაბარბაცდა და თავმეკავებულმა ხელების მიშველებით ქალი შეაყენა” (“ციცია”).

და აქაც გონება არაფერს შუაშია. გონება, ვიცით რომ, “მარადის ტრფობის ალს აუხოციეს”. თუ სულთიმ თავი შეიკავა იმიტომ, რომ ციცია მის გრძნობის მიმღები არ იყო, ჯერ კიდევ მისი არსება სხვისი მონა იყო და მის ალერსს, მთელი თავისის პირადობით, წინააღმდეგობას უწევდა. ციცია მისთვის ოცნება იყო, და მისი საალერსოდ გაშვერილი ხელებიც ოცნებას უნდა შეხებოდნენ, გინდ ლუსკუმას და ამიტომაც მისმა შეხებამ ნერვები მოუდუნა და გრძნობა გაუყინა.

გადავდივართ ამ გულის წარმტაც ტანჯვითა და სევდით მოქარგულის დრამის განვითარების შემდეგ ხანაში.

სულთი ამის შემდეგ თავის თავს აღარ ეკუთვნის. მათიასი არ იყოს, იგი გრძნობით მოდუნებულია, დათენთილია, გული აღარ უცემს. როცა ყველა ირგვლივ მხიარულობს და ამ მხიარულებაში ციციაც ჩაბმულია, იგი მარტოკა სდგას.

“მარტო სულთი იდგა გაჩუმებული, გაყურებული, დაღონებული და საერთო მხიარულებას რაღაც შესაბრალის მწუხარებით უყურებდა. იმისი გაცრეცილი სახე, ნაღვლიანი თვალეები და დაფიქრებული პირისახე აშკარად ამტკიცებდა, რომ მისი გული რაღაც სევდას მოეცვა, შეეპყრო და, დამონებული, მკვნესავი, საერთო სურათისაგან მოეშორებინა”.

სულთი მხოლოდ მაშინ მოცოცხლდება, მაშინ გამოიჩენს სიცოცხლის ნიშნებს, როცა ციციას დაინახავს.



“ერთბაშად სულთიმ გაიღიმა, გაწითლდა და სიხარული სცეცხლი გამოუკრთათ ვალეზი და ნ, რომელიც ერთ მხარეს მისჩერებოდნენ”.

და ეს იმიტომ, რომ “დაინახა ციცია, რომელიც ღიმილით მიდიოდა მისკენ, უცინოდა, რაღასაც ეუბნებოდა”. ციცია ეხლა აქტიურს როლის აღსრულებას კისრულობს, დიდის სინაზითა და ალერსით ექცევა სულთის, დიდ თანაგრძნობას იჩენს მის მიმართ:

“ძმავე, რისთვის მოგიწყენია?... მე მინდა, რომ გამხიარულდე, ილხინო, ითამაშო... ჩემთან უნდა ითამაშო, - გარდაწყვეტით, თითქო ბრძანებით უბრძანა ციციამ და სულთიმაც მორჩილად შეჰხედა, შეჰხედა ისე, თითქო ისე ეუბნებოდა: “მიბრძანე, რაც გინდა, განა უარი შემიდლიან” (“ციცია”).

ამ ხანში არავინ იცის, სადამდის მივიდოდა დამძური გრძნობა, თუ ბეჟიას დაეგვიანებინა, მაგრამ რაკი ბეჟია დროზედ მივიდა, სულთიმ დააქორწილა ციცია და ბეჟია და გაისტუმრა. აქ ტანჯვა სულთის უმაღლეს წერტილამდის მიდის. დამძად გაფიცვა საქმეს არა შველის. სულთის გრ. ორბელიანის სიტყვები უნდა გაემეორებინა:

“მრავალ გზის ვფიცავ, გივიწყო და ვქმნაცა ნება გონების, მარამ, როს გხედავ, გონების რჩევა სრულიად არ მესმის... გული ხელმწიფებს და უფრო უძლიერესად შენ გეტრფის და გულის მონათ შექმნილი გონებაც შენდა მოჰფრინვის”. ქორწილში ყველანი მხიარულობდნენ, მღეროდნენ.

“სულთიც, სხვათა შორის მღეროდა და თამაშობდა, მხიარულობდა და სვამდა, მაგრამ თუ თვალყურს გაადევნებდით, ადვილად დარწმუნდებოდით, რომ ეს ყველა თვალთათვის ხედებოდა, მარტო სხვების მოსატყუებლად, რადგანაც მის სახეს ხანდის ხან მხიარულობის ფარდა აეხედებოდა, და მის მაგიერ მჭუნვარება გადაეკრვოდა, გულიდან მწარე კვნესა აღმოხედებოდა, მთლად გაფითრებული შეჰხედავდა ციციას მხიარულს, დარცხვენის სახეს, უთროლდებოდა ტუჩები და თვალეზში ისეთი სევდა გამოეხატებოდა, ისეთი, რომ კაცს გულს გაუძენძავდა”.

ციცია კიდევაც გაისტუმრეს და სულთიმაც გააცილა.

“სულთი დაღვრემილი, შეწუხებული მისდევდა ხარებს და მწარედ ეხატებოდა გაყრის სურათი, რომელიც თერგთან მიახლოვების უმაღ უნდა მომხდარიყო...”

იმას კარგად ესმოდა, რა ძნელი განსაცდელი ცხოვრებაც მიერგო, ესმოდა, რა უბედურეც შეიქმნებოდა ციციასთან დაშორების შემდეგ... ციციაც გაუნძრეველად იჯდა და თავის ძმად ნაფიცს აშკარად ამცნევდა უბედურებას. ისიც ინთებოდა სურვილით - ხმა გაეცა, ეწუგემებინა ჩეჩენი... მაგრამ რა ეთქვა, რითი დაეყვავებინა, როდესაც აშკარად ჰხედავდა, რომ სულთის გულის მოძრაობა სრულიად დამძური არ იყო”.

სულთიმ თავისი როლი რაინდისა ვერ აღასრულა. “გულის ქმნათ შექმნილმა” კიდევ ერთხელ ჩააწვეთა ყურში ციციას მომწამვლელი სიტყვა “მიყორხარ”... იმას ეგონა, რომ შეიძლებოდა თავიდან მოშორება მოუსვენარის ფიქრისა, მაგრამ ამაოდ სცდილობდა სხვა საგანს დაჰკვირვებოდა, რადგანაც განუწყვეტლივ ციცია ეხატებოდა თვალწინ, გული იმასთან “შაერთებას ითხოვდა”. კიდევ ერთხელ “შეჰკრა თვალი ციციას, რომელიც თითქოს საყვედურით მისჩერებოდა და ჩეჩენმა არაღაც უცნაური ძალა იგრძნო, რომ ელმაც ჟრუანტელივით გაურბინა ტანში და მწვავედ აგრძნობინა თავის ძალა”.

სულთის სულის მდგომარეობამ იდუმალი შეუმჩნეველი გავლენა იქონია მექორწინებზედ. თითქო ტრაგედიას გრძნობისას თავისი უკურნებელის სამსალით ყველაფერი მოეწამლა, ყველაფრისთვის სიცოცხლის ელფერი დაეკარგა, “თითქო ყველა რაღაც უბედურებას, უსიამოვნო შემთხვევას მოელოდა”.

ციცია იტანჯებოდა, გული გადაელია, “სულთის საბრალო მდგომარეობას ვედარ გაუძლო” და, აი, ურმისაკენ წავა დასაძინებლად (ისევე განმეორება თავდაპირველის სურათისა, მხოლოდ სულ სხვა პირობებში და სულ სხვა სახით). “ჩეჩენი რამდენჯერმე მივიდოდა ურემთან”, საცა ციციას ეძინა, რომლის მოვლა-პატრონობა ჩვეულებით ძმობილს ეკისრნა.

ახდიდა ფარდაგს და უნდოდა სატრფოს უკანასკნელად დალაპარაკებოდა, უკანასკნელად გაეგონა თავის მტანჯველი და დამატკობელი ხმა, მაგრამ ქალს ისე ტკბილად ეძინა, ისეთი ანგელოზი სახე მოსჩანდა მთვარის შუქზედ, რომ სიამოვნების დარღვევა ვერ გაეხედა. სულთი გაშმაგებით ჩასცქეროდა სანატრელს სურათს და თვალი ვერ მოეშორებინა: ისა სტკბებოდა, ითვრებოდა ქალის ცქერით, გადავიწყებოდა მთელი ქვეყანა, თავისი მწუხარება, მომავალი და სრულს ბედნიერებასლა ჰგრძნობდა.

ერთბაშად ქალი შეინძრა, ნაზი ტუჩები კმაყოფილების ღიმილით გაეხსნა, თითქოს სატრფოს კოცნას ელოდნენ. ჩეჩნის მხურვალე ბუნებას მარტო ესაღა ეჭირვებოდა, რომ დამთვრალს, გონება-მიხდილს, გაბრუებულს მუხლები ჩაჰკეცოდა და აღზნებულის ტუჩებით ციცინას ტუჩებს შესწებებოდა.”

აქ სულთის აღარც მთიელობამ უშველა, აღარც იმან, რომ “ბაშვობიდანვე გმირული ქცევა ყურში ჩაწვეთებული ჰქონდა და მისი ღალატი არ ესმოდა, ვერც კი წარმოედგინა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო”. დიად, მისი წარმოდგენა, მისი რწმენა, მისი სჯული - ეს სულ ყურმოჭრილი ყმა ხდება და მტვრად იქცევა დიდის მეფის, სიყვარულის ტახტის, წინაშე. როცა ციცია მას მოღალატის სახელით მონათლავს, თავდაპირველად ვერც კი გაუგია, რით დაიმსახურა ეს სახელი.

“რაი ვქმნენ, რაი დამიშავებიაო”, მაგრამ მაშინვე გონს მოვიდა და დაუმატა: “ჰო, მართალი ხარო!” “სულთი შესდგა... ძალზედ ამგერებული გული და მეტად აჩქარებული ქმენა თითქმის აღრჩობდა და სიტყვას უწყვეტავდა. და მერე განაგრძო:

- “მაგრამ რაი ვქმნა, რაი ჩემი ბრალია? რაისთვის ხარ ეგეთი ლამაზი! - ციცია უყურებდა გაშტერებული, სიბრალულით; ისა ჰხედავდა გაშმაგებულს ლომს, რომელსაც მძვინვარება ველარ შეეყენებინა, ველარ დაემორჩილებინა.

- რაი გიყო, რაი ვქმნა? - ხელების მტვრევით და დაფანტვით წამოიძახა ციციაშ.”

აქა სწყდება ეს ბრძოლა ორ არსებას შორის, რომელშიაც ერთის ძალა თანდათან ძლიერდება, ლომდება და მძაფრდება და მეორე თანდათან მარცხდება, თანდათან მორჩილდება და ბოლოს დაფანტულია და ხელების მტვრევის მეტს ველარას ახერხებს. აქ უკვე ჩადებულია მაგარი საძირკველი იმ მომავალის ბედნიერებისა, რომელსაც კიდევ გამოცდიან სულთი და ციცია ერთად, როცა გარემოება ხელს შეუწყობს, თუმცა, არც ერთი არა თუ არ ცდილა მათის ხელის შემწყობი პირობების შექმნას, კიდევაც იბრძოდნენ მის წინააღმდეგ. უხილავმა ბედმა, გამოურკვეველმა მიმდინარეობამ ცხოვრების მოვლენისა, გაუბედურებული, სიცოცხლე განახევრებული ციცია ისევ სულთის დაუსაკუთრა და, როცა სულთიმ ახარა, რომ მისი ბეჭიას სისხლი გადიხადა, ქალი გ ა დ ა ე ხ ვ ი ა ჩეჩენს და კმაყოფილების ტ ი რ ი ლ ი თ ჩ ა ე კ რ ა გ უ ლ შ ი. ეჭვი არ არის, ამ დროს ციცინას მთელი ადამიანური არსება კმაყოფილებითა და სიამოვნებით ეძლეოდა ხელში იმ “გაშმაგებულს ლომს, რომელსაც მძვინვარება ვერ შეეყენებინა, ვერ დაემორჩილებინა” და რომლის ძლევა მოსილ გრძნობას დიდი ხანია თესლი ჩაეგდო ამ ნაზის ქმნილების გულში. “სიცოცხლე კიდევ შესაძლებელიაო”, დასძახა სულთიმ და ჩვენც ვგრძნობთ, რომ ბედნიერება და სიხარული მათთვის ისევ შესაძლებელია.

ეს ერთადერთი მოთხრობაა ყაზბეგისა, რომლის შემდეგაც გამხნეებულის და დამშვიდებულის გულით მივდივართ, ვინაიდან გვწამს, რომ “სიცოცხლე, ბედნიერება” კვალად შესაძლებელია, იგიც ცხოვრების ფატალური, აუცილებელი და საიდუმლო ძალია. ბუნება “სიკვდილით შეიქმს სიცოცხლეს”, ეს მისი წესი და კანონია და, მაშასადამე, ცხოვრებაც სანეტაროა და სასიამოვნო, ვითა დაუსრულებელი მოძრაობა, მიმდინარეობა, დაუბოლოვებელი ცვლილება სიკვდილისა და სიცოცხლის შუა.

ერთი მაგალითი იმისი, თუ რა უეცრად და რა მძლავრად მოედება ხოლმე მოხვევს სიყვარულის ალი, “ციკოა”. გუგუამ ციკო ხატობაზე ნახა. “გუგუამ შეხედა და გაშტერებული დარჩა”. დიდხანს ფიქრსაც არ მოუნდა და პირდაპირ გადაჭრით ქალს გამოუცხადა: “ღთის მადლმა, რომ მე შენ აღარ მოგეშვები! - გუგუამ გაჰხედა ქალს და მთლად აჟრჟოლდა, შეჰკრა მიმავალს თვალი და იგრძნო, რომ იმისი მოშორება შეუძლებელი ჰხდებოდა. გადასწყვიტა, რომ ბედს იმის თვის დაუწერიდა ეს ქალი და, სიკვდილიადაც რომ დაუჯდეს, თავს აღარ დაანებებდა”. ამის შემდეგ ის ქალს მოიტაცებს. მომტაცებელთ მოხუცებული დედა მერდინს წინ ფეხქვეშ გაუშლის, მაგრამ ამას, ამ უწმინდესს ჩვეულებას მთისას, რომლის შემდეგ თვით მოსისხლე მტრებიც კი დასტოვებენ ერთმანეთთან ბრძოლას, გადალახავენ გუგუას ამქრები და “თითონ გ უ გ უ ა კ ი ქ ა მ დ ი ს გ ა ე ტ ა ც ნ ა ც ი კ ო ს თ ა ნ შ ე ე რ თ ე ბ ი ს ს უ რ ვ ი ლ ს, რომ გონება და ბნეულს ვერ მოესაზრა, რას სჩადიოდნენ იმისი ამხანაგები, რომელნიც გარყვნილნი ნაჩალნიკ-დიაშბეგებთან გდებით, საჭიროდ აღარა სთვლიდნენ ძველი, წმინდა სახალხო ჩვეულება უმანკოდ და შეურყევლად შეენახათ”.

ასეთი ბოროტმოქმედია გუგუა; მან გადალახა მთის ჩვეულება, ძალით მოიტაცა ქალი, მის ნება-სურვილს არ დაეკითხა. მაგრამ განა ეს ყველა მის გრძნობის ძლიერებას არ ამტკიცებდა, მის სიყვარულით გაშმაგებას არ ამტკიცებდა, და ამ ძალმა თანდათან დაიმორჩილა აღმფოთებული მტერი და მოყვრად გადააქცია იგი.

“პირველად შეხედა ქალმა გუგუას თვალებში და გაჟრჟოლდა.

იმის თვალებითგან გამოკრთა რაღაც უხილავი ცეცხლი, რომელმაც ერთბაშად მოხიზლა ციკო, ააჭრჟოლა, სიტყვა გაუწყვიტა პირში. გუგუამ აცირგძნო, თუმცა გამოურკვეველად, ეს ძალა და აშკარად ამჩნევდა, რომ რაღაცა ცვლილება ჰხდებოდა იმის გულში”...

ციკო გუგუას “ცეცხლმა” დაიმონავა, დაიმორჩილა და ნეტარების ჟრუანტელი დაუტარა სხეულში. ამის შემდეგ ის ციკოსთვის ლამაზიც იყო, მარდიც, მშვენიერიც; იმის თვალის შესადარი თვალები აღარ დაიბადებოდა, იმის ტუჩებისთანა ტუჩები აღარ გაჩნდებოდა”. ასე თავდება ამ ნიადაგზე ბრძოლა ყოველთვის და შედეგი საბედნიერო ხელშეკრულებაა. მაგრამ ციკოც, როგორც მზალო, როგორც ციცია, უბედური ხდება ბრიყვ ძალის მეოხებით. გუგუა სოფლის საძოვარს იცავს გარყვნილ მებატონესაგან, რომელსაც ძალადობის განსახორციელებლად “ყაზახი-რუსები” მოეწვია. გუგუას მთავრობის წინააღმდეგობისათვის ჩამოახრჩობენ. ამგვარად, ეს კიდევ ერთი მსხვერპლია საერო უბედურებისა, რომელზედაც ქვემოთ ვილაპარაკებთ.

### III

მე თქვენ დაგანახვებთ, თუ რა სავესებითა აქვს შეგნებული და დასურათებული მძლეთამძლე მეუფე სიყვარული ყაზბეგს, რა უცხოთა აქვს გამოხატული მისი ფატალური ძლევაძოსილი მსვლელობა ადამიანის გულში.

მაგრამ თუ გინდათ, ახლოს ნახოთ ტრაგიკული სახე სიყვარულის სიმძაფრისა, მისი საშინელებისა, გადაიკითხეთ “მოდღარი”. იშვიათად შეუგნიათ და გადმოუციათ მსოფლიო ლიტერატურის უდიდებულეს პოეტთა ის სიმწვავე და სიტკბო, ის ტანჯვა და ვაება, ის სიხარული და ბედნიერება, ის გაშმაგებული სურვა, რომელიც თანა სდევს ამ გრძნობას. ონისეს, გელას მწყემსს და მაყვალას, გელას ცოლს, ერთმანეთი უყვართ: “მათ ერთმანერთი სიყმაწვილითვე გულში ისე ჩასჭედოდათ, რომ თვით ჯოჯოხეთის ცეცხლსაც ვეღარ ამოებუგა და ქვეყნის ნიაღვარს ვერ წაელეკა”. გელა მაყვალას ქალის უნებურად ირთავს. “თემობას ასეთი საქმე შეუძლებელი გახლდათ, მაგრამ გელა ეხლა თემს აღარ დაგიდევდათ, ის “ახალ ძალებს” ერთგულებას არჩევდა, ამაზე ამყარებდა თავისს გავლენასა და ღონეს. იგი “იასაულად მსახურობდა და იმ დროში კი იასაული დიდი ძალის მქონებული იყო, რამოდენადვე გარყვნილიყო და გათამამებულიყო”. მაყვალა ზიზღით უყურებს გელას და ყოველ შემთხვევაში ამ ზიზღს უცხადებს, მაგრამ გელა თავის ძალასა და უფლებას ადგია. კიდევაც გაექცევა ერთხელ ქმარს. თემიც დაადასტურებს ამ გაქცევას, მაგრამ “ახალი კანონი” ცოლს ისევ ქმრის “კლანჭებში” აგდებს. მაყვალა სიყვარულის გრძნობის უძლეველის ფატალურის ძალის წინააღმდეგობას ვერ შესძლებს, და იგი ამ გრძნობის მონა გახდება. და, როცა ონისემ, ბევრის დევნისა და ხვეწნა-მუდარების შემდეგ, ქალი დაიმორჩილა, “მაყვალამ იგრძნო რაღაც სითბოება, სისუსტესთან არეული, თითქოს ტანში მოიშალა, გონება დაებნა და უხილავის ძალის გავლენის ქვეშ მყოფმა დაიკვნესა, წნელისავით გადმოიგრინა და პასუხად ორივე ხელი ყელზე მაგრად გველისავით შემოაჭდო. აღზნებული, ხანგრძლივი კოცნა კაცისა გაისმა. ყველაფერი გაჩუმებულიყო და სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო. ამ საერთო იდუმალობის დროს ათასში ერთხელ გაისმოდა შეყვარებულთა ხმა, რომელნიც ერთმანეთს ზევით ღმერთს აძლევდნენ თავდებადა და ქვეშ დედამიწას, რომ საუკუნოდ შერთდებოდნენ, რომ ერთმანერთით ისულდგმულებდნენ (“მოდღარი”). გელა ონისეს შეისწრებს თავის სახლში და დასჭრის. შემდეგ თემი განასამართლებს მათ მოქმედებას და სამივეს განდევნის თემიდან: მაყვალას, თემიდან განძევებულს, მოძღვარი ნახავს თოვლში ჩაფლულს და სიკვდილს გადაარჩენს, მაგრამ ის ვერ გადაარჩენს იმ ძალას, იმდენადვე ძლიერს, როგორც სიკვდილს, რომელსაც სიყვარული ეწოდება, და რომელსაც შეეკრა, შეებოჭა და წარუხოცელი დადი დაესვა მის ცხოვრებაზე. გაშმაგებული, ველად გადავარდნილი მისი მიჯნური ონისე გაუგმირავს მას მკერდს ხანჯლით მოძღვრის სენაკში, ვინაიდან მაყვალაი “ცხოსთვის ვერ დაეთმო”. გელა მოძღვარს გააბამს მაყვალას სიკვდილში და გააციმბირებინებს. ონისე თემის წინაშე აღიარებს თავის დანაშაულს. ამ დროს გელა მას მოჰკლავს თოფით, ხოლო თემი გელას ქვით ჩაჰქოლავს.

აბა, დაუკვირდით ამ მარტივ, თითქმის ყოველდღიურ არაკს სიყვარულისას, რომელიც რომანტიკულ მანერაზეა გამოხატული და ნახეთ, რა მხატვრულის შემოქმედებით აქვს ავტორს გაღრმავებული და გაბრწყინებული. ნახეთ, აბა, რა თანდათანობით იზრდება და ვითარდება მაყვალასა და ონისეს გრძნობა და როგორის აუცილებლობით მიდის თავის ლოლიკურ, ფატალურ დასკვნამდე. ეგრეთი ძლიერი გრძნობა მთელი ცხოვრებაა, მთელი ღერძია ცხოვრებისა, მისი დასაბამისა და დასასრულის კალაპოტი და ჭახრაკი. პირველად ქალი, თემის წესის მონა, გულდათუთქული ეუბნება ონისეს: “ღმერთმა და ხალხმა სხვას მაკუთნა, უნდა დავმორჩილდე...”

ქმრიანი ვარ და თემს ყბად ვერ აველებინები”. მაგრამ განა აგრეთ მოსაზრებას რაიმე გავლენა აქვს გაშმაგებულ მიჯნურზე. ეს, პირიქით, უფროც ამწვავებს მის სურვას და აკი გაბრაზებით უპასუხებს: “ს ტ ყ უ ი!... დ მ ე რ თ მ ა და ხ ა ლ ხ მ ა კ ი ა რ ა, ძ ა ლ ა მ გ ა კ უ თ ნ ა, და შ ე ნ ც და-მ ო რ რ ი ლ დ ი... მ ო კ ვ დ ე, ი ს ა რ გ ი რ ჩ ვ ე ნ ი ა? ქ ვ ი ს გ უ ლ ი გ ქ ო ნ ი ა, ღ ვ თ ი ს მ ა დ ლ მ ა”. ეს რევოლუციონური პროტესტი ხანს გადასულის ჩვეულების წინააღმდეგ პირველად გაისმის ამ მოთხრობაში და ეს პროტესტი მერე საქმედაც გადაიქცევა. თუმცა პირველად მაყვალა “ღმერთისა და ხალხის” გადაწყვეტილების მორჩილებას კისრულობს და ონისესგან გატაცებაზე უარს ამბობს, მანდილს ვერ მოვიხდით, მაგრამ კარგად ვიცით, რომ ეს ტყუილია, სიტყვის მასალაა, გონებისა და ჭკუის ნაკარნახევი და არავითარი მტკიცე ნიადაგი არა აქვს.

“რამდენადაც მაყვალა დღემდის ცდილიყო, რომ გულწრფელი სიყვარულის გრძნობა შეეყენებინა, რამდენიც მეტი და სასტიკი მოთმინება დაეხვედრებინა გულის მოძრაობისთვის, იმდენად მეტის ძალით გაბრძოლებულიყო მის დაუკითხავად აღძრული გრძნობა. ყოველი მეცადინეობა მაყვალასი ყოველი მოსაზრება, რომელსაც გრძნობის მოძრაობას წინ უყენებდა, გადმოჰხეტქა გაშმაგებულმა წადილმა და თან წარიტაცა ქალის ნება... ეხლა მაყვალა მთლად გრძნობას და ჰმონებოდა. ეხლა მზად იყო ყველასათვის პირდაპირ, უშიშრად ეთქვა: “მე ვემბე ონისეს, მასთან შეერთებისა არა მრცხვენის, ამიტომ რომ მიყვარს, ნამუსზე დაც კი მეტად მიყვარს...” მაყვალა მზად იყო მთელი თავისი სიცოცხლე მიეცა, ოღონდაც კი ეს კაცო დაენახა, ჩაეხვია, ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მოესწრო - ეთქვა: “ჩემო ყველა!” და მერე თუნდ სული დაეღლია... იქამდის ძლიერად გაშმაგებულ იყო ეს ქალი, იქამდის შეეპყრო წადილს, რომ სრულს თავდავიწყებას მისცემოდა” (“მოდღვარი”).

ონისეც არ გახლავთ უკეთესს მდგომარეობაში. სცადა კიდევაც, გადაევიწყებინა, ვითომ კიდევაც გადავარდა გულზე, მაგრამ სულ უბრალო შემთხვევა იყო საკმარისი - მეფანდურის სიმღერის გაგონება, - რომ გრძნობა მის გულში მთელის სიმწარითა და სიმწვავეთ აღუღებელიყო. “მის გულში ამ ლექსებს საკმაოდ დიდი მოეგროვებინა და სავაგლახოდ უმილით მოეცვა”... ამის შემდეგ ონისე ბინაში აღარ დაბრუნებულა, “მიჰხდომია ველთა რბენა”... “ათასში ერთხელ ველად გავარდნილს ნადირსავით, თვალს თუ მოჰკრავდა ვინმე, თორემ სალაპარაკოდ ხომ ვედარავინ დაუახლოვდებოდა”...

არ შემიძლია, არ განვაგრძო ამოწერა. თავისი სიტყვით იმის გადმოცემა, რაც ძლევამოსილს ნიჭს შეუქმნია, შეუძლებელია. ეს მდიდარი ქვეყანა გრძნობისა, ეს დიადი უცნაური სურათი სურვათა სამეფოსა ისეთის შემოქმედისაგან არის ნაწარმოები, შექმნილი, რომ მარტო მისივე კალმის ნაწყვეტს შეუძლიან მოგვცეს წარმოდგენა ამ მომხიბლველ სამყაროს შესახებ. ძალა სიყვარულისა ესდენ საოცრად, ესდენ წარმტაცად, ძვირად თუ ვისმე აღუწერია. აქ რაღაც რუსთაველისებურია, აქ რაღაც ღვთაებრივია. ეს ის გრძნობა კი არ არის, რომელსაც დღევანდელი მწერლები გვიწერენ, რომელიც თერმომეტრით და არშინით გამოზომილია და სასწოროზედ გირვანქით აწონილი. ეს ის გრძნობა კი არ არის, რომლის რეცეპტი ჯიბით დააქვს მიჯნურს და რომელსაც გულის ძგერა წინდაწინვე დათვლილი აქვს და თავს ნებას არ მისცემს, საშუალო ზომიერებას გადააცილოს. მისმა გულმა გრძნობა იმდენზე უნდა გამოსცადოს, რომ თერმომეტრმა აჩვენოს 36,6<sup>0</sup>, მაჯა 70 - 76 მეტს არ უნდა სცემდეს და სხვა. ეს გრძნობა გრიგალის მსგავსია, მსგავსია საშინელის ღელვის, მიწისძვრის, წარღვნის, რომელსაც ვერაფერი ვერ შეაჩერებს, ვერ დაიკავებს და თავის მონებს ისე ათამაშებს, როგორც ბავშვი ტიკინს. აბა, უყურეთ ონისეს, ამ მოხვევის ტყავში გახვეულს ველად გაჭირის ტარიელს:

“ონისე, სრულიად გაგარეულე ბული, მთებში და დიოდა და ძეხორციელს აღარ ეკარებოდა. ყოველი მისი ფიქრი, ყოველი სურათი დაბადებული აღელვებულის ოცნებისაგან, ყოველი ამოსუნთქვა მაყვალას შეეხებოდა და იქამდის ტკბილი იყო, რომ გარეშე პირის მიკარება ცოდვად მიაჩნდა.

მთელი სიცოცხლე მოხვევისა ამ ქალზედ ფიქრად გადაქცეულიყო და როგორც ბუნწს ეშინიან, რომ მის სიმდიდრეს სხვა პირი არ მიეკაროს, ისე ონისეც განზე გასულიყო და მარტოდმარტო ხსნიდა გრძნობის კიდობანს, მარტოდმარტო უმოწოდ იხედებოდა შიგა. ყოველთვის, როდესაც კი მოუვიდოდა ჟინი მაყვალას დასაკუთრებს, ხან გამედგარებულის მრისხანებით, ხან ნიავსავით ნაზის დაყვავებით შეეხებოდა სატრფოს”.

ასე განწყობილი ონისე ბუნებას მიჰმართავდა და მის სანახაობას დააშტერდებოდა.

“მაგრამ ონისე იმ დროს სინამდვილეს ვერ ჰხედავდა, მისი გონება შორს, შორს გაფრენილიყო და თვალწინ მხოლოდ მაყვალას სახე, - ხან გულკეთილ ანგელოზად, ხან გამედგრებულ უწყალო მაცდურად ეჩვენებოდა...”

ხანდისხან ტკბილ ოცნებას, რომელიც მთელს მის არსებას ბედნიერებითა და სიხარულით ავსებდა, მოუწამლავდა უწყალო ეჭვი და მაშინ კი...

რაკი ამ საგანს შეეხებოდა, ეს ფიქრი იქამდის მიმე ლოდად დააწვებოდა მთელს მის არსებას, რომ ვეღარ უძლებდა და მოღუნული, მთლად გასრესილი ბეჩავად ღონემოკლებულად გამოიხედებოდა: თითქოს გველი შემოჰხვევიაო, იდუმალი ძალა ისე ღრღნიდა, გულს უხოკდა და სისხლსა სწოვდა”.

ონისე თავს არავითარ გრძნობას არ დააჩაგვრინებდა, უბედურების წინაშე ქედს არ მოიდრეკდა, მას დედის ძუძუსთან შეწოვილი ჰქონდა, რომ “ერთხელ სჯობია სიკვდილი, სულ მუდამ დაღონებასა”. იგი გმირულის სულის პატრონი იყო. არც მისი გრძნობა გახლდათ იმ თვისებისა, რომ ერთი ხელის გაქნევით ბუზივით აეფრინებინა და თავიდან მოეშორებინა. თვით გრძნობას ისეთი მძაფრი და საშინელი სახე მიეღო, რომ, ვისაც ის გაუჯდებოდა, არ მოასვენებდა, ვიდრე მის ლოგიკურ, კანონიერ დასკვნამდის არ მივიდოდა. ხოლო ლოგიკა და კანონი დიადის გრძნობისა ბევრად განირჩევა ჩვენს ბედშავ წვრილმან კაცუნების ლოგიკისა და კანონისაგან.

წუთის დასუსტების შემდეგ ონისე ამაყად თავაღებული წამოდგებოდა, გაიმართებოდა წელში და მედგრად წარმოსთქვამდა: “მ ა ყ ვ ა ლ ა მ ი ყ ვ ა რ ს და ჩ ე მ ი უ ნ და ი ქ მ ნ ა ს!” და ამ ს ი ტ ყ ვ ე ბ შ ი ს ჩ ა ნ და წ ა რ მ ო თ ქ მ უ ლ ი ძ ა ლ ა, შე უ ყ ე ნ ე ბ ე ლ ი და შე უ დ რ კ ე ნ ე ლ ი... აშკარა იყო, რომ მის გ რ ძ ნ ო ბ ა ს გაბრძოლების დროს წ ი ნ ვ ე რ ა ფ ე რ ი გა დ უ დ გ ე ბ ო დ ა, ვ ე რ ა ვ ი თ ა რ ი მ ო ს ა ზ რ ე ბ ა ვ ე რ შე ა ყ ე ნ - ე ბ და და მ ი ს მ ო ს კ ო ბ ა ს მ ხ ო ლ ო დ ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს მ ო მ ს კ ო ბ ე ლ ი ს ი კ ვ დ ი ლ ი ღ ა შე ს ძ ლ ე ბ და. “არა, ღვთის მადლმა, მაყვალაუ!” - გაიძახოდა იგი - თ უ მ ე ა რ ა, ც ხ ო ს ა ც ვ ე რ ე რ გ ე ბ ი! მე ცხოზედ მეტად მიყვარხარ და ს ა უ კ უ ნ ო დ ჩ ე მ ი ხ ა რ”.

რალა გასაკვირველია, თუ ეს ორი არსება, ერთის ენერგიით აღჭურვილი, ერთის გრძნობით გაჟღენთილი, მისწრაფოდნენ ერთმანეთისაკენ, თავის შეუგნებლად, თითქმის თავის უნებურად. რალა აქ გასაკვირველი, თუ პირველისავე შეხვედრისთანავე მათ შორის ყოველივე კედელი დაიმტვრა, ერთიდან მეორემდის გაიბა განუწყვეტელი დენა ელექტრონისა და გაჩაღდა დიდებული ცეცხლი და ალი სიყვარულისა.

ონისე მაყვალას წისქვილში შეისწრებს. ქალს ეძინა...

“სახე გაღიმებული ჰქონდა და ზედ რალაცა სამაცდურო მომხიბლავი ძალა დასთამაშებდა... ცეცხლის შუქზედ ქალი მეტად დამშვენებულიყო და ციურ საჯოჯოხეთო მიმზიდველობა დასთამაშებდა... ონისეს აბრაზებდა მ ი ს ი ც ქ ე რ ა, გ ო ნ ე ბ ა ს ა კ ა რ გ ვ ი ნ ე ბ და, წარმოუთქმელს სატანჯველს აგრძნობინებდა, მაგრამ თვალი ვერ მოეშორებინა... ყმაწვილი ბ ი ჭ ი ჩ ა ს ჩ ე რ ე ბ ო და, ს თ ვ რ ე ბ ო და მ ი ს ი ს ც ქ ე რ ი თ და, რ ა ლ ა ც ა უ ხ ს ნ ე ლ ს ა ლ ტ ა ც ე ბ ა შ ი შე ს უ ლ ს, მ ი ს ი ჭ ვ რ ე ტ ა თ ა ნ და თ ა ნ მე ტ ი ს ძ ა ლ ი თ ს წ ყ უ რ დ ე ბ ო და... ქ ა ლ ი ე რ თ ბ ა შ ა დ შე ე ჰ ვ რ თ ა, გაახილა თვალები და აშკარად დაეტყო, რომ ეს შეკრთომა შეშინებისა არ იყო, მის განძრევასთან ერთად ონისესაც თითქოს გ უ ლ შ ი რ ა ლ ა მ ა ც გ ა ჰ ვ რ ა, ისიც შეჰკრთა, აღელდა და წარმოუთქმელის ძალით იგრძნო მასთან მიახლოვების, შეალერსების წადილი” (იქვე).

დაუკვირდით, როგორის ძალით სჩქეფს და გადმოდულს მათში გრძნობა. ეს ორი ურთიერთის მიმზიდველი ბუნების საიდუმლო ძალა მიდის და მიილტვის ერთმანეთისაკენ და მას ვერავითარი დაბრკოლება, ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ შეაჩერებს. ონისე და მაყვალა აქ სიმბოლური ხატებაა გრძნობის ორის ნაკადულისა, ორის მიმართულებისა, ორის დენისა.

“კარი გაიღო, ონისე დამთვრალსავით რაცრაცით შევარდა ოთახში. “თვალებიდან ცეცხლებსა ჰყრიდა”. ქალს თავი დაეხარა, თვალები დაუშვა და, “წნორის ფურცლებსავით თრთოლა დაიწყო.

ორნივ ისე იდგნენ გახვევების საგნებისავით, თითქოს მოძრაობის ნიჭიც კი დაეკარგათ. აქამდის ორნივ ისეთის ძალით მიიბრძოდნენ ერთიერთმანეთისაკენ, რომ ქვეყანაზედ თვით ძალა არ გაჩნდებოდა, რომელსაც მათი ერთმანეთისადმი ლტოლვილება შეეყენებინა და ეხლა კი, როდესაც ერთმანეთისაგან ასე ახლოს იდგნენ, ამოსუნთქვაც კი ვეღარ გაებედათ. ონისე უყურებდა მაყვალას, რომელსაც აღშფოთების გამო საგულის შეკვრაც კი დაჰვიწყებოდა და გაჩუმებული თითქოს ელოდა, ლაპარაკი ქალს დაეწყო... მ ა ყ ვ ა ლ ა ჰ გ რ ძ ნ ო ბ და კ ა ც ი ს თ ვ ა ლ ე ბ ი ს ძ ა ლ ა ს, რ ო მ ე ლ ი ც მ ო უ ს ვ ე ნ რ ა დ უ ც ი გ ლ ი გ ე ბ და და ა ლ შ ფ ო თ ე ბ ა შ ი შე ჰ ყ ვ ა ნ

და; სიამოვნების ჟრიამულს უტარებ და მთელს სხეულში და, თუმცა თვალები დაშტერებული ეჭირა, გრძნობამხედველობათ გარდაჰქცეოდა”.

ყოველივე სიტყვა აქ მეტია. აქ დუმილი, ის დუმილი, რომელზედაც მეტერლინკი ამბობს, ყოველისავე დიდებულის მშობელია; მხოლოდ ამგვარ დუმილს შეუძლია, გამოსახოს ყველაფერი. და, აი, სწორედ ორივე დუმილმა მოიცვა, ვიდრე მათ შორის არსებული ბრძოლა არ დამთავრდა და ონისემ არ იგრძნო, რომ იგი გამარჯვებულია; ეხლა მარტო სადღესასწაულო ტროფეები უნდა აეღო, ვითა ნაყოფი ხანგრძლივის და ბრწყინვალე გამარჯვებისა.

“ონისემ რამდენიმე ნაბიჯი წადგა, გაიმართა წელში, იგრძნო ბრძოლის ველი მასა რჩებოდა და სახე გამარჯვებულის ძლევამოსილობით გაუბრწყინდა... “ჩვენის ნებით არ მომხდარა ეს დავერცხვენის ნებით გავიყრებით,” გამოუცხადა გამარჯვებულმა დაპყრობილს. ქალი მთლად დაემონებია და დაეპყრო ვაჟის ძალას და “კაცის ყოველ სიტყვას, ყოველ ხმის მოტრიალების გავლენას აშკარადა ჰგრძნობდა. ქალი სდნებოდა და ეგლისებოდა, უხმოდეთ ანხმებოდა და უსიტყვოდ ემოჩილებოდა. ონისემ მოხვია ხელები, მიიზიდა მკერდთან, მაგრად და ძლიერად მოუჭირა მკლავები, ჩაჰხედა თვალებში და წყნარად, თითქმის ჩურჩულით უთხრა”...

დადგა დღე მათის სრულის ბედნიერებისა და ნეტარებისა. ერთმანეთისთვის გაჩენილი, დიდის ლოდინის შემდეგ ერთად შეყრილიყვნენ და ეს მდგომარეობა მეტად თავდამაჯი იწყებელი იყო, რომ მათ სხვა რისთვისმე მოეცალათ. მაგრამ ცხოვრებაში სხვა ძალნიც არიან, რომელნიც სულ სხვა გზით მოდიან, რომელნიც სიკვდილსა და უბედურებასაც ემსახურებიან. საუკუნო ნეტარება ოცნებაშიაც არ არის. ვინ იცის, იქნება ნეტარებას გემოც მისთვისა აქვს, რომ იგი საუკუნო, სამარადისო არ არის. სამუდამოა ღორული განცხრომა. ცხოვრების სრულიად კმაყოფილი ის არის, ვისაც მოთხოვნილება ბეჩავისა და უზადრუკის კაცისა აქვს, ვინც “სმა-ჰამასა” სთვლის კაცის ცხოვრების მიზნად. ადამიანი კი, რომელიც განიცდის სრულს ქარიშხალს ცხოვრებისას, მას ნეტარება და ტანჯვა არეული აქვს, სიამოვნება და სევდა შეზავებული, და ეს არა იმიტომ, რომ ტანჯვასა და ვაებას კაცი იძიებდეს, ანა და უნდა ელტვოდეს, სრულიადაც არა. პირიქით, ადამიანის ბუნება ისევე გაურბის სევდა-მწუხარებას, როგორც ავადმყოფობას, შიმშილს, წყურვილს და უნდა იბრძოდეს ტანჯვის წინააღმდეგ ისე, როგორც შავის ჭირისა, გინდ ხოლერისა, მაგრამ გარეშე კაცის ნებისა, მოქმედებენ “ძალნი”, რომელნიც მის ცხოვრებას ასე თუ ისე ათამაშებენ. კაცი კი იბრძვის, შრომობს და იღვწის, რომ თავიდან მოიშოროს ბოროტი ძალები, ხოლო კეთილი კი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ბუნებრივის ფატალურის ძალების გარდა, რომელიც გარეშე კაცის ნებისა მოქმედებენ, თვით საზოგადოებების მახინჯმა წყობილებამ კაცს აღუმართა მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზი ბედნიერების გზაზე. კაცის სულიერი და ხორციელი თავისუფლება, მისი არსებითის სურვილების და მისწრაფების განხორციელება ესოდენ შეზოჭილი და შეზოკილია, რომ პირადობა მთლად მომხჩვალა ამ მოხუთულ ატმოსფეროში. კაცთა შორის კავშირს ერთადერთი მიზანი უნდა ჰქონდეს - ეს ის, რომ თავი დაიცვას ბუნების იდუმალ ბოროტის ძალებისაგან, ბრძოლა გაუწიოს მთლად ერთიანად მთელს მსოფლიოს და თავისი უპირატესობა განამტკიცოს მსოფლიოში.

დღევანდელი საზოგადო წესწყობილება კი სულ სხვას ემსახურება. იგი ზნეობრივად და გონებრივად, ფიზიკურად და სულიერად დუხჭირთა და გაკოტრებულთა სასამსახუროდ გარდაქმნილა და ებრძვის და იმონებს უმეტეს ნაწილს კაცობრიობისას, რომელსაც ათასჯერ უფრო მეტი უფლება აქვს სიცოცხლისა და თავისუფლად ცხოვრებისა. აბა, რა უნდოდა საზოგადოებას, თემს ონისესთან? არა, რითი არიან დამნაშავენი ვისმესთან ონისე და მაცვალა? ნუთუ კანონიერება, ბუნებრივობა და, მამასადამე, წესიერება იმას არა თხოულობენ, რომ ეს ორი არსება, ამ დიადის გრძნობის ჭურჭელად გადაქცეულნი, ერთიმეორის საკუთრება ყოფილიყო? ნუთუ ის კაცი, რომელიც “მაცვალას დასაკუთრებისათვის, შერჩენისათვის, მთელი სიცოცხლეც სრომდასჭირვებოდა, წუთს არ შედგებოდა, და უვჭრებლად მისცემდა”; ნუთუ ეს კაცი ღირსი არ იყო მაცვალასი, ნუთუ მარტო და მხოლოდ ამ კაცს არ ეკუთვნოდა მაცვალა? მაშინ, როდესაც თვით მაცვალაც ამ გრძნობას დამონებოდა მთლად და უშიშრად, თამამად გაიძახოდა: “მე მიინდა ონისესთან შეერთება, იმიტომ რომ მიყვარს, ნამუსუნედაც კი მეტად მიყვარსო”. ნუთუ ვისმე ჰქონდა ნება, მათ გრძნობაში გარეოდა? ნუთუ ან თემს, ან დედას, ან მამას, ან ქმარს ნება ჰქონდა, ხელი შეეშალა იმ უმწვევრვალესის ნეტარებისათვის, რომლისაკენაც მისწრაფოდა მათი მშვენიერი სული და ხორცი? ან კი რა გამოვიდოდა ამ წინააღმდეგობიდან, თუ არ გაცამტვერება ამ ადამიანთა სიცოცხლისა, მათის ცხოვრების დასახიჩრება, მათის ბედნიერ არსებობის დამხოება და დაღუპვა? მაგრამ საზოგადოება,

მახინჯ პრინციპზე აგებული, დამპალის ზნეობის მოსარჩლე, თემია იგი, თუ ინგლისის “ჰაილაიფი”, სულ ერთია, იგი იცავს ანტიბუნებრივს კანონს და უიმისოდაც ათასგვარად ბუნების ძალებისაგან განაწამებს ადამიანს სულს უხუთავს. ეს დარგი მოვლენათა - ქალ-ვაჟთა ურთიერთ შორის კავშირი - იმდენად ინტიმურია, იმდენად ინდივიდუალური რამ არის, რომ ამაში გარევის ნება არავის არ უნდა ჰქონდეს, მას უნდა აწესრიგებდეს ბუნება და ბუნებავე უნდა უდებდეს მას საზღვარსა და კანონს.

აქ კი მაყვალასა და ონისეს გულწარმტაცი მომხიზვლელი ამბავი ხალხს გასაკიცხავ ლექსების საგნად გაეხადა და “ლეჩაქმოხთილის ქალისათვის” ნათესავთა და მახლობელთა კარიც კი დახშულიყო: “ყველა ამაში ხალხის შეუწყალელობა გამოითქმოდა იმ პირთა მიმართ, ვინც თემოსნობის დიდების დარღვევა და შეურაცხყოფა მოიწადინა. ხალხი, დღემდის გაბრაზებული, მწუხარებით იგონებდა ამ შემთხვევას და მღელვარებდა”... მაყვალა, თუმც ციხის ნანგრევებში იმალებოდა, მაგრამ ერთხელ-ორჯელ შეხვდნენ, დაინახეს და ხალხის “გაბრაზება იქამდის მივიდა, რომ თემის ყრილობამ საქვეყნოდ განშორება მოითხოვა, რადგან მათი სოფელთან სიახლოვეც კი შეურაცხყოფად ჩასთვალეს”. და ჩვენ ვიცით, რომ მაყვალაც დალუპეს, ონისეც და თვით ონოფრეც, ეს თემის საუკეთესო სიმბოლო და განხორციელება.

განა ასევე არ იქცევა დღევანდელი საზოგადოება, მხოლოდ ერთის განსხვავებით: თემის ბატონობის დროს თემის ყოველი წევრი ერთნაირად განიცდიდა თემის გულისწყრომას, დღევანდელში კი არიან რჩეულნი, რომელთათვისაც ყოველივე ნებადართულია და დაკანონებული, და არიან დამონებულნი, დიდი უმეტესობა, რომელთათვისაც თვით ბუნებრივი მოთხოვნილებაც კი აღკრძალულია და ამით სიცოცხლე გამწარებული აქვთ. ერთის მხრით, არის ზნეობრივი უფლება ბატონთა, მეორეს მხრით, ზნეობრივი მოვალეობა ყმათა და მონათა. ამ შემთხვევაში კი ბუნება თავისასა შვრება და იმდენად უფრო ფატალურს სახეს ღებულობს, რამდენადაც მის კანონიერ მიმდინარეობას ხელს უშლიან ისე, როგორც მოვარდინლ წყალს ვერ შეაჩერებს ქვიშა და კენჭები, არამედ ერთიორად უფრო ძალას აძლევენ მის მსვლელობას. მაყვალა თითქმის სულით დაავადმყოფდა და მოძღვარის ქადაგების ზეგავლენის ქვეშ რელიგიურმა ექსტაზმა მოიცვა. მაყვალა ქვეყნისათვის მოკვდა, განშორებოდა სოფლის ვენებს და, თუმცა ქვეყნად დადიოდა, მაგრამ ქვეყნის ფუფუნებისათვის აღარ ეცალა... “ა მ ქ ა ლ ს მ ო ე კ ლ ა, ჩ ა ე მ ა რ ხ ა ყ ო ვ ე ლ ის ე რ ი, რ ა ც კ ი ხ ო რ ც ს ი ტ კ ბ ო ე ბ ის ნ ე ტ ა რ ე ბ ა ს აძლევს, უ ა რ ე ყ ო კ ა ც ი ს უ ტ კ ბ ე ს ი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ნ ი და, ხორცის მომკვლელი, სულის ამაღლებას და დიდებას შესდგომოდა”. ამგვარად მაყვალა ონისეს წაართვა არა გელამ, არა სხვადასხვა ტრადიციონალურმა რწმენამა და მოსაზრებამ, არამედ თემის სისასტიკემ. ხალხის უაზრო ჯალათობამ მაყვალა სულიერ ავადმყოფად შექმნეს, მას სიცოცხლე უკვე მოუსპეს და შმაგად ქცეულმა ონისემ, მოზღვავებულის გრძნობით გალომებულმა და გაბრაზებულმა, მხოლოდ ბეჭედი დაასვა იმ გარდაწყვეტილებას, რომელიც უკვე სისრულეში იყო მოყვანილი. ონისემ მაყვალა გამოასალმა იმ ცხოვრებას, იმ ხორციელებას, რომლისათვისაც “იგი მკვდარი იყო”. ასეთის კატასტროფით გათავდა და უნდა დასრულებულიყო კიდევაც ეს დიადი გრძნობა, დიადი ალი, რომელიც სწავდა ამ ორ მშვენიერს საუცხოო ქმნილებას.

მთელი ძლიერება ყაზბეგის ნიჭისა აქა სჩანს, ამ უცნაურის გრძნობის სრულს სისტემაში, რომელიც მან მოგვცა. იშვიათად ვისმე აუწერია და დაუნახებია ჩვენთვის ასეთი მიუწოდომელი იდუმალი ძალა და ენერჯია სიყვარულისა. ონისემ მაყვალა წუთისოფელს გამოასალმა, რადგან მაყვალამ დაჰკარგა ის ნაწილი თავის არსებისა, რომელიც ონისეს დიდებულ სანეტარო განძსა და საკუთრებას შეადგენდა; ონისემ დასაჯა, ჯავრი იყარა ამ ქალზე, რომელმაც მიბარებულს საუნჯეს ვერ მოუარა, ვერ უპატრონა, დალუპა. ონისემ შური იძია სიცოცხლის მანათობლის ვარსკვლავის მოსპობისათვის. მისი უძლეველი, უსაზღვრო გრძნობა დაკმაყოფილებას თხოულობდა. მაყვალას აღზნებულის გულის მაგიერ მას ცივი მძოვრი დახვდა და ეს მძოვრი მან თავიდან მოიშორა. და არა მარტო ონისემ, თვით ბუნებამ დასაჯა თავისი ურჩი შვილი, თვით მან გასცა პასუხი მაყვალას იმისთვის, რომ მან სიცოცხლე ჩაიკლა თავის არსებაში. ეს უცნაური კავშირი ბუნებისა და ადამიანისა, გრძნობის, სიცოცხლის უარყოფელის წინააღმდეგ, ტრაგედიულის პათოსითა და სიმშვენიერითა აქვს გადმოცემული ავტორს. იმ წუთში, როცა მაყვალას მოსპობა ხდება, მოქმედობს რაღაც იდუმალი ძალა, რაღაც მიუწოდომელი ნება, რომლის მონაწილეები მხოლოდ შემდეგ გამოირკვევა, იმ წუთში კი მაყვალა ხდება მსხვერპლად ათასგვარ გადაჯვარედინებულ ძალთა, რომელთაც საიდუმლოების ზეწარი აფარია:

“ჩაბნელდა და ჩაიხურა. ბუნებამ ისევ განმძვინვარებული ღრიალი დაიწყო, ცას ცრემლი ნაკადულად გადმოსცვივდა და ქარმა გლოვიარის გოდება და ზუზუნნი დაიწყო... მცირე ხანი და მას

შეუერთდა კვილი ღონემიხდილის ქალისა... ხმა ქარმა გაიტაცა ჟრიალით და, ვინ იცის, საით გადაჰქმანჯა. კიდევ ხმა კვილისა და ზედ მოჰყვა დამაყრუებელი დაჭექება, იფეთქა ელვამ და ქვეყანა უფსკრულში გაეხვია”.

აბა, გამოიცანით, რა მოხდა და ვინ მოახდინა. მთელის თქვენის არსებით ჰგრძნობთ, რომ მოხდა რაღაც დიადი უჩვეულო და როგორც ყოველი ამგვარი მოვლენა, ესეც გამოუცნობელი ხდება. ონისე მარტო წარსულის მოგონებითა ცხოვრობდა, იგი საყვარელ საფლავს უაღერებდა და თავს ევლებოდა. “ნუგეშს მოკლებული ტიროდა მდულარედ, მწარედ, და გრძნობის გამოსატყმელად მხოლოდ უსიტყვო გმინვას აღმოახდენდა. ხმა იყო ცხარე, მწვავე, ხმა ნამდვილად აღგზნებულის გულისა, რომელსაც იტაცებდა ნიავე, მოჰქონდა თრთოლვით და ბეჩავის ძახილისათვის კლდეთა და ღრეთა ბანად ზარს აძლევენებდა”. ანკი რაღა დარჩენოდა ონისეს. რაღა იყო მისი დანიშნულება ქვეყნად, ბუნებას იგი დიდის გრძნობის მატარებლად, განმახორციელებლად გაეჩინა, მაგრამ ადამიანთა ბრბომ ამ დიდებულს მოვლენას ხელი შეუშალა, მშვენიერება ბარბაროსულად დამარხა და ონისეს სიცოცხლე რაღა იყო:

“მაყვალა, რაც კი ონისეს თავი ახსოვდა, იყო მისი სიცოცხლის შემადგენელი ნაწილი და, მის სიკვდილთან ერთად ეს ეც სრულ სიცოცხლეს ვედარ ჰგრძნობდა ყველაფერს მი ს თ ვ ი ს რ ა ღ ა ც ა კ ლ და, ს ი ს რ უ ლ ე ს ვ ე რ შ ე ა დ გ ე ნ და. მაყვალა იყო ონისესთვის ყოვლისფერი და მის სიკვდილთან ერთად, უბედურს მთიელს აღარ აფრისთან ა აღ არ ა და რ ჩ ე ნ და რ ა, რომელსაც მისი შეაღერებდა შესძლებოდა, მისთვის მზე გაეშუქებინა და ქვეყნისთვის ფასი დაედო... ის იდგა გაყინული, გაციებული, ტუჩებმოკუმული და იგონებდა იმ ქმნილებას, რომელიც ბნელს, ჩაწყვდიადებულს სამარეში ჩაჭედო, დღესაც ყველას, ყველაფერს, თავის თავსაც კი ერჩინა”.

ამნაირად, მოსპო ეს ორი უცხო, სილამაზითა და სიყმაწვილით სავსე მინდვრის ყვავილი. დაჰბერა ნიავემ, მოუტანა მათ მაცოცხლებელი წვიმა, გაზარდა, აყვავილა, შემოსა სიმშვენიერით, თვალწარმტაცი გაჰხადა. გაიარა ბრიყვმა პირუტყვმა და ბინძურის ტალახიანის ფეხებით გასთელა იგინი. თითქო ცხოვრების სამკაულს, ცხოვრების მიზანს, მის წყაროსა და მის სინათლეს არ შეადგენდეს ამგვარი ბუნების შვილები. ონისესა და მაყვალას არსებობას თითქო სიმბოლური სახევა აქვსო. ასე მოსპო, ასე შებღალა მთის გმირული, რაინდული, სიმშვენიერითა და სიკვლევით აღსავსე ცხოვრება ახალმა ბარბაროსულმა ძალამ, ასე გააცამტვერა, ასე დაასახიჩრა სიწმინდითა და სიმტკიცით გაჭედოლი მთის ზნე-ჩვეულება.

ამნაირად დაგვიხატა ყაზბეგმა ერთი უდიდესი მოვლენა მსოფლიოს ცხოვრებისა - ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი. სიყვარული მისთვის ერთი უდიდესი მოვლენაა მსოფლიოში. ჩვენის ლიტერატურის მეთაურების ნამდვილ მემკვიდრეს - სიყვარული მიაჩნია მ გ რ ძ ნ ო ბ ე ლ ო ბ ა დ, ხორცის ლტოლვილებად და ამ ნიადაგზე აღმოცენებული, გინდ დამყნო, იდეალური მხარე ამ გრძნობისა - თავგანწირულება, სინაზე, და სიამტკბილობით აღსავსე მორჩილება. ეს გრძნობა სიყვარულისა უცნაურის ძალით არის აღჭურვილი. გამოუცნობელის მომხიბვლელობით შემკული, იგი სიცოცხლისა და ცხოვრების გამაცისკროვნებელია და განმანათლებელი. აქ ვერავინ ვერ გაუძლებს ბრძოლაში და თუ ეს ბრძოლა პატიოსან მტერთა შორის არის, შეუძლებელია არ გათავდეს იმის გამარჯვებით, ვინცა სცდილობს, მეორე დაიმონოს, მეორეს ჩაუნერგოს თანაგრძნობა, მეორეს პასუხი გამოაცემინოს. აქ, ამ ჭიდილში, ძალდატანებაზე კი არ არის საქმე, აქ რაიმე ხერხიანობასა და გაიმვერობას კი არა აქვს ადგილი, აქ თანასწორი ბრძოლაა ერთისა და იმავე გრძნობის, სურვის, აქ თანასწორი იარაღით სარგებლობენ: თვალებით, თვალების უხილავის ძალით, გრძნობის იდუმალის მისწრაფებით, რომელიც ელექტრონივით გაურბის სხეულში ურჩ სატრფოს (მაყვალა, ციცია, მზალო). სიყვარული გამაბედნიერებელი, დიდებული გრძნობაა, სანეტარო და სასიხარულო და მთელი მისი სიმწვავე წარმომდინარეობს იქიდან, თუ მეორე წყვილი გულგრილია და პასუხს არ იმეტებს. გასაოცარია ის, რომ ყაზბეგს თითქმის ყველაგან მიჯნური გამარჯვებულად გამოჰყავს, რაც უნდა ეურჩებოდეს სატრფო, იგინი ყოველთვის შეერთებულნი არიან. მათ ბედნიერებასა და კმაყოფილებას ხელს უშლის საზოგადოება. ეს სასტიკი და უღმობელი და თანაც ბრიყვი და უვიცი კანონმდებელი, რომელიც მფარველობის მაგიერ კაცს სიცოცხლის საუკეთესო წამებს უშხამავს (“მომღვარი”), ანადა ამ გრძნობას და მისგან შეერთებულს ნეტარებას იგივე მტერი ჰყავს “ახალ გამანადგურებელ ძალაში”, რაც მთელს მთას, მთელს საქართველოს იმ დროისას. აქ იტანჯება და წამებას განიცდის მთელი საზოგადოებრივი ორგანიზმი. რაღა თქმა უნდა, მასთან საერთო ფერხულში ჩაბმულია ყველა წევრი გაუბედურებულისა და დამარცხებულის საზოგადოებისა (“ციცია”, “ციკო”, “ელგუჯა”).



#### IV

ყაზბეგს არ გამოჰპარვია არც სხვაგვარი მოვლენა, რომელსაც საერთო სიყვარულთან არა აქვს რა და რომელიც მარტო და მხოლოდ არანორმალური სქესობრივი გრძნობაა, სქესობრივი მისწრაფება, რომელიც ბოროტმოქმედებას ჩაადენიებს ერთს წყვილს და მეორეზე ძალას ახმარებინებს. უადრესი და თვით არსებითი მხარე ამ გრძნობის იმაში მდგომარეობს, რომ იგია შედეგი ორ არსის ხორცისა და სულის ნდობისა, სურვილისა და ნებისა, იგია კავშირი, რომელიც იკვრის ერთმანეთის სრულის თანხმობითა და სრულის თავისუფლების სურვილით. რასაკვირველია, შესაძლოა ორსავე მიჯნურს შორის პირველადვე არ გაიბას გრძნობათა მომხიბვლელი ჯაჭვი, მაგრამ ბრძოლა შესაძლოა პატიოსანის იარაღითა და ხერხით, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღოს საიდუმლო, დიადის ძალის გარეშე გამოაშკარავებამ, - ეს ბრძოლა ისე უნდა მოხდეს, რომ ორი არსება თითქმის თავის უნებურად შეეხოს ერთმანეთს, თითქმის თავის წინააღმდეგ ჩაეკრას ერთმანეთს გულში. ხოლო ფიზიკურად ძალის მიტანა და უსუსტეს ელემენტის ძალით დამორჩილება უარყოფაა სიყვარულის გრძნობისა და ფიზიოლოგიურად ზიზღს უნდა იწვევდეს მრთელს, ძლიერს ადამიანში. ასეც ემართებათ გუგუას, გინდ სულთის და ონისესაც. ამ ჯურის, ამ ფიზიოლოგიურის ბოროტმოქმედების გვარია ის ძალმომრეობითი დაკმაყოფილება სქესობრივის გრძნობისა, რომელსაც ნაჩაღნიკი ასრულებს მზალს შესახებ. აქ ნამდვილი ბრძოლა გააჩადა “კულტურის მოციქულმა” და, რასაკვირველია, სძლია, ისიც ბევრის ვაების შემდეგ, საბრალო ქალს...

“მზალს ჩქარა დაეტყო, რომ თანდათან ღონე აკლდებოდა და აშკარად კაცი სჭარბობდა. კიდევ რამდენიმე წუთი და დასუსტებული, ძლივსა მსუნთქავი მეტის მღელვარებით, დაღლვით, ქალი აიყვანა ნაჩაღნიკმა, მიიყრდნო გულზე და გამხეცებულმა დაუწყო ლოშნა. იმან მიიტანა ქალი იქვე მდგომ ტახტთან, რომელზედაც დასვა. აქ კიდევ რამდენჯერმე გაიბრძოლა მზალმ, მაგრამ ჩქარა ღონემიხდილი და თითქოს გულშემოყრილი გადაესვენა ტახტზე. სიხარულის ღიმილმა დაუმახინჯა ნაჩაღნიკს დაობებული და გამშრალი ტუჩები და მხეცავით მიჰვარდა მას”.

ხოლო ცივილიზაციის მესვეურნი, ველურ ხალხის განმანათლებელნი მეორე დღეს მზალს სასაცილოდ იგდებდნენ, “ელაზღანდარებოდნენ და ისეც მოწამლულს, გამშაგებულს გულში კიდევ საწამლავს ასხამდნენ: “რა ჰქენ, გოგო, ნაჩაღნიკმა ჩამოგართვა ჩვენება?” (“ელგუჯა”).

აჰა, შევინება და შელახვა ყოველ ბუნებრივის გრძნობისა იქ, სადაც სიამოვნება შესაძლებელია მხოლოდ ორივეს მხრით და ორივეს ერთსულობითა და ერთგულობით. ერთი სიამოვნებს მეორეს დამცირებისა და ტანჯვის ნიადაგზე... ეს მიჯნურობა იმას მიაგავს, რომლის შესახებ ჩვენმა უკვდავმა შოთამ სთქვა: “მას ერთსა მიჯნურობასა ჰკვიანნი ვერ მიხვდებიანო”. აქ უბრალო ჟინი იყო მათის *высокоидие*-სი და ამ ჟინს შესწირა მთელი სიცოცხლე ქალისა, ახადა ნამუსი, შეურაცხყო მისი ხორცი. თუმცა ყაზბეგის გმირები ამას ბევრად უფრო ადამიანურად ეკიდებიან, ვიდრე განათლებული ევროპიელი. მზალს გაუპატიურებას ელგუჯასთვის ერთი ბეწოთიც არ შეუმცირებია მისგან გაღმერთებულის სატრფოს სიყვარული და პატივისცემა, იმიტომ, რომ მიჯნური, შეყვარებული მთიელი სრულიადაც არ უყურებს თავის გრძნობის საგანს, ვითა ავეჯს, ან თეთრეულს, რომლის გაბინძურება და დასახიჩრება შეუძლიან ყოველნაირ ტალახს. მათთვის სატრფო წმიდა წმიდათაა, რომელსაც “ვერც შემთხვევა და ვერც ხანი დააბერებს”. თუკი მისი გული და მისი გრძნობა შეუცვლელად მტკიცეა, მას ვერაფერი შელახავს.

ყაზბეგს სხვა მაგალითიცა აქვს სქესობრივი ლტოლვილებისაგან გამოწვეულ ბოროტმოქმედებისა, რომელსაც ვითომ სიყვარულის სახელი ჰქვია და ამაზედა აქვს აგებული მთელი მშვენიერი მოთხრობა “მამის მკვლელი”, რომელიც თან რუსების გაბატონების ხანასაც მშვენივრად ასურათებს. მოხვევით მოხოვარა გლახას ქალი ნუნუ შეუყვარდება მოხვევე ყმაწვილ ბიჭს იაგოს. ნუნუ მოსწონს და, თუ გნებავთ, თავისებურად “უყვარს” გირგოლას, ერთ იმ მოხვევთაგანს, რომელსაც ახალი დრო კარგად გამოეყენებინა: “იგი ხელმწიფის სამსახურში არის ჩაფრათა, ყველაფერი შემწეობა შეუძლიან”, ასე ამბობდნენ მასზე მისგან დაშინებულნი.

მაგრამ გირგოლას ცოლი ჰყავს, მამასადამე, ნუნუს შერთვა არ შეუძლია, სიყვარულით კი, კარგად იცის, იაგო უყვარს. მაგრამ გირგოლასა ჰყავს ძმა ნინია, რომელსაც უყვარს (ამას კი ნამდვილად) ნუნუ. თავის გავლენის შემწეობით, გირგოლა შეიტყუებს, ძალით გადასწერს ჯვარს ნუნუსა და ნინიას, იაგოს კი ტყუილ-უბრალოდ და უმიზეზოდ დიამბეგს დააჭერინებს და ციხეში ჩააგდებინებს. გირგოლა პირველისავე შემთხვევით ისარგებლებს და ძალით გაუპატიურებს ნუნუს; ნუნუ კინაღამ თავსაც დაიხზობს ამის გამო. იაგო საპატიმროდან გაიქცევა, შამილის ომშიაც კი მიიღებს მონაწილეობას. ნუნუს მამასთან გაიტაცებენ იაგოს მეგობრები ძაუგში. იაგო ჩამოვა აქ და იმედი აქვს, თავის სატრფოს შეეყაროს. მაგრამ გირგოლა გაიგებს ამას და იაგოს თავისის ამხანაგებით დუქანში გამოაწვევინებს. თითონ კი ჩუმად თავს გაუჩებს გლახას, ნუნუს მამას, და

ნუნუს გადააბრალებს. სიკვდილის პირზე, აღსარების დროს, იგი ამას ასე თავისებურადა ხსნის, რომელიც, რასაკვირველია, ფსიქოლოგიური ჭეშმარიტებაა:

“მე მინდოდა ორივე მომეკლა... მაგრამ ვიფიქრე... ერთის წუთის წვალემა განა გადამიხდიდა მთელი სიცოცხლის სატანჯველს?. მე მიყვარდა ნუნუ... ო-ო, როგორ მიყვარდა... იმან უარმყო, იმან სხვა ირჩივა ჩემს თავს... მე თავმოყვარე, თავმომწონე ვიყავ... ველარ გაუძელ სატანჯველს... მაშინ... მაშინ ვიფიქრე, რომ მამა... მამა მომეკლა, გამოვპარულიყავ და იმის სიკვდილი ქალისთვის დაებრალებინათ... იმას გააწვალეზდნენ, გასტანჯავდნენ, და მეგონა - ეს დამაკმაყოფილებდა”...

ნუნუს გააციმბირებენ, მაგრამ იგი ტანჯვა-წამებაში დაღვეს სულს. გირგოლასა და დიანზეზუედ კი იაგოს ძმადგაფიცული კობა შურს იძიებს და სასიკვდილოდ დასჭრის მათ.

ახლა ვნახოთ, რა სახით გამოისახება გირგოლას სიყვარული. ჯერ იგი ნუნუს ზიზღისაგან გულმოკლულ საწყალ ნინიას აქეზებს ყოველგვარ ძალმომრეობასა და სიბინძურეზე, რადაც უცნაურად გამმაგებული, რაკი იცის, რომ ნუნუს იაგოს მეტი არავინ უყვარს და ეს ძალით მომქმედნი კი მარტო ზიზღს იწვევენ მასში. ხოლო, როცა ერთხელ ნინია ნამწყესურში გაისტუმრა, თვითონ შეუდგა ნუნუს დამორჩილებას და, რასაკვირველია, ბინძურ საშუალებებს მიმართა: “ღვთის მადლმა, მიყვარხარ და არცვის არ დავუთმობ შენს თავს... ჩემი ძმის სიკვდილიც რომ დამჭირდეს, ემ ხანჯალს ტარამდინ ჩავუსვამ გულში და იმასაც არ დაგანებებ.” გირგოლასაც მძაფრი გრძნობა ალაპარაკებს, მან ქალის სიყვარულის გამო უღალატა თემის ჩვეულებას, სარწმუნოებას, კანონს. “ძმაც შენი გულისთვის დაკვარგე, ქვეყანასაც შენთვის გამოვაკლდიო”, გაიძახის ის. მაგრამ მის გრძნობას აკლია შეგნება, ვერ გაუგია, რომ არ არის გრძნობის დაკმაყოფილება იქ, სადაც არ არის ურთიერთობა, ვერ გაუგია, რომ, ნეტარების მაგიერ, სამსალაა იქ, სადაც ურთიერთის სიყვარულის მაგიერ, ერთის მხრით ზიზღია. იგი დამახინჯებულის გრძნობის გამოხატველია, ამიტომაც ნუნუს ვერავითარს თანაგრძნობას ვერ იწვევს. თვითონაც რაინდულის, თავმოსაწონი ბრძოლის მაგიერ ფიზიკურ ძალას მიმართა და გაემართა ქალისაკენ, რათა სუსტი ქმნილება დაემორჩილებინა. ქალმა სირცხვილზედ შეაგდო, მაგრამ გირგოლა უკვე გაპირუტყვეებული იყო:

“რაიღა სირცხვილისაა, ღვთის მადლსა! უპასუხა იმან და ურცხვად მიიკრა გულზედ... აღელვებულს გირგოლას ქალისთვის გამმაგებით ჩაველო მკლავებში ხელი და ისე ძალზედ უჭერდა, რომ ძვლებს ჭახჭახი გაჰქონდა. გირგოლას შეჭმუხვნილის წარბების ძირითგან გაღებულს ნაღვერდალსავით გამოიყურებოდნენ შესაზიზღი თვალები. კბილებმოჭერილი, ცხვირის ნესტოებგაგანიერებული მძიმედ, მაგრამ ძალზე ძლივსლა იქცევედა სულსა. იმას იმ დროს ყოველისფერი დაჰვიწყებოდა და მარტო ერთს პირუტყვეულს წადილს დაემორჩილებინა, შეეპყრო”.

შეხეთ, უშვერი გრძნობა სახესაც კი მანჭავს, თვალებს საზიზღრად ხდის და ამგვარის სახის პატრონის ადამიანისათვის ყოველივე იმედი დაკარგულია, რომ იგი ნამდვილად დაიმონავებს გრძნობით და სურვით ქალსა. ის მარტო ზიზღს იწვევს, მარტო ღრმა სიძულვილსა ჰბადებს.

“გირგოლამ მეორე ხელი მოჰხვია წელზედ, მიიკრა ახლო და აცახცახებულის, ნერწყვმოსულის ტუჩებით საკოცნელად მიიზიდა; მაგრამ იმან მიახლოება ვერ მოასწრო, როდესაც ცამ ძალზედ იჭექა და უსიამოვნო გოგირდის სუნი დატრიალდა; ეტყობოდა ახლომახლოს სადმე მეხი უნდა ჩამოვარდნილიყო”.

ამ საზიზღრობის წინაშე თვით ბუნებაც კი ამხედრდა, რადგან ხედვიდა თავის კანონების დარღვევას, ფეხქვეშ გათელვას, მაგრამ გაპირუტყვეებულ კაცს ყოველივე დავიწყებოდა, გარდა თავის ჭირისა. გირგოლამ ხელახლა ნუნუს “ძალზედ მოჰხვია ხელები, ასწია გულშემოყრილი ქალი და შეიტანა ოთახში. მიიტანა საგებელთან, რომელზედაც დაასვენა, და დაუწყო გატაცებით კოცნა. ცოტა ხანს დამშვიდებული გირგოლა თითქო ისევ სიგიჟემ შეიპყრო და თავდავიწყებით, გაბრაზებით დაუწყო ალერსი... გულშემოყრილმა ნუნუმ, როდესაც გონს მოვიდა და თვალები გაახილა, დაინახა თავის მტარვალის სახე, რომელსაც მასხარად აეგდო, დაემცირებინა იმისი ყმაწვილი ქალობა, იმისი ნამუსი!” (“მამის მკვლელი”).

გირგოლამ კარგად იგრძნო, რომ ამგვარი აღსრულება წადილისა არათუ დაუამებს და დაუცხრობს აღზნებულს გულს, უარესად გააბრაზებს და გააბოროტებს. მან ვერავითარი კმაყოფილება, ვერავითარი სიამოვნება ვერ იგრძნო და მთელი სიცოცხლე შურისძიებაში გაატარა: დაღუპა ძმაც, თავისი თავი, იაგო და ნუნუც, რომელნიც საბედნიეროდა და სამხიარულოდ იყვნენ ერთმანეთისთვის შექმნილნი.

ონისემაც მოკლა მაყვალა, მაგრამ მან მოკლა არა მაყვალა, არამედ ჩონჩხი მაყვალასი, მან მძორი მაყვალასი გახრწნას გადაარჩინა. ეს ბოროტმოქმედება, ეს კატასტროფა იყო შედეგი მისის თავგანწირულის, უსაზღვრო სიყვარულისა და საიდუმლოებით აღვსილის გრძნობისა. გირგოლამ

არც კი მოჰკლა ნუნუ, სამარადისო სატანჯველი გაუჩინა შურისძიებით, რატომ მე არ დამნებდა, მე არ დამაკმაყოფილაო. ონისე ერთგვარი აღმასრულებელია ბუნების ფატალურის მოვლენისა, გირგოლა დამარღვეველია ბუნებრივობის, გადამახინჯებულის გრძნობის იარაღია და უარყოფელი სიმშვენიერისა და ცხოვრების ბედნიერებისა.

ამგვარად დაგვანახა ყაზბეგმა თავის უკვდავის ხელით მრავალმხრივი გამოსახულება სქესობრივის გრძნობისა. იდეალური, ცხოვრების ბედნიერების მიმნიჭებელი (სიყვარული ონისესი და მაყვალასი, ციკოსი და გუგუასი, ნუნუსი და იაგოსი, ელგუჯასი და მზალოსი), სქესობრივი სურვა - ავადმყოფური, რომელიც ცალმხრივის სიამოვნებით კმაყოფილდება და სიყვარულის დამახინჯებით სიამოვნებს: ეს გახლავს “ნაჩალნიკის” ბარბაროსული კმაყოფილება მზალოს გაუპატიურებით. ესეთი დაკანონებული ცალმხრივი განწყობილება აკავშირებს თითქმის 90 პროცენტს დღევანდელის საზოგადოების ოჯახს. ქალი მიჰყავთ ძალით, მის უნებურად, ჰყიდიან მას სხვადასხვა მოსაზრებით და პირველსავე წუთში, როდესაც უნდა აღსრულდებოდეს დიადი მოვლენა, იგი მზალოს როლს ასრულებს, რომელსაც ეზიზღება თავისი კანონისაგან მინიჭებული ქმარი “ნაჩალნიკი” და რომლის ალერსი სიძულვილით ავსებს მის ბუნებას, ასახიჩრებს და ამახინჯებს მას, და აბა, ასეთმა “მზალომ” გაჰბედოს და უდალატოს მის ტირანს, მოსძებნოს თავისი “ელგუჯა”, შეიქმნეს დიადის გრძნობის მტვირთველი და თქვენ ნახავთ მაშინ ამ “ნაჩალნიკებს”, რომელნიც ყოველ წუთში ჩადიან თვით უსაზიზღრეს ბოროტმოქმედებას და ბუნების წინააღმდეგ აქტს, აბა, ნახეთ, რა ყვირილი ასტეხონ და რა ზართა და ზეიმით გამოვიდნენ ზნეობის დამცველებად! ისინი, ვინც ძირს უთხრიან საზოგადოების პრინციპებს, ისინი, ვინც ასახიჩრებენ ბუნებას და ყოველ მის კარგ მხარეს აცუდებენ, პირველი შესდგებიან ხოლმე ყალფე და პირველი გამოდიან ფარისევლურ დამცველებად ბუნებრივობისა და საზოგადოებრივობისა.

გირგოლას მაგალითი კი პათოლოგიურია, ადვილად მისახვედრია, რომ გრძნობა საშინლად ამახინჯებს და აბოროტებს დაუკმაყოფილებელ სულსა და ხორცს და იწვევს ასეთს საშინელს კატასტროფას. და განა ჩვენი კულტურული, განათლებული საზოგადოება ასე არ არის? განა ამ სფეროში ათასი მაგალითი არ არის, რომ ვსარგებლობთ ჩვენის მდგომარეობით, ჩვენის ძალით, რომ სუსტი ქმნილება გავიხადოთ ჩვენის სურვილების იარაღად? მაგრამ “განათლებული” კაცობრიობა ამას უფრო ქურდულად და ხერხიანად მოაწყობს ხოლმე, ველურების ცხოვრებაში კი ეს ტრაგედიულს სახეს ღებულობს.

აქვე უნდა შევეხოთ ყაზბეგის მიერ დახატულს სურათს მეგობრობისას - ამ კაცთა შორის კავშირის ერთ საუკეთესო მაგალითს. აქაც ვნახავთ, რა ღრმა, რა ნათელი, რა მშვენიერი სახე აქვს მიღებული მოხვევთა შორის ამ დამოკიდებულებას, რა სინაზით არის იგი გამსჭვალული და რა თავგანწირულებით. ამაშიაც ჩვენი განათლებული საზოგადოება - რასაკვირველია, ქართველი - ძალიან შორს ჩამორჩენილი არის, ამ ვითომდა ველურობას თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქართველ დაბეჩავებულ საზოგადოებას არა ესმის-რა არც ერთის დიადის და არაშაბლონურის გრძნობისა.

ხოლო, როცა საზოგადოებაში მაღალი გრძნობები ჰქრება, კარგად უნდა იცოდეთ, ის საზოგადოება გაველურებისა და გადაგვარების გზაზეა სდგას და კულტურას ჩამოშორებულია. როცა ქართველ ერს თავისებური კულტურა ჰქონდა, როცა მისი ცხოვრება თავისუფალ განვითარებასა და მიმდინარეობას ადგა, მას არავითარი დიადი გრძნობა და აზრი არ ეჩოთირებოდა. გაიხსენეთ აბა, ავთანდილის საარაკო თავგანწირული მეგობრობა და დამეთანხმებით, რომ მსგავსი რამ შესაძლოა მხოლოდ ფრიად განათლებულმა და მაღალის გრძნობებით აღჭურვილმა საზოგადოებამ შეჰქმნას და წარმოშობოს. დღეს კი იშვიათად რომ ვინმემ ან წაიკითხოს და თუ წაიკითხავს, გაიგოს მთელი სიმაღლე და სიდიადე ამ გრძნობისა.

ყაზბეგს, როგორც ერთ საუკეთესო ქართველთაგანს, ნაზის ფსიქიკის მქონეს, კარგად ესმოდა მნიშვნელობა მეგობრობისა, იცოდა, რომ მას ადგილი არა აქვს დამახინჯებულ საზოგადოებაში და, როგორც სხვა დიად მისწრაფებასა და გრძნობას, მასაც იქ მთაში ამოუჩინა ბინა, სადაც ქართველის ერის გამათახსირებელი ძალა ისეთის სისწრაფით ვერ მოქმედებდა და სადაც ხალხს, იქნება მთების დარაჯობის წყალობითაც, ძველის კულტურის ნაშთი კიდევ შერჩენოდა და კიდევაც იცავდა მას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ყაზბეგის გმირების “ძმად გაფიცვა” მეტი არაფერია, თუ არ იდეალური, ავთანდილისებური მეგობრობა. საკმაოა ორ მოხვევს შორის ტყუილა “ძმობის” სიტყვა გაისმას, რომ ისინი ძმად გაიფიცნენ, თუ სული და გული მათი ერთ-ერთმანეთისაკენ მიიზიდავს ურთერთს, და, რაკი ძმად გაიფიცებიან, მერე ეს ორი “ძმა” ვეღარც ჭირში და ვეღარც ლხინში ერთმანეთს ვეღარ უდალატებენ, ერთმანეთისათვის თავს დასაღებენ და სიკვდილს არჩევენ, ვიდრე ერთმანეთს უდალატებდნენ.

ჩვენ მოვიყვანეთ ზემოთ იმისი მაგალითი, თუ რა საშინელს ტრაგედიას განიცდის მათია, ელგუჯას მეგობარი, მზალს უბედური მოტრფიალე, განიცდის იმის გამო, რომ მეგობრის ცოლი შეუყვარდება. ჩვენ ვნახეთ, ამ “ძმად გაფიცვას” რა საშინელი თავგანწირულება მოჰყვება სულთისა და ციციას განწყობილებაში. ჩვენ ვნახეთ, რომ “ძმად გაფიცულები” იძიებენ შურს გაუბედურებულ მეგობრისას და თავს არ დაზოგვენ, მათი სისხლი აიღონ (სულთი “ციციაში”, კობა “მამის მკვლელობაში”). კობას მეგობრობა იაგოსთან პირდაპირ “ვეფხვის ტყაოსნისებურია”. კობა საშინელს თავგანწირულებას გამოიჩენს და იაგოს სატუსალოდან განათავისუფლებს. მერე ერთ ჩეჩენთან დაიმალება. იქაც კობა იაგოსთან დარჩება.

“კობა განუშორებლად გვერდს ჰყვანდა “ძმადნაფიცს” ყოველთვის. რა მარტონი დარჩებოდნენ, მოჰყვებოდნენ ლაპარაკს თავიანთ მდგომარეობაზედ, მოაგონებოდათ თავიანთი სამშობლო, იქაური ღრუბელი და იმის დანახვის სურვილი ლევდა. ამგვარი ღამეები გათავდებოდა გულის ამდუღებელის ფანდურის ხმით, რომელსაც ისე მშვენივრად უკრავდა კობა და გმირულს ლექსებს ნახევარხმად დასძახოდა”.

ხოლო როცა იაგომ კარგად მოიკეთა და ძალი მოიკრიბა, კობამ გადასწყვიტა ნუნუს ამბავი გაეგო და მისთვის შეეტყობინებინა. ამ თავისს განზრახვას იმნაირის სინაზით შეატყობინებს მეგობარს, რომ აშკარათა ჰგრძნობთ მთიელის სიმაღლეს და სიმშვენიერეს მისის განწყობილებისას.

- “იაგო! მთაში წავალ სანადიროდ.

იაგოს კი გულზედ ეცა მეგობრის მოშორება, რადგან უეცრად ვერ მიხვდა მისის სიტყვების დაფარულ წადილს.

- ზედმავო ჩემო თავო! შინ ჯდომა მოგწყინდა, განა? - დაღონებით უპასუხა იაგომ.

- შენთან რაი მომაწყინდა, რად მეუბნები მაგას?

- აბა, რაი გულის გადასაყოლია სულ ავადმყოფთან ყოფნა?.. წადი, წადი, თვალს გაახელ.

ეხლა კი კობამ ვეღარ მოითმინა მეგობრის ასეთი უსამართლო იჭენეულება და გულის პასუხი გამოუაშკარავა.

“წავალ, ეგების ჩვენებური მონადირე ვინმე შემხვდეს, შინაობისას გავიგებდი რასმე”.

რამდენი სინაზე და რამდენი ღრმა გრძნობა იხატება ამ პატარა დიალოგში, რომელიც საუცხოვოდ გვიმტკიცებს, რომ ყაზბეგის გმირები არათუ უცხო მიჯნურნი არიან, არაჩვეულებრივი მეგობრებიც არიან; მოხვევ მეგობარი არათუ ყოველ წუთს მზად არის, თავი განიწიროს მეგობრისათვის, არამედ მარადის მას ნაზის ალერსით ეპყრობა და ნიადაგ მაღალს გრძნობას ფიანდაზად უშლის. ხოლო რა მაღალ საფეხურზე აყენებს თვით ავტორი ამ გრძნობას მეგობრობისას, იქიდან სჩანს, რომ ავტორმა ერთხელ მხოლოდ მიმართა ისეთს უშნო ხერხს, როგორც მოვლენათა კანონიერი მიმდინარეობის შეწყვეტაა სრულიად გარეშე რაიმე ახალის ძალის ჩაჩხირებით, და ეს იმისთვის, რომ მათიასთვის არ დაენებებინა და ძმობის ფიცი არ გაეტება, მეგობრობის წმინდა აღთქმა არ დაერღვია (“ელგუჯა”).

## V

ყაზბეგი ცხოვრების ისეთს საგანს იკვლევდა ისეთის სიღრმითა და შორსმჭვრეტელობით, როგორც არის გრძნობა სიყვარულისა. ამ ნიადაგზე კაცის სული და ხორცი უმწვერვალესობამდის მიდის თავისის თვისების გამოაშკარავებაში. გრძნობა და აზრი განსაკუთრებულის სინაზით იმოსება, არაჩვეულებრივ სიმწვავეს იჩენს. კაცის გულის ნადების, კაცის სულის მოძრაობის გამოაშკარავებისათვის უკეთესის მომენტის მოძებნა ძნელიც არის. ამიტომაც ყაზბეგმა, რომელიც ამ გრძნობის თვით უსაიდუმლოესი და თვით წარმტაცი მხარეები ისე ნათლად დაგვიხატა, თავისის გმირების სულის ვითარების ყოველივე მიხვრა-მოხვრა სავსებით თვალწინ გადაგვიშალა. ხოლო ამით ის შეიქმნა ქართულს ლიტერატურაში ფსიქოლოგიურის რომანის დამამკვიდრებელი. ამის მაგალითებია ყველა ჩვენ მიერ ვრცლად აღმოწერილი ადგილები მისის სხვადასხვა მოთხრობებიდან.

ავტორი გვიჩვენებს, რა განწყობილებაა ბუნებასა და პოეტურად განწყობილს მოხვევს შორის, რა გავლენა აქვს კაცის სულის განწყობილებაზე ამა თუ იმ მოვლენას ბუნებისას, როგორ აფერადებს და თავისებურად ამკობს ამა თუ იმ გუნებაზე მყოფი მეცხვარე ბუნების სურათს. ყაზბეგმა დაგვანახა მთელი ძალა სიყვარულისა, რას იწვევს ის მიჯნურის სულში, როცა სატრფო მისი თანამგრძნობელია, რა მწვავე სევდით ავსებს მას, რომელსაც საყვარელი გულცივად და გულგრილად ეპყრობა; დაგვანახვა, რა ტრაგედიით აღსავსე კატასტროფას იწვევს ადამიანის არსებაში ამ გრძნობის მიმდინარეობა, თუ გზაზე მას რაიმე ხელის შემშლელი და მისი მსვლელობის შემაფერხებელი აღემაართა. ვნახეთ ონისეს თავზარდამცემი ბოროტმოქმედება - მაყვალას მოკვლა, იმიტომ, რომ “მაყვალა ცხოსთვის ვერ დაეთმო”, სულ ერთი იყო, ვინ იქმნებოდა

ეს “ცხო”: გელა, რომელსაც იგი “ღმერთმა და ხალხმა აკუთნა”, თუ განყენებული რამ არსება. ვნახეთ, რა ჯოჯოხეთურ სახეს ღებულობს ეს გრძნობა ისეთის მახინჯების სულში, როგორც გირგოლა იყო, რომელიც მთელ სატანისებურ პლანს ამზადებს ნუნუს დასასაკუთრებლად. ვნახეთ მათია, ამ გრძნობისაგან “კინადამ” მეგობრის მოღალატე, “მმადლმეფიცულის” გამწირავი და მთელი ბრძოლა, რომელიც იმის სულში ხდება ორ დიდ გრძნობის შორის. ავიღოთ, თუ გნებავთ, კიდევ ერთი ნიმუში “მოდღვრიდან”, რომელიც ყაზბეგის შეუდარებელის ხელოვნების ნაყოფია.

ონისე და მაცვალა პირველად შეხვდებიან ერთმანეთს, მათის სიყვარულის მტერის, მაცვალას “კანონიერის” ქმრის სახლში.

“რაც ონისეს და მაცვალას ერთმანერთი არ ენახათ, კარგა დროს გაეგლო და ამ ხანაში ორთავეს ნაღველი გულში ეგროვებინათ; აღძრულის გრძნობის მალვას შეჩვეულ იყვნენ და ამისთვის ეხლა, როდესაც მარტონი დარჩნენ, მეტად ძნელს მდგომარეობას გრძნობდნენ, ორთავეს ეძნელებოდათ ლაპარაკი და ორთავეს კი იმდენი სათქმელი ჰქონდათ; ორნივე ერთმანერთს ემდურებოდნენ და საყვედურის თქმა უნდოდათ, ყელში მომდგარი სიტყვა მხოლოდ პირს გააღებინებდა, მაგრამ მეტისმეტი აღელვება მაშინვე ხმას გააწყვეტინებდა და ისევ ისე გაჩუმებული დარჩებოდნენ”.

მაცვალა და ონისე ერთმანეთს უსაფუძვლოდ ეჭვიანობდნენ და ერთმანეთის თითქო უკმაყოფილონი იყვნენ. “ასე ისხდნენ ორნი, თავდაღუნულები, აღშფოთებულები, თითქოს ერთმანეთს გაბუტვიანო და მხოლოდ გახშირებული ოხვრალა ამტკიცებდა, რომ წარმოუთქმელს მოუსვენრობაში იყვნენ. კარგა ხანმა გაიარა, როდესაც ონისე ერთბაშად შეჰკრთა და თითონაც არ იცოდა, როგორ წამოიძახა:

- ქალაუ? ბევრი ხანია არ მინახივხარ... შენი ანბავი არ გამიგია, მიანბე: როგორა ხარ?

- რაი მიჭირს?! - მწარე ღიმილით და ამოოხვრით მიუგო მაცვალამ და მხრები აიწია. - სახლი მაქვს და ქმარი მყავს”.

აი, რა მარტოვის სიტყვებით გაგრძნობინებთ ავტორი, რამდენი ნაღველი და სიმწარე განაცხადა მაცვალამ. მთელი თავის არსების უბედურება, მისი გულის სევდა და ვარამი, მისი სულის კაემანი ორი სიტყვით არის გადმოცემული. აქ არც პრანჭვა-გრეხაა, არც კეკლუცობა, აქ ნამდვილი მწუხარებაა და საფუძვლიანი საყვედური მიჯნურისადმი. “რაი მიჭირს. სახლი მაქვს და ქმარი მყავს”. აქ ონისესთვის ყველაფერი ცხადი შეიქმნა. შეიგნო მან, რა ტანჯავშია მისი სატრფო, მაგრამ სისასტიკე გაბრაზებულის მამაკაცისა, გამმაგებულის ლომის კლანჭები მაინც ვერ დამალა და მკვახედ მიახალა:

“- მაშ, ბედნიერი ხარ?... - შეჰხედა, ხმა აუკანკალდა, მაგრამ, რა წამს ქალის სახე დაინახა, ისევ მოტყდა და წყნარად დაუმატა: - ინებოს უფალმა!.. ჩემთვის ყველა განქრა, ყველა მოკვდა და სიცოცხლე გამწარდა!.. შენ მაინც იყავ ბედნიერი”.

რასაკვირველია, ონისე, ის ონისე, რომლის გულიც სიყვარულის ალს ცეცხლის მგრქვეველ მთად შეექმნა, ეს ონისე ასეთის შშვიდის კილოთი არ მიმართავდა მოღალატე სატრფოს; მაცვალას ორმა სიტყვამ კარგად დაარწმუნა თავის ბედნიერებაში, მაგრამ კიდევ უფრო უნდოდა დარწმუნებულიყო, უნდოდა მაცვალას პირდაპირ უშიშრად გამოეაშკარავებინა მისდამი გრძნობები, ამიტომაც ცეცხლს ზეთი დაასხა.

“ქალმა შაჰხედა და გულში თითქოს რაღაც აუდულდა; თბილად, მოუსვენრად აღმა წამოვიდა, სასულესთან ცახცახი დაუწყო. ათრთოლებულის თითებით მისწვდა საკინძეს და ანგარიშმიუწდომლად ჩამოიწყვიტა. მას ეგონა, რომ პერანგმა ძალზედ დაუჭირა და სული შესტაცა და ამოსუნთქვის ნებას აღარ აძლევსო”.

აქ არის სავსებით ნაჩვენები სულის მოძრაობა და მისი გარეგანი გამოსახულება, ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია; სულისკვეთება სისხლის და სახის მოძრაობაშია აქ გამოხატული. ონისემ კიდევ უკიდურეს მდგომარეობას მიმართა, რომ სატრფოსთვის კიდევ მეტი ტანჯვა მიეყენებინა და ამნაირად მისთვის დაეცდინა სანეტარო აღსარება და თავისთავადაც მეტი გაბედულება მოეპოვა, რომ “სიყვარულისთვის” ბრძოლას უფრო თავხედის გაბედულებით შესდგომოდა... მან არაყის სმას მიჰყო ხელი... და თანდათან სიტყვებში სამსალასა და ძიმწარეს ურევდა.

- “შენ დამივიწყე, მაგრამ მე კი ისევ ისე მიყორხარ, ღვთის მადლმა! ისევ ისე, როგორც ღმერთი.

მაცვალას ესლა აკლდა, რომ ნაღველს წვეთიც მოჰმატებოდა და მდულარე ნაკადულად გადმოსდენოდა; იმას ეგონა, რომ ონისეს დიდი ხანი იყო, რაც გულითგან ამოედო, გადაეგდო, დაევიწყებინა და ეხლა კი ესმოდა, რომ მოტყუებული იყო, სიცოცხლის სიტკბოების იმედი კიდევ შესაძლებელი იყო...

- იყურე, გულებები! - ქალმა კიდევ უთხრა და ტირილი გაბრაზებად გადაექცა.

ონისე გაჟრჟოლდა, აღელდა და თავდავიწყებაში მივარდა. გრძობამ გაიბრძოლა და აქამდის შეჩერებულმა მოთმინებამ გადმოჰხეთქა. საბრალოდ იგრძნო, რომ თავს ვეღარ იმაგრებს და ძალის მოსაპოვებლად ისევ არაყს მიმართა, მაგრამ ვეღარ მოასწრო ყანწის ტუჩებთან მიტანა, როდესაც ქალი ზეზე წამოიჭრა და გამწარებით მივარდა.

ორთავ იგრძნეს, რომ ყოველგვარი მათი ეჭვი და საყვედური ერთმანეთის შესახებ ყოველს საფუძველსა და ნიადაგს მოკლებულია და ეხლა მარტოდა გაბედულება იყო საჭირო, რომ ერთმანეთისათვის ცხადად ეჩვენებინათ შეუდრეკელი ძალი იმ გრძობისა, რომლითაც ერთმანეთისადმი გაჟღენთილნი იყვნენ. ონისე შეუპოვრად სვამდა. მაშინ ქალმა ვეღარ მოითმინა და ალერსს მიჰმართა გაშმაგებულის მიჯნურის დასამორჩილებლად.

ონისემ იგრძნო კისერზედ მოხვეული ქალის ნაზი ხელები და თვალთ დაუბნელდა.

- ნუ სვამ, ნუ! შენაი ჭირაიმე... თავს ნუ იღრჩობ... არ მინდა! ბიჭაუ! გაიგონე, მეთქი, არ მინდა! - წყნარად და ტკბილად ჩასჩურჩულებდა მაყვალა; თრთოდა, ინთებოდა, ზედ ევლებოდა.

ონისეს გადაავიწყდა ქვეყანა, გადაავიწყდა სტუმრის მოვალეობა მასპინძლისადმი, გადაავიწყდა თავის თავიც და მხოლოდ ერთმა გრძობამ შეიპყრო, ერთმა წადილმა დაიმორჩილა. მას ესმოდა, რომ მაყვალას უყვარდა, უანგაროს ტრფიალებით ეალერსებოდა, ესმოდა მისი გულის ძგერა და წუთის თავდავიწყებას მისცემოდა.

ონისეს თვალები აემღვრა, სისხლი აუღუღდა, აუჩუხჩუხდა, მკლავში გაეშალა და წუთს შემდეგ ძვირფას ქმნილებას გულში ძალზედ იკრავდა, ნექტარის სიტკბოებას გრძობდა.

ორთავს სიტყვა გაუწყდათ, სულთქმა გაუძნელდათ და, მის მაგიერად, ხანგამოშვებით აღშფოთების ქმენადა ისმოდა” (“მოდღვარი”).

აქ მთელი დრამაა, მთელი ისტორია სიყვარულის და მთელი ეს მოთხრობა განვითარებაა იმ პატარა ნაწყვეტისა, რომელიც სავსებით გადაგვიშლის თვალწინ ორ მიჯნურის სულის მდგომარეობას. ეხლა დავინახოთ, როგორ აღგვიწერს ყაზბეგი ცალკ-ცალკე ონისესა და მაყვალას გულის თქმას და სულის ვითარებას.

მაყვალასა და ონისეს “ნეტარი წამები” თავის ბუნებრივ დასასრულამდის ვერ მივიდნენ, იმიტომ, რომ გელას სიმღერა მოესმათ. მაგრამ მაყვალას ფსიქიურს განწყობილებას კი საუკუნო დადი დაასვეს. წარსულის ღამის უეცრად შეწყვეტილმა “სიტკბოებამ” მაყვალას მისი მდგომარეობა თვალწინ გადაუშალა და მას ჩაუფიქრდა.

პირველმა თავდავიწყების წუთებმა გაიარა და მათი ადგილი ცხოვრების სინამდვილემ დაიჭირა. თვალწინ წარმოუდგა წარსული და მძიმე ლოდით გულს შემოაწვა. ქალს მოაგონდა მწარე და ძნელად ასატანი წუთები ძალად გათხოვებისა, მოაგონდა ცრემლით გატარებული ღამეები, როდესაც თავის მოკვლას და ეშმაკისთვის სულის მიცემას მხოლოდ სასწაულით გადარჩენილიყო, მოაგონდა მთელის წლობით მღელვარე გულის კვნესა და, ბოლოს, ის საიმედო შუქი, რომელიც ჩაბნელებულს ცხოვრების ბოლოს თემის გადაწყვეტილებამ მიაყენა და სულმა თითქოს ნეტარებით თრთოლა დაუწყო. მოაგონდა თემის გარდაწყვეტილების ფეხით გადალახვა და ქმართან ძალად დასახლება; მწარე და სევდიანი დღეები, როდესაც ისე დასამცირებლად უნდა აღესრულებინა უხიაკი კაცის ბრძანება და მის მიზნის წინაშე თავი უნდა მოეხარა; მოაგონდა და გული ჩათუთქა, რადგანაც ეს მოგონებანი მომავალისათვისაც არაფერსა ჰპირდებოდა.”

ონისესთან შეყრამ კი დაარწმუნა, რომ ონისეს გული მას ეკუთვნოდა, მაგრამ ყველა უკუღმართი ძალები იყვნენ მათის გრძობების წინააღმდეგ ამხედრებულნი, და “რალა იმედი უნდა ჰქონოდა მარტოდმარტო ონისეს ბრძოლისა, თუნდა შეყვარებულს გულის სატრფო ლომადაც წარმოედგინა?”

“ეს ფიქრები მოუვიდა თავში და გულს სევდამ ჭახრაკად მოუჭირა, მწარედ კვნესა დააწყებინა; მაყვალამ იგრძნო, რომ მათი შეყრა უბედურების მეტს არას მოასწავებდა და წუთის სიტკბოების გრძობამ მხოლოდ ძველი ჭრილობანი, ძველი იარები აუშალა. ისა სწუხდა ონისესთან შეყრას, სწყევლიდა და ჰკრულამდა იმ წუთს, როდესაც ამ “ბიჭაშავს” გელასთან ნამგალობის წადილი მოჰსვლოდა და ნახევარს სიცოცხლეს მისცემდა, რომ ეს საღამო იმის ცხოვრებიდამ ამორეცხილიყო.

ქალმა გადაწყვიტა, ყოველი საშუალება ეხმარა, რომ ონისე, რაც შეიძლებოდა, ჩქარა დაევიწყნა, დაჰშორებოდა და ისიც დაერწმუნებინა, რომ აღარ უყვარს” (“მოდღვარი”).

და, აკი, ასეც მოიქცა. პირველივე მათი შეხვედრა ამის შემდეგ მით გათავდა, რომ მაყვალამ ონისეს გადაჭრილი უარი უთხრა, “მანდილს ვერ მოვიხდით” და ონისესაც თავგანწირული გადაწყვეტილება მიაღებინა. “ზედმა ცხოს მისცა შენი თავი და მეც იმას მოვეკვლევივინებო”; მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა მაყვალას გადაწყვეტილებას ამ დიდებულ გრძობის წინაშე. იგი ისეთივე მონა იყო სიყვარულისა, როგორც სიკვდილ-სიცოცხლისა, და მისი გაქცევა, თავიდან მოშორება ისევე არ შეეძლო, როგორც სიკვდილისა.

“გაიარა დღემ, მაგრამ მაყვალა წარსულის შემთხვევით ისევ ისე გაბრუნებაში იყო, გონება ვერ მოეკრიბა, არ ესმოდა, რა ელოდა, რას ადგა და რა უნდოდა. ერთს დილით ის წამოდგა და განსაკუთრებული სიმძიმე იგრძნო. სული ეხუთებოდა, გული მოუსვენრად ტოკავდა და თვით ფიქრიც კი შეჰკუბებოდა და მოძრაობა აღარ ჰქონდა. გული უცემდა წყნარად და ძალამოკლებულად; მარღვები მოსდუნებოდა და თითქოს მოძრაობის თვისება დაეკარგა; თვალეში სიცოცხლე აღარ ეტყობოდა და დახრილი უსაგნოდ მიწას შესჩერებოდა. გაცრეცილი, სიცოცხლეს მოკლებული, გახევებული იდგა ერთს ალაგას და ქვისაგან გამოჭრილს უსულო საგანს დამსგავსებოდა. მხოლოდ ათასში ერთხელ შეცივების ჟრიამულს ჰგრძნობდა და ოდნავ გათრთოლდებოდა ხოლმე.

ერთბაშად ყურებში რაღამაც ხმაურობა დაუწყო, თითქოს მდინარის მოძრაობის ხუილი არისო, და გონება თითქოს გაუნათლა, აშკარად იგრძნო, რომ გულიდან რაღაცა მწარე და უსიამოვნო დაიძრა, რომელსაც თანდათან სითბოება ემატებოდა; მის მოძრაობასთან ერთად მოგონებანი უცხოველდებოდა და გულის გრძნობიერება უბრუნდებოდა. ქალმა ერთბაშად ძალზედ ამოისუნთქა, შეჰკრთა და დაბლა დაშვებული თვალეები მაღლა აიღო, კიდევ წუთი ასეთი - “მამ დავიღუპე?! არა, ღვთის მადლმა, არა, მე მოვკვდები და ონისე კი იცოცხლებს!”

ამ სიტყვებზედ გიჟსავით გამოვარდა გარეთ და გარბოდა იქითკენ, საითკენაც ონისეს წასვლა ეგულებოდა.

ქალი მიისწრაფოდა შეუყენებლივ, აღშოთებული და სახეზედ აღმური გადასდიოდა. თავს შალი გადავარდნოდა და გაშლილი თმები ქარს გაეწეწა.

ხანდისხან ნაწყვეტ-ნაწყვეტად და გადაუბმელად წამოიძახებდა: “ონისე თავს შეაკლავს. ონისე მოკვდება... მე რაღად მინდა სიცოცხლე”. და ისერიგად ამოიკვნესებდა ხოლმე, რომ კაცი იტყოდა, გული თან ამოაყოლო.

მაყვალას რამდენისამე დღის წინად შეეძლო კიდევ სატრფო, საყვარელი კაცი გაებრუნებინა, შეეძლო დაერწმუნებინა, რომ არ უყვარდა, მოეხერხებინა პირდაპირ ეყურებინა იმის ტანჯვისა და ტკივილისთვის და, თუმცა ეს ყველა ქალისთვის მეტად მძიმე სატანჯავი, მეტად მძიმე ასატანი იყო, მაგრამ ბრძოლიდან მაინც გამარჯვებული გამოსულიყო. ეხლა, როდესაც ონისეს მოჰმორდა, როდესაც სატრფოსთან განშორების სიმწვავე იგრძნო - გაქვავებული გული მოუღება, გონება დაჰმორჩილდა გრძნობას და სულმა იმისკენ გაიბრძოლა, რომელიც ქალის არსებობის უმთავრესს საგანს შეადგენდა (“მოდღვარი”).

ონისეც ასეთს გაწამებაშია და ასეთსავე ტანჯვაში. ქალის სასტიკმა გარდაწყვეტილებამ იგი გიჟს, ველად გადავარდნილს დაამსგავსა.

“წარსულის წუთების სიტკბოება მეტად ტკბილი და ძლიერი იყო, რომ არამცთუ ამ ნეტარების კარგა ხანს მომლოდინე, არამედ პირველად შემხვედრიც არ დაეტკბო, არ მოეხიბლა, და შეტოკებული გული აღარ დაესვენებინა. გონებას ეხვეოდა მეტისმეტი ნათელი და ოცნება კი უხატავდა გაბრწყინებულს სურათებს; მკაცრის ყინვის შემდეგ ერთბაშად და მოულოდნელად დამყვავებელი ტკბილი სითბო ეგრძნო და ერთბაშად იმდენი სანუგეშო იმედები გაღვიძებოდა, რომ აზროვნობას, გარდა მაყვალასთან შეთამაშებისა, მასთან ბედნიერების წარმოდგენისა, აღარაფრისთვის არ ეცალა.

მართალია, მოხვევს გახურებულს გონებაში ათასში ერთხელ ელვასავით აზრი გაურბენდა, რომ გელასთან სახუმრო ბრძოლა არ მოუნდებოდა, მაგრამ ეს ფიქრი იყო წუთისა, რომელიც ისევ ისე სწრაფად ჰქრებოდა, როგორც იზადებოდა; ამ ფიქრს სწრაფად შესცვლიდა მაყვალასთან შეერთების იმედი და ეს საკმარისი იყო, წელში გამართულს ყოველისფერი გადაჰვიწყებოდა, თავი მაღლად აეღო და გამხნეებულს, არამცთუ მარტოკა გელა, არამედ მთელი ქვეყანა ბრძოლად გამოეწვია. ამ წუთებში ონისე სატრფოს მფლობელადა ჰგრძნობდა თავის თავს და ეს საკმარისი იყო, რომ გულს გამარჯვების ბუკისთვის ეკრა და ღონე გაათებული ეგრძნო. მაყვალა მისი იყო და თავს ქვეყნის მფლობელად სთვლიდა! ვინ იქმნებოდა ისეთი თავხედი, რომ შესცილებოდა?! შეყვარებულს ასეთი ფიქრები მოსდიოდა და სიცოცხლეს ათასგვარად უფერადებდა; ყოველს საგანს ბუნებაში ფასი დასდებოდა და ათასის მხრით საალერსოდ, დამატკობელად ეხატებოდა, ალერსის დროს შეყვარებული სატრფოს სიახლოვეს ითხოვდა, მაგრამ დღეები გადიოდა ოცნებაში და სატრფოს კი ვერსად შეხვედრიყო, ვერსად მიალერსებოდა და გაღიმებული გული მოუთმენლად გაიძახოდა, “ცოლი მინდა, ცოლთან შაერთება მწადის!”

იმახდა და არ ისვენებდა; მოთმინებას თანდათან ძალა ელეოდა და მისი ძახილი ძალე შეუყენებელ, ადულებულს და მჩქეფარეს წადილად გარდაიქცა: - “სად ვნახო, როდისა, როგორ? - მეათასედ იმეორებდა ონისე”.

ონისე ანგარიშს უწევდა მაყვალას მდგომარეობასაც, მისი სახელის გატეხა ეძნელებოდა, თემის ჩვეულების დარღვევაც არ იყო მისთვის ადვილი, მაგრამ თანდათან “ქალის შეყრის წადილმა ამ ფიქრებსაც დასძლია” და ეხლა მარტო იმაზედღა ჰფიქრობდა, რომ სადმე ენახა მაყვალა; მისი ალერსი თვით წადილად გადაექცა, რომ ყველაფერი გადაივიწყა და მარტო ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას შეუდგა; “დღეს თუ ხვალ ხომ ჩემი უნდა იქმნას”, იფიქრა იმან და ამას მოჰყვა შემდეგი გადაწყვეტილება: “მაშ, რაი ბედენაა, სადაც უნდა შევხვდე?”

გინდათ კიდევ ერთი მაგალითი იმისი, თუ რანაირს მონაწილეობას იღებს ბუნება ადამიანის სულის მოძრაობაში და რანაირად მოქმედობს ადამიანის ფსიქიკაზე ბუნების მოვლენები? წაიკითხეთ ეს ნაწყვეტები: ონისემ გადასწყვიტა, რაც უნდა გახდომოდა, მაყვალა დაესაკუთრებია და გასწია თავისის აზრის განსახორციელებლად.

“მთვარე ის იყო მთის წვერითგან ამოშუქებულიყო და ღრუბელს ნახევრად შეჰფარებოდა. ღამის მნათობის მოარშიყეთ, რაკი სატრფოს მიახლოება ეგრძნოთ, მორცხვად შეწითლებულიყვნენ და მნათობისთვის გული გადაეშალათ, რომ ჩაბნელებული სახე სხივით გაეშუქებინათ. წყნარი ნიავი ნაზად მოჰქროდა და სიფრთხილით არხევდა მთის კვლუცებს; სურნელებას სტაცებდა და მიდამოს ყნოსვის დამატკობილის ჰაერით ავსებდა. მდინარე ამ ადგილს მდორედ მიდიოდა და, გამედგრებულის ღრიალის მაგივრად, წყნარად და ტკბილად მოდუღუნებდა, ნაპირებზედ იდუმალად შემოჩქეფებული ტალღები უკან იდუმალადვე მიქანავდა და წვრილის კენჭებითგან ჩაწურული წვეთები, გრძნობით აღსავსეს ჩუხჩუხით კვლუცად ესალმებოდა.

ბუნება ონისეს მდგომარეობას უფრო ხელს უმართავდა, თითქოს განგებ ამ დამეს ისე მოწყობილიყო, რომ გაბრძოლებულის გულისთვის წადილის გამადვილებელი ნექტარი მეტად გაემლიერებინა.

მოხვევემ ძალზედ ამოისუნთქა და წმინდის, სურნელოვანის ჰაერის მიკარებასთან ერთად, გულმაც მეტად გაიფართხალა. მოიხადა ქუდი და შუბლი გამაგრებულს ჰაერს მიუშვია, ადუღებული სისხლი მეტად შეჰხურებოდა, რომ შვება მისცემოდა, და ჩქარის სიარულით, თითქმის სირბილით, გელას სახლისკენ გასწია. ონისეს სული შესტაცა, გულმა ძგერა მოუხშირა და თითის წვერებზედ შემდგარი, გამაბული წინ წყნარად მიიპარებოდა. თვალწინ ეხატებოდა სოფლისგან განცალკევებული სახლი გელასი, სადაც ამდენი ხნის მოუსვენრობის მიზეზი იმყოფებოდა.

აღზნებული თვალებით, შეწითლებული ლოყებით, ხმაგაკმენდილი ონისე ისეთის სიფრთხილით და მოწიწებით მიდიოდა ამ სახლისკენ, თითქოს უწმინდესს ადგილს გულმხურვალე მლოცველი უახლოვდებოდა; ყოველი ბიჯის გადადგმა უახლოვებდა საგანს და ყოველი მიახლოება კი სანეტარო მოლოდინით აცახცახებდა. მოხვევემ მიაღწია დერეფანს და შესდგა, რომ სული მოექცია, რადგანაც გული ისე მაგრად უცემდა, რომ ძალზედ გავნებულის ხელით ოდნავაც ვერ შეეყენებინა”.

აჰა, რანაირის თანდათანობით, რა დაწვრილებით მოგვითხრობს ავტორი იმ ადამიანის სულის და გულის ვითარებას, რომელმაც ბოლოს სატრფო სიცოცხლეს გამოასალმა, რაკი თავისთვის დაკარგულად მიიჩნია.

“მე მიყვარდა მაყვალაი, - აღიარებს ონისე თემის წინაშე თავის თავზარდამცემ ცოდვას, - მიყვარდა, ვფიქრობდი, იმედი მქონდა, ბედნიერება მეწვევა მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი... გული გაგიყდა, გაბრაზდა, სისხლი ამერია... მაყვალაი ცხოსთვის ვერ დავთმე და მოვკალ... მეგონა, მოვკლავ-მეთქი, და მოვისვენებ მაინც, მაგრამ უფალი დიდი ყოფილა!.. დღენი მომეწამლა, სიცოცხლე გამიშავდა და გულს მეტი შხამი ჩაესხა... დავდიოდი, ვჭამდი, ვსვამდი, მეძინა, თუ მეღვიძა, - ვერ გამეგო... ყველა შავად, ნაღვლიანად და მწარედ მეჩვენებოდის... წყალი, წყალ ტიალას რაღამ შეუცვალა გემო?! მზისთვის ვერ შემიცქერია, მთვარესთვის ვერ მიმიხედინა, მრცხვენის... მრცხვენოდის... ჩემი ჩრდილის დანახვაც კი მრცხვენოდის...” (“მოძღვარი”).

და ამ ფაქტის აღწერით ავტორმა სულის თვით საიდუმლო კუნჭულები გაგვინათლა და ადამიანის არსების ბნელი სამეფო საოცარის ჯადოსნობით თვალწინ გადაგვიშალა.

ასეთივე საუცხოვოა სულთის და ციციას განწყობილება, სადაც ციცია ორ ცეცხლ შუაა და ნათლად თავის თავისათვისაც ვერ გაურკვევია, სულთი ძმად მიაჩნია, თუ მისი რაინდული გრძნობა მასაც ხიზლავს. მთელი ფურცლები ყაზბეგის საუკეთესო მოთხრობისა ადამიანის სულის მოვლენის განვითარების მშვენიერი და მომხიბვლელი სურათია. ყაზბეგმა ერთი მეტად ძნელი ხელოვნება გამოიჩინა. მან ხალხის ბრბოს ფსიქოლოგია საუცხოვოდ დაგვიხასიათა და ამით იგი იშვიათ მწერალთ გვერდში უნდა ამოვუყენოთ (ზოლას, ტოლსტოის). გადაათვალიერეთ მისი აღწერილობა თემის ყრილობებისა, თემის გადაწყვეტილებისა და ის გრძნობები მორჩილებისა და



თავყანისცემისა, რომლითაც გაჟღენთილია ხალხი მისი წმიდათა წმიდის, თემოსნობის შესახებ. აი, როგორ ეგებება ხალხი თემის ყრილობის გარდაწყვეტილებას:

“ომენ! გაისმა ამ სიტყვებზედ ხალხის ხმა და გრგვინვასავით შეარყია ჰაერი. ძლევა მოსილი დიდება ისმოდა ამ გადაწყვეტილებაში. ყველა გრძობდა რაღაც იდუმალებას, რაღაცა ძალას, რომელსაც ანგარიშ-მიუცემლად ემორჩილებოდა, ემონებოდა და ამაყად უხვდებოდა” (“მოდღარი”).

ძალა თემოსნობისა, ძლიერება ხალხის საერთო ღვინისა და ლოცვისა, ერთგვარად დიდებული იყო მის წინაშე. ხალხი კი არა, ბუნებაც კი თავს იხრიდა. როცა ხალხს ამწყალობებდნენ და ხვეისბერი დაიწყებდა თავის “სწყალობდეს”, “ჰაერი დაიფარებოდა გრგვინვასავით ხალხის ძლიერი ხმით; ამა ხმას მოჰკრავდა ხელს მსუბუქი ნიავი, გაიტაცებდა ზრიალით და ყოველ მთას, ყოველს ხეობას, ყოველ კენჭსაც კი აგონებდა” (იქვე).

ანდა კიდევ:

“ხალხი შეგროვდა ნიშის მახლობის გარემო და მოუთმენლად ყაყანებდა. შეიძრნენ დროშები და ურიცხვი ზარების ჟრიალი გამეორდა. მას მოყვა უფროსის დეკანოზის ხმა: “სმენა იყოს და გაგონება” და ხალხი გაჯგუფდა, გაწამდა და სული განაბა. თვით ძუძუმწოვარა ბავშვების ჩხავილიც კი აღარსად მოისმოდა, თუმცა სალოცავად მრავალი მოეყვანათ... ჰაერიც შესდგა და შეგუბდა, თითქოს იგრძნო, რა სამწუხარო ამბავიც უნდა გაეგონა თემობას, მზეს დარცხვა და იქავ მყოფს ღრუბელს მოეფარა, რომ ხალხის მწარე დღე არ ენახა” (იქვე).

აქ ყაზბეგი, ასე ვსთქვათ, ხალხის გრძობებს გვიჩვენებს, როცა ის დაწყნარებულია და ხვეისბერის სიტყვას თანაგრძობით ეპყრობა. ავტორი სხვა მომენტებსაც გვიხატავს ხალხის ფსიქოლოგიისას. გვიჩვენებს გაჯავრებულს ბრბოს, როცა მის ღირსებას შეურაცყოფენ, მაგ., როცა გელა თემს “ყრილობის დროს, შემოხვეწებულ” ონისეს თვალწინ მოუკლავს. ამ დროს “ხალხი შეირყა, გაქანდა იმ მხრისკენ, მოეხვია მაჩხუბართ და შეჯგუფდა, ბურთად შეიკრა. რამდენსამე წუთს ასე გაუშლელად ღელავდა, გამოურკვეველს მოძრაობაში ტალღასავით მიქან-მოქანავდა, გაიშალა, გაიფანტა და ხმამაღლად ყვირილი დაიწყო: “სიკვდილი მოღალატეს, სიკვდილი!.. მოვკლათ, დავახრჩოთ, ჩავკუწოთ!” იმახდა ხალხი და მისი ხმა ჰაერში ცის გრგვინვად გაისმოდა. ყველა მზად იყო, მონაწილეობა მიეღო ამ კაცის წვალებაში და ყველა ცდილობდა, რომ უმეტესი სატანჯავი მოეგონა მისთვის”. ასეთის სისასტიკით ექცევა ეს ხალხი “თემის მოღალატეს” მაშინ, როდესაც რამდენისამე წუთის წინ არაჩვეულებრივ გულწვილობას გამოიჩენდა და ჭეშმარიტად ანგელოზურის ნუგეშისცემით მოეპყრა ონისეს, რომელიც თემის წინაშე მუხლმოყრილი, ცრემლის ფრქვევით მოვიდა. მოღალატეს შესახებ მისი გარდაწყვეტილებაა: “ჩავქოლოთ, ჩავქოლოთ! იგრიალა ხალხმა და, ხელში ქვაადებული, მიეხვია გელას. ავარდა მტვერი ხალხის მოძრაობისაგან და ყოველისფერი დაფარა, მისგან რაღაცა დაყრუებული გრგვინვა, გრიალი, ქვების ჩახი-ჩუხი მოისმოდა. ბოლოს ყოველისფერი შესწყდა და გაჩქურდა, ხალხი გამოვიდა ავარდნილის კორიანტელისგან, რომელიც ჯერ ჰაერში ტრიალებდა და იმ ცოდვის ადგილისაკენ აღარ მიუხედნია, ისე გასწია შინისკენ დარწმუნებული, რომ თავისი ვალი აღასრულა”.

ყაზბეგი, რომლის მოთხრობების უმთავრესი აზრია მთიელთა განწყობილება და გვიხატავს და ამ განწყობილებაზედ უცხო ერის შემოსევის გავლენა, გვიხატავს ხალხს სამწუხარო ცვლილების შემგნებად. თავდაპირველად ხალხი გამოურკვეველის სევდით არის მოცული, ხედავს, რომ კეთილი არ ემართება, მაგრამ არც ის იცის, უკეთურებას რა სახე ექნება, ანუ რა ზომისა იქმნება ის უბედურება, რომელიც მას მოეღოს. “ხალხს ჯერ კიდევ ვერ გამოერკვია, თუ რა მომავალი მოეღოს ახალის შემთხვევის გამო და ამისთვის ძრწოლით მოელოდა მომავალს, რომელშიც ხ ე დ ა ვ დ ა მ ა რ თ ლ ა დ თ უ უ ს ა მ ა რ თ ლ ო დ, ს ხ ვ ა ხ ა ლ ხ ი ს ა გ ა ნ, ს ხ ვ ა გ ვ ა რ ტ ო - მ ო ბ ი ს ა გ ა ნ თ ა ვ ი ს თ ა ვ ვ ე ძ ა ლ ი ს მ ო ტ ა ნ ი ს გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ ა ს”. სამწუხაროდ, გამოურკვეველი ძალიერ გამოცხადდა, შეუმჩნეველი ნათელ იქმნა და საუკუნო მონობის მაუწყებელ მოვლენათ ერთი წუთითაც არ დაუგვიანებიათ. მაშინ ხალხის (მთიელის) გულში, იმ მთიელის გულში, რომლისთვისაც მთას მიენიჭებინა არაჩვეულებრივი გრძობიერება, არაჩვეულებრივი სურვილი თავისუფლების დაცვისა და შეუდრეკელი ძალა მისწრაფებისა ამ თავისუფლების დაცვისადმი, - ამ მთიელის გულში წინააღმდეგობისა და შებრძოლების ალი ინთებოდა და თანდათან მატულობდა: “ყველას ეტყობოდა გულის ღრენა და აშკარა სურვილი შეერთებისა, ერთად შებრძოლება იმ ხალხის შემაწუხებელ მდგომარეობასთან, რომელსაც ბოლო აღარ უჩანდა და ისე ფესვებს იმაგრებდა” (“მოდღარი”).

დაგუბებული გრძობა წინააღმდეგობისა თავს იჩენს, რასაკვირველია, და, აი, ხალხი შეყრილია მოტყუებულისა და შემცდარის მამულის დასაცველად. “ყველას პირისსახეზედ ეტყობოდა

ჩაფიქრება, კმუნვარება; ეტყობოდა, რომ იმათ ყრილობის საგანი მეტად აღელვებდა: არც ჩვეულებრივი სიცილი და ხუმრობა, არც სიმღერა, არც ოხუნჯობა! არაყივ კი, უეჭველი საჭიროება ყოველგვარ ყრილობისა, არსადა სჩანდა... ყმაწვილ მთიულებს აერჩიათ უფროსების მოშორებით ალაგი და იქ შეყრილიყვნენ. ყველა ამათგანს ეჭირა ხელში რომელიმე იარაღი, რომელსაც ისე უვლიდნენ, სწმენდავდნენ და მართავდნენ, როგორც გულის საყვარელს. აგერ გამოჩნდნენ დეკანოზებიც დროშებით, რომელთაც შეიარაღებულები მოსდევდნენ სიმღერით: “ეს ხმა იყო რაღაცა დიდებული, ვაჟკაცური, მაგრამ შემაწუხებელი, რომელიც შიგ გულის საძირკვიდან მოსწყდებოდა და მაღალის ბანით გრგვინასავით გაივლიდა”, რომლითაც ხალხის ერთგულს ლოცავდნენ, მოღალატეებს კი სწყევლიდნენ; ლოცულობდნენ, რომ ხალხს მტრებზე გამარჯვება მინიჭებოდა. “ყოველ ამ სიტყვაში სჩანდა საერთოდ ხალხის სურვილი, საერთო გულის ძგერა, გულის ნადველი, რომელიც შეგუბებულიყო დიდი ხნის სატანჯველით, რომელიც ვეღარაფერს დაემარებინა, გადმოეხეთქა გარს შემოზღუდული სიმაგრე და ისეთის სიჩქარით მოსდებოდა მთელ ხალხს... საერთო ფიცი, საერთო უბედურებისაგან გამოხმობილი ხმა, თითქოს ერთი ორად ამხნეებდა, აგულადებდა და ამაგრებდა იქ მყოფთა.” მერე შეიქმნა ლაპარაკი საერთო უბედურების შესახებ. მეგობრულის მფარველობის ნაცვლად მოულოდნელი ყმობა ყველას აღშფოთებდა და გულამოსკვნილნი მთიელნი გაიძახოდნენ: “რად გვინდოდა ისინი, შენი კვნესამე? ათასჯერ ვყოფილვართ გაჭირვებაში, მაგრამ ჩვენვე მოგვიშორებია თავიდან?” იგინი იმეორებენ მასვე, რასაც ილია ჭავჭავაძის მოხვევე - “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო”. გამწარებულნი მოხვევენი გადასწყვეტენ, თავგანწირულ ბრძოლას დაადგენ. გადასწყვიტეს “რუსის ჯარს გზები ისე შეუკრან ფასანაურის ვიწროებში, რომ ვეღარც წინ წავიდეს, ვეღარც უკან” (“ელგუჯა”). ამგვარი წინააღმდეგობა არაერთხელ გაუწევია ლაღს, თავისუფლების მოტრფიალე მთის შვილს, არაერთხელ დაუჭყვივლია შეუპოვარის ხმით: “არ იქმნების ეგა!.. გავსწყდებით და ეს არ იქმნების! დედა შეერთოს ცოლად, ვინც თავი არ დააკლას ზედა... ან გავსწყდეთ, ან ჩვენსას არ დავანებებთ”. მაგრამ უძლეველის ძალის შებრძოლება მარტო და მხოლოდ ასუსტებდა ხალხს, საუკეთესო გამირებს სიცოცხლეს უსპობდა, სჩაგრავდა მთიელს. “დიდი ხანია, რომ ბედი ქართლისა გარდასწყვიტა გულმან ირაკლის”, გადასწყვიტა იმიტომ, რომ ეს იყო ფატალური, აუცილებელი, ლოღიკური დასკვნა ჩვენი ისტორიულის ცხოვრებისა.

ყაზბეგმა “მთის” შეუპოვრობის, “მთის” თავგანწირულების უდიადესი მაგალითიც აღგვიწერა, “მთის” თავისუფლების სიმბოლო, მთის “არწივის” შამილის ხალხზე წარმტაცი გავლენა და მომხიბვლელობაც თავისებურის ნიჭით დაგვიხატა. ჩეჩენთ ყველაზე უფრო გამწარებით ეგრძნოთ “ახალის ძალის” უკუდმართი მნიშვნელობა მთისთვის. თუ ქართველობას “ერთობა სჯულისა” მაინც ატყუებდა, ამათ ეს ბაღის მოსატყუებელი ტიკინაც კი არა ჰქონდათ, ისინი და მათი იმამი შამილი “გულის-ხეთქით და კვნესით უყურებდა რუსებისაგან ქართველების მიზიდვას, რომლებთანაც იმას სულით და გულით დაახლოვება, შეერთება უნდოდა”. მათ კარგად იცოდნენ, რომ “გიაურები (რუსები) კავკასიელთა საერთო მტრები არიან, რადგანაც ცდილობენ, შემუსრონ იმათი ჩვეულება, ძალა, ჩაიგდონ მდიდარი ადგილები ხელში და გააძღონ თავიანთი ხალხი”. ეს ხალხი ერთ დღეს ელოდა თავის იმამს და თანაც თავისის ბედ-იღბლის გარდაწყვეტას: “პირისახეზე რაღაცა ზრუნვა, რაღაც იდუმალებით სავსე სიჩუმე ეტყობოდა. არ მოისმოდა არც ჩვეულებრივი ყიყინი, არც მომეტებული ხმაურობა: აქ იყო სიჩუმე წყნარი და მოსაზრებელი, რომელიც აშკარად ამბობდა: “დღეს თუ ხვალ უნდა გარდაწყდეს - ვიყვნეთ, თუ არა?” ყველას ესმოდა, ყველა გრძნობდა თავის მდგომარეობას, ყველა ემზადებოდა მომავლის ბრძოლისათვის და იცოდა, რომ აქ მარტო უბრალო სროლა არ გაიმართებოდა და ექნებოდათ საქმე, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, რაც უნდა დასჯდომოდა... დაგვირგვინებულიყო ამ ადგილებში მბრძანებელ ბატონად”.

ასეთის ფიქრითა და გრძნობით უხვდებოდა ხალხი შამილს. ერთს დილას ახლოს აუწყეს “მოდის, მოდისო”. ტყეში გაისმა “ლაილაჰა-იალას” ხმა, ყველას თვალები მიეპყრო და გაჩუმებულნი, სულგაკმენდილნი უყურებდნენ იმ მხარეს, საიდანაც სიმღერა მოდიოდა. ცოტა ხანმა გაიარა და გამოჩნდა “შამილი, იმამი ჩეჩენისა და დაღესტნისა, რისხვის შემყრელი მტერთა, ერთგული და თავგადადებული მოძმეთა და მამულისათვის... ყმაწვილი ხალხი ამხედრდა და, რა თავისი საყვარელი მბრძანებელი დაინახა, მიეგება ცხენების ჭენებით და თოფის სროლით... შამილი შემოერია ხალხს, რომელიც ყიყინით და ხმაურობით მიეგება, მიესალმა. ყველა უცინოდა, ყველა შესტრფოდა და თან შამილიც, დაკმაყოფილებული ამგვარის მიღებით, სიამოვნებით ღმერთს ავედრებდა თავის ხალხს და მათი საქმის წარმართებაში მოყვანას. ისა ჰგრძნობდა, რომ ამ ხალხს უყვარს, ეს ხალხი ენდობოდა იმას, და ისიც ხარობდა, როგორც ბედნიერი მშობელი”. მაგრამ მთა დაიმონეს, დაიმორჩილეს, მთის არწივი დასჭრეს, მთას გვირგვინი მოჰხადეს, საქართველოს

დიდებული დარაჯები გაუწყვიტეს, საქართველოს კირთები შემუსრეს, მისი შეუდრეკელი კედელი გაარღვიეს და რამდენსამე საუკუნეში ქართველის ერის სისხლით მოპოვებული თვითარსებობა გააცამტყერეს. ყოველმანვე ამან უკურნებელის წყლულით დადალა ჩვენის ერის გული, პირველში ყველგან “შემოსულ ძმად გაფიცულებს” წინააღმდეგობა გაუწიეს (იმერეთში, კახეთში, სვანეთში, გურიაში და მთაში ყველაზედ უფრო ძლიერ), ყველგან მოიწადინეს ძველის თვითმმართველობის აღდგენა, მაგრამ ჩვენი ბედი აწ ისეთ ხელში იყო, რომლის ძალით მოსპობა ჩვენს დაღალულს, დასუსტებულს ხალხს აღარ შეეძლო. ამას გრძნობდნენ “გამჭრიახი” კაცები და ზოგი მათგანი (როგორც სვიმონ ჩოფიკაშვილი “ელგუჯაში”) ხალხს აფრთხილებდა, უნაყოფო სისხლის ღვრას უშლიდა, ზოგი კი ამას თავის სასარგებლოდ იყენებდა და ახალ ძალას თავის შემწეობით ამაგრებდა. “ქართველ მხედარმთავართა მამაცობის” წყალობით დაიპყრეს ჩვენნი და დაღესტანი, დაიმორჩილეს მთა, ხოლო დანარჩენი კი (გურულებს, იმერლებს და სხვ.) ხმლითა და თოფით შეაგონეს “ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას”. ეხლა ხალხს სევდისა და მწუხარების მეტი აღარა დარჩენოდა რა. უფრო გრძნობიერი ნაწილი დაპყრობილთა და დამორჩილებულთა კი, რომელსაც ყოველივე მსხვერპლი მიეტანა თავის დასახსნელად და ვერა გაეხერხებინა რა, სულ გაურბოდენ სამშობლოს და უცხო ქვეყნებში ეძიებდენ თუ არ სანუგუმოს, მყუდრო ნავთსაყუდელს მაინც. და, აი, ეს უდიდესი გამოხატულება ხალხის ნაღველისა, უმწვერვალესობამდის მისულის ხალხის სასოწარკვეთილების მომენტი უკვდავყო ყაზბეგმა თავის “ელისოში”. მხოლოდ და მარტო ყაზბეგის ნიჭის ძლიერებას შეეძლო მთელი ერის კვნესა და გოდება ასე შეუდარებლად, ესოდენ ძლიერად გადმოეცა, რომ საკმაოა ერთხელ წაიკითხოთ, რათა საუკუნოდ აღიბეჭდოს თქვენს გულში სურათი და სახე საერთო ვაებისა.

მამულის მოსიყვარულე, იმისთვის თავგანწირული ჩეჩნები, ესალმებოდნენ თავის სამშობლოს. ჯგუფ-ჯგუფათ შეკრებილი (ხალხი), თუმცა სცდილობდა ერთმანეთის გამხნეებას, გამხიარულებას, მაგრამ იმათი დაფიქრებული სახე ისევ გაუღიმიებლად რჩებოდა.

აქ იყო რაღაც იდუმალი სიჩუმე, რაღაც იდუმალი სევდა, რომელიც ნება-უნებლივ სიტყვას აწყვეტინებს და ხმას აკმენდინებს კაცს.

ხანდისხან ისეთი წუთებიც შეჰხვდებოდათ, რომ თვით სუნთქვაც შეუწყდებოდათ და ასე სამარის მსგავსს სიჩუმეში რჩებოდნენ რამოდენიმე ხანს. საღამო იყო ჩინებული, თბილი, ერთი იმისთანა საღამოთაგანი, რომელსაც კაცი ნეტარებაში შეყავს და სიამოვნების ნექტარს აღუძრავს ყოველი მარღვის ხვეულში.

როგორც ბუნებით მხნე, ისე მხიარული ჩეჩნები, დღეს გაჩუმებულიყვნენ ისე, როგორც ქარიშხლის წინად ჰაერი, რომელიც ემზადება ამ სიმშვიდიდგან ერთბაშათ გრგვინვად გარდაქცევას...

აქამდის კიდევ აქა-იქ მოისმოდა თითო-ოროლა სიტყვა, ეხლა ისიც შესწყდა და ჩამოვარდა სრული სიჩუმე... ამ საიდუმლოებით სავსე სიჩუმეში, რომელიც მკვდართა სამფლობელოს მოგაგონებდათ, ერთბაშად გაისმა ჭიანურის წყნარი ხმა და მას მოჰყვა წყნარივე ზუზუნი. მაგრამ, ღმერთო ჩემო! რა ხმა იყო ის? მე არ შემძლიან გადმოგვით! აშკარადა სჩანდა, რომ ეს ხმა სწყდებოდა გულის სამირკველიდგან, რომელიც ენთებოდა, სწვავდა მიქმელს და გამგონს!... იფანტებოდა შორს, შორს მინდორზედ, სადაც მსუბუქს ნიავს მიჰქონდა ყოველ ხესთან, ყოველ ბუჩქთან, ყოველ ბალახთან და, რა მიეკარებოდა, თითქოს იქამდის ძლიერად აგრძნობინებდა თავის ძალას, რომ მთლად აათრთოლებდა. ჩქარა ზუზუნი ერთის კაცისა გადაიქცა საერთო ზუზუნად, რადგანაც იმას ხმა მისცეს სხვებმა და მთელი ეს ადგილი მოიფინა მტანჯველ სევდიან გოდებით და გმინვით. ეს ხმა, უსიტყვოდ აღმომხდარი იმათ პირითგან, ისეთ წარმოუთქმელ სატანჯველს გამოსთქვამდა, რომ სიტყვებზედ ერთიათასად მეტს გაგრძნობინებდათ, მეტად გივსებდათ სევდით და ნაღვლით გულს, ნება-უნებლივ თანაგაგრძნობინებდათ იმათ უბედურებისათვის. თქვენა გტანჯავდათ, გაწუხებდათ ეს ხმა, მაგრამ ყური ვერ მოგეშორებინათ.

ეს იყო უკანასკნელი გამოსალმება სულთმობრძავის შვილისა, რომელიც სამუდამოდ ეთხოვებოდა თავის საყვარელს მშობელს, რომელთან ალერსს უსპობს შეუბრალებელი და შეუწყალბელი უსამართლო ძალა! ეს იყო გოდება სანატრელთან დაშორებულისა, რომელიც ჰგრძნობდა, რომ უიმისოდ ვეღარ იხარებს, ვეღარ იცოცხლებს!..

ეს გმინვა, ეს ოხვრა, ეს გოდება მით უფრო მწარედ გეჩვენებოდათ, რომ ეს არ იყო მარტო ერთი კაცის წუხილი, ეს არ იყო ტირილი მარტო ერთის პირისა თავის დაკლებულზედ, აქ გამოითქმოდა საერთო ვაება, საერთო წუხილი, საერთო ტანჯვა, - აქა სცემდა საერთო მარღვი, და ერთის გმინვაში გამოითქმოდა გრძნობა და მდგომარეობა მთელის ხალხისა...

ყოველი ბუჩქი, ყოველი ადგილი, ყოველი კუნჭული ამ ადგილებისა იმათ მოაგონებდა თავიანთ მამაცობას, სივაჟაკეს; ყველა ადგილებთან მიკარება, ყოველი ნაბიჯის გადადგმა იმათ აგონებდა მწუხარე სურათებს, ეს უვლიდა გულში გახურებულ შანთებად და უსიტყვოდ მარტო გმინვას წარმოათქმევინებდა. არის ხოლმე ისეთი წამი, როდესაც სიტყვას ადგილი აღარა აქვს კაცის მწუხარებაში.

ვისაც ეს ხმა არ გაუგონია, იმას არ უგრძნია, არ გაუგია გოდება ნამდვილად შეწუხებულის გულისა, იმას არ წარმოუდგენია, რა მწვავე ხმის აღმოხდენა შეუძლიან ნამდვილს მგლოვიარე გულს და რამდენად მეტს გაგრძნობინებდათ ეს ხმა ათასგვარად შეხამებულს სიტყვებზედ” (“ელისო”).

აი, დიდებული, გულის გამგმირავი სიმბოლური სურათი მთელი ქართველი ერის სულის მდგომარეობისა იმ შავბნელს დროში. მას, ვისაც კი შეეძლო ეგრძნო რაიმე, ვისაც მოსაზრებისა და მოფიქრების უნარი არ დაკარგვია, ყველა ხედიდა, რომ ილუპება საუკუნოების განმავლობაში შექმნილი და გაჭედილი ერის კულტურა, იკარგება საერო ნიადაგი და ქვეყანა გადადის მაგარ და მწარე ბრჭყალებიან ქორის ხელში, რომელსაც ისე ადვილად ვეღარ დაუსხლტება ხელიდან. მთელი ჩვენი ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნისა და თვით მთელი დიდებული ნაწარმოები ყაზბეგისა, ამ მოხვევთა უცნაური ცხოვრების გულთამხილავისა, გამომხატველია ამ საერთო ვაებისა, საერთო მწუხარებისა, საერთო ტანჯვისა და საერთო გმინვისა. ბუნებით ცოცხალს, მკვირცხლს, შეუდრეკელს, სიცოცხლითა და მხიარულებით აღსავსე ქართველის გონებასა და აზრს, ლტოლვასა და გრძნობას ამ დღიდან “შავი ყორანი” დასჩხავის და თვით საპირადო სურვას, რომელსაც სიამოვნება ახლავს ყოველთვის, სევდითა და კვნესით შეაზავებს ამგვარი მდგომარეობის შეგნება. ჩვენი პოეზია მეცხრამეტე საუკუნისა, ჩვენი პოეტური პროზა ყაზბეგისა და ვაჟასი, “ელისოს” ჭიანჭურის წყნარი ხმის და წყნარის ზუზუნის მსგავსად, მთელის ხალხის, ერის მთელი შეგნებულის, არაგადაგვარებულის და დაავადმყოფებულის ნაწილის “გულის სამირკველიდან სწყდებოდა, ენთებოდა, სდულდა და სწვავდა მთქმელსა და გამგონს”.

ჩვენ “ელისო” ყაზბეგის საუკეთესო ნაწარმოებად აღვიარეთ სწორედ იმიტომ, რომ ყველა მის ნაწარმოებზე დიდსა, ღრმას და თითქმის საიდუმლოებით მოცულს გრძნობას გვიღვიძებს. ვაჟიას (მოხვეე) და ელისოს - ჩეჩენის ანზორას ქალის სიყვარული, რომლის ძლიერება თვით ანზორასაც კი ხიბლავს და დაათანხმებს, იმ ქართველების შვილს მისცეს ქალი, რომლებიც “რუსების წინამძღოლებად” მიაჩნდა, მე მეჩვენება მთელის კავკასიის ხალხის შეერთების სიმბოლოდ. ეს შეერთება საერთო ტანჯვისა და ვაების ნიადაგზე უნდა მოხდეს. მართალია, იმ დროს ვაჟია, ელისო და ანზორაც “ტყვიებით დაცხავებულნი” ეყარნენ, რადგან ვერ გაეცევიდნენ გაბოროტებულ ძალას, მაგრამ ეს სამწუხარო დასასრული მათის შეერთებულის გაქცევისა, იქნება, არც ისე გულისმომწყვეტი იყოს. ჯერ ერთი, ყაზბეგს არაფრად მოეწონებოდა საერთო ტანჯვის თავიდან მოშორება და მერმე, იქნება, ყაზბეგი პასიურ პროტესტს, როგორც არის სამშობლოდან გადასახლება, გინდა მალვით მტრისგან გაპარვა, არც კი სთვლიდეს ნაყოფიერად, რაიმე სარგებლობის მომტანად და იმიტომვე ასე სასტიკად გაიმეტა მისი გმირები. პროტესტი აქტიური, პროტესტი შეგნებული: კავკასიის ერთა გაერთიანებული მოქმედება თავიანთ თავისებურობისა და თავიანთ კულტურულ თვითგანვითარების დიადის აზრით გაბრწყინებული - აი, რა მიაჩნია მას მხსნელად: ანას დაღადებს ყოველი სტრიქონი, ყოველი ანბანი იმის წარმტაცის, მომხიბვლელის შემოქმედებისა.

გადავიდეთ ეხლა ყაზბეგის იმ თვისებებზე, რომელნიც ჩვენ ზემოთ აღვსახეთ. ყაზბეგი იკვლევს, რა აოხრება მოახდინა ხალხის ცხოვრებისა და სულის განწყობილებაში, რა სასტიკი ცვლილება შეიტანა, როგორ დაამახინჯა ახალმა ბარბაროსულმა ძალამ, ვითომდა “კულტურის მაუწყებლის” სახელით მოსულმა. რასაკვირველია, პირველი უწყალო ნასროლი მოხვდა “თემოსნობას”, ხალხის თვითარსებობის პოლიტიკურ გამოსახულებას და დაარღვია ეს მშვენიერი ნაშთი, ეს საუცხოო თესლი მომავლის პოლიტიკურ განვითარებისა, თურმე მთიელს დასცლოდა, თავისებური საზოგადოებრივი განვითარება შეერჩინა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ახალი ძალა, უკიდურესის დესპოტურის ცენტრალიზმის გამომხატველი, ვერ მოითმენდა ვერავითარ თავისუფლებას, ვერავითარ დამოუკიდებლობას. ამიტომაც ჩამოსვლისთანავე ახალი მმართველები, რომელნიც თავის სასარგებლო წესწყობილების უერთგულესი დამცველნი იყვნენ, პირად ინტერესებით გატაცებულნი, ხალხის ზნე-ჩვეულების შესწავლას კი არ შეუდგნენ, - მათ მოინდომეს ხალხის ყოველგვარ თავისებურობისა და დამოუკიდებლობის გაყვანა. ამიტომ მათ პირდაპირ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ხალხის კანონს, მის სამართალს, მის ზნესა და ჩვეულებას და ხელში ხმლით და ცეცხლით დაიწყეს გავრცელება “ახალის წყობილებისა და ახალის

სამართლისა”, რომელსაც არა ჰქონდა არავითარი საერთო ამ ხალხთან. დამარცხებულთა და შემოსეულთა შორის ყოველგვარი ძირითადი განსხვავება იყო: კულტურის, ხასიათის, ბუნების, ჰაერის და მიწის ნიადაგის - ამიტომ ყოველგვარი დამყნა “ახალის სჯულისა” მოტყუებულ და გაბრიყვებულ ხალხის ცხოვრებაში ტანჯვისა და ვაების მეტს ვერაფერს ვერ გამოიწვევდა და მარტო სამუდამო უკმაყოფილებისა და აღშფოთების დაუშრეტელი წყარო შეიქმნებოდა. ხოლო რა საშუალებით ვრცელდებოდა ეს “ახალი რწმენა”, რა კაცები იყვნენ “ახალის მოძღვრების” მოციქულნი, ამის საყურადღებო მაგალითებს ყაზბეგის ნაწარმოებში ნახავთ. ყაზბეგი აქაც შემოქმედის საოცარ გამჭრიახობას იჩენს და იმდენს სცდილობს, სინამდვილის ნიადაგს არ განშორდეს, რომ დასასაბუთებლად თავისი ნახატისა ათასგვარი სარწმუნო წყარო მოჰყავს. რამდენად უტყუარია ყაზბეგის სურათი მაშინდელის “მმართველებისა”, ამას უკანასკნელი დროის შემთხვევებიც გვიმტკიცებენ. ყაზბეგი ნამდვილ წინასწარმეტყველად მოეჩვენება კაცს, თუ შეადარებს მის ნაწარმოების ამ ადგილებს “ცნობის ფურცლის” შესანიშნავ დოკუმენტთან, სადაც “დანუშრილის საბუთებით” იყო აღნუსხული რეაქციის დროის თავგასულობა: ქალების ძალდატანებით გაუპატიურება, ვაჟების ცემით სიკვდილი, თოფის წარა-მარა ხმარება, ხალხის აწიოკება და სხვა. ასის წლის განმავლობაში ძირიანად შეიცვალა “დაპყრობილი მთა”, შეიცვალა მთელი მისი ზნე-ჩვეულება და სულ ახალი ელფერი მიიღო მისმა ცხოვრებამ; მთელი საქართველოს ცხოვრება არსებითად შეიცვალა - არ შეიცვალა მხოლოდ “მმართველობა”.

თემოსნობის დარღვევა დაიწყო მაშინ, როცა ახალმა მთავრობამ თვით თემის გულში მოსძებნა ისეთი კაცები, როგორც გაგი იყო, გინდ გირგოლა, გელა და თ. ღუდუშაურები, აპრაკუნეები და სხვა. ესენი ახალ ძალას შეეკედლნენ იმიტომ, რომ კარგ მეძებრებსავით “დაინახეს, საითკენ უფრო სასარგებლო იყო მათთვის”. რადგან იგინი დიდ ძალას წარმოადგენდნენ ახლად მოსულთათვის, ამიტომ მათი ყოველივე წადილი, რომელიც, რასაკვირველია, მარტო თემისა და მთიელების ინტერესის წინააღმდეგი იყო, მაშინვე დაკმაყოფილებული იყო ხოლმე და ეს ხალხი რუსის “ზაკონ-კანონის” ძალით ყოველსავე ბოროტმოქმედებასა და ძალმომრეობას სჩადიოდა. რუსის “ზაკონ-კანონზე” დაამყარა გელამ თავისი უფლება, თემის გადაწყვეტილებას ლაფი გადასხა და გაქვეული ცოლი სახლში დაიბრუნა. ეს გელა თავდაპირველად სრულიადაც არ გახლდათ ბოროტის განზრახვისა, თავდაპირველად იგი “ნამდვილი მთის კაცი იყო მთიელის რწმუნებით და შეხედულებით”, მაგრამ “იასაულობის მეცნიერება” გაიარა და თემის პატივისცემა დაეკარგა; რაღა გასაკვირველია, რომ თემის გადაწყვეტილება შეურაცხყო - მანვე თემის შემახვეწარი ონისე ტყვიით განგმირა, რამაც ხევისბერს ცრემლებითა და ვაებით აღსავსე სიტყვა წარმოათქმევინა: “სამირკველი შეირყა და ცა ჩამონგრევას აპირებს, ხალხი წახდა და თემის პირი ირღვევის. ნახულით თოლთ მიბნელებიდა, გაგონილით სმენა მეკარგვის... რაი ვთქვა?.. რაი გითხრათ?” რუსის “კანონმა” მამაცი და მამა-პაპის ზნე-ჩვეულების დიდი თავყანისმცემელი გუგუაც კი შეაფერხა და მის ამქრებს სხვადასხვა “ნაიასაულარებს” ქალის “შერდინი” გადაალახვიანებინა. ამავე “უკანონო კანონიერებამ” თვით გუგუაც იმსხვერპლა, რაკი იგი გამოვიდა ხალხის უფლების, ხალხის სამართლის დამცველად, რომელიც “დიამბეგის” შემწეობით გადალახა მებატონე თ. ღუდუშაურმა. რუსის “ზაკონით” აღჭურვილ დიამბეგთან ყოფნით გარყვნილი გირგოლა, რომელსაც “გადაეარა მთის ხალხის ნამუსი და ჩვეულება”, ძალით შერთავს ნუნუს თავის ძმას, რომ მერე ძალა იხმაროს მასზე და მთელი სიცოცხლე გაუმწაროს. ხოლო რარიც “მმართველებს” ჰქონდათ მაშინ საქართველოს ბედ-იღბალი ხელში, რა ჯურის ვაჟბატონები იყვნენ ისინი, გადაათვალაიერეთ “ციკო”, გადაიკითხეთ “მამის მკვლეელი” და იქ ნახავთ სავსებით, ვინ დაეპატრონა “საუკეთესო თვალს რუსეთის იმპერიის გვირგვინისას”, ვის ჩაუვარდა ხელში ეს ობოლი მარგალიტი.

თემოსნობის დარღვევას მოჰყვა შერყვნა და დამახინჯება ქალის შესახებ შეხედულებისა. ქალი, ეს ქვაკუთხედი ოჯახისა, მთიელის შეხედულებით “პატივსაცემი ქმნილებაა, ცოლი - მეუღლე კაცისა, რომელიც თავის მოთავსს გვერდს უნდა ამოსდგომოდა და მასთან ერთად ეშრომნა, ემუშავნა და, მამასადამე, ოჯახობაშიაც იმის თანაბარი უფლება ჰქონდა”. ახალმა ძალამ ახალი შეხედულება შემოიტანა მთიელთა ცხოვრებაში და გელა და გირგოლა გაიხადა ამ შეხედულების გამავრცელებელ იარაღად: გელა, იასაულობის დროს დიამბეგთან ლოთობაში გარყვნილი და გაქსუებული, სრულიად შეიცვალის თავის წინანდელ შეხედულებას ქალზე და ეხლა მიაჩნია, “რომ ქალი მხოლოდ კაცის სასიამოვნოდ არის გაჩენილი”. ამ გვარის შეხედულების შემდეგ გირგოლას რაღა დაუშლის ხელს, რომ თავისი რძალი გააუპატიუროს და თავისი მხეცური წადილები აღისრულოს. ამგვარი ბარბაროსული შემოჭრა ახალ წყობილებისა და ძალისა მთიელზე ამაღელვებელადა და აღმშფოთებლად მოქმედებდა. 50-60 წელიწადი იბრძოდა მთა, ესა თუ ის

ნაწილი მთისა, იბრძოდა თავგანწირულად თავის სამშობლოს, თავისი ზნე-ჩვეულების, თავის თავისებურობის შესარჩენად და ასაღორძინებლად, იბრძოდა უმოწყალოდ, ცხარედ, არაფერს და არავის არა ზოგავდა - მამა შვილსა, ცოლი - ქმარსა, ყველანაირი მსხვერპლი მოჰქონდა, რათა შემოსული მტერი გაექცია, მაგრამ ვერა მოახერხარა. ყაზბეგის მთიელნი ყველანი მთის ამ წყურვილისა და მისწრაფების გამომსახველნი არიან. მისი ელგუჯა, მისი ბეჟია, მისი გუგუა, ყველა ესენი თავგანწირულნი მეომარნი არიან სამშობლოსათვის. მათ პირადი კმაყოფილება, პირადი ბედნიერება არაფრად მიაჩნდათ, როცა საზოგადო ვაებისაგან გამოწვეული მოქმედება საჭირო. გუგუა თავის სატრფოს პირველ მოხვევას გაექცევა, რათა ხალხს მიუდგეს და ხალხის უფლება დაიცვას; ელგუჯა თავის დიდი ხნის ნანატრ მზალოს დასტოვებს და მტერთან შესაბრძოლებლად წავა; ბეჟიას ძლივს ეღირსა ციციას გულში ჩაკვრა და მისი ამბორისაგან გახურებულს ტუჩებს შეუბრალებელი ტყვია გაუცივებს სამართლისა და უფლების დაცვისა და გამოსარჩლების დროს. ეს უცნაური ბუნების მოტრფიალენი და მოყვარულნი, ეს შეუდარებელი მიჯნურები, საუცხოო მეგობრები, ლომივით შეუპოვარი, თავდავიწყებული მებრძოლნი არიან თავისი თავისებურობის, თავისის უფლების დამცველნი, რომლისთვისაც არ არის ისეთი მძიმე მსხვერპლი, რომ სიხარულით არ შესწირონ.

## VI

როცა ღრმად ჩაუკვირდები ყაზბეგის გმირთა გულისა და სულის სიმდიდრეს, მათის არსების სიღრმესა და მომხიბვლელობას, ძალაუვნებურად გებადება საკითხი, ნუთუ ამგვარნი არიან მთიელები, მოხვევები, ეს ცხვრის დაფლეთილ ტყავში გამოხვეული მწყემსები?

პასუხის მიცემა მწელია. ჩვენ ჩვენის უზადრუკის თვალთ და ბეჩავის გონებით მოვლენათა ზედაპირს თუ დავინახავთ, თორემ მისი სარჩულის, “მოვლენათა დაფარულის კავშირის” შემჩნევა და გამოაშკარავება ჩვენს საცოდავ ხელთ არ არის. ამას შესძლებენ მარტო დიადის ნიჭით შემოსილი პოეტნი, მწერალნი, ზეკაცნი. რადანაირად შეგვიძლიან ჩვენ ჩვენის ბეცის თვალეებითა და მოკლეს ჭკუით გავასწოროთ მათი ბრწყინვალე გონების აღმოჩენილი, ჩვენის ვიწრო თვალთახედვის ისრით გავზომოთ ის უსაზღვრო ჰორიზონტი, რომელსაც მათი ნათელი აზრი და ჭკუა მისწვდება. კაცის გული ზღვაა და ამ ზღვის უფსკრულში ჩახედვა ყველას არ შეუძლიან; მარტო რჩეულს რგებია ეს ხვედრი. ხოლო რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ მგოსანი და მწერალი უბრალო მიწის შვილია, ის მაინც უბრალო მიწის შვილთა შორის რჩეულია; მისი გონება უფრო მახვილია და ფართო, მისი გონება ცას ეპოტინება, მისი შორსმჭვრეტელობა გამოუცნობელს ეკიდება. შესაძლოა, ყაზბეგმა ის დაინახა უბრალო საცოდავ მეცხვარეთა გულში და სულში, რასაც ჩვენ, ჩვეულებრივი ადამიანები ვერ ვამჩნევთ. შესაძლოა, იმ დროში, რომელსაც აღგვიწერს ყაზბეგი, ისეთს დროში, როცა სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო მთელის ერის თვითარსებობის დასაცველად, სადაც ორი ერთმანეთის სრულიად და შეურიგებლად წინააღმდეგი ელემენტი იბრძოდა, ხალხის ფსიქოლოგია ჩვეულებრივობის საზღვარს გადასცილდა და თვით საუკეთესო თვისებანი ადამიანის სულისა გარეთ გამოაფინა.

როგორც გინდათ, ისე განსაჯეთ, მაგრამ ყაზბეგის ნაწარმოები ერთი ბეწოთიც არ არის სინამდვილეს დაშორებული, ერთი წუთითაც არ გაფიქრებინებთ, რომ იქ აღწერილი მოვლენა ბუნების კანონების წინააღმდეგი იყოს; იქ არ არის არავითარი სასწაული, არც მისტიური-რამ, არც კაცთა გრძნობის გარეშე არსებული მოვლენებია ნაჩვენები, და ყოველივე ამით იგი სრულიად რეალური ნაწარმოებია. კიდევ მეტი: საუკეთესო მხარე ამ მოთხრობებისა მეცნიერულ კვლევაზეა დამყარებული - მისი ფსიქო-ფიზიოლოგიური აღწერა სიყვარულის გრძნობისა, და ისტორიულ დოკუმენტებზე - სოციოლოგიური ნაწილი მისის ნაწარმოებისა. ამ მხრივ ვერავინ ვერ უკიჟინებს ყაზბეგს, რომ მისი ნაწარმოები სინამდვილის დასახიჩრება იყოს, სინამდვილის დამახინჯება. პირიქით, ყაზბეგი ბევრად უფრო მტკიცე ნიდაგზე სდგას, როცა ადამიანის სულის მოძრაობის თვით საიდუმლო კუნჭულებზე მიგვიშუქებს მისის ბრწყინვალე ნიჭის შემწეობით, ვიდრე ბევრი უკბილო, ვითომდა რეალისტი, რომელსაც ჰგონია, რომ ნამდვილი რეალიზმი იმაში მდგომარეობს, ფოტოგრაფიულად გადმოიღო ყოველდღიური მოვლენა, ამ მოვლენათა ზედაპირი, ამ მოვლენათა ის მომენტები დახატო, რომელიც ყველასათვის ერთგვარად თვალსაჩინოა. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ მწერლის წერის კილო, თვისება, განსხვავდება მით, თუ როგორ ეპყრობა იგი სინამდვილეს. რამდენადაც მწერალი სცდილობს, სინამდვილეს შეხედოს ობიექტურად, სცდილობს სინამდვილის ახსნასა და გამორკვევაში თავისი პირადობა, თავისი “მე” უკანა პლანზე დააყენოს (რამდენადაც ეს, რასაკვირველია, შესაძლებელია ისეთის ძლიერის პიროვნობისათვის, როგორიც მწერალია), იმდენად იგი რეალისტია, მისი წერის კილო, მისი სკოლა რეალიზმის სკოლაა, რეალიზმის კილოა. ხოლო, თუ სინამდვილეს იმ სახით გადმოგვცემს, როგორც ეს მის განსაკუთრებულ

ინდივიდუალურად განსხვავებულს ნიჭს ეჩვენება და სრულიად არ აქცევს ყურადღებას იმას, რომ დაუახლოვოს თავისი გამოსახულება ჩვეულებრივ მიწის შვილთა შეხედულებას, იგი იმდენად რომანტიკოსია, მისი წერის მანერა რომანტიკულია. თუ კარგად ჩაუკვირდებით ამ განსხვავებას მწერლის წერის კილოისას, რომლის შესახებ ჩვენ არაერთხელ გვიახსნია ჩვენს “ეტიუდებში”, მაშინვე შეამჩნევთ, რომ ყაზბეგი რომანტიკოსია. რაც არ უნდა ვსთქვათ, ყაზბეგის გმირები, მისი ელგუჯა, მისი ონისე, მისი ვაჟია, მისი სულთი და თვით მისი ქალებიც: მზალო და ციცია, ელისო და ციკო, კიდეც მეტი თვით მთელი ბრბო, ჯგუფი ხალხისა, რომელიც ასეთს ნაზ გრძნობიერებას იჩენს, თვით რელიგიურის ექსტაზით ეპყრობა თავის სამშობლოს, თავის ზნე-ჩვეულებას, თავის თავისებურობის სიმბოლოს - თემოსნობას, ყველა ესენი ყაზბეგის ღვიძლი ძმები არიან, ყველა ესენი იქცევიან და ფიქრობენ ისე, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ ყაზბეგის აზრით. რასაკვირველია, ყაზბეგმა ბევრი რამ ისეთი შეამჩნია და გადაგვიშალა მოხვევის სულისა და გულის ნადები, რომელიც ჩვენთვის უხილავი იქმნებოდა ყოველთვის, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ იმის გმირებს მან ჩაუნერგა ნაწილი თავის სულის მოძრაობისა, ნაწილი თავისის გულის წუხილისა, გონების ნაფიქრებისა და აზრის მისწრაფებისა და ამნაირად შედუღებული მოხვევა - გამოვიდა მთიელი მწყემსი, გარედამ დაგლეჯილ ტყაპუჭში გამოხვეული, სულით და გულით კი ყაზბეგისგან მონათლული, ყაზბეგისგან შექმნილი. ამაში იგი, როგორც მწერალი, რომელიც თავის პირადობას პირველ პლანზე აყენებს, რომანტიკოსია, მაგრამ მისი რომანტიზმი მით განირჩევა ძველის რომანტიკულის კილოდან, რომ იგი სინამდვილის შეურყეველ საფუძველზედა სდგას; მას განძევებული აქვს თავის ნაწარმოებიდან ყოველივე მოვლენა, რომელიც სინამდვილეზე მოშორებულია და მისტიურს სამეფოში აქვს ადგილი. გარდა ამისა, იგი თავის ნაწარმოებში გამოსთქვამს არა კერძო, პირადს, არა ჩვეულებრივს აზრსა და გრძნობას, არამედ ისეთს, რომელიც შეუგნებლად თუ შეგნებულად თავსა და გულში ჰქონდა, სულსა და აზრს უწყამებდა მთელს ქართველს ერს და მის შეგნებულს ნაწილს. გარდა ამისა, მისი რომანტიზმი რევოლუციონურიც არის. იგი აღშფოთებულია აწმყოთი, დღევანდელით, გამამხნეველ, წასაქეხებელ და წასაბაძავ მაგალითებს ეძიებს ახლო წარსულში, მთაში, მთის ხალხში, მათ მაღალ გრძნობას სიყვარულისას, მეგობრულ თავგანწირულებას, მამულისთვის და თავგანწირულებისათვის შეწყვეტილ ტრფიალს, რომლისთვისაც ყოველგვარი მსხვერპლი მოაქვს, - ყოველსავე ამას იდეალად უსახავს დღევანდელ დაბეჩავებულ, დაკნინებულ და ლაჩრად ქცეულ საზოგადოებას. მაგრამ წარსულში მისი იდეალის ძებნა, მისი მდაბიო ხალხში წასაბაძავ მაგალითების დასახვა - სრულიად არ არის რეაქციონური, სრულიად არა ჰგავს ტოლსტოის მოძღვრებას. ხალხში ტოლსტოი იძიებს სულის სიმშვიდეს, ხალხის ინდიფერენტობაში, ხალხის “არა წინააღდგომა ბოროტისა”, ხალხის უდარდებლობა და თითქმის პირუტყვად ქცევა - მას კაცობრიობის ერთადერთ მხსნელად მიაჩნია. სულ სხვაა ყაზბეგი. იგი მთის ხალხში ეძიებს იმ იდეალებს, იმ თვისებებს, რომელიც სწორედ აუცილებელია ყოველ კულტურისა და ყოველ პროგრესისათვის. ყაზბეგს არც კი შეეძლო შეეგნო, შეეთვისებინა აკიმის ფილოსოფია, რომელიც მარტო “ტაე - ტაეთი” გამოიხატებოდა. მას არ შეუძლიან მიხვდეს იმ ფილოსოფიას, რომელიც რუსის “მუჟიკის” სიბინძურეში ხედავს სულის ამამაღლებელ მაგალითს. მისთვის ბოროტის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლა, ომი ხმლით ხელში, ყოველგვარი მსხვერპლი - აი, რა არის სანატრელი და ამას იძიებს და ჰპოებს იგი მთის ხალხში; მისთვის გრძნობა სიყვარულისა უსაზღვრო და ფატალური, კავშირი მეგობრული, უანგარო და ყოველგვარ თავგანწირულებით აღსავსე - აი, რა არის მოსამებნი, აი, რა არის მისაბაძავად დასასახი - იქ, იმ მთის შვილთა ცხოვრებაში, რადგან ბარს შაბლონის და მეწვრიმალურ გრძნობის მეტი არა ასულდგმულებს რა. მისთვის აქტიურ პროტესტს, პროტესტს მთელის ხალხის, მთელის ქვეყნისას, მთელი ერთის მხრისას - ამას აქვს მნიშვნელობა და არა კაცის ენერგიისა და სულის დამამხოხებელ “არა წინააღდგომას ბოროტისა”. მისთვის არც კი არსებობენ ისეთი ადამიანები, ისეთი ნულები, რომელთაც შეეძლოთ ამ განყენებულის პრინციპის აღსრულება - მისი ქვეყანა დასახლებულია ან გაგითა, გელათი, გირგოლათი და აპრაკუნეებით, რომელნიც ბოროტს ხელს უმართავენ და შველიან, ანადა ელგუჯათი, ბეჟიათი, გაგუათი, კობათი და სხვითა, რომელნიც მთელის თავისი არსებით, მთელის თავისი ძალით და ღონით “ბოროტის ძალმომრეობის” წინააღმდეგ იბრძვიან.

ყაზბეგმა თავისი გმირები თავისებურ იარაღად გაიხადა, თავისი სევდისა და ოხვრის, თავისი რწმენისა და სურვილების გამოიხატებოდა. ამგვარად, მან რეალური ელემენტებიდან, რომელიც ძალიან ახლო ჰქონდა გაცნობილი მთაში, შექმნა მთელი ახალი ქვეყანა, მშვენიერისა და წარმტაცის გმირებით დასახლებული, რომელიც სამაგალითო მისაბაძავად დაგვისახა. არსებულის სინამდვილის ელემენტიდან ყაზბეგმა, ვით ჯადოსანმა ქიმიკოსმა, სრულიად ახალი სანახაობა დაგვისახა.

ეს შეადგენს ყაზბეგის სახელს და ღირსებას, როგორც მწერლისას. განა ასევე არ მოიქცა “ვენერა მილოსელი” შემქნელი. განა გინახავთ სადმე ასეთი მშვენიერება, თუ არ იმ ქვეყანაში, რომელიც უკვდავმა გენიოსმა შექმნა; ასევე არ მოიქცა მიქელანჯელო, რომელმაც შექმნა თავის ლუსკუმებში და ნახატებში მეორე სამყარო, თითქმის ისეთივე დიდებული, როგორც არსებული; შექსპირი, ეს უკვდავი გულთამბილავი, რაღას შვრებოდა, თუ არ მასვე, რომ სინამდვილე თავის “მე”-სათვის ჰყავდა დამორჩილებული და მერე ამ სინამდვილეს იმნაირად დაგვანახებდა, როგორც ეს მის გონებას ეჩვენებოდა: გინახავთ სადმე ან ოტელო, ან დეზდემონა, ან იაგო, ან რომეო, ან ჯულიეტა, ან მაკბეტი, ან ჰამლეტი, ან ოფელია, თუ არ პოეტის ღვთაებრივის ფანტაზიის მსოფლიოში? ასე არ მოიქცა ჩვენი რუსთველიც: აბა მითხარით, სად გინახავთ მიჯნური ტარიელისთანა, მეგობარი ავთანდილისთანა, რომელიც ყოველსავე პირადს კმაყოფილებასა და სიამოვნებას ანაცვალებს მეგობრის სურვილებსა და მისწრაფებას, თუ არ იმ საოცნებო ქვეყანაში, რომელიც ქართველთა სასახლოდ და სადიდებლად შექმნა რუსთველმა? მაგრამ კმარა... საკმაოა მაგალითი, მგონი, დავრწმუნდეთ, რომ, რამდენად დიდებული და უჩვეულო ქვეყანა შექმნა ყაზბეგმა, მით უფრო დიდი საბუთი მოგვცა მისის ნიჭისა, - ხოლო მისის ნაწარმოების წარმტაცი და მომხიბვლელი ზეგავლენა ჩვენში არ წარიხოცება მანამდის, სანამ ქართველის ერის გონების სალაროში საუკეთესო განმად მიჩნეული იქნება რუსთველის უკვდავი პოემა, ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის ლირიკული პოეზია, ილია ჭავჭავაძის პროზა და პოემა “განდეგილი”.

აქ სიამოვნებით წერტილს დავუსვამდით ამ წერილს, რომ შეგვეძლოს უყურადღებოდ დავტოვოთ ყაზბეგის სტილი. არა მგონია, იყოს ჩვენში მეორე მწერალი, რომელსაც უარესის ენით დაეწეროს თავისი თხზულებანი, ვიდრე ყაზბეგს. შეუწყნარებელი მართლწერა, შეუწყნარებელი ფორმა ფრაზებისა! საკმარისია გადაათვალიეროთ ჩვენ მიერ ვრცლად ამოწერილი ნაწყვეტები, რომ თვალებს არ დაუჯეროთ, ნუთუ შესაძლებელია, ასეთმა დიდმა ნიჭმა ასეთის ენით სწეროსო. და მით უფრო გაკვირვებული ხარ, რომ ჰკითხულობ მის ნაწარმოებს და ვერ შორდები მის მომხიბვლელობას: მისი პოეტური ნიჭი, მისი მხატვრული კილო ყოველს ანბანშია დამალული და გადმოჩქეფს ყოველ სტრიქონიდან, ვით უკვდავების წყარო. თქვენ ამ კითხვის დროს ენა კი არა, ქვეყნიერებაც გავიწყდებათ. ეს საოცარი მოვლენაა ლიტერატურაში და მეტად საინტერესო ასახსნელია. გამოდის, რომ ნიჭი ყოველიფერს მიგაღებინებს - თვით უცნაურ ენას, თვით მოუთმენელს და შეუწყნარებელს ჟარგონს. ან რა ენა, რის ენა, რის სტილი, რის კილო, რის ფორმა, როცა წაიკითხავ ასეთს ნაწყვეტს:

“ღ ა მ ი ს წ ყ ვ დ ი ა დ ი ს თ ვ ი ს გ ა ნ თ ი ა დ ი ს ნ ი ს კ ა რ ტ ს ე კ რ ა და ფ ე რ ი ე ც ვ ლ ე ე ვ ი ნ ე ბ ი ნ ა. წყნარი, დამშვიდებული სიო, წინამორბედი განთიადისა, წყნარად არხევდა და აღვიძებდა მინდვრის კველუცთ, ტკბილად ჩასჩურჩულებდა და ამზადებდა დღის დამაშვენებელის დასახვედრად. ცა მტრედის ფრად მოქცეულიყო და მიდამოს ნაზის შუქით გადმოფენოდა. ფრინველნი, ჯერ კიდევ ძილით მოცულნი, დღის მოლოდინით ჰკრთებოდნენ, სიონაგრძნობნი შეაჟრჟოლებდნენ, იბერტყებოდნენ და დრო გამოშვებით სტვენით შეჰყეფდნენ შემოქმედს.”

ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია, რა სიმაღლემდის მიაღწევდა ყაზბეგის ნაწარმოები, რომ მისი სტილი შეეფერებოდეს იმ წარმტაც შინაარსს, რომლის უღირსი გამომსახველიც ის არის. გასაოცარი მსგავსებაა ყაზბეგის სტილსა და მის შინაარსსა, ერთის მხრით, და, მეორეს მხრით, მის უცნაურს ნიჭსა და მის ცხოვრებას შორის. ჩვენ, საზოგადოდ, ჩვენს ნაწერებში მწერლის ბიოგრაფიას გავურბით. ჩვენა გვგონია, რომ მწერლის ჩვეულებრივ ცხოვრებას თითქმის საერთო არა აქვს-რა მის სულიერ, მის პოეტურ განწყობილებასა და ცხოვრებასთან. გადაიკითხეთ ყაზბეგის ბიოგრაფია, ბ-ნ კარიჭაშვილის მიერ შედგენილი, და დარწმუნდებით, რომ ესეთივე თვისება და კავშირია ყაზბეგის ცხოვრებასა და მის პოეზიასა, მის ნაწარმოებს შორის, როგორც მის სტილსა და მისის შემოქმედების შინაარსს შორის. და ისე, როგორც მისი ენა ჩვენ ვერ გვიშლის, დავსტკბეთ მისის ნაწარმოების მშვენიერებით, ვერც მისი გარეგანი ცხოვრება, ვერც ზედაპირი მისი ცხოვრებისა ვერაფერს დაგვიშლის, ალტაცებით მუხლი მოვიდრიკოთ ამ დიდებულის, მომხიბვლელის და წარმტაცის შემოქმედის წინაშე. რა ხელი გვაქვს ჩვენ ბ-ნ კარიჭაშვილის ყაზბეგთან, ჩვენ ვიცნობთ ყაზბეგს ჩვენ ლიტერატურაში ახალის მიმართულების დამამკვიდრებელს; ჩვენ მიგვაჩნია და თაყვანსა ვცემთ უცნაურ შემოქმედს “ელისოს”, “მოდღარის”, “მამის მკვლელისა” და “ციცასას.”



## ვაჟა-ფშაველა (1861 - 1915)

წინა ეტიუდებში საკმაოდ გამოვარკვით, რომ ოთხმოციან წლებში რეალურმა ლიტერატურამ ჩვენში ფერი იცვალა. ამ ხანაში ილია ჭავჭავაძემ “განდეგილის” სახით მოგვცა უდიდებულესი და უფრო მომწიფებული ნიმუში რეალურის ნაწარმოებისა, რომელშიაც უკვე ახალი ელემენტები სჩანდა.

ამავე ხანაში “მთიელთა” ლიტერატურა დაიბადა, რომლის ტონის მიმცემი ისევ ილიას ნაწარმოები შეიქმნა. “მთიელთა” მწერლობამ შემოიღო ჩვენში ნეორომანტიზმი და სიმბოლიზმი. ნეორომანტიზმი ალ. ყაზბეგმა განავითარა; სიმბოლიზმის საუკეთესო წარმომადგენელი, როგორც პროზაში, ისე პოეზიაში ვაჟა-ფშაველაა. ხელოვნური თხზულების მიმართულება უწინარეს ყოვლისა იმაში გამოიხატება, თუ როგორ უყურებს ესა თუ ის მწერალი, ამა თუ იმ მიმართულების შემქმნელი და გამომსახველი, მწერლის დამოკიდებულებას ქვეყნიერებასთან, მგონის კავშირს მსოფლიოსთან, ხელოვანის ურთიერთობას ცხოვრებასა და მის მრავალფეროვან მოვლენასთან.

ამაზეა დამოკიდებული მთელი ესთეტიკური ფილოსოფია ამათუ იმ ლიტერატურულის მიმართულებისა.

ამ საგნებს სხვაგვარად ეპყრობოდა რომანტიკოსი პოეტი და სულ სხვაგვარად რეალისტი და ნატურალისტი. სხვაგვარი შეხედულება აქვს მათ შესახებ სიმბოლისტს.

სიმბოლიზმი ლიტერატურაში გამოიწვია რეაქციამ გადაჭარბებულის ნატურალიზმის წინააღმდეგ. სიმბოლიზმმა იგივე როლი შეასრულა მწერლობის მსვლელობასა და განვითარებაში, რაც თავის დროზე რეალიზმმა, როცა რომანტიზმს შეებრძოლა და, კარგა ხნის დავის შემდეგ, მისი ადგილი დაიჭირა.

ჩვენ უკვე კარგად ვიცით და კიდევ გავიხსენოთ, რომ რეალიზმი ეტანებოდა სინამდვილის გამოხატვას. “შეუფერავი სინამდვილის” დასურათებას, როგორც გ. წერეთელი ამბობდა. უბრალო, ყოველდღიური, ჩვეულებრივი მოვლენა მიაჩნდა საყურადღებოდ, რაკი, მისი აზრით, მარტო ეს შეადგენდა ცხოვრების საინტერესო მხარეს და რაკი მარტო ამგვარ მოვლენას აზის ხოლმე სინამდვილის წარუხოცელი ბეჭედი. ამის შედეგი იყო ის, რომ ცხოვრების ზედაპირის დახატვას სცდილობდა “შეუფერავი სინამდვილის” მოტრფიალე მწერალი და ამგვარად დიად მოვლენას ცხოვრებისას აქუცმაცებდა და აწვრილმანებდა.

ნატურალისტი მწერალი, ერთგვარი საღის რეალიზმის გადაგვარებისა, დეკადანსისა კიდევაც იმას გვიქადაგებდა: მწერალმა ფოტოგრაფის მოვალეობა უნდა იკისროს და ფოტოგრაფიულის სინამდვილით უნდა გადმოგვეცეს ცხოვრებაო; მწერალმა ცხოვრების წვრილმანი ფაქტების აღწერა უნდა ითავოს და, ამგვარად, ცხოვრების მასალებისა და დოკუმენტების შეკვრა უნდა შეადგენდეს მის მოვალეობასაო. ამიტომ მწერალი მხოლოდ ცივი სარკე უნდა იყოს და თავის პირადობას, თავის “მეს” ლაგამი უნდა ამოსდოს, უნდა ყოველგვარად ეცადოს, დამალოს და არ გამოაჩინოს თავის ნაწარმოებში, ე. ი. ყოველი ღონე დასდვას, პირადი სიმპათია-ანტიპათია არ გამოაშკარავოს; პირადი გრძნობები, თავისი სევდა და სიხარული ამა თუ იმ მოვლენის გამო დაფაროს და არ გვაჩვენოსო. ასეთი მწერალი აღიარებდა სასტიკის დეტერმინიზმის ფილოსოფიას: ცხოვრებაში ყოველივე წინადავე განსაზღვრულის კანონიერების ფარგალში სწარმოებს, ყოველივე მოვლენა იმ თავითვე დაკანონებულია, იმთავითვე მომზადებულია სხვადასხვა მიზეზთა ურთიერთობის ზედგავლენის ქვეშ; არ არსებობს არავითარი უხილავი, გინდ მიუწვდომელი და “გამოუცნობელი” ძალა, რომელიც განაგებდეს ცხოვრებას: კაცის თავისუფალი ნება ოცნების ნაყოფია, კაცს არა შეუძლია რა, თავისის ნებით იმოქმედოს, ისე, როგორც ჭიანჭველას, რომელსაც უმოწყალოდ ფეხქვეშ სრესთ და ისე, როგორც ლერწამს, რომელსაც ქარი შეუბრალებლად ამსხვრევსო.

ზემოხსენებულ ესთეტიკურ თეორიასა და ფილოსოფიას აქვს თავისი საღი მარღვი და ძლიერი საფუძველი, მაგრამ მრავალფეროვანი ცხოვრება თავის დღეში ერთ რომელსამე კალაპოტში ვერ მოემწყვდევს და იმიტომაც ცხოვრების დიად მოვლენათა ყოველგვარი ცალმხრივი განმარტება წინააღმდეგობას გამოიწვევს, რეაქციას წარმოშობს.

ამგვარად, ნატურალიზმმა, ამ გადამახინჯებულმა რეალიზმმა, გამოიწვია თავისი უარყოფელი მიმართულება - სიმბოლიზმი. რაღა თქმა უნდა, ცხოვრებაში აღმოჩნდნენ და განვითარდნენ ისეთი პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყეს ახალის ესთეტიკურის მოძღვრების დაბადებას.

საფრანგეთის რევოლუციამ მესამე წოდებას მიანიჭა პოლიტიკური და სოციალური უპირატესობა და თითქმის მთელი საუკუნე ევროპის ცხოვრების სადავე მის ხელში იყო; გამეფდა

ბურჟუაზია და გააბატონა ცხოვრებაში თავისი პრინციპები, რომლებმაც მალე მოსჭამეს თავისი ხანი, ძალიან სწრაფად მოეკიდათ ხავსი და აჩქარებით განხრწნილების გზას დაადგინენ. მეწვრილმანურმა მორალმა თავი მოაბეზრა ყველას თითქმის დაბადებისთანავე და მისგან შექმნილს ატმოსფეროში ყველაზე უფრო ემნელებოდა ცხოვრება და სულისთქმა ხელოვნებასა და ხელოვნობას. ამიტომაც მწარე პროტესტი გამოიწვია სწორედ ამ წრეში ბურჟუაზიულმა, მეწვრილმანურმა მიმართულებამ ცხოვრებისამ. ძველი ირყევა, ახალი კი ჯერ არ დამკვიდრებულა. ყველა გრძნობს, რომ ამნაირი ცხოვრება შეუძლებელია, ყველა კარგად ხედავს, რომ სულ მალე (ისტორიული “მალე” განსხვავდება, რასაკვირველია, ყოველდღიურ “მალე”-საგან) ამგვარი წესწყობილება უნდა დაეცეს, და, როგორც ყოველთვის, ამგვარ საზოგადოებრივ აზრთა და ფიქრთა რყევის დროს, იბადება ლიტერატურული მიმართულება, რომლის მეთაურები პირადოვნებას უთმობენ უპირველეს ადგილს ხელოვნებაში, ვინაიდან ასეთ დროში არსებობს პირადი აზრი, პირადი გარკვეული პროტესტი, რამდენიმე ნაზგრძნობიერთა და გრძნობამახვილ არაჩვეულებრივ ადამიანთა და არ არსებობს საზოგადოებრივი მტკიცედ გარკვეული აზრი, რომელსაც შეეძლოს, თავისი დალი დაასვას ყოველივეს, თავის კალაპოტში მოამწყვდიოს ყოველივე თვალსაჩინო მოვლენა საზოგადოებისა, და ამიტომ, როგორც XIX საუკუნის დამდეგს, ისე მის დამლეგს, იბადება ინდივიდუალური ლიტერატურა.

სიმბოლიზში მრავალი ელემენტია რომანტიზმისა, თუმცა, რასაკვირველია, რეალიზმმაც დააჩნია მას თავისი გავლენა. ამიტომაც არის, რომ ის მიმართულება, რომელიც ევროპაში სიმბოლიზმად არის მონათლული, ორ დიდ ნაკადულს აერთებს: ნეორომანტიკულისა და ნეორეალურის მიმართულების ნაწარმოებს. თვით სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა გვაჩვენებს, რომ ნეორომანტიკულს ძველი რომანტიკულისათვის რაღაც ახალი მიუმატებია, ხოლო ნეორეალიზმს ყოფილი რეალიზმი რაღაც ახალით შეუვსია. ცხოვრების დაკვირვება, ცხოვრების დაახლოება, ცხოვრების მეცნიერული შესწავლა, - ეს ის საერთოა, რომელიც დაუმკვიდრებია ამ მიმართულებათ რეალიზმისაგან; ხოლო ცხოვრების მოვლენათა ერთგვარად განმარტება, მწერლის აზრის, გრძნობის, ოცნებისა და წარმოდგენის გვარად მოვლენათა ახსნა და დასურათება, - ეს ის საერთო ელემენტია, რომელიც რომანტიზმისაგან აქვთ ნასესხები.

როგორც რომანტიზმმა ერთ დროს, ისე სიმბოლიზმმაც თავისის მხრით, პირველად ყოვლისა ინდივიდუალიზმს, მწერლის პირადობას, მოუპოვა ნაწარმოებში დაკარგული მნიშვნელობა და მწერლის პირად შთაბეჭდილებას, პირად გრძნობებსა და მოსაზრებათ ალუდგინა თავისი კანონიერი ადგილი მისი შემოქმედების ნაყოფში.

სიმბოლისტების აზრით, მწერალი ყურმახვილი, სმენაგაფაქიზებული არსებაა, რომელსაც ესმის ჰარმონიული მუსიკა მსოფლიოსი იქ, სადაც უბრალო მოკვდავი ვერ ხედავს ვერაფერს გარეშე გარეგანის ნაჭუჭისა, რომელიც მის თვალში მარტო უფერულობისა და უარარაობის გამომსახველია. პოეტსაო, ამბობს საუკეთესო წარმომადგენელი სიმბოლიზმისა მეტერლინკი, “შეაქვს ჩვეულებრივ ცხოვრების გამოსახვაში რაღაც, რომლის დასახელება საძნელოა და რომელიც მხოლოდ მგოსანთა საიდუმლოს შეადგენს. შეახებს თუ არა ხელოვანი თავის მადლიან ხელს, და ცხოვრებაც გამოგვეცხადება თავისის მრავალფეროვნებითა და სიდიადით, თვალწინ აღგვემართება იგი ცხოვრება უხილავ და გამოუცნობელ ძალთა მონად და მორჩილად, მისი მოვლენანი უსაზღვრო კავშირით არიან შედუღებულნი, მის მიმდინარეობას დარაჯად უდგია დიდებულებით შემოსილი უბედურება. ამგვარად, რომელიმე დაოსტატებული ქიმიკოსი ჭიქაში ჩააწვეთებს ხოლმე რაღაც საიდუმლო წვეთს და წამს წმინდა წყლის მაგიერ გამოგვიჩნდება მთელი მსოფლიო კრისტალებისა, მანამდის კი ჩვენ ჭიქაში არა შეგვიმჩნევია რა, თუ არ წმინდა წყალი.

წმინდა წყალი ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებაა. საკმაოა მგოსანმა თავისი შემოქმედის გენიოსობის ფრთა შეახოს ამ ცხოვრებას, და იგი გადაიქცევა მომჯადოებელ და მომხიბვლელ სურათად, რომელიც ღრმა გრძნობებსა და ფიქრებს აუშლის ყოველსავე მაყურებელს. ამგვარად, ხელოვანი თავისებური, ერთგვარი შემოქმედია, ღვთაებრივის ძალით მოსილი არსება, რომელიც უფერულს მრავალფეროვნადა ჰქმნის და მარტივს ართულებს, უმნიშვნელოს ღრმა აზრს და ღრმა სულს უდგამს.

აქედან ცხადია, რომ მწერლის იარაღი, მწერლის ენა, მისი ლექსიკონი უფრო მდიდარია და განვითარებული, ვიდრე ის მშრალი და ცივი ლექსიკონი, რომლითაც სარგებლობს კაცობრიობის უმეტესობა.

სიტყვის მხატვრული, მისი “გამომხატველობითი” ძალა ბევრად უფრო დაბლა სდგას მის მუსიკალურ, გრძნობათა აღმძვრელ ძალზედ. ამიტომაც პოეტი უნდა სცდილობდესო, ამბობენ სიმბოლისტები, ისეთი კომბინაცია მოახდინოს რითმისა და რიტმისა, ისეთი წყობილება იხმაროს

სიტყვებისა, იმგვარად შეაქსოვოს და შეუხამოს სიტყვები ერთიმეორეს, რომ იგივე გრძნობები აღვიძრას, რაც მუსიკაშიაო. ამ თეორიის უკიდურესი გამომსახველია ის სიმბოლური პოეზიის სახელმძღვანელო ლექსი, რომელიც ფრანგ პოეტმა რემბომ მოგვცა. აქ, ამ უცნაურ ლექსში ანბანის “გრძნობათა აღმძვრელი”, ანბანის მუსიკალური მნიშვნელობაა განმარტებული: ა - შავის გრძნობას აღვიძრავს, ე - თეთრისას, ი - წითლისას (ჯიჯრის, სისხლის ფერისას), ო - ცისფერისას. როცა ესა და ეს ხმოვანი ასო გვესმის, მაშინ ჩვენ თვალწინ მისი შესაბამი ფერი გვეხატვისო. რასაკვირველია, თუკი მწერალი განსაკუთრებული არსებაა, რომლის ხუთი გრძნობა უფრო მახვილია, ვიდრე ჩვეულებრივის კაცისა, და რომლის გრძნობიერება მრავალმხრივია, რომელიც მეექვსე გრძნობითაც კი არის აღჭურვილი, ვინაიდან წინათგრძნობა განვითარებული აქვს - რასაკვირველია, ამგვარს მწერალს ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენათა შორის “გამოუცნობელის”, “მიუწვდომელის”, “იდუმალის” ძალის განხორციელება ეჩვენება და ეს საიდუმლოება ყოველის მხრით ეცხადება. ამგვარად, მისთვის ჩვეულებრივი მოვლენა სიმბოლოდ ხდება, ცხოვრების იდუმალ ძალის გამომსახველ ნიშნად.

ზემოხსენებული მეტერლინკი ამნაირად გვესაუბრება თავის შესანიშნავ “მშვიდთა საუნჯეში”, რომელიც სიმბოლიზმის სახარებად ითვლება: ყოველდღიური, ჩვეულებრივი მოვლენა უფრო მკაფიო გამომხატველია ხოლმე ადამიანის ცხოვრების უღიადესის ტრაგიზმისა, ვიდრე რაიმე იშვიათი და განსაკუთრებული შემთხვევა ამავე ცხოვრებისა. ამ ტრაგიზმის განცდა ადვილია, ხოლო ძნელია მისი დასურათება, ვინაიდან იგი არსებითი ტრაგიზმი, ნივთიერი კი არ არის და არც ფსიქოლოგიური. მწერალი უნდა ცდილობდეს, დაგვანახოს, რა არის განსაცვიფრებელი თვით იმ მოვლენაში, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია; უნდა სცადოს, თვალწინ დაგვიყენოს სულის თვითარსებობა; სცადოს ჩვეულებრივ უბრალო დიალოგების შემწეობით გვაგრძნობინოს განუწყვეტელი დიადი მოვლენა არსებობისა და ჩვენის ბედ-იღბლისა. სრულიადაც საჭირო არაა, მხატვარმა ჩვენის ვნებათა ღელვისა და თვით უმწვავეს გრძნობათა ერთმანერთ შორის შეხლა-შეტაკების თავზარდამცემი სურათები შეგვიქმნას; არაა საჭირო, ხელოვანმა მაინცა და მაინც არაჩვეულებრივობით გაგვაკვირვოს და ნამეტანის ბრახაბრუხით გაგვაყრუოს, იმიტომ, რომ ყოველივე ეს მარტო და მხოლოდ ყურებს გამოგვიჭედავს ხოლმე და გვისპობს საშუალებას, გავიგონოთ ცხოვრების გულის სიღრმიდან აღმომხდარი საბედისწერო ხმა ჩვენის ბედისა და უბედობისა. საკმაოა, მწერალმა მიაქციოს ჩვენი ყურადღება პატარა ქოხს რომელსამე მიყრუებულ სოფელში, დაგვანახოს ამ ქოხის დერეფანში ნახევრად შეღებული კარები, სახე ადამიანისა, სრულის სიმშვიდის გამომხატველი... საკმაოა ამ უმნიშვნელო, მცირე მოვლენას შეეხოს გრძნეული ხელი მგონისა და მყისვე ამ სადა და მარტივის სურათის შემწეობით თქვენის თვალის წინ გადაიშლება უღიადესი მომენტები; ადამიანის ცხოვრების სრულიად უბრალო სიტყვები, ღვთის მაღლით ცხებულ ხელოვნის ხელში გადაიქცევიან მთელის მსოფლიოს გამომსახველად... ეს სიტყვები გარეგანის მხრივ თითქმის მოკლებულნი არიან ყოველსავე მნიშვნელობას, მაგრამ ის კილო, რომელსაც მოქმედი პირი ხმარობს, მისი მიხვრა-მოხვრა, მისი სულის განწყობილება თვალწინ დაგვიყენებს ხოლმე მის საიდუმლო ზრახვებს, მის ეტლს და მის ბედისწერას, ათასგვარ საიდუმლოს, რომლითაც იგი და მისი ცხოვრება მოცულია; აი, ეს უნდა იქცეოდეს ხელოვნის ყურადღებას, მისის მხატვრობის საგანი უნდა იყოს იმ საიდუმლოების, იმ “გამოუცნობელის” და მიუწვდომელის ახსნა და სურათებით ნათელყოფა, რომელიც შეადგენს დედააზრს და დედაძარღვს ადამიანის ცხოვრებისას. მეტერლინკმა დიდის ხელოვნებით განახორციელა თავისი თეორია თავის მშვენიერ დრამებში: l'intruse, l'interieur და სხვ.

მაშასადამე, სიმბოლიზმის აღმსარებელისათვის ყოველივე მოვლენა, ყოველივე ფაქტი, ყოველივე შემთხვევა ცხოვრებისა ერთგვარი ნიშანია, სიმბოლო ამ ცხოვრების იდუმალებით ნაქსოვის სარჩულის აღსანიშნავად. აგერ, ავადმყოფის სახლში, შუალამეში, ბრმა ბაბუას ესმის, ვითომ ვიღაც ცელსა ლესავს, - ეს სიკვდილია, რომელიც ეპარება საბედისწერო ოჯახს და ცელსა ლესავს ადამიანის სიცოცხლის მოსასპობად. თქვენა გგონიათ, ეს რაღაც მისტიკური ბოდვა იყოს. სრულიადაც არა, სინამდვილე აქ სავსებით დაცულია: ცელსა ლესავს მეზაღე ბალახის გასათიზავად, მაგრამ ბრმა მოხუცის ბუნება წინათგრძნობით აღსავსეა და მისი სმენა უცნაურათ გამახვილებულია. ეს ნამდვილი ფაქტი მას აღუძრავს შიშს სიკვდილის მოახლოებისას. აგერ, იმავე ოჯახში ის კარი, რომელიც ეზოში გადის, ვედარ მოუხურავთ კარგად... ეს იმიტომ, რომ რაღაც თვალით უხილავი და საიდუმლო საშიშარი ძალა მიიპარება ოჯახში. ყველას შიშის ელდა ეცემა, ყველა რაღაც სევდით არის აღსავსე, წინათგრძნობები აშფოთებს ყველას. სიტყვით არც ერთი არ წარმოსთქვამს საშინელის მოვლენის სახელს, მაგრამ მათი სიტყვების კილო, მათი მიხვრა-მოხვრა ნათელჰყოფს, რომ ყველა რაღაც საიდუმლოებას მოუცავს. ყველა გრძნობს თავისდა უნებურად,

რომ სიკვდილი ფეხაკრეფით მიეპარება და უბედურება მოაქვს ამ ოჯახისათვის. თუმცა ყოველივე ეს მოვლენა სინამდვილის ფარგალს არ გასცილება და კარები უთუოდ იმიტომ არ იკეტება, რომ სადამოს ჟამზე სინესტიტით გაიჟღერა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ყოველდღიური მოვლენა მთელის ტრაგიზმის გამომხატველად იქცევა ამ დიადსა და საშინელს წამებში.

აქედან ცხადია, რომ სიმბოლისტი მწერალი სცდილობს, შეიტანოს ხელოვნებაში გრძნობა საიდუმლოებისა, სცდილობს გვაჩვენოს უხილავი და გამოუცნობელი კავშირი, რომელიც არსებობს “საიქიოსა” და “სააქაოს” შორის, სცდილობს, თვალწინ დაგვიყენოს “მოვლენათა შორის დაფარული კავშირი,” დაგვანახოს საიდუმლოებით მოცული ბედისწერა, რომელიც განაგებს ადამიანის ცხოვრებასა და სიცოცხლეს.

დავუთმოთ სიტყვა ისევ მეტერლინკს: “ჩვენ ვიცითო, - ამბობს იგი, - რომ ყოველივე ჩვენი გრძნობა განსაზღვრულია საუკუნეთა მიმდინარეობაში. ათასი წლები თავს დასცქერიან, როცა ორ მიჯნურთა ბაგე სიყვარულით შეეწებებიან ერთმანეთს. და თვით ეს ამბორი არა არის რა, თუ არ ერთს მოქმედებაში თავმოყრილი სურვილი ათათასის არსებისა, რომელსაც სურს ქვეყნად გაჩენა. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანი არა კვდება... კარგად ვიცით, რომ მიცვალებულნი მარტო სასაფლაოს მყუდროებაში კი არ არიან დაკარგულნი: ჩვენის სახლის ყოველ კუნჭულში მათი სულები დატრიალებენ, ჩვენის ცხოვრების ყოველივე ჩვეულებრივ მოვლენაში იგინი მონაწილეობას ღებულობენ; თვით უმცირესი ჩვენი მოქმედება გამოიწვევს ხოლმე მათ, და იგინი მკვდრეთით აღდგებიან არა საფლავებით, არამედ ჩვენს სულიერს არსებაში, სადაც მათ სამარადისო უკვდავება აქვთ მოპოებული”.

“ამ სახით ჩვენ წარსულისა და მომავლის მონები ვართო, - განაგრძობს მეტერლინკი, - მემკვიდრეობა, ნების თავისუფლება, ბედისწერაო დომხალივით არეულია ჩვენს ცნებაში, ჩვენს სულში, მაგრამ ყოველსავე ამას მეფედა და პატრონად თავს დასცქერის იდუმალებით მოცული ეტლი - საბედისწერო ვარსკვლავი ჩვენის ცხოვრებისა, გენებოსთ, მემკვიდრეობა დაარქვით, გენებოსთ ბედ-იღბალი, ორივე ერთად და თვით ის უცნაური, მიუწოდომელი ძალა, რომელსაც ეს სიტყვები გამოსახვენ არა არის რა, თუ არა ერთ-ერთი სხივი ამ ეტლისა, სხივი, რომელიც იკარგება საიდუმლოებით გაჭედდის წყვილიადში.

ჩვენ გამოვდგებით და სხვადასხვა ეტიკეტებს ავაკრავთ ხოლმე იმ ვაზას, რომელშიაც უხილავი და გამოუცნობელია მომწყვდეული. მშრალი სიტყვები კი არ გვამცნევს იმის შესახებ, რაც უფრო საინტერესოა კაცისათვის. ამ საიდუმლო ძალების, ამ იდუმალის კავშირის გამომხატველი უნდა იყოს მწერლის ნაწარმოები. ამგვარად იგი ხდება სიმბოლოდ, სახედ, სურათად, ნიშნად, რომელიც კონკრეტულად უნდა გამოსთქვამდეს რაღაც საიდუმლოსა და არა ყველასათვის ნათელს აზრს უნდა გამოხატვიდეს ყველასათვის გასაგებად.

იმ განსაზღვრიდან, რომელიც ჩვენ აქ მოვიყვანეთ, მკითხველი კარგად დაინახავს, რომ სიმბოლისტები ბევრში უახლოვდებიან რომანტიკოსებს. რომანტიკოსის საიქიოს წყურვილი ჩვენმა დიდებულმა ბარათაშვილმა გამოხატა უკვდავ ლექსებში:

“მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთროება,  
გულის თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,  
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...  
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს.”  
 (“შემოღამება მთაწმ.”)

სიმბოლისტები ზოგში რეალიზმის პრინციპებსაც იცავენ. ჩვენგან მრავალჯერ მოხსენებული მეტერლინკის წიგნი რომ გადაათვალიეროთ, ნახავთ, რომ იგი სასტიკის კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს რომანტიკოს მწერალთა მანერას. უწუნებს მათ არაჩვეულებრივის და განსაკუთრებულის მოვლენების მწერლობის საგნად აღებას. უბრალო, ყოველდღიური, სრულიად უმნიშვნელო და უფერული მოვლენა, მისის აზრით, უფრო საყურადღებოა, ვინაიდან დუმილსა და სიჩუმეში ინასკვება ჩვენის ცხოვრების ტრაგედიის მარღვი. რეალიზმიც ხომ “ქუჩის ყურეს” სადა და მარტივის მოვლენების გამოხატვას აკისრებდა მწერალს, ვინაიდან, მათის შეხედულებით, ცხოვრება მეტი არა არის რა, თუ არ ჯამი იმ მოვლენათა, რომელიც ყოველდღე ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ სიმბოლისტი ამ მცირე მოვლენას დიად მნიშვნელობას აძლევს, ვინაიდან, მისის აზრით, ყურმახვილს მგოსანს შეუძლია, ამ თვალათვის უმნიშვნელო მოვლენის ქვეშ აღმოაჩინოს მთელი ბედისწერა, მთელი შინაარსი ადამიანის ცხოვრებისა; და თუ რეალისტი მოვლენის ზედაპირით კმაყოფილდებოდა და იმას იქით არას ეძიებდა, რაკი სწამდა, რომ “იქით” არა იყო რა, სიმბოლისტი ზედაპირის გაგლეჯას სცდილობს და

ზედაპირის ქვეშ ეძიებს საიდუმლო მექანიზმს ჩვენის ცხოვრებისას. მას ზედაპირი იმდენად ეინტერესება, რამდენად იგი ერთგვარი ნიშანია, ერთგვარი მხატვრული ციფრი, სიმბოლო, რომელიც აღნიშნავს ტრაგედიულ ძალასა და ცხოვრების იდუმალობას.

თუ ყოველსავე ზემოხსენებულს გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ ვაჟა საუკეთესო ტიპია სიმბოლისტ მწერლისა.

თუ გნებავთ, ნახოთ განსხვავება რეალისტ და სიმბოლისტ მწერალთა შორის, ავიღოთ გ. წერეთლის საუკეთესო მხატვრული სურათი ბუნებისა და შევადაროთ ვაჟა-ფშაველას, რომელსაც გნებავთ, ამგვარსავე სურათს.

“გზა მიგვიძღოდა ფართო ჭალებზედ. მდინარის შხეილი ხანდახან ბუნდათ მოგვესმოდა. მინდორს უწვიმობით მოყვითალო ფერი დაცემდა; ეკლით გაბანდული მწვანე ბუჩქნარი ზოლ-ზოლებად გადაუყვებოდა. ერთი საათი მეტი ვიარეთ ამ მინდორზედ და შემდეგ შევედით სქელ დობილოში: ლოტნარის თხმელის ხეებს ქოჩორა წვერები ვაზის ფოთლებით ჰქონდათ შეხვეული. მაჯის სისხო შავი ვაზები ხეებსა და ხეებს შუა ბაწრებად გამბულიყვნენ და თვითონ იმათაც გველსავით შემოხვეოდნენ. ამ დროს მზემაც პირი გვიჩვენა, მაგრამ იმისი ცხელი შუქი ჩვენთვის უვნებიად დარჩა: ხშირად გაბნეული თხმელა, ხურმა და კაკლის ხეები სქლად გვიჩრდილებდნენ. თვითონ მინდორმაც ამ დობილოში ფერი მწვანედ იცვალა. როგორც ეტყობოდა, მზის შუქს ამ ჩრდილში ბალახისთვის სისველე ვერ წაერთმია. დობილოს ტყეში სუნთქვა ძლიერ გაგვიტკვა: გონებაში გავივლე, ამისთანა მწვანილოვანს ბაღში კაცი არ უნდა დაბერდეს მეთქი”.

ზემოთაც მოვიხსენიეთ, რომ ბ-ნ. ნ. ნიკოლაძის თქმისა არ იყოს, ეს სურათი პირდაპირ გადმოხატული ფოტოგრაფიული ასლია ბუნებისა. განსხვავება აქ ისაა, რომ სიცოცხლით აღსავსე ბუნებას მკვდრის ფერი ადევს, ვინაიდან ეს არც სინემატოგრაფიული სურათია, სადაც მოძრაობაა დაცული, არც ფერადებით შემზადებული ფოტოგრაფიაა, რომელშიაც ბუნების უძრავი სიმშვენიერე და მრავალფეროვნება სჩანს. ეს არის უფერული ფოტოგრაფია, რომელიც ცივად და მშრალად აქვავებს ქაღალდზე მთელს მოძრავ ბუნებას.

ეხლა ვაჟა ვნახოთ:

“ულრანს ტყეში მოსული ვარ...” ამბობს ია: “მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატყობო ტყეს, ბალახს და იმ გადაღმადამ გულხავსიანს კლდესა, სუნნელებას მივაფრქვევ არე-მარეს. ყველას ვუყვარვარ: აგერ იმ დამპალ ყუნჭს თვალი სულ ჩემსკენ უჭირავს, მიცინის ხოლმე, უნდა ჩემთან მოვიდეს, - მაკოცოს, მაგრამ არ შეუძლიან; მხოლოდ შორიდან გამიცინებს, გაიღიმება საცოდავი, თუმცა უშნოდ, მაგრამ გულკეთილობა კი დიდი გადევინება ხოლმე პირზედ.

განა მარტო იმას უხარიან ჩემი სიცოცხლე? წვერ-ხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდამ, თვითონ თავშიშველნი, ტოტებს მე მაფარებენ: ჩვენს იას არ შეგვიცივდეს, ან არაფერმა არ აწყინოსო. პირდაპირ შხაპუნა წვიმას არ უშვებენ ჩემამდის; წვიმას შეუძლიან ერთბაშით ჩამომაცალოს ფოთლები. უფოთლებოდ ყოფნა და სიკვდილი ჩემთვის ერთია. არა, - ხეები: არყი, წიფელი, თხილი, თამელი, დუდგულა გარშემო მეხვევიან და მყარაულობენ, წვიმის ნამს ინახვენ ტოტებით, ფოთლებით და მერე ნელ-ნელა თითო-ოროდ ნამებით მამცვრევენ პირზედ, პირსა მბანენ. მე ყელს მოვიღერებ და ვინატრებ, ნეტა სიმღერა შემემლოს, ნეტავი დამზადებელს ჩემთვის ნიჭი მოეცა, რომ მექო მალლა ცა და ღრუბელი, მზე, ეს ჩემი მფარველი ხეები, ეს მთები, ის ჭალები და ღაბუა ჩიტები, რომელნიც ხმელს, ყვითელს ფოთლებში წითლის და მწვანის ფრთა-ბუმბულით ჩემს წინ დაგოგვენ და ხანდახან შემომჭიკჭიკებენ პირში, მათამაშებენ, უხარიანთ ჩემი სიცოცხლე. ჩემი ერთი თვის სიცოცხლე სხვის ოცდაოთხის თვის სიცოცხლეს სჯობია, მაგრამ დიდხანს სიცოცხლეს კი დანატრულებული ვარ. დილას ერთმა “წიფლის ჩიტამ” ჩემს ახლოს იგალობა; ლამაზირამ იყო ყელწითელი, ღაბუა; იმასაც ჩემსავით თავი მოსწონდა, იხედებოდა გულზედ და მხრებზედ; ყველას მოსწონს თავი, ყველას უხარიან სიცოცხლე, ყველას უყვარს ბუნება... აი, ეს ორი დღეა, რაც ჩემი დობილი სასუტკაც (მცენარეა) ამოჩნდა; უხარიან, უხარიან საცოდავს, სულ თავს იქნევს დაბლა და მალლა, უკრავს თავს დედა-მიწას, მზის სინათლეს, მეჭურჩულება, ზღაპრებს მიაშობს სიცოცხლეზე, სიყვარულზე; ხანდახან კიდევ გაიკისკისებს, გადმომეხვევა და მაკოცებს; გუშინ დილით მე და ჩემმა დობილმა ორივემ ვიტირეთ.

“რა შეუბრალებელია კაცი?! რასაც კი დაინახავს, უნდა, რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს, ალბათ ვერ აფასებს ჩვენს სილამაზეს! ჩვენ წინ კაცმა გამოიარა, ცალ მხარზედ ცული ედო, მეორეზედ თოფი ეკიდა. მიადგა ერთს მშვენიერს ტოტ-გარდათხმეულ წიფელას, დაუშინა ცული და წააქცია. საბრალო, როდესაც წაიქცა, დაიკვნესა. ჩვენს იქით გუგულის-კაბა (მცენარეა) ამოსულიყო და ჯერ ხმელს, ჩამოსულს ფოთოლს არ ამოსცილებოდა. როდესაც ხე წაიქცა,

გადიყრევინა ზევიდან ფოთლები და წითლათ გადმობრჭყვინდა, ცრემლები დასხმოდა ჩადრმავებულს გულში”.

აქ ყოველი ანბანი ცოცხალი სურათია, და ია ისეთის სიცოცხლით შეამკო ავტორმა თავისის ჯადოსნურის ხელოვნების შემწეობით, რაც მას ბუნებაში არც კი აქვს... ანდა შეიძლება ეს ბუნების ნამდვილი სურათი იყოს და ჩვენთვის, უბრალო მომკვდავთათვის, მიუხდომელი; აქ მთელი ფილოსოფიაა და მთელი პოლიტიკური განწყობილება, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ: “ჩემი ერთი თვის სიცოცხლე სხვის ოცდაოთხის თვის სიცოცხლეს სჯობიაო”, ამბობს ია. მაშასადამე, სიცოცხლე სრული, მშვენიერი და ნაყოფიერი, რაც უნდა ხანმოკლე იყოს, იგი სჯობს უარარაობით აღსავსე ხანგრძლივობას. მშვენიერი ია უყვარს ყველას, ყველა მას შეხარის და მასაც ყველა უყვარს, ყველა ებრალება. საერთო ჰარმონია ბუნებისა, ცხოველმყოფელი ძალა მშვენიერებისა წარმტაცის სადა სურათებით გვაქვს თვალწინ გამოფენილი და მრავალი აზრი და გრძნობა აღძვრის მკითხველს იმ პატარა სურათების წაკითხვის დროს, რომელიც ვაჟა-ფშაველას მადლიან კალამს უხვად მოუცია ჩვენთვის. თვით მგოსნისა და სიმბოლისტ პოეტის საუკეთესო დასურათებაც ვაჟას ეკუთვნის. აბა, გადაათვალიერეთ მისი “გველის მჭამელი”. მინდია ხომ მგოსანია, რომელიც გრძნეულის ძალებით მოკვადობულია. ამ ძალთა შემწეობით მინდიას:

“ახალად სული ჩაედგა,  
ახალი ხორცი აისხა;  
გულის ხედვა და თვალების,  
როგორც ბრმა და ყრუს გაეხსნა;  
ესმის დღეიდან ყოველი,  
რასაც ფრინველნი გალობენ,  
ან მცენარენი, ცხოველნი,  
როდის ილხენენ - წვალობენ,  
რაც კი რამ დაუბადია  
უფალს სულიერ - უსულო,  
ყველასა თურმე ენა აქვს,  
არა ყოფილა უსჯულო.

მინდია ამგვარად ბუნების მესაიდუმლეა: მასთან განუწყვეტელის და უცნაურის მომხიბლავის ჯაჭვით შეკავშირებულია:

“ყველა მცენარეს და მდილსა  
ის ეგებება სალმითა,  
ბუნებაც “ვაშას” უძახის  
მდიდრათ მორთულის აღმითა,  
ყვავილნი ყელ-გადაგდებით,  
დახატულები კალმითა,  
“მინდიას გაუმარჯოსო”,  
ერთხმად ასტეხენ ყიჟინსა;  
ხეები ფოთლებს არხვევენ,  
ბუნება იწყებს ბიბინსა;  
მარტოკა მინდიას ესმის  
მათი კვნესა და ჩივილი;  
მოვიდა ხესთან ცულითა,  
სთქვა: “უნდა მოვჭრა ესაო”!  
შემოჰკრავს ცულსა, და ამ დროს  
ხის შემოესმის კვნესაო:  
“ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ,  
ნუ დამიბნელებ მზესაო,  
უიარალო რომა ვარ,  
მიტომ მიბრიყვებ ხესაო!”

აი, მშვენიერი და სრული ხატება სიმბოლურის პოეზიისა, აი, საუცხოვო სურათი სიმბოლიზმის ძირითადის შეხედულებისა ხელოვნების შესახებ: ხელოვანი, მგოსანი სმენაფაქიზი,

ნაზგრძნობიერი შვილია ბუნებისა, რომელსაც შეგნებული აქვს ის, რაც ჩვენმა დიდებულმა რომანტიკოსმა დიდი ხანია აღნიშნა:

“მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულოთ  
შორის  
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის  
საუბრის”.

ამნაირმა მგოსანმა იცის და შეუძლია აღმოაჩინოს და თვალწინ გადმოგვიშალოს ჩვენთვის უხილავი, “გამოუცნობელი”, “დაფარული კავშირი” თვით უბრალო, ჩვეულებრივ მოვლენათა მიმდინარეობის ქვეშ. მეტი არ იქნება, აქვე აღვნიშნოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს რომანტიკოს და სიმბოლისტ მგოსანს შორის. შეადარეთ უკვდავი ნიმუში რომანტიზმისა ბარათაშვილის ზემოხსენებული “ჩინარი” და ვაჟას “გველის მჭამელი”.

ერთსა და იმავე აზრს იმის შესახებ, რომ მგოსანი არაჩვეულებრივი არსებაა, რომელსაც “სწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთ და უსულოთ შორის”, რომანტიკოსი უფრო განყენებულის ფრაზებით გამოსთქვამს, სიმბოლისტი კი ცოცხალი სურათებით. მაშინ, როდესაც რომანტიკოსი უსათუოდ თავისი ყურადღების ღირსად ხდის მხოლოდ რასმე არაჩვეულებრივ დიად მოვლენას, რომელსავე ჩინარს, “მალად მაჩინარს”, რომელიც “სდგას მედიდურად და სიამაყით და მხოლოდ თავსა გარდმო-გარდილებს სევდიანისა შერხვევის სახით”, სიმბოლისტი უბრალო “იას” აიღებს და მთელ სიმფონიას შეჰქმნის მისი ჩუმისა და მარტივის ცხოვრებიდან; გამხმარ, ყველასაგან ათვალისწინებულ “წიფელს” დაგვისურათებს და მის ამბავში ჩაგვიქსოვს მთელს გამმას გრძნობათა და აზრთა: სხვა ხეებმა “არ იციან, რომ ხმელი წიფელი იმათზე მეტად იხსენიება”. მამასადამე, ის, რაც ამბობს (...), კაცობრიობის უმსგავსო უმეტესობას მიაჩნია სამარცხვინოდ, შესაძლოა სასახელო იყოს და შემცდარი ზიზღი იმ არსებისადმი მიმართული, რომელიც პირად უბედურებაში ჩავარდნილია, მაგრამ ქვეყნის ერთგულებისათვის კი სახელი მოუხვეჭია.

საერთო კი რომანტიკოსს და სიმბოლისტს ისა აქვთ, რომ მგოსნის პირად ზრახვებსა და ფიქრებს გვიმყდავენებენ, მგოსნის განსაკუთრებულ ფსიქიკას თვალწინ გვიშლიან. ეჭვი არ არის, ვაჟას “ია” და “ხმელი წიფელი” ვაჟას აზრისა და გრძნობის გამოხატველია, რომელიც არა თუ ჩვეულებრივობასა და ყოველდღიურობას მოშორებულია, დიდის უმეტესობისათვის, შესაძლოა მიუწოდებელი იყოს, ვინაიდან “მოკვდავთა ენას არ ძალუმს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა”.

## I

ვაჟა ნამდვილი ბუნების შვილია და ულამაზესისა და უმშვენიერესის ჩვენის მხარის მცხოვრები. მისი მუზის სანავარდო, ერთის მხრით, მთებია - ე ს დ ა რ ა ჯ ნ ი ჩვენის სამშობლოსა, მისი მფარველი და დამცველი, უძლეველი საბუთი იმისა, რომ ამ ქვეყნის ცხოვრება ყოველნაირად განსხვავებული უნდა იყოს სხვა ქვეყნის ცხოვრებისაგან. ხოლო მეორეს მხრით, ვაჟას მუზის თვალებს მოხიბლავდა ხოლმე ქვეყნის მამულის უმშვენიერესი კუთხე კახეთი - ყოველის პოეტისა და პოეზიის შემგნების აღმტაცებელი, ილიასა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სამშობლო.

ვაჟა იმ მთის შვილია, რომელმაც ყაზბეგი მოგვცა, ეს უცნაური მესაიდუმლე ამ ბუნებისა. ყაზბეგმა შეუდარებლად დაგვიხატა უცნაური, გამოუცნობელი და მომხიბვლელი კავშირი, რომელიც არსებობს ამ მთების ბუნებასა და მათ მცხოვრებთა შორის.

ბ უ ნ ე ბ ა ვაჟასათვის თავისთავად საყვარელია და სალტოლველი, ვითა უმშვენიერესი და უდიადესი ელემენტი სიცოცხლისა და ცხოვრებისა, სიცოცხლის გამაცისკროვნებელი, სულისა და გულის წარმტაცი, გონების მომჯადოვებელი. მისთვის ბუნება და ყოველივე ნაწილი ამ ბუნებისა ცოცხალი არსებაა, მისთვის ბუნების არც ერთ ნაწილს არა სდევს სიკვდილისა და უსიცოცხლობის ნიშანი. ყოველივე ნაწილი ბუნებისა განხორციელებულია და განსულიერებული: “მთანი მალაღნი”, სალი კლდეები, ველი და მდინარე ისეთივე სიცოცხლით არის აღვსილი, როგორც ბულბული, გინდ მერცხალი, ლომი, გინდ არწივი, როგორც ყოველი პირუტყვი და მეტყველი.

საერთო ჰარმონია სიცოცხლით აღსავსე მუსიკისა ატკბობს ვაჟას მუზის სმენას; საერთო ფერხული სიცოცხლის ბუნების შვილებისა ასიამოვნებს მის თვალებს და უწმინდესის გრძნობებით გატაცებული მთრთოლვარე მისი ბაგეები ღვთიურ ჰანგებს გამოაღებინებს ხოლმე “უვერცხლო, შეუზიკავ სტვირსა”.

ვაჟასათვის გაზაფხულზედ “მწვანის კალთებით კოხტაობს მთების კალთები ტყიანი”, - თითქოს ტურფა იყოს და მიჯნურის მოლოდინში კვალუცობდეს; “არაგვიც მოქუხს მრისხანედ, ამ დროს

შავფერად მდინარე, იღვიძებს, იფშვნეტს თვალებსა მის არე-მარე მძინარეთ,” - თითქოს დიდის ხნის ძილისაგან გაღვიძებული ადამიანი იყოს და დღიურ ჭირ-ვარამისათვის ემზადებოდეს.

ვაჟას პოეზიაში ყოველიფერი ცხოვრობს, მოძრაობს, იბრძვის, ოცნებობს.

თუ “სუდარ-ჩაცმულნი მთანი სდგან”, იმიტომ, რომ იგინი არიან: “ფიქრის მზიდველნი მწარისა, სულ მუდამ ყინულიანი, არ როს მნახველი მწვანისა”; თუ “დაბნელდა, წყალნი სტირიან, კალთა გვეხურვის ღამისაო”.

თუ “თენდება, მთის წვერნ დაწითდენ”, თითქო უცაბედად მიჯნურს შეეფეთენო, ხოლო “ნისლნი აგროვდენ მთებზედა”.

ის, რაც უბრალო მომაკვდავს მიაჩნია უსულოდ და უაზროდ, ის, რაც ჩვეულებრივად კაცს მიაჩნია ყოველსავე გრძნობის მოკლებულად, პოეტი მასშია ციციცხლესა ხედავს, იმის მაჯის ცემაც ესმის, მისთვის იქაც სჩქეფს დიადი ძალა სიცოცხლისა:

“ნისლნი, დაღლილნი ცურვითა,  
მთის ყურედ მიმალულიყვნენ,  
მთანი მაღლაით დასცქერდენ  
ღრმა ფიქრით შაბურილიყვნენ;  
არაგვიც ჩუმად მისჩქეფდა,  
თვით ცრემლსა ცრემლი სდიოდა,  
ბუნდად და გაურჩეველად  
კლდეთა კალთაზე ხვიოდა.”

ანდა, თუ გნებავსთ:

“ცაზე გამქრალან ვარსკვლავნი,  
პირი ემატვის მთვარესა,  
მთანი თავ-ჩაჩქნიანები  
ფიქრს მისცემიან მწარესა”.

მთა ფიქრობს, მთა ოცნებობს, მთა გოდებს და მთა კვნესის ამ საუცხოვო მგოსნის ნაწერში, თანაც მთა ამაყია და მედიდური, გმირთა თავმომწონე და ამიტომაც პოეტის სათაყვანო და სადიდებელი:

“ირგვლივ მთებია დიდრონი,  
აყრილნი სრულის ტანითა,  
გადალესილნი თოვლითა,  
მოულალავნი ჯანითა;  
ერთხელ თუ ჰნახე ამ გვარად,  
სულ გინდა სინჯო თვალითა,  
იმაზე ლამაზებია,  
როცა ღელავენ მწვანითა.  
თუნდ მზე დაადგეთ გულ-მკერდზე,  
ზვავი სდიოდესთ ჭექითა,  
მაინც სიტურფე იმათი  
ნაკურთხი არის ზეცითა;  
ბევრჯელ დაჰბრუნავს თავზედა  
გრილი ნიავი კვნესითა.  
ზაფხულში შავი ღრუბლები  
სანთელს უნთებენ კვესითა.  
და სალნი კლდენი, პირქუშნი  
უფსკრულს ჩასულნი ფესვითა,  
არც რო სულზედა ფიქრობენ,  
არც სუქდებიან ლემითა,  
უსალმო, უალერსონი  
გამომზირალნი ბრემითა”.

აქ ყოველი სტრიქონი სცოცხლობს, ყოველი სიტყვა ცოცხალი სურათია, ყოველ სურათში მოძრაობაა და სიცოცხლე ფეთქს. რამდენიმე სტრიქონით თვალწინ გადაგიშლისთ ხოლმე მთელს ცხოვრებას მთებისას, რამდენიმე მომენტს მათის სიცოცხლისას:

“დილაზე ფრთა დაკეცილთა,



ნამტირალევთა ღამითა,  
მთებზე ეძინათ ნისლებსა  
მიტკლით შაკრულის თვალით.

აი, ოთხი სტრიქონი, რომელიც გვისურათებს ნისლის მთელი ცხოვრების მიმდინარეობასა. ღამე ნისლი ფრთაგაშლილი დანავარდობდა და დედამიწას წვიმით რწყავდა; დილას დაღლილა და მთებზედ ფრთა-დაკეციტ მოუსვენებია. ნისლები ქუფრის ფერისაა, შავია ძირში, წვერში კი ზამბის ქულასავით თეთრია. მთელს სანახაობას რამდენიმე სიტყვით გვიხატავს მგოსანი, მთელ მხატვრობას ორიოდ სტრიქონით სძლევს და ათასგვარ გრძნობებს აგვიშლის. ხელოვნებას ამაზედ მეტი იშვიათად თუ რამე მოეთხოვება. ვაჟა სიცოცხლისა და ცხოვრების სიყვარულით აღსავსე მგოსანია; როგორც ყველა ჩვენი დიდი პოეტისთვის, მისთვის ჩვენს მშვენიერსა და საუცხოვო ბუნებას ჩაუნერგავს ის დაუშრეტელი გრძნობა აღტაცებისა, სიცოცხლისა და სიცოცხლის დამამშვენიებლისა და შემამკობელის საგნისა და მოვლენისადმი, რომელიც შეადგენს მთელის ჩვენის მწერლობის ნიშანდობლივ და მეტად ორიგინალურ თვისებას. მისთვის ბუნებას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა იქ სიცოცხლე სდულს და გადასდულს და სრული უფალია მსოფლიოსი. თორემ, თუკი ამ ქვეყნად სიცოცხლის მომსპობელი ბოროტი ძალა მეფობს, თუკი დევები - სიმბოლო სიცოცხლის შხამისა და უარყოფისა - შექმნილან ქვეყნის ბატონად და პატრონად, თუკი მათის წყალობით “ლამის ს ი კ ვ დ ი ღ მ ა ს ი ც ო ც ხ ლ ის დ ა ი ს ა კ უ თ რ ო ს ს ა ხ ე ლ ი (ხაზი ყველგან ჩვენია-კ.ა.) “ლამის ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს დ ა ე წ ვ ა ს ტ უ რ ფ ა გ ვ ი ნ ი ი ი ს ა, ყველა, რაც ამკობს სიცოცხლეს, გახდეს საჭმელად ჭიისა”, - “სადღა ვის უნდა მაშინა ან მზე, ან მთვარე ცაზედა, ხშირად ყვავილით ნაქარგი მწვანე ბალახი მთაზედა, გაზაფხულს მოსვლა მერცხლისა, ჩქეფა-ხრიალი ხევისა, დღის წასვლა, ღამის დადგომა, სიტკბო ბულბულის სტვენისა”.

დიალ, ჩვენის მგოსნისთვის ყოველივეს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ხელს უწყობს სიცოცხლეს და რამდენადაც ებრძვის სიკვდილსა და სიცოცხლის მოსპობას. მისთვის ბუნებას, რომ ვსთქვათ, უტილიტარული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ აქ მეწვრილმანურ ანგარიშსა და უმსგავსს სარგებლობას კი არა აქვს ადგილი. აქ სიცოცხლე თავისთავად პოეტისათვის პოეზიისა და აღმაფრენის საგანია, სიმშვენიერის განმახორციელებელია და მისი მიუცილებელი მასაზრდოებელი.

ან კი, მართლა, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მისთვის ან მზეს ან მთვარეს, ან მთის ყვავილებს მორთულს, ან მერცხალს გაზაფხულისას, ან ტირილს ხევისას, თუ მათი სიცოცხლე ჩამქრალი იქნება. ვაჟა ხომ ყოველსავე ამაებში სიცოცხლის დაუშრეტელ გამოხატულებასა ხედავს, ესენი ხომ ყველანი სიცოცხლის ნიშანნი არიან, რომელნიც კარგვენ ყოველსავე თავის მნიშვნელობას, რაკი სიცოცხლე მოისპობა. უსიცოცხლო მთა და ყვავილი, მერცხალი და ხევი პოეტისათვის იგივეა, რაც მკვდრის დახუჭული თვალები და მეტყველებას მოკლებული ბაგენი, მისი ყური - სმენას მოკლებული და ენა დადუმებული. აღარც ერთი ნაწილი სხეულისა აღარ არსებობს სიკვდილს შემდეგ, ვინაიდან იგინი ჰქრებიან ერთად მათ მთავარ აზრთან, მთავარ მექანიზმთან, რომელსაც უცნაური და საიდუმლო ძალა ჰქვია სიცოცხლისა.

ამიტომაცაა, რომ მას შემდეგ, რაც ხალხის თქმულების გმირი კოპალა დევებს გასწყვეტს, ბუნებას ქორწილი და ლხინი აქვს თვით მგოსანივით:

“თენდება, ნამი დაჰყრია  
მიწასა აღმასიანი,  
არავგსა პირი უცინის,  
ტანი უშვენის ხმლიანი,  
ულოცვენ გამარჯვებასა  
მისი კიდენი კლდიანი,  
ხშირნი მიდიან ღრუბელნი,  
ლაღად მიდგიან-მოდგიან;  
ცამ გადიწმინდა, ტურფანი  
წვრილნი ვარსკვლავნიც მოდიან;  
დაულბა გული ქვეყანას,  
ისევ სიცოცხლით ხარობსა,  
დამთვრალი ქვეყნის შვენებით,  
გაღმა ბულბული გალობსა.

მადლობა შენთვის, უფალო,  
ბუნება აღარ წვალობსა!  
ტურფა დაესხა ისევა  
დამჭკნარს ფოთოლი იასა.  
აღარ აშინებს დევის ხმა  
მაგ სადედუფლოს თმიანსა”.

## II

ხოლო ეს პოეტი ბუნებისა, ბულბული პირველი გამომხატველია ბუნების აღტაცებისა და სიხარულისა, ბოროტის ძალების სიკვდილის იარაღის შესუსტებისა და მოსპობის გამო.

როცა ასეთი განუწყვეტელი კავშირი გააბა პოეტმა, ერთის მხრით, “უასაკოთა და უსულოთა” და, მეორეს მხრით ასაკიანთა და სულიერთა შორის, რასაკვირველია, ბუნება მისთვის და აგრეთვე ადამიანისთვის მეგობრად, საყვარელ არსებად არის მიჩნეული, რომელიც მისი ჭირისა და ლხინის ამხანაგია. მართალია, მას შეგნებული აქვს ბუნების თავისებური გულგრილობა და ინდიფერენტიზმი; მართალია, კარგადა აქვს გაგებული პოეტს, რომ ბუნება თავისთავად გარეშე ადამიანთან დამკვიდრებისა,

“ერთფერად მტვირთელი არის  
საქმის თეთრის და შავისა.  
ბუნება მბრძანებელია,  
იგივ მონაა თავისა”.

და ამგვარად, ბუნებას უფრო ობიექტურის თვალით უყურებს, ვიდრე ყაზბეგი, მაგრამ ისიც იცის, რომ

“ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,  
ზოგჯერ მქნელია ავისა”,  
- ისიც შეთვისებული აქვს, რომ ბუნება

“მაინც კი ლამაზი არის,  
მაინც სიტურფით ყვავისა”.

ხოლო მეოსნისათვის სიმშვენიერე, სილამაზე და სიტურფე ისეთი რამ არის, რომელიც ბუნების თაყვანისმცემლად და მადმერთებელ მეგობრად ხდის. მისი სიყვარული სიმშვენიერისა იქამდის მიდის, რომ, თუმცა სხვაფრივ არაფრად ეჭაშნიკება მგელი, მაგრამ იმასაც კი ეუბნება: “მიყვარხარ ისე, როგორც კი შეიძლება ნადირი უყვარდეს კაცსა. რათა? იმიტომ, რომ შენს ცხოვრებაში სილამაზესა ვხედავო”.

რაღა გასაკვირველია ამას შემდეგ, თუ იგი მშვენიერების დაუშრეტელ წყაროს - ბუნებას მუდამ ეტრფის და ეალერსება:

“მოგესალმებით, ქედებო,  
მომაქვს სალამი გვიანი,  
ჩემსა სამარეს ამკობენ  
თქვენი დეკა და ღვიანი;  
თქვენგანა გულობს ეს გული,  
შიგ გრძნობა უდუღს ღვთიანი,  
თქვენი მიწოვავ მე ძუძუ,  
ღალიან-ბარაქიანი.  
ნუმც გაჯავრდება პირიმზე,  
ნუმც დამწყველიან იანი,  
რომ იმათ დედის ძუძუთი  
ვსუქდები ცოდვილიანი”.

და მთანი და ყვავილნი, ღელე და ხევი, ბუჩქიც მეგობრად და მოყვარულად ეჩვენება ამგვარად განწყობილს მეოსანსა. კაცმაცა სთქვას, რა არის მთლად ერთიანად სინამდვილე, რა არის რეალური არსება, თუ არ მოჩვენება, თუ არა ის, რასაც ჩვენი ხუთი გრძნობა გვაჩვენებს და გვარწმუნებს, რომ

ეგ ეგრეთი არისო. ვინ იცის, რა არის თავისთავად ან ხე ან ყვავილი, ან კლდე, ან წყარო; ჩვენ ის ვიცით მხოლოდ, რასაც ჩვენი “მე”, ჩვენი გრძნობა და გონება გვეუბნება მის შესახებ. თავისთავად, ობიექტურად, აბსტრაქტულად შესაძლოა, არავითარი აზრი და არავითარი სახე არა ჰქონდეს არავითარს მოვლენას, მაგრამ ჩვენ, ადამიანნი, ამ მოვლენას იმ სახეს ვაძლევთ და იმ სულს ვუდგამთ, რომელიც ჩვენს ხელთ არის. პოეტი, როგორც ერთგვარი ზეკაცი, რომლის გრძნობა უფრო ნაზია და მახვილი, ვიდრე უბრალო მოკვდავისა, ღრმად გადმოგვიშლის ხოლმე ამა თუ იმ მოვლენას და თავისებურს შინაარსს ჩანერგავს შიგა. პოეტის მწერლობა თავისებური ახსნა ცხოვრებისა, ერთგვარი ჭეშმარიტება, რომელსაც ათასი სხვა იმგვარივე არსებისაგან გამორკვეული ჭეშმარიტება უდგას გვერდში, მისი მხატვრობითის ნიჭის ძალას შეუძლია მიგვაღებოს ესა თუ ის შეხედულება, მის ძლიერ კალამს შეუძლია იმგვარი აზრი და გრძნობა გამოგვიქვეყნოს და გაგვითვალისწინოს, რომელიც მისი მხედველობის მოხიბლულ მონად გაგვხდის. არც იფიქროთ, დიდმა პოეტმა ფანატიზმი იტვირთოს და ერთგვარობას დაემორჩილოს. მისთვის მოვლენას ათასგვარი სახე აქვს და ყოველ წუთში მოვლენის იმ სახეს მოგვაჩვენებს, რომელსაც იგი ხატავს წარმოდგინებითის ძალის შემწეობით იმ წუთის პოეტურ ექსტაზში.

ხომ მოგახსენეთ, ვაჟამ იცის, რომ ბუნება “ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქნელია ავისა;” იცის, რომ მთის ნისლეტი “ზოგჯერ რომ გაგვახარებენ მაცოცხლებელის ცვართა, სხვა დროს ბედს გვაწყვეინებენ ჩანადინარის ავითა”. ამგვარივე ყოველივე ცოცხალი არსება, ამგვარია მთლად სიცოცხლე და ცხოვრება - იგიც ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქნელია ავისა. უმეტეს შემთხვევაში ვაჟა ბუნებისა და კაცთა შორის დამოკიდებულებაში მეგობრულს განწყობილებასა ხედავს. სხვა რომ არა იყოს რა, ბუნება სილამაზეს მაინც ხომ თავის დღეში არ დალატობს, ხოლო სიმშვენიერე და სილამაზე კი ისეთი ღირსებაა მგოსნის თვალში, რომელიც ყოველს სიამოვნებასა და სიკეთეს ანიჭებს.

ადამიანისა და ბუნების შორის ასეთის ურთიერთობის შედეგია ისა, რომ

“ქალის ქვითინსა მდულარეს  
მთანი იწერენ მკერდზედა;  
ცრემლით ატირდენ წყარონი  
ჩამომდინარი გვერდზედა”.

დაბერებულა პირი-მზე,  
კუზი ეტყობა წელზედა,  
ოცნება ტანჯულის ქვეყნის  
ქვითინებს მთისა წვერზედა”.

აბა, შეხედეთ, რა კავშირია ბუნებისა და მშვენიერის ეთერის შორის:

“ეთერი მწყემსი ქალია, ობოლი, ყვავილი ედემისაო” და მის

“ქოხს ოთხსავ მხარეს არტყია  
დიდი ბარდები ბურჯადა,  
ზედ ყვავილები ჰყვავიან  
წითლად, ყვითლად და ლურჯადა,  
ღამ-ღამ აქ მოდის ბულბული,  
მოსთქვამს დაკარგვას დისასა,  
თან ატანს გულის ვარამსა  
ნიავეს მონაბერს მთისასა.  
რა გულ-დადებით ყურს უგდებს  
ეთერი იმის სტვენასა,  
მიმჯდარი ქოხის კარებთან,  
როგორ იფხიზლებს სმენასა!  
“გენაცვლე, ჩიტო, - დუდუნებს, -  
ლამაზად ხმარობ ენასა,  
ნეტა რას ამბობ, ვიცოდე,  
ნეტავი გამაგებინა,  
შენსავით გული უფალსა  
ჩემთვისაც ჩაადებინა!”

ნეტავ ბულბულად მაქცია  
შენთან ვიფრინო კვალადა”.

მგოსანი ბუნებაში ადამიანისათვის მისაბამავ იდეალსაცა ხედავს, სანეტარო მოვლენას:

“იჟიჟრიბანდა, ცისკარი  
სულს ჰლევეს, თანდათან ჰქრებოდა, -  
ნეტავი ყველა ლამაზსა  
ესე სიკვდილი ჰხვდებოდა!  
დღეს მკვდარი, ხვალე დილითა  
ცოცხალი წარმოდგებოდა;  
სრული ჯანით და იერით,  
თვალეებს წინ დამიდგებოდა.  
ნეტავი ცეცხლი ციური,  
ვისაც კი გულში ნთებია,  
ჯერ ნუ გაუქრეს, თუ გაჰქრეს,  
ისივაც ამოჰგზნებია”.

რაოდენი სიღრმეა აზრისა და რაოდენი გრძნობაა ამ ორიოდე სტრიქონში, - ბუნების საუკუნო და დაუსრულებელი ტრიალი, ადამიანის სიმშვენიერისა და ციურის ცეცხლის წუთიერება ორიოდე სიტყვით გამოთქმული. რა ნაზი და თითქმის შეუმჩნეველი სევდა ისმის ამ დაპირდაპირებაში, ის სევდა, რომელიც ყოველის დიდის მგოსნის გულს მოსდებია და ძალზედ შეუნძრევია იგი, სევდა ჩვენის სიცოცხლის წუთიერებისაგან გამოწვეული, კვნესა ჩვენის მშვენიერის დღემოკლეობის გამო გულიდან აღმონახეთქი, მაგრამ ამ სტრიქონების დიადობა სწორედ ის არის, რომ ელინურის სიბრძნითა და ზომიერებით არის გამოთქმული და იმგვარ გრძნობას უღვიძებს, რომელიც სამსალას კი არ გასმევს და სიცოცხლეს-კი არ გიშხამებს, გულს სასიამოვნო მომხიბვლელის კაემნით გივსებს. თითქოს ბუნების დაუსაბამობა ძლევამოსილი ნუგეში იყოს და ამ ჯავრის გამქარვებელი.

ჩვენმა მგოსანმა ამგვარადვე შეგვამჩნევინა ის უწყვეტელი ჯაჭვი, რომელიც აკავშირებს ადამიანსა და ბუნებას, ის ძლევამოსილი განწყობილება, რომელიც მათ ერთის დიადის ძალის თანასწორ ქმნილებადა ხდის. როგორც მოსალოდნელი იყო, პანტეისტური გრძნობა მგოსანს იმ დროს მოსდის ფიქრში, როცა თვით ბუნება თითქო სცდილობს, ამ დიადის საიდუმლოს კავშირი გვამცნოს:

“დადამდა... წვრილნი ვარსკვლავნი  
აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა;  
მთვარე კი ჯერ არსადა სჩანს,  
არ დაგვნათოს თავზედა.  
ჯერ თუ არ გაუღვიძნია,  
ისევ თუ სძინავს მკლავზედა;  
სხივნი არ დაუგზავნიან  
პირის საბანად წყალზედა.  
მთებს ჩაუცვიათ შავები,  
ჰმუნვით დასცქერენ ხეებსა;  
ცის ნიავს შესთავაზებენ  
უფსკრულს მოარულს მდევეებსა;  
ტყისთვისაც ძაძა ჩაუცვამს  
სიბნელეს დანატევებსა.  
გორით-გორს ბუვი გასძახის,  
თრთიან ყვავილნი მთებისა,  
ქოჩორს უვარცხნის ნიავი,  
დარაჯათ დაადგებისა.  
წყალი სჩქეფს, ხევი ჩატირის  
განა ერთი და ორია:  
აქაც, იქ, იმას იქითაც,

საცა ფერცხალა გორია,  
ლამაზის მთების ასულთა  
ხმა ხმისთვის შეუწონია”.

ამის მნახველი მგოსანი აღტაცებით მიმართავს ამის შემქმნელ განგებას:

“მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,  
უფალო, დაუმონია!  
ამაზე ტურფა და კარგი  
მე სხვა აღარა მგონია.  
ხევი მთას ჰმონებს, მთა-ხევსა,  
წყალნი - ტყეს, ტყენი - მდინარეთ,  
ყვავილნი - მიწას და მიწა  
თავის აღზრდილთა მცენარეთ”.

დამეხომ ყველას მონავარ, - ამთავრებს მგოსანი. დიაღ, იგი მონაა, მაგრამ მონა მოხიბლული, მონა მიჯნური და მოტრფიალე ბუნებისა და არა მონა - ყურმოჭრილი ყმა დესპოტის ბრძანებლისა. იგი ყოველთვის აღტაცებით ეგებება ბუნების სანახაობას და ამ აღტაცებას ყოველთვის თავის სატრფოს ფიანდაზად უგებს. “ნეტავ ბუნების ქმნილება სხვა მას რა შეადრებაო”, გაიმახის აღტაცებული მგოსანი, როცა დაინახავს, რომ ალაზნის თავსა

“მთების წვერები ჩნდებოდნენ,  
საცა გაჰხედავ, ყოველგან  
გასამტერონი დგებოდნენ:  
ზოგნი ცის გულ-მკერდს ჰკოცნიან,  
ზოგნი უკანა რჩებოდნენ;  
ნეტავ ბუნების ქმნილება  
სხვა მათ რა შეადარება,  
მალ-მალე შავი ჯანღები,  
თავზე რომ დაეფარება?  
ნისლი ფიქრია მთებისა,  
იმათ კაცობის გვირგვინი.  
მიყვარს შეუდრეკს მათს მკერდზედ  
ხშირი ბალახის ბიბინი,  
ტიალის ოზლის ნიავის  
გულის მგმირავი სისინი;  
არწივნი დაფარვაშობენ,  
უფსკრულს ავლებენ თვალებსა,  
ლალი შვილები მთებისა  
ერთმანეთს ეძრახებიან;  
ამ დროს ომში მყოფს გმირებსა  
ტიალნი ემზგავსებიან”...

მე მგონია, საკმაოდ სავსებით გამოვარკვეე, მგოსნის შეხედულება ბუნების შესახებ. გავარკვეეთ, რომ იგი მას მიაჩნია კაცის მეგობრად, რომელიც, თუმც ავსაც სჩადის, მაგრამ კარგის მქმნელიც არის. თავისთავად მგოსანმა ბუნებას ცხოველმყოფელი სული ჩაჰბერა, ყოველსავე მის ნაწილს სიცოცხლე ჩაუდგა და ამ მხრით ჩვენს ლიტერატურაში ყაზბეგის შესაფერისი შემკვიდრეობა იკისრა. ყაზბეგის შემდეგ არც ერთს ჩვენს პოეტს ვაჟა-ფშაველასავით არ გამოუხატავს ყოველგვარი კავშირი და დამოკიდებულება ადამიანისა ბუნებასთან, არც ერთს არ უგრძნია ისე უხვად და მადლიანად მთელი ცოცხალი ძალა “უასაკოთა და უსულოთა” და ეს გრძნობა ასეთის ძლიერის მხატვრულის კალმით იშვიათად თუ რომელსამე ჩვენს მგოსანს აღუძრავს მკითხველებში.

ვაჟასათვის ბუნებას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ილიასათვის სატრფოს და აკაკისათვის ნესტან-დარეჯანს.

ეს ის ერთადერთი იდეალი და საგანია, რომელიც მთელს მათ პოეზიას აცისკროვნებს და ანათებს, ეს ის ერთი რამ არის, რომლის ტრფიალიც შოთამ ნამდვილის მელექსის თვისებად აღიარა:

“ჰხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკოვდეს.  
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმეს აშიკობდეს,  
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,  
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს”.

აკაკის მუზა ნიადაგ ნესტან-დარეჯანს დასტრიალებს თავზედ, მისი სიცოცხლითა სცხოვრობს, მისი სევდები ამისი ტანჯვაა, მისი მხიარულება ამისი ბედნიერებაა.

ამგვარივე როლი უკავია ვაჟს პოეზიაში მთას. ეს მთა გულადი სალი კლდეებითა, თოვლითა და ყინულით ამყოფს, იგი სიმბოლოა მისი სამშობლოსა, მისი სიდიადე და გმირობა; მისი შეუდრეკლობა სამშობლოს გმირთა გამხსენებელია და სამშობლოს მომავალის იდეალი. რას ფიქრობენ და ამბობენ მთანი?

“მაღლით დავსცქერით სოფელსა,  
ხმას კი ვერ ვაწვდენტ, შორია;  
ი მაინც რად არას ეტყვის,  
მის თავს რომ მომცრო გორია?  
რად არ ასწავლის “სიმაღლეს”,  
ამაყად მაღლით ცქერასა?  
მთელის ქვეყნისა დანახვას,  
უფლის კალთების მზერასა,  
ტკბილსა გულ-ენის გამწმენდელს  
ანგელოზების მღერასა,  
ჩვენს შემწეობას არ ვაკლებთ,  
წყლებით ვრწყავთ სოფლის არესა  
და იმის გამნათობელსა,  
ტახტად ვუდგევართ მთვარესა,  
ღმერთმა იქნება უშველოს  
იმის ბედ-ყოფნას მწარესა!”

მაღალი მთანი მისი სატრფო და საყვარელია იმიტომ, რომ იგინი “დგანან და ელიან, უსაზღვროა მთების მოლოდინი; უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში, წითლად, სისხლისფრად შედედებული უთიმთიმებთ გულ-მკერდში. ვინ რა იცის, რა ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი სდულს და გადმოდის. მთებო, მთებო! რას ელით, ვის ელით! ნუთუ გყავთ სატრფო დიდი ხნის უნახავი? იქნება შვილი დაჰკარგეთ? იქნება ძმა, ან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგვლიათ? პასუხი არ ისმის. სდგანან წარბშეუხრელად. ელოდნენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას, არა აქვს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ღვთაებას”, და ისე, როგორც ქართველ ერის იმედსა და მოლოდინს, დავუმატებთ ჩვენ.

მთა ცხოვრობს, იგი ოხრავს და ცრემლსა ღვრის: “როცა ყველა სულდგმულს, მწერს, ბალახს, ყვავილს, მდინარეს და მოუსვენარს, დაუღალავს ნიავს დაეძინებათ, მაშინ, მხოლოდ მაშინ ამოიოხრებენ და ცრემლსა ღვრიან. ჩვენ, კაცნი, მაშინ ვამბობთ: ახ, რა მძიმე ლოდივით ნაღველი მაწევს გულზედ”, ისე, როგორც ტანჯვისა და ვაების დღენი საქართველოსა იწვევს ცრემლსა და ნაღველს ქართული პოეზიის მუხისას. მთები ერთს ფიქრსა და აზრს ისე დაუმორჩილებია, რომ სიცოცხლის ყოველივე ნიშანი თითქო გაჰქრობია, სიცილი კი არა, მათი ღიმილიც არა სჩანს. ასეა, მაგრამ მგოსანმა იცის, რომ ხანდახან “მათაც უხარიათ, და ქვეყანას კი ჰგონია, ვითომ არაფერს ჰგრძნობდნენ. მათს გულში სანთლები დაენთება, როცა ლალი არწივი დასთამაშებს თავზე და დასასვენებლად მათს კალთაზედ ჩამოეშვება”. “რა ლამაზები ხართ მაშინაო!” აღტაცებით დასძახის მგოსანი: “როგორ გიხდებათ, რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ისე მამაცი, შეუპოვარი და ლამაზია. ის ხომ შიკრიკიცაა თქვენი. ღმერთს უამბობს, ატყობინებს თქვენს ამბავს”, ისე, როგორც ჩვენი მოჭირნახულე მგოსნები, ჩვენის უბედურების გამო სევდით და შხამით აღვსილნი, გულით ცას მიმართავენ და იმას იქით ეძიებენ გულის და სულის დასამშვიდელებს.

მთებს აზრიცა აქვთ, გრძნობაც და ოცნებაც. “მშვენიერი ყვავილები, რომელნიც მათ გულ-მკერდს ამშვენებენ, მათი ოცნებაა, იმედი, ნუგეში”. “ხშირი ნისლები, რომლითაც იგინი თავს

იბურვენ”, მათი ფიქრია, “სდგანან და ელიან. გული სტკივთ, მაგრამ არ იხოცებიან. ელიან, ვის? ან რას? რაღაცას, დიდ, რაღაცას. ეს რაღაცა უნახავის დანახვა...”

“სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა”.

დიად, მოსწყურებია ლალი, თავისუფალი, განახლებული ცხოვრება; ძველის სიდიადით გაბრწყინებული, ახალის სულისა და აზრით გაცისკროვნებული, ვითა ჩვენს ერს, ჩვენს სამშობლოს და ისე, როგორც ყველა ერს და ყველა ქვეყანას სწადიან უკეთესი მომავალი.

ვაჟა-ფშაველამ დიდი ცვლილება შეიტანა ამ მხრით ჩვენს პოეზიაში. მის პოეზიას შორეული მოგონებაც კი არ ამჩნევია პუბლიცისტიკისა და პოლიტიკისა, მაგრამ უამისოდაც მრავალმნიშვნელოვანის აზრების აღმძვრელია. აბა, წაიკითხეთ მისი “არწივი”, ეს შედეგრი მისის პოეზიისა და ნახეთ, რა სიმაღლემდის მიაღწია მისმა პოეზიამ:

“არწივი ვნახე დაჭრილი,  
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,  
ეწადა ბეჩავს ადგომა,  
მაგრამ ვედარა დგებოდა,  
ცალს მხარს მიწაზე მიათრევს,  
გულის პირს სისხლი სცხებოდა.  
ვაჰ, დედას თქვენსა, ყვავებო,  
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,  
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს  
გაშლილს, გაფანტულს ველადა!”

აქაც, რაც სიტყვაა, ის სურათია. პოეზიის ტექნიკა აქ უმაღლეს საფეხურამდის არის მიყვანილი. ერთი ანბანი მეტი არ არის, მთელი დიდი სურათი, დიდი გრძობა რამდენსამე სიტყვაშია გამოთქმული და ამით ინტენსიური ძლიერება ემატება. თქმა არ უნდა, არწივი მისი საყვარელი სამშობლოა, თუმცა ერთის კრინტითაც არ გვაგებებს ამას. თუმცა დაჭრილი არწივი შეიძლება დიდის ნიჭის, დიდის გმირის გამომსახველიც იყოს, რომელიც დასუსტების დროს უზადრუკთა და ლაჩართა გასაწეწად გამხდარა. ამგვარივე შინაარსისაა მისი “ბებერი ლომი”.

“დაბერდა ლომი, დაბერდა,  
კლანჭებსა ხმარობს აღარა,  
დაედვა შეუდრეკს ძალას  
ჟამთ ვითარების ბეგარა.  
სხეულით დაუძღურებულს  
ვინ შაიბრალებს ნეტარა?!  
ის დრო აღარ აქვს მეფესა,  
მიწას რო სდრეკდა ტოტითა,  
გმირულის გავლით ვაჟკაცი,  
მამაცის გადაბოტვითა.  
ველარ სჭექს წინანდებურად,  
ბუნაგშია წევს წყნარადა...  
არ ანათებენ ძველებრივ  
მისი ლამაზი თვალები.  
ბეჩავო, ნადირთ მეფეო,  
ნეტავ, ვის შაებრალები?...  
ბევრს იამს ბუნების ცოდვა  
დაუძღურება გმირისა”.

ამგვარივე სიმბოლისტურია ვაჟას ძმის ბაჩანას მშვენიერი “მუხას”, ესეც ერთი საუკეთესო ნიმუში ახალის პოეზიისა.

ამ ლექსების გადაკითხვა საკმარისია მისთვის, რომ ცხადად დაინახოთ ის ღრმა განსხვავება, რომელიც არსებობს ვაჟასა და მის ლიტერატურასა და ღვიძლ ძმათა პოეზიასა და ილიასა და აკაკის პოეზიაში.

ილიასა და აკაკის პოეზიაში სიმბოლიზმი ალევორიას უახლოვდება, აქ კი ნამდვილი სიმბოლიზმია. სამშობლო ამათთვის არც ნესტან-დარეჯანია, რომლის ქაჯთაგან დახსნა უკვე რუსთველისაგან არის ნაწინასწარმეტყველები; სამშობლოს მდგომარეობა არც ზამთარს აგონებს მას,

რომელსაც გაზაფხული უსათუოდ უნდა მოჰყვეს. მისი სიმბოლო უფრო ღრმა არის, უფრო პოეტურია, თუმცა შესაძლოა პოეტური ხელოვნება იმ სიმაღლემდის ვერ მიჰყავდეს, როგორც ილიასა და აკაკის. სამშობლო მისი დაჭრილი არწივია, ბებერი ლომია, გმირი, რომლის დაუძლურება ბუნების ცოდვად არის აღიარებული. ამის მეტს მხატვრობა არას გეუბნებათ თქვენ, ის გაჩვენებთ ეხლანდელ მდგომარეობას. პოეტი არც წინასწარმეტყველობას კისრულობს და არც პუბლიცისტობას.

ხანდისხან სამშობლოს კვნესა “შ ვ ლ ი ს ნ უ კ რ ი ს” ტირილად მოესმის, რომელსაც ადამიანი სიცოცხლეს უმწარებს, ვინაიდან არა გრძნობს, რომ მ ა ს ა ც უ ყ ვ ა რ ს თ ა ვ ი ს უ- ფ ლ ე ბ ა, არა გრძნობს მის შეუბრალებელის გულით, რომ მასაც უყვარს სიცოცხლე, ბუნება, ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, ბალახთ ბიზინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა; სამშობლო მას ხან “იად” მოეჩვენება, უღრან ტყეში მოსულად, რომლის “ერთის თვის სიცოცხლე სხვის ოცდაოთხის თვის სიცოცხლეს სჯობია”. მას უყვარს “ხმელი წიფელი”, როგორც სიმბოლო თავისის ძვირფასის განაწამების მამულისა, ხმელი წიფელი, რომელიც ერთ დროს “ამაყად გაბარჯდული იდგა, სხვა ხეებს ბევრით მაღლა ასცილებოდა და თავის დიდრონ ტოტებითა და ფოთლებით ქობივით ეხურებოდა თავს მთელს ტყეს; ეხლა კი სულთმაბრძოლს დაჰფერებია, წაწყვეტ-წაქცევაზეა მომზადებული... მაგრამ წიფელი მაინც დგას, დგას შეუშფოთრად, წარბ-შეუხრელად: არც ავს ამბობს, არც კარგსა. როცა ქარი უბერავს, სხვა ხეები ერწევინან, მხოლოდ ხმელი წიფელი არ ინძრევს; წინად კი, როცა იგი ჯანსაღად იყო, სიცოცხლით სავსე, ქარის ბერვაზე დაიწყებდა ზღვასავით ღელვას; მისი ტოტები და ფოთლები ჭექა-ქუხილივით ხმაურობას ასტეხდენ.

ხმელის წიფელის ტოტები ამაყად დედამიწას სცემდნენ, ასკდებოდნენ. დიად, ეხლა ქარს ვეღარ მიჰყვება ხმელი წიფელი სხვა ხეებივით; ძველებურად, შეუპოვრად გულმკერდს აღარ უპყრობს ქარიშხალს. ა რ მ ო ი დ რ ი კ ე ბ ა კ ი ხ მ ე ლ ი წ ი ფ ე ლ ი დ ა, თ უ მ ო ტ ყ დ ე ბ ა, ი მ ი ს ი რ ა ვ ს თ ქ ვ ა თ... ეს გაფოთლილი ხეები ამაყად დასცქერიან ბეჩავს ხმელს წიფელს, იმისი ეჩოთირებათ და ამბობენ: “ნეტავი შენ არ გვაუშნოებდეთ?”; არ იციან, რომ ხმელი წიფელი იმათზე მეტად იხსენიება, და არიან, იპოვებიან ისეთნი კაცნი, რომელთაც მოსწონთ და უყვართ უბედურებაში ჩავარდნილი ხმელი წიფელი. ხმელი წიფელი შეუშფოთრად სდგას, არც ავს იტყვის, არც კარგს; სდგას გამტერებული... ფიქრობს ხმელი წიფელი თავის თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, ხანდისხან გადმოაცქერდება მის ერთ ფესვის ბოლოზე ამოსულს პატარა დასახულს ყლორტს, რომელიც მზეს და წვიმას უცდის, რომ გაიზარდოს. ესღაა მისი ნუგეში”.

### III

პოეტსაც უყვარს ხმელი წიფელი, შეუგნია მისი კვნესა და მწარე ფიქრები, თაყვანი უცია მისი შეუდრეკელობისათვის, მის სიჩუმეში სიდიადე უგრძნია, იცის ის, რომ:

“განა ყველა, რაც ხმელია,  
კაცისგან საწუნარია!?  
ათას ცოცხალსა ბევრჯელა  
ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია.  
შენის დანახვით, ტიალო,  
გულს დარდი მაწევს ცხარია,  
რაკი გხედავ, რო ბეჩავად  
და უპატრონოდ ხარია,  
თითქო დაჰკრესო განგაში,  
სამგლოვიარო ზარია.  
მინდა, რომ დიდხანს ნახარში  
და გულში ნადუღარია,  
გაგიზიარო ვარამი,  
მდიოდეს ცრემლის ღვარია...  
ვაჰ, რა მნელია, კვდებოდეს,  
იკარგებოდეს სახელი”.

ლირიზმი ბუნებისა საუცხოვოა, ლირიზმი პოეტისა ამშვენიერებს ამ სურათს, ბუნებიდან ამონაგლეჯს. თანაც მსოფლმხედველობა ქართული ერის გენიოსობისა შიგ გამოსჭვივის. “სჯობს სიცოცხლესა ნამრახსსა სიკვდილი სახელოვანიო”, - ამას იმეორებს ყველა ჩვენი დიდებული მწერალი სხვადასხვა ჰანგზე, იმიტომ, რომ ჩვენის ერის სულის თვისებაა ეგ, რომელმაც



საუკუნოები გააძლიერა ჩვენს სამშობლოს. ვაჟაც იმასვე გაიძახის: “ათასს ცოცხალს ბევრჯელა ათჯერ სჯობს ერთი მკვდარი”. უთუოდ მამული მოაგონებდა, როცა “მ თ ი ს წ ყ ა რ ო ს” დაინახავს და ალაპარაკებს, “ორისა თუ სამის ვერსის სიგრძეზე ვარ მხოლოდ ბედნიერი და უცოდველი, მერე დამლევს, ჩამნთქავს უზარმაზარი მდინარე, დაიკარგება ჩემი სახელი, ჩემი ვინაობა; როგორც უნდა, ისე მათამაშებს; ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ჩემს ამაგს რად აფუჭებინებ იმ ტიალს, აბეზარს, დაუდეგარს, მოუსვენარს მდინარესაო”.

ხან “კ უ რ დ ღ ე ლ ი ც” კი სამაგალითოდ მიაჩნია თავის ქვეყნისათვის და ამგვარადვე ეკითხება: “რატომ კურდღლის ძილს არ ვუკვირდებით? რატომ ამაზე არა ვფიქრობთ: რად უხელია მძინარა კურდღელს თვალები?... იცის, რომ მტრიანია, მტერი ბევრი ჰყავს: სულ მტრის ფიქრშია”.

ხან თავი “ქ უ ჩ ა დ”, მთის ბალახად, მიაჩნია და სამშობლო კი “მაგრად დაჭედილ ლოდებათ, რომელიც გარშემო არტყია, ისინი თვალ-გამტერით დასცქერიან უფსკრულს, რას ეძებენ, რა დაუკარგავთ იქ? მე არ მეტყვიან, ათასჯერაც რომ ვკითხო. რაღაცას ფიქრობენ. უსაზღვროა მათი ფიქრი, გამოუცნობელია იმათი გულის წადილი. ხანდახან კლდე ოხრავს, ალბათ დარდი რამ აწუხებს. სხვაფრივ შეუდრეკელი და გულმაგარია ჩემი დედა; იმას როდი აშინებს ზვავი, რომელიც ზამთრობით ჭექა-ქუხილით თავზე დაგვაწვება ხოლმე, მოვა და გრიალით ჩავარდება უფსკრულში, დაეცემა და თითქოს დაისვენაო, მიმედ ამოიოხრებს. კლდე ხანდახან კიდევ სტირის. მეც ვსტირი მაშინ. დედის ცრემლებს “ვხედავ და იმიტომ.” ხან თავის ერის მდგომარეობას “გ ე ს ვ ე ბ ს” ადარებს, რომელნიც ერთ დროს უზარმაზარ მუხას კვებავდნენ, საზრდოს აწვდიდნენ, ძუძუს აწოვებდნენ. მათის ოფლით, მათის ღვაწლით მუხა თავმოწონედ ყელყელაობდა. მათაც ამითი მოსწონდათ თავი, რომ ლამაზი, გულშეუდრეკელი, ამაყი შვილი გავზარდეთო”. ეს ასეა და თანაც ბუნების ცხოვრებით სავსებით სურათია აქ წარმოდგენილი. “შვლის ნუკრი” წყალსა და ტყეს შეტრფის და ადამიანის ეშინია. “წიფელი” გმირულად, ამაყად იცქირება და სხვა ხეები კი ალმაცერად უყურებენ. “მთის ქუჩი” სალ კლდეებს შეტრფის; ისინი კი ყურსაც არ ათხოვებენ. ბუნებაშიც იგივე მეგობრობა და სიმულვილი, იგივე გულგრილობა და მედიდურებაა, როგორც ადამიანის ცხოვრებაში.

ვაჟა, ასე ვსთქვათ, უტყვესა და უსიცოცხლო ბუნებას გულსა და სულში ჩაუძვრა, სიცოცხლე შთაბერა, ვითა ღვთაებამ თიხის ტიკინას და მეტყველად გადააქცია იგი, ფიქრითა და აზრით აღსავსედ, რომლის შეგნება და გაგება შეუძლია მარტო განგებისაგან დაჯილდოვებულ მგოსანს - ამ ზეკაცს, ნაზის ნერვებისა და ვნების პატრონს. ვაჟა სცდილობდა, თავისი პირადობა, თავისი სული, ასე ვსთქვათ, დაენაწილებია და ბუნების ყოველის მოვლენისათვის განეზიარებია, რათა იმით გადაეშალათ თავისებურად თავისი შინაარსი და ეჩვენებინათ მათი საიდუმლოება ჩვენთვის. ბუნების ფიქრი, მისი აზრი, მისი სევდა და ღიმილი, მისი მზიარულება და ტირილი ვაჟამ უცნაურად შეგვათვისებინა, შეგვაჩვენებინა მთლად ერთიანად ის უცნაური და საიდუმლო ძალა, რომელიც არსებობს მთლად მსოფლიოში, რომელიც ჰქმნის მოძრაობასა და სიცოცხლეს, ენერგიასა და უკვდავს ბრუნვას ქვეყნისას.

სწორედ იმიტომ, რომ ბუნებასა და მის დიდებულ წარმომადგენელს, მ თ ა ს, ა ს ე თ ი დ ი ა დ ი ს ი მ ბ ო ლ უ რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა აქვს ვაჟას მწერლობაში, სწორედ ამიტომ მივაქციე განსაკუთრებული ყურადღება ამ საგანს. ციტატებით კი ძალზე ვისარგებლე იმიტომ, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვაჟას მწერლობა არ არის ღირსეულად გავრცელებული ჩვენს მწერლობაში.

ვაჟას გასაკუთრებული ტრფიალი ბუნებისა და გვირგვინდა მისის საუცხოო პოემა “გველის მჭამელით”. ერთი მოხვეე მინდია თორმეტს წელს თურმე ქაჯებს ჰყოლია ტყვედა. ტყვეობამ თავი მოაბეზრა და ერთხელ ქაჯებისაგან ქვაბში მოხარშული გველი “ზიზღით, ქურდულად შაჭამა”. ეგონა, გველის შეჭმა მოჰკლავდა და ტყვეობის სიმწარეს გადაარჩენდა. მაგრამ, სიკვდილის მაგიერ, ამის ჩადენის შემდეგ, მინდიას ზეცამ მოწყალე თვალთ გადამოხედა: “ახალად სული ჩაედგა, ახალი ხორცი აისხა, გულის ხედვა და თვალების, როგორც ბრმას და ყრუვს გაეხსნა, ე ს მ ი ს დ ღ ე ი დ ა ნ ყ ო ვ ე ლ ი, რ ა ს ა ც ფ რ ი ნ ვ ე ლ ნ ი გ ა ლ ო ბ ე ნ, ა ნ მ ც ე ნ ა რ ე ნ ი, ც ხ ო ვ ე ლ ნ ი, რო დ ი ს ი ლ ხ ე ნ ე ნ, წ ვ ა ლ ო ბ ე ნ. რაც კი რომ დაუბადია უფალს სულიერ-უსულო, - ყველასაც თურმე ენა აქვს, არა ყოფილა ურჯულო”. მას მუსაიფი დაუწყო ცამ, დედამიწამ, ტყემაო... “როცა კი გაზაფხულდება... მინდია გაფაციცებით სულ შემოივლის მთა-ველსა, ყველა მცენარეს და მდილსა ის ეგებება საღმთისა; ბუნებაც “ვაშას” უძახის მდიდრად მორთულის ალმითა; ყვავილნი ყელ-გადაგდებით, დახატულები კალმითა, “მინდიას გაუმარჯოსო”, - ერთად ასტეხენ ყიჟინსა”...

ერთის სიტყვით, მინდია შეიქნება ბუნების სულისა და გულის მეგობარი და საყვარელი. მინდიასათვის ბუნებამ თავისი დახურული გული გააღო, მანდილი პირზედ აიხადა და საიდუმლოება გადაუშალა. მინდია, რასაკვირველია, გულთამხილავი მგოსანია, რომელსაც ესმის

ბუნების მუსიკა და მისი სიმშვენიერე, ეს თავისებური ზეკაცია, გაბრძნებული, მას სიბრძნე სიგმირესაც ანიჭებს, მთელი ფშავ-ხვესურეთი მას აღმერთებს, ნუგეშად სახავს და თვით გვირგვინოსანი თამარიც გმირსა და მამაცს უწოდებს. მაგრამ მგოსანს, რომელიც ცასთან ლაპარაკობს, ცოლი ჰყავს, რომლის უბადრუკი გონება და ფიქრი დედამიწის წუმპეს ვერ ასცილებია. მისთვის მინდიას ბრწყინვალე გონება მეტი ბარგია, ის არშინითა და სასწორით ზომავს ყოველიფერს. მოჰყვება წუწუნსა და ჩვილს: “სიცივე ბალებს მილევსო, შვილ-მამკვდარივით ჰკიოდა: “ბერდიას რამდენი შეშა აქვ, როგორ ცეცხლს ინთებს, ჰნახოვდი” და ცხოვრების მაგალითად ბრიყვებს დაუსახავდა. ცხოვრების პრაქტიკულ მოთხოვნილებას, მის საშინელს ლოგიკის წარმომადგენელ ცოლს მინდია ვეღარ გაუძლებს და დაუწყებს ხოცვას იმ ნადირს, რომელიც მინდიას მეგობრულად ეაღერსებოდენ, დაიწყებს ცულით ჰრას იმ ხეებისას, რომელნიც კვენესით ეუბნებოდენ ხოლმე მინდიას: “ნუ მომკლავ, ჩემო მინდია, ნუ დამიბნელებ მზესაო, უიარალო რომა ვარ, მიტომ მიბრიყვებ ხესაო!” ამგვარად, მეწვრილმანურმა შეხედულებამ სძლია მინდიას, ცხოვრების უმსგავსობამ ჩაითრია. უღალატა თავის დიდსა და უცნაურს ნიჭს, უღალატა თავის ღმერთს, იდეალს, უღალატა თავის თავს, თავის პირადობას და კიდევ დაიღუპა სულითა და ხორციტ; მანამდის კაცი არ უჩნდა მიწაზე თავის ტოლად. ეხლა კი რაღა ვარო? განაღა კაცი ვარ, ღირსი ვარ, ცის ქვეშ ვიდოდე. “დაკარგულს სულს და ხორცზედა ეხლა დღედაღამ ვსტირია.” ეხლა იგი მონა და ისიც გაბოროტებული და აღლევებული მონა იმ დედაკაცისა, რომელმაც “არა იცის რა, ჰკუთახელია, ყბედი, ზეზერე მგრძნობარე”. მან თავის თავი დაღუპა და ეხლა მხოლოდ ომში სიკვდილს ეძიებს და, როცა ამასაც ვერ მიაღწევს, თვით მოიკლავს თავის თავს:

“ხმლის ტარს შეეხო ცვრითა,  
 ამოიწვავდა ქარქაშით,  
 გულს მიიბჯინა წვერითა,  
 მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,  
 გადმოუვიდა ჩქერითა.  
 მთვარემაც გადმოაშუქა  
 საჯიხვეების სერითა,  
 და დააშტერდა თავის-მკვლეელს  
 მოზარე ქალის ფერითა...  
 ნიავიც მიდ-მოდიოდა,  
 უდარდოდ, ნელის მღერითა...  
 ფრთა გაჰკრის წვერსა ხმლისასა,  
 ამოღერებულს ენითა...  
 და გათამამდის მწვანეზე,  
 ლაღად, მოლხენით, სტვენითა”.

ამგვარად იღუპება ის, ვინც ღალატობს თავის თავს, თავის პირადობას, თავის “მეობას” და თავის იდეალს, თავის ნიჭსა და გონებას. საზარელი, უმსგავსო და უბადრუკი მეწვრილმანური იდეალი და აზრი სძლევს მინდიას, ზეკაცს, ახალის ცხოვრების მახარობელს. იგი მსხვერპლია თავისისავე ნების სისუსტისა და ამიტომაც იღუპება.

ეს პოემა არის მშვენიერი დასურათება იბსენის დიდებულის პრინციპისა:

იყავ თავის თავად, ე. ი. ხელი შეუწყე შენს პირადობას, შენს “მეობას” (სიტყვაც ვაჟასია), და არას დაუმორჩილო იგიო, გარდა შენის ზრახვებისა, იდეალისა და გულისთქმისაო. ისტორია გაარჩევს შენს ღვაწლს და შენს მნიშვნელობას; ისეთი კაცი კი, ვინც სხვისის ფიქრითა და ჰკუთით ცხოვრობს, მჩვარია და არა ადამიანიო. თანაც ეს პოემა არის მეწვრილმანურის პრაქტიკულის ფიქრებისა და უსახო უტილიტარიზმის დამგმობელი და საზიზღარი სურათი. მშვენიერი მინდია, გონებითა და გრძნობით ლაღი, იღუპება ამგვარ ვიწრო ჰაერსა და ატმოსფეროში. ეგრეთივე აზრისაა ვაჟას მეორე პოემა “გოგოთურ და აფშინაც”, რომელიც ამ პოემაზედ ბევრად წინა აქვს დაბეჭდილი. აქაც აფშინა ავაზაკია, რომელიც სცარცვავს რჯულიან-ურჯულოს და ამით სცხოვრობს. გოგოთური ნამდვილი გმირია, რომელსაც გმირობა მტრის წინააღმდეგ უნდა, მშვიდობიანობის დროს კი მიწის მუშაობით სცხოვრობს. მისთვის ხმლის ქნევას მაღლი მაშინ აქვს, როცა ხმალს ხედავ მტრისასა. მაგრამ ამასაც ცოლი აუტყდება, გინდა თუ არა, აფშინას გზას გასდიე, კარგად ჩამაცვი, დამახურე და ოჯახი გაავსე თუგინდ ნაქურდლითაო. გოგოთური წავა აფშინას შესაბრძოლებლად. აფშინა გოგოთურს, მიუხედველად ამის თხოვნისა და ვედრებისა, იარაღს აჰყრის და ისე გაისტუმრებს. მაგრამ გაბრაზებული გოგოთური უიარალოდ სძლევს აფშინას, გადმოაგდებს ცხენიდან და ისე დააწვება

გულზედ. ეხლა კი აფშინა დაუწყებს თხოვნას, მაპატიეო; გოგოთურიც ყოველსავე აპატიებს, ოღონდ დარიგებას მისცემს: “გასძელ, სხვა ხმალი იშოვე, მტერი დააფრთხე თხებურა: მარტო მისდევ მრავალსა პიროფლიანმა მგლებურა. მაშინის ვიტყვი, ღირსი ხარ წელზე ხმლის, თავზე ქუდისა, და არ გეხუროს ჩიქილა თავზე დიაცის ცუდისა.” აქ კი ნამდვილი გმირობა სძლევს იმიტომ, რომ გოგოთურმა არ უღალატა თავისთავს და თავის რწმენას. დამარცხებული აფშინა ხევის ბერად შედის და

“ამბობენ: ქვითინი მოდის  
ღამ-ღამ ბლოს თავით კაცისა,  
ვაჰ, მკვდარო ვაჟკაცობაო,  
ცოცხლად დამარხვავ თავისა”.

#### IV

ვაჟა, ვითარცა სიმბოლისტი, ინდივიდუალისტი, თითქმის უკიდურესი. მისთვის პირადობას დიდი მნიშვნელობა აქვს, თითქმის ერთადერთი პირადობაა ცხოვრების გადამკეთებელი და გამაუმჯობესებელი. აი გოგოთური, რომელიც სძლევს აფშინასა და ერთად მასთან მთელს შეხედულებას, მთელს სისტემას ცხოვრებისას, რომელიც ცარცვა-გლეჯითა და სხვისი ნაშრომით თავის ფუფუნებას მისდევს. აი ალუდა ქეთელაური, რომელიც ახალ გზას ადგება, მთის ზნე-ჩვეულებათა შეცვლა სწადიან. იგი პირველი მერცხალია, პირველი ნაბიჯია და, როგორც ეგრეთი, დამარცხებული რჩება. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგია ის პირადობა, ის ელემენტი, რომელიც ცხოვრებას ცხოვრებადა ჰქმნის, რომელიც ცხოვრებას სიცოცხლის ელფერსა სდებს. ალუდა შეხვედება ქისტ მუცალას, რომელსაც ბევრი ფშავ-ხევსურელი მოუკლავს. ალუდა მოჰკლავს ქისტს, მაგრამ ჩვეულებას არ მისდევს და მარჯვენა მკლავს არ მოსჭრის; იტყოდა: “ცოდვა არიო. ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხოხონოს მკვდარიო. მკლავზედაც გებას მარჯვენა, შენზედ ალალი არიო”. ქისტი მეტისმეტად გმირულად იქცეოდა, ერთხელაც არ გამოუჩენია სილაჩრის ნიშანი. ამან მოხიზლა ალუდა და გმირს გმირულად და რაინდულად მოექცა. ეს თემმა იწყინა, მაგრამ ალუდა არა თუ არ შეეპუა, ხმამაღლა გამართლებაც დაიწყო თავისი საქციელისა. ის ვაჟკაცი იყო, ამბობს ალუდა, “სულს არ ავლიდა ამოსვლას, კიდევ მიხსენა რჯულია. ჩვენ ვიტყვი, კაცნი ჩვენა ვართ, მარტოდ ჩვენ გვზდიან დედანი, ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ კუპრში მიელის ქმენანი”, ამბობს იგი დაცინვით. მისთვის ადამიანობას აქვს მნიშვნელობა, იგი ვაჟკაცობის თავყანისმცემელია და ამ საგანში ისე შორს მიდის, რომ ურჯულო კაცის სულს “ამწყალობებს”. ეს თემმა, რასაკვირველია, არ მოითმინა და განაძევა იგი თემიდან. იგიც მიდის და სტირის მხოლოდ თავის სამშობლოს; თავის ვითომდა ცოდვას ერთი სიტყვითაც კი არ ინანიებს. საზოგადოება დესპოტია, იგი ზნე-ჩვეულების მედგარი დამცველია. მისთვის ყოველივე გარდასვლა რჯულისა და ჩვეულებისა, თუგინდ იგი მომავლის საიმედოც იყოს, ბოროტმოქმედებაა და ისე ექცევა ყველა თავის ურჩ წევრს, როგორც ალუდას მოექცა. პოეტის სიმპათია კი მთლად ალუდასკენ არის. ასეთივეა მისი “სტუმარ-მასპინძელი”. აქაც რწმენა თემისა, იმავე საზოგადოებისა, რომელსაც ძირები უკვე მომპალი აქვს, შეეჭიდება ინდივიდუალურ ინიციატივას, ინდივიდუალურ იდეალს და მით უფრო ძლიერად ეომება, რამდენად თავის გახრწნილებასა და დასასრულსა გრძნობს. ზვიადაურს, სტუმრად მიწვეულს ჯოყოლასას, თემი მიპარვით მოჰკლავს, რადგან მას სისხლი ედვა სოფლისა. ჯოყოლა მაინც ზვიადაურს გამოესარჩლება, თუმცა ვერაფერს უშველის, მაგრამ მისი ხსენება ამისათვის საუკუნო თავყანსაცემლად შეიქმნა. მეგობრის, სტუმრის ღალატის სირცხვილსა და დარდს რომ ვეღარ გაუძლო, ომს შეაკლა თავი და ხალხის თქმულებაში დარჩენილა, რომ იმ ადგილს, საცა ჯოყოლა მოკლეს ხევსურთა ბრძოლაში, “ღამ-ღამ ჰხედავენ სურათსა ზვავისგან ნაგალ გორაში: კლდის თავს წადგება ჯოყოლა, სასაფლაოსკენ იძახებს: ზვიადაურო, მშობილო, რად არ მაჩვენებ შენს სახეს?” ასეთი თქმულება ამტკიცებს, რომ პირადობა ურჩი თემისა მერმე ასე ტკბილად მოსაგონარი გამხდარა. პირადობაა ყოველივეს შემქმნელი. გმირი კოპალა რომ დევებს დახოცს და ქვეყნად სიმშვიდეს დაამყარებს, “დევთა მეუფის დიდისა, ფერფლიდა დარჩა ტიალი”. მაგრამ არავითარი მოვლენა, არავითარი ძალა არა ჰქრება; ეს იცის ჩვენმა მგოსანმაც და დევების გარდაცვალებას გვიამბობს. იგი მოისპო ვით კაცისათვის მავნე ძალა, მაგრამ ბუნებაში კი დევის

“ფერფლიდა დარჩა ტიალი.  
ფერფლიდან გაჩნდნენ უმსგავსნი,  
შავნი ბუჭყანიდ ჭიანი;  
წვრტიალით ტყესა მიჰმართეს,

სადაც ხარობენ იანი”.

ამის შემდეგ:

“ია თალხ-კაბა ამოვა,  
ქალი მგლოვარე ძმაზედა.  
ზაფხულის ცქერა სწადიან,  
პირის დაბანა ნაშზედა.  
არ დააცილიან, იცოცხლოს,  
მიუხდებიან კარზედა,  
შმაგად უჭამენ ფესვებსა,  
მერმე გადავლენ თმაზედა.  
მოკლე სიცოცხლე იასა,  
იმ ჟამით აწევს თავზედა.  
დილა-სალამოს ნიშნს უგებს,  
დღე ღამეს ებრძვის ძალზედა,  
ნისლნი ათას მხრივ მომდგარნი,  
დაისვენებენ მთაზედა”.

ამგვარად, ადამიანი შეებრძოლა და სძლია ბუნების ბოროტი ძალები და მისთვის იგინი უშიშარნი შეიქმნენ. ბუნება კი ჯერ ვერ გათავისუფლებულა იმის ბატონობისაგან.

თუ პოეზია ცხოვრებას ეხება, საგალობელ საგნად იღებს ცხოვრების უფრო ინტენსიურ ძალას, ცხოვრების განმაცისკროვნებელს, ცხოვრების განმადლიერებელს, მის შემქმნელს და განმამშვენიერებელს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს და ამ სიყვარულის სხვადასხვა გვარს: სიყვარულს უძლიერესს, სიყვარულს, რომელშიაც მოთავსებულია ფიზიოლოგიური ძალა და იდეალური, რომელსაც ცხოვრებაში აქვს დასაბამი და დასასრულიც, რომელიც ამ ცხოვრების წყაროა და მისივე დამამთავრებელი - ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ო რ ს ქ ე ს თ ა შ ო რ ი ს. სიყვარული სქესთა შორის არის, ვამბობ, დასაბამი ინტენსიურის ცხოვრებისა, ორ სქესის წარმომადგენელთა ერთმანეთისადმი ლტოლვა არის მიუცილებელი პირობა წარმოშობისა, გვარის განგრძობისა და, როგორც ეგრეთი, ცხოვრების მიმდინარეობის განუწყვეტლობისა; იგივეა ხელოვნებისათვის დიადი და ბრწყინვალე დაუშრეტელი წყარო ცხოვრებისა და პოეზიისა. ამ უმთავრესის საგნის შესახები შეხედულება ჰბადებს ამგვარსა თუ იმგვარს აზრს პოეტში სხვა საგნების შესახებ. რასაკვირველია, მრავალფეროვანი და მრავალაზროვანი ხელოვნება და მისი დარგი პოეზია ვერ მოიმწყვდევა რომელსამე კალაპოტში; მისთვის, როგორც თვით ცხოვრებისათვის, ვიწრო იქნება ყოველივე წინდაწინ შემოფარგლული წრე. ამიტომაც, რომ ყოველს დიდს პოეტს ჩვენში თუ სხვაგან თავისებური შეხედულება აქვს სიყვარულის შესახებ. რუსთველისათვის “მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი”.

“არს პირველი მიჯნურობა არ დარჩენა, ჭირთა ძალვა,  
თავის წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდეს ხალვა,  
შორით ბნედა, შორით კდომა, შორით დაგვა, შორით ალვა;  
დასთმოს წყრომა მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა,  
მისთვის ჭირი ღვინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს”.

და თქვენ იცით კარგად, მისმა ტარიელმა რა უცნაური და მიუწდომელი ტიპი მოგვცა მიჯნურისა, რომელსაც მგრძნობელობა და სულიერი აღტაცება ერთად ჰქონდა შეზავებული. ალ. ჭავჭავაძე, მამამთავარი ჩვენის რომანტიზმისა, სიყვარულის ფიზიოლოგიურს მხარეს უფრო ეტანებოდა, როცა ამბობდა, რომ “მ გ რ ძ ნ ო ბ ე ლ ო ბ ა ს ჯ ო ბ ს ყ ო ვ ლ თ თ ვ ი ს ე ბ ა თ, ც ი თ მ ო ვ - ლ ე ნ ი ლ თ ა, მ შ ვ ე ნ ე ბ ა ს ა ც და გ ო ნ ე ბ ა ს ა ც ი ს ა ს უ ლ დ გ მ ა რ ე ბ ს”. სულ სხვაგვარად უყურებს სიყვარულს ბარათაშვილი, რომელიც ა. ჭავჭავაძის მეორე პოლუსზე სდგას, როცა ამბობს, რომ “სილამაზე ნიჭია მხოლოდ ხორციელებისა, ის ვით ყვაილი თავის დროზედ მსწრაფლად დასჭკნების, და გულიც მხოლოდ ამ სილამაზით გატაცებული, ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები” და ან თითქო ეკამათებოდეს ალ. ჭავჭავაძეს: “უკვდავება თვით მშვენიერსა სულში მდგომარებს, მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს”.

სიყვარულში ვაჟა უფრო მგრძობელობის თაყვანისმცემელი შეიქმნა და ამაში ალ. ჭავჭავაძეს მისცა მხარი.

გადაათვალისწინებთ მისი პოემა “სტუმარ-მასპინძელი”. როცა ჯოყოლას ცოლი ზვიადაურს დაინახავს თუ არა, მისის ეშხით ენთება და, როცა ხედავს, რომ ქისტები იმასა ჰკლავენ და

“ამ სურათის მნახველი ერთი დიაცი ზნდებოდა,  
ცრემლებს მალავდა ლამაზი, ხალხზე უკანა დგებოდა.  
მოშველებასა ჰლამობდა, “ნუ ჰკლავთ!” ეძახის გულიო.  
ფიქრობდა ბრაზმორეული, ნეტავი მომცა ცულიო,  
ნეტავი ნებას მამლევდეს დედაკაცობის რჯულიო,  
რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას გაგაფრთხობინო სულიო.  
ნეტავი იმას, ვინაცა მაგის მკლავზედა წვებოდა,  
ვისიცა მკერდი ან გული მაგის გულმკერდსა სწვდებოდა!  
ნეტავი იმას ოდესმე ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა!”

და მის შემდეგ ზვიადაურის სიკვდილი თვალისადა აღარ შორდებოდა და მუდამყამს ცრემლს აფრქვევდა ამის გამო:

“სტიროდა, მაგრამ ტირილი  
არ იყო, ეხატებოდა;  
ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,  
მეორით - ღმერთი აშინებს,  
ქისტეთის მტრისა მოზარეს  
თავს რისხვას გადმოადინებს”.

მაგრამ ეს ფიქრი გონებისაა,

“გული თავისას შვრებოდა,  
კაცის კაცურად სიკვდილი,  
გულიდან არა ჰქრებოდა.  
ქალის გულს იგი სურათი  
შიგ გაეყარა ისრადა”.

და გულის მორჩილი ქალი ეურჩება თემსაც და ღმერთსაც:

“მკვდარს მუხლმოყრითა დაეყრდნო,  
ქვითინებს გულამოსკვნითა,  
ცრემლსა სიპი ქვა დაედნო.  
აიხსნა დანა, მიჰმართა ზვიადაურსა იმითა,  
ააჭრა ნიშნად, სახსოვრად სამი ბალანი პირითა”.

მართალია, ამის შემდეგ მას საფლავებიდამ ესმის მკვდრების წყრომა და ჩივილი, საერო წყრომის ხმა ისმის, რას შვრები უნამუსოვო და ამასვე “უნამუსოვო” მისმახდენ ბალახნი, ქვანი, ქვიშანი, მაგრამ აღაზა (ამ ქალის სახელია) ეომება ყოველიფერს სულიერსა და უსულოს; იგი დღეს სიყვარულს შეუპყრია, იგი მისი მორჩილია, იგიც ერთგვარი ურჩია თემისა, რომელიც თავის გრძობასა და ზრახვას არავის უმორჩილებს, თავის გულისა და სულის პატრონობა მარტო თვით უდვია თავზედ. როგორც მისი ქმარი მეგობრობის გრძობას სწირავს თავს, ისე ეს ფატალურ ძალას სიყვარულის გრძობისას დაუმონებია და მარტო მისი ბუნება მიუღია. ხალხის თქმულება კი ჯოყოლასა და აღაზასაც, ორთავე თემის ჩვეულებათა დამარღვეველს სიმჰათით იხსენიებს და სამივე მსხვერპლს თემის, საზოგადოების უნადაგო და უაზრო დესპოტიზმისას საარაკო ოცნებად დარდაჰქმნის. მათის აზრით, სამივე ესენი იმ ადგილს, საცა ჯოყოლა მარხია, შეიკრიბებიან ხოლმე, როცა ჯოყოლა წამოიძახებს: “ზვიადაურო მძობილო, რად არ მაჩვენებ შენს სახესაო, სასაფლაოდამ წამოვა ზვიადაური, აჩრდილი ფარხმალიანი და იქვე აღაზაც ამოდის სახე მოწყენით, მწუხარედ”. რა უნდა იყოს საერთო ამ სამ არსებაში, თუ არ მათი თითქო სალის კლდისაგან გამონაკვეთი პირადობა, რომელიც თავის უფლებას, თავის გრძობასა შეუდრეკლად და თამამად იცავს.

რამდენად მგრძობელობასა და ხორციელებას უკავია დიდი ადგილი ვაჟას პოეზიის სიყვარულში, მისი “მოგონება” გვიჩვენებს: ქალი ვაჟს, მის სატრფოს, ეუბნება: “თუ შენ არ გხედავ ცოცხალსა, არც მე ვარ ცოცხლად დამრჩომიო. ცოცხალი თან ჩამოგყვები, საფლავში დაგეტანები. მოვკვდები შენსა გულზედა, ზევიდან დაგეფარები; მე შავსჭამ - მიწას არ ძალუმს, რომ შეგიჭამოს

თვალეში!” აქ გოგონა მთლად ხორციელებითაა შეპყრობილი და თუ მისი სატრფოს თვალეში, ეს უდიდესი იარაღი მგრძნობელობისა, აღარ იქმნება, მასაც სიცოცხლე არ უნდა. ვაჟი მოკვდება და გოგონას ფიცს მოაგონებენ. მასში სიცოცხლის ძალა იღვიძებს: “სად გავყვე, ძმაო, რას ვარგებ, მკვდარს რა ვუშველო იმითა! არა, მე სიცოცხლე მინდა, უნდა ვიცოცხლო ჭირითა, ვიგონო ვარდი გულისა, ვიტანჯო მოგონებითა. რომ მოვკვდე, მაშინ ვიქნები, დარდების მოფონებითა! დაე, ვიცოცხლო ტანჯვითა, ნაღვლით დავიწვა გულია”. სრულიად გულწრფელი და ბუნებრივია ეს პასუხი, სრულიად სამართლიანი, ამ ხანაში ქალს უნდა სიცოცხლე სატანჯველად. მაგრამ გადის დრო და ძლევამოსილი ძალი სიცოცხლისა ამასაც განაქარვებს: “გოგოს სწადიან იპოვნოს მსგავსი პირადის მიჯნურის თვალითა, ტანადობითა”. ესეც კანონიერია, იმდენზედ კანონიერი, რომ ჩვენში სიმპათიისა და თანაგრძნობის მეტს არას იწვევს, ნატამალსაც ვერა ვგრძნობთ საყვედურისას და მოსანაც ჩვენის აზრისაა და გვეუბნება:

“სიცოცხლე სიყვარულითა  
და სიყვარული სიცოცხლით,  
უერთ-ურთისოდ ვერც ერთსა  
ვერ ვიცნობთ, ვერც რას ვიცნობდით,  
ერთურთი სწყურან ერთავეს,  
ერთურთთან დაილევიან;  
უერთურთისოდ ვერ სძლებენ,  
მალედვე დაილევიან!”

ჭეშმარიტებაა ისეთივე და იქნება ბევრად უფრო ძლიერი, ვიდრე მეორე აზრი, რომელიც სიყვარულს საუკუნო რამედა ხადის. მართლაც, სიყვარულის ბუდე, სიყვარულის ნიადაგი სიცოცხლეა და სიკვდილთან მას ხელი არა აქვს. სიცოცხლესა და ბუნებას მარტო ეგრეთი მშვენიერი გრძნობიერი ბუნების შვილი სჭირია, როგორც ვაჟსა გოგონასა.

იმას კი ნურავინ იფიქრებს, ვაჟსა, რომელიც სიყვარულში “მგრძნობელობას” პირველ პლანზე აყენებს, სიბინძურე მოსწონდეს, ან არ იცოდეს, რომ მგრძნობელობა “სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი”. მას “სიყვარული სიცოცხლით” მოსწონს და “სიცოცხლე სიყვარულითა”, მას მხოლოდ მშვენიერი და ლამაზი მხარე ხიბლავს ამ გრძნობისა და იცის, რომ მგრძნობელობა “ასულდგმულებს მშვენებასაც და გონებასაც”. ყოველივე ჩვეულებრივი, შაბლონური შეხედულება ამ გრძნობის შესახებ მისგან დაგმობილია და უარყოფილი. აიღეთ მისი “ჩხიკვთა ქორწილი”, რომელიც გვიხატავს მდაბიურს, ყოველ დღიურ გამოსახვას სიყვარულის გრძნობისას ქორწინებითა, რომელიც ერთგვარი შაბლონია ამ გრძნობის გამოსახატავად მიჩნეული. ბულბულს – მოსანს ეს სანახაობა მარტო ზიზღსა გვრის. იგი დაღონებულ-დაფიქრებული უცქერის სეირს. ხოლო, როცა ბევრის ხვეწნა-მუდარის შემდეგ ხმას ამოაღებინებენ, სულ სხვაგვარ იდეალს და სურათს დაგვისახავს ამ გრძნობისას, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს უბადრუკ ფრინველ-პირუტყვთა ქეიფთან. მისთვის სიყვარული “ბუნების ძალაა”, რომლის მხოლოდ ნასახის ზედაპირს ხედავს ჩხიკვთა ქორწილში, მაგრამ მისი მგრძნობიარე სული და გული ამ ნასახსაც ჩასწვდება და თავისებურად გადაჭქმნის: “სიყვარულისა დაფსწნავ გვირგვინსა, - ამბობს: - სათნოებითა მოვქარგავ გარსა, არ დავინანებ, ყველას შიგ ჩავქსოვ, თუ ქვეყნად რასმე ვპოვებ კი კარგსა. სიყვარულია თვით ჩემი გული, სხვისაც თუ ვნახე, მომიდებს ალსა”.

სიყვარულის “საუკუნო ზღაპარი” ვაჟამ “ეთერში” დაგვიხატა. ეს “ეთერი”, რომელიც 1890-შია დაწერილი, ბევრში წააგავს კშიბიშვესკის “საუკუნო ზღაპარს”, რომელმაც დიდი ყურადღება მიიქცია ევროპის ლიტერატურისა და რომელიც 1905-შია დაწერილი, ე. ი. 15 წლის უფრო გვიან “ეთერზე”.

მშვენიერი ეთერი, რომელსაც მთვარეს უგავდა პირისსახე, რომელსაც “თვალეში ჩაქსოვებოდა ზღვა-ხმელი ერთიანადა, გვირგვინად ტრფობა დადგმოდა, სხვის გვეფენს წამწმების ხიდიტა, ცასა და მიწას მადლს ჰვენდა უხვეების კიდის-კიდიტა, ყელი მიუგავს ჯერანსა”, - ეს ეთერი დედინაცვალისაგან განაწამები, მთაში ცხვარს მწყესდა. ამ დროს მეფის ვაჟი, სანადიროდ წამოსული, შეხვდა ეთერს და მაშინვე მოიხიბლება ეთერის მშვენიერებით: “შედეგა, უცქერდა შტერადა, ხელი მიეპყრა შუბლზედა, თავი გადედო ცერადა. ბალახით გამოსხლეტილი ცეცხლი თუ მოხვდა მწველადა. ქალიც დნებოდა, ვით გნოლი ქორ-შეგარდენის ნახვითა. ვაჟი კი ეალერსება ეთერსა ტკბილის ენითა; ესაუბრება წყნარადა სიტყვებით გულსაკბენითა”. გოდერძი ეთერს ბევრის ლაპარაკის შემდეგ დააჯერებს, რომ ცოლად წაჰყვებს, შემოისვამს ცხენზედ და წაიყვანს. ამას მოჰყვება ჩვეულებრივი ამბავი. მეფე გაბრაზებულია, სპასპეტი აუწერს ეთერის სიმშვენიერეს,

ქვეყანა “სხვას ვედარ ნახავს სიტურფეს ეთერისასა” და თანაც ეტყვის, რომ გოდერძი არაფრისათვის არ დასთმობს ეთერსაო. მეფე გააგდებს გოდერძს და გოდერძი ცალკე დასახლება კმაყოფილი და ბედნიერი და სრულიად ვერ მიმხვდარა, რა დანაშაულს ადებენ მშობლები: მეო -

“ჩემს გულსა მხოლოდ საწილო  
თავისი ავალებინე,  
ჩემს მშობლებს გულის წადილი,  
უკანვე ჩავაგებინე.  
ნეტავი გამაგებინა, ამით რა წავაგებინე,  
რომ ცოლი ისე შევირთე, მშობლებს არ გავაგებინე”.

“გაჩენის ნება მათ ჰქონდათ, გაეჩნდი და მე ვარ მეობით, წადილი სხვა მაქვს და გრძნობა ეკუთვნისთ მხოლოდ მეობით,” მაგრამ გოდერძი, რომელიც თავის “მეობას” ასე ესარჩლება, რომელიც თავის “მეს” გრძნობები ხელშეუხებელი მიაჩნია, იგივე მსხვერპლია ტრადიციის ზნე-ჩვეულებისა, საზოგადოების აზრისა, რომელიც ყველას, ვინც მოინდომებს წუმპიდან მაღლა ამოსვლას, ახალს რისამე აჩემებას, ამ წუმპეში ჩაახრჩობს და თუ მას ვერ მოახერხებს, ტალახით მაინც გასვრის. გულუბრყვილო სპასპეტი აქ მეფის შურისძიებისათვის გამოსადეგი არ არის, მაგრამ განა მისი სასახლე სავსე არ იქნება სხვადასხვა ჯურის კარისკაცებით, რომელნიც ყოველგვარ მის გულის ზრახვას აკმაყოფილებენ მარტო და მხოლოდ პირადის ინტერესების გამო. ასეთი იყო ვეზირი შერევა, რომელსაც ეთერი თვით მოსწონდა და, შურისძიების სურვილით გატაცებულმა, მეფეს აღუთქვა სამსახურის გაწევა. შერე მიმართავს ბინძურს ძალებს, ბებერ-კუდიანს, რომელიც ისეთს წამალს მისცემს, რომ ეთერს ჭია-ლუა დაესევა და მხოლოდ მაშინ გამოთელდება, თუ საკუთრად შერეს მისცემენ. სიბინძურემ და წუმპემ ეთერისა და გოდერძის სიყვარულს მარტო გარეგანი ლაქა მოსცხო, ისე როგორც პშიბიშვესკის გმირებს, ხოლო ერთმანეთს კი ვერ დააშორა. გოდერძი ეთერს მაინც არ გაეყარა, მაგრამ მისი ჯავრით კი მოკვდა და ეთერმაც თავი დაიკლა დანითა. მოხდა ჩვეულებრივი და მუდმივი ამბავი, საზიზღროებამა და უმსგავსოებამ შებღალა, მოწამლა, ჩირქი მოსცხო დიდებულსა და მშვენიერს გრძნობას, მაგრამ სიცოცხლე მათკენ არის, ცხოვრება ამ ურჩების არის, მისკენ ილტვის, მას ამშვენებს სიცოცხლე, ვინც ებრძვის მეწვრილმანობას, ლაჩრობას, წუმპეს, ვინც გრძნობას თავყანსა სცემს, ვინც თავის პირადობას განამტკიცებს და ამიტომაც

“საკვირველს ამბავს იტყვიან, იმ ადგილს ნანახისასა” (საცა ეთერი და გოდერძი ერთადაა დამარხული).

“ია უზრდავის წლით-წლამდე,  
ამ ბეჩავს კუბოს ხისასა (ეთერის კუბო)  
და ვარდი პირმოლიმარი,  
სამარეს გოდერძისასა.  
იას შორს ყოფნა არ უშლის,  
ვარდს ეკონება პირითა  
და ამ საფლავთა ფეხითა,  
ცოლ-ქმრის სამარის ძირითა,  
უკვდავებისა წყარო დის  
ძვირფასის ოქროს მილითა.  
ამ ადგილს ბულბული უმდერს  
სალამოთი და დილითა;  
ვისაც კი ის წყალი უსვამს,  
ურჯულოს-რჯულიანითა,  
იმას არ უვლავ ქვეყნადა  
გულითა წყლულიანითა.  
იმან არ იცის სიბერე,  
არც მომაკვდავად სწერია”.

დიად, მას, ვისაც მშვენიერებისა და სიყვარულის წყარო უგემებია, უკვდავია, ვინაიდან: “თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს, მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს”.

ლირიკოს პოეტების აზრი და ფიქრი ხშირად დასტრიალებს ხოლმე ცხოვრების ერთ უმწვავეს საგანს - ჩვენის სიცოცხლის დასასრულს, ჩვენის ცხოვრების ბოლოს და, როგორც სხვა დიდ მომენტებს ცხოვრებისას, სხვადასხვა პოეტი სხვადასხვაგვარად ეპყრობა მას. ერთხელ კიდეც ადგინიშნავს, რომ ჩვენი პოეტები ამ საგანს როგორღაც გაურბიან, თითქო ჩვენს ცხოვრებაში და მდგომარეობაში ეს საგანი უფრო მძლავრად არ იქცევდეს ყურადღებას. ერთის მხრით, ამაში შესაძლოა ჩვენის პოეტების თვისებასა ჰქონდეს ბრალი, ეს თვისება არ არის მაინცა და მაინც ღრმა ფილოსოფიურად განწყობილი. მეორეს მხრით, ეს მთელის ჩვენის ერის სულისკვეთების გამოხატველია. “ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა; იგივე მხნე, იგივე მღერალი, მოყვარე თავის მიწისა” - ყოველთვის გაურბოდა სიკვდილზედა და სიცოცხლის დასასრულზედ ფიქრსა. იგი სიკვდილზედ ფიქრს იმით მოიშორებდა, რომ “ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა”. მისთვის მხოლოდ სახელოვანი სიკვდილი გამხდარა სამღერალი და სანეტარო.

ვაჟაც საგანს ჩვენის სიცოცხლის დასასრულისას აქა-იქ გაკვრით თუ შეხებია და ისიც სიკვდილი უფრო მეცნიერულად და ფილოსოფიურად განუსჯია, ვიდრე პოეტურად. “სიკვდილის ბრწყალით ვერ გვიხსნის”, ამბობს იგი, “ძალა, ვერც სიტყვა ცბიერი. ბუნების ცოდვა ესაა, მუდამ საწყინო სჩემია, ავსა და კარგა - ყველას ჰკლავს, არავინ გადურჩენია”. ამგვარად, მისთვის სიკვდილი ფატალური და უგუნური ძალაა, რომელიც “ავსა და კარგა” ვერ არჩევს: “მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანიც”. ეს არის მეცნიერული შეხედულება ჩვენის არსების უცნაურის დაბოლოვების შესახებ. მის სახეში ვაჟა ვერც “უბედურთა ნუგეშსა” ხედავს, (ბარათაშვილი) ან საზოგადოდ ადამიანის ბინძური ცხოვრებისაგან “დამხსნელს, ღვთისაგან მოვლენილს უბედურების დროს სანუგეშო და სამშველად” (ლამარტინი), ან “საშიშარსა და საშინელს რასმე, რომლის წარმოდგენა სიცოცხლეს უწამლავს (ჰიუგო), ანადა, როგორც შესაფერს დაბოლოებას იმ მოვლენისას, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია, და რომელიც იმდენად საზიზღარია და უმსგავსი, რომ მისი მოშორება არაფერი სამწუხაროც არ არის. ვაჟას ერთი რამ აწუხებს სიკვდილის დროს: ეს ის, რომ “გულსა და გრძნობას შაურევს ცივის სამარის ქვიშასა” და მკვდრად გადაქცეული აღარ ნახავს ვერც აშფოთებულს მისის სიკვდილის გამო იას, ვერც მის სამარეზედ ცივად ჩამომსხდარ ვარსკვლავებს, ვერც მგლოვიარე მდინარესა. ერთის სიტყვით, ვაჟას ყურადღებას იპყრობს უფრო გარეგანი მხარე სიკვდილისა, და არა ის მრავალგვარი გრძნობა, აზრი და ფიქრი, რომელსაც ადგილობრავს წყეული საკითხი სიცოცხლის წუთიერებისა.

ზემოთაც მოგახსენეთ, ჩვენი პოეზია სიკვდილზედ ფიქრსა და მასზედ წუწუნს ერიდება, გაურბის. ათასი ვაება და ტანჯვა გამოუვლია ჩვენს ერს, მაგრამ გულის გატეხა არ მიუკარებია, მისი მრწამსი ყოველთვის ისა ყოფილა, რომ “რადგან კაცი გვექვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდეც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისაო”. სწორედ ამიტომაც შესძლო ჩვენმა ხალხმა ის, რომ “შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა”. ქართველი ერის გამირული სული სავსებით აღიბეჭდა “ვეფხისტყაოსანში”, სადაც თითქმის ბავშვი ნესტან-დარეჯანიც კი საყვედურით მიმართავს ტარიელს: “ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია, სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია”. ვაჟას პოეზიაც ამ გამირულის სულის თვისების გამოხატველია, ამ გამირობის თაყვანისმცემელია. იგი დაჭრილის “არწივის” მოტრფიალსა, რომელიც სიკვდილის ჟამსაც კი ყორნებს თვალებს უბრიალებს და ეომება. ვაჟა იმ “არწივს” სცემს თაყვანს, რომელიც თუ სამსხვერპლომ გაასწრო, თავს უშველა, კლანჭი ვერ მოჰკრა, მარგილზე ჩამოიგებს თავს და სულის დაღევის დროს მაინც არა ჰკარგავს სიამაყეს, მამაცურად აბრიალებს თვალებს, თითქო ეუბნება თავის ნიშნის მგებლებს: “მიცქირეთ და ისწავლეთ, როგორ უნდა მოკვდეს ნამდვილი ვაჟაკაციო”, მას ის “არწივი” მოსწონს, რომელიც ნადირობის დროსვე დამარცხებული, “შენარცხება კლდესა და მაზე გაიპობს მკერდს”. ხოლო თუ არწივი ისე დაბეჩავებულა და დაგლახაკებულა სიბერის გამო, რომ ყვავთა და ბუთა სასაცილოდ გამხდარა; ისე დასუსტებულა, რომ ნადირობას ვედარ ახერხებს და მშვიერი ლეშის მძოვრის ჟამსაც კი დააპირებს, ამისთანა არწივს უხილავი ძალა მოუსპობს სიცოცხლეს (ამჟამად თავის ტყვია). თითქო ბუნებაც წინააღმდეგი იყოს, ასეთი დიდებული და გამირი ნადირი ამ დამცირებამდის მიიყვანოს, თითქო ჩვენი ბუნებაც იმას აღიარებს: “სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა სიკვდილი სახელოვანი”. “ხმელის წიფელის” მოყვარულია, რომელიც ქარსა და ჭექა-ქუხილს არ შეეკუება; მთის მიჯნურია, იმიტომ, რომ იგი ამაყი და მედიდურია, იმიტომ, რომ მისგან აღზრდილი შვილები ისეთი გულადნი, მხნენი და მამაცნი არიან; უმსგავსოებას, ლაჩრობას, მეწვრილმანურ შეხედულებასა და ქცევას ზიზღით უყურებს. აფშინა ვაჟასთვის საზიზღარი რამ არის; ჩხიკვის ქორწილზე შეკრებილი ლაჩარი პირუტყვები ბრაზსა ჰკვრის მასა და აშფოთებს; გულზევიადსა და ამაყ არწივს არჩევს. მისი მორალია:



“ღმერთმან აცხონოს გმირები,  
რომ არ წაიღეს საფლავში  
ლაფით მოსვრილი პირებიო”,  
ანა და ამას გვიქადაგებს:  
“ვისაც ჩვენ არ ვებრალებით,  
ჩვენ შავიბრალოთ რისადა?  
სიკვდილი თვითონ უფალსა  
გაუჩენია მტრისადა”.

თქვენ კარგად ხედავთ, რა შორს არის ეს მორალი, რომელიც გაიძახის: “მტერს მტრულად მოექცე, თვითონ უფალმა ბრძანაო” ბოროტის არა წინააღმდეგობის მორალზედ, და რამდენად უფრო ცხოვრების ნიადაგთან დაახლოვებულია. იგი შვილია იმ ხალხისა და იმ ერისა, რომელსაც გულის ფიცარზედ უწერია:

“ათასს ცოცხალსა ბევრჯელსა  
ათჯერ სჯობს ერთი მკვდარი”.

ასეთი ერი, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ამ აზრს ატარებს გულსა და ფიქრში, სიკვდილისათვის განზრახული არ არის და მისი კულტურის, დიდის კულტურის საუკეთესო დამამტკიცებელია ეს გმირული შეხედულება, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ ეს ხალხი ებრძოდა ბუნებას, მტერს, ყოველგვარ ხიფათს თავისის იდეალების, თავისის ინდივიდუალობის განსახორციელებლად, და რა უნდა იყოს კულტურა, თუარ თავისებური სისტემა და კილო ბრძოლისა ყოველსავე სფერაში თავისის იდეალების და თავისის რწმენის განსახორციელებლად.

ასეთია ვაჟას პოეზია. ეს პოეზია კანონიერი მემკვიდრეა ჩვენი ლიტერატურის განვითარებისა. იგი შეიქმნა ჩვენში სიმბოლიზმის დამწყები და განმამტკიცებელი. ამ პოეზიის მშვენიერებით სავსე ნიმუშები მოგვცა ვაჟას კალამმა. მისი სიმბოლური პროზა შეუდარებელის სილამაზითა და ხელოვნებით არის აღსავსე, მისი რამდენიმე მოთხრობა - “შვლის ნუკრის ნამბობი”, “ია”, “ხმელი წიფელი”, “მთის წყარო”, “ქუჩი”, “ჩხიკვათა ქორწილი”, “არწივი” და სხვა - შედეგურა სიმბოლური პროზისა. ასეთი ყოველი მხრით მოხდენილი პროზა ჩვენ ილიას აქეთ იშვიათად წავიკითხავს. მისი პოეზიაც საუკეთესო ნიმუშია ჩვენის სიმბოლურის პოეზიისა. იგი მეტად ორიგინალურია, რადგან, თუ რაიმე გავლენა ამჩნევია, ეს მხოლოდ ჩვენის სამშობლოს ბუნებისა და ჩვენის ლიტერატურის კორიფეებისა; უცხო ლიტერატურის მიზაძვასა და გავლენას აქ თითქმის სრულებით არა აქვს ადგილი; თუ აქვს ადგილი, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ვაჟას პოეზიაში მსოფლიო ჰანგებია; მისი ნაწარმოების ფორმა იმ ფორმისგვარია, რომელიც განვითარდა ამ ხანებში ევროპაში. ერთადერთი შენიშვნა, რომელიც ითქმის ვაჟას პოეზიის, უფრო კი მისი პოემების შესახებ, ეს ის არის, რომ ტექნიკური მხარე სტილისა ვერ არის იმ სიმაღლემდის მიყვანილი, ვერ არის ისე უნაკლულო, როგორც მის პროზაში.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ ზოგჯერ მეტია ნათქვამი, ზოგჯერ კიდევ ვერ არის საგანი სიღრმე-სიგანით გამოთქმული. სტილი მაშინ არის უნაკლულო, როცა ყოველი ფრაზა, ყოველივე სიტყვა იმის გამომსახველია, რისი გამოთქმაც სურდა ავტორს და იმ ფორმით, რანაირადაც ეს მგოსანსა სურდა. ასეთი შედეგური - მაგალითად, პოემისა ჩვენ “განდეგილში” გვაქვს, სადაც სტილის ტექნიკა შეუდარებელია. ამავე მხრითაც პოეზიის ზოგიერთი სამაგალითო ნიმუში მოგვცა ვაჟამ: ასეთია მისი “არწივი”, რომლის ყოველი სიტყვა, სურათი სავსებით გამომხატველია აზრისა. ერთი ანბანი არ არის აქ ზედმეტი, ერთი ასოც არ აკლია; პოეტის მთელი აზრი, ფიქრი და გრძნობა იმდენად სავსებით არის გამოხატული, რამდენადაც ეს შეუძლია კაცის ენასა. ასეთივე საუცხოვო ნიმუშია მისი “მესტვირის ჩივილი”. იგი სიმბოლური სახეა თვით ვაჟას ველურის სილამაზით აღსავსე მშვენიერის პოეზიისა, რომლის იარაღს - სტირის სალტეები აქვს “ბედკრულთ და ოხერთ თმისანი”, რომელიც “უფერებელ-შეუზიკავია, თვალზედ ცრემლები ჰკივია, ველურად გათლილია, ველური, მაგრამ ლამაზია. და არათუ მარტო ვაჟას პოეზიისა, ეს ლექსი სიმბოლური გამოსახულებაცაა ქართველი ერის სევდითა და კვნესით გამსჭვალული პოეზიისა, რომელშიაც ჩაქსოვილია “სოფლის წყლული და ჭირი” და რომლის კვნესასა და გოდებასაც, ერის ვაებითა და ცრემლით შეზავებულს, “ვერვინ შეიტყობს”, იმიტომ რომ მგოსანს, რომელიც “სოფლის წყლულებმა გასენეს,” სტირი ქურდებმა მოჰპარეს და “ამიტომ სტირისო”.

ასეთის ღირსებით შემკულია ვაჟას მწერლობა, რომელიც დიდსა და ჩინებულს ადგილს აძლევს ჩვენს საუკეთესო მწერალთა შორის. ილია ჭავჭავაძე ვაჟას პოეზიას ბევრად უფრო მაღლად აყენებდა თავის პოეზიაზედ და დიდის აღტაცებით იხსენებდა მის პოემებსა და ლექსებს. ხოლო

არაჩვეულებრივი და იშვიათი სულიერი კავშირი, რომელიც აერთებდა ვაჟას დიდებულ მგოსანთან, ვაჟამ გამოხატა ერთ საუკეთესო თავის ლექსში (“შენდამი”). ილიას აზრი ვაჟას შესახებ ჩვენ უნდა აღვიაროთ გადაჭარბებულად იმდენად, რამდენადაც “განდევლის” ავტორი დიდ პოეტად მიგვაჩნია. ხოლო ვაჟა კი ღირსეული მემკვიდრეა ილიასი და აკაკისა, როგორც ჩვენის დიდებულის მგოსნებისა.

## დ ა მ ა ტ ე ბ ა

### თ-დი რაფიელ ერისთავი (1824 - 1900)

თ. რაფიელ ერისთავი სწორედ ერთი უბედნიერესი იყო ჩვენს მწერალთაგან. სიცოცხლეშივე ეღირსა მის მოღვაწეობას დიადი დაფასება სამშობლოსაგან. 1895 წელში აღტაცებულმა ქართველმა ერმა მადლობა განუცხადა კეთილის შრომისათვის მხცოვანს პოეტს და ეს თავისი აღტაცება იმგვარად გამოჰხატა, რომ იშვიათად ღირსებია ქართველს მწერალს მსგავსი რამ. თუ უმეტესობას ჩვენის მწერლებისას შეეძლო ეთქვა: “მეგობრობა ვისაც ვსთხოვე, ჩემთვის წყალი არ დაღვარა, რომ მოვკვდები, რაღად მიწა, გინდ მაქონ და გინდ არაო”, თ. რაფიელ ერისთავს შეეძლო ეთქვა, რომ მისი ღვაწლი და შრომა სიცოცხლეშივე დაფასებული და დაგვირგვინებული იყო მშობელი ერისაგან.

ეს ასე იყო, მაგრამ ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ თ. რაფიელ ერისთავს ბედმა სხვარიგად უმუხთლა. თ. რაფიელ ერისთავის ლიტერატურული სახელი და დიდება უფრო საფუძვლიანი და ხანგრძლივი იქნებოდა, რომ იმ დროში არ შეხვედროდა მოღვაწეობა, როცა თ. ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელი გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე. თ. რაფიელ ერისთავს შეხვედა ამ მწერალთაგან გაკვალულ გზაზე სიარული. რეალურის პოეზიის შექმნა თუ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხვედრი იყო, თ. რაფიელ ერისთავის ნიჭიც ამგვარის პოეზიისაკენ მიილტვოდა, მაგრამ მეთაურობის მაგიერ მას უბრალო მუშაკობა არგუნა ბედმა. მართალია, მეტად ნიჭიერი და კარგი მხარის გამწვევი პოეტი იყო, მაგრამ, ყოველს შემთხვევაში, სარდალი არ იყო პოეზიისა, არამედ რაზმის მხნე და ნიჭიერი წევრი.

ამგვარი ლიტერატურული მდგომარეობა იმით მაინც არის სახარბიელო, რომ სიცოცხლეში უფრო ბევრს სიტკბოებასა და ბევრად უფრო ნაკლებ სიმწარეს ჰგრძნობ კაცი, და სიკვდილს მერე ქება მაქებარისათვის თუა სასიამოვნო, თორემ მკვდარმა რაღა უნდა იგრძნოს და გაიგოს... ერთმა ჩვენმა დიდებულმა მწერალმა სთქვა განსვენებული პოეტის შესახებ: “უბედნიერი იყო, ყველაზე უფრო ნაკლები ლანძღვა და გინება მას შეხვდაო”. მართალია, და რამდენი სიმწარე ისმის ამ სიტყვებში. მაგრამ ისიც კია, რომ თ. რაფიელის ეგრეთი მდგომარეობა სწორედ იმისი შედეგია, რომ მისი ლიტერატურული მდგომარეობა სრულიად სხვაგვარი იყო. ინიციატორი და მეთაური არა ყოფილა ლიტერატურაში, ამიტომ ლიტერატურული ისარიც მისკენ არ გატყორცნილა. საზოგადო ცხოვრებაში მშვიდი და წყნარი მუშაკი იყო, არა გაცხარებული და მედგარი მეომარი, რომელიც ბრბოს მახვილით აღვიძებს და ძილს უფრთხოებს; ამიტომაც მტერიც არა ჰყოლია და თითქმის არავინ ყოფილა მისი უკმაყოფილო. ნიჭით აღბეჭდილი არსება იყო განსვენებული პოეტი და მოკვდავთაგან გამორჩეული, მაგრამ მაინც უმრავლესობაზე უფრო ახლო იდგა, ვიდრე სხვები. უმრავლესობისათვის უფრო გასაგები და უფრო მოსათმენი იყო.

თ. რაფიელ ერისთავი თითქმის თანამედროვე იყო ჩვენის რომანტიკოსებისა (ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ვახ. ორბელიანი) და ანგარიშით რომანტიკოსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი ნიჭი სრულიად სხვა თვისებისა იყო და ამიტომაც სხვა დროს დაიწყო მოღვაწეობა. მას არ შეეძლო ახალი გზა ეჩვენებინა ჩვენის პოეზიისათვის, მაგრამ რაკი თ. ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ეს ახალი მიმართულება შეჰქმნეს, თ. რ. ერისთავში მოიპოვეს საუკეთესო თანამგრძნობი. თ. რ. ერისთავის პოეზიის ოქროს ხანა სწორედ იმ წლებში იწყება, როცა ჩვენში რეალურის პოეზიის ძლევამოსილი მსვლელობა აღსრულებული იყო და როცა ეგრეთ წოდებულ ჩვენში “ტექნათა მოტრფიალთა” ლიტერატურა დამკვიდრდა. საუკეთესო ლექსები თ. რაფიელ ერისთავისა სწორედ ის არის, რომელიც გლეხის დარდას და ვარამს, მხიარულებასა და სიამოვნებას გვიხატავს “შეუდარებელის სინამდვილით”. და ეს ლექსები კი ოთხმოციან წლებშია დაწერილი.

“სამშობლო ხევსურისა”-ც (1881 წ.) დაწერილია მაშინ, როცა ყაზბეგის მოთხრობებმა მთიელთა ცხოვრებიდან საზოგადოებაში ძლიერი ინტერესი აღძვრეს. თ. რაფიელ ერისთავის სახალხო პოეზია, თუ გნებავთ, უკანასკნელი აკორდი იყო რეალურის პოეზიის ჩვენში. უნდა სთქვას კი კაცმა, რომ თ-დი რაფიელი შეუდარებელია გლეხთა გრძნობების, ამა თუ იმ საგნის შესახებ მათის აზრისა და შეხედულების გამოხატვაში. გნებავთ გაიგოთ, რარიგათ უყვარს გლეხს, რა აზრი აქვს სიყვარულის შესახებ და რარიგათ ელაპარაკება სატროფს? - “გოგოს ჭირიმე” გადაიკითხეთ. აქ ნახავთ თქვენ, რომ მიჯნურს, ცხელის ბუნების შვილს, სიცოცხლითა და ცხოვრების სიხარულით აღსავსე გოგოს “ლერწამ ტანი” მოსწონს, მისი “ფუნთუშა, გულწამტაცი ძუძუ კოკობი”.

“გოგოს ჭირიმე”, - ამბობს ჩვენი გლეხობის ტარიელი, -  
“რომ ღუის, როგორც რომ თურაშაული,

იმის ჟუჟუნა თვალების, კალამით დახატულისა;

. . . . .  
ნუ მკლავ, გოგონავ, წყეულო, ნუ ამარიდე პირია,  
თავი რომ მკერდზე მოგანდო, შენთვის რა გასაჭირია?  
ნუ მომკლავ დედის ერთასა, ღმერთი იწამე, წყეულო,  
ნუ მომკლავ, გოგოვ, ნუ მომკლავ, ჩემს გულში შამოჩვეულო!”

“შავთვალა” მწყემსი ქალი ვაჟს შეხვდება: “კავებსა იგრებს” -

“თავს თუ აწონებს იმ მწყემსსა, შიგ თვალში უყრის თვალებსა.

. . . . .  
ბიჭი აენტო შმაგივით, თვალები დააბრიალა,  
წამოჯდა მარჯვედ, სალამურს ჩაჰბერა, ჩააწვრიალა!”

ამგვარი ხორციელი შეხედულება სიყვარულის შესახებ აქვს თ. რ. ერისთავის გლეხობას, ამგვარი ვნებით აღსავსე გრძნობებით არის გამსჭვალული თ. რ. ერისთავის პოეზიის მიხედვით გლეხის გული. და ეს უფრო იმიტომ, რომ თვით პოეტსაც ეგრეთი ხორციელი შეხედულება აქვს სიყვარულის შესახებ. არ გახსოვთ მისი დარიგება, დარდიმან არშიყთათვის ხელსაყრელი:

“ოდეს ტურფას შეეყარო, ვისთვისც გიმგერს მარად გული,  
თუ რომ გიყვარს ჭემმარიტად, ასე უნდა სიყვარული:  
ხელი წელსა გადაჰხვიე, ვით რომ სურო ხესთან რგული;  
ისე მტკიცედ დაეკონე, ვით ფათალო ჩაწმანული”,  
და სხვ.

ახლა ვნახოთ, რა შეხედულება აქვს ბუნების მოვლენათა შესახებ თ. რ. ერისთავის გლეხს. როგორ უნდა უყურებდეს გლეხი ბუნებას, თუ არ იმ მხრით, რომელთანაც მას აქვს უფრო მჭიდრო კავშირი. კარგად ვიცით, ბუნების მოვლენათ ბევრად უფრო ძლიერი გავლენა აქვთ გლეხობაზედ, ვიდრე ერის სხვა ნაწილებზედ: ყინვიანსა და სუსხიანს ზამთარს მისთვის უფრო საშინელი შედეგი აქვს, ვიდრე “უზრუნველ ყოფილთათვის”, ცხელ ზაფხულს უფრო დიდი ვნება მოაქვს მათთვის, ვიდრე “განცხრომაში მყოფთათვის”. თანაც მათი ცხოვრება იმგვარია, რომ სულ მთლად ერთიანად დაკავშირებულია ბუნებასთან, მაშინ, როდესაც ჩვენი - იმგვარად არის მორთული, რომ თითქმის ყოველ ღონეს ვხმარობთ, ბუნებას გავექცეთ და მისგან სრულიად დამოუკიდებელი გავხდეთ: თითო არშინი სისქე აქვს ჩვენის სახლის კედლებს, რომ არსით სიომ არ შემოუბეროს; ჩვენს ფანჯრებს სქელი დარაბები აქვს და სქელი რიდეები, რომ მზის სხივი არსით შემოიპაროს; დამეს ვათენებთ, რომ მზის მაგიერ ელექტრონის ლამპებით ვისიამოვნოთ და დღეს ვაღამებთ, რომ ბურუსიანი და თოვლ-ჰყაპიანი დღე არ დავინახოთ. ამაში, ერთის მხრით, კულტურა სჩანს და ძალა ადამიანისა, რომელიც ბუნებას თითქო დასცინის და უნდა დაუმტკიცოს, რომ უიმისოდაც კარგადა ჰგრძნობს თავსა, მაგრამ სხვაგვარად კი მანებელია ესეთი განდეგილობა, რადგანაც ბუნებასთან კავშირსაც თავისი კეთილმოყვანილი გავლენა აქვს კაცზედ. თ. რ. ერისთავის გლეხი სრული და უმორჩილესი მონაა ბუნებისა, მისი ბედი და იღბალი მთლად ერთიანად ბუნების ნებაზედ არის დამოკიდებული:

“ნეტა რა წყალში ჩავვარდე, - მოსთქვამს ტეტია, - რით

გამოკვებო ცოლ-შვილი,  
ი დასაქცევმა სეტყვამა კარს მომაყენა შიშშილი!  
რას ვიფიქრებდი, ბეჩავი! ცა კამკამებდა ლურჯადა,  
სამი დღის ყანა სამკალი, ზედ კარზე მედგა ბურჯადა”.  
და ამდენის ხნის ნაშრომი, ამდენის ხნის ნაჯაფი, ერთს წუთას გაუოხრდება საწყალს “ტეტას”  
ერთის პაწაწინა ღრუბლის წყალობით:

“უცებ გამოჩნდა პაწაწა, მუშტის ოდენა ღრუბელი,  
მერე გადიდა, იგრგვინა და წამოვიდა სულ ბნელი...  
დასავლეთიდან დაჰბერა, წამოაყარა კოხია,  
ბალღები დამიწიოკა, მოაძებნინა ქოხია,  
ისროდა მუშტის ოდენას და გრიალებდა წყეული,  
მირეგვ-მორეგვა ხეხილი, გაწყალდა ანაზდეული...  
ყანა წამიხდა, რა ყანა, ავ თვალს არ ენახებოდა”.

გლეხის მდგომარეობა ამ შემთხვევაში უმწეოა და უნუგეშო, მისი იმედი და სასოება მარტო  
ღმერთია, რომელიც თავის განზრახულებას ბერუასა და სესიას ჩივილისა და მოთქმის მიხედვით  
ვერ შესცვლის:

“პაპანებაა, ბული დგას, უჭირს საბრალო ყანასა,  
...  
დაგვიშრა წყლები ნაკადი, გახმა და დასკდა მიწები.  
...  
“შენს იმედზედ ვართ, უფალო, მეტი რაღა ვსთქვა ბედშავმა?  
ღმერთო, გვადირსე ცის ნამი!.. ყანამ დახარა თავია.  
იჭექა! გრგვინვა მოისმა, იელვა სადღაც ცაშია,  
მაგრამ ნამი კი არა სჩანს, არსად ცის კამარაშია”.

ესე გრძნობს და ესეთ გაჭირვებაშია ჩვენი პოეტის გლეხი. ბუნებას მისთვის მხოლოდ  
უტილიტარული მნიშვნელობა აქვს, იმდენად საყურადღებოა და საჭირო მისთვის, რამდენადაც  
მისს ნაშრომს ხელს უწყობს. ვაზი იმიტომ უყვარს პოეტის გლეხს, რომ “წითელი ღვინის დედაა,  
გამხარებელი გულისა” და იმიტომაც ეალერსება და ეთაყვანება მასა:

“ჭირიმე შენის ფესვისა,  
მოკვდები მე შენს ძირშია,  
შენით ვარ მხნე და გულადი,  
იმედით გასაჭირშია.  
შენის ზედაშის მადლს ვვიცავ,  
შენ არ მოგაკლო ბარია,  
გაგახლა, შაგყელო, დაგთოხნო,  
არც კი ჩნდეს მონათხარია,  
გაგფურჩქნო, გაგალამაზო,  
როგორც რომ პატარმალია,  
აღარ დავზოგო მე შენთვის  
ჩემი ღონე და ძალია”.

მის მეცხვარეს თრიალეთი მოსწონს და უყვარს იმიტომ, რომ იქ “მწვანედ დელავს ბალახი,  
კალმახი იცის ოქროსი დაწინწკლულ-დაჩითულია, ყველს მამღევს, მატყლსა საჩოხეს, რად  
ეჭირვების ფულია”. ამგვარად უყურებს გლეხი ბუნებას, ამ პოეზიის აზრით, და თვით პოეტიც არა  
ჰგრძნობს სხვაგვარ კავშირს ბუნებასთან. მისი ყურადღება როდი მიუქცევია ბუნების ლირიზმს,  
საიდუმლო, გამოუცნობელ, მაგრამ საგრძნობელ კავშირს ბუნებისას კაცთან, მათ შორის  
ჩამოვარდნილ უთანხმოებას, მათ შორის ხშირად არსებულ თანაგრძნობას და კავშირს. პოეტსაც  
უტილიტარული შეხედულება აქვს ბუნების მოვლენათა და ნაწილების შესახებ: “წყალი - ბუნება,  
ძალა, ცხოვრება, წყალი გზა არის ჩვენთვის მტრობისა, წყალია ჩვენთვის გზა ვაჭრობისა, წყალი  
დამსჯელი უმეცრებისა, მომყენებელი დიდის ვნებისა. წყალი დამშრეტი ცეცხლის ალისა,

სახმილისა და ცოდვის ძალისა”. თუ არა და პოეტი მარტო პლასტიურ სიმშვენიერეს აღვიწერს ბუნებისას:

“სპეტაკი მთაში ნაშობი, კლდიდან გადაჰქუხს ჩანჩქარი,  
ცვივა და ცვივა სპეკალი, ზვირთი ზვირთს მოსდევს ჩანჩქარი,  
ზღვა წვიმად გამალეზულა, ქუხს და ბუქი დგას თქორისა,  
შიგა ბრუნავენ, ცელქობენ სხივები მზისა შორითა!  
დაბლა ქაფი დუღს, შრიალებს, ჰბანს და რეცხს სალსა  
კლდოვანსა,

აქ ცისარტყელაც ამშვენებს ტყეს და ველს ყვავილოვანსა”.

რა აზრს, ან რა გრძნობას აღძრავს ჩვენში ეს სურათი, ამის შესახებ პოეტი არას გვეუბნება; აქვს თუ არა თვით ამ ბუნების სურათის ნაწყვეტს თავისი შინაარსი, თავისი დაფარული უბრალო მომაკვდავთათვის აზრი - არც ამას გვატყობინებს პოეტი.

სიკვდილიც მიწიერს აზრებს იწვევს პოეტის გლეხობაში. ამ გლეხობის აზრი მეტად ჩვეულებრივია, მეტად რეალური, მეტად ახლოა უბრალო და ბეჩავს სინამდვილეზე: მომაკვდავ გამირს ისევ ქვეყნიერი, სრულიად წვრილმანი საოჯახო დარდები აემერის და დედის ტირილს პასუხად უგებს:

“ნეტა რას სტირი, დედილო! ჯერ ვერ წამოვალ შინათკენ,  
მე აქ ვიგერებ ყვავ-ყორანს, თვალი მიჭირავს იმათკენ...  
ნეტა რას სტირი, დედილო! სახლზე იყავი ფრთხილადა,  
ირმა ხარს მოუარევი, მარილს ალოკდე ხილათა,  
ყანა გამარგლეთ ბეჯითად, არ მოერიოს ჭიოტა,  
ე პაწა არ დამიმშოთ, ფოცხვერს არ დამიჭიოთა!  
ჯერ ნურას ეტყვი შენს რძალსა, ბაღლია, ამიტირდება,  
შობამდის დავავიწყდები, აღდგომას გამიფრინდება!”

პოეტის გლეხის დედა კი იმაზედ იცემს თავში ქვას, რომ თავისი “სესია დაჰკარგა, კარგი მეურმე, მომკალი” და ის აწუხებს და სტანჯავს, იმას მოსთქვამს:

“ვინლა მომხედავს ბედკრულსა,  
ვინლა მომწვდის მე ჯერსა,  
ვინლა დამარჩენს უძლურსა,  
გადაყრუებულ ბებერსა?”

ასე ფიქრობს და აზროვნებს ჩვენის პოეტის გლეხი, იმიტომ უფრო, რომ თვით პოეტსაც თითქმის ამგვარივე მეტად ამქვეყნიური შეხედულება აქვს სიკვდილის შესახებ: აი, რას ეუბნება ის ყვავილს:

“ჩვენც შენებრ მოვალთ სოფელსა, შევსწირავთ მრავალ ქებასა,  
სიკვდილი გვაჭკნობს, ვით შენ მზე, და მოგვცემს  
გახრწნილებასა.”

პოეტის აზრით, ჩვენ “სტუმრად” ვართ ამ შავ მიწაში, “მდილთათვის ერთი სადილი”. ამ შეხედულებას რომ მეტად მწარე ნატურალისტური ფერი ადევს, ვერავინ ამის უარს ვერ იტყვის, თანაც იმაზედ უნდა დამეთანხმოთ, რომ ამ საგნების შესახებ პოეტისგან გამოთქმული აზრი სრულიად არ არის რთული და მეტად გამარტივებულია.

სამშობლოს სიყვარულიც კი რეალურ ნიადაგზედ არის აღგებული თ. რ. ერისთავის გამირთათვის. მისთვის სამშობლო იმიტომ კი არ არის საყვარელი, რომ “ძველთა დროების მოწამეა” და “მამა- პაპათ ისტორიის წმიდა რვეულია”, სამშობლო სატრფოდ კი არ მიაჩნია, რომლის გულგრილობა საფლავს ანატრებიანებს პოეტს და იქ ჩაბრძანებას ააჩქარებინებს, სადაც მას “ზარით, ნიჩფით, კუბოთი და ლოდებით ელიან”, მისგან გამწარებული პოეტი იმას კი არ იმახის, “აღარც ნატვრა და აღარც იმედია, ყველა წარხდა, ვაი, ესრეთ შთომილსაო”, არა, თ. რ. ერისთავის ხევსურს სამშობლო უყვარს იმიტომ, რომ “იქ გაზდილა, დაბადებულა და უსროლია ისარი, იქ მამა-პაპა ეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი; მას ურჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი, ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარიც გადმოჰქუხს ბროლი წყლიანი, ჯიხვი და არჩვი ეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი”; იმიტომ რომ, “სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა”.

ამგვარი არის თ. რ. ერისთავის პოეზია.

იგია სრული და ნამდვილი გამომხატველი იმ გრძნობისა და აზრისა ჩვენის ცხოვრების უმთავრესს საგნების შესახებ, რასაც გრძნობს დიდი უმრავლესობა ერისა, ანადა, უკეთა ვსთქვათ, ის, რასაც, პოეტის აზრით, ეს უმრავლესობა ჰგრძნობს. საზოგადოდ მხოლოდ გენიოსობით დაჯილდოებულს კაცს შეუძლიან ჩაიხედოს უმრავლესობის, თითქმის მთელის ერის გულში და მისი გულის ნადები სავსებით გამოაქვეყნოს. უმეტეს ნაწილს, ნიჭიერ არსებათაც კი ისე ჰგონიათ, თუ ერი და ხალხი, ან თითონ ის, მასა ჰგრძნობს, რაც თვით ეჩვენება ან უნდა მოეჩვენოს. უფრო ხშირად ჩვენი უღრმესი და უდიდესი გრძნობები ისეა ჩამარხული ჩვენს გულსა და სულში, რომ თვით ჩვენ ვერ შეგვიგნია მისი თვისება, საჭიროა რაიმე უეცარი შემთხვევა, რომ ჩვენდა უნებურად გამოირკვეს ჩვენში დამალული გრძნობა. გენიოსისა და დიდის ნიჭის უმთავრესი დანიშნულება ისაა, რომ ხალხისა და ერის გულის კენესა და გულის საიდუმლო გაიგოს და დაანახვოს ყველას, ის საიდუმლო, რომელიც თვით ხალხისათვის შეუმჩნეველი და გამოუცნობელია. გენიოსებიც ხშირად გაუგებარნი რჩებიან, და ხალხში, ბრბოში დღიურს ინტერესს ის აღძრავს ხოლმე, რომელიც უახლოვდება მის წარმოდგინებით ძალას და “სინამდვილის” მეტად ჭეშმარიტი გამომხატველი ხდება.

თ. რ. ერისთავმა ის გვამცნო მშვენიერის ლექსებით, რასაც, ჩვენის უმეტესობის აზრით, უნდა ჰფიქრობდეს ხალხი. თუ თ. ილია ჭავჭავაძემ და აკ. წერეთელმა კაცობრიობის გულის მიმალულ კუნჭულებს ახადეს ფარდა, თუ ა. ყაზბეგი ღრმად ჩააკვირდა ბუნებისა და მის შვილთ კავშირს და მით ურთიერთ შორის განწყობილებას და ხალხის გულის საიდუმლო სევდები სავსებით გამოხატა, სამაგიეროდ, თ. რ. ერისთავი ყველაზე უფრო ადვილად “გლეხის ტყავში” შევიდა და ის აჩვენა, რასაც, უმეტესობის აზრით, ჩვეულებრივად გრძნობს გლეხი. გლეხის გული ისე აქვს გამოხატული პოეტს, რომ ერთ წუთსაც არ გაგრძნობინებთ, რომ აქ სხვა, პოეტი, ხატავს გლეხის გულს, ის ნამდვილად თავის გმირებს ალაპარაკებს და ამაშია მისი პოეზიის ორიგინალური მხარე.

### შოი არაგვისპირელი

ერთ-ერთს თავის მოთხრობაში ბ-ნი არაგვისპირელი ნატრობს: “ოღონდ თბილი, გამაცოცხლებელი ცრემლი მოჰხვდეს ჩემს მკერდს და მკვდარიც კი გავცოცხლდები”-ო. თუ ეს დღესაც არ აუხდა ბ-ნი არაგვისპირელს, ყოველს შემთხვევაში, ჩვენს ღარიბს ლიტერატურაში სახელი მოიხვეჭა. მე არა მგონია, რომ ბ-ნი არაგვისპირელის ურწმუნო და უნდო გონება ამ ქვეყნად მოპოებულს “სახელს” დიდს ფასსა სდებდეს. ყოველს შემთხვევაში მაინც არ შეიძლება ახალგაზდა ავტორი მაღლიერი არ დარჩეს საზოგადოებისა და ლიტერატურისა იმ ყურადღებისათვის, რომელიც მან სავსებით დაიმსახურა.

აიღეთ, თუ გნებავთ, მისი თხზულებათა პირველი წიგნის გამოცემა. არცერთს ჩვენს დიდებულ მწერალს არ ჰღირსებია, ეგრე მალე მათ ნაწარმოებთა კრებულის დასტამბვა. თ. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოების გამოცემა მხოლოდ ამ რვა-ცხრა წლის წინათ დაიწყეს, ე. ი. მაშინ, როცა მათის ლიტერატურულის მოღვაწეობის შემდეგ თითქმის ორმოცმა წელმა გაიარა.

ყაზბეგს სიცოცხლეში არც კი ჰღირსებია თავისის თხზულების კრებულის ხილვა.

ეგრეთი სრულიად ღირსეული დაფასება ახალგაზდა მწერლისა ამტკიცებს ჩვენის საზოგადოების გონების ზრდასაც.

პირველი წიგნი ბ-ნი არაგვისპირელის თხზულებისა, თუმც არ არის თაიგული საუკეთესო მის ნაწერებისა, მაგრამ ნაწერების ქრონოლოგიასაც აკმაყოფილებს და ბ-ნი არაგვისპირელის ნიჭის განვითარების პირველ ხანის დამახასიათებელიც არის.

ბ-ნი არაგვისპირელი ამ მოთხრობებში ჯერ კიდევ თავის მოწინავე მწერლების გავლენის ქვეშაა. ბ-ნი არაგვისპირელი მისდევს ბ-ნი. ს. მგალობლიშვილისა და ევ. გაბაშვილისაგან გავალუღს გზას. აღგვიწერს გულის მომწყვლელ სურათებს გლეხის ცხოვრებიდან: სიღარიბეს, გაჭირვებას, შიმშილსა და წყურვილს (“ახალ წლის ღამეს”, “სოფლად”) და თანაც, ხანდისხან, მეტად უშნო ეფექტებსა ხმარობს, რომ მწარე სურათი კიდევ უფრო ჩააშავოს და ჩააბნელოს. მაგალითად, თუ კვდება გლეხი გიგოლა (“ახალ წლის ღამეს” და “სოფლად”) უთუოდ “ახალ წლის ღამეს”, რომ ვითომ უფრო დიდი სიბრალული აღძრას ჩვენში. მაგრამ ამავე პირველს წიგნში ნახავთ თქვენ იმის მაგალითებს, რომ ბ-ნი არაგვისპირელი სრულიად ახალ გზას იკვლავს თავის ნაწერებისათვის. მისი “ესაა ჩვენი ცხოვრება” აღწერილ საგანს უფრო სხვა მხრივ ეხება და უფრო ღრმად იხედება მოვლენაში. აქაც, მართალია, გლეხკაცის ბეჩავი და უბედური ცხოვრებაა აღწერილი, მაგრამ ამ

მოთხრობას საგნად არა აქვს, დაგვანახვოს, რომ გლეხკაცის ცხოვრება მომხამულია და მოწამლული, რომ იგი გათელილია ყველასაგან და მიწასთან გასწორებული, რომ მისი სიცოცხლე და ბედნიერება ჩირადაც არ მიაჩნიათ ბრწყინვალე ეტლით მოგზაურებს და მათ მცველ შეიარაღებულ ჩაფრებს. ეს უკვე ვიცით და ვიცოდით, თუმცა არაგვისპირელს თავისებურადა და ნიჭიერადაც აქვს დახატული ეს სურათი. მაგრამ ახალი ის შეიტანა ამ სურათში, რომ “გულდაღმა გაშლართულ, საფეთქელგახეთქილ სიმონას” უბედურების მოწმედ მთვარე გაჰხადა, რომელიც “გულგრილად, შეუბრალებლივ დასცქერის ზემოდან და თითქოს ეუბნება სიმონას ამხანაგებს: “აი, თქვე საცოდავებო, თქვენა! - რას ჩაგიკიდნიათ თავები და ჩამოგტირით ცხვირპირი? მაგ ერთი მდილისათვის თქვენ მაგრე იქრუშებით და იწუხებთ თავებს... მაშ მე რაღა უნდა ვქნა, როდესაც ჩემ თვალწინ უსამართლოდ დახოცილის ხალხის სისხლის მორევები დგება. როდესაც მრავალი ერი სხვის ხელში უსამართლოდ იღუპება და ანთხევს სისხლს?! ეეჰ, თქვე უბედურებო, თქვენა!”

აქ კაცის ცხოვრების მოვლენა მთელ ბუნების მოვლენათა მიმდინარეობაშია ნაჩვენები, როგორც ნაწილი ამ ბუნებისა, რომელიც, თუმცა სხვა ნაწილებზე უფრო უმნიშვნელო არაა, არც მათზე დიდმნიშვნელოვანია.

აქ არის ნაჩვენები ის, თუ რა განხეთქილებაა ბუნების სხვადასხვა ელემენტებსა და თვით კაცთა შორისაც: “მთვარე გულ-გრილად, შეუბრალებლივ” დასცქერის საწყალ სიმონას, იმ სიმონას, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმა მისმა ძმა - ადამიანმა.

ამგვარი დასურათება მოვლენისა, ცხოვრების ამგვარი სიმწარის დანახვა, ჩვენს ლიტერატურაში ახალი რამ იყო, რასაც უნდა მიექცია მკითხველ საზოგადოების ყურადღება, მით უმეტეს, რომ იგი ახალი ნიჭიერის მწერლის მაღლიანის კალმით იყო გამოხატული.

აიღეთ მეორე მოთხრობა, ბ-ნის შ. არაგვისპირელის “ჩემო შვინდავ!”, და იქაც იმავე ნახავთ. ბ-ნი არაგვისპირელი საგანს ჩვენის ლიტერატურისათვის არაჩვეულებრივის გზით მიუდგება და სურათის სრულიად სხვა სანახაობას დაგვანახვებს. თუ აქამდის გლეხთა ცხოვრების გარეგან მოვლენებს გვაჩვენებდა ჩვენი ლიტერატურა, მან გლეხკაცთა სულის დასურათებას მიჰყო ხელი, მისი მცირე დარდი და პატარა სევდა დაგვანახვა. დაგვიხატა მათის ცხოვრების უმნიშვნელო და საცოდავი მისწრაფება, მათის სულისკვეთების ბეჩაობა. აბა, დაუკვირდით გლეხის ბიჭს სოსოს, რანაირად სწუხს და ჰგოდებს თავისი ხარის “შვინდას” დაკარგვის გამო და რა ბედნიერებას და სიხარულს იგრძნობს, როცა ნახავს დაკარგულ “შვინდას”. ასეთი ტანჯვა რომ გამოსცადოს დღეინდელმა განათლებულმა კაცმა, მთელი საცხოვრებელის დაკარგვაც კი არა კმარა და ასეთი აღტაცება მისთვის ხომ წარმოუდგენელია. შესაძლოა, ეს სიმართლევ იყოს, რომელიც ნორმალურის აგებულობის პატრონს სჩვევია, მაგრამ ჩვენის მოღალულისა და ქანცაწყვეტილის საზოგადოებისათვის ეგრეთი მოვლენა გაუგებარია და ღიმიის მომგვრელი. ჩვენთვის ეგრეთი მწუხარება და სიხარული ასეთის მცირე შემთხვევის გამო მაჩვენებელია გრძნობისა და გონების სიდატაკისა და სისაწყლისა. ამ თვალთ უყურებს ბ-ნი არაგვისპირელი სოსოსაც, ერთის მხრით, გატაცებულია პოეზიით, რომლითაც არის აღსავსე მისგან აღწერილი მარტივი მოვლენა და თანაც, მეორეს მხრით, ირონიულ ღიმილს ვერ იკავებს, დაგვანახვებს რა იმ შეუსაბამობას, რომელიც არსებობს საგანსა და მისგან აღძრულს სევდასა და მხიარულებას შორის.

ეს ორი მოთხრობა ბ-ნი არაგვისპირელისა (“ესაა ჩვენი ცხოვრება” და “ჩემო შვინდავ”) მთელის მისის ლიტერატურულის ნიჭის განმსაზღვრელია. ამ ორ მოთხრობაშია აღნიშნული ყველა ის თვისება, რომელიც არსებით მხარეს შეადგენს ახალგაზდა ავტორის ნიჭისას.

პირველი თვისება ბ-ნი არაგვისპირელის ნიჭისა არის ღრმა და უსასო პესიმიზმი. იმის ნაწარმოების მიხედვით ჩვენი ცხოვრება არის შემდგარი სრულიად მოულოდნელისა და უფერულის შემთხვევებისაგან; ჩვენი სიცოცხლე დამოკიდებულია უაზრო და უმნიშვნელო მოვლენაზე; ჩვენ უბედურებას არსად თანამგრძნობი არა ჰყავს, და ის ბუნება, რომელიც რომანტიკულ მწერალთათვის “გულდახურულთა მეგობარი” იყო, ნამდვილად “გულგრილი და შეუბრალებელი” მაყურებელია კაცთა ცხოვრების უბედურებისა და უმინაარსობისა; კაცობრიობის უმეტესი ნაწილის გრძნობა, სევდა და ვარამი, სიხარული და სიცილი წარმოშობილია სრულიად საცოდავისა, საბრალო და ფუჭის საგნისაგან.

მეორე ხასიათი ბ-ნი არაგვისპირელის მწერლობისა შედგება ჩვენის ლიტერატურის მსვლელობისა. მისი ნაწარმოები არის შემაერთებული ორის დიდის ლიტერატურულის სკოლის ელემენტებისა. მისი თხზულებები არიან რომანტიკულის და რეალური სკოლის ზედგავლენის ქვეშ აღმოცენილნი. რომანტიკული მანერა ბ-ნი არაგვისპირელისა იმაში იხატება, რომ იგი როდი რჩება უდარდელ და გულგრილ მაყურებლად იმ საგნისა და მოვლენის შესახებ, რომელსაც აღვიწერს. მას იგი აღშფოთებაში მოჰყავს (“ესაა ჩვენი ცხოვრება”) ანადა მწარე და ნაზ ირონიას აღძრავს მასში

(“ჩემო შვინდავ”). ეს მისი გრძნობა ან ნათლად არის გამოხატული, ანადა დაფარულია თვით სტილში, ენაში, ნაწერის კილოში, ამიტომაც არის, რომ თუმცა ბ-ნი არაგვისპირელი გულის გამგმირავ სურათებს გვიხატავს კაცთა გათახსირებისა და გარყვნილებისას, მაგრამ მისი ნაწარმოები ყოველთვის მაღალხეობრივი ქმნილებაა, მეტად კეთილშობილის გრძნობების აღმძვრელი. რომანტიკოსია ბ-ნი არაგვისპირელი იმითაც, რომ ხშირად კაცის გაპირუტყვებისა და გაბოროტების მიზეზად საზოგადოებასა სახავს და კაცის პირად ღირსებას უმადლესად აყენებს საზოგადოების უგურ და დესპოტურ მოთხოვნილებაზედ. თვით ამ კრებულში არის ორი ამნაირის შინაარსის მოთხრობა. “აბრეშუმის ცხვირსახოცი” და “მომილოცნია ახალი წელი” ტიპური რომანტიული თხზულებებია. ჯერ ერთი, თვით გმირი ამ ორის ეტიუდისა ჩვეულებრივი რომანტიკული გმირია - ზნედაცემული დედაკაცი, რომლის გარყვნილების ბრალი სრულიად საზოგადოებას ედება. ბუნებით თვით პატიოსანი და კეთილშობილი არსება საზოგადოების უდარდებლობამ და უზრუნველობამ, საზოგადოებისგან შექმნილმა პირობებმა მიიყვანეს ამ დაცემამდინ. ერთი მათგანი, უფრო ნაზი და საბრალო, თავს იწამლავს და ამით შეინანიებს უნებლიეთ ცოდვას (“აბრეშუმის ცხვირსახოცი”). ხოლო მეორე გაშმაგებულია ბედზედ, რომელმაც იმ “მდგომარეობამდის მიაღწევია, რომ ერთადერთი ცხოვრების სახსარიც, მოძრაობაც, კი მოუსპო” და გააფთრებული და გულდათუთქული იმ საზოგადოებისგან, რომლის “მიკარება ადამიანს უწყალოდ სწამლავს”, რომელმაც “მისი გულწრფელი გრძნობა, მისი წმიდათაწმიდა უსინდისოდ შეულახა, მიწასთან გაასწორა, ტალახით შეთხუპნა და იქამდე მიიყვანა, რომ თავისს ხორცს ყიდვა დაუწყო”. აღელვებული დედაკაცი უკანასკნელს ღონეს მოიკრებს და, როცა ზედა სართულიდან მტანჯველ ადამიანთა მხიარულობის ხმა ჩამოესმება ახალ წლის მიგებების გამო, “გიჟივით ეზოში გავარდება. საჩქაროდ ნავთს მიახს-მოახსამს იმ კარებთან და ფანჯრებთან, საიდგანაც მხიარულება მოისმოდან”, ცეცხლს წაუკიდებს და შესძახებს - “ხა, ხა, ხა! მომილოცნია ახალი წელი”. ეს ეტიუდი ერთი საუკეთესოთაგანია იმ ძლიერის გრძნობით, რომლითაც იგი აღსავსეა და იმ ღრმა აზრით, რომელიც შიგ არის გატარებული, იმ ხელოვნურის შემოქმედობით, რომლითაც იგი აღბეჭდილია. მუდმივი უთანხმოება პირადობასა და საზოგადოებას შორის, მათ შორის სრული ანტაგონიზმი, საზოგადოების ცრუ მზრუნველობა, რომელიც მხოლოდ ხორცისა და სულის დამატყვევებელ ბორკილებში იხატება, ადამიანის გაქელვა და ფეხქვეშ გათელვა მამდართა და მშვიერთა, ბედნიერთა და უბედურთაგან, - ეს ერთი იმ უმთავრეს საგანთაგანია, რომელიც ჩვენს მწერალს აშფოთებს და აღელვებს.

რეალისტური მანერა ბ-ნი არაგვისპირელისა იმაში სჩანს, რომ საგნად თავისის ნაწარმოებისა იღებს უბრალო, ჩვეულებრივ მოვლენას. უმეტეს ნაწილად მისის ნაწარმოების გმირნი წარმომადგენელნი არიან საბრალო, უფერულის სინამდვილისა. ეს მეურმეები “ესაა ჩვენი ცხოვრებისა”, ეს გლეხის ბიჭი “ჩემო შვინდავ” - ისა, მთელი ეს შემთხვევა ყოველდღიური, თითქმის ყოველ წუთიერი მოვლენაა, სრულიად არავითარი არაა შიგ საოცარი, მოულოდნელი და არც ისეთი რამ ნამდვილი, რომელიც იშვიათად შეგხვდებათ ცხოვრებაში. რეალისტი ბ-ნი არაგვისპირელი და უფრო კიდევ ნატურალისტურის სკოლის მწერალი მისი შეხედულებით იმის შესახებ, თუ კაცს რა ადგილი უჭირავს ბუნებაში, - კაცთა, ბუნებისა და კაცის შორის დამოკიდებულების შესახებ; ნატურალისტი იმით, რომ თავისი მოთხრობების საგნად ირჩევს თვით უსამაგლესს და უსაზიზღრესს მოვლენებს და ამგვარად გვამცნებს თავის მწარე შეხედულებას კაცის ცხოვრების შესახებ. ის წინაღუდგა და ფეხქვეშ გასრისა ყოველივე ის, რასაც რომანტიკოსი და იდეალისტი თავიანთსა სცემდა: სიყვარული, მეგობრობა, კავშირი საზოგადოებისა და კერძო პირს შორის, რაიმე კეთილგანწყობილება ბუნებასა და კაცს შორის, კაცსა და პირუტყვს შორის. ამ გარყვნილ, ბინძურ ქვეყანაში არის ერთადერთი ნამდვილი მოვლენა, რომელიც იხატება ერთიმეორესთან საუკუნო და დაუსრულებელ შეუბრალებელ ბრძოლაში, მთელი ცხოვრება ქვეყანაზე, მსოფლიოზე, მარტო ომი, ჭიდილი და მეტოქეობაა, რომლის აზრი და საგანი მხოლოდ ისაა, რომ ერთმა მეორე გასწყლიტოს და გასრისოს და რომლის გვირგვინით მოსილი ბოლო “სისულელეა”.

ბ-ნი არაგვისპირელის განსხვავება ორის აღნიშნულ ლიტერატურულ სკოლიდან იმაში მდგომარეობს, რომ დიდ ყურადღებას აქცევს ფსიქოლოგიას, ადამიანთა სულის მოძრაობას, სულის მღელვარებას და სევდას, ფიქრს და მისწრაფებას. პატარა ნაწევრებში იგი იძლევა ხშირად ღრმა ფსიქოლოგიურ ეტიუდებს, რომლის ჩინებული მაგალითები ამ პირველ წიგნშიც არის (“ჩემო შვინდავ,” “მომილოცნია ახალი წელი”). გარდა ამისა, ბ-ნი არაგვისპირელი პოეტიც არის, მისი აღწერილება ბუნებასა და კაცს შორის დამოკიდებულებისა, ბუნების სურათების მომხიბლველის მოქმედებისა კაცზე ლირიზმით აღსავსეა და ა. ყაზბეგს გაგახსენებთ. აბა, წაიკითხეთ ზოგიერთი ადგილი “ესაა ჩვენი ცხოვრებიდან”, “გიულიდან” და დამეთანხმებით, რომ ჩვენ მართალი ვართ.



ბ-ნის არაგვისპირელის ერთ-ერთი უკანასკნელი მოთხოვნა “გიული” კი შედეგია ამ ჟანრისა, საუცხოვო ნაწარმოებია, პოეზიითა და ლირიზმით აღსავსე. ცხოვრება, რომელიც ავტორმა ამ მოთხოვნაში დაგვისურათა, სავსებით გვაჩვენებს ავტორის პოეტურ ნიჭს განსვენებულის ალ. ყაზბეგის ზედგავლენის ქვეშ გაზრდილსა და განვითარებულს. აქვე სჩანს ის ერთი ნაკლი ბ-ნის არაგვისპირელისა, რომელზედაც ჩვენ ბევრჯერ მიგვითითებია და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საზიზღარის სინამდვილის აღწერა ხანდისხან უაზროდ იტაცებს და სრულიად უადგილოდ ჩააჩხირებს ხოლმე ამგვარ სურათებს.

ჩვენ იმას ვერ დავუშლით ბ-ნ არაგვისპირელს, რომ ცხოვრების უმსგავსო სურათებიც გვიჩვენოს და ჩვენს ლიტერატურულს პირმოთნე მანჭიობას გვერდი აუქციოს. მაგრამ ყოველივესა თავისი ადგილი აქვს. შეიძლება ზემოაღნიშნულს სურათს სხვაგან ექნებოდა თავისი ადგილი, თავისი *raison d'être*-ი, მაგრამ აქ კი სრულიად უადგილოა, შეუხამებელია და მით უფრო ცუდს შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველებში. ჩვენ ზემოთ ევ. გაბაშვილის სახელი ვახსენეთ და ვსთქვით, რომ შიო არაგვისპირელი თავის პირველ მოთხოვნებში ევ. გაბაშვილის მიერ გაკვალულ გზას მისდევდა-მეთქი.

საინტერესოა, ეს ორი მწერალი ერთიმეორეს დაუპირდაპიროთ.

მეტად დიდი განსხვავებაა ქ-ნ ევ. გაბაშვილისა და ბ-ნ შ. არაგვისპირელის ნიჭსა, ნიჭის მიმართულებასა, ხასიათსა და თვისებაში. ეს ასეა, მაგრამ მაინც ფრანგული ანდაზა მართლდება, *Ies extremes se touchent*. ბ-ნი არაგვისპირელის ნიჭი მკაცრია, სევდით აღსავსე, უსასო და უნდო. ევ. გაბაშვილი კი აღტაცებული მორწმუნეა, იმედებით აღვსილი, კაცის სულისა და მოქმედების გაუმჯობესობისა და გამშვენიერების შესაძლებლობის მქადაგებელი. ბ-ნი შიო არაგვისპირელი რაღაც დემონურ სიამოვნებასა ჰპოებს იმაში, რომ ყოველ მოვლენას მოუნახოს ნაკლი, ყოველივე კაცის მისწრაფებისა და ლტოლვის ძირში სიმწარე და შხამი აღმოაჩინოს. ქ-ნი ევ. გაბაშვილისა კი, წინააღმდეგ, ნიადაგ იმის ძიებას და განმტკიცებაშია, რომ კაცს, რაც უნდა პირუტყვი იყოს, მაინც ღვთის სული აქვს ჩაბერილი და ადრე იქმნება თუ გვიან, თავისის ბუნების ღვთაებრივობას გამოიჩენს. ქ-ნი ევ. გაბაშვილისა ყოველ მოვლენასა და ყოველ საგანში საიმედოსა, სანეტაროს პოულობს და ნუგეშსა სცემს თავის თავსაცა და მკითხველსაც.

ეს სულ ყველაფერი ასეა, მაგრამ ხანდახან ქ-ნი ევ. გაბაშვილისა თავისის სიმკაცრით ბ-ნ არაგვისპირელსაც კი გადააჭარბებს და უსათუოდ არა ცოტა სიამოვნებას აყენებს ბ-ნ არაგვისპირელს, რომ მისის აზრის დამამტკიცებელ სურათებს გვაძლევს ხოლმე. ბ-ნი არაგვისპირელი, როგორც მწერალი, ისე როგორც ევ. გაბაშვილისა, გრძნობს ცხოვრების სიმწვავეს, ცხოვრების უმსგავსებას და ეს იმდენად უწამლავს გონებასა და აზრს, რომ არ შეუძლია წარმოიდგინოს და დაიჯეროს, რომ ეს მიწიერი ცხოვრება რამე საიმედოს იძლეოდეს. ულმოზელის ანალიზით დახსნის ხოლმე ის ყოველსავე მოვლენას, რაც უნდა წარმტაცი იყოს ეს მოვლენა, და ნათლად დაგანახვებთ ამ მოვლენის არსებითს გახრწნილებას. იგი კბილის ღრქენით იხსენიებს ყოველსავე მოვლენას დღეინდელის ცხოვრებისას და, თუ ხანდისხან იმას გაგრძობინებს, რომ თითქო უხარიაო ასეთის უცნაურის შემთხვევების გამოძებნა, თანაც არ შეიძლება არ შეიმცნოთ ის, რომ ავტორი სულითა და გულით იტანჯება, კვნესის და გოდებს, რომ ვერ ჰხედავს განხორციელებას იმ იდეებისას და გინდ იდეალებისას, რომელიც ვიღაც ჯადოქარმა ჩაუნერგა თავში და გულში. მას სწამს, რომ კაცთა შორის დამოკიდებულება უნდა იყოს წმინდა და ფაქიზი და ამის ნაცვლად დღეინადაც ჰხედავს, რომ ბუნება ადამიანს ისე ექცევა, როგორც გულგრილი და გულქვა დედინაცვალი; მასა ჰგონია, რომ საზოგადოება თავის შვილს - ადამიანს, - უნდა აღმოუჩენდეს ნიადაგ მფარველობას, სიყვარულს და მშობლიურ მზრუნველობას, ნამდვილად კი სულ სხვას ამჩნევს: საზოგადოება სდევნის და ჯვარს აცვამს თავის საუკეთესო შვილებს. ეს ყოველივე მის გულს დაუსრულებელ განსაცდელში აგდებს, სამუდამო უსასოებითა და ვარამით ავსებს და ის მკაცრად და ულმოზელად ებრძვის ყოველსავე მოვლენას, რომელიც მისის წმინდა შეხედულების დამრღვევია და შემაგინებელი, და ამიტომ არის, რომ ბ-ნი არაგვისპირელი ასეთის სისასტიკით სტუქსავს სიყვარულის შემზღალველს, მეგობრობის შემაგინებელს, პირადობის შემლახველს და სხვ.

მართალია ბ-ნი არაგვისპირელი თავისის მოთხოვნებით იმნაირ ცხოვრების სურათებს გვიხატავს, სადაც მხოლოდ შური და მტრობაა, მძულვარება და ღალატი, დაუნდობლობა და უგულობა, მაგრამ იმას ეს კანონიერ მოვლენად არ მიაჩნია, მას სხვა სურს, სხვას ელტვის და როცა ეს სხვა, ეს მისი იდეალური წარმოდგენა არ პოულობს განხორციელებას გარყვნილ წუთისოფელში, წყევლა-კრულვით იხსენიებს ამ ცხოვრებას.

ქ-ნ ევ. გაბაშვილისას კი კეთილი არა თუ მიუცილებლად მიაჩნია ცხოვრებაში, მისის აზრით, ეს კ ე თ ი ლ ი უკვე განხორციელებულია ზოგში და ზოგში კიდევ მეტი განვითარება მოელის. ამიტომაც, როცა მისის აზრისგანვე განხორციელებულად მიჩნეული კეთილის გვერდით უკეთურს ხედავს, რომელიც ამ სიკეთეს ჩრდილს აყენებს და ხელს უშლის, არანაკლებ სიმკაცრესა და სისასტიკეს იჩენს, ვიდრე ბ-ნი არაგვისპირელი. როცა ბ-ნი არაგვისპირელი ცხოვრების უმსგავსო მოვლენას გვიხატავს, მას თითქო კიდევაც უხარია ერთის მხრით, რომ მისი აზრი მტკიცდება და ცხოვრებაში არაფერია ხეირიანი, და იგი მაშინ საზოგადოდ მთელის ცხოვრების წინაშე გამოდის ამხედრებული. ხოლო, როცა ქ-ნი ევ. გაბაშვილისა დაინახავს ცხოვრებაში ცუდს რასმე, ეს მას აბრაზებს, მოთმინებიდან გამოიყვანს ხოლმე, რადგან იგი არღვევს მის წმინდა ოპტიმისტურ შეხედულებას ცხოვრებაზე, მაგრამ იგი მთელის ცხოვრების მაწყვეარი მაინც არ არის, არამედ იმ მოვლენას უთავაზებს მთელის თავისის გატაცებულის არსების ზიზღსა და აღშფოთებას, რომელმაც შეიტანა დისონანსი მის ჰარმონიულ წარმოდგენაზე ცხოვრებაში. ბ-ნი არაგვისპირელისათვის ესა თუ ის გულის ამრევი ფაქტი ერთი მრავალ სურათთაგანია ბიწიერის ცხოვრებისა; ქ-ნი ევ. გაბაშვილისთვის ესა თუ ის საზიზღარი მოვლენა ცხოვრების მშვენიერის და მწყობრის მიმდინარეობის ამრევი-დამრევი და ამიტომაც დასაგმობი. ბ-ნი შ. არაგვისპირელი მთლად მთელს დღევანდელს ცხოვრებას ეკიდება სასტიკისა და მკაცრის უარის ყოფით, მხოლოდ იმ მოვლენას უცხადებს დაუძინებელ მტრობას, რომელიც ცხოვრების დიად სურათს ასახიჩრებს.

ბ-ნი არაგვისპირელი საზოგადოდ ლიტერატურის ახალი მიმართულების გამომხატველია. სიმბოლიზმის იმ შტოს ეკუთვნის, რომელსაც ჩვენ ნეორომანტიკებს ვეძახით. მის თხზულებებში კი გატარებულია ის აზრები და გრძნობები, რომელიც ადევებს თანამედროვე მოწინავე საზოგადოებას. ბ-ნი არაგვისპირელი მშვენივრად გაგრძნობინებს თანამედროვე უსასოებასა და ურწმუნობას; წყევითა და კრულით ეპყრობა ეხლანდელი გათახსირებული და გარყვნილი საზოგადოების ზნე-ჩვეულებას, მის ფარისევლურ პრინციპებს, მწარე და ნაღვლიან ირონიას და სასტიკ კალმის ქვეშა ჰყავს გატარებული ყოველივე მოვლენა, რომელიც კი მის ნიჭს ცხოვრებაში აღუნიშნავს და ამით იგი საყვარელი მწერალია ახალ თაობისა, თუმცა ამ ახალთაობის ავადმყოფის სულის და ამ შფოთვა-ვაების დასურათება ჯერჯერობით არ ეხერხება შეიძლება იმიტომაც, რომ ეს საგანი მეტად ახლოა მასზე და მეტად დაკავშირებულია მასთან. მაგრამ მისი ნაწერების აღშფოთებული კილო ყოველისავე იმის მიმართ, რაიცა შეადგენს დღეინდელის ცხოვრების საზიზღარ მხარეს, მისი სისასტიკე სიბინძურისა, პირფერობისა და ყოველგვარ ღალატისა და ფლიდობის მიმართ, მისი მწარე კილო, ხანდისხან ირონიით შეზავებული, მისი ცოდნა ადამიანის სულის მიმალულ კუნჭულებისა და მისი ლირიზმით აღსავსე აღწერილობა ბუნებისა და ველური ცხოვრებისა, ბ-ნი არაგვისპირელს ქმნის მჭიმუნვარებით აღბეჭდილ ახალგაზდა მწერლად, რომელსაც ბედმა არგუნა ჩვენს მწერლობაში ახალი ხანის დაწყება. ბ-ნი არაგვისპირელი ახალგაზდა მწერალთა შორის ყველაზე უფრო ღრმა ფსიქოლოგია და ყველაზე უფრო სერიოზული მორალისტი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით; ადამიანის სულიერ ცხოვრების მოვლენას იგი ნესტრით ჰკვეთს, ანაწილებს და, რაკი დაინახავს გულის ამრევი მოვლენას, ზიზღსა და აღშფოთებას გადმონათხევს უმსგავსოების წინააღმდეგ: ყოველსავე ფრაზაში, ყოველსავე სიტყვაში იხატება ეს მისი აღშფოთება, ეს მისი უკმაყოფილება დღეინდელის ცხოვრებით, რაიცა საპატიო ადგილს აძლევს საუკეთესო მომავლის ერთ-ერთ მომქმედ ნიჭიერ არსებათა შორის.

ის, ვინც მირს უთხრის დღეინდელობის გარყვნილებასა და გათახსირებას, გზას უკაფავს კაცობრიობის ძლევადასილ მომავალს.

### დავით კლდიაშვილი (1862 - 1931)

#### I

“ეს კაცი... სწორედ შეეცოდებოდა კაცს, რომ თვით ამზავი სასაცილო არ ყოფილიყო”.

აი, ბ-ნი კლდიაშვილის მოთხრობების მთავარი აზრი და, თუ გნებავთ, აი, მთელი აზრი ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ბეჩავის და საცოდავის ცხოვრებისა. სწორედ, საცოდავი ვიქნებოდით ადამიანები, რომ თვით მთელი ჩვენი ცხოვრება სასაცილო არ იყოს. დიად, სასაცილო ვართ ყველანი ჩვენ და თანაც შესაბრაღისნი: სასაცილოა და შესაბრაღისი ყოველივე ჩვენი აზრი, გრძნობა, მისწრაფება, ლტოლვა, კვნესა, ვაება, სიხარული და ბედნიერება. სასაცილოა მით, რომ არა, რაა საუკუნო, დაუსრულებელ უფსკრულთან შედარებით. შესაბრაღისია მით, რომ სიკვდილისა და გახრწნილების ბეჭედი ასვია ყოველიფერს. შესაბრაღისია და სასაცილო ისიც, ვინც ამასა გრძნობს

და კიდევ ეპრიანება მსოფლიო კომედიაში როლის აღსრულება. სასაცილოა და შესაბრალისი ისიც, ვინც ამას ვერა გრძნობს და ბრმა, ყურმოჭრილი აღმასრულებელია ცხოვრების ფარსისა. ბ-ნი კლდიაშვილის მოთხრობები ამგვარის ნაღვლიანის აზრების აღმძვრელია და ამგვარი სევდიანი კილო მისი მწერლობისა დიდად განირჩევა სხვა მის თანამედროვე მწერალთა ნაღვლიანის კილოსაგან. ეგ რბილი, ლმობიერი, ირონიით შეზავებული ნაღველი, პესიმიზმი ბ-ნი კლდიაშვილისა სრულიადაც არ წააგავს მკაცრს, სასტიკს და შეუბრალებელს პესიმიზმს ბ-ნი შიო არაგვისპირელისას. თუ დავით კლდიაშვილი ერთის ხელით გულს დაგიკოდავს, მეორეს ხელით მალამოს წაცხებეს. თუ გულის ამრევ სურათს დაგიხატავთ, თანაც ამ სურათის სასაცილო მხარეს დაგანახებთ, წარმოსადენად მომზადებულ ცრემლს თვალის გუბეში შეაჩერებს და თქვენს ბაგეებზედ გამოიწვევს ღიმილს, რომელიც ბოლოს სიცილადა იქცევა. ეს კია, რომ ბ-ნი კლდიაშვილის ნაწერებისაგან გამოწვეული სიცილი ყოველთვის ცრემლ-ნარევია და ცრემლი სიცილის კარებთანა სდგას. ეს გახლავს ინგლისელ მწერალთა ირონიული კილო წერისა, ანუ იუმორი. ეს ცრემლით შეზავებული სიცილი და სიცილით გაბრწყინებული ცრემლი - სატირაა დიკენსისა და ტეკერისა და სულაც არა ჰგავს აღმფოთებულ და უღმობელ სატირას ფრანგთა მწერლებისას. ეს მეორე ჯოჯოხეთურის ხარხარის მსგავსი სატირაა ვოლტერისა, რომელიც ჩვენში ილია ჭავჭავაძესა აქვს შეთვისებული და მის “კაცია-ადამიანში!” სავეებით გამოხატული.

აბა, გადავავალიეროთ დ. კლდიაშვილის საუკეთესო მოთხრობები - ეს ეპოპეა გაღატაკებულ და გაკოტრებულ აზნაურობის ცხოვრებისა.

აგერ, ხელმოკლე აზნაური “სოლომან მორბელაძე”, რომელსაც მაჭანკლობა ხელობად გაუხდია, “იმ ოხერი გრომის მოსაპოვებლათ”. კარგად ესმის სოლომანს, რომ ამგვარი წაწალიდან არა გამოდის რა, გარდა დაუსრულებელის ერთმანეთის მოტყუებისა, “მაგრამ რა ჰქნას ღვთისგან დაწყევლილმა ხელმოკლე, უსაშვალო, გამაღლებულმა აზნაურმა?” იმგვარ პირობებშია აღზრდილი, იმგვარის ტრადიციებითა და ატმოსფერითაა გამოკვებული, რომ მუშაობას, ნაყოფიერ შრომას ხელს ვერ მოჰკიდებს და მარტოდენ და მხოლოდ ასე წაწალით უნდა არჩინოს მშვიერი ოჯახი და თვითაც სიამოვნება და დროს გატარება არ მოიკლოს. სოლომანისთანა აზნაურისათვის ფულის შოვნის ერთადერთი წყარო, ერთადერთი საშუალება - ეს მაჭანკლობაა. ყოველი მისი ღვაწლი ამ სფეროში იმით იწყება, თვით მოატყუებს ხოლმე, იმით თავდება, მას მოატყუებენ და იმით დაგვირგვინდება, რომ მისგან მოტყუებული ხვალ-ზეგ კარზედ მოადგება და მიაყენებს ყოველსავე უსიამოვნებას, რომელიც თან სდევს კაცის მოტყუებას.

სოლომან მორბელაძე გაურიგებს ბესარიონ საქარამის ქალიშვილს ქაიხოსრო ქათამაძის ვაჟს ნიკოს, რომელსაც ის იყო სემინარია დაემთავრებია და სამღვდელოდ იყო გამზადებული. როგორც ჩვეულებადაა, ქალისათვის მზითევი უნდა მიეცათ და მორიგებულიც იყვნენ. ბესარიონს ქაიხოსროსათვის ხელში უნდა მიეცა ორმოცი თუმანი, ხოლო ოცი თუმნის თამასუქი და ოცი თუმნის ბარგი (თამასუქს, რასაკვირველია, იმ იმედით აძლევდა, რომ, ჩვეულებისამებრ, მერე კაპეიციც აღარ გადაეხადა). საქმე გაჩარხული იყო, რომ ბესარიონმა უეცრად უარი განაცხადა: აღარაფრისათვის აღარ დასთანხმდა ნაღდათის თუმნის მეტის გაღებას. ქაიხოსრო - სასიძოს მამა - მეტად გადაჟინებული კაცი იყო და არაფრისთვის არ დასთანხმდებოდა ამგვარად პირობის შეცვლას. ამიტომ სოლომანმა ბევრის ფიქრისა და თავისტეხის შემდეგ, თვით ბესარიონის დახმარებით, შემდეგი, ასე ვსთქვათ, “ხრიკი” გამოიგონა. მარტო სასიძოს გაუმჟღავნა ეს ამბავი. ქორწილის დღე დანიშნეს. მაყრიონი და სასიძო მოვიდა. ქაიხოსრომ ფულების ჩაბარება მოითხოვა, მაგრამ დაპირებულის მაგიერ ოცდაათი თუმანი მოუტანეს. ამან ძალიან გააბრაზა ქაიხოსრო, მაგრამ ზოგი შვილის მუდარებამ, ზოგი ერთის დარბაისელის აზნაურის ვედრებამ გული მოუღბო და თანხმობა განაცხადა, შვილს ჯვარი დაეწერა. სასაცილო და თან შესაბრალის მდგომარეობაში მარტო სოლომანი ჩავარდა. ოცნების მთელი კომპეტი ჰქონდა აშენებული სამაჭანკლოზედ: ცოლს გულს უკეთებდა, “იმისთანა ტკიცინა წითელ-წითელ თუმნიანებს მოგიტან, თვალები აგიბრჭყვიალოსო” და ბოლოს კი ექვსისა და ათის თუმნის მაგიერ “ექვსი მანეთი და ორი აბაზი მიიღო და ერთი ხარის ტყავი”. ეს ექვსი მანეთიც სასიძომ მისცა და ისე, რომ ქისაც კი დაიბერტყა, თორემ ბესარიონმაც და ქაიხოსრომაც საწყალი სოლომანი პირში ჩალაგამოვლებული გაისტუმრეს.

აჰა, მთელი არაკი მოთხრობისა, - თითქმის ყოველდღიური, ჩვეულებრივი ამბავი დაწვრილმანებულის ცხოვრების ერთის კუნჭულის ნაფლეთი. მაგრამ, აბა, დაუკვირდით, ჩაიხედეთ მის სიღრმეში და ნახავთ, რამდენი ტრაგიზმი, ტანჯვა-ვაებაა შიგ ჩაქსოვილი. სოლომანის ცუდად თრევა და წაწალი, უნაყოფოდ შრომა, სრულიად გამოუსადეგარი, დაუსრულებელი ტყუილები “წყეულის გრომის” გულისათვის, მისი გაცრუებული, დამხვრეული იმედები - სულყველაფერი ეს მთელი დრამაა ხელმოკლე კაცის ცხოვრების ნიადაგზედ

ადმოცნებული. ხოლო, ცოტა რომ განვასაზოგადოთ ეს მოვლენა, თვით უდიდებულესის კაცის ცხოვრებაც ასეა. რამოდენი შრომა და ჯაფა სჭირდება ხოლმე ადამიანს, რამოდენი, ეგრეთ წოდებული “კომპრომისი”, დათმობა თავისი ზნეობრივის და საზოგადოებრივის რწმენისა, რომ იდეალს მიაღწიოს, აღნიშნული მიზანი განახორციელოს და ბოლოს კი იდეალიც განუხორციელებელი რჩება და გული მწარე ნაღველით ევსება, რომ მრავალი უსიამოვნება და ურიგობა შეხვდა სრულიად უსარგებლოდა და უნაყოფოდ.

ეხლა დაუკვირდით, რა ცოცხლად არის აღწერილი ამ მოთხრობის საგნად აღებული ერთი მომენტი, ერთი ნაგლეჯი, ნაწილი ცხოვრებისა. მწერალს ეს მომენტი მეტისმეტად კარგად შეუსწავლია, ყოველის მხრით გაუთვალისწინებია, გაუზომავს და აუწონია და ამიტომ თვით ისეთი ადგილები, რომელნიც ჩვეულებრივ მწერალს უყურადღებოდ გამორჩებოდა, მკაფიოდა აქვს გამოხატული. აიღეთ, თუგინდ სოლომანისაგან მისი მოვალე პლატონის დაუსრულებელი პატიჟი, იმ რწმუნებით კი, რომ “ერთი-ორი შეპატიჟებით არ დარჩებოდა”; გინდ ამ გაიძვერა მაჭანკალის ბაასი ბესარიონთან (სასძლოს მამასთან), მისი გულდაწყვეტილი წასვლა და მერე ბესარიონის უკან დადევნება; აიღეთ მთლად მთელის ქორწილის აღწერილობა, სოლომანის გაბიაბრუება და “მოდორება” ორივე დაქორწილებულთა მამებისაგან; საბრალო ახალ კურს დამთავრებულ სემინარისტის უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნა და მისგან სოლომანის შეწყნარება. - ერთი სიტყვით, მთელი მოთხრობა ისეთი დრამატულის კომიზმით არის სავსე, მზადა ხართ ცრემლები დააფრქვიოთ, რომ “თვით ამბავი სასაცილო არ იყოს”.

რა მშვენივრად არის დასურათებული საბრალო სოლომანის სულის მდგომარეობა მის მოქცევაში მის განუყრელ ჯორთან. როცა ბესარიონმა პირობა შეუცვალა და მისთვის ცხადი შეიქნა, რომ სამაშვალო ხელიდან ეცლებოდა, “მწუხარე, გულნატკენი, და გულ-ამღვრეული სოლომანი მიაჩაქჩაქებდა აღმართ-დაღმართებში თავის ჯორს და წამდაუწუმ დეზებს სცემდა საწყალს პირუტყვს, რომელსაც სრულიად ვერ გაეგო, რა დაეშავებინა ასეთი თავის პატრონისათვის. სოლომანი დღემდე კარგად ეპყრობოდა ჯორს, დღეს კი ტყვილა-უბრალოდ ემდენი ცემა-ტყეპა მიაყენა. გაკვირვებული, თან შეშინებული და დამფრთხალი ჯორი მირბოდა და მისდა უნებურად, ხან კოლბოხებს წაჰკრავდა ფეხს, ხან ქვას, წაიფორხილებდა ამის გამო და, რასაკვირველია, ახლა ამიტომ აგინებდა და ლანძღავდა პატრონი”. როცა სოლომანმა ნიკოსთან (სასიძოსთან) მამის მოტყუების საქმე გაჩარხა და ამგვარად მისი მაჭანკლობა დაგვირგვინებულად მიაჩნდა, “გამარჯვებული მაშვალი ახლა მხიარულად მიაჩაქჩაქებდა სადამოზე ჯორს თავის სახლისკენ და ერთხელაც არ უთქვამს წყრომის სიტყვა თავის დაუღალავის ამხანაგისათვის”. ხოლო, როცა მისი ხელობის საქმე ჩვეულებრივად გათავდა და მისგან მოტყუებულთ მერმე თვით იგი ყინულზედ გააცურეს, სასოწარკვეთილმა, საბრალო მაჭანკალმა ღვთის გმობაც დაიწყო და თანაც “მ ი ს ი გ უ ლ ი ს ი ბ რ ა ლ უ ლ ი თ ა ი ვ ს ო ყ ო ვ ე ლ დ ვ თ ი ს გ ა ჩ ე ნ ი ლ და და ჩ ა გ რ უ ლ ი ს ა დ მ ი; ამათ რიცხვში, რასაკვირველია, თავის ჯორისადმიცა, რომელიც (ე. ი. ჯორი) თუმცა ბევრს ვერაფერს სიამოვნებას ხედავდა თავის ღარიბის პატრონის ხელში, მაგრამ მაინც ყოველთვის მისი მორჩილი, ერთგული მოსამსახურე, ხანდახან ამხანაგიც იყო და რომელიც აგერ ახლაც თავდაუზოგველად მიაქროლებდა სახლისკენ თავის ნაღვლიანს, შავ-უკუღმა ფიქრებში წასულს ბატონსა”. ერთის სიტყვით, ყოველი სიხარული და ყოველივე მწუხარება საწყალის ჯორის ზურგსა ხდებოდა და ეს ჯორი ჩვენთვის, მკითხველთა და გარეშე მაყურებელთათვის, იმ თერმომეტრის როლსა თამაშობს, რომელიც სოლომანის სულიერის სიციხის რაოდენობას გვაჩვენებს ხოლმე.

დიდის ხელოვნებით არის აღწერილი, სწორედ გითხრათ, ეს დაუბოლოებელი ერთმანეთის მოტყუება, ისე კი, რომ მომტყუებელიც და მოსატყუებელიც კარგადა გრძნობს თავიანთის სიტყვების სიყალბეს, რომელიც შეუმჩნეველი არც ერთ მხარეს არა რჩება. კარგად იცოდა სოლომანმა, რომ თუ არ წინდაწინ, საქმის გათავების შემდეგ ბესარიონი ერთს გროშსაც არ მისცემდა და ტყვილა-უსაფუძვლოდ ინანიებს, რად ვენდო. კარგად იცოდა თავიდგანვე, რომ ბესარიონის ნდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ რა ექნა? არ ენდობოდა და საქმე ჩაიშლებოდა და საქმის გაჩარხვისაგან იქნება ერთი ბეწო რამე მაინც ემოვა. ეს “სიკვდილს მერე სინანული” და “ბოლოს თითხედა კბენანიც” ხომ ისე, თავის მოსატყუებელ წამლად არის ნახმარი.

გადაიკითხეთ ეს სიტყვები, რომელიც უდიდესის კომედიის ფინალია და ნახავთ, რა ტრაგედიაა შიგა: “მოიტანე, ბატონო, მაგ მაინც მოიტანე... - ემუდარება ფულის მოცემას სოლომანი ახალ ჯვარდაწერილ სემინარისტს, - თვარა მაგიც დაკარგული შეიქნება ჩემთვის. გასაროზგავი ვარ, ამნაირ კაცებთან რომ შევები, მარა გვიანდაა, მე კი ჩემი დამემართა, მარა ღმერთი მოწყალეა, ერთ დღეს იქნება ჩვენსკენაც გადმოიხედავს მზე... ჰმ, პატიოსან სიტყვას ვენდე! მშიერ კაცს სადა აქვს ღონე, თავის პატიოსან სიტყვას გაჰყვებს... მე სულელმა ეს რავა ვერ ვიფიქრე! ამ დაწყევლილ

ხელობაში მაინც რა არ შეგემთხვევა, რა?! მოგუშვა ხელი? წაწალსა და ათას უსიამოვნებას გადარჩები კაცი, მარა ეს ოხერი გროში რომ გჭირდება, სად უნდა იშოვო? რითი უნდა იშოვო?” - გამწარებით ამბობდა სოლომანი.

რა შესაცოდებელ მდგომარეობაში იყო ეს საწყალი, გროშისათვის თავის დამცირების გადამტანელი და ყოველ ჟამს მოტყუებული მაჭანკალი, “როცა თვალწინ მისი მოვალე პლატონის სახე წარმოუდგებოდა, ანდა ცოლი გაახსენდებოდა... რარიგად იქადოდა ამ უკანასკნელთან, თუმნიანებს მოგიტანო და ახლა რას მიუტანს? ვაი, სირცხვილო! მხოლოდ ექვს მანეთს და ერთს ხარის ტყავს; ჰმ, ხარის ტყავი; რა საგანძურია?! სირცხვილს კიდევ გადარჩება, მარა პლატონის ვალის გასასტუმრებელი სადაა, სად? სად იშოვოს ეს ოხერტიალი?” შესაბრალისია და თან სასაცილოც მისი მდგომარეობა, შესაბრალისია იმიტომ, რომ გაჭირვება მოაკიდებინებს ხელს ასეთ უკადრისს ხელობას. “წყეული გროში” საჭიროა თვით მიუცილებელის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ამ “გროშის” მოსაპოვებლად კი ერთადერთი საშუალება მიუგნია: მაჭანკლობა. რა თქმა უნდა, არასასიამოვნო ხელობაა ეს ხელობა, ძალიან უიმედო სახსარიც არის, მაგრამ რა ჰქნას საბრალომ? ეს ერთი იმ უმრავლესთაგანია, რომელიც ბუნებისა და ცხოვრების გარდუვალ კანონების ყურმოჭრილი ყმა გამხდარა. სულის ძალა განგებას მისთვის არ მიუნიჭებია, ხოლო მისის გონების გავარჯიშების შესახებ თავი არ უმტვრევია არც მშობლებსა და არც საზოგადოებასა, რათა უფრო მჭრელის იარაღით აღჭურვილი გამოსულიყო ცხოვრებისათვის ბრძოლის ველზედ საომრად. აი, ამიტომაც ხელი მიჰყო ასეთს უმადურსა და უსარგებლო საშუალებასა, რომელიც მის კაცობრიულ ღირსებას ამცირებს. განა თვით ვერა გრძნობს თავისის ხელობისა და ცხოვრების სიბეჭავესა, უბადრუკობასა და უმსგავსოებასა? - “ღმერთმა დასწყევლოს ამნაირი გამაღლებული ცხოვრებაც!.. დასწყევლა ღმერთმა ხელმოკლე აზნაურის უსაშვალო, გამაღლებული ცხოვრება! რითი გამოაქვთ თავი, მეტი გზა რომ აღარა აქვთ? ტყუილი, ტყუილი ყოველ ნაბიჯზედ ტყუილი, და უპირულობა. რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წაწალიდან; მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზედ მომადგება კიდევ! საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს”. - რა კარგად გაუგია ავტორს ამგვარ ბედურულთა მდგომარეობა, რა ღრმად ჩაუხედავს მათ გულში და რა ნათლად გვიჩვენებს ტანჯვით სახსე სასაცილო არსებას!

ავტორი სასაცილო მდგომარეობაში აყენებს თავის გმირებს, მაგრამ თანაც ებრალება იგინი. ებრალება იმიტომ, რომ სასაცილონი არიან. ეს სიბრალოლი გამოხატულის ცხოვრებისადმი, რომლითაც გამსჭვალულია მთელი მოთხრობა, ღრმად გაფიქრებთ, ღრმა გრძნობებს იწვევს თქვენში. ბ-ნი კლდიაშვილი, რასაკვირველია, კარგად ხედავს ამ ცხოვრების სასაცილო მხარეებს, ნათლად გვიჩვენებს ამგვარის ცხოვრების უნაყოფობასა და უმნიშვნელობასა და საკმაოდ გვაზიზღებს ასეთს პირუტყვულს ცხოვრებას. მაგრამ თანაც მისი გული “სიბრალოლით სავსეა, ყოველ ღვთის განჩენილ და დაჩაგრულისადმი”, ბედისაგან მოძულეებულ ყოველ ადამიანისადმი. აი, ამ სიბრალოლს გვინერგავს ავტორი გულში და გვაგრძნობინებს კიდევაც, რომ მოვალეობაა ყოველივე შეგნებულის ადამიანისა, ამგვარ გაცუდებულ ცხოვრების წარმოშობელ მიზეზებს შეებრძოლოს, მათ მოსპობას ეცადოს.

## II

ეხლა გავიხსენოთ გადარიბებულის აზნაურიშვილის, პლატონ სამანიშვილის დარდი და ვარამი იმის გამო, რომ ახლად დაქვრივებული მამამისი ცოლის შერთვას აპირებს და ამით უმზადებს მის ცოლსა და შვილს და მთელ ოჯახს, ისედაც ღარიბის ლუკმის შემცირებასა. პლატონი, რაკი ბეკინას გაჯიუტებას ვედარას მოუხერხებს, საქმეს სხვარიგად შემოუვლის და ისეთ საცოლის ძებნას შეუდგება, რომელიც “ორი ნაქმარები იყოს და არც ერთისაგან შვილი არ მიცემოდეს”. ამ სურვილს, როგორც იქნება, მიაღწევს პლატონი, მაგრამ განგება თურმე სხვარიგად სჯიდა და “ორ ნაქმარები” ბეკინას ხელში დაორსულდა. ერთადერთი უკანასკნელი იმედი კიდევ ის დარჩენოდა მთელ ოჯახს, იქნება დედინაცვალს, “გოგო” ჰყოლოდა, მაგრამ ამაშიაც უმუხთლა ბედმა პლატონს და დედინაცვალს შეეძინათ ვაჟი, რომელმაც საცხოვრებელი შუაზედ უნდა გაუყოს პლატონ სამანიშვილს.

აბა, ჩაუკვირდით და ნახავთ, რომ ეს ამბავიც სასაცილოა და სატირალიც. სასაცილოა, რომ კაცი, ეს “გვირგვინი” ბუნებისა, დაწვრილმანებულა და დაბეჭავებულა, მთელ ტრაგედიად გარდაქცევა მამის ცოლის შერთვა და ამით მოსალოდნელი მამულის გაყოფა. ჩვენი წარმოდგენა კაცის შესახებ, მის დანიშნულებისა, მის აზრისა და გრძნობის შესახებ, სრულიადაც ვერ შეურიგდება და ვერ მიიღებს სევდა-ვაებას, რომელიც ამგვარ უბადრუკსა და სასაცილო ნიადაგზედაა აღმოცენებული

და მთელ ტანჯვა-წამებად გარდაქცეული. მაგრამ, რაკი ავტორი ამ უფერულს ცხოვრებაში შეგვიტყუებს, რაკი ერთს წუთს მიგვაფიქვინებს ჩვენს წარმოდგენას ადამიანის შესახებ, გვეცოდება და გვებრალება ეს გაჭირვებული, გადატაკებული “აზნოუშვილი”, რომელსაც ლუკმის მოსალოდნელი შემცირება პირუტყვადაც კი გარდააქცევს. გვებრალება ეს საცოდავი არსება და თითქმის კანონიერად მიგვაჩნია მისი საყვედურები მამის მიმართ, მისი სურვილი და ძებნა “ორ ნაქმარების” ქალისა; მისი გაჭირვება, მისი კომპრომისები, მისი იმედისა და ოცნების გაცრუება, მისი სასოწარკვეთილება და უსასოება როგორღაც ჩვენთვის თანდათან გასაგები ხდება; რაღაც ნათესაურ კავშირსა ვგრძნობთ ამ უბედურ და ბეჩავ კაცუნასთან. მისი დარდი და სევდა თანდათან ჩვენ გულსა ხვდება და ჩვენში თანაგრძნობას აღძრავს. რამდენად უფრო და უფრო ვეცნობით ამ ცხოვრებას, იმდენად უფრო და უფრო სიმშვიდე და მორჩილება ავსებს ჩვენს არსებას და თანდათან ჩვენში ფესვებს იდგამს მწარე ეჭვი კაცის დიადობის შესახებ.

ყოველის კაცის აზრი და გრძნობა, რაც უნდა დიდი იყოს იგი, ეგრევე უბადრუკი გამოჩნდება, თუ შეადარებ ცხოვრების მწვავე მხარეს, სიცოცხლის უცნაურის დასასრულის გამოურკვევლობასა და მიუწოდომელობასა. ყოველი ადამიანი ეგრე სასაცილო და საბრალო ხდება, თუკი მისი ოცნების ზრდასა და დაქვეითებას გავითვალისწინებთ. ყოველის ადამიანის დიადი სურვილები ეგრე დაექანება ხოლმე უფსკრულისაკენ, როგორც პლატონა სამანიშვილის წვრილმანი ნატურა. ისტორია და ცხოვრება, ბუნება და მათის სასტიკის კანონების უღმობელობა თანდათან ფრთებსა ჰკვეცავს ჩვენს გიჟურს, აღტაცებულს უსაზღვრო ლტოლვილებასა და სურვილებს და ცდილობს ამ სურვილების შეზღუდვასა და შეზოჭვას, მათ კალაპოტში ჩაყენებას. ნიადაგ იმის ცდაში ვართ, ჩვენი მიუწვდომელი ოცნება განვახორციელოთ, ხორცი შევასხათ მას და ამ მოსაზრებით თანდათან შევამცირებთ ხოლმე, უფრო და უფრო ვიწრო ფარგალში ვამწყვდევთ, მაგრამ ყოველივე ცდა ამაოა. გონებაგამოურკვეველი, ფატალური ბედი, განუსაზღვრელი კანონი ცხოვრებისა თავის დიადს და ბრწყინვალე მსვლელობას შეუდრეკელად ასრულებს და ფეხქვეშ სთელავს ყოველსავე ჩვენს მოსაზრებას, ყოველსავე ჩვენს დიპლომატიურ ოინებს და კომპრომისებს. პლატონა სამანიშვილი და ნაპოლეონი ორივე “მორჩილი ჭიაა”, მიუწვდომელისა და აბსოლუტურის განგებისათვის. ნაპოლეონის სურვილი საცისქვეშეთო იმპერიის შექმნისა ისეთსავე უბედურად გათავდა, ისეთსავე სასაცილო ოცნებად შეიქმნა, როგორც პლატონას სურვილი მამულის განუყოფლად შენარჩუნებისა. პირველ შემთხვევაში ისტორიის მსვლელობის იარაღად ვიღაც უმნიშვნელო გენერალი შეიქნა, რომელიც კაცობრიობამ გენიოსად მონათლა; მეორეში კი ცხოვრების კანონების აღმასრულებლად შეიქნა ვიღაც საწყალი, გულჩვილი და მორჩილებით აღსავსე “ორნაქმარები” - მეორე ცოლი ბეკინასი.

ამგვარი ფიქრები აგეშლებათ ბ-ნი კლდიაშვილის მოხსენებულის მოთხრობის კითხვის დროს და გასაცინებლად მომზადებული თქვენი პირისსახე სამელოვიარო გამომეტყველებას ღებულობს და მზადა ხართ, მწარე ცრემლები დაღვართ, თუ ამ დროს არ გაგახსენდათ პლატონა და მისი “გახრეკილი”, ზურგგადატყაული ბედაური და მათი მოგზაურობა. ხოლო, თუკი ეს გაგახსენდათ, ისევე ღიმილი მოგერევათ, წიგნს დახურავთ და იტყვიან: “სწორედ შეეცოდებოდა კაცს ეს ადამიანი, რომ თვით ამბავი სასაცილო არ ყოფილიყო”.

### III

მართალია, კაცის ოცნება ცხოვრებისაგან თითქმის უმეტეს ნაწილად შემუსვრილი რჩება, მაგრამ კაცი სიმხნევეს მაინც არა ჰკარგავს. ერთი იმედი გაუცრუვდება, სხვა ახალი იმედი დაებადება, ერთ რამეში განიცდის სასოწარკვეთილებას, სხვა რამეში სასოება ფრთას შეისხამს. კაცის რთულისა და მრავალფერის ცხოვრების ნიშანდობლივი თვისება სწორედ ის არის, რომ მისი იმედი, ოცნება და სასოება ჰქრება და თანდათან ახალი ჩნდება. მთელი მისი ცხოვრება ბრძოლაა დაუსრულებელი საწადელ ოცნების მისაღწევად და თანვე დაუბოლოებელი დამარცხება ამ ბრძოლაში, რადგან, რამდენსაც ახლო მივა სალტოლოველ საგანთან, იმდენად ეს საგანი მისგან შორს გაიწევეს. ადამიანის ცხოვრების მხატვრული გამომსახველი სიზიფის მითია. საბრალო სიზიფი დიდს ლოდს დღესაც კი მიაგორებს მაღალის მთის წვერისაკენ, მაგრამ მიაღწევს თუ არა, ქვა ხელიდან გაუსხლტება და ქვეითკენ დაექანება.

ადამიანის მშვენიერება, მისი სულის სიმაღლე კი იმაში გამოიხატება, რომ თუმც ბრძოლა და მოღვაწეობა მისი ხშირად უნაყოფოდ თავდება, მაინც თავს არ იხრის ხოლმე უღმობელის ცხოვრების კანონის წინაშე და მედგრად, შეუპოვრად, მხნედ განაგრძობს ბრძოლას და წინ მიდის. მართალია, იქნება დიდს არას გამოელოდეს, ხოლო ის მაინც დღევანდელს მდგომარეობას ვერ შერიგებია და, რაგინდ კარგი იყოს ეს მდგომარეობა, უკეთესი უნდა, საუკეთესო მომავლისკენ

ისწრაფვის. მისი სული და გული, მისი აზრი და გრძნობა გაუმაძღარია. ცხოვრების საუკეთესო ელემენტად, ცხოვრების ცოცხალ წევრად უნდა ჩავთვალოთ, ვინც დაუდგრომელის ხასიათისაა, რომელსაც ეხლანდელია მოსწყენია და მობეზრებია და უმჯობესს ეტანება. ცხოვრებას ამოძრავებს “აღშფოთებული მეომარი მონა” და არა ტახტზედ მოსასვენებლად და დასაძინებლად გაგორებული უფალი. “გული კაცისა კრულია, ხარბი და გაუძღომელი”. დიად, “გაუძღომელი”, რადგან მისი გული სამარადისო უკმაყოფილებითაა სავსე. ის ადამიანი, რომლის გულიც დაწყნარებულია და დამშვიდებული, მკვდარია, სიცოცხლეს მოკლებული, იგი აღარ მოძრაობს და მოძრაობა ხომ სიცოცხლის მომასწავებელია. ცხოვრებასა და სიცოცხლეს ისა ჰქმნის, ვინც ცოტად თუ ბევრად უკეთესს იძიებს. ვერცერთს მოქმედ ადამიანს დღევანდელია ვერ დააკმაყოფილებს. მდიდარი უსაზღვრო სიმდიდრის შეძენასა სცდილობს. ამა თუ იმ სახელმწიფო წესწყობილების გულწრფელი დამცველიც კი სცდილობს, საუკეთესო გზაზე დააყენოს იგი, რათა გახრწნილება არ მოუახლოვოს; თვით უბედნიერეს მიჯნურს კიდევ მეტი უნდა და დაუსრულებელს, საუკუნო სიყვარულსა და შეერთებას ელაშუქება; თვით ღმერთად მიჩნეული მეგობარი არ კმაყოფილდება ამგვარის გაღმერთებით და კიდევ მეტს მოითხოვს; მხნე მეომარს მთელის ცისქვეშეთის დაპყრობა ჰსურს, ნიჭით მოსილს ხელოვანს არ აკმაყოფილებს ერთხმივი თავყვანისცემა ერისა, მთელის კაცობრიობისა. მას ისა სწადიან, ვარსკვლავები ყურს უგდებდნენ მის გალობას, ხეები და ყვავილები მისის სიმღერით ერთობოდნენ და ბულბული, ეს “აშვიკო მეფე”, მის სიტყვებში თანაგრძნობას ხედვიდეს.

და აი, ეხლა გადავათვალიეროთ “ქამუშაძის გაჭირვება.” ეს თავისებური სურათი ადამიანის კულაბზიკობის-ამაყოფისა, მისის გაუმაძღრობისა და დაუსრულებელის ბრძოლისა ცხოვრების გაუმჯობესობისათვის.

არ მოგაგონდებათ ეკვირინე მისი მედიდურებით, დიდის გვარის ჩამომავლობით, კვებნა-ქებით? არ მოგაგონდებათ მისი წვრილმანი, შელახული თავმოყვარეობა იმის გამო, რომ მის შვილს ქველიძემ ქალი არ მიათხოვა; იმისი გულუბრყვილო ცბიერება და სხვადასხვა ხერხიანობა რძლის მოსატყუებლად, რათა დაარწმუნოს, რომ მის შვილს ოტიას დიდი მამული აქვს; დაუსრულებელი მისი ოცნება და იმედი მისი, რომ მის შვილს ყველაფერს “ღმერთი მისცემს, ღმერთი მისცემს”; გაიხსენეთ ოტიაც, ქველიძეებისაგან დაჩაგრული, “რომელიც ძლიერ ნაღვლობდა თავის შერცხვენას და მუდამ იმის ფიქრში იყო, რომ რაიმენაირად, ღვთის შეწევნით, მათ ჯიბრზე ისეთი ქალი მოეყვანა, რომ სარდიონის ქალს სჯობნებოდა”. ოტიამ კიდევაც მიაღწია თავის საწადალს და ბეგლარ ჭინჭარაძის და სონია შეერთო გაქნილის სოფლის “აბლაკატის” პორფირ ბიაშვილის შემწეობით. ქორწილიც კარგი გადაიხადა ოტიამ, სტუმრებიც კმაყოფილნი დარჩნენ, მაგრამ ის დღე, როცა ეს ქალი შეერთო, მისი ტანჯვა-ვაების დასაწყისად გარდაიქცა.

ოტია გადატაკებულის “შემოდგომის აზნაურიშვილი” გახლდათ. ეს იმ აზნაურთაგანი გახლდათ, რომელთაც ეკვალა კი სანატრელად გახდომიათ: “ვაი, ნეტავი თელი წელიწადი კი არა, ნახევარ წელიწადს მქონდეს ის დალოცვილი საჭმელად, გამოუღვევლად, - ამბობს ეკვალს გამო ერთი მათგანი, - ცუდი კაცი ვიყვე, თუ სხვა რამე ვინატრო კიდევ! რას მეუბნები?! ამ დროებში ოქროს ფასი დაედვა მას ყველასაგან, აზნაურისაგან და გლეხისაგანაც... მალე თავადების სანატრელიც გახდეს მგონია!”

მთელ ტრაგიზმს, მთელ საცოდავობას, სიღარიბესა და სიღატაკეს ამ “შემოდგომის აზნაურიშვილობისას” თქვენ დაინახავთ ერთი სცენიდან, საიდანაც შეიტყობთ, რომ ძალი გაძნდარა მთელის ოჯახის მარჩენელი და პატრონი: “უბრალო შავი ნაგაზია, - ამბობს ერთი ამ აზნაურთაგანი, - მარა ყოველ ჩემს კეთილს და ჩემისთანა ხელმოკლე კაცს ღმერთმა მისცეს იმისთანა შემბრალე და თანამგრძნობი. ერთობ რამე სულიერია... დილას, ბატონო, რომ ადგება, კვი დაკვირვებული ადამიანივით შემოირბენს სახლის ყოველ კუთხეს. ერთი წაქეული სამზარეულო მაქვს, იქაც მისუნავს-მოსუნავს და, თუ შეხედა, რომ სახლში არაფერი არის გასაკეთებელი, ერთი გავარდება, გავარდება ეზოდან, შემოირბენს მეზობლებს, სად კეციდან ჰადს ააგლეჯს, გამოიტანს და მოარბენიებს, სად ქათამს ფრთას წააგლეჯს და მოაწანწალებს, სად კვერცხს გამოანახავს, ხანდახან ჩადებულსაც არ დამიწუნებენო, - გარდასწყვეტს და აგერ რომ გგონია - დღეს უსადილოდ ვრჩებით, გარდაწყვეტილი გვაქვს, ეს ღვთისნიერი სულდგმული ხელახლად ამივსებს ცალიერ სუფრას ათასნაირი საჭმელებით... თითქოს მეზობლებისაგან ხონჩები მომსვლოდესო”...

ამაზედ მეტი უკიდურესობა იქნება? ოჯახი რჩება ძალის მოტაცებულით და ამით ოჯახის თავი კიდევაც ამაყოფს.

ჰოდა, ოტია სწორედ ამ გაკოტრებულ კეთილშობილთა ჯგუფს ეკუთვნის. მისი მდგომარეობა გაჭირვებული იყო და, რაკი ცოლშვილს მოეკიდა, გაჭირვებამ იმატა. ამ სიღატაკემა და სიღარიბემ

იმთავითვე მიიპყრო ქალაქელის ქალის სონიას ყურადღება და ამ საბრალო ქალისათვის დაუსრულებელის სევდის წყაროდ გარდაიქცა. “ამგვარი სურათებისა და ამბების ყურება სონიას ახლა თავის თავზე უფრო ძალაუწებურად უკვირებდა, თავის მდგომარეობაზე ანიშნებდა, ყველასაგან და ყოველ მხრიდან მხოლოდ გაჭირვებულ და შევიწროებულ ცხოვრებაზე ჩივილი რომ ესმოდა, იგიც შიშში ჩავარდა, ვაი, თუ მეც ამათთანავე და ამთავარსავე მდგომარეობაშივე ვიყო და მხოლოდ ვერ ვამჩნევდეო. ეს შიში მით უფრო იპყრობდა, რომ, რასაც ჯერ ხედავდა ამ ახალ ოჯახში, საიმედოს არაფერს უქადიდა მომავლისათვის, ვერაფერს ბედნიერებას იგემებდა მასზე მოიმედეთ დამყარებული ადამიანი... ყმაწვილ ქალს აუტანელი მოუსვენრობა და გულისწუხილი ერეოდა და ერთიმეორეზე უფრო უნუგეშო სურათები თვალწინ ეხატებოდა”.

ამ შიშმა გაჭირვების წინაშე, ამ გაღატაკებულმა მდგომარეობამ საერთო ფიქრი და მწუხარება დაჰბადა ოჯახის ყველა წევრში.

“ამჟამად იყო, რომ ამ კაცის (ოტის) გულში რაღაც ხდებოდა, რომ მასში აღმრული იყო რაღაც ახალი აზრი... ოტია წინანდებურად ვეღარ ჰგრძნობდა თავის თავს, წინანდებურად მოსვენებით აღარ იყო, თუმცა ამისი შემჩნევა მასში არც ისე ადვილი იყო. და ეს მაწუხებელი ფიქრი იყო სწორედ ის ხელმოკლეობა და გაჭირვებაში ცხოვრება, რომელიც ახლა ამ ქალის ცოლად მოყვანის შემდეგ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა მისთვის დღითი დღე და რაც ათასგვარ ფიქრებს ახვევდა თავზე და აქამდისინ უცნობელ დარდებს ჰგვრიდა. მისმა სინიდისიერობამ რომ დააკვირვა ცოლის მდგომარეობაზე მის ოჯახში, მის ოჯახის ამბავი სულ სხვანაირად მოაჩვენა, დაანახვა და თითქო ბრმადყოფილს თვალეი აეხილა... ამ თვალთა ახილვას... ეკვირინესი არ იყოს, ვინ იცის, სად არ მიყავდა იგი და რა აზრებს არ უერთდებოდა, რომ გზა ეპოვნა თავის ხელმოკლეობის და გაჭირვებული ცხოვრების, სულ თუ არა, ცოტათი მაინც გამოსაბრუნებელად”.

ამგვარად, ჩვენი ოტია ქამუშამეც ცხოვრებით უკმაყოფილოთა რიცხვში ჩაეწერება და დიდს ენერგიას იჩენს დღეინდელის მისის ცხოვრების ზურგის შესაქცევად: სოფელს დასტოვებს და ქალაქს მიაშურებს, რადგან “სოფელში აღარაფერი სიკეთეა... გაჭირვებისა და უბედურების მეტი!.. ეგებ იქ (ქალაქში) მაინც ეშველოს კაცს. იქ მაინც სცდის თავს! თუ დაილუპება, სულ ერთია, აქაც ხომ მეტი არ მოელი

ქალაქი დაუდგრომელის და შეურიგებელის სონიას სახით, ქალაქი გამქირდავის და დამცინავის პორფირე ბიაშვილის პირით, იმ პორფირეს პირით, “რომელიც სიამოვნებით ხითხითებდა და ხარხარებდა, თითქო თავმომწონე, უფრო ღონიერი ქალაქი დასცინოდა მისუსტებულ სოფელს, თავის გამარჯვებას აქადნიდა და ემუქრებოდა მეტს დაჩაგვრას მასთან ბრძოლაში”, ეს ქალაქი, ვითა ხსნისა და შველის ერთადერთი იმედი, - აწ უძლეველად იზიდავდა და იტაცებდა ოტიას. ეს ბრძოლა ქალაქსა და სოფელს შუა, ქალაქსა, რომელიც დღითიდღე იზრდება და სოფელსა, რომლის სახე მარადჟამს იცვლება, რაკი მცხოვრებთა ერთი წყება თანდათან მიიზრბის - ეს სურათი მშვენივრად აქვს ავტორს დახატული.

“სადაც მეტი ხალხია, იქ მეცადინე კაცისათვის უფრო შემთხვევაც მეტია იშონოს რამე”, - ამას ამბობდა ყველა გაკოტრებული “შემოდგომის აზნოური,” ამას ამბობდა სოფრომ ჭინჭარამე - ოტიას სიამარი, რომელიც უკვე დიდი ხნიდან იყო გახიზნული თამარნაშენიდან. ამასვე ამბობდა მაქსიმე ბიაშვილი, მამა “ადუკანტის” პორფირესი. ამავე მცნებას და ანდერძს დაადგა ოტია ქამუშამეც. იგიც სხვა მის “გაქალაქებულ” მეზობლების გზას გაჰყვა. იმანაც “ჩაიტანა თავისი სახლი და შეემატა მისგვარადვე გამოქცეულ სოფლელებს, რომელთა პატარა სახლების რიცხვი თანდათან მატულობს და სარტყელივით ერთყმება ქალაქ 1-ს გარშემო. ესენი ჯერჯერობით არც ქალაქში სწერიან და სოფელურ ჩვეულებაზე მცხოვრებნი უდარაჯებენ დროს, რომელმაც სრულიად უნდა გაქნას იგინი ქალაქელებში და დაგეშოს ახალი ცხოვრებისათვის”.

ოტია კი ისეთი კაცია, რომელიც ვერ დაკმაყოფილდება ვერც “იქ” - იმ “აღთქმის ქვეყანაში,” იმიტომ, რომ გამდიდრება, გაღატაკება არც “იქ” მოელის. ერთადერთი მისი წამაქეზებელი იმედი ის არის, რომ “იქნება იქ მაინც ეშველოს”, ცოტა უფრო ნაკლებ გაჭირვებაში იქმნეს.

მისი მომავლის შესახებ ავტორი არავითარ წინასწარმეტყველობას არ კისრულობს, მაგრამ ჰგრძნობთ, რომ სალახანა ბეგლარ ჭინჭარამისა და პორფირე ბიაშვილის იმედით დარჩენილი ხალხი ფონს ვერ გავა და დარჩებიან “გაჭირვების” სამუდამო ყურმოჭრილი - თუმც შეიძლება აღშფოთებული, - მონა და ტყვე.

თუ “სამანიშვილის დედინაცვალი” შემოდგომის აზნოურის” იმედების თანდათანობითი გაცრუების სურათია, ხოლო სოლომან მორბელაძის ოცნების მარტო ერთი, ისიც სასაცილო, ნატამალიდა განხორციელდება - თუ სოლომანს ექვს თუმანში ექვსი მანეთი, ორი აბაზი და ხარის ტყავი მაინც შეხვდება, ხოლო პლატონ სამანიშვილს არცერთი მცირეოდენი სურვილი არ



შეუსრულდება, თვით უდიდესიდან დაწყებული - “მამამ, რომ ცოლი არ შეირთოს”, თვით უმცირესამდის - “დედინაცვალს გოგო” ეყოლოსო, სამაგიეროდ, ოტია და ეკვირინე ქამუშაძეთა სურვილები, თვით უმცირესნიც აღსრულდებიან, მაგრამ ამგვარ მიღწევას მიზნისა და სურვილისას თანა სდევს ისეთივე მწარე და გულის მომწყვლელი სევდა, როგორც პლატონის იმედების გაქრობას. ოტია სასურველ ცოლს შეერთავს ქველიძეების ჯიბრზედ, მაგრამ ეს შემთხვევა მას გაჭირვებულ ცხოვრებას აგრძნობინებს და ღრმა უკმაყოფილებას ჩაუნერგავს გულში; ოტიას სანატრელი ვაჟი ეყოლება, მაგრამ ოჯახის რიცხვის გამრავლება ერთი-ორად უმწვავებს გაჭირვების დარდებს. ოტია სოფლიდან ქალაქში გაიქცევა, იქნებ იქ მაინც ვიშოვო რამეო; მაგრამ სხვა მათ მსგავსსავით ეს “შოვნა” მათთვის დიდს არას შეიცავს, მხოლოდ სურათის შეცვლაა და ერთხანს ესეც კი გულს მოაფხანინებს სასოებადაკარგულ კაცს.

და ეს მოთხრობაც “ქამუშაძის გაჭირვებისა” იმავე ღრმა სევდას სტოვებს თქვენს გულში, როგორც სხვები.

აქ დავუსვამდი წერტილს, რომ არ მიტაცებდეს ერთი მხარე საგნისა. მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურის მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს ილია ჭავჭავაძის სახელს, რომლის დიდი გავლენა ჩვენს მწერლობაზედ განუსაზღვრელია. ყოველ ჩვენს მწერალზედ ილიას გავლენა ჰქონდა ამა თუ იმ მხრით. ამ მხრივ საინტერესოა დ. კლდიაშვილის ნაწარმოების შედარებაც. დ. კლდიაშვილი პირდაპირი მემკვიდრეა ილია ჭავჭავაძის იმ მხრით, რომ, როგორც ილია ჭავჭავაძე, ისე დ. კლდიაშვილი თავისის სატირის საგნად მიჰმართვენ თავადაზნაურობის წოდებას. თუ ილია ბატონყმობის წესწყობილებაზედ აღზრდილ “ბრწყინვალე ვაჟბატონების” ცხოვრებას აღგვიწერს, დ. კლდიაშვილი ბატონყმობის მოსპობის შემდეგ დამყარებულ ეკონომიკურ ნიადაგზე გაჩენილ წვრილფეხა “შემოდგომის აზნაურიშვილებს” აღგვიწერს, მათ ცხოვრების “გაჭირვებას” გვაჩვენებს, მათის იმედებისა და მისწრაფების სევდიან სურათებს გვიხატავს. თუ დათიკო “გლახის ნამბობისა” და მათი ბრწყინვალე ლუარსაბი და დარეჯანი ყოვლის შემძლებნი იყვნენ, რათა მათი ქვენა, პირუტყვული მადა “სმა-ჭამისა” სავსებით დაეკმაყოფილებინათ, სოლომან მორბელაძე, პლატონ სამანიშვილი და ოტია ქამუშაძე ხომ იმ აზნაურობას ეკუთვნის, რომლის სანატრელი “ეკლავ” კი გამხდარა. თუ ლუარსაბსა და დარეჯანს ჭერზე ბუხის სათვლელად ევალათ და დილიდან საღამომდე ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან, მათის ბრწყინვალეების განვითარების საკადრის ვარჯიშობასა და თავის გართობას ანდომებდნენ მთელ მათ ცხოვრებას, - საწყალ პლატონსა და ოტიას გემრიელად ლუკმის შეჭმაც კი არ შეეძლოთ, ისე იყვნენ წელში მუშაობით გაწყვეტილნი. თუ დათიკო თავისის “კნიაზობის” ვნებათა ლეღვის დასაკმაყოფილებლად იყო მარტო მოცლილი, უბედურ ოტია ქამუშაძეს თვით ძირითადი მოთხოვნილება ბიოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და საზოგადოებრივის არსებისა აღკრძალული ჰქონდა და მისი გულის სასიამოვნო ცოლის შერთვაც თავში საცემ უბედურებად გარდაექცა.

სხვადასხვაგვარი თვისება გმირებისა, ის სხვადასხვა პირობა და გარემოება, რომელშიაც იგინი ცხოვრობენ, იწვევს სხვადასხვანაირ განწყობილებას ამა თუ იმ მწერლისას ამ გმირებისადმი. იგინი სხვადასხვა ხერხსაც ხმარობენ თავიანთ საგნების აღწერის დროს. ილია ჭავჭავაძისა და დ. კლდიაშვილის ლიტერატურული იარაღი სატირაა. მაგრამ პირველის სატირა მკაცრია და შეუბრალებელი, ეს ვოლტერის სასტიკი სატირაა, ხოლო კლდიაშვილის სატირა ნაზგრძნობიერია, დიკენსისებური. პირველი კაცის სიბინძურეს გვაზიზღებს, იგი შენდობასა და შებრალებას კაცის დამამცირებლად სთვლის. ილია ჭავჭავაძე ზიზღით ამბობს თათქარიძეების შესახებ: “ნახევარი საუკუნე ამისათვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზედ, რომ ბოლოს მაინც კიდევ “შენდობა” ითხოვონ და საბოდიშოდ გაიხადონ საქმეო?” დ. კლდიაშვილი გვაზიზღებს მისგან აღწერილ გმირებს, რამდენადაც ისინი ტალახში სვრიან დიდებულს სახელს ადამიანისას, მაგრამ თანაც გვაბრალებს მათ. ილია ჭავჭავაძე ტიტანია, მას ზედვე ეტყობა იმ დიადის ეპოქის ბეჭედი, რომელშიაც აღიზარდა. ეს იყო ჩვენში ხანა იდეალიზმისა, ხანა გატაცებისა; მაშინდელ მწერლებს ძვალ-რბილში გამჯდარი ჰქონდათ რწმენა კაცის ყოვლის შემძლებლობისა და მისი დიდებულებისა, იგი ღვთის სახედ მიაჩნდათ, ამიტომაც სასტიკად ეკიდებოდნენ მის დანაშაულობას, მისგან ღვთის სახის უარყოფას. დ. კლდიაშვილი ეკუთვნის ეპოქას პესიმიზმისას, როცა საზოგადოების საუკეთესო ნაწილი სევდა ვარამით იყო მოცული. იგი სასოწარკვეთილების ხანაშია დაბადებული და აღზრდილი. მის დროის მწერლებს ის აზრი ჰქონდათ ჩანერგული, რომ ყოველი კაცი პირუტყვია, უღმობელის გარემოების მონა, საწყალი, უძლური და ბეჩავი ქმნილება, რომელიც ყოველ თავის საზიზღრობით მაინც შესაბრალისია, იმიტომ, რომ მის ცოდვებში დიდი წილი უდევს საზოგადოებასა და ყოველ მის წევრსაცა. ილია ჭავჭავაძე საზოგადოების ბედსა და იღბალს ადამიანისა და მის პირადობის განკარგულებისა და უფლების ქვეშ აყენებს. დ. კლდიაშვილი კაცის

ავსა და კარგს საზოგადოებას ან სხვა პირადობისაგან დამოუკიდებელს გარემოებას აბრალებს. ამის შედეგია როგორც მათი სატირის განსხვავება, ისე იმ გრძნობისა, რომელსაც იწვევენ მათის ნაწერებში.

ჩვენ აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ბ-ნი კლდიაშვილს სამაგალითოდ აქვს შესწავლილი ჩვენის სიღარიბით გათელილის აზნაურების ყოფა-ცხოვრება, საოცარის სინამდვილით გვიხატავს იგი მათ თანდათან გადატაკებას, გაჭირვებას, გვიხატავს ახალი ცხოვრების დაწყებას, სოფლელების “გაქალაქებას”, რომელიც დღეინდელის ეკონომიკურის წესწყობილების შედეგია. ხოლო ბ-ნი კლდიაშვილი, როდი კმაყოფილდება იმითი, რომ ამ მოვლენის გარეგან მხარეს გვიჩვენებს, იგი ამ ნიადაგზედ აღმოცენილ მისის გმირების სულის ვითარებას გვისურათებს, მათის სევდა-ვარამის მოწმედ გვხდის და ამით მის ნაწარმოებს ეძლევა ისეთი განსაკუთრებული ინტერესი, მიუხედავად მისა, რომ უმნიშვნელო, უბრალო და უშინაარსო ცხოვრებაა ამ მოთხრობებში აღწერილი და, თუ გნებავთ, სწორედ ამიტომაც ბ-ნი კლდიაშვილის ნაწარმოები მეტად საინტერესო და საყურადღებოა. მწერალი გვახედებს უფერულისა და უმნიშვნელო სინამდვილის ძირში და იქ დამალულს ღრმა და მწარე აზრს ცხოვრებისა შეგვამცნებინებს ხოლმე და იმ მრავალგვარ აზრსა და სხვადასხვაგვარ გრძნობას აღვიძრავს, რომლის გამო ზემოთ ვილაპარაკეთ. ამგვარი მანერა მწერლისა მის ნაწერებს სიმბოლურ მნიშვნელობას აძლევს.

დ. კლდიაშვილი პოეტია სოფლის დაცალიერების სევდის აღმწერი, ქალაქის გაბატონების გულგრილად აღმნიშნავი.

დ. კლდიაშვილი პოეტია, წვრილფეხა აზნაურობის დაქვეითებისა და გაკოტრების ნაღვლიანი მემატინე და ამ გახრწილ ნიადაგზე აღმოცენებულ პირადობის “პორფირე ბიაშვილის” ნაზი გამკიცხავი.

სევდა და ნაღველი თან ახლავს მის მადლით მოსილს კალამს, როცა სოლომან მორბელაძის, პლატონ სამანიშვილის და ოტია ქამუშაძის “გამაღლებულ” ცხოვრებასა და გაჭირვებას აღგვიწერს, - მაგრამ ვერც კი მოასწრებს წერტილის დასმას, რომ მასში იღვიძებს ფილოსოფოსი და სოციოლოგი და ამ “გმირთა” ტანჯვა-ვაება სასაცილოდ და შესაბრალისად ეჩვენება. საზოგადოებრივი კანონი თხოულობს ძველ ფორმების შეცვლას, ამ ფორმებთან შესისხლხორცებულის წოდების მოსპობას და დ. კლდიაშვილი, როგორც სოციოლოგი, ამ კანონიერებას სწირავს მწერლის სიბრალულს და ამ სიბრალულის ნაყოფ “გმირებსაც”.

ხოლო, როგორც ფილოსოფოსს, წარმოიდგენს რა ადამიანთა უსაზღვრო წამებას ცხოვრების უღმობელ მსვლელობის დროს, სასაცილოდაც აღარა ჰყოფნის ისეთი წვრილმანი უბედურება, როგორც სოლომანის გაცრუებული იმედებია სამაჭანკლოს შესახებ, პლატონის “ორნაქმარებ” დედინაცვლის მოპოებაზედ დამყარებულის ოცნების დამსხვრევა და ოტიას “გაჭირვება” ქალაქელის ქალის შერთვის გამო და ამგვარ დასკვნით დაამთავრებს:

“ეს კაცები... სწორედ შეეცოდებოდნენ ადამიანს, რომ თვით ამბავი სასაცილო არ იყოს”.

## **ილია ჭავჭავაძე და ლევ ტოლსტოი (ოთარანთ ქვრივი და პლატონ კარატაევი)**

### **I**

უეჭველია, ყველას ეუცხოვება ასეთი დაპირდაპირება. ბევრს კიდევაც ემწუთხება. ეუცხოვება იმიტომ, რომ მართლაც ი. ჭავჭავაძის და ლ. ტოლსტოის შორის განსხვავების მეტი არაფერია და ეს განსხვავება იმდენად დიდია, როგორც რუსეთის “სტეპსა” და ჩვენის სამშობლოს მთაგორიან, ათასფერად აჭრელებულ ბუნებაში; ისეთი დიდია ეს განსხვავება, როგორც ქართველსა და რუსში, მათ თვისებასა და არსებაში. ეუცხოვება ეს შედარება მათ, ვინც მკრეხელობადაც კი მიიჩნევს ტოლსტოის სახელთან ილიას სახელის ხსენებას.

ადამიანს ჯერ არ გამოუგონია ისეთი ინსტრუმენტი, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იყოს ორის ნიჭის შედარება, აწონ-დაწონვა. შეუძლებელია სთქვა, არა თუ მათემატიკურის, უბრალო დაახლოვებულის სინამდვილითაც კი, რამდენი ერთეულით სჯობს ერთი ნიჭი მეორეს.

ლ. ტოლსტოის დიდ ნიჭიერების უარისყოფა რუსეთის სინოდსაც კი არ შეუძლია, მაგრამ ვერც ილია ჭავჭავაძის დიდის ნიჭის წინააღმდეგ იტყვის ვინმე ქართველი. ხოლო ტოლსტოი, შეიძლება, ისე ძვირფასი არც კი იყოს რუსისათვის, როგორც ილია ქართველისათვის. რაიცა შეეხება მსოფლიო მნიშვნელობას, ამაზედ ვერას ვიტყვით. ლ. ტოლსტოი კი არა, პოტოპენკოც და მსგავსნიც კი

იქცევენ ევროპის ყურადღებას. მაშასადამე, ტოლსტოის დიდი ნიჭი აქ არაფერ შუაშია. რუსეთი, როგორც დიდი სახელმწიფო, ძალაუნებურად იპყრობს ქვეყნის ყურადღებას.

ჩვენ არც კი გვიკისრია ამ ორის მწერლის შედარება. ჩვენ გვსურს მხოლოდ დაუპირდაპიროთ ორ საეროვნო მწერლის მიერ ხალხის გულიდამ ამოღებული ტიპები.

რუსის ხალხის წარმომადგენელად ტოლსტოიმ დაგვიხატა პლატონ კარატაევი, რომლის წინაშე მუხლს იყრის, ვითა უდიდესისა და უმაღლესის ძალის წინაშე. პლატონ კარატაევი (და აკიმა “ზნელეთის სამეფოისა”, თედორე “ანნა კარენინასი”) - იგივე რუსის “მუჟიკი”, ტოლსტოის აზრით, განგებისაგან მოწოდებულია “დამპალის” ევროპის კულტურის გარდამქნელად და განსაახლებლად. იმავე “მუჟიკის” წყალობით თვით ტოლსტოიც მოინათლა და გარდაიბადა, მისი შემწეობით თვით ტოლსტოიმ მოიპოვა აღმფოთებულის სულის დამამებელი და დამამშვიდებელი იდეალი (იხ. “Исповѣдь”).

ოთარანთ ქვრივი - ქართველის ხალხის წარმომადგენელია, ჭირსა და ვარამში გამოწრთობილი, უბედურებაში გაკაჟებული. ოთარანთ ქვრივს (გაბოს, კაკოს, ზაქროს - იმავე ქართველ გლეხებს) საუკუნების განმავლობაში ბრძოლამ თავის დაცვისამ და მრავალწლოვანმა კულტურამ, ცხოვრებისათვის ბრძოლისა და ჭიდილის მიუცილებლობა სავსებით შეაგნებია. ოთარანთ ქვრივში ( გაბოსა, კაკოსა და ზაქროში) ილიამ მთელი თავისი ცხოვრების ფილოსოფია გამოხატა, როგორც ტოლსტოიმ პლატონ კარატაევში (აკიმა და თედორეში). გავითვალისწინოთ ეს ორი ტიპი, წარმომადგენელი ორი ერისა და დავინახავთ არათუ იმ უფსკრულს, რომელიც არსებობს ამ ორ ერს შორის, არამედ იმ ღრმა განსხვავებასაც, რომელიც ორ სხვადასხვა პოლუსზე აყენებს ორ დიდებულ მწერალს, მათ ფილოსოფიასა და სულის კვეთებას.

ოთარანთ ქვრივი მოთხრობის შესავალიდამე ასე გვიხასიათებს თავის თავს: “მე მართო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილ უბრალოდ არავის დავეჩაგვრიებო (ხაზი ჩვენ გვეკუთვნის-კ.ა.), “თუ გაჭირდა, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდი ვივლი”. სოფელმაც კარგად იცოდა, რომ ოთარანთ ქვრივს ტყუილუბრალო ბაქიობა და მუქარა არ უყვარდა, იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო”.

ამიტომაც არათუ სოფელი ერიდებოდა, სოფლის ბატონი და პატრონი - გზირი და მამასახლისიც კი ისე ჰყავდა შემინებული, რომ, რაც გინდ დიდი საქმე ჰქონოდათ, “ოთარანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ და თუ როგორმე გაბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტეხდა, რომ ბედსა და თავს დააწყევლინებდა”.

ოთარანთ ქვრივის არსებითი თვისება სწორედ ეს გახლდათ, რომ “თავისს ჯავრს არავის შევარჩენ და დატყუილ უბრალოდ არავის დაეჩაგვრიებოდა”. მთელი მისი აღმფოთებული მებრძოლი ბუნება სულ იმის დევნაში იყო, ვინც მცონარე, ლაჩარი, სხვისი ხელის შემყურე იყო.

მაგრამ “მაშვრალთა და ტვირთმძიმეთ” კი დიდის სიბრალულითა და გულმოწყალებით ეპყრობოდა: ამათ ის ნამდვილ, აქტიურ დახმარებასა და შემწეობას უჩენდა. განსაკუთრებული ქისაც კი ჰქონდა, სადაც “ღარიბთა გასაკითხ” ფულს ინახავდა. მისთვის ყოველივე სენტიმენტალური წრიბინი საზიზღარი იყო, თვით მხნე და ლომი დედაკაცი სიტყვების რახარუხს არას დაგიდევდათ. იმისთვის საქმესა ჰქონდა მნიშვნელობა და იმდენზედ მობეზრებული ჰქონდა ქვეყნის ქალაჩუნობა, რომ რაც უნდა მადლი ექმნა, უთუოდ პილპილს მაინც მოაყრიდა.

“ტკბილი სიტყვა რა არისო”, - იტყოდა ხოლმე ოთარანთ ქვრივი: ამ გამწარებულს წუთისო ფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყო ს. (ხაზი ჩვენია - კ.ა.) რას მიჰქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვანუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქვიციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არის, - მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით. თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურებს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა...”

ასეთი გარეგანი სისასტიკე და სიმკაცრე სრულიადაც ხელს არ უშლის, არსებითი და გულითადი თანაგრძნობა და დახმარება აღმოუჩინოს ყოველ გაჭირებულს.

გარეგანი მისი სისასტიკე ისეთს კეთილს გულს, ისეთს ღრმა გრძნობებს ჰფარვიდა, რომლის წინაშე მართლაც მუხლი უნდა მოიდრიკოს კაცმა. აბა გაიხსენეთ, რანაირის თავგადადებით უვლის ქმრისაგან დატოვებულ თოფ-იარაღს, რომელიც მისთვის სათაყვანებელის ადამიანის სახსოვარია; აბა, შეხედეთ, რანაირის ღმობიერებით და თავგანწირულებით ეპყრობა მის შვილ გიორგის ცოცხალს, და რანაირის თავდავიწყებით გადაჰყვება თან მკვდარსა. ასეთ ადამიანებს შუაგზაზედ

შეჩერება არც შეუძლიათ და არც უყვართ. მათი გრძნობა უსაზღვროა და უკიდო, მაგრამ ეს გრძნობა მარტო ენაზედ კი არ აკერიათ, მთელი მათი არსება ამ გრძნობითაა გამსჭვალული.

ამ უბრალო სოფლის დედაკაცისათვის ერთადერთი იდეალი მისი ქმრის ანდერძია და განძი - მისი შვილი. ამ იდეალს შეწირავს მთლად ერთიანად, სავსებით, უკან დაუხევებლად მთელს თავის ცხოვრებასა და სიცოცხლეს, და ამნაირი ცხოვრება, ნამდვილი ადამიანური ცხოვრებაა. მხოლოდ ოთარაანთ ქვრივისთანა სრულს და მთელბუნებოვან ადამიანს შეუძლია აღასრულოს ნამდვილი დედა-შვილობა, ნამდვილი მეგობრობა და სიყვარული, ნამდვილი მამულიშვილობა და მოქალაქეობა. ყოველსავე, რასაც ხელს მოჰკიდებს მისი ძლიერი ბუნება, ყოველსავე სავსებით შესწირავს თავის ძალსა და ღონეს და ყოველსავე, რასაც კი ითავეს, სინდისიერად და წმინდად აღასრულებს.

ასეთი ადამიანები ჰქმნიან ცხოვრებას, ასეთნი, რომელთა ცხოვრების დევიზია, “ტყუილ-უბრალოდ არავის დაეჩაგვრინოს”, გარდაჰქმნიან ხოლმე დამპალ ცხოვრებას და ახალს საუკეთესო საძირკველს ჩაუდგენ. მათთვის ყოველგვარი დაჩაგვრა საზიზღარია, ყოველგვარ მტარვალობას წინააღმდეგობიან, ესენი ნამდვილი ცხოვრების მეტოქენი არიან - თუ ექვსგარეშა ის მოვლენა, რომ ცხოვრება დაუსრულებელი ბრძოლაა ცხოვრების სხვადასხვა ძალთა, სხვადასხვა დარგისა და მიმართულების შორის. საცა ასეთი პიროვნება იშვიათია, ცხოვრება მიმქრალია და მოდუნებული; იქ ცხოვრება ჭენჭყოდაა ქცეული, სიცოცხლის მომწამვლელ და მომშხამველ ჭენჭყოდ. ასეთი იყო სიცოცხლით აღსავსე ოთარაანთ ქვრივი, ასეთი იყო უებრო მეზობლი ამ გამწარებულ წუთისოფელში, ქვეყნის ტანჯვაში გამოზრდილი და ცხოვრების ვაებაში გამოწრთობილი ადამიანი.

ავიღოთ პლატონ კარატაევი - ეს ტოლსტოის სათაყვანებელი გმირი, რომელიც, მისის აზრით, წარმოადგენს იმ სიღრმეს აზრისა და გრძნობისას, რომლის წინაშე მთელის ევროპის კულტურა გაკოტრებულად მიაჩნია.

მთელის მეცნიერებისა და ფილოსოფიის სწავლა ტოლსტოის იმ დასკვნამდე მიიყვანს, რომ ერთადერთი ხსნა ქვეყნად არის პლატონ კარატაევის ცხოვრების სიბრძნეში და რომ ერთადერთი შინაარსიანი ცხოვრება კარატაევის ცხოვრებაა. როგორი არის ეს ფილოსოფია და ცხოვრება, რომელიც ტოლსტოიმ დაუპირდაპირა კაცობრიობის ფილოსოფიასა და კულტურას? რაში გამოიხატება პლატონის ეს სიბრძნე, რომელსაც ტოლსტოი სოლომონის და სოკრატის სიბრძნესაც ამჯობინებს.

პლატონ კარატაევი, პიერ ბეზუხოვის წარმოდგენით, “განხორციელება იყო ყოველისავე რუსულის კეთილისა და “დარგვალეზულის”... გაცნობის მეორე დღეს რომ დაინახა პიერმა პლატონი, “პირველი შთაბეჭდილება რაღაც დარგვალეზულისა ხელახლად განმტკიცდა მასში”. პიერისათვის კარატაევი დარჩა სამარადისო სახსოვრად “ვითა მიუწოდებელი დარგვალეზული და საუკუნო სახე სიმართლისა და მარტივის სულისა”.

რა არის ეს “დარგვალეზული”? - ამის ახსნა თვით ავტორსაც უჭირს, მაგრამ რაღაც მომხიბვლელის მისტიკურის ძალით კი მოსავს მას. ამის დამამტკიცებელი ისაა, რომ ეს თავისებური ჰამლეტი - პიერ ბეზუხოვი - რომელსაც ეჭვებითა აქვს მოწამლული ცხოვრება, პლატონ კარატაევის შეხვედრის შემდეგ გარდაიბადა და განახლდა; “უწინ მისთვის დამხვრეული მსოფლიო, ეხლა ახალის ძალით გაბრწყინებული, ახალს შეურყეველს საძირკველზედ შენდებოდა და მის სულში მოძრაობდა”.

მთელი თვისება კარატაევისა გამოიხატება სრულს ინდიფერენტობაში, პასივობასა და აპათიაში, იგი სრულის უსაზღვრო გულგრილობით ემონება და ემორჩილება ყოველს ძალსა და ხვედრს.

“თავის დღეში არ დაფიქრებოდა იმის შესახებ, თუ რა სთქვა, ან რა უნდა სთქვას და სწორედ ამიტომაც მის სიტყვებს შეურყეველი დამაჯერებელი ძალა ჰქონდა. მღეროდა ხოლმე ისე, როგორც ჩიტები გალობენ უთუოდ მარტო იმიტომ, რომ ეს მღერა მისთვის მიუცილებელი საჭირო იყო, როგორც გაზმორება, გინდ გავლა-გამოვლა... ხანდისხან დაიწყებდა ლაპარაკსა და ბაასს, მაგრამ სრულიად იმის წინააღმდეგს იტყოდა, რაც წინათ უთქვამს, მაგრამ მაინც ძველი და ახალი ნათქვამი ჭეშმარიტებით იყო აღსავსე... სრულიადაც არ ესმოდა იმგვარი გრძნობა დამოკიდებულებისა, მეგობრობისა და სიყვარულისა, როგორც ეს ესმოდა პიერს (და, მაშასადამე, ყოველ გონიერს ადამიანს), მაგრამ უყვარდა და სიყვარულით ეპყრობოდა ცხოვრებაში არა რომელსამე ამა თუ იმ პირს, არამედ ყოველს კაცსა, რომელსაც კი დაინახავდა... პიერი კარგად გრძნობდა, რომ, თუმც კარატაევი ძალიან სათნოებით ეპყრობოდა, ერთი წუთითაც არ მოიწყენდა, რომ მოშორებოდა... როცა კარატაევი ლაპარაკს დაიწყებდა, ასე ეგონებოდა კაცს, არც კი იცისო, რით გაათავეს. როცა

პიერს პლატონის სიტყვების აზრი განცვიფრებაში მოიყვანდა ხოლმე, შეეკითხებოდა, სთხოვდა გამეორებას, მაგრამ არაფრით არ შეეძლო იმისი გახსენება, რაცა სთქვა ერთის წუთის წინ”.

მთელი ფილოსოფია და მორალი კარატაევისა, - რომელიც ბოლოს დროს, საუბედუროდ, ტოლსტოიმაც მიიღო და რომელიც “რუსულის სულის” განსაკუთრებულ საამაყო თვისებად მიაჩნია თვით ტოლსტოისაც, - იმ ორ იგავში გამოიხატება, რომელსაც ხშირად იმეორებდა ხოლმე: ერთი შეეხებოდა მის ჯარისკაცად წაყვანას. ერთხელ პლატონი ხეების მოსაჭრელად სხვის ტყეში შეიპარა. დაიჭირეს, სცემეს და მერე ჯარისკაცად მისცეს (ბატონყმობის დროიდან არის).

მწუხარებისა და სევდის ნაცვლად, პლატონის ამგვარად დასჯის გამო, თვით იგი და მთელი მისი ოჯახი სიხარულსა და შვებას მიეცნენ იმიტომ, რომ ამ შემთხვევის წყალობით “საღდათობას” გადარჩა წვრილშვილებით დატვირთული მეორე ძმა პლატონისა. ამ იგავს კარატაევი ამგვარის ფილოსოფიურის სენტენციით იწყებს: “მ ა თ ხ ო ვ რ ი ს გ უ დ ა ზ ე და და ს ა ტ უ ს ა ლ ო- ზ ე დ თ ა ვ ი ს დ დ ე შ ი უ ა რ ს ნ უ ი ტ ყ ვ ი ო” და ამნაირის მორალით ათავებს: “რ ა ჩ ვ ე ნ ი ს ა ქ მ ე ა, რ ო მ ვ მ ს ჯ ე- ლ ო ბ თ, ე ს ა რ ვ ა რ გ ა, ი ს ც უ დ ი ა ო. ყ ო ვ ე ლ ი- ფ ე რ ი ი ღ ბ ლ ი ს ს ა ქ მ ე ა. ჩ ვ ე ნ ი ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა წყა ლ შ ი ც ხ რ ი ლ ს მ ი ა გ ა ვ ს, მ ო ს წ ე ვ - მ მ ი მ ე ა, ა მ ო ი ღ ბ და შ ი გ არ ა ფ ე რ ი ა”.

მეორე იგავი ერთის ვაჭრის ამბავს შეეხებოდა. ვინმე ვაჭარს უსამართლოდ შესწამეს კაცის მოკვლა და კატორღაში გაგზავნეს. იქ სიკვდილზედ მიღწეულ ამხანაგებს თავის თავგადასავალს უამბობს. მათ შორის აღმოჩნდება სწორედ ის ავაზაკი, რომლის ბოროტმოქმედებაც ვაჭარს მოახვიეს თავზედ. ავაზაკი დაეცემა მუხლებზედ, ბოდუმს მოიხდის და მთავრობასაც შეატყობინებს, მაგრამ ვიდრე მთავრობა მიწერ-მოწერას მორჩებოდეს, უდანაშაულოდ დასჯილი კიდევაც მოკვდება. უსამართლოდ დატანჯული ვაჭარი თავის ხვედრს მორჩილებითა და მოთმინებით იტანს: “მეო”, ამბობს იგი, ვიტანჯები ჩემისა და სხვების ცოდვების გამო... ჰ გ ა ვ ს, დ მ ე რ თ მ ა ჩ ე მ ი ს ც ო დ ვ ე ბ ი ს თ ვ ი ს და მ ს ა ჯ ა ო”. ხოლო სინანულში ჩავარდნილ ავაზაკს ეუბნება: “ღმერთი გაპატიებს, ხ ო ლ ო ჩ ვ ე ნ კ ი ყ ვ ე ლ ა ნ ი ც ო დ ვ ი ლ ნ ი ვ ა რ თ და მ ე ც ჩ ე მ ი ს ც ო დ ვ ე ბ ი ს თ ვ ი ს მ ი ვ ი დ ე ს ა ტ ა ნ ჯ ვ ე ლ ი” (ხაზი ყველგან ჩვენია. - ვ. ა.) თუ კარგად ჩაუკვირდებით, ნახავთ, რომ ეს ფილოსოფია არის ფილოსოფია სიცოცხლის, ცხოვრების და ცხოვრებაში სიხარულის უარყოფისა. ყოველივე ტანჯვა - ამ ფილოსოფიით - უნდა მიიღო, ვითა შენის ცოდვების შედეგი და კანონიერი სასჯელი და, მამასადაძმე, ყოველსავე ტანჯვას, ვაებას და წამებას კი არ უნდა შეებრძოლო და წინააღმდეგე, - სიხარულითა და მოთმინებით უნდა მიიღო. უბედურებას ნუ გაურბი - “от сумы да от тюрьмы никогда не отказывайся” - იმიტომ რომ იგი შენის ცოდვების ღირსეული ჯილდოა ანადა იმიტომ, რომ შენის ტანჯვითა და ვაებით იქნება კიდევაც ვინმემ ისარგებლოს.

ამ ფილოსოფიის ლოგიკური დასკვნაა ის უცნაური “არა წინააღმდეგე ბოროტსა”, რომელზედაც დაახურდავა ტოლსტოიმ მთელი ქრისტეს მორალი და რომელიც მარტო და მხოლოდ რუსის დაბეჩავებულის, საუკუნეების მტარვალობის ქვეშ წელში გაწყვეტილის ხალხის სულის ფილოსოფიაა და სხვა არაფერი.

უსამართლობა იქნება ვსთქვათ, რუსეთის ხალხს მარტო პლატონ კარატაევები ჰყავდეს წარმომადგენელად, ის კი უეჭველი ჭეშმარიტებაა, რომ ტოლსტოიმ ეს თვისება რუსის ხალხისა - პასიური ინდიფერენტიზმი, უენერგოზა და აპათიის გაღმერთება და ტანჯვა-ვაების წინაშე ქედის მოხრა დიდისა და მძლავრის ნიჭით გადაგვიშალა თვალწინ. მხოლოდ რუსეთის ხალხის ამგვარი ძირითადი თვისება, რომელიც ერთთავად ნაყოფია უკულტურობისა, ხდის შესაძლებლად ისეთს ისტორიულს მოვლენას, რომ მეოცე საუკუნეში რუსეთში იგივე ბარბაროსული რეჟიმი, რომელიც იოანე მრისხანის დროს იყო. ვინ იცის, ეს უცნაური თვისება - “არა წინააღმდეგე ბოროტსა” იქნება დამდუპველი შეიქმნეს რუსის ხალხისა.

სავალალო და სამწუხარო აქ ის არის, რომ ამ დამდუპველ თვისებას რუსისას, რუსეთის დიდებული მწერალი რაღაც მიუწდომელ იდეალად სახავს, კაცობრიობის განახლებისა და გარდაქმნის წამალს აქ იძიებს და თვით თავის თავის მაგალითზედ ეჭვით გულგანგმირული მიგვითითებს: “რუსის ხალხს მივმართე და იმ აზრს, რომელსაც ეს ხალხი აძლევს ცხოვრებასა და აქ მოვიპოვე ნავთსაყუდელიო”. ეს ხალხი ცხოვრებას მძიმე შრომაში ატარებს, მაგრამ იგი ცხოვრების კმაყოფილია... “ყ ო ვ ე ლ ს ა ვ ე ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ბ ა ს, უ ძ ლ უ რ ე ბ ა ს ი ს ე უ ხ ვ დ ე ბ ა, ა რ ა ვ ი თ ა რ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ს ა რ უ წ ე ვ ს; ა რ ა ფ ე რ ი ა რ ა ვ ი თ ა რ ე ქ ვ ს ა რ ა ღ უ მ რ ა ვ ს ხ ო ლ- მ ე მ ა ს; ს რ უ ლ ი ს ს ი მ შ ვ ი დ ი თ მ ი ე გ ე ბ ე ბ ა ყ ო ვ ე ლ ს ა ვ ე და ღ რ მ ა დ ა რ ი ს და რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი, ყ ო ვ ე ლ ი ფ ე რ ი ი ს ე უ ნ და მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ დ ე ს, რ ო გ ო რ ც ა რ ი ს, ა ქ ს ხ ვ ა გ ვ ა რ ა დ შე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მ ო ხ დ ე ს რ ა მ ე, ყ ო ვ ე ლ ი ვ ე რ ა ც ა რ ი ს- კ ე თ ი ლ ი ა”.

აბა, თუ პირდაპირი ლოგიკური დასკვნა არ არის რუსეთის ხალხის უსაზღვრო მოთმინება ყოველგვარის დესპოტიზმისა?..

რამდენად უფრო მალა აყენებს ჩვენი დიდებული მწერალი ქართველის ერის წარმომადგენელსა, როცა მას სიცოცხლის მოსარჩლეობას აჩემებს და ბოროტის წინააღმდეგ მედგარ მებრძოლად გამოჰყავს. განა თუ ქართველ ერშია არ მოიძებნება ღვთისაგან და კაცისაგან მოძულეებული ბეჩავი სოსია მეწისქვილე (“ოთარაანთ ქვრივი”) და გინდ მეურმე, რომელიც მთელს თავის პროტესტს არსებულის ცხოვრების მიმართ იმით გამოჰხატავს, რომ ზაქროსა და კაკოს ბედის შემნატრი “შურით ხარს შოლტს გაუტყლაშუნებს,” - არიან ეგრეთი ბეჩავნი ქართველ ერშიაც, მაგრამ იგინი მეორე პლანზე დგანან და ილიას დიდი დამსახურება ჩვენის ერის წინაშე სწორედ ის არის, რომ ოთარაანთ ქვრივისთანა კაჟისაგან გამოქანდაკებულ პიროვნებას გვისურათებს ჩვენის ერის არსებით თვისებების წარმომადგენელად და მთელი მისი სიმპათია ამგვარის პიროვნებისკენ არის (ეგრეთივეა მისი გაბრო, კაკო და ზაქრო).

ცხოვრება, მანამდე, ვიდრე იგი ცხოვრებაა, მარტო ოთარაანთ ქვრივებისთანა ენერგიულ ადამიანების სამეუფოა. მარტო ოთარაანთ ქვრივებს შეუძლიათ შეჰქმნან გაბროები და კაკოები, რომელთა, ვითომ და “ავაზაკობა” რევოლუციონურის სულითაა გაჟღენთილი და რომელთაც მარტო შეუძლიათ გარდაჰქმნან ცხოვრება საუკეთესო იდეალის მიხედვით: ოთარაანთ ქვრივი თავს ტყუილად არავის დააჩაგვრინებს, გაბრო თავის გაუპატიურებას არავის შეარჩენს, ეგრე მოიქცევა კაკოცა და ზაქროც.

აბა, წარმოიდგინეთ რომელიმე მათგანი ან პლატონის როლში, როცა ჯარისკაცად წაიყვანეს, ანადა უდანაშაულოდ დასჯილის ვაჭრის როლში: ყველა მათგანი, რასაკვირველია, იგრძნობდა, რომ მათმა უბედურებამ ვისმე ბედნიერება მიუტანა და ამ ბედნიერების თვისების მიხედვით ესამოვნებოდათ, ან იწყებდნენ, მაგრამ მათ გამაუძღლებელს კი არ შეარჩენდნენ, იგინი ჯავრს იყრიდნენ, არათუ მარტო კერძო პირზედ, მთელს საზოგადოებისაგან იძიებდნენ შურს, იმ საზოგადოებისაგან, რომელიც ჰქმნის, ხელს უწყობს უსამართლო მსაჯულს, გამაუპატიურებელ მებატონეს, სულთამხუთავ გზირსა და მამასახლისს.

პლატონ კარატაევი “გაროზგეს” და ამაში მან სასიამოვნო მხარე მოსძებნა, ზაქრომ კი “გაროზგეაში” მხოლოდ პირადობის შეურაცხყოფა და გაუპატიურება ნახა და შური იძია მთელის საზოგადოებისაგან.

პლატონ კარატაევი და ამასთან ერთად აკიმი (“ზნეღეთის სამეუფო”), თედორე (“ანნა კარენინაში”) - უბედურებასა და ვაებას ერთნაირის გულგრილობით უხვდებიან და გაიძახიან პლატონსავით: “от сумы да от тюрьмы никогда не отказывайся” -ო, ანადა აკიმსავით: “Да что же? Ужъ видно тае? Коли такъ? Значитъ видно уже тае” - რომელიც არას მოასწავებს გარდა იმისა, რომ ადამიანი მცენარისა და მინერალის უგრძობლობასა და უარარაობას უახლოვდება. ოთარაანთ ქვრივი, გაბრო, კაკო და ზაქრო კი ცხოვრების ვაებას ბრძოლას უწევენ, ბოროტს წინააღმდეგებიან და ან იცხოვრებენ ისე, როგორც ცხოვრებას შეეფერება, სიხარულითა და შვებით, მტკიცედ და შეურცხვენელად, ანადა თავს შეაკლავენ ბრძოლას თავისის იდეალისათვის, თუარა და სიცოცხლეს მოისპობენ. მათ პირუტყვულს ცხოვრებას - ნაზრახ სიცოცხლეს - სიკვდილი ურჩევნიათ.

ჩვენის დიდებულის მწერლების სადიდებლად უნდა აღვიაროთ, რომ მათგან ნანადერძევი იდეალი სიმხნევისა, სიმამაცისა და ბოროტის წინააღმდეგ ნესტან-დარეჯანის დასახსნელად ბრძოლის იდეალია. მათ იშვიათის გამჭირაობით, წინასწარმეტყველურის ნიჭით შეუგნიათ ცხოვრების არარაობა, მისი სიბინძურე და სიბილწე; ძვირად თუ ოდესმე პოეტს და მწერალს უგრძნია საუკუნის ჩვენის ბედშობა ისე, როგორც ბარათაშვილს, ილიასა და აკაკის, მაგრამ თავის დღეში მათ ვერ წარმოუდგენიათ უბედურების წინაშე მუხლის მოყრა, უბედურებაში სიტკბოების ძიება, მათთვის ფილოსოფია “от сумы да от тюрьмы никогда не отказывайся” და “ტაე-ტაეს” ფილოსოფია ისეთი ანბანია, რომელსაც თავისდღეში ვერ მიხვდებიან.

იგინი ყოველთვის იმას ჩაგვძახიან:

“თუ კაცი გვქვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა” ანადა:

“აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია”, ანდა კიდევ:

“არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, მოვა დრო და გაიღვიძებს.”

მთელი მათი პოეზია, ფილოსოფია და მორალი ამგვარის მხნე და მრთელის პესიმიზმით იყო გაჟღენთილი, რომელიც ცხოვრების სიმწარეს სავესებით გრძნობს, მაგრამ ამ სიმწარის შერიგებას კი არ სცდილობს, ებრძვის მას, წინააღმდეგება და სწამს სიკეთისა და სიხარულის სამეუფოს განმტკიცება და გარეშე ამისა სიცოცხლე ჩირის ფასადაც არ მიაჩნია.

ასეთია საუკუნო დედა აზრი ჩვენის ლიტერატურისა, რომელიც უკვე რუსთაველისაგან გვაქვს ნანდერძევი: საარაკო ტანჯვა ტარიელისა ნესტან-დარეჯანის ძეგნაში, მისი მოპოვებით და მასთან საუკუნო კავშირით დამთავრდება.

ამიტომაც ტოლსტოი-კარატაევის ფილოსოფია სიკვდილისა, მცონარეობისა, სულით დაგლახაკებისა, დაკრავებისა და ბრწყინვალე ცხოვრების უარყოფისა ისე შორს არის ჩვენგან, ისე უცხოა, როგორც უცხონი და გაუგებარნი არიან ერთმანეთისათვის პლატონ კარატაევი და ოთარაანთ ქვრივი, აკიმა, თედორე - გაბრო, კაკო და ზაქრო.

## II

22 სექტემბერს, 1911 წელს, ქუთაისში გამართულ სალიტერატურო საღამოზე წაკითხულმა ჩემმა რეფერატმა რეპლიკა გამოიწვია ჯერ თვით თეატრის დარბაზში ბ-ნ გ. რობაქიძის მიერ და მერე გაზეთებშიაც (“მნათობის” ფურცლებზე).

მე, რასაკვირველია, ვერ გამოვეკამათები ვერავის, მაგრამ მინდა ორიოდ ჩემი მოსაზრება გავუზიარო მკითხველებს და ამით გზადაგზა პასუხი გავსცე ჩემს, ასე ვთქვათ, ოპონენტებს.

“განდეგილი” ისეთი დიდებული, ისეთი გასაოცარი ნაწარმოებია, რომ იმის შესახებ ბაასი კაცს არ მოსწყინდება, არც მწერალს - წერა, არც მკითხველს - კითხვა. “განდეგილი” არათუ უდიდებულესი ნაწარმოებია იმ სალიტერატურო სკოლისა, რომელსაც ილია ეკუთვნოდა, არათუ გამომსახველია მთელის მეცხრამეტე საუკუნის ქართველ საზოგადოების მოწინავე ნაწილის ფიქრისა, აზრისა და სულის კვეთებისა, იგი წინასწარმეტყველურის ტენდენციით არის აღსავსე, იგი გამომხატველია მთელის ქართველის ერის კულტურულის სახისა, იგი გამომეტყველია ქართველის ერის რწმენისა და ფილოსოფიისა.

“ვეფხისტყაოსნის” საუკეთესო მაღალნიჭიერმა მკვლევარმა აკადემიკოსმა და პროფესორმა მარმა აღნიშნა თავის წიგნაკში შოთას თხზულების ის ცხოველმყოფელი ელიზინიზმი, ცხოვრების ფილოსოფია, ცხოვრებისადმი ტრფიალი აზრი, რომლითაც აღსავსეა ეს დიდებული ნაწარმოები, ეს უკვდავი ძეგლი ქართველი ერის გენიოსობისა. ეს საღი წარმართული (paien) შეხედულება ცხოვრებაზე სჩქევს ჩვენს ლიტერატურაში დაუშრეტელად, მისი მოძრაობა ვერ შესძლო ვერც ბიზანტიურმა ფორმალიზმმა სარწმუნოებაში, ვერც აღმოსავლეთის პესიმისტურმა ფილოსოფიამ, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა მთელი ჩვენი ლიტერატურა საუკუნოების განმავლობაში, ვერც მისტიციზმმა რუსეთის მწერლობისამ, რომლის გავლენის ასის წლის იუბილე უკვე ნადღესასწაულევი აქვს ქართულ მწიგნობრობას.

თუ სადმე შესაძლებელია ითქვას რომელიმე ერის ლიტერატურის მთავარ ტენდენციის შესახებ, მწერლობის ნაციონალურის ხასიათის შესახებ, კულტურის დედაძარღვის შესახებ - ეს უეჭველად ქართულ ლიტერატურის შესახებაც ითქმის და ეს განსაკუთრებული თვისება ქართულის მწერლობისა გამოიხატება იმაში, რომ მარად ჟამს, ყოველს გარემოებასა და ყოველს პირობაში მას არ დაუკარგავს, არ გადაუხვევია ცხოვრების ალღოსათვის, არ უღალატნია მისთვის. ცხოვრების “სიტკბო-სიამე” ყოველთვის ღრმად უგრძნია, ყოველთვის სატრფიალო საგნად გაუხდია. ჩვენს ლიტერატურას, რასაკვირველია, განუცდია ქრისტიანობის ზედგავლენაც; სასაცილოც იქნებოდა და სატირალიც ეს ძლიერი ძალა მისთვის შეუმჩნეველი და შეუთვისებელი გამხდარიყო. უეჭველად ამჩნევია მას დაღი იმ სარწმუნოებისა, რომლის უმთავრესი იდეალიც მოყვასთათვის თავის დადებაა. “უფროისი ამისსა სიყვარული არავის აქუს, რაითა სული თვისი დვას მეგობართა თვისთვის” - გაისმოდა საუკუნეების განმავლობაში იესოს ტამარში და მისი გამოხმობა, მისი გამოძახილი თვით განხორციელებულ სასოწარკვეთილების გენიოსის ნიკო ბარათაშვილის ლექსებში გაისმის.

თუ ერთის მხრით იგი ცხოვრების თავყანისმცემელია:

“რადგანაც კაცნი გვექიან, შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა”,

- გვეტყვის ის დაგვიხატავს რა ცხოვრების ძირის სიმწარეს, მეორეს მხრით, ქრისტიანულ მოყვასის სიყვარულს იჩენს, როცა გვეტყვის:

“და ჩემ შემდგომად მოძმესა ჩემსა  
სიძნელე გზისა გაუადვილდეს”.

მხნედ დაგვძახებს მას შემდეგ, რა ყოველსავე ამსოფლიურს თავისის მერანით გადასთელავს: სიყვარულს, მეგობრობას, თვით საფლავს სამშობლო მხარეში.

ამიტომაც არის, რომ ჩვენის ცხოვრების ფილოსოფიას, “სააქაოს” რწმენას, ხორცის სიამეს აღვირახსნილი, ეგოისტური, ბინძური ელფერი კი არა სდევს, სინაზითა და სიმშვენიერითაა შემოსილი. “სურვა”, “მგრძნობელობა სჯობს ყოველ გრძნობას,” - გვეუბნება ალექსანდრე ჭავჭავაძე, მაგრამ მისი მგრძნობელობა სევდიანობითა და თავისუფლებით არის აღსავსე.

შედარებისათვის ავიღოთ რუსული ლიტერატურა:

რუსულის მწერლობის კორიფეები ტოლსტოი და დოსტოევსკი სულ ცხოვრების სიტკბოს წინააღმდეგ არიან ამხედრებულნი, მარტო სული, მარტო საიქიო აინტერესებთ: ტოლსტოი იმ უკიდურესობამდისაც კი მივიდა, რომ დაჰგმო და ანათემის ღირსად გახადა თვით გრძნობა სქესობრივი დასაბამისა, წყარო ცხოვრებისა, ე. ი. მან ერთის კალმის მოსმით მოინდომა მთელის ცხოვრების მოსპობა. რუსული ლიტერატურა ყოველს ხორციელს, ყოველს, რასაც ბუნებრივის სტიქიონის ხასიათი აქვს, უარყოფით ეკიდება, მარტო სული, მარტო გასაცხოვნებელი კაცი - ადამიანი - აი, მისი იდეალი; მშრალი კანონი, მკვდარი დოგმატი - აი, მისი მორალი. ყოველი ადამიანი, რომელიც ეკლესიის მიერ მიღებულ დოგმატს გადააბიჯებს, დაისჯება: ანა კარენინა დაღუპულია იმიტომ, რომ უღალატა საუკუნეების მიერ გაჭედილ მეუღლეობის კავშირს.

ცხოვრების სიდუხჭირე, სიბინძურე, ვით სიმბოლო ცხოვრებისა, შეხარულება, სიცოცხლის უარყოფა - აი, რა ამშვენებს ადამიანს. პიერ ბეზუხოვი მკბენართა ემბაზში მოინათლება და მხოლოდ მაშინ იქცევა ტოლსტოის თანამგრძნობ გმირად. ეს არის არათუ ქრისტიანიზმი, არის გადაჭარბებული, წრეს გადასული ფორმალიზმის გაღმერთება. და, როცა უწმინდესი სინოდი ტოლსტოის მოძღვრებას სდევნის, პირდაპირ ადამიანთა შეუგნებლობისა და სისულელის სურათი თვალწინ აღგემართებათ. შესაძლოა, სინოდის წევრები წინააღმდეგნი არიან არსებითად ფორმალიზმის განხორციელებისა. მათ ფორმა, დოგმატი დეკორუმად სჭირიათ, ძალის მოპოვებისათვის გამოსადეგ იარაღად და სრულიად არ ეჭაშნიკებათ მათი ცხოვრებაში განხორციელება. ამ შემთხვევაშიაც შორს- მხედველობაა საჭირო თვით უმცირესი, რომ იმ კაცს არ აუხედრდე, რომელიც ახალის სულით აცხოველებს დახავსებულსა და დამპალს ჩონჩხს.

ვერავითარს მსგავსს ქართულს ლიტერატურაში ვერ იპოვით. არა მგონია, ჩვენოდენი საზოგადოებრივი უბედურება ერს სწევოდეს - ერთი ილიას მოკვლა რად ღირს, - მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიხარული და ლაღობა, ცხოვრების, საწუთროს, სააქაოს სიყვარული ჩვენს მწერლობას არ დაუგდია. თუ ქვეყნის გეოგრაფიულს მდგომარეობას რაიმე გავლენა აქვს - და, უეჭველია, აქვს - მწერლობაზე, ერთის მხრით, ამითაც აიხსნება ეს მხიარულების ფონი, ნიადაგი, რომელიც არა შორდება ჩვენს მარჯვენა-ნაკურთხ მწერლებს - თვით უაღრესს პესიმისტებსაც კი. “ცა-ფირუზ, - ხმელეთ-ზურმუხტი”, რომელიც ჩვენმა დიდებულმა მგოსანმა უკვდავყო თავისს ერთ საუკეთესო ლექსში, ნიადაგ მხიარული კაშკაშა ცა მზით გაბრწყინვალეული, ნიადაგ ამწვანებული მიდამო - თვით უსაშინელესს წამებს უტკბობს სმენამახვილს გენიოსს ქართველის ერის პოეზიისას.

და, აი, თვისება ქართველის მწერლობისა სავსებით გამოიხატა ილიას “განდევილში”.

რაში გამოიხატა ილიას პესიმიზმი, ილიას უარყოფა ცხოვრებისა - ამ პოემაში?

სამას სტრიქონზე მეტია ამ საოცნებო ქმნილებაში და ამ სამასი სტრიქონიდან ცხოვრების მწარე მხარის აღწერას დათმობილი აქვს ოცი თუ ოცდახუთი სტრიქონი. შესაძლოა ამასში გამოერიოს ათი სტრიქონი, რომელიც მთელ ნაწარმოებს სჯობდეს, უფრო ძლიერი იყოს, ამისათვის სტატისტიკას და ციფრებს როგორც აქ, ისე, საზოგადოდ, ხელოვნებაში ადგილი არა აქვს. მაგრამ ეს პოემა იმ შედეგს ეკუთვნის, რომელშიაც ერთი წერტილიც არ არის მეტი, რომელშიაც ერთი სტრიქონი მეორესა სჯობს და ეს მეორე - პირველს. მეორე თავის ადგილს უფრო ძლიერია პირველით, ხოლო პირველი უმეორეოდაც მშვენიერია და წარმატავი. მაშ, აქ ამ წმინდა ტექნიკურ მოსაზრებასაც აქვს მნიშვნელობა.

აი, ის სტრიქონები, სადაც ილიამ შეუდარებლად დაგვიხატა მთელი სიმწარე ცხოვრებისა, ვითა ძველ ე ბ რ ა ე ლ თ ა წინასწარმეტყველმა მკვეთრად და საოცარის წინაგრძნობით აღგვიჩუხსა შხამიანი წუთისოფელი:

“ოდესღაც ტამარს იმ გაუქმებულს  
მეუდაზნოე შეჰკედლებია,  
საიქიოსთვის ეს სააქაო  
დაუთმია და განშორებია.  
განშორებია ვით ცოდვის სადგურს,  
ვით სამეუფოს ბოროტისასა,



სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს  
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;  
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღედაღამ,  
ვითა მპარავი და მტაცებელი;  
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,  
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი,  
სად რყვნა, წაწყმენდა და ღალატია,  
სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა,  
სად ცილი, ზაკვა ძულეზადა ჰხდის  
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.  
განშორებია ამ წუთისოფელს,  
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,  
სად თვით სიტურფე და სათნოება  
ეშმაკის მახე და ცდუნება”.

რაგინდ ძლიერი იყოს ეს სურათი, იგი განყენებული სურათია, იგი ლოგიკური აბსტრაქციაა, იგი მსჯელობაა მოშხამულის გონებისა, და, როგორც ასეთი, ისეთს ძლიერს ცხოველყოფელ შთაბეჭდილებას არ იწვევს, ვითა აღწერა “სააქაოს” “ცხოვრების,” ამ წუთისოფლის სიტკბოებისა, რომელიც მგოსანმა უკვდავის მხატვრულის საშუალებით შეგვაგნებინა. ცხოვრება ის მშვენიერი ასულია, რომელიც სენაკში შეეჭრა განდევილს და ყირამალა დააყენა მთელი მისი ფილოსოფია, ტყუილა ჩაუტარა ის, რომ “დღედაღამ ლოცვით, გოდებით, გვემით, ხორცი სულისთვის უწამებია”.

აბა, გადაათვალიერეთ ცხოვრების გაღმერთების სურათი:

“გასაოცარი რაღაც შვენება  
განდევილს თვალწინ წარმოედგინა:  
ყმაწვილი ქალი სავესე სიცოცხლით,  
სავესე შვენების ჯადოთი, გრძნებით”...

და ეს მშვენიერება მით არის კიდევ საყურადღებო, რომ თვით განდევილს გააოცებს, სულს დაუწყნარებს, დაუტკბობს და გულში რაღაც უჩვეველ, ანდა გადაჩვეულ სითბოსა და სიტკბოს გაუტარებს.

“და უცოდველის გულის ტკივილით  
ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი”.

მაშინ, როდესაც, თუ წარმოვიდგენთ, რომ განდევილი უნდა იყოს “საიქიოს” წარმომადგენელი, ეს ნამეტანი “მწყრალი და გულ-მშრალი” უნდა ყოფილიყო, რადგან არათუ ვერავითარ წარმტაც და მომხიბვლელ გავლენას ვერ იქონიებს მწყემს-ქალზე, არამედ მთელი მისი არსება პროტესტით აღივსება ასეთის უკულმართობის წინააღმდეგ, რად განშორებისა ჩვეყანასაო:

“განა ქვეყანად შენ არავინ გყავს,  
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?”

“წუთისოფელს მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?”

“ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!  
მერე იცი კი, რა რიგ ტკბილია:  
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,  
აქ ჭირია და იქ კი ღვინია  
მითხარ: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?”

განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის ქვეყანას, ღვთისგანვე დაზადებულსა. “ვფიქრობდი: ნეტა მამ რისთვის მორთო ესე ღამაზად წუთისოფელი?” და სხვ. ამ მარტივს და თითქმის ბავშვურს მოსაზრებას, თუმც თავისის სიმარტივით უძლეველს და თავისის სიყრმით მომხიბვლელს, ეს ბრძენი და ქვეყნის ავ-კარგის შემგნები მწირი ვერაფერს პასუხს გასცემს, თუ არა

მას, რომ “ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისაო”, ანადა: “ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ე ს ე თ ი მ ე რ გ ო მ ე... უ ბ ე დ უ რ ს ა ო”.

ეს უბედურად თავის მონათვლა უკვე დამარცხებაა მთელის მისის მსოფლმხედველობისა, ის ვერავითარ საბუთს, ვერავითარ საფუძველს ვერ გამოუძებნის თავის რწმენას, თუ არ მას, რომ ღმერთს გადააბრალებს თავის ბედს. დამარცხდა განდეგილი თავის ფილოსოფიურ დისკუტში და დამარცხდა იგი პრაქტიკულადაც.

ეს დამარცხება მაშინ მოხდა, როდესაც მიძინებული ქალის ჯადოსნურ სიმშვენს ვეღარ გაუძლო და, გაპოხილ ბაგეთა ლაღის ღიმილით წარტაცებულმა, მოინდომა ბაგეთ შეხება.

ეს სავსებითი დამარცხებაა განდეგილისა, საშინელი და გაუსწორებელი. აქ წინ იშლება მთელი ტრაგედია განდეგილობისა, ასკეტიზმისა, მთელი სისუსტე და სიბეჩავე ამგვარის მიმართულებისა. “რომ განდეგილს ის “გადაეკონა”, “ჩახვეოდა”, “მასთან ერთად გამოქვაბული მიეტოვებია და საწუთროს უღელის ზიდვას შესდგომოდა”, როგორც ერთ-ერთი ჩემი ოპონენტი ბრძანებს (“მნათობი”), მაშინ “განდეგილი” ტრაგიზმით აღსავსე პოემა კი არ იქნებოდა - ფარსი იქნებოდა და ისიც დაბალხარისხოვანი.

განდეგილს, რომელსაც “განუდევნია გულიდან ყველა - მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი... დღედაღამ ლოცვით, გოდებით, გვემით ხორცი სულისთვის უწამებია”, რომლისაც “სული აყვავებულა”, “და ხორციელი გულისთქმა ყველა” დაუმარხავს და განუსვენებია, გულში “ჯერ არ ცნობილი სიტკობება” ესტუმრება და სულისთვის “აღთქმულუკვდავებად” მოეჩვენება. - განდეგილი ამ მაცდურებას ვეღარ უძლებს, “ძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის ესოდენ ამო, ესოდენ ტკიბილი!” ეს სრულიად საკმარისია. მან საიქიოს ამით ზურგი შეაქცია და მისი კავშირი საიქიოსთან გასწყდა; იგი ღვთისმშობელს მიმართავს, რომ მის საფარველს ქვეშე “წყეული ხორცი დაწყნარდეს”, მაგრამ

“ზე აიხედა... დედა-ღვთის ხატსა  
მავედრებელი შეჰმართა თვალი...  
და ვაი, წმინდა ღვთისმშობლის ნაცვლად  
თვალთწინ დაუდგა იგივე ქალი.”

დაწყნარების მაგიერ მისი ხორცი აღშფოთდა. მის ბუნებაში კატასტროფა მოხდა, მთელი რევოლუცია მის რწმენაში - იგი ბუნების კანონების ყურმოჭრილი მსხვერპლი და მონა შეიქმნა.

“პირჯვარი უნდა, ხელი არ ერჩის,  
ლოცვის თქმა უნდა - ენა ებმება,  
ხატის ხილვა სწყურს და იგივე... იგივე...  
ქალი წყეული თვალთ ელანდება!  
“აბა სძლიეო!..” და კვლავ ვიდაცამ  
გადიხარხარა იმის სენაკში...  
აწ იმა ხარხარს ვეღარ გაუძლო  
და როგორც გიჟი გავარდა კარში”.

დიაღ, ვეღარ სძლევს აწ იგი ხორცს, ვეღარ დაუცხრობს სხეულს და მთელი მისი რწმენაც შეირყევა. მისი რწმენის, ასე ვსთქვათ, ნიშანი, სიმბოლო მზის სხივია, რომელიც ლოცვანს იჭერს - ეს სიმბოლოა მის წინანდელ ღრმა კავშირისა საიქიოსთან. დღეს კი ძლეული სული ამ აღტაცებამდის ვეღარ მივიდა.

“მივარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ  
და, ეჰა, სხივმა არ დაიჭირა!..

ესეც უტყუარი საბუთი მისი დამარცხებისა და შემდეგ კატასტროფა ფინალისა:

“გაშრა, გაშემდა ზარდაცემული,  
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა  
და იქავ, სხივქვეშ, უტევა სული.

დიდად აღსანიშნავია ის ეპილოგიც, რომელიც ავტორს რამდენსამე სტრიქონში აქვს გამოთქმული:

“აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა  
მარტო ქარილა დადის და ქშუის  
და გამომფთხალი ჭექა-ქუხილით  
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის”...

ეს მთლად “განდეგილობის” მოსობაა, ვინაიდან მიმბაძველიც კი ვეღარ მოუპოვებია მის მაგალითს და მისი სენაკი ნადირთა სამფლობელოდ გამხდარა. ეს არის სრული უარყოფა ასკეტიზმისა, რომელსაც თანამედროვე ცხოვრებამ ზურგი შეაქცია, დაჰგმო და რომელიც არანორმალურ მოვლენად მიაჩნია.

მეტად საყურადღებოა ის ნაწილი პოემისა, სადაც აწერილია ის ადგილი, როცა განდეგილმა, ცოტათი დაწყნარებულმა,

“კვლავ სასოებით...  
დედა ღვთისასა მიაპყრა თვალი,  
კვლავ ჰნახა იგივე ცხოველი ხატი  
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი,  
არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღვთისგან.”

ამაში გამოიხატა ერთგვარი რელიგია, თუ გნებავთ თავისებური დეიზმი ჩვენის ტანჯულის მოგონისა. ხატი დედა-ღვთისა - ეს სიმბოლური გამოხატულება რელიგიისა - “მადლითა და ნუგეშით” შესცქერის განდეგილს იმიტომ, რომ ღვთაებას არად უნდა “ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?” განა მართლა მისთვის მორთო

“ესე ლამაზად წუთისოფელი?  
განა მისთვის, რომ ადამიანმა  
შეაჩვენოს და აილოს ხელი?”

ღვთაება ცხოვრების მფარველია, ცხოვრებისაგან განდგომილობას სრულიად არ თხოულობს და, თუ სხივი ლოცვანს აღარ დაიჭერს - იმიტომ, რომ დაირღვა თვით განდეგილის სულის სიმტკიცე, მის ექსტაზს ფრთები შეეკვეცა, მის ასკეტიზმს ნიადაგი მოესპო.

შეიძლება ორგვარად დაასაბუთოს და დაამტკიცოს მწერალმა და ყოველმა ადამიანმა ყოველივე აზრი. ცხოვრების ბრძოლა, ცხოვრებაში აუცილებლად ყოფნა, ცხოვრებისთვის თავის დადება და ცხოვრების უღლის წვეა, რაც უნდა “ბოროტის სამეუფო იყოს იგი” - აუცილებელია. ანდა იგივე წინადადებაში კაცმა სხვაგვარად დაგარწმუნოთ და განახოთ, რომ ის, ვინც ცხოვრებას გაუდგება, ზურგს შეაქცევს, ვით ერთს “რასმე ჭირიანს” და ვაგლახს, ის, ვინც სააქაოს პირს უბრუნებს, ვინც ხორცს დაჰგმობს, იგი უსათუოდ დაილუპება, ვით განდეგილი, რაც უნდა იგი “სულით გაწმენდილ და განზანდილ” იყოს, რაც უნდა აწამოს ხორცი სულისათვის და თუ გინდ კიდევაც ეგონოს, რომ

“აქ სული მისი აყვავებულა  
და ხორციელი გულისთქმა ყველა  
დამარხულა და განსვენებულა”

იმიტომ, რომ ეგრეთი ლტოლვა ცხოვრებიდან, ეგრეთი გადალახვა ბუნებრივის კანონებისა, ეგრეთი აბუჩად აგდება “ცხოვრების” სიტკბოებისა შეუძლებელია, მოუხერხებელი ისეთ მტკიცე ხასიათისა და სულით მაღალ ადამიანისათვისაც კი, როგორც განდეგილი იყო.

განდეგილი რომ მწყემს ქალს პირველის დანახვისათანავე ჩაჰკონებოდა, როგორც ეს “მნათობის” რეცენზენტს ჰნებავდა, მაშინ მხოლოდ იმას დავინახავდით, რომ ეს ილიას განდეგილი გამოდგა სულით სუსტი და მეტისმეტად ცეტი, თორემ ზოგიერთს ღრმად მორწმუნეს აფიქრებინებდა, ასე არ მოიქცევოდა მტკიცე ხასიათის ადამიანი.

მით არის ეს პოემა ღრმა და უცილობლად დამარწმუნებელი, რომ განდეგილი მტკიცე და შეუდრეკელის ძლიერის ხასიათისა და მაღალის რწმენის კაცია, მაგრამ იგივე სძლია ბუნებამ და ცხოვრებამ, სძლია და მით კატასტროფა მოახდინა მთელს მის არსებაში.

ბ-ნი გრ. რობაქიძე არ დამეთანხმა, როგორც ვაგივე, იმაში, რომ მე განდეგილის “საიქიოს”, რომელიც ბ-ნ რობაქიძის ტერმინით “სამარადისო” არის, რომ ამ “საიქიოს ძებნას მის მარადისობამდის” მიდრეკილებას ვაუგებ. ეგ სწორედ ესეა, და არათუ მე, თვით ზეციდან მადლით ცხებული მგოსანი სჯის განდეგილს ამ მისწრაფებისათვის. განდეგილი კი მარტო ცხოვრების მყარსა და ყოველდღიურ წარმავალ და გულის ამრევ სინამდვილეს კი არ ჰყოფდა უარს, იგი ებრძოდა ხორციელებას, იგი ებრძოდა მთლად ერთიანად ცხოვრებას და სულის სამეუფოს

დამკვიდრებას ეტანებოდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს მისი ცდა სრულის გაკოტრებითა და დამარცხებით გათავდა.

## ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები

### ილია და აკაკი

#### (მოდვარი და წინასწარმეტყველი)

აკაკის დიდებულმა დასამარებამ ცხადჰყო, რომ ქართველ ერს ეს ორი სახელი - ილიასი და აკაკისა - განუყრელად, განუშორებლად აქვს დასვენებული მის სამლოცველო სახატეში.

ის, ვინც ეცდებოდა ამ ორი სახელის განცალკევებას, ერთიმეორის დაპირისპირებას, უეჭველად მოლიპულ გზას დაადგებოდა და თვითვე იგრძნობდა, რომ ფეხი წაუსხლტებოდა, თუ დროზედ თავს არ შეიმაგრებდა. ეს ორი სახელი დიად მოძღვართა ქართველი ერის გენიოსობამ, ქართველი ერის ისტორიული ცხოვრების ქარტეხილმა ერთად შეაკავშირა, შესჭედა - მათი განშორება ვერ შესძლო თვით ყოვლის დამამხობელმა სიკვდილმა.

საერთო თვისება, არსებითი ხასიათი ილიასა და აკაკის მწერლობისა არის მ ო ძ ვ რ ე ბ ა და წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა, - ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ სიტყვებს.

ავილთ დიდებული ქართველი ლირიკოსი ნიკო ბარათაშვილი - ეს გენიოსი ქართველის ტანჯვისა და ნაღვლისა; შეუდარებელი გამომხატველი ქართველის დასევდიანებული გულის კვნესისა, - იგი ნამდვილი და ჭეშმარიტი გამომახილია ხუნდებგაყრილი ქართველის არსებისა. მართლაცდა, იგი სწორუპოვარი, ცხადი ხატებაა მონობით დაქანცული, ქანცგაწყვეტილი ქართველის გულის და სულის ოხვრა-ვაებისა.

მაგრამ ბარათაშვილი მაინც ამ ფარგალს ცრემლთა ღვრისას, გოდებისას ვერ გაცვილებია. მას ვერ გამოურკვევია და ვერ შეუგნია ნამდვილი მდგომარეობა ერისა, სამშობლოსა და ინსტინქტურად, ფატალურ ძალთა ზეგავლენის ქვეშ, ვით ებრაელთა წინასწარმეტყველი, “დაჯდა მტირალი და გოდებდა გოდებასა ამას იერუსალიმსა ზედა”. ბარათაშვილი იმ დროის შვილია, როცა საქართველო უდიდეს უბედურებას განიცდიდა.

თვით უსამინელესი მდგომარეობა დაავადებული ორგანიზმისა, - საზოგადოებრივია იგი ორგანიზმი თუ კერძო ადამიანისა, - სწორედ მაშინ არის, როცა იგი გამოურკვეველია, როცა ბურანშია, გრძნობა დაჩლუნგებული აქვს, გონება - დაბნეული.

ნიკო ბარათაშვილის ეპოქა ასეთი იყო.

ერს მაშინ წარმოდგენილი არა ჰქონდა ნათლად თავისი უბედურება. ტემპერატურა ჩვენი ეროვნული ორგანიზმისა ძალზე აწეული იყო - როცა მსჯელობა შავი აჩრდილით დაჩრდილულია, ხოლო მაჯისცემა ისე მისუსტებული, რომ თვით ფაქიზი და გენიოსურად მახვილი სმენა ბარათაშვილისა ყრუდ მოსჩანდა მის წინაშე. ჩვენი სევდის მგოსანს ნათლად ამჩნევია ბეჭედი ამ შავბედი დროისა და მის შემოქმედებას ცხადად აკრავს დაღი ამ საშინელი ეპოქისა.

აქა-იქ გაუბედავად, კანტი-კუნტად თუ გაისმის მის კვნესაში გარკვეული რამ, მაგრამ ისე მქრალად, ისე ჩუმად, რომ ეჭვი გეზადება და სრულიად საფუძვლიანი ეჭვი: ჰქონდა თუ არა გათვალისწინებული ტანჯულ გონებას და “მახვრალ სულს” მგოსნისას სატრფო ავადმყოფის მდგომარეობა.

აი, თვით ცხადი, თავზარდამცემი საბუთი და სურათი მაშინდელის ჩვენი ვითარებისა: ბარათაშვილის “სულით ობოლ” ნიჭისთვისაც კი არ იყო ნათელქმნილი, ვინ და რა იყო ის “ზოროტი სული”, რომელიც სულსა და გულს უშხამავდა მასა და მის მშობელ ერს: ვინ და ან რა იყო ის “თვალბედითი შავი ყორანი”, რომელიც საქართველოს და მისი მგოსნის ცხოვრებას საბედისწეროდ დასჩხაოდა?

ერთგვარი ატროფია, ერთგვარი გრძნობათა და აზრთა მოდუნება იყო მაშინ გამეფებული.

ასეთი მდგომარეობა ყოველგვარი ორგანიზმისა, თავისთავად კრიტიკული, იმდენად მტანჯველი თითქო არც კი არის, ვინაიდან თუ გრძნობა შენი შებოჭილია სენით - ვეღარც კი გრძნობ მწარე ტკივილებს, ამ სენით გამოწვეულს, მაგრამ ყოველ ავადმყოფობას აქვს თავისი კრიზისი, თავისი საბედისწერო მომენტი, რომლის შემდეგ სწეული ან პირს იბრუნებს სიცოცხლისაკენ, ანდა სისწრაფით დაექანება ცივსა და ნესტიან სამარისაკენ.

ილია და აკაკი სწორედ იმ დროის შვილები იყვნენ, როცა საეროვნო ორგანიზმმა ამ კრიტიკულ ხანას გადააბოჯა, სიკვდილს გადარჩა და სამშვიდობოსკენ მოიხედა, გრძნობაზე მოდიოდა.

თანაც ტკივილები, სევდა და ვარამი თითქო უფრო მწვავე, უფრო მტანჯავი შეიქნა, ვინაიდან ეხლა დასწრეულზელი ორგანიზმი გონებაზე მოსული იყო და ყველა ამას გრძნობდა და განიცდიდა მტკივნეულობით.

მაინც და მაინც ავადმყოფი მორჩენის გზას დაადგა და ამის უეჭველი სიმპტომები გამოაჩნდა; ძლივს შესამჩნევი, მაგრამ მაინც კიდევ დაეტყო საიმედო, სასოების აღმძვრელი ნიშნები გამომრთელებისა.

რასაკვირველია, ამგვარი სენით შეპყრობილ არსებაში ჩამარხულ იდუმალ ძალთა აღორძინების შეგნება და შემჩნევა მარტოოდენ დიადი გონების, დიადი ნიჭის აქიმს შეეძლო, მისი სენის დიაგნოზი და პროგნოზი მხოლოდ ღვთაებრივად დაჯილდოებული გულის მესაიდუმლეს ეკუთვნოდა, და ამგვარი იყო სწორედ ეს ორი პიროვნება, ორი კორიფეი ჩვენი ლიტერატურისა: ილია და აკაკი.

მათ ჩანგში გაისმა პირველად მძლავრი და მომხიბლავი წინასწარმეტყველება და მოძღვრება, რომელიც საქართველოს შვილს წარსულის ცეცხლზე ანთებული ლამპარით მომავლის გზას უნათებდა.

ჩვენს ღვთივ კურთხეულ მოძღვრებს შუბლზედ აქვთ მკაფიოდ გამოსახული სხივოსანი შარავანდედი მოძღვრისა და წინასწარმეტყველისა. ჩვენი აწმყოთი იგინი გულდათუთქულნი და გულმოწყლულნი არიან; სამართლიანად შეეძლოთ გაემეორებინათ ამ აწმყოს შესახებ იერემიას სიტყვა: “განმადლო მე სიმწართა, და მათრო მე ნაღვლითა”-ო.

და იმეორებდნენ კიდევაც:

“ცრემლში მილესავს ნაღველი  
და მელნად ის მიხმარია” -

აკაკი არ ამბობს ამას?

იგინი ჩვენს დღევანდელ ვითარებას ამათრახებენ და ვით სასტიკი ჰიეგოვა, წყველა-კრულვით იხსენიებენ ჩვენს დღევანდელ ყოფას. “დღიურ სიცხადით გულდაჩაგრული” მოძღვარი “ფურთხის ღირსადაც” კი ჰხდის იმ საქართველოს, რომელიც დაცემულა, “გდია ვით მკვდარი, და მტერს პირუტყვებერ ემორჩილება”.

მეორე კი, თავის “აჩრდილსა” და “განდეგილში” ისეთ სურათს მოგვცემს ჩვენი ეხლანდელი გათახსირებისა და დაღუპვისას, რომ ადამიანი თავზარდაცემული რჩება რამოდენიმე ხანს. და ეს სურათები გაგონებენ სწორედ ებრაელთა წინასწარმეტყველებს, გაგონებენ სასტიკ უფალს ისრაელისას, რომელიც მეხთა მტეხის რისხვით ამაგებს მის მიერ რჩეული ერის ზნეობრივ დაკნინებას.

საქართველოს შვილს დღეს არც კი სწამსო სამშობლოს აღდგენა და იგი “დაუგდია ვით ტადარი გაუქმებულიო”.

საქართველო გავერანებულია, აოხრებული, გატიალებული ყოველნაირად.

“აქ არვის - დიდსა, თუ პატარასა  
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,  
დავიწყებია, რომ ქვეყნად ცასა  
ღვთად მოუცია მარტო მამული”.

და მგოსანი ამნაირ უცნაურ საყვედურსა და ბრალდებასაც კი არ დაიშურებს თავის ერისათვის:

“გმირის დამბადი დიდი საგანი  
თქვენში სპობილა და წაწყმედილა.  
გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას  
დაგინგრევიათ დიდი მამული.

. . . . .

თქვენგან გმობილი უცხოს კალთის ქვეშ  
ვითა ობოლი შეფარებულია”.

ეს გრძნობა დღევანდელიობის უარყოფისა უაღრეს წერტილამდეს არის მიყვანილი “განდეგილ”-ში, სადაც სააქაოს სწყევლის “ვით ცოდვის სადგურს”,

“ვით სამეუფოს ბოროტისასა,  
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს  
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;  
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღედაღამ,  
ვითა მპარავი და მტაცებელი;  
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,  
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;  
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,  
სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა,  
სად ცილი, ზაკვა ძულეზადა ჰხდის  
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.  
განშორებულა ამ წუთისოფელს,  
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,  
სად თვით სიტურფე და სათნოება  
ეშმაკის მახე და ცდუნებაა”...

ამაზე უფრო ძლიერი ხომ იერემია წინასწარმეტყველსაც არა უთქვამს რა.  
გავიხსენოთ მისი წინასწარმეტყველების ადგილები და ვნახავთ, რომ ჩვენს შედარებაში  
გადაჭარბებული არა არის რა:

“კაცადი მოყვასისგან თვისისა ერიდენით, და ძმათა თქვენთა ნუ ესავთ, რამეთუ ყოველი ძმა  
წიხლითა წიხლიდეს და ყოველი მეგობარი ზაკულად ვიდოდის.

კაცი ძვინად მოყვასისა თვისისა მოკიცხარობს, ჰქმმარიტებაი არა თქვას; ასწავა ენამან მათმან  
თქმაი ტყუილისა. მიხუჭდეს და არა მოაკლდეს მიქცევად.

“ვახში ვახშსა ზედა, ზაკვაი ზაკვასა ზედა;  
არა ინებეს ცნობაი ჩემი - იტყვის უფალი”.

ხოლო არცერთი ჩვენი მოძღვარი, დღევანდელი სიმწარის სავესებით შემგნები, მომავლის  
სასოებასა და რწმენას არა ჰკარგავს - ვით ებრაელთა წინასწარმეტყველნი.

იგინი მყობადის შესახებ იმედებით აღვსილნი არიან, შარავანდედით მოსილ სასოების  
გაშლილი ფრთებით მიისწრაფიან მომავლისაკენ; გენიოსური ძლიერებით გვარწმუნებენ, “აწმყო  
თუ არა გვწყალობს მომავალი ჩვენია” და ავადმყოფი საყვარელი “არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს  
და ისევე გაიღვიძებს”-ო. არაერთხელ უნახავთ მათ ჩვენება უცნაური, გულისამატოკებელი და ვით  
ჩვენება იუზევიელისა, ეს გამხდარა მათი ცხოვრების ყავარჯნად და გზის მანათობელ ვარსკვლავად.

“მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა  
შვიდფეროვანი სარტყელი ცისა  
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა  
მახარობელად ტკბილ იმედისა”.

და არაერთხელ მგოსანს უგრძვნია დიადი წამები ალტაცებისა:

“ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,  
ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა  
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ  
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა”.

რასაკვირველია, ჩვენს მოძღვართა და დაბადების წინასწარმეტყველთა შორის არსებობს  
რადიკალური განსხვავება: განწყობილება მათი მეტად სხვადასხვა გვარისა და სხვადასხვა  
ფერისაა. ჩვენს მგოსნებს ჩვენი ქვეყნის ტანჯვა და ვაება სრულიადაც არ მიაჩნიათ წარსულში  
ჩადენილი რაიმე ცოდვის, გინდ დანაშაულის შედეგად და სასჯელად.

წინააღმდეგ, მათ თვალში ჩვენი უბედური ყოფა და ვითარება ერთგვარ ისტორიულ  
უსამართლობასაც წარმოადგენს.

ჩვენს წარსულში ჩვენი მოძღვრები არათუ არ იძიებენ და არცა ჰპოვებენ მიზეზს ჩვენი დღევანდელი ვითარებისას, წინააღმდეგ, წარსული მათთვის ერთგვარი ბრწყინვალეობით არის შემოსილი.

ცხადია, იმას ვერავინ შესწამებს, ასეთ დიად ადამიანთ გათვალისწინებული არა ჰქონდეთ ჩვენი ისტორიული ცხოვრება მთელი სიღრმე-სიგანით, მათ მკვეთრ მხედველობას არ გადაშლოდეს თვალწინ მთელი შეუფერადებელი სურათი ჩვენი განვლილი ცხოვრებისა, ხოლო “წარსული” მათთვის ერთგვარი სიმბოლოა, ერთგვარი ხატებაა იმ ცხოვრებისა, რომელიც აუცილებელია ყოველი ერისათვის. წარსული, რომელშიაც ჩვენ ვიყავით ჩვენი ბატონ-პატრონი, თავისებური პოლიტიკური სიმბოლოა. ეს ის აკვანია, რომელიც თამარ დედოფალს “ბაზალეთის ტბის ძირას” ჩაუდგამს და რომელშიაც “ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი”; ეს ის ნესტან-დარეჯანია, რომელიც “ციხეშია, ცხრაკლიტულში მჯდომარე” და რომელსაც

“ტარიელი დაემებს გავარდნილი დღეს ველად,  
ავთანდილი, ფრიდონი მოდის გამოსახსნელად”.

საერთო ჩვენს მგოსანთა და ებრაელ წინასწარმეტყველთა შო-რის კი ის არის, რომ იგინი წინათ ხედავენ და წინათ გრძნობენ მომავალს; მათ შესისხლხორცებული და შეთვისებული აქვთ ტანჯული სული და დაავადებული გული ბორკილებით შეურაცხყოფილი ერისა; მათ გასაოცრად გამახვილებულ სმენას, მათ უზენაეს მხედველობას არ გამოჰპარვია ცხოვრების ძალთა დაფარული განაწილება, რომელიც უბრალო მომაკვდავისათვის დაჩრდილულია. და იგინი წინასწარხედვენ და წინასწარმეტყველებენ, რომ ერი განკურნების, მკვდრეთით აღდგომის გზას ადგია, მათ სწამთ ეს მთელი თავის ღვთივმშვენიერის ძალითა და გონებით და ამ რწმენას, ამ პოეტურ აღმაფრენას საფუძვლად უდევს ის, რაც მათთვის ცხადია ერის სულის არსებაში, ამ არსების თვით მიმალულ კუნჭულებში.

ძალიან შორს არიან ჩვენი მოძღვრები ეგრეთ წოდებულ “მესიანიზმზედაც”, რომელიც ამა თუ იმ ერს მიაკუთნებდა განსაკუთრებულ როლს ადამიანთა ისტორიასა და ცხოვრებაში. ამ რწმენის აღმსარებელთა აზრით, ამა თუ იმ ხალხს უნდა წარმოეშვა “მესია”, მხსნელი და მაცხოვარი ქვეყნისა, რომელსაც ელის დიდი ხანია კაცობრიობა. იგინი ფიქრობდნენ, რომ ამა თუ იმ ერს უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევაც დაკისრებული ისტორიისა და განგებისაგან ერთა შორის პირველობა, კაცთა ცხოვრების წინსვლის მეზარადტრობა, მეთაურობა და წინამძღვრობაო.

ჩვენს მგოსნებს ასეთი მედიდური და შეუსაბამო როლი თავის დღეში არ მოუხვევიათ თავისი “დიდჭირნახული” ხალხისათვის.

მათთვის “მამული საყვარელი”, “ტურფა მხარე” დედა ღვთისას წილხდომილი - განაწამები და გვეშულია:

“უწინ ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,  
ფეხშიშველი, თავზედ ლეჩაქმოხდილი  
მოხიბლულა, შემცდარია ის არი,  
ალერსით მთვრალს ვერ უცვნია ისარი”.

ეს ტურფა, ნამდვილ თავგანწირულ მიჯნურს ზურგს შეაქცევს:

“ის სხვას ასმევს ნექტარს ნეტარებისას,  
სხვას თავს ევლის, სხვას შეჰხარის, სხვას შესტრფის”.

მათი მოთხოვნილება მოკლებულია ყოველგვარ “მესიანურ” პრეტენზიას და შეიცავს მხოლოდ და მარტო სრულიად ადამიანურ, ყოვლად ჩვეულებრივსა და აუცილებელს.

მათი სურვილია “ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოს”, “მამული საყვარელი” აყვავდეს, გაიღვიძოს. მგოსანს სურს, მის მხარეს

“ხედავდეს თავისუფალსა,  
რომ ძალით ვერ აშინებდნენ,  
ვერც ნებით უხვევდნენ თვალსა”;  
- ს წ ყ უ რ ი ა, -

მათი სანატრელი ის არის, მათი სატრფო “თვით ოხერ და მოუვლელი ოსმალეთის” ანაბარად არ იყოს დაგდებული, “მის დამღუპველ ოსმალეთს” არ ახარებდეს. მათი ლტოლვა ის არის, მათი

სატრფო თავისი ბედისა და იღბლის გამჭედი თვით იყოს, თავისი ცხოვრების ფერისმიმცემი თვით იგი იყოს. როგორც ხედავთ, ეს ისეთი რამ არის, რაც არ შეიცავს არც ისტორიაში რაიმე განსაკუთრებული როლის მითვისებას, არც კაცობრიობის ცხოვრებაში რაიმე განსხვავებული ადგილის დაჩემებას.

რასაც იგინი ელტვიან, ისეთი რამ არის, რომლის ნება და უფლება ყოველ მონასა აქვს, მონას გაბედულს, რომელსაც სამარცხვინო ჯაჭვები ვეღარ შეუგუებია, საზიზღარი უღელი ვეღარ შეუთვისებია და წმინდა აღშფოთებით აღვსია გული და ბორკილების დასამსხვრევად გამზადებულია.

ჩვენი ორი ციური გვირგვინით შემოსილი მგოსნის მთელი მოძღვრება წინასწარმეტყველების ცეცხლითაა აღზნებული, ღვთაებრივ კოცონზედაა შექმნილი და ამით იქცევა დაუშრეტელ წყაროდ ერის აღზრდისა, შეურყეველ საკურთხეველად საეროვნო ლოცვისა და სასოებისა. ამიტომაც არის, რომ ეს ორი სახელი ქართველი ერის გულში განუთიშველია და ილია და აკაკი ხსოვნაში იმგვარადვე განუცალკევებელია, როგორც მოსე და არონი, ესაია და იერემია.

ის, ვინც მოსურვებს მათ გაყოფას, მათ გათიშვას, ის ქართველი ერის სულის მთლიანობის განაწილებას ეცდება და ეს სულ ტყვილად დაკარგული შრომაა, სრულიად უნაყოფო ცდა. იგინი ორივე ერთ სიმაღლეზე დგანან პოეზიის სამეფოში.

ქართველი ერის ტრადიციულ ცხოვრებაში ილიას ნიჭი მამაკაცური ნიჭია, ძლიერი, სასტიკი, მეხთამტეხი, “მრისხანე და შეუპოვარი”, როგორც მიქელანჯელოსი და ფიდიასისა, ბაირონისა, კორნელისა და გოეთესი.

აკაკის ნიჭი - ქალწულებრივი ნიჭია, “ბედნიერი ნიჭი”, როგორც ილია ამბობს; ნიჭი ნაზი და ნარნარი, მსუბუქი და მომხიბვლელი - ვით ნიჭი პრაქსიტელისა და რაფაელისა, რასინისა, შელისა და შილერისა.

ვინ გაბედავს და ვინ იტყვის, ამ გენიოსთა შორის რომელი უფრო რჩეულია აპოლონის მიერ, უფრო სათნოა მისთვის?

ილიასა და აკაკის ნიჭის სასწორი ქართველი ერის გულია და ამ სასწორის აზარმაცი - ქართველი ერის გონება; ერს მათთვის საუკუნო სანეტარო ადგილი აქვს მიჩნეული მის გულში, და არასოდეს სასწორი არც ერთისაკენ არ გადაიხრის.

ილია მოკვდა, როგორც წინასწარმეტყველი ქვით ჩაქოლილი, ეკლის გვირგვინით მორთული, და ამგვარად მისი სიკვდილი მშვენიერი და წარმტაცი სამარადისო სახე შეიქნა მოყვასთათვის თავდადებული მოძღვრისა.

სიკვდილმა აკაკის აღუბეჭდა სახეზე საუკუნო, წარუხოცელი ხატება წინასწარმეტყველისა და მით დაადასტურა სიდიადე მისი მოძღვრებისა.

ილიას ეკლის გვირგვინი საბედისწერო საფეხური იყო აკაკის დაფნის გვირგვინისა. აკაკის დაფნის გვირგვინში სინანულის ცრემლები იყო ჩაწნული, იგი აუცილებელი შედეგი იყო ილიას ეკლის გვირგვინისა. ამ ორ დიად მოძღვართა აღსასრულიც კი განუყრელი წინასწარმეტყველური, მასწავლებელი სახება შეიქნა “სიმწართა გამაძლარისა და ნაღვლითა დამთვრალის” ქართველი ერის ცხოვრებისა.

1915 წ.

## დიდი წიგნი

ეს სამი დღეა ჩვენს გზეთში ისტამბუბა წერილი ივანე ჯავახიშვილის ახალი წიგნის - “ძველი ქართული საისტორიო მწერლობის” შესახებ. ეს წერილები ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილის მიერ შექმნილი ქართული ისტორიის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთ ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერს ვ. ბერიძეს. ეს შესანიშნავი წიგნი იქ სავსებით შეფასებულია მეცნიერული მხრით.

ჩვენ გვინდა ამ “დიდი წიგნის” შესახებ ჩვეულებრივი, უბრალო მკითხველის გრძნობები გამოვთქვათ. მშვიდმა და წყნარმა ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც სწორედ ჩვენი შესანიშნავი წმიდა მამების (გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირის და სხვ.) ენერგიითა და თავგანწირულებით თავს ევლება საქართველოს ისტორიულ მეცნიერებას ისეთი საჩუქარი უძღვნა ქართველ ერს, რომელიც წარუხოცელ კვალს დაასვამს მთელ ჩვენს აწმყოსა და მომავალს. ამ სრულიად უბრალო და უპრეტენზიო სათაურის ქვეშ იშლება სურათი საქართველოს გონების განვითარებისა და მთელი ჩვენი ქვეყანა თავისი ბედნიერებითა და უბედურებით, თავისი ძლევა-მოსილებით და ტანჯვით თქვენს წინაშე დგას. ეს წიგნი იმ წიგნთა შორის უნდა ჩაითვალოს, რომლებიც ქმნიან ეპოქას ერის ცხოვრებაში.



ამ წიგნის წყალობით გამთელებული და მშვენივრად გაჭედულია ის გაწყვეტილი რგოლი, რომელიც სამარადისოდ და საფუძვლიანად გვაკავშირებს წარსულთან; მეძვიდრეობით გადმოცემული ჩვენი სულის საგანძურის თვით უზნელესი კუთხეები ჯადოსნური ხელის შეხებით იღვიძებს და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენი ხალხის კულტურა და კულტურის გამჭედელნი იქ მიძინებულნი იყვნენ... და, აი, მოვიდა სასწაულმოქმედი მეცნიერი და ყველა ეს მკვდრეთით აღადგინა და სასიცოცხლოდ გამოიწვია.

მე ერთი უბრალო, ჩვეულებრივი მკითხველი ვარ ჩვენი საზოგადოებისა, რომელსაც ჩვენი ცხოვრების ყოველივე ძლიერი, ლამაზი, სიცოცხლის მაჩვენებელი მახარებს, ხშირად პატარა ნასახიც ამგვარი რისამე ბედნიერებას მანიჭებს, მაგრამ, უნდა მართალი ვთქვა, ილია ჭავჭავაძის “განდევილს” მერე არ მახსოვს ჩემზე რომელიმე დარგის რომელიმე ნაწარმოებს ასეთი შთაბეჭდილება მოეხდინოს; ეს ნაშრომი სწორედ მკვდრეთით აღდგენაა ჩვენი მივიწყებული წარსული ცხოვრებისა. ჩვენ ჩვენი წარსული როგორღაც ზეპირგადმოცემით ინსტინქტურად გვიყვარს, ვერც კი გამოგვირკვევია, ვერც კი გავითვალისწინებია კარგად მისი ავლა-დიდება. ეს წიგნი კი ამ წარსულს თქვენ თვალწინ აცოცხლებს და ამეტყველებს, თქვენ წინ გაატარებს ამ წარსულის ბურჯებს, მის გენიოსურ გამომატველებს: გიორგი მთაწმინდელია იგი, თუ ევრემ მცირე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსია, თუ თამარ მეფისა, ვახუშტი ბაგრატიონია, თუ იოანე საბანისძე; ეს წიგნი ნათელჰყოფს მთელი ჩვენი ისტორიული ცხოვრების დამარცხებისა და გამარჯვების ხანას - იგი განუწყვეტელი სიცოცხლით აღსავსე სურათად მიმდინარეობს თქვენს წინაშე და ჩვენი საისტორიო, სამეცნიერო მწერლობის ზრდა და განვითარება უტყუარი გამომსახველი ხდება ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისა, იგი მისი სარკვა, რომელშიც ხედავთ ჩვენს ისტორიას მთელი თავისი სიღრმითა და სიგანით.

“ქართული საისტორიო მწერლობა მის შემდგომ, რაც VIII საუკუნეში წარმატება დაეტყო, - ბრძანებს ჩვენი ისტორიკოსი თავის შესავალში, - აღარ შეჩერებულა და იოანე საბანისძისგან მოყოლებული თანდათან შეუფერხებლივ წინაურდებოდა... ხოლო XI-XII საუკუნეში ისეთი სამაგალითო ძეგლები იყო შექმნილი, როგორცაა, მაგალითად, გიორგი მთაწმინდელის, ევრემ მცირის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსების შრომანი.

ეს იყო ხანა ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების აყვავებისა, მაგრამ სამაჰმადიანომ ჩვენი ცხოვრება საბედისწერო გზაზე დააყენა და დაიწყო ჩვენი გონების ნაყოფის შემსუბუქება.

XIII საუკუნის ძეგლები ცოტაა შენახული, მაგრამ რამაც ჩვენამდე მოაღწია, ქართულ საისტორიო მწერლობის უკვე ჩამოქვეითების მომასწავებელია. მაინც XIV საუკუნეში ქართულ ჟამთაღწერილობას ჯერ კიდევ საკმაო ძალა შესწევდა, რომ წინაპრების ტრადიციისათვის არ ეღალატნა, და... XV-XVI საუკუნეების მწერლობა კი ქართული საისტორიო მწერლობის დაქვეითების უტყუარი სურათია...

ქართული საისტორიო მწერლობის ამაზე საშინელი დაცემა და დაქვეითება წარმოუდგენელია... გადის დრო და ერის გენიოსობა კვლავ ფრთებს ისხამს. პოლიტიკური ცხოვრება თითქო გაუმჯობესების გზას ადგება და თანაც XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ ისტორიათა აღმწერლობა კვლავ გამოცოცხლდა და თანდათან ისე აღორძინდა, რომ XVIII საუკუნეში მან თუმცა იმ უაღრეს განვითარებამდის ვეღარ მიაღწია, როგორც XI-XII საუკუნის ქართველი გამოჩენილი მეცნიერი-ისტორიკოსები ბრწყინავდნენ, მაგრამ ეგოდენ დიდებული მეცნიერი ისტორიკოსი ბატონიშვილი ვახუშტი წარმოშვა, რომელსაც ძველ დროს მხოლოდ ევრემ მცირე თუ შეედრება”.

აი, მთელი ხატება ჩვენის წარსულისა, რომელიც გასაოცარი მეცნიერულ-მხატვრული ნიჭით აქვს აღსრულებული ავტორს. მარტო მეცნიერება ვერ შეძლებდა მას, რაც შეძლო ღრმა და თავგანწირულმა სიყვარულმა მამულისამ; მარტო მეცნიერი როდი კმაროდა, კეთილშობილი და თავგადადებულად სამშობლოს მოყვარული მამულიშვილი იყო საჭირო, რომ ასეთი წიგნი მოეცა, მოეცა ასეთი ცხოველი სურათი წარსულისა. ამის მიზეზია ის, რაც ასე მშვენივრად აღნიშნა ვ. ბერიძემ თავის წერილებში: “ივ. ჯავახიშვილი როდი წააგავს ზოგიერთს, რომელსაც საქართველო... მარტოდენ არქეოლოგიური კვლევა-ძიების უსულო ობიექტად გაუხდიაო”. საქართველო მისთვის ცოცხალია, საყვარელი ძვირფასი არსებაა, ის მას დასტრიალებს არა როგორც გულგრილი დოსტაქარი, არამედ როგორც მოსიყვარულე დედა, რომლის გრძნობას სასწაული შეუძლია შეჰქმნას.

XII საუკუნის ჩვენი კულტურის განახლება მარტო XIX საუკუნეში შეიქნა შესაძლებელი; საკმაო იყო ქართველობას მიეღო სულ პრიმიტიული პირობა მშვიდობიანობისა და გარეშე მტერთაგან უზრუნველყოფილიყო ფიზიკურად - რომ მისი კულტურული ძლიერების ენერგია აღმოხეთქილიყო და ლიტერატურაში შოთას ნაკადი განეცხოველებია: ილია და აკაკი ეს არის ჩვენი

განახლების უტყუარი საბუთი! მათი სახით ჩვენ გვერდში ამოვუდექით ევროპის კულტურულ ქვეყნებს.

მაგრამ სხვა დარგებში ვკოჭლობდით, თითქო კიდეც ვერ გაგვეშალა ჩვენი ძალი და ღონე. ევრემ მცირეს, გიორგი მთაწმინდელის სამეცნიერო ღვაწლის მკვდრეთით აღდგენა ივ. ჯავახიშვილს ხვდა წილად. და თუ იგინი მაშინდელ სამეცნიერო მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებენ, იმასვე აღასრულებს დღეს ივ. ჯავახიშვილი, და მისი შრომა შეურყეველი დამამტკიცებელია იმისი, რომ ქართველები სამეცნიერო დარგშიც ისეთი ნიჭით არიან ძლევამოსილნი, როგორც პოეზიაში.

XI-XII საუკუნეთა ჩვენი საისტორიო მეცნიერების განმა-ახლებლად აწ ივ. ჯავახიშვილი უნდა ჩაითვალოს და მისი ისტორიული ღვაწლი მარტო იმ დროის დიდებულ მოღვაწეთა ღვაწლს უნდა შეედაროს. ივ. ჯავახიშვილი თავისი წიგნის შესავალში ბრძანებს: “ქართულ მწერლობას საკმაოდ ყავს ღვთიური ნიჭით აღბეჭდილნი ისტორიკოსები, მაგრამ მათ შორის შეუდარებელი ბრწყინვალეობით მოსილია გიორგი მთაწმინდელის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და განსაკუთრებით ევრემ მცირის და ბატონიშვილ ვახუშტის სახელები”. ამ წიგნის შემდეგ ამ სახელებს უნდა მიემატოს ივ. ჯავახიშვილის სახელიც და მისი ადგილი ევრემ მცირეს გვერდით უნდა ამოვაცენოთ...

მე გამოვთქვამ ჩემ შთაბეჭდილებას, შთაბეჭდილებას ჩვეუ-ლებრივი ადამიანისას და უფლება არ მაქვს შევეხო მეცნიერულ მხარეს ნაწარმოებისას, მაგრამ ვისაც კი ერთი ბეწო გაგება აქვს მეცნიერული მეთოდისა, ამ წიგნში ნახავს აუარებელ მაგალითებს ივ. ჯავახიშვილის დიდი მეცნიერული ნიჭისას. ის ნაზი, მაგრამ მკვეთრი ხელით და შეუბრალებლად არღვევს მრავალ შაბლონურ და გაბატონებულ შეხედულებას ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში და ქმნის ახალ მეცნიერულ საფუძვლებს (“ქართლის ცხოვრების”, “წმ. ნინოს ცხოვრების” შესახებ და სხვ.). მისი წიგნი გადაიქცევა, ჩემი შეხედულებით, ცხოველმყოფელ წყაროდ ჩვენი ისტორიის და კულტურის დიადი და მრავალი პრობლემის გადასაწყვეტად: ასეთია, მაგალითად, ჩვენში საეროვნო აზრთა ჩასახვა და განვითარება, ასეთია წმინდა ლიტერატურული პრობლემა - ჩვენში ლიტერატურული ტექნიკის განვითარებისა და სხვა მრავალი.

ნეტავი იმ ახალგაზრდას, რომელიც აღიზრდება ივ. ჯავახიშვილის შრომებზე (“ქართველი ერის ისტორია”, ზემოხსენებული თხზულება და მრავალი სხვა).

მე კი არ შემძლია არ დავამთავრო ეს წერილი იმავე სიტყვებით, რომელიც გრ. ორბელიანმა წააწერა “დროების” იმ ნომრებზე, რომლებშიაც ყაზბეგის “ელგუჯა” იყო დასტამბული, და რომელიც ა. ყაზბეგისადმი იყო მიმართული, ვინაიდან დარწმუნებული ვარ ნიჭით მომადლებული მოსანი ჩემსავით ექსტაზში იყო, როცა იმას სწერდა:

ღმერთმა გაკურთხოს, ჯავახიშვილო, გულის იმ დატკბობის-თვის, რომელიც მომეცა ამ ნაშრომის წაკითხვის ჟამსა. ჯერ ქართულს ენაზე მსგავსი არა დაწერილა რა.

1916 წ.

### **აზრი თუ ფორმა, შინაარსი თუ სხეული**

**“ხელოვნების უდიდესი ნაწარმოები სხვა არა არის რა, თუ არა უდიდესი აზრი, გამოთქმული თვით უფრო გრძნობიერი ენით”.**

**გიუიო**

#### **I**

დღემდე გაუთავებელი სჯა-ბაასი და კამათია იმის შესახებ, თუ რა მოეთხოვება ხელოვნურ ნაწარმოებს: საკმაოა თუ არა ლიტერატურული ნაწარმოებისათვის მარტო გარეგანი სიმშვენიერე, მარტო ფორმა, და ამის მიხედვით უნდა დაფასდეს სიტყვაკაზმული მწერლობა, თუ ფორმას, გარეგან მხარეს ლიტერატურული ნაწარმოებისას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც შინაარსს, აზრს, ნაწარმოების მიმართულებასა და ტენდენციას. ამგვარ დავას იმ საზოგადოებაში უფრო მაგრად აქვს ფეხი გადგმული, სადაც კულტურა ნაკლებად არის განვითარებული და სადაც პოლიტიკური ფორმები იმ ბარბაროსულ ხანას ვერ გაცილებიან, როცა ერთი თავაშვებული ვიგინდარა და მისი ამაღლა, რამოდენიმე ათიოდე კაცისაგან შემდგარი, ფეხქვეშ თელავს მთელი საზოგადოების ყოველგვარ უფლებას. დამერწმუნებით, იმგვარ წესწყობილებაში, სადაც ურეგლამენტოდ სული ვერ დაგიბერავს, სადაც მოქალაქეთა ძილი და მოსვენება ყოველ წუთში განსაცდელშია, ასეთ მხარეში დაწყნარებული მსჯელობა და მშვიდად განხილვა ამა თუ იმ საგნისა ყოვლად მოუხერხებელია. აქ ყოველი ფიქრი, ზრახვა, წადილი და მისწრაფება ადამიანისა ერთი

რამისკენ მიილტვის: შექმნას ისეთი სოციალური და პოლიტიკური პირობები, რომ თავისუფლად შეეძლოს ჰაერის სუნთქვა; დაამსხვრიოს საუკუნეებისაგან გაჭედული რკინის ბორკილები და ხელები გაითავისუფლოს ლუკმა-პურის პირში ჩასადებად. მაგრამ რაც არ უნდა თქვათ, ასეთი ხანა გარდამავალია. ამგვარ წესწყობილებას სიკვდილისა და გახრწნილების თესლი თან დააქვს და, ადრე იქნება თუ გვიან, მძორის სუნი თავს იჩენს. ამიტომაც დროებით გარემოებისაგან გამოწვეულ სულისა და გონების განწყობილებას და ამ განწყობილებისაგან გამოწვეულ აზრებს, ჭეშმარიტების ქვაკუთხედად ვერ აღვიარებთ და მის დროებით ხასიათს საუკუნო მნიშვნელობას ვერ მივცემთ. გავარჩიოთ ორი ზემომოყვანილი დებულება ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ.

პირველი უპირატესობას, თითქმის მთავარ და ერთადერთ მნიშვნელობას სიტყვაკაზმულ მწერლობაში ნაწარმოების ფორმას უთმობს. მაშასადამე, შესაძლებელია, მათი წარმოდგენით, ნაწარმოები - ლექსია იგი სალირიკო, თუ დრამა ან ტრაგედია, რომანი თუ მოთხრობა - უმინაარსო იყოს, უაზრო და უსულო. ეს ყოვლად შეუძლებელია. უაზრო პოეზია, უმინაარსო ბელეტრისტული ნაწარმოები - თვით ეს სიტყვები მოკლებულნი არიან ყოველივე აზრს. მართლაც და, ამისი თქმა იმასა ჰგავს, რომ აიჩემოთ, უთავო კაცი მინახავსო და ეს “უთავო” პირდაპირი მნიშვნელობით გაიგოთ; ანდა თქვათ, უგულო ადამიანიო და უგულოს ანატომიური მნიშვნელობა მისცეთ. კიდევ მეტი, “უაზრო პოეზია” ისეთივე უაზრო და სასაცილო სიტყვაა, როგორც “უმარილო ზღვა”, ან “უმცენარო ტყე”, “უჟანგადო ჰაერი”. შეიძლება ყველა ესენი კაცმა სხვა აზრით იხმაროს, მაგრამ არც ერთ ჭკუათამყოფელ ადამიანს არა ჰგონია, რომ უთავო ან უგულო ადამიანი შეიძლება იყოს, ან “უმცენარო ტყე” და “უმარილო ზღვა” ითქვას. ყოველივე ლიტერატურული ნაწარმოები, რა დარგსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, უსათუოდ აზრიანი იქნება და შინაარსიანი. აქ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ აზრისა და შინაარსის ფასის და ღირებულების შესახებ. სხვა საქმეა, თუ რამდენად ღრმა და ძლიერი იქნება აზრი ამა თუ იმ ხელოვნური ნაწარმოებისა. წარმოვიდგინოთ რომელიმე ნაყოფი ხელოვანის ნიჭისა. ავიღოთ სალირიკო ლექსი. დამისახელებთ ისეთი მწერალი, რომელიც ამ სახელის ღირსი არის, დაეწეროს რომელიმე ლექსი უაზრო და უმინაარსო. აბა, მიჩვენეთ ერთი ლექსი ალ. ჭავჭავაძისა, ან გრ. ორბელიანისა, რომელსაც აზრის სიღრმე აკლდეს? და ეს მწერლები იმიტომ მოვიყვანე მე, რომ ჩვენს მწერლობაში იგინი ზოგიერთ ცნობილ მწერალსაც კი აბუჩად ჰყავთ აგდებული, “ვარდ-ბუღბუღის” მღერის მეტს არას აკეთებდნენ, ან ბუნების საოცარ სიმშვენიერეს გვიხატავდა (გრ. ორბელიანი), მაგრამ ეს საკმარისი როდია პოეზიისათვისაო.

თუ დააკვირდებით ლიტერატურული ნაწარმოების ზრდასა და განვითარებას, დაინახავთ, როგორც ყოველივე ცხოვრებაში, იგიც პროგრესის გზას ადგა, განკარგულებისაკენ მიილტვოდა, და თუ ფორმის სიმშვენიერე ნაკლებ იცვლებოდა და უფრო კონსერვატული ხასიათი ქონდა, აზრის სიღრმე თანდათან ემატებოდა. მართალია, საბერძნეთის ეპოპეისა და დრამის სიღრმე ვერ გასცილდა მშვენიერება ევროპელთა ხელოვნებისა, მაგრამ სალირიკო პოეზია ბაირონის, ჰიუგოს, ლამარტინის, დე-ვიინის და მიუსეს ხელში მთელ ფილოსოფიად გადაიქცა. დანტეს პოემა, ფორმის მხრივ, ჰომეროსის პოემებზე იქნებ ბევრად უფრო დაბლა იდგეს, აზრით კი დანტე უმაღლეს ფილოსოფოსობას იჩენს. სოფოკლესა და შექსპირის ტრაგედიები გარეგანი მხრით ერთ საფეხურზე შეიძლება დააყენოს კაცმა, სამაგიეროდ, შექსპირის ჰამლეტის ფილოსოფიას ძველი გენიოსი ვერ მიწვდება. რუსთაველის თხზულების ფორმის სიმშვენიერე ეს ის ღვთაებრივი იდეალია, რომელსაც დღემდე ვერც ერთი ქართველი ვერ წასცილებია. არის თითქმის ხელოვნების ყოველ დარგში და ყოველ ქვეყანაში ასეთი მიუწვდომელი იდეალი, რომელიც მთელი ერის გენიოსობის შემქმნელია, ამ გენიოსობის გამომსახველი კი ერთი კაცი იყო. დღემდე ხელოვნება ქანდაკებისა ვერ გასცილებია ოლიმპიელ ჰერმესს (პრაქსიტელისას) და ვენერა მილოსელს (უცნობი ავტორისას), თავის დღეში მხატვარს ვერ უჯობნია მიქელანჯელოსათვის, რომლის გენიოსობა სიქსტის კაპელოს კედლებზე და ჭერზე არის აღბეჭდილი. ამგვარია ჩვენი “ვეფხისტყაოსანიც”. ეს არის ხელოვნური ნაწარმოები, რომლის შინაარსი და გარეგანი მხარე სრული ჰარმონიით არის შეზავებული, რომლის სიღრმე და სიმაღლე მარად მიუწვდომელ მანათობელ ვარსკვლავად ექნება ქართველ ერსა და ლიტერატურას, მაგრამ შინაარსის მხრით ბარათაშვილის სალირიკო ლექსების სიღრმე და თუნდ ილიას “განდეგილისაცა”, არც კი ჩამოუვარდება რუსთაველის პოემის სიღრმეს. ვიმეორებ, ვერ მიმითითებთ ისეთ ნაწარმოებზე, რომელსაც სახელი მოუპოვებია და იგი აზრიანი არ იყოს, კიდევ მეტი, რომ იგი ზნეობრივი არ იყოს. ღრმა აზრით არის აღსავსე უაილდის სიტყვები: “ყოველივე ხელოვნება ზნეობის წინააღმდეგიაო”. დიახ, ყოველი ნაწარმოები დიდი ხელოვანისა წინააღმდეგია იმ ზნეობისა, რომელიც ოფიციალურ დოგმატად არის აღიარებული და რომელსაც იცავენ არსებული წესწყობილების დამცველნი. ყოველივე მშვენიერი ნაწარმოები, ყოველივე ხელოვნური ქმნილება უსათუოდ გამოსახულებას მომავლის დიდი იდეალისა, ამიტომ, თავისთავად ცხადია,

იგი არსებული პრინციპების რაიმენაირად უარყოფელია. თავის დღეში უაილდს ამ ფრაზაში იმისი თქმა არ უნდოდა, თითქოს ნაწარმოები ხელოვნურად უმსგავსო და უმინაარსო რამ უნდა იყოსო. პირიქით, მისის აზრით, შეუძლებელია ხელოვნურმა, მშვენიერმა ნაწარმოებმა გაცვეთილ და დამლაშებულ ზნეობას მოსარჩლეობა გაუწიოს, იგი ემსახურება უმაღლეს პრინციპს, რომელიც ჯერ კიდევ ცხოვრებაში არც კი განხორციელებულა და ამ დიდებული პრინციპის თვალსაზრისით განსჯის ყოველივე არსებულ მოვლენასაო. ამიტომაცაა, რომ იგივე მწერალი გვეუბნება: “ვინც მშვენიერ ნაწარმოებში ცუდ აზრს მონახავს, თვითაა გაფუჭებული და მოკლებული ყოველგვარ მომხიბვლელობას”. ჩვენის ისტორიიდან ავიღოთ მაგალითი. “ვეფხისტყაოსანი” უდიდესი ზნეობრივი განწყობილების შემქმნელია, მაგრამ იგი დევნილი იყო საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი სამღვდლოებისაგან, ე. ი. ზნეობრიობის ოფიციალურ მოამაგეთაგან. გრძობათა სიწრფელე და სიღრმე, რომელიც “ავგამაღლებს”, მათ არ მოსწონდათ, ვინაიდან ზნეობრივი შენობა, რომელსაც იცავენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, აგებულია სიყალბესა, გულისამრევ ანგარიშსა და თვალთმაქცობაზე. ბაირონი განდევნა გულზვიადმა ინგლისის უმაღლესმა საზოგადოებამ და უაილდს პირში ჩააფურთხა, პარნელი საფლავში უდროოდ ჩამარხა და შელლის ნავსადგური უცხო ქვეყნის ზღვაში მოაძებნინა, - და განა ისინი, მთელი თავისის სიცოცხლით, უმაღლესი იდეალის განხორციელებას არა სცდილობდნენ!? მართალია, გაქსუბულმა და გარყვნილმა საზოგადოებამ მათ თავისი შემბლაღველი კვალი დააჩნია და ზოგი მათგანი შეიძლება (ესეც დამტკიცებული არაა) არ მოიქცა თავისი პირადობის შესაფერისად, მაგრამ მსაჯულები ვინღა იყვნენ? - “წითელ მანტიაში გამოხვეულნი კეთროვანნი”, რომელთა სუნთქვაც კი წამლავს ჰაერს და როცა მათგანვე მოწამლულს და დაღუპულს დაინახავენ, ლაფში ამოსვრიან, რათა ამით თავიანთი სიწმინდე დაამტკიცონ.

არსებული წესწყობილების დამცველს, თანამედროვე საზოგადოების “ბურჯს” უზნეოდ მიაჩნია ყოველივე ნაწარმოები, რომელიც მისგან შექმნილი ცხოვრების გახრწნილებას თვალწინ გადმოგიშლით, რომელიც უგალობს თავისუფალ ადამიანს, ყოველგვარი ბორკილებისაგან განთავისუფლებულ ბედნიერებისა და მშვენიერების მოტრფიალეს და თავყვანისმცემელს. მას ჭირდება მონა მხდალი და ლაჩარი, მონა ფეხთამლოკველი, რომელიც ხელს არ შეახებს მის გახრწნილ გვამს, რათა მომშხამველი სუნი არ დააყენოს ქვეყანაზე.

სიმშვენიერის თავყვანისმცემელი, სიყვარულისა და მეგობრობის უდიდეს გრძობათა მღალადებელი, კაცის პირადობის, დაუსრულებელი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსარჩლე ყოველთვის ყოფილა ყოველი დიდი მწერალი: ჰომეროსი და სოფოკლე, შექსპირი და ბაირონი, ჟან-ჟაკ რუსო და ვიქტორ ჰიუგო, გოეთე და შილერი, დანტე და მიქელანჯელო, რუსთაველი, ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე. ყოველი მათგანი, ცხადად თუ ჩუმად, ყოველთვის და ყველგან არსებული სიბინძურის წინააღმდეგი და უარყოფელი იყო, ამიტომაც ყოველი მათგანი დევნილი იყო სიცოცხლეში ერის ოფიციალურ წარმომადგენელთა მიერ და მათგანვე ამაღლებული მის შემდეგ, რაც ისინი საშიშარნი აღარ ყოფილან მათთვის.

ამგვარი აზრით, ყოველი დიდი ნაწარმოები ზნეობრივია, მომავლის საუკეთესო კაცთა შორის დამოკიდებულების მქადაგებელი და წინასწარმეტყველი. თუ ბოკაჩიო უმსგავსოებას გვიხატავს, ამ უმსგავსოებას უარყოფელის თვალთ უცქერის და გვაზიზღებს იმ საზოგადოებას, რომელიც ამგვარ ცხოვრებას ეტანება. იგი გვიმტკიცებს, რომ ადამიანის კანონიერ და ბუნებრივ სურვილთა ხელოვნურად შებოჭვა და ალაგმვა ბადებს ყოველგვარ უმოქმედობას და თავის მიზანს ვერ აღწევს, მხოლოდ მშვენიერ და დიდებულ გრძობას ასახიჩრებს და ლაფში სვრის. ზოლა, რომელსაც თითქმის უწმაწური მწერლის სახელი აქვს, ფრიად მაღალზნეობრივი მწერალია, მისი ნაწარმოები ზნეობრიობის სასტიკი დამცველია, ვინაიდან ძვირად შეგვხვედრია ვინმე ისეთი სასტიკი გამკიცხველი, იმგვარი უღმობელი განმქიქებელი საზიზღარი ცხოვრებისა, როგორც ზოლაა. ყოველი მისი თხზულება გულს ზიზღით გვივსებს იმ გუნდისადმი, რომელსაც აღგვიწერს, და ეს გუნდი ცხოვრების ამამშორებელი გუნდია. აიღეთ მისი “ნანა”, მისი “ნანადირევი”, “ექნრუგანი”, “ფულეები” და სხვ. ყველგან დაგმობილია ის პირნი, რომელთაც ყოველი ადამიანური გრძობისა და აზრისათვის გვერდი აუქცევიათ, ყოველი ბუნებრივი გრძობა დაუმახინჯებიათ და გაუბინძურებიათ და მარტო “ოქრო” და ბინძური აზრი გაუხდიათ იდეალად და ღმერთად. აიღეთ მოპასანი, თუნდ მისი რომანი - “საუცხოვო მეგობარი”, ეს საოცარი პოემა ბოროტების გამარჯვებისა. გამარჯვებული სიბოროტისა და სიბინძურის წინაშე ქედს იხრის მთელი მბრწყინავი საზოგადოება; ეკლესიაში ქრისტეს აღმსარებელი ხალხი გამარჯვების დაფნის გვირგვინით ამკობს არაშადათ და ქრისტეს მოციქულთა მემკვიდრენი ღმერთს შევედრიან ბოროტების გაძლიერებისათვის. ეს ისეთი საოცარი სატირაა თანამედროვე საზოგადოების “ბურჯთა” შესახებ, რომლის მსგავსი ახალ ლიტერატურაში იშვიათია. ვერავითარი განსჯა და სასჯელი ისეთი სისასტიკით ვერ მოეპყრობოდა

ადამიანის პირადობის შეურაცხყოფელთ, ქრისტეს მოსავთ, ქრისტესავე უარისმყოფელთ, როგორც ავტორი ეპყრობა მათ ამ თხზულებაში.

ავიღოთ ისეთი ნაწარმოებნიც კი, რომელნიც მწერალს - კარისკაცს ეკუთვნის და რომელსაც კარის უფალთა წინაშე მლიქვნელობას სწამებენ. ავიღოთ ლუი მეთოთხმეტის დროინდელი ფრანგი მწერლები რასინი და კორნელი. როცა ისინი მეფეთა ცხოვრების განდიდებას ეტანებოდნენ, - მათი მეფე სრულიად იდეალური არსება იყო და არავითარი საერთო არა ჰქონდა არსებულ მეფესთან. მათი დრამებისა და ტრაგედიის გმირ მეფეებთან შედარებას სირცხვილით უნდა დაეწვა მათი მფარველი მეფე. ისიც კი მოხდებოდა ხოლმე, რომ მეფეთა ნაკლულევანებას ააშკარავებდნენ თავიანთ ნაწარმოებში, და ეს კარისკაცები კაი-კაი წვეპლასა სთავაზობდნენ ხოლმე დიდებულ მეფეს. ამიტომაც მათი ნაწარმოებნი დღესაც წარმტაცნი არიან. თუ ისინი მარტო პირმოთნეობისა და პირფერობის ნაყოფნი ყოფილიყვნენ, დიდი ხანია დავიწყებას იქნებოდნენ მიცემულნი. მაშასადამე, აზროვნება და ზნეობრივობა - უმაღლესი, არა წარმავალი მნიშვნელობით განუყრელია ხელოვნების ნაწარ-მოებისაგან და ძირითადი თვისებაა ხელოვნებისა საზოგადოდ.

თვით განხორციელება მშვენიერებისა, რომელიც უმაღლესი იდეალია ხელოვნებისა, უღრმესი ზნეობრიობითაა აღბეჭდილი; თავისთავად ფიზიკური მშვენიერება არის ერთი უმაღლესი იდეალი, აუცილებელი საგანი კაცობრიობის წინმსვლელობისათვის. მაგრამ გარეგანი სიმშვენიერე ხელოვანისათვის სიმბოლოა სულიერი მშვენიერებისა. ხელოვანისათვის ეს ორი მხარე განუყრელია და მისთვის წარმოუდგენელია მათი განშორება. მიქელანჯელოს მხატვრობა, ჰერმესი - პრაქსიტელისა, ვენერა მილოსელი გარეგან შეუდარებელ სიმშვენიერეში გვიშლიან სულიერი სიმდიდრის თვალუწვდენელ სიღრმესა და სიძლიერეს. განა ავთანდილი იდეალი არ არის კაცობრიობისა, - მზე, გაფურჩქვნილი ვარდი, რომლის გონიერება სჭარბობს სიმშვენიერე, გული და გრძნობა - გონიერებას და სიმშვენიერეს - ორთავეს ერთად. სამივე კი ისე არის შედუღებული და ისეთ მომხიბვლელ ერთეულს შეადგენს, რომ სამარადისო სანეტარო იდეალად იქნება ადამიანისათვის.

## 2

განვიხილოთ ეხლა მეორე აზრი. მისი მომხრენი ლიტერატურულ ნაწარმოებში უპირველეს მნიშვნელობას აძლევენ აზრს. თუ ნაწარმოები შინაარსიანია, მოწონებული ტენდენციის დამაკმაყოფილებელია, როგორ უმდაბლეს ხარისხზეც უნდა იდგეს ფორმის მხრივ, ზოგიერთისათვის ამგვარ ნაწარმოებს მაინც უპირატესობა აქვს. აქ მეორე საგანი წარმოგვიდგება თვალწინ. ნუთუ შესაძლოა რაიმე აზრის გამოთქმა ხელოვნურად, გარეშე მშვენიერი ფორმისა. ყოველი აზრი მაშინ არის შეგნებული და შესისხლხორცებული ადამიანისაგან, როცა იგი კარგად არის გამოთქმული, როცა მის გასაგებად ტვინის დაღლა არ დაგჭირდება, როცა ისეთ ფორმაშია ჩამოსხმული, რომ ადამიანის მთელი არსება ითვისებს ამ აზრს. მე შემიძლია სრულიად კარგი აზრი გამოვთქვა ასე: “მამული გონიერი მიყვარს, არ დაგძრახეს”. ამნაირი დამახინჯებული ქართულით მოლაპარაკეს უთუოდ უნდოდა ეთქვა, რომ “მამულის გონიერი სიყვარული დასაძრახისი არ არისო”. ეს დიახაც ჩინებული აზრი სწორედ გაუგებრად და თავის სატეხად არის გამოთქმული. მისი გამოთქმა შეიძლება სხვანაირადაც - “სიყვარული” Родины raisonnable non დასაძრახისი”.

წინადადება გრამატიკულად თითქმის სავესებით სწორია, მაგრამ ამ თავისებურ “ესპერანტოში” ისეა არეული დომხალივით სხვადასხვა ენა, რომ კაცი ვერას გაიგებს. წარმოიდგინეთ ამგვარად დაწერილი მთელი წიგნაკი! დარწმუნებული ვარ, თვით გოგოლის ცნობილი პეტრუშკაც კი გადაისროდა ასეთ წიგნს. ამგვარად გამოთქმული აზრი ისეთივე უაზროა, როგორც უაზროა მუსიკალური ფორმით გამოთქმული უშინაარსო რამ. როგორც “მამული გონიერი მიყვარს, არა დაგძრახეს” - არ არის ბარათაშვილის პოეზია, ისე არც შემდეგი მუსიკალურად შეწყობილი რითმები შეიცავენ პლატონის ფილოსოფიას:

“მარაბაბა საჰემ, იოკ სალამალექი,

კარბულაჰ ონჰალლა, კროკა კატამა - ლექსი”\*

ყოველ ხელოვნურ ნაწარმოებს აქვს აზრი, ყოველი ხელოვანი მწერლისაგან გამოთქმულ აზრს აქვს ხელოვნური სამოსელი... მაგრამ შესაძლოა ერთი სამოსელი საუკეთესო სახელოსნოში იყოს გაკეთებული და კეკლუცობითა და მოხდენილობით ბადალი არა ჰყავდეს, მეორე კი - უფრო დაბალ სახელოსნოში, მაგრამ არც ამას აკლდეს სიკეკლუცე და მოხდენილობა.

თუ შეიძლება ითქვას რამე ფორმის ან აზრის შესახებ, მხოლოდ ის, რომ ამისა და ამის ნაწარმოები უფრო დაბლა დგას ვიდრე იმისი, ანდა ამა და ამ ხელოვნურ შემოქმედებას ისეთი ღრმა

აზრი არა აქვს, როგორც მეორესა. მეტის თქმა კი უადგილო იქნება. თუკი ნაწარმოებს ხელოვნურად თვლით - ნება აღარა გაქვთ ეჭვი შეიტანოთ მისი ფორმის სიმშვენიერეში, ანდა უაზრობა დაწამოთ.

რა არის პოეზიისა და საზოგადოდ ლიტერატურული ნაწარმოების ფორმა? პოეზიისათვის საზოგადოდ აუცილებელია ლექსწყობა, რიტმისა და რითმის დაცვა, ხოლო პროზისათვის სტილისტური მართებულება და მწყობრობა: სიტყვა სიტყვას უნდა სდევდეს იმგვარად, რომ აზრის განვითარების ძაფი არა წყდებოდეს და აზრიც ყოველთვის მკაფიოდ გამოითქმოდეს. ხელოვნება იქ არის დაცული, სადაც აზრი სავსებით არის გამოთქმული ნათლად და სადაც სრული ჰარმონია სუფევს აზრსა და მის გამოხატულებას შორის, ფორმა შესატყვისი უნდა იყოს შინაარსის, ამასთან - გამსჭვირვალე, რომ მშვენიერი სხეული ამ სამოსელის ქვეშ მხესავით ანათებდეს.

ხელოვნური ნაწარმოების არსებითი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ აზრი მხატვრულად უნდა იყოს გამოთქმული, სხვადასხვა სურათებისა და ხელოვნების იარაღის შემწეობით, რათა უფრო ძლიერად ჩაგვიბეჭდოს აზრი, რათა შეგვასახლოვდეს გვაგრძნობინოს იგი მთელი ჩვენი არსებით; პოეზია არის შთაგონებითი (შუგგესტივე) ძალა და ამ ძალამ ჩვენს გრძნობებს უნდა მიმართოს, ეს გრძნობები აგვიშალოს, ისე, როგორც მუსიკოსი მიმართავს საკრავს, რათა ჰარმონიული ჰანგები გამოაღებინოს. აზრი, მშვენიერებით აღვსილი, ერთგვარი სხეულია, რომელსაც შესაფერისი სამოსელი უნდა ჰქონდეს და ეს სამოსელი უძვირფასესი ქსოვილი უნდა იყოს. მასალისათვის ხელოვანს წინ გადაშლილი აქვს ბუნება უკიდო და უძირო, “ქვეყანა უთვალავი ფერთა”. მის მოხერხებაზე დამოკიდებული, რამდენად თვალწარმტაცი იქნება ეს ქსოვილი. ყოველ მშვენიერ სამოსელს დაამახინჯებს უშნო და უმსგავსო სხეული, ისე როგორც, რაც უნდა მშვენიერი არსება იყოს, თუ საზიზღარი, ბინძური ნაფლეთებით შემოსეთ, ძალაუწებურად პირველ შეხედვისთანავე არასასიამოვნო გრძნობებს აღძრავს თქვენში. რასაკვირველია, სამოსელსა და სხეულს ათასგვარი ხარისხი აქვს, ათასგვარი საფეხური აქვს, რომლის თავში შესაძლოა მიქელანჯელო იდგეს, ან ჩვენი რუსთაველი, ხოლო ბოლოში - რომელიც გნებავთ მექოთნე, გინდ მოშაირე, რომელიც “უცილობლობს ვითა ჯორი”. ეს სხვადასხვაობა ფორმისა და აზრისა დაუსრულებელია, ვითა ბუნება და ბუნების მოვლენები, ვით ადამიანი, ადამიანის ცხოვრება, მისი გონების ფანტაზია და მისი აზრის ვარჯიშობა. აქ განსაზღვრული კანონი შეუძლებელია, აქ ერთადერთი კანონი ადამიანის გემოვნებაა და სიამოვნება; ყოველი ნაწარმოები დიდებულია, თუკი ის მოგწონს, თუკი მას შეუძლია მოგანიჭოს სიხარული და ბედნიერება, თუკი იგი ჩვენი ცხოვრების მაჯისცემას აძლიერებს, თუკი იგი ჩვენ სიცოცხლეს შუქსა ჰვენს.\*

თავი და თავი აზრი ყოველი ცხოველის არსებობისა მისი სიცოცხლეა; რაც შველის, ხელს უწყობს ამ სიცოცხლის წარმატებასა და გაძლიერებას, ამას ელტვის ყოველი სულიერი. შეგნებული, გონიერი არსება - ცხოველი, რომელსაც ადამიანი ეწოდება, ესწრაფვის და ხელს ატანს მას, რაც მის სიცოცხლეს აძლიერებს და ხელს უმართავს, რაც მას ბედნიერებას და სიხარულს ანიჭებს; ტანჯვას, ავადმყოფობას, - სიმახინჯეს ფიზიკურსა და სულიერს, ადამიანი გაურბის, ემალება და თუ ხანდახან სიკვდილს ირჩევს, იმისთვის, რომ მისი სიცოცხლე ისეთი არ არის, როგორც უნდა იყოს (მხიარული და ბედნიერი), - დღენიადაგ წამება კი მობეზრებული აქვს. მხოლოდ დაავადმყოფებულ, გადაგვარების გზაზე დამდგარ ერს, გინდ კერძო პიროვნებას, შეუძლია ტანჯვა-ვაება გაიხადოს ცხოვრების აზრად და იდეალად; ჯანსაღი კაცისათვის კი წუთიერი ტანჯვა-წამება, ყოველივე სიცოცხლის შემავიწროებელი მოვლენა, მარტო იარაღად არის გამოსადეგი უფრო საფუძვლიანი და ხანგრძლივი ბედნიერების მოსაპოვებლად.

ამიტომაც არის, რომ ხელოვნების ის მეგლი არის ადამიანთაგან საუკუნოვანი გვირგვინით შემკობილი და გაღმერთებული, რომელიც სიხარულისა და ბედნიერების მომნიჭებელია. სილამაზე და სიმშვენიერე ძველი საბერძნეთის ხელოვნებისა - თაყვანსაცემი დიდებაა ადამიანის გენიოსობის შექმნილი; სოფოკლესა და შექსპირის ტრაგედიები - ადამიანის სულის სიმაღლისა და ძლიერების მაჩვენებელი არიან; ბაირონისა და ჰიუგოს ლირიკა ჩვენი მეზრდოლი ბუნების იდეალური სურათია, ხოლო რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი” - შეუდარებელი და იშვიათი მაგალითია ბედნიერი ცხოვრების ხატებისა, იმ ცხოვრების, რომლის განმაცისკროვნებელი მზე და მთვარე თინათინია და ნესტანი, ტარიელი და ავთანდილი, რომლებიც მხნეობის, სიმამაცის, სიმშვენიერის, სიკეკლუცის მაღალ გრძნობათა და აზრთა იდეალურ წარმომადგენლად ეყოლება ქართველ ერს, ვიდრე თავის სახეს არ დაკარგავს.

ცნობილია, რომ ავადმყოფებს ჭამის დროსაც კი მუსიკას მოასმენინებენ ხოლმე, რათა მადა აღუძრას და კაი ქეიფზე მოიყვანოს. ასეთივე პირდაპირი ფიზიოლოგიური გავლენა აქვს ადამიანზე ხელოვნურ ნაწარმოებს: მისი სიცოცხლის ტონუსი როგორღაც მაღლდება და ძლიერდება კარგი სანახაობის ზეგავლენით.

აბა, გადაიკითხეთ რამდენჯერაც გნებავთ ის ადგილი “ვეფხისტყაოსნისა”, სადაც ავთანდილი თინათინს ელაპარაკება თავისი მეგობრის ტარიელის შესახებ, თავის მეგობრული გრძნობისა და მოვალეობის შესახებ და მიბრძანეთ, თუ ყოველი მისი წაკითხვა თქვენ კარგ გუნებაზე არ დაგაყენებთ, ხასიათს უკეთესად არ შეგიცვლით. თქვენი გული როგორღაც სიხარულით ჩქროლავს, როცა ამ ადგილს გადაათვალიერებთ. ავთანდილი თინათინს ეუბნება, რომ “მოყმე უცხო ვინმე” ნახა და ამით შეასრულა ბრძანება მეფისა და მისი ტურფისა. მაგრამ თანაც “მოყმე” ავთანდილს დაუმეგობრდა, ავთანდილის გული მისდამი აღტაცებითა და თაყვანისცემითაა გავსილი, ვინაიდან უცხო რამ არის.

“ნუ მკითხავ, ქება რა გკადრო, ჩემგან ვით გაგეგონების? მისა მნახავს ნახული არაღა მოეწონების”. ავთანდილმა თავისი აღთქმაც უამბო სატრფოს, ტარიელს დაპირდა უცილოდ დავბრუნდებო და თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნია ამ დაპირების შესრულება, რადგან მეგობრობა არანაკლებ დიად გრძნობად მიიჩნია, ვიდრე მიჯნურობა.

“ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,  
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად...  
აჰა, მაქვსმცა უმისოსა ლხინი არმად, თავი ფლიდად!”

თინათინი სავსებით შეიგნებს ავთანდილის გულისნადებს, მის გრძნობებს და ღირსეულ, გონების წარმტაც პასუხს აძლევს, რომლის კეთილშობილება და დიდებულება სიხარულით გვავესებს:

“შენ არგატება კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა.  
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,  
ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხამს მართ უვიცისა”.

და ბოლოს, როცა ავთანდილი “სიცოცხლის საიმედო ნიშანს” რასმე თხოვს, თინათინი მასაც დიდი სიამოვნებით მისცემს:

“მისცა მარგალიტი, სრულქმნა მისი საწადელი”.

სიამოვნებას განიჭებთ აქ მწერალი იმ გრძნობათა სიმადლით, რომელსაც თვალწინ გადაგვიშლის, თანაც ამ უსაზღვრო გრძნობას რამდენიმე ტაეპში მოათავსებს და ისეთი მხურვალე ნიჭით მოგვირთავს, რომელიც მარტო რუსთაველს და მის მსგავსს შეუძლია.

აბა, დაათვალიერეთ, რამდენჯერაც გნებავთ, შესანიშნავი ვენერა მილოსელი პარიზში, ლუვრის მუზეუმში და მითხარით, თუ ისეთივე კმაყოფილება და ბედნიერება არ იგრძნობთ ყოველ წუთში, როგორც რაიმე სასიამოვნო ამბის გამო, ანდა სიცხითა და წყურვილით დატანჯული მაგრილობელ ჩრდილში ცივ წყაროს რომ დაეწაფო.

სიცოცხლის გამამდიერებელი და განმაცისკროვნებელია ხელოვნება; ყოველი დიდი მისი ნაწარმოები თქვენს სულს ამაღლებს, მაგრამ ხორცსაც სიამოვნებას ანიჭებს, მით რომ აკმაყოფილებს არტისტულად, ხელოვნურად მრავალგვარ ჩვენს ინსტინქტს, რომელიც ჩვენს ბუნებით საიდუმლოებით მოცულ უფსკრულშია ჩამალული\*. დარწმუნებული ვარ, საბერძნეთის მშვენიერების განმახორციელებელი ლუსკუმები, თვალისა და გონების წარმტაცი იტალიური მხატვრობა ამ ხალხის ფიზიკურ მშვენიერებაზეც კი მოქმედებდნენ. თუ, ერთის მხრივ, ასეთი მშვენიერება ისეთ ლამაზსა და მშვენიერ ხალხს შეეძლო შეექმნა, როგორც ბერძნები და იტალიელები იყვნენ, სამაგიეროდ, ყოვლად შეუძლებელია ერთგვარი ფიზიკური გავლენა არ ჰქონოდა ასეთ საუცხოო და ტურფა სანახაობას იმ ხალხზე, რომელსაც ბედნიერება ქონდა ღვთაებრივი ოლიმპი ქვეყნად ჩამოეტანა და ყოველ წუთში იმისათვის ეცქირა.

ვინ იცის, იქნებ ქართველი ერის სიმშვენიერეში რუსთაველის გენიოსობის ნაყოფსაც ედვას წილი? ხალხი, რომელსაც ლოცვანივით მიაჩნდა “ვეფხისტყაოსანი” და დღენიდაგ იმის კითხვაში იყო, ეჭვი არ არის ერთგვარად მომართული და განწყობილი იყო; მისი ოცნება მუდამ ტარიელსა და ავთანდილს, თინათინსა და ნესტანს დასტრიალებდა, მისი გონება ამ საუცხოო სანახაობით იყო მოხიბლული და მოჯადოებული. შეგვიძლია, განა, არ დაუთმობთ ერთგვარი გავლენა ამგვარი განწყობილების ადამიანის ფსიქიკას მის ფიზიოლოგიაზე? ეს იქნებოდა შეცდომა მეცნიერული გამოცდილების საწინააღმდეგო.

მე განგებ მოვიყვანე ერთი ადგილი “ვეფხისტყაოსნიდან”. ამ ადგილს ვერავინ შესწამებს, რომ იგი უაზრო იყო. აქ დიდებული განწყობილებაა, დიდებული სულისკვეთებაა გამოსახული; სიყვარული და მეგობრობა ქვაკუთხედი ადამიანის ცხოვრებისა და სიცოცხლისა. ეს ერთგვარი

სადირკველია, რომელზეც არის აშენებული მრავალგვარი და რთული განწყობილება ადამიანთა შორის. მაგრამ არის დრო და მომენტები ისტორიაში, როცა ადამიანს აღარ ცხელა ამაებისათვის. ეს უბედური ხანაა, სიცოცხლისა და ცხოვრების მომშხამველი, მაგრამ ასეთი ხანა არის ხოლმე ადამიანის და კაცობრიობის ცხოვრებაში. და, აი, მაშინ ამგვარი საგნები აბუჩად არის აგდებული, თითქმის მკრეხელობად არის მიჩნეული ამ დროში სხვა რამეზე ილაპარაკო და იმღერო, თუ არა იმ ღრმა ტკივილებზე, რომლითაც არის დაავადებული ერი. და სწორედ ასეთ დროში იზადება საკითხი ხელოვნური ნაწარმოების აზრიანობაზე. ჩვენ ბევრი ვთქვით იმის შესახებ, რომ ეს სრული ნონსენს-ია. მაგრამ იმნაირ დროში, რომელიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, უაზროდ ითვლება ყოველივე ხელოვნური ნაწარმოები, თურომ იგი არ ემსახურება მთავარ წყლულს საზოგადოების ცხოვრებისას. სიყვარული თვით არსია ცხოვრებისა, მაგრამ სიყვარულზე ლაპარაკისთვის აღარა სცალია მას, ვინც მომავლადვის სარეცელზედა გდია, მას უნდა წამალი სიკვდილთან საბრძოლველი. ხშირად ერი და საზოგადოება, ქვეყანა და სახელმწიფო ასეთ მდგომარეობაშია. მას ან გარეშე მტერი უქადის ჩაყლაკვას და, ამგვარად, მისი არსებობა განსაცდელშია, ან შინაგან გახრწნილებას უმადლეს წერტილამდე მიუღწევია და აქაც სიკვდილს და დალუპვას თავისი დამამხოველი ცელი ხელში მომარჯვებული აქვს. ასეთ დროში, მართლაც, რაღა სხვადასხვა გრძნობისათვის გცხელა, აქ მახვილია ხელში მიუცილებელი, დოსტაქარი და წამალი.

მაგრამ ასეთი გარდამავალი ხანა არ შეიძლება კაცმა მიიღოს ნორმალურად, არ შეიძლება ასეთ არაჩვეულებრივ მდგომარეობას საუკუნო მნიშვნელობა მისცეთ და ამით განსაჯოთ დიდებული მოვლენა ხელოვნების არსებობისა. ხელოვნებას კი მაშინა აქვს მნიშვნელობა, თუ იგი ადამიანის ცხოვრებას აფართოებს, აძლიერებს და სიხარულისა და სიმშვენიერის შუქსა ფენს, ცხოვრების უმსგავსეობასთან საბრძოლველ ენერგიას უღვიძებს, თუნდაც იმით, რომ სიცოცხლის ხელისშემწყობ განწყობილებას ბადებს მის პატივისცემელებში. ვიქტორ ჰიუგო უდიდებულესი საპოლიტიკო სატირიკოსი და ლირიკოსი იყო ისე, როგორც ბაირონი, მაგრამ ერთიცა და მეორეც, რაც უნდა მაღლა იდგნენ, ვერც შექსპირს წააცილებენ და ვერც სოფოკლეს, თუმცა მათ ნაწარმოებში ისეთ ტენდენციას ვერ ნახავთ, როგორსაც ჰიუგოსა და ბაირონის შემოქმედებაში. პოეზიისა და ხელოვნების წყარო ადამიანის ცხოვრების სამარადისო ნაწილებია, ასეთი კი არის: ბიოლოგიური ელემენტი (სექსობრივი გრძნობა) - გამშვენიერებული და გალამაზებული, ბუნებისა და ადამიანის დამოკიდებულება და ზეგავლენა, ადამიანის სიცოცხლის დასასრულთან ბრძოლა და მისგან გამოწვეული განწყობილება და გრძნობა. ეს მთავარი ელემენტი ხელოვნებისა, რასაკვირველია, ათასგვარ კომბინაციას განიცდის და მრავალგვარ ნიადაგად ხდება, რომელზეც ხელოვანს შეუძლია ისეთი ქსოვილი მოქსოვოს, როგორც მის ფანტაზიას სურს და შეუძლია. ყოველივე გარდამავალი პოეზიისა და ხელოვნების საგანი როდია. იგი საგანია პუბლიცისტიკისა და ჟურნალისტიკის; სადღეისო საგნები, ყოველდღიური საჭირბოროტო საქმე და ჭირ-ვარამი გაზეთის საქმეა - პოლიტიკოსების და საზოგადოების ცხოვრების მეთაურებისა.

ამით იმის თქმა კი არ მინდა, ღმერთმა მაშოროს, რომ პოეზიიდან და ხელოვნებიდან ეგრეთ წოდებული სამოქალაქო მოტივები იქნენ განდევნილნი. სრულიადაც არა. მაგრამ ეს მოტივები ზემოხსენებულ ნიადაგზე უნდა იქნენ მოქარგულნი. გარეშე ამისა, მათ არავითარი დამოკიდებულება არ ექნებათ ხელოვნებასთან... განა არ შეიძლება, პოეტი სიყვარულის შესახებ ლაპარაკობდეს და მთელი დღევანდელი სულის შემხუთავი გარემოება, რომელიც ყოველივე ადამიანის მაცოცხლებელ საგანს ახრჩობს, ყოველივე ეს გვაგრძნობინოს მთელი სიმწვავეთა და სიღრმით, თუკი ნიჭი აქვს? განა არ შეიძლება, ადამიანის სიცოცხლის დასასრულზე ილაპარაკოს და მთელი სიგრძე-სიგანით თვალწინ დაგვიყენოს ის პოლიტიკური ატმოსფერო, რომელიც სიკვდილს გარჩევინებს სიცოცხლეს? განა არ შეიძლება, დღევანდლობით გულდამწვარმა, “მწუხარმა და სევდიანმა” პოეტმა ბუნებას მიმართოს, “გულის თქმა მისი იმის იქით ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება”, პოეტის “მწუხრი გულისა - სევდა გულისა - ნუგეშსა ამას მისგან მიიღებს”, ანდა ეხლანდელი განატანჯი პოეტი “წარვიდეს წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად”? არა მგონია, ამ სტრიქონების ავტორს ნაკლებად ეგრძნობინოს ჩვენთვის იმ დროის დამყაყებული საზოგადოებრივი პირობები!

რაკი ხელოვნება ცხოვრებისათვის და სიცოცხლისათვის არის, რაკი მისი საგანი სიცოცხლის გაცისკროვნება და გაღონიერებაა, - ნიჭი თვით იპოვის მასალას და თუ ეს მასალა ხელოვნურად არის შემუშავებული, თურომ იგი დაუსრულებელ სიამოვნებასა და სიხარულს მოგვანიჭებს, თუ ამგვარი ნაწარმოებისაგან აღძრული კმაყოფილება გაუძლებს დამჯდარ ანალიზს და საუკუნეების კრიტიკის ქარ-ცეცხლს, მერწმუნეთ, იგი დიდებული ხელოვნური ნაწარმოებია.



დიდებულია ვენერა მილოსელი, დიდებულია პრაქსიტელის ჰერმესი, დიდებულია მიქელანჯელოს ფრესკები, დიდებულია ჰომეროსი, დიდებულია შექსპირი, თუნდაც ვოლტერი და ტოლ-სტოიცი კი წინ აღუდგეს მათ დიდებულებას, დიდებულია ჩვენი შოთა, რაც არ უნდა უყვოვნ მას და ვინც არ უნდა მოინდომოს მისი დიდებულების გაცამტვერება. ამის მოწმეა რვა საუკუნე, რომლის განმავლობაში ბევრი დევნა და შეურაცხყოფა ნახა, მაგრამ დღესაც ისევე ისე ბრწყინავს, როგორც მაშინ, და მის ელვარებასა და სხივს არა მოჰკლებია რა, ვითა მზეც, ცის მანათობელს, ხოლო მის სხივს ბრმანიც კი ამჩნევენ.\*

1910 წ.

### კიტა აბაშიძის ცხოვრების გზა

კიტა აბაშიძე დაიბადა 1870 წლის 16 იანვარს (ძველი სტილით) დედუღეთში, გურიაში, სოფელ ლესაში, თავისი პაპის - გურიის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრის - დავით ვახტანგის ძე გურიელისა და მისი მეუღლის - ეკატერინე ნიკოლოზის ასულ დადიანის სასახლეში.

გურიელების ოჯახს დიდი ზემოთ აღუნიშნავს ვაჟის დაბადება. კიტას ბიძებს, მთელი საქართველოსათვის კარგად ცნობილ თავადებს - ჯამბაკურ, ვახტანგ, ვარდენ, ტელემაკ და მამია გურიელებს ხალხმრავალი წვეულება გაუმართავთ და ლხინითა და შედღუხით შეჰკებებიან დისწულის შექმნას.

კიტა აბაშიძის დედა, დავით გურიელის უმცროსი ასული სოფიო, ვაჟის შექმნის შემდეგ, პირველ ხანებში, თავისი მშობლების სახლში ცხოვრობდა, რადგან მისი მეუღლე - კიტას მამა - გიორგი ივანეს ძე აბაშიძე რაჭის მაზრაში მუშაობდა მომრიგებელ შუამავლად, აბაშიძეების სახლი სოფელ კაცხში უმამაკაცოდ იყო დარჩენილი და მშობლების ოჯახში სოფიოს უკეთ შეეძლო თავისი პირმშოს მოვლა.

სოფიო გურიელის დედა, - გამოჩენილი მოღვაწის, “დიდ ნიკოდ” წოდებული ნიკოლოზ გიორგის ძე დადიანის ასული ეკატერინე, ცნობილი ყოფილა თავისი სიღარბისლითა და მწიგნობრობით, და იონა მეუნარგიას დახასიათებით, “ისეთი ტკბილი ქალი იყო, რომ შაქარი ამოსდიოდა პირიდანო”. იმხანად დავით გურიელი აღარ იყო ცოცხალი და გურიელების დიდი ოჯახის უფროსი და გამგებელი ეკატერინე დადიანი იყო. “დადიანის ქალმა... შვილები ყველა ბიძებს დააზრდევინა, - კვითხულობთ იონა მეუნარგიას მიერ დაწერილ მამია გურიელის ბიოგრაფიაში, - პირველად ძიძას სახლში მოაყვანიებდა და რამდენიმე თვეს ზავშვს თავის თვალის წინ აზრდევინებდა, მაგრამ მერე კი ძიძას შინ გაატანდა გაზრდილს და რამდენიმე წლით დაარჩენდა იმასთან, იმიტომ, რომ ამბობდა: გლეხისას გაზრდილი დიდი კაცის შვილი ზომიერი ხასიათის კაცი გამოდგებაო, უფრო მრთელიც იქნება და კარგი მებატონეცაო, რადგან მისი ძიძის და ძიძის მეზობლის შვილებს ნახავს ღარიბებს, შიშვლებს და გაჭირვებულებს და, ამით გამოცდილი, თვითონ გულმოწყალე მებატონე შეიქნებაო.” თავისი შვილიშვილისთვისაც - კიტასთვისაც მოუყვანია ეკატერინეს ძიძა - ვინმე ჭყონიას ქალი, მაგრამ ვაჟიშვილის შექმნის შემდეგ სოფიო დიდხანს არ დარჩენილა თავის მამისეულ ოჯახში. მალე იგი, პატარა ვაჟიშვილთან ერთად, გურიიდან იმერეთში გადადის საცხოვრებლად - სოფელ კაცხში, აბაშიძეების საგვარეულო ადგილ-მამულში, სადაც გაატარა კიტა აბაშიძემ ბავშვობის წლები.

კიტა აბაშიძის სიყრმის მეგობრის, - XX საუკუნის დამდეგის ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის - ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლის, მწერლისა და პუბლიცისტის ივანე ზურაბიშვილის (1872-1940) მოგონებაში კიტა აბაშიძის შესახებ, კვითხულობთ: “ჭიათურის გზაზე არის სადგური სალიეთი. ამ სადგურიდან ზემოთ, მთაში მიიკლავნება ვიწრო საურმე გზა. რაც უფრო მალა ადიხართ ამ გზაზე, თქვენს თვალწინ ერთიმეორეზე უკეთესი სანახავეები იშლება. გაივლით ორიოდ ვერსს და თქვენს წინ აიმართება კაცხის მონასტერი”, შემდეგ კი იწყება თავლწარმტაცი მიდამოები. გარშემო ღრმა ხეობებია, მათ შორის “მიიკლავნება მდინარე კაცხურა და სულ ნახევარი ვერსის სავალზე მოსჩანს კიტას სოფელი კაცხი. მთის კალთაზე განმარტოებულად დგას კიტას სახლი, გარშემო უვლის მთელი გროვა მეტ-ნაკლები სიმადლის სერებისა, შორს... ცის ტატნობზე, მოსჩანს კავკასიონის მთაგრეხილი... საკმარისია დაჰყოთ აქ რამდენიმე ხანი, რომ იგრძნოთ ის ღვთაებრივი ძალა, რომლითაც განმსჭვალულია აქაური ბუნება; ბუნება დიადი და ლამაზი იმ ღვთაებრივის სილამაზით, რომელიც უნებლიეთ იწვევს ადამიანის გრძნობას მალა, ცისაკენ, და აღვიძებს გულში იმ ნაზ სიყვარულს, რომლითაც ისე უხვად იყო დაჯილდოებული ჩვენი ძვირფასი კიტა.

აი, აქ, ამ ცის ქვეშ, ამ ბუნების წიაღში... აიღვა ფეხი ჩვენმა საყვარელმა, ჩვენმა ტკბილმა კიტამ.”  
- დასძენს ივ. ზურაბიშვილი.

კიტა აბაშიძის მამა - გიორგი აბაშიძე, უმცროსი შვილი იყო იმერეთში იმჟამად ყველასათვის ცნობილი თავადის - ივანე დავითის ძე აბაშიძისა, რომელიც შორაპნის მაზრაში “უჩასტკის ნაჩაღნიკად” ყოფილა თურმე. გიორგი აბაშიძე ქართველ დიდგვაროვანთა წოდებას განეკუთვნებოდა, მაგრამ, ისევე, როგორც იმერეთის თავადაზნაურობის დიდი ნაწილი, ისიც სრულიად გაღარიბებული იყო. იგი მომრიგებელ შუამავლის თანამდებობაზე მუშაობდა რაჭაში და აქ მას, როგორც მის თანამედროვეთა მოგონებებიდან ვგებულობთ, გლეხების დიდი პატივისცემა და სიყვარული დაუმსახურებია, როგორც საქმეში მუდამ კეთილსინდისიერსა და სამართლიანს, პირად ურთიერთობაში კი ყოველთვის გაჭირვებულთა თანამგრძნობსა და დამხმარეს.

სოფიოსა და გიორგის კიტას შემდეგ ორი ქალიშვილი შეეძინათ - ეკატერინე და პოლინა. მათსავე ოჯახში იზრდებოდა გიორგის უფროსი ძმის, მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, სამსონ აბაშიძის ქალიშვილი ეკატერინეც, რადგან სამსონი იმ ხანებში (90-იანი წლების ბოლომდე) რუსეთში იმყოფებოდა. გიორგის მეორე ძმის, დავითის ვაჟიც - შემდგომში საკმაოდ ცნობილი პოეტი - გრიშა აბაშიძეც უმეტეს წილად მათ ოჯახში ცხოვრობდა. გიორგის ოჯახი თავშესაფარი იყო მრავალი გაჭირვებული შორეული ნათესავისთვისაც და მას ყოველთვის ძალიან უმწელებოდა ასეთი მრავალრიცხოვანი ოჯახის რჩენა. გიორგი, როგორც მის თანამედროვეთა მოგონებებიდან ჩანს, საკმაოდ განათლებული კაცი ყოფილა; კარგად იცნობდა ქართულ და რუსულ ლიტერატურას, თვალყურს ადევნებდა პერიოდულ გამოცემებს... და მუდამ ოცნებობდა თურმე, რომ თავისი ვაჟიშვილისათვის სამაგალითო აღზრდა-განათლება მიეცა. მაგრამ მას არ დასცალდა თავისი ოცნების ასრულება. 1874 წელს, 28 წლის ასაკში, იგი მძიმედ დაავადებული, გარდაიცვალა ოდესის საავადმყოფოში, საიდანაც მისმა მახლობლებმა საქართველოში ჩამოასვენეს და მისი სოფლის - კაცხის საგვარეულო მონასტრის გალავანში დაკრძალეს.

კიტა აბაშიძე მაშინ მხოლოდ 4 წლისა იყო და მის მეხსიერებაში მოგონება მამაზე დარჩა, როგორც ვეება, მომღიმარ კაცზე, რომელიც ბუხრის პირას დაისვამდა ხოლმე მას მუხლებზე და უყვებოდა ამბებს იმ ძლიერი და კეთილი ადამიანის შესახებ, რომელმაც ადამიანებს ცეცხლის ანთება ასწავლა, რის გამოც დასაჯეს, კლდეზე მიაჯაჭვეს, და რომელიც, ადრე იქნება თუ გვიან, გაწყვეტს ამ ჯაჭვს და ბედნიერებას მოუტანს ყველას...

სოფიო გურიელი 25 წლის ასაკში დაქვრივდა და ოჯახზე ზრუნვის მთელი სიმძიმე ამ ახალგაზრდა ქალს და კიტას შინაბერა მამიდას - ალექსანდრას დააწვათ. სოფიოს მრავალი მთხოვნელი ჰყოლია, მაგრამ იგი ერთგული დარჩა თავისი მეუღლის ხსოვნისა და თავისი ახალგაზრდობა შვილებზე ზრუნვასა და მათ აღზრდას შესწირა. ბუნებით უაღრესად სათნო და სპეტაკი ადამიანი, სოფიო გურიელი ყოველწინად ცდილობდა, რომ უმამოდ დარჩენილი ვაჟი პატიოსან და კეთილშობილ მამულიშვილად აღეზარდა. და იმ მატერიალურ გაჭირვებას, რომელსაც დაობლებული ოჯახი განიცდიდა, სოფიოს სითბო და სინაზე, მისი და მისი შვილების ურთიერთსიყვარული და პატივისცემა ანაზღაურებდა... და კიტა აბაშიძეს მთელი თავისი მშფოთვარე და დაუდგრომელი ცხოვრების მანძილზე, - სწავლის, მოგზაურობის თუ საზოგადოებრივ სარბიელზე მოღვაწეობის ხანებში, მუდამ თან სდევდა დედის წრფელი და უანგარო სიყვარული, რომელიც ამხნეებდა და ძალას მატებდა მას. უპირველესად დედას უმხელდა იგი თავის სიხარულსა და დარდს, დედა იყო მისი წარმატების თუ მარცხის პირველი გამგები და გამზიარებელი... სოფიო გურიელი დედური მღელვარებით და სიხარულით კითხულობდა შვილის უნაზეს ბარათებს მოწერილს ყველა იმ ადგილიდან, სადაც უხდებოდა კიტა აბაშიძეს საქმიანობა: - ქუთაისიდან და თბილისიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან, კონსტანტინეპოლიდან, პარიზიდან, რომიდან... სოფიო ყოველთვის შვილის ინტერესებისა და ცხოვრების საქმის კურსში იყო და თავის წერილებში მუდამ ანუგეშებდა, ამხნეებდა, თანაუგრძნობდა და არიგებდა თავის საყვარელ პირმშოს. კიტა აბაშიძე სათუთად ინახავდა დედის წერილებს, არა მარტო უყვარდა იგი, არამედ უაღრესად დიდ პატივს სცემდა მის პიროვნებას. პატარაობისას - 9 წლის ასაკში - ქუთაისში, თავის ბიძასთან, ჯაბა გურიელთან სტუმრობისას, კიტა ასეთ წერილს უგზავნიდა თავის დას კაცხში:

“...ჩვენ რომ დედა გყავს, კატო ჩემო, იმისი ღირსი ჩვენ არა ვართ, თორემ რამდენს ვუყურებ ამ ჩვენ ცოდვილ ქვეყანას, ვრწმუნდები, რამდენად იშვიათი არის მაგისთანა ადამიანი”...

სოფიო გურიელს უნდოდა შვილებისათვის ბავშვობიდანვე შეესისხლხორცებინა ის ცოდნა, რომელიც მას ჰქონდა მიღებული. უყვებოდა მათ გამოჩენილი ქართველი გმირების შესახებ, მოუთ-

ხრობდა ქართველი ხალხის მტრებთან ბრძოლებზე, უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს. დედას უსწავლებია ხუთი წლის კიტასათვის მხედრულად და ხუცურად კითხვა და წერა, დედისაგანვე მოუსმენია მას ბავშვობაში “ვეფხისტყაოსანი”, რომელიც სოფიომ ზეპირად იცოდა თურმე... ივ. ზურაბიშვილი, ზემოთ დასახელებულ მოგონებაში ასე ახასიათებს სოფიო გურიელს: “არის მხოლოდ ერთი სიტყვა, რომელიც სავსებით ახასიათებს ამ არსებას; ეს არის - წმინდანი. თუ მოიპოვება მიწიერთა შორის სულისა და გულის სრული სიწმინდე, კაცთმოყვარეობის ისეთი ღრმა გრძნობა, რომლისათვისაც გაუგებარია თვით ცნება ბოროტებისა - ეს არის კიტას დედა. ამან ჩაუდგა სული კიტას, ამან აღზარდა მასში ის სათნოება და სიყვარული, ის სინაზე და მგრძნობიერი გული, ის მაღალი სული, რომლითაც გვხიბლავდა ჩვენ ჩვენი დაუვიწყარი კიტა”...

კიტა აბაშიძეს ბავშვობისას მეტად ჰყვარებია ზღაპრები და ხალხური თქმულებები და უყვარდა თურმე თავისი დედის გამდელის, გურული გლეხის ქალის მარიკა იმნადის ყურისგდება, რომელიც შესანიშნავი მოზღაპრე და მთქმელი ყოფილა. პატარა კიტას და მოხუც გამდელს დიდი მეგობრობა ჰქონიათ და ეს მეგობრობა შემდეგშიც გაგრძელდებოდა; კიტა აბაშიძეს გიმნაზიასა და, შემდეგ, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშიც მიმოწერა ჰქონდა ამ უბრალო მოხუც ქალთან. საინტერესოა გამდელის ერთი პატარა მოგონება კიტა აბაშიძის ბავშვობის ხანაზე, რომელიც კიტას დას - ეკატერინეს ჩაუწერია: კიტა 5 წლის ყოფილა მაშინ; შესულა ერთხელ თავის გადიის ოთახში და დაუნახავს, რომ გადია რაღაცას კერავს. “ჩაეკითხა: რას კერავ გადიაო? მან უპასუხა: ოლარსო... ვისთვის გინდა, ვის უნდა აჩუქო? ვისაც ღმერთი დამასიზმრებს ამაღამ, იმას მივცემო”... როცა გადია დასამინებლად დაწოლილა, კიტას წამოუსხამს ზეწარი, მისულა ფანჯარასთან და ბოხი ხმით დაუძახნია: “მარიამ, მარიამ, აღიღე ოლარი ეგე და მიეც პეტრესა - მღვდელსაო”... მეორე დილით კიტას უკითხავს გადიისათვის, - რა ნახე სიზმარშიო, და დიდად კმაყოფილი და გახარებული დარჩენილა, როცა გადიამ თავი ისე მოაჩვენა, ვითომც ვერ მიხვდა მის ოინს და უპასუხა - ასე და ასე ვნახე და უნდა ავასრულო ღმერთის ბრძანებაო.

პეტრე მღვდელი კი, გვარად მოდებამე, აბაშიძეების კარის ეკლესიის მღვდელი ყოფილა, მეტად გაჭირვებული და ღრმად მოხუცებული, რომელიც კიტას სახარებას უკითხავდა და საღმრთო რჯულს ასწავლიდა; უნდოდა, რომ იგი ღვთის მოშიში და მორწმუნე გამოსულიყო და ხშირად თურმე იგი პატარა კიტას სამოციქულოს აკითხებდა აბაშიძეების კარის ეკლესიაში.

1879 წელს კიტა კაცხიდან ქუთაისში მიჰყავთ და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის პანსიონში აბარებენ.

გიმნაზიის პანსიონში ცხოვრება, როგორც შინ მიწერილ ბარათებს ეტყობა, ოჯახის სიტბოს მოკლებულ კიტას, ჩანს, ძალიან უძნელდებოდა. აი, ერთი ამ წერილთაგანი: “მვირფასო და მოწყალო დედა და მამიდა ბატონებო! გაკოცებთ მრავალს ჩემს მწყალობელ ხელებს და ღმერთსა ვსთხოვ თქვენს ათასის წლის სიცოცხლეს ჩემი სიობლის ნუგეშად...”

ამასთან ამ წიგნში გწერთ ყოველ ჩემ ამბავს ნამდვილს... მე რომ ვიყავი, ისე შენი მტერი იყო მოურჩენლად. ცოტა გაცივდი და საშინელი თავის ტკივილი მქონდა, და მადა სულ არა. მარა რომ არ შეგატყობიე, არ გეწყინოს, ამიტომ რომ ამდენად არ ღირდა, თქვენ კი გადმოვარდებოდით [ქუთაისს]. საჭმელი არაფერი არ მაჭამეს... მე ბალნიცაში ხუთი დღე ვიყავი, ორ დღეს რავარც იყო ჩემი ერთი მანეთი ვიკმარე და მერე ვისესხე ერთი მანეთი, და გთხოვთ არ გეწყინოთ, ამიტომ რომ ავად ვიყავი და რა მექნა, რომ არაფერი მეჭამა და მოვმკვდარიყავი იმას ეს გერჩია.

ახლა, ვფიცავ შენ თავს, კარგად ვარ. ამ წერილს პანსიონიდან გაახლებთ. გუშინ ეგზამენი გვქონდა და შეწევნითა მაცხოვრისათა დავიჭირე. ახლა ჩვენ დაგვითხოვენ და კაცი მომივიდეს [წამოსაყვანად] ჩემო დედა და მამინ ჩემ სწავლას უყურე... უთუოდ მომივიდეს, თორემ ჩემი ამბავი ხომ იცი, ტირილით გავსკდები... თქვენმა ორმა პატიოსანმა წერილმა დამამკვიდრა. ეს საბუთებად მაქვს შენახული და ყოველ დილა-სადამოს უნდა გადავიკითხო ხოლმე; გამცინებ ამაზე, მარა თვითონ შენ წარმოიდგინე, რა უნდა დავიგულო ჩემდა სამხიარულოდ, თუ არ ჩემი სახლი, ჩემი ბატონი დედა, მამიდა და დები. გთხოვ, სულ რომ ქვეყანა იქცეოდეს, კაცი მაინც მიბოძექ შენ გენაცვალე, და მაშინ ძლიერ კარგად ვისწავლი, ჩემო დედა”...

კიტა აბაშიძე უდიდესი გულმოდგინეობითა და მუყაითობით ეწაფება სწავლას და ამ დღიდან წიგნი მისი მუდმივი და განუწყრელი მეგობარი ხდება. არდადეგების დროსაც, ზაფხულობით, როცა კიტა თავის სოფელში ბრუნდებოდა, როგორც მისი დის მოგონებაში ვკითხულობთ: “უმეტესი დრო მისი მიდიოდა კითხვაში. ცოტას წაითამაშებდა ბავშვებთან და მალე გაიპარებოდა თავის ოთახში საკითხავად... იწვა სახლში ტახტზედ, ან ეზოში ჭილოფზედ, ეჭირა მუდამ წიგნი და ფანქარი... ეტყოდნენ, დედა, დებიც და ყველანი ოჯახში მყოფნი: დაგვენახე, დაგველაპარაკე, ამდენი კითხვა თვალებს გაგიფუჭებსო, მაგრამ კიტა ერთსა და იგივე პასუხს აძლევდა ყველას - ეს არის ჩემი

ბედნიერებაო; მაგრამ თუ მაინც ხათრს არ გაუტეხდა და წავიდოდა მათთან სალაპარაკოდ, მალე ისევ თავის წიგნებს უბრუნდებოდა. იმ წიგნებს შორის კი, რომელთაც კიტა აბაშიძე ასეთი გატაცებით კითხულობდა, ყველაზე ძვირფასი მისთვის, ბავშვობის წლებიდანვე ილია ჭავჭავაძის, ამ “დიდებული მოძღვრის” წიგნები იყო. მაგრამ მოვუსმინოთ თვით კიტა აბაშიძეს: “მეოთხედ საუკუნეზედ მეტია მას მერე, რაც პირველად გავიგონე ძვირფასი მოძღვრის სახელი - ვკითხულობთ კიტა აბაშიძის მოგონებაში, რომელიც 1907 წელსა დაწერილი (გაზ. “ისარი”, 1206), - ისე მახსოვს ყოველივე წვრილმანი იმ დღისა, თითქოს გუშინ მომხდარიყოს... ჰგავს, ღრმა და გარდუვალი იყო ეს პირველი შთაბეჭდილება ექვსისა თუ შვიდის წლის ბავშვისა, რომლის გულშიაც პირველად გაადვიმა ღვთის ცეცხლით მოსიღმა მგოსანმა დაუვიწყარი გრძნობები.

მახსოვს ოთახი ჩვენი სახლისა, მახსოვს ტახტი, რომელზედაც ვიყავი ჩამოძვდარი, მახსოვს დღე, მახსოვს პატარა წიგნაკი, მახსოვს ნასტამბის შრიფტი. პირველი ლექსი, რომელზედაც მიმითითა ჩემმა მეზობელმა, სემინარიის მოწაფემ, რომელიც ჩემთან დადიოდა და მასწავლიდა, იყო “ტყეს ესხმება ფოთოლი”, და ამ დღიდან, მომხიბლავი მნიშვნელობა იმ სიტყვებისა, რომლითაც თავდება ეს ობოლი მარგალიტი ქართული სალირიკო პოეზიისა - “მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?” - ჩემთვის დაუვიწყარი შეიქმნა: ამის შემდეგ მე ხელთ მეპყრა დაუშრეტელი ლამპარი, რომელიც ჩემს ბედერულ ცხოვრებაში თან მიძლოდა...

დიდებული მოძღვარი ჩემთვის ღვთაებად გადაიქცა, რომლის ყოველ ნაწერს გულის კანკალით ვკითხულობდი და ვზეპირობდი”...

გიმნაზიაში სწავლის პირველი წლებიდანვე კიტა აბაშიძე დიდ მიდრეკილებას იჩენს ლიტერატურისადმი. კითხულობს და სწავლობს ქართული ლიტერატურის კლასიკოსების შემოქმედებას, თანდათან უკეთ ეუფლება რუსულ ენას, იწყებს ფრანგულისა და ლათინურის შესწავლას... უკვე მეოთხე კლასიდან კიტა უფროსკლასელ მოწაფეთა მიერ დაარსებული სალიტერატურო წრის წევრია, და მხურვალე მონაწილეობას იღებს წრის მუშაობაში. ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეთა ამ სალიტერატურო წრეს დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევდნენ ჩვენი ცნობილი მოღვაწეები - გიორგი წერეთელი, სილოვან ხუნდაძე, დავით მიქელაძე, მაგრამ, როგორც ჩანს, გიმნაზიის ზედამხედველებს არასასურველად და მიზანშეუწონლად მიუჩნევიათ ამ წრის მიმართულება და ხასიათი და მალე აუკრძალავთ მისი საქმიანობა.

კიტა აბაშიძის მოწაფეობის ხანიდან შემონახული მისი უბის წიგნაკები აჭრელებულია ამ ხანებში წაკითხული წიგნების სათაურებითა და შენიშვნებით, რაც მის ინტერესებსა და ცოდნაზე მეტყველებს. ეს სია თანდათან იზრდება, და ქართველ მწერალთა ნაწარმოებების შემდეგ, რუს და უცხოელ მწერალთა და მოაზროვნეთა სახელებიც ჩნდება: - თანდათან ფართოვდება და ღრმავდება კიტა აბაშიძის გონებრივი ჰორიზონტი, იხეწება ლიტერატურული გემოვნება...

გიმნაზიაში სწავლის პირველი ხანებიდანვე, თავისი სათუთი ხასიათითა და ქცევით კიტა აბაშიძეს ამხანაგების უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია. ამ სიყვარულს მოწმობენ ის თბილი მოგონებები, რომლებიც კიტა აბაშიძის სკოლის მეგობრების მიერაა დატოვებული.

“მახსოვს კიტა ამ დროს... - წერს ივ. ზურაბიშვილი ზემოთ მითითებულ მოგონებაში, - მას არ უყვარდა ჩვენებური სიცელქე, ჩვენთან სირბილი და თამაში. ბავშვებს არ უყვართ ასეთები, - რა სახელს არ მოუგონებენ იმათ, რომელნიც საერთო თამაშებს ერიდებიან. ასეთები, ვაჟებს შორის, ხშირად, გოგოების სახელით ინათლებიან; მერე რა ადვილი იყო ასეთის სახელით მონათვლა კიტასი, - ყოველ მის ქცევაში, ყოველ მის გრძნობაში იმდენი და ისეთი სინაზე იყო. მაგრამ არა თუ გვეჩოთირებოდა მის ამხანაგებს მისი ასეთი ხასიათი, პირიქით, ის იყო ცენტრი ყურადღებისა და სიყვარულისა... არ გეგონოთ კი ოღონდ, რომ ამ ჩვეულ გრძნობათა პატრონს როდისმე შემჩნეოდა პრინციპიალობის სისუსტე... ის იყო ჩვენს წრეში უდიდესი ავტორიტეტი და ყოველ ჩვენგანის მესაიდუმლე. კიტამ იცის? კიტამ რა სთქვა? კიტა რას იტყვის? კიტას ვუთხრათ, - აი, ჩვეულებრივი ჩვენი შემახება, როდესაც რაიმე საერთო საქმე გავგიჩნდებოდა”.

კიტა აბაშიძის ეს დიდი ავტორიტეტი გიმნაზიის მოწაფეთა შორის, კარგად იყო ცნობილი გიმნაზიის ზედამხედველებისათვისაც, და მოწაფეთა ყველა წამოწყებისა და საქმიანობის მეთაურად და პასუხისმგებლად კიტა აბაშიძე იყო ხოლმე მიჩნეული. ამიტომაც, როცა ერთხელ, პანსიონის ერთ-ერთი აღმზრდელთაგანი, ვინმე თხორყვესკი - ველიკორუსი შოვინისტი, რომელიც ბავშვებს ძალზე ეჯავრებოდათ, - ქართული ენისა და ქართული თეატრის დაცინვისათვის გიმნაზიის ქართველმა მოწაფეებმა მაგრა მიბეგვეს, თაოსნობა კიტას დაბრალდა და იგი გარიცხეს გიმნაზიიდან, რადგან მასწავლებლების აზრით, მას, როგორც ყველაზე გავლენიან მოწაფეს,

უთუოდ შეეძლო, თუკი მოინდომებდა, მოწაფეების დაშოშმინება და ამ ინციდენტის თავიდან აცილება.

აღსანიშნავია, რომ იმხანად ქუთაისის გიმნაზიაში მკაცრი ბიუ-როკრატული რეჟიმი იყო გამეფებული და გიმნაზიის აღმზრდელთა უმეტესობა განსაკუთრებით ჩაგრავდა და ავიწროებდა ქართველ მოსწავლეებს (კიტა აბაშიძის კლასში ქართველი მოსწავლეები უმცირესობას შეადგენდნენ: 19 მოსწავლიდან მხოლოდ 8 იყო ქართველი). “ღმერთო, - ჩაუწერია კიტა აბაშიძეს ამ ხანად თავის უბის წიგნაკში - ყოვლის დღე ქენჯნა, უსინდისობა, ლახვა ფიზიკური და გაროზგვა უწმინდესთა გრძნობათა... რამდენი უნდა მოითმინოს კაცმა”. და ქართველ მოწაფეთა სწორედ ამ ყოველდღიური ჩაგვრითა და შევიწროებით იყო უთუოდ გამოწვეული გიმნაზიელთა ზემოაღნიშნული საქციელი...

კიტა საშინლად შეუწუხებია სასტიკ სასჯელს - გიმნაზიიდან გაგდებას, რადგან ამით მას განათლების მიღების საშუალება ესპობოდა, და გარდა ამისა, ეს ფაქტი მას თავისი პიროვნების შეურაცხყოფად და თავმოყვარეობის შელახვად განუცდია.

კიტა აბაშიძის ამ პერიოდის კერძო ბარათებში ნათლად ჩანს გიმნაზიიდან გარიცხვით გამოწვეული მისი შეშფოთება. “კატო, გენაცვალე, - სწერს კიტა თავის დას, - სწორედ რომ უბედურება აწვეს ჩვენს ოჯახს... დავიღუპე! რათა? რისთვის? ღმერთო ჩემო! მე ის არ მაკმარეს, რომ გამაუბედურეს, გიმნაზიიდან გამომავდეს და სული ამომამძვრეს, ის არ იკმარეს, რომ საწყალი დედა, რომლის ცხოვრების უმაღლეს იდეალათ, ცხოვრების დიდებათ შექმნილიყო ჩემი გიმნაზიის გათავება, გააუბედურეს და სიცოცხლე მოუსპეს. ის კი არ იკმარეს, რომ გზა დამიბნის, არა, ჩემი შეურყეველი ზნეობა შეარყიეს, მე დამამხვევს ზნეობრივად და ცეზარის: “ Пришел увидел победил ” - ის მაგიერ მე მხოლოდღა დამრჩენია ვთქვა: “ Унижен оскорблен и исключен”... რა ვიფიქრო, და რა მოვუხერხო უბედურ ჩემ თავს, ვიშ, ვიშ, ვიშ!..”

კიტას დედა მაშინვე ჩასულა ქუთაისში და ნათესავებისა და ახლობლების დახმარებით, ნაცნობობითა და ხვეწნა-მუდარით მოუხერხებია კიტას აღდგენა გიმნაზიაში. ამაში შეეწეობა აღმოუჩენია გიმნაზიის დირექტორს სტოიანოვსაც, რომელიც, თურმე, საერთოდ, კარგი თვალით უყურებდა ქართველ ნიჭიერ მოწაფეებს და პირადად კიტა აბაშიძისადმი სიმპათიით ყოფილა განწყობილი. მაგრამ, რადგან გიმნაზიის პანსიონში კიტა მაინც აღარ მიუღიათ, დედამისმა იგი, პირველ ხანებში, დეკანოზ გიორგი მაჭავარიანის სახლში დააბინავა, საიდანაც დადიოდა კიტა სასწავლებელში. შემდეგ კი კიტა თავისი ბიძის, ჯაბა გურიელის ოჯახში გადავიდა საცხოვრებლად. ჯაბა და მისი მეუღლე ელეონორა შვილივით უვლიდნენ კიტას და ამ სათნო და კეთილშობილი ადამიანების გარემოში ცხოვრებამ უთუოდ კეთილმყოფელი გავლენა იქონია კიტა აბაშიძეზე. (სხვათა შორის: მამია გურიელი ერთ-ერთ წერილში ასე სწერდა თავის ძმას: “როდესაც გული დამიმწუხრდება ხოლმე... - მაშინვე შენ მომაგონდები... როცა დავრწმუნდები, რომ არ არის სინიდისი ხალხში და ჭეშმარიტი განწყობილება, და რომ ამაებისთვის საჭიროა მეტად კარგი კაცი... - წარმომიდგები შენ... ოჰ, ჩემო ჯაბა, ნეტაი, ყოველი კაცი შენ მოგავდეს, რომ სასიამოვნო გახდეს ცხოვრება ამ წუთისოფელში”

ჯაბა გურიელის სახლში თავს იყრიდა ქუთაისის მოწინავე ინტელიგენცია, იმართებოდა ლიტერატურული კამათები, ახალი ნაწარმოებების კითხვა და განხილვა, მსჯელობა ქართველი საზოგადოების საჭირობოროტო საკითხებზე. გურიელებთან ხშირად მოდიოდა სტუმრად აკაკი წერეთელიც, რომელიც საკმაოდ ახლო ნათესავი იყო ამ ოჯახისა (აკაკის დიდედა - ლისა გურიელი და კიტას პაპა - დავით გურიელი ბიძაშვილები იყვნენ.

1889 წელს კიტა აბაშიძე ამთავრებს ქუთაისის გიმნაზიას და, ლიტერატურითა და ხელოვნებით გატაცებული, პარიზში გამგზავრებაზე ოცნებობს - ძველი ხელოვნების ძეგლების გასაცნობად და უცხო ენების შესასწავლად, - და სასოწარკვეთილებამა ჩავარდნილი, რადგან ამ სურვილის განხორციელება, თავისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გამო, შეუძლებლად მიაჩნია... მაგრამ კიტას დედა ყოველთვის მზად იყო, რომ თავისი პირშმოს კეთილდღეობისათვის, მის სწორ გზაზე დასაყენებლად და სათანადო აღზრდა-განათლების მისაცემად, ყოველგვარი მსხვერპლი გაეღო: სოფიოს გაუყიდა ყველა ძვირფასი ნივთი, რაც კი მის ოჯახში მოიპოვებოდა და შვილისათვის უცხოეთში გასამგზავრებელი ფული შეუგროვებია...

იმავე ხანებში საფრანგეთში მიემგზავრებოდნენ კიტას დეიდაშვილი - ეკატერინე თავდგირიძე და მისი მეუღლე, ცნობილი მეცნიერი ვასილ პეტრიაშვილი, რომელნიც დიდი სიხარულითა და მოწონებით შეხვედრიან კიტა აბაშიძის გადაწყვეტილებას პარიზში გამგზავრების შესახებ:

“ჩემო კარგო კიტა, - სწერს კიტას ეკატერინე საფრანგეთში გამგზავრების წინ, - შენმა გეგმამ საზღვარგარეთ წასვლის და იქ დარჩენის თაობაზე, დიდად გვასიამოვნა; არა მარტო იმიტომ, რომ

ერთად ვიქნებით, არამედ შენი გონების გახსნისა და განათლებისათვის ეს უფრო სასარგებლო იქნება, ვინემ ამ ხნის განმავლობაში უნივერსიტეტში ყოფნა. ატესტატი ერთ წელიწადს არ კარგავს ძალას და ამ ერთ წელიწადში შენ შეიძენ იმ საზოგადო განათლებას, რომელიც მიუცილებელია ყოველი კაცისათვის და ურომლისოდაც ამიტომაც გამოდიან უნივერსიტეტიდან ამდენი “ოლუხები”... გიმნაზიის ატესტატი მხოლოდ ნებას აძლევს უნივერსიტეტში შესვლისას და არა იმოდენად ამზადებს, რაც საჭიროა კარგი სტუდენტისათვის... ამასთანავე, მოგზაურობა ძლიერ კარგად მოქმედებს კაცზე... ენის ცოდნაც საჭიროა და იმასაც შეისწავლი, იკითხავ, და შენი თვალით ნახავ რას ქვია ცივილიზაცია... ნამდვილი ცოდნა რომ გექნეს, ბევრი უნდა იშრომო, რადგან ტვინს ავარჯიშებს არა გიმნაზია, უნივერსიტეტი და აკადემია, არამედ მხოლოდ და მხოლოდ შრომა”...

და, აი, 1889 წლის ივნისში, კიტა აბაშიძე, ვასილ პეტრიაშვილთან და მის მეუღლესთან ერთად, პარიზში მიემგზავრება...

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კატო და ვასილ პეტრიაშვილები უდიდეს მზრუნველობას იჩენდნენ კიტა აბაშიძის მიმართ, როგორც პარიზში ცხოვრებისას, ისე მისი სტუდენტობის პერიოდში: “წარმოიდგინეთ, - სწერდა კიტა აბაშიძე ერთ-ერთ წერილში თავის შინაურებს, - კატოს და ვასოს ჰქონდათ გადაწყვეტილი თურმე პარიზში კი არა, სხვა ქალაქში საფრანგეთისაში წასვლა, მაგ., მონპელიეში.., სადაც კატოსთვის უკეთესი ჰაერია, და საცხოვრებლადაც უფრო იაფი, მაგრამ რადგან მე აქ ვიყავი, აქ გაჩერდნენ, თუმცა ვასოს იქ ისეთი საქმე არ აქვს, როგორც მონპელიეში ექნებოდა, რადგან ღვინის კეთების ხელობა უნდა შეისწავლოს (ვ. პეტრიაშვილი სამეცნიერო მიზნით იმყოფებოდა საფრანგეთში - გ. ა.); ეს ნამეტანი სიყვარულია ჩემი”... და კიტა აბაშიძე მუდამ წრფელი სიყვარულითა და უდიდესი მაღლიერებით იხსენებდა ხოლმე ამ ზნეკეთილი ადამიანების ამავს.

სავსებით ბუნებრივია, რომ პარიზმა - მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა კულტურის ცენტრმა - წარუხოცელი შთაბეჭდილება მოახდინა 19 წლის ჰაბუკზე და მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კიტა აბაშიძის პიროვნების ჩამოყალიბებაში, - მის ესთეტიკურ აღზრდასა და გემოვნების შემუშავებაში...

კიტა აბაშიძის პარიზში ჩასვლა დაემთხვა ფრანგი ხალხის დიდ საზეიმო თარიღს: 1889 წლის 14 ივლისს მთელი საფრანგეთი ზეიმობდა ბასტილის დამხობის 100 წლისთავს, და კიტა აბაშიძე უშუალო მოწმე იყო იმ გრანდიოზული დემონსტრაციებისა და დღესასწაულისა, რომელიც თავისუფლებისმოყვარე პარიზელებმა გამართეს 1789 წლის “დაუფიწყარ დღეთა” მოსაგონებლად. “სწორედ დიდებულ დროს მოვხვდით პარიზში”, - წერს კიტა აბაშიძე შინ გაგზავნილ წერილებში, - “პარიზი მართლა დიდებულ სანახაობას წარმოადგენს ახლა განსაკუთრებით, რადგან დღეს ის დღესასწაულობს ასი წლისთავს თავის პირველი რევოლუციისას... ერთი და ორი მილიონი ხალხი ქუჩაზე გამოფენილი და მოდღესასწაულე, - დღესასწაულობს და აქვს კიდევაც უფლება”...

“კარგი რამ ყოფილა სწორედ კაცობრიობის ღვაწლის ამდენი საუკუნეების განმავლობაში აქ დანახვა, - წერს კიტა აბაშიძე და სინანულით შენიშნავს: - ჩვენ კაცს ვერ ვიცნობთ თურმე: ვხედავთ, რომ ორი თვალი აქვს, ორი ფეხი, ორი ყური და სხვა, და გვგონია, რომ ხელი მიტომ აქვს, რომ წაჰკლიჯოს მასზედ უფრო უღონოს; თვალი მიტომ, რომ დაინახოს მოყვასის რამე და წაართვას, ანდა უცქიროს, ვინ რას შვრება, რომ მერე იჯაშუშოს და ამით მოიგოს რამე; ყური მიტომ, რომ: აცა, გავიგონო რას ამბობენ, მერე ბატონს ჩავასმენ, მას გაუწყრება, მე კი რამეს მომცემსო; მუცელი მიტომ, რომ ბევრი ჩავიყარო შიგ, რომ ჩემს მომძეს აღარა დარჩეს რაო, და სხვა ასობით ასე ამგვარად... აქ კი, ხელები მიტომ აქვს, რომ ეიფელის კოშკი ააშენონ... ყური მიტომ, რომ ოპერებში დაიკებონ ლამაზი სიმღერით.., გულის გამტაცებელი ღვთიური ხმები გაიგონონ, რომ მით აღფრთოვანებულნი გამოვარდნენ გარეთ და დაღეწონ ყოველივე კაცის შემაწუხებელი”...

“ის კი არ იფიქროთო, - სწერს კიტა აბაშიძე დედას და მამიდას, - ვერთობოდე რამეთი. მე ჩემს შრომას არ მოვაკლებ, რომ ტყუილა არ ჩაიაროს ჩემმა აქ ყოფნამ და “კაცი ვიქნე”.

...და, მართლაც, კიტა აბაშიძე ყოველნაირად ცდილობს, რომ პარიზში ყოფნამ მას რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს: - სრულყოფილად დაეუფლოს ფრანგულ ენას, დაათვალიეროს პარიზის განთქმული მუზეუმები, შეისწავლოს ხელოვნების უკვდავი ქმნილებები... და კიტა აბაშიძე არც ერთ წუთს არ კარგავს, რადგან იცის, რომ ერთ წელიწადში ყოველივე ამის მოსწრება ძალიან ძნელია: ათენებს და აღამებს ლუვრში და სხვა მუზეუმებში, გატაცებით სწავლობს ფრანგულ ენასა და ლიტერატურას, უსმენს ცნობილ მეცნიერთა ლექციებს სორბონაში და პარიზის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

პარიზში კიტა აბაშიძემ ათი თვე დაჰყო მხოლოდ (1889 წ. VII - 1890 წ. IV), მაგრამ ეს მცირე პერიოდი ძალზე ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო მისი გონებრივი და სულიერი

განვითარებისათვის. კიტა აბაშიძე შემდგომშიც არაერთხელ მაღლიერებით იგონებდა პარიზს, რომელმაც მის გონებასა და სულს უდიდესი საზრდო მიაწოდა:

“უნდა გითხრა მართალი, - ვკითხულობთ კიტა აბაშიძის ერთ-ერთ გვიანდელ კერძო ბარათში, - მიკვირს სწორედ, რომ ვისაც შეუძლია და ხშირად დადის სამოგზაუროდ, არ ვიცი, გენიოსი რატომ არ ხდება, თუკი ერთი ბეწო ნიჭი მაინც აქვს... თუ პარიზში ვიყავი, იმან შემინარჩუნა ადამიანობა... ერთის სიტყვით, გადმოცემა არ შემიძლია იმ განცდის, რომელსაც მე მანიჭებს უნ ბეაუ ტაბლეაუ (ფრანგულ ენასაც კი მივმართე ჩემის გრძნობის გამოსახატავად), უნ ბელლე სტატუე. ისეთ ბედნიერებასა გრძნობ, ისეთს აღტაცებას, ისეთ ტკბილი რაღაც დაგივლის მარღვებში, რომ არ იცი როგორ მოიქცე ადამიანი და როგორ გამოხატო შენი გრძნობები. თუ მართლა არის ღმერთთან დაახლოება, ექსტაზი, - ეს სწორედ ამ დროს არის, როცა დიდებულ შემოქმედებას უყურებ და სტკბები. ეს მარტო თვალის გრძნობა კი არ არის, არც გრძნობა გარეგანი, - ეს მთელი სიმფონიაა გრძნობათა, სრული ჰარმონია სულისა და აზრისა. ასეთი წამები ნეტარებაა სწორედ, ასეთი წამების დავიწყება არა მგონია შესაძლებელი იყოს”.

და კიტა აბაშიძისათვის სწორედ ასეთი დაუვიწყარი წუთებით იყო აღსავსე პარიზში გატარებული დღეები... კიტა აბაშიძე მოხიბლული იყო პარიზის ბრწყინვალეობით, მისი არქიტექტურით, საფრანგეთის ლიტერატურითა და ხელოვნებით, მუზეუმებში დაცული ხელოვნების უკვდავი ძეგლებით; იგი მოიხიბლა თავისუფლებისმოყვარე ფრანგი ხალხის ბუნებით, მათი უბრალოებითა და კეთილშობილებით. გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით განიმსჭვალა მათ მიმართ. “ხალხი თუმცა განათლებით ცოტათი მაღლა დგას ჩვენზე, - სწერდა კიტა აბაშიძე თავის შინაურებს, - მაგრამ ხასიათით კი გვავს. ისეთი ზრდილი, სტუმართმოყვარე და კეთილია, რომ მეტი არ შეიძლება...” მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ახალგაზრდა კიტა აბაშიძეს განურჩევლად ყველაფერი მოსწონდა პარიზში. იგი საფრანგეთის საზოგადოების მანკიერ მხარეებსაც ხედავდა; ხედავდა, - და არაერთხელ აღუნიშნავს ეს შემდეგშიც თავის ნაწერებში, - თუ რა უზნეო ცხოვრებას ეწეოდა პარიზის არისტოკრატია, “არა ერთხელ გვითქვამსო ისიც, - წერდა კიტა აბაშიძე 1895 წელს, - რომ დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრება საფრანგეთისა, დღევანდელი მიმართულება უმეტესი იქაური ცხოვრების ასპარეზზედ მომქმედი პირებისა, დღევანდელი “პოლიტიკანებისა”..., მეტის მეტად გათახსირებული და დაცემულია. საფრანგეთი ტაშს უკრავს და ვაშა-ვაშათი ეგებება ყოველსავე სამარცხვინოს გარეთ თუ შიგნით მომხდარს; გულის ამრევ სისაძაგლეს სჩადიან მისი უწარჩინებულესი პოლიტიკური მოღვაწეები, პრესის უწარჩინებულესი წარმომადგენელი...” (ცხოვრება და ხელოვნება, “ივერია”, 1895, 1183).

პარიზში ცხოვრებამ კიტა აბაშიძის არა მხოლოდ ესთეტიკურ აღზრდაზე იქონია კეთილმოყვარე გავლენა, არამედ მისი, როგორც შეგნებული მოქალაქის ჩამოყალიბებაც.

...1890 წლის მაისში კიტა აბაშიძე პარიზიდან კაცხში ბრუნდება და პეტერბურგის უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადება. მაგრამ ისევე, როგორც უცხოეთში გამგზავრებისას, მას კვლავ მატერიალური გაჭირვება გადაღობებია წინ. დასახული მიზნისა და თავისი გულისტკივილის შესახებ კიტას თავისი ბიძისათვის, სამსონ აბაშიძისათვის მიუწერია, რომელიც იმხანად რიაზანის გუბერნიაში ცხოვრობდა. კიტასა და მის ბიძას, ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად, დიდი მეგობრობა ჰქონიათ, რასაც ის ბარათიც მოწმობს, რომელიც სამსონს თავისი ძმისწულისათვის ამ წერილის საპასუხოდ გამოუგზავნია.

“ჩემო კარგო კიტა, - სწერს სამსონ აბაშიძე კიტას 1891 წლის 24 აპრილს, - ...შენი ბარათი აღვსილია კეთილი გონიერებით, მაგრამ სჩანს, რომ ცოტა არ იყოს შემკრთალხარ... შენ უეჭველად და ყოვლის უმიზეზოდ უნდა შეასრულო შენი სწავლა. მაქვს იმედი, რომ შენ ისე სულმოკლე და სუსტი ხასიათის კაცი არა ხარ, რომ შენი არ შეასრულო... მერწმუნე, რომ კოტორი არ ვიყო, შემწეობას მოგცემდი, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, მეც საშუალება შემოკლებული მაქვს. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა გენახა როგორც მოსკოვი, აგრეთვე ვოლგის მდინარე, სადაც ნამდვილ რუსის ხალხს ნახავდი და ცოტათი იმას ცხოვრებასაც გაიგებდი... - იცოცხლე და ამას კიდო მოესწრები... კიდევ მოგწერ, გულს ნუ გაიტებ, შენ შენი მიზნის აღსრულებას ნუ მოიშლი, და რომ განდრკე, ეს კი მაშინ შენთვის უფრო სასიციხო იქნება... შენ რადგანაც მუშა ხარ, მუშაობას ხელს ნუ შეუშვებ და მაშინ შენს საქმეს ჯიდას ძვირფასს დაადგამ... ასე, ჩემო კიტა, იცოცხლე, იმხნევე, და სასოწარკვეთილებაში ნუ შეხვალ... სულითა და გულით შენი ერთგული მეგობარი სამსონი”.

თვითონაც მუდმივ გაჭირვებაში მყოფ სამსონ აბაშიძეს არავითარი დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო თავისი ძმისწულისათვის, გარდა მეგობრული რჩევისა და დარიგებისა, რომელსაც, უნდა აღინიშნოს, კიტა აბაშიძე დიდის ყურადღებითა და პატივისცემით იღებდა მუდამ...

უნივერსიტეტში კიტა აბაშიძის შესვლის საკითხი გააადვილა იმ გარემოებამ, რომ კატო თავდგირიძე და ვასილ პეტრიაშვილი, რომლებთანაც კიტას, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნათესაობის გარდა, ახლომეგობრული დამოკიდებულებაც აკავშირებდა, იმხანად ოდესაში ცხოვრობდნენ. ამიტომაც, და სწორედ მათი რჩევით, კიტა ცვლის თავდაპირველ გადაწყვეტილებას, პეტერბურგის ნაცვლად ოდესაში მიემგზავრება და “ნოვოროსისკის საიმპერატორო უნივერსიტეტის” იურიდიულ ფაკულტეტზე შედის (“Императорский Новороссийский университет” - ასე იწოდებოდა ოდესის უნივერსიტეტი იმჟამად).

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში კიტა აბაშიძე ვასილ პეტრიაშვილის სახლში ცხოვრობდა, რომელიც, როგორც ცნობილია, უნივერსიტეტის ორდინარული პროფესორი იყო (შემდეგში, ერთხანს, უნივერსიტეტის რექტორიც), - გამოჩენილი მეცნიერი და შესანიშნავი პედაგოგი. “მე რომ პოეტური ნიჭი მქონოდა - წერდა ცნობილი მეცნიერი, პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, - და განმეზრახა დამეხატნა სახე ადამიანისა, რომელიც წარმოადგენს სიბრძნესთან შეერთებული გულკეთილობის განხორციელებას, ადამიანისა, რომელიც დაჯილდოებული იყო საუკეთესო ზნეობრივი თვისებებით, მე დავხატავდი ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილს”; და სავსებით ბუნებრივია, რომ მჭიდრო კონტაქტი და ყოველდღიური ურთიერთობა ამ დიდ ქართველ მეცნიერთან და უაღრესად კეთილშობილ ადამიანთან, ცხოვრება მის ჭერქვეშ, მისი მუდმივი მეთვალყურეობისა და მამობრივი მზრუნველობის პირობებში, - კეთილ გავლენას ახდენდა ახალგაზრდა კიტა აბაშიძეზე.

ვასილ პეტრიაშვილის ოჯახში ხშირად იკრიბებოდა ოდესის მოწინავე საზოგადოება: ხშირად იყვნენ ხოლმე აქ ცნობილი მეცნიერები; პეტრე მელიქიშვილი, ი.ი. მეჩნიკოვი, ი.მ. სეჩენოვი, ლ.ს. ცენკოვსკი, ზ.ფ. ვერიგო და ოდესის უნივერსიტეტის სხვა პროფესორები. აქვე იყრიდა თავს ოდესაში მოსწავლე ქართველი სტუდენტობა. ასეთ გარემოცვაში ცხოვრებას კი, რალა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კიტა აბაშიძის ზრდისა და გონებრივი განვითარებისათვის.

სხვათა შორის, ერთ ზაფხულს, არდადეგების პერიოდში, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორები, ვასილ პეტრიაშვილთან ერთად, საქართველოში ჩამოსულან და კიტა აბაშიძეს სწვევიან კაცში, სადაც რამდენიმე დღე დაუყვიათ და დიდად კმაყოფილები დარჩენილან ქართული სტუმართმოყვარეობით.

“საიმპერატორო უნივერსიტეტში” პოლიციური რეჟიმი იყო დამყარებული; დიდი ხანი არ იყო გასული ოდესელ სტუდენტთა იმ მასობრივი გამოსვლების შემდეგ (1887 წ.), როცა “წესრიგის აღსადგენად” მრავალი სტუდენტი გარიცხეს უნივერსიტეტიდან და დააპატიმრეს. კიტა აბაშიძის სტუდენტობის პერიოდშიც სტუდენტთა მიმართ სასტიკი მეთვალყურეობა იყო დაწესებული, და ამიტომაცაა, რომ თავის მეგობრისადმი ოდესიდან გამოგზავნილ ბარათში (1893 წ. 16 IV), კიტა აბაშიძე ხაზგასმით მიუთითებს: “წერილები ფრთხილად მომწერე, აქ უკვე ყ უ რ ა დ ე ბ ი ს დირსი შევიქმენიო”, თუმცა, იქვე დასძენს “გული პრო გუო იყო, მეტი არაფერი”.

კიტა აბაშიძე მისთვის ჩვეული მონდომებითა და ენერგიით ეკიდება სწავლას და მუყაითად შრომობს ყველა იმ დარგის დასაუფლებლად, რომლებიც იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროგრამით იყო გათვალისწინებული: სწავლობს რომის სამართალს, სავაჭრო საქმესა და ფინანსებს, სამოქალაქო და საერთაშორისო სამართალს, სისხლის სამართლის საქმეს... ამავე დროს, იგი ბეჯითად განაგრძობს მუშაობას თავის საყვარელ დარგში - ლიტერატურასა და ფილოსოფიაში... კიტა აბაშიძე ყოველნაირად ცდილობს, გაუძლოს უნივერსიტეტში არსებულ ფორმალიზმს, გაუძლოს სულის შემხუთველ ატმოსფეროს; ხოლო რამდენად ძნელია ეს, - კარგად ჩანს მისი კერძო ბარათებიდან. “უნივერსიტეტი შენთვის საჭირო არ არის, - სწერს კიტა აბაშიძე თავის უახლოეს მეგობარს იასონ ბაქრაძეს, - მერწმუნე, ცოდნას ყველგან შეიძენ, და ისეთი ფორმალიზმის გადატანა არ შეუძლია შენ მაღალსულოვანს ბუნებას და გრძნობას. კარგად უნდა იცოდე, ეხლანდელი უნივერსიტეტი ჩინოვნიკურ კანცელარიად არის გადაქცეული, სადაც ოთხი წლის შრომა გვირგვინდება დიპლომით. დიპლომი ვარგა ეკონომიურის საშუალების მოსაპოვებლად, მაგრამ ისიც ხომ ჩვენთვის აღკრძალული ხილია”. და მიუხედავად ამისა, კიტა აბაშიძე თავაუღებლად შრომობს და სწავლობს, რათა მოაგროვოს ის ცოდნის მარაგი, რომელიც თავის სამშობლოს და ქართველი საზოგადოების სამსახურში გამოადგება.

საყურადღებოა კიტა აბაშიძის ერთი საკმაოდ ვრცელი კერძო ბარათი თავის დასთან, რომელიც ოდესიდანაა 1893 წელს (29. I) გამოგზავნილი, სადაც ნათლად ჩანს 23 წლის კიტა აბაშიძის ინტერესები და მისწრაფებანი.



კიტას და - ეკატერინე, იმჟამად ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში სწავლობს და კიტა აბაშიძე არიგებს მას, თუ რა მხრივ წარმართოს მან თავისი სწავლა და საქმიანობა. აი, რამდენიმე ამონაწერი ამ წერილიდან:

“ეცადე, - სწერს კიტა აბაშიძე თავის დას, - ცხოვრების მიზანი გამოიკვლიო და სცდილობდე იმ მიზნის მიღწევას... ეცადე, რომ ისე არ გაატარო ცხოვრება, რომ არ “აღბეჭდო ნავალი”... უსაზოგადოებოთ კაცს ცხოვრება არ შეუძლია, და თუ საზოგადოებაში უნდა იყოს, სარგებლობა უნდა მოუტანოს რაიმე ამ საზოგადოებას. სხვაც რომ არ იყოს, კაცს ეს სურვილი დაჰყოლია, რომელიც არის ჩვენის ადრინდელის მამა-პაპის ნაანდერძევი, რომ არ მოკვდეს ისე, რომ არ “აღბეჭდოს ნავალი”... ჩვენ დავბადებულვართ, აღვზრდილვართ საქართველოში, და მხოლოდ მანდ გვაქვს მოქმედების ასპარეზი... ყოველი ჩვენგანი უნდა ეცადოს, მას მოუტანოს სარგებლობა რაიმენაირად. ამისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ ჩვენი წარსული, ვიცოდეთ ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა, თუ ჩვენი მოწინავე საზოგადოება, ჩვენი მწერლები რას სთვლიან საჭიროდ ჩვენი მამულისათვის, - ჩვენ ეს უნდა ვეძიოთ და ამ მიზნისაკენ უნდა მივიღებოდეთ, რანაირადაც შეიძლება. აგრეთვე, უნდა ცოტა [მანც] ვიცოდეთ, კაცობრიობა თანამედროვე რა კითხვებს იძიებს და რას ელტვის, თუ ჩვენს გარშემო რა ხდება, თუ მეცნიერება რას იკვლევს. აქამდე თუ ბავშვი იყავ, ჩემო დაიკო, ეხლა ეს მოვალეობა შენზეც არის. მანდ, საქართველოში, ბევრი კარგი ადამიანები არიან, რომელნიც იღვწიან სამშობლოსათვის, რომელთაგანაც ბევრს კარგს გაიგონებ, და შენს გულში თუ თესლი ჩავარდა, იმეღია, კარგ ხილს გამოიღებს. აი, აიღე დ. ბაქრაძის ისტორია, გამოიწერე ქართული წიგნები და შეისწავლე ჩვენი პოეტები. კარგად ჩაუკვირდი, თუ რას სტირიან, რას ეძებენ, რა უნდათ; გურამიშვილი, გრ. ორბელიანი, ნიკო ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, მამია გურიელი და სხვანი. უნდა იკითხო, უნდა გაიცნო, უნდა იზეპირო, თუ გინდა რამე იქმნე. კიდევ, - გეტყვი, რომ მამულის სიკეთის მსურველებს... ხელი უნდა გაუწვდინო, რამდენადაც შეგიძლია. თბილისში “წერა-კითხვის გამავრცელებელი” საზოგადოება არის, ექვსი მანეთი ღირს წელიწადში წევრობა და ნუ დაიშურებ შენ, და სხვაც უნდა წააქეზო. მას დიდი სარგებლობა მოაქვს სამშობლოსათვის... იქ კიდევ საყმაწვილო ჟურნალი გამოდის - “ჯეჯილი”, და რომ გამოუწერო მანდ ვინმე ბავშვს, მასაც დაავალე და რედაქციასაც... ღმერთმა ნუ მომასწროს, რომ შენ ისე გაატარო ცხოვრება, როგორც ბევრს გაუტარებია. თვით შენ ნახავ, თუ რა სიამოვნებას მიიღებ თვით, როცა შენი მოვალეობის აღსრულებას დაიწყებ ქვეყნის წინაშე... ამისათვის საჭიროა კიდევ და კიდევ რიგიანის წიგნების კითხვა, დაფიქრება წაკითხულზე...”

...ყოველმა ფრანგმა, რუსმა, ინგლისელმა თავის ენა და ლიტერატურა იცის ჯერ, და მერე, რომ მომწიფდება, შეისწავლის სხვა ენებს; ამიტომაც კარგად იციან. ჩვენ კი არც ქართული ვიცით, არც რუსული და არც იტალიური; და რომელი სჯობს ეხლა, მითხარი, ის დიმიტრი ბაქრაძე და დიმიტრი ყიფიანი, რომელთაც ორმოც წლამდის ფრანგული კითხვა არც კი ცოდნიათ, და რომელთაც მთელი საქართველო ძეგლს უგებს, თუ ორი-სამი ქართველ-რუს-ფრანგ-ინგლის-იტალიანელ-ჩინეთელ-დარღუბალა, რომლის სახელიც-კი არავინ არ იცის მის მეტმა?..

“Поль, де. Кок”-ის რომანები კი არ უნდა იკითხო... როცა ჩვენებურ ლიტერატურას საფუძვლიანად შეისწავლი, უნდა იკითხო ტოლსტოის რომანები (“Анна Каренина”, “Война и мир”), დოსტოევსკის, გოგოლის, გონჩაროვის, ვიქტორ ჰიუგოს (“Нечастливые”, “Собор парижской богородицы”), ზოლას, დოდესი, დიკენსის [ნაწარმოებები]. უნდა იკითხო ბაირონი, შექსპირი, ვალტერ სკოტი და სხვა...”.

...1893 წელს თბილისში იხსნება უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტთა კონგრესი, და კიტა აბაშიძე თბილისში ჩამოდის ამ კონგრესზე დასასწრებლად და მონაწილეობის მისაღებად. ივ. ზურაბიშვილი ასე იგონებს ამ დღეებს: “აი, ქართველ სტუდენტების, ყველა უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების კონგრესი, ტფილისში გამართული 1893 წელს. ჩვენ მალულად ვიყრიდით თავს ხან სად და ხან სად. კონგრესის პროგრამა ვრცელია და, რა თქმა უნდა, კითხვებს შორის პირველი ადგილი უჭირავს ეროვნულ კითხვას. სჯა-ბაასი ცხარეა, ისეთი, როგორც შეეფერება ახალგაზრდობას, მაგრამ არის ჩვენს შორის ერთი, რომელსაც გულდასმით ვუსმენთ დანარჩენნი, სიტყვას არ ვაწყვეტინებთ და სიყვარულით შევცვქერით აზრთა განურჩევლად. ის ერთი... - ჩვენი საყვარელი კიტაა. ისიც ცხარობს, ისიც მხურვალედ ეკიდება კითხვის გარჩევას, ისიც ეკამათება სხვადასხვა აზრს, მაგრამ თუ რამ არის გადამეტებული მის ქცევაში, მხოლოდ სიღრმე გრძნობისა, კაცთმოყვარეობისა... დამთმობი ყველაფრისა და ყველაფერში, მოსიყვარულე და ნაზი, კიტა კლდესავით მაგარი და შეურყეველი იყო თავის მაღალ რწმენაში”.

ეს იყო კიტა აბაშიძის პირველი საჯარო გამოსვლა ასეთი დიდი აუდიტორიის წინაშე, სადაც იგი უდიდესი გატაცებითა და მღელვარებით ლაპარაკობდა მისთვის უწმინდეს და უმტკივნეულეს

საკითხზე - მისი სამშობლოს - “ლეჩაქხდილი და ფეხშიშველი საქართველოს” გათავისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობის შესახებ.

სწორედ ამ გამოსვლაში გამოვლინდა პირველად კიტა აბაშიძის ორატორული ტალანტი, რომელმაც შემდგომში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის უდიდეს პოპულარობას.

კიტა აბაშიძეს ძალიან ხშირად უხდებოდა სიტყვით გამოსვლა - საჯარო ლექცია იქნებოდა ეს, ლიტერატურულ გმირთა გასამართლება თუ სხვადასხვა სახის თავყრილობები და მსმენელები მუდამ აღტაცებულნი რჩებოდნენ თურმე მისი მჭევრმეტყველებით: “...ვისაც არ უნახავს კიტა მოლაპარაკე, იგი ვერ იქონიებს სრულ წარმოდგენას მასზე, - წერდა ეროვნული მოღვაწე შალვა ამირეჯიბი, - ვისაც არ უნახავს კიტა ტრიბუნაზე, მოჰკლებია დღენი ბედნიერებისა: სწორედ მაშინ ქართველი გრძნობდა თავის სიამაყეს და კაცთა ბუნების სიდიადეს და მასში ჰპოვებდა გაბმულ ცხოველ სიმებს წარსულსა და აწმყოს შორის. უპირველესად ყოვლისა, კიტა იყო სწორუპოვარი და შეუდარებელი მჭერმეტყველი, ორატორი მოსილი გასაოცარი და იშვიათი ნიჭით. ამას ვამბობთ იმიტომ კი არა, რომ ჩვენ დაგვჩემდა ამხანაგისა და მამულიშვილის შექება, არამედ იმიტომ, რომ აღვნიშნოთ სინამდვილე, ის, რაც ნათლად მოსჩანდა ჩვენს დაბეჩავებულ ცხოვრებაში. მისი ბრგე და წარმოსადეგი ტანი, მოცინარე და მშვიდი, აუჩქარებელი და მასთან ჩაფიქრებული სახე, იმ წუთსავე იპყრობდნენ მსმენელს; ყველას ხიბლავდა მისი მწყობრი, უმწიკვლო სიტყვიერება, ფერადოვნად დაწყობილი აზრები, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, შემკული, სადად მოხაზული, რომლებშიაც ჩაწული იყო და ჩაქსოვილი სპეტაკი და გულმხურვალე გრძნობა; მისი ტკბილი ენა და სალი გონება ეალერსებოდა და ატყვევებდა მაყურებელს, როგორც მოულოდნელი, ბრწყინვალე მუსიკალური სიმფონია...”

...კიტა იყო სიტყვის ბეთჰოვენი, საქართველოს ოქროპირი...

ჩვენ ბევრი კარგი მოლაპარაკე გვყავდა და გვყავს. მათში კიტას ეკუთვნის უპირატესობა”. (“სახალხო გაზეთი”, 1917, <sup>1</sup> 132).

სტუდენტობის წლები კიტა აბაშიძის, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის მომწიფებისა და დავაჟაციების ხანაა. ცოდნის შეძენის წყურვილი, დაუცხრომელი შრომა და ძიება, დიდ მწერალთა და მოაზროვნეთა მემკვიდრეობის შესწავლა და ათვისება, ოდესის მოწინავე საზოგადოების გარემო, - მტკიცედ აყალიბებს კიტა აბაშიძეს, როგორც ფართო ინტერესების მქონე პიროვნებას და შეგნებულ მამულიშვილს, რომელსაც გული შესტკივა თავისი ერისა და სამშობლოსათვის. სამშობლო და სიმათლე - აი, მისი უმაღლესი მცნება, მისი ფიქრების მუდმივი საგანი. “დე, ახალმა წელიწადმა შუქი მოჰვინოს ჩვენს დაბნელებულ საზოგადო ცხოვრებას, - სწერდა კიტა აბაშიძე თავის დებს 1894 წელს, საახალწლო მისალოც ბარათში, - იყავით მხნედ. ეცადეთ პირისაგან ქვეყნისა ისე არ განქრეთ, რომ თქვენი ყოფა ცოტა მაინც კარგად არ დაეტყოს ქვეყანას. სამშობლო და სიმათლე, - აი, ორი საგანი, რომლისთვისაც უნდა იღწვოდეთ”...

კიტა აბაშიძე სტუდენტობის წლებშივე გამოდის ლიტერატურულ სარბიელზე. ჟურნალ “კვალსა” და გაზეთ “ივერიაში” თავისი პირველი თარგმანის დაბეჭდვის შემდეგ (“მკვდარი” მოპასანისა, 1893 წლის “კვალის” <sup>111</sup>-ში და “ივერიის” 1893 წლის <sup>1158</sup>-ში, - “გარდაცვლილის” სათაურით), კიტა აბაშიძე ქართულ პრესაში ფრანგული ლიტერატურის შესახებ იწყებს წერილების გამოქვეყნებას.

“... ჩვენი ამბები რა მოგწერო, - სწერს კიტა აბაშიძე ოდესიდან იასონ ბაქრაძეს - ანდრია ხუცესის (დეკანოზიშვილის) მახვილი სიტყვისა არ იყოს, “ჩვენ ყველა ძალიან კარგად ვართ, მაგრამ... რომ ეს “მაგრამი” არ იყოს, ყველა ძალიან კარგად ვიქნებითო”... ისე კი სიცოცხლე მაინცა სჩანს ჩვენში: ჟურნალისათვის ვამზადებთ წერილებს. ანდრია წერს: “გარიბალდი და მისი მოღვაწეობა”... მე - “ახალი სული”, ე. ი. თუ ეს სათაური ივარგებს საფრანგეთის აზრთა ცვლილებების დასახასიათებლად. რადგან ძალიან გაფართოვდა ჩემი თემა, ამიტომ ამნაირად ვაპირებ: 1. ლიტერატურა: ბურჟე. ნეტავ აქ იყო, რომ ზოგიერთი ფრაგმენტი წაგიკითხო. შენსავით ვერავინ ვერ იგრძნობს ჩემს ნაწერს, რადგან შენსავით არავის ვუყვარვარ. თუმც შეიძლება ეს ჩემი ნამეტანი გაგება ხშირად ჭეშმარიტ აზრს ვერც კი გათქმევინებს ჩემს ნაწერებზე”.

კიტა აბაშიძის ეს პირველი კრიტიკული სტატია, სათაურით: “ახალი მიმართულება საფრანგეთის ლიტერატურაში. პოლ ბურჟე”, 1894 წლის “მოამბის” მერვე და მეცხრე ნომრებში იბეჭდება; 1894 წელსვე “ივერიაში” ქვეყნდება კიტა აბაშიძის პირველი კრიტიკული წერილი ქართული ლიტერატურის შესახებ, სათაურით: “მოამბის” მორალისტები” (1193) და პირველი პოლემიკური სტატია: “ნიმუში ჩვენებური პოლემიკისა” (1217); შემდეგ კი: “მოდღვრება ევოლუციისა კრიტიკაში” (“ივერია” 1894, <sup>1165</sup> - <sup>1166</sup>) და “ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში XIX საუკუნეში” (“მოამბე”, 1894, <sup>112</sup>; 1895, <sup>11-2</sup>).

1895 წლის მაისში კიტა აბაშიძე პირველი ხარისხის დიპლომით ამთავრებს ოდესის უნივერსიტეტს და ფართე გეგმებითა და ნათელი იმედებით აღსავსე საქართველოსაკენ მოემართება, იმ ერთადერთი წმინდა სურვილით, რომ შეძენილი ცოდნა და მთელი თავისი ახალგაზრდული ენერჯია სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვას მოახმაროს. მაგრამ საქართველოში ჩამოსვლისთანავე, კიტა აბაშიძე, მისი ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, იძულებულია მისთვის უინტერესო სამსახური დაიწყოს და ჩინოვნიკურ საქმიანობას მიჰყოს ხელი, რაც მისი მაღალი მისწრაფებებისა და სულიერი მოთხოვნილებებისათვის სრულად შეუფერებელია და არადაამაკმაყოფილებელი (იგი ჯერ რაჭაში მუშაობს მომრიგებელ მოსამართლედ, შემდეგ კი თბილისში გადმოდის, ე. წ. “Контрольная палата”-ში)... ამ ვითარებით გამოწვეულ მის სულიერ მდგომარეობას ნათლად გვაჩვენებენ ის პირადი ბარათები, რომლებსაც კიტა აბაშიძე ამ ხანებში თავის მეგობრებს უგზავნის. “დიდი სისულელე მომივიდა... - სწერდა კიტა აბაშიძე ოდესაში თავის მეგობარს, - რომ ერთი ოთხი წლით კიდევ არ დავრჩი მანდა. უნდა გითხრა მართალი, რაკი აქ ჩამოხვალ... ყველაფერს უნდა გამოეთხოვო კაცი და ღმერთმა იცის, რას არ უნდა ჩაკლა თავი მისთვის, რომ ორიოდე გროში მოიპოვო. თავის დღეში ლიტერატურულ შრომას არ მოვშორდებოდი, რომ იმდენ ფასს მაინც იძლეოდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა, რომ შეიძლებოდა ცოტა მაინც რიგიანად ცხოვრება, და რაკი სამსახურში შეხვალ - ყველაფერს უნდა გამოეთხოვო. ეხლა მოდი და მომწერე, ნუ სწუხარო. როგორ არ უნდა ვსწუხდე, რომ ეს ერთი ჩემი სურვილიც არ შემისრულა ბედმა, რომ იმ საგნისათვის შემეწირა მთელი ჩემი სიცოცხლე, რომელიც მიყვარს და ვაფასებ”...

მეტისმეტად გაჭირვებულია ჩვენებური ახალგაზრდა კაცის ცხოვრება სულიერად და ხორციელად. მეტისმეტი უშინაარსო და უმნიშვნელო ცხოვრებად ხდება, და მით უფრო მწვავეა ეს ცხოვრება, რაც სხვა, უფრო დიდი იდეალი გაქვს შედგენილი ამ ცხოვრების შესახებ”...

“...ვკითხულობ რასმე მაინც, ესეც ხეირიანია, - წერს კიტა აბაშიძე მეორე წერილში, - სული მაინც კმაყოფილი არ არის; სხვას ველტვი, მინდა მოქმედება, ცხოველი და მოქმედი აზროვნება. ყოველივე ამას კი მოკლებული ვარ, ჩემო კეთილო”...

მაგრამ მიუხედავად იმ უიმედო განწყობილებისა, რომლითაცაა განმსჭვალული კიტა აბაშიძის ამ პერიოდის პირადი წერილები, ჩანს, რომ იგი მაინც არ ჰკარგავს სულიერ სიმტკიცეს და უფრო ფართო სამოღვაწეო სარბიელზე გასვლის იმედს. სამსახურიდან თავისუფალ დროს კიტა აბაშიძე კვლავ დამაბულ ლიტერატურულ მუშაობას ანდომებს და სისტემატურად აქვეყნებს “ივერიაში” სხვადასხვა კრიტიკულ წერილებს, რეცენზიებსა თუ პუბლიცისტური ხასიათის სტატიებს.

1896 წელს ჟურნალ “მოამბეში” (19-10) იბეჭდება კიტა აბაშიძის ვრცელი წერილი ილიას “განდეგილის” შესახებ - “განდეგილი”, პოემა თ-დი ილია ჭავჭავაძისა”, რომელშიც ნათლად გამოვლინდა ახალგაზრდა კრიტიკოსის ფართო ლიტერატურული განათლება და კრიტიკული ტალანტი, და რომელიც ამ შესანიშნავი ნაწარმოების პირველ ღრმა და მრავალმხრივ ანალიზს წარმოადგენს. “მახსოვსო, - წერს კიტა აბაშიძე ზემოთ დამოწმებულ მოგონებაში ილია ჭავჭავაძეზე, - მისი ნაწერებით გატაცებულმა კალამს ხელი მოვკიდე. რაც კი შესძლებია ჩემს მცირე ძალღონეს, მთელი სიყვარული, მთელი აღტაცება, მთელი სასოება მოძღვრისა, მთელი ჩემი რწმენა და გულის ნადები იმ ნაწერში გამომიხატავს, ჩემებურად ჩემი სული და გული გადამიშლია, ჩემი უდიდესი სულიერი მოთხოვნილება ამ ნაწერით დამიკმაყოფილებია, ისე, რამდენადაც გლახაკსა და ღარიბს შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი დიდი ფიზიკური შიმშილი დაობებული ჭადის ნატეხით; - სად დიდებული, შეუდარებელი მგოსანი და ძლევამოსილი მოძღვარი, და სად ჩემი საწყალი, წვერმოტეხილი კალამი”.

ექვგარეშეა, რომ ილია ჭავჭავაძე დაინტერესდებოდა მისი პოემის განხილვისადმი მიძღვნილი წერილით და, უთუოდ, ამ წერილის გაცნობით მიღებულმა შთაბეჭდილებამ გადააწყვეტინა ილიას კიტა აბაშიძის მიწვევა “ივერიის” რედაქციის თანამშრომლად.

მთავრობისათვის “ივერიის” არასასურველი მიმართულების გამო, მთავარმართებლის საბჭოს დადგენილებით “ივერიის” გამოცემა 1896 წლის მაისიდან დროებით შეწყვეტილი იყო. “ივერიის” გამოსვლა 1897 წლის იანვრიდან განახლდა და აი, ილია ჭავჭავაძე კიტა აბაშიძეს რედაქციაში იბარებს: “1897 წლის იანვარში ილიამ დამიბარა მე ჟურნალის პირით (გიორგი ჟურნალი “ივერიის” თანამშრომელი იყო - გ. ა.), - სწერს კიტა აბაშიძე იასონ ბაქრაძეს, - შევედი თუ არა ამ სიტყვებით მომმართა: “Нельзя ли Вас пристягнуть к редакциию.” - დიდი სიამოვნებით, - ვუთხარი მე, - ჩემი იდეალი იყო და არის ყოველთვის იმ საზოგადო საქმეში ვიმსახურო, რომლის ერთადერთი ასპარეზი აქვს ქართველ ახალგაზრდას. - მამ კარგო, და დავიწყეთ მსჯელობა, ვის მოვიწვევთ რედაქციაში. მე რაკი სამსახურში ვიყავი, საღამოთი შემეძლო შრომა და ეს სრულიად საკმარისი იყო

ხელნაწერთა გასასინჯავად და მასალის დასამზადებლად... მე ვდგევარ ეხლა “ივერიის” რედაქციაში და წერილებიც იქ მომწერე”.

კიტა აბაშიძე უდიდესი გატაცებითა და სიყვარულით იწყებს “ივერიის” რედაქციაში მუშაობას და ასრულებს სარედაქციო სამუშაოთა დიდ ნაწილს; რედაქციას უკეთებს შემოსულ წერილებსა და კორესპონდენციებს, არჩევს და ამზადებს საგაზეთო მასალას, აქვეყნებს საკუთარ ლიტერატურულ-კრიტიკულ და პუბლიცისტურ სტატიებსაც.

კიტა აბაშიძე ბედნიერია “ივერიის” რედაქციაში მუშაობით, ბედნიერია, რომ საშუალება აქვს თავის საყვარელ საქმეს ემსახუროს და პირადი, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდეს იმ ადამიანთან, რომელიც ბავშვობის წლებიდანვე მისი სათაყვანებელი მწერალი და ნათელი გზის მკვლევარი მოძღვარი იყო. ახალგაზრდა კიტა აბაშიძე აღტაცებულია ილია ჭავჭავაძის დიდბუნებოვნებით, მისი ძლიერი ინტელექტით, მისი სიდარბაისლითა და მჭევრმეტყველებით, მისი დაუცხრომელი შრომითა და სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული მოღვაწეობით. კიტა აბაშიძე ამ ხანებში ხშირი სტუმარია ილიას ოჯახისა და მუდამ მოხიბლული რჩება ამ დიდი ადამიანის კეთილშობილებითა და უბრალოებით.

“ილია ჭავჭავაძეს რაც შეეხება, შენც იცი, რომ მე დიდი თაყვანისმცემელი ვარ მისი”, - სწერს კიტა აბაშიძე ამ ხანებში თავის მეგობარს, - და “მართალი გითხრა, რამდენი უფრო გავიცანი, იმდენად უფრო მწამს, რომ იგი პირველი კაცია ჩვენში და სადაც უნდა ყოფილიყო, პირველი იქნებოდა”.

“...მახსოვს მოძღვარი მეგრძოლი, ორატორი გასაოცარი, - ვკითხულობთ კიტა აბაშიძის ზემოთ მითითებულ მოგონებაში ილია ჭავჭავაძის შესახებ, - მახსოვს, რამდენჯერ შემბრალებია, რომ იმის დიად ორატორულ ნიჭს ასპარეზად პარალამენტი არა აქვს. მახსოვს რა თაყვანისცემით, რა სიყვარულით აღსავსე კრძალვითა და მორიდებით ვეპყრობოდი ყველანი, როცა მის რედაქციაში ვიყავით”.

ილია ჭავჭავაძე “ღვთაება” იყო კიტა აბაშიძისათვის, იგი “ქართველი ერის სული” იყო მისთვის, “ჩვენი ერის გზის მაჩვენებელი მნათობი”; იდეალი იყო ადამიანისა, მოღვაწისა და შემოქმედისა და სწორედ მასთან, - ქართველი ერის ამ დიდ მოამაგესთან და წინამძღოლთან მჭიდრო კონტაქტმა საბოლოოდ განსაზღვრა ახალგაზრდა კრიტიკოსის სამოღვაწეო გეზი, მისი მისწრაფებები, მისი ესთეტიკური იდეალები...

კიტა აბაშიძე მუდამ ერთგული რჩება მისი სათაყვანებელი მოძღვრისა, მუდამ მის გვერდითაა საქართველოს და ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლაში, და როგორც თვითონაც წერს, “დევნაცა და წყევლაც” მიუღიათ მოძღვრისათვის ერთგულ მოწაფეთ და თავისებური “ეკლის გვირგვინიც” უტარებიათ:

ასე იყო ეს 1900 წელს, როცა სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეებით გატაცებულმა და გონებადამინდულმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, მათი იდეური ბელადის - ნოე ჟორდანიას შთაგონებითა და ხელმძღვანელობით, საგულდაგულოდ დაგეგმილი და ორგანიზებული ლაშქრობა წამოიწყეს საქართველოს ეროვნული თავისუფლების იდეის ბაიზანტარის წინააღმდეგ, - ნოე ჟორდანიას სიტყვით რომ ვთქვათ, რათა “არმაზის ალაგას აღმართულ კერპისთვის თავის ალაგი ეჩვენებინათ”, - მისი ღვაწლის დაკნინებასა და განქიქებას შეეცადნენ და ამ უზნეო, მთელი ერის შეურაცხმყოფელ ლაშქრობაში უბრთა მთელი არმიის შემოკრება შეძლეს. ამ მკრეხელური ლაშქრობის დროს კიტა აბაშიძე მთელი არსებით ილია ჭავჭავაძის გვერდით იყო, იმ მამულიშვილთა შორის, რომელთაც ქართველი “ესდეკების” წინააღმდეგ აღიმალეს ხმა და ქართველი ერის სულიერი მამის წინააღმდეგ წამოწყებული ლაშქრობა, სავსებით სამართლიანად, მოლაშქრეთა ზნეობრივი დეგრადაციის უტყუარ დასტურად შერაცხეს. (სამწუხაროდ, ილიას დამცველთა გუნდი ძალზე მცირერიცხოვანი იყო, - კიტა აბაშიძის გარდა სულ ორად ორი ადამიანი - გიორგი ლასხიშვილი და “ივერიის” თანამშრომელი არტემ ახნაზარი).

ილიას სახელისა და ანდერძნამაგის დამცველთა პირველ რიგებში იყო კიტა აბაშიძე დიდებული მოძღვრის მოწამებრივი აღსასრულის შემდეგაც - 1913 წელსაც, როცა ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ (ახლა უკვე - ნოე ჟორდანიას გარდა - ფილიპე მახარაძის წინამძღოლობითაც) კვლავ წამოიწყეს მორიგი ლაშქრობა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ - მისი ეროვნული იდეალებისა და ამ იდეალების მიმდევართა წინააღმდეგ. სწორედ ამ წელს ქვეყნდება კიტა აბაშიძის მგზნებარე პუბლიცისტური წერილი - “ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!”, რომელიც ექვმიუტანლად ამხელს ქართველ სოციალ-დემოკრატთა პარტიის დანაშაულს წინაშეურის ტრაგედიაში.

კიტა აბაშიძეს არაერთი ბრწყინვალე კრიტიკული წერილი აქვს მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი, არაერთი მგზნებარე სტრიქონი - XIX საუკუნის ამ “უდიდებულესი პირადობისადმი”... და გასაგებია კიტა აბაშიძის ის თავზარდაცემა, ის უდიდესი გლოვა და უღრმესი სასოწარკვეთილება, რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ცნობამ გამოიწვია მასში: “მახსოვს ჩრდილოეთი სატახტო ქალაქი... - იხსენებს ილიას მკვლელობის დღეებს კიტა აბაშიძე, - მახსოვს გაზეთი... მახსოვს ორი სტრიქონი: “ტფილისის მახლობლად სასიკვდილოდ დასჭრეს სახელმწიფო საბჭოს წევრი თ. ი. ჭავჭავაძე და მოუკლეს მსახური”. მახსოვს, სახტად დავრჩი... ვიცოდი ვინ მოჰკლა, როგორ მოჰკლეს, რად მოჰკლეს... მაგრამ ამ ფაქტის შერიგება შეუძლებელი იყო... გულის ფანცქალით ველოდი ორ დღეს და თუმცა ჩემს გულში რაღაც ძარღვი გასწყდა, ლაჩარი გრძნობა მაინც მანუგეშებდა: - არა, არაფერია, მორჩება, თუმც დაჭრილიაო... მეორე დღეს საშინელება დამტკიცდა... ვინ?.. ჩემთვის ცხადზე უცხადესი იყო! რად? ჩემთვის ცხადი იყო... მე პირდაპირ როგორღაც წინასწარმეტყველური შეგნება მომეცა მოვლენისა... უეცრად ყოველივე, რაც კი ჩემი ცხოვრების იდეალს შეადგენს, დამსხვრეულად მომეჩვენა... ვიგრძენი მთელი ფიზიკური ტკივილი ამ მოვლენისა. ჩემთვის ცხადზე უცხადესი შეიქმნა: თავისი დიდებული მოძღვარი მოჰკლა ქართველმა ერმა; იმ ერმა, რომელიც დიდებულ მოძრაობაში მარტო ერთი გრძნობითა და აზრით იკვებებოდა - საქართველოს, ქართველი ერის, ე. ი. თავის თავის უარყოფითა და ზიზღით, ეს გრძნობა გამოხატა საშინლად, მხეცურად და საეროვნო გრძნობის დიდებული დარაჯი ვერაგულად, საზიზღრად მოჰკლა.

ქართველი ერი ამ მოქმედებით წყეულ ერთა რიცხვში ჩაეწერა, ქვეყანაზე სამაგალითოდ შეიქმნა: ქრისტე თუ ჯვარს აცვეს, - დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ - “ბურჟუებს” შეგვიძლია გადავებრალოთ. სოკრატე თუ მოსწამლეს, ისიც “ბურჟუებს” შეგვიძლია გადავებრალოთ გულის მოსაფხანად... მაგრამ ისტორიის განგებამ იცის ხალხი, ერი და არა ბურჟუა და ფეოდალი და ის ერი, რომელიც თავის დიდებულ კაცსა ჰკლავს, მორიელია, რომელიც თავისის შხამით თავის თავსვე იწამლავს. ამიტომაც ურიასტანი მოისპო, საბერძნეთი დაემხო და ქართველმა ერმა არ იკმარა, რომ თავის შესარცხვენად საქვეყნოდ განაცხადა - ქართველობის წოდება სათაკილოდ მიმაჩნიაო, მოჰკლა ქართველის ერის სული - დიდებული კაცი ერისა არის მისი სული.

ეს ფაქტი მაჩვენებელია იმისი, რომ ქართველი ერი უკურნებელის სენით არის ავად და მისი დღეები დათვლილია, ეს ცხადზე უცხადესია. ეს სიმპტომი ისეთია, როგორც სულმობრძავის ხრიალი...

ამ ფაქტმა... მე და ორიოდე ჩემსავით გიჟს საშინელება ქართველის ერის დაღუპვისა თვალწინ ნათლად დაგვიხატა... მოგვისპო ყოველივე სასოება ერისა, გაგვიქარწყლა იმედი... წავგართვა ის, რითაც ვსაზრდობდით... მოგველიჯა გულიდან, წალევა მეხსიერებიდან და მიწაზე დაანარცხა ჩვენი იდეალი, ჩვენი რწმენა, ჩვენი დარდი და მუდმივი ფიქრი და ოცნება - “მამულო, საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?”... პასუხი მოგვესპო, ნაცვლად მესმის ჯოჯოხეთური სიცილი ბოროტის ძალისა - “ჩემო კარგო ქვეყანავ, რატომ მოგიწყენია?” - თითქოს დასცინოდეს დიდებულ მოძღვარს: ეგეც შენი უკურნებელი ოპტიმიზმი, ეგეც შენი შეურყეველი რწმენა, აი, შენი “კარგი ქვეყანაო”. მესმის ეს სიტყვები, და თანაც მელანდება დიდებულის მოძღვრის დასისხლიანებული, დამშვიდებული სახე, საუკუნო საიდუმლოებით მოცული...

აი, ეს არის ახლა ჩემი (და ჩემიანების) დაუსრულებელი ტანჯვა; ეს არის ჩემი (და ჩემიანების) უსაზღვრო კაემანი და ვარამი... რა საუკუნო გრძნობით შეუერთდი გამოუცნობელს, დიდებულ მოძღვარო? გაგახსენდა ეს სიტყვები? დარწმუნდი, რომ “შენი კარგი ქვეყანა” გკლავს და საუკუნო გულისტკივილით განუტევე სული, რაიგა უფრო მწარეა ყოველ სიკვდილზე?... უეჭველია, უეჭველი, თორემ რად დამხარხარებს ეს წყეული ხმა, რად ურევს მწარე ირონიასა და გესლს, რადა სწყევტს შუაზედ დიდებულს გრძნობას დიდებულის სულით შექმნილს: “ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?!”...

კიტა აბაშიძის ეს ამაღლევებელი სტრიქონები მთელი ქართველი მოწინავე საზოგადოების უსაზღვრო მწუხარებისა და ილია ჭავჭავაძის გულწრფელი დატირების გამოხატველი იყო...

...კიტა აბაშიძემ ვერ ჩამოუსწრო ილიას დაკრძალვას და პეტერბურგიდან ტელეგრამის გამოგზავნა მოასწრო მხოლოდ: - “ცხარე ცრემლით ვგლოვობ სამშობლოს სირცხვილს”

მაგრამ კიტა აბაშიძე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ “ამაოდ არ ჩავივლიდა” ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ბელადის დაუცხრომელი და თავგანწირული მოღვაწეობა, - მტკიცედ სწამდა, რომ მისი წმინდა სისხლის ღვარი შეიქმნებოდა ქართველ ერის ემბაზად, რომელშიაც განზანილი და ნათელღებული, იგი, სულით ამაღლებული და

გონებით გამოფხიზლებული ზე-აღდგებოდა და “დასწვდებოდა იმა აკვანსა,” რომლის შესახებ ფიქრსა და ვარაზში, ზრუნვასა და ოცნებაში დალია სული ცით დაგვირგვინებულმა მგოსანმა.

“და აი, - წერს კიტა აბაშიძე, - როცა დღეინდელი დღე ჩვენის სირცხვილისა... შეიცვლება დღედ ჩვენის სიხარულისა და ბედნიერებისა, დღედ ჩვენის განახლებისა და აღორძინებისა, როცა ჩვენი ერი მოიხდის სამელოვიარო ლეჩაქს და შეიბურება საქორწილო, სამხიარულო ლეჩაქით, მაშინ ნამდვილი და ჭეშმარიტი წარმომადგენელი და ღვიძლი შვილი გაბროსი, ზაქროსი და კაკოსი, ნამდვილი გულის მესაიდუმლე იმ მთიელისა, რომელიც სიმბოლიურ გამომსახველად შეიქმნა დიადის მოძღვრებისა, - მუხლს მოიდრეკენ დიდებულის საფლავის წინაშე... და ვარდითა და იით შეამკობენ ჩვენგან უსამართლოდ შეგინებულ მის ნათლით მოსილ საფლავს”...

და კიტა აბაშიძის მუდმივი საზრუნავი და საფიქრალი, მისი სწრაფვა და ოცნება იყო ენახა ნათელი დღე ქართველი ერის ზეიმისა, როცა მისი სამშობლო დადგებოდა ჭეშმარიტი აღორძინებისა და განახლების გზაზე...

მაგრამ ეს ჯერ შორეული ოცნება იყო, არსებულ ვითარებაში კი ბევრი გადაულახავი დაბრკოლება ეღობებოდათ ქართული ეროვნული კულტურის წინსვლისა და პროგრესის მსურველებს...

XIX საუკუნის მოწინავე ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა “პირველი და უკანასკნელი სურვილი” - ილია ჭავჭავაძის გამოთქმა რომ ვიხმართ, - საქართველოს ხალხის ცხოვრების “გამჯობინება” იყო; მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენი მოღვაწეები უყურებდნენ “როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა”, და კიტა აბაშიძეც ერთი იმ თავდადებულ მოღვაწეთაგანია, რომელიც დაუცხრომლად იბრძოდა “სიტყვის იარაღით” მშობელი ხალხის ცხოვრების “განკარგებისათვის”.

“სავალალო დღეშია დღეს ჩვენი დედაქალაქი და მისი დამამშვენებელი ინტელიგენცია, - სწერს კიტა აბაშიძე იასონ ბაქრაძეს ერთ-ერთ ბარათში, - და თუ მალე არა ვუშველეთ რა, მერე გვიანდა იქნება. ხოლო რაკი სიტყვა გააბატონა მე-19 საუკუნემ, რაკი ვოლტერს - სიტყვის წარმომადგენელს ისტორიამ დაუმორჩილა მთელი ევროპის გვირგვინოსანნი, - სიტყვის იარაღი უნდა გვეპყრას ხელში, რათა ჩვენი გზა და კვალ აზნეული საზოგადოება ცოტათი არის სწორ გზაზედ წავიყვანოთ”.

და თუმცა კიტა აბაშიძეს ხშირად უხდება სამსახურისა და ადგილსამყოფელის გამოცვლა (1896-1900 წლებში იგი ხან ამბროლაურშია მომრიგებელ მოსამართლედ, ხან ჭიათურის მაზრაში, ხან ყვირილაში; ხან კი თბილისში მუშაობს), მაგრამ მაინც ახერხებს ნაყოფიერად იმოღვაწეოს ლიტერატურულ სარბიელზე.

1898 წლიდან იწყება კიტა აბაშიძის, როგორც XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიკოსისა და კრიტიკოსის შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდი. ამ წელს ჟურნალ “მოამბეში” (114, 5, 6) ზედიზედ იბეჭდება მისი ცნობილი “ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურიდან”, - კრიტიკული ეტიუდები ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის, უფრო მოგვიანებით კი (1900 წ. 17) - ვახტანგ ორბელიანის შესახებ, სადაც, პირველად ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, გაცნობიერებულია ქართული რომანტიზმის - როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმდინარეობის - არსებობის ფაქტი და ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებითი მემკვიდრეობა მთლიანობასა და განვითარებაშია დანახული და გააზრებული, - განხილულია “განუწყვეტელ ჯაჭვად აზრთა ზრდისა ზედმიყოლებით”, - როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა. ამავე წელს “მოამბის” 18-ში - იბეჭდება კიტა აბაშიძის კრიტიკული ეტიუდი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ, მერე კი - ეტიუდი გიორგი ერისთავის შემოქმედებაზე (1900 წ., 110).

კიტა აბაშიძემ სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის დღიდანვე მიიქცია ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება. ახალგაზრდა კრიტიკოსის პირველივე ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები ცხადყოფდნენ ავტორის მრავალმხრივ განათლებას, ქართული და ევროპული ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას, დახვეწილ ესთეტიკურ გემოვნებას, უდავო კრიტიკულ ნიჭს და ალღოს.

ახალგაზრდა კიტა აბაშიძე მოწინავე ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა წრეში ტრიალებს, აქტიურად ებმება საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ლიტერატურულ შეკრება-საღამოებში.

ერთ-ერთ ასეთ ოჯახს თბილისში, სადაც ამა თუ იმ საზოგადოებრივ საქმესთან დაკავშირებით ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები და მოღვაწეები, წარმომადგენდა მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანის ოჯახი; და ახალგაზრდა კიტა აბაშიძე მუდამ სასურველი სტუმარი იყო აქ.

მარიამ ვახტანგის ასულის სახელი ქართველი საზოგადოებრიობისთვის საყოველთაოდ იყო ცნობილი, და არა მარტო როგორც ქართველ დიდგვაროვანთა შთამომავლისა (მარიამ ორბელიანი მეფე ერეკლე მეორის შვილიშვილის შვილი იყო), არამედ როგორც უაღრესად განათლებული, პატრიოტი ქართველი მოღვაწე მანდილოსნის, რომელიც თავისი დიდი ავტორიტეტითა და ქველმოქმედებით უანგარო დახმარებას უწევდა ყოველგვარ კულტურულ და საზოგადოებრივ წამოწყებას საქართველოში. სხვადასხვა დროს მარიამ ორბელიანი ხელმძღვანელობდა თბილისის სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტს (1882 - 1917 წ.), თბილისის მასწავლებელთა საზოგადოებას (1894- 1901 წ.), მისი თაოსნობით დაარსდა თბილისის ქალთა ქართული გიმნაზია (1906 წ.), გაიხსნა სკოლა სოფ. ატენში (1913 წ.), იგი უცვლელი წევრი იყო მრავალი საქველმოქმედო კომიტეტისა (მაგ., მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა ე. წ. „დამწვართა კომიტეტი“ 1906 წ., რომელიც დახმარებას უწევდა რევოლუციონერებს და მათ აწიოკებულ ოჯახებს); მარიამ ორბელიანის გამოცემულია (1894 წ.) მისი მამის - ვახტანგ ორბელიანის ლექსების წიგნი, რომელსაც ილია ჭავჭავაძის წერილი აქვს დართული; იგი ეწეოდა ლიტერატურულ და მთარგმნელობით მოღვაწეობასაც (მაგ., მისი თარგმანის მიხედვით დადგა კ. მარჯანიშვილმა 1924 წ. რუსთაველის სახ. თეატრში შექსპირის „ვინძორის ცელქი ქალიშვილები“) 1906 წელს მარიამმა თბილისის ქართული გიმნაზიის დარბევისა და შიო ჩიტაძის მკვლელობის შესახებ ჟენევის ერთ-ერთ გაზეთში გამოაქვეყნა კორესპონდენცია... მისი რამდენიმე წერილი საქართველოს შესახებ დაიბეჭდა პარიზის გაზეთებშიაც; თავისი წვლილი აქვს შეტანილი მას ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების საქმეშიც, რომლის დამხმარე საზოგადოების წევრიც იყო იგი.

მარიამ ვახტანგის ასულის ხშირი სტუმრები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, და ჩვენი სხვა სასიქადულო ადამიანები, რომლებთანაც მარიამს ახლომეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა იგი ქართველი ახალგაზრდობისადმიც და არა ერთი და ორი ნიჭიერი ახალგაზრდა გაუგზავნია მას საკუთარი ხარჯით რუსეთსა თუ ევროპაში უმაღლესი განათლების მისაღებად.

ამ ოჯახში გაიცნო კიტა აბაშიძემ 1897 წელს მარიამ ვახტანგის ასულის ძმისშვილი და აღზრდილი, თავისი მომავალი მეუღლე, - მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი და მეგობარი - თეკლე ნიკოლოზის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი.

რამდენიმე წლის შემდეგ ამავე ოჯახის სიძე გახდა ივანე ჯავახიშვილიც და ამ დღიდან დაიწყო კიტა აბაშიძისა და ივანე ჯავახიშვილის გულითადი მეგობრობა, რომელიც არა მხოლოდ დამოყვრებამ, არამედ უპირატესად მათმა სულიერმა ნათესაობამ განაპირობა. ეს მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა და ურთიერთსიყვარული, რომელიც კიტა აბაშიძის გარდაცვალების დღემდე არ შეწყვეტილა, ნათლად არის ასახული მათს მიმოწერაში, რომელშიც არაერთი ძალზე საყურადღებო ცნობა მოიპოვება, როგორც პირადად მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ისე საერთოდ იმ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების რიგი ფაქტებისა და მოვლენების ირგვლივ (აღნიშნული მიმოწერა აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული).

1900-იანი წლების დამდეგიდან კიტა აბაშიძე აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას იწყებს და პირველი ეროვნული პოლიტიკური პარტიის - „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“ ერთ-ერთი დამაარსებელი ხდება. კიტა აბაშიძე მონაწილეობს ფედერალისტთა პარტიის პროგრამის შემუშავებაშიც (გიორგი ზდანოვიჩთან, შიო ჩიტაძესთან და ივანე ყიფიანთან ერთად), რომლის პირველივე სტრიქონი განმარტავდა, რომ სოციალიზმი მათი შორეული მიზანი იყო, უახლოეს მიზანს კი საქართველოს ავტონომია წარმოადგენდა. ამ მიზანთაგან, პირადად კიტა აბაშიძისათვის, საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის მოპოვებისათვის ბრძოლა, ბრძოლა „ჩვენის დაცემული ვინაობის აღდგენის, ფეხზე დაყენებისა და დაცვის“ ილიასეული მოწოდების ხორცშესახსმელად, მთელი ცხოვრების უმთავრეს მიზნად იქცა, რადგან მისი რწმენით, „ერისათვის გადაგვარება სიკვდილის მომასწავებელია“, ხოლო „პირველი მოთხოვნილება ერის ცხოვრებისა, ის მინიმუმი მისი სიცოცხლის ლტოლვისა, რომელიც ფატალურად აუცილებელია, ამ „ვინაობის“ შენარჩუნებაა, ისე, როგორც კერძო ადამიანისათვის სიცოცხლის პირველი საფეხური მისი ბიოლოგიური განსხეულებაა“. საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის მოპოვებისათვის ბრძოლა კიტა აბაშიძისათვის ქართველი ერის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლას წარმოადგენდა და ამავე დროს მხოლოდ პირველ ნაბიჯს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად - მხოლოდ ერთ-ერთ საფეხურს საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლის რთულ გზაზე, ხოლო რაც შეეხება სოციალიზმს, იგი, კიტა აბაშიძის მეგობრის, ცნობილი პუბლიცისტისა და კრიტიკოსის იაკობ ფანცხავას (1867-1955 წ.წ.) სიტყვით, კიტა აბაშიძეში „მხოლოდ სიბრალულის

დომილს იწვევდა”, და, უთუოდ, იმიტომ, რომ ეს მომხიბლავი იდეა მას პრაქტიკულად განუხორციელებლად მიაჩნდა.

1901 წლიდან კიტა აბაშიძე ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოში იწყებს მუშაობას, სადაც იგი ჯერ “საურთიერთო ნდობის ბანკის თავმჯდომარეა, შემდეგ კი, საბჭოს თავმჯდომარის - ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და ლიტერატორის გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩის მოადგილე ხდება და 17 წლის მანძილზე - სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე - დაუცხრომლად მოღვაწეობს ამ სფეროშიც.

ცნობილია, რომ საქართველოს მრეწველობის განვითარებაში მარგანეცის მრეწველობამ საკმაოდ დიდი როლი შეასრულა. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის წარმატებებში კი, უთუოდ მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი “შავი ქვის მრეწველთა საბჭოს” ხელმძღვანელებს - გიორგი ზდანოვიჩსა და კიტა აბაშიძესაც. “დიდი ამაგი მიუძღვის კიტას ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის საქმეში, - წერს გ. ლასხიშვილი (ხელნაწერი: “კიტას ბიოგრაფიისათვის”), - იგი აქ უახლოესი თანამშრომელი და მოადგილე იყო თავის მეგობრის გიორგი ზდანოვიჩისა, ხოლო ამის დაავადების შემდეგ მეთაურობდა კიდევ მარგანეცის მრეწველთა საბჭოს;” კიტა აბაშიძე, გ. ზდანოვიჩთან ერთად, “ნიჭიერთა და თავგამოდებით იცავდა ეროვნულ მრეწველობას უცხოელ მტაცებლებისაგან და თუ რამ კარგი და ჩვენი ქვეყნისათვის ფრიად სასარგებლო გაკეთებულა, თუ ჩვენი ხალხის ეკონომიკურ გაძლიერებაში და მის ზნეობრივ და გონებრივ ამაღლებაში ამ მრეწველობას დიდი როლი უთამაშნია, ამაში უპირველესი ღვაწლი მიუძღვის კიტას მის გულითად მეგობარ გიორგი ზდანოვიჩთან ერთად”.

კიტა აბაშიძე, გ. ზდანოვიჩთან ერთად, თავგამოდებით იღვწოდა, რათა მარგანეცის წარმოებას რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოეტანა ქართველი ხალხისათვის: მათი თაოსნობით “მრეწველთა საბჭო” მატერიალურად ეხმარებოდა ნიჭიერ ახალგაზრდებს, სტიპენდიებს უნიშნავდა და უმაღლეს სასწავლებლებში აგზავნიდა მათ (მაგალითად, კიტა აბაშიძის რეკომენდაციით “მრეწველთა საბჭოს” სტიპენდიანტები გახდნენ გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი და მრავალი სხვა).

კიტა აბაშიძე ყოველნაირად ცდილობდა, რათა მარგანეცის წარმოება უცხოელ ჩარჩებს არ ჩავარდნოდათ ხელში და თავდაუზოგავად იბრძოდა ადგილობრივ მრეწველთა უფლებების შემზღვევადი დადგენილებების წინააღმდეგ; ყოველნაირად ცდილობდა წარმოებაში მომუშავეთა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას.

...სხვათა შორის: მარგანეცის წარმოების მუშათა დიდ ნაწილს ჭიათურიდან დაშორებული სოფლის მცხოვრებნი შეადგენდნენ, მთელ გზაზე კი, ჭიათურამდე, დასაღვეი წყალი არ ყოფილა არსად და კიტა აბაშიძეს ჭიათურისაკენ მიმავალ მუშებისათვის წყარო გამოუყვანია კაცხში, რომელსაც “კიტას წყარო” შეერქვა სამუდამოდ.

დგება 1905 წელი, - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქა რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნებისათვის. “რევოლუციამ - როგორც კიტა აბაშიძე წერდა, - მედგრად შეანძრია მთელი ორგანიზმი სახელმწიფოსი და მრავალი ავადმყოფობა გამოაჩნდა დიდის ხნით უპატრონოდ დაგდებულ ვეებერთელა სხეულს”. სახალხო რევოლუცია საქართველოშიც იწყება და იანვრის ბოლოსათვის საყოველთაო გაფიცვების ტალღა საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად ჭიათურაშიც ბობოქრობს. გაფიცვებს ქუჩის პოლიტიკური დემონსტრაციები ცვლის... და კიტა აბაშიძეც მთელი შეგნებით, მთელი არსებით ჭიათურის მუშებთანაა.

ჟანდარმერიის იმ პერიოდის საიდუმლო საბუთებში კიტა აბაშიძე მოხსენებულია, როგორც 1905 წლის რევოლუციის დღეებში ჭიათურაში მომხდარ “ყველა მთავრობის საწინააღმდეგო არეულობების” ერთ-ერთი “მთავარი დამნაშავე”, რაც, - როგორც ამავე საბუთებშია აღნიშნული, - “ჭიათურაში მცხოვრებთაგან სრულიად არავისთვის არ წარმოადგენსო საიდუმლოს”. კიტა აბაშიძეს ბრალად ედებოდა ისიც, რომ 1905 წლის 26 იანვარს, იმ სახლიდან, სადაც იგი ცხოვრობდა, სადემონსტრაციოდ გამოსულ მუშათა რიგებში გადმოსროლილ იქნა წითელი დროშა “დანაშაულებრივი წარწერით” (с “преступной надписью”) (კიტა აბაშიძის ოჯახის წევრთა მოგონებით, ეს დროშა კიტა აბაშიძის მეუღლესა და მის დას - თამარ ჯამბაკურ-ორბელიანს შეუკერიათ; მათვე ამოუქარავთ დროშაზე “დანაშაულებრივი წარწერა” - მეფის მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდება, რომელიც კიტა აბაშიძეს უკარნახებია მათთვის). ყველაფერ ამის საფუძველზე, ჟანდარმერიის მიერ კიტა აბაშიძე შეყვანილ იქნა მეფის მთავრობისათვის განსაკუთრებით არაკეთილსამედოდ მიჩნეულ იმ პირთა სიაში, რომელნიც 1905 წელს “აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მთავრობის საწინააღმდეგო არეულობებში ჭიათურაში და რომელთა ცხოვრება ამ რაიონში ჩათვლილი იყო მეტად მავნედ საზოგადოებრივი უშიშროებისა და



წესრიგისათვის”. კიტა აბაშიძეს ერთხანს აპატიმრებენ კიდევ, და თუმცა მისი და მისი მეუღლის მრავალრიცხოვანი გავლენიანი ნათესავების თავდების წყალობით მალე მოხერხდა მისი განთავისუფლება პატიმრობიდან, მაგრამ, ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ კიტა აბაშიძე ჟანდარმერიის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშა მუდამ, მითუმეტეს, რომ იგი ადრეც იყო აღრიცხვაზე აყვანილი, როგორც ცარისტული რეჟიმისადმი საწინააღმდეგოდ განწყობილი, “უკიდურესი შეხედულებების მქონე პატრიოტი”.

რევოლუცია სისხლში ჩაახშო თვითმპყრობელობამ. დამსჯელმა რაზმებმა ააოხრეს ქართული ქალაქები და სოფლები, დახოცეს ასობით უდანაშაულო ადამიანი, ცეცხლს მისცეს საცხოვრებელი სახლები, გადაბუგეს გლეხთა კარმიდამო...

“ძვირფასო ძმაო ვანო! - სწერდა კიტა აბაშიძე იმ ხანებში პეტერბურგში მყოფ ივანე ჯავახიშვილს, - ჩვენი ქვეყნის უბედურებამ ისე აღგვაშფოთა, ისეთი თავზარი დაგვცა, რომ, მგონი, კარგა ხანი გაივლის, ვიდრე გონებაზედ მოვიდოდეთ. არ აიწერება კალმით ის განსაცდელი, რომელშიც დასავლეთ საქართველო ჩავარდა... მთელი ეს მხარე დაღუპულია... პირდაპირ ტვინი გეყინება კაცს და სისხლი გიშრება. აიკლეს სწორედ, აიკლეს ჩვენი ქვეყანა ამ ურჯულოებმა და ოხრებმა”...

კიტა აბაშიძე თავზარდაცემულია რევოლუციის ჩახშობის წლებში ჩვენი ქვეყნის ასეთი აკლებით და გვერანებით, რომელმაც “სასოება წაუწყმიდა” ყველას, მაგრამ მეორე მხრივ, რევოლუციამ “უსაზღვრო იმედებით აღგვაფრთოვანა” და “ყოველ შემთხვევაში, უსასოებასა და უიმედობას საზღვარი დაუდვა”, რადგან ყველას დაანახვა ხალხის ძალა, ცარისტული სახელმწიფოს ორგანიზმის ავადმყოფობა, მძლავრად შეარყია კირთები ძველის ცხოვრებისა. და კიტა აბაშიძეს სწამს, რომ ასეთ დროს მხატვრულ ლიტერატურას არა აქვს უფლება “გულგრილობის პირბადის” ჩამოფარებისა, რომ მწერლებს არა აქვთ დადუმების ნება: “დაე, - წერს კიტა აბაშიძე, - იკვნესონ, იტირონ, ცრემლები ღვარონ და გოდებას მათას საზღვარი ნუ ექნება, დაე, ყველამ გედის სიმღერასავით მორთოს თავისი ქნარი, ოღონდ მოგვაშორეთ, არ გვინდა ეს მშრალი, უმინაარსო, ყოველსავე სიცოცხლეს და სიმშვენიერეს მოკლებული სიჩუმე... ყოველ კვნესას, ყოველ ცრემლს ძალაუნებურად მოჰყვება რაიმე ტანჯვასა და ვაებაზედ უფრო საიმედო და სამხიარულო, უმისოდ ცხოვრება - ცხოვრება არ იქნებოდა. ცხოვრება ორპიროვანი სფინქსია, რომელსაც ხშირად პირად სიხარული აქვს და სარჩულად კვნესა, და თითქმის აგრეთვე, ხშირად ზედაპირზედ ვაებას ვხედავთ, მაშინ, როცა მხიარულება ქვედა პირში აქვს მოქცეული”...

კიტა აბაშიძის სახელი იმ ხანად უკვე მთელს საქართველოში საყოველთაოდაა ცნობილი. თავისი დაუცხრომელი ლიტერატურული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობით კიტა აბაშიძე მთელი ქართველი მოწინავე საზოგადოების პატივისცემასა და სიყვარულს იხვეჭს. “იგი იყო აქტიური წევრი ყველა ჩვენი საზოგადო დაწესებულებათა, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში, - წერს გ. ლასხიშვილი, - უმთავრესი ღვაწლი დასდო მან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის გამგეობის წევრი იყო” წლების მანძილზე. კიტა აბაშიძე უშუალო მონაწილეობას იღებს ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის საქმიანობაშიც, ერთ-ერთი ორგანიზატორია საქართველოს სათეატრო მოღვაწეთა პირველი ყრილობის ჩატარებისა (1914 წ.), და თავისი მრავალრიცხოვანი თეატრალური წერილებით ხელს უწყობს საქართველოში ხელოვნების ამ დარგის განვითარების საქმეს; კიტა აბაშიძე ერთ-ერთი დამაარსებელია “საქართველოს კულტურულ საზოგადოებათა კავშირისა”, თავმჯდომარეობს ქუთაისის საზოგადოება “სინათლეს”, შემწეობას უწევს ყოველგვარ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეს...

კიტა აბაშიძე კვლავ ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა ლიტერატურულ და პუბლიცისტურ სარბიელზე, თანამშრომლობს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში (“ცნობის ფურცელსა” და მის მომდევნო გამოცემებში, “დროებაში”, “სახალხო გაზეთში” და სხვ.), წერს საზოგადოებრივ ცხოვრების საკითხებზე, წერს თავისი სახელითა თუ ფსევდონიმებით (“კ. ა.”, “იმ-ამ,” “იმერელი ამომრჩეველი” “ამომრჩეველი” და სხვ.), წერს როგორც ქართული, ისე რუსული და ევროპული ლიტერატურის შესახებ, წერს ბევრს და გატაცებით და ყოველთვის ერთი მიზანი ამომრავებს, - ქართველი ერისა და ქართული კულტურის სამსახური, ერთი დიადი გრძნობა - სამშობლოს სიყვარული...

1908 წელს ცალკე წიგნად გამოდის კიტა აბაშიძის “თ. აკაკი წერეთელი - სალირიკო პოეზია”, სადაც, როგორც, საერთოდ, ყველაგან სხვაგანაც, ჩვენი კრიტიკოსი უდიდეს შეფასებას აძლევს ქართველი ერის ამ “სულმნათი მგოსნის” პოეზიას, რომელიც “ქართველი ერის სულის უკვდავ ნაწილად იქცა”, ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძის შემოქმედება. აკაკიმ, ისევე, როგორც ილიამ, “გააგონა მიძინებულ საქართველოს ხმა იმედისა და სასოებისა”, და კიტა აბაშიძეს მტკიცედ სწამს,

რომ “მთელი მოძღვრება ორ ჩვენ ციურის გვირგვინით შემოსილ მგოსანთა წინასწარმეტყველურის ცეცხლითაა აგზნებული, ღვთაებრივს კოცონზედაა შექმნილი, და ამით იქცევა დაუშრეტელ წყაროდ ერის აღზრდისა, შურყეველ საკურთხეველად საეროვნო ლოცვისა და სასოებისა. ამიტომაც არის, რომ ეს ორი სახელი ქართველის ერის გულში განუთიშველია და ილია და აკაკი ხსოვნაში იმგვარადვე განუცალკევებელია, როგორც მოსე და არონი, ესაია და იერემია”...

საინტერესოა კიტა აბაშიძის მეორე პატიმრობის მიზეზიც:

1909 წლის 22 თებერვალს შემდგარა ქუთაისის თავად-აზნაურთა რიგგარეშე ნებადაურთველი შვერება, რომელზეც საქართველოს ეკლესიის საკითხი წამოჭრილა. ცნობილია, რომ რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკა საქართველოს ეკლესიაზე ვრცელდებოდა და ქართული ეკლესიის უფლებანი “წმინდა სინოდის” მიერ მაქსიმალურად იყო შეზღუდული. ქართული ეკლესიის ამ ჩაგვრის წინააღმდეგ, ერთ-ერთ ორატორად, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მოწოდებით, დავით მიქელაძესა და ნიკოლოზ თავდგირიძესთან ერთად, გამოსულა კიტა აბაშიძეც. სიტყვით გამოსულთ ულაპარაკიათ იმ შევიწროებაზე, რომელსაც საქართველოს ეკლესია განიცდიდა რუსული ეკლესიის მხრივ, მოუთხოვნიათ ქართული საზოგადოების მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის დაყენება.<sup>11</sup>

მოწინავე ქართველი საზოგადოების მიერ ქართული ეკლესიის შელახული უფლებების აღდგენისათვის ზრუნვა, ერთ-ერთი ფორმა იყო საქართველოში ცარიზმის მჩაგვრელი პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისა, რაც, ცხადია, კარგად იყო ცნობილი მეფის მთავრობის სახელმწიფო აპარატის მოხელეთათვისაც, და ქუთაისის გუბერნატორ სლავოჩინსკის სასწრაფოდ მიუღია სათანადო ზომები; ქუთაისის ჟანდარმერიისაგან იგზავნება მრავალრიცხოვანი “დანოსები” ამ ამბის შესახებ, როგორც თბილისში, - მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის სახელზე, ისე პეტერბურგში, - სტოლიპინთან. სლავოჩინსკისავე ბრძანებით, კიტა აბაშიძეს, დავით მიქელაძეს და ნიკო თავდგირიძეს სასწრაფოდ აპატიმრებენ. ამათაგან კიტა აბაშიძე თბილისში შეუპყრიათ, დ. მიქელაძე და ნ. თავდგირიძე კი ქუთაისში. და ცხადია, არც ერთს არს ასცდებოდა რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადასახლება, თუ არა მათი ნათესავების და მეგობრების თავგამოდებული ზრუნვა მათ გასათავისუფლებლად (სხვათა შორის, ამის თაობაზე ვორონცოვის თანაშემწეს პეტერბურგიდან მიმართავს სახელმწიფო სათათბიროს წევრი, გენერალი პროკოფი შერვაშიძე, რომელიც ორბელიანების ოჯახის ახლობელი იყო: “ В думских круга - ферс იგი დეპეშაში, - циркулируют тревожные слухи о безпричинных гонениях Кутаисской администрацией против многих из уважаемых дворян губернии Прошу Ваше превосходительство не отказать уведомлением о причинах их гонения а равно принять участие в судьбе гонимых освобождением их от преследования ”

1911- 1912 წლებში ქუთაისში გამოდის კიტა აბაშიძის ფუნდამენტური ნაშრომი: “ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ” (I და II ტომი), რომელიც 1898 წელს “მოამბის” ფურცლებზე დაწყებული დიდი შრომის დაგვირგვინებას წარმოადგენდა.

“აგერ ათი წელიწადია, - წერდა კიტა აბაშიძე “ეტიუდების” წინასიტყვაობაში, - დროგამოშვებით, ჩვენ ამა თუ იმ მწერლის შესახებ ვსტამბავთ ეტიუდებს. დღეს, რაკი XIX საუკუნის ჩვენი უმთავრესი მიმართულებებისა და მათის მეთაურების შესახებ ეტიუდები დამთავრებულია, ჩვენ განვიზრახეთ ამ წიგნაკის ცალკე გამოცემა. ძალიან კარგად გვესმის ჩვენის შრომის სისუსტე და ვიცოდით, რომ არც ძალი და არც ღონე არ შეგვწევდა ჩვენი ბრწყინვალე და მშვენიერი ლიტერატურის შესაფერისი დახასიათება მიგვეწოდებია საზოგადოებისათვის. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს ერთადერთი სისტემატური შრომაა (რა ღირსებისაც არ უნდა იყოს იგი) XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ ქართულ ენაზე, სადაც ავტორი სცდილობდა ეს დაიდი მოვლენა ჩვენი ერის აზრისა და გონების სამეფოისა თვალწინ გადაეშალა მკითხველ საზოგადოებისათვის”.

ეს იყო ძვირფასი შენაძენი ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების ისტორიაში და განსაზღვრა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის, როგორც მეცნიერების, მთელი შემდგომი განვითარება.

საინტერესოა ერთი დეტალი “ეტიუდებთან” დაკავშირებით: “ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოება” პრემიებით აჯილდოვებდა ხოლმე საკონკურსოდ წარდგენილ საუკეთესო ნაშრომებს საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ქართული მწერლობის შესახებ. კიტა აბაშიძეს საზოგადოების გამგეობისათვის “ეტიუდები” წარუდგენია განსახილველად, მაგრამ უეცრად გაუგია, რომ ვაჟა-ფშაველამაც წარადგინა საკონკურსოდ თავისი ნაშრომი, და

მაშინვე შეუტანია გამგეობაში ასეთი განცხადება: “ამას წინათ წარმოვადგინე... პრემიაზედ ორი ტომი ჩემის თხზულებისა - “ეტიუდები ქართული ლიტერატურის შესახებ”. ეხლა გავიგე, რომ პრემიაზედ წარუდგენია თავისი თხზულება “ეთნოგრაფიული ესკიზები” ჩვენს სახელოვან და საყვარელ მეგობარს ბ-ნ ვაჟა-ფშაველას. მე სრულიად შეუძლებლად მიმაჩნია ბ-ნ ვაჟა-ფშაველას თხზულებას მეტოქეობა გავუწიო და ამისთვის უმორჩილესად გთხოვთ, ჩემს ნაწერებს (ზემოხსენებულ “ეტიუდებს”), რომლებიც წარვუდგინე გამგეობას, ნულარ განიხილავთ და უკან დამიბრუნოთ”...<sup>13</sup>

კიტა აბაშიძის პიროვნების გასაცნობად საყურადღებოა მისი თანამედროვეების მოგონებები:

აი, კიტა აბაშიძის გრ. რობაქიძისეული პორტრეტი:

“ქუთაისი. ზამთრის საღამო. ძველი თავადური ოჯახი. ისმის ნელი ტკბილი ქართული. მელოდური ინტონაცია პათეტიური აქცენტით. ლაპარაკობს თმაფაფარა თეთრი მოხუცი, ლეგენდარი სილამაზე ივერიის. მის გვერდით ზის ვაჟკაცი, გიორგი სააკაძის პროფილით. განზე დგას ტანმორჩილი თავადი, ძალზე ორიგინალი. ძმები არიან მამია გურიელის. შემოდის ტანმალა ვინმე, ევროპიულად ჩაცმული, სათვალედ - პენსნე. ქალებს ჩამოუარა ხელზე ამბორით, დანარჩენს ღიმილით ხელს ართმევს. ჯდება. მოძრაობაში უხერხულია, - თუმცა მიმოხვრაში ძალზე უშუალო. აკლია პლასტიურობა: თითქო უსახელო დიდი ფრინველი: ფრენას გადასჩვევია, ახლა მხოლოდ “დადის”. ვიღაცამ დაიწყო სტრიქონი რუსთაველიდან, - მამიას ერთი ძმათაგანი განაგრძობს სტროფას. შემდეგ - ისევ ტკბილი საუბარი: საქართველო, რუსთაველი, სიგმირე. საუბარს თანდათან უახლოვდება “ვინმე”: ლაპარაკი ტკბილი, ნელი, დინჯი, აფრთოვანებული. თვალს ავლებ იქ მყოფთ - და სცნობთ უეცრად: ეს “ვინმე” მამიას დისწულია გურიელის: იმდენია მასში გურიელთა დინჯი პათოსი.

იგივე ქუთაისი. თეატრის დარბაზი. შუადღე. დარბაზი ავსილია თავადაზნაურობით. დიდი აურზაური. ბჭობენ კორპორატივ საკითხზე. პათოსი ქუთათური: თითქო ქვეყნის ბედი სწყდებოდეს. ორატორი ორატორს მოსდევს, ერთიმეორეზე ჭკუამახვილი. მხოლოდ საკითხი არ იჭრება მაინც: ხელს უშლის რომელიმე გავლენიანი თავადის “ჩემის გატანა”. ამ დროს გამოდის იგი “ვინმე”. ხალხში ჩურჩული გაისმის: მის სახელს ახსენებენ: ზოგი წარბ-შეჭმუხვით, ზოგი ღია იმედით. “ვინმე” იმართება: აღარ არის მოძრავად უხერხული. მთელი მისი ტანი ხმაღლით თითქო გამოწვეული - ისე იმტკიცება უხილავი ღელვით. ლაპარაკობს ნელა, - მაგრამ თანდათან ჰკარგავს გურიელთა სიტყვას. სიტყვა ცივად იჭრება მისი ბაგით. იკვეთება იმერული სიმახვილე საშინელი სარკაზმით. ჰირონია არ “ყვირის”: იგი თანსდევს უმჩნევი აზრთა დენას. დუელის ხმალი ათასნაირი ხერხით ეღვარდება. ხოლო თვითონ მებრძოლი სრულიად არ აცხადებს “ფიზიოლოგიურ” სიმშაგეს: იგი ტანითა და სახით ისევ მშვიდია: მხოლოდ ხანობითი ხელის აქნევა აცხოველებს ამ “სიმშვიდეს”. ათავეს სიტყვას მოხდენილი მოჭრით. აგრიალდა “ქუთათური” (- ქუთაისში ყველაფერი სხვანაირია) ტაში: - მოპირდაპირე დამხობილია.

გაოცებთ ამ “ვინმესი” ორმაგობა: თითქო სხვადასხვა ელემენტებისაგან იყოს შედგარი. გურიელთა პათოსი: ტკბილობა, თავაზობა, სიდინჯე, აფრთოვანება, - ეს ერთი მხრით. იმერელთა ნაირობა: ცივი სიმახვილე, ანალიტიური სკეპსისი, ჰირონია გესლით, ხვეული გზა, - ეს მეორის მხრით. მისი სახეც ორმაგია თითქო: ცალი თვალი ოდნავ უფრო დიდი და პენსნედან ცალგვერდა ცქერა ხანდახან; ბაგე თითქო ღიმილით დამტვრეული და შემდეგ ორჭოფილ - შეკავებული. აფრთოვანებულია თითქო, - ხოლო განზე თავის თავს უცქერის ღიმილით - რომანტიული ჰირონია. ხანდახან წიგნს აიღებს ხელში, ფურცლავს, ფრაზებს ჰკითხულობს, - და ამავე დროს გესაუბრება. პასუხს გაძლევს და კიდევ: თითქო თვალთა მეტყველება და ბაგეს ხაზ-ცნაურება ერთს რკალში არ იყვნენ მოქცეულნი: თვალები რომ თითქოს გიქცერიან, ხანდახან ბაგეს უცნაური სიცივის ფრთა გადაჰკრავს ღიმილით და, აი, ასე - ყოველთვის.

მაგრამ არა: არის მომენტი, როცა ეს ორმაგობა იკარგება სრულიად: ჩვენ წინ დგება მთლიანი პირი ესთეტიკური დამთავრებით.

თბილისი. გაზაფხული მიწურული. საღამო. ქართული თეატრის დარბაზი. ზეინაბს ასამართლებენ. ბრალმდებელნი: იოსებ მაჭავარიანი და ვახტანგ დამბაშიძე. დამცველნი: “იგი” და მე. შადრევანობს ქართული მჭერმეტყველება. ხოლო “მისი” სიტყვა მაინც სულ სხვაგვარია. წარმოიდგინეთ ასკეტი, ქვეყანას განდგომილი, არავის ელაპარაკება: მაგრამ დუმლილში სჭედს “შინაგან სიტყვას” საყვარელი საფიქრალის შესახებ. გადის წლები. შემდეგ გამოდის და ხალხთა ჯარში იწყებს სიტყვას. მისი სიტყვა არ არის არც უაილდის ბრილიანტი, არც ფლობერის ფოლადი, არც ნიცშეს ჟინჯილი: - იგი გულნადებია, გულს მოწყვეტილი, - და ახლა, ხალხში გადავარდნილი, სიტყვა იგი ყვავილდება გულის სისხლით. ასეთს ასკეტს მაგონდება მაშინ “იგი”: მისი საფიქრალი

საქართველო იყო ზეიბის ტანჯული სახით, - და მეტყველებდა იგი გულდათუთქული, აცრემლებული, აფრთოვანებული (-ხოლო ფრთები მეწამული: “წამებულია”). ქართველ ხალხს დაჭრილი გმირის ყვილად მოხვდა იგი სიტყვა, - და მეტყველიც იყო თითქო “სხვა”: ერთი, მთლიანი - ცეცხლეული ნებისყოფით.

ამ წამს “იგი” უკვე აღარ არის: მოსწყდა ამ სოფელს: სიკვდილით გადავიდა მარადს საიდუმლოში. დაიკარგა დიდი მეგობარიც (მეგობრობის პათოსი ერთნაირი ნიჭია: ავთანდილი პირველ ყოვლისა მეგობარია) ამას იგრძნობს ყოველი, ვინც კი ყოფილა მასთან მეგობრული რკალით შეთვისებული...” (გრ. რობაქიძე, კიტა აბაშიძე, გაზ. “საქართველო” 1917 წ., 1278).

დავით კლდიაშვილის მემუარებში - “ჩემი ცხოვრების გზაზე” კიტა აბაშიძე ასეა დახასიათებული: “დაუვიწყარი და შესანიშნავი პიროვნება იყო კიტა აბაშიძე. ძვირად მინახავს ისეთი სულით მაღალი, ნაზი გრძნობით აღვსილი, ადამიანის მოყვარული, თავდადებული მუშაკი საზოგადო ასპარეზზედ, როგორც იყო კიტა. განსხვავებული გულწრფელი ყოველ თავის სიტყვაში, თავის მოქმედებაში. ახლოს უნდა მისულიყავით მასთან, რომ გაგეგოთ და გაგეცნოთ მისი განსხვავებული ბუნება, მისი ღრმა, ნაზი გრძნობიერება...”

იშვიათი გულწრფელი, ღრმა გრძნობის მქონე ადამიანი იყო იგი და ეს აყვარებდა მას მის მცნობთ; ამასთანავე თავდაბალი. - კიტა, რა კარგი იყავი სიტყვას რომ ამბობდი! - ვეტყოდით ხოლმე. იგი, სიამოვნების ღიმილით სახეზედ გვიპასუხებდა - მათამამებთ, მასულებებთ! რა საქებარია! ძლივს მოუყარე თავი ორიოდ სიტყვასო”.

“კიტა მეტად ლამაზი იყო მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, - იგონებს დავით კლდიაშვილი, - რომლითაც მან მიმართა მრავლად შეკრებილ საზოგადოებას კაფე “სამოთხეში”, როცა პირველად აქ გამოვიდნენ დემონსტრაციით ახალგაზრდა პოეტები - “ცისფერი ყანწელები”. ბევრს არ მოეწონა ახალგაზრდობის მედიდური დეკლარაცია, ლექსები, მათ მიერ წაკითხული, მათი განმარტება თავიანთ ზრახვათა. შეიქმნა კამათი, შემდეგ ცხარე დაობა, დაბოლოს თავშეუკავებელი მიმართვა ზოგიერთ დამსწრეთაგან. და ამ აღელვებულ საზოგადოებაში საოცარი ლამაზი იყო კიტა მის მიერ ნათქვამი სიტყვით, მის მიერ სიმპატიის გამოსახვით ახალი ძალებისადმი, მისი იმედიანობით და ნდობით ამ ახალ ძალებისადმი. კიტამ დაამშვიდა აღელვებული შეკრებილობა და საყურადღებოდ გახადა ამ ახალგაზრდათა მისწრაფება და სურვილი. მას ღრმად ახარებდა ახალი ძალების გამოჩენა, გამოსვლა და ამუშავება”.

კიტა აბაშიძე მუდამ ინტერესით ადევნებდა თვალს ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებას და იშვიათად ღალატობდა მას ლიტერატურული გემოვნება და ალღო. სიხარულით შეეგება იგი “ცისფერყანწელთა” ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლას და ამ ლიტერატურულ ახალგაზრდობას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. და მართლაც, ამ თაობამ არაერთი ქემმარიტი შემოქმედი შესძინა ქართულ პოეზიას.

კიტა აბაშიძე ყოველთვის ცდილობდა დაძვებ მწერალთა წაქეზებას და გამხნეებას, და არა ერთი და ორი ნიჭიერი ახალგაზრდისათვის გაუწვდია მას მამა-შვილურად და ძმურად დახმარების ხელი, შემწეობა აღმოუჩენია მორალურად და მატერიალურად. და, ცხადია, ახალი ლიტერატურული თაობაც უდიდესი სიყვარულით იყო გამსჭვალული მისდამი.

კიტა აბაშიძის არქივში იმდროინდელ ახალგაზრდა მწერლებისა მრავალი პირადი წერილია დაცული - აღსავსე თავისი უფროსი მეგობრის მიმართ წრფელი სიყვარულითა და მაღლიერებით.

ასეთ წერილებს სწერდა მას ჭაბუკი კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც მაშინ პირველ ნაბიჯებს დგამდა ლიტერატურულ სარბიელზე.

ასეთ წერილებს სწერდა მას ახალგაზრდა გრიგოლ რობაქიძე.

წრფელი სიყვარული და პატივისცემა გამოსჭვივის იოსებ გრიშაშვილის პირად წერილებშიც, რომლის პოეზიაზე კიტა აბაშიძემ მიაქცევინა საზოგადოებას ყურადღება.

აი, ზოგიერთი ამონაწერი გრიშაშვილის ამ წერილთაგან: “პატივცემულო კიტა! ძალიან გმადლობთ ყურადღებისათვის და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს ნდობას და საზოგადოების თბილ თანაგრძნობას ბრიყვულად არასოდეს არ მოვეპყრობი და არც ჩავიფლები. თუ ცოცხალი ვიქნები, ამასაც დაინახავთ. მე მხოლოდ თქვენი აზრი მაინტერესებდა ჩემზე. და რადგან ეხლა გავიგე, გავიგე რომ ჩემშიც რაღაც არის, და მეც შემიძლიან სამშობლოს მსხვერუელ ჩანგს ერთი სიმი მეც ჩაკვანძო, რასაკვირველია, ვეცდები უფრო ღრმა და უფრო მტკიცე ვიყო... თქვენი ფელეტონები ჩემზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს და ვეცდები განვკაცდე და მგოსნად გადავიქცე. მართლა!..

...დასასრულ მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი და როგორც ჩემს მამობილს ამბორით ვწვავ თქვენს ღაწვსა - შორით!.. ახ, იცით კი, რომ მე არასოდეს არ ვივიწყებ ჩვენს მამულიშვილს, ჩვენს

დუშმანის ზარდამცემ და ქართველობის გამასახიერებელ კიტა აბაშიძეს?!.. თქვენ ეს იცით?.. მარადის იქითაც თქვენი ერთგული ი. გრიშაშვილი”.

თუ რა დიდ პატივს სცემდნენ კიტა აბაშიძეს ახალგაზრდა მწერლები და რამდენად აფასებდნენ მის აზრსა და რჩევას, ჩანს სანდრო შანშიაშვილის წერილიდანაც, რომელიც ლაიფციგიდან არის კიტა აბაშიძისადმი გამოგზავნილი 1913 წელს.

“ჩემო ძვირფასო და საყვარელო მასწავლებელო კიტა! - წერს სანდრო შანშიაშვილი, - ჭკმბარიტად თქვენ ჩემი ნამდვილი მასწავლებელი ხართ. თქვენს ყოველ სიტყვას გულის კანკალით მოვისმენ ხოლმე და ღრმად აღვბეჭდავ გულზე. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა წერილმა ჩემზე. ერთ კვირას არც ავად ვიყავი და არც კარგად. არც სვედიანი და არც გახარებული. რაღაც იდუმალმა ძალამ შემიპყრო. თქვენ მე ნათლად გამირკვეით ჩემი ნაწერები და ღრმად დამაფიქრეთ. ჩემს სულში მე თქვენ ჩამახედეთ მთელის სიძლიერით. ვგრძნობ, თითქოს გარდავიქმენ, ოდეს თქვენი აზრი მოვისმინე; არა იმიტომ, რომ ჩემს ნაწარმოებს ხანდახან აქებთ, და აქებთ მეტისმეტად, რასაც, მე ვგონებ, მაგრე არ იმსახურებს, არამედ იმიტომ, რომ ჩემი გზა თქვენ მე ნათლად დამანახეთ... რა გაორკვეებულის ძალით ვეცდები, რომ თქვენი იმედი საბოლოოდ დავაგვირგვინო... ამ ბარათის დანიშნულებაა, ჩემო ძვირფასო კიტა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ. მე თქვენთან ძალას ვგრძნობ და ჩემი ოცნება უფრო და უფრო ფრთას შლის. თქვენი მარად მოსიყვარულე სანდრო შანშიაშვილი”.

მიუხედავად საზოგადო საქმიანობით უადრესად გადატვირთულობისა, კიტა აბაშიძე ყოველთვის პოულობდა დროს, რათა მონაწილეობა მიეღო ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებით ლიტერატურულ საღამოებში. ასეთი საღამოები საკმაოდ ხშირად იმართებოდა ხოლმე, და ახალგაზრდა მწერლები ყოველთვის ცდილობდნენ ამგვარ საღამოებში მონაწილეობა მიეღოთ გამოჩენილ მოღვაწეებს, რათა ამით მოეზიდათ საზოგადოება.

ერთხელ, ასეთი საღამოს გამართვა განუზრახავს ახალგაზრდა პოეტს სიკო ფაშალიშვილსაც. საღამოში მონაწილეობის მისაღებად, ცხადია, კიტა აბაშიძეც იყო მოწვეული, მაგრამ, როგორც სიკო ფაშალიშვილი იგონებს, “საღამო გადაიდო, ბილეთების ფული პატრონებს დავუბრუნეთ და ეს ამბავი გულდაწყვეტილმა კიტა აბაშიძეს წერილით ვაცნობეო. ეტყობა მეტად პესიმისტური წერილი გამომივიდა, - წერს სიკო ფაშალიშვილი, - რადგან მან მამობრივი თანაგრძნობით, გულთბილი სანუგეშო პასუხი მომწერა. ვვიქრობ, კიტა აბაშიძის წერილის გახსენება უადგილოდ არ უნდა ჩამეთვალოს. ჩემი საარქივო უჯრიდან შემოკლებით მომყავს პასუხის ზოგი ადგილი, მომყავს გასაცნობად, თუ რამდენად გულისხმიერი იყო იგი, როგორ უყურებდა მომავალს, ან როგორ ეპყრობოდნენ მისი მსგავსი უფროსები უმცროსებს. “საყვარელო ძმაო სიკო, - ტოლივით მწერდა იგი, - ჭკმბარიტად რაღაც საბედისწერო სჭირს მაგ თელავის საღამოს. შენ ვერ წარმოიდგენ რა მთელის არსებით მინდოდა მაგ საღამოზე დასწრება. სრულიად მზად ვიყავი წამოსასვლელად, შენი დეპეშა რომ მომივიდა... ძალიან დამაღონა... კარგად იცი, შენი დიდი თავყვანისმცემელი ვარ და, რომ ამხანაგურად ნებას მომცემდე, რაც ხარჯი გასწიე - გავიზიარო, დიდად მასიამოვნებ, - ანდა მთლიანად გადავიხდი იმ პირობით, რომ შემდეგ ამინაზღაურებ, როცა საღამოს გავმართავთ...”

ღმერთმა იქნებ ისეთი დრო დაგვიყენოს, რომ უფრო კარგი და დიდებული რამ გავმართოთ. გული მაგრად იქონიე, შენი ხნის რომ ვიყო, ცა ქუდად არ მიმაჩნდება და დედამიწა - ქალამნად... ისეთი ბრწყინვალე მომავალი გაქვთ თქვენ, ახალგაზრდებს, რომ მარტო მაგით უნდა იყოთ აღტაცებული. კარგად იყავი. გიძღვნი ძმურსა და ამხანაგურ სალამს! შენი კიტა აბაშიძე!” (“შეხვედრები დაუვიწყარ ადამიანებთან,” 1961).

კიტა აბაშიძეს, მისი ნაწერების საერთო აღიარებასა და მოწონებასთან ერთად, ხშირად საყვედურობდნენ ხოლმე, რომ იგი ქართველ მწერლებსა და მათ შემოქმედებას გადაჭარბებულად მაღალ შეფასებას აძლევდა. კიტა აბაშიძის ლიტერატურული მოწინააღმდეგენი ხშირად ესხმოდნენ მას თავს ამ ნიადაგზე, კიტა აბაშიძის თავყვანისმცემელნი კი მობოდიშებით ცდილობდნენ ხოლმე ამაში მის გამართლებას. კიტა აბაშიძის “ლიტერატურული კალამი დიდი იარაღი იყო გავლენისა და გემოვნებისათვის, - წერდა შალვა ამირეჯიბი, - მრავალ წლობის განმავლობაში ის იყო არბიტრი ამ გემოვნებისა. მას უსაყვედურებდნენ, რომ როგორც კრიტიკოსმა, მან შექმნა აუარებელი ტალანტები ჩვენს ლიტერატურაში... მას ჰქონდა უტყუარი ნიჭი ნამდვილი ტალანტის გამოცნობისა, მაგრამ როდესაც ცხოვრება არ იძლეოდა მას, ის ქმნიდა მას წინააღმდეგ ფაქტისა, რათა ხალხს თავისი თავი ღარიბად არ ეგრძნო და მისჩვეოდა ამ ტალანტების ყოლის გამუდმებულ სურვილს. ამით იგი ამყნობდა კულტურულ თვისებებს იმ ერს, რომლის კულტურით იგი მოხიბლული იყო” (გაზ. “საქართველო”, 1917, 1277).

...უცნაური იყო კიტა აბაშიძის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობის ხვედრი. კიტა აბაშიძეს, სიცოცხლეში, ქართული მწერლობის ღირსებათა გაზვიადებას სდებდნენ ბრაღად, ხოლო შემდგომში კი არაერთხელ თქმულა, რომ კიტა აბაშიძის კრიტიკულ ნაწერებში სათანადო და ღირსეული დაფასება ვერ ჰპოვაო მეცხრამეტე საუკუნის მდიდარმა ქართულმა ლიტერატურამ...

დგება 1917 წელი... “პეტერბურგიდან არეულ-დარეული ამბები მოდიოდა... - ვკითხულობთ დავით კლდიაშვილის მოგონებებში, - ახალი ამბების გასაგებად ყოველ დილას მივეშურებოდი შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაკენ. აქ მუდამ იყვნენ თავმოყრილნი ჩვენი მოწინავე პირები; ისმოდა გაუბედავი გადმოცემა ახლად ჩუმად მოსულ ამბების; ეს ახალი ამბები თანდათან მრავლდებოდა. ერთხელ შეწყდა ყოველგვარ ამბების მოსვლა; აღარაფერი ისმოდა თითქმის სამი დღის განმავლობაში. ჩვენც საბჭოში კიტა აბაშიძის მაგიდას ვუსხედით გაჩუმებულნი, ახალი ამბის მომლოდინენი.

...დილაა, ვზივართ საბჭოში კიტას გარშემო... მიმიე სიჩუმეა. უცებ გაიღო კარი და ოთახში შემოვარდა აღელვებული ქუთაისის ქალაქის თავი ილიკო ჩიქოვანი. ხელში ქაღალდი უჭირავს. აღელვებული მივარდა კიტას, გადაეხვია და გადაჰკოცნა. ყველანი წამოვცვივდით... წაიკითხე! - ამბობს აღელვებული ჩიქოვანი, რომელმაც კიტა აბაშიძეს გადასცა ხელში რომ ქონდა დეკემბა. კიტამ წაიკითხა დეკემბა. - დეკემბა იყო ნიკოლოზის გადადგომის შესახებ.

მიღებულმა ამბავმა თვალის დახამხამებაში შემოიარა მთელი ქალაქი... სიხარული, ერთმანეთის მილოცვა, ყვირილი, ყიჟინა, სიმღერა, ქუჩებში აუარებელი ხალხი... მარსელიოზა, ინტერნაციონალი... ბაირაღები... ესტრადაზე გროვა აღელვებულ ორატორების”.

ამ ორატორთა შორის კი პირველი კიტა აბაშიძე იყო.

აი, რამდენიმე ამონარიდი კიტა აბაშიძის მიერ ამ საზეიმო დღეს ექსპრომტად წარმოთქმული სიტყვიდან, რომელსაც უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია ხალხზე:

“ქრისტე აღსდგა, დევნილო საყვარელო ჩემო ამხანაგებო!

ჩვენ ჩვეულნი ვიყავით უბედურების დროს შევყრილიყავით ხოლმე ჭირ-ვარამის გასაზიარებლად, ცრემლის ერთად დასაღვრელად.

დღეს კი თქვენ სახეს ღვთაებრივი სიხარულის ღიმილი ამშვენებს და თვალები აღზნებული გაქვთ პრომეთეოსის ცეცხლითა.

საქართველოს სიმართლის, სიმშვენიერის და ბედნიერების ღმერთებს საუკუნის განმავლობაში ნატარები ძაძები გაუძრცვნიათ და საქორწილოდ მორთულან.

ჩვენი ერის სათაყვანებელ სამებას, ჩვენი კულტუროსნობის, გმირული წამებისა და ძლევა მოსილობის სიმბოლოს, - ნინოს, ქეთევანსა და თამარს ნეტარების ბრწყინვალე შარავანდედი თავს დაუდგამთ, სადღესასწაულოდ მომზადებულან და საქართველოს დიდებას გალობით წარმოსთქმენ.

ირაკლის საფლავზე ვარდ-იები სამადლობელ ჰიმნს ღელვით ჩურჩულებენ.

მთაწმინდის დარაჯთ, წამებულსა და ბედნიერ ჩვენ მოძღვრებს ასრულებული ანდერძის სადიდებლად ჩანგური აუწყვიათ და ჩვენი გაზაფხულის ქორწილსა და ჩვენ მომავალ ბედნიერებას უგალობენ, - გადმოგვამხიან: ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნეს, - მოვიდა დრო და გავიღვიძოთო.

ჩვენს საყვარელ არჩილს ფოლადის ჩაქუჩი მოუმართავს და ქნარზე ფოლადის სიმებს აბამს, ჩვენი ერის გაერთიანება-ძლიერებას დაღადებს და ჩვენი უფლებების აღდგენას გვიბრძანებს.

და მთელი კეკლუცი, მზის სხივოსანი, ნიადაგ აყვავებული სამშობლო ჩვენი გარდაქცეულა ერთ უზენაეს სიმფონიად, რომელიც გვატკბობს, გვალეღვებს და აღვიტაცებს: საქართველო აღსდგეს, აღსდგა საქართველო.

დაემხო მტარვალი, რომელმაც აწამა ერი თავისი, რომელმაც თვალუწვდენელ რუსეთის სამეფოში გაუბედურებულ დედათა ცრემლისა და მამულისათვის თავდადებულ გმირთა სისხლის ოკეანე დააყენა, - სიბინძურისა და ბიწიერების მორევში ჩაიხრჩო.

დაისაჯა სამაგალითოდ ის, ვინც თავისი ტლანქი ქუსლებით გასთელა წამებული საქართველოს დიდებული წარსულის ანდერძი, ვინც ნაფლეთ ქაღალდად აქცია ერის ცრემლითა და სისხლით ნაწერი საბუთი, ერის მომავლის განმამტკიცებელი, და აი, დღეს უნდა მოისპოს საუკუნის განმავლობაში ჩადენილი ბოროტმოქმედება და ძალმომრეობა, დღეს უნდა აღდგენილ იქმნეს ჩვენ ვაჟკაცთა სისხლში გაბანილი, შელახული უფლება ჩვენი.

და ქართველმა მშრომელმა მასსამ, ამ უჩინარმა ძლევა მოსილმა დარაჯმა საქართველოსამ, ხალხმა, რომელმაც არა ერთსა და ორ მტარვალს გამოსტაცა საქართველოს ბედის გასაღები ხელიდან, ქართველი მშრომელი ხალხის დევგმირმა მკლავებმა უნდა გასჭედოს ბედნიერება საქართველოსა ან დღეს, ან არასოდეს.

ეს უნდა იყოს ჩვენი ლოზუნგი, და ფიცი დავსდვით, საყვარელო ლომგულო ჩემო ამხანაგებო, რომ ბედნიერ რუსეთში საქართველოც ბედნიერი იქნება, მით, რომ მოვიპოვებთ პოლიტიკურ თავისუფლებას, დემოკრატიული თვითმმართველობის - ავტონომიის სახით და ან გავსწყდებით. მოსწყინდა ჩვენს ქვეყანას მის მოელვარე ცაფირუზზედ სევდისა და უბედურების ღრუბლები, მასა სურს, რომ საქართველოს მზის ცხოველმყოფელობა ერთი მისხალითაც კი არ იყოს შესუსტებული.

ფიცი დავსდვით ჩვენ აქ, რომ მოუპოვებთ საქართველოს დიდებას და სიხარულს, და ამისთვის სიკვდილს უშიშრად შევეგებებით.

საქართველო დიდებული, ხომ იცით, რუსთველსა ჰქმნის მაშინაც კი, როცა მის ბედს განაგებდა უმცირესობა, ხოლო დღეს, როდესაც საქართველოს ბატონ-პატრონი შეიქმნება მთელი ერი, მისი ტანჯული და გვემული მშრომელი მასსა, - იგი ერთი ათად უფრო ბრწყინვალე შეიქმნება ჩვენდა სანეტაროდ და კაცობრიობის სასარგებლოდ...

რუსეთის ერთა შორის არ არის ერი უფრო კულტურული, უფრო მშვენიერი, ვიდრე ჩვენ, ქვეყანა უკველუცესი, ვიდრე ჩვენი, და ჩვენ ღირსი ვართ ბედნიერების და ამ ბედნიერებას ჩვენ მოვიპოვებთ და აწი აღარ მოვითმენთ აღარავითარ მტარვალს, რა სახითაც არ უნდა მოგვევლინოს იგი.

მაშ, გაუმარჯოს საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს ბედნიერების ქვაკუთხედსა და დარაჯს ქართველ მშრომელ მასსას!

გაუმარჯოს მის უდიდებულესობას - რევოლუციონურ რუსეთს!"

მეორე დღეს, 4 მარტს პრესაში ქვეყნდება კიტა აბაშიძის მიერ პეტერბურგში დროებითი მთავრობის მისამართზე გაგზავნილი ტელეგრამის ტექსტი:

“აღმასრულებელი კომიტეტის წევრს, დეპუტატ ა. ფ. კერენსკის.

ქართველი ერის წარმომადგენელი ელიან, რომ განახლებული რუსეთი გაასწორებს საუკუნის ცოდვას, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ ქართველი ერის საერთაშორისო ხასიათის მქონე ტრაქტატი “ქალაქის ნაფლეთად” აქცია ძველმა რეჟიმმა, და იმედი აქვთ, რომ ეხლა მაინც განხორციელდება მათი სამარადჟამო ლტოლვა ავტონომიური თვითმმართველობისა დემოკრატიულ საფუძველზე. ჩვენ კი მზად ვართ მთელის ჩვენის სისხლით მხარი მივცეთ რუსეთს, რომელიც დაადგა ერთადერთ გზას განახლებისას”.

რამდენიმე დღის შემდეგ კიტა აბაშიძე ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატის წევრად და ამიერკავკასიის განათლების კომისრად ინიშნება.

თებერვლის რევოლუციამ “პირველსავე წამიდან მოიყოლია კიტა მეზრძოლთა პირველ რიგებში. - ვკითხულობთ ივ. ზურაბიშვილის მოგონებათა წიგნში “კარგ ქართველთა ხსოვნისათვის”, - ისედაც მკვირცხლი, ცოცხალი და აქტივი კიტა მთელის თავის არსებით შეუერთდა მას. დიდის ხნის ნატვრანი ხელმისაწდომ და განადლებულ სინამდვილეთ წარმოუდგა მის აღზნებულ გონებას. თუ რამე ეშველებოდა მის დაჩაგრულ ერსა და შშობელ ქვეყანას, სწორედ ახლა, საჭირო იყო გარჯა, ძარღვების დაჭიმვა, მთელის ძალღონის მოკრება და მთელის ენერგიის ამუშავება...

მაგრამ სწორედ ამ დიდებულ წამს, როდესაც იწყებოდა, ეგონა, ნამდვილი სიცოცხლე და ნამდვილი მოღვაწეობის დრო, სწორედ ამ დროს დასცა ბედმა ქურდულად ზურგში ლახვარი: უკურნებელმა სენმა ლოგინად დააგდო და რამდენსამე თვეში გამოასალმა კიდევ ამ წუთისოფელს.

...უღვთო სიკვდილმა იმდენი სულგრძელობაც კი ვერ გამოიჩინა, რომ 26 მაისის სანატრელი ხმის გაგონება დაეცალა მისთვის”...

კიტა “დაულალავი მუშა იყო, - წერდა დავით კლდიაშვილი, - იგი თავის თავზე იმდენს არ ფიქრობდა, რასაც საზოგადო საქმეზე. თავის დაზოგვა მისთვის გაუგებარი იყო, სრულიად არ ეგუებოდა მის ბუნებას და ამან კიდევ მოუსწრაფა სიცოცხლის დღენი... იგი განათლების კომისარი იყო, - ავადმყოფი იგი ჩარგული იყო გაუთავებელ მუშაობაში... ამ თავდაუზოგველობამ, შეუწყვეტელმა მუშაობამ თავისი ქნა - უდროოდ მოუსპო სიცოცხლის დღენი ჯერ კიდევ ახალგაზრდას, ენერგიით სავსეს, ცოდნით აღჭურვილ თვალსაჩინო მოღვაწეს”.

კიტა აბაშიძეს ლოგინად ჩავარდნილსაც არ შეუწყვეტია ზრუნვა ქართული კულტურის საკეთილდღეოდ. 1917 წლის აგვისტოში იგი, მიხეილ გედევანიშვილის საავადმყოფოში მყოფი, გრძნობს სიკვდილის მოახლოებას და ადგენს ანდერძს: “ჩემი ლიტერატურული ნაწარმოებები გადაეცეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; ჩემს ბიბლიოთეკას ვუტოვებ ქართულ უნივერსიტეტს, რომელიც უნდა დაარსდეს თბილისში”...

კიტა აბაშიძე 1917 წლის 17 დეკემბერს გარდაიცვალა.

“კიტა აბაშიძე გარდაიცვალა!” როგორ უნდა მომკვდარიყო ეს ადამიანი, როგორ, - დაუჯერებელი ამბავია! - რომელსაც სიკვდილი არა სჯეროდა! - წერდა კონსტანტინე გამსახურდია, - გარდაიცვალა ადამიანი, რომელსაც თუმც აქა-იქ გარეოდა ვერცხლის ჭალარა, მაგრამ გაუნელებელი ჩირაღდანივით იწვოდა მშვენიერების კოცონზე... რა ადრე იყო მისთვის...

მშვიდობით, ცხოვრების შუა გზაზე შემოღამებულო მწირო! 1917 წლის 24 დეკემბერს  
კიტა აბაშიძე დიდუბის ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს...

გიორგი აბაშიძე

## კომენტარები და შენიშვნები

### “ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ”

კიტა აბაშიძის ნაშრომს - “ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ” განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არა მარტო საკუთრივ კიტა აბაშიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, არამედ საზოგადოდ XIX - XX საუკუნეების ქართული მწერლობის ისტორიაში. ეს ფუნდამენტური გამოკვლევა XX საუკუნის დამდეგს, კიტა აბაშიძისავე სიტყვით რომ ვთქვათ, წარმოადგენდა “ერთადერთ სისტემატურ შრომას (რა ღირსებისაც არ უნდა იყოს იგი) XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ ქართულ ენაზე, სადაც ავტორი ცდილობდა ეს დიადი მოვლენა ჩვენი ერის აზრის და გონების სამეფოთა თვალწინ გადაეშალა მკითხველი საზოგადოებისათვის”.

მაგრამ “ეტიუდების” მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში არ ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ იგი ქართულ ენაზე არსებული პირველი და იმხანად ერთადერთი განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომი იყო XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. “ეტიუდებმა” უდიდესი როლი შეასრულა როგორც ქართული სალიტერატურო კრიტიკის შემდგომი აღმავლობის, ასევე XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის - როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. და თუმც საბჭოური რეჟიმის ხანაში, დროთა მანძილზე “კიტა აბაშიძის ნათელ სახეს - როგორც კონსტანტინე გამსახურდია წერდა, - დავიწყების ჩრდილი ჰქონდა მიფენილი”, მაგრამ ეს “დავიწყება” ფორმალური ხასიათისა იყო მხოლოდ: კიტა აბაშიძის კრიტიკული ნაწერები და, კერძოდ, მისი “ეტიუდები” მუდამ დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიკოსთათვის, სტიმულსა და გეხს აძლევდა მათ კვლევა-ძიებას.

“ეტიუდების” 1962 წლის გამოცემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიაში ახალგაზრდა კრიტიკოსი ნოდარ ჩხეიძე მორიდებით შენიშნავდა: “დღევანდელი მკითხველისათვის შეიძლება ყველაფერი ახალი და ახლებული არ აღმოჩნდეს “ეტიუდებში”, მაგრამ ამის მიზეზი ისიც არის, რომ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებში მრავალი მოსაზრება, შეფასება და ცალკეულ ნაშრომთა ანალიზი კიტა აბაშიძის “ეტიუდებს” ეყრდნობა”; შემდგომში ეს აზრი უფრო აშკარად იქნა გამოთქმული: “მიუხედავად დიდი დამსახურებისა..., კიტა აბაშიძის მემკვიდრეობის ნეგატიური მხარე იქცა ცხარე კრიტიკის საგნად, ხოლო პოზიტიური სრულებით არ იხსენიებოდა, - წერდა პროფ. ი. ბოცვაძე. - ზოგიერთი ლიტერატორი იქამდისაც კი მივიდა, რომ თავის შრომებში მოურიდებლად გადაიტანა კ. აბაშიძის დებულებები და ისინი... თავისად გამოაცხადა (ამ გარემოებას ისიც უწყობდა ხელს, რომ კ. აბაშიძის “ეტიუდები” კარგა ხნის განმავლობაში ბიბლიოგრაფიულ იმპიათობას წარმოადგენდა)”.

ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, როგორც მეცნიერება, ფორმალურად, კიტა აბაშიძის მცდარ შეხედულებებთან პაექრობისა და მისი უარყოფის გზით ვითარდებოდა, და “კიტა აბაშიძის სახელსა და გვარს მხოლოდ მაშინ შევხვდებოდით, როდესაც ცალკეულ შრომებსა და წერილებში დამკვიდრებული შეცდომებისათვის აკრიტიკებდნენ,” მაგრამ ფაქტობრივად, არაერთი კიტა აბაშიძის “ეტიუდებში” განვითარებულ შეხედულებათაგან “ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში მტკიცედ დამკვიდრდა... და დიდი ხნის განმავლობაში მისი გადასინჯვის სერიოზული ცდა არავის მოუცია; სხვადასხვა ვარიაციით კვლავ იგი მეორდებოდა (თუმცა მის ჭეშმარიტ ავტორზე არც თუ ყოველთვის მიუთითებდნენ)...”

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ კიტა აბაშიძის “ეტიუდების” გამოცემამ 1962 წელს, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით, ზღვარი დაუდო კიტა აბაშიძის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობისადმი წარსულში დამკვიდრებულ



ტენდენციურ, ხელაღებით უარყოფით დამოკიდებულებას; თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიერ აღიარებულ იქნა ის ფაქტი, რომ აბაშიძის “ეტიუდებს” უაღრესად საპატიო ადგილი ეკუთვნის ქართული კრიტიკული აზროვნების ისტორიაში; რომ კიტა აბაშიძის ლიტერატურული მოღვაწეობა და თხზულებები საკუთრივ კრიტიკის შედარებით ვიწრო ფარგლებს სცილდება და საერთოდ ქართული აზროვნების შესაძლებლობებსა და მიღწევებზე მეტყველებს, და რომ თავისი “ეტიუდებით” კიტა აბაშიძემ პირველმა შექმნა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის მეტ-ნაკლებად სრული კურსი ქართულ ენაზე და ამით საფუძველი ჩაუყარა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიას, როგორც მეცნიერებას.

“ეტიუდების” პირველი გამოცემა 1911 - 1912 წლებში განხორციელდა (1911 წელს გამოიცა პირველი ტომი “ეტიუდებისა”, 1912 წელს - მეორე), მაგრამ მასში შემავალი კრიტიკული წერილები XIX საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედების შესახებ, ცალ-ცალკე, უფრო ადრეც იყო გამოქვეყნებული ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე. კერძოდ, “ეტიუდების” პირველ ტომში გაერთიანებული ნარკვევები - ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, გიორგი ერისთავისა და ილია ჭავჭავაძის შესახებ, ჯერ კიდევ 1898 - 1900 წლებში დაიბეჭდა ჟურნალ “მოამბის” ნომერებში (საერთო სათაურით - “ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან”) და იმთავითვე ნათელი გახდა არა მხოლოდ უდავო ნიჭიერება “ეტიუდების” ახალგაზრდა ავტორისა, მისი ფართო ერუდიცია და დიაპაზონი, აზროვნების სიღრმე და ნატიფი ლიტერატურული გემოვნება, არამედ, აგრეთვე, მისი, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსისა და კრიტიკოსის, კვლევა-ძიების მიზანი, საგანი და მეთოდი, რომელიც, არსებითად, ახლებური და ორიგინალური იყო აღნიშნული პერიოდის ქართული სალიტერატურო კრიტიკისათვის.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში სწორად არის აღნიშნული, რომ “კიტა აბაშიძე ნიჭიერი ოსტატია მხატვრული ანალიზისა და ცალკეულ ნაწარმოებთა განხილვა-მსჯავრდებისა”; ასევე, უთუოდ, სამართლიანია შეხედულება, რომ თუმც “კრიტიკას, არცთუ იშვიათად, აკლია ხოლმე სინთეზური ხასიათი, რადგან პრობლემათა დიფერენციაცია ხშირად შეუძლებელს ხდის წარმოვადგინოთ რომელიმე მწერლის სახე მთლიანად და დასრულებულად”, - კიტა აბაშიძის არაერთი კრიტიკული ეტიუდი, ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს და “გამოირჩევა აზროვნების ანალიზური და სინთეზური ხასიათის ბედნიერი შერწყმით”...

მაგრამ რამდენად სრულყოფილიც უნდა იყოს ამ მხრივ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ცალკეულ წარმომადგენელთა შემოქმედების კიტა აბაშიძისეული დახასიათება, - “ეტიუდების” ღირებულებას, მის მნიშვნელობასა და ადგილს ქართული კრიტიკის ისტორიაში განსაზღვრავს არა მხოლოდ (და არა იმდენად) ეს - თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ის გარემოება, რომ “ეტიუდებში” კიტა აბაშიძეს კვლევის საგნად - პირველად ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, - XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიის კრიტიკული ანალიზის აქვს აღებული. კიტა აბაშიძის უმთავრეს მიზანს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ევოლუციის საერთო სურათის ჩვენება წარმოადგენს, - ლიტერატურული პროცესის დახასიათება მის მთლიანობასა და განვითარებაში.

XIX საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედების განხილვა-შეფასება კიტა აბაშიძისათვის იყო არა თვითმიზანი, არამედ საშუალება XIX საუკუნის ქართული მხატვრული აზროვნების განვითარების გზების გასარკვევად, მისი “მასულდგმულელებელი და მთავარი” აზრისა და ‘გრძნობის”, საერთო’ ხასიათისა’ და სპეციფიკური თავისებურებების ნათელსაყოფად, მისი’ ძირითადი ეტაპების, “უმთავრესი მიმართულებების”, წამყვანი ტენდენციების დასადგენად.

აღსანიშნავია ისიც, რომ კიტა აბაშიძის აზრით, როგორც “ყოველი ლიტერატურა, როგორც ყოველივე გონების ნაწარმოები.., მასალაა, ფაქტია გროვია, რომლის შემწეობითაც მხოლოდ შესაძლოა გამოკვლეულ იქნას ადამიანთა ცხოვრების ზრდისა და განვითარების საუკუნო პრინციპები და კანონები”, - XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა საყრდენია, საშუალებაა ჩვენი “საზოგადო ცხოვრების კანონების დასადგენად”, - ერთადერთი’ საშუალება, რადგან XIX საუკუნის საქართველოში “სიტყვაკაზმული მწერლობა შეიქმნა ერთადერთი მხარე ცხოვრებისა, რომელიც ამ ცხოვრების ვითარების უტყუარი, ხელოვნური გამომხატველი იყო”. XIX საუკუნის განმავლობაში, კიტა აბაშიძის სიტყვით, ქართველი ერის ცხოვრება, “მთელი მისი მოქმედება, აზრი, ფიქრი, მისწრაფება ერთ რამეში გამოიხატებოდა - ლიტერატურაში, და ისიც ლიტერატურის ერთ დარგში - სიტყვა-კაზმულ მწერლობაში”, რადგან XIX საუკუნის ქართული “პუბლიცისტური ლიტერატურა, როგორც პოლიტიკურისა და საზოგადოებრივის მოქმედების იარაღი, ძალიან სუსტი და მქრალი გახლდათ”.

ამრიგად, XIX საუკუნის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის დახასიათება, “ეტიუდებში” გამოთქმულ შეხედულებათა თანახმად, საერთოდ ქართველი ერის გონებრივი და სულიერი მდგომარეობის დახასიათებასაც გულისხმობს, XIX საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარების გზების ნათელიყოფა, ამავე დროს, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების “უტყუარ” სურათსაც წარმოგიდგენს.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა “ეტიუდებში” გააზრებულია, როგორც განუყოფელი მთლიანობა, როგორც ერთიანი, განვითარებადი პროცესი, როგორც “განუწყვეტელი გონებითი წარმატება, დაუსრულებელი მოძრაობა მიმართულებათა და სკოლათა”, როგორც - ილია ჭავჭავაძის გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, - “აზრთა და მიმართულებათა წინსვლა, წარმატება.., გონების თვალთახედვის გაგანიერება, განდიდება, გაძლიერება”.

XIX საუკუნის ქართული მწერლობის ლიტერატურული მიმართულებები კიბა აბაშიძისათვის ამ ერთიანი, განვითარებადი ლიტერატურული პროცესის ორგანული შემადგენელი ნაწილებია - კანონიერი, აღმავალი “საფეხურები” ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში, - რომელნიც, როგორც შენაკადები, ერთვიან, ავსებენ, აძლიერებენ და ამდიდრებენ ლიტერატურული პროცესის საერთო მდინარებას.

პირველ ყოვლისა, სწორედ ეს ძირითადი მიზანი - XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის დახასიათება მის მთლიანობასა და განვითარებაში, - განაპირობებს კიბა აბაშიძის თითოეული კრიტიკული ეტიუდის ხასიათს: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ცალკეულ წარმომადგენელთა შემოქმედების განხილვისას კრიტიკოსის ამოცანას წარმოადგენდა არა მხოლოდ ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების ან, საერთოდ, მწერლის შემოქმედების თავისთავადი ღირსება-ნაკლოვანებების გამოვლენა, არამედ, პირველ ყოვლისა, იმ წვლილის განსაზღვრა, რომელიც მწერალმა ლიტერატურის განვითარების საერთო პროცესში შეიტანა (“ჩვენ არას ვიტყვით არც ალ. ჭავჭავაძეზე, არც გრ. ორბელიანზე, არც ნ. ბარათაშვილზე და დღეს არც ილ. ჭავჭავაძეზე, - აღნიშნავდა კიბა აბაშიძე ილია ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვისას, - თუ ყოველ მათგანის ნაწარმოებს არა ჰქონდეს მნიშვნელობა ქართულის ლიტერატურის ფორმათა და აზრთა ევოლუციაში, ცვლილებაში”).

შესაბამისად ამ ამოცანისა, XIX საუკუნის ქართველ მწერალთა მხატვრული მემკვიდრეობა “ეტიუდებში” მათ ურთიერთმიმართებასა და ლიტერატურის განვითარების ძირითად ტენდენციებთან უშუალო კავშირშია განხილული, რათა ამ გზით თვალსაჩინო გახდეს, როგორც მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები ქართველ მწერალთა შემოქმედებისა, ასევე - მათი დამოკიდებულება გარკვეულ ლიტერატურულ ტრადიციასთან; ცხადი გახდეს, როგორც სპეციფიკური თავისებურებანი, ასევე ის სიახლე, რომლითაც ხასიათდება ამა თუ იმ მწერლის შემოქმედება; ნათელი გახდეს, თუ რა მხატვრული სახეებით, თემებითა და მოტივებით გაამდიდრა თითოეულმა მათგანმა ეროვნული ლიტერატურის საგანძური. და, უთუოდ, კიბა აბაშიძის კრიტიკული ეტიუდების უდავო ღირსებაა, რომ მათში - განსხვავებით აღნიშნული პერიოდის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არსებულ კრიტიკულ წერილთა დიდი უმეტესობისაგან, - XIX საუკუნის ცალკეული ქართველი მწერალი და მისი შემოქმედება წარმოდგენილია არა როგორც იზოლირებული, დახშული რკალი, არამედ როგორც ლოგიკური, განუყოფელი შემადგენელი ნაწილი საერთო ლიტერატურული პროცესისა, ლიტერატურის განვითარების გარკვეული ეტაპისა, - როგორც კანონიერი მემკვიდრე გარკვეული ლიტერატურული ტრადიციის, გამაგრძელებელი და განმავითარებელი ამ ტრადიციისა, დაბოლოს, როგორც ნოვატორი - წინამორბედი და შემოქმედი ახლისა.

როგორც მივუთითეთ, ქართული სალიტერატურო კრიტიკისათვის ახლებური და ორიგინალური იყო კიბა აბაშიძის როგორც კვლევის საგანი, ისე მეთოდი, რომლითაც განხილავდა იგი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურას, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კიბა აბაშიძის “ეტიუდები” - საერთო მიზანდასახულებით, ამოცანებითა და XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განხილვის გეზით, - მრავალმხრივ ენათესავება ილია ჭავჭავაძის მიერ იმავე საუკუნის 90-იან წლებში დაწერილ ნაშრომს - “წერილები ქართულ ლიტერატურაზე”, რომელიც, როგორც ცნობილია, ილიას კრიტიკულ ნაწერთა შორის, ყველაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მის თვალსაზრისზე XIX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების გზების შესახებ. ქართველ მწერალთა შემოქმედების ურთიერთკავშირსა და ურთიერთმიმართებაში დახასიათებასა და ამ გზით XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების მთლიანი სურათის წარმოჩენას პირველად სწორედ ილია ჭავჭავაძის დასახელებულ ნაშრომში ვხვდებით.

მართალია, “წერილებში” ილია ჭავჭავაძეს, როგორც თვითვე აღნიშნავს, “საგნად აღებული” აქვს “არა განკითხვა ჩვენის მწერლების კრიტიკის თვალთა, არამედ იმის გამორკვევა, თუ რამოდენად იზრდებოდა, მატულობდა ჩვენი აზრი, რამოდენად შორსა და შორს სცემდა ჩვენი თვალთახედვის ისარი, რამოდენად დიდდებოდა ჩვენი მსოფლმხედველობა, და გუშინდელი რას სთესდა დღეისათვის და დღევანდელი დღე რას ითხოვს ხვალისათვის”, - ილია ჭავჭავაძეს სურს “ჩვენს ცხოვრებას... გულამდე თვალი გაუბნოს” და XIX საუკუნის ქართული ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ა ზ რ ი ს განვითარების სურათი წარმოგვიდგინოს, - მაგრამ ვინაიდან ქართული მწერლობაა ის ერთადერთი “კუნჭული”, სადაც “ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ შეაფარა თავი”, ამიტომაც, “მათის გამონასკვის, ზრდის და მატების ამბავი”, ილია ჭავჭავაძის აზრით, სწორედ “აქ უნდა ვეძიოთ”, - XIX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების, მისი “წინწაწევისა და წარმატების” მაგალითზე. “აქ გამოჩნდებოა, - წერს ილია, - გუშინ რას ვსდევდით ახალნიცა და ძველნიცა, აქ დავინახავთ - რას ითხოვდა ჟამთა სიარულში წინადლე და რა პასუხს აძლევდა მემდეგი”.

ამრიგად, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების გზების დახასიათება, ილია ჭავჭავაძისათვის საშუალებაა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების სურათის აღსადგენად. როგორც ზემოთ მივუთითეთ, არსებითად, ანალოგიურია “ეტიუდების” ავტორის თვალსაზრისიც.

ილია ჭავჭავაძის “წერილებში” XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარება გააზრებულია მუდმივად ზეადმაველ პროცესად - “განუწყვეტელ ჯაჭვად აზრთა ზრდისა ზედმიყოლებით, იმიტომ რომ აქ ერთი მეორეს ერთვის, როგორც ცალ-ცალკე ტოტი ერთსა და იმავე მდინარესა, და ერთი მეორისაგან გამოდის, როგორც თესლისაგან ნაყოფი სადღეისოდ და ნაყოფისაგან თესლი სახვალისოდ”; ხოლო XIX საუკუნის ცალკეული ქართველი მწერლის წვლილი მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში, ილია ჭავჭავაძის აზრით, განიზომება იმით, თუ რამდენად “ჩააღრმავა და გააგანიერა” მან “ზუნებითად დიდი საწყლე” ჩვენი ლიტერატურისა, რამდენად “გაამრავალგვარა დენა მწერლობისა” და “წინ წასწია” იგი, როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც”.

ასეთივეა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიტა აბაშიძის პოზიცია XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების გზების დახასიათებისა და ლიტერატურის ისტორიაში ცალკეული მწერლის ადგილისა და როლის განსაზღვრის დროს.

კიტა აბაშიძის “ეტიუდებსა” და ილია ჭავჭავაძის “წერილებში” არაერთი სხვა თანმხვედრი მომენტის აღნიშვნა შეიძლება. მაგრამ, ზემოთქმულიც სავესებით ადასტურებს ამ ორი ნაშრომის მსგავსებას, კერძოდ, მათი მიზანდასახულობისა და პრინციპების ერთიანობას. ამ მხრივ, ილია ჭავჭავაძის “წერილები ქართულ ლიტერატურაზე” კიტა აბაშიძის “ეტიუდების” წინამორბედად შეიძლება იქნას მიჩნეული.

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, თითქოს ილია ჭავჭავაძის “წერილებს” შეეძლო უშუალო გავლენა მოეხდინა კიტა აბაშიძის თვალსაზრისზე XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების კანონზომიერების შესახებ, ან მის კვლევის საგანზე თუ მეთოდზე. როგორც ცნობილია, ილიამ დასახელებული ნაშრომიდან (რომელიც დასრულებული არ არის და ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების დახასიათებაზე წყდება), მხოლოდ ცალკეული ნაწილები გამოაქვეყნა, - კერძოდ, I წერილი, სადაც განხილულია საკითხი, თუ რამდენად კანონიერია ტერმინები “ახალი, ან ძველი თაობა”, და IV წერილი, რომელშიც ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაა დახასიათებული. ამრიგად, ილია ჭავჭავაძის თანამედროვეთათვის და, მათ შორის, კიტა აბაშიძისათვისაც უცნობი იყო “წერილების” საერთო შინაარსი, მისი მიზანი და XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განხილვის ილიასეული გეზი.

კიტა აბაშიძე ილია ჭავჭავაძისაგან დამოუკიდებელი გზით მივიდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის მთლიანობასა და განვითარებაში განხილვის საჭიროების გაცნობიერებამდე. ხოლო ის უდავო მსგავსება, რომელიც არსებობს ილია ჭავჭავაძისა და კიტა აბაშიძის აღნიშნულ ნაშრომთა მიზანდასახულობასა და კვლევის გეზს შორის, ერთი მხრივ, კიტა აბაშიძისა და მისი “ძვირფასი მოძღვრის” - ილია ჭავჭავაძის აზროვნების წესის მსგავსებაზე მიუთითებს, ხოლო მეორე მხრივ, იმის დამადასტურებელია, რომ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ამ ახლებური თვალსაზრისით განხილვის აუცილებლობა დროის მოთხოვნებს შეესაბამებოდა, - საუკუნის მანძილზე ქართული მხატვრული აზროვნების მონაპოვრის ერთიანობაში გააზრება ქართული სალიტერატურო კრიტიკის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთიანობასა და განვითარებაში დახასიათების იდეა, ამ “ახალი მეთოდის მიხედვით” მისი განხილვის “აზრი და სურვილი”, კიტა აბაშიძეს, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, აღუძრა ცნობილი ფრანგი ლიტერატურისმცოდნის ფერდინანდ ბრიუნეტიერის ნაშრომმა - “გვართა ევოლუცია ლიტერატურის ისტორიაში”: “მეთოდი, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით, გახლავთ მეთოდი ევოლუციისაო”, წერდა კიტა აბაშიძე, და ეს განცხადება, ისევე როგორ ეტიუდების წინასიტყვაობაში მოცემული განმარტება იმის შესახებ, თუ “რაში მდგომარეობს” კიტა აბაშიძის აზრით, “ევოლუციის მოძღვრება ბრიუნეტიერისა, და ის მეთოდი, რომლითაც იგი სარგებლობდა ლიტერატურის ისტორიის მიმოხილვაში”, - ოფიციალურ მიზეზად იქცა კიტა აბაშიძის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობისადმი საბჭოური პერიოდის ქართული ლიტერატურათმცოდნეობის უარყოფითი დამოკიდებულებისა.

კიტა აბაშიძის ამ განმარტებას მკითხველი თავად გაეცნო “ეტიუდებში”, აქ კი უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურის ევოლუციის ბრიუნეტიერისეული თეორიისა და ამ თეორიისადმი კიტა აბაშიძის დამოკიდებულების მიმართ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში საბჭოური იდეოლოგიის პოზიციისათვისაც კი აშკარად ტენდენციური და უსაფუძვლო ბრალდებები იყო წაყენებული.

ასე, მაგ., დამკვიდრებული თვალსაზრისის თანახმად, ლიტერატურის ევოლუციის ბრიუნეტიერისეული თეორიის ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლოვანებას ლიტერატურის სფეროში ჩარლზ დარვინის ევოლუციის თეორიის უცვლელი სახით გადმონერგვა წარმოადგენდა. ეს ნიშნავდა ორგანულ სამყაროში არსებულ სხვადასხვა სახეობებსა, მცენარეთა და ცხოველთა სხვადასხვა გვარებსა და ლიტერატურულ “გვარებს” შორის სრული ანალოგიის აღიარებას. ბიოლოგიური განვითარების პრინციპებისა და კანონების ლიტერატურის ისტორიისადმი მისადაგებას, და, ამავე დროს, ლიტერატურის ევოლუციაში, “გარემო პირობების” ნაცვლად, მისი იმანენტური ძალებისათვის განმსაზღვრელი როლის მინიჭებას. ეს ნაკლოვანებანი კი ავტომატურად მიეწერა კიტა აბაშიძესაც, და ეს მაშინ, როცა, ფაქტობრივად, კიტა აბაშიძის თვალსაზრისის თანახმად - თვალსაზრისისა, რომელიც განუხრელადაა დაცული “ეტიუდებშიც” და საერთოდ კიტა აბაშიძის მთელს ლიტერატურულ-კრიტიკულ მემკვიდრეობაშიც, - ლიტერატურის ხასიათს, პირველ ყოვლისა, სწორედ “გარემო პირობები” - საზოგადოებრივი ცხოვრების მდგომარეობა განსაზღვრავს, ხოლო ლიტერატურის განვითარება საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას ემორჩილება და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარებითაა პირობადებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლიტერატურის ევოლუციის თეორიის მიმართ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში სხვადასხვა პოზიციებიდან ორი ურთიერთგამომრიცხავი შენიშვნა იყო გამოთქმული:

საბჭოური მეცნიერებისათვის ანბანურ ჭეშმარიტებად ითვლებოდა, რომ შემეცნების ერთადერთ ჭეშმარიტ მეთოდს, მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი წარმოადგენს და, რომ ევოლუციური მოძღვრება, რომელიც გამორიცხავს ნახტომებს, როგორც აუცილებელ პირობას განვითარებისა, ცალმხრივია და მცდარი. აქედან კი ბუნებრივად გამომდინარეობდა დასკვნა, რომ ევოლუციური მეთოდი ვერ მოგვეცემს ჭეშმარიტ ცოდნას დიალექტიკურად განვითარებადი სინამდვილის და, კერძოდ, ლიტერატურული პროცესის შესახებ.

მაგრამ ლიტერატურის ევოლუციის ბრიუნეტიერისეული თეორიის საბჭოთა კრიტიკოსებს მხედველობიდან გამორჩათ ის ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება (ან, იქნებ, სრულიად შეგნებულად აუარეს მას გვერდი), რომ ფ. ბრიუნეტიერი, კვლევის ევოლუციური მეთოდით უპირისპირდებოდა არა დიალექტიკურ, არამედ მეტაფიზიკურ მეთოდს, რომელსაც იმ პერიოდის ევროპულ ლიტერატურისმცოდნეობაში, გაბატონებული ადგილი ეკავა. ცნობილი ლიტერატურისმცოდნე რენე დუმიკი წერდა: “ჩვეულებად იქცა, მხატვრულ ლიტერატურას მოეპყრან, როგორც რაღაც უსიცოცხლოს, მკვდარს, მაშინ, როცა სინამდვილეში იგი მუდმივ გარდაქმნათა პროცესში იმყოფება... იცვლება, რთულდება, იშლება, კვლავ აღდგება... საჭიროა დადგინდეს ამ მოძრაობის გზები, გაირკვეს ამ ცვალებადობის კანონები, და ნაცვლად ამისა კი, ჩვეულებრივ, ცდილობენ ხოლმე, რათა ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა უბნები განცალკევებულ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ელემენტებად წარმოადგინონ. ამოცანა, რომელიც ლიტერატურის ისტორიკოსს უნდა ჰქონდეს დასახული, იმის ჩვენებაა, თუ როგორ სჩქევს სიცოცხლე მხატვრულ ლიტერატურაში. სიცოცხლის ცნების შეტანა ლიტერატურის ისტორიაში - აი, მიზანი, რომელიც დაისახა და შეასრულა ბრიუნეტიერმა” .

ამდენად, ბუნებრივია, რომ ფ. ბრიუნეტიერის თანამედროვეთა მიერ, და, მათ შორის, კიტა აბაშიძის მიერაც, ლიტერატურული პროცესის ევოლუციური მეთოდით განხილვის ცდა - ევროპულ ლიტერატურისმცოდნეობაში ბრიუნეტიერის მიერ დანერგილ სიახლედ და მის ნიშანდობლივ ღირსებად იქნა აღქმული.

ქართულ სინამდვილეში კი ამ სიახლის დანერგვა კიტა აბაშიძის “ეტიუდებს” უკავშირდება და, ეჭვგარეშეა, ეს მის მნიშვნელოვან დამსახურებას წარმოადგენს, რამდენადაც XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის დახასიათების ცდა კვლევის ამ “ახალი მეთოდით” უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში.

როგორც ზემოთ უკვე გვქონდა მითითებული, კიტა აბაშიძის თვალსაზრისი ლიტერატურის განვითარების ევოლუციური ხასიათის შესახებ და, ასევე, კვლევის ევოლუციური მეთოდი მარქსისტული იდეოლოგიის პოზიციებიდან, შენიშვნებს იმსახურებდა იმიტომ, რომ იგი - განვითარების დიალექტიკური ბუნების გამო, - ვერ გვაძლევს მართებულ ცოდნას განვითარების არსის შესახებ. მაგრამ კიტა აბაშიძის ზემოაღნიშნული თვალსაზრისის მიმართ არა მხოლოდ ამ კუთხით იყო გამოთქმული შენიშვნები. კონსტანტინე გამსახურდია კიტა აბაშიძისადმი მიძღვნილ შესანიშნავ წერილში, რომელიც უკვე რამდენიმეჯერ დავიმოწმეთ, შენიშვნის სახით წერდა:

“კიტა აბაშიძის შემოქმედების შეფასებისას უნდა აღინიშნოს ერთი, ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი. ფრანგული კრიტიკის ბრწყინვალეობით თვალმოჭრილმა ახალგაზრდამ შეითვისა ფერდინანდ ბრიუნეტიერის ე.წ. “განვითარების თეორია”.

ცნობილია: კრიტიკაში, ლიტერატურათმცოდნეობაში ოდითგანვე მრავალი გალიმათია დასეირნობდა და დღესაც არხეინად დასეირნობს.

დიადი პრინციპი განვითარებისა, რომელიც გოეტე-ლამარკის მეოხებით წარმოიშვა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, შეეხებოდა ცხოველთა და მცენარეთა განვითარებას და არამც და არამც ხელოვნებას, კულტურას.

არც ერთ ეპოქაში ეს განვითარების თეორია არ გამართლებულა ხელოვნების მიმართ.

უჩინარი ერუპციები ტალანტისა ხდებოდა როგორც ძველი საბერძნეთის, ისე ევროპის ლიტერატურათა და სხვა ხელოვნებათა სფეროში.

მოკვდებოდა ესა თუ ის გენიოსი და ხშირად მის მემკვიდრეობის ჯეჯილზე იზრდებოდნენ საშუალო ტალანტის მოღვაწენი. ეს რომ აგრე არ ყოფილიყო, ჰომეროსის შემდეგ ძველ საბერძნეთს უნდა მიეცა არა ერთი და ათი არქი-ჰომეროსი, ასევე უნდა ებარტყათ დანტეს, რუსთაველის, გოეტეს და შექსპირის გენიას.

გერმანელმა დიდმა ისტორიკოსმა ლეოპოლდ რანკემ ბავარიის მეფე ლუდვიგ მეორესთან საუბარში ბრწყინვალედ განმარტა განვითარებისა და პროგრესის პროცესი მწერლობის, საერთოდ ხელოვნების დარგში. რანკემ მართებულად უარყო ყოველგვარი პროგრესი ნაციონალურ ხელოვნებათა სფეროში...” რუსთაველის “ფიზიკური სიკვდილის შემდეგ რამდენი საუკუნე არსებობდა ქართული მწერლობა, მაგრამ რუსთაველის ჯუფთი გენია ქართულ სიტყვას არ წარმოუშვია”.

შეხედულებას, რომელიც საერთოდ უარყოფს განვითარებას, პროგრესს ხელოვნებისა და, კერძოდ, ლიტერატურის სფეროში, უთუოდ ბევრი რამ აღმოაჩნდება სადავო კიტა აბაშიძის თვალსაზრისთან:

ლიტერატურის ევოლუციის თეორიით კიტა აბაშიძის დაინტერესებასა და XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესასწავლად კვლევის ევოლუციური მეთოდის მომარჯვებას, მართლაც, ლიტერატურის განვითარების ფაქტის აღიარება ედო საფუძვლად, და როგორც “ეტიუდებში”, ასევე სხვა მრავალრიცხოვან ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაწერებში კიტა აბაშიძე მუდამ თანმიმდევრულად იცავდა თვალსაზრისს ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების, პროგრესის შესახებ.

ხელოვნების, ლიტერატურის “ზრდა-განვითარება”, “განკარგებისაკენ ლტოლვა”, “პროგრესი” - კიტა აბაშიძისათვის უცილობელი ფაქტია და, ამავე დროს, ამოსავალი დებულება მისი “ეტიუდებისა”. მაგრამ რა იგულისხმება, კიტა აბაშიძის თვალსაზრისით, ლიტერატურის განვითარების ცნებაში, რა აზრით შეიძლება ხელოვნების პროგრესზე ლაპარაკი?

ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიის ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რომელთა ირგვლივ თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობაში განსხვავებული შეხედულებები თანაარსებობს, საგანგებოა და მსჯელობა და უთუოდ ანგარიშგასაწევი მოსაზრებებია გამოთქმული კიტა აბაშიძის წერილში - “აზრი თუ ფორმა, შინაარსი თუ სხეული,” რომელიც წინამდებარე ტომშია შეტანილი.

კიტა აბაშიძის სიტყვით, მართალია, ერთი მხრივ, “არის თითქმის ყოველ ხელოვნების დარგში და ყოველ ქვეყანაში ისეთი მიუწვდომელი იდეალი, რომელიც მთელის ერის გენიოსობის შექმნილია” და რომელსაც “დღემდის ხელოვნება ვერ წასცილებია”, - (ასე, მაგალითად, “დღემდის ხელოვნება ქანდაკებისა ვერ წასცილებია ოლიმპიელ ჰერმესს პრაქსიტელისას და ვენერა მილოსელს - უცნობი ავტორისას; თავის დღეში მხატვარს ვერ უჯობნებია მიქელანჯელოსათვის, რომლის გენიოსობა სიქსტის კაპელოს კედლებზედა და ჭერზედ არის აღბეჭდილი; ამგვარია ჩვენი “ვეფხისტყაოსანიც”: ეს არის ხელოვნური ნაწარმოები, რომლის შინაარსი და გარეგანი მხარე სრულის ჰარმონიით არის შეზავებული, რომლის სიდიადე და სიმაღლე მარადის მიუწვდომელ მანათობელ ვარსკვლავად ექნება ქართველ ერსა და ლიტერატურას”), - მაგრამ ეს გარემოება, კიტა აბაშიძის აზრით, არ უარყოფს ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების ფაქტს:

“მართალია, საბერძნეთის ეპოქისა და დრამის სიდიადეს ვერ გაცვილდა მშვენიერება ევროპელთა ხელოვნებისა, - წერს კიტა აბაშიძე, - მაგრამ სალირიკო პოეზია კი ბაირონისა, ჰიუგოსი, ლამარტინისა, დევინის და მიუსსეს ხელში მთელ ფილოსოფიად გარდიქცა. დანტეს პოემა, ფორმის მხრით, ჰომეროსის პოემებზე იქნება ბევრად უფრო დაბლა იდგეს, აზრით კი დანტე უმაღლესს ფილოსოფოსობას იჩენს. სოფოკლესა და შექსპირის ტრაგედიები გარეგანის მხრით ერთ საფეხურზე შეიძლება დააყენოს კაცმა, სამაგიეროდ შექსპირის ჰამლეტის ფილოსოფიას ძველი გენიოსი ვერ მიწვდება. ჩვენი ლიტერატურიდან რომ ავიღოთ მაგალითი, რუსთაველის თხზულების ფორმის სიმშვენიერე ეს ის ღვთაებრივი იდეალია, რომელსაც დღემდის ვერცერთი ქართველი ვერ წასცილებია... მაგრამ შინაარსის მხრით, ბარათაშვილის სალირიკო ლექსების სიღრმე და თუ გინდ ილიას “განდეგილისაცა”, არც კი ჩამოუვარდება რუსთაველის პოემის სიღრმესა”.

კიტა აბაშიძე იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმად, ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორია წარმოადგენს “განუწყვეტელს გონებით წარმატებას, დაუსრულებელ მოძრაობას მიმართულებათა და სკოლათა”. ყოველი ახალი ეპოქა, ახალი დრო ახალ პრობლემებს წამოჭრის, როგორც საერთოდ კაცობრიობის, ასევე - ამა თუ იმ ერის წინაშე, პრობლემებს, რომლებიც, კიტა აბაშიძის აზრით, მთელი სისრულით აისახება ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ხოლო რადგან “ახალის აზრის და გრძნობის გამოთქმა ძველის ენით და იარაღით მეტად უხერხულია”; რადგან ხელოვნებისა და ლიტერატურის ახალი “აზრი და მიმართულება”, “ახალ სამოსელს” მოითხოვს, ახლებურ ფორმას, რომელიც სავსებით უნდა “შეეფერებოდეს”, “ეკადრებოდეს” ამ ახალ “სათქმელს”, ამიტომ “დაუსრულებელია” არა მხოლოდ “აზრთა ზრდა-განვითარება” ლიტერატურისა, არამედ, ასევე - “სხვადასხვაობა ფორმისა”, დაუსრულებელია “ვითა ბუნება და ბუნების მოვლენა, ვით ადამიანი, ადამიანის ცხოვრება, მისი გონების ფანტაზია და მისი ვარჯიშობა”.

კიტა აბაშიძის აზრით, ყოველ ეპოქაში, ყოველ ქვეყანაში, “ყოველნაირი გვარი ლიტერატურისა ყოფილა რაიმე აზრის გამოხატველი, და აი, იდეათა ევოლუცია ლიტერატურაში გამოიხატება ამ ფორმათაგან გამოსახულს აზრთა ცვლილებაში”. ამიტომ, კიტა აბაშიძის აზრით, “ლიტერატურის ისტორიას, რომელიც აშენებულია ევოლუციურს მეთოდზედ, ორი რამ აქვს საგნად: პირველად ყოვლისა გვაჩვენოს ლიტერატურულ ჟანრთა, ფორმათა, გვართა ცვლა, ხოლო მეორედ - იდეათა ცვლილება”. (ამდენად, ყოველი მწერლის შემოქმედება, კიტა აბაშიძის სიტყვით, “იმ სახით არის საინტერესო, თუ რა ადგილი უჭირავს მის ნაწარმოებს ლიტერატურის გვართა ევოლუციაში და მისი ნაწარმოების შინაარსს - აზრთა მიმდინარეობაში”).

ამ თვალსაზრისის შესაბამისად, “ეტიუდებში” XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ძირითადი მიმართულებების წარმოქმნა-განვითარება დახასიათებულია როგორც შედეგი “აზრთა, იდეათა” ზრდა-განვითარებისა, და ასასახავი სინამდვილისადმი ლიტერატურის ახლებური მიმართებისა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებრივი ყოფიერების ცვალებადობითა და განვითარებითაა განპირობებული.

იმ აზრთა და იდეათა შორის, რომელნიც განსაზღვრავენ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების ხასიათს, კიტა აბაშიძის დაკვირვებით, არის ერთი “მთავარი აზრი და გრძნობა მისი მასულდგმულებელი... და ამ გრძნობის, ამ აზრის ამა თუ იმ გავლენის ქვეშ იბადება ჩვენი მწერლობის ვაიკა და სიხარულიც: ეს არის სამშობლოს ბედ-იღბალი, მისი კეთილდღეობა, მისი უბედურება და სიხარული, მისი ვაება და ბედნიერება, მისი წარსული და მომავალი”.

კიტა აბაშიძის აზრით, “არის დრო და მომენტები ისტორიაში, როცა... თითქმის მკრეხელობად არის მიჩნეული სხვა რამეზედ ილაპარაკო და იმღერო, თუ არა იმ ღრმა ტკივილებზე, რომლითაც

არის დაავადმყოფებული ერი... ამნაირ დროში უაზროდ ითვლება ყოველივე ხელოვნური ნაწარმოები, თუმცა იგი არ ემსახურება მთავარ წყლულს საზოგადოების ცხოვრებისას. სიყვარული - თვით არსია ცხოვრებისა, მაგრამ სიყვარულზე ლაპარაკისთვის აღარა სცალია მას, ვინც მომაკვდავის სარეცელზედ გდია, მას უნდა წამალი სიკვდილთან საბრძოლველი. ხშირად ერი და საზოგადოება, ქვეყანა და სახელმწიფო ასეთ მდგომარეობაშია: მას ან გარეშე მტერი უქადის ჩაყლაპვას და ამგვარად მისი არსებობა განსაცდელშია, ან შინაგან გახრწნილებას უმადლეს წერტილამდის მიუღწევია და აქაც სიკვდილს და დაღუპვას თავისი დამამხობელი ცელი ხელში მომარჯვებული აქვს. ასეთ დროში, მართლაც, რაღა სხვადასხვა გრძნობებისათვის გვცხელა, აქ მახვილია ხელში მიუცილებელი, დოსტაქარი და წამალი”.

მეცხრამეტე საუკუნე საქართველოსათვის კიტა აბაშიძეს სწორედ ასეთ დროდ მიაჩნდა - “შავითა და ბნელით მოცულ” დროდ, როცა ქართველი ერის არსებობა მძიმე განსაცდელის წინაშე იდგა, და ცხადია, რომ ასეთ დროს ქართული მწერლობის მთავარ სატკივრად, მის მუდმივ ფიქრად და დარდად, სამშობლოს ბედ-იღბალი უნდა გამხდარიყო.

კიტა აბაშიძის აზრით, XIX საუკუნის მანძილზე, ჩვენი მწერლობის ამ “მთავარმა აზრმა და გრძნობამ”, - “საეროვნო იდეალმა”, “დიადმა აზრმა და სურვილმა ერის წყლულისა და ტკივილის განკურნებისა”, - განვითარების გარკვეული გზა გაიარა: “ყოველივე აზრი ყვავილის თესლის მსგავსია. - წერს კიტა აბაშიძე, - იგი თესლი, თუ კარგს ნიადაგზედ მოხვდა და კარგი მომვლელი ეყოლა, გამოიღებს მცენარეს, მცენარე - ყვავილს და ყვავილი კვალად თესლს... ასეთია სამარადისო მსვლელობა ბუნების ორგანული ნაწილების განვითარებისა.

აზრიც ეგრე იბადება: თუ კარგს გულს მოხვდა, ფრთებს შეისხამს და მის ზრდას დასასრული აღარა აქვს.

ამგვარი თანდათანობით ზრდა ემჩნევა საეროვნო აზრს ჩვენს ლიტერატურაში საზოგადოდ”. და “ეტიუდების” ერთ-ერთ ძირითად ამოცანას - XIX საუკუნის ქართული მწერლობის “მასულდგმულებელი” ამ მთავარი, დიადი აზრისა და გრძნობის - “საეროვნო აზრის”, “საეროვნო გრძნობის”, - ზრდა-განვითარების ნათელყოფა წარმოადგენდა, შეძლებისდაგვარად “კვალდაკვალ მიყოლა” და თვალის გადევნება მათი მსვლელობისათვის, ჩვენება იმისა, თუ ჩვენს მწერლობაში “ამ გრძნობათა გამოხატვაში” როგორ “ქცეულა თესლი ყვავილად”, თანდათან წინ როგორ წასულა ამ მხრივ ჩვენი მწერლობა და “უფრო ნათელს, უფრო გარკვეულს გზას დასდგომა”.

ზემოაღნიშნული შეხედულება XIX საუკუნის ქართული მწერლობის “მთავარი აზრის”, მისი “დედაპარღვის” შესახებ, ბუნებრივად უკავშირდება კიტა აბაშიძის თვალსაზრისს გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის ძირითად განწყობილებებსა და მის განმსაზღვრელ ფაქტორებზე, რომლებზეც კიტა აბაშიძე საგანგებოდ უთითებს “ეტიუდების” წინასიტყვაობაშივე, როგორც საფუძველზე და ამოსავალზე XIX საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედების განხილვისა და შეფასების დროს.

“უმთავრესი კილო ჩვენი მწერლობისა (განსაკუთრებით პოეზიისა) ორგვარია, - წერს კიტა აბაშიძე, - ორნაირ პირობის, ორნაირ გარემოების, ორნაირის ზეგავლენის ქვეშ აღზრდილი და გაჭედილი. პოლიტიკური და საზოგადოებრივი პირობები ისეთი იყო, რომ ღრმა სევდითა და ოხვრით ავსებდა ყოველი შეგნებული ქართველის გულს და უსასო პესიმინიზმისაკენ მიაქანებდა ჩვენ მწერლობას”, ხოლო, მეორე მხრივ, “ჩვენის, საუკუნეების განმავლობაში შექმნილი კულტურის, მწერლობის მაგალითები სულ იმას ჩაგვმახოდნენ და ჩაგვჩიჩინებდნენ: “ჰხამს მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდესო” და “ჰხამს მამაცი მამაცი სჯობს რაზომცა ნელა სტირსა, ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა ვით ქვითკირსაო”. ამ დიდებული ნუგეშისმცემელისა და გამამხნეველის წყალობით ჩვენი ლიტერატურაც ასცდა უნიადაგო და უშინაარსო წუწუნსა და გოდებას”.

ამრიგად, კიტა აბაშიძის აზრით, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ხასიათის მთავარი განმსაზღვრელი - ერთი მხრივ, XIX საუკუნის საქართველოში არსებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი პირობებია, ხოლო მეორე მხრივ, გარდასულ საუკუნეთა ქართული კულტურისა და მწერლობის ცხოველმყოფელი გავლენა; XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა, “ეტიუდებში” განვითარებული თვალსაზრისის თანახმად, “ღვიძლი შვილია” არა მხოლოდ არსებული ეპოქისა, არამედ, ასევე - მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის კანონიერი მემკვიდრე, მისი მდიდარი ტრადიციების ერთგული და გამაგრძელებელი. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, საწინდარია და დამადასტურებელი გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის თვითმყოფადობისა და ორიგინალობისა, რასაც კიტა აბაშიძის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნული

ლიტერატურის ღირებულების შეფასებისას, რამდენადაც, მისი სიტყვით, სწორედ “თავისებურება და ორიგინალობა... აძლევს მწერლობას მაღალ ღირსებას ესთეტიკურის ნაწარმოებისას”.

კიტა აბაშიძის შეხედულების თანახმად, “თუ სადმე შესაძლებელია ითქვას რომელიმე ერის ლიტერატურის მთავარ ტენდენციის შესახებ, მწერლობის ნაციონალურის ხასიათის შესახებ, კულტურის დედა-მარდვის შესახებ, ეს უეჭველად ქართული ლიტერატურის შესახებაც ითქმის, და ეს განსაკუთრებული თვისება ქართულის მწერლობისა გამოიხატება იმაში, რომ მარად ჟამს, ყოველს გარემოებასა და ყოველს პირობებში მას არ დაუკარგავს, არ გადაუხვევია ცხოვრების ალღოსათვის, არ უღალატნია მისთვის. ცხოვრების “სიტკბო-სიამე” ყოველთვის ღრმად უგრძნია, ყოველთვის სატრფიალო საგნად გაუხდია...”

კიტა აბაშიძეს მიაჩნია, რომ “შოთას თხზულების ის ცხოველმყოფელი ელლინიზმი, ცხოვრების ფილოსოფია, ცხოვრებისადმი ტრფიალის აზრი, რომლითაც აღსავსეა ეს დიდებული ნაწარმოები, ეს უკვდავი ძეგლი ქართველი ერის გენიოსობისა, ეს საღი წარმართული (პაინე) შეხედულება ცხოვრებაზე - სჩქეფს ჩვენს ლიტერატურაში დაუშრეტლად და მისი მოსპობა ვერ შესძლო ვერც ბიზანტიურმა ფორმალიზმმა სარწმუნოებაში, ვერც აღმოსავლეთის პესიმისტურმა ფილოსოფიამ, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ჩვენი ლიტერატურა საუკუნეების განმავლობაში, ვერც მისტიციზმმა რუსეთის მწერლობისამ, რომლის გავლენის ასის წლის იუბილე უკვე ნადღესასწაულები აქვს ქართულ მწიგნობრობას...”

კიტა აბაშიძე აღნიშნავს, რომ “ჩვენს ლიტერატურას, რასაკვირველია, განუცდიაო ქრისტიანობის ზეგავლენაც; სასაცილოც იქნებოდა და სატირალიც, ეს ძლიერი ძალა მისთვის შეუმჩნეველი და შეუთვისებელი გამხდარიყო. უეჭველად ამჩნევია მას დაღი იმ სარწმუნოებისა, რომლის უმთავრესი იდეალიც მოყვასთათვის თავის დადებაა: “უფროსი ამისსა სიყვარული არავის აქუს, რათა სული თვის დადვას მეგობართა თვსთათვს”, - გაისმოდა საუკუნეების განმავლობაში იესოს ტაძარში და მისი გამოხმობა, მისი გამოძახილი თვით განხორციელებულ სასოწარკვეთილების გენიოსის ნიკო ბარათაშვილის ლექსებში გაისმის: თუ ერთი მხრით, იგი ცხოვრების თავყანისმცემელია, - “რადგანაც კაცნი გვექვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდევ მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა”, გვეტყვის ის, დაგვიხატავს რა ცხოვრების ძირის სიმწარეს, - მეორე მხრით, ქრისტიანულ მოყვასის სიყვარულს იჩენს... “და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიმძელე გზისა გაუადვილდეს”, - მხნედ დაგვძახებს მას შემდეგ, რა ყოველსავე ამ სოფლიურს თავისის მერანით გადასთელავს: სიყვარულს, მეგობრობას, თვით საფლავს სამშობლო მხარეში.

ამიტომაც არის, რომ ჩვენის ცხოვრების ფილოსოფიას, “სააქაოს რწმენას, ხორცის სიამეს - აღვირახსნილი, ეგოისტური, ბინძური ელფერი კი არ სდევს, სინაზითა და სიმშვენიერითაა შემოსილიო”, დასძენს კიტა აბაშიძე.

კიტა აბაშიძის აზრით, გასული საუკუნის “ჩვენის დიდებული მწერლების სადიდებლად უნდა ვაღიაროთ, რომ მათგან ნაანდერძევი იდეალი სიმხნევისა, სიმამაცისა და ბოროტების წინააღმდეგ - “ნესტან-დარეჯანის” დასახსნელად ბრძოლის იდეალია. მათ იშვიათის გამჭრიახობით, წინასწარმეტყველურის ნიჭით შეუგნიათ ცხოვრების არარაობა, მისი სიბინძურე და სიბილწე. ძვირად თუ ოდესმე პოეტს და მწერალს უგრძნია საუკუნის ჩვენი ბედშაობა ისე, როგორც ბარათაშვილს, ილიასა და აკაკის, მაგრამ თავის დღეში მათ ვერ წარმოუდგენიათ უბედურების წინაშე მუხლის მოყრა, უბედურებაში სიტკბოების ძიება...

იგინი ყოველთვის იმას ჩაგვძახიან: “თუ კაცნი გვექვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა”, ანდა: “აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია”, ანდა კიდევ: “არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, მოვა დრო და გაიღვიძებს”.

მთელი მათი პოეზია, ფილოსოფია და მორალი ამგვარი მხნე და მრთელის პესიმით იყო გაჟღენთილი, რომელიც ცხოვრების სიმწარეს სავესებით გრძნობს, მაგრამ ამ სიმწარის შერიგებას კი არ ცდილობს, ებრძვის მას, წინაღუდგება და სწამს სიკეთისა და სიხარულის სამეუფოს განმტკიცება, და გარეშე ამისა სიცოცხლე ჩირის ფასადაც არ მიაჩნია.

ასეთია საუკუნო დედააზრი ჩვენის ლიტერატურისა, რომელიც უკვე რუსთაველისაგან გვაქვს ნაანდერძევი: საარაკო ტანჯვა ტარიელისა ნესტან-დარეჯანის ძებნაში - მისი მოპოვებით და მასთან საუკუნო კავშირით დამთავრდება...”

“ეტიუდებიდან” ჩემს მიერ ზემოთ მოტანილ ამონაწერებში განვითარებული თვალსაზრისი ქართული მწერლობის ტრადიციებთან XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის მიმართებისა და მისი “მთავარი ტენდენციის”, მისი “ნაციონალური ხასიათის” შესახებ საყურადღებოა უკვე იმით, რომ ქართული სალიტერატური კრიტიკის ისტორიაში, კიტა აბაშიძის ზემოაღნიშნული შეხედულებები, როგორც საკუთრივ XIX საუკუნის ჩვენი ლიტერატურის, ასევე, “საზოგადოდ



მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის საერთო ხასიათისა და მისი სპეციფიკის გააზრების პირველ ცდას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ კიტა აბაშიძის თვალსაზრისის თანახმად, ქართული ლიტერატურის მითითებული თავისებურებანი შედეგია და გამომხატველი საერთოდ “ჩვენი ერის არსებითი თავისებებისა”, მისი “ცხოვრების ფილოსოფიისა” და რწმენისა, მისი “კულტურის დედამარღვისა”. კერძოდ, ის ფაქტიც, რომ ჩვენს მწერლობას “თვით უადრესის სიმწარის დროსაც გულიდან არ განშორებია სიმხნევე და “ჭირსა შიგან გამაგრება”; რომ მიუხედავად იმ უზღვევ “საზოგადოებრივ უბედურებათა”, რომელიც ქართველ ერს მრავალგზის დასტყდომია თავს, - “სიხარული და ლაღობა, ცხოვრების, საწუთროს სიყვარული ჩვენს მწერლობას არ დაუგდია”; რომ თუ, ერთი მხრივ, ქართულ ლიტერატურაში “ძლიერად გაისმოდა კვნესა და ოხვრა”, - მეორე მხრივ, მას “თავის დღეში არ შეპარვია რადიკალური უსასოება და უიმედობა”, - ყოველივე ეს, კიტა აბაშიძის შეხედულებათა მიხედვით, ქართველი ხალხის პოტენციური ძალების, მისი ეროვნული ენერჯის დაუშრეტელობაზე მეტყველებს და უშუალო გამოძახილია იმისა, რომ თვით ჩვენი ერის, “მრავალი ტანჯვისა და უბედურების გადამტანი ჩვენი ქვეყნის დროშაზე ყოველთვის ეს ერთი მცნება ეწერა: “ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო”, და ეს დროშა მას ხელიდან თავის დღეში არ გაუგდია.

ქართული მწერლობა, კიტა აბაშიძის რწმენით, “ჩვენი სულიერი ძლიერების გამომსახველი და შემნახველია”, და, პირველ ყოვლისა, ქართველი ერის სწორედ ეს “ძლიერი სული” - მისი ქედმოუხრელობა, “შავ ბედთან” არშერიგება, მისი სიმხნევე და სიმამაცე, სიცოცხლისა და სამშობლოს ტრფიალი, და, აგრეთვე, მისი “ფიზიკური სიმშვენიერე” და “მისი მკვირცხლი, ცოცხალი ბუნება და მხიარული ხასიათი, - განმაცხოველებელი წყაროს როლს ასრულებდა ჩვენს ლიტერატურაში და თავის დღეში გულს არ უტეხდა ჩვენ მწერლებს”. სწორედ ეს ნიშანდობლივი თავისებები ქართველი ხალხისა “ჩვენს მწერლებს იმედსა და სასოებას უნერგავდაო გულში და საუკეთესო მომავლის საფუძვლიან მოლოდინს აღუძრავდა”, - აღნიშნავდა კიტა აბაშიძე და ამ იმედის საფუძვლიანობის საუკეთესო დადასტურებად - XIX საუკუნის ქართული კულტურისა და მწერლობის აღორძინების ფაქტი მიაჩნდა: “საკმაო იყო ქართველობას მიეღო სულ პრიმიტიული პირობა მშვიდობიანობისა და გარეშე მტერთაგან უზრუნველყოფილიყო ფიზიკურად, - წერდა იგი, - რომ მისი კულტურული ძლიერების ენერჯია აღმოხეთქილიყო და ლიტერატურაში შოთას ნაკადი განეცხოველებინა...”

რა თქმა უნდა, ერის მსოფლმხედველობისა და მსოფლშეგრძნების, ერის ფსიქოლოგიისა და, საზოგადოდ, “ერის სულის” სპეციფიკის ურთულესი პრობლემის გადაჭრა ვერ დაემყარება მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის მონაცემებს, - იგი კულტურის ისტორიის მრავალი ასპექტის შესწავლასა და გათვალისწინებას მოითხოვს და ბევრად სცილდება საკუთრივ სალიტერატურო კრიტიკისა თუ ლიტერატურისმცოდნეობის სფეროს, მაგრამ კიტა აბაშიძის ზემოთ მითითებული შეხედულებები ქართულ ლიტერატურაში გამოვლენილი ჩვენი ერის “თავისებებისა და არსების” შესახებ, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, ამ მხრივაც, უთუოდ, საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი.

კიტა აბაშიძის ზემოთ გადმოცემული შეხედულებების გათვალისწინება XIX საუკუნის ქართული მწერლობის თავისებურებათა ეროვნული საფუძვლების შესახებ, მისი თვითმყოფადობისა და ორიგინალობის შესახებ აუცილებელია, კერძოდ, გასული საუკუნის ევროპულ ლიტერატურასთან ახალი ქართული ლიტერატურის მიმართებაზე კიტა აბაშიძის თვალსაზრისის მართებული გაგებისა და შეფასებისათვისაც.

კიტა აბაშიძე, როგორც იგი თვითვე მიუთითებდა “ეტიუდების” წინასიტყვაობაში, იზიარებდა დებულებას, რომ “არსებობს საერთო “ევროპული ლიტერატურა”, ამ ლიტერატურის ესა თუ ის საერთო მიმართულება, ხოლო სხვადასხვა ერის, ქვეყნის ლიტერატურა ამ საერთო ლიტერატურის და მისი საერთო მიმართულების კერძო, თავისებური გამომსახველია”.

“ამა თუ იმ ხანაში ერთი და იგივე სტილი, ერთი და იგივე იდეალი ასულდგმულებს მთლად მთელს ევროპის ლიტერატურას და, კერძოდ, ამ ევროპის ლიტერატურის შემადგენელ წევრებსო”, მიუთითებდა კიტა აბაშიძე და XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურასაც “საერთო ევროპული ლიტერატურის” კანონიერ წევრად მიიჩნევდა.

აღსანიშნავია, რომ თვალსაზრისი “საერთო ევროპული ლიტერატურის” შესახებ კიტა აბაშიძის თანამედროვეთა შორის თანდათან სულ უფრო ფართო აღიარებას იძენდა. ამ თვალსაზრისის იცავდა არა მხოლოდ ფ. ბრიუნეტიერი, რომელსაც იმოწმებს კიტა აბაშიძე, როგორც დამადგენელს ამ “ლიტერატურული კანონისა”, არამედ, საზოგადოდ, აღნიშნული პერიოდის დასავლეთევროპული

და რუსული ლიტერატურათმცოდნეობაც. (მაგ., ზემოაღნიშნული შეხედულება ევროპულ ლიტერატურაზე ამოსავალ დებულებას წარმოადგენს XX საუკუნის ათიან წლებში მოსკოვში გამოცემული მრავალტომიანი “დასავლეთის ლიტერატურის ისტორიის”, რომლის შექმნაში რუსეთის წამყვანი ლიტერატურული ძალები იღებდნენ მონაწილეობას. “წინამდებარე გამოცემაში - ვკითხულობთ მითითებული ნაშრომის წინასიტყვაობაში, - მიზნადაა დასახული XIX საუკუნის ევროპული ლიტერატურის ს ა ე რ თ ო ისტორიის გამოცემა. ცალკეული ეროვნული ლიტერატურები შედიან მასში, როგორც შემადგენელი ნაწილები, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ერწყმიან მთავარ არხს საერთო-ევროპული გონებრივი და სულიერი ცხოვრებისას”<sup>1</sup>. აქვე დამოწმებულია ცნობილი ფრანგი მწერლისა და კრიტიკოსის ე. მ. ვოგიუს (1848-1910 წწ.) გამონათქვამი: “ერების მზარდი სოლიდარობის წყალობით, ჩვენს დღეებში შეიქმნა ერთგვარი საერთო ევროპული სული, კულტურის, იდეებისა და განწყობილებების საერთო საწყისები, რომლებიც დამახასიათებელია ყველა ინტელიგენტური საზოგადოებისათვის; მსგავსად იმისა, როგორც ყველგან ერთნაირ სერთუკებს და ფრაკებს ატარებენ, - საკმაოდ მსგავს აზრთა წყობას, რომელიც ერთნაირ გავლენას ემორჩილება, თქვენ შეხვდებით ლონდონშიც, პეტერბურგშიც, რომშიც და ბერლინშიც”.

დებულება - XIX საუკუნეში “საერთო ევროპული ლიტერატურის” არსებობის შესახებ, აღნიშნული პერიოდის ევროპის ქვეყნების ლიტერატურათა ურთიერთმიმართების არსებითად სწორ გააზრებას ემყარებოდა და, ამდენად, მისი გაზიარება კიტა აბაშიძის მხრივ, უთუოდ, საესებით გამართლებული იყო.

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმული იყო შეხედულება, რომ კიტა აბაშიძის მიერ ბრიუნეტიერის ე. წ. მეორე ლიტერატურული კანონის გაზიარება - რომ არსებობს “ევროპული ლიტერატურა” და ამ ლიტერატურის ესა თუ ის მიმართულება, ხოლო ევროპული ქვეყნის ლიტერატურა მისი კერძო, თავისებური გამოსახულებაა, - კიტა აბაშიძის შეცდომას წარმოადგენს და იმაზე მიგვითითებს, რომ ბრიუნეტიერიც და კიტა აბაშიძეც ივიწყებენო, რომ ჯერ კიდევ მანამ, სანამ შეიქმნებოდა ევროპული ლიტერატურა, არსებობდა მეტად განვითარებული და საქვეყნოდ სახელმძღვანელო მწერლობა, ხოლო ამ უკანასკნელის ერთი საუკეთესო მაგალითი ძველი ქართული მწერლობაც იყო, რომელიც თუ ბრიუნეტიერისათვის არა, კ. აბაშიძისათვის მაინც კარგად იყო ცნობილი. მაგრამ ასეთი დასკვნა, რომელიც, ჩანს, რაღაც გაუგებრობის შედეგია, აშკარად გაუმართლებელია: ის ფაქტი, რომ ბრიუნეტიერი და მასთან ერთად კიტა აბაშიძეც აღიარებდა “საერთო ევროპული ლიტერატურის” - როგორც მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი “განშტოების” (ბრიუნეტიერის გამოთქმით) - არსებობას, და, რომ, მათი აზრით, ამა თუ იმ ხანაში, და, საკუთრივ XIX საუკუნეში, ერთი და იგივე იდეალი ასულდგმულებდა მთელს ევროპის ლიტერატურას და, კერძოდ, ევროპის ლიტერატურის შემადგენელ წევრებსაც, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ მოწმობს კიტა აბაშიძის მიერ ძველ საუკუნეთა მწერლობის მდიდარი მემკვიდრეობის დავიწყებას თუ უგულებელყოფას, - ამის საუკეთესო საბუთი თვით კიტა აბაშიძის ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწერებია. საერთოდ კი, “ევროპული ლიტერატურის” არსებობა-არარსებობის პრობლემასა, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, ძველი მწერლობის მონაპოვრის დავიწყება-არდავიწყებას შორის, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, არავითარი კავშირი არ არსებობს.

მაგრამ რამდენად სწორია კიტა აბაშიძის ზემოაღნიშნული შეხედულება XIX საუკუნის ევროპულ ლიტერატურასთან გასული საუკუნის ჩვენი მწერლობის მიმართებაზე და, საერთოდ, რამდენად კანონიერია მსჯელობა ახალი ქართული ლიტერატურისა და ევროპული მწერლობის განვითარების “საერთო ტენდენციის” შესახებ?

აღსანიშნავია, რომ ევროპულ მწერლობასთან ჩვენი ლიტერატურის მიმართების საკითხებზე, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში, საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას ილია ჭავჭავაძე - დაუმთავრებელ წერილში: “ცისკარი” 1857 წლიდან - 1862 წლამდინა”, რომელშიც - ისევე, როგორც შემდგომში “წერილებში ქართულ ლიტერატურაზე”, - ილია, როგორც ჩანს, აპირებდა აღედგინა ქართული ლიტერატურის “თანდათანობითი განვითარებისა და მომწიფების პროცესი, ეჩვენებინა მემკვიდრეობითი კავშირი წინა და მომდევნო თაობებს შორის და ამავე დროს ა ე ხ ს ა და და ა ე ს ა ბ უ თ ე ბ ი ნ ა ქართული მწერლობის ძირითადი ტენდენციების საფუძველი და ხასიათი”.

ქართულ ლიტერატურაში “ევროპეიზმის” ნაკადზე მსჯელობის დროს ილია ჭავჭავაძეს დასახელებული ჰყავს დავით გურამიშვილი, “რომელმაც სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში; ალექსანდრე ჭავჭავაძე,

რომელიც უფრო ხშირად ცდილობდა მაგ ევროპეიზმის განვრცელებას, მაგრამ მაგასაც აქვს ფიგურალი ლექსი; გრ. ორბელიანი, გამგრძელებელი ევროპეიზმისა; ნ. ბარათაშვილი, ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა; ეხლანდელი მწერლები, რომელნიც ბაძვენ მაგ ევროპიულ გამოთქმას, მაგრამ თავისი აზრების მიმართულებით, იდეებით, ძველებსა ჰგვანან”.

ილია ჭავჭავაძე, როგორც თვითვე აღნიშნავს, ამ თვალსაზრისის “ფაქტებით დამტკიცებას” აპირებდა, მაგრამ, როგორც ითქვა, მითითებული წერილი დაუმთავრებელი დარჩა, ზემოაღნიშნული შეხედულების დასაბუთება ილიას არ მოუცია და ამჟამად შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ კონკრეტულად როგორ ესახებოდა მას ქართულ ლიტერატურაში “ევროპეიზმის” დანერგვა და დამკვიდრება. მაგრამ, ჩემი აზრით, ძირითადად სამართლიანია მოსაზრება, რომ “ცნება “ევროპეიზმისა” ილიას ფართოდ ესმის. მწერლის გაგებით, ეს არ გულისხმობს მხოლოდ ფორმალურ-მხატვრულ თავისებურებებს, არამედ ევროპული ლიტერატურის ტენდენციებთან, საერთოდ კი ევროპულ-რუსულ კულტურასთან კავშირს გამოხატავს. ეს იყო ქართულ ნიადაგზე, ევროპულ ასპექტში წარმოდგენილი ახალი აზროვნება, განწყობილებები, მხატვრული ხედვა, თემატიკა, წერის მანერა, და ამიტომ ილიას და, საერთოდ სამოციანელთა მიხედვით, ეს გარემოება ნიშნავდა “თავისი აზრების მიმართულებით, იდეებით” ქართული მწერლობის შემობრუნებას ევროპული აზროვნებისაკენ, მამსადაძემ, აღმოსავლური კულტურის, კერძოდ კი სპარსული მწერლობის ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტას და მათგან ეროვნული ლიტერატურის საბოლოოდ განთავისუფლებას.”

ქართული ლიტერატურის “შემობრუნება ევროპული აზროვნებისაკენ” (რომლის სათავეს ილია ჭავჭავაძე დავით გურამიშვილის შემოქმედებაში ხედავდა), ევროპული კულტურის ცხოველყოფილი გავლენა XIX საუკუნის ქართულ სინამდვილეზე და, კერძოდ, ის გარემოება, რომ გასული საუკუნის “ევროპის ლიტერატურას ჩვენს მწერლობაზე გავლენა ჰქონდა”, კიტა აბაშიძისათვის ეჭვიმუტანელ ფაქტს წარმოადგენდა და, ამავე დროს - კანონიერ შედეგს ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარებისა.

კიტა აბაშიძეს მიაჩნდა (და, უთუოდ, სავსებით სამართლიანად), რომ “აღსრულებულმა ისტორიულმა ფაქტმა” - რუსეთის მიერ საქართველოს მიერთებამ, - ჩვენი ქვეყანა “ძალაუნებურად ჩააბა ევროპის ცივილიზაციის ძლევაში მსვლელობაში, და თუ ფეხს არ მოიმარებდა ამ მსვლელობაზე - სხვას ჩამორჩებოდა და სხვისგან გაითელებოდა”. ამიტომ, კიტა აბაშიძის აზრით, “ერთადერთი საშუალება სამშობლოს სამსახურისა, იყო ისტორიის მსვლელობისაგან აღნიშნული გზა: ევროპის კულტურის მიღება, ამ კულტურის განვითარება და განმტკიცება ქართულ ნიადაგზე”.

XIX საუკუნის ქართულმა მწერლობამ, კიტა აბაშიძის მართებული შეხედულების თანახმად, ამ მხრივ უდიდესი მისია შეასრულა, და ეს, უთუოდ, მისი მნიშვნელოვანი დამსახურება იყო, რადგან “გარეშე ამ ცივილიზაციისა და კულტურისა, ქართველ ერს აღარ შეეძლო სიცოცხლე”.

მართალია, კიტა აბაშიძის შეხედულებები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარებაში ევროპული მწერლობის ზემოქმედების კონკრეტული გამოვლენის შესახებ ცალკეულ შემთხვევებში არ თანხვდება თანამედროვე ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს და კიტა აბაშიძის თეზა, რომლის თანახმადაც, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა ევროპის ქვეყნების “საზოგადო ლიტერატურის მიმდინარეობას არ ჩამორჩა” და “ჩვენი ლიტერატურაც იმ საერთო ტენდენციის გამომსახველი იყო”, რომელიც დამახასიათებელია ევროპული მწერლობის განვითარებისათვის XIX საუკუნეში, თანამედროვე ქართველ მკვლევართა აზრით, გარკვეულ კორექტივებს საჭიროებს, მაგრამ ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, არავითარ ჩრდილს არ აყენებს კიტა აბაშიძის შეხედულებათა ისტორიულ ღირებულებას და, ასევე, მის მნიშვნელობას აღნიშნული პრობლემის მეცნიერული შესწავლისათვის.

კიტა აბაშიძის აზრით, “თუ დაუკვირდებით ჩვენის ლიტერატურის მსვლელობას, ნახავთ, რომ იგი კვალდაკვალ მისდევდა ევროპის ლიტერატურას: იქაც საუკუნე რომანტიზმით დაიწყო, საუკუნის ნახევარში რეალიზმი გამეფდა, რომელიც 1870-იან წლებში ნატურალიზმად გადაგვარდა; ხოლო საუკუნის დამლევს გამეფდა ნეორომანტიზმი და სიმბოლიზმი...”

მაგ., რომანტიზმი არსებობდა ევროპაში XIX საუკუნის დამდეგში, იგი იყო ერთიანად “ევროპული ლიტერატურის” მიმართულების გამომსახველი. ხოლო ამავე მიმართულების თავისებურად გამომსახველი იყო ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული და თვით ჩვენი ქართული ლიტერატურაც”; “ასევე იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში: აქ რეალიზმი გამეფდა...”

ჩვენი ლიტერატურაც ამ საერთო ტენდენციის გამომსახველი იყო ამ ხანებში, და, საზოგადოდ, “ამ კანონს ექვემდებარება მთლად ჩვენი ლიტერატურა XIX საუკუნისა”.

ამრიგად, გარდა რომანტიზმისა და რეალიზმისა, რომელთა არსებობა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, ცხადია, არავითარ ეჭვს არ იწვევს, კიტა აბაშიძე XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში აღიარებს, აგრეთვე, ნატურალიზმის, ნეორომანტიზმის და სიმბოლიზმის არსებობასაც, რაც ეწინააღმდეგება ამჟამინდელ წარმოდგენას ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების თავისებურებებზე.

მაგრამ, რას ემყარებოდა კიტა აბაშიძის ეს თვალსაზრისი, რა საფუძველი აქვს კიტა აბაშიძის შეხედულებას: “წარსულის საუკუნის ჩვენი ლიტერატურა ადგია კანონიერსა და გაკვალულ გზას, იმავე გზას, რომელსაც ადგია ევროპული ლიტერატურა წარსულის საუკუნისაო”.

ჩვენი აზრით, შეუძლებელია იმის მტკიცება, თითქოს კიტა აბაშიძის თვალსაზრისს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების ზემოაღნიშნული “ფაზების”, “საფეხურების” შესახებ არავითარი ობიექტური საფუძველი არ გააჩნდეს და იგი გასული საუკუნის ევროპული ლიტერატურის განვითარებაზე ფართოდ გავრცელებული შეხედულების მექანიკურ განმეორებას წარმოადგენდეს: რომანტიზმისა და რეალიზმის, როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმართულებების არსებობა XIX საუკუნის საქართველოში უდავო ფაქტია; ასევე სრულიად აშკარაა ნატურალიზმის ელემენტების არსებობა გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში (კერძოდ, გ. წერეთლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაშიც; სრულიად აშკარაა ისიც, რომ რომანტიკულ ელემენტებს საკმაოდ უხვად შეიცავს, როგორც ალ. ყაზბეგის, ასევე ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. ეს გარემოება კი საკმარისი არის, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში ნატურალიზმისა და ნეორომანტიზმის არსებობის მტკიცებისათვის დამაჯერებელ არგუმენტად ყოფილიყო მიჩნეული. ხოლო თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გასული საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედების კიტა აბაშიძისეული ანალიზი, ნატურალიზმის, ნეორომანტიზმისა და სიმბოლიზმის ცნებათა დღევანდელი გაგებისაგან რამდენადმე განსხვავებულ განსაზღვრას ემყარება, ზემოაღნიშნული თვალსაზრისი XIX საუკუნის ჩვენი ლიტერატურის ევოლუციის საფეხურების შესახებ ლოგიკურად და თანმიმდევრულად წარმოგვიდგება.

ამრიგად, კიტა აბაშიძის თვალსაზრისს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ევროპული მწერლობის “კვალდაკვალ” განვითარების შესახებ, ქართული მწერლობის განვითარებაზე დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნები განაპირობებდა და არა გასული საუკუნის ევროპულ და ქართულ ლიტერატურაში განვითარების მსგავსი ტენდენციების დამტკიცების წინასწარ დასახული მიზანი, რასაც ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობა ვარაუდობდა. ხოლო ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის ევროპული და ქართული ლიტერატურის განვითარების საერთო ტენდენციების დადგენა კიტა აბაშიძეში კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობას იწვევდა, იმ გასაგები მიზეზით აიხსნება, რომ, რამდენადაც “ისტორიის მიუცილებელმა მსვლელობამ” ქართული კულტურა XIX საუკუნეში მჭიდროდ დააკავშირა ევროპულ კულტურასთან, - კიტა აბაშიძის აზრით, - გასული საუკუნის ქართული ლიტერატურა, როგორც ევროპის მოწინავე ერთა ლიტერატურების საერთო ოჯახის კანონიერი წევრი, როგორც “უმცროსი ძმა” XIX საუკუნის ევროპული მწერლობისა, სავსებით ბუნებრივი იყო ევროპის ქვეყნების ლიტერატურათა ფერხულში ჩაბმულობა; კიტა აბაშიძის აზრით, ევროპული ლიტერატურის განვითარების საერთო მსვლელობიდან განზე დარჩენა ჩვენი მწერლობის ნაკლი იქნებოდა და არა ღირსება, რადგან “ლიტერატურის მსვლელობა განისაზღვრება კანონიერებით”, ხოლო “კანონიერი გზა” განვითარებისა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის - ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების შესატყვისად, - საერთო ევროპული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი განვითარების გზა იყო.

ამიტომაც არის, რომ კიტა აბაშიძის აზრით, “სანუგეშო და საქებარია”, რომ “მიუხედავად მრავალ ხელის შემშლელ და სულის შემზუთველ გარემოებისა, წარსულის საუკუნის ჩვენი ლიტერატურა ადგია კანონიერსა და გაკვალულს გზას, იმავე გზას, რომელსაც ადგია ევროპის ლიტერატურა წარსულის საუკუნისა, და ამა თუ იმ მიმართულების შემოღებაში ბევრის ხნით არ ჩამორჩენია ჩვენი ლიტერატურა ევროპულს”. და თუკი ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის გამო, XIX საუკუნეში, კიტა აბაშიძის სიტყვით, “რასაკვირველია, ისეთი ბრწყინვალე და ძლევამოსილი ვერ იქნებოდა ჩვენის ლიტერატურის მსვლელობა, როგორც დასავლეთევროპის მწერლობისა, მაგრამ ჩვენთვის ისიც კარგია, საზოგადო ლიტერატურის მიმდინარეობას არ ჩამოვრჩით; კიდევ მეტს ვიტყვით, ამა თუ იმ მიმართულების მწერალთა დასახელებაში არც ჩვენ შეგვრცხვება: ბაირონი და შელლი თუ არა გვყოლია, ბარათაშვილი გვყავდა და ბედისაგან დაჩაგრულის ჩვენის ერისათვის

ესეც საკმაო განძია მსოფლიო ლიტერატურაში შესატანად. თუ ლეკონტ დელილი და სიული პრიუდომი არა გვყავს (ვასახელებთ, როგორც წარმომადგენლებს რეალურის ლირიკისას), ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელსაც არა უშავთ რა”...

“წურავის ეუცხოებაო, თუ ვიტყვით, - დასძენდა კიტა აბაშიძე, - რომ შესაძლოა, თუ გარემოებისაგან დაჩაგრულნი და დაბეჩავებულნი არ ვიყვნეთ, ჩვენი ლიტერატურის ზოგიერთი წარმომადგენელი უფრო საყურადღებო იყოს, ვიდრე ზოგიერთი ახლად “გამოჩხრეკილი” ევროპელი მწერალი, რომლის ერთადერთ ღირსებას ის შეადგენს, რომ ევროპის სახელმწიფოთა ან “ერთ კავშირს” ეკუთვნის და ან “მეორეს” და რომელთა სახელი და მოწონება უფრო სხვა მოსაზრებაზე არის დამყარებული, ვიდრე მის ლიტერატურულ ღირსებაზე”.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კიტა აბაშიძის თვალსაზრისი ევროპულ ლიტერატურასთან გასული საუკუნის ქართული მწერლობის მიმართებაზე და, კერძოდ, ზემოაღნიშნული შეხედულება XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის, - როგორც “საზოგადო ევროპული ლიტერატურის” განვითარების “საერთო ტენდენციის გამომსახველის” შესახებ, არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ქართული ლიტერატურის მიერ განვითარების საკუთარი გზიდან გადახვევას, ქართული მწერლობის მდიდარი ტრადიციების დალაცხ და “მონური დამოკიდებულების” დამყარებას ევროპულ მწერლობასთან, რასაც მას საბჭოური ლიტერატურისმცოდნეობა მიაწერდა: კიტა აბაშიძის როგორც ზემოთ გადმოცემული შეხედულებები ქართული ლიტერატურის თვითმყოფადობისა და ეროვნული ხასიათის შესახებ, ასევე ქართულ-ევროპულ ლიტერატურათა ურთიერთდამოკიდებულებაზე კიტა აბაშიძის მრავალრიცხოვან ნაწერებში და, მათ შორის, საკუთრივ “ეტიუდებში” განვითარებული თვალსაზრისი, სრულიად გამორიცხავს ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. ექვტარეშა, რომ კიტა აბაშიძის შეხედულება ევროპული ლიტერატურის კვალდაკვალ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების შესახებ, შეესატყვისებოდა კრიტიკოსის როგორც მეცნიერულ რწმენას, ასევე - მის პატრიოტულ მიზანს - მშობლიური ლიტერატურის, “ჩვენი ერის აზრისა და გონების სამეუფოს ამ დიადი მოვლენის”, ბრწყინვალეებისა და მაღალი ღირებულების ნათელყოფას; ევროპული და ქართული მწერლობის განვითარების საერთო ტენდენციების დადგენით კიტა აბაშიძე კულტურული მსოფლიოს მოწინავე ლიტერატურათა მასშტაბში XIX საუკუნის ქართული მწერლობის განხილვის კანონიერებას ადასტურებდა, ხოლო ამ ლიტერატურათა შედარებითი ანალიზისას, მის ძირითად ამოცანას იმის ჩვენება წარმოადგენდა, “თუ რამდენად გამოიჩინა ქართულმა მწერლობამ ის ორიგინალობა, ის თავისებურება, რომელიც მხოლოდ აძლევს მწერლობას მაღალ ღირსებას”, რომ “დიდია ეს განსხვავება, ეს თავისებურება, და ნათლადა სჩანს მასში ქართველი ერის გენიოსობა - რუსთაველის პოეზიისაგან სავსებით გამორკვეული”.

კიტა აბაშიძის თვალსაზრისს XIX საუკუნის ევროპული ლიტერატურის განვითარების პროცესთან ახალი ქართული ლიტერატურის მიმართების შესახებ უთუოდ დაეძებნება გარკვეული ნაკლოვანებანი, მაგრამ “ეტიუდებში” წარმოდგენილი ცდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების დახასიათებისა, ისე, რომ მთელი სისრულით წარმოჩენილიყო როგორც “დიდი ორიგინალობა და თავისებურება” ჩვენი მწერლობისა, ასევე - მჭიდრო კავშირში გასული საუკუნის ევროპის მოწინავე ქვეყნების ლიტერატურათა განვითარებასთან, - ქართული კრიტიკული აზრის ისტორიის თვალსაზრისით, უაღრესად საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს.

აქვე აღვნიშნავ, რომ ევროპის ქვეყნების, ისევე როგორც, საერთოდ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატურათა განვითარების ურთიერთმიმართების პრობლემა XX საუკუნეში ლიტერატურისმცოდნეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა გახდა (თუმც, სავსებით ბუნებრივია, რომ ამ პრობლემის ირგვლივ მრავალი განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება არსებობს). რუსულ ლიტერატურისმცოდნეობაში აღნიშნული პრობლემის კვლევას ფართო ხასიათი განსაკუთრებით XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მიეცა, - მსოფლიო ლიტერატურის მეცნიერული ისტორიის ძირითადი პრინციპების შემუშავებასთან დაკავშირებით. ხოლო ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა-ძიების ძირითად მიზანს - ეროვნული და მსოფლიო მხატვრული აზროვნების დიალექტიკური მთლიანობის ჩვენება წარმოადგენდა, მსოფლიო ლიტერატურის განვითარების საერთო კანონზომიერების ნათელყოფა, ეროვნულ ლიტერატურათა მსოფლიო ლიტერატურულ პროცესთან მჭიდრო კავშირში განხილვა, და, ამავე დროს, მსოფლიო ლიტერატურის განვითარებასთან ეროვნულ ლიტერატურათა განვითარების იმგვარი შესატყვისობის მონახვა, რომ, ერთი მხრივ, არ დაჩრდილულიყო ეროვნულ

ლიტერატურათა თავისებურებანი, ხოლო მეორე მხრივ, მოხერხებულიყო მათი დანახვა მსოფლიო კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის პერსპექტივაში.

ეროვნულ ლიტერატურათა განხილვა მსოფლიო ლიტერატურის საერთო სისტემაში, როგორც მეთოდოლოგიურად, ისე პრაქტიკულად, დღესაც ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად რჩება, და მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ გასული საუკუნის დამლევსა თუ ჩვენი საუკუნის დასაწყისის ქართული სალიტერატურო კრიტიკა ვერ შესძლებდა აღნიშნული პრობლემის ამომწურავ და დღევანდელი დღისათვისაც სავსებით დამაკმაყოფილებელ დამუშავებას.

ცხადია, კიტა აბაშიძეც ვერ მოგვემდა ამ რთული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტას (როგორც აღვნიშნე, ეს პრობლემა დღესაც არ არის საბოლოოდ გადაჭრილი), მაგრამ ქართული კრიტიკის ისტორიაში კიტა აბაშიძის მიერ წარმოდგენილი პირველი ცდა XIX საუკუნის ქართულ და ევროპულ ლიტერატურათა განვითარების საერთო კანონზომიერების დადგენისა, მეტად მნიშვნელოვანი იყო უკვე თვით საკითხის დასმით, - ევროპის ქვეყნების ლიტერატურათა განვითარების საერთო კანონზომიერების არსებობის აღიარებითა და “საერთო ევროპული ლიტერატურის” განვითარებასთან ქართული მწერლობის მიმართების გარკვევის აუცილებლობის გაცნობიერებით.

XIX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების თავისებურებებზე კიტა აბაშიძის შეხედულებათა შესახებ მსჯელობის დროს და, კერძოდ, ქართული კრიტიკის ისტორიაში “ექიუდების” ადგილისა და როლის განსაზღვრისათვის, აუცილებელია, აგრეთვე, იმის გათვალისწინება, რომ თუმცა ლიტერატურულ მოვლენათა კლასიფიკაციის აუცილებლობა ქართული კრიტიკის მიერ კიტა აბაშიძეზე ადრეც იყო გაცნობიერებული, და პირველი ცდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის “პერიოდებად დაყოფისა” უკვე გასული საუკუნის 70-იან წლებში იქნა განხორციელებული (პროფ. ალ. ცაგარლის მიერ, წერილში - “ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში”), მაგრამ გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის კიტა აბაშიძისეული კლასიფიკაცია, უთუოდ მნიშვნელოვნად წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ქართული მწერლობის შესწავლის ისტორიაში (პროფ. ალ. ცაგარელის აზრით, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა, “თავის პოეზიის ხასიათის და მიმართულების გვარად, შეიძლება გაიყოს სამ პერიოდად: პირველ პერიოდს შეადგენს ა) ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბესარიონ გაბაშვილი და ამ გვარებითა, ბ) გიორგი ერისთავი, ანტონოვი და სხვ. მესამეს გ) ილია ჭავჭავაძე ავ. წერეთელით და სხვა”; სრულიად “გაცალკევებული დგას” ჩვენს ლიტერატურაში ნ. ბარათაშვილი. ამათგან, “ალ. ჭავჭავაძე და იმის მზადველნი ამ საუკუნეში, რომლებიც ჩვენი ლიტერატურის პირველ პერიოდს შეადგენენ; გამოხატავენ თავიანთ პოეზიის იმგვარ ხასიათს, ანუ მიმართულებასა, რომელსაც ანაკრეონული ანუ ჰეროტიკული ჰქვიათ ლიტერატურაში...”; “გ. ერისთავი იყო კომიკი და მთელ იმ პერიოდს ჩვენ ლიტერატურაში აქვს კომიკური მიმართულება და კილო”; ხოლო “თუ ნ. ბარათაშვილს საკუთარი პერიოდი შეედგინა ჩვენ ახალ ლიტერატურაში, უნდა ყოფილიყო დრამატიკული, როგორც სჩანს იმის დიდ ხელოვნურ და ჰაზროვან ნიმუშიდგან “ბედი ქართლისა”). თავისთავად ცხადია ისიც, რომ გასული საუკუნის დამლევამდე - XIX საუკუნის მხოლოდ გ ა რ კ ვ ე უ ლ მ ო ნ ა კ ვ ე თ ი ს ლიტერატურული პროდუქციის კლასიფიკაცია შეიძლებოდა დასახულიყო მიზნად, ხოლო მ თ ე ლ ი ს ა უ კ უ ნ ი ს ქართული მწერლობის ერთ მთლიანობაში გააზრებისა და კლასიფიკაციის პირველი ცდა კიტა აბაშიძეს ეკუთვნის, რაც უთუოდ, მის მნიშვნელოვან დამსახურებას წარმოადგენს...

კიტა აბაშიძის მართებული შეხედულების თანახმად, “კლასიფიკაცია, როგორც ბუნების მეცნიერებაში, ისე ლიტერატურაში, მიუცილებელია, რათა უფრო კარგად გაითვალისწინო თვისებები ერთისა და მეორის ჯგუფისა, უფრო კარგად შეიგნო მისი ღირსებანი და ნაკლებევენებანი. მერე კიდევ ლიტერატურაში, როგორც ბუნების მეცნიერებაში, არსებობს კანონები და შეუძლებელია კაცმა წარმოიდგინოს, რომელიმე პოეტი ციდან ჩამოვარდეს ისე, რომ მისი მოქმედება რაიმე კანონს არ ექვემდებარებოდეს. როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაში არსებობს გვარი, ჟანრი ლიტერატურის ნაწარმოებისა და მწერლობის რომელსამე გვარში თავს იჩენს ხოლმე ესა თუ ის მწერალი.

იმან კი არ უნდა გაგვაკვირვოსო, - შენიშნავდა კიტა აბაშიძე, - რომ ზოგიერთი მწერალი ხელს მოჰკიდებს ხოლმე თითქმის ყველა გვარს მწერლობისას. ეს იშვიათი არ არის არც ჩვენში და ევროპაში ხომ თითქმის ჩვეულებად არის გადაქცეული. საფრანგეთში მოჰასანმა და ბურჟემ ლექსებით დაიწყეს წერა, მეორემ საკრიტიკო წერილებიც დასწერა; ლემეტრმა კომედიებით და ფრანსმა კრიტიკითაც გაითქვეს სახელი; ძველთაგან ვიქტორ ჰიუგო, მიუსსე და ლამარტინი მოთხრობებსაც სწერდნენ, დრამატულს თხზულებებს, საკრიტიკო და საისტორიო წერილებს და

სალირიკო ლექსებსაც; შექსპირი დრამებსაცა სწერდა და ლექსებსაც; ბაირონი დრამებსაცა სწერდა და სალირიკო ლექსებით ხომ უკვდავების სახელი მოიპოვა. საქართველოში გ. ერისთავი მამა არის ქართულის დრამატიულის მწერლობისა, მაგრამ სალირიკო ლექსებსაც ეწეობოდა; ილ. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მოთხრობებსაც სწერენ, დრამებსაცა და ლექსებსაც... მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ შექსპირი დრამატული მწერალია, ბაირონი - მეფე მეცხრამეტე საუკუნის სალირიკო პოეზიისა, მიუსესე და ლამარტინი - ლირიკოსი პოეტები; ჰიუგო - სალირიკო რომანის შემქმნელი, მოპასანი და ბურჟე - რომანისტები, ლემეტრი - კრიტიკოსი და ან. ფრანსი - რომანისტი; გ. ერისთავი - დრამატულ თხზულებათა ავტორი, ილ. ჭავჭავაძე - რეალურის სალირიკო პოემების მწერალი, რეალურის მოთხრობების შექმნაში კი ბადალი არა ჰყავს, და აკ. წერეთელი კი - რეალურ-სალირიკო ლექსების სწორუპოვარი შემოქმედი”.

როგორც სამართლიანად მიუთითებენ, “ეტიუდების” ავტორი იყო პირველი კლასიფიკატორი გასული საუკუნის უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობისა. ამ თვალსაზრისით მან მართლაც ფასდაუდებელი შრომა გასწია” XIX საუკუნის ქართული მწერლობის კიტა აბაშიძისეული კლასიფიკაციის მაღალი ღირებულების თვალნათლივი დადასტურება კი ისაა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას თქმისა არ იყოს, თუმც “მოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებში თავი ისახელა ათ-თორმეტზე მეტმა კრიტიკოსმა, მაგრამ ორი თაობის კრიტიკოსებმა ძვრა ვერ უქნეს კიტა აბაშიძის მიერ დადგენილ სამანებს ქართული მწერლობისა” და უდიდესი ნაწილი კიტა აბაშიძის მიერ შემუშავებული ისტორიულ-ლიტერატურული სქემისა “დღემდე თითქმის უცვლელად არის შემორჩენილი ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში”. ამ ფაქტს კი, პირველ ყოვლისა, ის ახსნა მოეპოვება, რომ კიტა აბაშიძის აღნიშნულ კლასიფიკაციას - XIX საუკუნის ლიტერატურულ მიმართულებათა, სტილთა (ფართო გაგებით) და მხატვრულ მეთოდთა შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი ედო საფუძვლად, და, ამდენად, თვით პ რ ი ნ ც ი პ ი კლასიფიკაციისა (იმ მიზნის შესაბამისად, რომელიც “ეტიუდებში” ჰქონდა დასახული) კიტა აბაშიძის მიერ, უთუოდ, სწორედ იყო შერჩეული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, “ეტიუდების” მიზანს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესის დახასიათება, მისი მაგისტრალური გეზის და ძირითადი ტენდენციების ნათელყოფა წარმოადგენდა, ეს მიზანი განსაზღვრავდა “ეტიუდების” ხასიათს, მის სტრუქტურას და, კერძოდ, როგორც გასული საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედების განხილვის წესს, ასევე თვით ამ მწერალთა შერჩევის პრინციპებსაც.

კიტა აბაშიძეს არ განუზრახავს XIX საუკუნის უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული მწერლობის სრული და ამომწურავი დახასიათება მოეცა; “ეტიუდები”, კიტა აბაშიძისავე სიტყვით რომ ვთქვათ, არის ნაშრომი “XIX საუკუნის ჩვენი ლიტერატურის უმთავრესი მიმართულებებისა და მათის მეთაურების შესახებ”, და ამდენად, გაუმართლებელი იქნება, თუკი მას იმ მოთხოვნათა პოზიციებიდან შევაფასებთ, რომელიც ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს კ უ რ ს ი ს მიმართ უნდა იქნეს წაყენებული: ამ თვალსაზრისით განხილვის შემთხვევაში “ეტიუდებს” არაერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი აღმოაჩნდებოდა და უთუოდ გვექნებოდა რეალური საფუძველი გვესაყვედურა მისი ავტორისათვის, რომ მან “XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან სავსებით ამოიღო მწერლები: ზ. ანტონოვი, მ. თუმანიშვილი, დ. ჭონქაძე, ლ. არდაზიანი, ნ. ლომოური, ევ. გაბაშვილი, ს. მგალობლიშვილი და სხვანი”<sup>12</sup>, რომ მან “სრულიად ამორიცხა ე. ნინოშვილი ქართული ლიტერატურიდან” და ა. შ. მაგრამ, როგორც აღვნიშნე, კიტა აბაშიძეს არ ჰქონია ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის სრული კურსის შექმნის პრეტენზია. მის ამოცანას გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების საერთო სურათის ჩვენება წარმოადგენდა, ქართული მწერლობის “უმთავრესი მიმართულების” ძირითადი ეტაპებისა და მათი სპეციფიკური თავისებურებების დახასიათება, და ამიტომაც “ეტიუდებში” იგი მხოლოდ იმ მწერალთა შემოქმედების განხილვით იფარგლებოდა, რომელნიც, მისი აზრით, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ და მკაფიოდ გამოხატავენ XIX საუკუნის საქართველოში გარკვეულ ლიტერატურულ მიმართულებათა ჩასახვისა და განვითარების პროცესს.

კიტა აბაშიძე თვითვე აღნიშნავდა, რომ XIX საუკუნის ქართული მწერლობის რიგ წარმომადგენელთა შემოქმედებამ ვერ ჰპოვა ასახვა მის ნაშრომში, მაგრამ ამ გარემოებას კიტა აბაშიძის მიერ ამ მწერალთა ღვაწლისა და მათი შემოქმედების ღირსებათა უგულვებლყოფა კი არ განაპირობებდა, არამედ “ეტიუდების” გარკვეული მიზანდასახულობა, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. XIX საუკუნის ქართველ მწერალთაგან “ეტიუდებში მარტო იმათ მივაქციეთო

ყურადღება, - საგანგებოდ მიუთითებდა კიტა აბაშიძე, - ვისაც რაიმე ადგილი უჭირავს ლიტერატურის ევოლუციის მიმდინარეობის სხვადასხვა საფეხურზე; ამიტომაც სახელიც არ გვიხსენებია ისეთი მწერლისა, ვისაც არავითარი როლი არ უთამაშნია ამა თუ იმ ცვლილებაში (მაგ., ალ. ორბელიანი, ბარბ. ჯორჯაძისა, თუმანიშვილი, მაჩაბელი და სხვა მრავალი)... სწორედ ამ მეთოდის ერთგულებამ ხელი აგვადებინა ისეთ უეჭველად ნიჭიერ მწერლების ნაწარმოების განხილვაზე, როგორც არის ლავ. არდაზიანი, ნ. ლომოური, ს. მაგლობლიშვილი და ევ. გაბაშვილისა, და ეს იმიტომ, რომ ლიტერატურის ევოლუციაში მარტო იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, ვინც შეიტანა ახალი რამ ლიტერატურის მსვლელობაში, ან ძველი გაამშვენიერა და მიიყვანა უმაღლეს წერტილამდე; უნდა ჰქონდეს ადგილი მას, ვინც დააჩქარა ეს მსვლელობა, ან მისი მიმართულება შესცვალა, ან შეაჩერა ეს მსვლელობა”.

ასეთ მწერლებად კი, რომელთაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ახალი ქართული ლიტერატურის სხვადასხვა მიმართულებათა განვითარებაში და თავისი შემოქმედებით XIX საუკუნის ქართული მწერლობის ამა თუ იმ ეტაპის ყველაზე ნათელი გამომხატველნი შეიქმნენ, კიტა აბაშიძეს, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მიაჩნდა ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა.

კიტა აბაშიძის “ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ”, ძირითადად, ქართული მწერლობის სწორედ ამ შესანიშნავი წარმომადგენლების შემოქმედების განხილვას ეძღვნება.

## პუბლიცისტიკა

### პოლიტიკური რომანტიზმი

“მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,  
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი”.

ჩვენი გენიოსის ეს ლექსი თითქმის სიმბოლოა მთელის ჩვენის ერის ცხოვრებისა უკანასკნელ საუკუნეში. მას მერე, რაც ჩვენმა პოლიტიკურმა თვითარსებობამ დალია სული ისე საბრალოდ და ისე საცოდავად, ჩვენ ერს თითქო გონება დაეკარგაო, აღარ იცის საით მიისწრაფვის, სად მიილტვის, რა უნდა და რას ელტვის. მთელმა საუკუნემ გაიარა ისე, რომ ჩვენს ერს და მის მეთაურებს ვერ გამოუკვლევიათ და ვერ გამოურკვევიათ, რა გვმართებს ახალს მდგომარეობაში, რას უნდა ვსცდილობდეთ, რას უნდა ვაკეთებდეთ. არც ერთს პარტიას ჩვენში არა აქვს ნათლად გარკვეული, რა გზას უნდა ადგეს იგი ჩვენი ერის ბედ-იღბლის საქმეში. მთელი საუკუნის ისტორია ამის ცხადი და უტყუარი მოწმეა. მას შემდეგ, რაც პოლიტიკურმა ერთმა საქართველომ სული განუტევა - ქართველი ერი ნიადაგ რყევამია, ნიადაგ გამოურკვეველ მდგომარეობაშია. გუშინ რომ აღშფოთებული, თავგანწირული ებრძოდა და სულ ცოტა მაინც ებუტებოდა “მატყუარა მეგობრებს”, დღეს მათ ფეხებს ულოკავს და რას იზამს ხვალ, არავინ იცის. თქვენ თუ ცოტათი გადაათვალიერებთ ერთ რომელიმე ხანას ჩვენი ქვეყნის უკანასკნელის დროისას, დაინახავთ, მამა რომ ერთგული ყმა იყო ქვეყნის მტრებისა და მარტო პირად განცხრომასა და ფუფუნებაზე ფიქრობდა, შვილი შეურიგებელი და მოუდრეკელი, ურჩი წინააღმდეგი იყო იმავე მტრებისა. ჩვენი ქვეყნის ისტორიის “მერანი” უგზო-უკვლოდ ფრინავს დღემდისაც და ერთადერთი გარკვეული ის არის, რომ საითაც უნდა გაიქცეს, თვალბედითი შავი ყორანის ჩხავილი მას არ მოშორებია და მისი მხედარის გული ვაებით აუვსია ამ საზარელ ჩხავილს. ერთადერთი საიმედო კი ისღა დარჩენია, რომ “მას შემდგომად მომძესა მისსა სიმნელე გზისა გაუადვილდეს”, რადგან, ეჭვი არ არის, შეცდომათა ისტორია გამოსადეგია კაცობრიობისათვის და კაცობრიობის ისტორიასაც ჰყავს თავისი მსხვერპლი სხვათა განსასწავლად და გასაგონიერებლად. როდესაც ერი ისეთ მდგომარეობაშია, როგორც ჩვენ, მე მგონია, მას უნდა შეგნებული ჰქონდეს თავისი მდგომარეობა, აწონილ-დაწონილი ჰქონდეს თავისი ძალ-ღონე, მისი ზნეობრივი და მატერიალური სიმდიდრე გამოანგარიშებული უნდა ჰქონდეს და, ამგვარად, სავესებით შემგნები თავისის მდგომარეობისა, უნდა იქცეოდეს ისე, როგორც შეესაბამება მის ყოფას. თუ ძალის იმედი არა აქვს, ნებაყოფლობითა და მორჩილებით ცდილობდეს ცხოვრების და გარემოების გაუმჯობესებას, თუ ესეც არ გაუდის, თავგანწირულ აღშფოთებას მაინც მიეცეს და თუ ესეც მეტია და ამასაც ვერა ჰბედავს, “ზღვის პირად დაჯდეს და გამოდარებას უცადოს”. ჩვენში კი თუ ვინმე რომელიმე ამ გზას ამოირჩევს, იმიტომ კი არა, რომ წინდაწინ ჰქონდეს შედგენილი მოქმედების გეგმა და კარგად გარკვეული



ჰქონდეს საიტკენ მიისწრაფვის, არამედ ისე, თვითონაც არ იცის რატომ კისრულობს მონურ “ფეხის ლოკვის” როლს, ანუ თავგანწირულ მაშფოთარის მანტიაში რად ეხვევა.

ასეა თუ ისე, აღშფოთება ცხოვრების უმსგავსოებით, უარყოფით მოქცევა ყოველივე იმისადმი, რაცა ჩირქსა სცხებს კაცისა და ერის ღირსებას, რაც უნდა უნიადაგო და უმნიშვნელო ყოფილიყოს, ყოველთვის უფრო სასიმპათიო ყოფილა, უფრო გამოუწვევია აღტაცება და თანაგრძნობა შთამოებაში. ასეთი თავგანწირული წინააღმდეგობა ბოროტისა ყოველთვის უფრო მომხიბვლელია თავისის რაინდულის არაჩვეულებრივობითა და სიდიადით, რაღაც ზღაპრულის შარავანდედით არის ხოლმე მოხილი და უცნაურის შუქით განათებული.

ერთი ასეთი ამბავი მინდა გავიხსენო.

მე რომ ამბავი მინდა გაიმბოთ, არც ისე შორეულ წარსულს ეკუთვნის, სულ 70-80 წლის საქმეა და ამბავის მახსოვარნი ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ კიდევ ამშვენებდნენ ჩვენს ცხოვრებას. საქართველოს განათლებულისა და მოწინავე საზოგადოების XIX საუკუნის ისტორიაში ეს ერთადერთი მომენტია იმ გმირული ადამიანობით აღსავსე, ურომლისოდ კაცის ცხოვრება ჩალის ფასადაც არა ღირს. მართლაც, ცხოვრება, ნამდვილი და ჰქმარიტი ცხოვრება ხომ ისაა, რომელშიც ხშირია მომენტები უსაზღვრო თავგანწირულებისა, უმაღლესის რწმენისა და აზრის ამქვეყნად განსახორციელებლად.

ეს ამბავი თავგანწირულებისა წუთიერი იყო, სიზმარებრ ჩქარი, ზღაპარსავით მალი, ოცნების შვილივით ჰაეროვანი.

ეს ზღაპრული ნამდვილი ამბავი ასე უცნაურად იწყება (იხილე ტომი VIII. არქეოგრაფიკული კომისიის აქტებისა).

“9-ს ამა დეკემბერს (1832 წელში), ასე, საღამოს ხუთ საათზედ, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ძმამ თ. იასე ფალავანდოვმა მიართვა კავკასიის შტაბის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალ მ. ვოლხოვსკის “დონოსი” იმის შესახებ, რომ “ქართველთ შორის საიდუმლო შეთქმულებაა, რომელსაც აზრად აქვს რუსების საქართველოდან განდევნა”. აი, ასეთი სიტყვებით იწყება საქართველოს მთავარმართებლის ბარონ როზენის მოხსენება გრაფის ჩერნიშევისადმი იმ საიდუმლო შეთქმულების შესახებ, რომელიც არსებობდა 1831-1832 წლებში ქართველთა ახალგაზრდობაში და რომლის ამბავი გვსურს განვუზიაროთ მკითხველებს.

თ. ფალავანდიშვილის “დონოსის” შემდეგ, მთავარმართებელმა განკარგულება მოახდინა შეთქმულთა დაპატიმრებისა და მათთვის ჩვენების ჩამორთმევის შესახებ. მართალია, - ამბობს ბარონი როზენი თავის მოხსენებაში, - ხსენებული თავადი (იასე ფალავანდოვი) ჩემგან ცნობილია, როგორც უზნეო ყოფაქცევისა, და 1825-შიაც ცრუ “დონოსი” შემოიტანა მეგრელიის მთავარ გენერალ-ლეიტენანტ თ. დადიანზედ, მაგრამ მეტად სერიოზულმა მხარემ საგნისამ მაიძულა მიმეღო ზომები უწესრიგობის თავშივე მოსასპობად და ამიტომაც “დონოსის” დაწერილებით გამოძიებას შევეუდექი. ამ “დონოსიდან” ჩანდა, რომ მასწავლებელ დოდაევს ბოროტის განზრახვით აღსავსე წინადადება წარუდგენია თ. აზხაზის ვახშამზედ. თავდაპირველად დოდაევი მოვიწოდეო, ამბობს როზენი, და იმისმა ნალაპარაკემა დამარწმუნა, რომ იასე ფალავანდოვის “დონოსი” თუმც მთლად ჰქმარიტი არ არის, მაგრამ სინამდვილეს მოკლებული როდი იყო - და ამიტომაც ბრძანება გავეცი 10 დეკემბერს, რომ ბოროტმოქმედნი, რომელთა სახელები “დონოსში” იყო ჩამოთვლილი, დაეტუსალებინათ და მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიეღოთ.

პეტერბურგში კინაღამ ელდა ეცათ ასეთი ამბის გამო. რასაკვირველია, ქართველთა აჯანყების რუსეთის იმპერატორს არ ეშინოდა, მაგრამ გლახა დრო იყო: პოლონეთი ახალი აჯანყებული იყო, ჯერ ეს ვერ ჩაექროთ კარგად და ამავე დროს, საქართველოდან ცუდი ამბები მოუვიდა რუსეთის იმპერატორს. მთავრობას ყველაზე უფრო ის აშინებდა, რომ ვაითუ ეს საქმე უცხოელების ზედგავლენის ქვეშე იყოსო. გრ. ჩერნიშევი სწერს როზენს პასუხად მის მოხსენებაზე: ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, გამოიძიოთ სასტიკად და დაწვრილებით და დანამდვილებით შეიტყოთ რა ხასიათი ჰქონდა შეთქმულთ თავისის აზრის განსახორციელებლად და რა მიზეზებმა აიძულეს შეთქმულები ისეთ გზას დასდგომოდნენ, რომელიც ცხადელია მათი სამშობლოსათვის. რაც უნდა გაუგებარნი და უცოდინარნი იყვნენ შეთქმულები, ეს ხომ მაინც იციან, რომ საქართველო თავისის ძალით ვერას გააწყობს რა რუსეთთან, და კიდევაც რომ ჩამოცილდეს რუსეთს, მეზობელ ერთაგან დარბევას ვერ გაუძლებს. ამიტომაც ეჭვი გვეპარება, ვაითუ ამ შეთქმულთა უღობაჲს ქართველებსაჲს რაიმე კავშირი აქვს გარეშე მტერთა ბოროტ

განზრახულებასთან. აი, ეს უკანასკნელი აწუხებდა მთავრობას, ამაში იძიებდა თავისათვის საშიშარ მოვლენას, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორედ შეთქმულებმა დაამტკიცეს, რომ აკლდათ, არ ვიტყვით - გონიერება, არამედ შორსმჭვრეტელობა, და

შესაძლებლად მიაჩნდათ, რომ ასეთი მძიმე საქმის აღსასრულებლად მართო მათი ძალ-ღონე კმაროდა. ცოტა არ იყოს, იმპერატორ ნიკოლოზ I-ს გულზედ მოეშვა იმ ამბით, რომ იმ დროის ქართველთა “ბრწყინვალე თავადაზნაურობის” უმეტესობა ვითომდა დიდის ერთგულებით იყო განსმკვალული რუსეთის საიმპერატორო ტახტისადმი.

“განსაკუთრებით ეამა ხელმწიფე იმპერატორს თქვენი დასტური, - სწერს როზენს ჩერნიშევი, - რომ ქართველი თავადაზნაურობა საზოგადოდ არ ურევია იმ ბოროტ განზრახვაში, რომელმაც ზოგიერთს მის (თავადაზნაურობის) ბოროტმოქმედ წევრთა შორის იჩინა თავი, - რომ მუდამ მორჩილია მთავრობისა და ნაკისრებს მოვალეობას ერთგულად ასრულებს. რათა შესაფერისად დააფასოს ეს ერთგულება და განამტკიცოს ასეთი გრძნობები თავადაზნაურობაში, ხელმწიფე-იმპერატორმა ინება და სცნო სასარგებლოდ, სათავადაზნაურო საზოგადო კრებაზე დასასწრებად გამოგზავნოს გენერალი (ეს გენერალი იყო გენერალ-მაიორი ჩევიკინი, რომელიც გამომძიებელ კომისიის წევრადც დანიშნა ხელმწიფე-იმპერატორმა - კ. ა.), რომელიც განუცხადებს ქართველ თავადაზნაურობას მათი უდიდებულესობის უმაღლესსა და მუდმივს მოწყალებას ტახტისადმი ერთგულებისა და გულმოდგინებისათვის”.

გენერალ-მაიორმა ჩევიკინმა მთელი სიტყვა წარმოსთქვა იმ წლის სათავადაზნაურო კრებაზედ, სიტყვა, რომელიც უთუოდ პეტერბურგში იყო დაწერილი და რომელიც მრავალმნიშვნელოვანია, - მრავალმნიშვნელოვანია მით, რომ კომპლიმენტებითა და იმპერატორულის ალერსით აღსავსეა ქართველის თავადაზნაურობისადმი. მით უფრო საყურადღებოა იგი, რომ თავზარდამცემ, მრისხანე იმპერატორის ბრძანებითა და ნებართვითაა შეთხზული. ეჭვი არ არის, იმპერატორს საჭიროდ დაუნახავს ქართველ თავადაზნაურობას თავზედ ხელი გადაუსვას, რადგან თურმე რაღაც გაცხარების მსგავსი ამ “მკვდარ ხალხსაც” შესძლებია. ხოლო იმ განაწილებას ქართველ თავადაზნაურობისას, რომელიც მთავრობამ იკისრა, სინამდვილის ნიადაგი აკლდა. ეს აზრი, ვითომც შეთქმულება რამოდენიმე “ტპვეტწ”-ს ეკუთვნოდა, ცრუ აზრი იყო. რაც კი რამე იყო ამ თავადაზნაურობაში ხეირიანი, რიგიანი, რაიმე ღირსების მქონე - ჭავჭავაძეები, ორბელიანები, ერისთავები, ჩოლოყაშვილები, - ყველა, ასე თუ ისე, მონაწილეობას ღებულობდა ამ შეთქმულებაში და მის გარეშე დარჩნენ ისინი, რომელთა ერთგულებასა და ორგულობას დიდი ფასი არ ედვა. მაგრამ ეგრეთი განაწილება მიუცილებელი იყო და საჭირო მოფერებისა და ალერსის საბაზად, უამისოდ მრისხანების გარდა სხვას არასა ჰქონდა ადგილი, მრისხანების გამოთქმისა კი, თუ არ ემინოდა მაშინდელს მთავრობას, ყოველ შემთხვევაში სასარგებლოდ არ მიაჩნდა. აქედან ის დასკვნაც შეიძლება გამოიყვანოს კაცმა, რომ მონურ ლაქუცობაზედ უფრო პატივის დება აქვს ხოლმე ღირსეულს დაცვას თავისის საერო და სამოქალაქო უფლებებისას, თვით მონარქების თვალშიაც.

ქართველ თავადაზნაურთა კრება 1833 წლის 29 იანვარს გახსნა გენერალ-მაიორმა ჩევიკინმა, რომელმაც სასტიკი სიტყვებით განკიცხა “უგუნური” შეთქმულნი და ასე დაამთავრა: “ესდენ სამწუხარო მოვლენის დროს ხელმწიფე-იმპერატორი ანუგემა ღირსეულის მთავარმართებლის მოწმობამ, რომ აღნიშნულს ბოროტგანზრახულებაში ურევია მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი თავადაზნაურობისა, რომ ამ უღირს ქართველთა უგამოვრიცხავთ, მთელი წოდება ისევე გულმოდგინედ ასრულებს თავის მოვალეობასა და არა ჰღალატობს საიმპერატორო ტახტისადმი მორჩილებისა და ერთგულების გრძნობებს. მიიღო რა უთვითმპყრობელესმა ხელმწიფემ ჩვენმა განსაკუთრებულის სიამოვნებით მოწმობა ესე, მიზრძანა, წარვმდგარიყავი თქვენს წინაშე, მოწყალო ხელმწიფენო, და მეუწყებინა მთელი თქვენი პატივცემული წოდებისათვის, რომ ამ მისის გულისათვის სამწუხარო ამბავს

მხოლოდ რამდენისამე უგუნურის პირად საქმეთა სთვლის მისი უდიდებულესობა, რომ არ შეუცვლია თავისი გრძნობები დანარჩენ ქართველ თავადაზნაურობისადმი, რომ პირიქით, ამოწმებს თვისის უმაღლესის მუდმივის მოწყალებით ტახტისადმი ერთგულებისა და გულმოდგინებისათვის, როგორც ამ შემთხვევაში, ისე მრავალ სხვა დროსაც, თუნდა ამ სულ ბოლო დროის ერთგულობისათვისაც.

აღვასრულე რა ამრიგად უმაღლესად მონდობილი საქმე, გთხოვთ, მოწყალო ხელმწიფენო, დარწმუნებულნი იყვნეთ, რომ ვაფასებ სავსებით, რაოდენ სასიქადულოა არჩევანი, რომელსაც უმოწყალებად ველირსე ამ შემთხვევისა გამო, გავიცან რა ქართველები უკანასკნელად სპარსეთთან ომის დროს, შევეჩვიე და ვთვლიდი მათ მშებად, ამიტომაც ვვიქრობ, რომ ხელმწიფის ერთგული რუსი უნდა უთუოდ კეთილი ქართველიც იყოს გრძნობებით, როგორც ერთგული ქართველი უნდა იყოს კეთილი რუსი”.

ახლა კი გადვიდეთ თვით შეთქმულების ამბავზედ. საუბედუროდ ჩვენდა, ეს შესანიშნავი მომენტი XIX საუკუნის ჩვენი ისტორიისა ჯანდითა და ბურუსითაა მოცული. ერთადერთი საბუთი, რომელიც ანათებს ბნელით მოცულ ამ ამბავს, ეს ოფიციალური დოკუმენტებია, ისიც ამოკრებილი და დაბეჭდილი “აქტებში”, ხოლო ოფიციალური დოკუმენტი კი მარტოდენ შემოხაზულობას გვაძლევს საქმის საზღვრებისას, მეტს არაფერს. ეს მხოლოდ იმას გვაგებინებს, როგორ ეჭვენა ეს საქმე მთავრობას, და სწორედ მარტო საგნის იმ მხარეს გვიჩვენებს, რომელიც ოფიციალურ კომისიებსა და მმართველებს შეუმჩნევიათ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით სხვა არავითარი საფუძველი არა გვაქვს და მარტო ამ ერთადერთ უხერხულს და არა მჭიდრო საძირკველზედ უნდა იყოს დამყარებული ყოველივე ჩვენი მოსაზრება და დასკვნა.

უნდა მართალი თქვას კაცმა, ჩვენს ისტორიაში უფრო საინტერესო ხანა არ მოიძებნება, როგორც ხანა საქართველოს პოლიტიკური თვითარსებობის მოსპობისა. მაგრამ ამას ზედ ისიც უნდა დავურთოთ, რომ ბნელითა და უკუნეთით არის ეს ხანა მოცული. საჭიროა დიდი ხნის შრომა, ჯაფა, განუწყვეტელი დაკვირვება, სიმშვიდე მეცნიერული და გონიერება ისტორიკოსისა და ფილოსოფოსისა, რომ ცოტათი არის მაინც ნათელი მიაფინო ამ უცნაურს, ამ იდუმალებით მოცულ დროს. ჩვენისთანა უბრალო ცნობისმოყვარე კი დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი. მას არ შეუძლია გარკვეული და გადაწყვეტილი მსჯელობა გამოთქვას ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, ამა თუ პირადობის შესახებ. ყოველივე ამგვარი მსჯელობა სახიფათოა და სრულიად შესაძლოა მკვლევარმა, რომელსაც ჰგონია, რომ შესწავლილი აქვს ზედმიწევნით მოვლენა, ბოლოს ერთი რამ ისეთი დოკუმენტი ნახოს, რომელიც მთლად დაანგრევს მის აშენებულ კოშკს მსჯელობისასა. ვინც კი იკისრებს ამ ხანის რომელიმე პირადობის, გინდ მოვლენის შესწავლას, მალე დარწმუნდება, რომ იგი ნიადაგ რყევასა და გაურკვეველ მდგომარეობაში იქნება: ის, რაც გუშინ დასაგმობად მიაჩნდა, დღეს საქებად და სადიდებლად მოეჩვენება, ხოლო გუშინდელი გმირი დღეს სალახანად ეჩვენება და ეს იმიტომ კი არა, რომ ასეთი სიჩქარით იცვლებოდეს მისი შეხედულება ცხოვრების მოვლენისა და მოქმედ პირზედ, არა, იმიტომ, რომ ახალი საბუთები სულ სხვაგვარად მოაჩვენებენ ამა თუ იმ საგანს, ამა თუ იმ პირს.

ბარონ როზენისაგან “ქართველთა შეთქმულების” გამოსადიებლად დანიშნულმა კომისიამ თავისი შრომა დაამთავრა შემდეგის (ე. ი. 1833-ის) წლის სექტემბრის თვეში და წარუდგინა მთავარმართებელს ვრცელი და დაწვრილებითი მოხსენება.

საგნის გამოსარკვევად საჭიროა გავიხსენოთ ზოგიერთი მომენტი “საქართველოს რუსეთთან შეერთების” ამბისა.

ყოველგვარი გამოკვლევა ამ საგნის შესახებ ცხადად გვაჩვენებს, რომ საქართველოს მეფეთ, თუმცა, გაჭირვების გამო, გადასწყვიტეს თავისის სამეფოს რუსეთთან შეერთება, მაგრამ მეფობაზე და საქართველოს გამგეობაზედ კი თავის დღეში უარი არ უყვიათ. წინააღმდეგ, მეფეებიც და მათი ელჩებიც იმ აზრს მტკიცედ ადგნენ და თითქმის ამ აზრის დასაცველად გასწირეს ყოველივე, რომ საქართველოს სამეფო გვარეულებას საქართველოში ამა თუ იმ სახით თავისი უპირველესი მნიშვნელობა შერჩენოდა. ირაკლის ხელშეკრულებაზედ ნულარას ვიტყვით, გიორგი XII-მ ხომ შესცვალა “რუსეთის” საამებლად იმდენად, რამდენადაც კი შესაძლო იყო, ეს მშვენიერი ტრაქტატი და მაინც, აი, რა სწერია იქ: არტიკული 2. “მ ე მ ე ფ ი ს ა გ ი ო რ გ ი ს ა დ ა ვ ი თ მ ი ი დ ე ბ ს ტ ი ტ უ ლ ს ა “გ ა ნ მ გ ე ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა” და გ ა რ და ვ ა ლ ს ე ს ე შ თ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი თ ა პ ი რ მ შ ო დ ა მ პ ი რ მ შ ო მ დ ი ს”. დაანებეთ ამას თავი და მიაქციეთ ყურადღება თვით ნოტას ელჩებისას, რომელსაც უნდა განემარტებინა გიორგი XII ტრაქტატის არტიკულები. ეს განმარტება კიდევ ერთი ბიჯი იყო საქართველოს მეფეთაგან თავის უფლებათა შეკვეცისაკენ, რათა აჩრდილი მაინც დაეცვათ სამეფო ძალისა: “კეთილნებებულ იქმნას მისის იმპერატორების თის უდიდებულესობისაგან და დანიშნულ მმართველად საქართველოსა სამეფოსად ერთად რომელიმე მეფის ძეთაგანი. იგი იწოდებოდეს იპერატორისა მოადგილედ და ი ხ ს ე ნ ი ე ბ ო დ ე ს მ ე ფ ე დ ს ა ქ ა - რ თ ვ ე ლ ო ს ა დ”. და გიორგი XII წერილს წერილზედ უგზავნიდა - “ჩემსა არა ადაყნოს მეფობა”, ე. ი. არ გაუქმდეს მეფობაო. თვით შეთქმულების გამომძიებელი კომისიაც ვედარ მალავს ამ საგანს: როცა მეფე გიორგი XII-მ პავლე I-ს ელჩები გაუგზავნაო თხოვნით, ჩემი სამეფო შენს მფარველობაში მიიღეო, თან ისიც დაუმატაო, თუმც თქვენს მოწყალე მფარველობას ვანდობ ჩემს სამეფოს, მაგრამ მ ე და ჩ ე მ ს შ ე მ დ გ ო მ ა დ ჩ ე მ ი მ ე მ კ ვ ი დ რ ე ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა მ ე ფ ო ტ ა ხ ტ უ ე დ უ ნ და დ ა რ ჩ ნ ე ნ. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ე ფ ი ს ს ა ხ ე ლ ი თ და მ ა თ უ ნ და ჰ ქ ო ნ დ ე თ ო მ ი ნ დ ო ბ ი ლ ი უ მ თ ა ვ რ ე ს ი გ ა მ გ ე ბ ლ ო ბ ა თ ა ვ ი ს ი ს ს ა მ ე ფ ო ს რ უ ს ე თ ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ - ვ ი თ ა ო”. ეს იყო შეურყეველი და მტკიცე საძირკველი შეერთებისა და რუსეთის გვირგვინოსანმა მეფეებმაც წერილობით (ტრაქტატზედ

ხელის მოწერით) და სიტყვით - უავგუსტოესის ფიციით აღთქმით დაარწმუნეს ჩვენი მეფეები, რომ შეთანხმების მუხლები საუკუნო-საშვილიშვილოდ იქმნებიან დაცული. მაგრამ ერთი ხელით რომ პავლე I ამ აღთქმას და ტრაქტატს აწერდა იმპერატორებითის დიდებულების ხელს, მეორეთი “უქაზებს” წერდა საქართველოს რუსეთის გუბერნიად გარდაქმნის შესახებ... ეგრეთი იყო “სიტყვა” და “საქმე” რუსეთის გვირგვინოსანისა. კომისიის აზრით, “ამ ზომების სისრულეში მოყვანა შეუძლებელი შეიქმნა, რადგან სრულიად ეწინააღმდეგებოდა ქართველის ერის კეთილმდგომარეობას”.

რადა თქმა უნდა, რომ ასეთი უეცარი დარღვევა სიტყვისა და ყინულზედ დასმა მთელის სამეფო გვარეულობისა, რომელიც სამეფოს დამოუკიდებლობის იურიდიული სიმბოლო იყო, და ქვეყნის გაბიაზრება გულში ლახვარივით მოხვდა ყოველ შეგნებულ ქართველს და რუსეთის მთავრობის წინააღმდეგობამ იმთავითვე დაიბუდა გულში. ძმობისა და მფარველობის მაგიერ, მათ წაართვეს ქართველებს ის, რის დასაცველადაც სწყდებოდა და თავსა სდებდა ხალხი საუკუნეების განმავლობაში. ნახევრად გასწირა თავისუფლება, ქრისტეს ჯვარი წინდად დასდვა მეგობრობისა და ეგონა, რომ ეს ჯვარი იქმნებოდა საუკეთესო მოწამე და ბეჭედი საიმპერატორო პირობისა, მაგრამ მოტყუებული დარჩა: სამშობლოც დაჰკარგა და ის ჯვარი, რომელიც ნაციონალური აზრის გამომსახველი და მფარველი იყო მისთვის, დღეიდან გამაუბედურებელ საგნად შეიქმნა.

ჩვენს ახალგაზრდა ისტორიკოსს, თ. ზ. ავალიშვილს რომ ჰკითხოთ, ქართველების მეფეები გაიძვერა ჩერჩეტები იყვნენ და სრულიად არ გაეგებოდათ რასა შვრებოდნენ. თითქოს ქართველ მეფეებს სახსარი ჰქონდათ სხვაგვარად ემოქმედათ. მათ გასაოცარის გამჭრიახობით იგრძნეს, რომ რუსეთი, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, საქართველოს დაიპყრობდა, დიდის გონიერებით და ცოდნით მიხვდნენ, რომ ახალი მეზობელი, რომელიც მის საზღვრებთან იზრდებოდა, ძლევაშეძლებული იყო და დიდის “აპეტიტებით” აღვსილი, და არჩიეს მეგობრულის კავშირით დაეცვათ, ნახევრად მაინც, დამოუკიდებლობა. წინააღმდეგობა არას გამოადგებოდა ძალგამოლეულსა და ღონეშესუსტებულ საქართველოს, რომელსაც შინაგანი გაერთიანებაც კი ვერ მოეხერხებინა. მას არ შეეძლო რაიმე წინააღმდეგობა გაეწია, ტყვილად სისხლი დაიღვრებოდა. საუკეთესო გზა, სწორედ ხერხიანი და გონიერი ის იყო ამ შემთხვევაში, რომ ამისთანა საშიშარ მტერთან მეგობრობა ეცადათ. ამ ცდამ თუ ტყვილა ჩაიარა, ეს მათის სისულელის ბრალი კი არ იყო, არამედ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის ცბიერობისა და ვერაგობის. რუსეთის მონარქებმა, აქაოდა, ძალა აღმართსა ხნავსო, საერთაშორისო პირობაც კი დაარღვიეს. ამ ცბიერობის იმთავითვე წინათგრძნობა მეტად ძნელი იყო და წარმოუდგენელი, ხოლო ბოლოს კიდევაც შეიტყვეს, მაგრამ გვიანდა იყო. დაჭრილი, დაკოდილი და სისხლისაგან დაწრეტილი საქართველო რუსეთის ორთავიან არწივის ძლიერ კლანჭებში იყო ჩავარდნილი და იქ ვართხალედა, მისი შემწე და მფარველი არსადა სჩანდა.

იმავე თ. ზ. ავალიშვილის აზრით, ეს პირობა au fond უაზრო იყო, რადგან დამყარებული იყო საშუალო საუკუნეების წარმოდგენაზედ სახელმწიფოთა კავშირის შესახებ: მაგრამ გასაოცარია, ახალგაზრდა მეცნიერს რად დასჭირდა ამის თქმა, როცა ისეთი დამოკიდებულება, რომელსაც თხოულობდნენ ჩვენი მეფეები, სრულიად კანონიერი დამოკიდებულება იყო ვასალურის სამეფოსა სიუზერენ სამეფოსთან, როგორც ეს მშვენივრად განმარტა და დაამტკიცა განსვენებულმა მიხ. ხელთუფლიშვილმა მის ცნობილ გამოკვლევაში.

მართალია, ჩვენმა მეფეებმა ნაკლებად იცოდნენ საერთაშორისო ევროპული პოლიტიკა და არ ჰქონდათ შეგნებული სხვადასხვა სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგობა, მაგრამ ამ ცოდნითაც, მგონი, ვერას გახდებოდნენ, რადგან ევროპას იმ დროს სულ სხვა საქმეები აწუხებდა და საქართველოს დიდ ყურადღებას როდი აქცევდა.

ასე იყო თუ ისე, უეცარმა მოტყუებამ, ღალატმა მტრად გადაქცეულის მეგობრისამ გული აუთუთქა მთელს საქართველოს; გააზრაზა თავადაზნაურობა, ააშფოთა და ააღლევა მთლად მთელი ხალხი სათარეშოდ შემოსეულ ჩინოვნიკთა აღვირწახსნილმა ურცხვობამ. იმთავითვე ქართველების გულში წინააღმდეგობრიობისა და უმადურობის თესლმა ღრმად გაიდგა ფესვი. ჯერეთ 1802-ში კახეთის თავადაზნაურობა აღელდა და დიდ გასაჭირში ჩააყენა ქართველობა. მერე 1804-ში მთაში იელვა შეთქმულებამ და მეტად სასტიკი ხასიათი მიიღო. მთას კახეთის თავადაზნაურობა მიეკვდლა და ბატონიშვილებმა მისი მეთაურობა იკისრეს. შემდეგში სამოციან წლებამდის არ შეწყვეტილა აქა-იქ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (გურიაში, სვანეთში, იმერეთში), ასე ვსთქვათ, პარტიზანული აჯანყებები. მხოლოდ ის შეთქმულება, რომელიც საგნად აქვს დღევანდელ ჩვენს საუბარს, სულ სხვა ხასიათისა და თვისების იყო. ეს იყო შეთქმულება საზოგადოების განათლებულის წრისა, ამ შეთქმულებაში რაიმენაირი მონაწილეობა მიუღია ყოველ იმ დროის

ქართველს, რომელსაც რაიმე აზრი და გრძნობა ჰქონდა, ანდა რაიმე ადგილი ეკავა იმ დროის ქართველ საზოგადოებაში.

როგორც კახეთის თავადაზნაურობის აჯანყებაში, როგორც “მთის” აღელვებაში, ისე აქაც მოთავე და ხელმძღვანელი ამ შეთქმულებისა, ამ გარეთ გამოთქმულის უკმაყოფილებისა, შეიქმნენ ჩვენის სამეფო სახლის წარმომადგენელი და მათი ახლო ნათესაობა.

უმთავრესი როლი შეთქმულებაში ბატონიშვილებს ოქროპირს და დიმიტრის ეკავათ.

ოქროპირი იყო შვილი გიორგი მეფისა - მეორე ცოლის, გიორგი ციციშვილის ქალის, მარიამისაგან, - ხოლო დიმიტრი იყო შვილი იულონ ბატონიშვილისა. იულონი იყო შვილი ირაკლი II-ისა - მესამე ცოლის, დარეჯანისაგან. ირაკლის ანდერძის მიხედვით, რომელიც დედოფალმა დარეჯანმა გამოსტყუა, იულონი უნდა ყოფილიყო გიორგის შემდეგ მეფედ, მაგრამ, როგორც იცით, პავლე პირველმა ტახტის მემკვიდრედ, ქალაღდზე მაინც, გიორგის უფროსი შვილი, დავითი დანიშნა.

იულონის ძე დიმიტრი ბატონიშვილი ცხოვრობდა პეტერბურგში, საცა იმ დროს მიიღეს განათლება უპირველესმა კაცებმა საქართველოსამ, - ერისთავებმა, ორბელიანებმა, ჩოლოყაშვილებმა და სხვებმა. ეს ყმაწვილკაცობა თავს იყრიდა დიმიტრი ბატონიშვილისას და, როგორც სჩანს, ხშირად, თუ ყოველთვის არა, ჰქონიათ მსჯელობა საქართველოს მდგომარეობაზედ. თვით დიმიტრი ყმაწვილი კაც იყო, 30 წლისა, ნათესაური კავშირიც ჰქონდა ამ ყმაწვილკაცებთან და ყველაზედ უფრო გავლენა თავისი ლაპარაკით ჰქონდა მათზედ. როგორც “აქტები” მოგვითხრობენ: “თავ. დიმიტრი შთააგონებდა მათ თავის უფალ აზრებსა, ხოლო ზოგიერთებს - აღსაშვოთებელსაც კი, და ამ გამოუცდელსა ხალგაზრდებს თანდათან გონებას უბნებდა. ზოგიერთს მათგანს ბოროტმოქმედებისთვის აგულიანებდა და აღელვებდა, რომ საქართველოში ირუსეთის უფლებისა და ბატონობის წინააღმდეგ ემოქმედნათ”.

კომისიას თანაც უკვირს და ვერ გამოურკვევია იმის მიზეზი, თუ რად იყო ბატონიშვილი დიმიტრი ეგრეთი გაცხარებული რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ და რას ეპრიანებოდაო საქართველოს აღდგინება, როცა თითქმის არც კი იცოდა საქართველო, რადგან “თავის დღეშია იქ არა ყოფილაო”, და ამ მიზეზთა ძებნაში კომისიას მხოლოდ ის მიუგნია, რომ დიმიტრი პირადად ემდურებოდა მთავრობას, რადგან ბატონიშვილის ტიტული არ მისცესო (ე. ი. აღარც ტიტული შეარჩინეს, თორემ რითი არ იყო ბატონიშვილი დიმიტრი შვილიშვილი ძლევაშვილის ირაკლი II-ისა) და სამსახურში კი პირველის ჩინით მიიღესო. ამგვარი ახსნა ასეთის მძიმე მოვლენისა, გვამცნებს, რა ღირსებისა ყოფილა თვით ეს კომისია. ანკი რა უნდა მოლანდებოდა ჩინებისა და ტიტულების მეტი გენერალ-მაიორ ბაიკოვსკის, გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის, პოლკოვნიკ ტრიტილოვიჩის, ოზარეცკოვსკის და თუგინდ თვით როზენსა და გენერალ ჩევიკინს, რა ოჯახის ტრადიციებით ან რა სამშობლოს სიყვარულის გრძნობით მოიწონებდნენ თავს ის ადამიანები, რომლებიც რამდენიმე ათასის ვერსზედ გადმოცვენილიყვნენ ორიოდე გროშის შესამენად და იმ ჩინებისა და ტიტულების მოსაპოვებლად, ურომლისოდაც ღამე და დღე არ ეძინათ და რომლის გარეშე ვერავითარის ღირსებითა და წარჩინებით ვერ დაიკვებინდნენ. თორემ, თუ იგინი ადამიანები ყოფილიყვნენ, კარგად უნდა სცოდნოდათ ის, რომ დიმიტრი შვილი იყო სწორედ იმ იულონ ბატონიშვილისა, რომელიც 1804-ში, რუსის ეგერებმა კინაღამ ხიშტზე ააგეს, და მერე ტფილისში, საქართველოს დედაქალაქში, იმ ტფილისში, რომელიც მისის გვირგვინოსანის მამის სატახტო ქალაქი იყო და რომლის დაცვისათვის თვით არაერთხელ დაუღვრია სისხლი, ისე ჩაიყვანეს, თითქო უბრალო ტუსადი ვინმე ყოფილიყოს, ქვეყნის მოღალატე და ქვეყნის სახსნელად გამართულის ომიდგან გაქცეული, და დღეში, როგორც უბრალო ტუსადს, სარჩენად ხუთი გროში მიუჩინეს, “ზოჯ დჯუკენზტკ. ჯ.იტცნდცყყჯუჯ ცვჯრჯქცნდბზ”. დიად, ეს იმ იულონის შვილი გახლდათ, რომელსაც თავისუფლების დროს თავისის უზრდელისა და უშვერის წერილებით აწუხებდა საქართველოს მთავარმართველი გენერალი ციციანოვი, “ასპიტის თესლად” უწოდებდა და როცა ხელში ჩაიგდო, იმ უშვერობამდის მივიდა, რომ იულონისა და მისი ძმის, ფარნაოხისთვის ძალით ქურქები წამოასხმევინა: “ხელმწიფის საჩუქარს როგორ უკადრისობ და იწუნებო, მკამბოხე ხარ და წყალობის ღირსი არ ხარ, მაგრამ ხელმწიფის გულმოწყალობასა და კეთილობას ვერ ვკადრებ, საკადრისად ვერ მოგექცევო”. ეს იმ იულონის შვილი გახლდათ, რომელიც 1804 წელს მთავარმართველმა ციციანოვმა ტულაში გააგზავნა მთელის თავის ოჯახობით და ამ ოჯახის წევრთა შორის დიმიტრიც ერია, მამ, ესეც ტყუილი გამოუვიდა კომისიას, თითქო საქართველოში დიმიტრი თავის დღეში არ ყოფილიყოს. ის საქართველოში იყო

დაბადებული, პირველი სინათლის სხივი საქართველოში იხილეს მისმა თვალებმა, საქართველოს მიწას შეეხო პირველად მისი ხელები, მისი გემო საქართველოს ტკბილ რძეზე იყო აღზრდილი, ხოლო თვალთა ხილვა საქართველოს ბუნების სიმშვენიერით მოხიბლული.

დიმიტრი ბატონიშვილი არც როზენი იყო და არც ტრიტილოვიჩი, რომ ეგრეთი ამბავი მისი ოჯახისა დედის რძესთან შეწოვებული არა ჰქონოდა. დიმიტრი ბატონიშვილს, როზენისა და მსგავსისაგან ტიტულების ზოდება არ ეჭირვებოდა, რადგან მისი გვარი 12 საუკუნეზედ მეტს განაგებდა საქართველოს და თვით ებრაელთა მეფის დავითისა და სოლომონის შთამომავლობად რაცხავდნენ თავს. დიმიტრი ბატონიშვილს არად ეჭირვებოდა რუსის არც “დეისტვიტელნი სტატსკი” და არც “ტაინი სოვეტნიკობა”, აბა, რას შემატებდა, მე გეტყვი, გრაფობა ან ბარონობა არ შეემატებია. ეჭვი არ არის, დიმიტრი გონიერი და შეგნებული კაცი იყო, გრძნობდა თავისი სამშობლოს და ქვეყნის მდგომარეობას, გრძნობდა და იცოდა თავისის სამეფო ოჯახის და თავისის სამშობლოს ერის გაბიაბრუება. ის რომ კავკასიელ რუსის მოხელეთა წვრილმანის ლტოლვილების ყოფილიყო, კიდევაც უნდა სიამოვნებოდა, რომ მეფის გიორგის შვილებს რუსეთის მთავრობამ ტახტი წაართვა, ნიშნი უნდა ეგო მათთვის, ჰე, თუ მამათქვენმა მამაჩემს დიდებულის ირაკლის ანდერძის წინააღმდეგ წაართვა მეფობა თავისის შვილებისათვის, თქვენც ხომ დაკარგეთ იმ ჯინაზედაო.

მაგრამ ვამბობთ, სულ სხვა ოჯახის შვილი იყო დიმიტრი, სულ სხვა ტრადიციებზე იყო აღზრდილი; მას მამის სისხლი და მამის გაუპატიურება ემართა, სამშობლოს გაბახება ხმამაღლად ითხოვდა მისგან შურისძიებას და სწორედ ამ ხმის დამჯერემ, ამ ხმით შთაგონებულმა შეთქმულებას სათავე მისცა.

დიმიტრი ბატონიშვილი მეტად ენერგიულად ავრცელებდა პროპაგანდას ყმაწვილკაცობაში და აძლევდა დარიგებას. ზოგიერთ მათგანს განსაკუთრებულ ქალაქებსაც კი ურიგებდა საიდუმლო მიწერ-მოწერის გასამართავად. ასე რომ, კომისიის აზრით, “პირველად, აშკარა ბოროტგანზრახულება საქართველოში პეტერბურგის მცხოვრებ ქართველ თავად დიმიტრის თავისუფალ და აღმაშფოთებელი სიტყვებით იწყება” (ბატონიშვილობა როზენმა წაართვა, ესეც კი შეეხარბა ძლივამოსილ რუსის მთავრობას).

მეორე ადგილი შეთქმულობაში ეკუთვნის გიორგი მეფის შვილს ოქრო ბატონიშვილს. ესეც დიდად მხნე მომქმედი იყო შეთქმულებისთვის, მაგრამ გამოძიებას ვერ აღმოუჩენია ვერავითარი კავშირი მისსა და დიმიტრის ამ ნიადაგზედ მოღვაწეობის შორის. კომისიის აზრით, ეს მისი ბრალია, რომ ბატონიშვილებს პირადი უკმაყოფილება ჰქონდათ. ესეც კომისიის “მაღალი გონიერებაა” და, საზოგადოდ, დიდის გაფრთხილებით უნდა მოეკიდოს კაცი რუსის მოხელეთაგან გავრცელებულ ამბავს ბატონიშვილების ერთმანეთთან უკმაყოფილების შესახებ. ალექსანდრე პირველისაგან საქართველოს შეერთების ერთ პირველ მიზეზად, სხვათა შორის, იმასა სთვლიან, რომ ტახტის მემკვიდრენი ერთმანეთს ეომებოდნენ და საქართველო ტახტის მამიებელთა ბრძოლამ აწეწ-დაწეწაო. ჩვენის აზრით, ეს უმეტესად რუსის მოხელეთა გავრცელებული აზრია და სალახანა კნორრინგისაგან შეთხზული ლეგენდა, რომლის აზრი ის არის, ვითომდა საქართველოს გამგეობა აღარ შეუძლიათ მეფისწულებს, რადგან ერთმანეთის დაობასა და შეცილებას უნდებიათ.

“საფუძველი უბედურებისა ჩვენისა აღშენებულ იქმნა ამას ზედა, - სწერს ბატონიშვილი იულონ ერთ-ერთ წერილში მთავარმართებელ ციციანოვს, - რომელ ჭეშმარიტება ჩვენი და ყოვლისა საქართველოსა აზრი შეერთებული ვერ მიწევნილ იქმნა უმაღლესისა კარისადმი. კნორრინგი ჩვენ ელჩებს არ უშვებდა პეტერბურგში და ამისათვის იმპერატორმა ვერ გაიგო ჭეშმარიტება, რომ საქართველოს ერს არა სურს მეფობის მოსპობა. თვით ხელმწიფე იმპერატორი არ დაზოგეს, შეაცდინეს და იძულებულ ჰყვეს ეთქვა უმაღლეს მანიფესტში ესეთი შეუფერებელი და შეუსაბამო სიტყვები, ვითომც საქართველო შეერთა რუსეთმა იმპერიის გავრცელებისათვის და სარგებლობისთვის კი არა, არამედ იმიტომ, რომ თვით საქართველოს ერი ღალატით თხოულობდა მეფობის მოსპობას, რადგან ტახტის მემკვიდრეთა შორის სუფევდა დიდი განხეთქილებაო”. არც ერთი და არც მეორე მართალი არ არის და ჭეშმარიტებასაა მოკლებული, ამბობს იულონ ბატონიშვილი; ეს მტკნარი სიცრუე მოხელეებისა და საქართველოს მტრების მოჭორებულია. საქართველოს არასოდეს არ მიუშართნია ღალადით უმაღლესის ტახტისათვის, მოსპეთ მეფობაო. არც ისაა მართალი, რომ მემკვიდრეთა შორის ატეხილმა შფოთმა და შუღლმა აიძულა იმპერატორი დაემხო და გაეუქმებინა ძველადგანვე გაბრწყინებული ქრისტიანობით სამეფო, რადგან შუღლსა და შფოთს ალაგი არა ჰქონდაო.

მართალია, თ. ციციანოვმა ბრიყვულად და სალდათურად უგო პასუხი და “ყვლვტყყვცნმ ცკვუვ” უკიჟინა ბატონიშვილს, მაგრამ ეს წერილი გულწრფელის და ჭეშმარიტის აღვლვებით გამოწვეულია და საქმის სინამდვილეს გვიხატავს. მართლაც, ეს შული ბატონიშვილთა შორის თუ იყო, სულ სხვა ნიადაგზედ აღმოცენდა და არა ტახტის ძიების გამო. როგორც ქართველ საზოგადოებაში, ისე სამეფო სახლში “რუსომანები” იყვნენ და რუსის მოშიშარნი. ბატონიშვილთა შორის, თითქმის ყველა ირაკლის შვილები, რუსებს უფროთხოდნენ და იმიტომ იყვნენ გიორგი მეფით უკმაყოფილონი, რომ ირაკლის ტრაქტატის შეცვლა მოინდომა და სამეფოს უფლებათა დათმობაში მეტად ადვილად დაეთანხმა რუსეთის მთავრობას. ბატონიშვილები, მისი ძმები, აფროთხილებდნენ გიორგი მეფეს და როცა არა გაუვიდათ რა, რასაკვირველია, გულზედ ჯავრი მოსდიოდათ. ან გიორგი მეფის მემკვიდრე დავით ბატონიშვილს ვინ შეეცილა, რომელი ზიდა ან ძმა, თვით ვერ გაბედა თავის მეფედ გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომ დიდებულნიც ეხვეწებოდნენ. ერთობ ნამეტანის შიშის ქარები ჰქონდათ ყველას გამდგარი და მეტისმეტი მორჩილებით უნდოდათ განემტკიცებინათ თავისი უფლება, მაგრამ სულ სხვა მოუვიდათ.

მართალია, საერთო საქმის დროს პირადი კინკლაობა, პირადის ანგარიშების გასწორება და ქიშპობა, ღმერთმა იცის რისთვის, ეს ხომ მთელი ისტორიაა საქართველოსა, რაიცა მის სიმრთელეს არ ამტკიცებს, საუბედუროდ, მაგრამ კომისიის აზრი ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილების უკმაყოფილების შესახებ, მაინც საეჭვოა.

ოქროპირ ბატონიშვილი უკვე 1826 და 1827-ში ფილადელფოს კიკნამე ბერსა და მასწავლებელ დოდაშვილს აგონებდა მიუცილებლობას საიდუმლო საზოგადოების შედგენისას. 1824 წელს ოქროპირი ჩამოვიდა კავკავის წყლებზედ და იქიდან პირდაპირ თბილისში, საცა დაუახლოვდა მის მამიდაშვილებს - ორბელიანებს (ალექსანდრესა და ვახტანგს) და ელიზბარ ერისთავს. მისისავე გავლენის ქვეშ ფილადელფოს კიკნამემ შეადგინა “საიდუმლო მეგობართა კავშირის” წესდება. ოქროპირის რჩევა ყმაწვილკაცობის მიმართ შემდეგი იყო: ჩააგონონ ახალგაზრდობას სამშობლოსა და ბაგრატიონთა სიყვარული; მღვდლებს სთხოვონ ილოცონ ბაგრატიონებზედ (ე. ი. იმის შესახებ, რომ ბაგრატიონნი დაუბრუნდნენ საქართველოს სამეფო ტახტს); მოაგონონ ქართველებს ჩვენი ყოფა-ცხოვრება, რა ადვილად შეეძლოთ მეფესთან მისულიყვნენ და როგორის სისწრაფით ეღირსებოდნენ ხოლმე მართლმსაჯულებას; ურჩიონ მათ, ნუ გამოიცვლიან ზნე-ჩვეულებას, რათა უფრო ადვილად ჩამოშორდნენ რუსებს; თავიანთ საიდუმლო აზრის შესახებ ორ კაცს ერთად არა უთხრან რა, თუგინდ საკუთარი ძმები იყვნენ ეს ორნი; იძიონ მოკავშირეები იმ ახალგაზრდათა შორის, რომელთაც აქვთ ნიჭი და მოხერხება შეთქმულებისა. ასეთ ყმაწვილკაცებს ჯერ უნდა გაეცვენ, მერე დაუმეგობრდნენ, გამოსცადონ - შეუძლიათ თუ არა საიდუმლოს შენახვა, შეიტყონ მათი აზრი მთავრობის შესახებ და მხოლოდ მერე გაუმჟღავნონ საიდუმლო შეთქმულება, მაგრამ ისე, რომ ერთის მეტი არავინ იყვეს მოწმედ; ჯერ სიტყვებით გაავრცელონ შეთქმულების აზრი, ხოლო საქმე დაიწყონ, როცა თვით ოქროპირი ჩამოვა საქართველოში. ეს მოქმედება იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ მოახდინონ საერო აჯანყება, თავს დაესხნენ და დაიჭირონ უმთავრესი ადგილები ქალაქში, კავკავის ხეობის გზები შეჰკრან, რეგულარული საფარი მოაწყონ და ამ საქმის გამოწყობისთანავე დაიწყონ ბრძოლა რუსეთთან, მაგრამ პარტიზანული ბრძოლა.

როგორც ხედავთ, ბატონიშვილი ოქროპირი ძალიან დახელოვნებული შეთქმული ყოფილა, თეორიულად მაინც და, მგონი, პრაქტიკულადაც. კომისია გაცეხულია, რომ რვა კაცი ერთსა და იმავეს ამბობს ოქროპირზედ, გვაგულიანებდა და აჯანყებას ჩაგვაგონებდა, მაგრამ არც ერთს მათგანს არ გაუგონია და არ გაუგია, თუ რას ელაპარაკებოდა ოქროპირი მეორეს. 1830 წლის ივნისში ოქროპირი დაბრუნდა პეტერბურგში, უმთავრესნი პირნი კი, რომელთაც ჩააგონა მოქმედება - ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი (ბატონიშვილის თეკლეს შვილი, ირაკლი მეფის შვილიშვილი) და დოდაევი ჩუმად იყვნენ და არაფერ საქმეს არ იწყებდნენ. ერთმანეთსაც კი არ იცნობდნენ. ხოლო წლის დამლევს, როცა პოლონეთის აჯანყების შესახებ ხმა გავრცელდა, შეთქმულთ გაედვიმათ სურვილი მოქმედებისა. ელიზბარ ერისთავი დაუახლოვდა თ. ვახ. ორბელიანს, ცნობილს პოეტს, შვილს ბატონიშვილის თეკლესას (ეს თეკლე ირაკლის ქალი იყო). თ. ვახ. ორბელიანი, მაშინ ახალგაზრდა კაცი იყო - ესე, 20-ის წლისა. ელიზბარ ერისთავმა შეიტყო ვახტანგისაგან, რომ მისი ძმა ალექსანდრეც შეთქმულების მონაწილეა, ერთად დოდაევის შეატყობინეს საიდუმლო აზრი და ბარათები ოქროპირ ბატონიშვილისაგან მიღებული და თანაც შეუდგნენ პროპაგანდის საქმეს. ელიზბარ ერისთავი და ალექსანდრე ორბელიანი - ძმა პოეტისა, - ყველაზედ უფრო გატაცებული პროპაგანდისტები იყვნენ. საზოგადოდ, ერისთავები სული და გული იყვნენ შეთქმულებისა. კაცს ასე გგონია, თავის წინაპართა სამშობლოსა და მეფის მიმართ საზიზღარი დალატი შეიგნეს და თავისი სისხლით უნდათ გამოისყიდონ მამათა დანაშაული.

თვით ელიზბარ ერისთავი შვილი იყო იმ შანშე ერისთავისა და ძმისწული იმ მიხეილ და თორნიკე და ელიზბარ ერისთავებისა, რომლებმაც იულონ ბატონიშვილის დატუსაღებაში დიდი მონაწილეობა მიიღეს, მთიულეთის აჯანყება ჩააქრეს და დაუფასებელი ღვაწლით აღბეჭდეს თავისი ერთგულება რუსეთის მთავრობის წინაშე. რომ ერისთავიანნი არა, რუსეთის მთავრობას ძალიან გაუჭირდებოდა საქმე და მთაში აღზნებული ცეცხლი მთელს საქართველოს მოედებოდა და რუსეთის ჯარების ბედი ბეწვზედ ეკიდა. მთავარმართებელი ციციანოვი ასეთს ატესტაციას უკეთებდა 1804-ში იმპერატორის წინაშე ერისთავიანთ: “ერისთავიანნი იმდენადვე ერთგულნი არიან, რამდენადაც მე შემძლია თავი მოვიწონო ჩემის ერთგულებითაო... ანკი რა მოსაფიქრებელია, ერისთავიანთ გულში ღალატმა დაიბუდოს... ერისთავიანნი ერთადერთი გვარია, რომელსაც ისევე ვენდობი, როგორც რუსებსაო” (იხ. მშვენიერი მონოგრაფია ბ-ნ. ალ. ყიფშიძისა “მთიულეთი”). რა ბრაზი მოუვიდოდა თ. ციციანოვს, რომ 1832-ში საფლავიდან წამომდგარიყო და დაენახა: გორის მაზრის მარშალის, პოლკოვნიკის შანშე ერისთავის შვილი მთელს შეთქმულებას ადგენს რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, იმ შანშეს შვილი, რომელსაც ისე ელაქუცებოდა და მთელის საქართველოს ბედ-იღბალს აბარებდა, იმ მიხეილ და ელიზბარის შვილები, რომელთაც ქართლი, ლიახვისა და არაგვის ხეობა ჰქონდათ ჩაბარებული საშინელს დროს მთის ადელეგებისა. როზენი ერისთავიანთ ადელეგებას თავისებურად, “მოხელურად” ხსნის: ოსეთი რომ ჩამოვართვით, იმაზედ არიან ერისთავიანნი გაცხარებულნიო, მაგრამ ესეც კარგი ჯილდო იყო ერისთავიანთ ერთგულებისთვის.

დოდაევი უფრო ხეივანი ადოქციოდ ა. იგი უფრო ეგრეთ წოდებულ “ინტელექტუალურ” დამნაშავეს წარმოადგენდა, ე. ი. აზრით ეხმარებოდა. პროპაგანდას ისე არ მისდევდა, როგორც ჩააგონებდა შეთქმულთ სხვადასხვა ამადელეგებელ აზრებს. აქებებდა და რჩევას აძლევდა. მანვე იკისრა ქართულის ჟურნალის გამოცემა, რომლის მიზანი იქნებოდა (ეს ჟურნალი - “სალიტერატურო ნაწილნი” ტვილისის უწყებათანი” - მხოლოდ 1832-ში გამოვიდა ხუთი ნომერი) ქართველებისთვის თავისი უნუგეშო ყოფამდგომარეობის მცნება, მოამზადა ხალხისადმი მიმართული ამადელეგებელი პროკლამაცია და როგორც კომისიის მოხსენება ამბობს: “საზოგადოდ არჩევდა იმგვარს მოქმედებას, რომელიც მისს სამეცნიერო წოდებას უფრო შეეფერებოდა”.

ელიზბარ ერისთავი და ალექსანდრე ორბელიანი, იმავე საბუთის მიხედვით, “როგორც უფრო ფიცხები და გამსჭვალულები, ჰქადაგებდნენ პირდაპირ, რომ ქართველებიც პოლონელებივით უნდა აჯანყდნენ, ვითომდა მათი შემავიწროვებელი მთავრობის წინააღმდეგ”. 1831 წელში ამ მეთაურთ შემოუერთდა კაცი, რომელმაც ისე საზიზღრად გასცა იგინი და ჩირქი მოაცხო არათუ მის წოდებას, მთელ ქართველობას. თითქმის მთელი ჩვენი ისტორია სავსეა ღალატის მაგალითებით, და თუ მიღებულია თქმად, რომ ჩვენი ისტორია მარტიროლოგიაა, ე. ი. რჯულისათვის წამებულთა მატინეო, ისეთისავე სითამამით შეიძლება ითქვას, რომ იგივე ისტორია დაუსრულებელის მოღალატეობის მატინეც არის. უკანასკნელი ისტორია საქართველოს პოლიტიკურის თვითარსებობისა იმავე საზიზღარის ღალატით დამთავრდა, რომელმაც შეძლება მისცა ალა-მაჰმად ხანს ჯავრი ეყარა და გაეჟლიტა ქართველები.

პოლონეთის აჯანყების ამბებს თავბრუდამხვევი გავლენა ჰქონდა შეთქმულ ქართველობაზედ. შეთქმულნი მარჯვედ მუშაობდნენ. მათ შეიძინეს ახალგაზრდა პოეტი (შემდეგ დრამატურგი) თ. გიორგი დავითის ძე ერისთავი (სულ 17-ის წლისა იყო), რომელსაც ბატონიშვილი ოქროპირიც ენახა. საქართველოში შეატყობინეს თავისი აზრი მამუკა ორბელიანს, რომელიც გულითა და სულით მიემხრო. მამუკა ორბელიანის შემოერთების შემდეგ შეთქმულთ აჯანყების შესახებ დაიწყეს ლაპარაკი. მამუკა და ელიზბარი ურჩევდნენ აჯანყება მოეხდინათ შემოდგომაზედ, რთველის გათავების შემდეგ და ამისათვის დაევალებინათ მონაწილე თავადებისთვის, შეეკრიბათ გლეხის ჯარები. ხოლო თვით მამუკამ ითავა თათრების მოყვანა. რაკი ამნაირად აჯანყებულნი მზად იქნებოდნენ, უნდა გაეკეთებინათ სათავადაზნაურო ბალი, რომელზედაც უნდა მოეპატოვნათ რუსის უმაღლესი მოხელეები, გაეწყვიტათ იგინი და შემდეგ მოეხდინათ საერთო აჯანყება. მაგრამ 1831-ში ჯერ კიდევ არავითარი ზომა არ მიუღიათ ამ აზრის განსახორციელებლად.

ელიზბარ ერისთავი, როგორც მოლაპარაკება ჰქონდა ბატონიშვილებთან, საიდუმლო მიწერ-მოწერის შემწეობით ატყობინებდა დიმიტრი ბატონიშვილს შეთქმულების ამბებს, მაგრამ დიმიტრისაგან არავითარი პასუხი არ მოსდიოდა, როგორცა ჩანს, იმიტომ, რომ ბატონიშვილს დაუკარგავს საიდუმლო მიწერ-მოწერის ასახსნელი. ელიზბარი, რაკი დიმიტრისგან ვერას გებულობდა, “გადაკრულ” წერილებსა სწერდა ბატონიშვილის ფარნაოზის ქალს, სალომესა, რომელიც ისეთისავე მტრულის თვალთ უყურებდა რუსეთის მთავრობას.



ელიზბარ ერისთავმა შემოიერთა შეთქმულებაში თ. ლუარსაზ ორბელიანი (39 წლის), ცოლისძმა პოეტის თ. ალექსანდრე ჭავჭავაძისა. ამავე ლუარსაზს დაავალეს მის სიძე ალექსანდრესათვის შეეტყობინებინა ყოველივე და შემოეერთებინა მათთვის. ლუარსაზმა ურჩია, რომ ბატონიშვილის ალექსანდრესათვისაც შეეტყობინებინათ ყოველივე, რათა აჯანყების დროისთვის კახეთში ჩამოსულიყო. ალექსანდრე ბატონიშვილი (ირაკლის უმცროსი შვილი) სპარსეთში იყო გახიზნული. ალექსანდრე ორბელიანი მკვიდრი დისწული იყო ალექსანდრე ბატონიშვილისა და ადვილად გამართა მასთან მიწერ-მოწერა, შეატყობინა, რომ ქართველთ სურთ რუსეთის მთავრობა მოიშორონ და საჭიროა დანიშნულ დროისათვის კახეთში ჩამოსულიყო. წერილი ბორჩაღელ თათარს გაატანეს, მულაა ზამანს (25 წლისა). პასუხად ის მიიღეს, რომ ბატონიშვილი მოხუცებულია და თანაც სასოწარკვეთილია და არა სწამს რა ქართველებისა და ამიტომაც უარი განაცხადა მონაწილეობის მიღებაზე. ალექსანდრე ბატონიშვილის საქმეში ჩარევა კი, ჰგავს, დიდად საჭიროდ მიაჩნდათ შეთქმულებს, რადგან კინაღამ ბატონიშვილის იულონ ირაკლის ძის ქალი თამარი (და დიმიტრი ბატონიშვილისა) არ გაგზავნეს მასთან მოსალაპარაკებლად. თამარ ბატონიშვილი უნდა წასულიყო ვითომდა იერუსალიმში სალოცავად და საზღვარზედ უნდა ენახა ალექსანდრე, მაგრამ შეეშინდა, ეჭვი არ აიღოსო მთავრობამ და თავი დაანება.

თამართან ხშირად იკრიბებოდა შეთქმული ყმაწვილკაცობა და ჰქონდათ მსჯელობა აჯანყების შესახებ. მაგრამ ყველაზედ უფრო ხშირად იკრიბებოდნენ ბატონიშვილის თეკლეს შვილ ალექსანდრე ორბელიანთან. აქ ხშირად სადილოზედ, როგორც მოგვითხრობს “აქტები”, “სადილს შემდეგ, ღვინით შეხურებულნი და აჯანყების მოთავეთაგან ალელვებულნი, განსაკუთრებით კი ელიზბარისაგან, ჰსვამდნენ საქართველოს განთავისუფლებისათვის და პირდაპირ მსჯელობდნენ, რომ აჯანყებაც ამადაამ რიგად უთუოდ საჭიროაო”. პროპაგანდას დიდის ენერგიით ეკიდებოდნენ, არ ავიწყდებოდათ ისიც, რომ სხვა მხარეებიც შემოეერთებინათ. მაგალითად, გიორგი ერისთავი და ალექსანდრე ორბელიანი გაეცნო ვიღაც იმერელ აზნაურ ლორთქიფანიძეს, შეატყობინეს მას თავისი განზრახვა, დაუწერეს მთელი გეგმა მოქმედებისა და დაავალეს იმერეთში მოემებნა მათთვის თანამგრძობნი: “მაგრამ ლორთქიფანიძემ რამდენიმე ფული გამოართვა და მოატყუა. აღარავის თვალთ აღარ უნახავს”.

შეთქმულთ მხედრობასაც მიმართეს. განუზიარეს განზრახვა ოფიცრებს ნ ა თ ა ლ ო ვ ს, ჯ ო რ ჯ ა ძ ე ს, მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ს და ა წ ე რ ე თ ე ლ ს, - ამათის შემწეობით ყაზარმებში უნდა შესულიყვნენ ქართველები, გამოეტანათ იარაღი და ჩაეგონებინათ ჯარისკაცებისათვის, მათ მიმხრობოდნენ. შეთქმულნი სცდილობდნენ, ყოველივე შემთხვევა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. იმ დროს გუბერნატორის ზავილესკის ნებადართვით თბილისში ჭიდაობა იმართებოდა. შეთქმულთ სურდათ ჭიდაობის დროს ალელვებული ხალხით დაეწყით ამბოხება. აგრეთვე, არბოში (ქართლში) დღეობაზედ წავიდნენ შეთქმულნი (ელიზბარ ერისთავი და მამუკა ორბელიანი) და აქ შეკრებილ თავადაზნაურობას განუცხადეს თავიანთი აზრი და ისინიც სიამოვნებით მიემხრნენ. საუბედუროდ, “აქტები” არ ასახელებენ იმ პირთ, ეს კი ჩვენთვის საჭირო იყო იმის გასაგებად, თუ ვინ ემხრობოდა შეთქმულებას და რამდენად ღრმად იყო შეთქმულების ფესვები გადგმული ქართველს თავადაზნაურობაში.

თანაც შეთქმულნი ავრცელებდნენ ხმას, რომ სპარსეთი რუსეთს ომს უცხადებსო. ეს საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდა ქართველებზედ, და ამ გავლენას ემატებოდა აღმგზნებული ამბები პოლონეთის აჯანყებისა. ხოლო როცა ვარშავის აჯანყება დაამარცხა მთავრობამ, შეთქმულნიც დასცხრნენ და ამგვარად 1831 წელში აჯანყება ვერ მოხდა. ის კი არა, შეთქმულება შესუსტდა. თუმც მეთაურნი არ იტყებდნენ გულს და პროპაგანდის საქმეს წინანდებურად მისდევდნენ.

ამავე დროს, შეთქმულება ლიტერატურულ სახეს ღებულობს, - “Общество принимает некоторый вид литературный”, როგორც “აქტები” ამბობენ. ახალშემქმნილ წევრთა შორისაც უფრო მწერალნი და მასწავლებლები სჭარბობენ. ესენი იყვნენ: მასწავლებელი ა ვ თ ა ნ დ ი ლ ო ვ ი (გიმნაზიის მასწავლებელი, 21 წლისა) და ყ ი ფ ი ა ნ ი დ ი მ ი ტ რ ი ი ვ ა ნ ე ს ძ ე - უკანასკნელი გმირი ამ ეპოპეისა, რომელმაც იმავე დიდის საქმისათვის გასწირა მაინც სიცოცხლე, მთარგმნელი მამაცაშვილი იოსები (23 წლისა), მწერალი რ ა ზ მ ა ძ ე, რომელიც მსახურობდა რუსეთის ელჩთან სპარსეთში - გრ. სიმონიჩთან. მათ მიემატა კიდევ ახლად პეტერბურგიდან მოსული პრაპორშჩიკი დ ი მ. ე რ ი ს თ ა ვ ი, ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს ძ მ ა, და ლეიბგუსარი გ. ე რ ი ს თ ა ვ ი, რომელზედაც კომისია ამბობს, ამას ჩვენ მოვიხსენიებთ მხოლოდ ლეიბ-გუსარადო, რადგან, ეს „название самое приличное его нраву”. ამ სიტყვებით კომისია, რომელიც მარტო მხედრობის წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა, ვითომდა ლიბერალობს, მაგრამ საქმიდან არა ჩანს, რაში გამოიხატა ამ გიორგი

ერისთავის (არა პოეტის) “ლეიბ-გუსარობა”, - თუ მარტო იმაში, რომ შეთქმულებაში მიიღო მონაწილეობა, ეს, მგონი, არ შეადგენს “ლეიბ-გუსარობის” განსაკუთრებულ თვისებას.

ეს ერისთავები ოქროპირისაგან განსწავლულნი იყვნენ, დიმიტრის კი უფრო გარკვეული დარიგება მისცაო ბატონიშვილმა და საიდუმლო მიწერ-მოწერაც ჰქონდათ გამართული ერთმანეთში. 1832 წლის გაზაფხულზედ გიორგი ერისთავი (პოეტი) კახეთში გაემგზავრა შემთხვევით და აქ გაიცნო ფილადელფოს კიკნაძე ბერი (იმერელი, 40 წლისა), რომელიც ბავშვობითგანვე ქართლში იყო წაყვანილი (7 წლ.), ნამყოფი მოსკოვსა და ნოვგოროდში. სწორედ მოსკოვში ყოფნის დროს 1826 და 1827-ში იმას ჰქონდა სერიოზული მოლაპარაკება ოქროპირ ბატონიშვილთან საქართველოს საქმეების შესახებ. ფილადელფოსი დაუახლოვდა გიორგი ერისთავს, ასწავლა საიდუმლო ანბანი, მისგანვე გამოგონილი და რაკი გაიგო გიორგისაგან, რომ ეკუთვნის ახალგაზრდობის სალიტერატურო წრეს, რომელსაც ქართულის სიტყვიერების განვითარება აქვს აზრად, წინადადება მისცა, - წერილობით დარიგებას მოგცემ და ერთგვარ წესდებას, რათა უფრო მარჯვედ წაიყვანო საქმეებო და მაშინ გადასცა გიორგის წესდება “ფარული და განუწყვეტელის მეგობრობისა”. საუბედუროდ, ჩვენ არავითარი შეძლება არა გვაქვს გავიგოთ, რა შინაარსის იყო ეს წესდება. უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ კომისიის დახასიათებიდან, რომლიდანაც დაინახავთ, რომ ეს შრომა სერიოზულსა და საფუძვლიანს რასმე წარმოადგენდა.

“მისტიკური ესე ნაწარმოები, - ამბობს კომისია, - როგორც სჩანს ყველაფრიდან, მასონებისა ან სხვა საიდუმლო საზოგადოებათა წესდებებიდან არის აღებული და ნათლად ეტყობა წარმომდგარია უფრო განათლებულ წყაროდამ, ვიდრე ეს მიეწერება ფილადელფოსს (კომისიას ეჭვი ოქროპირ ბატონიშვილზედა აქვს). აქტით განზრახულია პირდაპირ საიდუმლო, მტკიცე კავშირის შედგენა, რომლის წევრნიც აღთქმითა და ფიცით უნდა იყვნენ ერთმანეთთან შეკრულნი, მაგრამ თითქმის არ იცნობდნენ ერთმანეთსა. წევრნი იქნებიან დამოკიდებულნი თავიანთ უმაღლეს ხელმძღვანელთაგან, განსაკუთრებით კი იმ პირველ უცნობ ავტორისაგან, რომელსაც საკუთარ სურვილისა და მოსაზრებებისამებრ შეეძლება მათი წინამძღოლობა. კილო აქტისა სრულიად მისტიკურია, მაღალი და ბუნდოვანია, გარეგანი აზრი კი კეთილზნეობრივი და ღვთის მოყვარულია, მაგრამ არსებითად მეტად მავნე განზრახვისაა და თვისებითაც თავის დროზედ დიდი ვნების მოტანა შეუძლიან, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ (ქართველებს) დაფარულობისადმი ბუნებრივი მიდრეკილება აქვთ და ყველაფერს ადვილად იჯერებენ”.

როგორც გამოძიებიდან ჩანს, ეს აქტი უნდა შეედგინოს ფილადელფოს ბერს, მეორე ვინმე ბერის - ვორფორის ზეგავლენის ქვეშ. ეს ბერი ბატონიშვილებს ახლდა ხოლმე რუსეთში, ხოლო 1830-ის დამდეგში ოქროპირთან იყო თბილისში და აქ ენახა ფილადელფოსი, რომლისთვისაც გადაეცა რაღაც რვეულები და ვითომ ეს რვეულები უნდა გამხდარიყოს ფილადელფოსის საიდუმლო საზოგადოების წესდების წყაროდ.

დაბრუნდა თუ არა გიორგი კახეთიდან, ელიზბარ ერისთავმა გაუკეთა გამოსათხოვარი სადილი რაზმამეს, რომელიც სპარსეთში უნდა გაჰყოლოდა გრ. სიმონიჩს. ამ სადილზედ ჩვეულებრივად აღმზუნებელი სიტყვები იქნა წარმოთქმული. მომეტებული ნაწილი მონაწილეთა მსჯელობდა აღმშფოთებლად, სვამდა საქართველოს განთავისუფლებისა და თავ. დიმიტრი გრუზინსკის სადღეგრძელოსა. თანაც რაზმამესთან მოლაპარაკება გამართეს: სპარსეთში მოილაპარაკე ჩვენის საქმეების შესახებ და ალექსანდრე ბატონიშვილი მოიხმარე ამ საქმეშიო, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილს კი მისწერა ალ. ორბელიანმა, გაგზავნა თავისი მოძღვარი ტალიაშვილი თავრიზში რაზმამესთან და, აგრეთვე, ინგლისის კონსულთან მოსალაპარაკებლად. საუბედუროდ, “აქტების” შემწეობით ვერ გამოგვირკვევია, ჰქონდა რაიმე სერიოზული ხასიათი უცხოელ ელჩებთან მოლაპარაკებას თუ არა. ეს კი უეჭველია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში ტყუილა არ იჯდა და მარჯვე დროს იძიებდა და ყოველივე ღონეს ხმარობდა რუსეთის მთავრობისათვის დაეკლო რამე. ალექსანდრე ბატონიშვილი გულითად მონაწილეობას ღებულობდა კახეთის აღელვებაში 1802 წელს, მთიულეთის ამბოხებაში 1804 წელში.

“აქტებში” მოთავსებულია, სხვათა შორის, ერთი მეტად საინტერესო ეპიზოდი ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრებიდან: საქმე ის გახლავთ, რომ ალექსანდრე სპარსეთში იყო გახიზნული, ხოლო მისი ცოლი, ერთადერთი ვაჟით - ერეკლეთი ერევანში იმალებოდა თავის მამასთან, მელიქსააკ აღმალოვთან და დღითი დღე ემზადებოდა თავის ქმართან წასვლას. ბარონ როზენს უსათუოდ უხერხულად მიუჩნევია ეს სურვილი ბატონიშვილის მეუღლისა და უცნობებია თავისი აზრი პეტერბურგში. ამის პასუხად აი, რა მოუვიდა: ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილინება და სრულიად

საფუძვლიანად სცნო თქვენი აზრი ბატონიშვილ ალექსანდრეს მეუღლისა და შვილის შესახებ, მაგრამ უზრდელობად სთვლის ამ შემთხვევაში ძალის ხმარებასა, რათა აღნიშნული ბატონიშვილის ცოლი რუსეთის საზღვრებში ძალით იქმნეს დატოვებული, თუკი რომ თავის კანონიერ ქმართან წასვლას მოინდომებდა. - ხოლო თუ ისე, სიტყვით ჩააგონებდა როზენი, მთავრობა ამის წინააღმდეგი, რასაკვირველია, არ იქნებოდა. ბარონ როზენი ამ წინადადებას ამგვარად ამახინჯებს: ისა სწერს ერივანში თავის მოხელეს, ბებუთოვს: “კეთილინება ხელმწიფე-იმპერატორმა, რომ მე ბატონიშვილის ალექსანდრესი, მცირეწლოვანი ერეკლე, ს. პეტერბურგში იქმნეს გაგზავნილი, რათა შთამომავლობის შესაფერი განათლება სახელმწიფო ხარჯზედ მიიღოს იქა. ადევნეთ მხოლოდ სასტიკად თვალყური, რომ დედამისი (ე. ი. ბატონიშვილის ცოლი) არ გაიქცეს, რაც მოენდობა თქვენს პასუხისმგებლობასა”. თქვენ ჰხედავთ, რომ უმაღლესი ბრძანება ძალიან შორს არის ამ პირუტყვულ წინადადებაზედ, მაგრამ როზენმა ამგვარად მოისურვა უმაღლესის სურვილის აღსრულება და კიდევაც მიაღწია მიზანს: სწორედ ძალმომრეობა იხმარა და ისე გაგზავნა დედოფალი თავისი შვილით პეტერბურგში. თორემ ბებუთოვმა ასე მოსწერა, თქვენი წინადადება რომ განუცხადე დედოფალს, აღშფოთებულმა და გაბრაზებულმა გამოაცხადა, რომ თვითონვე დაჰკლავს საკუთარ შვილს ხანჯლით, თურმე ძალით წამართმევნო. ჯერ თბილისში გაგზავნეს ძალით და მის მაგიერ მისწერეს წერილი ბატონიშვილ ალექსანდრეს. ეს წერილი აღსავსეა მთავარმართებლის ქებითა და მაღლობით: “რამდენადაც ვხედავ, მთავარმართებელს ყველასთვის სიკეთე ჰსურს”. ურჩევს კიდევაც: “ნახეთ მთავარმართებელი, იმედია, თავისის გ უ ლ კ ე თ ი ლ ო ბ ი თ ეცდება უთუოდ თქვენც შეგისრულოთ წადილი”. მაგრამ მთელი ეს ყალბი წერილი უცნაურის შენიშვნით თავდება, რომელიც მისი სიყალბის უქველი დამამტკიცებელია: “მე თვით მინდოდა ჩემის ხელით მომეწერა, მაგრამ აზრი ვერ მოვიკრიბე ისე, რომ თქვენი საკადრისი ბარათი მომეწერა და ამიტომ ისეთ კაცს მივანდე ამ წერილის დაწერა, რომელიც ძმად მიმაჩნიაო”. ალექსანდრე ბატონიშვილი კარგად მიხვდებოდა, რომელმა “ძმამ” დაუწერა ეს წერილი მეფის რძალს. თბილისიდან პეტერბურგში გააქანეს ამნაირად დატანჯული ქალი და თანაც დაუმატეს, რომ ჩავაგონეთ და თვით მოისურვაო. ეს ეპიზოდი საინტერესოა მით, რომ მთავრობა დიდის სიფრთხილით და ეჭვით ეკიდებოდა მეფისწულებს და კიდევ უფრო მით, რომ მშვენიერი სურათია იმისი, თუ პეტერბურგიდან თბილისამდე რამდენხედ დამახინჯებული ჩამოდის ხოლმე ბრძანება და წინადადება. ჩვენ, რა თქმა უნდა, იმას არ ვიტყვით, რომ მაინცდამაინც არსებითი განსხვავება იყოს “პეტერბურგისა” და “ტფილისის” კანცელარიათა მიმართულებას შორის, მაგრამ მაინც საინტერესოა, რომ რუსეთში მბრძანებელი და ბრძანების აღმასრულებელი უმაღლესი და უდაბლესი მოხელეებია და მთელი ქვეყანა ამ “მოხელეთა” კაპრიზების ანაბარად არის დაგდებული.

ჩვენ იქ შევჩერდით, საცა მოგახსენებდით, ვერ გამოვარკვეით-მეთქი “აქტების” საშუალებით, რაგვარი დამოკიდებულება არსებობდა შეთქმულთა და უცხოელ საელჩოთა შორის. წამოიღვინეთ, “აქტებში” მოხსენებულია ვიღაც ბალა მამედი, ალექსანდრე ბატონიშვილის რწმუნებული პირი. ეს ბალა მამედი ალექსანდრე ორბელიანს ნახულობდა ხოლმე, მის ამბებს უამბობდა და სხვათა შორის, უკანასკნელად ისიც კი უთხრა, რომ ბატონიშვილს ეგვიპტის ფაშასგან კაცები მოუვიდაო, და ამის შემდეგ გამაგზავნა მე დალესტანში იქაურ უფროსებთან და ახლა მიგვაქვსო წერილები მათგან ბატონიშვილთანო. თქმა არ უნდა, ალექსანდრე ბატონიშვილი აჯანყებულ ლეკებს აქეზებდა, მაგრამ ეგვიპტის ფაშა რა შუაშია, არ ვიცით. ეგვიპტის ფაშა თვით განსაცდელში იყო და მაგისტანა კაცების მომხრეობით შორს ვერ წავიდოდნენ.

ქართველი შეთქმულები კი, არათუ ლეკებთან დაახლოებას არა სცდილობდნენ, დროგამოშვებით მათთან საომრად მიდიოდნენ (მაგ., პოეტი გ. ერისთავი და სხვანი). სასაცილო იყო ამგვარი მოქმედება. რუსებს ეომებოდნენ და ამ დროს რუსებს ეხმარებოდნენ მათ მტრების წინააღმდეგ, - ძველის ანგარიშების გასასწორებლად უთუოდ, - მაგრამ, რომ ეს პოლიტიკურ გონიერებას მოკლებული იყო, ამას, მგონია, ვერავინა ჰყოფს უარს.

1832 წლის აგვისტოში შეთქმულების დროებით მიყუჩებულმა საქმემ ხელახლად ფრთები შეისხა. ელიზბარ ერისთავი, დოდაევი და ალექსანდრე ორბელიანი, “მედანოსე” ეგვიპტი ფალავანდოვის წაქეზებით, გაცხარებულ მუშაობას შეუდგნენ. განსაკუთრებით გატაცებით, როგორც ყოველთვის, ისე ახლაც, ელიზბარ ერისთავი მოეკიდა საქმეს. დაიწყო ნადიმების გამართვა, რომელზედაც თავბრუდამხვევის სიტყვებით აქეზებდნენ ერთმანეთს და ერთხელ ვახშამზედ თ. აბხაზისას საქმე იქამდე მივიდა, გადაწყვიტეს ამოირჩიონ მეთაური (ელ. ერისთავი, როგორც სჩანს) და დაუყოვნებლივ მოახდინონ აჯანყება.

“ამ უგუნური აზრების გავრცელება-გამწვავებას ხელს უწყობდნენ მაშინდელი გარემოებებიც საქართველოში”: უმეტესი ნაწილი ჯარებისა ლეკების წინააღმდეგ იყო ამხედრებული დაღესტანში. ლეკები დაეცნენ კახეთს და შიშის ზარი დასცეს არათუ კახელებს, თბილისელებსაც. თანაც, რუსეთის გამარჯვების მაგიერ, დამარცხების ამბები მოდიოდა. ამასთანავე, გავრცელდა ხმა, რომ ეგვიპტის ფაშა აპირებსო რუსეთის საზღვრებზედ მოიტანოს იერიშიო და ამაების მიოხებით, ამბობს კომისია, “შხურვალე მონაწილეთ მოინდომეს დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ თავიანთი განზრახვის შესრულებას”. შეთქმულთა რიცხვიც მატულობდა. მათ მოემატა თ. ჩოლოყაშვილი, შვილი ბატონიშვილის რიფსიმესი (გიორგი XII-ის ქალის), ანუ „сделался аружным их соинщиком” (“აქტების სიტყვით”) და თ. დიმიტრი ორბელიანი (ძმა პოეტისა, თეკლე ბატონიშვილის შვილი), რომელიც უკვე პეტერბურგში იყო მომზადებული ბატონიშვილებისაგან. 1832 წელი თითქმის მიწურულში იყო. შეთქმულთ გადაწყვეტილი ჰქონდათ, ამ წელიწადში მოეხდინათ აჯანყება. თ. ლუარსაბ ორბელიანის რჩევით, აჯანყება უნდა მოეხდინათ სათავადაზნაურო კრების დროს, ე. ი. 20 ნოემბერს. ამ დროისათვის გაცხარებული მზადება იყო. იკრიბებოდნენ ალექსანდრე და ლუარსაბ ორბელიანისას და, აგრეთვე, თვით ევსევი ფალავანიშვილისას, მისის ძმის, გუბერნატორის სახლში (გუბერნატორი თბილისში არ იყო). აქ გადასწყვიტეს, სხვათა შორის, მოეკლათ თავადაზნაურთა წინამძღოლი მუხრანსკი, რომელიც ცნობილი იყო თავისის დიდის ერთგულებით რუსეთის მთავრობისადმი (“აქტები” ხსნიან, ვითომ ელიზბარ და დიმიტრი ერისთავები გვარეულად ემტერებოდნენ მუხრანსკის) და, აგრეთვე, მოეკლათ გუბერნატორი ფალავანდოვი, თუ ვინცილობაა წინააღმდეგობას გაუწევდნენ შეთქმულთ. ასე ფალავანდოვმა თვით იკისრა თავისის ძმის მოკვლა.

საქმე გადაწყვეტილი იყო იმ ზომამდის, რომ “ბუნტის” დაწყების წესრიგიც კი აღნუსხული იყო დაწვრილებით. ეს წესრიგი შედგენილი იყო დიმიტრი ერისთავისა და ასე ფალავანდოვისაგან და როცა დიმიტრამ ის დაწვა, ასე ფალავანდოვმა ხელახლად შეადგინა. განცვიფრებული ხარ კაცი ასე ფალავანდოვის მოქმედებით. ეს ადამიანი, რომელიც ძმის მოკვლასაც კი კისრულობდა, პირველი “მედანოსე” შეიქმნა, მაგრამ თავის ერთგულებას შეთქმულთა მიმართ ასე ხსნის, რომ უნდოდა შეთქმულთა გული მოეგო, მათი საიდუმლო სავესებით გაეგო და მერე “დანოსი” გამოეჩარხა. თუ ეს ნამდვილია, საზიზღარის დაცემულების და განხრწნის მაგალითია.

რავგარი იყო ზემოხსენებული წესრიგი “ბუნტის” დაწყებისა? ამასაც ბუნდოვნად ისევე “აქტები” გვიხსნიან:

“აჯანყების პირველ დამის განკარგულებაში” მოთავსებული იყო დაწვრილებითი განწესრიგება შეთქმულების მონაწილეთა, როგორც უნდა დასხმოდნენ თავსა (რამდენიმე არამონაწილედ იყო შეტანილი, რომელთა იმედიც ისე, როგორღაც უმიზნოდა ჰქონდათ). მონაწილენი შეგულიანებულისა და შეიარაღებულის ხალხით დაეცემოდნენ ქალაქის უმთავრესს ადგილებს, განსაკუთრებით კი ხაზინას, თოფხანასა და მაღაზიებს (რასაკვირველია, სამხედრო მაღაზიებს). აღნიშნული ხალხი განზრახული იყო შეეკრიბათ ასე: ყველა შეთქმულს თავადს უნდა შეეგულიანებინა და მოეყვანა თან რამდენიმე საკუთარი გლეხი. ამიტომაც შეადგინეს ელიზბარ ერისთავმა და ალექსანდრე ორბელიანმა სია თითოეულ მონაწილის ადგილ-მამულის რაოდენობის მიხედვით (მაგრამ არა სწანს, რომ შეესრულებინა ვისმე ეს განკარგულება, ბევრმა კი სრულიადაც არა იცოდა რა მისი). გარდა ამისა, განზრახული იყო განკარგულებით, აჯანყებისათვის დანიშნულ დღისთვის შეეგულიანებინათ, რამდენიც კი მოხერხდებოდა, პოლონელი და სამსახურიდან დათხოვნილი ჯარისკაცები, რომ ხალხში ხმა გაეცვლებინათ, ქართველებიდან ჯარის გაყვანა ნაბრძანები და ამიტომ ჯანყდებიან თავადებო, გაემართათ თავადაზნაურობის სახელით ბალი, რომელზედაც უნდა მოეწვიათ ყველა უმაღლესი მოხელენი, განსაკუთრებით რუსები, დანიშნულს დროს ყველა რუსი ამოეწვიტათ, აგრეთვე, ის ქართველები, რომლებიც მათ მხარს დაუჭერდნენ. მერე დაერეკათ ზარები, დაეყენებინათ ხალხი ფეხზედ, გამოესვენებინათ ეკლესიიდან ხატები და საქართველოს განსათავისუფლებლად ხალხი აეჯანყებინათ. თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა პირველ ხანობაზე, დაეხოცათ ყველა, ვინც უნდა ყოფილიყო ეს მოწინააღმდეგე.

საქმემ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია. დადგა ხანა მოქმედებისა, მაგრამ დადგა ხანა გაუბედავთა შეჩერებისაც. ხოლო გაბედულნი და თავგანწირულნი თანდათან უფრო აღტაცებით ეკიდებოდნენ საქმეს. ყიფიანი (დიმიტრი), ავთანდილოვი და მწერალი მამაცოვი, ცოტა არ იყოს, დაფრთხნენ, რაკი შეთქმულნი ასეთს მძიმე საქმეს კისრულობდნენ, საქმე საშინელის სისხლისღვრით უნდა დაწყებულიყო. ესენი წინააღმდეგდნენ შეთქმულთ და მერმე მთლად ჩამოშორდნენ. ელიზბარ ერისთავმა და “გუსარმა” ერისთავმა (უთუოდ ამიტომ უმახის კომისია “გუსარს”) კიდევაც შეადგინეს პროექტი განთავისუფლებულის საქართველოს დროებით

მმართველობისა, “ყტ ვტყტ .ტპევყსქ” ალექსანდრე ორბელიანი კი მულა ზამანს ავალეზდა - თათრები გვიშოვეო, ხოლო იასე ფალავანდოვი კი კინტოების მომხრობას სცდილობდა.

თამარ ბატონიშვილი (იულონის ქალი) იმდენზედ გატაცებული იყო, რომ თვით განაცხადა სურვილი “ზუნტში” მონაწილეობის მიღებისა და დასთანხმდა დროებით მმართველობაზედ, ვიდრე ბატონიშვილები ჩამოვიდნენ. “ზუნტის” დაწყების დღე გარკვეულად არ იყო აღნიშნული. “ზუნტი” უნდა მომხდარიყო სათავადაზნაურო მორიგი კრების დაწყებისთანავე, კრება კი დეკემბრამდის გადიდვა. ნოემბრის გასულს თავადაზნაურობა ჩამოიკრიბა თბილისში. ჩამოვიდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც, რომელსაც შეატყობინა მისმა ცოლისძმამ, ლუარსაბ ორბელიანმა, - გამოუცხადა შეთქმულნი აჯანყებას აპირებენო. ალექსანდრე ჭავჭავაძე შეშინდა, დაიბარა ჩოლოყაშვილი და ურჩია ჩაეგონებინა შეთქმულთათვის, რომ ყოვლად უნიადაგოა და უაზრო აჯანყების მოხდენა. ჩოლოყაშვილმა და ლუარსაბ ორბელიანმა გამოუცხადეს ეს შეთქმულთა მეთაურთ. “ზ დც| გჯკჯ;ბკბ ჯცნფდბნმ ცდჯბ პფვსცკს”. ალექსანდრე ორბელიანს ბორჩალოდან ამბები მოუვიდა, მაგრამ მოციქულები უკან დააბრუნა - აღარა ხართ საჭიროო. ბორჩალოში ხმა გავრცელებულიყო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს ალექსანდრე ორბელიანთან მიწერ-მოწერა აქვს გამართულიო. ალექსანდრე ორბელიანი ძალიან შეაშინა ამ ხმებმა და დახია ყოველივე ქალაღდები, რაც კი ჰქონდა (დოდაევის პრაკლამაციები და სხვა) და წავიდა იასე ფალავანდიშვილთან მოსალაპარაკებლად. რამდენიმე დღის შემდეგ დაასმინა ფალავანდოვმა და 11 დეკემბრის შემდეგ დაიწყეს პირველად დაპატიმრება შეთქმულების მონაწილეთა.

“მოისპო ამრიგად ბატონიშვილების დიმიტრისა და ოქროპირის ჩაგონებით დაწყებული ბოროტგანზრახულება”, როგორც ამბობს “აქტები”.

რომ თქვას კაცმა, შესაძლებელ შედეგთა შორის ეს ასეთი დამთავრება საუკეთესო იყო. შეთქმულებას არა ჰქონდა არც ისეთი ძალა, არც მოხერხება და არც ღონე, რომ რაიმე თვალსაჩინო სასარგებლო შედეგი მოჰყოლოდა. თქმა არ უნდა იმასაც, რომ კომისიას კარგად ვერ გამოურკვევია საქმე, მაგრამ ყოველივე ამას გარდა, საქმის დამწყეთ არ დაუყენებიათ ისეთ საღ ნიადაგზე შეთქმულება, რომ რაიმე შედეგი მოეტანა, და ეს არათუ იმიტომ, რომ არ უნდოდათ, არამედ იმიტომ, რომ არ იყვნენ საკმაოდ განსწავლულნი და გამოცდილნი. მეტად გამოცდილი, როგორცა ჩანს, ბატონიშვილები იყვნენ - დიმიტრი და ოქროპირი, მათ სერიოზულადაც ესმოდათ საქმე. ეჭვი არ არის, პეტერბურგში მათ ბევრი უშრომიათ და უცდიათ შეთქმულების საქმის შესასწავლად, მაგრამ მათი ახალგაზრდა მომხრეები მეტად გამოუცდელნი იყვნენ. სასაცილო იყო იმის ფიქრი, რომ მარტო თავადაზნაურობა შესძლებდა ასეთი საქმის აღსრულებას, მარტო თავისის ძალით, თუგინდ მთელი თავადაზნაურობა in corpore ამ საქმის მომხრე ყოფილიყო. ხოლო ხალხში კი არ მოქმედებდნენ, ისე, კილოკავად თუ გადაკვრით ლაპარაკობდნენ რასმე, თორემ კომისიის გამოძიებიდან მაინც არა სჩანს, რომ სერიოზული ყურადღება მიექციათ ხალხისათვის. მართალია, შეთქმულთ უმთავრესად იმის იმედი ჰქონდათ, რომ თავადები თავის ყმების ჯარებს ჩამოიყვანენო, მაგრამ ეს ქალაღდზე ჰქონდათ დაწერილი, კიდევაც გააწერეს სხვადასხვა პირს ამდენი და ამდენი ჩამოიყვანოსო, მაგრამ სერიოზულად საქმისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. საქმე მარტო ერთმანეთთან ლაპარაკში და ერთმანეთის წაქეზებით როდი გაკეთდებოდა. არ არის ეჭვი, რომ ტფილისის ამქრებში, კინტოებში და მდაბიო ხალხშიც ძალას მოიპოვებდნენ, მაგრამ თუმც მათ მოქმედების გეგმაში ამ ძალასაც დიდი ადგილი ეჭირა - პრაქტიკულად არც იქ გაუკეთებიათ რამე. კახელების იმედი ჰქონდათ და, მართლაც, კახეთი ძალიან ადვილად აღელდებოდა ხოლმე და კიდევაც აჯანყდა რამდენჯერმე რუსების შემოსვლის შემდეგ, მაგრამ ესეც დოდაევის სიტყვაზედ იყო დამყარებული და არც აქეთ მიუქცევიათ თავისი ყურადღება შეთქმულთ. დიდი იმედი ჰქონდათ კავკასიაში მცხოვრებ პოლონელების, მაგრამ კომისია ამბობს, რომ ვერავითარი დამამტკიცებელი საბუთი ვერა ვნახეთ იმისა, რომ შეთქმულთ რაიმე ეცადათ ამ შემთხვევაშიო. ჯარებსაც კი მიჰმართეს, მაგრამ საქმე გაკეთებული ეგონათ, თუ თავისი გეგმა ორიოდე აფიცერს შეატყობინეს და მათგან არც კი გაუგონიათ არც ჰო და არც არა. შეთქმულთ იმედი ჰქონდათ, რომ დაიწყება თუ არა “ზუნტი” თბილისში, მაშინვე თელავი, სიღნაღი, დუშეთი და გორი აჯანყდებოდა, მაგრამ რაზედ იყო ეს იმედი დამყარებული, არ ვიცით. კარგად შეიგნეს, რომ საქართველოს სხვა კუთხეებიც უნდა მოემხროთ, მაგრამ ასევე ცუდად მოიქცნენ. საქმე გაკეთებული ეგონათ, თუ ვიღაც თეიმურაზ ლორთქიფანიძეს ორიოდე მანეთი მისცეს და დააბარეს - ასეა საქმეო. ლეკებს და მთების ხალხს კი, კავშირის მაგიერ, თვით შეთქმულნი ომს უცხადებდნენ და ბრძოლის ველზედ მტრად ეცხადებოდნენ. თქმა არ უნდა, რომ მიემართათ ხალხისთვის, შეთქმულნი დიდ თანაგრძნობას იპოვიდნენ. ამას კომისიაც არა მალავს: “ყველაზედ მეტად ამჯანყებულებს თავისის გადაწყვეტილებით შეეძლოთ ხალხი გაეტაცნათ, რადგან საზოგადოდ ადვილად იჯერებს

კავკასიელი ყველაფერს, უპირობარის, პოლიტიკური ცვლილებისადმი დიდად მიდრეკილი და თავისის ზნე-ჩვეულებით არა მუდამ კეთილის მსურველი ჩვენი”.

შეთქმულნი იმგვარ გზას უნდა დასდგომოდნენ, რომ უთუოდ მიემხროთ მთელი კავკასიის აქეთა მხარე და მთელი ხალხი, მაგრამ ამას არათუ მისდევდნენ, ლეკეთს კიდევაც ეომებოდნენ.

ეს ყოველივე არა კმაროდა, კავკასიის აქეთა მხარეს არ შეეძლო რუსეთს შებრძოლებოდა. ყოვლად მიუცილებელი იყო ევროპის სახელმწიფოებს დაახლოებოდნენ, იმათ მაინც, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს. ამ გზაზე, ვიცით, რომ რაღაც მოლაპარაკება ჰქონია ალექსანდრე ბატონიშვილს ეგვიპტის ფაშა მაჰმედ-ალისთან, რომელიც ოსმალს ეომებოდა და თვით გასაჭირში იყო, რადგან ოსმალს რუსეთიც მხარს უჭერდა. კომისია ერთ შემთხვევაზე უთითებს კიდევ, რომელიც მისთვისაც და ჩვენთვისაც ბნელით მოცულია: “მხოლოდ ერთი უცნაური გარემოება გვაგდებს მცირე რამ ეჭვშიო, - ამბობს კომისია, - საფრანგეთის საელჩოს მდივანად ნამყოფმა ტფილისში - ლეტელიემ, რომელმაც შეისწავლა ქართული ენა და გაიცნო ზოგიერთი ქართველი, პეტერბურგში ჩასვლის შემდგომ, “გუსარი” ერისთავი და დიმიტრი ორბელიანიც გაიცნო და მიჰმართა პირდაპირ არაკეთილგანზრახულ სიტყვებით, თუმცა მარტო ერთხელ ენახა და მეტად არაო”. ბატონიშვილი ოქროპირიც კი გაეცნო ტფილისში, ხოლო დიმიტრი კი, მგონი, არ ენახა პეტერბურგში: “მაგრამ გამომყდავენებულს ბოროტგანზრახულებაში რომ პირდაპირი რამ მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული, ამისი არსად რა ნიშნები სჩანს”. და საზოგადოდ არაფრიდან არა სჩანს, რომ შეთქმულთ მოლაპარაკება ჰქონოდათ ვინმე უცხოელთან. ის კი არა, აქაურ პოლონელებთანაც კრინტი არ დაუძრავთ, თუმც პოლონეთის აჯანყებას მათზე საარაკო გავლენა ჰქონდა.

ამგვარმა ნაჩქარევად საქმის გამოწყობამ, ამგვარმა წინდაუხედავმა აღტაცებულობამ ის გამოიწვია, რომ აჯანყება ჩაქრა სულ უბრალო და უმნიშვნელო შემთხვევის გამო. აკი კომისიაც იმას ამბობს: “ზემორე ნახსენებ აღწერილობიდანა სჩანს, რამდენად უმნიშვნელო და უბრალონი იყვნენ შეთქმულთა მიერ აღსასრულებლად განზრახულნი საშუალებანი. განზრახვა მათი, აღბეჭდილი გადაჭარბებულის კადნიერ ოცნებებით მაღლიდამ ჩამგონებლების მხრივ და უგუნურ წინდაუხედაობით მათ თანამებრძოლთა მხრივ, არ შეიძლებოდა სახელმწიფოსთვის საშიშრად ყოფილიყო მიღებული, მაგრამ ვინაიდან ადგილობრივნი მცხოვრებნი ყოველისფერს ადვილად იჯერებენ და ადვილადვე შეიძლება გაიტაცონ, არ შეიძლება ამიტომ არ გამოვტყედეთ, რომ მიზნის მისაღწევ საშუალებათა ასეთს სიადვილესთან, უფრო ღრმად მოფიქრებულს და შორად განჭკერტილს მოსაზრებას მთავრობამ უთუოდ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს”.

თუმც ასე უნაყოფოდ ჩაიარა შეთქმულებამ, მაგრამ მეტად ცუდი შედეგი მოჰყვა შეთქმულთათვის. რასაკვირველია, მთავრობა მოთმინებით ვერ მოეკიდებოდა ასეთს საქმეს, თუმცა სრულიად დარწმუნებული კი იყო, რომ აღგზნებულ ყრმათა გატაცება იყო. ბარონმა როზენმა დამნაშავენი რამდენიმე კატეგორიად დაჰყო დანაშაულობის მიხედვით და თავისი აზრი ყველას შესახებ წარუდგინა იმპერატორს, რომელმაც მხოლოდ დაამტკიცა როზენის წარდგინება.

მეფისწულეები ოქროპირი გიორგის ძე, დიმიტრი და თამარ - იულონის შვილები, აგრეთვე, თეკლე ბატონიშვილი - ირაკლის ასული, როზენის აზრით, თუ სხვა არაფერი, საქართველოსთვის უნდა მოემორებინათ და ყოველგვარი კავშირი მათი ქართველებთან შეეწყვიტათ. “ყოველს შემთხვევაში, საქართველოს სიკეთისთვისვე საჭიროა უთუოდ მოვსპოთ ყოველივე ღონისძიება, რომ მომავალშიაც ვეღარ იქონიონ ასეთი მავნე გავლენა თავის თანამემამულეებზე და საჭიროა ამისათვის გადასახლებულ იქმნენ ისეთს გუბერნიებში, სადაც ქართველი ახალგაზრდობა არ იგზავნება აღსაზრდელად”. ესენი იყვნენ პირველი კატეგორიის დამნაშავენი.

მეორე კატეგორიაში ჩარიცხულნი იყვნენ: ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი (თეკლე ბატონიშვილის შვილი) და მასწავლებელი დოდაევი, რომელიც სამართალში უნდა მიეცათ: აქვეა მოქცეული ევსევი ფალავანდიშვილი, რომელიც, პატივსაცემად იმისა, რომ შეთქმულები დაასმინა, “არ იქმნეს მიცემული სამართალში და არ დაისაჯოს; გარდა ამისა, მიეცეს უნტერ-ოფიცრობა რუსეთში მყოფი ერთ-ერთ რაზმისა და არც აზნაურობა ჩამოერთვას”.

მესამე კატეგორიაში მოქცეულია დიმიტრი ერისთავი, ლუარსაბ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი (თეკლე ბატონიშვილის შვილი) და, აგრეთვე, მულლა ზამანი, რომელიც სამართალში იქმნენ მიცემულნი. აქვეა შემოყვანილი გიორგი ერისთავი (“გუსარი”), რომელიც რუსეთის შორეულ პოლკში უნდა ყოფილიყო შერიცხული.

მეოთხე კატეგორიაში - მამუკა ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე - სამართალში იქმნენ მიცემულნი. ხოლო პოეტი გიორგი ერისთავი, მასწავლებელი ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი და

დიმიტრი ორბელიანი (თეკლე ბატონიშვილის შვილი) რუსეთში უნდა იქმნენ გაგზავნილნი, უკანასკნელი დიმიტრი ორბელიანი დედამისთან - თეკლე ბატონიშვილთან. აქვე შეყვანილი ფილადელფოს კიკნაძე მოკვდა.

მეხუთე კატეგორიაში მოჰყვნენ მთარგმნელი მამაცოვი, რომელიც რუსეთში უნდა გაეგზავნათ, და იმერელი თეიმურაზ ლორთქიფანიძე, “თუმცა გულწრფელად გამოტყდა, მაგრამ სცდილობდა სხვებისთვის დაეწამებინა ცილი”, - ციმბირში უნდა გაეგზავნათ, რადგან იქიდანვე იყო გამოპარული.

“მეექვსე კატეგორიაში მოექცა ჩოლოყაშვილი (რიფსიმე ბატონიშვილის შვილი), რომელმაც “მხოლოდ მოკლე ხნით იცოდა შეთქმულების არსებობა, მაგრამ არ მოსწონდა იგი და ურჩევდა სხვებსაც ბოროტგანზრახვისათვის თავი დაენებებინათ, პირველ გამოკითხვისთანავე გულწრფელად აღიარა ყველაფერი, რამაც შეთქმულების მსვლელობის გამორკვევას დიდად ხელი შეუწყო, ამიტომაც გადაეცა ბედი მისი გადასაწყვეტად მისს იმპერატორებით უდიდებულესობის მოწყალეზასო”, - წერს როზენი.

ტალიევი, მოძღვარი ალექსანდრე ბატონიშვილისა, უნდა რუსეთში გაეგზავნათ; აგრეთვე სომეხი ყორღანოვი. მეშვიდე წყებაშია მოქცეული ჩვენის ლიტერატურის ორი ბრწყინვალე წარმომადგენელი: ალ. ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი, რომლის დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ რილეევის “Исповедь Наливайко” გადაეთარგმნა. ეს რილეევი დეკაბრისტი იყო, სიკვდილით დასჯილი და, რასაკვირველია, ნიკოლოზ I-ის მეფობის დროს მისი სახელის ცოდნაც დანაშაული უნდა ყოფილიყო და ამიტომაც მასაც როზენმა რუსეთის შორეულ პოლკებში გადარიცხვა მიუსაჯა; ხოლო ალ. ჭავჭავაძის შესახებ სწერს:

“ბედი გენერალ-მაიორ თავ. ჭავჭავაძისა გადაეცემა გარდასაწყვეტად მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას. მაგრამ სრულიად დაუსჯელობა მისი, როდესაც ასე აშკარად ჯიუტობს, მხოლოდ მიზეზს მისცემს მთავრობა გაამტყუნონ, რომ არ დააპატიმრეს; ამისდა თავიდან ასაცილებლად, სასარგებლოდ მიმანჩნია ამიტომ, დროებით ასტრახანს იქნეს გაგზავნილი საცხოვრებლად, ანდა სამართალში იქნეს მიცემული, მერმე კი, სამაგალითო სამსახურისათვის წარსულში, მონარქის წყალობა ებოძოს”.

მერვე წყების პირები, საუბედუროდ, ჩამოთვლილნი არ არიან, “მხოლოდ ეჭვია მათზე დიდი, რომ იცოდნენ განზრახვა ესე, ან არადა შეთქმულებთან ერთად ერთის აზრისანი იყვნენ.”

მეცხრე წყება “ექვსე ქვეშ ჰყავდათ, რომ ამ ბოროტგანზრახვისა და ლაპარაკისათვის ყური მოეკრათ, ანდა თვითონაც მიეღოთ ლაპარაკში მონაწილეობა”.

ხელმწიფე-იმპერატორი დაეთანხმა როზენის აზრს და ოქროპირ ბატონიშვილი გაგზავნეს კოსტრომაში, ხოლო დიმიტრი - სმოლენსკში; თამარი, იულიონ ბატონიშვილის ასული - სიბირსკში; პოეტი გ. ერისთავი - პოლონეთის სამეფოში დაბანაკებულ პოლკებში; ავთანდილოვი - პერმში, დ. ყიფიანი - ვოლოგდაში; დიმ. ორბელიანი - პენზაში; თეკლე ბატონიშვილი - კალუგაში; გრ. ორბელიანი - ნიჟ.-ნოვგოროდში დაბანაკებულ პოლკში; ალექსანდრე ჭავჭავაძე - ტამბოვში; იასე ფალავანდოვი - ფინლანდიაში. დანარჩენები სამხედრო სამართალში იქმნენ მიცემულნი.

სასტიკ მხედველობის ქვეშ იქმნენ დატოვებულნი დავით ნათალოვი, სიმონ მაჩაბელი, ბარძიმ და ივანე ამილახვრები, თეიმურაზ ამილახვარი, სალომე ბატონიშვილი ფარნაოზის ქალი, კნ. მანანა ორბელიანისა, თადია ჩოლოყაშვილი, ბირთველ თუმანოვი, გივი ამილახვარი, ზაქარია ციციშვილი, ლუარსაბ თარხანოვი, ვიდაც ალექსი მელნიკოვი, ალ. ჩოლოყაშვილი, ივანე ბარათოვი, მღვდელი ეფრემ ალექსეევი, ქვრივი მართა ალექსიევი-მესხიევისა, დიმიტრი მაღალალოვი, ივანე მაჩაბელი. თ. ივანე ერისთავი, გუბერნატორად ნამყოფი ზავილეისკი. 78 კაცი, რომლის სახელი არ ვიცით, განთავისუფლებულ იქნა ყოველგვარი დასჯისაგან.

სამართალში მიცემულთ, რომელთა გასამართლება 1834 წლის თებერვლის თვეში გათავდა, შემდეგი მიუსაჯეს:

I კატეგორიის დამნაშავეთ: თ. ელიზბარ ერისთავს - სალდათად გაგზავნა ფინლანდიის პოლკში; ალ. ორბელიანს - ორენბურგის ბატალიონში; სოლომონ დოდაევი “во уважению того что он женат на русской”, - ჩრდილოეთ გუბერნიებში განაწესეს კანცელარიაში მოსამსახურედ. II ჯგუფის დამნაშავეს დიმ. ერისთავს (მმას ელიზბარისას) შუაგულ რუსეთში დაბინავებულ პოლკებში სალდათობა განუწესეს. III ჯგუფის ვახ. ორბელიანი კალუგაში გაგზავნეს დედამისს თეკლე ბატონიშვილთან, ხოლო ლუარსაბ ორბელიანი - ცოლისმმა პოეტის ალ. ჭავჭავაძისა, - სამსახურიდან გამორიცხეს, მაგრამ საქრთველოში მისი დატოვება არ მიიჩნიეს საშიშრად, რადგან “ხასიათითა და სხვაფრით, არაფრით იყო საშიში”. მეოთხე ჯგუფის წარმომადგენელი ჩოლოყაშვილი - ბატონიშვილი რიფსიმეს შვილი - განაწესეს რუსეთში, ფეხქვეით ჯარში.

ამგვარად, თითქმის კომიკურად და, ყოველ შემთხვევაში, უცნაურად - დაბოლოვდა უკანასკნელი ტრაგედიული ეპოპეა იმ წოდებისა, რომელიც თავში ედგა საქართველოს საუკუნის განმავლობაში. რამდენადმე სასაცილოა მართლა, რომ სერიოზული საქმე მიატოვეს მარტო ერთი ჭავჭავაძის რჩევით.

შეთქმულებას თავში უდგა მეფისწულები და მათი ახლო ნათესაობა, უახლობელეს მონაწილეობას ღებულობდნენ საუკეთესო გვარები ქართველ თავადაზნაურთა და ყოველის ეჭვის გარეშე, რომ დიდ უმეტესობას თავადაზნაურობისას გაგებულნი ჰქონდა და ასეთს თუ ისეთს მონაწილეობას ღებულობდა საქმეში. თუ გადავთვალთ მთლიანად მოქმედ პირთა სიას, იქ დაინახავთ, რომ საქმეს მოთავეობდნენ ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილები, თეკლე, თამარ და სალომე ბატონიშვილები; ბატონიშვილის თეკლეს შვილები - ორბელიანები; ბატონიშვილის რიფსიმეს შვილი - ჩოლოყაშვილი, ალ. ჭავჭავაძე. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ საქართველო, როგორც პოლიტიკური ორგანიზმი, ისეთს წყობილების ტიპს წარმოადგენდა, რომ ყოველივე ბედი და უბედობა სამეფო გვარეულობით უნდა ეგრძნო. საქართველოს პოლიტიკურმა დამხობამ ყველაზე უფრო ჩვენის მეფის ოჯახობა გაამწვავა. “აქტები” არაერთხელ ამბობენ, რომ მეფისწულები, ცხადად თუ დამალულად, გულში ატარებდნენ საქართველოს განთავისუფლების აზრს და სამაგალითოდ, მათის აზრის დასასურათებლად ოთხტაეპიანი ლექსი მოჰყავთ გიორგი XII შვილის იოანე ბატონიშვილისა: “სკვითებმა წაგვართვეს მთლად მამული და ერთი კაციც კი აღარ მოგვცეს. არ იკმარეს ქართლი და კახეთი და იმერეთიც შეიერთეს. ვართ ასე უბედურებაში და არავინ გვყავს მოსაგრე, რომ საშველად მივმართოთ.

მოვიწვევთ მაღლიდამ მართლმსაჯულებასა, ვნახოთ, ღმერთი ვით განსჯის”.

მაგრამ მათი მსაჯული ვიდაც კაპრალეები იყვნენ, სულითა და გონებით დამახინჯებული, გაველურებული ჯარისკაცები. მე ზემოთ მოვიყვანე მაგალითი იმისი, თუ როგორ მოეკიდა ბარონ როზენი ალექსანდრე ბატონიშვილის სახლობას და როგორ გადაამახინჯა იმპერატორის ბრძანება. ახლა მოისმინეთ, როგორ მოექცა იგივე როზენი თეკლე ბატონიშვილს - ირაკლის ქალს, - მოხუცებულ და ავადმყოფ დედაკაცს, რომლის ღრმა მოხუცებას იმპერატორმაც კი სცა პატივი. თეკლე ბატონიშვილმა სთხოვა იმპერატორს, ნება მიეცა საქართველოში დაბრუნებისა, რაზედაც იგი დასთანხმდა, მაგრამ როზენს არა სურდა და ძლევა მოსილის იმპერატორის ბრძანება გააქარწყალა.

“2 აგვისტოს მოწერილობით მაცნობებდით, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ საქართველოს მეფის ასულის - თეკლე ერეკლეს ასულის თხოვნაზე ხელმწიფე-იმპერატორმა იწინააღმდეგოსა. განაცხადა, შეუძლიან ტფილისში დარჩეს, თუ მე არაფერს ვპოვებდი აქ საწინააღმდეგოსა. მართლაცდა ავადმყოფობისა გამო, რაც კი შეიძლებოდა, ყოველივე შედავათი აღმოუჩინე და ნება დავრთე, სანამ სიცხეებია, კიდევ დარჩენილიყო, მაგრამ 21 ამ თვეს უკვე წამოვიდა რუსეთს. თუ რომ ჰსურს ხელმწიფე-იმპერატორს, ნათხოვნი წყალობა აღმოუჩინოს მეფის ასულს, მაშინ, ვგონებ, უმჯობესი იყოს, რამდენიმე ხანი ისეც დაჰყოს რუსეთში და მერედა აღმოუჩინოს წყალობა, ახლა კი უცბათ მისს უკან დაბრუნებას მიაწერენ არა წყალობას ხელმწიფე-იმპერატორისას, არამედ სიმართლეს უდანაშაულოდ გადასახლებულისას, რომელიც ადგილობრივ მთავრობის უსაბუთო დასმენის შედეგად იქნება მიღებული; ეჭვი არ არის, ბევრი ისარგებლებენ ამ შემთხვევითა და დაიწყებენ ღადაღს, სხვა დასჯილებიც ყველანი ასე უდანაშაულონი არიანო, როგორც უკვე მოხდა ტამბოვში საცხოვრებლად აქედამ გადასახლებულ გენერალ-მაიორის თავ. ჭავჭავაძის პეტერბურგს ჩამოსვლისა გამო. როგორც კი შეიტყვეს ეს ამბავი, ხმა გავრცელდა მაშინვე, რომ გენერალი თვითონ მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას მიუღია გულკეთილადაო, მიუწვევია თავისს სუფრაზედა და უთხოვნი, წარსული ყოველივე დაევიწყნაო. შედეგად ამას ის მოჰყვა, რომ არამცთუ ქართველებმა, რუსებმაც კი დაიწყეს ლაპარაკი, ვითომ თავ. შარვაშიძეც უბრალოდა და უდანაშაულოდ იყოს აქედან გაგზავნილი და ვითომ გაათავებს თუ არა თავისს საქმეებს პეტერბურგში, მაშინვე ტფილისს დაბრუნდება. თვითონვე დარწმუნდებით, თქვენო ბრწყინვალეზავ, რამდენად ცუდი უნდა იყოს მთავრობისათვის მისს საშუალებათა და ღონისძიებათა ასეთი განმარტება. ამიტომაც, რომ თავიდან ავიცილოთ მრავალგვარი უხერხულობა მეფის ქალის - თეკლე ერეკლეს ასულის შესახებ, ვგონებ, სამჯობინო იყოს, რამოდენიმე ხანი რუსეთს დაჰყოს და უკან დაბრუნების ნება, როგორც ხელმწიფე-იმპერატორის განსაკუთრებული წყალობა, მიეცეს მხოლოდ მომავალს წელსა, - ისიც იმიტომ, რომ ავადმყოფია და ხანში შესულია. მაგრამ მაინც ჯერ ადგილობრივს მთავრობას ეცნობოს ამის შესახებო.”

ამგვარი აზრი ბარონ როზენისა უმადლესად მოწონებული იქმნა. თეკლე ბატონიშვილს მხოლოდ 1835-ში მისცეს ნება სამშობლოში დაბრუნებისა.



მართალია, უმაღლესი არისტოკრატია უდგა თავში ამ შეთქმულებას, მაგრამ საქართველოს იმ დროის დამამშვენებელიც, გონების არისტოკრატიაც მეთავეობდა ამ საქმეს. ჩვენის სევდისა და კაემნის გენიოსი - ბარათაშვილი იმ დროს 15 წლისა იყო და უთუოდ ბავშვობა არ აძლევდა ნებას გარეუღიყო საქმეში, თორემ სხვები, ჩვენის რომანტიკულის ლიტერატურის წარმომადგენელი, ყველა მონაწილეობას ღებულობდა - ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ვახ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი, გ. ერისთავი და ყველა მათზე ამ შემთხვევამ იქონია სასიკვდილო და სასიცოცხლო გავლენა, წარუხოცელი მჭმუნვარების ბეჭედი დაასვა მათ ლირიკას და საუკუნოდ წარუწყმიდა მათ იმედი. ქართველთ დაუდევრობას ვერც ძლიერმა ნიჭმა მოუხერხა რამე და სწორედ იმიტომ, რომ ისეთის დიადის ეპოქის გამო, ასეთი დიდის ნიჭის პატრონმა კაცებმა არა დაგვიტოვეს რა გარკვეული. მათი მემუარები უკვდავი წყარო იქნებოდა იმ დროის საქართველოს ფსიქოლოგიის გამოსარკვევად, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ იგრძნო საჭიროება ასეთის დიდის საბუთისა. საუბედუროდ, უბრალო მიწერ-მოწერაც კი არ მოიძებნება ამ დიდის გონების კაცთა შორის და მერე რა საინტერესო იქნებოდა გარკვეულადა და დალაგებულად ემცნოთ ჩვენს პოეტებს ის სულის ვითარება, რომელმაც ერთსა და იმავე საგნის გამო ერთს ათქმევინა: “გვედრით პერობილი, გულ პობილი ჭმუნვისა ლახვრით, გახსოვდეთ მწირი, მომჩივანი საწუთროს რებით” (ალ. ჭავჭავაძე), მეორეს:

“გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყვდიადსა, სადღა იხილოს ცა  
მშობლიური,  
რომლის გული ეწუხების, რა აგონდების დღენი წარსულნი ნეტარებისა  
მაგრამ მოთქმითა ნუგემ-ეცემის და ჭმუნვა მითცა შემცირდებისა”.  
(გრ. ორბელიანი)

მესამეს:

“თუ ნერგს მოაკლდა ნამი ცისა, ცვარი არ ერგო,  
ვინ ჰკითხავს: რისთვის აღარ ხარობ და ხმები, ნერგო?”  
სამშობლო ქვეყნით გარდმოხვეწილს, გულსა დამშვრალსა  
სწყურხარ, როგორც სწყურს ცის ნათელი სხივი ბნელს თვალსა”.  
(ვ. ორბელიანი)

ხოლო მეოთხეს:

“მივალ, გარნალა სული აქ მრჩების,  
მუნ სევდის ქოხი ობლად დამშთების.  
უწყი, სოფელი არს სამჭვრეტელო  
ყველა გახმების, ვით მწვანე მდელი”.  
(დ. ერისთავი)

ასეთი იყო პირველი და უკანასკნელი “გაფიცვა” და “შეთქმულება” თავადაზნაურობისა წარსულ საუკუნეში. თუ ამ საუკუნეში რუსეთის მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება კიდევ გულში ჰქონდა ჩახვეული, ჩვენი საუკუნის დამდეგში ქართველმა თავადაზნაურობამ დაუმტკიცა რუსეთს, რომ მისი გული წმინდაა და შორს არის ყოველივე “ზრახვასა მზაკვართასა”, რომ იგი მადლიერია და კმაყოფილი, ბედნიერი და მხიარული, და შვილებმა იმ ადამიანებისა, რომელნიც რუსეთში გაციმბირებულ იქმნენ 1832-ში იმისათვის, რომ უნდოდათ სათავადაზნაურო ბალი გაემართათ და ამ ბალზედ რუსეთის წარჩინებული მოხელეები გაეწყვიტათ, ამ ადამიანების შვილებმა ამას წინათ ბალი გამართეს, სათავადაზნაურო ესეც, მაგრამ სულ სხვა აზრით: რათა რუსეთის მოხელეების უმაღლეს წარმომადგენელთა წინაშე ფიანდაზად გაეგოთ თავისი ერთგულებისა და მორჩილების გრძნობები.

ამგვარად დამთავრდა ეს რომანტიკული პოლიტიკური ამბავი და, კაცმა რომ სთქვას, ეს გახლდათ უკანასკნელი როლი, რომელიც ითამაშა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში წარსულ საუკუნეში ჩვენმა თავადაზნაურობამ. იმ დღიდან თავადაზნაურობა გადაგვარების გზას დაადგა, ვითომდა პოლიტიკურის რეალიზმის თავყანისმცემელი შეიქმნა, ნამდვილად კი დაცემისა და გათახსირების მაგალითის მეტს აღარას იძლევა რას ერთ დროს ბრწყინვალე წოდება. როცა ეს თავადაზნაურობა თავში უდგას საერო ინტერესებს და საზოგადო კეთილდღეობისთვის მსხვერპლად მიაქვს კერძო, პირადი ინტერესები, ამ კერძო თავის ინტერესებს ზურგს აქცევს საზოგადო საგნისთვის, - იგი კეთილი ნაწილია საზოგადოებისა, იგი არავითარ საშიშარს არ წარმოადგენს, არავისთვის იგი აღარ წარმოადგენს წოდებას, რომელიც სხვას კისერში აზის; იგი

თავის კერძო, პირად პრივილეგიებსა და უფლებებს თვითვე სპობს და საერთო ნიადაგზე გადადის. ხოლო როცა იგი კერძო, პირად ინტერესებს აყენებს პირველ პლანზედ, როცა პირადი ზედნიერება მიაჩნია საკვყენო ზედნიერებად, როცა ჯინჯილებისა და პენსიებისათვის იმცირებს თავს და ამცირებს მთელს ერს, იგი საბრალო ხორცმეტია და თვითვე უსპობს თავის თავს სიცოცხლეს. განსხვავება კი იმაშია, რომ თუ პირველ შემთხვევაშია - როგორც უსამართლო პრივილეგიების წარმომადგენელი წოდება - იგი ისპობა, მისი მოსპობა მამაცურია, რაინდულია, საუკუნო სახელს იძენს, როგორც წოდება თავისი ისტორიულის დანიშნულების აღმასრულებელი; ხოლო მეორე შემთხვევაში კი იმ გარყვნილს მიაგავს, რომელიც თავისსავე სიბინძურის მსხვერპლი ხდება და ბინძურ გრძობათა ლაფში იხრჩობა და საუკუნო ზიზღსა ჰბადებს ერში.

### **“პოლიტიკური რომანტიზმი”**

კიტა აბაშიძის “პოლიტიკური რომანტიზმი” პირველი სპეციალური შრომაა, რომელიც ქართველ პატრიოტ მოღვაწეთა 1832 წლის შეთქმულებას ეძღვნება, - ამ “შესანიშნავ მომენტს მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი ისტორიისა”, - შეთქმულებას, რომლის მიზანს “რუსეთის ორთავიანი არწივის კლანჭებიდან” საქართველოს განთავისუფლება და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა წარმოადგენდა.

თანამედროვე მკითხველთათვის ნაკლებად ცნობილი ეს ნარკვევი 1905 წელს დაიბეჭდა (ჟურნალ “მოამბის” იანვრის ნომერში) და მას შემდეგ 1998 წლამდე აღარ გამოქვეყნებულა .

1910 წელს, როცა კიტა აბაშიძე გამოსაცემად ამზადებდა თავის “ეტიუდებს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ”, იგი ვარაუდობდა, რომ წიგნში ამ ნარკვევსაც შეიტანდა: “ეტიუდების” I ტომში “პოლიტიკური რომანტიზმი” ტომის შემადგენელ ნაწილად მოიხსენიება (დასახელებული ტომის გვ. 38-ის სქოლიოში მითითებულია: “იხ. “დამატება: “პოლიტიკური რომანტიზმი”), მაგრამ ნარკვევი - ეჭვგარეშეა, ცენზურის გამო, - ტომში დაბეჭდილი არაა (აღსანიშნავია, რომ ეს სქოლიო გადატანილ იქნა “ეტიუდების” 1962 და 1970 წლების გამოცემებშიც, გარკვეული სახეცვლილებით: “იხ. ჩვენი სტატია “პოლიტიკური რომანტიზმი”, მაგრამ, სახელდობრ, რომელ ჟურნალში უნდა ეხილა მკითხველს ეს ნაშრომი, ამ გამოცემებში - შესაძლოა, კვლავ ცენზურის გამო - განმარტებული არ არის).

“პოლიტიკური რომანტიზმი” ფუძემდებლური ნაშრომია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კვლევის ისტორიაში და თავადაც გვევლინება ამ დიადი მოძრაობის ფრიად საგულისხმო დოკუმენტად: იგი ქართველი ერის განთავისუფლებისათვის ბრძოლის პათოსითაა განმსჭვალული და მკაფიო გამომხატველია იმ მძაფრი, შეურიგებელი აზრთა სხვაობისა, რომელიც ეროვნული პრობლემის ირგვლივ XX საუკუნის დამდეგის საქართველოში ბობოქრობდა. “პოლიტიკური რომანტიზმი” აშკარა პროტესტს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული თვითმყოფობის იდეის მოწინააღმდეგეთა მიმართ, რომელთა რწმენით, ეს იდეა არ შეესატყვისებოდა და არ ასახავდა ქართველი ერის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, ხელს უშლიდა რუსეთის იმპერიის ხალხთა კონსოლიდაციას, უპირისპირდებოდა და ასუსტებდა ცარიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის ერთიანი ბრძოლის ფრონტს.

სწორედ ამ ფანატიკურმა რწმენამ განაპირობა ის ორგანიზებული ლაშქრობა საქართველოს ეროვნული თვითმყოფობის იდეისა და მისი დამცველების წინააღმდეგ, რომელსაც საქართველოში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ჩაეყარა საფუძველი და რომელიც ეროვნული კატასტროფით - ილია ჭავჭავაძის მკვლელობით დაგვირგვინდა.

ეროვნული თავისუფლების იდეის მოწინააღმდეგე დასი - ქართველი სოციალ-დემოკრატები (“ესდეკები”, “დასელები” როგორც მათ უწოდებდნენ) პირველ ყოვლისა, ქართველი ერის დიდი მოძღვართ-მოძღვრის - ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტის შელახვას, მისი პიროვნების დამცირებასა და ღვაწლის გაუფასურებას შეეცადნენ, რადგან, “პოლიტიკურად განუვითარებელ დასელთა ბელადებს ეგონათ, თუ ილია ზნეობრივად მოკლეს, ამით იმ იდეალსაც მოკლავენ, რომელსაც იგი მთელს თავის სიცოცხლეში ემსახურებოდა”. სწორედ ამიტომ იყო, რომ როცა “დადგა 1905 წელი - ხანა ზედნიერებისა, ხანა ხალხის გამოღვიძებისა, ერთი უდიდებულესი ხანა, რომელიც კი იცის მსოფლიო ისტორიაში”; როცა “შეირყა კირთები ძველის ცხოვრებისა და ხელახლა გაიშალა დროშა ყოველ ერთა ცხოვრების უფლების დაკმაყოფილებისა”; როცა “ფართო პოლიტიკური და სოციალური იდეალები წამოყენებულ იქნა იმ სახით, როგორც არაოდეს საფრანგეთის

რევოლუციის შემდეგ, და ზოგიერთის მხრით არც მაშინ, - ჩვენთა დასელთა ხალხის თითქმის მთელი რევოლუციური ენერგია მოახმარეს ქართველი ერის ადამიანურ უფლებათა უარყოფას: ქართველი ერის ცხოვრების ძარღვის დამცველს შუბლზე მიაკრეს ჯაშუშობის, ბატონყმობის მესვეურის, ხალხის მტრის იარლიყი... . ხოლო “იმ დროში კაცის ჯაშუშად მონათვლა საკმარისი იყო სიკვდილის განჩინების დასადგენად”, - “იმ დროში, როცა სრულიად დარღვეული იყო სულის მშვიდობა, საკმარისი იყო ვისმე წამოსცდენოდა ამა თუ იმ პირის შესახებ სიტყვა “ჯაშუში”, რომ ცივი ტყვია მისთვის გამზადებული იქნებოდა”... (ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ბრძოლის ისტორია დეტალურადაა განხილული კიტა აბაშიძის პუბლიცისტურ ნარკვევში “ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ, ეგე!”). კიტა აბაშიძის “პოლიტიკური რომანტიზმის” გამოქვეყნება წინ უსწრებდა (თუმც, სულ მცირე ხნით) ეროვნული თვითმყოფობის იდეის წინააღმდეგ მიმართულ ამ გადაწყვეტ იერიშს. მაგრამ აშკარა ბრძოლა ამ იდეისა და მისი მედროშის წინააღმდეგ უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო: სოციალურ-დემოკრატიული პრესა - ქართველ სოციალ-დემოკრატთა ბელადის, ნოე ჟორდანიას წაქეზებით, - ილიას უკვე დიდი ხანია მოიხსენიებდა “სულიერად მახინჯ” პიროვნებად, “უსირცხვილო მატყუარად”, “ჭორიკანად”, “ცილისმწამებლად”, და მისი მისამართით უკვე მუქარაც გაისმოდა, რომ იგი “მოკვეთილი იქნება ნიადაგისაგან, როგორც უნაყოფო ხე, შხამიანი ბალახი”... ეს იყო ჟამი, როცა ანტიეროვნული მსოფლმხედველობა - ამ მსოფლმხედველობის ადეპტების, ქართველი სოციალ-დემოკრატების დაუცხრომელი პროპაგანდის წყალობით, - ქართულ სინამდვილეში უკვე საკმაოდ მყარად იყო ფეხმოკიდებული. “თუ თქვენ იმდენად გულუბრყვილო ბრძანდებით, - წერდა არჩილ ჯორჯაძე, ახასიათებდა რა სოციალ-დემოკრატების აგიტაციის შედეგად საქართველოში შექმნილ ვითარებას, - რომ “ქართველობა” არც გეთაკილებათ, არც გეზიზღებათ, იცოდეთ, შავრაზმელთა ჯგუფში უნდა ჩაირიცხოთ, ნაციონალისტის სამარცხვინო სახელი უნდა ატაროთ და წყვიდადი და ბნელეთია მაშინ თქვენი ხვედრი. და თუ გამოხვედით მოედანზე და შესძახეთ, გულში ხელის ჩარტყმით: ამხანაგებო! წარსული მძულს, აწმყო მეზიზღება-თქო, იცოდეთ, თქვენი მომავალი უზრუნველყოფილია. შარავანდედით შეიმკობა თქვენი კოსმოპოლიტიკური გვამი და ქუჩაში გავლის დროს თქვენზე თითს მიათითებენ და იტყვიან: აი, ჩვენი მხსნელი, აი, თავისუფლების მოციქული და “შავრაზმელ ნაციონალისტთა” ამომგდებელი!”

არჩილ ჯორჯაძის ეს სიტყვები - რომელშიც, სამწუხაროდ, არავითარი გადაჭარბება არ იყო, - 1908 წელს დაიწერა (ჟურ. “ამირანი”, 1908 წ., 139), მაგრამ თანაბრად ეხებოდა “პოლიტიკური რომანტიზმის” გამოქვეყნების ხანასაც: ქართველ სოციალ-დემოკრატთა მიერ, რომელთა რიცხვი თანდათან სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, პატრიოტიზმი ჩამორჩენილობად, ანაქრონიზმად და ინტერნაციონალიზმის მაღალი იდეალების დალატად ცხადდებოდა, ხოლო ქართველ პატრიოტ მოღვაწეთა ზრუნვა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, - პირადულ თუ ვიწროკლასობრივ ინტერესებზე ზრუნვად, ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად და რეაქციონერობად. ამ ანტიეროვნული მსოფლმხედველობის პოზიციებიდან ფასდებოდა ისტორიული წარსულიც, და მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მამულიშვილთა თავდადებული ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის და საკუთრივ 1832 წლის შეთქმულებაც - მის წოდებრივ შემადგენლობაზე აქცენტრებით, - რეაქციულ მოვლენად, ქართველი თავადაზნაურობის ნაციონალისტურ გამოხდომად ინათლებოდა.

ამ ანტიეროვნული მსოფლმხედველობის დამკვიდრება მეთოდურად და გეგმაზომიერად ხორციელდებოდა და ქართველ საზოგადოებაში თანდათან სულ უფრო აშკარად ვლინდებოდა ეროვნული ცნობიერების გადაგვარების საშიში სიმპტომები.

კიტა აბაშიძის “პოლიტიკური რომანტიზმი” სწორედ ამ ანტიეროვნული ლაშქრობის წინააღმდეგ იყო მიმართული და ქართული ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლებას ისახავდა მიზნად. 1832 წლის შეთქმულების ჩასახვისა და აღმოცენების გამოძევები მიზეზების ნათელყოფით კიტა აბაშიძე ამ პატრიოტული შეთქმულების წარმმართველი იდეის - საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის - იურიდიულ და ზნეობრივ კანონიერებას ასაბუთებდა და, ამავე დროს, იმ ტენდენციური შეხედულების უსაფუძვლობასაც ააშკარავებდა, რომელიც მოწინავე ქართველი საზოგადოების ამ შეთქმულებას არა მთელი ქართველი ხალხის მისწრაფების, არამედ მარტოოდენ თავადაზნაურობის წოდებრივი ინტერესების გამომხატველად მიიჩნევდა.

კიტა აბაშიძის “პოლიტიკურ რომანტიზმში” განვითარებული თვალსაზრისი 1832 წლის შეთქმულების - როგორც “საქართველოს განათლებულისა და მოწინავე საზოგადოების მეცხრამეტე საუკუნის ისტორის” ღირსსახსოვარი, “გმირულის ადამიანობით აღსავსე” მოვლენის შესახებ, არ

წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ კიტა აბაშიძის პირად შეხედულებას. ეჭვგარეშეა, ამ აზრს იზიარებდა ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეალების ერთგული ყველა ქართველი პატრიოტი, ვისაც მონობის უღლისაგან სამშობლოს განთავისუფლებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა ქართველი ერის უპირველეს ამოცანად ესახებოდა. მართალია, მათ - ეჭვგარეშეა, საცენზურო მიზეზების გამო, - პრესაში არ დაუფიქსირებიათ თავისი პოზიტიური დამოკიდებულება 1832 წლის შეთქმულების მიმართ, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ პატრიოტ მოღვაწეებს, შეუძლებელია ნათლად არ ჰქონოდათ გაცნობიერებული, რომ შეთქმულების მონაწილენი, როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა, იყვნენ საქართველოს “უკეთესნი კაცი, სამშობლოს სიყვარულით თვალახილებულნი”, მამულიშვილნი, “რომელთაც ასულდგმულებდა ჩვენის ძველის ცხოვრების ანდერძები..., ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნის თავგანწირულ გმირთა, რომელთა საქმენი მოხუცს ცრემლს ადენდნენ და მხნობით აღტაცებულ ჭაბუკს ხმლის ტარზე უთრთოლებდნენ ხელს”; შეთქმულთა წრე, ილია ჭავჭავაძის რწმენით, იყო “ბრწყინვალე წრე გონებაგახსნილ ყმაწვილ-კაცობისა” და “ამ წრის წმიდათა-წმიდა იყო სამშობლოს სიყვარული, რომელმაც ბოლოს თავდადებულ ტრფიალებამდე გაიწია მათადა სასახელოდ”.

სწორედ ამიტომ მიიჩნევა ილია - და მასთან ერთად, ცხადია, ყველა მისი თანამოაზრე, - 1832 წელს “მაშინდელის ყმაწვილ-კაცობისათვის თავმოსაწონებელ, მაგრამ უბედურ წელიწადად”, - უბედურად, რადგან ქართველ მამულიშვილთა სწრაფვა “წინა დღითაგან გამოყოლილ და გულში ჩარჩენილ ანდერძთა” აღსასრულებლად მარცხით დასრულდა.

მაგრამ თუმცე ქართველ ოცდაათიანელთა პატრიოტულ მიზნებს ასრულება არ ეწერა და მათს ძალისხმევას არ მოუტანია პრაქტიკული შედეგი; თუმცე დამარცხებულებმა “მთლად დაუთმეს ცხოვრების მოედანი გამარჯვებულთა” და “სრულიად გაეცალნენ ცხოვრების სარბიელიდან”, მაგრამ “გულისტკივილი მათი “თესლად დარჩა ცხოვრების ხნულში”, და უკვე ამით 1832 წლის შეთქმულებამ - ისევე, როგორც ტირანიის წინააღმდეგ მიმართულმა არაერთმა ამხედრებამ სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში, - დამარცხებისდა მიუხედავად, მაინც აღასრულა თავისი დიდი ისტორიული მისია. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, რომელსაც ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში ჩაეყარა საფუძველი, სწორედ ქართველ ოცდაათიანელთა მიერ ცხოვრების ხნულში ჩაგდებულ ამ თესლზე, მათს მამულიშვილურ გულისტკივილზე - ეროვნული ხუნდებისაგან თავისუფალი საქართველოს დიად იდეაზე ამოიზარდა, და ამიტომაც იქცა ეს შეთქმულება ეროვნული და ანტიეროვნული მსოფლმხედველობის შეჯახებისა და ურთიერთდაპირისპირებული შეფასებების ობიექტად.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა და, კერძოდ, 1832 წლის პატრიოტული შეთქმულებაც მრავალი წლის მანძილზე, როგორც წესი, ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს ქართველ სოციალ-დემოკრატთა მიერ დანერგილი ანტიეროვნული და ანტიმეცნიერული მსოფლმხედველობის პოზიციებიდან განიხილებოდა, რამაც, ბუნებრივია, გადაულახავი დაბრკოლებები შეუქმნა, როგორც საკუთრივ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და, საზოგადოდ, საქართველოს ახალი ისტორიის ობიექტურ შესწავლას, ასევე - ქართული მეცნიერული აზრის განვითარებასაც.

ჩვენს მეცნიერებაში 1832 წლის შესახებ ამ პრინციპულად მცდარი თვალსაზრისის ფართოდ გავრცელებისა და ოფიციალურად აღიარების განმსაზღვრელ მიზეზს წარმოადგენდა სტალინის სტატია - “როგორ ესმის სოციალ-დემოკრატთა ნაციონალური საკითხი”, რომელშიც მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი საზოგადოებრიობის პატრიოტულ სწრაფვას რუსეთის მონობისაგან საქართველოს განთავისუფლებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, ასეთი გამანადგურებელი შეფასება ეძლევა: “ნაციონალური საკითხი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინტერესებს ემსახურება, სხვადასხვა ელფერს იღებს იმის მიხედვით, თუ რომელი კლასი და როდის წარმოადგენს მას. იყო ჩვენში, მაგალითად, ეგრეთ წოდებული, თავადაზნაურობის “ნაციონალური საკითხი”, როცა - “საქართველოს რუსეთთან შეერთების” შემდეგ, - ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა “უბრალო ქვეშევრდომობა” და მოინდომა “საქართველოს განთავისუფლება”. ამით მას უნდოდა “საქართველოს” სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა, და ამგვარად, მათთვის გადაეცა საქართველოს ბედ-იღბალი! ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული “ნაციონალიზმი”. ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დაამჩნია ამ “მოძრაობამ” ქართველების

ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავადაზნაურობის ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში”.

გასაგებია, რომ ციტირებულ სტრიქონებში გამოთქმული შეხედულებები, ისევე, როგორც “დიდი ბრძენი ბელადის” ნებისმიერი შეხედულება საერთოდ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებად უნდა ყოფილიყო აღიარებული და საქართველოს ახალი ისტორიის ყოველ მკვლევარს XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საკუთრივ 1832 წლის შეთქმულების სწორედ ამ “ამომწურავი დახასიათებით” უნდა ეხელმძღვანელა. მაგრამ სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ ზემომოტანილი სტრიქონების მიხედვით შეუძლებელი იყო დაბეჯითებით თქმა, თუ რა აზრის იყო მათი ავტორი 1832 წლის შეთქმულებაზე; უდავოა, რომ “ქართველი თავადაზნაურობის ზოგიერთ შეთქმულებას” იგი დადებითი შეფასების ღირსად სცნობდა, მაგრამ გულისხმობდა თუ არა იგი ამ “ზოგიერთ შეთქმულებაში” 1832 წლის შეთქმულებასაც? სტალინის ხომ ამკარად რეაქციულ მოვლენად - “ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმად” - მიაჩნდა ქართველი თავადაზნაურობის “მოძრაობა”, რომლის მიზანს რუსეთის მონობისაგან “საქართველოს განთავისუფლება” წარმოადგენდა, - 1832 წლის შეთქმულება კი სწორედ ამ “რეაქციულ” და “ნაციონალისტურ” მიზანს - საქართველოს განთავისუფლების მიზანს ისახავდა.

ძნელი სათქმელია, როგორ გაართმევდნენ თავს საბჭოთა მეცნიერები ამ თავსატეხ ამოცანას, თუ არა ფილიპე მახარაძე, რომელმაც (ცხადია, სტალინის შეხედულებებზე დაყრდნობით) 1832 წლის შეთქმულება შეაფასა როგორც “თავადაზნაურულ-მონარქისტული შეთქმულება” და “ქართველი მონარქისტების უკანასკნელი ცდა აღედგინათ ფეოდალური მონარქია”, რითაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღკვეთილიყო სტალინის ზემომითითებული შეხედულების განსხვავებული ინტერპრეტაციისა და, მაშ, 1832 წლის შეთქმულების სხვაგვარი შეფასების შესაძლებლობა.

თუ კონკრეტულად როგორ წარიმართა შემდგომში 1832 წლის შეთქმულების შესწავლა - სპეციალური მსჯელობის საგანია, მაგრამ ზოგიერთ მომენტზე შეჩერება 1832 წლის შეთქმულების კვლევის ისტორიიდან მაინც აუცილებლად მიგვაჩნია. აქ, პირველ ყოვლისა, ცალკე უნდა მოვიხსენიოთ 1832 წლის შეთქმულებისადმი მიძღვნილი, 1920-1930-იან წლებში გამოქვეყნებული ორი შესანიშნავი ნაშრომი, რომლებშიც საერთოდ იგნორირებულია სტალინის მოსაზრებები ქართველი თავადაზნაურობის “ნაციონალური საკითხის” შესახებ და 1932 წლის შეთქმულება იმავე ეპოქის ევროპის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა საერთო კონტექსტშია გააზრებული, - როგორც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა. ეს ნაშრომებია: მ. პოლიევქტოვის “საარქივო მასალები 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის” (1927 წ.) და გ. გოზალიშვილის “1832 წლის შეთქმულება, ტ. I” (1935 წ.), რომელთაც უდიდესი დამსახურება მიუძღვით როგორც 1832 წლის შეთქმულების მეცნიერული შესწავლის, ასევე მისი პოპულარიზაციის მხრივაც. ამდენად, ბუნებრივია, რომ გ. გოზალიშვილის ეს ნაშრომი (რომელიც 1832 წლის შეთქმულებისათვის ფ. მახარაძის მიერ გამოტანილი განაჩენის შემდეგ ამგვარი გამოქვეყნდა, მაგრამ ამ განაჩენს მასში ანგარიში არ ჰქონდა გაწეული) ოფიციალურის მიერ მკაცრად იქნა გაკრიტიკებული. ამის შემდეგ ნაშრომების გამოქვეყნება უკვე შეუძლებელი გახდა, აღნიშნული განაჩენის აღიარება - აუცილებელი, მაგრამ, როგორც ამას 1832 წლის შეთქმულების ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა ადასტურებს, ქართველ მკვლევართა გარკვეული ნაწილი (უპირატესად ლიტერატურათმცოდნეები) ვერ ურიგდებოდა 1832 წლის შეთქმულების აღნიშნულ შეფასებას და ყოველნაირად ცდილობდა ამ სასტიკი განაჩენის შემსუბუქებას. ამიტომ იყო, რომ 1832 წლის შეთქმულების “რეაქციულობის” იძულებით აღიარებასთან ერთად, შეთქმულების ისეთ მხარეებზე მახვილდებოდა ყურადღება, რომელიც საბჭოური იდეოლოგიის პოზიციებიდანაც დადებითი შეფასების ღირსად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. ასე დამკვიდრდა თვალსაზრისი ამ “რეაქციულ” შეთქმულებაში პროგრესული ნაკადის არსებობის შესახებ, შეთქმულთა წრეში მემარცხენე ფრთის არსებობაზე, რომელსაც სოლომონ დოდაშვილი მეთაურობდა და რომელიც საქართველოში რესპუბლიკური წყობის დამყარებას აპირებდა; შეთქმულების მჭიდრო იდეურ კავშირზე დეკაბრისტულ მოძრაობასთან და ა. შ... 1950-იანი წლების დამლევს კი - იდეოლოგიური მარწუხების ოდნავი შესუსტებისთანავე, - ზოგიერთ ლიტერატურათმცოდნეობით ნაშრომში ის შეხედულებაც გამოითქვა (იმ პერიოდისათვის უაღრესად თამამი), რომ 1832 წლის შეთქმულება ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. მაგრამ 1832 წლის შეთქმულების “სრული რეაბილიტაცია” მხოლოდ 1960-იან წლებში მოხერხდა - საბჭოთა კავშირში “პოლიტიკური ლხვობის” პერიოდში, როცა უკვე თამამად

ითქვა, რომ “1832 წლის შეთქმულება, რომელიც ადრე რეაქციულ შეთქმულებად მიაჩნდათ, იყო ნამდვილად პროგრესული ფაქტი”, რომ ეს შეთქმულება “წარმოადგენდა იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის” და, რომ იგი, უდავოდ, “პროგრესული მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში”.

ასე დაუბრუნდა ქართული მეცნიერება იმ ჭეშმარიტ თვალსაზრისს 1832 წლის შეთქმულების საპატიო ადგილის შესახებ ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და კულტურის ისტორიაში, რომელიც ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მიერ - მათ შორის კი, პირველ რიგში, კიტა აბაშიძის მიერ იყო შემუშავებული.

საგულისხმოა, რომ 1832 წლის შეთქმულების “რეაბილიტაციისა” და მისი პროგრესულობის დასამტკიცებლად ჩვენმა ისტორიკოსებმა კვლავინდებურად სტალინის ავტორიტეტს მიმართეს (მიუხედავად იმისა, რომ “პიროვნების კულტი” უკვე კარგა ხნის დაგმობილი იყო, ამ პიროვნების შეხედულებების კრიტიკას ჯერ ვერავენ ბედავდა) და მისი იგივე ციტატა, რომელიც ადრე 1832 წლის შეთქმულების რეაქციულობის ურყევ არგუმენტს წარმოადგენდა, 1960-იანი წლებიდან უკვე ამ შეთქმულების პროგრესულობის დამადასტურებელ ურყევ არგუმენტად იქცა. კერძოდ, განცხადებულ იქნა, რომ თუკი ამ ციტატას “ღრმად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ 1832 წლის შეთქმულება “ფეოდალური ნაციონალიზმის” რეაქციულ არსს არ ექვემდებარება”; რომ “1832 წლის შეთქმულება... ი. ბ. სტალინის განმარტებით, ისეთ ფაქტთა რიგს განეკუთვნება, რომლითაც ქართველობამ თავიც ისახელა და რომელმაც ქართველობის ცხოვრებას შესამჩნევი კვალიც დააჩნია”; რომ მითითებულ ციტატაში “1832 წლის შეთქმულება გამოცალკევებულია ფეოდალური ნაციონალიზმის საერთო მოძრაობიდან, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც დასაბამი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მეცხრამეტე საუკუნეში” და ა. შ. (1832 წლის შეთქმულებაზე მსჯელობისას სტალინის ავტორიტეტის დამოწმება - ჩანს, ძველი ინერციით, - შემდგომშიც გაგრძელდა, როცა ეს შეთქმულებაც უკვე დიდი ხნის “რეაბილიტირებული” იყო და “ჩვენი მამის და მასწავლებლის” “გენიალურ აზრებსაც” უკვე დიდი ხანია დაკარგული ჰქონდა მაგიური ძალა: “საჯაროობის პერიოდშიც” კი 1832 წლის შეთქმულების მნიშვნელობაზე მსჯელობისას ქართველი ისტორიკოსები ისევ და ისევ სტალინს მოუხმობდნენ და კვლავ ამტკიცებდნენ, რომ სტალინი 1832 წლის შეთქმულების “პროგრესულ მნიშვნელობას” არათუ არ უარყოფდა, არამედ “პირიქით, ის ამ შეთქმულებას საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავადაზნაურული ეტაპის ერთადერთ “სახელოვან” მომენტად თვლიდა”, ერთადერთ “სასახელო” საქმედ, “რომელმაც ქართველი ხალხის ცხოვრებას “შესამჩნევი კვალი” დააჩნია”, და სხვ., - ამტკიცებდნენ ისეთი დაბეჯითებით, ვითომც ეს სტალინის ახლებური წაკითხვა იყო და არა ორი ათეული წლის წინანდელი და ვითომც სტალინის შეხედულებებს მართლაც გააჩნდა რაიმე ღირებულება 1832 წლის შეთქმულების არსში გასარკვევად).

“როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?” რსდმპ-ს კავკასიის კავშირის არალეგალურ გაზეთ “პროლეტარიატის ბრძოლაში” დაიბეჭდა (ხელმოუწერლად), 1904 წლის 1 სექტემბერს<sup>(17)</sup>, - ოთხი თვით ადრე კიტა აბაშიძის “პოლიტიკური რომანტიზმის” გამოქვეყნებამდე. ცხადია, კიტა აბაშიძე - ქართველ ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი - თვალყურს ადევნებდა სოციალ-დემოკრატიულ პრესას და, სავარაუდოა, რომ იგი დასახელებულ სტატიასაც იცნობდა, - მით უფრო, რომ ეს სტატია ძირითადად “ფედერალისტ სოციალ-დემოკრატების” კრიტიკას ეძღვნებოდა; თავისი შინაარსითაც “პოლიტიკური რომანტიზმი” სტალინის ზემომოყვანილ ციტატაში განვითარებულ შეხედულებებს უპირისპირდებოდა და, ბუნებრივია, თუკი მკითხველი მას სტალინის სტატიის პასუხად აღიქვამდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ “პოლიტიკური რომანტიზმის” დაწერის უშუალო მიზეზს თუ საბაზს უთუოდ “პროლეტარიატის ბრძოლაში” დაბეჭდილი სტატია წარმოადგენდა. თუ როგორ ესმოდათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს ნაციონალური საკითხი და როგორ თვალსაზრისს აღიარებდნენ და ავრცელებდნენ ისინი ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე და საკუთრივ 1832 წლის “თავადაზნაურულ შეთქმულებაზე”, ამ სტატიის გარეშეც საყოველთაოდ იყო ცნობილი. და კიტა აბაშიძის “პოლიტიკური რომანტიზმიც”, პირველ ყოვლისა, სწორედ ქართველ სოციალ-დემოკრატთა მიერ ფართოდ აღიარებული და პროპაგანდირებული ამ მცდარი თვალსაზრისის გასაბათილებლად იყო დაწერილი.

აღსანიშნავია, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საერთოდ, და, კერძოდ, 1832 წლის შეთქმულებაც, შემდგომშიც მუდამ წარმოადგენდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა და სოციალ-ფედერალისტთა ცხარე პოლემიკის ობიექტს. რა თქმა უნდა, ეს

უაღრესად მნიშვნელოვანი, პრინციპული ხასიათის პოლემიკა (რომელიც, გასაგები მიზეზების გამო, ჩვენი მკვლევრების ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი) სპეციალური მსჯელობის საგანია, მაგრამ მოპაექრეთა რამდენიმე ძირითადი დებულების გაცნობაც, ვფიქრობთ, მკითხველისათვის საკმარისი იქნება ამ პოლემიკის საერთო ხასიათის შესახებ ადეკვატური წარმოდგენის შესაქმნელად.

ნოე ჟორდანიას, ქართველ სოციალ-დემოკრატიკა მთავარი იდეოლოგი, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა ქართველ ფედერალისტთა ეროვნული პროგრამის წინააღმდეგ და ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ყოველგვარ ცდას - წარსულში თუ აწმყოში, - რეაქციულ მოვლენად მიიჩნევდა, წერილში “ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი” დაბეჯითებით აცხადებდა: “არც ერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორც ქართველ ხალხს”, და ამ აბსურდულ თეზას ასე ასაბუთებდა: “მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ნაციონალური მოძრაობა არაერთხელ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის ეს იყო მოძრაობა ან თავდაზნაურობის, ან ინტელიგენციის, არასოდეს - ხალხის”; “ჩვენში რუსეთის შემოსვლის” შემდეგ (რაც ნ. ჟორდანიას სიტყვით, “მოასწავებდა მაღალი პოლიტიკური წყობილების შემოსვლას დაბალისაში”), საქართველოში ერთმანეთს “შეეტაკა ორი დროშა, - დროშა საკუთარი და უცხო, ნაციონალური და ანტინაციონალური. ვისკენ უნდა ყოფილიყო ხალხის თანაგრძნობა? რასაკვირველია, უკანასკნელისაკენ (ანტინაციონალურისაკენ! - გ. ა.), ვინაიდან ამ დროშის ინტერესი იყო, ამავე დროს, ინტერესი ხალხის, ინტერესი ქვეყნის აღორძინების, გაერთიანების, ახალი ცხოვრების დაწყების. ქართველი ხალხის ნაციონალიზმიდან დაშორება იწყება სწორედ აქ... მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი ისტორია არის ისტორია ჩვენი გაერთიანების, გაქალაქების, მუდმივი, შეუქრებელი წინმსვლელობისა და კულტურულად ამაღლებისა და ყველა ეს მოხდა არა ნაციონალური კლასის დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით. ამით აიხსნება ანტირუსული მიმართულების უნიადაგობა ჩვენში”...

ქართველმა ინტელიგენციამ - “რომელიც მუდამ “საქართველოს განთავისუფლებაზე” ოცნებობდა”, - “დიდი შრომა გასწია, დიდი ენერჯია დახარჯა იმისათვის, რომ რაიმე გზით მას მიეგნო ხალხის გულისათვის და შიგ ნაციონალიზმი დაესადგურებინა”, მაგრამ “ამდენი ხნის მუშაობამ მუქათა ჩაიარა: მისი ნაციონალისტური დროშა ხალხმა ერთი დაკვრით უარყო და მის ალაგას ააფრიალა ინტერნაციონალისტური დროშა... ...ჩვენი ხალხი ნაციონალიზმს დღესაც ისე უარყოფს, როგორც წინათ და რა მშვენიერი ხონჩითაც უნდა მიაწოდო - ის მას ხონჩიანა შორს აგდებს... ის თავიდანვე ამ გზას ადგა და აქედან დღესაც არ უხვევს. ეს ქართველი ხალხის ისტორიული გზაა, რითაც ის განსხვავდება სხვა კულტურულ ერებისაგან”, და თუკი “კავკასიის სხვა ერებში ნაციონალიზმი დღეს გაძლიერებულია... სწორედ ქართველი მუშა-ხალხის ისტორიული მოწოდებაა შეებრძოლოს ამ სხვა ერთა ნაციონალიზმს, თანდათან მოიმხროს მათი პროლეტარიატი და გლეხები და ასე ინტერნაციონალიზმი ყველა ერში გააბატონოს”...

თავისთავად ცხადია, რომ ეს ანტიეროვნული მსოფლმხედველობა თანაბრად მიუღებელი იყო ყოველი ქართველი პატრიოტისათვის, ვისაც ეროვნული ნიჰილიზმის დაძლევა და ქართული ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, სავსებით სამართლიანად, სულიერი გადაგვარების საშიშროებისაგან ქართველი ხალხის დაცვის საწინდრად ესახებოდა.

“ყველა ამას რომ ვკითხულობდი, - წერდა არჩილ ჯორჯაძე ნ. ჟორდანიას ზემომოხმობილ შეხედულებათა გამო, - ჩემ თავს ვეკითხებოდი: რა არის ეს - თავის დამცირება, უფიცობა, აზრის სიმჩატე, თუ ყოველივე ეს ერთად შეხავებული არარაობა... მაგრამ აშკარაა, არც ამაშია საქმე. აქ მსჯელობის აპარატია უფარვისი. გეცოდინებათ ცნობილი ფორმულა პოსტ ჰოც, ერგო პროპტერ ჰოც, რაიც ნიშნავს ამგვარ შემცდარ დასკვნას: მოვლენა A მოხდა მოვლენა B-ს შემდეგ, მაშასადამე, B არის მიზეზი A-ს წარმოშობისაო. ხომ გრძნობთ ამ მსჯელობის სიყალბეს? ამგვარი ფორმულით შეიარაღებულმა თქვენ შეგიძლიათ ამგვარი აბდაუბდა აღიაროთ: გაველი თუ არა გარეთ, მოვიდა წვიმა, - მაშასადამე, წვიმა გამოწვეულია ჩემის გასვლით; დავიწყე თუ არა წერა, გაჰქრა სანთელი, - მაშასადამე, წერამ გააქრო სანთელი და სხვა. უბედურება ის არის, რომ ჩვენი პუბლიცისტი ამ წესით აზროვნებს. მოქალაქეობრივი ცხოვრება ასე თუ ისე განვითარდა საქართველოში მეცხრამეტე საუკუნეში, მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში კი რუსეთი შემოვიდა ჩვენში. მაშასადამე, პოსტ ჰოც, ერგო პროპტერ ჰოც, ე. ი. რუსეთია მიზეზი მოქალაქეობრივი ცხოვრების აყვავებისაო. პუბლიცისტი არ სჯის ამგვარად: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი შემოვიდა ჩვენში და სულ იმის ცდაში იყო გაეთქვიფა ქართველობა, გაექრო მისი კვალიც კი, მიუხედავად დამაბრკოლებელ მიზეზებისა, ჩვენში აყვავდა (!) კულტურა. არა, იგი პირდაპირ აღიარებს, ჯერ რუსეთი შემოვიდა,

მერე კულტურა გაჩაღდა, მაშასადამე, კულტურა ნაყოფია რუსობისაო... მაგრამ ეგეც არაფერია. ბ-ნი ან-ი (ნ. ჟორდანის ფსევდონიმი - გ. ა.) იმის დამტკიცებასაც ცდილობს, რომ რუსეთის შემოსვლისას ქართველ ხალხს მისი მხარე ეჭირა...

ამგვარი განმარტება ჩვენის ისტორიის ერთის საყურადღებო მომენტისა კი სრულიად დაშორებულია სინამდვილის ფაქტებს.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, სწორედ მაშინ, როდესაც მკვიდრდებოდა ჩვენში რუსეთის მართვა-გამგეობა, ორი შესანიშნავი აჯანყება მოხდა. ორივე აჯანყება მიმართული იყო რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ და ორსავე აჯანყებას ხალხური და არა ფეოდალური ხასიათი ჰქონდა. ხალხი მაშინ აღმაცერის თვალთ უყურებდა რუსეთის მომხრე თავადებს და მოღალატეობისთვის მათ არ ინდობდა”.

ხოლო რაც შეეხება შეხედულებას, რომ “1832 წლის შეთქმულება თავადაზნაურული ხასიათისააო, თავადებს უკმაყოფილო ბატონიშვილებთან ერთად უნდოდათ ძველი რეჟიმის დაბრუნება, რათა ამ სახით კვლავ აღედგინათ თავიანთი კლასიური უპირატესობანიო”, - არჩილ ჯორჯაძე თვლიდა, რომ “საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის საკითხი ყოველთვის არ იყო დაკავშირებული ამა თუ იმ კლასის ბატონობის თუ გაბატონების სურვილებთან. რუსების შემოსვლისთანავე თავადაზნაურთა ინტერესი უფრო მორჩილებას და იარაღის დაყრას უკარნახებდა მათ, და თუ აჯანყებებში (1804 წ.) და შეთქმულებაში (1832 წ.) თავადაზნაურობას ყოველთვის პირველი ადგილი ეჭირა, ეს იმას მოასწავებდა მხოლოდ, რომ ხანგრძლივი ისტორიის მიერ შემუშავებულ თავისუფლებისადმი მისწრაფებას თავადაზნაურობის ერთი ნაწილის გულშიაც ჰქონდა ადგილი. და 1832 წლის შეთქმულებაში სწორედ ამგვარ თავადებთან გვაქვს საქმე. შეთქმულთა წრე მართოდენ თავადობით არ დახასიათდებოდა, თუმცა თავადური ელფერი ჰქონდა (იხ. კიტა აბაშიძის “პოლიტიკური რომანტიზმი”, “მოამბე”,<sup>1</sup> 1, 1905 წ.)”.

ნიშანდობლივია, რომ 1832 წლის შეთქმულების ხასიათზე მსჯელობისას არჩილ ჯორჯაძე სწორედ კიტა აბაშიძის ნარკვევს იმორჩებოდა, და ნიშანდობლივია ისიც, რომ საბჭოთა მეცნიერთა შრომებში “პოლიტიკური რომანტიზმი” ან საერთოდ არ მოიხსენიებოდა, ანდა მძაფრი კრიტიკის ობიექტს წარმოადგენდა.

ვიდრე 1832 წლის შეთქმულება რეაქციულ მოვლენად ითვლებოდა, შეურიგებელი დამოკიდებულება ამ შეთქმულების კიტა აბაშიძისეული შეფასების მიმართ სრულიად ბუნებრივი იყო (საბჭოთა იდეოლოგიისათვის შეუწყნარებელი “რეაქციული მოვლენის” პროგრესულად მიჩნევა სხვაგვარ დამოკიდებულებას, ცხადია, ვერც დაიმსახურებდა). მაგრამ - რამდენად უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, - ასეთი დამოკიდებულება არ შეცვლილა არც მას შემდეგ, რაც 1832 წლის შეთქმულების “რეაბილიტაციაც” მოხდა და შეთქმულების ირგვლივ “პოლიტიკურ რომანტიზმში” გამოთქმული უკლებლივ ყველა ძირითადი დებულებაც გაზიარებულ იქნა (თუმც მათი ავტორის მოუხსენიებლად).

ამ უცნაური ფაქტის საიდუმლო, საფიქრალია, საბჭოურ მეთოდოლოგიაშია საძიებელი, რომლის ერთ-ერთი დაუწერელი კანონის თანახმად, ესა თუ ის თვალსაზრისი ფასდებოდა არა მისი ჭეშმარიტი ღირებულების მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ ვინ იყო მისი ავტორი - რამდენად მისაღები, ან მიუღებელი იყო იგი (მისი მოღვაწეობა და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები თუ სიმპათია-ანტიპათიები) არსებული კომუნისტური რეჟიმისათვის. ხოლო კიტა აბაშიძე, როგორც პოლიტიკური მოღვაწე - როგორც ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, - ამ რეჟიმისათვის ოდიოზურ ფიგურად რჩებოდა მას მერეც, რაც მოხდა კიტა აბაშიძის, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსისა და კრიტიკოსის რეაბილიტაცია; “პოლიტიკურ რომანტიზმში” გამოთქმული შეხედულებები კი ჩვენმა მკვლევრებმა კიტა აბაშიძის პარტიული პოზიციის გამომხატველად ცნეს, ხოლო ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერის აზრები (პარტიისა, რომელიც კომუნისტური პარტიის უშუალო წინაპრის - სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი დაპირისპირებულ ძალას წარმოადგენდა და შეუპოვრად ებრძოდა ამ პარტიის ანტიეროვნულ კონცეფციას), თავისთავად ცხადია, კრიტიკის ობიექტად უნდა ქცეულიყო.

გამორიცხული არ არის, რომ ზემოაღნიშნულ უცნაურ ვითარებას რაიმე სხვა, ჩვენთვის მიუწვდომელი ახსნა მოეპოვებოდეს, მაგრამ, ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: ერთი და იგივე თვალსაზრისი, 1832 წლის შეთქმულების ერთი და იგივე შეფასება ერთ შემთხვევაში (როცა კიტა აბაშიძის ან არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებზე იყო მსჯელობა) მკვლევართა მძაფრი კრიტიკის ობიექტს წარმოადგენდა, მეორე შემთხვევაში კი (როცა ეს შეფასება თვით ამ მკვლევართა



ნაშრომებში ფიგურირებდა) თანამედროვე მეცნიერული აზრის მნიშვნელოვან მონაპოვრად მიიჩნეოდა.

ეს ალოგიკური ფაქტი თვალშისაცემი რომ არ ყოფილიყო, 1832 წლის შეთქმულებისადმი კიტა აბაშიძის დამოკიდებულების განხილვისას მკვლევარები საუბრობდნენ არა საკუთრივ ამ შეთქმულების ირგვლივ “პოლიტიკურ რომანტიზმში” გამოთქმულ შეხედულებებზე, არამედ იმ მიზნებსა თუ ზრახვებზე (რეაქციულ მიზნებსა და ზრახვებზე, ცხადია), რომლებიც - მათი მტკიცებით, - ამ შეხედულებათა ჭეშმარიტ საფუძველს წარმოადგენდა.

კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ “ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების შეფასებას” “კიტა აბაშიძე თავისი პარტიული - “ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური” - თვალსაზრისით ახდენდა; რომ მისი და არჩილ ჯორჯაძის (“ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის თვალსაზრისი წარმომადგენლების”) დამოკიდებულება 1832 წლის შეთქმულებისადმი მათი პარტიის “კლასობრივი თვალსაზრისიდან მომდინარეობდა” და, რომ მათი პარტიის “ეროვნული ლოზუნგი - როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, - მემამულურ-ბურჟუაზიულ რუსეთში საქართველოს ავტონომია იყო, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მეფის რუსეთის პროტექტორატის ქვეშ იდეალად მიაჩნდათ”, ხოლო, როცა “ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს პოლიტიკური ავტონომია სხვა არა იყო რა, თუ არა საქართველოს მშრომელი მასების ექსპლოატაციის დაკანონება”.

აღინიშნებოდა ისიც, რომ ქართველი ფედერალისტები (ეს “ბურჟუაზიული ნაციონალისტები”) თავგამოდებით ქადაგებდნენ, რომ რამდენადაც ქართველმა თავადაზნაურობამ ვერ შეასრულაო ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვის უკეთილშობილესი მისია და ეს მისია მემკვიდრეობით მიიღო ქართველმა ბურჟუაზიამ, რომელმაც პოლიტიკური რომანტიზმი პოლიტიკურ რეალიზმად, ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანად აქცია, ამიტომაც მთელი ქართველი ერი სწორედ ბურჟუაზიის დროშის ქვეშ - ქართველ ფედერალისტთა პარტიის დროშის ქვეშ უნდა დაირაზმოსო და ერის ყველა წოდება, ყველა კლასი ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის საერთო ნიადაგზე უნდა დადგეს, დაივიწყოს რა ყოველგვარი განაწყენება და კლასობრივი დაპირისპირება.

“ისტორიულ ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა, - წერდა პროფ. აკ. სურგულაძე, - რომ ქართველი ფედერალისტების ეს თვალსაზრისი ასახავდა არა მთელი ერის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესებს, ბურჟუაზიისა, რომელსაც ხალხის დახმარებით გამდიდრების გზაზე ლელოს გატანა და ქვეყნის საბაჟო ზღუდეებით შემოფარგვლა სურდა”; ამავე დროს, ქართველი ფედერალისტები - როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგები - “განგებ აფუჩქებდნენ ქართველი ერის სხვადასხვა კლასს შორის გამწვავებულ ანტაგონისტურ წინააღმდეგობას, ებრძოდნენ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, რომ ამით გაერთიანებული რევოლუციური ფრონტი დაესუსტებინათ”, და ა. შ.

მაგრამ მოხსენიებული “შენიშვნები”, უთუოდ, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხებში ნაკლებად გაცნობიერებული მკითხველისათვის იყო გამიზნული და მის დეზორიენტაციას ისახავდა მიზნად. ყოველ შემთხვევაში, ამ “შენიშვნებში” წარმოსახულ სურათს არაფერი აქვს საერთო რეალურ ვითარებასთან და ისტორიული სინამდვილის სრულიად აშკარა დამახინჯებად გვევლინება. ეს “შენიშვნები”, არსებითად, იმ პოლიტიკური ბრალდებების გადამღერებაა, რომლებიც ჩვენი საუკუნის დამდეგს ქართველ ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებით მიმდინარე პოლემიკისას ქართველ ფედერალისტთა დისკრედიტაციის მიზნით იქნა წამოყენებული და რომლებიც სოციალ-დემოკრატთა წრეში გავრცელებული ეროვნული ნიჰილიზმის წინააღმდეგ ქართველ ფედერალისტთა სამართლიანმა გალაშქრებამ და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მათმა ბრძოლამ განაპირობა.

ამ ბრალდებებს იმთავითვე გაეცა სათანადო პასუხი, ხოლო ისტორიამ სავესებით ცხადყო ქართველ ფედერალისტთა ეროვნული პოზიციის სისწორე. ამდენად, მითითებული “შენიშვნების” დეტალური განხილვა ზედმეტად მიგვაჩნია, მით უფრო, რომ ჩვენი სამეცნიერო აზრის განვითარების ის საფეხური, როცა სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი (როგორც კომუნისტური პარტიის უმუშალო წინაპრისადმი) სიმპათიის გამო, მკვლევარები ამ პარტიის წარმომადგენელთა აშკარად მცდარ შეხედულებებს ექვიმუტანელ ჭეშმარიტებად აღიქვამდნენ, ხოლო ამ შეხედულებათა მოწინააღმდეგეების აზრს - მცდარად და რეაქციულად, საბედნიეროდ, უკვე გადალახულია. ამიტომ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით დაკმაყოფილდებით, რომ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ეროვნული პროგრამა “თავისუფალია ნაციონალიზმის (ამ ტერმინის საბჭოური გაგებით - გ. ა) ელემენტებისგან და გააზრებულია ერების თანასწორობისა და თავისუფლების პრინციპის შესაბამისად”, ხოლო კიტა აბაშიძისა და არჩილ ჯორჯაძის სულიერი

თუ პრაქტიკული მოღვაწეობა - და, კერძოდ, მათი მოღვაწეობა როგორც პირველი ქართველი ეროვნული პარტიის ლიდერებისა, - ერთი ნათელი ფურცელია მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიაში.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ კიტა აბაშიძის (ისევე, როგორც არჩილ ჯორჯაძისა და საერთოდ ქართველ ფედერალისტა პარტიის) პოლიტიკური იდეალი იყო არა “ზურჟუაზიულ-მემამულური რუსეთის შემადგენლობაში” და “მეფის რუსეთის პროტექტორატის ქვეშ” მყოფი საქართველო, რაც “საქართველოს მშრომელი მასების ექსპლუატაციას დააკანონებდა”, არამედ რუსეთის მონობისაგან თავდაღწეული, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო, და, რომ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ილიასეული მოთხოვნა (ერთადერთი პერსპექტიული მოთხოვნა, რომელიც იმჟამინდელ ვითარებაში ქართველ პოლიტიკოსებს შეეძლოთ წამოეყენებინათ და რომელსაც კიტა აბაშიძე ქმედითად უჭერდა მხარს), ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის გზაზე.

თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო ჯერ მხოლოდ ოცნება იყო, მაგრამ ოცნება, რომლის ახდენაში კიტა აბაშიძეს არასოდეს შეპარვია ეჭვი:

“ეროვნული საკითხი, პატარა ეროვნებათა ბედ-იღბალი, - წერდა კიტა აბაშიძე 1916 წელს, - მორიგ საკითხადაა გადაქცეული და შეუძლებელია ეს საკითხი არ გადაწყდეს რადიკალურად. შეიძლება ამ გადაწყვეტას მოუხდეს არა ერთი და ორი წელიწადი, - ყოველ ეჭვს გარეშეა მხოლოდ ის, რომ კაცობრიობის მორიგი საკითხი მომდევნო ხანაში ეგ იქნება და ეგ უნდა გადაწყდეს.

მტკნარი ოცნება იქნება იმისი ფიქრი, რომ რაიმე სოციალური ღრმა საკითხი გადაწყდეს, ვიდრე არ გადაწყდება საკითხი ეროვნული... არ არის საშველი ადამინთა ცხოვრებისა, სახელმწიფოებისა, კულტურისა და ცივილიზაციისა, თუკი არ გადაიჭრა ეს დიდმნიშვნელოვანი პრობლემა...”

“ნაციონალური პოლიტიკა”, კიტა აბაშიძის სიტყვით, სხვადასხვაგვარია: არსებობს “ნაციონალურ-შესვეთი პოლიტიკა”, - პოლიტიკა უსამართლო, და არსებობს ნაციონალური პოლიტიკა მცირერიცხოვანი ერებისა, რომელიც “თავდაცვის პოლიტიკაა” - პოლიტიკა “ფრიად საჭირო და კანონიერი”. ასეთი პოლიტიკა “აუცილებელია ჩვენისთანა პატარა და ჩაგრული ერისათვის”, რადგან იგი “ნიადაგ ისეთ პირობებშია, რომ სულ თავის დაცვაზე უნდა იფიქროს, უნდა ყოველი ღონე მოახმაროს მას, რომ თავისი “ვინაობა” შეინარჩუნოს, - ვინმართ ეს მშვენიერი სიტყვა ჩვენი საეროვნო პოლიტიკის გამჭედის, დიდებულის მოძღვრის ილიას სიტყვა, რომელიც ჩვენი ნაციონალური გათვითცნობიერების ისტორიის ფურცლებზედ მისი წმინდა სისხლით არის აღბეჭდილი.

ერის თვითარსებობის, ერის “ვინაობის” დაცვა არის ერთი უდიდესი, ერთი მოუცილებელი პრობლემა ნაციონალური პოლიტიკისა; ყოველ გზას აქ მივყევართ და ყოველი საშუალება ამ მიზნით იხმარება ერის ცხოვრებაში: ერისათვის გადაგვარება - სიკვდილის მომასწავებელია; იგი მისი სიკვდილია, მაგრამ არა სიკვდილი “სახელოვანი” და გმირული, არამედ სიკვდილი “ნამრახი” და სამარცხვინო. პირველყოფილი მოთხოვნილება ერის ცხოვრებისა, ის მინიმუმი მისი სიცოცხლის ლტოლვისა, რომელიც ფატალურად აუცილებელია, ამ “ვინაობის” შენარჩუნებაა, ისე, როგორც კერძო ადამიანისათვის სიცოცხლის პირველი საფეხური მისი ბიოლოგიური განსხეულებაა.

თუ ეს მინიმუმი სიცოცხლის შესაძლებლობისა დაცული და შენარჩუნებული არ იქნება, სხვის შესახებ ფიქრიც არ შეუძლია ერს... და მთელი ერი ფიქრობს მარტო იმის შესახებ, რომ დაიცვას ძირითადი მინიმუმი თავისი არსებობისა, შეინარჩუნოს თავისი “ვინაობა”.

სწორედ “ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენის, ფეხზე დაყენებისა და დაცვის”<sup>20</sup> ილიასეული მოძღვრება დაედო საფუძვლად კიტა აბაშიძის ეროვნულ-პოლიტიკურ იდეალებსა და მისწრაფებებს, რომლებიც მთელს მის შემოქმედებას განმსჭვალავს და რომლებიც “პოლიტიკურ რომანტიზმშიც” მკაფიოდ აისახა.

ამ მხრივ “პოლიტიკურ რომანტიზმში” გამოთქმული არაერთი შეხედულებაა საგულისხმო, მაგრამ ამჯერად ჩვენ მხოლოდ იმ ძირითად დებულებებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1832 წლის შეთქმულების შესახებ კიტა აბაშიძის თვალსაზრისზე მართებული წარმოდგენის შესამუშავებლად და ასევე - სწორი წარმოდგენის შესამუშავებლად თვით 1832 წლის შეთქმულების ადგილისა და როლის შესახებ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში:

1. 1832 წლის შეთქმულებას - ისევე, როგორც საერთოდ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ თავადაზნაურთა ბრძოლას რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს გასათავისუფლებლად, - კიტა აბაშიძე არ თვლიდა საკუთრივ “თავადაზნაურულ მოძრაობად” -

თავადაზნაურული იდეოლოგიისა თუ ქართველი თავადაზნაურობის პირადი ინტერესების გამომხატველად (როგორც ეს ქართველ სოციალ-დემოკრატებს მიაჩნდათ და შემდგომშიც, საბჭოურ მეცნიერებაში, დიდხანს. საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს წარმოადგენდა). ეს შეთქმულება კიტა აბაშიძისათვის არ იყო მარტოდენ “ზრწყინვალე წოდების” შეთქმულება. ეს იყო, ამავე დროს, “შეთქმულება ქართული საზოგადოების განათლებულის წრისა”, და თუ მას “უმაღლესი არისტოკრატია ედგა სათავეში..., საქართველოს იმ დროის დამამშვენიებელიც - გონების არისტოკრატიაც მეთავეობდა ამ საქმეს”, ეს იყო მამულიშვილთა შეთქმულება, რომელშიც “რამენაირი მონაწილეობა მიუღია ყოველ იმ დროის ქართველს, რომელსაც რაიმე აზრი და გრძნობა ჰქონდა, ანდა რაიმე ადგილი ეკავა იმ დროის ქართველ საზოგადოებაში”.

2. 1832 წლის შეთქმულების განმსზაღვრელი მიზეზიც (ეროვნული თავისუფლების დაკარგვა) და უპირველესი მიზანიც (ეროვნული თავისუფლების მოპოვება), კიტა აბაშიძის აზრით, იგივე იყო, რაც “ასე ვთქვათ, პარტიზანული აჯანყებებისა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში” (მთიულეთში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, სვანეთში), რომლებიც “რუსეთის გუბერნიად საქართველოს გარდაქმნას” მოჰყვა და “სამოციან წლებამდე არ შეწყვეტილა”.

3. რუსეთის მონარქთა მიერ ქართველი ერის “უეცარმა მოტყუებამ, დალატმა მტრად გადაქცეულის მეგობრისამ”, - საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წელს დადებული მეგობრული ხელშეკრულების მუხანათურმა დარღვევამ (ხელშეკრულებისა, რომელიც “საქართველოს დიდებული წარსულის ანდერძს” წარმოადგენდა, ქართველი ერის “მომავლის განმამტკიცებელსა” და “ერის ცრემლითა და სისხლით ნაწერ საბუთს”, რომლის ხელშეუხებლობა თვით რუსეთის გვირგვინოსანთა “ხელის მოწერითა და სიტყვით: უავგუსტოესი ფიციით აღთქმით” იყო დადასტურებული) “გული აუთუთქა მთელს საქართველოს”. და ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის თვითნებური გაუქმებისა და საქართველოს ანექსიის დღიდანვე “რუსეთის მთავრობის წინააღმდეგობამ იმთავითვე დაიბუდა გულში” და “იმთავითვე ღრმად გაიდგა ფესვი” (რამაც თვალნათლივი გამომხატულება ჰპოვა როგორც პერმანენტულ აჯანყებებში, ისე საკუთრივ 1832 წლის შეთქმულებაში), - ქართველი ერის სავსებით ბუნებრივ რეაქციას წარმოადგენდა. - გუშინდელ მფარველთა მხრივ “ასეთი უეცარი დარღვევა სიტყვისა, ყინულზედ დასმა მთელის სამეფო გვარეულობისა - რომელიც სამეფოს დამოუკიდებლობის იურიდიული სიმბოლო იყო, - და ქვეყნის გაბიაზრება”, რაღა თქმა უნდა, “გულში ლახვარით მოხვდა ყოველ შეგნებულ ქართველს... ძმობისა და მფარველობის მაგიერ, მათ წაართვეს ქართველებს ის, რის დასაცველადაც სწყდებოდა და თავსა სდებდა ხალხი საუკუნეების განმავლობაში; ნახევრად გასწირა თავისუფლება, ქრისტეს ჯვარი წინდად დასდგა მეგობრობისა და ეგონა, რომ ეს ჯვარი იქნებოდა საუკეთესო მოწამე და ბეჭედი საიმპერატორო პირობისა, მაგრამ მოტყუებული დარჩა: სამშობლოც დაჰკარგა და ის ჯვარი, რომელიც ნაციონალური აზრის გამომხატველი და მფარველი იყო მისთვის, დღიდან გამაუბედურებელ საგნად შეიქმნა”.

4. კიტა აბაშიძის აზრით, რუსეთის ამ ავი ზრახვების განჭვრეტა შეუძლებელი იყო და ამდენად იგი უსამართლოდ მიიჩნევს უარყოფით დამოკიდებულებას ქართველ მეფეთა პოლიტიკური ორიენტაციისა და რუსეთთან მეგობრული კავშირის დამყარების მათეული მცდელობის მიმართ. ქართველმა მეფეებმა, კიტა აბაშიძის სიტყვით, “გასაოცარის გამჭრიახობით იგრძნეს, რომ რუსეთი, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, საქართველოს დაიპყრობდა. დიდის გონიერებით და ცოდნით მიხვდნენ, რომ ახალი მეზობელი, რომელიც მის საზღვრებთან იზრდებოდა, ძლევაძოხილი იყო და დიდის “აპეტიტებით” აღვსილი, და არჩიეს მეგობრულის კავშირით დაეცვათ, ნახევრად მაინც, დამოუკიდებლობა... საუკეთესო გზა, სწორედ ხერხიანი და გონიერი, ის იყო ამ შემთხვევაში, რომ ამისთანა საშიშარ მტერთან მეგობრობა ეცადათ. ამ ცდამ თუ ტყუილა ჩაიარა, ეს მათის სისულელის ბრალი კი არ იყო, არამედ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის ცბიერებისა და ვერაგობისა. რუსეთის მონარქებმა, აქაოდა, ძალა აღმართსა ხნავსო, საერთაშორისო პირობაც კი დაარღვიეს. ამ ცბიერების იმთავითვე წინათგრძნობა მეტად ძნელი იყო და წარმოუდგენელი, ხოლო ბოლოს კიდევაც შეიტყვეს, მაგრამ გვიანდა იყო: დაჭრილი, დაკოდილი და სისხლისაგან დაწრეტილი საქართველო რუსეთის ორთავიანი არწივის ძლიერ კლანჭებში იყო ჩავარდნილი და იქ ფართხალებდა, მისი შემწე და მფარველი არსადა სჩანდა”...

5. 1832 წლის შეთქმულების დამარცხების უშუალო მიზეზი დალატი იყო, მაგრამ, კიტა აბაშიძის აზრით, შეთქმულება, მისი გაცემის გარეშეც, იმთავითვე განწირული იყო მარცხისათვის.

კიტა აბაშიძის სიტყვით, “სასაცილო იყო იმაზე ფიქრი, რომ მარტო თავადაზნაურობა შესძლებდა ასეთი საქმის აღსრულებას, მარტო თავისის ძალით, თუგინდ მთელი თავადაზნაურობა in corpore ამ საქმის მომხრე ყოფილიყო; ხოლო ხალხში კი არ მოქმედებდნენ. ისე, კოლოკავად, თუ

გადაკვრით ლაპარაკობდნენ რასმე, თორემ კომისიის გამოძიებიდან მაინც არა სჩანს, რომ სერიოზული ყურადღება მიექციათ ხალხისათვის”, - და ეს მაშინ, როცა “თქმა არ უნდა, რომ მიემართათ ხალხისათვის, შეთქმულნი დიდ თანაგრძნობას იპოვიდნენ”.

კიტა აბაშიძეს მიაჩნდა, რომ “ასეთი მიმღე საქმის აღსასრულებლად” შეთქმულები “იმგვარ გზას უნდა დასდგომოდნენ, რომ უთუოდ მიემხროთ მთელი კავკასიის აქეთა მხარე და მთელი ხალხი, მაგრამ ამას არათუ მისდევდნენ, ლეკეთს კიდევაც ეომებოდნენ”, და, ამრიგად, თუ ერთი მხრივ, “რუსებს ეომებოდნენ... ამავე დროს რუსებს ეხმარებოდნენ მათ მტრების წინააღმდეგ, - ძველის ანგარიშების გასასწორებლად უთუოდ, მაგრამ რომ ეს პოლიტიკურ გონიერებას მოკლებული იყო, ამას მგონია, ვერავინ ჰყოფს უარს”.

მაგრამ ისეთ ძლიერ სახელმწიფოსთან ბრძოლა, როგორსაც რუსეთის იმპერია წარმოადგენდა, ცხადია, მხოლოდ “კავკასიის აქეთა მხარეს არ შეეძლო”. ამიტომ, კიტა აბაშიძის აზრით, აუცილებელი იყო, რათა შეთქმულების ორგანიზატორები “ევროპის სახელმწიფოებს დაახლოვებოდნენ, იმათ მაინც, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს”, მაგრამ ამ მიმართულებითაც, როგორც არსებული მასალების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, არ ყოფილა ჩატარებული რამდენადმე სერიოზული მუშაობა (როგორც ვხედავთ, 1832 წლის შეთქმულების უპერსპექტივობის შესახებ მსჯელობისას, “პოლიტიკურ რომანტიზმში” არა მხოლოდ საკუთრივ ამ შეთქმულების, არამედ საერთოდ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის აუცილებელი ღონისძიებებია აქცენტირებული და, ფაქტობრივად, რუსეთის მონობისაგან თავის დაღწევის სრულიად კონკრეტული გეგმა წარმოდგენილი, რაც საერთო-სახალხო რევოლუციის დაწყების ხანებში “პოლიტიკური რომანტიზმის” აქტუალობაზეც მეტყველებს და მისი ავტორის პატრიოტულ მიზანდასახულობასა და მოქალაქეობრივ გამბედაობაზეც).

6. თუმც 1832 წლის შეთქმულება მარცხით დასრულდა და ეს იმთავითვე გარდაუვალი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კიტა აბაშიძის აზრით, ეს “რომანტიკული პოლიტიკური ამბავი” დიდძალი მშენებლობით მოვლენას წარმოადგენს მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს “განათლებულისა და მოწინავე საზოგადოების ისტორიაში”, რადგან “აღშფოთება ცხოვრების უმსგავსობით, უარყოფით მოქცევა ყოველივე იმისადმი, რაცა ჩირქსა სცხებს კაცისა და ერის ღირსებას, ყოველთვის უფრო სასიძველეთი ყოფილა, უფრო გამოუწვევია აღტაცება და თანაგრძნობა შთამოვებაში; ასეთი თავგანწირული წინააღმდეგობა ბოროტისა ყოველთვის უფრო მომხიბვლილია თავისი რაინდულის არაჩვეულებრივობითა და სიდიადით, რაღაც ზღაპრულის შარავანდედით არის ხოლმე მოსილი და უცნაურის შუქით განათებული”. და თუ “ეს ამბავი თავგანწირულებისა წუთიერი იყო, სიზმარებ ჩქარი, ზღაპარსავით მალი, ოცნების შვილივით ჰაეროვანი”, ამავე დროს, ქართველი საზოგადოებრიობის ცხოვრებაში ეს იყო მომენტი “იმ გმირულის ადამიანობით აღსავსე, ურომლისოდაც კაცის ცხოვრება ჩალის ფასადაც არა ღირს”. და, მართლაც, “ცხოვრება, ნამდვილი და ჭეშმარიტი ცხოვრება ხომ ისაა, რომელშიც ხშირია მომენტები უსაზღვრო თავგანწირულებისა უმაღლესის რწმენისა და აზრის ამქვეყნად განსახორციელებლად”.

7. “პოლიტიკურ რომანტიზმში” საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ 1832 წლის შეთქმულების სავალალო დასასრულმა უდიდესი ზემოქმედება მოახდინა ქართველ რომანტიკოს პოეტთა ცნობიერებაზე და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მათი პოეტური შემოქმედების ხასიათი. შეთქმულების დამარცხებამ, წერდა კიტა აბაშიძე, “სასიცოცხლო და სასიკვდილო გავლენა” იქონიაო ჩვენს რომანტიკოსებზე, “წარუხოცელი მჭმუნვარების ბეჭედი დაასვა მათ ღირიკას და საუკუნოდ წარუწყმიდა მათ იმედი”.

ამ შეხედულების სამართლიანობა, რა თქმა უნდა, დღეს არავითარ დაეჭვებას არ აღძრავს, თუმც - ასევე რა თქმა უნდა, - არც არავითარ სიახლეს არ წარმოადგენს. მაგრამ ქართველ რომანტიკოს პოეტთა შემოქმედების კვლევის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მათი “სულის ვითარება” და პოეტური განწყობილებანი 1832 წლის შეთქმულებასთან მიმართებაში იყო გააზრებული. აღსანიშნავია ისიც, რომ შემდგომში, საბჭოთა ეპოქაში, გასაგები მიზეზების გამო, ვერ ეთმობოდა ჯეროვანი ყურადღება იმ ზეგავლენას, რომელიც შეთქმულების მარცხით გამოწვეულმა იმედგაცრუებამ ჩვენი რომანტიკოსი პოეტების და მათი თანამედროვე ქართველი საზოგადოებრიობის მსოფლმხედველობასა და მსოფლალქმაზე მოახდინა, და მხოლოდ ამ შეთქმულების “რეაბილიტაციის” შემდეგ გახდა შესაძლებელი მკაფიოდ თქმულიყო, რომ “1832 წლის შეთქმულების დამარცხება იყო უმნიშვნელოვანესი მიჯნა საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ისტორიისა”, რომელსაც “თან მოჰყვა ადამიანთა ცნობიერების, წარმოდგენების, განწყობილებების უღრმესი გარდატეხა... ადამიანის პიროვნული ხვედრი, საზოგადოებრივი

განვითარება, ეროვნული ცხოვრების პერსპექტივები, - კაცობრიობის მთელი ისტორია წარმოდგა როგორც ბრმა აუცილებლობის სარბიელი, ხოლო მისი მოქმედების შეუცნობელმა კანონმა აბსოლუტური ხასიათი შესძინა სინამდვილის საბედისწერო წინააღმდეგობებს”.

ექვგვარეშა, რომ ქართველი საზოგადოებრიობის ცნობიერებაში მომხდარმა ამ გარდატეხამ უძლიერესი ზიძგი მისცა რომანტიკული განწყობილებების გაღვივებას და, ამრიგად, პოლიტიკური რომანტიზმის დამარცხება ქართული რომანტიკული პოეზიის მომავალი გამარჯვებების, მისი ახალი, აღმავალი ეტაპის საწინდრად იქცა.

8. კიტა აბაშიძე მიიჩნევდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა იყო “უკანასკნელი როლი, რომელიც ითამაშა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში წარსულ საუკუნეში ჩვენმა თავადაზნაურობამ”. იმ დღიდან, წერდა კიტა აბაშიძე, “თავადაზნაურობა გადაგვარების გზას დაადგა, ვითომდა პოლიტიკური რეალიზმის თავყანისმცემელი შეიქმნა, ნამდვილად კი დაცემისა და გათახსირების მაგალითის მეტს აღარას იძლევა რას ერთ დროს ბრწყინვალე წოდება”.

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვენი თავადაზნაურობის როლის ამ უმკაცრესი შეფასების ამოსავალ საფუძველს ის შემგუებლური განწყობილება და ქვეშევრდომული გრძნობები წარმოადგენდა, რომელიც 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ქართველი თავადაზნაურობის უდიდეს ნაწილს დაეუფლა, რაც, არაერთხელ აღნიშნულა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ პატრიოტ მოღვაწეთა მიერაც, - აღნიშნულა უდიდესი გულისტიკვილითა და სამართლიანი აღშფოთებით. მაგრამ ის დაუფარავი განრისხება მეოცე საუკუნის დამდეგის ქართველი თავადაზნაურობის მიმართ, რომელიც “პოლიტიკურ რომანტიზმშია” გამოხატული, კონკრეტული ფაქტითაც იყო განპირობებული: ეს იყო “საქართველოს რუსეთთან შეერთების” (ფაქტობრივად - საქართველოს ანექსიის) ასი წლისთავის დიდი ზარზხემით აღნიშვნა თავადაზნაურობის მიერ 1901 წლის 25 სექტემბერს, რამაც ქართველ პატრიოტთა საყოველთაო გულისწყრომა გამოიწვია.

სწორედ ამ ფაქტზე მიაწინებდა კიტა აბაშიძე, როცა “პოლიტიკურ რომანტიზმში” წერდა: XX საუკუნის დამდეგს “ქართველმა თავადაზნაურობამ დაუმტკიცა რუსეთს, რომ მისი გული წმინდაა და შორს არის ყოველივე “ზრახვასა მზაკვართასა”, რომ იგი მადლიერია და კმაყოფილი, ბედნიერი და მხიარული, და შვილებმა იმ ადამიანებისა, რომელნიც რუსეთში გაციმბირებულ იქმნენ 1832-ში იმისათვის, რომ უნდოდათ სათავადაზნაურო ბალი გაემართათ და ამ ბალზედ რუსეთის წარჩინებული მოხელეები გაეწყვიტათ, ამ ადამიანების შვილებმა ამას წინათ ბალი გამართეს - სათავადაზნაურო ესეც, მაგრამ სულ სხვა აზრით: რათა რუსეთის მოხელეების უმაღლეს წარმომადგენელთა წინაშე ფიანდაზად გაეგოთ თავისი ერთგულებისა და მორჩილების გრძნობები”.

კიტა აბაშიძის აღშფოთება ქართველი თავადაზნაურობით, “რომელმაც ასე სამარცხვინოდ იდღესასწაულა სამგლოვიარო დღე მონობისა,”<sup>22</sup> სავესებით გასაგები იყო, და, ამდენად, ქართველ თავადაზნაურთა ის შეფასებაც, რომელიც “პოლიტიკურ რომანტიზმშია” წარმოდგენილი - სრულიად კანონზომიერი. მაგრამ, ჩვენი აზრით, “პოლიტიკური რომანტიზმი” სულ რამდენიმე თვით უფრო გვიან რომ დაწერილიყო, ეს შეფასება, ალბათ, ასეთი მკაცრი აღარ იქნებოდა. მხედველობაში მაქვს ქართველი თავადაზნაურობის აბსოლუტური უმეტესობის მიერ საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის ილიასეული მოთხოვნის მხარდაჭერა (უკვე “პოლიტიკური რომანტიზმის” გამოქვეყნების შემდეგ, - 1905 წლის აპრილში) და შესაბამისი პეტიციების გაგზავნა პეტერბურგში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა კრებების სახელით.

საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის ილიასეული მოთხოვნა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო მეოცე საუკუნის დამდეგის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხოლო ქართველი თავადაზნაურობის მხრივ ამ პოლიტიკური მოთხოვნის მხარდაჭერა - მათი პატრიოტული გრძნობების ნათელი გამოხატულება.

აქვე დავსძენთ, რომ კიტა აბაშიძის ზემოაღნიშნული შეფასება, რაღა თქმა უნდა, მთელ ქართველ თავადაზნაურობას არ გულისხმობდა, - ჩვენი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი იმგვარადვე იყო განწყობილი რუსეთის მიმართ, როგორც თვით კიტა აბაშიძე, რომელიც თავადაც ამ წოდებას განეკუთვნებოდა (ეს დამოკიდებულება მათ საკუთრივ 1901 წელსაც გამოხატეს, როცა რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების მესაე წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო დღეებში, არაერთი და ორი ქართველი მანდილოსანი, “მონობის სამგლოვიარო დღის” შესატყვისად, შავებით შეიმოსა,

თუმცა ჟანდარმერია იმთავითვე მოელოდა პროტესტის ამ ფორმას და გარკვეულ ზომებსაც იღებდა მის აღსაკვეთად).

“პოლიტიკური რომანტიზმი” ქართველ მკითხველთა ფართო ფენებისათვის იყო განკუთვნილი და, როგორც ითქვა, უმთავრეს მიზნად მათი ეროვნული გრძნობების გაღვივებას და მოძალებული ანტიეროვნული ტენდენციების დათრგუნვას ისახავდა. სწორედ ეს მიზანდასახულობა განაპირობებს “პოლიტიკური რომანტიზმის” პოპულარულ ფორმას და ემოციურ შეფერილობას, ისტორიული ფაქტების, მოვლენებისა თუ პიროვნებების დახასიათებისა და შეფასების პუბლიცისტურ სტილს. კიტა აბაშიძე დამინტერესებლად და ამაღელვებლად მოგვითხრობს 1832 წლის შეთქმულების ჩასახვაზე და მის გამომწვევ მიზეზებზე, შეთქმულთა მისწრაფებებსა და გეგმებზე, მის იდეურ ხელმძღვანელებზე, ორგანიზატორებსა და მონაწილეებზე, და, ბოლოს – შეთქმულების დასმენაზე, შეთქმულთა ხვედრზე და იმ წარუხოცელ ზეგავლენაზე, რომელიც ამ “რომანტიკული პოლიტიკური ამბის” სავალალო დასასრულმა “საქართველოს იმ დროის დამამშვენებელი გონების არისტოკრატის” - ჩვენი რომანტიკული პოეზიის გამოჩენილი წარმომადგენლების მსოფლმხედველობასა და მსოფლშეგრძნებაზე იქონია. “პოლიტიკური რომანტიზმი”, პირველ ყოვლისა, მკითხველის გრძნობებზე მოქმედებს და ძლიერ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს.

მაგრამ, მიუხედავად პოპულარული, პუბლიცისტური ფორმისა, “პოლიტიკური რომანტიზმი” უადრესად სერიოზული და სანდო გამოკვლევაა, რომელიც XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა თუ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ირგვლივ იმხანად არსებული ყველა მნიშვნელოვანი მასალის (სამეცნიერო შრომისა თუ ისტორიული დოკუმენტის) შესწავლისა და კრიტიკული გააზრების საფუძველზეა დაწერილი. ამ მასალათაგან “პოლიტიკურ რომანტიზმში” მხოლოდ რამდენიმეა ციტირებული ან მინიშნებული (ესენია: “აქტები” – „Акты собранные Кавказскою Археографическою комиссие” - ნ. VIII, რომელიც ამჟამადაც ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს 1832 წლის შეთქმულების ისტორიის შესასწავლად; მიხეილ ხელთუფლიშვილის “ცნობილი გამოკვლევა”, - იგულისხმება: “Вступление Грузии в состав Российской империи”, 1901; ალ. ყიფშიძის “შშენიერი მონოგრაფია” - “მთიულეთი 1804”, ტფ., 1896; ზურაბ ავალიშვილის “Присоединение Грузии к России”, 1901), მაგრამ, ამჟამად, რომ კიტა აბაშიძე საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებულ არაერთ სხვა ნაშრომსა და დოკუმენტსაც იცნობს და მისი მოსაზრებები თუ დასკვნები 1832 წლის შეთქმულების შესახებ ამ მასალების ღრმა ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზეა შემუშავებული.

ამიტომაცაა, რომ თუმცა თვით კიტა აბაშიძე თავის თავს ისტორიის საკითხებში “უბრალო ცნობისმოყვარედ” თვლიდა, “პოლიტიკური რომანტიზმი” დღესაც ინარჩუნებს არა მარტო ისტორიულ, არამედ მაღალ შემეცნებით ღირებულებასაც.

კიტა აბაშიძის საოჯახო არქივში დაცულია “პოლიტიკური რომანტიზმის” პირველნაბეჭდი (ჟურნალ “მოამბის” პუბლიკაცია), ავტორის მიერ ალაგ-ალაგ შემოკლებული (მეტწილად – “აქტებიდან” მოტანილი ამონაწერების ხარჯზე) და მცირეოდენ ნასწორები - ძირითადად სტილისტური თვალსაზრისით. ჩანს, ეს სწორებები ტექსტში კიტა აბაშიძეს 1910 წელს მოუხდენია, როცა იგი გამოსაცემად ამზადებდა თავის “ეტიუდებს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურიდან” და მასში “პოლიტიკური რომანტიზმის” შეტანასაც აპირებდა.

წინამდებარე პუბლიკაცია ავტორის ბოლო ნებას ემყარება და მისეულ ყველა სწორებას ითვალისწინებს (ტექსტში ჩვენ ჩავასწორეთ მხოლოდ კორექტურული თუ კალმისმიერი შეცდომები, პუნქტუაცია და ორიოდე გრამატიკული ფორმა).

### **სამარცხვინო ომი (მიმართვა რუს ადამიანებს)**

მკითხველს არ ეგონოს, რომ მე რუსეთ-იაპონიის ომზე ვლაპარაკობ, რომელმაც სამარცხვინო ბოძზე გააკრა რუსეთის თვითმპყრობელური ბიუროკრატია, ომზე, რომლის დამთავრებას ჩვენ ასე გულთ ვნატრობდით, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ გვესმოდა, რომ თუკი რუსეთის თვითმპყრობელური ბიუროკრატია სამუდამოდ არ დასამარდებოდა მანჯურიის ველებზე, იგი კვლავ აღდგებოდა მთელი ქვეყნის დასალუპავად. არა, მე იმ ომზე ვლაპარაკობ, რომელიც გამხეცებულმა თვითმპყრობელურმა ბიუროკრატამ “შინაური მტრების” წინააღმდეგ გააჩაღა,

ომზე, რომელმაც ამჯერად სამარცხვინო დადით დადალა არამართო თვითმპყრობელური ხელისუფლება, არამედ მთელი რუსული არმია და, გარკვეულწილად, მთელი რუსი ხალხიც.

რაც არ უნდა თქვათ, თანამედროვე არმიაც ხალხის წარმომადგენლად გვევლინება და მის ნაკლოვანებანი, ნაწილობრივ მაინც, მთელი ხალხის ნაკლოვანებებია.

იმ საარაკო სისასტიკეს, იმ გაუგონარ სიმხეცეს, რომლითაც რუსულმა არმიამ ისახელა თავი უიარაღო, უმწეო, სრულიად უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ომში, ალბათ, მთელი კაცობრიობის ისტორიაში არ მოეძებნება რაიმე შესატყვისი.

აბა, შუა საუკუნეების რომელი მეომარი ან რომელი თურქი ბაშიბუზუკი შეედრება შლეგ ველურობასა და არაადამიანურობაში რუს სალდათსა თუ კაზაკს, რომელიც ებრძვის არა გულად, შეიარაღებულ მოწინააღმდეგეს, არამედ სუსტ, უმწეო “შინაურ მტერს”?!

დამეთანხმეთ, რომ ნიშან-თვისებები ველური მძვინვარებისა და სიგიჟემდე მისული სიმხეცისა, ის წარმოდგენილი სისასტიკე, რაც ნიშანდობლივია პასიური, მხდალი და მონური ბუნების მქონე ადამიანთათვის, - დამეთანხმეთ, ეს თვისებები საუკუნეთა მანძილზე დამონებული რუსი ხალხისთვისაცაა რამდენადმე დამახასიათებელი.

მართალია, ამგვარი მხეცური ინსტინქტები სადღაც სიღრმეშია ჩაბუდებული და მათს გამოვლენას შავრაზმელი ხულიგნებისა და თვითმპყრობელური ჰიპნოტიზიორების ძალისხმევა სჭირდება, მაგრამ მათ ხომ არ ძალუძთ რაიმე ახალი თვისებების შთაბერვა: ნაირგვარ ინსინუაციათა მაგიური კვერთხის მეშვეობით მათ მხოლოდ შხის სინათლეზე ამოაქვთ ქვესკნელში მთვლემარე ძალები. ამდენად, მორალურად პასუხისმგებლებად, რა თქმა უნდა, ეს - ყოვლად უღირსი და სინდისგარეცხილი ჰიპნოტიზიორები უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ არც იმაზე უნდა დავხუჭოთ თვალი, რომ თუ არ სათანადო ნიადაგი, ჩაგდებული თესლი დაილუპებოდა და ვერ აღმოცენდებოდა - რუსი ხალხის ისტორიის შესარცხვენად.

ნუ გამინაწყენდებით, რუსო ადამიანებო, ვისდამიცაა მიმართული ეს ჩემი წერილი, თუკი მე, სასოწარკვეთილების ჟამს, პასუხისმგებლობას ვიტყვები, დუბასოვების, ალიხანოვებისა თუ სხვა tutti quanti “ჭეშმარიტად რუსი” ადამიანების ცოდვების გამო, - ადამიანებისა, რომელნიც მეტწილად რუსულ გვარებსაც კი არ ატარებენ, მაგრამ რომელთაც საკუთარი გვარები რუსული ჩინოვნიკობის საკეთილდღეოდ უარყვეს, - თუკი პასუხისმგებლობას მათი დანაშაულის გამო მთელს რუს ხალხს ვაკისრებ. მაგრამ სანამ ეს ხალხი, რომლის წიაღიდანაც გამოვიდნენ უდიდესნი მებრძოლნი და წამებულნი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის, სანამ ეს ხალხი უნდობლობას არ გამოუცხადებს და ძალაუფლებას არ ჩამოართმევს ახლად გამომცხვარ მინისტრთა საბჭოში ნაბარტყევ ნაირგვარ ხულიგნებს, მანამდე ქართველების თვალში იგი პასუხისმგებლად ჩათვლება მისი მთავრობისა, - იმ ტრაფარეტის მიხედვით, რომ ყოველი ხალხი იმ მთავრობას იმსახურებს, რომელიც მას ჰყავს.

XVIII საუკუნის დამლევს ბედი ქართლისა გადაწყვეტილ იქნა ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენელთა მიერ: საქართველომ სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი მაჰმადიანურ სამყაროსთან, ერთმორწმუნე რუსეთს მიმართა და მისი პროტექტორატი მიიღო. ამ გადაწყვეტილების გამო საქართველო სასტიკად დაისაჯა: საქართველოში ალა-მაჰმად-ხანის მეთაურობით სპარსთა ურდოები შეიჭრნენ და ქვეყანას ცეცხლითა და მახვილით გადაუარეს. და ეს იმიტომ, რომ საქართველოს მეფე [ერეკლე II] არ დაჰყვა სპარსეთის გამგებლის შეგონებას და პირი არ უტება რუსეთს. “არათუ ალა-მაჰმად-ხანმა, აზიის ყველა სახელმწიფომ რომ გამოგვიცხადოს ომი, მაშინაც კი არ შეველვე რუსეთის ერთგულებას”, - უპასუხა საქართველოს მეფემ ალა-მაჰმად-ხანის ელჩებს.

ასეთ გრძნობათა სამადლობლად და “აღსასრულებლად ტრაქტატებისა”, რომლებიც რუს მეფეთა სიტყვით იყო განმტკიცებული, რუსეთმა თავისი გაბატონების პირველსავე წლებში ყველაფერი წაართვა საქართველოს, - სკოლა, ენა და სარწმუნოება. რუსეთი მთელი თავისი ძალებითა და ხერხებით აფერხებდა საქართველოს კულტურულ და სულიერ განვითარებას და სისტემურად სპობდა იმ ეროვნულ თვითმყოფადობას, რომლის დასაცავადაც მიიღო საქართველომ რუსეთის პროტექტორატი.

მაგრამ ქართველი ხალხი ითმენდა და ელოდა.... ჩვენ რუსეთის განახლებას ველოდით... ჩვენ გვეჯეროდა, რომ “დამლუპველ კავკასიაში” გამწესებული ყველა ეს შანტაჟისტები - როზენები, დონდუკოვები და გოლიცინები - წარმომადგენლები იყვნენ ოდენ რუსული ბიუროკრატიისა, რომელიც ისევე ავიწროვებს რუს ხალხს, როგორც ქართველობას. ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ ებრძოდა რუსეთის საუკეთესო ნაწილი თვითმპყრობელურ ხელისუფლებას, და სახელები ამ დიდ რუს წამებულთა და რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა - წმიდათაწმიდა სახელებია ჩვენთვის.

ჩვენ პატივს ვცემდით რუსულ არმიას, რომელიც გვიცავდა ჩვენ საძულველი მაჰმადიანური სამყაროსაგან; ჩვენ, რუსი ხალხის მხარდამხარ, ამ არმიასთან ერთად ვიბრძოდით რუსული სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის იმავე მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ; ჩვენ ვიბრძოდით ჩვენი მეზობლების წინააღმდეგაც, რათა კავკასიაში რუსეთის ძალაუფლება დაგვემკვიდრებინა. და ვფიქრობ - ყოველ შემთხვევაში ახლა, რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ შეიძლება ეს ითქვას, - რომ ჩვენი დახმარების გარეშე ეგრეთ წოდებული “კავკასიის დამორჩილება” სადღეისოდაც ისეთივე განუხორციელებელი იდეალი იქნებოდა რუსებისათვის, როგორც რუსეთის ბატონობის დამკვიდრებაა წყნარი ოკეანის ნაპირებზე. ჩვენი მხრივ არაკეთილმოსურნე დამოკიდებულების შემთხვევაში ჩვენ შეგვეძლო საკმაოდ საგრძნობი სიმწელები შეგვექმნა ყირიმის კამპანიის დროს, როცა კოალიციური მთავრობის წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ქართველი ხალხის წარმომადგენლებთან. და ახლაც, სულ ცოტა ხნის წინ, როცა ხმა დაირბა, რომ თურქეთმა სამხედრო კორპუსები დაძრაო ჩვენი საზღვრებისაკენ, ჩვენ ყველა ერთხმად ვამბობდით, რომ ეს რუსეთ-იაპონიის ომი არაა და რომ ყველანი წინაღუდგებით თურქებს. ხოლო რუსეთთან საქართველოს შეერთების ასი წლისთავის აღსანიშნავად, საქართველოში ხმის უფლების მქონე ერთადერთმა წოდებამ რუს სამხედრო პირთა შვილებისათვის რამდენიმე სტიპენდია დააწესა, სურდა რა ამით რუსული არმიისადმი - საქართველოს დაცვის გამო, - მაღლიერების გრძნობა გამოეხატა.

და, აი, ყოველივე ამის სამადლობლად თქვენ რა დაგვმართეთ, რა დაგვმართა ჩვენ თქვენმა არმიამ თქვენი “მამაცი” გენერლების წინამძღოლობით, რა დამართეთ თქვენ თქვენს ერთმორწმუნე ხალხს, რომელიც ბრძოლისა და წინააღმდეგობის გარეშე, საკუთარი ინიციატივით შემოვიდა თქვენი პროტექტორატის ქვეშ, - იმ იმედით, რომ თქვენ მას ბარბაროსთა შემოსევებისაგან დაიცავდით.

ის, რაც თქვენ - ჩვენმა “მფარველებმა”, ჩვენმა “მეგობრებმა, ჩვენმა “მართლმადიდებელმა ძმებმა” გვიყავით ამ ორი-სამი თვის მანძილზე, არ გაუკეთებია ჩვენთვის არც ერთ მაჰმადიან ტირანს, - დაწყებული თემურ-ლენგით და დამთავრებული შაჰ-აბასითა და ალა-მაჰმად-ხანით, რომელთაც ყოველი ქართველი წყევლიდა და თავისი ისტორიისა და ხალხის ბოროტ დემონებად თვლიდა. მაგრამ ალა-მაჰმად-ხანმა თბილისში მხოლოდ მეფისა და მისი ოჯახის რამდენიმე სასახლე გადაწვა, მოსახლეობა კი არ დაურბევია, მხოლოდ ტყვედ მიჰყავდა. ისტორიკოსთა მოწმობით, თვით მეფე ერეკლე იყო გაკვირვებული ალა-მაჰმად-ხანის ასეთი მოპყრობით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაჰმადიანთა შემოსევამ საბოლოოდ დაარწმუნა ქართველობა იმაში, რომ აუცილებელი იყო შელეოდნენ დამოუკიდებლობას და მართლმადიდებელი რუსეთის მფარველობა მიეღოთ.

მაგრამ არასდროს არავითარ მაჰმადიანურ ურდოებს არ ჩაუდენიათ არაფერი მსგავსი იმისა, რაც ჩაიდინა რუსულმა “ქრისტიანო-მოციარულმა მხედრობამ”, რომელმაც იაპონიის ომში თავისი მარცხის მთელი ჯავრი ჩვენზე ამოიყარა...

თითქოსდა ჩვენი მიამიტური მიმნდობლობისა და რუსეთის სახელმწიფოსადმი ჩვენ რწმენის დასაცინად, თვითმპყრობელური რუსული ბიუროკრატია დასავლეთ საქართველოში მუსლიმ ალი-ხანს აგზავნის - ქართველებთან ბრძოლებში დაღუპული მეომრებისთვის ალაპის გადასახდელად, - და მას carte blanche-ს აძლევს მისი ველური სისხლისმსმელური ინსტინქტების დასაკმაყოფილებლად. ალი-ხანიც თბილისიდან ქუთაისამდე “ძლევამოსილ მარშს” ახორციელებს და გზად ყოველივეს ცეცხლითა და მახვილით ანადგურებს; “სახელოვანი” ლაშქარი ხოცავს და ხვრეტს მშვიდობიან მოსახლეობას, ამაზრზუნ მალმომრეობას ხმარობს ქალებზე და ბავშვებზე (ამ მალმომრეობის მსხვერპლნი - 11-12 წლის გოგონები ქუთაისის საავადმყოფოში წვანან) და მთელს ქვეყანას აჩანაგებს: “ძლევამოსილი” გენერალი ავადღებულებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მაზრის მოსახლეობას ერთი კვირის ვადაში 200000 მანეთის გადახდას და გაპარტახებულ ხალხს აიძულებს ათეული ათასი მანეთებით უზრუნველყონ მოკლული პოლიციელებისა და ბოქალების ოჯახები!.. ცეცხლმა შთანთქა - ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, - მთელი ქალაქები და დაბეზი, ზოგიერთისა კი - საუკეთესო ნაწილი. ასეთებია ბელაგორი, ყვირილა, სვირი, ბაღდადი, ახალსენაკი, სამტრედია, საჩხერე, ჭიათურა, ოზურგეთი, ნაგომარი, ონი, ცაგერი, ხოლო გადაბუგული სოფლები ვერც კი დაითვლება; დამწვარია ქალაქ ქუთაისის საუკეთესო ცენტრალური ნაწილიც.

არა, არასოდეს მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს, განსაკუთრებით კი - დასავლეთ საქართველოს, არაფერი ამის მსგავსი არ ახსოვს. აღმოსავლეთი საქართველო თავისი მკერდით იცავდა დასავლეთს უცხოელ ურდოთა შემოჭრისაგან და



უკანასკნელ დღეებამდე შესძლო გადაერჩინა ეს მარგალიტი, ყველა ქვეყნის პოეტთა მიერ ნაგალობები ეს ბრწყინვალე ბუნებისა და სილამაზისა, რის გამოც ქუთაისის გუბერნია კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით ყველა მეზობელ გუბერნიებს სჯობდა.

მაგრამ ყოველივე, რაც შექმნილი იყო რამდენიმე საუკუნისა და თაობის რუდუნებითა და ძალისხმევით, ორ-სამ კვირაში მოისპო და გაჩანაგდა.

განა რა დაგიშავთ საამისო? რისთვის, რა მიმე ცოდვებისათვის დაგვსაჯა ასე სასტიკად ერთმორწმუნე რუსმა ხალხმა? განა ჩვენ რასმე ისეთს მოვითხოვდით, რაც თუნდ ოდნავ მაინც უპირისპირდება რუსი ხალხის ინტერესებსა და მოთხოვნებს? რა დააშავეს ჩვენმა რევოლუციონერებმა, რა შესცოდა ჩვენმა ხალხმა, რომელმაც მთელი თავისი რევოლუციონური განწყობილება მხოლოდ კულტურული პასიური წინააღმდეგობით გამოხატა, რითაც თვით გრაფი ლ. ტოლსტოი იყო აღტაცებული?! ჩვენმა ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა სინდისგარეცხილ რუს ჩინოვნიკობას, მაგრამ განა ეს ეწინააღმდეგება რუსი ხალხის ინტერესებს? ვინ სრავდა ჩვენთან რუსული კულტურის ინტერესებს - ჩვენ, თუ თქვენი ბიუროკრატია, რომელიც ჩვენკენ გადმოსროდა ხოლმე ხელმოცარულ, ქურდ-ბაცაცა და ზნეობრივად და გონებრივად გაკოტრებულ ჩინოვნიკებს?! ხალხმა ზურგი უჩვენა სამღვდელოებას, მაგრამ განა თქვენს მიერ ხელდასხმულმა იერარქებმა არ მოაშთეს მასში ყოველგვარი რელიგიური გრძნობები?!

ჩვენმა ხალხმა იგივე დემოკრატიული მოთხოვნები წამოაყენა, რომლებიც წამოაყენა ზოგიერთმა რუსულმა პარტიამაც, და ეს იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი არ არის დაავადებული იმ “ცრუმორწმუნეობით”, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიონ ისეთმა ადამიანებმაც კი, როგორც სტრუვეა... მაგრამ ჩვენი დემოკრატიზაციაც ისევ და ისევ თქვენივე ბიუროკრატის წყალობით მოხდა.

ეჭვგარეშეა, რომ XIX საუკუნის დამდეგს ქართველი ხალხიც იყო განმსჭვალული “ცრუმორწმუნეობით” მონარქიული ხელისუფლების მიმართ, მაგრამ რუსული ბიუროკრატის წარმომადგენლები ისე უწყალოდ და უღმობლად მოეპყრნენ საქართველოში სამეფო გვარის ყველა წევრს, ისე ამცირებდნენ და შეურაცხყოფდნენ ქართველების ყოველგვარ მონარქიულ გრძნობებს, რომ ამ გრძნობათა სრულ გაქრობას მიაღწიეს, - რაც, სხვათა შორის, ოდენ სასიხარულოა.

ამრიგად, ჩვენ ჩვენი პასიური წინააღმდეგობით იმისთვისვე ვიბრძოდით, რისთვისაც მოსკოვი, რუსეთის გული, იარაღით ხელში აჯანყდა. არასდროს არავითარი სეპარატისტული მისწრაფებები ჩვენს ხალხს არა ჰქონია, მას ამაზე არც კი უოცნებია არასოდეს. “სეპარატიზმი” კავკასიის რუსული ჩინოვნიკობის შეთხზულია, - მონაჭორია ნაირგვარი დონდუკოვებისა და გოლიცინებისა, ამ ქარაფშუტა და უგუნური მმართველებისა, რომელთაც სხვაგვარად არ ძალუძდათ ძალაუფლების შენარჩუნება, თუკი ცენტრალურ ბიუროკრატის “სეპარატიზმის აჩრდილით” არ დააშინებდნენ. რუსული ბიუროკრატია მარტოოდენ თავისი პირადი გამორჩენისა და პოლიტიკური შანტაჟის მიზნით ცდილობდა ჩვენში სეპარატიზმის შექმნას და რადგან ამას მშვიდობიანი საშუალებებით ვერ მიაღწია, ცეცხლითა და მახვილით შეეცადა მის დაწერგვას.

რუსულმა თვითმპყრობელურმა ბიუროკრატამ, ალი-ხანის ხელით, საქართველოში მრავალი წლით გააქრო ის ძმური, კეთილი გრძნობები, რომლითაც მთელი ქართველი ხალხი იყო განმსჭვალული რუსი ხალხისადმი, - ხალხისადმი, რომელთანაც დაკავშირებული იყო რელიგიის ერთობითა და იმ მსხვერპლით, რომელიც ისტორიულ წარსულში ორივე ხალხის მიერ იქნა გაღებული საერთო კეთილდღეობისათვის. ეს ყოველივე ახლა განქარდა და საეჭვოა ახლო მომავალში შევძლოთ რაიმე სხვა გრძნობები ვიქონიოთ რუსეთის მიმართ, გარდა შიშისა და ძრწოლისა. აღა-მაჰმად-ხანის აჩრდილი დაიბინდა ალი-ხანის სისასტიკეთა წინაშე და ამ უკანასკნელმა ქართველი ხალხის თვალში პირველის რეაბილიტაცია მოახდინა.

ამიერიდან ჩვენ თქვენი მონები ვართ, შეურაცხყოფილნი ყველა ჩვენს წმინდა გრძნობებში, მოტყუებულნი, გაუბედურებულნი, გამარცხულნი და დარბეულნი, მონები, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ შიშის გამო გემორჩილებით. თქვენ, თქვენმა ჩინოვნიკებმა, თქვენმა გენერლებმა და ჯარისკაცებმა მრავალი წლით ამოძირკვეთ ჩვენი გულებიდან ყოველგვარი კეთილი გრძნობები თქვენს მიმართ.

დიახ, რუსული თვითმპყრობელური ბიუროკრატის ამიერკავკასიის ფილიალი იქადა, რომ დაიპყრობდა საქართველოს, რათა ყოველგვარი ნიშანწყალი მოესპო ნებაყოფლობითი მორჩილებისა და მან სავსებით მიაღწია ამას. მაგრამ იგი უსინდისოდ და მზაკვრულად მოიქცა, - მიპარვით და ანაზღაურად მოიხელთა ხალხი, რომელმაც თავისი ბედი იმ სახელმწიფოს მიანდო, რომლის წარმომადგენლადაც ეს ბიუროკრატია გვევლინება, მოიხელთა ხალხი, რომელსაც რუსეთისათვის წინააღმდეგობის გაწევა არასდროს აზრადაც არ მოსვლია და რომელიც, პირიქით,

დამწუხრებული იყო რუსული არმიის “სასიქადულო მოსკოვური” გამარჯვებებით და მთელი გულით თანაუგრძობდა რუს ხალხს.

რუსულმა ბიუროკრატამ მიაღწია მიზანს: რუსეთისადმი ძმურად განწყობილი ხალხის ნაცვლად, ამერიიდან ჩვენი სახით თქვენ მორჩილი მონები გყავთ, რომელთაც მთელი ძალით თავიანთი ტანჯული სულისა, სძულთ თავისი მჩაგვრელები, ეს ვითომდა “მფარველები” ჩვენი. ნაყოფი ასწლოვანი კულტურისა, შექმნილი რუსული განაწამები გონებისა და ტანჯული რუსი ინტელიგენციის მიერ, რომლის წმინდა და უმწიკვლო აზრები და მისწრაფებები ჩვენამდე კონტრაბანდით აღწევდა, რამდენსამე დღეში იქნა მოსპობილი გრაფი ვორონცოვის მიერ მოვლინებული ალი-ხანის ველურ ურდოთაგან.

რა გვიშველის ჩვენ, რა უშველის ჩვენს ტანჯულ სამშობლოს, ჩვენს განაწამებ სულს, რამ შეგვიხორცოს თქვენს მიერ მოყენებული სასიკვდილო ჭრილობები? მარტოდენ შურისძიებას ძალუმს დააკმაყოფილოს ჩვენი შეურაცხყოფილი გრძნობები სიყვარულისა და ნდობისა, რომლითაც ჩვენ მუდამ ვიყავით განმსჭვალულნი რუსი ხალხის მიმართ, - მარტოდენ შეუბრალებელ შურისძიებას მათზე, რომელთაც თავიანთი ქმედებით ჩირქი მოსცხეს რუსულ კულტურას საქართველოში, ჩირქი მოსცხეს რუსულ არმიას, რუს ხალხს, მათზე, ვინც საძულველად გვიქცია რუსის ძმური სახელი!..

ჩადენილ ბოროტმოქმედებაში დამნაშავეთა ამ სამართლიან, შეუბრალებელ დასჯას, ჩვენ მთელი რუსი ხალხისაგან მოვითხოვთ; ამას, რუსო ადამიანებო, თქვენგან მოითხოვს მოვალეობა პატიოსნებისა, კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობისა. რასაკვირველია, თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ შიშსა და ძრწოლაში გვამყოფოთ, მაგრამ ეს არამყარი ბალავერია “რუსული საქმისათვის” ჩვენში. გეშინოდეთ დამონებული ხალხისა, “მკვდრების გეშინოდეთ”, როგორც ამბობს ჩვენი თანამემამულე, გენიალურად წარმოსახული ზეინაბის ზაგით (“ღალატი” იუჟინისა), რომელიც საქართველოს მთელი ისტორიული ბედისწერის განმასახიერებელია. გეშინოდეთ ცხოვრების ლოგიკისა, გეშინოდეთ, რომ სამართლიანობისა და ადამიანურობის გაქელვისათვის დაგიდგებათ დღენი, ოდეს სამაგიერო მოგეზღვევათ, - უარესნი დღენი, ვიდრე მანჯურის ველებსა და წყნარი ოკეანის ტალღებს უნახავთ.

1907 წ.

### დიდებული მოძღვარი

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?“...

უკვე ბნელსა და აერეთ წოდებულ გრილ მიწას მივაბარეთ გვამი ჩვენის დიდებულ მოძღვრისა, ჩვენის დიდის კაცისა და მე კი ჯერ კალმისათვის ხელი ვერ მომიკიდნია. იმ ჩვენის ერისათვის შავ დღეს მერე რაღაც უხილავი და უცნაური ძალა ყურში ჩამკვივის და დაჟინებით მოძღვრის დიდებულ სიტყვებს იმეორებს:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?“...

და ასეთივე ჯოჯოხეთურის დაჟინებით ეს ლექსი აქა სწყდება. ამ უცნაურ ხმას თან ირონიული კილო აქვს და კბილთა ღრჭენა მესმის, თან საოცარის სევდითა და ნაღვლით არის აღვსებული, და ამ დროს მომელანდება დამშვიდებული სახე მოძღვრისა, საუკუნო საიდუმლოებით მოცული და თვალიდან ჩემდა უნებურად ცრემლი მომდის. ამ დროს ყოველთვის კალამი ხელიდან მივარდება.

მეოთხედ საუკუნეზედ მეტია მას მერე, რაც პირველად გავიგონე ძვირფასი მოძღვარის სახელი. ისე მახსოვს ყოველი წვრილმანი იმ დღისა, თითქოს გუშინ მომხდარიყოს და თითქო იმდენი უბედურების მოწმე არ ვიყო, რომ ფიზიკური არსებობაც უნდა დამვიწყებოდა, არათუ წარსულის ხსოვნა და ისიც - ამ ხნის წარსულისა. მაგრამ, ჰვავს, ღრმა და გარდუვალი იყო ეს პირველი შთაბეჭდილება ექვსისა თუ შვიდის წლის ბავშვისა, რომლის გულშიც პირველად გააღვიძა ღვთის ცეცხლით მოსილმა მგოსანმა დაუვიწყარი გრძნობები.

მახსოვს ოთახი ჩემის სახლისა, მახსოვს ტახტი, რომელზედაც ვიყავი ჩამომჯდარი, მახსოვს დღე, მახსოვს პატარა წიგნაკი, მახსოვს ნასტამბის შრიფტი. პირველი ლექსი, რომელზეც მიმითითა ჩემმა მეზობელმა, სემინარიის მოწაფემ, რომელიც ჩემთან დადიოდა და მასწავლიდა, იყო „ტყეს ესხმება ფოთოლი“, და ამ დღიდან მომხიბლავი მნიშვნელობა იმ სიტყვებისა, რომლითაც თავდება ეს ობოლი მარგალიტიქართულის სალირიკო პოეზიისა - „მამულო საყვარელო, შენ როსდა

აყვავდები?” - ჩემთვის დაუვიწყარი შეიქმნა: ამის შემდეგ მე ხელთ მეპყრა დაუშრეტელი ლამპარი, რომელიც ჩემს ბედკრულ ცხოვრებაში თან მიძღოდა...

დიდებული მოძღვარი ჩემთვის ღვთაებად გადაიქცა, რომლის ყოველ ნაწერს გულის კანკალით ვკითხულობდი და ვზეპირობდი. სულ 13-14-ის წლისა თუ ვიქნებოდი, როცა „განდეგლი“ დაისტამბა და უკვე გაცხარებულს ბასსა და კამათში ვებმებოდი და ქუთაისის ბულვარსა და სალონებში ამხანაგებთან და ლიტერატურის დილექტანტებთან ბრძოლა და დავა მქონდა ამ დიდებული ქმნილების ღირსებათა შესახებ.

დაუვიწყარი მოძღვარი ჩემი საყვარელი, თაყვანსაცემი მწერალი იყო.

მახსოვს 1888 თუ 87 წელს მოძღვრის ბრძოლა - დაცვა ქართველობისა, მისი „აი, ისტორია“, რომლის ნაწილები მაშინდელის შენიშვნებით დღესაც შენახული მაქვს. მახსოვს მე და ერთი ჩემი მეგობარი იმ დროს რა გაცხარებულნი ვებრძოდით მოწინააღმდეგეებს.

მახსოვს ის აღტაცება, რომელიც გამოიწვია ჩემში მოძღვრის თხზულებების გამოცემამ „ქართულ ამხანაგობისაგან“, რა გულის კანკალით ველოდით პირველ წიგნის მიღებას, რა აღტაცებულის სიხარულით შევიძინეთ თითო ეგზემპლარი, რა გაფაციცებით ვკითხულობდით, რა სიხარულით მოველოდით პირველ წიგნის მიღებას, რა აღტაცებულის სიხარულით შევიძინეთ თითო ეგზემპლარი, რა გაფაციცებით ვკითხულობდით, რა სიხარულით მოველოდით ყოველ ნაწერს იმის შესახებ.

მახსოვს, უნივერსიტეტში მყოფმა პირველად ვნახე დიდებული მოძღვარი, და რომ იცოდეთ, რა მწარე ხსოვნა აღმიძრა ახალგაზრდა მოწაფის ჟორჟოლიანის სიტყვამ იმის შესახებ, თუ რა ნეტარებით ელოდა იგი ილიას ნახვას. გამახსენდა, რა საღლოლველ საგნად იყო ჩვენთვის გადაქცეული ჩვენის დიდის მოძღვრის ნახვა, და, აგერ, შარშან ერთ ჩემ მეგობართაგანს, რომელსაც ჯერაც არ ენახა მოძღვარი, ბავშვურის ნატვრის ცეცხლი ჰქონდა აღგზნებულ თვალებში.

მახსოვს მოძღვარი მებრძოლი, ორატორი გასაოცარი, მახსოვს, რამდენჯერ შემბრალებია, რომ იმის დიად ორატორულ ნიჭს ასპარეზად პარალამენტი არა აქვს. მახსოვს რა თაყვანისცემით, რა სიყვარულით აღსავსე კრძალვითა და მორიდებით ვეპყრობოდით ყველანი, როცა მის რედაქციაში ვმუშაობდით. დევნაცა და წყევლაც მიგვიღია მოძღვრისათვის ერთგულ მოწაფეთ, თავისებური „ეკლის გვირგვინიც“ ვითომ კი გვიტარებია... მახსოვს შემდეგში ვითომ კიდევაც დავმორდით ერთმანეთს, და დავმორდით, როგორც სჩანს, მექანიკურად და არა სულით და გულით, - ჩვენი ტანჯვა და ვაება ამისი საბუთი.

მახსოვს, მისი ნაწერებით გატაცებულმა კალამს ხელი მოვკიდე. რაც კი შესძლებია ჩემს მცირე ძალ-ღონეს, მთელი სიყვარული, მთელი აღტაცება, მთელი სასოება მოძღვრისა, მთელი ჩემი რწმენა და გულის ნადები იმ ნაწერში გამოიმ-ხატავს, ჩემებურად ჩემი სული და გული გადამიშლია, ჩემი უდიდესი სულიერი მოთხოვნილება ამ ნაწერით დამიკმაყოფი-ლებია, ისე, რამდენადაც გლახაკსა და ღარიბს შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი დიდი ფიზიკური შიმშილი დაობებული ჭადის ნატებით, - სად დიდებული, შეუდარებელი მგოსანი და ძლევამოსილი მოძღვარი, და სად ჩემი საწყალი, წვერმოტეხილი კალამი.

სულ უკანასკნელად მახსოვს მოძღვარი იმ დროს, როცა ეგრე უარყოფილი და სასაცილოდ აგდებული „პეტიციები“ ითხზებოდა. მახსოვს დიდებული კაცი, რომელმაც ჩვენ, მასზე უფრო აღგზნებულებს, - გარეგნად მაინც, - თავისის დინჯის და წყნარის შენიშვნებით ის ნაბიჯი გადაგვადგმევინა, რომელიც უიმედოდ მიგვაჩნდა იმ წრესა და იმ პირობებში, სადაც ვმოქმედებდით. „პეტიცია“ თავად-აზნაურთა კრებისათვის უნდა მიგვეღებინებინა. ამ თავდაზნაურობისაგან, რომელმაც ისე სამარცხვინოდ იდღესასწაულა სამგლოვიარო დღე მონობისა, იმედიანს არას გამოველოდით და ამიტომ ვცდილობდით მეტად დიდი გასაბედავი არ მოგვეთხოვა, რომ მცირეხედაც უარი არ გვეთქმევინებინა, და საქართველოს ერის უფლებები მხოლოდ კილოკავად მოვიხსენიეთ. მახსოვს მოძღვარი, რომელმაც განაცხადა, - მე მაგას ხელს ვერ მოვაწერ, მანდ ქართველის ერისთვის არაფერია, ჩასწერეთშიგ მოთხოვნილება ავტონომიისა და პირველი ვაწერ ხელსა... - კი მაგრამ, რომ არ მიიღოს კრებამ? - ამ ჩემ თავზედ მიდვია...

მახსოვს... მაგრამ რა...

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?“...

მერე, მერე, ოჰ, უნაურო ხმავე! ოჰ, უსაშინელესო ტანჯვავე! რა არის ეს დაჟინება, - მაყვედრი რასმე, დამცინი რასმე?..

მახსოვს ჩრდილოეთი სატახტო ქალაქი. მახსოვს გაზეთი... მახსოვს ორი სტრიქონი: „ტფილისის მახლობლად სასიკვდილოდ დასჭრეს სახელმწიფო საბჭოს წევრი თ. ი. ჭავჭავაძე და მოუკლეს

მსახური”. მახსოვს, სახტად დავრჩი... მთელი საშინელი სურათი თვალწინ გადამეშალა. ვიცოდი ვინ მოჰკლა, როგორ მოჰკლეს, რად მოჰკლეს... მაგრამ ამ ფაქტის შერიგება შეუძლებელი იყო... გრიგოლ ვოლსკის ამბავი გამახსენდა, გულის ფანცქალით ველოდი ორ დღეს და თუმცა ჩემს გულში რაღაც მარღვი გასწყდა, ლაჩარი გრძნობა მაინც მანუგეშებდა, - არა, არაფერია, მორჩება, თუმც დაჭრილია... თითქო აქ მარტო ფაქტს არა ჰქონდეს მნიშვნელობა. მეორე დღეს საშინელება დამტკიცდა... ვინ?... ჩემთვის ცხადზე უცხადესი იყო! რად? ჩემთვის ცხადი იყო... მე პირდაპირ როგორღაც წინასწარმეტყველური შეგნება მომეცა მოვლენისა... ჩემი მდგომარეობა მაინც გამორკვეული არ იყო, უცრად ყოველივე, რაც კი ჩემის ცხოვრების იდეალს შეადგენს, დამსხვრეულად მომჩვენა... ჩემს ნერვებს ვაბრალებდი. ქართულ გაზეთს („ისარს“) არც კი ვეძებდი, მეშინოდა, ვფიქრობდი - ვაი, თუ ამ ფაქტს სხვაგვარად უცქერიან და არა ისე, როგორც მე... მაშინ ხომ ჩემი სიგიჟე ცხადია-მეთქი.

მხოლოდ როცა წავიკითხე პირველი ნომერი „ისრისა“, ჩემი მდგომარეობა გამოირკვა. მაშინ ვიგრძენი მთელი ფიზიკური ტკივილი ამ მოვლენისა. მაშინ ვიგრძენი, რომ მე არა ვყოფილვარ გიჟი, და თუ ვყოფილვარ, კიდევ ყოფილა ორი-სამი კაცი ჩემი სიგიჟის ამხანაგი... უდიდესი ტანჯვა და სევდა, რომლითაც გაჟღენთილი იყო ყოველი სტრიქონი ამ გაზეთისა, ერთადერთი ნუგეში გახდა ჩემი; გულზედ მალამო მომეცხო და თვალთაგან ცრემლი წამსკდა: ჩემთვისცხადზედ უცხადესი შეიქმნა: თავისი დიდებული მოძღვარი მოჰკლა ქართველმა ერმა; იმ ერმა, რომელიც დიდებულ მოძრაობაში მარტო ერთი გრძნობითა და აზრით იკვებებოდა - საქართველოს, ქართველი ერის, ე. ი. თავის თავის უარყოფითა და ზიზღით, ეს გრძნობა გამოხატა საშინლად, მხეცურად და საეროვნო გრძნობის დიდებული დარაჯი ვერაგულად, საზიზღრად მოჰკლა.

ქართველი ერი ამ მოქმედებით წყეულ ერთა რიცხვში ჩაეწერა, ქვეყანაზე სამაგალითოდ შეიქმნა: ქრისტე თუ ჯვარს აცვეს, - დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ - „ბურჟუებს“ შეგვიძლია გადავებრალოთ. სოკრატე თუ მოსწამლეს, ისიც „ბურჟუებს“ შეგვიძლია გადავებრალოთ გულის მოსაფხანად... მაგრამ ისტორიის განგებამ იცის ხალხი, ერი და არა ბურჟუა და ფეოდალი, და ის ერი, რომელიც თავის დიდებულ კაცსა ჰკლავს, მორიელია, რომელიც თავისის შხამით თავის თავსვე იწამლავს.

ამიტომაც ურიასტანი მოისპო, საბერძნეთი დაემხო და ქართველმა ერმა არ იკმარა, რომ თავის შესარცხვენად საქვეყნოდ განაცხადა - ქართველობის წოდება სათაკილოდ მიმაჩნიაო, მოჰკლა ქართველის ერის სული, - დიდებული კაცი ერისა არის მისი სული.

ქართველმა ერმა დიდებულის მოძღვრის სულის მოკლავ მოიწადინა და ვითა საშუალო საუკუნეებში, ამ რამდენსამე წლის წინათ დიდუბის მოედანზე დიდებულის მოძღვრის ნაწარმოები ცეცხლს მისცა. ქართველმა ერმა თავისი მადლობა დიდებულ მოძღვარს იმითი გადაუხადა, რომ როცა ტვილისში, „სახალხო“ თეატრის დარბაზში მოძღვრის სახეობის ხხენება უნდოდათ, ამის მსურველს კინაღამ სცემებ, ხოლო დიდებულის კაცის სურათი ფეხქვეშ განართხეს. დღეს კი სამარეში ცალის ფეხის მექონე მოძღვარს სიცოცხლე დაუმოკლეს...

ეს ფაქტი მაჩვენებელია იმისი, რომ ქართველი ერი უკურნებელის სენით არის ავად და მისი დღეები დათვლილია, ეს ცხადზედ უცხადესია. ეს სიმტკონი ისეთია, როგორც სულთმობრძვის ხრიალი.

მოჰკლა და მერე პარადი გააკეთა... მოძღვრის დასაფლავე- ბაზე, ქართველს რომ ნამუსი ჰქონდა, არც კი უნდა გამოჩენილიყო, თავზედ ნაცარი უნდა დაეყარა და სახლში ჩაკეტილიყო, თავის თავისაც უნდა შინებოდა...

იტარა - ვინ? სამძიმარი გამოუცხადა - ვის? ნუგეში სცა - ვისა? განა არ იცოდა, რა ხდებოდა ამ დღეს? ამ დღეს ქართველმა ერმა თავის თავისთვის საფლავი გაითხარა...

ამ ფაქტმა... მე და ორიოდ ჩემსავით გიჟს საშინელება ქართველის ერის დაღუპვისა თვალწინ ნათლად დაგვიხატა... მოგვისპო ყოველივე სასოება ერისა, გაგვიქარწყლა იმედი, და დღეს, მოხუცებულობას მიღწეულთ (ქართველი კაცი ოცდაათ წელიწადს შემდეგ მოხუცებულია) წავგართვა ის, რითაც ვსაზრ-დობდით ოცდაათის წლის განმავლობაში. მოგვგლიჯა გულიდან, წალეკა მეხსიერებიდან და მიწაზე დაანარცხა ჩვენი იდეალი, ჩვენი რწმენა, ჩვენი დარდი და მუდმივი ფიქრი და ოცნება - „მამულო, საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?“...

პასუხი მოგვესპო. ნაცვლად მესმის ჯოჯოხეთური სიცილი ბოროტის ძალისა - „ჩემო კარგო ქვეყანავ, რატომ მოგიწყენია?“ - თითქოს დასცინოდეს დიდებულ მოძღვარს: ეგეც შენი უკურნებელი ოპტიმიზმი, ეგეც შენი შეურყეველი რწმენა, აი, შენი „კარგი ქვეყანაო“. მესმის ეს სიტყვები, და თანაც მელანდება დიდებულის მოძღვრის დასისხლიანებული, დამშვიდებული სახე, საუკუნო საიდუმლოებით მოცული...

აი, ეს არის ეხლა ჩემი (და ჩემიანების) დაუსრულებელი ტანჯვა; ეს არის ჩემი (და ჩემიანების) უსაზღვრო კაემანი და ვარამი... რა საუკუნო გრძნობით შეუერთდი გამოუცნობელს, დიდებულ მოძღვარო? გაგახსენდა ეს სიტყვები? დარწმუნდი, რომ „შენი კარგი ქვეყანა“ გკლავს და საუკუნო გულისტკივილით განუტევე სული, რაიცა უფრო მწარეა ყოველ სიკვდილზე?...

უეჭველია, უეჭველი, თორემ რად დამხარხარებს ეს წყეული ხმა, რად ურევს მწარე ირონიასა და გესლს, რადა სწყვეტს შუაზედ დიდებულს გრძნობას დიდებულის სულით შექმნილსა: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?“...

### სამარცხვინო ომი (მიმართვა რუს ადამიანებს)

“სამარცხვინო ომი (მიმართვა რუს ადამიანებს)” 1906 წლის თებერვალში დაიწერა, იმ ტრაგიკულ დღეებში, როცა კავკასიის მეფისნაცვლის, გრაფი ვორონკოვ-დაშკოვის განკარგულებით, რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად გაგზავნილმა რუსულმა დამსჯელმა რაზმებმა, გენერალ ალიხანოვ-ვარსკის მეთაურობით მთელი დასავლეთ საქართველო ააოხრეს - ათობით ქართული ქალაქი თუ სოფელი გადაბუგეს და ასობით ადამიანი გაჟლიტეს.

“მიმართვა” რუსულ ენაზე იყო დაწერილი და რუსული პრესისათვის ნაგარაუდები.

1905 წლის 24 თებერვალს კიტა აბაშიძე ივანე ჯავახიშვილს სწერდა (თბილისიდან პეტერბურგში):

“შვირფასო ძმაო ვანო!.. ჩვენი ქვეყნის უბედურებამ ისე აგვაშფოთა, ისეთი თავზარი დაგვცა, რომ არათუ ასე მალე, მგონი, კარგა ხანი გივლის, ვიდრე გონებაზედ მოვიდოდეთ. არ აიწერება კალმით ის განსაცდელი, რომელშიც დასავლეთი საქართველო ჩავარდა... თვით ზოგიერთი ადამიანი-ოფიცერის წერილებია - რუსის ოფიცერებისა, - რომ მთელი ეს მხარე დაღუპულია და ისეთი პირები, რომელნიც მდიდარნი იყვნენ, დღეს იძულებულნი არიან “წითელ რაზმში” ჩაეწეონო. პირდაპირ ტვინი გეყინება კაცს და სისხლი გიშრება: აიკლეს, სწორედ აიკლეს ჩვენი ქვეყანა ამ ურჯულოებამ და ოხრებმა...”

ეხლა ერთი თხოვნით უნდა მოგმართოთ და შეგაწყუხოთ. გაახლებთ ჩემ დაწერილ წერილს, ამ აზრებით გამოწვეულს. ეს წერილი წავიკითხე აქ, მეგობართა წრეში და ყველამ მოიწონა და პირდაპირ დამავალეს, რომ პეტერბურგის რომელიმე გაზეთში იქნეს დასტამბული, უფრო კი “Наша жизнь”-ში, რადგან უფრო ყურადღებას გვაქცევს და უფრო გავრცელებულიც არის. გთხოვთ, მიიღოთ შრომა თქვენს თავზედ და მოელაპარაკოთ რედაქციამ, თუმცა შეიძლება დესტამბონ გამოუკლებლად. მართალია, რუსი ხალხის წინააღმდეგ გამოვილაშქრე, მაგრამ შეიძლება ისე აუხსნათ, ვითომც მე, როგორც გამწარებული ამ აზრებით ქართველი, პირველ ჩემს გრძნობას ვსწერ, თორემ, მართლაც, რას ვმართლები იმ საწყალ რუსებს, რომელნიც ციხეში ღებნიან, თუმცა ხშირად მოხდება ხოლმე, რომ “რუსეთში ტანჯულნი” შემდეგ “Охранное отделение”-შიც შედიან, მაგრამ, ეს ყოველგან მოხდება. ძალიან ბოდიშს ვიხდი, რომ გაწყუხეთ, მაგრამ ეს, ასე ვსთქვათ, საზოგადო საქმეა... პასუხს შემატყობინებთ, იმედი...”

საპასუხო წერილი არ შემონახულა, მაგრამ კიტა აბაშიძის შემდეგი წერილიდან, რომელიც იმავე წლის 9 აპრილითაა დათარიღებული, ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილის მცდელობას ამაოდ ჩაუვლია და კიტა აბაშიძის სტატიის გამოქვეყნებაზე უარი უთქვამთ:

“შვირფასო ძმაო ვანო! დიდ ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ შეგაწყუხეთ, - ვკითხულობთ მითითებულ წერილში, - მაგრამ არათუ მარტო მე ვიყავი დაინტერესებული მაგ წერილის დასტამბვაში, თუმცა დარწმუნებული ვარ და ვიყავი, რომ არ დასტამბავდნენ: რაც უნდა ლიბერალი და რადიკალი იყოს, რუსი მანც რუსია და “სრულიად რუსეთის” გინების ნებას არ მოგვეს, მარტო ბიუროკრატის გაგინებინებს, რადგან მისთვის ხელსაყრელია. თუმცა თითქმის მაგვე ხასიათის წერილები იყო “რუსში” და “მოლვაში” დასტამბული. საქმე იმაშია, რომ აქ ზოგიერთებს ისე აინტერესებთ მაგის დასტამბვა, რომ კიდევ დამაძლეს... თუ შეხვდებით სამს. ფირცხალავას, რომელიც მანდ არის, გადავეით, იქნებ “გრუზია იგრუზინის” გამოქვეყნელმა აშანაგობამ იკისროს, მგონია, თვით არის მეთაური...”

მაგრამ “სამარცხვინო ომის” გამოქვეყნება მანც ვერ მოხერხდა: რედაქციებმა, ალბათ მეტისმეტად სახიფათოდ ჩათვალეს ამ მძაფრი პუბლიცისტური წერილის დაბეჭდვა, რომელიც, ფაქტობრივად, არსებული ხელისუფლების დამხობის მოწოდებას წარმოადგენდა.

წერილის დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია, შემონახულია მხოლოდ მისი ნუსხა, გადაწერილი კიტა აბაშიძის მეუღლის - თეკლე ნიკოლოზის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანის კალიგრაფიული ხელწერით. წერილი ამ ნუსხის მიხედვით ვთარგმნეთ.

“სამარცხვინო ომი (მიმართვა რუს ადამიანებს)” პირველად მხოლოდ 1989 წელს გამოქვეყნდა (იხ. Кита Абашидзе, Позорная война, вводное слово и примечания Г. Абашидзе, “Литературная Грузия,” - 1989, 19).

კიტა აბაშიძის ზემო ციტირებული წერილები ივანე ჯავახიშვილისადმი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ივანე ჯავახიშვილის ფონდში, - <sup>11</sup>1588, 1539 (ორივე წერილი 1905 წლით არის დათარიღებული, მაგრამ ესაა აპსუს ჩალამი და არა რეალური თარიღი).

“ჩვენ ვიბრძოდით ჩვენ იმეზობლების წინააღმდეგაც...” - იგულისხმება ქართველების მონაწილეობა რუსეთის მიერ დაღესტნისა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის დაპყრობაში (აღსანიშნავია, რომ, კიტა აბაშიძის აზრით, მართალია, ქართველები, უთუოდ, “შველის ანგარიშების გასასწორებლად” ჩართვდნენ ამ ომში, მაგრამ რუსეთის ხელშეწყობა მეზობელი ხალხების დაპყრობაში, რომელნიც თავისი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, მისი სიტყვით, “რომ პოლიტიკურ გონიერებას მოკლებული იყო, ამას, მეონია, ვერავინ ჰყოფს უარს”, რადგან “თუ ერთი მხრივ, რუსებს ეომებოდნენ (იგულისხმება ქართველობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ - გ. ა.), ამავე დროს, რუსებს ეხმარებოდნენ მათი მტრების წინააღმდეგ”. - იხ. აქვე, “პოლიტიკური რომანტიზმი”).

“საქართველოში ხმის უფლების მქონე ერთადერთმა ჩოღდებამ რუსეთს ამხედროპირთაშვილებისათვის რამდენიმესტიპენდიად დააწესა...” - იგულისხმება თბილისის გუბერნიის თავდაზნაურთა საგანგებო კრების მიერ 1900 წლის 21 ნოემბერს 4 სამუდამო სტიპენდიის დაწესება (სართო ოდენობით - 1800 მანეთი წელიწადში) “სასარგებლოდ იმ ოთხი რუსის პოლკისა, რომელიც ასი წლის წინ პირველად შემოვიდა საქართველოში”. კრძოდ, სტიპენდია დაენიშნა ე. წ. “თვილისის პოლკს”, რომელიც თბილისში 1799 წლის 26 ნოემბერს შემოვიდა (სულ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე იმპერატორი პავლე I ხელს მოაწერდა მანიფესტს “რუსეთის სახელმწიფოსთან საქართველოს სამეფოს სამარადუნად მიერთების” შესახებ) და რომელსაც გენერალი ლაზარევი მეთაურობდა (ეს ის ლაზარევი, რომელიც მარიამ დედოფალმა მოკლა - რუსეთში მისი ძალით გასახლების მცდელობისას); სტიპენდიები დაენიშნათ, აგრეთვე, “გრენადერთა”, “ყაზარდის” და “მე-17 ეგერთა” პოლკებს, რომლებიც საქართველოში 1801 წელს შემოვიდნენ - უკვე ზემოაღნიშნული მანიფესტის ხელმოწერის შემდეგ (18. XII, 1800) და რომელთა შემოვლითაც “თვილისის პოლკთან” ერთად - განხორციელდა ალექსანდრე I-ის მანიფესტის ხორცილება - საქართველოს ანექსია (ანუ “საქართველოს რუსეთთან შეერთება”, როგორც მას ოფიციალურად ეწოდა). მაგრამ აღსანიშნავია, რომ, ფაქტობრივად, ეს პოლკები არ იყო საქართველოში პირველად შემოსული რუსული ჯარის ნაწილები:

გორგიევსკის ტრაქტატის შესაბამისად, რუსული ჯარის ქვედანაყოფები საქართველოში პირველად 1784 განლაგდნენ, - “რათა დაეცვათ ქართლისა და კახეთის სამფლობელოები მეზობელთა ყოველგვარი შეხებისაგან და განემტკიცებინათ მისი ბრწყინვალე მეფის [ერეკლე II-ის] ჯარები”. მართალია, რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით, ეს სამხედრო ნაწილები საკმაოდ მალე გაიწვიეს საქართველოდან (რამაც მტრულად განწყობილი სახელმწიფოებით გარშემორტყმული ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა), მაგრამ ბუნებრივია, რომ მადლიერების გრძობა ქართველ ხალხს სწორედ ამ ნაწილების მიმართ ექნებოდა, ვინც საქართველოს დაცვის კეთილშობილურ მისიას ახორციელებდა, და არა იმ პოლკების მიმართ, რომლებიაც რუსეთმა საქართველოს დაპყრობა მოახდინა.

ყოველივე ეს კიტა აბაშიძემ, რასაკვირველია, შესანიშნავად იცოდა, მაგრამ წერილის მიზანდასახულობის გამო იგი, ბუნებრივია, ვერ გაამხვილებდა ყურადღებას ამ ფაქტებზე, - ისევე, როგორც არც თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოუხატავს ქართველ თავდაზნაურთა საგანგებო კრების აღნიშნული გადაწყვეტილების მიმართ, მაშინ როცა “საქართველოს რუსეთთან შეერთების” 100 წლისთავი მას ქართველი ერისათვის სამელოვიანო თარიღად მიაჩნდა, ხოლო ქართველი თავდაზნაურობის ქვეშევრდომული გრძობები და ყველა ის მამებლური ღონისძიება, რომლებიც მათ მიერ “მონობის თარიღის სამარცხვინო ზეიმით აღნიშვნას” უკავშირდებოდა (და მათ შორის, ცხადია, მოხსენიებული სტიპენდიებით დამყრობთა დაჯილდოებაც) - ამ წოდების დეგრადაციის უტყუარ დამადასტურებლად (იხ. კიტა აბაშიძე, დიდებული მოძღვარი, გაზ., “ისარი”, 1907, 16).

“ვიტეხის, დუბასოვეხის, ალიხანოვეხის...” - ვიტეს. ი. (1849-1915) - რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, 1905-1906 წლებში იმპერიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; დუბასოვი ფ. ვ. (1845-1912) გენერალ-ადიტანტი, ადმირალი, 1905-1906 წლებში მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი, 1905 წლის რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ჯალათი; მ. ალიხანოვი а именно: устраивать свою жизнь так, чтобы не нуждаться в властях, надо делать опять то же, что они делают: жить по совести, по Христу - короче - по Божьи. Если можно, то передайте им, какую великую радость испытал этот старик, когда узнал, что то, о чем он думал и писал столько лет, и чего ученые и считающие себя мудрыми не понимают и не понимали, - что это самое сами для себя, своим умом и своей совестью решили тысячи людей, и не только решили, но и произвели в дело и ведут это дело так твердо и хорошо, что соседние люди пристают к ним.

Скажите им, что дело это такое важное и хорошее, что надо все силы употребить (духовные силы: кротость, рассудительность, терпение) для того, чтобы довести его до конца, чтобы быть примером для ближних и дальних людей и послужить установлению Царства Божия не силою и обманом, а разумом и любовью.

Скажите им, что не я один, но много и много людей радуются на них, готовы всячески, если возможно и нужно, послужить им и что все мы уверены, что, начав такое великое дело и так много уже сделав для него, они не оставят его и будут вести его все так же, показывая пример людям.

Скажите им, что старик, человек этот, думает, что главные их силы должны быть направлены к тому, чтобы, как они сами говорят, жить по Христу, по совести, исполняя один и тот же закон и для христиан, и для магометан, и для всех людей мира. Закон этот в том, чтобы любить всякого человека и делать другому то, что хочешь, чтобы тебе делали. Если они будут так жить, по Божьи, то никто им ничего не сделает. Если они будут с Богом, Бог будет с ними, и никто не будет в силах помешать им".

“მკვდრების გემინოდეთ”, როგორც ამბობს ჩვენი თანამემამულე... - გამოჩენილი დრამატურგის ა. ი. სუმბათაშვილ-იუჯინის (1857-1927 წწ.) ისტორიული დრამა - “ღალატი”, რომელიც საქართველოს გმირულ წარსულს ეხება და სამშობლოსათვის თავდადებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პათოსითაა განმსჭვალული (1903 წ.), უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც საქართველოში, ისე რუსეთშიც (მოსკოვის მცირე თეატრში, სადაც ეს შესანიშნავი პიესა ავტორის დადგმით განხორციელდა, ქართველი დედოფლის - ზეინაპის ცენტრალურ როლს გამოჩენილი რუსი მსახიობი მ. ნ. ერმოლოვა ასრულებდა).